გახსენით ლინკი და მოიწონეთ გვერდი

https://www.facebook.com/eExistentialCrisisA1/

Contents

მიმართვა და გაფრთხილება მოგზაურებს 2

* * * 2

პირველი ნაწილი. ჩრდილები 3

პირველი თავი 5

მეორე თავი 33

მესამე თავი 54

მეოთხე თავი 70

მეხუთე თავი 97

მეექვსე თავი 121

მეშვიდე თავი 143

მერვე თავი 176

მეორე ნაწილი. მაი აინსელი 208

მეცხრე თავი 210

მეათე თავი 231

მეთერთმეტე თავი 258

მეთორმეტე თავი 298

მეცამეტე თავი 337

მესამე ნაწილი. ქარიშხლის წამი 368

მეთოთხმეტე თავი 370

მეთხუთმეტე თავი 404

მეთექვსმეტე თავი 415

მეჩვიდმეტე თავი 432

მეთვრამეტე თავი 451

მეოთხე ნაწილი. ეპილოგი: რას არ ამბობენ მკვდრები? 481

მეცხრამეტე თავი 484

მეოცე თავი 490

პოსტსკრიპტუმი 517

დანართი 522

მიმართვა და გაფრთხილება მოგზაურებს

ეს მხატვრული ნაწარმოებია და არა გზამკვლევი მოგზაურთათვის. წიგნში ამერიკის შეერთებული შტატების გეოგრაფია მთლიანად გამოგონილი არაა – აქ ნახსენები ბევრი ადგილის მონახულება, ბევრი ბილიკის გავლა და ბევრი გზის რუკაზე დატანა შეიძლება – მაგრამ თავს თვითნებობის უფლებაც მივეცი. არც ისე ბევრ შემთხვევაში, თუმცა თვითნებობა მაინც თვითნებობაა.

წიგნში ნამდვილი ადგილების მოხსენიების უფლება არავისთვის მითხოვია და არც არავის მოუცია. ვფიქრობ, „კლდის ქალაქის“[1] ან „კლდეზე მდგარი სახლის“[2] მეპატრონეები და მონადირეები, რომლებიც ამერიკის შუაგულში მდებარე მოტელს ფლობენ, შეცბებიან, როცა მათ საკუთრებას ამ წიგნში წააწყდებიან.

ზოგიერთი ადგილის მდებარეობა განგებ არ გავამხილე: მაგალითად, ქალაქ ლეიკსაიდისა ან ბლექსბერგიდან ერთი საათის სავალზე მდებარე ფერმისა, სადაც იფნის ხე დგას. შეგიძლიათ თავად სცადოთ მათი პოვნა და იქნებ მიაგნოთ კიდეც. გარდა ამისა, რაღა თქმა უნდა, ამ წიგნში ნახსენები ხალხი – ცოცხალი თუ მკვდარი –

გამოგონილია ან გამოგონილი ამბის მონაწილეა. მხოლოდ ღმერთები არიან ნამდვილები.

*** * ***

ყოველთვის მაწუხებდა ერთი შეკითხვა: რა ემართებათ დემონურ არსებებს, როცა მიგრანტები სამშობლოდან აიყრებიან ხოლმე? ირლანდიური წარმოშობის ამერიკელებს ფერიები ახსოვთ, ნორვეგიული წარმოშობის ამერიკელებს – ნისეები, ბერძნული წარმოშობის ამერიკელებს – ვრიკოლაკასები, ოღონდ ეს მითური არსებები მხოლოდ მათ ძველ სამშობლოში მომხდარ მოვლენებს უკავშირდებიან. როცა ერთხელ ვიკითხე, ეს დემონები ამერიკაში რატომ არ ჩანან-მეთქი, ჩემმა ინფორმანტებმა[3] დაბნეულად ჩაიხითხითეს და მიპასუხეს: „ოკეანის გადმოცურვას ვერ ბედავენ, ძალიან შორია“; ისიც აღნიშნეს, ამერიკაში ხომ არც ქრისტე და მისი მოციქულები ჩამოსულანო.

რიჩარდ დორსონი,
„ამერიკული ფოლკლორის წარმოშობის თეორია“,
„ამერიკული ფოლკლორი და ისტორიკოსი“
(University of Chicago Press, 1971)

პირველი ნაწილი. ჩრდილები

4
5

პირველი თავი

ჩვენი ქვეყნის საზღვრები, სერ? მოგახსენებთ: ჩრდილოეთით ავრორა ბორეალისი გვესაზღვრება, აღმოსავლეთით – ამომავალი მზე, სამხრეთით – ბუნიობების მთელი პროცესია, დასავლეთით კი – განკითხვის დღე. ჯონ მილერის ამერიკული ხუმრობების კრებული

შედოუ[4] ციხეში სამი წელი იჯდა. ტანად საკმაოდ დიდს გამომეტყველებაც ისეთი ჰქონდა, ტყუილუბრალოდ არავინ გადაეკიდებოდა; ამიტომ მხოლოდ დროის მოკვლის პრობლემა აწუხებდა. ფორმის შესანარჩუნებლად ბევრს ვარჯიშობდა, მონეტით ფოკუსების გაკეთება ისწავლა და ხშირად ფიქრობდა საყვარელ ცოლზე.

ციხეში ჯდომის ყველაზე დიდი უპირატესობა – შედოუს აზრით, ერთადერთი უპირატესობა – შვების განცდა იყო; განცდა იმისა, რომ მთლად ფსკერზე დაეცა. აღარ ღელავდა, რომ დაიჭერდნენ, რადგან უკვე დაიჭირეს. შეძრწუნებულს აღარ ეღვიძებოდა; აღარ ეშინოდა იმის, რას მოუტანდა ხვალინდელი დღე, რადგან მოსახდენი გუშინ უკვე მოხდა.

შედოუს აზრით, არ ჰქონდა მნიშვნელობა, მართლა ჩაიდინე თუ არა დანაშაული, რომლისთვისაც დაგიჭირეს. მისი დაკვირვებით, ციხეში ყველა რაღაცით უკმაყოფილოა: სამართალდამცველები ისეთ რამეს გაბრალებენ, რაც არ ჩაგიდენია, ან მთლად ისე არ ჩაგიდენია, როგორც ისინი ამბობენ. თუმცა, მთავარი ისაა, რომ დაგაპატიმრეს.

ეს პირველივე დღეებში დაასკვნა, როცა ყველაფერი, სლენგით დაწყებული და ცუდი საჭმლით დამთავრებული, მისთვის ახალი იყო. მიუხედავად დაპატიმრებით გამოწვეული უსიხარულობისა და ძარღვებში სისხლის გამყინავი შიშისა, შვებით ამოისუნთქა.

შედოუ ბევრ ლაპარაკს თავს არიდებდა. დაახლოებით წლინახევრის შემდეგ

თავისი თეორია თანამესაკნე ლოუ კი ლაისმითს გაანდო. ლოუ კის, მინესოტელ

თაღლითს, ნაიარევიან სახეზე ღიმილი გადაეფინა.

– ჰო, – თქვა მან, – ეგრეა. თუ მთლად სიკვდილს მოგისჯიან, უფრო მაგარია. მაშინ გახსენდება ხუმრობები ტიპებზე, რომლებიც კისერზე ყულფის ჩამოცმისას სასწრაფოდ ფეხსაცმელს იძრობენ, რადგან მეგობრებისგან არაერთხელ მოუსმენიათ, ფეხზე გაუხდელად მოკვდებიო[5].

– ეს ხუმრობაა? არასდროს მსმენია, – თქვა შედოუმ.

– კი. ჩამოსახრჩობთა იუმორი. უმაღლესი კლასის. ბრახ! უცებ ყველაზე ცუდი რამ მოხდა. რამდენიმე დღე გჭირდება, რომ ეს დაიჯერო. მერე კი მოიხედავ და, უკვე სახრჩობელაზე საცეკვაოდ მიჰყავხარ.

– ამ შტატში ბოლოს როდის ჩამოახრჩვეს ადამიანი? – ჰკითხა შედოუმ.

– აბა, მე რა ვიცი? – ლაისმითი მოწითალო-ყვითელ თმას თითქმის მთლიანად იპარსავდა და თავის ქალის მოხაზულობა უჩანდა, – მაგრამ ერთს კი გეტყვი, ამ

ქვეყანამ ჭაობში ჩაფლობა მაშინ დაიწყო, როცა ხალხის ჩამოხრჩობა შეწყვიტეს. აღარც ჩამოხრჩობილთა განავალია, აღარც ჩამოხრჩობილთა გვამები გასაყიდად.

შედოუმ მხრები აიჩეჩა. სიკვდილით დასჯაში რომანტიკულს ვერაფერს ხედავდა.

თუ ადამიანისთვის სასიკვდილო განაჩენი არ გამოუტანიათ, მაშინ ციხე მხოლოდ სიცოცხლისგან დროებითი მოწყვეტაა, დაასკვნა შედოუმ. ჯერ ერთი, სიცოცხლე თანდათან ციხეშიც შემოიპარება ხოლმე, ყოველთვის შეიძლება უფრო ღრმად და ქვემოთ ჩასვლა; სიცოცხლე გრძელდება, სიცოცხლე სიცოცხლეა ციხის საკანშიც კი. და მეორე, თუ როგორმე გაძლებ, ერთ დღესაც გაგათავისუფლებენ.

თავიდან თავისუფლება შედოუს იმდენად შორი ეჩვენებოდა, ფიქრსაც კი ვერ ბედავდა მასზე. შემდეგ იმედის მკრთალ სხივად იქცა. ისწავლა ,როგორ ეთქვა საკუთარი თავისთვის, ესეც ჩაივლისო, როცა ციხეში, როგორც ყოველთვის, რამე მძღნერობა მოხდებოდა. თავს ინუგეშებდა, ერთხელაც ჯადოსნური კარი გაიღება და მასში გავივლიო. ჰოდა, დღეებს ითვლიდა „ჩრდილოეთ ამერიკის მგალობელი ფრინველების“ კალენდარზე – სხვა კალენდარი ციხის მაღაზიაში არ იყიდებოდა. მზე ამოდიოდა და ჩადიოდა, მაგრამ შედოუ ვერც აისს ხედავდა და ვერც – დაისს. ციხის ბიბლიოთეკის ხელუხლებელ თაროებზე ნაპოვნი წიგნიდან მონეტით ფოკუსების კეთება ისწავლა. გარდა ამისა, ვარჯიშობდა და გონებაში სიას ადგენდა, რას იზამდა, როცა გაათავისუფლებდნენ.

შედოუს სია თანდათან მოკლდებოდა და ორი წლის შემდეგ მხოლოდ სამი სურვილისგან შედგებოდა.

პირველი: კარგად დაიბანდა, აქაფებული, ბუშტებიანი წყლით სავსე აბაზანაში ჩაწვებოდა და დიდხანს არ ამოვიდოდა. შეიძლება, გაზეთიც წაეკითხა, შეიძლება – არა. ერთ დღეს ასე ფიქრობდა, მეორე დღეს – ისე.

მეორე: ტანს გაიმშრალებდა და ხალათს შემოიცვამდა. შეიძლება ფლოსტები ჩაეცვა. ფლოსტების იდეა მოსწონდა. არ ეწეოდა, თორემ ამის გაფიქრებაზე, ალბათ, სიამოვნებით გააბოლებდა. შემდეგ ცოლს ხელში აიყვანდა („ცუგა, – წამოიკივლებდა ვითომ შეშინებული, მაგრამ სინამდვილეში გახარებული ლორა, – რას აკეთებ?“), საძინებელში შეიყვანდა და კარს მიხურავდა. თუ მოშივდებოდათ, პიცას შინ შეუკვეთდნენ.

მესამე: როცა ის და ლორა საძინებლიდან გამოვიდოდნენ (ალბათ, ერთი-ორი დღის შემდეგ), შედოუ ყველანაირად ეცდებოდა, შარში აღარასდროს გაეყო თავი.

– და ამით სიცოცხლის ბოლომდე ბედნიერი იქნები? – ჰკითხა ლოუ კი ლაისმითმა. იმ დღეს ციხის სახელოსნოში მუშაობდნენ და ჩიტებისთვის საკვებურებს ამზადებდნენ, რაც ოდნავ უფრო საინტერესო იყო, ვიდრე სანომრე ნიშნების შტამპვა.

– ნურავის უწოდებ ბედნიერს, – თქვა შედოუმ, – სანამ არ მოკვდება.

– ჰეროდოტე, – თქვა ლოუ კიმ, – თურმე რაღაც-რაღაცებს სწავლობ.

– ჰეროდოტე ვინ ოხერია? – იკითხა აისმენმა[6], რომელმაც ჩიტების საკვებურების გვერდები ერთმანეთს მიადგა და შედოუს მიაწოდა მჭიდროდ მისახრახნად.

– მკვდარი ბერძენი, – უპასუხა შედოუმ.

– ჩემი ბოლო გოგო ბერძენი იყო, – თქვა აისმენმა, – ვერც კი დაიჯერებთ, რა ნაგავს ჭამდა მაგის ოჯახი. ფოთლებში გახვეულ ბრინჯს და ეგეთ მძღნერობებს.

აისმენი „კოკა-კოლას“ ავტომატისხელა იყო, ლურჯი თვალები და თითქმის თეთრი, ქერა თმა ჰქონდა. რომელიღაც ბარში ლოთებისა და შფოთების გამპანღურებლად მუშაობდა და ერთ ღამეს ზუსტად იმ ბარში ცეკვისას მის გოგოს ვიღაც ტიპი აეკიდა. აისმენმა იმ ბიჭს ცხვირ-პირი გაუერთიანა, მისმა მეგობრებმა კი პოლიცია გამოიძახეს. აისმენი დააკავეს. მსჯავრდებული აღმოჩნდა: თურმე მუშაობის მიზნით პირობით გათავისუფლების პროგრამის მონაწილე ყოფილა, მაგრამ თვრამეტი თვის წინ მიმალულა. ჰოდა, ისევ ციხეში მოაბრძანეს.

– აბა, რა მექნა? – იკითხა დაღონებულმა აისმენმა, როცა შედოუს თავისი ტრაგიკული ამბავი მოუთხრო, – იმ ტიპს ვუთხარი, გოგოს შეეშვი, ჩემი შეყვარებულია-მეთქი. თავს ხომ არ დავამცირებინებდი? ჰა? ტიპი ხელებს უფათურებდა.

შედოუმ გაურკვევლად ჩაიბურტყუნა, ეგ იმათ აუხსენიო და აღარაფერი დაუმატებია. ერთ რამეს თავიდანვე მიხვდა: ციხეში ყველა თავის სასჯელს იხდის.

ლაისმითმა შედოუს ჰეროდოტეს „ისტორიების“ თხელყდიანი, გაცვეთილი ეგზემპლარი ათხოვა.

– მოსაწყენი კი არა, ძალიან მაგარია, – უთხრა შედოუს, როცა ამ უკანასკნელმა იუარა, წიგნების კითხვა არ მიყვარსო, – ჯერ წაიკითხე და ნახავ, მაგარი თუ არ იყოს. შედოუ დაიჭყანა, მაგრამ კითხვა მაინც დაიწყო და წიგნმა უნებურად ჩაითრია.

– ბერძნები, – ზიზღით თქვა აისმენმა, – რასაც მაგათზე ამბობენ, ყველაფერი სიმართლე კი არაა. ჩემს გოგოს ტრაკში შედება მოვუნდომე, მაგრამ კინაღამ თვალები ამომჩიჩქნა.

ერთ დღეს ლაისმითი გაუფრთხილებლად გადაიყვანეს. შედოუს ჰეროდოტეს „ისტორიები“ და მის ფურცლებს შორის ჩამალული ოთხი ნამდვილი მონეტა დაუტოვა: ორი ოცდახუთცენტიანი, ერთი ერთცენტიანი და ერთი ხუთცენტიანი. მონეტები ციხეში კონტრაბანდად ითვლება. ქვაზე ხახუნით მონეტის ძგიდის წამახვა და ჩხუბისას მეტოქისთვის სახის დასერვა შეიძლება. შედოუს იარაღი არ სჭირდებოდა; უბრალოდ, უქმად ჯდომა არ უყვარდა.

შედოუ ცრუმორწმუნე არ იყო. იმის, რასაც საკუთარი თვალით ვერ ხედავდა, არ სჯეროდა. თუმცა ციხეში ყოფნის ბოლო კვირების განმავლობაში გული ისევ ცუდს უგრძნობდა, როგორც ძარცვის წინა დღეებში. შინაგანი სიცარიელის განცდამ მოიცვა. თავს კი უმეორებდა, ეს მხოლოდ გარე სამყაროში დაბრუნების შიშიაო, მაგრამ ამის ბოლომდე თვითონაც არ სჯეროდა. ჩვეულებრივზე მეტად პარანოიკული გახდა, ოღონდ ციხეში ჩვეულებრივზე მეტი მეტისმეტია და სხვათა შორის, თავის გასატანად

აუცილებელი თვისებაა. შედოუ უფრო მშვიდი და ლანდივით ჩუმი გახდა. ციხის ზედამხედველებისა და სხვა პატიმრების ჟესტების ენას აკვირდებოდა, ეძებდა მინიშნებას ცუდი ამბისა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებლად მოხდებოდა. გათავისუფლებამდე ერთი თვით ადრე შედოუ ცივ ოთახში იჯდა და შეჰყურებდა ტანმორჩილ კაცს, რომელსაც შუბლზე მეწამული ხალი ჰქონდა. მაგიდას აქეთ-იქიდან შემოსხდომოდნენ; კაცს შედოუს საქაღალდე გადაეშალა და ბურთულიანი, თავწაჭმული ავტოკალამი ეჭირა.

– გცივათ, შედოუ?

– დიახ, – უპასუხა შედოუმ, – ცოტა. კაცმა მხრები აიჩეჩა.

– ასე გვაქვს ნაბრძანები, – თქვა მან, – გათბობა პირველ დეკემბერს ჩაირთვება და პირველ მარტს გამოირთვება. წესებს მე არ ვადგენ, – ამ თავაზიანი შესავლის შემდეგ კაცმა საჩვენებელი თითი საქაღალდეში ჩაკრულ ფურცელს გადაუსვა, – ოცდათორმეტი წლის ხართ, ხომ?

– დიახ, სერ.

– უფრო ახალგაზრდას ჰგავხართ.

– ჯანსაღად ვცხოვრობ.

– აქ წერია, რომ სანიმუშო მსჯავრდებული ხართ.

– ჭკუა ვისწავლე, სერ.

– მართლა? მართლა ისწავლე? – კაცმა შედოუს დაჟინებით შეხედა. შეჭმუხნილ შუბლზე ხალმა ქვემოთ ჩამოიწია. შედოუმ გაიფიქრა, ციხის შესახებ ჩემი ზოგიერთი თეორია ხომ არ ვუთხრაო, მაგრამ არაფერი უთქვამს, მხოლოდ თავი დააქნია და სინანულით აღსავსე ადამიანის სახის მიღება სცადა.

– აქ წერია, რომ ცოლი გყავთ, შედოუ.

– ლორა ჰქვია.

– ოჯახში საქმე როგორ მიგდით?

– მშვენივრად. როცა დამაპატიმრეს, ძალიან კი გაბრაზდა, მაგრამ მოსანახულებლად საკმაოდ ხშირად მოდის – აქამდე შორია. როცა ვახერხებ, ვურეკავ ან ვწერ.

– თქვენი ცოლი რას საქმიანობს?

– ტურისტულ სააგენტოში მუშაობს. მთელ მსოფლიოში გზავნის ხალხს.

– როგორ გაიცანით?

შედოუ ვერ მიხვდა, რაში აინტერესებდა. კინაღამ უთხრა, რა თქვენი საქმეაო, მაგრამ თავი შეიკავა და უპასუხა: – ჩემი ძმაკაცის ცოლის საუკეთესო მეგობარი იყო. იმათ შეგვახვედრეს და ერთმანეთი მოგვეწონა.

– გათავისუფლებულს გარეთ სამუშაო გელოდებათ?

– დიახ, სერ. ჩემს ძმაკაც რობის, წეღან რომ ვახსენე, სპორტული ცენტრი აქვს, „კუნთების ფერმა“, და იქ ინსტრუქტორად ვმუშაობდი. მეუბნება, ძველი სამსახური ისევ შენ გელისო. კაცმა წარბები ასწია.

– მართლა?

– ამბობს, ხალხს მოიზიდავო. ძველი კლიენტები დაბრუნდებიან და ნავარჯიშები ტიპებიც მოვლენ, რომ კიდევ უფრო მაგრები გახდნენო.

კაცი პასუხმა დააკმაყოფილა. ავტოკალამი კბილებში გაიჩარა და შედოუს საქმე გადაფურცლა.

– თქვენი დანაშაულის შესახებ რას იტყვით? შედოუმ მხრები აიჩეჩა.

– სულელურად მოვიქეცი, – მართლაც ასე ფიქრობდა.

ხალიანმა კაცმა ამოიხვნეშა. ფურცელზე რამდენიმე გრაფა მონიშნა.

– აქედან შინ რით გაემგზავრებით? – ჰკითხა შედოუს, – „გრეიჰაუნდით“[74]? –

თვითმფრინავით. კარგია, ჩემი ცოლი ტურისტულ სააგენტოში რომ მუშაობს. კაცი

მოიღუშა.

– ბილეთი გამოგიგზავნათ?

– არაა საჭირო. მხოლოდ საიდენტიფიკაციო კოდი ჩამაწერინა. ბილეთი ელექტრონულია. მთავარია, ერთ თვეში აეროპორტში მივიდე და პირადობის მოწმობა წარვადგინო. სულ ესაა!

კაცმა თავი დააქნია, ფურცელზე ბოლო შენიშვნა მიაჯღაბნა, საქაღალდე დაკეცა და ავტოკალამი გადადო. შემდეგ თეთრი ხელები მაგიდაზე დააწყო, საჩვენებელი თითები სოლისებურად მიაბჯინა ერთმანეთს და მკრთალი წაბლისფერი თვალებით შედოუს მიაშტერდა.

– იღბლიანი ყოფილხართ, – თქვა მან, – შინ მეუღლე და სამსახური გელით. ამ ყველაფერს უკან მოიტოვებთ. მეორე შანსი მოგეცათ. კარგად გამოიყენეთ.

წამოდგომისას კაცს შედოუსთვის ხელი არ ჩამოურთმევია. შედოუ ამას არც ელოდა.

ბოლო კვირა ყველაზე მძიმე აღმოჩნდა. რაღაც მხრივ, ციხეში გატარებულ მთელ სამ წელზე უარესი მოეჩვენა. ნეტავ დამთრგუნველი, ცივი და ჩუმი ამინდის ბრალი ხომ არ არისო, ფიქრობდა შედოუ. ყველაფერი ქარიშხლის ამოვარდნაზე მიანიშნებდა, მაგრამ ქარიშხალი არ ამოვარდნილა. ღელავდა. ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა. სასეირნო ეზოში ხანდახან ნიავი დაუბერავდა და შედოუს ეჩვენებოდა, თითქოს ირგვლივ თოვლის სუნი ტრიალებდა.

ცოლს მისსავე ხარჯზე დაურეკა. შედოუმ იცოდა, რომ სატელეფონო კომპანიები ციხიდან განხორციელებულ ყოველ ზარზე აბონენტს სამ დოლარს ახდევინებდნენ.

შედოუს აზრით, ოპერატორები პატიმრებს ყოველთვისზრდილობიანად იმიტომაც ელაპარაკებიან, მშვენივრად მოეხსენებათ, რომ პატიმრები მათ ხელფასს უხდიან.

– რაღაც ვერ არის კარგად, – უთხრა შედოუმ ცოლს. მასთან საუბარი ამით არ დაუწყია. თავიდან, მიყვარხარო, უთხრა, რადგან კაცი ამაზე უკეთესს ცოლს ვერაფერს ეტყვის, თუკი მართლა უყვარს ის. შედოუს კი ცოლი მართლა უყვარდა.

– გამარჯობა, – მიესალმა ლორა, – მეც მიყვარხარ. რა ხდება?

– არ ვიცი, – უპასუხა შედოუმ, – შეიძლება, ამინდის ბრალია. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ქარიშხალი რომ ამოვარდებოდეს, ყველაფერი კარგად იქნება.

– ჩვენთან კარგი ამინდია, – უთხრა ლორამ, – ხეებს ჯერ ყველა ფოთოლი არ გასცვენია. თუ ქარიშხალი არ ამოვარდება, შინ რომ დაბრუნდები, თვითონ ნახავ.

– კიდევ ხუთი დღე დარჩა, – თქვა შედოუმ.

– ას ოცი საათის შემდეგ შინ იქნები, – მიუგო ლორამ.

– მანდ ხომ ყველაფერი რიგზეა?

– მშვენივრად. ამაღამ რობის ვხვდები. შენ დასახვედრად ვემზადებით, წვეულებას ვმართავთ.

– წვეულებას?

– ჰო. ოღონდ ვითომ არაფერი იცი. სიურპრიზი უნდა იყოს.

– გასაგებია.

– ძალიან კარგი, – თქვა ლორამ.

შედოუს უნებლიეთ გაეღიმა. სამი წელი ციხეში იჯდა, მაგრამ ლორა ძველებურად ახალისებდა.

– მიყვარხარ, პატარა, – თქვა შედოუმ.

– მიყვარხარ, ცუგა, – უთხრა ლორამ.

შედოუმ ყურმილი დაკიდა.

როცა დაქორწინდნენ, ლორამ ლეკვის ყიდვა მოინდომა, მაგრამ ბინის მეპატრონემ ნება არ დართო.

– ეი, – უთხრა მაშინ ცოლს შედოუმ, – მე ვიქნები შენი ცუგა. რა გინდა, რომ ვქნა? ფლოსტები დაგიღრღნა? სამზარეულოს იატაკზე მოვფსა? ცხვირი აგილოკო? ფეხებშუა დაგსუნო? ვერც ერთი ცუგა ვერ იზამს იმას, რაც მე არ შემიძლია, – შემდეგ ბუმბულივით მსუბუქი ლორა აიტაცა და აკისკისებული და აწივლებული საძინებელში შეიყვანა.

სასადილოში შედოუს სემ ფეტიშერი მიუახლოვდა და გაუღიმა. ჩაყვითლებული კბილები გამოუჩნდა. ჩამოჯდა და თავისი ყველიანი მაკარონის ჭამას შეუდგა.

– უნდა ვილაპარაკოთ, – უთხრა სემ ფეტიშერმა.

მასზე შავი კაცი შედოუს არსად ენახა. შეიძლება სამოციწლის იყო, ან სულაც ოთხმოცის. თუმცა, შედოუ ოცდაათი წლის მჩხირავებსაც შეხვედროდა, რომლებიც უფრო ხნიერად გამოიყურებოდნენ.

– ჰა? – ჰკითხა შედოუმ.

– ქარიშხალი ახლოვდება, – უთხრა სემმა.

– როგორც ჩანს, – თქვა შედოუმ, – შეიძლება მოთოვოს კიდეც.

– ეგეთ ქარიშხალს არ ვგულისხმობ. მაგაზე დიდი ქარიშხალი ახლოვდება. გეუბნები, ბიჭო, გიჯობს, აქ იყო, ვიდრე ქუჩაში, როცა დიდი ქარიშხალი ამოვარდება.

– სასჯელი მოვიხადე, – უპასუხა შედოუმ, – პარასკევს გავდივარ. სემ ფეტიშერი

  შედოუს მიაშტერდა.

– საიდან ხარ?

– იგლ-პოინტიდან, ინდიანის შტატიდან.

– რას მატყუებ, შე ნაბიჭვარო? – თქვა სემ ფეტიშერმა, – წარმოშობით საიდან ხარ? შენი მშობლები საიდან იყვნენ?

– ჩიკაგოდან, – უპასუხა შედოუმ. დედამისი ბავშვობაში ჩიკაგოში ცხოვრობდა და დიდი ხნის წინ იქვე გარდაიცვალა.

– როგორც გითხარი, დიდი ქარიშხალი ახლოვდება. გიჯობს, თავშესაფარი იპოვო, შედოუ-ბიჭო. იმასავით იქნება... რა ჰქვია იმ რაღაცებს, რაზეც კონტინენტები დგას?

– ტექტონური ფილები? – ივარაუდა შედოუმ.

– ჰო, ეგაა. ტექტონური ფილები. იმასავით იქნება, ჩრდილოეთ ამერიკა სამხრეთ ამერიკისკენ რომ გასრიალდეს; ხომ არ გინდა, მაგ დროს შუაში იდგე? მოწვი?

– საერთოდ ვერა.

სემ ფეტიშერმა ყავისფერი თვალი ჩაუკრა.

– ჯანდაბა, მერე არ თქვა, რომ არ გამიფრთხილებიხარ, – უთხრა და თამთამა ფორთოხლის ჟელეს მოზრდილი ნაჭერი კოვზით პირში ჩაიგდო.

შედოუმ ნახევარი ღამე გაათენა. ხან ჩაეძინებოდა, ხან გაეღვიძებოდა და ქვედა საწოლზე მძინარე ახალი თანამესაკნის ხვრინვას უსმენდა. რამდენიმე საკნის მოშორებით ვიღაც კაცი ცხოველივით წკმუტუნებდა, ყმუოდა და სრუტუნებდა. ხანდახან ვინმე ბრაზიანად დაუყვირებდა, მოკეტე, შე ნაბიჭვაროო. შედოუ ცდილობდა, წაეყრუებინა და ცარიელ, უშინაარსო წუთებს უხმაუროდ გაევლო.

თავისუფლებამდე ორი დღე დარჩა. ბოლო ორმოცდარვა საათი შვრიის ფაფით, ციხის ყავითა და შედოუს მხარზე ზედამხედველ უილსონის ხელის საჭიროზე მაგრად დაკვრით დაიწყო.

– შენ ხომ შედოუ ხარ? გამომყევი, – უთხრა მან.

შედოუმ გულში ჩაიხედა. სინდისი არ აწუხებდა, მაგრამმისი დაკვირვებით, ციხეში ეს ყოველთვის იმას როდი ნიშნავს, რომ ყელამდე მძღნერში არ ჩაეფლობი. შედოუ და უილსონი თითქმის გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ ბეტონის იატაკზე, მათი ფეხის ხმა ყრუ ექოდ ვრცელდებოდა.

შედოუმ შიშის ცივ ყავასავით მწარე გემო იგრძნო პირში. აშკარად ცუდი რამ ხდებოდა...

შინაგანი ხმა კარნახობდა, სასჯელს უეჭველად ერთი წლით გაგიხანგრძლივებენ, მარტო გამოგკეტავენ, ხელებს დაგაჭრიან, თავს მოგაჭრიანო და ა. შ. რა სისულელეაო, იმშვიდებდა თავს, მაგრამ მღელვარებისგან გული ლამის მკერდიდან ამოვარდნოდა.

– შენი არ მესმის, შედოუ, – უთხრა უილსონმა.

– რა არ გესმით, სერ?

– შენი არ მესმის, – გაუმეორა უილსონმა, – ძალიან წყნარი ხარ. ძალიან ზრდილობიანი. ზიხარ და მოხუცივით იცდი, მაგრამ რამდენი წლის ხარ? ოცდახუთის? ოცდარვის?

– ოცდათორმეტის, სერ.

– შემახსენე, ვინ ხარ. ლათინოსი? ბოშა?

– როგორც ვიცი, არც ერთი, სერ.

– შეიძლება ზანგის სისხლი გირევია. ზანგის სისხლი ხომ არ გირევია, შედოუ?

– შეიძლება, სერ, – შედოუ მხრებში გამართული მიდიოდა და წინ იყურებოდა. სიმშვიდეს ინარჩუნებდა და ყველანაირად ცდილობდა, წონასწორობიდან არ გამოსულიყო.

– ჰო? მე კიდევ, ერთი ის ვიცი, რომ ძალიან მაშინებ, – უილსონს ქვიშისფერი თმა, ქვიშისფერი სახე და ქვიშისფერი ღიმილი ჰქონდა, – მალე დაგვტოვებ?

– იმედია, სერ.

– დაბრუნდები. ამას შენს თვალებში ვხედავ. უვარგისი ტიპი ხარ, შედოუ. ჩემი ნება რომ იყოს, არც ერთ იდიოტს არ გაგათავისუფლებდით. ჩაგყრიდით სადმე ხაროში და დაგივიწყებდით.

„დილეგი“, გაიფიქრა შედოუმ, მაგრამ არაფერი უთქვამს. სხვანაირად ვერ გადარჩებოდა: არავის პასუხობდა, არაფერს ამბობდა ციხის ზედამხედველის სამუშაოს უსაფრთხოებაზე, არასდროს კამათობდა პატიმრის სინანულის

გულწრფელობასა თუ მოჩვენებითობაზე, რეაბილიტაციაზე ან რეციდივიზმის სიხშირეზე. არასდროს ამბობდა რამე სასაცილოს ან ჭკვიანურს; უფრო მეტიც, თუკი ეს შესაძლებელი იყო, ციხის უფროსობასთან ან ზედამხედველებთან შეხვედრისას საერთოდ არაფერს ამბობდა. მხოლოდ მაშინ ამოიღე ხმა, როცა რამეს გკითხავენ, სასჯელი მოიხადე, ციხიდან გადი, შინ წადი, თბილი აბაზანა მიიღე, ლორას უთხარი, რომ გიყვარს, ცხოვრება ხელახლა აიწყვე – აი, ამას უმეორებდა თავს.

რამდენიმე საკონტროლო-გამშვები პუნქტი გაიარეს. უილსონი ყველგან თავის მოწმობას წარადგენდა. ბოლოს კიბე აიარეს და ციხის უფროსის კაბინეტთან გაჩერდნენ. შედოუ იქ პირველად მიიყვანეს, მაგრამ ეს ადგილი მაშინვე იცნო. კარზე შავი ასოებით ციხის უფროსის სახელი, „ჯ. პატერსონი“ ეწერა და კარის გვერდით მინიატიურული შუქნიშანი იყო მიმაგრებული. წითელი ენთო.

უილსონი შუქნიშნის ქვეშ ღილაკს დააწვა.

რამდენიმე წუთს კართან ჩუმად იდგნენ. შედოუ თავს იმხნევებდა, რომ ყველაფერი კარგად იყო და პარასკევ დილით უკვე იგლ-პოინტის რეისის თვითმფრინავში იჯდებოდა, მაგრამ ამის თავადაც არ სჯეროდა.

წითელი შუქი ჩაქრა და მწვანე აინთო. უილსონმა კარი შეაღო და შიგნით შევიდნენ.

სამი წლის განმავლობაში შედოუს ციხის უფროსი სულ ორჯერ ენახა. ერთხელ ციხის დასათვალიერებლად მოსულ, შედოუსთვის უცნობ რომელიღაც პოლიტიკოსს მეგზურობდა. მეორედ, პატიმრების აჯანყებისას, ციხის უფროსი პატიმრების ას-ას კაციან ჯგუფებს ხვდებოდა და უხსნიდა, ციხე სავსეა და სულ ასე იქნება, აჯობებს, ამას შეეგუოთო. შედოუ ამ კაცს ცალკე, პირისპირ, პირველად უნდა შეხვედროდა.

ახლოდან პატერსონი უფრო უშნო ჩანდა. მოგრძო სახე და ჯარისკაცივით მოკლედ შეჭრილი თმა ჰქონდა. იაფფასიანი ოდეკოლონის სუნი ასდიოდა. მის უკან თაროზე წიგნები ეწყო. ყველას სათაურში სიტყვა „საპყრობილე“ ერია; მის სამუშაო მაგიდაზე ტელეფონისა და „შორეული მხარის“[8] კარიკატურებიანი მოსახევი კალენდრის გარდა არაფერი იდო. მარჯვენა ყურს უკან სასმენი აპარატი ჰქონდა მიმაგრებული.

– გთხოვთ, დაბრძანდით, – თავაზიანად შესთავაზა შედოუს.

შედოუ მაგიდასთან დაჯდა. უილსონი მის უკან დადგა.

ციხის უფროსმა უჯრიდან საქაღალდე ამოიღო და მაგიდაზე დადო.

– აქ წერია, რომ თავდასხმისა და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის ექვსი წლით დაგაპატიმრეს. სასჯელის ნახევარი მოიხადეთ. პარასკევს უნდა გაეთავისუფლებინეთ.

„გავეთავისუფლებინე? – შედოუს გული შეეკუმშა, – ნეტავ კიდევ რამდენი ხანი არ გამიშვებენ – ერთი წელი? ორი? თუ ბოლომდე მომახდევინებენ სასჯელს?“

– დიახ, სერ, – მხოლოდ ეს თქვა. ციხის უფროსმა ტუჩები გაილოკა.

– რა თქვით?

– დიახ, სერ-მეთქი.

– შედოუ, ამ ნაშუადღევს გაგათავისუფლებთ. ციხიდან ორი დღით ადრე გახვალთ, – ციხის უფროსმა ეს ისე უემოციოდ, ცივად წარმოთქვა, თითქოს სასიკვდილო განაჩენი წაეკითხოს. შედოუმ თავი დაუქნია და უარესის მოლოდინში გაირინდა. ციხის უფროსმა საქაღალდეს დახედა, – ეს იგლ-პოინტის ჯონსონის სახელობის საავადმყოფოდან მივიღეთ... თქვენი ცოლი ამ დილით დაიღუპა ავტოკატასტროფაში. ვწუხვარ.

შედოუმ კიდევ ერთხელ დაუქნია თავი.

უილსონმა უსიტყვოდ მიაცილა საკნამდე. საკნის კარი გააღო და შედოუ შეუშვა. შემდეგ თქვა: – ისე გამოვიდა, ჯერ კარგ ამბავს რომ გეტყვიან და მერე – ცუდს, არა? კარგი ამბავი ისაა, რომ ციხიდან ადრე გათავისუფლებთ, ცუდი – ის, რომ შენი ცოლი დაიღუპა, – და გულიანად გადაიხარხარა.

შედოუს არაფერი უთქვამს.

გულგრილად ჩაალაგა ბარგი, ზოგი რამ თანამესაკნეს მისცა. ლოუ კის „ისტორიები“ და ბიბლიოთეკაში ნაპოვნი ფოკუსების წიგნი საკანში დატოვა. გადაწყვიტა, არც სახელოსნოში აწაპნილი ლითონის პატარა, მრგვალი ფირფიტები წაეღო. ისინი ჰეროდოტეს წიგნში ლოუ კის მიერ ჩამალული ხურდა ფულის პოვნამდე მონეტების მაგივრობას უწევდა და წამით კი შეყოყმანდა, მაგრამ გარეთ ისედაც უამრავი ნამდვილი მონეტა ექნებოდა. წვერი გაიპარსა. სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაიცვა. შემდეგ შინაგანი სიცარიელის შეგრძნებით გაიარა უამრავ კარში, რომლებში გავლაც აღარასდროს მოუწევდა.

წვიმდა. რუხი ციდან ყინულივით ცივი წვეთები ცვიოდა და შედოუს სახეს უსუსხავდა. თხელი ლაბადა წვიმამ გაულუმპა, სანამ სხვა გათავისუფლებულებთან ერთად მიაღწევდა ციხისთვის გადაცემულ ძველ, ყვითელ სკოლის ავტობუსამდე, რომელსაც ისინი უახლოეს ქალაქში უნდა მიეყვანა.

აქედან რვანი მივდივართ, ციხეში კი კიდევ ათას ხუთასი პატიმარი რჩებაო, გაიფიქრა შედოუმ, როცა გაწუწულები ჩასხდნენ ავტობუსში. ვიდრე ავტობუსში გათბობას ჩართავდნენ, სიცივისგან კანკალებდა. აღარ იცოდა, რა ექნა ან სად წასულიყო.

უეცრად წარმოსახვითი სურათები გაჩნდა მის გონებაში. ხილვაში, ძალიან დიდი ხნის წინ, სულ სხვა ციხეს ტოვებდა.

გაუნათებელ საკანში მეტისმეტად დიდხანს იყო დამწყვდეული: თმა აჩეჩილი ჰქონდა, წვერი – აბურდული. მცველებმა რუხი, ქვისკედლებიანი დერეფნით ფერადი საგნებითა და ჭრელსამოსიანი ხალხით სავსე პატარა მოედანზე გაიყვანეს. ბაზრობის დღე იყო. ჩოჩქოლმა და სიჭრელემ თავბრუ დაახვია, მზის სიკაშკაშემ თვალი მოსჭრა, ჰაერში ზღვის სიმლაშე იგრძნობოდა, ირგვლივ ბაზრის პროდუქტების სურნელი ტრიალებდა. მისგან მარცხნივ წყლის ზედაპირზე მზის სხივები ციმციმებდა... ავტობუსი შეჯანჯღარდა და შუქნიშნის წითელ შუქზე გაჩერდა.

ავტობუსის ირგვლივ ქარი დათარეშობდა, საქარე მინაზე მინასაწმენდები მძიმედ მოძრაობდა წინ და უკან და ქალაქს წითელ-ყვითელი ნეონის ნათურების გადღაბნილ, სველ ლაქად აქცევდა. ჯერ არ მოსაღამოებულიყო, მაგრამ მინიდან ისე ჩანდა, თითქოს გარეთ ბნელოდა.

– ჯანდაბა, – თქვა შედოუს გვერდით მჯდარმა კაცმა, დაორთქლილი მინა გაწმინდა და ტროტუარზე სწრაფი ნაბიჯით მიმავალ, დასველებულ ფიგურას შეხედა, – ნახე, რა ნაშა გაიჩითა.

შედოუმ ნერწყვი გადაყლაპა. მაშინღა გაიაზრა, რომ არ უტირია... საერთოდ არაფერი უგრძნია. არც ცრემლები, არც სევდა. არაფერი.

ჯონი ლარჩი გაახსენდა, პატიმარი, რომელთანაც თავიდან იჯდა საკანში. ერთხელ ლარჩმა შედოუს უთხრა, წინა ჯერზე, ვირის აბანოს ხუთწლიანი ხეხვის შემდეგ, ვადაზე ადრე რომ გამათავისუფლეს, ჯიბეში მხოლოდ ასი დოლარი და სიეტლის ბილეთი მედო და ჩემს დასთან ვაპირებდი ჩასვლასო.

ჯონი ლარჩი აეროპორტში მისულა და ბილეთი რეგისტრატორი ქალისთვის მიუწოდებია. ქალს მართვის მოწმობის ჩვენება მოუთხოვია.

ჯონის უჩვენებია. მართვის მოწმობას ვადა ორიოდე წლის წინ გასვლია. ქალს უთქვამს, ეს ვინაობის დამადასტურებელ საბუთად ვერ ივარგებსო. ჯონი შეჰკამათებია, შეიძლება მართვის მოწმობად არ ვარგოდეს, თორემ ჩემს ვინაობას როგორ არ ადასტურებს, ზედ ფოტო აკრავს, ჩემი სიმაღლეც წერია და წონაცო. ჯანდაბა, შენი აზრით, ეს მე თუ არ ვარ, სხვა ვინ უნდა იყოსო. ქალს უთქვამს, ხმას ჩაუწიეთო.

ჯონი გაბრაზებულა, გამატარეთ, თორემ განანებთ, ჩემს აბუჩად აგდებას არავის ვაპატიებო. ამას ციხეში სწავლობ: თავი არავის უნდა დაამცირებინო.

მაშინ ქალს რომელიღაც ღილაკისთვის დაუჭერია თითი, აეროპორტის დაცვა გამოჩენილა და ჯონი ლარჩისთვის უთქვამთ, აქაურობა ჩუმად და მშვიდად დატოვეთო. ჯონი ლარჩი ვერ დაურწმუნებიათ და აყალმაყალი ამტყდარა.

ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ჯონი ლარჩმა სიეტლში ვერ ჩააღწია. მომდევნო ორი დღე ქალაქის ბარებში გაატარა და, როცა ასი დოლარი გაუთავდა, სათამაშო პისტოლეტით ბენზინგასამართი სადგური დააყაჩაღა სასმელის ფულის საშოვნელად. ბოლოს პოლიციამ დააკავა ქუჩაში მოფსმისთვის. ისევ ციხეში შემოაბრუნეს სასჯელის ბოლომდე მოსახდელად და ყაჩაღობისთვის კიდევ რამდენიმე თვე დაუმატეს.

ამბის მორალი, ჯონი ლარჩის აზრით, შემდეგი იყო: ნურასდროს გააბრაზებ აეროპორტის პერსონალს.

– იქნებ შენი ამბის მიზეზი ისაა, რომ ქცევა, სასარგებლო სპეციალიზებულ გარემოში, მაგალითად, ციხეში, შესაძლოა სრულიად უსარგებლო ან უფრო მეტიც, სახიფათო

– იყოს ასეთი გარემოს გარეთ? – ჰკითხა შედოუმ, როცა ჯონი ლარჩი თავისი ამბის თხრობას მორჩა.

– არა, დამიჯერე, ძმაო, რასაც გეუბნები, – თქვა ჯონი ლარჩმა, – აეროპორტში იმ ნაბოზრებს ნუ გააბრაზებ.

შედოუს ამის გახსენებაზე ჩაეღიმა. მის მართვის მოწმობას კიდევ რამდენიმე თვე არ გასდიოდა ვადა.

– ავტოსადგური! ყველანი ჩადით!

შენობა შარდისა და მჟავე ლუდის სუნად ყარდა. შედოუ ტაქსიში ჩაჯდა და მძღოლს უთხრა, აეროპორტში წამიყვანეო. დამატებით ხუთ დოლარს დაჰპირდა, თუ ამას ხმის ამოუღებლად იზამდა. გზა ოც წუთში გაიარეს. მძღოლს სიტყვა არ დაუძრავს.

რამდენიმე წუთის შემდეგ შედოუ აეროპორტის გაჩახჩახებულ ტერმინალში მიაბიჯებდა. ცოტათი ღელავდა. ელექტრონული ბილეთი კი ჰქონდა, მაგრამ პარასკევის რეისისა იყო და არ იცოდა, დღესაც თუ ისარგებლებდა მისით. ყველაფერი ელექტრონული შედოუს ჯადოსნურად ეჩვენებოდა, იმად, რაც ნებისმიერ წამს შეიძლება აორთქლდეს. შედოუს ისეთი რამეები მოსწონდა, რასაც შეეხები და ხელში დაიჭერ.

და მაინც, მთელი სამი წლის შემდეგ, საფულე მის მფლობელობაში დაბრუნდა. რამდენიმე ვადაგასული საკრედიტო ბარათი და ერთი „ვიზა“ ბარათი ედო. თურმე „ვიზა“ ბარათს ვადა მხოლოდ იანვრის ბოლოს გასდიოდა, რაც ძალიან გაუხარდა. ბილეთის საიდენტიფიკაციო კოდიც ჰქონდა. უცებ, თავისდა გასაკვირად, უჩვეულო რწმენამ მოიცვა, რომ, როცა შინ დაბრუნდებოდა, როგორღაც ყველაფერი ისევ კარგად იქნებოდა. ლორა ცოცხალი დახვდებოდა. შეიძლება სულაც შედოუს რამდენიმე დღით ადრე გასათავისუფლებლად იცრუეს, ანდა გაუგებრობა მოხდა: ვიღაც სხვა ლორა მუნის გვამი გამოათრიეს ავარიაში დამტვრეული მანქანიდან.

გარეთ გაიელვა. შედოუმ გააცნობიერა, რომ სუნთქვაშეკრული ელოდა რაღაცას.

შორს დაიქუხა. შედოუმ ამოისუნთქა. გადაქანცულმა თეთრკანიანმა

რეგისტრატორმა ქალმა შემოხედა.

– გამარჯობა, – მიესალმა შედოუ. „პირველი უცხო, ხორცშესხმული ქალი ხარ, რომელსაც ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოველაპარაკე“, – ელექტრონული ბილეთის ნომერი მაქვს. პარასკევის რეისისაა, მაგრამ დღეს უნდა გავფრინდე. ოჯახის წევრი გარდამეცვალა.

– უი, ძალიან ვწუხვარ, – ქალმა კლავიატურაზე დააკაკუნა თითები, კომპიუტერის მონიტორს შეხედა და ისევ კლავიატურაზე დააკაკუნა, – პრობლემა არაა. ოთხისნახევრიანი რეისით გაფრინდებით. შეიძლება ქარიშხლის გამო რეისი შეყოვნდეს, ამიტომ ტაბლოებს თვალი ადევნეთ. ბარგის ჩაბარება ხომ არ გნებავთ? შედოუმ მხარზე გადასაკიდებელი ჩანთა დაანახვა.

– ამის ჩაბარება საჭიროა?

– არა, – უპასუხა ქალმა, – არ არის საჭირო. ვინაობის დამადასტურებელი რომელიმე ფოტოიანი საბუთი ხომ არ გაქვთ?

შედოუმ მართვის მოწმობა უჩვენა და დაამატა, ნუ ღელავთ, თვითმფრინავში ასატანად ბომბი არავის გამოუყოლებიაო, ხოლო ქალმა, სანაცვლოდ, ჩასხდომის ბარათი მისცა. შემდეგ შედოუმ ლითონის დეტექტორში გაიარა, ხოლო მისმა ჩანთამ – რენტგენის სკანერში.

აეროპორტი დიდი არ იყო, მაგრამ აქეთ-იქით მავალი ხალხის სიმრავლემ შედოუ გააკვირვა. უყურებდა, როგორ არხეინად დებდნენ მგზავრები ძირს ჩემოდნებს, როგორ იდებდნენ ჯიბეში საფულეებს, სკამის ქვეშ უპატრონოდ როგორ ტოვებდნენ ჩანთებს. მაშინღა გაიაზრა, რომ ციხეში აღარ იყო.

ჩასხდომამდე ოცდაათი წუთი რჩებოდა. შედოუმ პიცის ნაჭერი იყიდა და ჭამისას ცხელი ყველით ენა დაიწვა. ხურდა დახლიდან აიღო და ტაქსოფონი იპოვა. რობის დაურეკა „კუნთების ფერმაში“, მაგრამ ავტომოპასუხე ჩაირთო.

– გამარჯობა, რობი, – თქვა შედოუმ, – მითხრეს, რომ ლორა დაიღუპა. ორი დღით ადრე გამომიშვეს. შინ ვბრუნდები.

შემდეგ, რაკი ბევრჯერ ენახა, როგორ ცდებიან ადამიანები, შინაც დარეკა და ლორას ხმასაც მოუსმინა.

– გამარჯობა, – ჩაირთო ავტომოპასუხე, – შინ არ ვარ, ან ტელეფონთან მოსვლას ვერ ვახერხებ. შეტყობინება დატოვეთ და მე თვითონ დაგირეკავთ. კარგ დღეს გისურვებთ. შედოუმ შეტყობინების დატოვება ვერ შეძლო.

ერთ-ერთ გასასვლელთან პლასტმასის სკამზე დაჯდა და ჩანთას ისე მაგრად უჭერდა ხელს, თითები ეტკინა.

ის დღე გაიხსენა, როცა პირველად შეხვდა ლორას. მაშინ მისი სახელიც კი არ იცოდა, ის მხოლოდ ოდრი ბერტონის დაქალი იყო. „ჩი-ჩი-ს“ კუპეში რობისთან ერთად იჯდა და იმაზე საუბრობდნენ, ერთ-ერთმა ინსტრუქტორმა საკუთარი ცეკვის სტუდია რომ გახსნა, როცა ოდრი და ორიოდე ნაბიჯით უკან მომავალი ლორა შემოვიდნენ. შედოუმ ლორას თვალი ვერ მოსწყვიტა. მას გრძელი, წაბლისფერი თმა და იმდენად ცისფერი თვალები ჰქონდა, შედოუმ შეცდომით იფიქრა, კონტაქტური ლინზები უკეთიაო. ლორამ მარწყვის დაიკირი[9] შეუკვეთა და მხიარულად მოცინარმა, შედოუს ძალით გაასინჯა.

ლორას ძალიან უყვარდა, როცა სხვასაც ასინჯებდა იმას, რასაც თვითონ მიირთმევდა.

იმ ღამით შედოუ ლორას კოცნით დაემშვიდობა. ლორას დაიკირის სუნი ასდიოდა. მას შემდეგ შედოუს სხვა ქალის კოცნა აღარასდროს მონდომებია.

მოსაცდელ დარბაზში ქალის ხმა გაისმა. შედოუს რეისზე ჩასხდომა დაიწყო და პირველად სწორედ მისი რიგი გამოიძახეს. შედოუ ბოლო რიგში იჯდა, გვერდითა სავარძელი ცარიელი იყო. თვითმფრინავის ბორტზე წვიმის წვეთები გაუთავებლად

წკაპუნობდა. შედოუმ წარმოიდგინა, ვითომ ციდან ბავშვები მუჭით ყრიდნენ ლობიოს მარცვლებს.

როგორც კი თვითმფრინავი აფრინდა, შედოუს ჩაეძინა.

შედოუ სიბნელეში იდგა და ბიზონისთავიანი, გავიანი და ბეწვიანი არსება უყურებდა დიდი, წყლიანი თვალებით. ტანი კაცისა ჰქონდა, გაპოხილი და გლუვი.

– ცვლილებები ახლოვდება, – თქვა ბიზონმა პირის გაუღებლად, – გარკვეული გადაწყვეტილებებია მისაღები.

გამოქვაბულის სველ კედლებზე კოცონის შუქი ათამაშდა.

– სად ვარ? – იკითხა შედოუმ.

– მიწაში და მიწის ქვეშ, – უთხრა ბიზონისთავიანმა კაცმა, – იქ, სადაც დავიწყებულნი იცდიან, – შავი თვალები მარმარილოსავით უბზინავდა, მისი ხმა მიწისქვეშა გუგუნს ჰგავდა. გაწუწული ძროხის სუნი ასდიოდა, – ირწმუნე, – გაისმა გუგუნა ხმა, – თუ არ ირწმუნებ, ვერ გადარჩები.

– რა ვირწმუნო? – ჰკითხა შედოუმ, – რა უნდა ვირწმუნო?

ბიზონისთავიანი კაცი შედოუს მიაშტერდა და კოშკივით წამოიმართა, თვალებში ცეცხლი აუკიაფდა. ბიზონის დორბლიანი პირი გააღო და მიწის ქვეშ მოგიზგიზე ცეცხლით ალმურმოდებული ხახა გამოუჩნდა. – ყველაფერი, – დაიღრიალა ბიზონისთავიანმა კაცმა.

სამყარო შექანდა და დაბზრიალდა. შედოუ კვლავ თვითმფრინავში იჯდა; მაგრამ რწევა გრძელდებოდა. წინა რიგში ვიღაც ქალმა უნდომლად წამოიკივლა.

თვითმფრინავის ირგვლივ ელვა იკლაკნებოდა. პილოტმა ინტერკომით გამოაცხადა, ვეცდები, უფრო მაღლა ავფრინდე და ქარიშხალს გავერიდოო.

თვითმფრინავი ირწეოდა და ინჯღრეოდა. შედოუმ აუღელვებლად, ცივსისხლიანად გაიფიქრა, ნეტავ ხომ არ მოვკვდებიო. გამორიცხული – არა, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოაო, დაასკვნა თვითონვე. ილუმინატორში გაიხედა. გაელვებისას ჰორიზონტი გამოკრთა.

მერე ისევ ჩასთვლიმა და დაესიზმრა, რომ კვლავ ციხეში იყო და საჭმლის რიგში ლოუ კიმ ყურში ჩასჩურჩულა, ვიღაცამ შენი მოკვლა შეუკვეთაო, მაგრამ შედოუმ ვერ გაარკვია, ვინ ან რატომ. როცა გაიღვიძა, თვითმფრინავი უკვე ეშვებოდა.

ტრაპი თვალების ფშვნეტითა და ხამხამით ჩაიარა.

შედოუმ დიდი ხნის წინ დაასკვნა, რომ ყველა აეროპორტი ერთმანეთს ჰგავს. სულერთია, სად ხარ, აეროპორტი აეროპორტია: კერამიკული ფილებით მოპირკეთებული იატაკები, დერეფნები, ტუალეტები, გასასვლელები, ფლუორესცენციური ნათურები. ეს აეროპორტიც აეროპორტს ჰგავდა. მაგრამ საქმე

ისაა, რომ ამ აეროპორტში არ მოდიოდა. ეს დიდი აეროპორტი იყო, ბევრი ხალხითა და ბევრი გასასვლელით.

ხალხი უსიცოცხლო, დაღლილი გამომეტყველებით მიმოდიოდა. ასეთი მზერა მხოლოდ ციხეში ან აეროპორტში აქვთ.

– უკაცრავად, მემ. ქალმა ბლანკის შევსება შეწყვიტა და თავი ასწია.

– გისმენთ.

– ეს რომელი აეროპორტია?

ქალმა დაბნეულად შეხედა შედოუს, ხომ არ მეხუმრებაო. ბოლოს უპასუხა: – სენტლუისის.

– მეგონა, ეს თვითმფრინავი იგლ-პოინტში მიფრინავდა.

– დიახ, მაგრამ ქარიშხლის გამო მიმართულება შეიცვალა და აქ დაეშვა. მგზავრებისთვის არ გამოუცხადებიათ?

– ალბათ გამოაცხადეს, მაგრამ მე მეძინა.

– აი, იქ რომ წითელპალტოიანი კაცი დგას, იმას უნდა დაელაპარაკოთ.

ის კაცი თითქმის შედოუს სიმაღლის იყო და სამოცდაათიანი წლების სიტკომის პერსონაჟი მამასავით გამოიყურებოდა. კლავიატურაზე რაღაც აკრიფა და შედოუს უთხრა, ტერმინალის მეორე ბოლოში მდებარე გასასვლელისკენ გაიქეცი: – სწრაფად!

შედოუმ მთელი აეროპორტი გაირბინა, მაგრამ გასასვლელი დაკეტილი დახვდა, როცა იქამდე მიაღწია. შუშის კედლიდან დაინახა, როგორ აფრინდა თვითმფრინავი. შემდეგ თავისი პრობლემა გასასვლელთან მდგარ მორიგეს აუხსნა (მშვიდად, ჩუმად, თავაზიანად) და იმან მგზავრთა დახმარების განყოფილებაში გაგზავნა.

იქ შედოუმ დაბალ, შავგვრემან, ცხვირზე ხალიან ქალს აუხსნა, ხანგრძლივი არყოფნის შემდეგ შინ ვბრუნდები, ჩემი ცოლი ავტოკატასტროფაში დაიღუპა და ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, შინ დაუყოვნებლივ გავემგზავროო. ციხე არ უხსენებია.

იმ ქალმა ჯერ თანამშრომელ ქალს გადაულაპარაკა, მერე სადღაც დარეკა („არა, მაგ რეისით ვერა. ახლახან გააუქმეს“.) და ბოლოს შედოუს ახალი ჩასხდომის ბარათი ამოუბეჭდა.

– ინებეთ, – უთხრა შედოუს, – ვაცნობებთ და გასასვლელთან დაგელოდებიან.

შედოუმ თავი ლობიოს მარცვლად იგრძნო, სამ ჭიქას შორის რომ დააგორებენ. კვლავ მთელი აეროპორტი გაირბინა და ისევ იმ ადგილთან ახლოს აღმოჩნდა, საიდანაც სირბილი დაიწყო. გასასვლელთან მდგარმა დაბალმა კაცმა ჩასხდომის ბარათი გამოართვა.

– გელოდებოდით, – უთხრა მან და ჩასხდომის ბარათს ჩამოახია ყუა, რომელზეც შედოუს ადგილის ნომერი – 17 იყო მითითებული. როგორც კი შედოუ თვითმფრინავში ავიდა, კარი ჩაკეტეს.

ჯერ პირველი კლასის სალონში გაიარა, სადაც სულ ოთხი ადგილი იყო და მათგან სამი – დაკავებული. წინა რიგში, ცარიელი ადგილის გვერდით მჯდარმა ღია ფერის კოსტიუმიანმა, წვერიანმა კაცმა შედოუს გაუღიმა, შემდეგ მარჯვენა ხელი ასწია და მაჯის საათზე დაიტყაპუნა.

„ჰო, ჰო, ჩემ გამო რეისი რამდენიმე წუთით შეაყოვნეს, – გაიფიქრა შედოუმ, – ამის მეტი პრობლემა არ გქონოდეს ცხოვრებაში“.

თვითმფრინავი თითქმის სავსე იყო. შედოუ ბოლო რიგებისკენ გაემართა. მალევე გაირკვა, რომ თვითმფრინავი თითქმის კი არა, მთლიანად სავსე იყო. მე-17 ადგილზე შუახნისქალი იჯდა. შედოუმ მას თავისი ჩასხდომისბარათი უჩვენა, ქალმა – თავისი. ორივეზე ერთი და იგივე ადგილი ეწერა.

– თუ შეიძლება, დაბრძანდით, – სთხოვა სტიუარდესამ.

– სამწუხაროდ, არ შემიძლია, – უთხრა შედოუმ, – ჩემს ადგილზე ეს ქალბატონი ზის.

სტიუარდესამ ორივეს ჩასხდომის ბარათები შეამოწმა, შემდეგ შედოუს თვითმფრინავის წინა ნაწილისკენ გაუძღვა და პირველი კლასის ცარიელ სავარძელზე მიუთითა.

– როგორც ჩანს, დღეს ბედი გწყალობთ, – უთხრა შედოუს. შედოუ დაჯდა.

– სასმელს ხომ არ ინებებთ? – ჰკითხა სტიუარდესამ, – აფრენამდე ცოტა დრო კიდევ დაგვრჩა. ვფიქრობ, ამდენი სირბილის შემდეგ ცოტა სასმელი არ გაწყენთ.

– ლუდს დავლევ, თუ შეიძლება, – უპასუხა შედოუმ, – რომელიც გაქვთ, ის

მომიტანეთ. სტიუარდესა ლუდის მოსატანად წავიდა.

შედოუს გვერდით მჯდარმა, ღია ფერის კოსტიუმიანმა კაცმა ხელი გამოიშვირა და შავ „როლექსზე“ ფრჩხილწამოზრდილი თითი დააკაკუნა.

– დაგაგვიანდათ, – თქვა მან და ფართოდ, მაგრამ ცივად გაიღიმა.

– უკაცრავად? – დაგაგვიანდათ-მეთქი.

სტიუარდესამ შედოუს ერთი ჭიქა ლუდი მიაწოდა. შედოუმ მოსვა. წუთით გაიფიქრა, კოსტიუმიანი კაცი გიჟი უნდა იყოსო, მაგრამ შემდეგ დაასკვნა, ალბათ იმას გულისხმობდა, ერთი მგზავრის გამო მთელი თვითმფრინავი რომ ალოდინესო.

– მაპატიეთ, რომ შეგაყოვნეთ, – თავაზიანად თქვა, – გეჩქარებათ?

თვითმფრინავს ტრაპი მოაცილეს. სტიუარდესა შედოუს ნახევრად დაცლილი ლუდის ჭიქის წასაღებად მოვიდა. ღია ფერის კოსტიუმიანმა კაცმა ქალს გაუღიმა და უთხრა: – ნუ ღელავთ, ამას ხელს მაგრად მოვუჭერ.

სტიუარდესამ მხოლოდ სუსტად გააპროტესტა, ეს ავიაკომპანიის განაწესის დარღვევაა („მაგას მე გადავწყვეტ, ჩემო ძვირფასო“.), მაგრამ კაცს „ჯეკ დენიელსის“ ჭიქა მაინც დაუტოვა.

– რასაკვირველია, დრო ძალიან მნიშვნელოვანია, – თქვა კაცმა, – მაგრამ არა, არ მეჩქარება. მხოლოდ იმაზე ვდარდობდი, რომ თვითმფრინავში ამოსვლას ვერ მოასწრებდით.

– გმადლობთ გულისხმიერებისთვის. თვითმფრინავი მოუთმენლად ძაგძაგებდა, ერთი სული ჰქონდა, მიწას მოსწყდომოდა. – გულისხმიერება არა, ჩემი ფეხები, – თქვა ღია ფერის კოსტიუმიანმა კაცმა, – შენთვის საქმე მაქვს, შედოუ.

ძრავები აგუგუნდა. პატარა თვითმფრინავი შეჯანჯღარდა და წინ გაექანა. შედოუ სავარძლის საზურგეს მიეკრო. რამდენიმე წამში ჰაერში აიჭრნენ და აეროპორტის ნათურები ქვემოთ დარჩა. შედოუმ გვერდით მჯდარ კაცს შეხედა.

მისი თმა მოწითალო-ნაცრისფერი იყო, რამდენიმე დღის გაუპარსავი წვერი კი – მონაცრისფრო-წითელი. შედოუზე დაბალი, მაგრამ მოცულობით თითქოს უფრო დიდი ჩანდა. კუთხოვან, ნაოჭებიან სახეზე ბაცი რუხი თვალები უციმციმებდა. ძვირად ღირებული, ვანილიანი ნაყინისფერი კოსტიუმი ეცვა და მუქი რუხი აბრეშუმის ჰალსტუხი ეკეთა, რომელიც ხის ფორმის ვერცხლის ქინძისთავით დაემაგრებინა. აფრენისას ჭიქა ხელში ეჭირა, მაგრამ „ჯეკ დენიელსის“ ერთი წვეთი არ დაუღვრია.

– არ გაინტერესებს, რა საქმეს გთავაზობ?

– საიდან იცით, ვინ ვარ? კაცმა ჩაიხითხითა.

– ოჰ, ამქვეყნად იმაზე იოლი დასადგენი არაფერია, რას უწოდებენ ადამიანები თავიანთ თავს. ცოტა დაფიქრება, ცოტა იღბალი და ცოტა მახსოვრობა საკმარისია. მკითხე, რა საქმე მაქვს შენთვის.

– არა, – თქვა შედოუმ. სტიუარდესამ კიდევ ერთი ჭიქა ლუდი მოუტანა და ის მოსვა.

– რატომ არა?

– შინ მივდივარ. იქ სამსახური მელოდება. არანაირი საქმე არ მჭირდება.

კაცის დანაოჭებული სახიდან ღიმილი არ გამქრალა, პირიქით, ახლა ნამდვილად გახალისდა.

– შინ არანაირი სამსახური არ გელოდება, – თქვა მან, – საერთოდ არავინ და არაფერი გელის. მე კი მშვენიერ, კანონიერ სამუშაოს გთავაზობ – კარგ ანაზღაურებას, უსაფრთხოებას, დამატებით შეღავათებს. ჯანდაბას, საპენსიო დაზღვევასაც, მთავარია, შენ სათანადო ასაკამდე მიაღწიო. ჰა, რას იტყვი?

– ჩემს სახელს ალბათ ჩასხდომის ბარათზე მოჰკარით თვალი, ან ჩემს ჩანთაზე დაკრულ იარლიყზე.

კაცმა არ უპასუხა.

– ვინც უნდა იყოთ, – განაგრძო შედოუმ, – ვერანაირად ვერ გეცოდინებოდათ, რომ ამ თვითმფრინავით ვიმგზავრებდი. ეს მე თვითონაც არ ვიცოდი. ჩემი რეისი სენტლუისში იძულებით რომ არ დამჯდარიყო, ამ თვითმფრინავში საერთოდ არ ვიჯდებოდი. ჩემი აზრით, უშნოდ ხუმრობთ, ან ჩემს გაბრიყვებას ცდილობთ. აჯობებს, ახლავე შევწყვიტოთ საუბარი და მშვიდად ვიფრინოთ. კაცმა მხრები აიჩეჩა.

შედოუმავიაკომპანიის ჟურნალი გადაშალა. პატარათვითმფრინავი ცაში ხშირად ინჯღრეოდა და ჯაყჯაყებდა, რაც კონცენტრირებაში ხელს უშლიდა. სიტყვები მის გონებაში საპნის ბუშტებივით დაფარფატებდნენ, წაკითხული მეორე წამს ავიწყდებოდა.

ღია ფერის კოსტიუმიანი კაცი მის გვერდით ჩუმად იჯდა და თვალებდახუჭული წრუპავდა „ჯეკ დენიელსს“.

შედოუმ ტრანსატლანტიკური რეისების მგზავრთათვის განკუთვნილი მუსიკალური არხების ჩამონათვალი წაიკითხა. შემდეგ დაათვალიერა რუკა, რომელზეც წითელი ხაზებით იყო შეერთებული ის ადგილები, სადაც ავიაკომპანია რეისებს ასრულებდა. ბოლოს უხალისოდ დაკეცა ჟურნალი.

კაცმა თვალები გაახილა. უცნაური თვალები აქვსო, გაიფიქრა შედოუმ. ერთი უფრო მუქი იყო, ვიდრე მეორე. შედოუს შეხედა.

– სხვათა შორის, – თქვა მან, – ძალიან მეწყინა, შენი ცოლის ამბავი რომ გავიგე, შედოუ. ვიზიარებ მწუხარებას.

შედოუმ კინაღამ დაარტყა კაცს. თავის დასამშვიდებლად ღრმად ჩაისუნთქა („როგორც გითხარი, აეროპორტში იმ ნაბოზრებს ნუ გააბრაზებ, – თავში ჯონი ლარჩის ხმა ჩაესმა, – თორემ გადაფურთხებას ვერ მოასწრებ, რომ შენი საწყალი უკანალი ისევ გისოსებს მიღმა აღმოჩნდება“.), ხუთამდე დაითვალა.

– მეც ძალიან მეწყინა, – თქვა შედოუმ.

– ასეთ საშინელ სიკვდილს არავინ იმსახურებს, – დანანებით გააქნია თავი კაცმა და ამოიხვნეშა.

– ავარიაში დაიღუპა, – თქვა შედოუმ, – ბევრს არ იწვალებდა. უარესადაც შეიძლება მოკვდეს ადამიანი.

კაცმა ნელა გააქნია თავი. შედოუმ გაიფიქრა, ეს ტიპი ხომ არ მელანდებაო. უეცრად თვითმფრინავი უფრო რეალური მოეჩვენა, ვიდრე თავისი მეზობელი.

– შედოუ, – უთხრა კაცმა, – არ გეხუმრები. არ გატყუებ. როგორი სამუშაოც უნდა იშოვო, ჩემზე მეტს არავინ გადაგიხდის. შენ ხომ ნასამართლევი ხარ. არა მგონია, ხალხი რიგში ჩადგეს შენ დასასაქმებლად.

– მისტერ ვინ ოხერიც ხარ, – ხმას აუმაღლა შედოუმ, რომ თვითმფრინავის ძრავების გუგუნი გადაეფარა, – ჩემ მოსასყიდად ფული არ გეყოფათ.

კაცის სახეზე ღიმილი უფრო გაფართოვდა. შედოუს ბავშვობაში „პი-ბი-ესზე“[10] ნანახი საგანმანათლებლო გადაცემა გაახსენდა. გადაცემაში თქვეს, რომ შიმპანზეები და სხვა ადამიანისებრი მაიმუნები მხოლოდ იმიტომ იღიმებიან, რომ კბილები ზიზღისგან, ბრაზისგან ან შიშისგან დაკრიჭონო. შიმპანზე ღიმილით იმუქრება. ესეც მსგავსი ღიმილი იყო.

– მშვენივრად მეყოფა. მე პრემიებსაც გთავაზობთ. ჩემთვის იმუშავებთ და ჩემგან ბევრ რამეს შეიტყობთ. დიახ, ცოტა გარისკვაც მოგიწევთ, მაგრამ თუ გადარჩებით, რასაც ინატრებთ, ყველაფერი გექნებათ. ამერიკის შემდეგი მეფე იქნებით. აბა, მითხარით, ამდენს სხვა ვინ გადაგიხდით? ჰა?

– ვინ ხართ? – ჰკითხა შედოუმ.

– აჰ, დიახ, ჩვენ ხომ ინფორმაციის ხანაში ვცხოვრობთ... ძვირფასო, კიდევ ხომ არ დამისხამდით „ჯეკ დენიელსს“? ბევრ ყინულს ნუ ჩამიყრით... თუმცა, რასაკვირველია, სხვანაირი ხანა არც არასდროს ყოფილა. ინფორმაცია და ცოდნა: ეს ორი ვალუტა არასდროს გაუფასურდება.

– ვინ ხართ-მეთქი?

– ჰმმმ. მოდი, რახან დღეს ჩემი დღეა, უენზდეი[11] ვიქნები. მისტერ უენზდეი. თუმცა, თუ დღევანდელ ამინდს გავითვალისწინებთ, მისტერ თერზდეიც[12] შეიძლება ვიყო. არა?

– სინამდვილეში რა გქვიათ?

– ჩემთვის დიდხანს და კარგად თუ იმუშავებ, – უთხრა ღია ფერის კოსტიუმიანმა კაცმა, – იქნებ გაგიმხილო კიდეც. ესეც ასე. სამუშაო შემოგთავაზე. დაფიქრდი. დაუყოვნებლივ თანხმობას არ ველოდები, ჯერ ხომ არ იცი, პირანიებით სავსე აუზში ჩახტომას გავალებენ თუ დათვების ხაროში. მოსაფიქრებლად დრო გაქვს, – კაცმა თვალები დახუჭა და სავარძელში გადაწვა.

– არაფრის მოფიქრებას არ ვაპირებ, – თქვა შედოუმ, –არ მომწონხართ. თქვენთან მუშაობას არ ვაპირებ.

– როგორც გითხარი, – თვალდახუჭულმა თქვა კაცმა, – პასუხის გაცემას ნუ იჩქარებ. ჯერ მოიფიქრე.

თვითმფრინავი ჯაყჯაყით დაეშვა და რამდენიმე მგზავრი ჩავიდა. შედოუმ ილუმინატორიდან გაიხედა. რომელიღაც მიყრუებული ქალაქის პატარა აეროპორტში იყვნენ. იგლ-პოინტამდე კიდევ ორ ასეთ პატარა აეროპორტში უნდა დამსხდარიყვნენ.

შედოუმ ღია ფერის კოსტიუმიან კაცზე გადაიტანა მზერა. რა მქვიაო? მისტერ უენზდეი.

მას ეძინა.

შედოუ ადგა, ჩანთა აიღო, თვითმფრინავიდან ჩავიდა და სველ, მოლიპულ ტარმაკზე[13] დადგა ფეხი. ნელა გააბიჯა განათებული ტერმინალისკენ. სახეზე წვრილად აწვიმდა.

სანამ აეროპორტის შენობაში შევიდოდა, გაჩერდა და მიტრიალდა. თვითმფრინავიდან სხვა არავინ ჩამოსულა. აეროპორტის პერსონალმა ტრაპი განზე გააგორა, კარი ჩაკეტეს და თვითმფრინავი გაფრინდა. შედოუ მხოლოდ ამის შემდეგ შევიდა შიგნით და მანქანა დაიქირავა. ავტოსადგომზე პატარა, წითელი „ტოიოტა“ დახვდა.

შედოუმგამოტანებული რუკა მგზავრის სავარძელზეგაშალა. იგლ-პოინტი ოთხასი კილომეტრის მოშორებით მდებარეობდა. იქამდე უმეტესად ავტოსტრადით მოუწევდა სვლა. მანქანა სამი წელი არ ეტარებინა.

ქარიშხალი უკვე ჩამდგარიყო, თუ საერთოდ მოაღწია აქამდე. ჰაერი სუფთა და ცივი იყო. მთვარის წინ ისე სწრაფად დაცურავდნენ ღრუბლები, შედოუ წამით დაეჭვდა, ღრუბლები მოძრაობენ თუ მთვარეო.

საათ-ნახევარი გაუჩერებლად მიდიოდა ჩრდილოეთით.

დაღამდა. მოშივდა და, როცა მიხვდა, შიმშილს ვეღარ ერეოდა, შემდეგ გზაგასაყარზე ავტოსტრადიდან დაბა ნოტამუნისკენ (მოსახლეობა 1301) გადაუხვია. ბენზინგასამართ სადგურზე ავზი გაავსო და სალაროსთან მდგარ მოწყენილ ქალს ჰკითხა, ამ მიდამოებში საუკეთესო ბარი სად არის, რომ წავიხემსოო.

– ჯეკის ბარ „ნიანგში“ შეიარეთ, – მიასწავლა ქალმა, – დასავლეთით გაჰყევით გზას.

– ბარ „ნიანგში“?

– დიახ, ჯეკის თქმით, ნიანგები თავისებურ ელფერს სძენენ ბარს, – ქალმა იისფერი ფლაიერის უკანა გვერდზე (ფლაიერი რეკლამას უკეთებდა შემწვარ ქათამს, რომლის გაყიდვიდან შემოსულ თანხას ახალგაზრდა გოგოსთვის თირკმლის გადასანერგად გამოიყენებდნენ) რუკა დაუხაზა, – რამდენიმე ნიანგი ჰყავს, კიდევ გველი და ერთი ხვლიკისმაგვარი არსებაც.

– იგუანა?

– ჰო, ეგა.

შედოუმ დაბა უკან ჩამოიტოვა, ხიდზე გადავიდა და კიდევ სამიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ დაბალ, მართკუთხა შენობასთან გაჩერდა. ბარი „პაბსტის“ აბრას გაენათებინა, კართან კი „კოკა-კოლას“ ავტომატი იდგა.

ავტოსადგომი ნახევრად ცარიელი იყო. შედოუმ წითელი „ტოიოტა“ გააჩერა და შიგნით შევიდა.

ჰაერი სიგარეტის ბოლს დაემძიმებინა. ჯუკ-ბოქსი პეტსი კლაინის „Walking after Midnight“-ს უკრავდა. შედოუმ მიმოიხედა, მაგრამ ნიანგები ვერსად შეამჩნია. ნეტავ ბენზინგასამართ სადგურში იმ ქალმა ხომ არ მომატყუაო, გაიფიქრა.

– რას ინებებთ? – ჰკითხა ბარმენმა.

– ჯეკი თქვენ ხართ?

– ჯეკი ამაღამ ისვენებს. მე პოლი ვარ.

– გამარჯობა, პოლ. ჩამოსასხმელი ლუდი და ჰამბურგერი ყველანაირი საკმაზით. კარტოფილის გარეშე.

– მანამდე ერთ ჯამ ჩილის ხომ არ მიირთმევთ? შტატში საუკეთესო ჩილის ვამზადებთ.

– კარგი აზრია, – თქვა შედოუმ, – ტუალეტი სადაა?

კაცმა ბარის კუთხისკენ კარზე მიუთითა. მასზე ალიგატორის თავის ფიტული ეკიდა. შედოუმ კარი შეაღო.

საპირფარეშო სუფთა, კარგად განათებული აღმოჩნდა. ჩვეულებისამებრ, ჯერ მიმოიხედა („გახსოვდეს, შედოუ, მოფსმისას თავს ვეღარ დაიცავ“, – გონებაში ლოუ კის მუდამ ჩუმი ხმა ჩაესმა). მარცხენა კუთხეში მდგარ ურინალთან მივიდა. შარვლის უბე ჩაიხსნა და სავსე შარდის ბუშტი ხვნეშით დაცალა. კედელზე მიკრულ, გაყვითლებულ გაზეთის ამონაჭერზე ჯეკისა და ორი ალიგატორის ფოტოიანი სტატია წაიკითხა.

მარჯვენა ურინალთან ვიღაცამ თავაზიანად ჩაახველა. შედოუს შემოსვლის ხმა არ გაუგია.

ღია ფერის კოსტიუმიანი კაცი ფეხზე მდგარი უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე შედოუს გვერდით, თვითმფრინავის სავარძელში ჯდომისას. თითქმის შედოუს სიმაღლის იყო, შედოუ კი ზორბა კაცი იყო. ღია ფერის კოსტიუმიანი კაცი კედელს შეჰყურებდა. შარდვას მორჩა, ბოლო წვეთები ჩამოიფერთხა და უბე შეიკრა.

შემდეგ გაიკრიჭა მელასავით, რომელსაც მავთულხლართში თავი გაუყვია და ნაკელში იქექება.

– საკმარისი დრო გქონდა მოსაფიქრებლად, – თქვა მისტერ უენზდეიმ, – აბა, სამუშაო გინდა თუ არა, შედოუ?

სადღაც ამერიკაში ლოს-
ანჯელესი, 23:26

ნახევრად ბნელ, წითელ ოთახში – კედლები უმი ღვიძლის ფერია – ტანმაღალი ქალი დგას და კარიკატურულად მოტმასნილი აბრეშუმის შორტი და ყვითელი ბლუზა

აცვია, რომლის ბოლოები ძუძუების ქვეშ მაგრად გაუკვანძავს; მკერდი ამოჰბურცვია და გამოჰბერვია. შავი თმა აუწევია და კეფაზე შეუკრავს. მის გვერდით ტანდაბალი კაცი დგას, ზეთისხილისფერი მაისური და ძვირად ღირებული ლურჯი ჯინსის შარვალი აცვია. მარჯვენა ხელში საფულე და „ნოკიას“ წითელ-თეთრ-ლურჯგარსიანი მობილური ტელეფონი უჭირავს.

წითელ ოთახში ერთი საწოლია, რომელზეც სატინის ზეწარი და ხარის სისხლისფერი საბანია გადაფარებული. საწოლთან, პატარა მაგიდაზე, განიერთეძოებიანი ქალის ქვის სტატუეტი და შანდალი დგას.

ქალი კაცს პატარა, წითელ სანთელს უწვდის.

– გამომართვი, – ამბობს ქალი, – აანთე.

– მე?

– დიახ, – პასუხობს ქალი, – თუ გინდა, მიხმარო.

– მანქანაშივე უნდა მომეწოვებინა შენთვის.

– ეგეც შეიძლებოდა, – ამბობს ქალი, – არ გინდივარ? – მისი ხელი თეძოდან მკერდამდე მისრიალებს, ამ ჟესტით თითქოს ახალ პროდუქტს წარადგენს. ოთახისკუთხეში მდგარ ლამპაზე გადაფარებული აბრეშუმის წითელი შარფი შუქს აწითლებს.

კაცი ხარბად უყურებს ქალს, მერე სანთელს ართმევს და შანდალში არჭობს.

– ასანთი გაქვს?

ქალი ასანთის კოლოფს აძლევს. კაცი პატრუქს უკიდებს. თავიდან ალი ირხევა, შემდეგ სწორდება და სანთლის გვერდით გაუნძრევლად მდგარ დიდთეძოებიანი და დიდმკერდიანი ქალის სტატუეტს სახეს უნათებს.

– ფული სტატუეტთან დადე.

– ორმოცდაათი დოლარი.

– ჰო.

– პირველად რომ გნახე, მზის ჩასვლისას, კაცი მეგონე.

– მე ხომ ესენი მაქვს, – ქალი ყვითელ ბლუზას იხსნის და ძუძუებს ათავისუფლებს.

– ეგენი კაცებსაც აქვთ ჩვენს დროში. ქალი იზმორება და იღიმის.

– დიახ, – ამბობს, – მოდი, მომესიყვარულე.

კაცი ლურჯი ჯინსის ღილებს იხსნის და ზეთისხილისფერ მაისურს იხდის. ქალი კაცს თეთრ მხრებს ყავისფერი თითებით უზელს, შემდეგ თავისკენ ატრიალებს და ხელებით, თითებითა და ენით ეფერება.

კაცს ეჩვენება, რომ ოთახში მთლად ჩამობნელდა და მხოლოდ სანთლის ალი კაშკაშებს.

– რა გქვია? – ეკითხება ქალს.

– ბილქისი[14], – თავს სწევს და პასუხობს ქალი.

– რა?

– დაიკიდე. კაცი უკვე სიამოვნებისგან ხვნეშის.

– მიმიშვი, უნდა შეგიდო, – ამბობს ის.

– კარგი, საყვარელო, – ამბობს ქალი, – მიდი. ოღონდ როცა შემიდებ, ერთ რამეს ხომ იზამ ჩემთვის?

– ეი, – უეცრად ბრაზდება კაცი, – სხვათა შორის, ფულს მე გიხდი.

ქალი სწრაფი, მსუბუქი მოძრაობით აჯდება ზედ და ეჩურჩულება: – ვიცი, საყვარელო, ვიცი, რომ ფულს მიხდი, მაგრამ ერთი შენს თავს შეხედე, ფულს მე უნდა გიხდიდე, ბედმა გამიღიმა...

კაცი ტუჩებს უკმაყოფილოდ კუმავს, უნდა ქალს უჩვენოს, რომ ამ ბოზური მეტყველებით მას ვერ გააბრუებს; ჯანდაბა, ის ხომ მეძავია, თვითონ კი პრაქტიკულად პროდიუსერი, ზედმეტ ფულს იოლად ვერავინ დასტყუებს. მაგრამ ქალი ფულს არ სთხოვს.

– საყვარელო, როცა შემიდებ, – ამბობს ქალი, – როცა შენს დიდ, სქელ ჯოხს შემიცურებ, თაყვანს ხომ მცემ?

– რას ვიზამ?

ქალი ზედ აზის და წინ და უკან ირწევა: გაბრექილი პენისის თავი მისი საშოს სველ ბაგეებს ეხება.

– ქალღმერთს მიწოდებ? ჩემს სახელზე ილოცებ? მთელი შენი სხეულით მეთაყვანები?

კაცი იღიმის. მაშ, სულ ეს უნდა? დიდი ამბავი, ყველას ჩვენი ახირებები გვაქვს!

– კი, – პასუხობს ქალს.

ქალი ფეხებშუა იყოფს ხელს და მის პენისს შიგ იდებს.

– კარგია, მოგწონს, ქალღმერთო? – ხვნეშის კაცი.

– თაყვანი მეცი, საყვარელო, – ეუბნება ბოზი ბილქისი.

– კარგი, – ამბობს კაცი, – ვეთაყვანები შენს ძუძუებს, შენს თვალებსა და შენს მუტელს. ვეთაყვანები შენს თეძოებს, შენს თვალებსა და შენს ალუბალივით წითელ ტუჩებს...

– ჰო... – კრუსუნებს ქალი და კაცზე ამხედრებული ირწევა, როგორც ნავი აზვირთებულ ზღვაში.

– ვეთაყვანები შენს კერტებს, რომლებიდანაც მაცოცხლებელი რძე მოედინება. შენი კოცნა თაფლივით ტკბილია, შენი შეხება – ცეცხლივით მწველი. გეთაყვანები, – კაცის სიტყვები უფრო და უფრო რიტმული ხდება, მათი ბიძგებისა და უკუქცევის შესაბამისად, – შენი ვნების ცეცხლი წამიკიდე ყოველ დილას და შვება მიწყალობე ყოველ საღამოს. ბნელ ადგილებში უვნებლად მატარე, რომ ისევ შენთან მოვიდე, დავწვე და მოგესიყვარულო. მთელი არსებით გეთაყვანები, მთელი გონებით, ყველა ადგილით, სადაც ვყოფილვარ, ჩემი სიზმრებით... – კაცი ჩერდება და სულს ითქვამს, – ...რას აკეთებ? რა საოცარი განცდაა. დიდებულია... –კაცი ცდილობს, თავის თეძოებს შეხედოს, ადგილს, სადაც მათი სხეულები ერთმანეთს ერწყმის, მაგრამ ქალი ნიკაპქვეშ ადებს თითს და თავს აწევინებს, რათა ისევ მხოლოდ მის სახეს ან ჭერს ხედავდეს.

– ლაპარაკი განაგრძე, საყვარელო, – ეუბნება ქალი, – ნუ ჩერდები. ხომ მოგწონს?

– ასე კარგად თავი არასდროს მიგრძნია, – კაცი არ ტყუის, – შენი თვალები ვარსკვლავებია, ჯანდაბა, ცის თაღზე ანთებული. შენი ტუჩები მშვიდი ტალღებია, ქვიშას რომ ლოკავენ. და მე მათ ვეთაყვანები.

კაცი უფრო და უფრო ღრმად შედის მასში. აგზნებული და დამუხტულია. სხეულის ქვედა ნაწილი თითქოს ერთ დიდ, გამაგრებულ ფალოსად გადაიქცა. სიამოვნებისგან თავბრუ ეხვევა.

– დამაჯილდოვე შენი ძღვენით, – ბუტბუტებს კაცი, თვითონაც აღარ იცის, რას ამბობს, – შენი ერთადერთი, ჭეშმარიტი ძღვენით, დაე, ყოველთვის ასეთი... ყოველთვის ასეთი... ვლოცულობ... მე...

შემდეგ სიამოვნება ორგაზმად იქცევა და მისი გონება ცარიელდება, მისი თავი, მთელი არსება ყველაფრისგან იცლება, როცა უფრო და უფრო ღრმად შედის ქალში... უფრო და უფრო ღრმად...

თვალებდახუჭული, დაკრუნჩხული ტკბება ამ დიდებული წამით; შემდეგ ბიძგს გრძნობს და ეჩვენება, რომ თავდაყირა კიდია, თუმცა სიამოვნება გრძელდება.

თვალებს ახელს.

აზრებს იკრებს, ნელ-ნელა გონს მოდის, შობაზე ფიქრობს და, ორგაზმის შემდგომ იმ ერთ მკაფიო წამს, უკვირს (ოღონდ სულაც არ ეშინია), რასაც ვხედავ, ხომ არ მეჩვენებაო. აი, რას ხედავს:

ქალში მკერდამდეა შესული და სანამ გაოცებული მიშტერებია ამ უცნაურ სანახაობას, ქალი მხრებზე ხელებს აწყობს და ნაზად აწვება. კაცი უფრო ღრმად შედის მის წიაღში.

– ამას როგორ მიშვრები? – ეკითხება კაცი. ან შეიძლება ეს მის თავში ხდება და მხოლოდ ჰგონია, რომ ეკითხება.

– ამას შენ თვითონ შვრები, საყვარელო, – ჩურჩულებს ქალი. კაცი გრძნობს, მისი საშოს ბაგეები, მკერდზე მჭიდროდ რომ ეკვრის, ეჭდობა და მაგრად უჭერს. ნეტავ ახლა ვინმე რომ გვიყურებდეს, რას დაინახავდაო, ფიქრობს. რატომღაც საერთოდ არ ეშინია. და უცებ ხვდება, რატომაც.

– მთელი სხეულით გეთაყვანები, – ჩურჩულებს კაცი, ხოლო ქალი ნაზი ბიძგებით თავის წიაღში მიაცურებს. კაცს მისი სასირცხო ბაგეები სახეზე ეფარება და თვალთ უბნელდება. ქალი უზარმაზარ კატასავით იზმორება საწოლზე და ამთქნარებს.

– დიახ, – ამბობს ის, – მეთაყვანები.

„ნოკიას“ მობილური ხმამაღლა წკრიალებს, ისმის ელექტრონულად მოდულირებული „ოდა სიხარულს“. ქალი მობილურს იღებს, ღილაკს აწვება და ტელეფონი ყურთან მიაქვს.

მუცელი ბრტყელი აქვს, სასირცხო ბაგეები – პატარა და შეკუმშული. შუბლსა და ზედა ტუჩზე ოფლის წვეთები უბზინავს.

– გისმენთ, – ამბობს და რამდენიმე წამის შემდეგ ამატებს: – არა, საყვარელო, აქ არ არის. წავიდა.

შემდეგ ტელეფონს თიშავს, ნახევრად ბნელ, წითელ ოთახში საწოლზე იშხლართება, კიდევ ერთხელ იზმორება, თვალებს ხუჭავს და იძინებს.

32

31

მეორე თავი

„კადილაკით“ გაუყენეს
სასაფლაოს გზას ქალი,
„კადილაკი“ დაბრუნდა და
იქ დატოვეს ის ქალი.
ძველი სიმღერა

– თავს უფლება მივეცი და ჩემი საჭმელიც შენს მაგიდაზე მოსატანად შევუკვეთე, – თქვა მისტერ უენზდეიმ ბარ „ნიანგის“ მამაკაცების ტუალეტში ხელების დაბანისას, – ბოლოს და ბოლოს, ბევრი რამ გვაქვს განსახილველი.

– არა მგონია, – თქვა შედოუმ, ხელები ქაღალდის ხელსახოცით გაიწმინდა, შემდეგ ხელსახოცი დაჭმუჭნა და სანაგვეში ჩააგდო.

– სამსახური გჭირდება, – უთხრა უენზდეიმ, – ხალხი ყოფილ თაღლითებს არ ასაქმებს. შენნაირები ყველას უხერხულობას უქმნის.

– მე სამუშაო მელოდება. კარგი სამუშაო.

– „კუნთების ფერმაში“ ინსტრუქტორობას გულისხმობ?

– შეიძლება, – უპასუხა შედოუმ.

– არაფერიც არ გელოდება. რობი ბერტონი მოკვდა. მის გარეშე „კუნთების ფერმაც“ მკვდარია.

– მატყუარა ხარ ვიღაცა!

– რასაკვირველია, თან ძალიან კარგი მატყუარა. ჩემზე უკეთესს ვერსად ნახავ. მაგრამ, ვშიშობ, ამჯერად არ გატყუებ, – მისტერ უენზდეიმ ჯიბიდან დაკეცილი გაზეთი ამოიღო და შედოუს მისცა, – მეშვიდე გვერდი, – თქვა მან, – ბარში დავბრუნდეთ. მაგიდასთან წაიკითხავ.

ბარში სიგარეტის ბოლს ჰაერი გაელურჯებინა. ჯუკბოქსში „დიქსი ქაფსი“ „Iko,Iko“-ს მEღეროდა. შედოუს ძველი საბავშვო სიმღერის გაგონებაზე ჩაეღიმა.

ბარმენმა კუთხეში მდგარ მაგიდაზე მიუთითა. მაგიდის ერთ მხარეზე ერთი ჯამი ჩილი და ჰამბურგერი იდო, მეორეზე – ნახევრად უმი სტეიკი და შემწვარი კარტოფილი.

Look at my King all dressed in Red,
Iko,Iko all day,
I bet you five dollars he’ll kill you dead, Jockamo-feeena-nay[15] შედოუ

მაგიდასთან თავის ადგილზე დაჯდა. გაზეთი განზე გადადო.

– ციხიდან ამ დილით გამოვედი, – თქვა მან, – პირველად ვჭამ, როგორც თავისუფალი ადამიანი. იმედია, არ გეწყინება, მეშვიდე გვერდს ნასადილევს თუ წავიკითხავ.

– სულაც არა.

შედოუმ ჰამბურგერი შეჭამა. ციხის ჰამბურგერებს სჯობდა. ჩილი კარგი იყო, მაგრამ რამდენიმე ლუკმის გასინჯვისთანავე დაასკვნა, შტატში საუკეთესო სულაც არ იქნებაო.

ლორა დიდებულ ჩილის ამზადებდა. მჭლე ხორცს, შავ ლობიოს, წვრილად დაჭრილ სტაფილოს, ერთ-ორ ბოთლ შავ ლუდსა და ახლად დაჭრილ წიწაკას იყენებდა. ჩილის ცოტა ხანს

აცლიდა ხარშვას, შემდეგ წითელ ღვინოს, ლიმონის წვენსა და ერთ კონა ქორფა კამას დაამატებდა, დაბოლოს, სათანადო დოზით პილპილსა და სხვა საკმაზებს მოაყრიდა ხოლმე. ლორამ არაერთხელ სცადა შედოუსთვის ჩილის მომზადება ესწავლებინა: შედოუ თვითონაც ადევნებდა თვალს, როგორ ჭრიდა ლორა ხახვს და ზეთისხილთან ერთად ქვაბში ყრიდა. ინგრედიენტების ჩამატების თანმიმდევრობაც კი ჩაიწერა და ერთ შაბათს, როცა ლორა ქალაქში არ იყო, ჩილი თავად მოიმზადა. საკმაოდ კარგი გამოუვიდა, საჭმელად ნამდვილად ვარგოდა და შეჭამა კიდეც, მაგრამ ლორას ჩილის სულ სხვა გემო ჰქონდა ხოლმე.

მეშვიდე გვერდზე დაბეჭდილ სტატიაში შედოუმ ცოლის დაღუპვის პირველი დეტალები შეიტყო. უცნაური განცდა დაეუფლა, თითქოს უცნობი ადამიანის შესახებ კითხულობდა: ლორა მუნი, რომლის ასაკად სტატიაში ოცდაშვიდი წელი მიეთითებინათ, ოცდაცხრამეტი წლის რობი ბერტონთან ერთად რობის მანქანით შტატთაშორის მაგისტრალზე მოძრაობდა, როცა უეცრად შემხვედრ ზოლში გადავიდნენ და ოცდათორმეტბორბლიანი ტრაილერის წინ აღმოჩნდნენ. სატვირთომ რობის მანქანას გვერდი გაჰკრა და ბზრიალ-ბზრიალით გადააგდო გზიდან. მანქანა საგზაო ნიშანს დაეჯახა და ბზრიალი შეწყვიტა.

რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილზე მაშველები მივიდნენ. მათ რობი და ლორა დამტვრეული მანქანიდან გადმოიყვანეს, მაგრამ ორივე საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

შედოუმ გაზეთი ისევ დაკეცა და მაგიდის მეორე კიდისკენ გააცურა, რომელთანაც მისტერ უენზდეი იჯდა და ისეთ სისხლიან, გალურჯებულ სტეიკს ნთქავდა, ნახევრად კი არა, სრულებით უმი უნდა ყოფილიყო.

– აგერ, დაიბრუნე, – უთხრა შედოუმ.

საჭესთან რობი მჯდარა. ალბათ მთვრალი იქნებოდა, თუმცა სტატიაში ამაზე არაფერი ეწერა. შედოუმ წარმოიდგინა, რა სახეს მიიღებდა ლორა, როცა გაიგებდა, რომ რობი მთვრალი იყო. სურათი თავისთავად დაიხატა მის გონებაში: ლორა რობის უყვირის, გზიდან გადადიო, უცებ მანქანა სატვირთოს ეჯახება, საჭე მკვეთრად ტრიალდება...

...მანქანა გზის პირას დგას; მინის ნამსხვრევები ფარების შუქზე ყინულივით და ბრილიანტივით ბრჭყვიალებს, იქვე ლალისფერი სისხლი დაგუბებულა. უკვე მკვდარი თუ მომაკვდავი ორი მგზავრის სხეული დამტვრეული მანქანიდან გამოაქვთ და გზის პირას ფრთხილად ასვენებენ.

– აბა? – ჰკითხა მისტერ უენზდეიმ, რომელმაც დამშეული ადამიანივით დაჭრა და შესანსლა სტეიკი. ახლა შემწვარ კარტოფილებს ურჭობდა ჩანგალს და ახრამუნებდა.

– მართალია, – თქვა შედოუმ, – სამუშაო აღარ მაქვს.

შედოუმჯიბიდან ოცდახუთცენტიანი ამოიღო. ზურგზე ამოტრიალებული დაიდო თითზე და ასროლისას თითის წვერი ისე წაჰკრა, რომ ჰაერში აყანყალებულიყო, თითქოს ბრუნავდა. სინამდვილეში მონეტა ერთხელაც არ ამობრუნებულა, ასევე დაიჭირა და ხელზე დაიდო.

– აირჩიე, – უთხრა მისტერ უენზდეის.

– რატომ?

– ჩემზე უიღბლოსთან მუშაობა არ მინდა. აირჩიე.

– პირი, – თქვა მისტერ უენზდეიმ.

– ვწუხვარ, – მონეტაზე დაუხედავად თქვა შედოუმ, – ზურგია. „ჩავაწყვე“.

– თამაშის ჩამწყობების ჯობნა ყველაზე იოლია, – თქვა უენზდეიმ და მსხვილი თითი დაუქნია შედოუს, – მონეტას კარგად დახედე. შედოუ ასეც მოიქცა. მონეტა პირზე იყო ამოტრიალებული.

– ეტყობა, წესიერად ვერ ავაგდე, – დაბნეულად ჩაილაპარაკა შედოუმ.

– თავს ნუ დაიდანაშაულებ, – უთხრა უენზდეიმ და გაიკრიჭა, – უბრალოდ, ძალიან, ძალიან იღბლიანი ვინმე ვარ, – შემდეგ თავი ასწია და წამოიძახა: – ამას ვის ვხედავ! შეშლილო სუინი[16], ჩვენთან ერთად არ დალევ?

– „სადერნ კამფერტი“[17] კოლასთან ერთად ყინულის გარეშე, – მოითხოვა ვიღაცამ შედოუს ზურგს უკან.

– წავალ, ბარმენს დაველაპარაკები, – წამოდგა უენზდეი და დახლისკენ დაიძრა.

– მე რას დავლევ, არ გაინტერესებს? – ჰკითხა შედოუმ.

– ვიცი, რასაც სვამ, – უპასუხა უენზდეიმ და დახლთან მივიდა. ჯუკბოქსში ისევ პეტსი კლაინი ამღერდა „Walking after Midnight“-ს.

კაცი, რომელმაც „სადერნ კამფერტი“ შეუკვეთა, შედოუს გვერდით დაჯდა. მოკლე, წითური

წვერი ჰქონდა. ღია ფერის საკერებლებიანი დენიმის პიჯაკი, მის ქვეშ კი დალაქავებული თეთრი მაისური ეცვა. მაისურზე ეწერა:

რასაც ვერ შეჭამ**,** ვერ დალევ**,** ვერ მოწევ ან

შეიყნოსავ**...** ყველაფერს შ**...**ცი**!** თავზე ბეისბოლისტის

ქუდი ეხურა წარწერით:

ამქვეყნად მხოლოდ ერთი ქალი მიყვარდა
და ისიც სხვისი ცოლი იყო**...** დედაჩემი**!**

კაცმა ჭუჭყიანი ფრჩხილის გამოყენებით „ლაკი სტრაიკის“ რბილი კოლოფი გახსნა, სიგარეტი ამოიღო და შედოუსაც შესთავაზა. შედოუმ მექანიკურად მოინდომა ერთი ღერის გამორთმევა – თვითონ არ ეწეოდა, მაგრამსიგარეტის ბევრ რამეში გაცვლა შეიძლება – მაგრამ უცებ გაახსენდა,

რომ ციხეში აღარ იჯდა. გარეთ ნებისმიერ დროს იყიდდა სიგარეტს. უარის ნიშნად გააქნია თავი.

– მაშ, ჩვენი კაცისთვის მუშაობ? – ჰკითხა წვერიანმა ტიპმა. მთვრალი არა, მაგრამ შეზარხოშებული კი იყო.

– ეგრე გამოდის, – უპასუხა შედოუმ. წვერიანმა ტიპმა სიგარეტს მოუკიდა.

– მე ლეპრეკონი[18] ვარ. შედოუს არ გაუცინია.

– მართლა? – იკითხა მან, – მაშინ „გინესს“ არ უნდა სვამდე.

– სტერეოტიპები. ცოტა შემოქმედებითად იაზროვნე, – უთხრა წვერიანმა ტიპმა, – ირლანდია მარტო „გინესი“ არ არის.

– ირლანდიური აქცენტი არ გაქვს.

– დიდი ხანია, აქ ვცხოვრობ.

– მაშ, წარმოშობით ირლანდიიდან ხარ?

– ხომ გითხარი, ლეპრეკონი ვარ. ლეპრეკონები მოსკოველები კი არ არიან.

– ჰო, მგონი, არა.

უენზდეი მაგიდასთან დაბრუნდა. დათვის ტორისოდენა ხელით სამისთვის განკუთვნილი სასმელი იოლად ეჭირა.

– „სადერნ კამფერტი“ შენთვის, შეშლილო სუინი, ჩემო ძმაო, და „ჯეკ დენიელსი“ ჩემთვის. ეს კი შენ, შედოუ.

– ეს რა არის?

– გასინჯე.

მოყავისფრო-ოქროსფერი სითხე იყო. შედოუმ ცოტა მოსვა. მომწარო-მოტკბო გემო დაჰკრავდა. სპირტის გემოს სხვა უფრო სურნელოვანი არომატები შერწყმოდა. ცოტათი ციხეში დამპალი ხილისგან, პურისგან, შაქრისა და წყლისგან ნაგვის ტომარაში გამოხდილი არაყი მოაგონა, ოღონდ ამას უფრო უცხო, მოტკბო გემო ჰქონდა და უფრო მსუბუქი დასალევი იყო.

– აჰა, გავსინჯე, – თქვა შედოუმ, – რა არის?

– თაფლუჭი, – უპასუხა უენზდეიმ, – თაფლის ღვინო. გმირების სასმელი. ღმერთების სასმელი.

შედოუმკიდევ ცოტა მოსვა. დიახ, თაფლის გემოიგრძნო. ერთ-ერთი არომატი თაფლისა იყო.

– მწნილის წვენის გემო აქვს, – თქვა მან, – ტკბილი მწნილის წვენის ღვინოსავითაა.

– მთვრალი დიაბეტიკის ფსელის გემო აქვს, – თქვა უენზდეიმ, – მეზიზღება თაფლუჭი.

– მაშინ რატომ მომიტანე? – გაუკვირდა შედოუს.

უენზდეიმ სხვადასხვაფერი თვალებით შემოხედა. ერთ-ერთი შუშისააო, დაასკვნა შედოუმ, მაგრამ რომელი, ვერ მიხვდა.

– თაფლუჭი ტრადიციული სასმელია და დასალევად ამიტომ მოგიტანე. ისეთი დრო დადგა, რაც უფრო მეტად დავიცავთ ტრადიციებს, მით უკეთესი იქნება. თაფლუჭი ჩვენს შეთანხმებას განამტკიცებს.

– არაფერზე შევთანხმებულვართ.

– რასაკვირველია, შევთანხმდით. ჩემთვის იმუშავებ. დამიცავ. დამეხმარები. სხვადასხვა ადგილას მატარებ. გამოძიებასაც აწარმოებ, ხანდახან... ზოგან წახვალ და ჩემთვის რაღაცებს გამოიკითხავ. დავალებებს შეასრულებ. თუ საჭირო იქნება, ოღონდ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, ვიღაც-ვიღაცებს ცხვირ-პირს დაუნგრევ. ნაკლებ სავარაუდოა, მაგრამ თუ მოვკვდები, ღამეს გამითევ. ამ ყველაფრის სანაცვლოდ ყველა შენს სურვილს სათანადოდ დავაკმაყოფილებ.

– გატყუებს, – წითურ წვერზე ხელი ჩამოისვა შეშლილმა სუინიმ, – დიდი გადამგდებია.

– დიახაც, გადამგდები ვარ, – თქვა უენზდეიმ, – ამიტომაც მჭირდება ისეთი ვინმე, ვინც ჩემს ინტერესებს დაიცავს.

ჯუკბოქსში სიმღერა დამთავრდა და წამით ბარში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ შეწყვიტა საუბარი.

– ერთხელ ვიღაცამ მითხრა, ასეთი სრული სიჩუმე, ყველა რომ მოკეტავს ხოლმე, იმას ნიშნავს, რომელიღაც საათის ოცი წუთია თუ რომელიღაც საათს ოცი წუთი აკლიაო, – თქვა შედოუმ.

სუინიმ ალიგატორის ყბებს შორის მოქცეულ კედლის საათზე მიუთითა. ისრები თერთმეტ საათსა და ოც წუთს უჩვენებდნენ.

– აჰა, – თქვა შედოუმ, – აზრზე არ ვარ, ასე რატომ ხდება.

– მე ვიცი, რატომაც, – თქვა უენზდეიმ.

– ჩვენ არ გვეტყვი?

– შეიძლება ოდესმე გითხრა. ან არ გითხრა. თაფლუჭი დალიე.

შედოუმ დარჩენილი თაფლუჭი ერთ ყლუპად შესვა.

– ყინულთან ერთად უკეთესი იქნებოდა, – დადგა ჭიქა მაგიდაზე.

– ან არ იქნებოდა, – თქვა უენზდეიმ, – საშინელისასმელია.

– მართლაც ეგრეა, – დაეთანხმა შეშლილი სუინი, – უკაცრავად, ბატონებო, მაგრამ დროებით დაგტოვებთ, რადგან ისე მეფსია, ვერაფრით მოვითმენ, – წამოდგა და ტუალეტში წავიდა. წარმოუდგენლად მაღალი კაცი აღმოჩნდა. ორ მეტრზე მაღალი უნდა იყოსო, დაასკვნა შედოუმ.

მიმტანმა გოგომ მაგიდა ტილოთი გადაწმინდა და ცარიელი თეფშები წაიღო. სუინის საფერფლეც დაცალა და იკითხა, სასმელს კიდევ ხომ არ ინებებთო. უენზდეიმ სამივესთვის იგივე სასმელი შეუკვეთა, ოღონდ სთხოვა, ამჯერად შედოუს თაფლუჭში ყინულის ნატეხები ჩაეყარა.

– მოკლედ, – თქვა უენზდეიმ, – აი, ამას მოვითხოვ შენგან, თუ ჩემთვის იმუშავებ. შენ კი, რასაკვირველია, იმუშავებ.

– ეგ შენი მოთხოვნებია, – თქვა შედოუმ, – არ გაინტერესებს, მე რას ვითხოვ?

– გულისყურით გისმენ.

მიმტანმა სასმელი მოიტანა. შედოუმ ყინულიანი თაფლუჭი მოსვა. თაფლუჭს ყინულმა არ უშველა, პირიქით, უფრო გაამწკლარტა და შედოუს გემოც უფრო დიდხანს დარჩა პირში. თავი იმით დაიმშვიდა, რომ ძალიან სპირტიან სასმელს არ სვამდა. ჯერ დასათრობად არ ეცალა. ღრმად ჩაისუნთქა.

– კარგი, – დაიწყო შედოუმ, – ჩემი ცხოვრება, რომელსაც ბოლო სამი წლის განმავლობაში საუკეთესოს ისედაც ვერ ვუწოდებდით, სრულიად მოულოდნელად მკვეთრად გაუარესდა. რამდენიმე რამ უნდა გავაკეთო. ლორას დაკრძალვაზე უნდა წავიდე და უკანასკნელ გზაზე გავაცილო. შემდეგ, თუ ისევ დაგჭირდები, კვირაში ხუთასი დოლარით დავიწყებთ, – რიცხვი დაუფიქრებლად, ალალბედზე დაასახელა. უენზდეის გამომეტყველება არ შეუცვლია, – თუ ერთმანეთს შევეწყობით, ექვს თვეში ხელფასს კვირაში ათას დოლარამდე გამიზრდი.

შედოუ შეყოვნდა. აღარც კი ახსოვდა, ამსიგრძე სიტყვა ბოლოს როდის წარმოთქვა.

– ამბობ, შეიძლება, ვინმესთვის ცხვირ-პირის დანგრევაც დაგჭირდესო. კარგი, ასეც ვიზამ, თუ ვინმე შენთვის ცხვირ-პირის დანგრევას მოინდომებს. მაგრამ ხალხს გასართობად ან სახეიროდ არ ვცემ. ციხეში აღარ დავბრუნდები. ერთხელ მოვიხადე სასჯელი და საკმარისია.

– ციხეში დაბრუნება არ მოგიწევს, – დაჰპირდა უენზდეი.

– არა, ეს აღარ მოხდება, – თქვა შედოუმ და თაფლუჭი ბოლომდე დალია. მერე უცებ გაიფიქრა, ლაქლაქის ხასიათზე სასმელმა ხომ არ მომიყვანაო. სიტყვები მისი პირიდან ისე იფრქვეოდა, როგორც წყლის ნაკადი გატეხილი სახანძრო ონკანიდან, – არ მომწონხარ, მისტერ უენზდეი, თუ რაც სინამდვილეში გქვია. მეგობრები არ ვართ. არ ვიცი, თვითმფრინავიდან ისე როგორ ჩამოხვედი, რომ ვერ დაგინახე ან აქ როგორ მომაგენი. მაგრამ აღფრთოვანებული ვარ. ყოჩაღ. ახლა სამუშაო არ მაქვს, მაგრამ წინასწარგეუბნები, როცა საქმესმოვრჩებით, წავალ. თუ გამაბრაზებ, მაშინაც წავალ. მანამდე კი შენთვის ვიმუშავებ.

– ძალიან კარგი, – თქვა უენზდეიმ, – ესე იგი შევთანხმდით.

– ჯანდაბას, შევთანხმდით, – თქვა შედოუმ.

ოთახის მეორე კუთხეში შეშლილი სუინი ჯუკბოქსში ოცდახუთცენტიანებს ყრიდა. უენზდეიმ ხელზე დაიფურთხა და გამოიშვირა. შედოუმ მხრები აიჩეჩა და თვითონაც დაიფურთხა ხელისგულზე. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. უენზდეიმ მოუჭირა. შედოუმაც მოუჭირა. რამდენიმე წამის შემდეგ ხელი ეტკინა. უენზდეის კიდევ ნახევარი წუთი ეჭირა მისი ხელი და გაუშვა.

– კარგი, – თქვა მან, – კარგი. ძალიან კარგი, – და სახეზე ღიმილი გაუკრთა. ნეტავ გულწრფელი, სიამოვნების გამომხატველი თუ იყო ეს ღიმილიო, გაიფიქრა შედოუმ, – მაშ, ასე, კიდევ ერთი ჭიქა უგემური, საშინელი თაფლუჭი შესვი შეთანხმების განსამტკიცებლად და ეგაა.

– მე „სადერნ კამფერტი“ მინდა კოლასთან ერთად, – მაგიდასთან დაბრუნდა შეშლილი სუინი.

ჯუკბოქსში „ველვიტ ანდერგრაუნდის“ სიმღერა ჩაირთო. შედოუს გაუკვირდა, „Who Loves the Sun?“ ჯუკბოქსისთვის შეუფერებელ სიმღერად მოეჩვენა. თუმცა, მთელი საღამო ისეთი უჩვეულო რამეები ხდებოდა, სიმღერა მათთან რა მოსატანია.

შედოუმ თავისი ოცდახუთცენტიანი მაგიდიდან აიღო და მარჯვენა ხელის საჩვენებელ და ცერა თითებს შორის მოიქცია. ახლად დაჭდევებული მონეტის შეხება ესიამოვნა. თითების მსუბუქი შეხებით, მონეტა ვითომ მარცხენა ხელში გადაიტანა, სინამდვილეში კი მარჯვენა მუჭში მოიქცია. მარცხენა მუჭი წარმოსახვითი მონეტის ირგვლივ მაგრად შეკრა. შემდეგ მეორე მონეტაც ამოიღო ზუსტად ასევე, ცერა და საჩვენებელი თითებით და ვითომ ისიც მარცხენაში გადაიტანა, მაგრამ სინამდვილეში ისიც მარჯვენა მუჭში ჩასრიალდა და პირველ მონეტას დაეცა. გაისმა წკარუნი, რამაც გაამყარა იმის ილუზია, რომ ორივე მონეტა მარცხენა მუჭში ჰქონდა, როცა პირიქით, ერთსაც და მეორესაც მარჯვენაში მალავდა.

– ფოკუსია? – წვერმოდებული ნიკაპი ასწია სუინიმ, – უფრო მაგარი ფოკუსი ესაა. უყურე.

აიღო ჭიქა, რომელშიც თაფლუჭი ესხა და ყინულის ნატეხები საფერფლეში გადაყარა. შემდეგ ხელი ასწია და თითქოს ჰაერიდან ჩამოხსნა დიდი, მბზინავი ოქროს მონეტა.

მონეტა ჭიქაში ჩააგდო. მეორე მონეტაც ჩამოხსნა ჰაერიდან და ისიც ჭიქაში ჩააგდო. მეორე პირველს წკარუნით დაეცა. კიდევ ერთი მონეტა კედელზე მიმაგრებულ შანდალში ჩარჭობილი სანთლის ალიდან გამოიღო, ერთიც – წვერიდან, მესამე – შედოუს ცარიელი მარცხენა მუჭიდან და ერთიმეორის მიყოლებით ჩაუძახა ჭიქაში. თითები ჭიქას ზემოდან შემოაჭდო, სული მაგრად შეუბერა და მისი ხელიდან კიდევ რამდენიმე მონეტა ჩაცვივდა ჭიქაში. ჭიქა წებოვანი მონეტებიანად აიღო და პიჯაკის ჯიბეში დააპირქვავა. შემდეგ ჯიბეზე ხელი წაირტყა. ჩხარუნი არ გაისმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჯიბე ცარიელი იყო.

– აჰა, ფოკუსი ამას ჰქვია, – თქვა მან.

შედოუმ, რომელიციმპროვიზებულ ფოკუსს ყურადღებით აკვირდებოდა, თავი გადახარა.

– აუცილებლად უნდა ამიხსნა, ეგ როგორ გააკეთე, – თქვა მან.

– როგორ და, – ისეთი კილოთი წარმოთქვა სუინიმ, თითქოს უდიდეს საიდუმლოს ამხელდა, – ოსტატურად და დახვეწილად. დიახაც, – და ჩაცინებისას მეჩხერი კბილები გამოაჩინა.

– დიახ, და მეც უნდა მასწავლო, ეგრე ოსტატურად და დახვეწილად როგორ გავაკეთო, – უთხრა შედოუმ, – „ძუნწის ოცნების“ შესრულების ყველა ხერხი წამიკითხავს. ალბათ მონეტები იმავე ხელში გქონდა, რომლითაც ჭიქა გეჭირა, ხოლო მარჯვენით ერთსა და იმავე მონეტას გვიჩვენებდი.

– აუჰ, მაგდენ რამეს რა იზამს, – თქვა შეშლილმა სუინიმ, – ჰაერიდან ჩამოხსნა უფრო იოლია, – ნახევრად დაცლილი ჭიქა აიღო, შიგ ჩაიხედა და ისევ მაგიდაზე დადგა.

უენზდეი ორივეს ისე მისჩერებოდა, თითქოს ახალი, მანამდე სრულიად წარმოუდგენელი სიცოცხლის ფორმები აღმოეჩინოს. შემდეგ თქვა: – შედოუსთვის თაფლუჭი, ჩემთვის ისევ „ჯეკ დენიელსი“ და მუქთახორა ირლანდიელისთვის...?

– ბოთლის ლუდი. უმჯობესია, შავი, – თქვა სუინიმ, – მაშ, მუქთახორა ვარ? – ჭიქა აიღო, უენზდეისკენ გაიშვირა და სადღეგრძელო წარმოთქვა: – დაე, ქარიშხალმა ჩაგვიაროს და საღ-სალამათები და უვნებლები გადავრჩეთ, – ამ სიტყვებით ჭიქა დაცალა.

– მშვენიერი სადღეგრძელოა, – თქვა უენზდეიმ, – მაგრამ ეგ არ მოხდება. შედოუს

კიდევ ერთი ჭიქა თაფლუჭი დაუდგეს წინ.

– ეს უნდა დავლიო? – უნდომლად იკითხა მან.

– ვშიშობ, კი. ამით ჩვენი შეთანხმება უნდა გამტკიცდეს. მესამე და სამართალიო, როგორც იტყვიან.

– ჯანდაბა, – ჩაიბურტყუნა შედოუმ და თაფლუჭი ორ ყლუპად დალია. მწკლარტე თაფლის გემომ გამოუვსო პირი.

– ესეც ასე, – უთხრა უენზდეიმ, – ახლა უკვე ჩემი კაცი ხარ.

– აბა, გინდა, გასწავლო იმ ფოკუსის კეთება? – ჰკითხა სუინიმ.

– კი, – უპასუხა შედოუმ, – მონეტები სახელოში დამალე?

– სახელოში დავმალე არა, ის, – ჩაიხითხითა სუინიმ, რომელიც ისე ირწეოდა, თითქოს

აწოწილი, წვერიანი, მთვრალი ვულკანი იყო და საკუთარი ბრწყინვალებით აღფრთოვანებული ამოსაფრქვევად ემზადებოდა, – მსოფლიოში ყველაზე იოლი ფოკუსია. შემერკინე და, თუ მომერევი, გასწავლი, როგორ გააკეთო.

– არა, – უარის ნიშნად თავი გააქნია შედოუმ.

– ჰაჰ, რამაგარია, – მთელ ოთახსმიმართა სუინიმ, – ბებერმა უენზდეიმ პირადი მცველი აიყვანა, ტიპს კი მუშტის მოქნევის ეშინია.

– არ შეგებრძოლები, – გაიმეორა შედოუმ.

სუინი ბარბაცებდა და ოფლი სდიოდა. კეპის წინაფრას უსვამდა ხელს. შემდეგ ჰაერიდან მონეტა ჩამოხსნა და მაგიდაზე დადო.

– ნამდვილი ოქროა, თუ გაინტერესებს, – თქვა სუინიმ, – მომერევი თუ ვერა – გპირდები, ვერ მომერევი – შენი იქნება, თუკი შემებრძოლები. ამხელა კაცი ხარ, ვინ იფიქრებდა, ასეთი მხდალი თუ იქნებოდი.

– უკვე გითხრა, რომ არ შეგებრძოლება, – უთხრა უენზდეიმ, – წადი, შეშლილო სუინი. წაიღე შენი ლუდი და მოგვშორდი. სუინი უენზდეის მიუახლოვდა.

– მაშ, მუქთახორას მიწოდებ, შე განწირულო ბებერო? შე ცივსისხლიანო, უგულო ჯალათო! სუინის სახე სიბრაზისგან გაუწითლდა. უენზდეიმ ხელები გაშალა და ამოატრიალა, მშვიდობის ნიშნად.

– სუინი, ჭკუას მოუხმე. დაფიქრდი, სად რას ამბობ.

სუინიმ დაუბღვირა. შემდეგ გალეშილი კაცის სრული სერიოზულობით უთხრა: – მშიშარა დაგიქირავებია. ახლა სახეში რომ მოგდო, შენი აზრით, ნეტავ რას იზამს?

– თავი მომაბეზრა, – შედოუს მიუტრიალდა უენზდეი, – მიხედე ამას. შედოუ წამოდგა და შეშლილ სუინის სახეში შეხედა. ნეტავ რამსიმაღლეაო, გაიფიქრა.

– გვაწუხებ, – უთხრა მას, – მთვრალი ხარ. გირჩევ, წახვიდე. სუინის სახეზე ღიმილი გადაეფინა.

– ესეც ასე, ფინია აწკავწკავდა და საჩხუბრად მზადაა. ეი, ხალხო, – მთელი ოთახის გასაგონად დაიყვირა მან, – ახლა ვიღაც ჭკუას ისწავლის. უყურეთ! – და ვეება მუშტი

შედოუს სახეში სთხლიშა. შედოუს მუშტი მარჯვენა თვალში მოხვდა და დარეტიანებული უკან გადაქანდა.

ასე დაიწყო ბრძოლა.

სუინი სტილის გარეშე, არაპროფესიონალივით იბრძოდა, დაუფიქრებლად იქნევდა ვეება მუშტებს. რამდენჯერაც მიზანს უწია, იმდენჯერვე ააცილა.

შედოუ თავს იცავდა, ფრთხილობდა, სუინის დარტყმებს იგერიებდა ან თავს არიდებდა. მათ გარშემო სეირის მაყურებლები შეგროვდნენ. ზოგიერთის პროტესტის მიუხედავად, მოკრივეთათვის ადგილის გასათავისუფლებლად მაგიდები აქეთ-იქით გასწიეს. შედოუ გრძნობდა, რომ უენზდეი თვალს არ აშორებდა და სახეზე ისევ ის ცივი ღიმილი ეხატა. ეს აშკარად გამოცდა იყო, მაგრამ რომელი? შედოუმ ციხეში ისწავლა, რომ ორნაირი ბრძოლა

არსებობს: „ჩემთანხუმრობა არ ღირს“ ტიპის ბრძოლები, რომლებშიც მაქსიმალურად შთამბეჭდავად და ეფექტურად უნდა იმოქმედო და პირადი ბრძოლები, ნამდვილი ბრძოლები, რომლებიც უფრო სწრაფი, რთული და საშინელია და სულ რამდენიმე წამში მთავრდება.

– ეი, სუინი, რატომ ვჩხუბობთ? – ჰკითხა აქოშინებულმა შედოუმ.

– ისე, გასართობად, – უპასუხა უკვე სუინიმ, რომელიც უკვე გამოფხიზლებულიყო, ყოველ შემთხვევაში, სიმთვრალე აღარ ეტყობოდა, – მხოლოდ და მხოლოდ გასართობად. ვერ გრძნობ, შენს ძარღვებში სიხარული რომ ჩადგა, როგორც გაზაფხულზე ხეში – წყალი?

სუინის გახეთქილი ტუჩიდან სდიოდა სისხლი, შედოუს – გადაყვლეფილი მუშტიდან.

– მეტყვი თუ არა, ფოკუსს როგორ აკეთებ? – ჰკითხა შედოუმ და გადაიხარა, თავში დამიზნებული მუშტი მხარში მოხვდა.

– სიმართლე თუ გინდა, – ჩაიბურტყუნა სუინიმ, – ფოკუსს როგორ ვაკეთებ, მაშინვე გითხარი, როცა პირველად გამოგელაპარაკე. მაგრამ არავინაა იმაზე ბრმა – ვაი! კარგი იყო! – ვინც არ ისმენს.

შედოუს მუშტმა სუინი მაგიდისკენ მოისროლა. ცარიელი თეფშები და საფერფლეები იატაკზე დაცვივდა და დაილეწა. შედოუს იქვე შეეძლო საქმის მოთავება, მაგიდაზე გაშხლართული სუინი თავს ვერაფრით დაიცავდა. მაგრამ ჯერ უენზდეის გახედა. მან თავი დაუქნია. შედოუ შეშლილ სუინის დაადგა თავზე.

– მოვრჩით? – შეშლილმა სუინიმ მცირე ყოყმანის შემდეგ თავი დაუქნია. შედოუმ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. სუინი აქოშინებული წამოდგა.

– ჩემს ფეხებს მოვრჩით, სანამ მე არ ვიტყვი! – დაიყვირა მან, გაიღიმა და მუშტების ქნევით ისევ შედოუს მივარდა. მაგრამ ფეხი ძირს დაყრილ ყინულის ნატეხებზე

გაუსრიალდა და მისი ღიმილი იმედგაცრუების გრიმასად გადაიქცა. პირაღმა გაადინა ზღართანი და კეფა იატაკს ძლიერად დაარტყა. შედოუმ მკერდზე მუხლი დაადო.

– ხელმეორედ გეკითხები, ბრძოლას მოვრჩით თუ არა?

– ჰო, მოვრჩით, – უპასუხა სუინიმ და თავი წამოსწია, – რადგან ხალისისგან ისე დავიცალე,

როგორც პატარა ბიჭი – შარდისგან, ზაფხულის ცხელ დღეს აუზში ჭყუმპალაობისას, – ამ სიტყვებით პირიდან სისხლი გადმოაფურთხა, თვალები დახუჭა და ხვრინვა ამოუშვა.

ვიღაცამ შედოუს ზურგზე ხელი დაუტყაპუნა. უენზდეიმ ლუდის ბოთლი მიაწოდა.

ლუდს თაფლუჭზე უკეთესი გემო ჰქონდა.

შედოუს „სედანის“ უკანა სავარძელზე გაშოტილს გაეღვიძა. დილის მზე სახეში აჭერდა და თავი სტკიოდა. უხერხულად წამოჯდა და თვალები მოიფშვნიტა. მანქანა უენზდეის მიჰყავდა დათან უსმენოდ ღიღინებდა. ჭიქის სათავსში ყავით სავსე ქაღალდის ჭიქა ედო და ხელს მაგრად უჭერდა. შტატთაშორის მაგისტრალს მიუყვებოდნენ 105 კმ/სთ-ის სიჩქარით. მგზავრის სავარძელი ცარიელი იყო.

– როგორ ხარ ამ მშვენიერ დილას? – შემოუტრიალებლად ჰკითხა უენზდეიმ.

– ჩემს მანქანას რა მოუვიდა? – კითხვითვე უპასუხა შედოუმ, – ნაქირავები იყო.

– შეშლილი სუინი დააბრუნებს შენ მაგივრად. წუხელ ასე შეთანხმდით.

– შევთანხმდით?

– ჩხუბის შემდეგ.

– ჩხუბის? – შედოუმ ხელი ლოყაზე მიიდო და შეკრთა. ჰო, წუხელ წითურწვერიან მაღალ ტიპს ეჩხუბა, გარს სეირის მაყურებლები ეხვიათ და ყიჟინით ამხნევებდნენ, – ვინ გაიმარჯვა?

– არ გახსოვს, ხომ? – ჩაიხითხითა უენზდეიმ.

– წესიერად არა, – თქვა შედოუმ. წუხანდელი საუბრები თანდათან აგონდებოდა, – ყავა კიდევ გაქვს?

ზორბა კაცი მგზავრის სავარძლისკენ გადაიხარა და მის ქვემოდან წყლით სავსე ბოთლი გამოიღო.

– ეს გამომართვი. ახლა ყავაზე მეტად წყალი გიშველის. ბენზინგასამართ სადგურთან გავჩერდებით და ისაუზმებ. თავსაც მოიწესრიგებ. ლაფში ნაწოლ თხას ჰგავხარ.

– ღორს, – შეუსწორა შედოუმ.

– თხას, – დაიჟინა უენზდეიმ, – აქოთებულ, დიდკბილება თხას.

შედოუმ ბოთლს თავი მოხსნა და წყალი დალია. მისი პიჯაკის ჯიბეში რაღაცამ ყრუდ დაიწკარუნა. შიგ ხელი ჩაიყო და ორმოცდაათცენტიანის ზომის მონეტა ამოიღო. მძიმე და მუქი ყვითელი იყო, ოდნავ წებოვანიც. კლასიკური მოძრაობით მონეტა მარჯვენა ხელისგულზე დაიდო, როგორც ფოკუსის ჩვენებისას, შემდეგ საჩვენებელი თითითა და ნეკით დაიკავა, ხოლო შუათითისა და არათითის დახმარებით მოხერხებულად მიატრიალ-მოატრიალა – მონეტა თითქოს გაქრა და ისევ გაჩნდა. ბოლოს მონეტა ისევ ჯიბეში ჩაიდო.

– წუხელ რა ჯანდაბას ვსვამდი? – ჰკითხა მისტერ უენზდეის შედოუმ. მის თავში მოგონებები უწესრიგოდ და უსახოდ ფუთფუთებდნენ.

უენზდეიმ ავტოსტრადიდან გადასასვლელი დაინახა, რაც ბენზინგასამართი სადგურის სიახლოვეს მოასწავებდა და გაზს დააწვა.

– არ გახსოვს?

– არა.

– თაფლუჭს, – გაიკრიჭა უენზდეი.

„თაფლუჭი, ჰო“.

შედოუ სავარძელზე გადაწვა და ბოთლიდან წყალი მოწრუპა. წინა ღამის მოგონებები ერთბაშად მოაწყდა. ბევრი რამ გაახსენდა, ზოგი რამ – არა.

ბენზინგასამართ სადგურზე შედოუმ ჰიგიენური საშუალებების კომპლექტი იყიდა. კომპლექტში შედიოდა: სამართებელი, საპარსი ქაფი, სავარცხელი და ერთჯერადი კბილის ჯაგრისი კბილის პასტის პაწაწინა ტუბთან ერთად. შემდეგ კაცების ტუალეტში შევიდა და სარკეში ჩაიხედა.

ცალი უპე ჩაშავებოდა – თითი რომ მიიდო, საშინლად ეტკინა – და ზედა ტუჩი გასივებოდა. თმა აჩეჩილი ჰქონდა. ისე გამოიყურებოდა, თითქოს ნახევარი ღამე ჩხუბობდა, მეორე ნახევარი კი ტანსაცმლის გაუხდელად მანქანის უკანა სავარძელზე ეგდო და ღრმად ეძინა. საიდანღაც

მუსიკის სუსტი ხმა აღწევდა. რამდენიმე წამი დასჭირდა „ბითლზის“ „Fool on the Hill“ის გამოსაცნობად.

შედოუმ პირი ტუალეტის თხევადი საპნით დაიბანა, შემდეგ საპარსი ქაფი წაისვა და წვერი გაიპარსა. თმა დაისველა და უკან გადაივარცხნა. კბილები გაიხეხა. ბოლოს ნელთბილი წყლით პირზე შერჩენილი საპარსი ქაფი და კბილის პასტაც ჩამოიბანა. კვლავ შეხედა თავის ანარეკლს: სუფთად გაპარსული კი იყო, მაგრამ თვალები მაინც ჩაწითლებული, უპეები კი გაბერილი ჰქონდა. თავი ასაკთან შედარებით უფრო ხნიერად მოეჩვენა.

გაიფიქრა, ნეტავ ლორა რას იტყვის, ასეთს რომ მნახავსო, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ ლორა საერთოდ ვერაფერს იტყოდა და სარკეში დაინახა, სახე როგორ აუთრთოლდა, ოღონდ მხოლოდ წამით.

გარეთ გავიდა.

– გულისამრევად გამოვიყურები, – თქვა შედოუმ.

– ნამდვილად, – დაეთანხმა უენზდეი.

უენზდეიმ ხემსი სალაროსთან, დახლზე დაახვავა და საჭმლისა და ბენზინის საფასური ერთად გადაიხადა. ბევრი იყოყმანა, პლასტიკური ბარათით გადაეხადა თუ ნაღდი ფულით, რამაც მოლარე გოგო, რომელიც უშნოდ ღეჭავდა კევს, ძალიან გააღიზიანა. უენზდეი აღელდა და ბოდიში მოუხადა. უეცრად თითქოს მოხუცს დაემსგავსა. გოგომ თანხა დაუბრუნა, საფასური ბარათიდან ჩამოაჭრა და ქვითარი მისცა, შემდეგ ფული ისევ გამოართვა და კვლავ დაუბრუნა და ამჯერად სხვა პლასტიკური ბარათი გამოართვა. უენზდეის ატირებას ცოტაღა უკლდა, უმწეო მოხუცივით აებნა თავგზა პლასტიკური ბარათების თანამედროვე სამყაროში. შედოუმ ტაქსოფონი იპოვა, მაგრამ არ მუშაობდა. თბილი მაღაზიიდან გამოვიდნენ თუ არა, მათი ამონასუნთქი ორთქლად გადაიქცა.

– თუ გინდა, საჭესთან მე დავჯდები, – შესთავაზა შედოუმ.

– გამორიცხულია, – უთხრა უენზდეიმ.

ლარივით გაჭიმული ავტოსტრადის ორივე მხარეს გახუნებული მინდვრები მოჩანდა, მინდვრებზე – უფოთლებო, ხმელი ხეები. ტელეგრაფის კაბელზე ჩამომჯდარმა ორმა შავმა ფრინველმა თვალი გააყოლა მათ.

– ეი, უენზდეი.

– რა?

– თუ სწორად მივხვდი, ბენზინის საფასური არ გადაგიხდია.

– არა?

– თუ სწორად მივხვდი, პირიქით, გოგომ გადაგიხადა ფული, რომ პატივი დასდე და მისი ბენზინგასამართი სადგურით ისარგებლე. როგორ ფიქრობ, უკვე მოტვინავდა?

– ვერასდროს მოტვინავს. – მაშ, ვინ ხარ, ყალთაბანდი? უენზდეიმ თავი დაუქნია. –

  დიახ, სხვა ბევრ რამესთან ერთად.

უენზდეი მარცხენა ზოლზე გადავიდა, სატვირთოს გასასწრებად. ცას ნაცრისფერი ღრუბლები გადაჰკვროდა.

– მოთოვს, – თქვა შედოუმ.

– ჰო.

– სუინიმ მართლა მაჩვენა, მონეტებით ფოკუსს როგორ აკეთებს?

– კი.

– არ მახსოვს.

– გაგახსენდება. გრძელი ღამე იყო. საქარე მინას რამდენიმე თოვლის ფიფქი დაეცა და მაშინვე გადნა.

– შენი ცოლის ცხედარი ახლა „უენდელის“ დამკრძალავ სახლში ასვენია, – თქვა უენზდეიმ, – ნაშუადღევს სასაფლაოზე გადაასვენებენ.

– რა იცი?

– სანამ ციხეში იჯექი, გადავრეკე და გავარკვიე. იცი, სად არის „უენდელის“ დამკრძალავი სახლი?

შედოუმ თავი დაუქნია. მათ თვალწინ თოვლის ფანტელები აცეკვდნენ.

– აქ უნდა გადავუხვიოთ, – თქვა შედოუმ.

მანქანა შტატთაშორისი ავტომაგისტრალიდან გადავიდა და ჩრდილოეთით, იგლპოინტისკენ გაუხვია. გზად მოტელების წყებას ჩაუარეს.

სამი წელი გავიდა. „სუპერ-8“ მოტელი დაენგრიათ და მის ადგილას „უენდისი“ აეშენებინათ. შედოუმ უამრავი ახალი მაღაზიის ვიტრინა შენიშნა, შუქნიშნებიც მომრავლებულიყო. ქალაქის ცენტრში, „კუნთების ფერმასთან“ გავლისას, შედოუმ უენზდეის სიჩქარის შენელება სთხოვა. კარზე ხელნაწერი აბრა ეკიდა: „დაკეტილია განუსაზღვრელი დროით მფლობელის გარდაცვალების გამო“.

მარცხნივ, მეინ-სტრიტზე შეუხვიეს. უკან მოიტოვეს ახალგახსნილი ტატუ-სალონი, გამწვევი პუნქტი, „ბურგერ კინგი“, ძველი და შედოუსთვის ნაცნობი აფთიაქი „ოლსენი“ და „უენდელის“ დამკრძალავი სახლის ყვითელფასადიანი აგურის შენობაც გამოჩნდა. ფანჯარასთან მიმაგრებულ ნეონის აბრაზე „განსასვენებელი“ ეწერა. იქვე, ვიტრინაში, სუფთა, ამოუტვიფრავი, სახელდაუნათლავი საფლავის ქვები ეწყო. უენზდეიმ ავტოსადგომზე გააჩერა მანქანა.

– გინდა, შემოგყვე? – ჰკითხა შედოუს.

– დიდად არა.

– კარგი, – ისევ ის უსიხარულო ღიმილი დაეხატა სახეზე უენზდეის, – სანამ მეუღლეს გამოეთხოვები, სხვა საქმეებს მივხედავ. მოტელ „ამერიკაში“ ვიქირავებ ჩვენთვის ოთახებს. იქ შევხვდეთ.

შედოუ გადავიდა და იქვე იდგა, სანამ მანქანა თვალს არ მიეფარა. შემდეგ შენობაში შევიდა. ნახევრად ბნელ დერეფანში ყვავილებისა და პოლიტურის სუნს

ფორმალდეჰიდისა და ხრწნის მსუბუქი სუნი ერწყმოდა. დერეფნის ბოლოს განსასვენებელი ოთახი იყო.

შედოუმ თავისდა უნებურად თითებით მონეტა აათამაშა, მისი შეხება ამხნევებდა.

დერეფნის ბოლოს, კართან, ქაღალდის ფურცელი გაეკრათ. ზედ მისი ცოლის სახელი ეწერა. განსასვენებელ ოთახში შევიდა. იქ ლორას ოჯახის წევრები, მისი თანამშრომლები და რამდენიმე მეგობარი შეგროვილიყო.

შედოუ ყველამ იცნო. ამას მათი გამომეტყველების დანახვისთანავე მიხვდა. თუმცა, არავინ გაუღიმა, არავინ მიესალმა.

კუთხეში, შემაღლებულზე, კრემისფერი კუბო იდგა. კუბოსთვის მეწამული, ყვითელი, თეთრი და მოიისფრო-სისხლისფერი თაიგულები შემოეწყოთ. შედოუმ ერთი ნაბიჯით წინ წაიწია. აქედან ლორას ცხედარს ხედავდა. უფრო წინ წასვლა ან ოთახიდან გასვლა ვერ გაბედა.

შავკოსტიუმიანმა კაცმა, რომელიც, შედოუს აზრით, დამკრძალავი სახლის თანამშრომელი უნდა ყოფილიყო, ჰკითხა: – სერ, სამძიმრის წიგნში ხელმოწერას ხომ არ დატოვებთ? – და პატარა კათედრაზე გადაშლილ ტყავისყდიან წიგნზე მიუთითა.

ნელა, გარკვევით დაწერა „შედოუ“, თარიღი და იქვე ფრჩხილებში „ცუგა“ მიაწერა. დროს

წელავდა, არ უნდოდა შეგროვილ ხალხთან და კუბოსთან მიახლოება. კუბოსთან, რომელშიც ესვენა ის, ვინც ლორა აღარ იყო.

დერეფნიდან ტანდაბალი ქალი შემოვიდა და კართან გაჩერდა. მოწითალოსპილენძისფერი თმა ჰქონდა, შავი, ძვირად ღირებული ტანისამოსი ეცვა. „მგლოვიარე ქვრივი“, – გაიფიქრა შედოუმ. ქალს კარგად იცნობდა. ეს რობის ცოლი, ოდრი ბერტონი იყო.

ოდრის ვერცხლისფერ ფოლგაში გახვეული იების კონა ეჭირა. ასეთ იებს ივნისში ბავშვები კრეფენო, გაიფიქრა შედოუმ, მაგრამ ახლა იების სეზონი არ იყო.

ოდრიმ პირდაპირ შედოუს შეხედა, მაგრამ ვერ იცნო. შემდეგ ოთახი გადაჭრა და ლორას კუბოსთან მივიდა. შედოუ უკან მიჰყვა.

ლორა თვალებდახუჭული და გულხელდაკრეფილი ესვენა კუბოში. შედოუსთვის უცხო, სადა ლურჯი კოსტიუმი ეცვა. გრძელი, წაბლისფერი თმა შუბლიდან ჰქონდა გადაყრილი. ლორას თან ჰგავდა, თან – არა. მისი სიმშვიდე შედოუს არაბუნებრივად მოეჩვენა, ლორას ხომ ყოველთვის მოუსვენრად ეძინა.

ოდრიმ ზაფხულის იების კონა ლორას მკერდზე დაადო, მერე მარწყვისფერი ტუჩები მოპრუწა, რამდენიმე წამს აცმაცუნა და ლორას მკვდარ სახეზე დააფურთხა.

ფურთხი ლორას ლოყაზე დაეწვეთა და ყურისკენ ჩაცურდა.

ოდრი უკვე ოთახიდან გადიოდა. შედოუ კართან წამოეწია.

– ოდრი!

ამჯერად ქალმა იცნო. ნეტავ დამამშვიდებლებს ხომ არ სვამსო, გაიფიქრა შედოუმ. დაბნეულად ლაპარაკობდა.

– შედოუ? გამოიქეცი? თუ გამოგიშვეს?

– გუშინ გამათავისუფლეს, – უპასუხა შედოუმ, – წეღან რა ჯანდაბა ქენი? ოდრი

ნახევრად ბნელ დერეფანში გაჩერდა.

– იებზე მეკითხები? მისი საყვარელი ყვავილი იყო, ბავშვობაში ერთად ვკრეფდით ხოლმე.

– იებზე არ გეკითხები.

– აჰ, ეგ, – ოდრიმ ტუჩის კუთხე მოიწმინდა, – მეგონა, ისედაც ცხადი იქნებოდა.

– ჩემთვის არა, ოდრი.

– რა, შენთვის არ უთქვამთ? – მშვიდად, აუღელვებლად თქვა, – შენი ცოლი პირში ჩემი ქმრის სირგაჩრილი დაიღუპა, შედოუ.

ოდრი მიტრიალდა და ავტოსადგომზე გავიდა. შედოუ შიგნიდან უყურებდა, როგორ წავიდა. შემდეგ განსასვენებელ ოთახში დაბრუნდა. ვიღაცას უკვე მოეწმინდა მისთვის ფურთხი.

მგლოვიარეთაგან შედოუს თვალს ვერავინ უსწორებდა. რამდენიმემ გაბედა და მიუახლოვდა, მაგრამ იმათაც გაურკვევლად ჩაიბურტყუნეს თანაგრძნობის სიტყვები და სასწრაფოდ გაეცალნენ.

ნაშუადღევს – მანამდე შედოუმ „ბურგერ კინგში“ ისადილა – დაკრძალვა გაიმართა. ლორას კრემისფერი კუბო ქალაქის განაპირას, მინდვრიან ბორცვზე მდებარე პატარა, შემოუღობავ, შავი

გრანიტისა და თეთრი მარმარილოს საფლავის ქვებით სავსე საერთო სასაფლაოზე მიაბარეს მიწას.

სასაფლაოზე „უენდელის“ კატაფალკს ლორას დედასთან ერთად გაჰყვა. მისის მაკკეიბი ლორას სიკვდილში შედოუს ადანაშაულებდა.

– აქ რომ ყოფილიყავი, ეს არ მოხდებოდა, – თქვა მან, – არ ვიცი, ცოლად რატომ გამოგყვა. რამდენჯერ ვუთხარი! ათასჯერ გავუმეორე, მაგრამ გოგოები დედებს არასდროს უსმენენ, – ქალი გაჩუმდა და შედოუს ყურადღებით დააკვირდა, – ჩხუბობდი?

– დიახ, – უპასუხა შედოუმ.

– ველური, – თქვა ქალმა, პირი მოკუმა და ხმა აღარ ამოუღია. მთელი გზა წინ იყურებოდა.

შედოუს გასაკვირად, დაკრძალვას ოდრი ბერტონიც დაესწრო. სხვებისგან მოშორებით, უკან იდგა. ცერემონია მალე დასრულდა, კუბო ცივ სამარეში ჩაუშვეს. ხალხი დაიშალა.

შედოუ არ წასულა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა და აცახცახებული უყურებდა მიწაში ამოთხრილ ორმოს.

მის თავზემოთ ცა სარკესავით ბრტყელი, უსახო და ნაცრისფერი იყო. თოვა არ შემწყდარა, ზემოდან უწესრიგოდ ცვიოდა აჩრდილისებრი ფანტელები.

შედოუს ლორასთვის რაღაცის თქმა უნდოდა და იცდიდა, როდის მიხვდებოდა, რა ჰქონდა სათქმელი. სამყარო თანდათან გაუფერულდა და დაბნელდა. შედოუს ფეხები გაეყინა, ხელები და სახე სიცივისგან სტკიოდა. ხელები გასათბობად ღრმად ჩაიწყო ჯიბეებში და მისი თითები ოქროს მონეტას შეეხო. საფლავთან მივიდა.

– ეს შენთვის, – თქვა მან.

საფლავში რამდენიმე ნიჩაბი მიწა ჩაეყარათ, ავსებამდე კიდევ ბევრი უკლდა. შედოუმ ოქროს მონეტა ლორას საფლავში ჩააგდო, შემდეგ მიწა დააყარა, რომ ხარბი მესაფლავეებისგან დაემალა. ხელებიდან მიწა ჩამოიფერთხა და ჩაილაპარაკა: – ღამე მშვიდობისა, ლორა, – შემდეგ დაამატა, – ვწუხვარ.

ამ სიტყვებით საფლავს ზურგი აქცია და განათებული იგლ-პოინტისკენ გააბიჯა.

მოტელი სასაფლაოდან სამი კილომეტრის მოშორებით მდებარეობდა, მაგრამ პატიმრობაში გატარებული სამი წლის შემდეგ სიარული საერთოდ არ აფრთხობდა, ივლიდა – თუნდაც დაუსრულებლად. ივლიდა ჩრდილოეთისკენ და ალასკაში ამოყოფდა თავს, ან – სამხრეთისკენ, მექსიკას გასცდებოდა და მიაღწევდა პატაგონიას ან ცეცხლოვან მიწას. სცადა, გაეხსენებინა, რატომ უწოდეს იმ მხარეს ცეცხლოვანი: ბავშვობაში წაიკითხა შიშველ კაცებზე, რომლებიც გასათბობად კოცონის ირგვლივ ისხდნენ... მანქანა წამოეწია. ფანჯრის მინა ჩასწიეს.

– წაგიყოლო, შედოუ? – ჰკითხა ოდრი ბერტონმა.

– არა, – უპასუხა შედოუმ, – შენ ვერ გამოგყვები.

ფეხით სვლა განაგრძო. ოდრი 5 კმ/სთ-ის სიჩქარით გვერდით მიჰყვებოდა. მანქანის ფარების შუქზე თოვლის ფიფქები ხტოდნენ.

– მეგონა, ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, – თქვა ოდრიმ, – ყოველდღე ვსაუბრობდით. როცა მე და რობი წავიჩხუბებდით, პირველად მას ვეუბნებოდი. „ჩი-ჩიში“ კოქტეილს შევუკვეთდით და კაცებს ვლანძღავდით. თურმე მთელი ის დრო ჩემ ზურგს უკან მასთან ჟიმაობდა.

– გთხოვ, წადი, ოდრი.

– მხოლოდ იმის ახსნას ვცდილობ, რომ, რაც ვქენი, უმიზეზოდ არ მიქნია. შედოუმ არ უპასუხა.

– ეი! – დაუყვირა ოდრიმ, – ეი, შენ გელაპარაკები! შედოუ მისკენ მიტრიალდა.

– გინდა გითხრა, რომ ლორას სამართლიანად დააფურთხე სახეზე? გინდა გითხრა, რომ გული არ დამწყდა? ან იმან, რაც შენ გამიმხილე, დაღუპული ცოლი კი არ შემაცოდა, შემაზიზღა? ეს არ მოხდება, ოდრი.

მომდევნო წუთის განმავლობაში ოდრი ხმის ამოუღებლად მიჰყვებოდა. შემდეგ ჰკითხა: – ციხეში კარგი იყო, შედოუ?

– დიახ, – უპასუხა შედოუმ, – მაგალითად, თავს ისე იგრძნობდი, როგორც საკუთარ სახლში.

მაშინ კი ოდრი გაზის პედალს დააწვა, ძრავა ააღმუვლა და მანქანა გააქროლა.

ფარების შუქის გაქრობასთან ერთად სამყაროც დაბნელდა. ბინდი ღამედ გადაიქცა. შედოუს ეგონა, სიარული გაათბობდა, გაყინული ხელ-ფეხი გაუთბებოდა, მაგრამ შეცდა.

ერთხელ ციხეში ლოუ კი ლაისმითმა ლაზარეთის უკან მდებარე ციხის პატარა სასაფლაოს „ძვლების ბაღი“ უწოდა და ეს სახელი ღრმად ჩაიბეჭდა შედოუს გონებაში. იმ ღამით მთვარის შუქით განათებული ბაღი ესიზმრა. ბაღში ჩონჩხისებრი ხეები იდგა, მათი ტოტები გაძვალტყავებულ ხელებს ჰგავდა, ფესვები კი ღრმად გაედგათ საფლავებში. მის სიზმარში ძვლების ბაღის ხეებს ნაყოფი ესხა და ამ ხილს რაღაც სჭირდა, მაგრამ რომ გაიღვიძა, ვერ გაიხსენა, რა, ან რატომ იგრძნო სიზმარში ზიზღი.

რამდენიმე მანქანამ აუარ-ჩაუარა. შედოუმ ინატრა, ნეტავ აქ ტროტუარი იყოსო. სიბნელეში რაღაცას წამოედო, გზისპირა თხრილში ჩავარდა და მარჯვენა ხელით რამდენიმე სანტიმეტრის სისქის ცივ ტალახში ჩაეფლო. გაჭირვებით წამობობღდა და ხელი შარვლის ტოტზე შეიწმინდა. წელში გაიმართა და იმის დანახვაღა მოასწრო, რომ მის გვერდით ვიღაც იდგა, როცა ცხვირსა და პირზე სველი ნაჭერი მიადეს და ქიმიური ნივთიერების მძაფრი სუნი იგრძნო.

ამჯერად თხრილი თბილი და კომფორტული მოეჩვენა.

შედოუს საფეთქლები ისე ძლიერ სტკიოდა, თითქოს ვინმეს თავის ქალაზე ლურსმნებით დაეჭედებინოს. მზერა დაბინდული ჰქონდა.

მისთვის ხელები ზურგს უკან შეეკრათ. მანქანაში ტყავგადაკრულ სავარძელზე იჯდა. წამით დაეჭვდა, სივრცის აღქმის უნარი ხომ არ დავკარგეო, მაგრამ არა, არ მოსჩვენებია, მეორე სავარძელი მისგან მართლაც მოშორებით იყო.

მის გვერდით ვიღაცები ისხდნენ, მაგრამ ვერ ტრიალდებოდა, რომ ისინი შეეთვალიერებინა.

ლიმუზინის მოპირდაპირე მხარეს მჯდარმა მსუქანმა ახალგაზრდამ ბარიდან დიეტური „კოკა-კოლას“ ქილა გამოიღო და გახსნა. აბრეშუმისებრი ქსოვილისგან შეკერილი გრძელი, შავი პალტო ეცვა და ოცი წლისა ძლივს იქნებოდა; ცალი ლოყა ფერიმჭამელებს დაეწინწკლა. გონს მოსული შედოუს დანახვაზე გაიღიმა.

– გამარჯობა, შედოუ, – მიესალმა ის, – იცოდე, ჩემთან ხუმრობა არ ღირს.

– კარგი, – უთხრა შედოუმ, – არ ვიხუმრებ. შეგიძლიათ მოტელ „ამერიკასთან“ ჩამომსვათ, შტატთაშორის ავტომაგისტრალთან?

– დაარტყი, – უბრძანა ახალგაზრდამ შედოუს მარცხნივ მჯდარ კაცს. შედოუს მუცელში მუშტი მოხვდა და სულშეხუთული წელში მოიკაკვა. ძლივს ამოისუნთქა და ნელ-ნელა გასწორდა.

– გაგაფრთხილე, ჩემთან ხუმრობა არ ღირს-მეთქი. მოკლედ მიპასუხე ხოლმე, თორემ სულს ამოგხდი. ან იქნებ არც მოგკლა. ბავშვებს ყოველ ძვალს სათითაოდ ჩავამტვრევინებ შენთვის. ადამიანის სხეულში სულ ორას ექვსი ძვალია. ასე რომ, ნუ მეხუმრები.

– გასაგებია, – უთხრა შედოუმ.

ლიმუზინის სალონში იისფერი შუქი ლურჯმა შეცვალა, ლურჯი – მწვანემ და მწვანე – ყვითელმა.

– უენზდეისთვის მუშაობ, – თქვა ახალგაზრდამ.

– დიახ, – დაუდასტურა შედოუმ.

– რას ჩალიჩობს? აქ რას აკეთებს? აშკარად რაღაც ჩაიფიქრა. რა?

– მისტერ უენზდეისთვის მუშაობა ამ დილით დავიწყე, – უპასუხა შედოუმ, – მხოლოდ

მორბედი ვარ. ან მძღოლი, თუ ოდესმე საჭესთან დამსვამს. ერთმანეთს წესიერად არც დავლაპარაკებივართ.

– მაშ, რას გეგმავს, არ იცი?

– არ ვიცი. ბიჭმა ყურადღებით შეათვალიერა. „კოკა-კოლა“ მოსვა, დააბოყინა და ისევ

შეხედა.

– თუ გაიგებ, ხომ მეტყვი?

– ალბათ არა, – გამოუტყდა შედოუ, – როგორც უკვე აღნიშნე, მისტერ უენზდეისთვის ვმუშაობ.

ბიჭმა უბის ჯიბიდან პორტსიგარი ამოიღო, გახსნა და შედოუს სიგარეტი შესთავაზა.

– მოსწევ? შედოუს უნდოდა ეთხოვა, ხელები გამიხსენითო, მაგრამ გადაიფიქრა.

– არა, გმადლობ.

სიგარეტი ხელით გახვეული აღმოჩნდა და როცა ბიჭმა „ზიპოს“ შავი სანთებელათი მოუკიდა, ლიმუზინში თამბაქოს ან თუნდაც მარიხუანას ბოლი არ დატრიალებულა. სიგარეტი გადამწვარი ელექტრონაწილებით ხრჩოლავდა.

ბიჭმა ღრმად ჩაისუნთქა და სუნთქვა შეიკავა. ბოლოს პირიდან ბოლის წვრილი ზოლი გამოუშვა და ნესტოებით ისევ შეისუნთქა. აშკარად ეტყობოდა, სარკის წინ დიდხანს ვარჯიშობდა, სანამ საჯაროდ გაიმეორებდა.

– თუ მატყუებ, – ბიჭის ხმამ თითქოს შორიდან მოაღწია, – იცოდე, მოგკლავ.

– ეს უკვე მითხარი.

ბიჭმა კიდევ ერთი ღრმა ნაფაზი დაარტყა. ლიმუზინის სალონში ყვითელი შუქი ჯერ გაწითლდა, შემდეგ ისევ გაიისფრდა.

– მაშ, მოტელ „ამერიკაში“ დაბინავდით? – ბიჭმა ზურგს უკან, მძღოლისგან გამყოფ მინაზე დააკაკუნა. მინა ჩასწიეს, – მოტელ „ამერიკაში“ წაგვიყვანე. შტატთაშორის ავტომაგისტრალზეა. სტუმარი უნდა ჩამოვსვათ.

მძღოლმა თავი დააქნია და მინა ისევ ასწია.

ლიმუზინში ოპტიკურ-ბოჭკოვანი განათება გამუდმებით იცვლიდა ფერს. შედოუს მოეჩვენა, რომ ბიჭის თვალებიც მწვანედ ციმციმებდა, ძველებური კომპიუტერის მონიტორივით.

– მეგობარო, უენზდეის გადაეცი, რომ მაგის ამბავი მორჩა, წარსულს ჩაჰბარდა. უენზდეი დაბერდა. აღარავის ახსოვს. უჯობს, ამას შეეგუოს. გადაეცი, რომ მომავალი ჩვენ გვეკუთვნის და ის და მისნაირები ფეხებზე გვკიდია. მისი დრო ამოიწურა. გასაგებია? ეს აუცილებლად გადაეცი, მეგობარო. ის ისტორიის სანაგვეზე მოისროლეს, მე და ჩემნაირები კი ლიმუზინებით მომავლის ავტობანზე მივქრივართ.

– გადავცემ, – უთხრა შედოუმ, რომელსაც თავბრუ ეხვეოდა და თავს ძლივს იკავებდა, რომ გული არ არეოდა.

უთხარი, რომ ჩვენ რეალობაგადავაპროგრამეთ. უთხარი, რომ ენა ვირუსია, რელიგია – ოპერაციული სისტემა, ლოცვები კი – სპამი, უსარგებლო ინფორმაცია. ეს გადაეცი, თორემ მოგკლავ, – მშვიდად დაემუქრა ბოლში გახვეული ახალგაზრდა.

– გასაგებია, – თქვა შედოუმ, – აქ ჩამომსვით. დარჩენილ გზას ფეხითაც გავივლი.

ახალგაზრდამ თავი დაუქნია.

– სასიამოვნო იყო შენთან საუბარი, – თქვა ბიჭმა. ბოლმა მასზე დამაწყნარებლად იმოქმედა, – გახსოვდეს, „მოგკლავთ“ ნიშნავს, რომ ავდგებით და წაგშლით. მიხვდი? ერთი დაწკაპუნება და ერთიანებისა და ნულების უწესრიგო გროვად გადაიწერები. „წაშლის“ ბრძანების გაუქმება შეუძლებელია, – მძღოლს ფანჯარაზე მიუკაკუნა, – აქ ჩამოდის, – დაუძახა მას, შემდეგ ისევ შედოუსკენ შემოტრიალდა და სიგარეტზე ანიშნა, – სინთეტიკური გომბეშოს ტყავია, – აუხსნა შედოუს, – იცოდი, რომ მეცნიერებს უკვე ბუფოტენინის სინთეზირება შეუძლიათ?

მანქანა გაჩერდა. შედოუს მარჯვნივ მჯდარი კაცი გადავიდა და კარი გააღო. ზურგს უკან ხელებშეკრული შედოუ მოუხერხებლად გადაძვრა მანქანიდან. მაშინ გაახსენდა, რომ უკანა სავარძელზე იმ კაცის გვერდით მსხდარნი არც კი შეუთვალიერებია. არ იცოდა, კაცები იყვნენ თუ ქალები, ხნიერები თუ ახალგაზრდები.

ხელები გაუხსნეს. ნეილონის ნაგლეჯები ტარმაკზე დაცვივდა. შედოუ მიტრიალდა. ლიმუზინის სალონი კვამლში იყო გახვეული და შიგ მხოლოდ ორი წერტილი ციმციმებდა სპილენძისფრად, გომბეშოს ლამაზი თვალებივით.

– საქმე ამა თუ იმ დედანატირები პარადიგმის დომინაციას ეხება, შედოუ. მხოლოდ ეს არის მნიშვნელოვანი. აჰ, და კიდევ, ვიზიარებ შენს მწუხარებას.

კარი დაიხურა და ლიმუზინი ჩუმად დაიძრა. შედოუ მოტელიდან ორასიოდე მეტრის მოშორებით ჩამოსვეს. იქამდე ფეხით მივიდა. გზად ცივ ჰაერს ისუნთქავდა; წითლად, ყვითლად და მწვანედ მოციმციმე ნეონის სარეკლამო აბრებს ჩაუარა: მომხმარებელს სთავაზობდნენ ყველანაიარი სახეობის ჰამბურგერს, როგორიც კი ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს. შედოუმ მოტელ „ამერიკამდე“ უსაფრთხოდ მიაღწია.

მესამე თავი

ყოველი საათი მორიგი ჭრილობაა, ბოლო საათი – მომაკვდინებელი.
ძველი გამოთქმა

მოტელ „ამერიკის“ რეგისტრატორმა, ტანწვრილმა გოგომ შედოუს უთხრა, თქვენმა მეგობარმა უკვე დაგარეგისტრირათო და პირდაპირ პლასტმასის სწორკუთხა გასაღები მიაწოდა. გოგოს ქერა თმა და ვირთხისებრი სახის ნაკვთები ჰქონდა – თუ იღიმოდა, არა უშავდა რა, მაგრამ როცა ეჭვით იყურებოდა, მისი იერი განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდებოდა. შედოუს მეტწილად ეჭვით უყურებდა, უენზდეის ოთახის

–
ნომერი არაფრით გაუმხილა, თავად უენზდეის დაურეკა და აცნობა, თქვენი სტუმარი მოვიდაო.

უენზდეი დერეფნის ბოლოს მდებარე ოთახიდან გამოვიდა და შედოუ თავის ქნევით იხმო.

– დაკრძალვამ როგორ ჩაიარა? – ჰკითხა შედოუს.

– ყველაფერი დამთავრდა.

– მაგრად ტეხავს, არა? გინდა დარდი გამიზიარო?

– არა, – უპასუხა შედოუმ.

– ძალიან კარგი, – გაიღრიჭა უენზდეი, – ბოლო დროს ძალიან ბევრს ლაპარაკობს ხალხი. ლაქლაქებენ და ლაქლაქებენ. ეს ქვეყანა ბევრად უკეთესი იქნებოდა, ხალხს ჩუმად წუხილი რომ შეეძლოს. გშია?

– ცოტათი.

– აქ საჭმელი არაა, მაგრამ შეგიძლია პიცა შეუკვეთო და საფასურს ოთახის ქირას მიამატებენ.

უენზდეის ოთახი შედოუს ოთახის პირდაპირ მდებარეობდა. შედოუს შიგნით შეუძღვა. ოთახი რუკებით იყო სავსე. უენზდეის ზოგი რუკა საწოლზე გაეშალა, ზოგი კედელზე გაეკრა და ზედ ფლომასტერის ჭყეტელა ფერებით – მწვანედ, ვარდისფრად და ნარინჯისფრად – ადგილები მოენიშნა.

– ერთმა მსუქანმა ბავშვმა გამიტაცა ლიმუზინით, – თქვა შედოუმ, – ასე მითხრა, უენზდეის

გადაეცი, რომ ისტორიის სანეხვეზე მოისროლეს, მე და ჩემნაირები კი ცხოვრების ავტობანებზე ლიმუზინებით დავქრივართო. მგონი, არაფერი დამვიწყებია.

– ეგ ცინგლიანი ლაწირაკი.

– იცნობ?

– ვიცი, ვინც არის, – უენზდეიმ მხრები აიჩეჩა და მძიმედ დაჯდა ოთახში მდგარ ერთადერთ სკამზე, – აზრზე არ არიან, – თქვა მან, – საერთოდ არაფრის აზრზე არ არიან. ქალაქში კიდევ რამდენ ხანს მოგიწევს დარჩენა?

არ ვიცი. ალბათ კიდევ ერთიკვირა. ლორას საქმეებს მოვაგვარებ. ბინას მივხედავ, მის ტანსაცმელს მოვიშორებ. დედამისი უეჭველად გააფრენს, მაგრამ ეგ ქალი ამას იმსახურებს. უენზდეიმ დიდი თავი დაუქნია.

– რაც უფრო მალე მორჩები, მით უფრო მალე წავალთ იგლ-პოინტიდან. ღამე მშვიდობისა.

შედოუ მოპირდაპირე მხარეს, თავის ოთახში შევიდა. ეს ოთახი უენზდეის ოთახის სრულ ასლს

წარმოადგენდა. საწოლის თავზე აქაც სისხლისფერი დაისის პეიზაჟი ეკიდა. შედოუმ ყველიანი და ლორიანი პიცა შეუკვეთა, შემდეგ აბაზანა წყლით გაავსო და მის ასაქაფებლად მოტელის ყველა ერთჯერადი შამპუნი შიგ ჩაასხა.

აბაზანაში ჩასაწოლად დიდი იყო; სამაგიეროდ, შიგ ჩაჯდა და შეძლებისდაგვარად, ისიამოვნა. თავის თავს ციხიდან გამოსვლისას აბაზანის მიღება აღუთქვა და როგორც ყოველთვის, პირობა შეასრულა.

სააბაზანოდან გამოვიდა და ცოტა ხანში პიცაც მოუტანეს. შეჭამა და ლუდი დააყოლა.

ტელევიზორი ჩართო და „ჯერი სპრინგერის შოუს“ ძველი გადაცემის გამეორებას უყურა. ეს ეპიზოდი პირველად შედოუს დაპატიმრებამდე გაუშვეს. გადაცემის თემა იყო „მეძავობა მინდა“. გამოიყვანეს რამდენიმე მეძავობის მსურველი (უმეტესობა – ქალი), რომლებსაც აუდიტორიამ უყვირა და აგინა; შემდეგ ოქროულობით მორთულმა სუტენიორმა მათ დასაქმების პირობა მისცა, ბოლოს კი ერთმა ყოფილმა ბოზმა ყველას ნამდვილი სამსახურის შოვნისკენ მოუწოდა. შედოუმ ჯერი სპრინგერის დასკვნის მოსმენა აღარ ისურვა და ტელევიზორი გამორთო.

იწვა და ფიქრობდა, საწოლში პირველად ვწევარ, როგორც თავისუფალი ადამიანიო, მაგრამ რატომღაც ეს ფიქრი ისე არ ახარებდა, როგორც ადრე წარმოედგინა. ფარდები გადაწეული დატოვა. ფანჯრიდან მანქანების ფარებისა და სწრაფი კვების ობიექტების აბრების შუქი შემოდიოდა. ამშვიდებდა იმის ცოდნა, რომ ფანჯრის მიღმა გარე სამყარო იყო და ნებისმიერ მომენტში შეეძლო გარეთ გასვლა.

შეეძლო ღამით შინ დაწოლილიყო, ბინაში, რომელშიც ლორასთან ერთად ცხოვრობდა, საწოლში, რომელშიც ლორასთან ერთად ეძინა. მაგრამ იქ უმისოდ, ლორას ნივთების, სურნელის, სიცოცხლის გარემოცვაში ვერაფრით გაძლებდა...

„ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანე“, – ურჩია საკუთარ თავს. მონეტის ფოკუსებზე დაფიქრდა. მშვენივრად იცოდა, ილუზიონისტად ვერ ივარგებდა: მაყურებლების მოსატყუებლად ამბებს ვერ შეთხზავდა, არც კარტის ფოკუსების კეთება ან არსაიდან ქაღალდის ყვავილების გაჩენა სურდა. მას მხოლოდ მონეტებით ოსტატურად მანიპულირება ხიბლავდა. მონეტის გაქრობის სხვადასხვა ხერხის ჩამოთვლა დაიწყო გონებაში და უცებ ლორას საფლავში ჩაგდებული მონეტა გაახსენდა. ამაზე ოდრის სიტყვები მოაგონდა, ლორა პირში რობის სირგაჩრილი დაიღუპაო და მკერდში კვლავ ყრუ ტკივილი იგრძნო, გულმა წიწკნა დაუწყო.

„ყოველისაათი მორიგი ჭრილობაა, ბოლო საათი – მომაკვდინებელი“. ეს სად მოისმინა? აღარ ახსოვდა. სულის სიღრმეში სიბრაზე და ტკივილი გროვდებოდა, საფეთქლები დაეჭიმა, კეფა ყრუდ უფეთქავდა. ცხვირით ჩაისუნთქა და პირით ამოისუნთქა დაძაბულობის განსამუხტად.

–
უენზდეის კომენტარი გაახსენდა და უნებლიეთ გაეღიმა: შედოუს ბევრისგან მოესმინა, გრძნობებს ნუ ჩაკლავთ, ემოციები გამოავლინეთ, ტკივილს გასაქანი მიეცითო. შედოუს აზრით, ემოციების დამალვაზეც ბევრი რამ შეიძლებოდა თქმულიყო. თუ ყველანაირ განცდას გულში ღრმად ინახავ და არ ამჟღავნებ, შესაძლოა ერთ დღესაც საერთოდ ვეღარაფერი იგრძნო. შედოუ ვერც კი მიხვდა, როგორ მოერია ძილი.

მიაბიჯებდა...

მიაბიჯებდა ქალაქზე დიდ ოთახში. ყველგან, საითაც გაიხედა, ქანდაკებები, ჩუქურთმები და უშნოდ გამოკვეთილი გამოსახულებები მოჩანდა. ქალის მსგავსი არსების ქანდაკებასთან გაჩერდა. ქალს ბრტყელი ძუძუები მკერდზე ჩამოჰკიდებოდა, წელზე მოჭრილი ხელის მტევნების ქამარი შემოერტყა, ორივე ხელში ბასრი დანა ეჭირა და თავის მაგივრად კისრიდან ორი დაკლაკნილი, ერთმანეთზე თავდასხმისთვის გამზადებული ორი გველი ამოზრდოდა. ქანდაკება იმდენად საზარლად და მახინჯად გამოიყურებოდა, რომ შედოუ სწრაფად გაეცალა.

დარბაზს გაუყვა. ის ქანდაკებები, რომლებისთვისაც ქვის თვალები გამოეკვეთათ, თითქოს მის ყოველ ნაბიჯს აკვირდებოდნენ.

შედოუმ სიზმარში შეამჩნია, რომ ყოველი ქანდაკების წინ იატაკზე მისი სახელი ეწერა ცეცხლოვანი ასოებით. თეთრთმიან კაცს ხელში დოლითა და კისერზე კბილების ყელსაბამით ლევკოტიოსი[19] ერქვა, განიერთეძოებიან ქალს, რომლის ფეხთაშორისი ნაპრალიდან ურჩხულები ცვიოდა – ხუბური [20], ხოლო ვერძისთავიან კაცს, ხელში რომ ოქროს ბურთი ეჭირა – ჰერშეფი [21].

სიზმარში ვიღაც უხილავი მკაფიო, დაჟინებული, მკაცრი ხმით დაელაპარაკა: – ესენი მივიწყებული ღმერთები არიან, ალბათ უკვე დაიხოცნენ. ახლა მხოლოდ უინტერესო მითებში არსებობენ. ისინი აღარ არიან, გაქრნენ, მაგრამ მათი სახელები და გამოსახულებები შემოგვრჩა.

შედოუმ კუთხეში მოუხვია და პირველზე უფრო დიდ მეორე ოთახში აღმოჩნდა. ოთახს ბოლო არ უჩანდა. შედოუმ მამონტის ყავისფერი, პრიალა თავის ქალა და ბეწვის მოსასხამშემოცმული ხელდასახიჩრებული, ტანმორჩილი ქალი დაინახა. იქვე გრანიტის ლოდისგან გამოჭრილი, წელით შეერთებული სამი ქალი იდგა: მათ სახეებს ნაუცბათეობისა და დაუსრულებლობის კვალი ეტყობოდა, მაგრამ ძუძუები და სასქესო ორგანოები საგულდაგულოდ გამოეთალათ.

მასზე ორჯერ მაღალი, უფრთო ფრინველი შედოუმ ვერ იცნო. ფრინველს სვავის მოკაუჭებული, ბასრი ნისკარტი და ადამიანის ხელები ჰქონდა. ხმამ კიდევ ერთხელ დაილაპარაკა, თითქოს კლასს მიმართავდა:

ეს ღმერთები საერთოდ აღარახსოვთ. მათი სახელებიც კი უცნობია. ხალხი,

რომელიც მათ თაყვანს სცემდა, ამ ღმერთებივით დაივიწყეს. მათი ტოტემები დაამხეს და დალეწეს. მათი უკანასკნელი ქურუმები შთამომავლებისთვის საიდუმლოებების გადაუცემლად დაიხოცნენ.

ღმერთები იხოცებიან. და როცა ღმერთები ნამდვილად იხოცებიან, მათ აღარავინ გლოვობს ან იხსენებს. იდეა ადამიანზე ძნელად მოსაკლავია, მაგრამ იდეის მოკვლაც შეიძლება.

დარბაზში ჩურჩული გაისმა, ენით აუწერელი, ძარღვებში სისხლის გამყინავი ბუტბუტი. შედოუ პანიკამ შეიპყრო დავიწყებული ღმერთების გამო, რომელთაც რვაფეხას სახეები ჰქონდათ, ანდა, რომლებიც მხოლოდ მუმიფიცირებულ ხელებს, ჩამოვარდნილ ქვებს ან ტყის ხანძრებს განასახიერებდნენ.

შედოუს გულს ბაგაბუგი გაუდიოდა, შუბლზე ოფლი ასხამდა, როცა უეცრად გაეღვიძა.

ტუმბაზე შემოდგმული ელექტროსაათის წითელი ციფრები 01:03-ს უჩვენებდა. მოტელ „ამერიკის“ ნეონის აბრის შუქი ფანჯრიდან საძინებელში შემოდიოდა. თავგზააბნეული შედოუ ადგა და მოტელის პაწაწინა ტუალეტში შეჩანჩალდა. ნათურის აუნთებლად მოფსა და ისევ საძინებელში დაბრუნდა. სიზმარი ჯერაც ცხადად ახსოვდა, მაგრამ ვერაფრით ხვდებოდა, ასე რამ შეაშინა.

გარედან მკრთალი შუქი შემოდიოდა, მაგრამ შედოუმ სიბნელეს თვალები შეაჩვია. მის საწოლზე ქალი ჩამომჯდარიყო.

შედოუმ მაშინვე იცნო. მას ათას კი არა, ასი ათას ადამიანში გამოარჩევდა. მხრებგამართული იჯდა საწოლის კიდეზე. ისევ ის ზღვასავით ლურჯი კოსტიუმი ეცვა, რომლითაც დამარხეს.

ლორამ ძლივს გასაგონი, მაგრამ ნაცნობი ხმით დაილაპარაკა: – ალბათ მკითხავ, აქ რას აკეთებო.

შედოუ სიტყვის უთქმელად დაჯდა ერთადერთ სკამზე და ბოლოს ჰკითხა: – პატარავ, მართლა შენ ხარ?

– კი, – უპასუხა ლორამ, – მცივა, ცუგა.

– მკვდარი ხარ, პატარავ.

– კი, – უთხრა ლორამ, – მკვდარი ვარ, – და საწოლზე ხელი დაატყაპუნა, – მოდი, მომიჯექი.

– არა, მირჩევნია აქ ვიჯდე, – უთხრა შედოუმ, – ჯერ რაღაც-რაღაცები უნდა გავარკვიოთ.

– მაგალითად, ის, რომ მკვდარი ვარ?

– ეგეც, მაგრამ მე ის უფრო მაინტერესებს, შენ და რობი როგორ დაიხოცეთ.

–

– აჰ, ეგ, – თქვა ლორამ.

შედოუმ

ხრწნის, ყვავილებისა და ფორმალდეჰიდის სუნი იგრძნო (ან მოეჩვენა, რომ იგრძნო). მისი ცოლი, ყოფილი ცოლი... უფრო ზუსტად, გარდაცვლილი ცოლი... საწოლზე ჩამომჯდარიყო და თვალების დაუხამხამებლად უყურებდა.

– ცუგა, იქნებ... შეგიძლია ერთი ღერი სიგარეტი მიშოვო?

– მეგონა, მოწევას შეეშვი.

– შევეშვი, – თქვა ლორამ, – მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესებას აღარ ვუფრთხი. ვფიქრობ, ნერვებს დამიწყნარებს. ჰოლში ავტომატი დგას.

შედოუმ ჯინსის შარვალი და მაისური ჩაიცვა და ფეხშიშველა გავიდა ჰოლში. ღამის პორტიე, შუახნის მამაკაცი, ჯონ გრიშემის წიგნს კითხულობდა. შედოუმ ერთი კოლოფი „ვირჯინია სლიმსი“ იყიდა და პორტიეს ასანთი სთხოვა. პორტიემ შემოხედა და ოთახის ნომერი ჰკითხა. შედოუმ უთხრა. კაცმა თავი დაუქნია.

– არამწეველთა ოთახში ხართ დაბინავებული, – უთხრა მან, – ფანჯარა აუცილებლად გააღეთ, – ასანთის კოლოფი და მოტელ „ამერიკის“ ლოგოიანი საფერფლე მისცა.

– გასაგებია, – უთხრა შედოუმ.

ოთახში დაბრუნდა. შუქი არ აანთო. ცოლი საბანზე ზემოდან გაშოტილი დახვდა. შედოუმ ფანჯარა გააღო და ცოლს სიგარეტი და ასანთი მიაწოდა. ლორას თითები ცივი ჰქონდა. ქალმა ასანთს გაჰკრა და შედოუმ მკრთალ ალზე შეამჩნია, რომ მისი ცოლის მუდამ სუფთა ფრჩხილები დამტვრეული, დაკვნეტილი და ჭუჭყიანი იყო. ლორამ სიგარეტს მოუკიდა, ნაფაზი დაარტყა და ასანთის ღერს სული შეუბერა.

– გემოს ვერ ვგრძნობ, – თქვა მან, – მგონი, ვერ მიშველის.

– ვწუხვარ, – უთხრა შედოუმ.

– მეც, – თქვა ლორამ.

მორიგი ნაფაზის დარტყმისას სიგარეტის წვერი გავარვარდა და შედოუმ ცოლის სახე დაინახა.

– მაშ, გამოგიშვეს, – თქვა მან.

– დიახ.

– როგორი იყო ციხე?

– უარესიც შეიძლებოდა ყოფილიყო.

– ჰო, – სიგარეტის წვერი ნარინჯისფრად აელვარდა, – მაინც მადლიერი ვარ შენი. იმ საქმეში არ უნდა გამერიე.

– თვითონ დაგთანხმდი, შემეძლო, უარი მეთქვა.

–

შედოუს უკვირდა, რატომ არ ეშინოდა მისი: სიზმარში ნანახმა მუზეუმმა შეაძრწუნა, მოსიარულე გვამთან კი თავს უსაფრთხოდ გრძნობდა.

კი, შეგეძლო, შე სულელო დათვო.

ლორას სახე კვამლში გაეხვია. მკრთალ შუქზე ძალიან ლამაზი იყო.

– ჩემი და რობის ამბავი გაინტერესებს?

– დიახ.

ეს ლორაა, სულერთია, ცოცხალია თუ მკვდარი, მისი ამიტომაც არ მეშინიაო, მიხვდა შედოუ.

ლორამ სიგარეტის ნამწვი საფერფლეში ჩასრისა.

– ციხეში იჯექი, – თქვა მან, – მე კი დამლაპარაკებელი მჭირდებოდა. მხარი, რომელზეც თავს ჩამოვდებდი და ვიტირებდი. ჩემ გვერდით არ იყავი. მე კი ვდარდობდი.

– ვწუხვარ.

ლორას ხმას რაღაც სჭირდა, მაგრამ რა, შედოუს ამის გარკვევა უჭირდა.

– ვიცი. მოკლედ, ყავის დასალევად ვხვდებოდით ხოლმე. ვსაუბრობდით, რას ვიზამდით, როცა გაგათავისუფლებდნენ. ერთი სული გვქონდა, ისევ როდის გნახავდით. რობის მართლა ძალიან უყვარდი. შენთვის ძველი სამუშაო ჰქონდა გადანახული.

– ჰო.

– შემდეგ ოდრი ერთი კვირით დის მოსანახულებლად წავიდა. ეს შენი დაპატიმრებიდან ერთი წლის... უფრო ზუსტად, ცამეტი თვის თავზე მოხდა, – ლორას ხმას ემოციურობა აკლდა. ყოველ სიტყვას გულგრილად, ყრუდ წარმოთქვამდა, თითქოს კენჭები ერთიმეორის მიყოლებით ღრმა ჭაში ცვიოდა, – რობიმ შემოიარა. დავლიეთ. ეს საძინებლის იატაკზე ვქენით. მომეწონა. ძალიან მომეწონა.

– შეგეძლო ეგ არ გეთქვა.

– არა? მაპატიე. როცა მკვდარი ხარ, სულერთია, რას იტყვი. ფოტოსავითაა, რა. დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს. – ჩემთვის აქვს მნიშვნელობა.

ლორამ მეორე ღერ სიგარეტს მოუკიდა. ეს მარჯვედ გააკეთა და არა მოუქნელად. წამით შედოუმ ისიც კი გაიფიქრა, ნეტავ მართლა მკვდარი თუ არისო. იქნებ ეს რომელიმე რთული ფოკუსი იყო?

შედოუმ

– ჰო, – თქვა ლორამ, – მესმის. ბოლო ორი წელი რომანი გვქონდა, მაგრამ თავად ასე არ ვუწოდებდით. საერთოდ არაფერს ვუწოდებდით ჩვენს ურთიერთობას.

– რობის გამო ჩემს მიტოვებას აპირებდი?

– ეგ რატომ უნდა მექნა? შენ ჩემი დიდი დათვი ხარ. ჩემი ცუგა. რაც ჩაიდინე, ჩემ გამო ჩაიდინე. სამი წელი გელოდი, როდის დამიბრუნდებოდი. მიყვარხარ.

კინაღამ უთხრა, მეც მიყვარხარო. არა, ამის თქმას აღარასდროს აპირებდა.

– იმ ღამით რა მოხდა?

– როცა დავიღუპე?

– ჰო.

– მე და რობი მოსალაპარაკებლად შევხვდით. ო, რა კარგი წვეულების გამართვას ვგეგმავდით შენთვის. იმ ღამით ისიც ვუთხარი, რომ ჩემსა და მას შორის ყველაფერი მორჩა. შენ დაბრუნდებოდი და ყველაფერი ძველებურად გაგრძელდებოდა.

– ჰმ. გმადლობ, პატარავ.

– არაფერს, ძვირფასო, – ლორას სახეზე აჩრდილისებური ღიმილი გადაეფინა, – დავლიეთ და ემოციებმა გვძლია. სულელებივით აგვიჩუყდა გული. მე მაგრად დავთვერი, რობი – არა. ის საჭესთან იჯდა. შინისკენ მიმავალ გზაზე გამოვუცხადე, რომ გამოსამშვიდობებელ, დაუვიწყარ მინეტს გავუკეთებდი. შარვლის უბე ჩავუხსენი და პირში ავიღე.

– მაგრად შემცდარხარ.

– ნუ მეტყვი. შემთხვევით სიჩქარის გადართვის ბერკეტს გავკარი მხარი. რობიმ ჩემი მოშორება და ისევ სიჩქარეში ჩაგდება მოინდომა, მაგრამ საჭე გაექცა. უცებ ჯახუნი გავიგონე და დავბზრიალდით. „მოვკვდები“, – ისე უემოციოდ გავიფიქრე, ვითომ არაფერი. ეს მახსოვს. არ შემშინებია. მერე რაც მოხდა, აღარაფერი მახსოვს.

შედოუმ დამწვარი პლასტმასის სუნი იგრძნო. ეს სიგარეტი ხრჩოლავდა, ფილტრიც კი ჩაიწვა. ლორას საერთოდ არ შეუმჩნევია.

– აქ რას აკეთებ, ლორა?

– ცოლმა რომ ქმარი მოინახულოს, არ შეიძლება?

– მკვდარი ხარ. დღეს შენს დაკრძალვას დავესწარი.

– ჰო, – ლორამ ლაპარაკი შეწყვიტა და მზერა გაეყინა. შედოუ ადგა და მასთან მივიდა. სიგარეტის ნამწვი გამოართვა და ფანჯრიდან გადააგდო.

–

– აბა?

ლორამ ამოხედა.

– ვერ ვიტყვი, რომ ახლა ბევრად მეტი ვიცი, ვიდრე სიცოცხლეში ვიცოდი. თუ რამ ახალი შევიტყვე, სიტყვებით გადმოცემა მიჭირს.

– ჩვეულებრივ, მკვდრები საფლავებიდან არ დგებიან, – თქვა შედოუმ.

– მართლა? მართლა არ დგებიან, ცუგა? ადრე მეც ასე მეგონა, მაგრამ ახლა დარწმუნებული არ ვარ, – ლორა ადგა და ფანჯარასთან მივიდა. მოტელის აბრის შუქზე სახე ძველებურად ლამაზი გამოუჩნდა. ისევ იმ ქალს ჰგავდა, რომლისთვისაც შედოუ ციხეში ჩაჯდა.

შედოუსგული მტკივნეულად შეეკუმშა, თითქოს ვიღაცამ მუჭში მოიქცია და მაგრად მოუჭირა.

– ლორა... ქალი არ შემოტრიალებულა.

– შარში გაყავი თავი, შედოუ. თუ ვინმე ყურადღებას არ მოგაქცევს, შეიძლება, საქმე გააფუჭო. მე დაგიცავ. და კიდევ, შენმა საჩუქარმა ძალიან გამახარა.

– რომელმა საჩუქარმა?

ლორამ ბლუზის ჯიბიდან ის ოქროს მონეტა ამოიღო, შედოუმ რომ ჩააგდო საფლავში. ზედ ჯერაც მიჰკრობოდა მიწის ნაფხვენები.

– ძეწკვზე ჩამოვკიდებ. გმადლობ.

– არაფერს.

ლორა შედოუსკენ შეტრიალდა და მიაპყრო თვალები, რომლებიც თან ხედავდნენ მას, თან – ვერა.

– ვფიქრობ, ჩვენი ურთიერთობის გარკვეულ ასპექტებზე უნდა დავფიქრდეთ.

– პატარავ, – უთხრა შედოუმ, – შენ მკვდარი ხარ.

– ეს აშკარად ერთ-ერთი ასპექტია, – ლორა შეყოვნდა, – კარგი, – თქვა მცირე პაუზის შემდეგ, – ახლა წავალ. ასე აჯობებს, – და სრულიად ბუნებრივად და იოლად შედოუს მხრებზე ხელები დააწყო, თითის წვერებზე შედგა და აკოცა, როგორც ყოველთვის კოცნიდა დამშვიდობებისას.

შედოუ უხერხულად დაიხარა მისთვის ლოყაზე საკოცნელად, მაგრამ ლორამ ტუჩები შეაგება. ქალს პირიდან ნაფთალინის სუსტი სუნი ამოუვიდა.

ლორას ენა შედოუს პირში შესრიალდა. ცივი იყო და სიგარეტისა და ნაღვლის გემო ჰქონდა. შედოუს ყოველგვარი ეჭვი გაეფანტა, რომ მისი ცოლი მართლა მოკვდა. უკან დაიხია.

– მიყვარხარ, – მოკლედ უთხრა ლორამ, – თვალყურს გადევნებ, – ოთახის კართან მივიდა. შედოუს პირში უცნაური გემო დარჩა, – დაიძინე, ცუგა, – უთხრა ცოლმა, – და პრობლემებს ერიდე.

კარი გამოაღო. დერეფანში ფლუორესცენციური ნათურის შუქზე ლორა მკვდარს დაემსგავსა. მაგრამ ასეთ შუქზე ხომ ისედაც ყველა მკვდარს ჰგავს.

– შეგეძლო ჩემთვის ღამით დარჩენა გეთხოვა, – ქვასავით ცივი ხმით უთხრა ლორამ.

– არა მგონია, კარგი აზრი იყოს, – უთხრა შედოუმ.

– ერთხელაც მთხოვ, ძვირფასო, – უთხრა მკვდარმა ცოლმა, – სანამ ეს ყველაფერი მორჩება, აუცილებლად მთხოვ, – ამ სიტყვებით ზურგი შეაქცია და დერეფანს გაუყვა. ჰოლში გაიხედა. ღამის პორტიე ჯონ გრიშემის რომანის კითხვას აგრძელებდა და ზედაც არ შეუხედავს ლორასთვის, რომელმაც გვერდით ჩაუარა. ლორას ფეხსაცმელზე სასაფლაოს ტალახის სქელი ფენა მიჰკრობოდა.

შედოუმ დაიცადა, სანამ ის მოტელიდან გავიდოდა, შემდეგ მძიმედ და ნელა ამოიხვნეშა და უენზდეის ოთახის კარზე დააკაკუნა. გული არითმიულად უცემდა. უცებ უცნაური განცდა დაეუფლა, თითქოს ვეებერთელა ყვავი მასში გავლას და ჰოლსა და გარე სამყაროში გაღწევას ცდილობდა, თითქოს კანზე შავი ფრთები ეხლებოდა.

კარი უენზდეიმ გაუღო. წელზე თეთრი პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული, ტანზემოთ კი შიშველი იყო.

– რა ჯანდაბა გინდა? – ჰკითხა მან.

– რაღაც მაინტერესებს, – უპასუხა შედოუმ, – შეიძლება დამესიზმრა – რაც არა მგონია – ან იმ მსუქანი ბიჭის სინთეტიკური გომბეშოს ტყავის კვამლი ჩავისუნთქე, ანდა შეიძლება ვგიჟდები...

– ჰო, ჰო, კარგი. ამოღერღე, – შეაწყვეტინა უენზდეიმ, – ბევრი დრო არ მაქვს.

შედოუმ შიგნით შეიხედა. საწოლში ვიღაც იწვა და მას უყურებდა. პატარა ძუძუებზე საბანი გადაიფარა. ქერა თმა და ვირთხისებური სახის ნაკვთები გაკრთა. ეს რეგისტრატორი გოგო იყო. შედოუმ ხმას დაუდაბლა.

– წეღან ჩემი ცოლი ვნახე, – უთხრა უენზდეის, – ჩემს ოთახში იყო.

– ანუ მოჩვენება ნახე? მოჩვენებას გულისხმობ?

– არა, მოჩვენება კი არა, ნამდვილი იყო. ლორა იყო. ვიცი, რომ მოკვდა, მაგრამ მოჩვენება არ ყოფილა. შევეხე. მაკოცა.

– გასაგებია, – უენზდეიმ გოგოს გახედა, – მალე დავბრუნდები, ძვირფასო.

შედოუს ოთახში შევიდნენ. უენზდეიმ შუქი აანთო. საფერფლეში ჩასრესილ ნამწვს დახედა. მკერდი მოიფხანა. ბებრის მუქი ძუძუსთავები ჰქონდა, მკერდის ბალანი – შეჭაღარავებული. ცალ გვერდზე თეთრი ნაიარევი ემჩნეოდა. ჰაერი შეიყნოსა. შემდეგ მხრები აიჩეჩა.

– კარგი, – თქვა მან, – ესე იგი მკვდარმა ცოლმა მოგინახულა. შეგეშინდა?

– ცოტათი.

– რა გასაკვირია. მკვდრებისა მეც მეშინია. კიდევ რას მეტყვი?

– მზად ვარ იგლ-პოინტიდან წასასვლელად. ბინის ამბავს და სხვა რამეებს ლორას დედა გაარკვევს. მაინც ვძულვარ. როცა გინდა, წავიდეთ. უენზდეიმ გაიღიმა.

შედოუმ
– კარგი ამბავი მაქვს, ყმაწვილო. ხვალ დილით წავალთ. ახლა წაუძინე. თუ ვერ იძინებ, ოთახში ცოტა სკოჩი მაქვს და დაგეხმარება. გინდა?

– არა. ისედაც დავიძინებ.

– მაშინ ნუღარ შემაწუხებ. წინ გრძელი ღამე მელის.

– ძილს არ აპირებ? – ჰკითხა შედოუმ ღიმილით.

– მე არასდროს მძინავს. ძილი უსარგებლო რამაა, ცუდი ჩვევა, რომელსაც სასიამოვნო საზოგადოებაში ყოფნით გავურბივარ. ახლა კი წავედი, თორემ გოგოს ჩემი ლოდინი მოჰბეზრდება.

– აბა, ჰე, – დაემშვიდობა შედოუ.

– აბა, ჰო, – უთხრა უენზდეიმ, გავიდა და კარი გაიხურა.

შედოუ საწოლზე ჩამოჯდა. სიგარეტისა და ფორმალდეჰიდის სუნი არ გაფანტულა. წესით, ახლა ლორას უნდა ვგლოვობდე, თავად ის კი არ უნდა მაწუხებდესო, გაიფიქრა. ის კი არა, ლორას წასვლის შემდეგ, ცოტათი დაფრთხა კიდეც. არა, ახლა გლოვის დრო იყო. შუქი გამორთო, დაწვა და ძველი ლორა გაიხსენა, ისეთი, როგორიც მის დაპატიმრებამდე იყო, როცა ახალგაზრდები და ახალდაქორწინებულები, სულელებივით იქცეოდნენ და ერთმანეთს ხელს არ უშვებდნენ.

შედოუმ ბოლოს იმდენი ხნის წინ იტირა, აღარც კი ახსოვდა, ეს როგორ ხდება. დედამისის სიკვდილის შემდეგაც კი არ წამოსვლია ცრემლი. მაგრამ ახლა გული ამოუჯდა და ასლუკუნდა. ლორა და ძველი დრო ენატრებოდა.

პირველად ბავშვობის შემდეგ შედოუს ტირილში ჩაეძინა.

ამერიკაში ჩასვლა
ჩვ. წ. 813

მწვანე ზღვაში გზას ვარსკვლავებისა და ნაპირის მეშვეობით მიიკვლევდნენ. როცა ნაპირი მოგონებად იქცა, ხოლო ღამის ცა მოღრუბლული და ბნელი იყო, მოგზაურებს რწმენა მეგზურობდა. ყოველთა მამას შესთხოვდნენ ხმელეთამდე უსაფრთხოდ მიყვანას.

მოგზაურობა მძიმე აღმოჩნდა. თითები ეყინებოდათ, სუსხი ძვალ-რბილში ატანდა. დილაობით წვერდათრთვილულებს ეღვიძებოდათ და, სანამ მზე არ გამოანათებდა, უდროოდ „გაჭაღარავებულები“, მოხუცებს ჰგავდნენ.

პირში კბილები ერყეოდათ და ბუდეებში თვალები ჩასცვენოდათ, როცა დასავლეთის მწვანე მიწაზე დადგეს ფეხი.

კაცებმა თქვეს: – ძალიან, ძალიან შორსა ვართ ჩვენი სახლებიდან და კერიებიდან, ჩვენთვის

ნაცნობი ზღვებიდან და ჩვენთვის ძვირფასი მიწებიდან. აქ, ქვეყნიერების კიდეზე, ჩვენი ღმერთები დაგვივიწყებენ. მათი წინამძღოლი ლოდზე აძვრა და მცირედ მორწმუნეებს დასცინა.

– ყოველთა მამამ შექმნა სამყარო, – დაიყვირა მან, – საკუთარი ხელებით ააშენა პაპამისის, იმირის[22] ხორცისა და დამსხვრეული ძვლებისგან. იმირის ტვინი ცაში

აზიდა ღრუბლებად, ხოლო მისი მლაშე სისხლი გადაიქცა ზღვებად, ჩვენ რომ გადმოვცურეთ. თუკი მთელი სამყარო შექმნა, განა ამ მიწასაც ის არ შექმნიდა? და თუ აქ ვაჟკაცურად დავიხოცებით, განა მის დარბაზში არ მიგვიღებენ?

სიცილითა და ყიჟინით შეხვდნენ ამ სიტყვებს კაცები. მხნედ შეუდგნენ ხის მორებისა და ტალახისგან დარბაზის შენებას მესრით შემოვლებულ პატარა ეზოში. თუმცა თავდასხმას არავისგან ელოდნენ, რაკი იმ მიწაზე, მათი აზრით, სხვა არავინ სახლობდა, მესრის სარებს წვერი მაინც წაუმახვეს.

იმ დღეს, როცა დარბაზის შენებას მორჩნენ, ქარიშხალი ამოვარდა: მოიღრუბლა და შუადღისას ღამესავით დაბნელდა, ცას ელვა სერავდა და გამაყრუებლად ქუხდა. სამშობლოდან იმისთვის

წამოყვანილი კატა, რომ მგზავრობისას იღბალი მოეტანა მათთვის, დაფრთხა და ნაპირზე გამოთრეული ნავის ქვეშ შეძვრა. ქარიშხალი იმდენად ძლიერი და მძვინვარე იყო, კაცები გახარებულები ერთმანეთს ზურგზე ხელებს უტყაპუნებდნენ და სიცილხარხარით გაიძახოდნენ: – მეხთამტყორცნელი ჩვენთანაა, აქ, ამ შორეულ მხარეში. შემდეგ მადლობა შესწირეს ღმერთს, ინადიმეს და დათრობამდე სვეს.

დარბაზის კვამლიან სიბნელეში ბარდმა მათ ძველი სიმღერები უმღერა. ბარდმა იმღერა ოდინზე[23], ყოველთა მამაზე, რომელმაც ისევე მამაცურად შესწირა საკუთარ თავს თავი, როგორც სხვებს სწირავდნენ მას. ბარდმა იმღერა ცხრა დღეზე, როცა ყოველთა მამა სამყაროს ხეზე ეკიდა გვერდში შუბგარჭობილი და სისხლმდინარი (ამ დროს მისი სიმღერა წუთით კივილად გადაიქცა) და ჩამოთვალა ყველაფერი, რაც ყოველთა მამამ ტანჯვის ჟამს ისწავლა: ცხრა სახელი, ცხრა რუნა და ორგზის ცხრა შელოცვა. როცა მღეროდა, ოდინს შუბმა გვერდი გაუგმირაო, ბარდმა ტკივილისგან ისე შეჰყვირა, თითქოს თავად ყოველთა მამა ყვიროდა გამწარებული. ყველა მსმენელს გააჟრჟოლა ამ ტკივილის წარმოდგენაზე.

მომდევნო დღეს, ყოველთა მამის სახელობის დღეს[24], სკრელინგი[25] იპოვეს. ტანდაბალი კაცი იყო ყვავის ფრთასავით შავი, გრძელი თმითა და თიხასავით მუქი წითელი კანით. მისი

სიტყვები ვერავინ გაიგო, ვერც ბარდმა, რომელსაც ნავით ჰერაკლეს სვეტებს შორისაც გაეცურა და ხმელთაშუეთის ვაჭრების ჩიქორთულიც ესმოდა. უცხოელს ბუმბულეული და ბეწვეული ეცვა, ხოლო გრძელ თმაში წვრილი ძვლები ჰქონდა ჩაწნული.

სკრელინგი თავიანთ ბანაკში წაიყვანეს, შემწვარი ხორცი აჭამეს და მაგარი სასმელით წყურვილი დაუცხრეს. ერთხმად სიცილი დააყარეს, როცა კაცმა ბარბაცი და თავის კანტური დაიწყო და ამღერდა – არადა, მხოლოდ ნახევარი ყანწი თაფლუჭი დალია. შემდეგ უფრო მეტი თაფლუჭი შეასვეს და მალე სკრელინგს მაგიდის ქვეშ მოკუნტულს ჩაეძინა.

მაშინ თითო კაცმა თითო მხარსა და ფეხში ჩასჭიდა ხელი, მხრებზე შემოიდეს და რვაფეხა ცხენივით[26] წინ გაუძღვნენ პროცესიას ბორცვის თხემზე მდგარი, იფნის

ხისკენ, უბეს რომ გადაჰყურებდა. იქ სკრელინგს კისერზე მარყუჟი შემოუჭირეს და იფნის ტოტზე ჩამოკიდეს, მსხვერპლად შესწირეს ყოველთა მამას, სახრჩობელათა მეუფეს. სკრელინგი ქარში აქანავდა, სახე გაუშავდა, ენა გადმოუვარდა, თვალები გადმოეკარკლა და პენისი ისე გაუმაგრდა, ზედ ტყავის ჩაფხუტი ჩამოიკიდებოდა. კაცები ყიჟინებდნენ, ყვიროდნენ და იცინოდნენ, ამაყობდნენ ზეცაში გაგზავნილი თავიანთი შესაწირით.

მომდევნო დღეს, როცა ჩამოხრჩობილ სკრელინგს ორივე მხარზე ორი დიდი ყორანი დაასკუპდა და მისი ღაწვების კორტნას შეუდგა, კაცები დარწმუნდნენ, რომ მათი შესაწირი მიიღეს.

ზამთარი ხანგრძლივი გამოდგა, შიმშილობდნენ, მაგრამ თავს იმაზე ფიქრით იმხნევებდნენ, რომ გაზაფხულზე ნავს ჩრდილოეთის მიწებზე გაგზავნიდნენ და იქიდან ახალმოსახლეებსა და ქალებს ჩამოიყვანდნენ. როცა ამინდი გაუარესდა და დღეები დამოკლდა, ზოგი სკრელინგების სოფლის მოსაძებნად წავიდა, საჭმლისა და ქალების საშოვნელად. ვერაფერს მიაგნეს, პატარა ნაბანაკარებისა და ნაკოცონარების გარდა.

შუა ზამთრის ერთ დღეს, როცა მზე მქრქალ მონეტასავით პატარა და ცივი მოჩანდა, კაცებმა შეამჩნიეს, რომ იფნის ტოტზე მოკონწიალე სკრელინგის გვამი ჩამოეხსნათ. იმ ნაშუადღევს თოვა დაიწყო, ციდან მსხვილი ფიფქები ჩამოცვივდა.

ჩრდილოეთის მიწებიდან მოსულმა კაცებმა თავიანთი ბანაკის კარიბჭე ჩაკეტეს და ხის დარბაზში გამაგრდნენ.

იმ ღამით მათ სკრელინგები დაესხნენ თავს: ხუთასმა კაცმა ოცდაათს შეუტია. სკრელინგები მესერზე გადაცოცდნენ და მომდევნო შვიდი დღის განმავლობაში ოცდაათივე კაცი სხვადასხვანაირად დახოცეს. მეზღვაურები ისტორიამაც დაივიწყა და თანამემამულეებმაც.

სკრელინგებმა მესერი წააქციეს და ბანაკი გადაწვეს. რიყეზე გამოთრეულ და ამოტრიალებულ

ნავსაც ცეცხლი წაუკიდეს იმის იმედით, რომ მკრთალკანიანებს მხოლოდ ერთი ნავი ექნებოდათ და მისი დაწვის შემდეგ ვეღარც ერთი ჩრდილოელი ვერ მოაღწევდა მათ სანაპირომდე.

კიდევ ასი წელი გავიდა, სანამ ლეიფ იღბლიანი[27], ძე ერიკ წითურისა[28], ამ მიწას ხელახლა აღმოაჩენდა და მას ვინლანდს უწოდებდა. როცა ლეიფმა უცხო მიწაზე პირველად დადგა ფეხი, მისი ღმერთები უკვე იქ იყვნენ: ცალხელა თირი[29], სახრჩობელათა ღმერთი, ჭაღარა ოდინი და მეხთამტყორცნელი თორი.

ისინი იქ იყვნენ.

ისინი იცდიდნენ.

მეოთხე თავი

დაე, შუაღამის რეისმა
შუქი მომანათოს სახეზე,
დაე, შუაღამის რეისმა
შუქით გამინათოს სახე მე.
„შუაღამის რეისი“, ხალხური სიმღერა[30]

შედოუმ და უენზდეიმ მოტელის მოპირდაპირე „ქანთრი ქიჩენში“[31] ისაუზმეს. დილის რვა საათზე სამყარო ჯერაც ნისლში იყო გახვეული და ციოდა.

– იგლ-პოინტიდან წასვლა ხომ არ გადაგიფიქრებია? – ჰკითხა უენზდეიმ ბუფეტთან, – თუ წასასვლელად მზად ხარ, რამდენიმეგან დავრეკავ. დღეს პარასკევია. პარასკევი უქმე დღეა. ქალის დღე. ხვალ შაბათია. შაბათს ბევრი საქმეა გასაკეთებელი.

– მზად ვარ, – უპასუხა შედოუმ, – აქ აღარაფერი მაკავებს.

უენზდეიმ თეფშზე ბლომად ძეხვეული დაახვავა, შედოუმ კი ნესვის ნაჭერი, ბლითი და ერთი პაკეტი მდნარი ყველი აიღო და მაგიდას მიუსხდნენ.

– წუხელ რა საოცარი სიზმარი ნახე, – თქვა უენზდეიმ.

– ჰო, – დაეთანხმა შედოუ.

დილით რომ ადგა, ხალიჩაზე მისი ოთახის კარიდან ჰოლამდე და ჰოლიდან გარეთ მიმავალი ლორას ტალახიანი ნაფეხურები შეამჩნია.

– აბა, – თქვა უენზდეიმ, – ეს შედოუ რა სახელია? – სახელია, რა, – პასუხად მხრები

აიჩეჩა შედოუმ.

სასადილოს მინის მიღმა სამყარო ფანქრით ნახატს ჰგავდა, სირუხის მრავალ ელფერში აქა-იქ გამოერეოდა ქათქათა თეთრი ან მკვეთრი წითელი ლაქები.

– თვალი როგორ დაკარგე?

უენზდეიმ ბეკონის ექვსი ნაჭერი ერთად ჩაიტენა პირში, დაღეჭა და ტუჩებიდან ცხიმი ხელით მოიწმინდა.

– არ დამიკარგავს, – უპასუხა შედოუს, – ვიცი, სადაც არის.

– აბა, რა გეგმები გვაქვს?

უენზდეი ჩაფიქრდა. ლორის რამდენიმე ნაჭერი შეჭამა, წვერიდან ხორცის ნამცეცი ამოიღო და თეფშზე დააგდო.

– გეგმა ასეთია. შაბათ საღამოს, ანუ როგორც უკვე აღვნიშნე, ხვალ, გარკვეულ სფეროებში გამორჩეულ რამდენიმე პირს შევხვდებით – მათი ქცევა ნუ შეგაშინებს. მათ ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილას ვნახავთ. შეხვედრის დასრულების შემდეგ მათთან ერთად სმა-ჭამას გავმართავთ. ჩემი ვარაუდით,

ოცდაათი ან ორმოცი მათგანი მოვა. შეიძლება უფრო მეტიც. ახალი საქმე წამოვიწყე და მათი მხარდაჭერის მოპოვება დამჭირდება.

და ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ადგილი სადაა?

– ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი-მეთქი, ყმაწვილო. მოსაზრებები ამის თაობაზე სამართლიანად გაყოფილია. ჩემს კოლეგებს უნდა ვაცნობო. გზად ჩიკაგოში შევჩერდებით, იქ ცოტა ფულს ავიღებ. წვეულებისთვის, ჩვენ რომ უნდა გავმართოთ, უფრო მეტი ფული დამჭირდება, ვიდრე ახლა ხელთა მაქვს. ჩიკაგოდან კი მედისონში წავალთ.

– გასაგებია.

– არაფერიც არაა გასაგები, მაგრამ თავის დროზე ყველაფერს მიხვდები.

უენზდეიმ საუზმის საფასური გადაიხადა და სასადილოდან გავიდნენ. მოტელის ავტოსადგომზე უენზდეიმ შედოუს მანქანის გასაღები გადაუგდო. შედოუმ მანქანა ავტომაგისტრალზე გაიყვანა და ქალაქი დატოვეს.

– მოგენატრება? – ჰკითხა უენზდეიმ, რომელიც რუკებით სავსე საქაღალდეში იქექებოდა.

– იგლ-პოინტი? არა. ძალიან ბევრი რამ მომაგონებს ლორას. აქ ცხოვრებას ვეღარ შევძლებ. ბავშვობიდან მოყოლებული, ერთ ადგილას დიდხანს არასდროს მიცხოვრია. ოც წელს გადაცილებული ვიყავი, აქ რომ ჩამოვედი. იგლ-პოინტი ლორას ქალაქია.

– იმედია, აქ დარჩება, – თქვა უენზდეიმ.

– ის ხომ მხოლოდ დამესიზმრა, – შეახსენა შედოუმ.

– კარგია, რომ საკითხს ეგრე ჯანსაღად უდგები, – უთხრა უენზდეიმ, – წუხელ მოტყანი? შედოუმ ღრმად ჩაისუნთქა, სანამ უპასუხებდა: – ისე, ეგ შენი საქმე არაა, მაგრამ არა.

– მაგრამ გინდოდა?

შედოუმ აღარ უპასუხა. ჩრდილოეთით, ჩიკაგოს მიმართულებით მიჰყავდა მანქანა. უენზდეიმ ჩაიცინა და რუკების თვალიერება განაგრძო; ზოგს შლიდა, ზოგს კეცავდა და დიდი, ვერცხლისფერი ავტოკალმით ყვითელფურცლებიან ბლოკნოტში რაღაცებს ინიშნავდა.

ბოლოს საქმიანობას მორჩა, ავტოკალამი შეინახა და საქაღალდე უკანა სავარძელზე დადო.

– ის მხარე, საითაც მივდივართ – მინესოტა, ვისკონსინი და მიმდებარე შტატები – ყველაზე მეტად ლამაზი ქალებით გამოირჩევა, ახალგაზრდობაში რომ მომწონდა, ისეთებით, – თქვა უენზდეიმ, – ისეთი ქათქათა კანი აქვთ, ისეთი ლურჯი თვალები, ქერა თმა – თითქმის თეთრი, ტუჩები – ღვინოსავით წითელი, ძუძუები – მრგვალი და სავსე.

–

– მხოლოდ ახალგაზრდობაში? – ჰკითხა შედოუმ, – არც წუხელ ჩანდი უხასიათოდ.

– ჰო, – გაიღიმა უენზდეიმ, – გინდა ჩემი წარმატების საიდუმლო გაგიმხილო?

– ფულს უხდი?

– როგორ გეკადრება. საიდუმლო მომხიბლაობაში მდგომარეობს. ესაა და ეს.

– მაშ, მომხიბლაობაში? როგორც ამბობენ, მომხიბლაობა ან გაქვს, ან – არა.

– მოხიბვლის სწავლა შეიძლება, – თქვა უენზდეიმ.

– მაშ, სად მივდივართ?

– ერთ ძველ მეგობარს უნდა გავესაუბროთ. შეხვედრაზე მოსვლას ისიც აპირებს. უკვე მოხუცდა. სადილზე გველოდება. ჩრდილო-დასავლეთით, ჩიკაგოსკენ მიიწევდნენ.

– ლორას რაც სჭირს, – სიჩუმე დაარღვია შედოუმ, – შენი ბრალია? ეს შენ ქენი?

– არა, – უპასუხა უენზდეიმ.

– როგორც იმ ბიჭმა მითხრა ლიმუზინში: შენ რომ გექნა, მეტყოდი?

– მეც შენსავით დაბნეული ვარ.

შედოუმ რადიო ძველი ჰიტების სადგურზე მომართა და თავის დაბადებამდე პოპულარულ სიმღერებს უსმენდა. ბობ დილანი მოსალოდნელ თავსხმაზე მღეროდა. შედოუმ გაიფიქრა, ნეტავ ეს თავსხმა უკვე მოვიდა თუ ახლა მოვაო. წინ გზა ცარიელი იყო. დილის მზის სხივები ასფალტზე ყინულის კრისტალებს ბრილიანტებივით აბრჭყვიალებდა.

ჩიკაგოში ისე თანდათანობით შევიდნენ, როგორც შაკიკი წამოუვლის ხოლმე ადამიანს. ჯერ სოფლებს შორის მიდიოდნენ, შემდეგ პატარა დაბები გარეუბნებად გადაიქცა და ბოლოს გარეუბნები ქალაქმა შეცვალა.

დაბალი და განიერი, ძველებური მრავალბინიანი სახლის წინ გააჩერეს მანქანა. შენობასთან

მისასვლელი გზა თოვლისგან გაეწმინდათ. ვესტიბიულში შევიდნენ. უენზდეი ინტერკომის ზედა ღილაკს დააწვა. არაფერი მომხდარა. უენზდეი კიდევ ერთხელ დააწვა ღილაკს. შემდეგ საცდელად სხვა ბინადრების ღილაკებსაც დააწვა, მაგრამ მაინც არავინ უპასუხა.

– გამორთულია, – თქვა კიბეზე ჩამომავალმა გაძვალტყავებულმა მოხუცმა ქალმა, – არ მუშაობს. სახლმმართველს რამდენჯერ დავურეკეთ, ვკითხეთ, როდის შეაკეთებდა ამასაც და გათბობასაც, მაგრამ არ ადარდებს. ჭლექიანია და ზამთარში არიზონაში წავიდა სამკურნალოდ, – მკვეთრი აქცენტით ლაპარაკობდა. აღმოსავლეთ ევროპულითო, გამოიცნო შედოუმ. უენზდეიმ თავი მდაბლად დაუკრა.

– ზორია, ძვირფასო, სიტყვებით ვერ აღვწერ, რაოდენ მშვენივრად გამოიყურები. ბრწყინავ და კაშკაშებ. ოდნავადაც კი არ დაბერებულხარ. დედაბერმა შეუბღვირა.

მას შენი ნახვა არ უნდა. არც მე მინდა შენი ნახვა. პრობლემების მეტი არაფერი მოგაქვს.

– იმიტომ, რომ მხოლოდ მნიშვნელოვან დროს მოვდივარ.

დედაბერმა დაისრუტუნა. საყიდლების ცარიელი ბადე ეჭირა და ბოლომდე შეკრული წითელი პალტო ეცვა. გაჭაღარავებულთმიან თავზე კოხტად ეხურა ხავერდის მწვანე ქუდი, რომელიც ცოტათი ყვავილის ქოთანსაც ჰგავდა და მრგვალ პურსაც. შედოუს ეჭვის თვალით შეხედა.

– ეს გოლიათი ვინ არის? – ჰკითხა უენზდეის, – ერთ-ერთი მკვლელი, ყოველთვის თან რომ დაატარებ?

– ცილს რად მწამებ, კეთილო ქალბატონო? ამ ბატონს შედოუ ჰქვია. დიახ, ჩემთვის მუშაობს, მაგრამ თქვენ საკეთილდღეოდ. შედოუ, ნება მიბოძე, მის ზორია ვეჩერნაია[32] გაგაცნო.

– ძალიან სასიამოვნოა, – თქვა შედოუმ.

ქალმა ფრინველივით გადახარა თავი და დაჟინებით შეხედა მას.

– შედოუ, – გაიმეორა სახელი, – კარგი სახელია. ჩემი დრო მაშინ დგება, როცა ჩრდილები გრძელდება. შენ კი გრძელი ჩრდილი ხარ, – დედაბერმა შედოუ აათვალიერ-ჩაათვალიერა და შემდეგ გაიღიმა, – შეგიძლია ხელზე მეამბორო, – და ცივი ხელი გაუშვირა.

შედოუ დაიხარა და ცივ, წვრილ ხელზე ეამბორა. მოხუც ქალს შუა თითზე დიდი, ქარვისთვლიანი ბეჭედი ეკეთა.

– რა კარგი ბიჭია, – თქვა დედაბერმა, – სასურსათო მაღაზიაში მივდივარ. იცით, პურის ფული მხოლოდ მე შემაქვს ოჯახში, ის ორი მკითხაობით ფულს ვერ შოულობს. საქმე ისაა, რომ მხოლოდ სიმართლეს ამბობენ, ხალხს კი სიმართლის მოსმენა სულაც არ უნდა. სიმართლე ცუდი რამაა და ხალხს აწუხებს. ამიტომაც მეორედ აღარ მოდიან ხოლმე. აი, მე კი ვატყუებ კლიენტებს, იმას ვეუბნები, რის გაგონებაც უნდათ, ყველას იღბალს ვუწინასწარმეტყველებ ხოლმე. ჰოდა, ოჯახსაც მე ვარჩენ. ვახშმად დარჩენას აპირებთ?

– ვიმედოვნებ, რომ დავრჩებით, – უპასუხა უენზდეიმ.

– მაშინ ფული მომეცი, რომ მეტი საჭმელი მოვიტანო, – უთხრა ზორიამ, – ამაყი კი ვარ, მაგრამ სულელი არ გეგონო. ის ორი ჩემზე ამაყია, ის კაცი კიდევ – ყველაზე ამაყი. ფული მომეცი, მაგრამ სხვებს არ უთხრა.

–

უენზდეიმ საფულე გახსნა და ოცდოლარიანი ამოიღო. ზორია ვეჩერნაიამ ფული ხელიდან გამოჰგლიჯა, მაგრამ ფეხი არ მოუცვლია. უენზდეიმ კიდევ ერთი ოცდოლარიანი ამოიღო და მისცა.

– ეს კარგია, – თქვა მან, – მეფურად გაგიმასპინძლდებით, ისე გულუხვად, თითქოს მამაჩვენს ვაჭმევ-ვასმევდეთ. მიდით, ბოლო სართულზე ადით. ზორია უტრენნაიამ[33] უკვე გაიღვიძა.

შედოუ და უენზდეი ჩაბნელებულკიბეს შეუყვნენ. მეორე სართულის კიბის ბაქანზე შავი ნაგვის ტომრები ეყარა და იქაურობა დამპალი ბოსტნეულის სუნად ყარდა.

– ბოშები არიან? – ჰკითხა უენზდეის შედოუმ.

– ზორია და მისი ოჯახი? სულაც არ არიან ბოშები. სლავები არიან. მგონი, რუსები. –

კი, მაგრამ მკითხავები ვართო, თვითონ თქვა.

– მერედა, განა მხოლოდ ბოშები მკითხაობენ? ხანდახან მეც შევიქცევ ხოლმე თავს მკითხაობით, – უენზდეიმ ქოშინით აიარა ბოლო საფეხურები, – ფორმაში აღარ ვარ. კიბის ბაქანი წითლად შეღებილ, საჭვრეტიან კართან დასრულდა.

უენზდეიმ კარზე დააკაკუნა. არავინ გამოეპასუხა. მაშინ ხელმეორედ, უფრო მაგრად დააკაკუნა.

– კარგი! კარგი! გავიგე! გავიგე! – გაისმა საკლიტურის გადატრიალების, ურდულის გახსნისა და ჯაჭვის ჩხარუნის ხმა. წითელი კარი ოდნავ გამოაღეს.

– ვინ არის? – იკითხა კაცის ბებრულმა, სიგარეტისგან ჩახლეჩილმა ხმამ.

– ძველი მეგობარი, ჩერნობოგ[34]. ამხანაგთან ერთად.

კარი ოდნავ უფრო ფართოდ გაიღო, სადამდეც ჯაჭვმა გაუშვა. შედოუმ სიბნელიდან მათკენ მომზირალი თვალები და გაფითრებული სახე დაინახა.

– რა გინდა, გრიმნირ[35]?

– პირველ ყოვლისა, შენს საზოგადოებაში ყოფნით დატკბობა. გარდა ამისა, ერთი ცნობა უნდა გაგიზიარო. როგორაა ის გამოთქმა... აჰ, ჰო. შენთვის სასარგებლო რამეს შეიტყობ.

კარი ბოლომდე გაიღო. გამოჩნდა მონაცრისფრო-მოყავისფრო ხალათშემოცმული, თმაშეევერცხლილი და უხეშნაკვთებიანი კაცი, რომელსაც სიძველისგან გაცვეთილი შარვალი და ფლოსტები ეცვა. ნახევრად მუჭში დამალული უფილტრო სიგარეტი მსხვილი თითებით ეჭირა

(პატიმარივით თუ ჯარისკაცივითო, გაიფიქრა შედოუმ) და ექაჩებოდა. უენზდეის მარცხენა ხელი გაუწოდა.

– მაშინ მობრძანდი, გრიმნირ.

– ბოლო დროს უენზდეის მიწოდებენ, – ხელი ჩამოართვა მოხუცს უენზდეიმ.

ჩერნობოგმა ცალყბად ჩაიცინა და გაყვითლებული კბილები გამოუჩნდა.

– ჰო, – თქვა მან, – ძალიან სასაცილოა. ეს ვინ არის?

– ჩემი ამხანაგი. შედოუ, გაიცანი მისტერ ჩერნობოგი.

– სასიამოვნოა, – თქვა ჩერნობოგმა და შედოუს მარცხენა ხელი თავის მარცხენით ჩამოართვა. ხელი უხეში და დაკოჟრებული ჰქონდა, თითისწვერები – გაყვითლებული, თითქოს იოდში ჩაეყოს.

როგორ ხართ, მისტერჩერნობოგ?

– დავბერდი. კუჭი მეწვის და ზურგი მტკივა. ყოველ დილით საშინლად ვახველებ.

– კარში რატომ დგახართ? – გაისმა ქალის ხმა. შედოუმ შიგნით შეიხედა. ჩერნობოგის ზურგს უკან მოხუცი ქალი იდგა. თავის დაზე დაბალი და სუსტი იყო, მაგრამ თმა უფრო გრძელი და ოქროსფერი ჰქონდა.

– მე ზორია უტრენნაია ვარ, – თქვა მან, – მანდ ნუ დგახართ, შემოდით, სასტუმრო ოთახში დასხედით. შებრძანდით, მე ყავას მოგიტანთ.

სტუმრებს გადახარშული კომბოსტოს, კატის განავლისა და უცხოური, უფილტრო სიგარეტების სუნად აქოთებულ ბინაში შეუძღვნენ, რამდენიმე დახურულ კარს ჩაუარეს და პაწია დერეფნის ბოლოში მდებარე სასტუმრო ოთახში შევიდნენ. სტუმრები დიდ, ტყავგადაკრულ დივანზე დასხეს, რითაც მყუდროდ მოკალათებული ბებერი, რუხი კატა შეაწუხეს. კატა გაიზმორა, ადგა და დივანის მეორე კიდისკენ უკმაყოფილოდ გაცუნცულდა. იქ ისევ დაწვა, ყველას სათითაოდ, ფრთხილად შეხედა, შემდეგ ცალი თვალი დახუჭა და დაიძინა. ჩერნობოგი მათ პირდაპირ სავარძელში ჩაჯდა. ზორია უტრენნაიამ ცარიელი საფერფლე იპოვა და ჩერნობოგს გვერდით დაუდო.

– როგორ ყავას ინებებთ? – ჰკითხა ქალმა სტუმრებს, – აქ ღამესავით შავ და ცოდვასავით ტკბილ ყავას ვსვამთ ხოლმე.

– ჩვენც სიამოვნებით გეახლებით ეგეთ ყავას, მემ, – უთხრა შედოუმ და ფანჯრიდან ქუჩის გადაღმა მდგარ შენობებს გახედა. ზორია უტრენნაია გავიდა. ჩერნობოგმა თვალი გააყოლა.

– კარგი ქალია, – თქვა მან, – თავის დებს კი არ ჰგავს. ერთი ნამდვილი ჰარპიაა, მეორე ძილის მეტს არაფერს აკეთებს, – და ფლოსტიანი ფეხი გრძელ, დაბალ, სიგარეტით კიდეებამომწვარ და ნადგამი ჭიქების მრგვალი ლაქებით დაფარულ ყავის მაგიდაზე შემოდო. მაგიდის შუაში ჭადრაკის დაფა ეხატა.

– თქვენი მეუღლეა? – ჰკითხა შედოუმ.

–

– არავის მეუღლე არ არის, – უპასუხა კაცმა და, წუთით ჩაფიქრებულმა, უხეშ ხელებზე დაიხედა, – არა, ჩვენ ყველანი ნათესავები ვართ. აქ დიდი ხნის წინ ჩამოვედით.

ჩერნობოგმა ხალათის ჯიბიდან უფილტრო სიგარეტების კოლოფი ამოიღო. შედოუს მარკა არ ეცნო. უენზდეიმ ღია ფერის კოსტიუმის ჯიბიდან სანთებელა დააძრო და მოხუცის სიგარეტს მოუკიდა.

– ჯერ ნიუ-იორკში ჩავედით, – განაგრძო ჩერნობოგმა, – ჩვენი თანამოძმეები ჯერ ნიუიორკში ჩადიან. მერე აქ, ჩიკაგოში გადმოვსახლდით. საქმე ცუდად წაგვივიდა. სამშობლოში თითქმის დამივიწყეს. აქ ცუდი მოგონება ვარ, რომლის გახსენება არავის უნდა. იცი, რა ვქენი, როცა ჩიკაგოში ჩამოვედი?

– არა, – უპასუხა შედოუმ.

– სასაკლაოზე დავიწყემუშაობა. მესაქონელს უროს ჩარტყმით ვკლავდი, სხვები კავზე თავდაყირა კიდებდნენ და ყელს სჭრიდნენ. სანამ საქონელს თავს მოსჭრი, სისხლისგან უნდა დაიცალოს. ჩვენ, მეუროეები, ყველაზე ღონივრები ვიყავით, – ჩერნობოგმა მკლავი დაიკაპიწა და კუნთი დაჭიმა იმის საჩვენებლად, რომ ბებერ ხელში ძალ-ღონე ჯერაც შერჩენოდა, – მხოლოდ ღონე ვერ გიშველის, ურო მარჯვედ უნდა მოიქნიო და დაარტყა, თორემ სხვანაირად ძროხა მხოლოდ რეტიანდება ან ბრაზდება. შემდეგ, ორმოცდაათიან წლებში, პნევმატური პისტოლეტები დაგვირიგეს. შუბლზე მიადებ და ბახ! ბახ! ალბათ იფიქრე, ადვილია, ამას ხომ

ყველა იზამსო, მაგრამ ცდები. ხელის სიმარჯვე და ოსტატობა მაინც საჭიროა, – ძველი ამბების გახსენებაზე სევდიანად ჩაეღიმა ჩერნობოგს. – სტუმრებს თავს ნუ აბეზრებ შენი ძროხების ხოცვის ამბებით.

ზორია უტრენნაიამ ყავა ხის წითელი ლანგრით შემოიტანა. პატარა, ღია ფერის მომინანქრებულ ფინჯნებში იმდენად მუქი სითხე ესხა, შავი გეგონებოდათ. მოხუცმა ქალმა ყველას სათითაოდ ჩამოურიგა ყავა და ჩერნობოგის გვერდით დაჯდა.

– ზორია ვეჩერნაია სასურსათო მაღაზიაში წავიდა, – თქვა მან, – მალე დაბრუნდება. –

ქვემოთ შევხვდით, – უთხრა შედოუმ, – მკითხავი ვარო, გვითხრა.

– დიახ, – თქვა ზორია ვეჩერნაიას დამ, – ბინდში, როცა ტყუილების თქმის დროა. მე კარგად ვერ ვიტყუები, ამიტომ ცუდი მკითხავი ვარ. ჩვენი და, ზორია პოლუნოჩნაია[36] კი, საერთოდ ვერ იტყუება. ყავა იმაზე ტკბილი და მაგარი აღმოჩნდა, ვიდრე შედოუ ელოდა.

შედოუმ ბოდიში მოიხადა და სადარბაზო კართან ახლოს, პატარა, კარადისოდენა ტუალეტში შევიდა. კედლებზე ჩარჩოში ჩასმული და სიძველისგან გახუნებული, დალაქავებული ფოტოები ეკიდა. ჯერ მხოლოდ ადრიანი ნაშუადღევი იყო, მაგრამ დღის შუქი თანდათან მკრთალდებოდა. დერეფნიდან ხმამაღალი ლაპარაკი მოესმა. გულისამრევი სუნის მქონე ვარდისფერი საპნის ნაჭრით ყინულივით ცივ

წყალში დაიბანა ხელი. ჩერნობოგი დერეფანში იდგა, როცა შედოუ ტუალეტიდან გამოვიდა.

– მხოლოდ უსიამოვნება მოგაქვს! – ყვიროდა ის, – არაფერი უსიამოვნების გარდა! არ მოგისმენ! გაეთრიე ჩემი სახლიდან!

უენზდეი ისევ დივანზე იჯდა, ყავას წრუპავდა და რუხ კატას ეფერებოდა. ზორია უტრენნაია თხელ ხალიჩაზე იდგა და გრძელ, ყვითელ თმას ცალი ხელით ნერვიულად იხვევდა.

– პრობლემაა რამე? – იკითხა შედოუმ.

– ის არის პრობლემა! – დაიყვირა ჩერნობოგმა, – აი, ის! გადაეცი, რომ ვერაფერი მაიძულებს, მას დავეხმარო! წავიდეს! წაეთრიოს აქედან! ორივე წადით!

– გთხოვ, – შეემუდარა ზორია უტრენნაია, – გთხოვ, ჩუმად, ზორია პოლუნოჩნაიას გააღვიძებ.

შენც მისნაირი ხარ, ამსიგიჟეში მონაწილეობა გინდა! – დაუყვირა ჩერნობოგმა, რომელიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს ატირებას ცოტაღა უკლდა. მის სიგარეტს ფერფლის სვეტი მოსწყდა და დერეფანში დაგებულ გაცრეცილ ხალიჩაზე დაცვივდა. უენზდეი წამოდგა, ჩერნობოგთან მივიდა და მხარზე ხელი დაადო.

– მისმინე, – უთხრა მშვიდად, – ჯერ ერთი, ეს სიგიჟე კი არა, ერთადერთი გზაა. მერე მეორე, ყველა იქ იქნება. მხოლოდ შენ გამოტოვებ შეხვედრას?

– იცი, ვინც ვარ, – უპასუხა ჩერნობოგმა, – იცი, ამ ხელებს რაც უკეთებია. შენ მე კი არა, ჩემი ძმა გჭირდება. ჩემი ძმა კი გაქრა. დერეფანში კარი გაიღო და ქალის ნამძინარევი ხმა გაისმა: – რა ხდება?

– არაფერი, დაო, – უპასუხა ზორია უტრენნაიამ, – დაიძინე, – შემდეგ ჩერნობოგს მიუბრუნდა, – ხედავ, ხედავ, შენმა ყვირილმა რა გამოიწვია? შედი ოთახში და დაჯექი. შედი!

ჩერნობოგი თითქოს გაპროტესტებას აპირებდა, მაგრამ რატომღაც წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტა: უეცრად უძლურ, მარტოსულ მოხუცს დაემსგავსა.

სამივე კაცი ღარიბულ სასტუმრო ოთახში შებრუნდა. ოთახს, ჭერიდან ოცდაათი სანტიმეტრის სიმაღლეზე, ნიკოტინის რკალი შემოვლებოდა, როგორც ნალექის ხაზი – ძველ აბაზანას.

– კარგი, თუ გინდა, ეგრე იყოს, შენი ძმა მჭირდება, – მშვიდად უთხრა უენზდეიმ ჩერნობოგს, – მაგრამ როცა შენს ძმას იხმობენ, შენც უნდა მოხვიდე. გაორებული ტიპები ხომ მაგით აღგვემატებით დანარჩენებს? ჩერნობოგმა არ უპასუხა.

– რახან ბელობოგზე[37] ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ მითხარი, მისგან რამე ხომ არ გსმენია?

–
ჩერნობოგმა უარის ნიშნად გააქნია თავი. შემდეგ გაცრეცილ ხალიჩას დააშტერდა და ჩაილაპარაკა: – კარგა ხანია, მასზე არავის არაფერი სმენია. მე თითქმის დამივიწყეს, მაგრამ ცოტათი მაინც ვახსოვარ ხალხს აქ და სამშობლოში, – თავი ასწია და შედოუს შეხედა, – ძმა გყავს?

– არა, – უპასუხა შედოუმ, – ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი.

– მე მყავს. როგორც ამბობენ, ორივე ერთად ერთი პიროვნება ვართ. ხვდები? ახალგაზრდობაში მას თითქმის თეთრი, ქერა თმა ჰქონდა და ხალხი მასზე ამბობდა, კეთილიაო. მე შავი თმა მქონდა, შენზე მუქი, და ხალხი ჩემზე ამბობდა, გაიძვერააო. ხვდები? ანუ მე ცუდი ვიყავი. დრო გავიდა. გავჭაღარავდი. ალბათ ჩემი ძმაც გაჭაღარავდა. ახლა ვეღარავინ გაარჩევს, რომელი ვიყავით თეთრი და რომელი – შავი.

– ერთმანეთთან ახლობლობდით? – ჰკითხა შედოუმ.

– ვახლობლობდით? – გაიკვირვა ჩერნობოგმა, – არა. არ ვახლობლობდით. რანაირად? ორივეს სხვადასხვა რამ გვაინტერესებდა.

დერეფნის ბოლოდან წკარუნი მოგვესმა. ზორია ვეჩერნაია შემოვიდა.

– ერთ საათში ვივახშმებთ, – გამოაცხადა და ისევ წავიდა. ჩერნობოგმა ამოიხვნეშა.

– ჰგონია, კარგი მზარეულია, – თქვა მან, – ეგ რომ ახალგაზრდა იყო, საჭმელს მსახურები გვიმზადებდნენ. ახლა მსახურები აღარ გვყავს. არაფერი აღარ გვაქვს.

– როგორ არა, – შეუსწორა უენზდეიმ, – რაღაც ყოველთვის გაქვს.

– მე შენ აღარ მოგისმენ, – უთხრა ჩერნობოგმა და შედოუსკენ მიტრიალდა, – შაშის თამაში იცი?

– კი, – უპასუხა შედოუმ.

– კარგი, მაშინ მეთამაშე, – ჩერნობოგმა ბუხრის თავიდან ხის კოლოფი ჩამოიღო და ყავის მაგიდაზე კოჭები ამოალაგა, – შავებით ვითამაშებ. უენზდეი შედოუს მკლავზე შეეხო და უთხრა: – თუ არ გინდა, არავინ გაძალებს.

– პრობლემა არაა, ვეთამაშები, – თქვა შედოუმ.

უენზდეიმ მხრები აიჩეჩა და ფანჯრის რაფაზე შემოდებული გაყვითლებული ჟურნალების დასტიდან „რიდერს დაიჯესტის“ ძველი ნომერი აიღო. ამასობაში ჩერნობოგი კოჭების დაფაზე დაწყობას მორჩა და თამაში დაიწყო.

შემდგომში შედოუ ხშირად იხსენებდა იმ თამაშს. რამდენჯერმე დაესიზმრა კიდეც. თვითონ ბრტყელი, მრგვალი, ნომინალურად თეთრი, სინამდვილეში კი ხმელი, ჭუჭყიანი ხის კოჭებით თამაშობდა, ჩერნობოგი – გახუნებული, შავი კოჭებით. პირველი სვლა შედოუმ გააკეთა. სიზმრებში ხმის ამოუღებლად თამაშობდნენ,

მხოლოდ კოჭების უჯრედიდან უჯრედზე გადაადგილებისას ან გასრიალებისას ისმოდა ხმამაღალი ჩხაკუნი და ღრჭიალი.

პირველი ექვსი სვლის განმავლობაში ორივე მოთამაშე მხოლოდ წინა რიგების კოჭებით თამაშობდა, უკანა რიგებისთვის ხელი არ უხლიათ. სვლებს შორის დაფას აშტერდებოდნენ და დიდხანს ფიქრობდნენ, თითქოს ჭადრაკს თამაშობდნენ.

შედოუ დროის გასაყვანად ციხეშიც თამაშობდა შაშს. ჭადრაკსაც თამაშობდა, ოღონდ საერთოდ არ ჰქონდა შესაფერისი ხასიათი. წინასწარ რაიმეს გათვლა და დაგეგმვა არ უყვარდა. ყოველთვის კონკრეტულ მომენტში საჭირო, საუკეთესო სვლას აკეთებდა. აი, შაშის თამაშისას კი, ხანდახან, ამგვარად გამარჯვება შეიძლება.

ჩერნობოგმა შავი კოჭი აიღო, შედოუს თეთრ კოჭს გადაახტუნა და მომდევნო უჯრაზე დაახეთქა. შემდეგ შედოუს თეთრი კოჭი აიღო და დაფის გვერდით, მაგიდაზე დადო.

– პირველი სისხლი. წააგე, – უთხრა ჩერნობოგმა, – მორჩა თამაში.

– არა, – უპასუხა შედოუმ, – ჯერ თამაშის დამთავრებამდე შორია.

– მაშინ ნაძლევი ხომ არ დავდოთ? თამაში უფრო საინტერესო გახდება.

– არა, – ჟურნალიდან თავის აუწევლად თქვა უენზდეიმ, – არ დანაძლევდებით.

მას ვეთამაშები, შენ კი არა, ბებერო. აბა, რაზე ვითამაშოთ, მისტერ შედოუ?

– წეღან რაზე კამათობდით? – ჰკითხა შედოუმ. ჩერნობოგმა წარბები შეკრა.

– შენს უფროსს უნდა, რომ თან გავყვე და სულელურ წამოწყებაში დავეხმარო. მაგას მირჩევნია, მოვკვდე.

– დავნაძლევდეთო, ხომ მითხარით? მაშ, კარგი. თუ მოვიგებ, წამოგვყვებით. მოხუცმა

კაცმა ტუჩები მოკუმა.

– ჰმმ, შეიძლება, – თქვა მან, – ოღონდ ერთი პირობით.

– გისმენთ.

ჩერნობოგს სახე არ შეუცვლია.

– თუ მე მოვიგებ, ურითი ტვინს გაგასხმევინებ. მუხლებზე დადგები და ჩაგარტყამ, რომ ვეღარასდროს ადგე.

შედოუმ მოხუცს შეხედა, მაგრამ გამომეტყველებაზე შეატყო, ჩერნობოგი არ ხუმრობდა. მის სახეზე აშკარად წყურვილი იკითხებოდა, წყურვილი ტკივილისა, სიკვდილისა თუ შურისძიებისა. უენზდეიმ ჟურნალი დაკეცა.

– ეს სასაცილოც აღარაა, – თქვა მან, – შევცდი, რომ აქ მოვედი. შედოუ, წავედით.

შეწუხებული რუხი კატა წამოდგა და ყავის მაგიდაზე გადმოხტა. რამდენიმე წამით კოჭებს მიშტერებოდა, შემდეგ იატაკზე ჩახტა და კუდაპრეხილი გავიდა ოთახიდან.

–

– არა, – იუარა შედოუმ. სიკვდილის არ ეშინოდა, დასაკარგი მაინც აღარაფერი ჰქონდა, – თანახმა ვარ. თუ მოიგებთ, უფლებას მოგცემთ, ურითი ტვინი გამასხმევინოთ, – და ამ სიტყვებით მომდევნო თეთრი კოჭი დაფის კიდეზე, მოსაზღვრე უჯრედზე გადასვა.

მეტი არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ უენზდეის „რიდერს დაიჯესტი“ აღარ გადაუშლია. შუშისა და ნამდვილი თვალით თამაშს უყურებდა, ოღონდ სახეზე არანაირი ემოციის კვალი არ ემჩნეოდა.

ჩერნობოგმა შედოუს კიდევ ერთი კოჭი მოუკლა, შედოუმ – ორი. დერეფნიდან უცხო კერძების მზადების სუნი შემოიჭრა. მართალია, ყველა სუნი მადის აღმძვრელი არ ყოფილა, მაგრამ შედოუ უეცრად მიხვდა, რომ ძლიერ მოშიებოდა.

მოთამაშეები რიგრიგობით აკეთებდნენ სვლებს, თეთრსა და შავ კოჭებს აქეთ-იქით ახტუნებდნენ. და, აი, რამდენიმესვლიანი კომბინაციის შემდეგ კოჭებმა მეტოქის ბოლო რიგამდე მიაღწიეს, დამებად გადაიქცნენ: ამის შემდეგ მხოლოდ წინ ან განზე კი არა, ნებისმიერი მიმართულებით გადაადგილებას შეძლებდნენ. დამა წინაც მოძრაობს და უკანაც, ამიტომაც ითვლება ორმაგად სახიფათოდ. ჩერნობოგს სამი დამა ჰყავდა, შედოუს – ორი.

ჩერნობოგი ერთი დამით მთელ დაფაზედასდევდა და კლავდა შედოუს კოჭებს, დანარჩენი ორით შედოუს დანარჩენ კოჭებს არ აძლევდა გადაადგილების საშუალებას.

ბოლოს ჩერნობოგმა კიდევ ერთი კოჭი გადააქცია დამად, შედოუს ორივე დამას შეუტია და მოუკლა. ამით თამაში მორჩა.

– ესეც ასე, – თქვა ჩერნობოგმა, – მოვიგე და ტვინს გაგასხმევინებ. მუხლებზე საკუთარი ნებით დადგები. რა კარგია, – ბებერი ხელი გაიშვირა და შედოუს მკლავზე დაუტყაპუნა.

– ვახშმობამდე დრო კიდევ გვაქვს, – უთხრა შედოუმ, – კიდევ ერთი ხელი ხომ არ ვითამაშოთ? იმავე პირობით? ჩერნობოგმა ასანთი გაჰკრა და სიგარეტს მოუკიდა.

– იმავე პირობით როგორ? გინდა, ორჯერ მოგკლა?

– ახლა მხოლოდ ერთი დარტყმის უფლება მოიპოვეთ. თავად მითხარით, მხოლოდ ღონე ვერ გიშველის, სიმარჯვე და სიზუსტეც საჭიროაო. ამგვარად, თუ მეორე ხელსაც მომიგებთ, ორი დარტყმის უფლება გექნებათ.

ჩერნობოგი მოიღუშა.

– ერთი დარტყმა საკმარისია. მთელი ოსტატობა ესაა, – მარცხენა ხელი მარჯვენა მკლავის კუნთებზე დაიტყაპუნა და მარცხენა ხელის თითებში გაჩრილი სიგარეტის ფერფლი მაგიდაზე დაყარა.

– სასაკლაოში დიდი ხნის წინ მუშაობდით. თუ ღონე ძველებურად აღარ მოგდევთ, შეიძლება მხოლოდ დამალურჯოთ. ბოლოს როდის მოიქნიეთ ურო, თუ გახსოვთ? ოცდაათი წლის წინ? ორმოცის?

ჩერნობოგი გაჩუმდა. მჭიდროდ მოკუმული პირი მის სახეზე ნაცრისფერ ნაიარევს დაემსგავსა. თითები ხის მაგიდის ზედაპირზე რიტმულად დააკაკუნა. შემდეგ დაფაზე კოჭების ხელახლა დალაგება დაიწყო.

– ვითამაშოთ, – თქვა მან, – შენ ისევ თეთრებით, მე – შავებით.

შედოუმ პირველი კოჭი გადააადგილა, ჩერნობოგმაც გად�ადგილა პირველი კოჭი. უცებ შედოუმ რატომღაც გაიფიქრა, რომ ჩერნობოგი ისევ ისე ეცდებოდა გამარჯვებას, როგორც

პირველ ხელში გაიმარჯვა, რომ მას სხვანაირად თამაში არ შეეძლო და ეს სათავისოდ უნდა გამოეყენებინა.

ამჯერად შედოუ დაუფიქრებლად და დაუყოვნებლად აკეთებდა სვლებს, უმცირეს შესაძლებლობებსაც კი არ უშვებდა ხელიდან. გარდა ამისა, შედოუ იღიმოდა. როცა ჩერნობოგი აკეთებდა სვლას, მისი ღიმილი უფრო ფართოვდებოდა.

სულ მალე მოთმინებიდან გამოსული ჩერნობოგი კოჭებს ისე ძლიერად ახეთქებდა დაფაზე, რომ სხვა კოჭები ყანყალებდა.

ესეც ასე, – თქვა ჩერნობოგმა, როცა შედოუს ერთ-ერთი კოჭი მოუკლა, – აბა, ახლა რას
იტყვი?

შედოუს არაფერი უთქვამს, მხოლოდ გაიღიმა. შემდეგ ჯერ ჩერნობოგის ერთ კოჭს გადაახტა, მერე მეორეს, მესამეს, მეოთხეს და არა მხოლოდ დაფის შუაგული გაწმინდა შავი კოჭებისგან, თავისი კოჭი დამადაც გადააქცია.

ამით თამაში ფაქტობრივად დასრულდა. სულ რამდენიმე სვლაში მოხვეტა მეტოქის ყველა კოჭი და გაიმარჯვა.

– ბოლო ხელმა გამოავლინოს მოგებული? – ჰკითხა შედოუმ.

შეცბუნებულმა ჩერნობოგმა ნაცრისფერი თვალები მიაპყრო და შემდეგ გაიცინა, შედოუს მხრებზე ხელები დაჰკრა.

– მომწონხარ! – წამოიძახა მან, – ყვერებიანი ბიჭი ყოფილხარ!

ამასობაში ზორია უტრენნაიამ შემოყო თავი ოთახში, ვახშამი მზად არის, მაგიდა გაათავისუფლეთ და ზედ სუფრა გადააფარეთო.

– სასადილო ოთახი არ გვაქვს, – თქვა მოხუცმა ქალმა, – მაპატიეთ. აქ ვჭამთ ხოლმე.

კერძები მაგიდაზე დააწყვეს. თითოეულ მოსადილეს მოხატული თეფში და ბზინვარებადაკარგული დანა-ჩანგალი დაურიგეს მუხლებზე დასადებად.

–

ზორია ვეჩერნაიამ ხუთ ხის ჯამში ხუთი მოხარშული, გაუფცქვნელი კარტოფილი ჩადო და დიდი ჩამჩით კვასკვასა წითელი ბორშჩი ჩაასხა შიგ. შემდეგ კარტოფილიან ბორშჩში თითო კოვზი არაჟანი ჩაამატა და ხუთივეს სათითაოდ მიაწოდა ჯამი.

– მეგონა, ექვსნი ვიყავით, – თქვა შედოუმ.

– ზორია პოლუნოჩნაიას ჯერ ისევ სძინავს, – უთხრა ზორია ვეჩერნაიამ, – მის წილს მაცივარში ვინახავთ. როცა გაიღვიძებს, შეჭამს.

ბორშჩს ძმრისა და დამწნილებული ჭარხლის გემო ჰქონდა. მოხარშული კარტოფილი მეტისმეტად ფხვიერი იყო.

ბორშჩის შემდეგ მწვანე ბოსტნეულთან ერთად მოშუშული, ძნელად დასაღეჭი ხორცი მოიტანეს. ბოსტნეული იმდენი ეხარშათ, მწვანე საერთოდ აღარ ეთქმოდა, გაყავისფრებას ცოტაღა უკლდა.

ბოლოს კომბოსტოს ფოთლებში გახვეული ფარშისა და ბრინჯის ჭამის დრო დადგა. კომბოსტოს ფოთლები ისეთი მაგარი იყო, ფარშისა და ბრინჯის ხალიჩაზე დაუყრელად ვერ გაჭრიდით. შედოუ თავის ულუფას დიდხანს ეჯახირა.

– შაში ვითამაშეთ, – თქვა ჩერნობოგმა და მოშუშული ხორცის კიდევ ერთი დიდი ნაჭერი ჩამოიჭრა, – მე და ამ ახალგაზრდამ. ერთი ხელი მე მოვუგე, ერთი იმან მომიგო. რახან ერთი

ხელი მან მომიგო, შეთანხმების თანახმად, მას და უენზდეის გავყვები და ამ გიჟურ წამოწყებაში დავეხმარები. და რახან ერთი ხელი მე მოვუგე, როცა ამ ყველაფერს მოვრჩებით, ახალგაზრდა კაცს თავში ურროს ჩარტყმით მოვკლავ.

დებმა ზორიებმა ცივადდააქნიეს თავი.

– რა სამწუხაროა, – უთხრა შედოუს ზორია ვეჩერნაიამ, – მე რომ მემკითხავა შენთვის, გეტყოდი, დიდხანს და ბედნიერად იცოცხლებ და ბევრი შვილის გარემოცვაში მოკვდები-მეთქი.

– ამიტომაც ხარ კარგი მკითხავი, – უთხრა მას ზორია უტრენნაიამ, რომელსაც თვალები ეხუჭებოდა, თითქოს ასე გვიანობამდე ფხიზლობა უჭირდა, – საუკეთესოდ იტყუები.

ვახშმობა დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ნავახშმევს შედოუს მაინც შიოდა. ციხეში ცუდი საჭმელი აქვთ, მაგრამ ამას ციხის საჭმელი სჯობდა.

– გემრიელი იყო, – თქვა უენზდეიმ, რომელმაც აშკარად სიამოვნებით მოასუფთავა თეფში, – გმადლობთ, ჩემო ძვირფასებო. ახლა კი, ვშიშობ, დადგა დრო, გკითხოთ, ახლომახლო კარგი სასტუმრო ხომ არ გეგულებათ.

ზორია ვეჩერნაიამ აღშფოთებით შეხედა მას.

– სასტუმროში აპირებთ დარჩენას? – ჰკითხა უენზდეის, – შენი მეგობრები არა ვართ?

– ვერ შეგაწუხებთ... – უთხრა უენზდეიმ.

– რა შეწუხებაა, – თქვა ზორია ვეჩერნაიამ, რომელსაც ცალი ხელი უჩვეულოდ ოქროსფერ თმაში შეეცურებინა, და დაამთქნარა.

– შენ ბელობოგის ოთახში დაიძინებ, – უენზდეისკენ გაიშვირა თითი ზორია ვეჩერნაიამ, – ცარიელია. შენთვის კი, ახალგაზრდავ, დივანზე დავაგებ ლოგინს. იქ უფრო მოხერხებულად მოეწყობი, ვიდრე ბუმბულის ქვეშაგებში. გეფიცები.

– მადლობას მოგახსენებთ, – უთხრა უენზდეიმ, – სიამოვნებით დავრჩებით.

– და მხოლოდ იმდენს გადამიხდით, რამდენსაც სასტუმროს ნომერში გადაიხდიდით, – დაამატა ზორია ვეჩერნაიამ და მოზეიმედ გადააქნია თავი, – ას დოლარს.

– ოცდაათს, – უთხრა უენზდეიმ.

– ორმოცდაათს.

– ოცდათხუთმეტს.

– ორმოცდახუთს.

– ორმოცს.

– კარგი, ორმოცდახუთ დოლარს, – ზორია ვეჩერნაია გადაიხარა და უენზდეის ხელი ჩამოართვა. შემდეგ მაგიდის ალაგებას შეუდგა. ზორია უტრენნაიამ ისე ფართოდ დაამთქნარა, შედოუს შეეშინდა, ყბა არ იღრძოსო. ქალმა გამოაცხადა, დავწვები, სანამ ჩამძინებია და თავი ღვეზელში ჩამიდიაო და ყველას ღამე მშვიდობისა უსურვა.

შედოუ ზორია ვეჩერნაიას ჭურჭლის პატარა სამზარეულოში გატანაში დაეხმარა. მისდა გასაკვირად, ნიჟარის ქვეშ ძველებური ჭურჭლის სარეცხი მანქანა იდგა და

ჭურჭელი შიგ შეაწყო. ზორია ვეჩერნაიამ უკან მიიხედა, უკმაყოფილოდ გააწკლაპუნა პირი და ბორშჩიანი ხის ჯამები გამოიღო.

– ესენი ნიჟარაში ჩააწყვე, – უთხრა შედოუს.

– უკაცრავად.

– არა უშავს. ახლა კი სასტუმრო ოთახში დაბრუნდი, ღვეზელი უნდა ვჭამოთ, – თქვა მოხუცმა ქალმა და ღუმლიდან ღვეზელი გამოიღო.

მაღაზიაში ნაყიდი და ღუმელში შემთბარი ვაშლის ღვეზელი მართლაც გემრიელი აღმოჩნდა. ოთხივემ ნაყინთან ერთად შეჭამა. შემდეგ ზორია ვეჩერნაიამ ოთახიდან ყველა გაისტუმრა და შედოუსთვის დივანზე ლოგინი დააგო. სანამ დერეფანში იცდიდნენ, უენზდეი შედოუს დაელაპარაკა.

– წელან, შაშის თამაშისას რაც გააკეთე, – თქვა მან.

– რა?

– კარგი იყო. ძალიან სულელურად კი მოიქეცი, მაგრამ კარგი იყო. ძილი ნებისა.

შედოუმ პატარა სააბაზანოში ცივი წყლით კბილები გაიხეხა და პირი დაიბანა. შემდეგ სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, შუქი ჩააქრო და ბალიშზე თავის დადებისთანავე დაეძინა.

შედოუს აფეთქებები ესიზმრა: სატვირთო მანქანით დანაღმულ ველზე მიდიოდა, მის ირგვლივ ნაღმები ფეთქდებოდა. საქარე მინა ჩაიმსხვრა და სახეზე თბილი სისხლი ჩამოუვიდა.

ვიღაც უყვიროდა.

ერთმა ტყვიამ ფილტვი გაუხვრიტა, მეორემ ხერხემალი ჩაუმსხვრია, მესამე მხარში მოხვდა. ყოველი ტყვიის მოხვედრა იგრძნო. საჭეზე დაემხო. ბოლო აფეთქება სრული დაბნელებით დასრულდა.

„ალბათ მძინავს, – გაიფიქრა სიბნელეში მარტო მყოფმა შედოუმ, – მგონი, ახლახან მოვკვდი“.

გაახსენდა ბავშვობაში გაგონილი და დაჯერებული ცრურწმენა, რომ თუ ადამიანი სიზმარში მოკვდება, ის სინამდვილეშიც მოკვდება. თავს მკვდრად არ გრძნობდა. საცდელად თვალები დაახამხამა.

პატარა ოთახში, ფანჯარასთან, მისკენ ზურგით, ქალი იდგა. შედოუს სულ ერთი წამით შეეკრა სუნთქვა და შემდეგ იკითხა: – ლორა, შენ ხარ?

– მაპატიე, – შემოტრიალდა მთვარის შუქით გარემოცული ქალი, – შენი გაღვიძება არ მინდოდა, – მსუბუქი აღმოსავლეთევროპული აქცენტი ჰქონდა, – წავალ.

– არა უშავს, – უთხრა შედოუმ, – არ გაგიღვიძებივართ. სიზმარი ვნახე.

– დიახ, – დაუდასტურაქალმა, – ძილშიოხრავდით და წამოიყვირეთ. თქვენი გაღვიძება დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე და გადავწყვიტე, ძილი მეცლია.

მთვარის მკრთალ შუქზე მისი თმა უფერული ჩანდა. ბამბის თხელი, თეთრი, გრძელსაყელოიანი ღამის პერანგი ეცვა, რომლის კალთები იატაკზე დასთრევდა. შედოუ სრულებით გამოფხიზლებული წამოჯდა.

– თქვენ ზორია პოლუ... – შეყოყმანდა, – ის და ხართ, რომელსაც ეძინა?

– დიახ, მე ზორია პოლუნოჩნაია ვარ. შენ კი შედოუს გიწოდებენ, ხომ ასეა? ზორია ვეჩერნაიამ მითხრა, როცა გავიღვიძე. – დიახ. ფანჯრიდან რას უყურებდით?

ქალმა შედოუს შეხედა, შემდეგ თავის ქნევით იხმო ფანჯარასთან. ზურგი შეაქცია, სანამ ის ჯინსის შარვალს ჩაიცვამდა. შედოუ ფანჯარასთან მივიდა. თითქოს ძალიან დიდხანს მიაბიჯებდა იმ პატარა ოთახში.

ქალს ასაკი არ ეტყობოდა. დაუნაოჭებელი კანი ჰქონდა, შავი თვალები, გრძელი წამწამები და წელამდე მწვდომი გრძელი, თეთრი თმა. მთვარის შუქი ყველაფერს აუფერულებდა და აჩრდილისებრს ხდიდა. ზორია პოლუნოჩნაია დებზე მაღალი იყო.

ქალმა ღამის ცისკენ გაიშვირა ხელი და თანავარსკვლავედზე მიუთითა.

– ხედავ?

– დიდი დათვი, – უპასუხა შედოუმ, – დიდი რვილი.

– დიახ, ეგრეც უწოდებენ, – თქვა ქალმა, – მაგრამ ჩემს სამშობლოში სხვა სახელი ერქვა. სახურავზე ჩამოჯდომას ვაპირებ. წამოხვალ?

– კი, წამოვალ.

– კარგია.

ქალმა ფანჯარა ასწია და ფეხშიშველა გადაძვრა სახანძრო კიბეზე. ოთახში ცივი ქარი შემოიჭრა. შედოუ რაღაცამ შეაწუხა, მაგრამ ვერ მიხვდა, რამ. მცირე ჭოჭმანის შემდეგ სვიტერი, წინდები და ფეხსაცმელი ჩაიცვა და თვითონაც გადაძვრა დაჟანგებულ კიბეზე. ზორია პოლუნოჩნაია უცდიდა. შედოუს ამონასუნთქი ორთქლად გადაიქცა ღამის სუსხში. ქალი შიშველ ფეხებს ადგამდა მოყინულ ლითონის საფეხურებზე. შედოუ უკან მიჰყვებოდა.

ქარმა ძლიერად დაუბერა და ზორია პოლუნოჩნაიას პერანგი ტანზე მიაკრა. შედოუ უხერხულად შეიშმუშნა. ქალს პერანგის ქვეშ საერთოდ არაფერი ეცვა.

– არ გცივათ? – ჰკითხა მას, როცა სახანძრო კიბის თავს მიაღწიეს. ქარმა მისი სიტყვები გაიტაცა. – რა მკითხე? ზორია პოლუნოჩნაიამ თავი მისკენ დახარა. პირიდან სასიამოვნო სუნი ამოუვიდა.

– გკითხეთ, არ გცივათ-მეთქი.

პასუხად ქალმა თითი ასწია, მოიცადეო. მსუბუქად გადააბიჯა შენობის კიდეზე და ბრტყელ სახურავზე დადგა ფეხი. შედოუმ ოდნავ უფრო მოუქნელად გაიმეორა მისი მოძრაობა და სიბნელეში ქალს სახურავზე აღმართული წყლის ავზისკენ გაჰყვა. იქვე ხის მერხი იდგა. ქალი დაჯდა და შედოუ გვერდით მიუჯდა.

წყლის ავზი მათ ქარისგან იფარავდა, რაც შედოუს ესიამოვნა. ქალაქის განათებებს ცა ყვითლად დაელაქავებინა და იმ ვარსკვლავთა ნახევარიც კი აღარ ჩანდა, შედოუ სოფლის მინდვრებიდან რომ ათვალიერებდა ხოლმე. მაგრამ დიდი დათვის თანავარსკვლავედი და პოლარული ვარსკვლავი მაინც დაინახა. ორიონის სარტყლის სამი ვარსკვლავიც იპოვა. ორიონის თანავარსკვლავედი შედოუს ყოველთვის ბურთისთვის ფეხის ამოსარტყმელად გამზადებულ კაცს აგონებდა...

– არა, – უპასუხა ქალმა, – სიცივე არ მაწუხებს. ეს ჩემი დროა: ღამით თავს ისე კარგად ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში.

– ღამე გყვარებიათ, – თქვა შედოუმ და მაშინვე ინანა, ნეტავ რამე უფრო ჭკვიანური, შინაარსიანი მეთქვაო.

– ჩემს დებს თავ-თავიანთი დრო აქვთ. ზორია უტრენნაიას აისი უყვარს. ძველ სამშობლოში პირველი იღვიძებდა და ჭიშკარს აღებდა, რომ მამაჩვენს გარეთ გაეყვანა... დამავიწყდა. რა ჰქვია ცხენშებმულ მანქანას?

– ეტლი?

– დიახ. მამაჩემი დილით ეტლით გადიოდა, ხოლო დაისზე უკან დაბრუნებულს, ჭიშკარს ზორია ვეჩერნაია უღებდა.

– და თქვენ?

ზორია პოლუნოჩნაია შეყოვნდა. სქელი, მაგრამ უფერული ტუჩები ჰქონდა.

– მამაჩემს ვერ ვხედავდი. სულ მეძინა.

– ავადმყოფობაა ასეთი? ქალმა არ უპასუხა. მხრები ძლივს შესამჩნევად აიჩეჩა, თუ

  აიჩეჩა საერთოდ.

– მაშ, გაინტერესებდა, რას ვუყურებდი?

– დიდ დათვს.

ქალმა ხელი აიშვირა თანავარსკვლავედისკენ. ქარმა ღამის პერანგი კვლავ ტანზე მიაკრა. მისი კერტები და დვრილის ყოველი ხორკლი, ბამბის თეთრ ქსოვილში, წამით, მუქად გამოიკვეთა. შედოუს გააჟრჟოლა.

– მას ოდინის ურემსაც უწოდებენ და ცაცხვსაც. ხოლო იქ, საიდანაც ჩვენ მოვედით, სჯერათ, რომ ის ღმერთი კი არა, ღმერთის მსგავსი ცუდი არსებაა და იმ ვარსკლავებზეა მიჯაჭვული. თუ აიშვებს, ყველაფერს შესანსლავს. სამმა დამ დღედაღამ უნდა უდარაჯოს ცას, თორემ, თუ ვარსკლავებზე მიჯაჭვული არსება გაიქცევა, ფაფუ, სამყაროს ბოლო მოეღება.

– ხალხს ამის მართლა სჯერა?

– სჯეროდა. დიდი ხნისწინ.

– და წეღან ვარსკვლავებზე მიჯაჭვული იმ ურჩხულის დანახვას ცდილობდით? – დაახლოებით. დიახ.

შედოუს გაეღიმა. სიცივე რომ არა, იფიქრებდა, მძინავსო, რადგან რაც ხდებოდა, ძალიან ჰგავდა სიზმარს.

– შეიძლება გკითხოთ, რამდენი წლის ხართ? თქვენი დები თქვენზე ბევრად უფროსები ჩანან. ზორია პოლუნოჩნაიამ შედოუს თავი დაუქნია.

– მე უმცროსი ვარ. ზორია უტრენნაია დილით დაიბადა, ზორია ვეჩერნაია – საღამოს, მე კი – შუაღამეს. მე შუაღამის და ვარ: ზორია პოლუნოჩნაია. ცოლი თუ გყავს?

– ჩემი ცოლი წინა კვირას ავტოავარიაში დაიღუპა. გუშინ დავკრძალეთ.

– ვწუხვარ.

– წუხელ მინახულა, – სიბნელეში, მთვარის მკრთალ შუქზე ამის თქმა შედოუს არ გასჭირვებია; ისე დაუჯერებლად არ ჟღერდა, როგორც მთვარის შუქზე.

– ჰკითხე, რა უნდოდა?

– არა, არ მიკითხავს.

– აჯობებს, ჰკითხო. მკვდარს ამაზე გონივრულს ვერაფერს ჰკითხავს ცოცხალი ადამიანი. ზოგჯერ მკვდრები პასუხს იძლევიან. ზორია ვეჩერნაიამ მითხრა, რომ ჩერნობოგს შაში ეთამაშე.

– დიახ. ურითი ჩემთვის თავის გატეხის უფლება მოიპოვა.

– ძველად ხალხი მთის მწვერვალებზე აჰყავდათ და თავს ქვით უჩეჩქვავდნენ ჩერნობოგის სადიდებლად.

შედოუმ მიმოიხედა. არა, სახურავზე მარტონი ისხდნენ.

ზორია პოლუნოჩნაიას გაეცინა.

– სულელო, ის აქ არ არის. თანაც, ერთი ხელი შენც მოუგე. სანამ ეს ამბავი არ მორჩება, თავს არ გაგიტეხს. თვითონ ასე თქვა. ჯერ გაგაფრთხილებს. სხვანაირად ამის გაკეთებას, აბა, რა აზრი აქვს?

– ასე მგონია, სრულიად სხვა ლოგიკაზე დაფუძნებულ სამყაროში აღმოვჩნდი, – უთხრა ქალს შედოუმ, – იქ, სადაც სულ სხვა წესები მოქმედებს. თითქოს სიზმარში ვარ; ვიცი, რომ გარკვეული წესები არ უნდა დავარღვიო, მაგრამ არ ვიცი, რომელი, ან რას ნიშნავს ეს წესები. წარმოდგენა არ მაქვს, რაზე ვსაუბრობთ, რა მოხდა დღეს ან საერთოდ, ჩემი ციხიდან გამოსვლის შემდეგ. ვაღიარებ, მხოლოდ დინებას მივყვები.

– ვიცი, – ქალმა ყინულივით ცივი ხელი შეახო, – ერთხელ უკვე მოგცეს დამცავი თილისმა, მაგრამ დაკარგე. სხვას მიეცი. ხელთ მზე გქონდა. ხოლო მზე თავად სიცოცხლეა. მე ნაკლებად ძლიერი თილისმის მოცემა შემიძლია. ასულისა და არა მამისა. რას ვიზამთ, ესეც საქმეა, არა? – სუსხიანმა ქარმა ქალს თეთრი თმა აუწეწა. შინ შესვლის დროაო, გაიფიქრა შედოუმ.

– სანაცვლოდ უნდა შეგებრძოლოთ? თუ შაში უნდა გეთამაშოთ? – ჰკითხა ზორია პოლუნოჩნაიას.

– ჩემი კოცნაც კი არ მოგიწევს, – უპასუხა ქალმა, – მხოლოდ მთვარე გამომართვი.

– როგორ?

– მთვარე გამომართვი.

– ვერ ვხვდები.

– შეხედე, – ზორია პოლუნოჩნაიამ მარცხენა ხელი ზემოთ აიშვირა და საჩვენებელი და ცერა თითების სწრაფი, მოქნილი მოძრაობით მთვარე თითქოს ციდან მოწყვიტა. შედოუს თავიდან ეგონა, მართლა მოწყვიტაო, მაგრამ მთვარე უწინდელივით ანათებდა. ხოლო ზორია პოლუნოჩნაიამ ხელი გაშალა და საჩვენებელსა და ცერა თითებს შორის გაჩრილი, თავისუფლების ქანდაკების გამოსახულებიანი ვერცხლის დოლარი დაანახვა.

– რა ოსტატურად გააკეთეთ ფოკუსი, – თქვა შედოუმ, – ვერაფერი შევამჩნიე.

– არანაირი ფოკუსი არ გამიკეთებია, – უთხრა ზორია პოლუნოჩნაიამ, – მოვწყვიტე. ახლა შენ გაძლევ და მინდა შეინახო. გამომართვი და ნუღარავის მისცემ.

ქალმა მონეტა მარჯვენა ხელში ჩაუდო და მუჭში ჩაამალვინა. მონეტა ცივი აღმოჩნდა. ზორია პოლუნოჩნაია წინ გადაიხარა, თითებით თვალები დაახუჭვინა შედოუს და ორივე ქუთუთოზე მსუბუქად ეამბორა.

შედოუს დივანზე, ჩაცმულს გაეღვიძა. ფანჯრიდან შემოსული მზის დამრეც სხივებზე მტვრის ნამცეცები ცეკვავდნენ. ადგა და ფანჯარასთან მივიდა. დღის შუქზე ოთახი უფრო პატარა ჩანდა.

ფანჯრიდან ქვემოთ რომ ჩაიხედა, მიხვდა, წუხელ რაც აწუხებდა. შენობას სახანძრო კიბე არ ჰქონდა. არსად ჩანდა აივანი და დაჟანგული საფეხურები.

თუმცა, ხელში ახლაც მაგრად ჩაებღუჯა 1922 წლის თავისუფლების ქანდაკებისთავიანი მონეტა, რომელიც ისე ბრწყინავდა და ელვარებდა, თითქოს რამდენიმე წუთის წინ მოეჭრათ.

– ოჰ, ამდგარხარ, – ოთახში თავი შემოყო უენზდეიმ, – კარგია. ყავას დალევ? ბანკის გასაძარცვად უნდა წავიდეთ.

ამერიკაში ჩასვლა
1721

ამერიკის ისტორიის შესწავლისას, მთავარია, გვახსოვდეს, რომ ის გამოგონილია, მარტივად აღსაქმელი, ფანქრით შესრულებული ესკიზია ბავშვებისთვის ან მათთვის, ვისაც ყველაფერი უცებ ჰბეზრდება, – ჩაწერა მისტერ იბისმა[38] ტყავისყდიან დღიურში, – მეტწილადგამოუკვლეველია, დამაჯერებლობას მოკლებული, არალოგიკური, საგნის გამოსახულებას წარმოადგენს და არა – თავად საგანს. მაგალითად, ფიქციაა, – მისტერ იბისი შეყოვნდა, რომ კალამი მელანში ჩაეწო და აზრები მოეკრიბა, – თითქოს ამერიკა რწმენის თავისუფლების მაძიებელი პილიგრიმების დაარსებული იყოს, რომ ისინი ამერიკის ცარიელ მიწებზე დასახლდნენ და გამრავლდნენ.

სინამდვილეში, ამერიკის კოლონიები ნაგავსაყრელი, ყველასგან დასავიწყებელი ადგილიც იმდენადვე იყო, რამდენადაც დევნილთა თავშესაფარი. იმ ძველ დღეებში, როცა ადამიანს თორმეტი პენის ქურდობისთვის ლონდონში ტაიბერნის სამკენწეროიან ხეზე[39] კიდებდნენ, ამერიკა მეორე შანსის, შეწყალების სიმბოლოდ იქცა. თუმცა, ამერიკაში გადასახლებულებს მგზავრობა და ცხოვრება ისეთ პირობებში უწევდათ, ზოგიერთს უტოტო ხიდან გადმოხტომა და ჰაერში ცეკვა ერჩია, რადგან ცეკვა უფრო მალე მორჩებოდა.

მსჯავრდებულს კაპიტანს მიჰყიდდნენ, ჩასვამდნენ მონებით მოვაჭრეთა გემივით გატენილ გემში და გაუყენებდნენ ამერიკის კოლონიების ან უესტინდოეთის გზას. ხმელეთზე კაპიტანი

მსჯავრდებულს გარკვეული დროით, სასჯელის ვადის ამოწურვამდე, ვინმეს მსახურად მიჰყიდდა ხოლმე. მსჯავრდებულს მძიმე შრომა კი უწევდა, მაგრამ ინგლისის ციხეში მაინც არ ელოდა ჩამოხრჩობა (იმ დროს ციხე ისეთ ადგილს ერქვა, სადაც გათავისუფლებას, გადასახლებას ან ჩამოხრჩობას ელოდა ადამიანი: ციხეში სასჯელს არავინ იხდიდა) და ახალი სამყაროს უკეთ გაცნობის საშუალება ეძლეოდა. გარდა ამისა, შეიძლებოდა კაპიტნის მოქრთამვაც და ინგლისში გადასახლების ვადის ამოწურვამდე დაბრუნებაც. ზოგი ასეც იქცეოდა. მაგრამ თუ ამ დროს გამოიჭერდნენ – მაგალითად, ძველი მტერი ან ანგარიშის გასწორების მოსურნე ძველი მეგობარი დროზე ადრე დაბრუნებულს სადმე შეამჩნევდა და ხელისუფლებასთან დააბეზღებდა – თვალის დაუხამხამებლად ჩამოკიდებდნენ სახრჩობელაზე.

მახსენდება ცხოვრება ესი ტრეგოუანისა, – განაგრძო მისტერ იბისმა მცირე პაუზის შემდეგ, რა დროსაც სამელნე შეავსო და შიგ კვლავ კალამი ჩააწო, – რომელიც წარმოშობით სამხრეთ-დასავლეთი ინგლისიდან, კორნუოლიდან იყო. მისი ოჯახი უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა ბორცვის თხემზე გაშენებულ ერთ სუსხიან სოფელში. მამამისი მეთევზე და, როგორც ამბობდნენ, ავაზაკიც იყო. იმათ რიცხვს მიეკუთვნებოდა, ქარიშხლიან ამინდში სახიფათო ნაპირებთან ლამპებს რომ ანთებდნენ გემების მისატყუებლად და რიფებზე დასამსხვრევად და შემდეგ ძარცვავდნენ. ესის დედა ადგილობრივ სქუაირთან მზარეულად მუშაობდა და თორმეტი წლის ესიც იქ მოეწყო ჭურჭლის მრეცხავად. ესი პატარა, გამხდარი გოგონა იყო

დიდრონი წაბლისფერი თვალებითა და მუქი წაბლისფერი თმით. მუშაობა დიდად არ უყვარდა და, თუ სადმე ვინმე ამბებსა და ზღაპრებს ჰყვებოდა, სამზარეულოდან ხშირად გაიპარებოდა ხოლმე მათ მოსასმენად. განსაკუთრებით აინტერესებდა თქმულებები პისკებზე[40], სპრიჯენებზე[41], ჭაობიანი მინდვრების შავ ქოფაკებსა და ლა-მანშის სრუტეში მცხოვრებ ქალ-სელაპებზე. მართალია, სქუაირი ასეთ რამეებზე იცინოდა, მაგრამ მსახურები სამზარეულოს კართან პისკებისთვის ყოველ ღამე დგამდნენ ერთ ფინჯან რძეს.

რამდენიმე წელი გავიდა. ესი აღარ იყო პატარა, გამხდარი გოგონა: თეძოები გაუგანიერდა და მკერდი გამოებერა. თვალები უციმციმებდა და სიარულისას წაბლისფერი კულულები ერხეოდა. ესის რაგბიდან[42] შინ ახლად ჩამოსული სქუაირის თვრამეტი წლის ვაჟის, ბართოლომიუს დანახვაზე თვალები უნათდებოდა. ერთხელ ღამით, ტყის პირას ეულად მდგარ ქვის ლოდთან მივიდა, ბართოლომიუს მონარჩენ პურის ნაჭერს თავისი თმის ღერი შემოახვია და ქვაზე დადო. მეორე დღესვე, როცა ესი ბართოლომიუს ოთახში ბუხარს წმენდდა, ბიჭი მასთან მივიდა და გამოელაპარაკა, ქარიშხლისწინა ცასავით საზარლად ლურჯი თვალებით შეათვალიერა.

საშიშად იმზირებოდაო, იხსენებდა შემდეგში ესი ტრეგოუანი.

მალე ბართოლომიუ ოქსფორდში გაემგზავრა, ხოლო როცა ესის ფეხმძიმობა თვალშისაცემი გახდა, ის დაითხოვეს. მაგრამ ბავშვი მკვდარი დაიბადა და, ესის დედის ხათრით, რომელიც ძალიან კარგი მზარეული იყო, სქუაირის ცოლმა ქმარი ყოფილი მოახლის კვლავ ჭურჭლის მრეცხავად აყვანაზე დაიყოლია.

მაგრამ ესის ბართოლომიუსადმი სიყვარული უკვე მისი ოჯახისადმი სიძულვილად ქცეულიყო. ერთ წელიწადში ახალი თაყვანისმცემელი გაიჩინა, მეზობელ სოფელში მცხოვრები ცუდი რეპუტაციის მქონე კაცი, სახელად ჯოსაია ჰორნერი. ერთ ღამეს, როცა ყველას ეძინა, ესი ადგა, სახლის უკანა კარი გააღო და საყვარელი შინ შემოაპარა. კაცმა მთელი სახლი ისე გაძარცვა, რომ მძინარეებს არაფერი გაუგიათ.

ეჭვი მაშინვე შინაურზე მიიტანეს, რადგან კარი აშკარად სახლში მყოფს უნდა გაეღო (სქუაირის ცოლს კარგად ახსოვდა, რომ ურდულით თავად ჩაკეტა კარი), იმას, ვინც ზუსტად იცოდა, სად ინახავდა სქუაირი ვერცხლის ლანგარს და რომელ უჯრაში ეწყო მისი ფული და თამასუქები. თავიდან ესიმ სასტიკად იუარა, მე ამ საქმეში ხელი არ მირევიაო, მაგრამ მალე პატივცემული ჯოსაია ჰორნერი ექსეტერში, რომელიღაც დუქანში, სქუაირის ერთ-ერთი თამასუქის განაღდებისას გამოიჭირეს. სქუაირმა თავისი თამასუქი იცნო და ჯოსაია და ესი გაასამართლეს.

ჰორნერს ნაფიცმა მსაჯულებმა, როგორც იმდროინდელ, მოურიდებელ და უხეშ სლენგზე იტყოდნენ, „კისრის მოგრეხა“ მიუსაჯეს, ხოლო ახალგაზრდა და წაბლისფერთმიანი ესი მოსამართლემ შეიცოდა და მხოლოდ შვიდწლიანი გადასახლება მიუსაჯა. ამერიკაში მისი გადაყვანა დაევალა კაპიტან კლარკს, რომელიც გემ „ნეპტუნს“ მეთაურობდა. ამგვარად, ესი კაროლინის კოლონიაში გაამგზავრეს. გზაში ესიმ ზემოთ ხსენებულ კაპიტანთან პირობა შეკრა და დაიყოლია, შინ ცოლის

სტატუსით დაებრუნებინა და დედამისთან წაეყვანა ლონდონში, სადაც კაციშვილი ვერ იცნობდა. კოლონიებში მსჯავრდებულები თამბაქოსა და ბამბაში გადაცვალეს და აქეთობისას უფრო მშვიდად და სასიამოვნოდ იმგზავრეს. კაპიტანი და მისი ახლად შერთული ცოლი ბედნიერები ჩანდნენ, სულ ხელიხელჩაკიდებულები დასეირნობდნენ გემბანზე, ერთმანეთს ეალერსებოდნენ და პატარ-პატარა საჩუქრებს უძღვნიდნენ.

ლონდონში კაპიტანმა კლარკმა ესი დედამისთან დააბინავა. მისის კლარკი ესის მართლაც ისე ექცეოდა, როგორც საკუთარი ვაჟის ახალგაზრდა ცოლს. რვა კვირის შემდეგ „ნეპტუნი“ კვლავ სანაოსნო მოგზაურობაში გაემართა. ახალგაზრდა, ლამაზმა, წაბლისფერთმიანმა ცოლმა ქმარი ნავსადგურიდან გააცილა. შემდეგ დედამთილის სახლში დაბრუნდა, საიდანაც მოხუცი ქალის არყოფნაში აბრეშუმის ნაჭერი, რამდენიმე ოქროს მონეტა და დიასახლისის კუთვნილი ღილების შესანახი ვერცხლის ქოთანი დაუკითხავად აიღო და ლონდონის საროსკიპოებში გადაიკარგა.

მომდევნო ორი წლის განმავლობაში ესი დახელოვნებულ ქურდად გადაიქცა. განიერ კაბებში მრავალ ცოდვას იტევდა – ძირითადად, მოპარული აბრეშუმისა და მაქმანების რულონებს – და სავსე ცხოვრებით ცხოვრობდა. ესი ბედის უკუღმართობებისთვის თავის არიდებას იმ ზღაპრულ არსებებს, პისკებს, უმადლოდა, რომლებზეც ბავშვობაში შეიტყო (მტკიცედ სწამდა, რომ მათი გავლენა ლონდონსაც სწვდებოდა) და ყოველ ღამე ფანჯრის რაფაზე რძით სავსე ხის თასს შემოდგამდა ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ მეგობრები დასცინოდნენ. თუმცა, ბოლოს ესი იცინოდა, რადგან მის მეგობრებს სუსუნატი და ათაშანგი[43] ემართებოდათ, თვითონ კი სრულიად ჯანმრთელი იყო.

ცხრამეტი წლისამ ბედისწერისგან მძიმე დარტყმა მიიღო: ფლიტ-სტრიტთან ახლოს, ბელ-იარდში, სამიკიტნო „ქროსტ ფორკსში“ იჯდა, როცა შიგნით უნივერსიტეტის ახლად კურსდამთავრებული ყმაწვილი შემოვიდა და ბუხართან დაჯდა. „ოჰო! გასაყვლეფად მზა პიჟონი გამოჩნდა“, – გაიფიქრა ესიმ, გვერდით მიუჯდა და გაუბა ლაპარაკი, რა მშვენიერი ყმაწვილი ხარო; ცალი ხელით მუხლზე ეფერებოდა, მეორე კი, უფრო ფრთხილად, ჯიბის საათისკენ წაიღო. შემდეგ ბიჭი მისკენ შემოტრიალდა და... ესის გული შეუფრთხიალდა და შეეკუმშა. ქარიშხლისწინა ზაფხულის ცასავით საზარლად ლურჯი თვალები შემოჰყურებდა. მისტერ ბართოლომიუმ სახელით მიმართა.

ნიუგეიტში[44] წაიყვანეს და გადასახლებიდან გამოპარვაში დასდეს ბრალი. ესი დამნაშავედ კი ცნეს, მაგრამ არავის გაჰკვირვებია, როცა განაცხადა, ორსულად ვარო. ქალი მსაჯულები, რომლებსაც ასეთი განცხადებების შესამოწმებლად იშველიებდნენ და ხშირად მცდარი დასკვნაც გამოჰქონდათ ხოლმე, იძულებულნი გახდნენ, ესის ნათქვამი დაედასტურებინათ. ესიმ მამის ვინაობა არ გაამხილა.

სასიკვდილო განაჩენი კიდევ ერთხელ შეუცვალეს გადასახლებით, მაგრამ ამჯერად სამუდამოთი.

გემ „ქალთევზაში“ ჩასვეს. მის გარდა, ტრიუმში კიდევ ორასი გადასახლებული მოეთავსებინათ ბაზარში გასაყიდად წასაყვანი, ნასუქი ღორებივით. გემზე ფაღარათი და ციებ-ცხელება მძვინვარებდა; დასაჯდომი ადგილიც კი არ იყო, დასაწოლზე რომ არაფერი ითქვას. ტრიუმის ერთ კუთხეში ერთი ქალი მშობიარობას გადაჰყვა, მაგრამ ხალხი ისე იყო ერთმანეთზე მიტმასნილი, ცხედარი წინ ვერ გადმოასვენეს და მკვდრადშობილ ჩვილთან ერთად პატარა ილუმინატორიდან გადააგდეს მღელვარე, რუხ ზღვაში. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, რვა თვის ორსულმა ესიმ შვილის შენარჩუნება მოახერხა.

ესის სიცოცხლის ბოლომდე კოშმარებში ესიზმრებოდა იმ ტრიუმში გატარებული დღეები. აკივლებული, პირში იმ ადგილის გემოთი და სუნით იღვიძებდა ღამღამობით.

„ქალთევზამ“ ღუზა ვირჯინიის ქალაქ ნორფოლკში ჩაუშვა. ესი „წვრილმა პლანტატორმა“, თამბაქოს მწარმოებელმა ფერმერმა ჯონ რიჩარდსონმა იყიდა, რადგან მისი ცოლი მშობიარობიდან ერთი კვირის შემდეგ ციებ-ცხელებით დაღუპულიყო, ახალშობილ გოგონას კი მეძუძური მომვლელი სჭირდებოდა.

ამგვარად, ესის ახალშობილი ბიჭუნა ენტონი, რომელსაც, ესის თქმით, ცხონებული მამამისის სახელი დაარქვა (საპირისპიროს მაინც ვერავინ დაუმტკიცებდა, თანაც, ალბათ ოდესღაც ვინმე ენტონისთან მართლაც იწვა), ფილიდა რიჩარდსონთან ერთად წოვდა ძუძუს. თუმცა, ესის ახალი დამსაქმებლის გოგოს პირველს უნდა ეწოვა ძუძუ და ისიც ჯანმრთელი, მაღალი და ძლიერი ბავშვი გაიზარდა. ხოლო ესის ენტონის მხოლოდ ნარჩენები ერგებოდა ხოლმე და ამიტომაც სუსტი და რაქიტიანი გაიზარდა.

რძესთან ერთად ბავშვები ესის ზღაპრებსაც ისრუტავდნენ. სჯეროდათ მაღაროებში მცხოვრები კაკუნებისა[45] და წითელჩაჩიანების[46]; ცხვირაპრეხილ, თავწითელ პისკებზე უფრო ცბიერი არსების, ბუკასი, რომელსაც მეთევზეები რიყეზე პირველად დაჭერილ თევზს უტოვებდნენ, ხოლო მკისას, ყანაში, უხვი მოსავლისთვის – ახალგამომცხვარ პურს. ესიმ მათ უამბო ხმელ ვაშლის ხე-კაცებზე, რომლებიც ხანდახან ენას ამოიდგამდნენ ხოლმე და რომელთათვისაც წყურვილი ახალი სიდრით უნდა დაეცხროთ, თორემ მომდევნო წელს ნაყოფს აღარ

მოისხამდნენ. ღიღინ-ღიღინით უკითხავდა ძველ კორნუოლურ ლექსებს და ასწავლიდა, რომელ ხეებს უნდა მორიდებოდნენ:

სულ ფიქრებშია თელა,
ძლიერ სძულს მუხას ყველა,
ღამე გარეთ თუ ივლი, მავნე
ტირიფს უფრთხილდი.

ბავშვები უსმენდნენ და სჯეროდათ, რადგან თავად ესისაც სჯეროდა იმის, რასაც ჰყვებოდა.

ფერმას საქმე კარგად მისდიოდა. ესი ტრეგოუანიც ყოველ ღამე უკანა კართან ფაიფურის ფინჯნით რძეს დგამდა პისკებისთვის. რვა თვის შემდეგ ჯონ

რიჩარდსონმა ესის საძინებლის კარზე ჩუმად მიუკაკუნა და ის სთხოვა, რის გაკეთებასაც კაცები ქალებს სთხოვენ ხოლმე. ესიმ თავი გაოგნებულად და განაწყენებულად მოაჩვენა, საბრალო ქვრივს ეგ როგორ მაკადრეთ, მსახური ვარ, მონა კი არა, ასეთი სატანჯველი ჩემთვის რამ მოგაფიქრათ, დიდ პატივს გცემდით, თქვენ კი ბოზობას მთხოვთ, რადგან მსჯავრდებულ მსახურ ქალს გათხოვება არ

შეუძლიაო. ამის თქმისას დიდი, წაბლისფერი თვალები ცრემლებით აევსო. ძლიერ შეწუხებულმა რიჩარდმა ბოდიში მოუხადა და საბოლოოდ საქმე იქამდე მივიდა, რომ ზაფხულის ცხელ ღამეს ჯონ რიჩარდსონი ესი ტრეგოუანის წინაშე დერეფანში მუხლზე დადგა და ცოლად გაყოლა და იმავდროულად, გადასახლების დასრულება შესთავაზა. ესი მაშინვე კი დათანხმდა ცოლობაზე, მაგრამ მასთან კანონიერად შეუღლებამდე არ დაწოლილა. ხოლო როცა იქორწინეს, სხვენის პატარა საძინებლიდან ქმრის დიდ საძინებელში გადაბარგდა. მართალია, მას შემდეგ ფერმერ რიჩარდსონის ზოგიერთი მეგობარი და მათი ცოლები ქალაქში მისი დანახვისას ცხვირს აიბზუებდნენ ხოლმე, მაგრამ უფრო მეტი იმ აზრზე იდგა, რომ მისის რიჩარდსონი ძალიანაც ლამაზი ქალი იყო და ჯონი რიჩარდსონს ბედმა გაუღიმა.

ერთი წლის თავზე ესიმ კიდევ ერთი ბიჭი გააჩინა, ოღონდ ამჯერად მამასავით და ნახევარდასავით ქერა, და მას მამის სახელი, ჯონი დაარქვეს.

კვირაობით სამივე ბავშვი ადგილობრივ ეკლესიაში დადიოდა მოგზაური მქადაგებლის მოსასმენად, წერა-კითხვასა და თვლას კი სხვა წვრილი ფერმერების შვილებთან ერთად სწავლობდნენ ქალაქის პატარა სკოლაში. ხოლო ესი მათთვის უმთავრესი საიდუმლოს, ანუ პისკების საიდუმლოს გადაცემაზე ზრუნავდა. მისგან შეიტყვეს თავწითელ, ცხვირაპრეხილ, სასაცილო, წვრილთვალება ხალხზე, რომლებიც, თუ მოინდომებდნენ, ნებისმიერს აუბნევდნენ

თავგზას; მათგან დასაცავად ადამიანს ერთ ჯიბეში აუცილებლად უნდა ჩაედო ქაღალდში გახვეულო ცოტაოდენი მარილი, ხოლო მეორეში – პურის ნატეხი. როცა შვილებს სკოლაში უშვებდა, ესი ყოველთვის ასე იქცეოდა: მარილსა და პურს, სიცოცხლისა და მიწის ძველ სიმბოლოებს, უდებდა ჯიბეებში, რათა შინ მშვიდობით დაბრუნებულიყვნენ. და ბავშვებიც ბრუნდებოდნენ.

ბავშვები ვირჯინიის მწვანით მოსილ მთა-გორაკებზე იზრდებოდნენ და მაღლები და ღონივრები დადგნენ (თუმცა ენტონი, ესის პირველი ვაჟი, სხვებზე უფრო სუსტი, ფერმკრთალი, ავადმყოფობებისა და უგუნებობისკენ მიდრეკილი იყო); რიჩარდსონები ბედნიერად ცხოვრობდნენ. ესი შეძლებისდაგვარად ჰყვარობდა თავის ქმარს. უკვე ათი წლის შეუღლებულები იყვნენ, როცა ჯონ რიჩარდსონს ისე ძლიერ ასტკივდა კბილი, რომ ცხენიდან გადმოვარდა. უახლოეს ქალაქში წაიყვანეს და კბილი ამოუღეს, მაგრამ დააგვიანეს: სახეგაშავებული, მკვნესავი ჯონ რიჩარდსონი სისხლის მოწამვლისგან გარდაიცვალა და მისი საყვარელი ტირიფის ქვეშ დაკრძალეს.

ფერმის საქმეების გაძღოლა რიჩარდსონის ქვრივს დაეკისრა, სანამ რიჩარდსონის ორი შვილი წამოიზრდებოდა: იგი მართავდა გადასახლებულ მსახურებსა და მონებს,

ყოველ წელს მოჰყავდა თამბაქოს მოსავალი, ახალი წლის ღამეს ვაშლის ხეებს სიდრით რწყავდა, ხოლო

მოსავლის აღებისას ყანაში ახალგამომცხვარ პურს დებდა, არც უკანა კართან რძიანი ლამბაქის დადგმა ავიწყდებოდა. ფერმა ყვაოდა, რიჩარდსონის ქვრივმა კი კარგი მოვაჭრის სახელი დაიმკვიდრა, ფასს ვერასდროს ვერავინ აკლებინებდა, სამაგიეროდ, მისი თამბაქოც საუკეთესო იყო და უხარისხო საქონლის ძვირად გასაღებას არასდროს ცდილობდა.

მომდევნო ათი წლის განმავლობაში ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ შემდეგ ცუდი რამ მოხდა: მისმა ვაჟმა ენტონიმ ნახევარძმა, ჯონი მოკლა ფერმის მომავალსა და ფილიდას გათხოვებაზე კამათისას. ზოგი ამბობდა, რომ მას ზედმეტად ძლიერად მოუვიდა დარტყმა და ნახევარძმა მხოლოდ შემოაკვდა, ზოგი უფრო მეტზე ეჭვობდა. ენტონი გაიქცა, ხოლო უმცროსი ვაჟი ესიმ დამარხა მამამისის გვერდით. ზოგის თქმით, ენტონი ბოსტონში გაიქცა, სხვების თქმით – სამხრეთით, ფლორიდაში, თავად დედამისი კი ამტკიცებდა, გემით ინგლისში გაცურა და ამბოხებულ შოტლანდიელებთან საბრძოლველად მეფის არმიაში მოხალისედ ჩაეწერაო. ვაჟების გარეშე ფერმა დაცარიელდა და მოსაწყენ ადგილად იქცა. ფილიდა დარდისაგან დაილია და დადნა, დედინაცვალი ძალიან ცდილობდა, მაგრამ ვერც სიტყვითა და ვერც საქმით მის ბაგეებზე ღიმილი ვერ დააბრუნა.

რაოდენ გულგატეხილიც უნდა ყოფილიყო, ფერმას კაცის ხელი სჭირდებოდა და ფილიდა ცოლად გაჰყვა პროფესიით დურგალს, ჰარი სოუმსს, რომელსაც ზღვაოსნობა მოჰბეზრებოდა და

ხმელეთზე, ისეთივე ფერმაში ცხოვრებას ნატრობდა, როგორშიც ბავშვობა გაატარა ლინკოლნშირში. რიჩარდსონების ფერმა დიდად არ ჰგავდა სოუმსის მშობლიურ ფერმას, მაგრამ იქაურობის შესაყვარებლად მცირე მსგავსებანიც ეყო. ფილიდას და ჰარის ხუთი შვილი ეყოლათ, მათგან სამმა იცოცხლა.

რიჩარდსონის ქვრივს ვაჟები და ქმარი ენატრებოდა, ოღონდ ქმარი მის გონებაში გადაიქცა ბუნდოვან მოგონებად ქერა კაცისა, რომელიც ყოველთვის კეთილად ეპყრობოდა. ახლა უკვე ფილიდას შვილებს უყვებოდა ჭაობიანი, ტრიალი მინდვრების შავ ქოფაკზე, ბუაზე ან ვაშლის ხე-კაცზე, მაგრამ ბავშვებს სულ ჯეკის ზღაპრები აინტერესებდათ: „ჯეკი და ლობიოს ღერო“, „ჯეკი გოლიათთა მჟლეტი“, „ჯეკი, მისი კატა და მეფე“. ესის შვილიშვილები საკუთარი სისხლი და ხორცივით უყვარდა, მაგრამ ხანდახან მათ დიდი ხნის წინ გარდაცვლილთა სახელებით მიმართავდა.

მაისის ერთ დღეს ესიმ სკამი ბოსტანში გაიტანა ლობიოს დასაკრეფად და მზეზე გასარჩევად, რადგან მიუხედავად ვირჯინიული პაპანაქებისა, მის ძვლებს სუსხი შეჰპარვოდა, ხოლო თმას თრთვილი და ცოტაოდენი სითბო არ აწყენდა.

ბებერი ხელებით ლობიოს გარჩევისას რიჩარდსონის ქვრივმა დაიწყო ნატვრა, რა კარგი

იქნებოდა მშობლიური კორნუოლის მინდვრებსა და მლაშე კლდეებზე ისევ გასეირნებაო. გაახსენდა, პატარაობისას რიყეზე რომ იჯდა და ზღვიდან მეთევზე მამის დაბრუნებას ელოდა. გამხმარი, დაკოჟრებული ხელით გახსნა ჩენჩო, ლობიოს მარცვლები ჯამში ჩაყარა, ცარიელი ჩენჩო კი წინსაფრიან კალთაში ჩაიგდო. შემდეგ ფიქრებით იმ განვლილ დღეებს გადასწვდა, როცა ამავე, ოდესღაც მოქნილი თითებით სწრაფად სწაპნიდა ქისებს და მალავდა აბრეშუმის რულონებს; მერე ნიუგეიტის ციხის ზედამხედველის სიტყვები გაახსენდა, შენს საქმეს კიდევ თორმეტი კვირა მაინც არ განიხილავენ, თუ გინდა, სახრჩობელას გაექცე, მუცელი უნდა გაიბეროო, და დაამატა, შენნაირ ლამაზ გოგოს მაგაში ვინ არ დაეხმარებაო – ჰოდა, ესიმაც კედლისკენ იბრუნა პირი და მამაცურად აიწია კაბა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თავიც სძულდა და ციხის ზედამხედველიც იმისთვის, რასაც აკეთებდა, იცოდა, კაცი სწორს ეუბნებოდა. როგორც კი სხეულში ახალი სიცოცხლის ჩასახვა იგრძნო, ესი დარწმუნდა, რომ სიკვდილს კიდევ ცოტა ხნით მოატყუებდა...

– ესი ტრეგოუანი ბრძანდებით? – ჰკითხა უცნობმა.

რიჩარდსონის ქვრივმა თავი ასწია და ხელით მაისის მზე მოიჩრდილა.

– გიცნობთ? – ჰკითხა უცნობს, რომლის მოახლოება არც კი გაუგონია.

კაცი თავით ფეხებამდე მწვანით შემოსილიყო: მწვანე ვიწრო შარვალი, მწვანე ჟილეტი და მუქი მწვანე პიჯაკი ეცვა. თმა სტაფილოსფერი ჰქონდა და ესის ალმაცერად უღიმოდა. მისმა დანახვამ ესი რაღაცნაირად გაახარა, მაგრამ იმავდროულად, დააფრთხო.

– დიახ, შეიძლება ითქვას, მიცნობთ, – უპასუხა მან.

მოჭუტული თვალებით აათვალიერ-ჩაათვალიერეს ერთმანეთი; ესის უცნობის მრგვალი პირისახე არ ეცნო. მისი შვილიშვილებივით ახალგაზრდა ჩანდა, მაგრამ საიდანღაც ესის ძველი გვარი იცოდა; თანაც, მისი ხმის კილო მშობლიური მინდვრებისა და კლდეების ბინადრისას მიამგვანა.

– კორნუოლელი ხართ? – ჰკითხა უცნობს.

– დიახ, კუზენი ჯეკი[47] გახლავართ, – უპასუხა წითურმა კაცმა, – უფრო სწორად, გახლდით, ახლა კი ამ ახალ სამყაროში ვცხოვრობ, სადაც წესიერ კაცს ხელს ან რძეს არავინ შესთავაზებს, და არც ახალგამომცხვარ პურს გამოუტანს მოსავლის აღებისას.

მოხუცმა ქალმა ლობიოთი სავსე ჯამს დახედა.

– თუ ის ხართ, ვინც მე მგონია, – უთხრა კაცს, – თქვენთან გასაყოფი არაფერი მაქვს.

სახლში ფილიდა შინამოსამსახურეს ებუზღუნებოდა.

– არც მე – თქვენთან, – ოდნავ სევდიანად თქვა წითურმა კაცმა, – თუმცა, თქვენ და ზოგიერთმა თქვენნაირმა ჩამომიყვანა აქ, ამ მხარეში, სადაც არც ჯადოქრობისთვის სცალია ვინმეს და არც პისკებისა და მსგავსი არსებების ადგილია.

– ბევრი სიკეთე მახსოვს თქვენგან, – უთხრა მოხუცმა ქალმა.

– სიკეთეც და სიავეც, – დაამატა კაცმა, – ქარს ვგავართ. ორივე მხარეს ვუბერავთ. ესიმ

  თავი დაუქნია.

– ხელს მომკიდებთ, ესი ტრეგოუან? – კაცმა ხელი გაუწოდა. ჭორფლიანი ხელი იყო და მართალია, ესის უკვე თვალს აკლდა, კაცის მკლავზე შუადღის მზის შუქზე ოქროსფრად მოციმციმე ყოველი ნარინჯისფერი თმის ღერი გაარჩია. ტუჩზე იკვნიტა. შემდეგ ყოყმანით მოჰკიდა დაკოჟრილი ხელი.

როცა იპოვეს, მისი უსიცოცხლო სხეული ჯერაც თბილი იყო. ნახევარი ლობიო გაურჩეველი დარჩენოდა.

მეხუთე თავი

სიცოცხლე არის ლამაზი ქალი, სიკვდილი ყველგან
უჩუმრად დაგდევს, სიცოცხლე მუდამ ბინადრობს
სახლში, სიკვდილი იცდის ქურდივით გარეთ.
უილიამ ე. ჰენლი[48], „სიცოცხლე არის ლამაზი ქალი“

იმ შაბათ დილით მხოლოდ ზორია უტრენნაიას ეღვიძა მათთან გამოსამშვიდობებლად. უენზდეის ორმოცდახუთი დოლარი გამოართვა და არაფრით გაუშვა, სანამ ქვითარი არ გამოუწერა – უალკოჰოლო სასმელების ვადაგასული ვაუჩერის უკანა მხარეს გადაბმული ასოებით წააწერა ცნობა თანხის მიღების შესახებ. დილის შუქზე, საგულდაგულო მაკიაჟითა და კეფაზე დახვეული თმით, თოჯინას ჰგავდა.

– მადლობას მოგახსენებ სტუმართმოყვარეობისთვის, ძვირფასო ქალბატონო, – ხელზე ეამბორა უენზდეი, – შენ და შენი დები, როგორც ყოველთვის, მზესავით ასხივებთ.

– გაიძვერა ბერიკაცი ხარ, – თითი დაუქნია ზორია უტრენნაიამ და შემდეგ გადაეხვია, – თავს გაუფრთხილდი. გული დამწყდება, რომ გავიგო, სამუდამოდ გაქრი.

– შენც გაუფრთხილდი თავს, ჩემო ძვირფასო.

– ზორია პოლუნოჩნაიას ძალიან მოეწონე, – შედოუს ხელი ჩამოართვა ქალმა, – მეც.

– გმადლობთ, – უთხრა შედოუმ, – გმადლობთ ვახშმისთვის.

ქალმა ცალი წარბი ასწია.

– მოგეწონა? მაშინ კიდევ გვეწვიე.

უენზდეი და შედოუ კიბეზე დაეშვნენ. შედოუმ ქურთუკის ჯიბეში ჩაიწყო ხელები. ცივ ვერცხლის დოლარს შეეხო. ასეთი დიდი და მძიმე მონეტა ფოკუსის კეთებისას არასდროს გამოეყენებინა. მონეტა მუჭში დამალა, ხელი ჯიბიდან ამოიღო და

ბუნებრივად ჩამოუშვა. შემდეგ მუჭი გაშალა და მონეტა „გაქრა“ – საჩვენებელი თითითა და ნეკათი დამაგრებული, შუა თითებს ამოეფარა.

– მარჯვედ გააკეთე, – შეაქო უენზდეიმ.

– მხოლოდ ვსწავლობ, – უთხრა შედოუმ, – ტექნიკური რამეების კეთება შემიძლია. ყველაზე ძნელია, მაყურებელს მეორე ხელზე გადაატანინო ყურადღება.

– მართლა?

– დიახ, – უპასუხა შედოუმ, – როგორღაც უნდა დააბნიო ხოლმე, – შუა თითები მონეტას ამოსდო და მიაწვა, რომ ისევ „გაეჩინა“, მაგრამ ვერ შეიმაგრა და გაუვარდა. მონეტა კიბეზე წკარუნით დავარდა და საფეხურებზე ჩაგორდა. უენზდეი დაიხარა და აიღო.

– საჩუქრებს უდიერად ნუ ეპყრობი, – უთხრა შედოუს, – ასეთი რამ უნდა შეინახო, აქეთ-იქით კი ნუ ისვრი, – ჯერ არწივის გამოსახულებას დახედა, შემდეგ – თავისუფლების ქანდაკებისას, – აჰ, ქალბატონი თავისუფლება. ლამაზია, არა? – თქვა და მონეტა შედოუს გადაუგდო. შედოუმ ვერცხლის დოლარი ჰაერშივე დაიჭირა და გააქრო, ვითომ მარცხენა მუჭში დამალა და ჯიბეში ჩაიდო, სინამდვილეში კი, როცა მარჯვენა მუჭი გაშალა, მონეტა ხელისგულზე ედო, მისი სიმძიმის შეგრძნება სიამოვნებდა.

– ქალბატონი თავისუფლება, – თქვა უენზდეიმ, – როგორც ამერიკელების სათაყვანო ღვთაებათა უმეტესობა, ესეც უცხოელია. ამ შემთხვევაში ფრანგთან გვაქვს საქმე[49]. თუმცა, ფრანგებმა ამერიკელთა გრძნობებს პატივი სცეს და ქანდაკებას ნიუ-იორკში წარდგენისას დიდებული მკერდი დაუფარეს. თავისუფლება, – განაგრძო უენზდეიმ და ზიზღით ცხვირაბზუებულმა ფეხი წაჰკრა კიბის ძირას დაგდებულ ნახმარ პრეზერვატივს, – ვინმეს ზედ ფეხი გაუსრიალდება და კისერს მოიტეხს, – ჩაიბურტყუნა და საკუთარ თავს გააწყვეტინა ლაპარაკი, – ბანანის ქერქივითაა, ოღონდ უგემური და ირონიული შიგთავსით, – სადარბაზო კარს მიაწვა და გააღო. ორივეს მზის შუქი დაეტაკა სახეში. გარეთ უფრო მეტად ციოდა, ვიდრე შიგნიდან ჩანდა: ეტყობა, ისევ მოთოვსო, გაიფიქრა შედოუმ, – თავისუფლება, – დაიგუგუნა უენზდეიმ, როცა მანქანისკენ მიაბიჯებდნენ, – კახპაა, რომელთანაც გვამების ლეიბზე უნდა დაწვე.

– მართლა?

– ციტატაა, – უპასუხა უენზდეიმ, – ვიღაც ფრანგის სიტყვებს ვიმეორებ. აი, ვისი ქანდაკება უდგათ ნიუ-იორკის ნავსადგურში: კახპისა, რომელიც გილიოტინიდან გადმოყრილი ნარჩენების გროვაზე ტყნაურობდა. რაც უნდა მაღლა ასწიო ეგ შენი ჩირაღდანი, ჩემო კარგო, შენი კაბის ქვეშ მაინც ვირთხები დაძვრებიან, ფეხზე კი ცივი თესლი ჩამოგდის. უენზდეიმ მანქანის კარი გააღო და შედოუს მგზავრის სავარძელზე მიუთითა.

– ჩემი აზრით, ლამაზია, – შედოუმ მონეტას უფრო ახლოდან შეხედა. თავისუფლების ქანდაკების სახემ ცოტათი ზორია პოლუნოჩნაია მოაგონა.

– აჰა, კაცობრიობის მარადიული უგუნურება, – თქვა უენზდეიმ და მანქანა დაძრა, – ადამიანი გამუდმებით ტკბილ ხორცს დასდევს, იმას კი ვერ ხვდება, რომ ხორცი მხოლოდ ძვლების ლამაზი გარსია. მატლების საკვები. ღამღამობით მატლების საკვებს ეხახუნები. არ გეწყინოს, მაგრამ ასეა.

შედოუ ასეთ სიტყვაუხვ უენზდეის პირველად ხედავდა. როგორც ჩანდა, მის ახალ ბოსს ციკლურობა ახასიათებდა: გულგახსნილობის ფაზებს სრული დუმილის პერიოდები ენაცვლებოდა.

– მაშ, ამერიკელი არ ხარ? – ჰკითხა შედოუმ.

– ამერიკელი არავინაა, – უპასუხა უენზდეიმ, – ყოველ შემთხვევაში, წარმოშობით. ამას ვგულისხმობდი, – მაჯის საათზე დაიხედა, – ბანკების დახურვამდე კიდევ რამდენიმე საათი გვაქვს. სხვათა შორის, წუხანდელისთვის უნდა შეგაქო. ჩერნობოგს შეკრებაზე მოსვლაზე საბოლოოდ მაინც დავიყოლიებდი, მაგრამ შენ ეს ისე გულწრფელად გააკეთე, მეც კი ვერ შევძლებდი.

– იმიტომ დამთანხმდა, რომ სანაცვლოდ ჩემი მოკვლის უფლება მიიღო.

– მოგკლავს თუ არა, საკითხავია. როგორც წუხელ თავად სწორად შენიშნე, ჩერნობოგი უკვე მოხუცია და ერთი დარტყმით იქნებ სულაც ვერ მოგკლას. შეიძლება მხოლოდ სამუდამოდ დაგასახიჩროს. ასე ვთქვათ, უმწეო ინვალიდად გაქციოს. მოკლედ, წინ ბევრი რამ გელის, თუკი მისტერ ჩერნობოგი მოსალოდნელ სირთულეებს გადაურჩება.

– რატომ, საეჭვოა, გადაურჩება თუ არა?

– დიახ, – თქვა უენზდეიმ და ბანკის ავტოსადგომზე გააჩერა მანქანა, – ამ ბანკის გაძარცვას ვაპირებ. კიდევ რამდენიმე საათს არ დაიკეტება. შევიდეთ და ხალხს მივესალმოთ.

უენზდეიმ ხელით ანიშნა, წამოდიო და შედოუც უხალისოდ გადავიდა მანქანიდან. თუ ბერიკაცი სისულელის ჩადენას აპირებს, კამერებმა რატომღა დაგვაფიქსირონო, კი გაიფიქრა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია და ბანკში მაინც შეჰყვა. თავი ჩახარა და ხელი ცხვირზე აიფარა, შეძლებისდაგვარად დამალა სახე.

– ანაბრის ბლანკები სად აწყვია, მემ? – ჰკითხა უენზდეიმ ეულ მოლარეს.

– აი, მანდ.

– ძალიან კარგი. და ფულის შეტანა რომ ღამით დამჭირდეს?

– იგივე ბლანკები გამოიყენეთ, – გაუღიმა მოლარემ, – ღამის ანაბრის ყუთის ჭრილი შემოსასვლელი კარის მარცხნივ, გარეთ, კედელზეა.

– გმადლობთ.

უენზდეიმ რამდენიმე ბლანკი აიღო, მოლარეს ღიმილით დაუქნია თავი და შედოუსთან ერთად გარეთ გავიდა.

უენზდეი ტროტუარზე გაჩერდა და წვერზე ფიქრიანად ჩამოისვა ხელი. შემდეგ ბანკომატთან მივიდა და იქვე, კედელზე მიმაგრებული ღამის სეიფიც შეათვალიერა. შედოუს ქუჩის გადაღმა გადაუძღვა და სუპერმარკეტში თავისთვის შოკოლადის ნაყინი, მისთვის კი ცხელი შოკოლადი იყიდა. სუპერმარკეტის შესასვლელთან, კედელზე ტაქსოფონი ეკიდა. ტელეფონის თავზე, განცხადებების დაფაზე, გასაქირავებელი ბინების მისამართები და ახალი, მზრუნველი პატრონების მომლოდინე ლეკვებისა და კნუტების ფოტოები იყო გაკრული. უენზდეიმ ტაქსოფონის ნომერი ჩაიწერა. კვლავ ქუჩის მეორე მხარეზე გადავიდნენ.

– კარგი იქნებოდა, თოვდეს, – თქვა უცებ უენზდეიმ, – კარგად, ძლიერად, გამაღიზიანებლად თოვდეს. მიდი, იფიქრე თოვლზე.

– ჰა?

– ყურადღება მოიკრიბე და, აი, ის ღრუბლები, დასავლეთით რომ მოჩანს, უფრო გაადიდე და გააშავე. იფიქრე მოქუფრულ ცასა და არქტიკიდან მქროლავ ქარებზე. იფიქრე თოვლზე.

– არა მგონია, ამისგან რამე გამოვიდეს.

– რა სისულელეა. სხვა თუ არაფერი, გაერთობი მაინც, – მანქანის კარი გამოაღო უენზდეიმ, – შემდეგი გაჩერება „კინკო“[50]. დაუჩქარე.

„თოვლი, – ფიქრობდა მგზავრის სავარძელში მჯდარი შედოუ და ნება-ნება წრუპავდა ცხელ შოკოლადს, – რკინასავით რუხი ციდან მსხვილი, თავბრუდამხვევი, თეთრი ფიფქები ცვივა. თოვლის ნამქერები. ფიფქები ენის წვერზე გადნება. ზამთრის სუსხი სახეზე ფრთხილად გკოცნის და თანდათან გყინავს. ოცდაათი სანტიმეტრის სიმაღლის ბამბასავით რბილი, ფაფუკი თოვლი ზღაპრულ, უცხო, ულამაზეს სამყაროს ქმნის...“

უენზდეი რაღაცას ეუბნებოდა.

– რა მითხარი? – ჰკითხა შედოუმ.

– მოვედით-მეთქი, – გაუმეორა უენზდეიმ, – სადღაც დაფრინავდი.

– თოვლზე ვფიქრობდი, – აუხსნა შედოუმ.

„კინკოში“ უენზდეი ბანკიდან წამოღებული ბლანკების ქსეროასლების გადაღებას შეუდგა. ოპერატორს ათ-ათი ცალი სავიზიტო ბარათი დააბეჭდვინა თავისთვის და შედოუსთვის. შედოუს თავი ასტკივდა და ბეჭებშუა უსიამოვნო შეგრძნებამ შეაწუხა. ეტყობა, წუხელ დივანზე ცუდად ვიწექიო, დაასკვნა.

უენზდეი კომპიუტერს მიუჯდა, წერილი შეადგინა და ოპერატორის დახმარებით, დიდი შრიფტით დაწერილი რამდენიმე განცხადებაც ამობეჭდა.

„თოვლი, – ფიქრობდა შედოუ, – მაღლა, ატმოსფეროში, მტვრის უმცირესი ნაწილაკების ირგვლივ წარმოქმნილი პაწაწინა ყინულის კრისტალები, ერთმანეთისგან განსხვავებული და

სრულიად უნიკალური ექვსგვერდიანი ფრაქტალები, ნამდვილი ხელოვნების ნიმუშები. ციდან ჩამოცვენისას თოვლის კრისტალები ერთმანეთს ეწებებიან და ფიფქებად იქცევიან, ჩიკაგოს თეთრ საბნად ეფარებიან...“

– გამომართვი, – უენზდეიმ შედოუს „კინკოს“ ყავა მიაწოდა. სითხის ზედაპირზე ნაღების ნახევრად გახსნილი კოშტი ტივტივებდა, – მგონი, საკმარისია.

– რა არის საკმარისი?

– თოვლი. მთლად ქალაქის პარალიზებაც არაა საჭირო. ცას ნაცრისფერი დასდებოდა.

  დიახ, თოვდა.

– ეს ხომ მართლა მე არ მიქნია? – გაიკვირვა შედოუმ, – არა, მე ვერ ვიზამდი. თუ – კი?

– ყავა დალიე, – უთხრა უენზდეიმ, – საშინლად უგემურია, მაგრამ თავის ტკივილს დაგიცხრობს, – შემდეგ დაამატა: – კარგი ნამუშევარია, ყოჩაღ!

უენზდეიმ ოპერატორს ფული გადაუხადა და თავისი განცხადებები, წერილები და სავიზიტო

ბარათები გარეთ გაიტანა. მანქანის საბარგული გააღო, ინკასატორებს რომ დააქვთ, ისეთ შავ, ლითონის კეისში ჩააწყო ქაღალდები და საბარგული დახურა. შემდეგ შედოუს სავიზიტო ბარათი მიაწოდა.

– ვინ არის ა. ჰედოკი, დაცვის უფროსი „დაცვის სამსახურ A1“-ში? – იკითხა შედოუმ.

– შენ ხარ.

– ა. ჰედოკი?

– დიახ.

– „ა“ რას ნიშნავს?

– ალფრედოს? ალფონსს? ავგუსტინს? არნოლდს? შენი გადასაწყვეტია.

– გასაგებია.

– მე ჯეიმს ო’გორმენი ვარ, – უთხრა უენზდეიმ, – მეგობრებისთვის ჯიმი. ხედავ? მეც მაქვს სავიზიტო ბარათი. მანქანაში ჩასხდნენ.

– თუ ა. ჰედოკზეც ისე კარგად იფიქრებ, როგორც თოვლზე ფიქრობდი, მაშინ ბლომად ფულს ვიშოვით და ამ ფულით ამაღამ ჩემს მეგობრებს კარგად ვასმევ და ვაჭმევ.

– და თუ საღამოს ციხეში ვიქნებით?

– მაშინ ჩემს მეგობრებს უჩვენოდ მოუწევთ თავის გატანა.

– მე ციხეში არ შევბრუნდები.

– არც მოგიწევს.

– მეგონა, შევთანხმდით, რომ არაკანონიერს არაფერს ვიზამდი.

– არც იზამ. ცოტას დამეხმარები და მხარს ამიბამ, და ალბათ თანამზრახველადაც ჩაითვლები, რახან მოპარულ ფულს შეინახავ, მაგრამ მერწმუნე, ამ საქმიდან მშრალად გამოძვრები.

– ეგ როდის, როცა შენი ბებერი სლავი ჩარლზ ატლასი[51] თავს გამიჩეჩქვავს?

– ჩერნობოგს მხედველობა აღარ უვარგა, – დაამშვიდა უენზდეიმ, – შეიძლება საერთოდ აგაცდინოს. ჯერ კიდევ ცოტა დრო დაგვრჩა მოსაკლავი. კიდევ კარგი, შაბათობით ბანკები შუადღისას იკეტება. წავიხემსოთ?

– კი, – უპასუხა შედოუმ, – შიმშილისგან კუჭი მიხმება.

– ერთი მშვენიერი ადგილი ვიცი, – თქვა უენზდეიმ და დაიძრნენ.

გზაში უენზდეი შედოუსთვის უცნობ, მხიარულ სიმღერას ღიღინებდა. თოვა გახშირდა, როგორც შედოუმ წარმოიდგინა და თავი უჩვეულოდ ამაყად იგრძნო. შედოუსნაირი საღად მოაზროვნე ადამიანი, რასაკვირველია, ვერც იმას დაიჯერებდა, რომ თოვასთან მას რაიმესაერთო ჰქონდა და ვერც იმას, რომ ჯიბეში ვერცხლის დოლარი კი არა, მთვარე ედო, მაგრამ მაინც...

მოზრდილი გარაჟის მსგავს შენობასთან გაჩერდნენ. აბრაზე ეწერა, რომ აქ 4,99 დოლარად ყველა კერძს შეჭამდა კაცი, თუ ამდენს მოერეოდა.

– მიყვარს ეს ადგილი, – თქვა უენზდეიმ.

– კარგი საჭმელი აქვთ?

– არც ისე, – უპასუხა უენზდეიმ, – მაგრამ ატმოსფეროა შეუდარებელი.

რა მოსწონდა უენზდეის, ნასადილევს გაირკვა (შედოუმ შემწვარი ქათამი შეჭამა და ძალიან მოეწონა): როგორც ოთახის შუაგულში ჩამოკიდებული სარეკლამო აბრა იუწყებოდა, თურმე გარაჟის შორეულ ბოლოში „გაკოტრებული და ლიკვიდირებული კომპანიების პროდუქციის მთლიანად ამოყიდვა“ მიმდინარეობდა.

უენზდეი გარეთ გავიდა და მანქანიდან პატარა ჩემოდანი მოიტანა. შემდეგ ჩემოდნიანად კაცების ტუალეტში შევიდა. შედოუმ იფიქრა, ადრე თუ გვიან, მინდა თუ არ მინდა, ისედაც შევიტყობ, უენზდეიმ რა განიზრახაო და ახლა მარკეტში გავლა გადაწყვიტა. მიაბიჯებდა თაროებს შორის და ათვალიერებდა გასაყიდად გამოტანილ „მხოლოდ თვითმფრინავის ყავის აპარატებით“ მოსახარშ ყავის კოლოფებს, თინეიჯერი მუტანტი კუ-ნინძების სათამაშოებს, მეომარი პრინცესა ზენას თოჯინებს, ჩართვისას ქსილოფონზე პატრიოტული ან სადღესასწაულო მელოდიების დამკვრელ დათუნიებს, გადამუშავებული ხორცის კონსერვებს,

კალოშებს, ბოტებს, მარშმელოუებს, ბილ კლინტონის წინასაარჩევნო კამპანიისას გამოშვებულ მაჯის საათებს, მინიატიურულ, ხელოვნურ ნაძვის ხეებს და ცხოველის, ხილისა და მონაზვნების ფორმის სამარილეებსა და საპილპილეებს. ყველაზე მეტად მოეწონა ასაწყობი თოვლის კაცი. კომპლექტს მოჰყვებოდა პლასტმასის ნახშირის თვალები, სიმინდის ტაროს ღეროსგან გამოთლილი ჩიბუხი და პლასტმასის ქუდი. მყიდველს მხოლოდ ნამდვილი სტაფილო უნდა დაემატებინა.

შედოუ იმაზე ჩაფიქრდა, როგორ შეიძლება ერთმა ადამიანმა მეორე დააჯეროს, რომ ციდან მთვარე ჩამოხსნა და ვერცხლის დოლარად გადააქცია, ან რამ შეიძლება წამოაყენოს მკვდარი ქალი სამარიდან და შენთან სალაპარაკოდ მოიყვანოს.

– ხომ მაგარი ადგილია? – ჰკითხა კაცების ტუალეტიდან გამოსულმა უენზდეიმ, რომელიც ჯერაც სველ ხელებს ცხვირსახოცით იმშრალებდა, – ქაღალდის ხელსახოცები გასთავებიათ, – თქვა მან. ტანსაცმელი გამოეცვალა. მუქი ლურჯი ქურთუკი და ამავე ფერის შარვალი, სქელი ლურჯი სვიტერი, თეთრი პერანგი და შავი ფეხსაცმელი ჩაეცვა და ყელზე ლურჯი ჰალსტუხი შემოეხვია. დაცვის სამსახურის თანამშრომელს ჰგავხარო, უთხრა შედოუმ.

– სხვას ვერაფერს გეტყვი, ახალგაზრდავ, – უპასუხა უენზდეიმ და პლასტმასის აკვარიუმის

თევზების ყუთი აიღო („არასდროს დაიხოცებიან და არც მათი გამოკვება მოგიწევს!“), – მხოლოდ გამჭრიახობას შეგიქებ. ართურ ჰედოკი როგორ მოგწონს? ართური კარგი სახელია.

– მეტისმეტად ხშირი დაჩვეულებრივია.

– მაშინ თავად მოიფიქრე უკეთესი. კარგი, ახლა ქალაქში დავბრუნდეთ. ბანკის გაძარცვა უნდა მოვასწროთ და ცოტა სახარჯო ფულიც მექნება.

– როგორც წესი, ხალხს ფული ბანკომატიდან გამოაქვს ხოლმე, – უთხრა შედოუმ. –

გაგიკვირდება და, მეც დაახლოებით ამის გაკეთებას ვაპირებ.

უენზდეიმ მანქანა ბანკის მოპირდაპირე მხარეს, სუპერმარკეტის ავტოსადგომზე გააჩერა. მანქანის საბარგულიდან ლითონის კეისი, ხელბორკილი და კლიპბორდი ამოიღო. კეისი ხელბორკილით მარცხენა მაჯაზე მიიბა. თოვა არ წყდებოდა. ლურჯი კეპი დაიხურა და ქურთუკის უბის ჯიბეზე სამკერდე ნიშანი მიიწება. კეპზეც და სამკერდე ნიშანზეც „დაცვის სამსახური A1“ ეწერა. კლიპბორდზე სადეპოზიტო ბლანკები დაამაგრა. შემდეგ წელში მოიხარა და პენსიაზე გასულ პოლიციის ოფიცერს დაემსგავსა, როგორღაც თითქოს ღიპიც დაედო.

– ესეც ასე, – თქვა მან, – ახლა წადი და სუპერმარკეტში საჭმელი იყიდე, შემდეგ ტაქსოფონთან იტრიალე. თუ ვინმე რამეს გკითხავს, უთხარი, რომ შენს მეგობარ გოგოს მანქანა გაუფუჭდა და მის ზარს ელოდები.

– იქ რატომ დამირეკავს? – შენ საიდან უნდა იცოდე?

უენზდეიმ გაცრეცილი, ვარდისფერი ყურსაცვამები ჩამოიცვა. საბარგული დახურა. მუქლურჯ კეპსა და ყურსაცვამებზე თოვლის ფიფქები აცვიოდა.

– როგორ გამოვიყურები? – ჰკითხა შედოუს.

– სასაცილოდ.

– სასაცილოდ?

– ან სულელურად, – თქვა შედოუმ

– ჰმ. სასაცილოდ და სულელურად. ეს კარგია, – გაიღიმა უენზდეიმ, რომელიც თავისი ყურსაცვამებით ერთდროულად გამამხნევებლად, სასაცილოდ და საყვარლად გამოიყურებოდა. ქუჩა გადაჭრა და ბანკის შენობისკენ გააბიჯა, ხოლო შედოუ სუპერმარკეტის ჰოლში შევიდა და იქიდან ადევნებდა თვალს.

უენზდეიმ ბანკომატს დიდი, წითელი ასოებით დაბეჭდილი განცხადება მიაკრა: არ მუშაობს. ღამის ანაბრის ყუთის ჭრილს წითელი ლენტი მიაწება და ზემოთ განცხადება მიაკრა, რომელიც შედოუმ ხალისით წაიკითხა: მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარეობს შეკეთება. ბოდიშს გიხდით დროებითი უხერხულობისთვის.

შემდეგ უენზდეიმ ქუჩის მხარეს გამოიხედა. გათოშილი და შეწუხებული ჩანდა.

ბანკომატთან ახალგაზრდა ქალი მივიდა, მაგრამ უენზდეიმ თავის გაქნევით აუხსნა, არ მუშაობსო. ქალმა შეიგინა, შეგინებისთვის მოიბოდიშა და გაიქცა.

მანქანა გაჩერდა და კაციგადმოვიდა გასაღებითა და პატარა, რუხი ტომრით ხელში. უენზდეიმ კაცს მოუბოდიშა, კლიპბორდზე ხელი მოაწერინა, მის სადეპოზიტო ბლანკს დახედა, დინჯად გამოუწერა ქვითარი, ცოტა ხანს იყოყმანა, ვითომ დაიბნა, თავისთვის რომელი ასლი დაეტოვებინა და შემდეგ კაცის ტომარა თავის კეისში ჩადო.

აცახცახებული კაცი ფეხების ბაკუნით იცდიდა თოვლში, როდის მორჩებოდა მოხუცი მცველი ამ სულელურ ფორმალობებს, რომ დროზე გარიდებოდა სიცივეს. ბოლოს და ბოლოს, ქვითარი გამოართვა, თბილ მანქანაში ჩახტა და წავიდა. უენზდეიმ ქუჩა გადმოჭრა, კეისიანად სუპერმარკეტში შემოვიდა და ყავა იყიდა.

– შუადღე მშვიდობისა, ახალგაზრდავ, – მეგობრულად ჩაიხითხითა მან, როცა შედოუს ჩაუარა, – ხომ არ გცივა?

მერე ისევ ქუჩის გადაღმა დაბრუნდა და შაბათ ნაშუადღევს თავიანთი შემოსავლებისა და გასამრჯელოების ანაბარზე შეტანის მსურველი ხალხისთვის რუხი ტომრებისა და კონვერტების გამორთმევა განაგრძო. სასაცილო, ვარდისფერ ყურსაცვამებიანი მოხუცი მცველი არავის აეჭვებდა.

შედოუმ თავის შესაქცევად „თერქი ჰანტინგი“, „ფიფლი“ და „უიკლი უორლდ ნიუსი“

(ამ უკანასკნელმა მისი ყურადღება გარეკანზე გამოტანილი ბიგფუტის[52] მომხიბლავი ფოტოთი მიიქცია) იყიდა. კითხულობდა და ხშირ-ხშირად გარეთაც იყურებოდა.

– რამით დაგეხმაროთ? – ჰკითხა მას შუახნის, ჭაღარაულვაშიანმა შავკანიანმა კაცმა, რომელიც მენეჯერი უნდა ყოფილიყო.

– არა, გმადლობთ. ზარს ველოდები. ჩემს მეგობარ გოგოს მანქანა გაუფუჭდა.

– აკუმულატორი იქნება, – უთხრა კაცმა, – ხალხს ავიწყდება, რომ აკუმულატორები მხოლოდ სამი ან ოთხი წელი მუშაობს. არადა, ძვირი კი არ ღირს გამოცვლა.

– ნუ იტყვით! – თქვა შედოუმ.

– აბა, თქვენ იცით, – უთხრა კაცმა და ისევ სუპერმარკეტში შებრუნდა.

თოვლმა ქუჩა თითქოს შუშის ბურთის ინტერიერად გადააქცია, ყოველი დეტალი მკაფიოდ ჩანდა.

შედოუ აღფრთოვანებული ადევნებდა თვალს იმას, რაც გარეთ ხდებოდა. ხმა არ ესმოდა და თითქოს მუნჯ კინოს უყურებდა, პერსონაჟთა უტყვი მოქმედებებითა და გამომეტყველებებით ტკბებოდა: მოხუცი დაცვის თანამშრომელი ოდნავ ტლანქი და უჟმური, მაგრამ აშკარად

კეთილის მზრახველი იყო. ყველა, ვინც მას ფული ჩააბარა, იმაზე უფრო ბედნიერი ემშვიდობებოდა, ვიდრე მიესალმა.

შემდეგ ბანკთან პოლიციის მანქანა გაჩერდა და შედოუს გული შეეკუმშა. უენზდეი ქუდზე ხელის მიდებით მიესალმა პოლიციელებს და მანქანასთან მივიდა. ჩაწეული მინიდან გამოყოფილი ხელი ჩამოართვა ერთ-ერთ პოლიციელს, თავი დაუქნია, ჯიბეებიდან წერილი და სავიზიტო ბარათი ამოიღო და მიაწოდა. შემდეგ ყავა მოსვა. ტელეფონმა დარეკა. შედოუმ ყურმილი აიღო და რაც შეიძლებოდა მოსაწყენი ხმით თქვა: – „დაცვის სამსახური A1“ გისმენთ.

– ა. ჰედოკს სთხოვეთ, თუ შეიძლება, – უთხრა ერთ-ერთმა პოლიციელმა ქუჩის გადაღმიდან.

– ალან ჰედოკი გელაპარაკებათ, – უთხრა შედოუმ.

– მისტერ ჰედოკ, პოლიცია გაწუხებთ. თქვენი თანამშრომელი მარკეტ-სტრიტისა და მეორე ქუჩის კუთხეში, „ილინოისის პირველ ბანკთან“ დგას.

– დიახ, ჯიმი ო’გორმენი. რამე პრობლემაა, ოფიცერო? ბებერი ჯიმი ცუდად იქცევა? მთვრალი ხომ არაა?

– არა, სერ, არანაირი პრობლემა არაა, თქვენი თანამშრომელი მშვენივრადაა. მხოლოდ დავრწმუნდი, რომ ყველაფერი რიგზეა.

– ჯიმს გადაეცით, რომ, თუ მოვალეობის შესრულებისას კიდევ ერთხელ გამოვიჭერთ მთვრალს, დავითხოვთ. გასაგებია? გავაპანღურებთ. „დაცვის სამსახური A1“ უპასუხისმგებლობას არავის მოუთმენს.

– სერ, არა მგონია, ამის თქმა მე მევალებოდეს. მისტერ ო’გორმენი საქმეს თავს მშვენივრად ართმევს. იმიტომ დაგირეკეთ, რომ, როგორც წესი, ასეთ დროს ორი ადამიანი უნდა მუშაობდეს ხოლმე. ერთი შეუიარაღებელი მცველისთვის ამხელა თანხის ჩაბარება სარისკოა.

– ეგ მე კი არა, „ილინოისის პირველი ბანკის“ ძუნწ მმართველებს უნდა უთხრათ. ხიფათი ჩემს ხალხს ემუქრება, ოფიცერო. კარგ ხალხს. თქვენნაირ ხალხს, – შედოუ თანდათან შეიჭრა როლში. თავი წარმოიდგინა ალან ჰედოკად, რომელსაც იაფფასიანი სიგარეტის ნამწვი უგდია საფერფლეში და შაბათ ნაშუადღევს ქაღალდებში უნდა იქექოს, როცა შომბერგში ოჯახი ელის,

ლეიკ-შორ-დრაივზე პატარა ბინაში კი – საყვარელი, – ისე, გამჭრიახ ახალგაზრდასავით ლაპარაკობთ, ოფიცერო...

– მაიერსონ.

– მოკლედ, ოფიცერო მაიერსონ, თუ შაბათ-კვირას დამატებითი გასამრჯელოს გამომუშავება მოგინდებათ, ანდა უცებ პოლიციიდან წამოხვალთ, დაგვირეკეთ. კარგი ბიჭები ყოველთვის გვჭირდება. ჩვენი სავიზიტო ბარათი ხომ გაქვთ?

– დიახ, სერ.

– შეინახეთ, – უთხრა ოფიცერ მაიერსონს ალან ჰედოკმა, – და დამირეკეთ.

პოლიციის მანქანა წავიდა. უენზდეი თავის ადგილს დაუბრუნდა ბანკის შენობასთან, სადაც მისთვის ფულის გადასაცემად ხალხი უკვე რიგში იდგა.

– თქვენი მეგობარი კარგადაა? – ჰოლში თავი გამოყო მენეჯერმა.

– აკუმულატორი გაფუჭებულა, – უთხრა შედოუმ, – კიდევ ცოტა ხანს მომიწევს ლოდინი.

– ოჰ, ეს ქალები, – ჩაილაპარაკა მენეჯერმა, – იმედია, თქვენი მეგობარი ლოდინად ღირს.

ზამთრის სიბნელე ჩამოწვა და ნაშუადღევი თანდათან ღამედ გადაიქცა. ლამპიონები აინთო. უენზდეისთან უფრო და უფრო მეტ ხალხს მოჰქონდა ფული. უცებ, თითქოს ვიღაც უხილავს ენიშნებინოს, უენზდეი კედელთან მივიდა, წარწერა „გაფუჭებულია“ ჩამოხსნა და სუპერმარკეტის ავტოსადგომისკენ გაჭყაპუნდა. შედოუმ ერთი წუთი შეიცადა და თვითონაც გაჰყვა.

უენზდეი მანქანის უკანა სავარძელზე იჯდა და კეისის შიგთავსს თავის გვერდით აუღელვებლად აწყობდა.

– წავედით, – უთხრა შედოუს, – სტეიტ-სტრიტზე „ილინოისის პირველი ბანკის“ სხვა ფილიალი გველოდება.

– იმავეს გასაკეთებლად? – ჰკითხა შედოუმ, – მეტისმეტად ხომ არ ვრისკავთ?

– სულაც არა, – უპასუხა უენზდეიმ, – მცირე საბანკო ოპერაციები უნდა განვახორციელოთ.

სანამ შედოუს მანქანა მიჰყავდა, უენზდეიმ ტომრებიდან კუპიურები ამოიღო და კეისში ჩაყარა. კუპიურები ამოიღო ზოგიერთი კონვერტიდანაც, მაგრამ ზოგიერთში ჩეკებსა და საკრედიტო ბარათების ბლანკებთან ერთად ჩატოვა. შედოუმ მანქანა ბანკის შესასვლელისგან ორმოცდაათი მეტრის მოშორებით, ვიდეოკამერებისთვის მიუწვდომელ ადგილას გააჩერა. უენზდეი მანქანიდან გადავიდა და კონვერტები ღამის ანაბრის ყუთის ჭრილში შეაცურა. შემდეგ ღამის სეიფი გახსნა, შიგ რუხი ტომარა ჩააგდო და ისევ დახურა. მერე მანქანაში დაბრუნდა და მგზავრის სავარძელზე დაჯდა.

– 90-ე შტატთაშორისი ავტომაგისტრალისკენ წადი, – უთხრა შედოუს, – საგზაო ნიშნებს დააკვირდი ხოლმე. მედისონში მივდივართ. შედოუმ მანქანა დაძრა. უენზდეიმ უკან დარჩენილ ბანკს გახედა.

– ესეც ასე, – მხიარულად თქვა, – ეს ყველას საბოლოოდ აუბნევს თავგზას. აი, თუ მართლა დიდი ფულის მოხსნა გინდა, კვირას გამთენიისას, ხუთის ნახევარზე, როცა ბარებსა და

კლუბებს შაბათი ღამის შემოსავლები შეაქვთ ბანკში, საჭირო ადგილას საჭირო ტიპს (როგორც წესი, ფულს დიდსა და პატიოსან ტიპს ატანენ და ზოგჯერ ერთ-ორ ზორბა მცველსაც გააყოლებენ ხოლმე, მაგრამ საზრიანობით ის მცველები ვერ გამოირჩევიან) უნდა დახვდე და სულ ცოტა, მეოთხედ მილიონ დოლარს ჩაიჯიბავ ერთ ღამეში.

– ეს თუ ასე ადვილია, ყველა რატომ არ აკეთებს? – ჰკითხა შედოუმ.

– ცოტა სარისკო საქმეა, – უპასუხა უენზდეიმ, – მით უფრო, დილის ხუთის ნახევარზე.

–

– იმას გულისხმობ, რომ დილის ხუთის ნახევარზე პოლიციელები უფრო ეჭვიანები არიან?

– პოლიციელები არ არიან, მაგრამ ბარებისა და კლუბების დაცვის ბიჭები – კი. შეიძლება, ვითარება დაიძაბოს.

უენზდეიმ ორმოცდაათდოლარიანების დასტა გადათვალა, ზედ

ოცდოლარიანების მომცრო დასტა დაადო და შედოუს მიაწოდა. – გამომართვი, ეს

შენი პირველი კვირის ხელფასია. შედოუმ დაუთვლელად ჩაიდო ფული ჯიბეში.

– აი, თურმე როგორ შოულობ ფულს.

– არა, ასე იშვიათად ვიქცევი, მხოლოდ მაშინ, თუ სასწრაფოდ მჭირდება ბევრი ფული. ძირითადად, ფულს ისეთ ხალხს ვართმევ, რომელიც ვერასდროს მიხვდება, რომ ფული წაართვეს და არასდროს იჩივლებს. შემდეგ ჯერზე ისევ რიგში ჩადგებიან, რომ ხელმეორედ გავძარცვო.

– იმ ტიპმა, იმ სუინიმ შენზე თქვა, გადამგდებიაო.

– ასეცაა. მაგრამ მე უფრო მეტი ვარ, ვიდრე მხოლოდ გადამგდები და შენ წვრილმანი თაღლითობებისთვის სულაც არ მჭირდები, შედოუ.

სიბნელეში, ფარების შუქზე, თოვლის ფიფქები თავბრუდამხვევად ბზრიალებდნენ და საქარე მინას ეხლებოდნენ.

– ეს ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, – სიჩუმე დაარღვია უენზდეიმ, – რომელმაც არ იცის, რას წარმოადგენს.

– რა?

– დანარჩენებმა იციან. არავის არასდროს მოუვა თავში აზრად ნორვეგიის გული ან მოზამბიკის სული იპოვოს. იქ ისედაც იციან, ვინც და რაც არიან.

– ანუ?

– არაფერი, მხოლოდ ხმამაღლა ვფიქრობ.

– მაშ, ბევრ ქვეყანაში ყოფილხარ? უენზდეიმ არ უპასუხა. შედოუმ გახედა.

– არა, – ამოიხვნეშა უენზდეიმ, – არც ერთ უცხო ქვეყანაში არ ვყოფილვარ.

ბენზინგასამართ სადგურში გაჩერდნენ ავზის გასავსებად. უენზდეი თავის ჩემოდნიანად ტუალეტში შევიდა დაცვის სამსახურის თანამშრომლის უნიფორმის გამოსაცვლელად. უკან

ახალი, ღია ფერის კოსტიუმით, ყავისფერი ფეხსაცმლითა და მუხლებამდე სიგრძის, იტალიური მოდელის, ყავისფერი პალტოთი გამოვიდა.

– მედისონში რომ ჩავალთ, მერე რას ვიზამთ?

მე-14 ავტოსტრადით სპრინგ-გრინში ჩავალთ. დანარჩენებს „კლდეზე მდგარ სახლში“ შევხვდებით. ნამყოფი ხარ მანდ?

– არა, – უპასუხა შედოუმ, – მაგრამ საგზაო ნიშნებზე მოვკარი თვალი.

სამყაროს იმ ნაწილში საგზაო ნიშნები წარწერით „კლდეზე მდგარი სახლი“, ყველგან ხვდებოდა კაცს თვალში. მთელ ილინოისში, მინესოტაში, ვისკონსინსა და ალბათ (როგორც შედოუ ეჭვობდა) აიოვაშიც კი მიმოფანტული დაგვერდებული, გაურკვეველი ნიშნები „კლდეზე მდგარი სახლის“ არსებობაზე აფრთხილებდნენ მგზავრებს. ნეტავ ეს კლდე ან სახლი რითაა საინტერესოო, გაიფიქრა შედოუმ: სახლი ხომ არ იდგა კლდის პირას? თუმცა, მალევე მიავიწყდა. გზისპირა ატრაქციონები დიდად არ იზიდავდა.

ჩაუარეს მედისონის თოვლის ფიფქებში გახვეულ კაპიტოლიუმს, მორიგ თვალწარმტაც, შუშის

ბურთის სცენას და შტატთაშორისი ავტომაგისტრალიდანაც გადავიდნენ. სოფლის გზაზე აღმოჩნდნენ. თითქმის ერთი საათი იარეს პატარა, უჩვეულო სახელიან ქალაქებსა და სოფლებში და ბოლოს ვიწრო ხეივანში შეუხვიეს, გასცდნენ რამდენიმე დიდ, დათოვლილ, ქვის ყვავილის ქოთანს, რომლებსაც გარს ხვლიკისებრი დრაკონები შემოხვეოდნენ და თითქმის ცარიელ ავტოსადგომზე გაჩერდნენ.

– მალე დაიხურებიან, – თქვა უენზდეიმ.

– ეს რა ადგილია? – ჰკითხა შედოუმ, როცა დაბალი, უსახური ხის შენობისკენ გააბიჯეს.

– გზისპირა ღირსშესანიშნაობა, – უპასუხა უენზდეიმ, – ერთ-ერთი საუკეთესო. რაც იმას ნიშნავს, რომ აქ ძალა სუფევს.

– რაო?

– ძალიან მარტივია, – უთხრა უენზდეიმ, – სხვა ქვეყნებში ხალხმა დროთა განმავლობაში აღმოაჩინა, სად სუფევდა ძალა. ზოგან ეს ბუნებრივი წარმონაქმნი იყო, ზოგან – მხოლოდ რაღაცით გამორჩეული ადგილი. ადამიანები ხვდებოდნენ, რომ იქ რაღაც მნიშვნელოვანი

ხდებოდა, გარკვეული ძალა იყო კონცენტრირებული, იქიდან თითქოს არხი გადიოდა, თითქოს ფანჯარა იღებოდა იმანენტურობაში[53]. ამიტომაც აშენებდნენ ასეთ ადგილებში ეკლესიებს, ტაძრებს, ქვის სვეტებს... ხომ მიხვდი, რასაც ვამბობ?

– ეკლესიები ამერიკაში სხვაგანაც ბევრია, – შენიშნა შედოუმ.

– ყოველ პატარა ქალაქში, ზოგჯერ ყოველ უბანში ან კვარტალშიც კი, მაგრამ ამ კონტექსტში ისინი ისეთივე უმნიშვნელოა, როგორიც სტომატოლოგიური კაბინეტები. არა, აშშ-ში ხალხს, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთს მაინც, ჯერაც ესმის ძახილი ტრანსცენდენტური სიცარიელიდან და პასუხად ლუდის ბოთლებისგან აგებს მინიმოდელს ადგილისა, სადაც არასდროს ყოფილა; ანდა ქვეყნის იმ ნაწილში,

– სადაც ღამურებს არასდროს უცხოვრიათ და არც არასდროს მიფრინავენ, მათთვის სახლებს დგამს. გზისპირა ღირსშესანიშნაობები – ხალხს იზიდავს ისეთი ადგილები (მსოფლიოს სხვა ქვეყნებში), სადაც, რომ შეეძლოთ, თავიანთი თავის ჭეშმარიტად ტრანსცენდენტურ მხარეს აღმოაჩენდნენ; დასეირნობენ იქ, ჰოთ-დოგს ჭამენ და ენით აუწერელ კმაყოფილებას განიცდიან, ხოლო სადღაც გულის სიღრმეში, გაურკვეველ უკმაყოფილებას გრძნობენ.

– არა, თეორიები კი მართლაც გიჟური გაქვს, – უთხრა შედოუმ.

– ეს თეორიები არ არის, ახალგაზრდავ, – უპასუხა უენზდეიმ, – წესით, ამას უკვე უნდა მიმხვდარიყავი.

სალაროში მხოლოდ ერთი ფანჯარა იყო ღია.

– ბილეთების გაყიდვას ნახევარ საათში შევწყვეტთ, – უთხრა მათ მოლარე გოგომ, – აქაურობის დათვალიერებას ორი საათი მაინც სჭირდება. უენზდეიმ ბილეთის საფასური ნაღდი ფულით გადაიხადა.

– კლდე სად არის? – ჰკითხა შედოუმ.

– სახლის ქვეშ, – უპასუხა უენზდეიმ.

– სახლი სად არის?

უენზდეიმ ტუჩებზე თითი მიიდო და გზა ფეხით განაგრძეს. წინიდან პიანოლაზე შესრულებული რაველის „ბოლერო“, უფრო სწორად, „ბოლეროს“ მიმსგავსებული მელოდია ისმოდა. ეს ადგილი მარტოხელა მამაკაცის გეომეტრიულად რეკონსტრუირებულ, 1960-იანი

წლების სტილის სახლს ჰგავდა შეულესავი კედლებით, ხაოიანი ხალიჩებითა და საოცრად მახინჯი, სოკოს ფორმის, ფერადი მინის აბაჟურებით. ხვეული კიბით მეორე სართულზე მდებარე, იაფფასიანი დეკორაციებით მორთულ ოთახში ავიდნენ.

– როგორც ამბობენ, ეს სახლი ფრენკ ლოიდ რაიტის[54] ბოროტმა ტყუპისცალმა ააშენა, – თქვა უენზდეიმ, – ფრენკ ლოიდ რონგმა[55], – და საკუთარ ხუმრობაზე თვითონვე ჩაიფხუკუნა.

– ეგ მაისურზე ეწერა, – თქვა შედოუმ.

კიდევ კარგა ხანს იარეს ზევით-ქვევით საფეხურებზე და ბოლოს აღმოჩნდნენ ძალიან, ძალიან გრძელ, შუშისკედლებიან ოთახში, რომელიც ნემსივით გადაშვერილიყო რამდენიმე ასეული მეტრით ქვემოთ გადაშლილი უფოთლო, შავ-თეთრი ლანდშაფტის თავზე. შედოუ შედგა და მოფარფატე თოვლის ფიფქებს შეხედა.

– ეს არის კლდეზე მდგარი სახლი? – იკითხა დაბნეულმა.

– შეიძლება ასეც ითქვას. ეს „უსასრულობის ოთახია“, მთელი სახლის მხოლოდ ნაწილი, უახლესი მინაშენი. მაგრამ, არა, ჩემო მეგობარო, ამ სახლში სანახავი ჯერ კიდევ ბევრია.

– ისე, შენი თეორიის მიხედვით, – უთხრა შედოუმ, – „უოლტ დისნეის სამყარო“ ამერიკის უწმინდესი ადგილი უნდა იყოს. უენზდეიმ შუბლი შეიკრა და წვერზე ხელი ჩამოისვა.

უოლტდისნეიმ შუაგულ ფლორიდაში ფორთოხლის პლანტაცია იყიდა და ტურისტული ქალაქი ააშენა. იქ არანაირი მაგია არ სუფევს. სულ სხვა საქმეა პირველი „დისნეის ქვეყანა“, იქ კი იქნება გარკვეული მაგია, თუნდაც დამახინჯებული და ძნელად ხელმისაწვდომი. ხოლო „დისნეის სამყარო“ სრულებით ჩვეულებრივი ადგილია. რაც იმას არ ნიშნავს, რომ ფლორიდაში ნამდვილ მაგიას ვერსად წააწყდები. პირიქით. მთავარია, თვალები გახელილი გქონდეს და დაინახო. აჰ, უიკი-უოჩის[56] ქალთევზები... აქეთ გამომყევი.

ყველა მხრიდან ულაზათო მუსიკა ისმოდა, რიტმიდან და ტაქტიდან ამოვარდნილი ჟღარუნი. უენზდეიმ ჯიბიდან ხუთდოლარიანი ამოიღო და დასახურდავებელ ავტომატში შეაცურა. სანაცვლოდ ერთი მუჭა თითბრის მონეტები მიიღო. ერთი ცალი შედოუს გადაუგდო. შედოუმ დაიჭირა, დაინახა, რომ პატარა ბიჭი უყურებდა, მონეტა ცერა და საჩვენებელ თითებში მოიქცია და გააქრო. ბიჭმა დედასთან მიირბინა და პალტოს კალთაზე მოქაჩა. ქალი ყველგან მყოფ სანტა-კლაუსებს ათვალიერებდა. გამოფენილია ექვსი ათასზე მეტი ექსპონატი – ეწერა გვერდით მიმაგრებულ აბრაზე.

შედოუ უენზდეის კვალდაკვალ გარეთ გავიდა და მაჩვენებლების მეშვეობით „გუშინდელი დღის ქუჩამდე“ გაიკვლიეს გზა.

– ორმოცი წლის წინ ალექს ჯორდანმა – მისი სახე, მარჯვენა მუჭში რომ გიდევს, იმ ჟეტონზე ახატია, შედოუ, – სხვის კუთვნილ მიწაზე აღმართული, კლდის შვერილზე სახლის შენება დაიწყო, ოღონდ ვერ იტყოდა, რატომ. მშენებლობის სანახავად ხალხი მოდიოდა. ბევრ მათგანს ცნობისმოყვარეობა აწუხებდა, გაკვირვებას ვერ მალავდა, მაგრამ ზოგმა თვითონაც არ იცოდა, იქ რისთვის მივიდა. ჰოდა, ალექს ჯორდანიც ისე მოიქცა, როგორც მისი თაობის ნებისმიერი კეთილგონიერი ამერიკელი მამაკაცი მოიქცეოდა: მათ ფულს ახდევინებდა. ბევრს არ ართმევდა. ალბათ ხუთ ან ოცდახუთ ცენტს. მშენებლობას განაგრძობდა. ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა.

იმ ოცდახუთცენტიანებითა და ხუთცენტიანებით ალექს ჯორდანმა კიდევ უფრო დიდი და უცნაური რამ ქნა. სახლის ქვეშ, მინდორზე, საწყობები ააშენა და ათასგვარი ნივთით გაავსო, რომ ხალხს დაეთვალიერებინა. ხალხიც მოდიოდა და ათვალიერებდა.

– რატომ?

პასუხად უენზდეიმ მხოლოდ გაიღიმა და უსიტყვოდ შეაბიჯეს „გუშინდელი დღის“ ნახევრად

–
ბნელ ხეივანში. მტვრიანი ვიტრინებიდან ვიქტორიანული სტილის ფაიფურის თოჯინები იყურებოდნენ საშინელებათა ფილმის ბუტაფორიებივით. დაჩრდილულ ქვაფენილს მიუყვებოდნენ და უკნიდან მექანიკური ჟღარუნის ხმა მოსდევდათ. დამტვრეული მარიონეტებით სავსე შუშის ყუთსა და შუშის ჩარჩოში ჩასმულ დიდ, ოქროსფერ მუსიკალურ ზარდახშას ჩაუარეს. უკან მოიტოვეს სტომატოლოგიური კაბინეტი და აფთიაქი (პოტენციის აღდგენა! გამოიყენეთ ო’ლირის მაგნიტური ბანდაჟი!). ხეივნის ბოლოს, შუშის ყუთში, ბოშა მკითხავივით ჩაცმული ქალის მანეკენი იდგა.

–

ყოველი მოგზაურობის ან საქმის წამოწყებამდე, – დაიგუგუნა უენზდეიმ, რომ მექანიკური ჟღარუნი გადაეფარა, – ნორნებს[57] უნდა ჰკითხო რჩევა. მაშ, ვუწოდოთ ამ სიბილას[58] ჩვენი ურდი[59]. ჰა, რას იტყვი? – და „კლდეზე მდგარი სახლის“ სპილენძისფერი ჟეტონი ჭრილში ჩააგდო. ბოშა ქალმა მოუქნელად, მექანიკური მოძრაობით ასწია და დასწია ხელი. ჭრილიდან ქაღალდის ფურცელი გამოცურდა. უენზდეიმ ფურცელი გამოაძრო, წაიკითხა, ჩაიფხუკუნა, დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო.

– არ წამაკითხებ? მე ჩემსას წაგაკითხებ, – უთხრა შედოუმ.

– ადამიანმა თავისი ბედისწერა სხვას არ უნდა გაუმხილოს, – უთხრა უენზდეიმ, – შენის წაკითხვას არც გთხოვდი.

შედოუმაც ჩააგდო ჟეტონი ჭრილში, შემდეგ ფურცელი გამოაძრო და წაიკითხა:

ყოველი დასასრული ახალი დასაწყისია.
შენი იღბლიანი რიცხვი არც ერთია.
შენი იღბლიანი ფერი აღარ არსებობს.
დევიზი: რაც მამაა, ის შვილია.

შედოუ მოიღუშა. ფურცელი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო.

სეირნობა განაგრძეს. გაუყვნენ წითელ დერეფანს, ჩაუარეს სკამებით სავსე ოთახებს, სკამებზე ვიოლინოები, ალტები და ვიოლონჩელები ეწყო. საკრავებში თუ ჟეტონს ჩააგდებდით, დაკვრას იწყებდნენ. კლავიშები მოძრაობდა, წინწილები ერთმანეთს ეჯახებოდა, მილებიდან შეკუმშული ჰაერი ჩადიოდა კლარნეტებსა და ჰობოებში. შედოუმ იმედგაცრუებით შენიშნა,

რომ ვითომდა სიმებიანი საკრავების დამკვრელი მექანიკური ხელები სიმებს არ ეხებოდა. ზოგ ინსტრუმენტს სიმები საერთოდ არ ჰქონდა ან აკლდა. ნეტავ მთელ ამ ხმებს მხოლოდ სასულე ან დასარტყამი ინსტრუმენტები გამოსცემს თუ ფირიც არის ჩართულიო, გაიფიქრა მან.

კარგა ხნის შემდეგ (შედოუს მოეჩვენა, რამდენიმე კილომეტრი მაინც გავიარეთო) მიადგნენ ოთახს, სახელად „მიკადოს“[60], რომლის ერთი კედელი მეცხრამეტე საუკუნის სტილის ფსევდო-აღმოსავლურ კოშმარს წარმოადგენდა: სქელწარბიანი მექანიკური მედოლეები დოლებს აბრაგუნებდნენ, წინწილებს აჟღარუნებდნენ და შუბლშეკრულები იმზირებოდნენ დრაკონებით მორთული სცენიდან. ამჟამად შთამბეჭდავად ამახინჯებდნენ სენ-სანსის[61] „სიკვდილის ცეკვას“.

„მიკადოს“ მუსიკალური ავტომატის პირდაპირ, ნიშში დადგმულ სკამზე ჩერნობოგი იჯდა და ტაქტს თითებს აყოლებდა. ფლეიტები სტვენდა, ზანზალაკები წკრიალებდა.

უენზდეი გვერდით მიუჯდა. შედოუმ დგომა ამჯობინა. ჩერნობოგი წამოიმართა და ჯერ უენზდეის ჩამოართვა ხელი, შემდეგ – შედოუს.

– გამარჯობა, – თქვა მან და ისევ დაჯდა. მუსიკით ტკბებოდა.

–
„სიკვდილის ცეკვა“ ბობოქრად და არაკეთილხმოვნად დასრულდა. საკრავების ხელოვნური, შეუწყობელი ჟღერადობა კიდევ უფრო არაამქვეყნიურს ხდიდა იმ ადგილს. ახალი მელოდია დაიწყო.

ბანკისძარცვამ კარგად ჩაიარა? – იკითხა ჩერნობოგმა და უხალისოდ ადგა, აშკარად არ უნდოდა „მიკადოდან“ გასვლა, რადგან გამაყრუებელი ჟღარუნის სმენა სიამოვნებდა.

– ყველაფერი ხუთიანზე გავაკეთეთ, – უპასუხა უენზდეიმ.

– სასაკლაო პენსიას მიხდის, – თქვა ჩერნობოგმა, – მეტი ფული არ მჭირდება.

– სამუდამოდ კი არ გადაგიხდიან, – უთხრა უენზდეიმ, – სამუდამოდ არაფერი გრძელდება.

უფრო მეტ ოთახს, უფრო მეტ მუსიკალურ ავტომატს ჩაუარეს. შედოუმ შეამჩნია, რომ ტურისტების ბილიკს კი არ მიუყვებოდნენ, უენზდეის შედგენილი მარშრუტით მიდიოდნენ. დაღმა დაეშვნენ. დაბნეულმა შედოუმ გაიფიქრა, ნეტავ აქ უკვე ხომ არ გაგვივლიაო.

– სწრაფად, აქეთ მოდი, – ჩერნობოგმა შედოუს მკლავზე წაავლო ხელი და კედელთან მდგარ

დიდ შუშის ყუთთან მიათრია. ყუთში ეკლესიის ეზოში, ეკლესიის კართან მძინარე მათხოვრის დიორამა მოჩანდა. „ლოთის სიზმარი“ – ეწერა იარლიყზე, რომელზეც ისიც მიეთითებინათ, რომ ეს მეცხრამეტე საუკუნის სავაჭრო ავტომატი ოდესღაც ინგლისის ერთ-ერთ რკინიგზის სადგურში იდგა. მონეტის ჩასაგდები ჭრილი გადაეკეთებინათ, რომ შიგ „კლდეზე მდგარი სახლის“ ჟეტონები ჩატეულიყო.

– ფული ჩააგდე, – უთხრა ჩერნობოგმა შედოუს.

– რატომ?

– რაღაც უნდა ნახო. გაჩვენებ.

შედოუმ ჭრილში მონეტა შეაცურა. სასაფლაოზე წამოწოლილმა ლოთმა ბოთლი პირთან მიიტანა. ერთ-ერთ საფლავზე დადებული ქვის ფილა განზე გასრიალდა და ხელებგაფარჩხული გვამი გამოჩნდა. საფლავის ქვა შემოტრიალდა და ყვავილები კბილებდაკრეჭილმა თავის ქალამ შეცვალა. ეკლესიის მარჯვნივ აჩრდილი გამოჩნდა, ხოლო მარცხნიდან, თითქოს ბოსხის საზარელი ნახატიდან გადმომხტარი, მკრთალი, ბუნდოვანი, ფრინველივით წაგრძელებულ და შემაშფოთებელსახიანი ლანდი გამოცურდა, საფლავის ქვას ჩაუარა, სიბნელეს შეერია და გაქრა.

შემდეგ ეკლესიის კარი გაიღო და მღვდელი გამოვიდა, ხოლო მოჩვენებები და გვამები გაუჩინარდნენ. სასაფლაოზე მხოლოდ მღვდელი და ლოთი დარჩნენ. მღვდელმა ლოთის დანახვაზე გამკიცხავად გააქნია თავი, ეკლესიაში შებრუნდა და ლოთი ისევ მარტო დატოვა.

ამ მექანიკურმა ამბავმა შედოუ იმაზე მეტად შეძრა, ვიდრე ერთ ჩვეულებრივ, მოსამართ სათამაშოს უნდა ემოქმედა.

– ხვდები, ეს რატომ გაჩვენე? – ჰკითხა ჩერნობოგმა.

– ვერა.

– იმიტომ, რომ ასეთია ქვეყნიერება. ეს არის ნამდვილი ქვეყნიერება. აი, იქ, იმ ყუთში. შევიდნენ სისხლისფერ ოთახში, რომელიც სავსე იყო ძველი თეატრალური ორგანებით, ვეებერთელა ორგანის მილებითა და ლუდსახარში ქვაბების მსგავსი დიდი, ოღონდ ცარიელი სპილენძის ავზებით.

– სად მივდივართ? – იკითხა შედოუმ.

– კარუსელთან, – უპასუხა ჩერნობოგმა.

– კი, მაგრამ კარუსელის ნიშანს უკვე ათჯერ მაინც ჩავუარეთ.

– ჩვენმა მეგზურმა თავისი გზა იცის. სპირალისებურად ვმოძრაობთ. ხანდახან უმოკლესი გზა ყველაზე გრძელია. შედოუს უკვე ფეხები სტკიოდა და სულაც არ ფიქრობდა, რომ უმოკლესი გზით იარეს.

მუსიკალური ავტომატი „Octopus's Garden"-ს[62] უკრავდა მრავალი სართულის სიმაღლის ოთახში, რომლის შუაგული მთლიანად დაეკავებინა დიდი, შავი ვეშაპისებრი მხეცისა და მის ბოჭკოვანი მინის ყბებში გაჩრილი ნატურალური ზომის ნავის ასლებს. აქედან „მოგზაურობის დარბაზში" გადაინაცვლეს, სადაც ფილებით გადახურული მანქანა, მომუშავე რუბ გოლდბერგის მანქანა[63] და „ბერმა შეივის"[64] კედელზე გაკრული, დაჟანგული სარეკლამო დაფები ნახეს.

ცხოვრება შრომაა, იოლი

არ არის, დროზე მოიპარსე, ეგ
ხშირი ჯაგარი. „ბერმა შეივი"
– ეწერა ერთზე, ხოლო
მეორეზე:

მოუნდა გასწრება,
ვიწრო მოსახვევში,
ჰოდა, იწვეს ახლა,
ცივ, შავ სამარეში.
„ბერმა შეივი".

დაღმართის ბოლოს მიაღწიეს. მათ წინ სანაყინე იდგა. ოფიციალურად კი ღია იყო, მაგრამ რადგან გოგოს, რომელიც მაგიდებს წმენდდა, სახეზე „დახურულია" ეწერა, სანაყინეს გვერდით

ჩაუარეს და იქვე, პიცერია-კაფეტერიაში შევიდნენ. იქ იჯდა მხოლოდ ხნიერი შავკანიანი კაცი ღია ფერის კუბოკრული კოსტიუმითა და ბაცი ყვითელი ხელთათმანებით. ტანმორჩილი კაცი იყო, თითქოს ასაკს დაეპატარავებინოს. დიდი

–

ჭიქიდან პლომბირს ხარბად ჭამდა და ყავას ტოლჩით სვამდა. მის წინ, საფერფლეში, შავი სიგარილო იწვოდა.

– სამი ყავა, – უთხრა უენზდეიმ შედოუს, თვითონ კი ტუალეტში შევიდა.

შედოუმყავა იყიდა და მივიდა ჩერნობოგთან, რომელიც ხნიერ შავკანიან კაცთან დამჯდარიყო და სიგარეტს მალულად ეწეოდა, თითქოს ეშინოდა, ვინმემ არ დამინახოსო. ხნიერმა კაცმა, რომელიც მანამდე პლომბირს ვერ სწყდებოდა, შედოუს მიახლოებაზე სიგარილო აიღო, ღრმა ნაფაზი დაარტყა და ბოლის ორი რგოლი გამოუშვა. მეორემ, უფრო პატარამ, პირველში, უფრო დიდში გაიარა. საკუთარი სიმარჯვით ნასიამოვნებმა კაცმა კმაყოფილებით გაიღიმა.

– შედოუ, ეს მისტერ ნანსია, – გააცნო ჩერნობოგმა. მოხუცი წამოდგა და ყვითელხელთათმანიანი ხელი გაუწოდა შედოუს.

– სასიამოვნოა, – თქვა თვალისმომჭრელი ღიმილით, – მგონი, ვიცი, ვინც ხარ. იმ ცალთვალა ნაბიჭვრისთვის მუშაობ, ხომ ასეა? ოდნავ დუდღუნით ლაპარაკობდა, თითქოს კარიბულად უქცევდა.

– დიახ, მისტერ უენზდეისთვის ვმუშაობ, – დაუდასტურა შედოუმ, – გთხოვთ, დაბრძანდით.

ჩერნობოგმა სიგარეტი მაგრად მოქაჩა.

– მგონი, – მოღუშულად თქვა მან, – ჩვენ და ჩვენნაირებს სიგარეტი ასე ძლიერ იმიტომ გვიყვარს, რომ ჩვენი კეთილგანწყობისა და წყალობის მოსაპოვებელი შესაწირის კვამლს გვაგონებს.

– ჩემთვის არავის არასდროს არაფერი შემოუწირავს, – თქვა მისტერ ნანსიმ, – ხანდახან ხილს თუ შემომთავაზებდნენ საჭმელად, ან მოშუშულ თიკანს ცხარე საკმაზით, სასმელად – რაიმე ბლანტსა და ცივს და კომპანიის გასაწევად – ზორბა, დიდძუძუებიან დედაბერს, – თეთრი კბილები დაკრიჭა კაცმა და შედოუს თვალი ჩაუკრა.

– ახლა კი, – თქვა ჩერნობოგმა გამომეტყველების შეუცვლელად, – აღარაფერი გვაქვს.

– ეგრე აღარც მე მთავაზობენ უწინდელივით ბევრ ხილს, – თქვა თვალებმოკაშკაშე მისტერ

ნანსიმ, – მაგრამ ამქვეყნად ვერაფერი შეედრება ზორბა, დიდძუძუებიან დედაბერს. ზოგი ამბობს, ქალს ჯერ უკანალზე უნდა მოუთათუნო ხელებიო, მაგრამ გეუბნებით, ცივ, სუსხიან დილას ჩემს ძრავას ძველებურად ძუძუები ქოქავს.

ნანსი გულიანად, ხრინწიანად ახარხარდა. შედოუს, თავისდა უნებურად, მოეწონა ბერიკაცი. ტუალეტიდან უენზდეი დაბრუნდა და ნანსის ხელი ჩამოართვა.

– შედოუ, რამეს შეჭამ? პიცას ან სენდვიჩს?

– არ მშია, – უპასუხა შედოუმ.

– ერთ რამეს გირჩევ, – უთხრა მისტერ ნანსიმ, – როცა საჭმელს გთავაზობენ, უნდა დათანხმდე, თორემ ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს არ მოგიწევს ჭამა. ძველებურად ახალგაზრდა აღარ ვარ, მაგრამ ამის თქმა შემიძლია: მოფსმაზე, ჭამასა და ნახევარი საათით თვალის მოტყუებაზე უარი არასდროს უნდა თქვა. გესმის?

– დიახ, მაგრამ არ მშია.

– ზორბა კი ხარ, – თქვა ნანსიმ და მაჰაგონისფერი თვალებით ნაცრისფერ თვალებში ჩახედა შედოუს, – აყლაყუდა, მაგრამ დიდად საზრიანი არ ჩანხარ. ვაჟი მყავს, იმდენად ყეყეჩი, თითქოს ფასდაკლებაზე ერთის ფასად ორი სიყეყეჩე ეყიდოს, და მას მაგონებ.

– თქვენი ნებართვით, ამას კომპლიმენტად მივიღებ, – უთხრა შედოუმ.

– რას, რეგვენი რომ ხარ იმ კაცივით, დილით რომ ჩაეძინა და ტვინების დარიგებას ვერ მიუსწრო?

– იმას, რომ თქვენი ოჯახის წევრს შემადარეთ.

მისტერ ნანსიმ სიგარილოს ნამწვი საფერფლეში ჩასრისა, შემდეგ ყვითელი ხელთათმანებიდან ფერფლის უხილავი ნამცეცები ჩამოიფერთხა.

– ისე, ცალთვალას არც ისე ცუდი ბიჭი შეურჩევია, – უენზდეის შეხედა ბერიკაცმა, – შენი აზრით, ამაღამ რამდენი შევგროვდებით?

– ვისი პოვნაც მოვახერხე, ყველას შევატყობინე, – უპასუხა უენზდეიმ, – როგორც ჩანს, ყველა

ვერ შეძლებს მოსვლას. ზოგიერთს კი, – ჩერნობოგზე მიუთითა, – სურვილი არ აქვს. თუმცა, ვფიქრობ, ორმოცი-ორმოცდაათი მაინც ვიქნებით. ცნობები ჩვენი შეხვედრის შესახებ კი ისედაც გავრცელდება.

აბჯრების გამოფენას ჩაუარეს („ვიქტორიანული ხანის სიყალბეა, – ამბობდა უენზდეი, როცა ვიტრინების გასწვრივ მიაბიჯებდნენ, – თანამედროვე სიყალბე, მეოცე საუკუნის ჩაფხუტი მეჩვიდმეტე საუკუნის რეპროდუქციაზე, მეთხუთმეტე საუკუნის რაინდის მარცხენა ხელთათმანი...“), უენზდეიმ კარი გააღო, გარეთ გავიდნენ, წრიული გალერეით შენობას შემოუარეს („ამდენი შესვლა-გამოსვლა საჩემო საქმე არაა, – თქვა ნანსიმ, – უკვე დავბერდი. თანაც, თბილი კლიმატის მოყვარული ვარ“.), შემდეგ უენზდეი კიდევ ერთ კარში გაუძღვა თანამგზავრებს და ბოლოს და ბოლოს, კარუსელის ოთახში აღმოჩნდნენ.

კალიოპე[65] შტრაუსის ვალსს უკრავდა – ზოგჯერ სულის შემძვრელად, ზოგჯერ ხმაშეუწყობლად. მათ პირდაპირ, კედელთან, ძველებური კარუსელის ასობით ცხენი ეკიდა, ზოგს ხელახლა შეღებვა სჭირდებოდა, ზოგს – მტვრის გადაწმენდა; ცხენების თავზე აშკარად ტანსაცმლის მაღაზიის მანეკენების ნაწილებისგან აწყობილი ათობით ფრთიანი ანგელოზი ეკიდა; ზოგ მათგანს უსქესო მკერდი გაშიშვლებოდა, ზოგს

პარიკები მოსძრობოდა და გამელოტებულები, უსიცოცხლოდ იმზირებოდნენ სიბნელიდან.

მათ მიღმა კი კარუსელი მოჩანდა.

იქვე მიმაგრებული აბრა იუწყებოდა, რომ ეს იყო მსოფლიოში უდიდესი კარუსელი, ამდენსა და ამდენს იწონიდა, ამდენი ათასი ელექტრონათურა იყო ჩახრახნილი მასზე გოთიკური სიუხვით ჩამოკიდებულ დიდ ჭაღებში და, რომ ყველას ეკრძალებოდა კარუსელზე აძრომა ან ცხოველებზე ამხედრება.

ცხოველებს არ იკითხავთ! შედოუ პირდაღებული მისჩერებოდა კარუსელის პლატფორმაზე მოტრიალე ასობით ნატურალური ზომის არსებას. ნამდვილები, გამოგონილები და ნამდვილისა და გამოგონილის ნაზავები – ყველა ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. შედოუმ თვალი მოჰკრა ქალთევზასა და კაცთევზას, კენტავრსა და ცალრქას, სპილოებს (დიდსა და პატარას), ბულდოგს, ბაყაყსა და ფენიქსს, ზებრას, ცხენს, მანტიკორასა და ბასილისკოს, ეტლში შებმულ გედებს, თეთრ ხარს, მელიას, ტყუპ ლომვეშაპებსა და თვით ზღვის გველსაც. ვალსი დამთავრდა და ხელახლა დაიწყო, მაგრამ ღია ფერის, ცოცხალის მსგავსი ცხოველები არათუ გაჩერდნენ, ოდნავადაც არ შენელებულან.

– ეს რისთვისაა? – იკითხა შედოუმ, – კი, მესმის, მსოფლიოში უდიდესი ასობით ცხოველი, ათასობით ელექტრონათურა და რამე, მაგრამ არასდროს ჩერდება და ზედაც ვერასდროს ვერავინ შეჯდება.

– ეს კარუსელი იმისთვის არაა, რომ ზედ ხალხი დაჯდეს, – უპასუხა უენზდეიმ, – იმისთვისაა, რომ მისით აღფრთოვანდნენ. იმისთვისაა, რომ იყოს.

– ბუდისტების სალოცავი დოლურასავითაა, რომელიც არასდროს ჩერდება, – თქვა ნანსიმ, – ძალას აგროვებს.

– დანარჩენები სად არიან? – დაინტერესდა შედოუ, – მითხარი, აქ შევიკრიბებითო, მაგრამ ეს ადგილი ცარიელი ჩანს.

უენზდეიმ მისთვის ჩვეულად, ცივად გაიღიმა.

– შედოუ, ზედმეტ ცნობისმოყვარეობას იჩენ, – თქვა მან, – ხელფასს კითხვების დასმაში არ გიხდიან.

– ბოდიში.

– მაგას სჯობს, მოხვიდე და ასვლაში დაგვეხმარო, – უთხრა უენზდეიმ და იმ მხრიდან მიუახლოვდა კარუსელს, სადაც აბრაზე კარუსელის აღწერილობა და დამთვალიერებლისთვის განკუთვნილი გაფრთხილება ეწერა.

შედოუმ გაპროტესტება კი დააპირა, მაგრამ მალევე გადაიფიქრა და სათითაოდ შესხა ისინი ბაქანზე. უენზდეი თითქოს ტონას იწონიდა, ჩერნობოგი თავისით აცოცდა, მხოლოდ შედოუს მხარი გამოიყენა საყრდენად, ნანსი კი ბუმბულივით მსუბუქი

აღმოჩნდა. ერთი ნაბიჯი, პატარა ნახტომი და ბერიკაცები უკვე მოტრიალე პლატფორმაზე იდგნენ.

– აბა! – დაუძახა უენზდეიმ შედოუს, – მოდიხარ თუ არა?

შედოუ რამდენიმე წამით შეყოყმანდა, მიმოიხედა, „კლდეზე მდგარი სახლის“ პერსონალი ხომ არ მხედავსო და მერე თვითონაც აძვრა მსოფლიოს უდიდესი კარუსელის ბაქანზე. ძლიერ გააკვირვა იმის გააზრებამ, რომ შუადღისას ბანკის გაძარცვისას არ აღელვებულა ასე, როგორც ახლა, როცა კარუსელზე აძრომით დაარღვია ატრაქციონის წესები.

ბერიკაცები განაწილდნენ. უენზდეი რუხ მგელს შემოახტა, ჩერნობოგი – შეაბჯრულ, ლითონის მუზარადით სახედაფარულ კენტავრს, ხოლო ნანსი ფხუკუნით შეჯდა ვეებერთელა, ნახტომისთვის გამზადებულ, ხახადაფჩენილ ლომზე და გვერდზე ხელი დაჰკრა. შტრაუსის ვალსის თანხლებით სამივენი დიდებულად გაქროლდნენ წრეზე.

უენზდეი იღიმოდა, ნანსიც მხიარულად, ბებრულად ხითხითებდა, თვით კუშტი ჩერნობოგიც

გახალისდა. შედოუს ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი მოხსნეს: სამი ბერიკაცი მსოფლიოს უდიდეს კარუსელზე ტრიალით ერთობოდა, თვითონ რატომღა უნდა ენერვიულა. მერე რა, თუ აქედან გააგდებდნენ? სამაგიეროდ, იმით იტრაბახებდა, რომ მსოფლიოს უდიდესი კარუსელის შთამბეჭდავ მხეცზე მჯდარა.

ჯერ ბულდოგი შეათვალიერა, შემდეგ – ზღვის სული და ოქროს ტახტრევნიანი სპილო, ბოლოს არწივისთავიან და ვეფხვისტანიან არსებაზე შეჯდა და ხელები შემოაჭდო.

გონებაში „ლურჯი დუნაის“ რიტმი ჩაესმოდა და უგუგუნებდა, ათასობით ნათურა ციმციმებდა და სხვადასხვაფრად ბრჭყვიალებდა და წამით, შედოუ ისევ ბავშვად იქცა: მის გასაბედნიერებლად კარუსელზე ბზრიალიც კი კმაროდა. იჯდა თავის არწივ-ვეფხვზე და მთელი სამყარო მის ირგვლივ ბრუნავდა.

საკუთარი სიცილი ჩაესმა ყურში. სიცილმა მუსიკის ხმაც კი გადაფარა. თავს ბედნიერად გრძნობდა. ბოლო ოცდათექვსმეტი საათი, ბოლო სამი წელი თითქოს საერთოდ არ ყოფილა, მისი განვლილი ცხოვრება თითქოს შეერწყა ზმანებას პატარა ბავშვისა, რომელიც ზღვითა და მანქანით მარათონული მგზავრობის შემდეგ აშშ-ში ჩავიდა და ახლა სან-ფრანცისკოში, ოქროს კარიბჭის პარკის კარუსელზე ტრიალებდა; დედამისი იქვე იდგა და ამაყად უყურებდა, თვითონ

ნახევრად დამდნარ, ჯოხზე წამოცმულ ნაყინს ენით ლოკავდა და ხელს მაგრად უჭერდა; იმედოვნებდა, რომ მუსიკა არასდროს შეწყდებოდა, კარუსელი არასდროს შენელდებოდა და ტრიალი არასდროს დამთავრდებოდა. ტრიალებდა და ტრიალებდა...

შემდეგ ნათურები ჩაქრა და შედოუმ ღმერთები იხილა.

მეექვსე თავი

სულ მთლად ღიაა და დაუცველი ჩვენი კარიბჭე, ბოლო
არ უჩანს უცხოტომელთა ჭრელ, ურიცხვ ლაშქარს,
მოდიან მკვიდრნი ვოლგისპირის და თათრეთის სტეპის,
არ წყდება რიგი შორი ჩინეთის უსახო ხალხთა;
მალაიელნი, სკვითნი, ტევტონნი, კელტნი და სლავნი,
გამოჰქცევიან ძველი სამყაროს გვემას და ჯაფას. თავის
ადათი და წეს-ჩვევები თან მოაქვს ყველას, რათა
გაშალოს ველურმა ვნებამ ბრჭყალები აქაც. უცხო ენებზე
ლაპარაკობენ უკვე ქუჩებში, მუქარადა ჟღერს იმათი
კილო ჩვენი ყურისთვის, ასეთი იყო ის ბაბილონიც
ოდესღაც ალბათ.
თომას ბეილი ოლდრიჩი[66], „დაუცველი კარიბჭე“, **1882** ერთ წამს შედოუ

მსოფლიოს უდიდეს კარუსელზე იჯდა და არწივისთავიან ვეფხვს

ეჭიდებოდა, მეორე წამს კარუსელის თეთრ-წითელი ნათურები ძლიერად გავარვარდა და ჩაქრა, შედოუ კი ვარსკვლავების ოკეანეში ჩაინთქა, მექანიკური ვალსი მფეთქავმა, რიტმულმა ჟღარუნმა თუ დგაფუნმა შეცვალა, თითქოს წინწილებს ურტყამდნენ ერთმანეთს ან დიდი ტალღები ეხეთქებოდა ოკეანის შორეულ ნაპირს.

იქაურობას მხოლოდ ვარსკვლავების შუქი ეფინებოდა, მაგრამ ყველაფერი ცხადად ჩანდა. შედოუს მხეცი უხმოდ მიდიოდა. შედოუ მარცხენით მის ბალანს ეხებოდა, მარჯვენით ბუმბულს ჩაჰფრენოდა.

– ხომ მოგეწონა კარუსელზე ტრიალი? – უკნიდან ყურსა და გონებაში ხმა ჩაესმა.

შედოუ ნელა მიტრიალდა და მოძრაობისას, გაშეშებული, წამის მეასედში დაფიქსირებული საკუთარი გამოსახულებები მიმოფანტა, ყოველი მცირე მოძრაობა უსასრულოდ გრძელდებოდა. მისი ტვინის მიერ აღქმული გამოსახულებების ნაკადი უწესრიგო იყო: თითქოს ნემსიყლაპიას კრისტალივით მრავალწახნაგოვანი თვალებით უყურებდა სამყაროს, ოღონდ თითოეული წახნაგი სრულიად განსხვავებულ რამეს ხედავდა და იმ უამრავი რამისგან, რასაც ხედავდა, ან ეგონა, რომ ხედავდა, მთლიანი სურათის დახატვა უჭირდა.

უყურებდა მისტერ ნანსის, ჰაერში ამავალ-დამავალ კარუსელის ლომზე მჯდარ წვრილულვაშიან შავკანიან ბერიკაცს, რომელსაც კუბოკრული პიჯაკი და ყვითელი ხელთათმანები ეცვა, მაგრამ იმავდროულად, იმავე ადგილას ცხენსავით მაღალ, ძვირფასი ქვებით მორთულ ობობას ხედავდა, რომელიც თავმომწონედ მიაბიჯებდა და ზურმუხტოვანი თვალთკრებულით დასცქეროდა. გარდა ამისა, ზუსტად იქვე, შედოუ ხედავდა უჩვეულოდ ტანმაღალ, ტექისხისფერკანიან, ექვსხელა კაცს,

რომელსაც სირაქლემისბუმბულიანი ჯიღა ედგა თავზე, სახეზე წითელი ზოლები დაეხატა და ექვსიდან ორი ხელი ფაფარში ჩაევლო განრისხებული ლომისთვის; ხედავდა ჩამოკონკილ შავკანიან ყმაწვილსაც, რომელსაც მარცხენა ფეხი გასივებოდა და ზედ ბუზები დახვეოდნენ. დაბოლოს, ამ ყველაფრის მიღმა, შედოუ დამჭკნარი, გაყვითლებული ფოთლის ქვეშ შემძვრალ პაწია, ყავისფერ ობობას ხედავდა. შედოუმ დაინახა ეს ყველაფერი და მიხვდა, რომ ერთსა და იმავე არსებას უყურებდა.

– პირი მოკუმე, – უთხრა მრავალმა არსმა, რომელიც მისტერ ნანსი იყო, – თორემ შიგ რამე შეგიფრინდება.

შედოუმ პირი მოკუმა და ნერწყვი გაჭირვებით გადაყლაპა.

კილომეტრ-ნახევრის მოშორებით, ბორცვზე ხის დარბაზი იდგა. მათი

მხეცების ჩლიქები უხმოდ ეფლობოდა ზღვის სანაპიროს ყვითელ ქვიშაში.

ჩერნობოგმა თავის კენტავრს მკლავზე ხელი მსუბუქად დაჰკრა.

– სინამდვილეში ეს ყველაფერი შენს თავში ხდება, – ნაღვლიანად უთხრა შედოუს, – აჯობებს, ამაზე ნუ იფიქრებ.

მართლაც, შედოუმ დაინახა გაჭაღარავებული, ხნიერი აღმოსავლეთევროპელი იმიგრანტი, რომელსაც გაცვეთილი საწვიმარი შემოეცვა და ერთი რკინისფერი კბილი ჰქონდა. ამასთანავე, დაინახა გარს შემოხვეულ სიბნელეზე უბნელესი ჯმუხი არსება, რომელსაც თვალები ნაკვერჩხლებივით უელვარებდა. დაინახა გრძელ შავთმაგაშლილი, გრძელ შავულვაშიანი თავადიც, რომელსაც ხელებსა და სახეზე სისხლი ეცხო და მხრებზე დათვისტყავწამოგდებული, ნახევრად შიშველი ამხედრებულიყო რკალებითა და სპირალებით ტანმოხატულ ნახევარადამიანნახევარმხეცზე.

– ვინ ხარ? – ჰკითხა შედოუმ, – რა ხარ?

ზღვის ნაპირს მიუყვებოდნენ. ბნელ პლაჟს შეუბრალებლად ეხეთქებოდნენ ტალღები.

უენზდეიმ თავისი მგელი – უკვე დიდ, რუხ, მწვანეთვალება ნადირად გადაქცეული – შედოუსთან მიაგელვა. შედოუს არწივისთავიანი ვეფხვი დაფრთხა და განზე გახტა, მაგრამ შედოუმ კისერზე ხელი გადაუსვა და დაამშვიდა. არსებამ ვეფხვის კუდი ბრაზიანად გააქნია. შედოუს ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს სადღაც იქვე, ახლოს, ქვიშის ბორცვებში უენზდეის მგლის ტყუპისცალი მოიპარებოდა, რათა საჭიროების შემთხვევაში გამომხტარიყო.

– მიცანი, შედოუ? – ჰკითხა მგელზე ამაყად ამხედრებულმა უენზდეიმ. მარჯვენა თვალი უბრწყინავდა, მარცხენა კი დაბინდული ჰქონდა. ისეთი კაპიუშონიანი სამოსელი ეცვა, ბერს ჰგავდა და სახე ბუნდოვნად მოუჩანდა სიბნელიდან, – დაგპირდი, რომ ჩემს სახელებს გეტყოდი. აი, რას მიწოდებენ ხოლმე: მე ვარ „ომის მოყვარული“, „პირქუში“, „მრბეველი“, „მესამე“ და კიდევ „ცალთვალა“. მე ვარ „უზენაესი“ და „მიხვედრილი“. მე ვარ გრიმნირი, ანუ „თავდაბურვილი“. მე ვარ „ყოველთა მამა“ და გონდლირ კვერთხიანი. იმდენი სახელი მაქვს, რამდენი ქარიცაა,

იმდენი წოდება, რამდენი სიკვდილის გზაცაა. ჩემს ყორნებს ჰუგინი და მუნინი ჰქვიათ: „აზრი“ და „მეხსიერება“; ჩემი მგლები არიან ფრეკი და გერი, ხოლო ჩემი რაში სახრჩობელაა.

უენზდეის მხრებზესამარისებურად რუხი, ნახევრად გამჭვირვალე ორი ყორანი დააფრინდა, ორივემ ნისკარტი ყურებში შეუყო, თითქოს მისი გონებისთვის გემოს გასინჯვა სურდათ და შემდეგ ფრთხიალით კვლავ სადღაც გაფრინდნენ.

„რა დავიჯერო?“ – გაიფიქრა შედოუმ და იმწამსვე პასუხად ქვეყნიერების სიღრმეებიდან გრგვინვით ამოაღწია ბოხმა ხმამ: „ყველაფერი დაიჯერე“.

– ოდინი ხარ? – ჰკითხა შედოუმ და ქარმა სიტყვები მის ტუჩებს მოსწყვიტა.

– ოდინი, – დაიჩურჩულა უენზდეიმ, მაგრამ მისმა ჩურჩულმა ტალღების ხმაური გადაფარა, – ოდინი, – გაიმეორა უენზდეიმ, თითქოს ბგერებს გემოს უსინჯავდა, – ოდინი, – ტრიუმფალურად დაიყვირა უენზდეიმ და ყვირილის ექო ჰორიზონტიდან ჰორიზონტს მისწვდა. მისი სახელი გაიზარდა, გადიდდა და მთელი ქვეყნიერება გაავსო, როგორც სისხლის შხუილმა შედოუს ყურები.

და უცებ, როგორც სიზმარში ხდება ხოლმე, შორეული ბორცვისკენ კი აღარ მიდიოდნენ, პირდაპირ დარბაზთან გაჩნდნენ. მათი მხეცები დარბაზის გვერდით, ბაკში იყვნენ დაბმულები.

დარბაზი ვრცელი, მაგრამ პრიმიტიული იყო, მისი სახურავი – ჩალისა, კედლები – ხისა. დარბაზის შუაგულში ცეცხლი ენთო და კვამლმა შედოუს თვალები აუწვა.

– ეს ჩემს გონებაში უნდა გვექნა და არა – მისაში, – გადაულაპარაკა მისტერ ნანსიმ შედოუს, – ჩემთან უფრო მეტი სითბო იქნებოდა.

– მის გონებაში ვართ?

– შეიძლება ითქვას. ეს ვალასკიალვია, მისი ძველი დარბაზი.

შედოუსთვის საბედნიეროდ, ნანსი ისევ ყვითელხელთათმანიან ბერიკაცს დამსგავსებოდა, ოღონდ ცეცხლის ალზე მთრთოლარე მისი ჩრდილი ხშირად იცვლიდა ფორმას და ხანდახან ადამიანისას სულაც არ ჰგავდა.

კედლების გასწვრივ ხის გრძელ მერხებზე იჯდა ან იქვე იდგა ათამდე ადამიანი. ერთმანეთისგან თავი შორს ეჭირათ. საკმაოდ ჭრელი საზოგადოება შეკრებილიყო, მათ შორის, მუქკანიანი ქალი წითელ სარიში, რამდენიმე უბადრუკად ჩაცმული საქმოსანი და სხვები, რომლებიც ისე ახლოს იდგნენ ცეცხლთან, რომ შედოუმ მათი სახეები ვერ გაარჩია.

– სად არიან? – მრისხანედ გადაუჩურჩულა უენზდეიმ ნანსის, – სად? ახლა აქ ათობით კი არა, ასობით ჩვენგანი უნდა იყოს.

– მე რა ვიცი, შეკრება შენი დაგეგმილია, – უპასუხა ნანსიმ, – ისიც გასაკვირია, ამდენი რომ მოვიდა. რამე არაკს ხომ არ მოვყვე უხერხულობის გასაფანტად?

– გამორიცხულია, – უარის ნიშნად თავი გააქნია უენზდეიმ.

– დიდად მეგობრულები არ ჩანან, – თქვა ნანსიმ, – კარგი არაკი ვინმეს კეთილგანწყობის მოსაპოვებლად უებარი საშუალებაა. თან ბარდიც არ გყავს, რომ იმღეროს.

– არანაირი არაკები, – თქვა უენზდეიმ, – ახლა ამის დრო არ არის. ჯერ საქმეს მივხედოთ, ამბების მოსაყოლად მოგვიანებით მოვიცლით.

– როგორც შენ იტყვი. მაშინ მხოლოდ პუბლიკას შევამზადებ შენთვის, – უთხრა მისტერ ნანსიმ და ლაღად მოცინარმა გააბიჯა კოცონის შუქზე.

– ვიცი, რასაც ფიქრობთ, – თქვა მან, – ფიქრობთ, კომპე ანანსი[67] რას გამოდის სიტყვით, როცა ეგეც და ჩვენც აქ ყოველთა მამამ შეგვკრიბაო. მოგახსენებთ. ზოგჯერ ხალხს რაღაც-რაღაცების შეხსენება სჭირდება. შემოსვლისას მიმოვიხედე და გავიფიქრე: „კი, მაგრამ სხვები სად არიან?“ თუმცა მერე მივხვდი, მხოლოდ ის, რომ ისინი ჩვენზე მეტნი და ძლიერები არიან, სულაც არ ნიშნავს, რომ მარცხისთვის განწირულები ვართ.

ერთხელ ტბორთან ვეფხვი ვნახე. ცხოველებში ყველაზე დიდი ყვერები, ყველაზე ბასრი

კლანჭები და დანასავით მჭრელი და გრძელი ორი ეშვი ჰქონდა. ვუთხარი, ძმობილო ვეფხვო, შენ ტბორში იბანავე, ყვერებს მე შეგინახავ-მეთქი. ძალიან ამაყობდა თავისი ყვერებით. ჰოდა, ვეფხვიც ტბორში ჩახტა. მე მისი ყვერები ჩამოვიკიდე ფეხებშუა, ჩემი პატარა, ობობის ყვერები კი მას დავუტოვე. მერე იცით, რა ვქენი? უკან მოუხედავად გამოვიქეცი იქიდან. მეზობელ ქალაქში სულ სირბილით ჩავედი. იქ ბებერ მაიმუნს შევხვდი.

– მშვენივრად გამოიყურები, ანანსი, – მითხრა ბებერმა მაიმუნმა.

– თუ იცი, იმ ქალაქში ყველა რას მღერის? – ვკითხე.

– რას მღერის? – დაინტერესდა ბებერი მაიმუნი.

– მხიარულ სიმღერას, – ვუპასუხე. მერე ავცეკვდი და ავმღერდი:

ვეფხვის ყვერები შევჭამე,
აბა, მაშ, როგორ, დიახაც!
აწი ტყეში მეფე ვარ მე,

ვისაც რა უნდა, ისა თქვას.
ვეღარავინ ვეღარ მერჩის,
უყვერებოდ დარჩა
ვეფხვი.

ბებერი მაიმუნი სიცილისგან გადაბჟირდა, მუცელი ხელით ეჭირა, ცახცახებდა და ფეხებს აბაკუნებდა. მერე თვითონაც ამღერდა: „ვეფხვის ყვერები შევჭამე, აბა, მაშ, როგორ, დიახაც!“ თითებს ატკაცუნებდა, ხტოდა და ბზრიალებდა.

– კარგი სიმღერაა, – თქვა მან, – ჩემს ყველა მეგობარს ვუმღერებ.

– უმღერე, – ვუთხარი და ტბორთან დავბრუნდი.

ვეფხვი იქ დამხვდა, ბოლთას სცემდა, კუდს აქნევდა, ბალანი ასჯაგვროდა და ყურები აჰპრეხოდა, ნარინჯისფერ თვალებს აბრიალებდა და რომელ მწერსაც გადაეყრებოდა, ყველას ბასრ კბილებს უკრაჭუნებდა. ისეთი ბოროტი, საშინელი და დიდი იყო, მაგრამ ფეხებშუა ყველაზეპატარა, ყველაზე შავ და დანაოჭებულ სათესლე პარკში ყველაზე პაწია ყვერები ეკიდა.

– ეი, ანანსი, – დამინახა მან, – სანამ ტბორში დავცურავდი, ჩემი ყვერებისთვის უნდა გედარაჯა. წყლიდან რომ ამოვედი, ეს შავი, ერთი ციცქნა, უვარგისი ობობის ყვერები დამხვდა, ახლა რომ მკიდია.

– ძალ-ღონე არ დამიზოგავს, მაგრამ იმ ოხერმა მაიმუნებმა ჩამოიარეს და შენი ყვერები შეჭამეს, – ვუთხარი, – მათი გაყრა რომ მოვინდომე, ჩემი პაწია ყვერები ჩამომგლიჯეს. შემრცხვა და გავიქეცი.

– მატყუებ, ანანსი, – მითხრა ვეფხვმა, – შუაზე გაგგლეჯ.

მაგრამ უცებ ქალაქიდან ტბორისკენ მომავალი მაიმუნების ხმა მოესმა. თორმეტი მხიარული მაიმუნი თითების ტკაცუნით, რაც შეიძლებოდა ხმამაღლა მოიმღეროდა გზაზე:

ვეფხვის ყვერები შევჭამე,
აბა, მაშ, როგორ, დიახაც!
აწი ტყეში მეფე ვარ მე,
ვისაც რა უნდა, ისა თქვას.
ვეღარავინ

ვეღარ მერჩის, უყვერებოდ
დარჩა ვეფხვი.

ვეფხვმა დაიბრდღვინა, დაიღრიალა და მაიმუნებს გამოუდგა. ისინი ტყეში შეცვივდნენ და წივილ-კივილით აძვრნენ ყველაზე მაღალ ხეებზე. მე კიდევ ჩემი ახალი, დიდი ყვერები მოვიფხანე. უჰ, რა კაი იყო! მერე დავადე თავი და შინ წავედი, ვეფხვი კი დღემდე მაიმუნებს დასდევს. ჰოდა, გახსოვდეთ: პატარა სულაც არ ნიშნავს უძლურს.

მისტერ ნანსიმ გაიღიმა, ქედი მოიდრიკა და ხელები გაშალა პროფესიონალი მსახიობივით აპლოდისმენტების მისაღებად. შემდეგ მიტრიალდა და ისევ იმ ადგილს დაუბრუნდა, სადაც შედოუ და ჩერნობოგი იდგნენ.

– არანაირი არაკები-მეთქი, არ გითხარი? – გაუწყრა უენზდეი.

– მერედა, ეს არაკი იყო? – შეეპასუხა ნანსი, – შეიძლება ითქვას, მხოლოდ ჩავახველე. პუბლიკა ცოტათი გავახურე. ახლა კი მიდი, მიხედე საქმეს!

უენზდეიმ, დიდმა, შუშისთვალიანმა ბერიკაცმა, ყავისფერი კოსტიუმითა და „არმანის“ ძველი პალტოთი, კოცონის შუქზე გააბიჯა და ხის სკამებზე მსხდარ ხალხს

–

გადახედა. დიდხანს არაფერი უთქვამს, მაგრამ, შედოუს აზრით, ამის გამო უხერხულობა არ დასტყობია. როდის-როდის ამოიღო ხმა.

– თქვენ მე მიცნობთ, – თქვა მან, – ყველანი მიცნობთ. ზოგიერთს არანაირი მიზეზი არ გაქვთ, გიყვარდეთ, მაგრამ ვფიქრობ, ამისთვის ვერ დაგადანაშაულებთ: გიყვარვართ თუ არა, თქვენ მე მიცნობთ. სკამზე მსხდომნი შეიშმუშნენ, ერთმანეთს გაურკვევლად გადაუჩურჩულეს რაღაც. მრავალ თქვენგანზე დიდი ხანია, აქ ვარ. თქვენსავით, მეც მეგონა, რომ თავს

გავიტანდით იმით, რაც გვაქვს – ბედნიერებისთვის არა, მაგრამ საარსებოდ გვეყოფოდა.

სამწუხაროდ, ვითარება შეიცვალა. ქარიშხალი გვიახლოვდება და ეს ქარიშხალი ჩვენ არ გამოგვიწვევია.

უენზდეი რამდენიმე წამით შეყოვნდა. ერთი ნაბიჯი წინ წადგა და გულხელი დაიკრიფა.

– როცა ამერიკაში ხალხი გადმოსახლდა, ჩვენც თან ჩამოგვიყოლეს. მათ ჩამოგვიყვანეს მე, ლოკი[68], თორი, ანანსი და ლომ-ღმერთი, ლეპრეკონები, კლურიკონები[69] და ბანშიები[70], კუბერა[71], ფრაუ ჰოლე[72] და აშტაროთი[73]. მათ ჩამოგიყვანეს თქვენც. ახალმოსახლეების გონებას ოკეანის გადაღმიდან ჩამოვყევით და აქ, უცხო მიწაზე დავფუძნდით.

ეს მიწა ვრცელია. მალე ხალხმა დაგვივიწყა, მხოლოდ შინ, ძველ სამშობლოში დატოვებულ არსებებადღა გვიხსენებდნენ. ჩვენი ჭეშმარიტი მორწმუნეები დაიხოცნენ, ზოგს რწმენა შეერყა და ჩვენც შეშინებულები, გზააბნეულები და უსახლკაროები დავრჩით, მხოლოდ რწმენისა და თაყვანისცემის ნარჩენებით ვსულდგმულობთ. თავი ძლივძლივობით გაგვაქვს.

აქამდე ასე გაჭირვებით მოვაღწიეთ – სიფრთხილით, მალულად, რომ თვალში არავის მოვხვედროდით.

მოდი, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ ხალხზე ვერანაირ გავლენას ვეღარ ვახდენთ. მხოლოდ ვნადირობთ მათზე, ვართმევთ იმას, რაც საარსებოდ გვჭირდება. შიშვლები ვცეკვავთ, ვბოზობთ და ვლოთობთ, ვთაღლითობთ და ვქურდობთ, საზოგადოებისგან გარიყულები ვართ. ძველი ღმერთები ვართ ამ ახალ, უღმერთო მიწაზე.

უენზდეი გაჩუმდა. პოლიტიკოსივით სერიოზულად გადაავლო თვალი მსმენელებს. სხვები უემოციოდ, არაფრის მთქმელი გამომეტყველებით შემოჰყურებდნენ, სახეზე თითქოს ნიღბები აეფარებინათ. უენზდეიმ ჩაახველა და შემდეგ კოცონში ჩააფურთხა. ალი აბრიალდა და აკაშკაშდა, დარბაზი უკეთ განათდა.

– ალბათ თავადაც მრავალგზის გექნებოდათ ამაში დარწმუნების შესაძლებლობა, რომ ახლა ამერიკაში ახლებური რწმენით ნაკვები ახალი ღმერთები ჩნდებიან:

საკრედიტო ბარათისა და ავტოსტრადის, ინტერნეტისა და ტელეფონის, რადიოს, ტელევიზიისა და საავადმყოფოს, პლასტმასის, პეიჯერისა და ნეონის ღმერთები; ქედმაღალი, მსუქანი და ყეყეჩი არსებები, თავიანთი სიახლითა და მნიშვნელოვნებით გაბღენძილები.

მათ ჩვენი არსებობის შესახებ იციან, ეშინიათ ჩვენი, ყველანი ვძულვართ, – თქვა ოდინმა, – ტყუილად თავს ნუ დაიმშვიდებთ, რომ ასე არაა. ეცდებიან, გაგვანადგურონ. უნდა გავერთიანდეთ. დროა, რამე ვიღონოთ.

წითელსარიანი მოხუცი ქალი კოცონის შუქზე გამოვიდა. შუბლზე პატარა, მუქი ლურჯი ძვირფასი თვალი ჰქონდა მიმაგრებული.

– აქ ამ სისულელისსათქმელად შეგვკრიბე? – იკითხა მან და დამცინავად, უკმაყოფილოდ ჩაიფხუკუნა.

უენზდეიმ წარბები შეჭმუხნა.

– დიახ, აქ მე შეგკრიბეთ, მაგრამ ეს სისულელე კი არა, სიმართლეა, მამა-ჯი. ამას ბავშვიც კი ხედავს.

– მაშ, ბავშვიც ვყოფილვარ, არა? – ქალმა თითი დაუქნია უენზდეის, – შენ ფიქრებშიც კი არ არსებობდი, მე რომ კალიგჰატში[74] ვბერდებოდი, მოხუცო! თუ გინდა, ვიქნები ბავშვი, მაგრამ ამ ბავშვს შენი მონაჩმახის მოსმენა აღარ უნდა.

და, აი, შედოუს მხედველობა ისევ გაუორდა: დაინახა ხნიერებისა და სიბრაზისგან სახედანაოჭებული დედაბერი, მაგრამ ამ დედაბრის მიღმა უშველებელი, შიშველი ქალი იდგა, ახალი ტყავის ქურთუკივით შავი კანი და არტერიული სისხლივით წითელი ტუჩები და ენა ჰქონდა. კისერზე თავის ქალები ეკიდა, ხოლო მრავალი ხელით დანები, ხმლები და მოჭრილი თავები ეჭირა.

– შენთვის ბავშვი არ მიწოდებია, მამა-ჯი, – წყნარად უთხრა უენზდეიმ, – მაგრამ აშკარაა, რომ...

– აშკარა მხოლოდ ის არის, რომ დიდების მოხვეჭა გსურს, – თქვა დედაბერმა და თითი მისკენ გაიშვირა (იმავდროულად მის ზურგს უკან, ზემოთ და წინაც მიიმართა შავი, ბასრბრჭყალიანი თითი), – უკვე დიდი ხანია, ამ ქვეყანაში მშვიდად ვცხოვრობთ. გეთანხმები, ზოგს უკეთ აქვს საქმე, ზოგს – არა. მე ბედს არ ვუჩივი. ინდოეთში ჩემი ერთ-ერთი ინკარნაცია ჩემზე ბევრად უკეთაა, მაგრამ რა ვქნა, მისი კი არ მშურს. ჩემ თვალწინ ბევრი ახალი ღმერთი აღზევებულა და ისევ დაცემულა, – მოხუცმა ქალმა ხელი დაუშვა. შედოუმ შეამჩნია, რომ დანარჩენები მოწიწებით, გაკვირვებით, დარცხვენით უყურებდნენ მას, – თითქოს წეღან იყო, აქაურნი რკინიგზას რომ ეთაყვანებოდნენ. მაგრამ დღეს არც რკინის ღმერთები ახსოვს ვინმეს და აღარც – ზურმუხტის მაძიებლები.

– პირდაპირ მთავარზე გადადი, მამა-ჯი, – უთხრა უენზდეიმ.

– მთავარზე? – მოხუცმა ქალმა ნესტოები გამობერა და პირის კუთხეები ჩამოუშვა, – პირადად მე, რომელიც თურმე ბავშვი ვყოფილვარ, მოცდას გთავაზობთ. ნურაფერს ვიზამთ. ზუსტად არ ვიცით, რომ რამეს დაგვიშავებენ.

– მაშინაც მოცდას გვირჩევ, როცა ერთხელაც ღამით თავს დაგესხმებიან და მოგკლავენ, ან გაგიტაცებენ?

მოხუცი ქალი აიმრიზა. ტუჩებზე, წარბებსა და ცხვირზე აშკარა გულისწყრომა დაემჩნა.

– მსგავს რამეს თუ მოინდომებენ, – თქვა მან, – არათუ მოკვლა, ჩემი დაჭერაც კი გაუჭირდებათ.

–
დედაბრის უკან, სკამზე მჯდარმა ჩასკვნილმა ახალგაზრდამ ყურადღების მისაქცევად ჩაახველა.

ყოველთა მამავ, ჩემი ხალხი თავს მშვენივრად გრძნობს. რაც გვაქვს, იმით ვკმაყოფილდებით. თუ ამ ომში დავმარცხდებით, შეიძლება ყველაფერი დავკარგოთ.

– უკვე ყველაფერი დაკარგეთ, – უთხრა მას უენზდეიმ, – ცოტა რამეს მაინც დავიბრუნებთ – მე ამას გთავაზობთ.

ამის წარმოთქმისას ცეცხლი აბრიალდა და შეკრებილთა სახეები გაანათა.

„არ მჯერა, – გაიფიქრა შედოუმ, – ამის საერთოდ არ მჯერა. ალბათ ისევ თხუთმეტი წლის ვარ. დედა ცოცხალია და არც ლორას შევხვედრივარ. აქამდე რაც მოხდა, მეტისმეტად ცხადი სიზმარი იყო“.

თუმცა არც ამის სჯეროდა. ადამიანის რწმენა მის შეგრძნებებს ემყარება: სამყაროს მხედველობის, შეხებისა და მეხსიერების მეშვეობით აღიქვამს. თუკი რომელიმე გრძნობა ატყუებს, ადამიანი ვეღარაფერს ენდობა. მაგრამ თუნდაც არაფრის გვჯეროდეს, მხოლოდ იმ გზით სიარული შეგვიძლია, რომელსაც ჩვენი გრძნობები გვკარნახობს; და ეს გზა ბოლომდე უნდა გავიაროთ. შემდეგ კოცონი ჩაქრა და ვალასკიალვი, ოდინის დარბაზი, სიბნელემ მოიცვა.

– ახლა რა ვქნათ? – დაიჩურჩულა შედოუმ.

– ახლა კარუსელის ოთახში უნდა დავბრუნდეთ, – დაიჩურჩულა მისტერ ნანსიმ, – ბებერი ცალთვალა ყველას ვახშამზე დაგვპატიჟებს, ზოგ-ზოგიერთს მოქრთამავს, ზოგ-ზოგიერთს მოთაფლავს, მაგრამ „ღანით“ რომ იწყება, იმ სიტყვას აღარავინ ახსენებს.

– „ღანით“ რომ იწყება?

– „ღმერთებს“. ისე, მართლა, რას აკეთებდი იმ დღეს, როცა ტვინებს არიგებდნენ, ბიჭო?

– ვიღაც ვეფხვის ყვერების მოპარვაზე არაკს ჰყვებოდა და იმან გამიტაცა, მაინტერესებდა, როგორ დამთავრდებოდა. მისტერ ნანსიმ ჩაიფხუკუნა.

– კი, მაგრამ ამ შეკრებაზე არაფერი გადაწყვეტილა. არავინ არაფერზე შეთანხმებულა.

– ცალთვალა მაგათ ნელ-ნელა დაამუშავებს. თითო-თითოდ გადმოიბირებს. აგერ, ნახავ, ბოლოს ყველა მხარში დაგვიდგება.

საიდანღაც დაუბერა. ქარმა შედოუს თმა აუწეწა და სახეზე გადაურბინა, გვერდში ძლიერად დაეძგერა.

მსოფლიოს უდიდესი კარუსელის ოთახში იდგნენ და „საიმპერატორო ვალსს“ უსმენდნენ.

–
ოთახის იმ კედელთან, რომელიც კარუსელის ცხენებს დაეფარა, უენზდეი იდგა და ხალხის ჯგუფს ელაპარაკებოდა. შესახედავად ტურისტებს ჰგავდნენ, მაგრამ ზუსტად იმდენნი იყვნენ, რამდენი ბუნდოვანი ფიგურაც იმყოფებოდა მცირე ხნის წინ უენზდეის დარბაზში.

აქეთ, – დაიბუბუნაუენზდეიმ და ხალხს ერთადერთი გასასვლელისკენ გაუძღვა. გასასვლელი ვეებერთელა ურჩხულის დაფჩენილ პირს ჰგავდა, ბასრი კბილებით თითქოს ყველას ნაფლეთებად ქცევას აპირებდა. უენზდეი ხალხს შორის პოლიტიკოსივით დადიოდა, ეპირფერებოდა, უღიმოდა, მსუბუქად ეკამათებოდა, ამშვიდებდა.

– ეს მართლა მოხდა? – იკითხა შედოუმ.

– რა მოხდა, ტვინგამოლაყებულო? – ჰკითხა მისტერ ნანსიმ.

– დარბაზი. კოცონი. ვეფხვის ყვერები. კარუსელზე ტრიალი.

– რაო? ამ კარუსელზე ტრიალი აკრძალულია, წარწერას ვერ ხედავ? ახლა კი, ჩუმად.

ურჩხულის პირით ორგანის ოთახში გავიდნენ, რამაც შედოუ დააბნია – აქ ხომ გამოიარეს? ამჯერადაც უცნაური მოეჩვენა იქაურობა. უენზდეი ჯგუფს კიბეზე აუძღვა, ჭერზე ჩამოკიდებული აპოკალიფსის ოთხი მხედრის ნატურალური ზომის მოდელები უკან მოიტოვეს და გზის მაჩვენებლების დახმარებით გასასვლელს მიაგნეს.

შედოუ და ნანსი რიგის ბოლოში მიაბიჯებდნენ. „კლდეზე მდგარი სახლიდან“ გამოვიდნენ, სუვენირების მაღაზიას ჩაუარეს და ავტოსადგომისკენ წავიდნენ.

– ცუდია, რომ ბოლომდე არ დავრჩით, – თქვა მისტერ ნანსიმ, – ვიმედოვნებდი, მსოფლიოს უდიდეს ხელოვნურ ორკესტრს ვნახავდი. – მე მინახავს, – უთხრა ჩერნობოგმა, – დიდი ვერაფერია.

რესტორანი „კლდეზე მდგარი სახლიდან“ ათი წუთის სავალზე მდებარეობდა. უენზდეიმ სტუმრებს უთხრა, ამაღამ ვახშამზე ყველას მე გეპატიჟებითო და საკუთარი ტრანსპორტის გარეშე მყოფთა რესტორნამდე მიყვანის საკითხიც თვითონ მოაგვარა.

ნეტავ უტრანსპორტოები „კლდეზე მდგარ სახლში“ როგორ მოვიდნენ, ან აქედან როგორ წავლენო, გაიფიქრა შედოუმ, მაგრამ არაფერი უთქვამს. ასე ამჯობინა.

მანქანაში უენზდეის სტუმრები ჩაისხა. წითელსარიანი ქალი მის გვერდით დაჯდა წინა სავარძელზე. უკან ორი კაცი მოთავსდა: უცნაური გარეგნობის ახალგაზრდა, რომლის სახელიც

შედოუმ წესიერად ვერ გაიგონა, მაგრამ „ელვისს“ მიამსგავსა და შავკოსტიუმიანი კაცი, რომელიც შედოუს საერთოდ არ ახსოვდა.

–

არადა, ამ კაცის გვერდით იდგა, როცა მანქანაში სხდებოდნენ; მას მანქანის კარი გაუღო და მიუხურა. მიუხედავად ამისა, მისი გარეგნობა მაშინვე მიავიწყდა. საჭესთან დაჯდომისას, განგებ მიტრიალდა უკან და კაცის სახეს, თმასა და ტანსაცმელს ყურადღებით დააკვირდა, რომ მორიგი შეხვედრისას, აუცილებლად ეცნო იგი, მაგრამ, როგორც კი საჭისკენ მიტრიალდა, ისევ გონებიდან ამოუვარდა. ისღა ახსოვდა, რომ კაცმა მდიდრის შთაბეჭდილება დატოვა.

„აშკარად გადავიღალე“, – გაიფიქრა შედოუმ. მარჯვნივ გაიხედა და ინდოელი ქალისკენ გააპარა მზერა. ქალს კისერზე შეება პაწაწინა თავის ქალებისგან ასხმული

ყელსაბამი, ხოლო თილისმა-სამაჯურზე მიმაგრებული პატარ-პატარა თავები და ხელები მის ყოველ ამოძრავებაზე ზანზალაკებივით ჟღარუნობდა. შუბლს მუქი ლურჯი ძვირფასი თვალი უმშვენებდა. სანელებლების, ილის, ჯავზისა და ყვავილების სუნი ასდიოდა. თმა შევერცხლოდა. როცა დაინახა, შედოუ უყურებდა, გაიღიმა.

– შეგიძლიათ, მამა-ჯი, მიწოდოთ, – უთხრა შედოუს.

– მე კი შედოუ ვარ, მამა-ჯი.

– თქვენი დამსაქმებლის გეგმებზე რას ფიქრობთ, მისტერ შედოუ?

შედოუმ სიჩქარე ოდნავ შეანელა და დიდი, შავი ავტოფურგონი გაატარა წინ. ავტოფურგონმა სწრაფად ჩაიქროლა და ტალახი მიაშხეფა მათ მანქანას.

– არაფერს ვეკითხები და არც თვითონ მეუბნება რამეს, – უპასუხა შედოუმ.

– მე თუ მკითხავ, ბოლო ბრძოლის გამართვას აპირებს. სურს, რომ გმირულად დავიღუპოთ. დიახ, სწორედ ეს უნდა. ჩვენ კი საკმაოდ ხნიერები და სულელები ვართ და ზოგიერთი ალბათ დათანხმდება კიდეც.

– შეკითხვების დასმა ჩემი საქმე არ არის, მამა-ჯი, – თქვა შედოუმ. მანქანის სალონი მოხუცი ქალის წკრიალა სიცილმა გაავსო.

უკანა სავარძელზე მჯდარმა კაცმა – უცნაური გარეგნობისამ კი არა, მეორემ – რაღაც იკითხა და შედოუმ უპასუხა, მაგრამ მეორე წამს საერთოდ აღარ ახსოვდა, ან მან, ან თვითონ რა თქვეს.

მანამდე ჩუმად მჯდარი უცნაური გარეგნობის კაცი თავისთვის აღიღინდა ისეთ ბოხ, მელოდიურ ხმაზე, რომ მანქანა აზანზარდა და აზუზუნდა.

უცნაური გარეგნობის კაცი საშუალო სიმაღლის იყო, მაგრამ აღნაგობით კი მართლაც გამოირჩეოდა: შედოუს გამოთქმა, კასრივით სქელიაო, კი გაეგონა, მაგრამ მეტაფორის ზუსტ განსახიერებას თუ იხილავდა, არ ეგონა. კაცის ტანს მართლაც კასრისებრი ფორმა ჰქონდა, ფეხებს – ხის მორებისა, ხელებს კი – ღორის ბარკლებისა. კაპიუშონიანი ქურთუკი, რამდენიმე სვიტერი, ჯინსის სქელი კომბინეზონი და ამ სამოსისა და ზამთრის სუსხისთვის შეუფერებელი თეთრი ბოტასები ეცვა (ოღონდ ბოტასები ფეხსაცმლის ყუთების ზომისა და ფორმისა იყო.). მსხვილი თითები სოსისებს მიუგავდა, მხოლოდ თითისწვერები ჰქონდა ბრტყელი და ოთხკუთხა.

– კარგი ხმა გაქვთ, – უთხრა მას შედოუმ.

– უკაცრავად, – მოუბოდიშა დარცხვენილმა უცნაური გარეგნობის ახალგაზრდამ ძალიან ბოხი ხმით და ღიღინი შეწყვიტა.

– როგორ გეკადრებათ, მომეწონა, – უთხრა შედოუმ, – ნუ გაჩუმდებით.

უცნაური გარეგნობის ახალგაზრდამ მცირე ყოყმანის შემდეგ ბოხი, გუგუნა ხმით ღიღინი განაახლა.

– ქვემოთ, ქვემოთ, ქვემოთ, – ისეთი ბოხი ხმით მღეროდა, რომ ფანჯრის მინები ირყეოდა, – ქვემოთ, ქვემოთ, ქვემოთ, ქვემოთ.

ყოველისახლისა თუშენობის ფასადი, რომელსაც ჩაუარეს, საშობაო განათებებით მოერთოთ. სხვადასხვაფრად მობრჭყვიალე ნათურებით თოვლის კაცები, დათუნიები და ვარსკვლავები დაეხატათ.

შედოუმ მანქანა გააჩერა და მგზავრები რესტორნის შესასვლელთან ჩამოსხა, თვითონ კი ავტოსადგომისკენ გასწია. იქიდან რესტორნამდე ცოტას ფეხით გაივლიდა და სიცივეში გონება გაეწმინდებოდა.

შავი ავტოფურგონის გვერდით დააყენა მანქანა. ნეტავ ის ავტოფურგონი ხომ არაა, გზაზე რომ გადაგვისწროო, გაიფიქრა.

რესტორანში უენზდეი ალბათ უკვე დიდი მაგიდის გარშემო სხამდა სტუმრებს და ყველას ელაქუცებოდა. ვითომ მანქანის წინა სავარძელზე მართლაც ქალი იჯდაო?! ფიქრობდა შედოუ. მაშ, უკან ვინ ისხდნენ ნეტავ...

– მეგობარო, ასანთი ხომ არ გაქვს? – მოესმა ნახევრად ნაცნობი ხმა. მიტრიალდა და მობოდიშებას აპირებდა, არა, არ მაქვსო, მაგრამ მარცხენა თვალში პისტოლეტის ლულა მოხვდა და წაბორძიკდა. წაქცევისას ხელი წინ გაიშვირა, რომ ძირს სახით არ დავარდნილიყო. ამ დროს ვიღაცამ პირში რბილი რაღაც ჩასჩარა, რომ არ დაეყვირა, და დასამაგრებლად ზედ ლენტი დააწება: ეს ისე იოლად, მარჯვედ და სწრაფად გაკეთდა, როგორც ყასაბი შიგნავს ქათამს.

შედოუმ დაყვირება მოინდომა უენზდეისა და სხვების გასაფრთხილებლად, მაგრამ პირიდან მხოლოდ მოგუდული ღმუილი ამოუვიდა.

– ყველა ალყაში მოვაქციეთ, – თქვა ნახევრად ნაცნობმა ხმამ, – მზად ხართ? – რაციაში ნახევრად გაურკვეველი, შიშინა ბგერები გაისმა, – შიგნით შევდივართ, არავინ უნდა დაგვისხლტეს!

– დიდ ტიპს რა ვუყოთ? – იკითხა ვიღაცამ.

– შეკარით და აქედან მოაშორეთ, – უპასუხა პირველმა ხმამ.

შედოუს ტომარა ჩამოაცვეს თავზე, წებოვანი ლენტით ხელ-ფეხი შეუკრეს, ავტოფურგონის საბარგულში შეაგდეს და სადღაც წაიყვანეს.

შედოუ პატარა, უფანჯრო ოთახში გამოკეტეს. ოთახში პლასტმასის სკამი, მსუბუქი, დასაკეცი მაგიდა და თავსახურიანი ვედრო იდგა. ვედრო შედოუს ტუალეტად უნდა გამოეყენებინა. იატაკზე ორი მეტრის სიგრძის ყვითელი ქაფპლასტის ნაჭერი ეგდო და ზედ თხელი საბანი გადაეფარებინათ. საბანს ზუსტად შუაში გამხმარი ლაქა ემჩნეოდა: სისხლის შხეფი იყო, განავალი თუ საჭმლის ნარჩენი, შედოუს არ აინტერესებდა და არც გამოუკვლევია. მაღლა, ჭერზე ელექტრონათურა ეკიდა. ჩამრთველს შედოუმ ვერსად მიაგნო. ნათურა სულ ენთო. შიგნითა მხრიდან კარს სახელური არ ჰქონდა. შედოუს შიოდა.

როგორც კი აგენტებმა ოთახში შეაგდეს და მაჯებიდან, კოჭებიდან და პირიდან წებოვანი ლენტი მოჰგლიჯეს, ადგა და ოთახი გულდასმით დაათვალიერა. კედლებზე დააკაკუნა. ყრუ ჟღრიალი გაიგონა. კედლები ლითონისა აღმოჩნდა. ჭერთან, კედელზე, სავენტილაციო ხვრელი მოჩანდა. ოთახის კარი მყარად ჩაეკეტათ. შედოუსმარცხენა წარბი გახეთქოდა და სისხლი ჩირქივით მოჟონავდა. თავი სტკიოდა.

იატაკზე ხალიჩა არ ეგო. ზედ დააკაკუნა. იატაკიც ისეთივე ლითონისა იყო, როგორისაც კედლები.

ვედროს თავსახური მოხსნა, შიგ ჩააფსა და თავსახური ისევ დააფარა. მაჯის საათზე დაიხედა. რესტორანზე თავდასხმიდან მხოლოდ ოთხი საათი გასულიყო. საფულე წაერთმიათ, მაგრამ მონეტები დაეტოვებინათ.

კარტის სათამაშო მაგიდას მიუჯდა. ზედ გადაკრული მწვანე მაუდი რამდენიმეგან ამოეწვათ სიგარეტით. შედოუმ ჯერ მაგიდის ზედაპირში მონეტის „გაძვრენის“ ფოკუსის კეთებაში ივარჯიშა, შემდეგ ორი ოცდახუთცენტიანი ამოიღო და „მონეტის უაზრო ფოკუსი“ გამოიგონა.

ერთი ოცდახუთცენტიანი მარჯვენა ხელში დამალა, მეორე მარცხენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითებით დაიჭირა. შემდეგ მარცხენა ხელიდან მონეტა ვითომ აიღო, სინამდვილეში კი ისევ მარცხენა მუჭში ჩაიგდო. შემდეგ მარჯვენა ხელი გაშალა და მთელი ამ ხნის განმავლობაში მუჭში დამალული მონეტა გამოაჩინა.

შედოუს მონეტებით ოინბაზობა იმიტომ უყვარდა, რომ ამ დროს აზრებს იკრებდა. განაწყენებულს ან გაბრაზებულს, ფოკუსი არასდროს გამოსდიოდა და ახლა თვით ამ უსარგებლო ფოკუსის გაკეთებამ დაამშვიდა, მღელვარება და შიში გაუფანტა. გაითვალისწინეთ, ოცდახუთცენტიანის ერთი ხელიდან მეორეში ვითომ გადატანა, ისე რომ ეს დამაჯერებელი გამოჩენილიყო, მისგან დიდ ძალისხმევასა და ოსტატობას მოითხოვდა.

შემდეგ კიდევ უფრო უაზრო ფოკუსის კეთება დაიწყო: ცალი ხელით ორმოცდაათცენტიანის ერთცენტიანად გადაქცევა, ოღონდ ორი ოცდახუთცენტიანის საშუალებით. ფოკუსის განმავლობაში მონეტებს რიგრიგობით მალავდა და აჩენდა. ჯერ ერთი ოცდახუთცენტიანი საჩვენებელი და შუა თითების წვერებით დაიჭირა, მეორე კი მოკეცილ ცერა თითში ჰორიზონტალურად მოქცეული დამალა – ამას „დაუნსის მალვა“ ჰქვია. შემდეგ ხელი პირთან მიიტანა და მონეტას სული შეუბერა. ამ დროს შუა თითით ხილულ მონეტას მიაწვა და „კლასიკური მალვით“ გააქრო, ხოლო დამალული მონეტა ცერა და საჩვენებელი თითების დახმარებით გააჩინა. რადგან ფოკუსი ორი ოცდახუთცენტიანით გააკეთა, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მონეტა ჯერ გამოაჩინა, შემდეგ პირთან მიიტანა, სული შეუბერა, დამალა და ბოლოს ისევ იგივე მონეტა გამოაჩინა. ფოკუსი ბევრჯერ გაიმეორა.

უცებ გაიფიქრა, მოკვლას ხომ არ მიპირებენო და ხელი აუცახცახდა. ერთი მონეტა გაუვარდა და მაგიდაზე გადაკრულ, დალაქავებულ, მწვანე მაუდზე დაეცა.

ყურადღებაგაფანტულმა ფოკუსების კეთება შეწყვიტა, ოცდახუთცენტიანები ჯიბეში ჩაიწყო, ზორია პოლუნოჩნაიას ნაჩუქარი თავისუფლების ქანდაკების გამოსახულებიანი მონეტა ამოიღო, ხელი მაგრად მოუჭირა და ლოდინი დაიწყო. შედოუსმაჯის საათიღამის სამ საათს აჩვენებდა, როცა აგენტები მის დასაკითხად დაბრუნდნენ. ორივეს შავი კოსტიუმი და შავი, პრიალა ფეხსაცმელები ეცვა, თმაც ორივეს შავი ჰქონდა. ერთი დიდყბიანი, ბეჭებგანიერი, ხშირთმიანი და ფრჩხილებდაკვნეტილი კაცი იყო, ძველი რაგბისტი გეგონებოდათ. მეორეს გამელოტება დასწყებოდა, ვერცხლისჩარჩოიანი და მრგვალმინიანი სათვალე ეკეთა და ფრჩხილებზე მანიკიური ესვა. მართალია, ერთმანეთს საერთოდ არ ჰგავდნენ, მაგრამ შედოუს რატომღაც მოეჩვენა, რომ სიღრმისეულად, უჯრედულ დონეზე, ისინი ერთნაირები იყვნენ. მაგიდას აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და შედოუს დახედეს.

– რამდენი ხანია, კარგოსთვის მუშაობთ, სერ? – ჰკითხა ერთ-ერთმა.

– არ ვიცი, ეგ რას ნიშნავს, – უპასუხა შედოუმ.

– თავს უენზდეის, გრიმს, ყოველთა მამას, ბერიკაცს უწოდებს. მასთან ერთად გხედავენ, სერ.

– სამი დღეა, მისთვის ვმუშაობ.

– ნუ გვატყუებთ, სერ, – უთხრა სათვალიანმა აგენტმა.

– კარგი, არ მოგატყუებთ, – უთხრა შედოუმ, – მაგრამ მართლა სამი დღეა, მისთვის ვმუშაობ.

დიდყბიანი აგენტი დაიხარა, შედოუს ყურზე თითები მოჰკიდა და მაგრად მოუჭირა. შემდეგ აუწია. შედოუს ძლიერ ეტკინა.

– გითხარით, ნუ გვატყუებთ-მეთქი, სერ, – თქვა მან მშვიდად და შედოუს ყურს ხელი გაუშვა.

ორივე აგენტს პიჯაკის ქვეშ პისტოლეტები გამოჰბერვოდა. შედოუს დიდყბიანისთვის ხელი არ შეუბრუნებია. წარმოიდგინა, რომ ისევ ციხეში იჯდა. „სასჯელი მოიხადე, – გაიფიქრა მან, – ისეთს ნურაფერს იტყვი, რაც არ იციან. ნურაფერს იკითხავ“.

– სახიფათო ხალხს დაუმეგობრდით, სერ, – უთხრა სათვალიანმა აგენტმა, – სამშობლოს დიდ სამსახურს გაუწევთ, თუ მტკიცებულებებს მოგვაწვდით, – და კეთილად გაუღიმა. „მე კარგი პოლიციელი ვარ“, – ამას ნიშნავდა მისი ღიმილი.

– გასაგებია, – თქვა შედოუმ.

– და თუ არ დაგვეხმარებით, სერ, უკვე ნახეთ, როგორი გაბრაზება ვიცით, – დიდყბიანმა კაცმა

შედოუს მუცელში მუშტი ჩაარტყა. ეს წამება არ არის, მხოლოდ სიტყვების მოქმედებით გამყარებაარ, გაიფიქრა სიმწრისგან დაგრეხილმა შედოუმ. „მე ცუდი პოლიციელი ვარ“.

– ვეცდები, არ გაგაბრაზოთ, – უთხრა მათ შედოუმ, როგორც კი სული მოითქვა.

– მხოლოდ თანამშრომლობას გთხოვთ, სერ.

– შეიძლება, ვიკითხო... – ამოიოხრა შედოუმ („ნურაფერს იკითხავ“, – გაახსენდა მაშინვე, მაგრამ დააგვიანდა, სიტყვები უკვე წარმოითქვა), – შეიძლება, ვიკითხო, ვისთან მომიწევს თანამშრომლობა?

– გინდათ, ჩვენი ვინაობა გაგიმხილოთ? – ჰკითხა დიდყბიანმა აგენტმა, – სულ გააფრინეთ?

– არა, მართალს ამბობს, – თქვა სათვალიანმა აგენტმა, – ასე უფრო გაუიოლდება ჩვენთან ურთიერთობა, – მან შედოუს შეხედა და ისე გაიღიმა, თითქოს კბილის პასტას უწევდა რეკლამას, – გამარჯობა. მე მისტერ სტოუნი[75] ვარ. ჩემი კოლეგა კი მისტერ ვუდია[76].

– სიმართლე გითხრათ, ის უფრო მაინტერესებდა, ვის წარმოადგენთ, – უთხრა მათ შედოუმ, – „სი-აი-ეი-ს“ თუ „ეფ-ბი-აი-ს“[77]? სტოუნმა თავი გააქნია.

– მთლად ეგრე მარტივად კი აღარ არის ჩვენს დროში, სერ. ახლა ყველაფერი გართულებულია.

– კერძო სექტორი, სახელმწიფო სექტორი, – თქვა ვუდმა, – რა ვიცი, ათასი რამეა ერთმანეთში გადახლართული.

– მაგრამ გარწმუნებთ, – ცბიერი ღიმილით უთხრა სტოუნმა შედოუს, – ჩვენ კარგი ტიპები ვართ. ხომ არ გშიათ, სერ? – მან პიჯაკის ჯიბიდან „სნიკერსი“ ამოიღო, – ინებეთ. საჩუქარია.

– გმადლობთ, – შედოუმ „სნიკერსი“ გამოართვა, ქაღალდი შემოახია და შოკოლადი შეჭამა.

– ალბათ სასმელსაც სიამოვნებით დააყოლებთ. ყავა ან ლუდი ხომ არ გნებავთ?

– წყალს დავლევ, თუ შეიძლება, – უპასუხა შედოუმ.

სტოუნი კართან მივიდა და დააკაკუნა. გარეთ მდგარ მცველს რაღაც უთხრა. იმან თავი დაუქნია და ერთი წუთის შემდეგ წყლით სავსე პლასტმასის ჭიქით დაბრუნდა.

– „სი-აი-ეი“, – სევდიანად გააქნია თავი ვუდმა, – ეგ იდიოტები. ეი, სტოუნ, „სი-აი-ეიზე“ ახალი ხუმრობა გავიგე. მაშ, ასე: საიდან ვიცით, რომ კენედის მკვლელობაში „სიაი-ეი“ არ არის გარეული?

– არ ვიცი, – უპასუხა სტოუნმა, – საიდან? – იქიდან, რომ კენედი მკვდარია, – თქვა ვუდმა.

ორივე აგენტმა გაიცინა.

– თავს უკეთ გრძნობთ, სერ? – ჰკითხა შედოუს სტოუნმა.

– მგონი, კი.

– მაშ, იქნებ მოგვიყვეთ, რა მოხდა ამ საღამოს, სერ.

–
„კლდეზე მდგარი სახლი“ დავათვალიერეთ. მერესავახშმოდ წავედით. დანარჩენი კი იცით.

სტოუნმა მძიმედ ამოიხვნეშა. ვუდმა იმედგაცრუებულივით გააქნია თავი და შედოუს

კვირისტავში ჩაარტყა წიხლი. შედოუს ტკივილისგან ლამის გული წაუვიდა. შემდეგ ვუდმა შედოუს ზურგში, მარჯვენა თირკმლის ზემოთ დასცხო მუშტი. შედოუს ეს დარტყმა წინაზე უფრო ძლიერ ეტკინა.

„მათზე დიდი ვარ, – გაიფიქრა შედოუმ, – ორივეს მოვერევი“.

აგენტები შეიარაღებულები იყვნენ. თუნდაც ისინი როგორღაც დაეხოცა,
ან განეიარაღებინა, მაინც საკანში იქნებოდა გამოკეტილი. სამაგიეროდ,
პისტოლეტი ექნება. ორი პისტოლეტი. „არა!“

ვუდი შედოუს სახეში არ ურტყამდა, რომ ზედ ძალადობის კვალი ხანგრძლივად არ დამჩნეოდა. მხოლოდ მუშტებსა და წიხლებს ურტყამდა ზურგსა და მუხლებში. შედოუ თავისუფლების ქანდაკების გამოსახულებიან დოლარს ხელს მაგრად
უჭერდა, აუტანელ ტკივილს ითმენდა და იცდიდა, როდის შეეშვებოდნენ. დიდი ხნის
შემდეგ მისი ცემა შეწყვიტეს.

– რამდენიმე საათში დავბრუნდებით, სერ, – უთხრა შედოუს სტოუნმა, – აპატიეთ ვუდს, ნამდვილად არ უნდოდა ამის გაკეთება. ორივენი საღად ვაზროვნებთ. როგორც გითხარით, ჩვენ კარგი ტიპები ვართ. თქვენ შეცდომით აირჩიეთ მხარე. სჯობს, ახლა ცოტა წაუძინოთ.

– და მიხვდეთ, რომ არ გეხუმრებით, – დაამატა ვუდმა.

– ვუდი მართალს გეუბნებათ, – თქვა სტოუნმა, – დაფიქრებას გირჩევთ.

აგენტები გავიდნენ და კარი მაგრად გაიხურეს. შუქი არც ამჯერად ჩააქრეს. ნათურა ცივად კაშკაშებდა ოთახში. შედოუ ფორებიანი რეზინის ყვითელ ნაჭერთან მიბობღდა, ზედ დაწვა და საბანი გადაიფარა. თვალები დახუჭა. სრულებით
იმედგადაწურულმა სიზმრებს მიანდო თავი.

დრო გადიოდა.

კვლავ თხუთმეტი წლის იყო, დედამისი კვდებოდა და მისთვის ძალიან
მნიშვნელოვანი რაღაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ შედოუმ მისი ნათქვამი ვერ
გაიგო. ძილში შეირხა და ტკივილმა გამოაფხიზლა. შეკრთა.

თხელი საბნის ქვეშ კანკალებდა. მარჯვენა მკლავი თვალებზე გადაეფარებინა, რომ ელექტრონათურის ჩახჩახს არ შეეწუხებინა. იმედია, უენზდეი და სხვები არ
დახოცილან და კვლავაც თავისუფლები არიანო, გაიფიქრა.

–

მარცხენა ხელში ისევ ვერცხლის ერთდოლარიანის ცივ შეხებას გრძნობდა. როცა ურტყამდნენ, მაშინაც მაგრად ეჭირა. ნეტავ მუჭში რატომ არ გათბაო, გაიფიქრა ზანტად. კვლავ ძილი მოერია. ბურანში მონეტა, თავისუფლების სიმბოლო, მთვარე და ზორია პოლუნოჩნაია როგორღაც გადაეწნა ცის სიღრმეებიდან მანათობელ ვერცხლისფერ სხივს; შედოუ ამ სხივს ზემოთ აჰყვადა მოშორდა დარდსა და შიშს, მოშორდა ძლიერ ტკივილს და სანუკვარ ძილს მისცა თავი...

შორიდან ხმაური მოესმა, მაგრამ უკვე გვიანი იყო: ძილს ვეღარ დაუსხლტებოდა.

ამის გაფიქრებაღა მოასწრო: იმედია, ჩემ გასაღვიძებლად, საცემად ან სალანძღავად არ მოდიანო. შემდეგ, თავისდა საბედნიეროდ, ჩაეძინა და აღარც სიცივეს შეუწუხებია. სიზმარსა თუ ცხადში, სადღაც ვიღაც ხმამაღლა ითხოვდა შველას.

შედოუ ფორებიანი რეზინის ლეიბზე გადატრიალდა და ტკივილმა სხვა დაბეგვილი ადგილებიც აღმოაჩენინა სხეულზე. ყველანაირად ეცადა, არ გამოფხიზლებულიყო და იგრძნო, რომ ისევ ტკბილ ძილში ეფლობოდა. ვიღაცამ მხარზე წაავლო ხელი და შეანჯღრია.

უნდოდა, ეთქვა, შემეშვით, ნუ მაღვიძებთ, დამაძინეთო, მაგრამ მხოლოდ გაურკვევლად ამოილუღლუღა რაღაც.

– ცუგა! – უთხრა ლორამ, – უნდა გაიღვიძო. გთხოვ, გაიღვიძე, ძვირფასო.

შედოუმ საამო შვება იგრძნო. რა უცნაური რამ ესიზმრა – ციხე, თაღლითები და დაბეჩავებული ღმერთები – ახლა კი ლორა აღვიძებს, სამსახურში წასვლის დროაო. იქნებ სამსახურში წასვლამდე ყავის დალევა მოასწროს და ერთი კოცნაც, ან კოცნაზე უფრო მეტი დასტყუოს ლორას. ცოლს ხელი შეახო. ლორას კანი ყინულივით ცივი და წებოვანი ჰქონდა. შედოუმ თვალები გაახილა.

– სისხლი რატომ მოგდის? – ჰკითხა მას.

– სხვების სისხლი მცხია, – უპასუხა ლორამ, – ჩემი არაა. მე გლიცერინითა და ლანოლით გაზავებული ფორმალდეჰიდით ვარ სავსე.

– სხვების? – ჰკითხა შედოუმ.

– მცველების, – უპასუხა ლორამ, – ნუ ღელავ. ყველა დავხოცე. გაინძერი. ვფიქრობ, განგაშის ატეხა ვერ მოასწრეს. პალტო შემოიცვი, თორემ გარეთ უკანალი გაგეყინება.

– ყველა დახოცე?

ლორამ მხრები აიჩეჩა და უხერხულად ჩაიცინა. ხელები ისეთი მოთხუპნილი ჰქონდა, თითქოს მეწამულ საღებავში აწებდა და თითებით ხატავდა. სახესა და ტანსაცმელზე (იმავე ლურჯ კოსტიუმზე, რომლითაც დამარხეს) შხეფები შეხმობოდა – შედოუს

ჯექსონ პოლოკი[78] გაახსენდა, რადგან იმწამს ჯექსონ პოლოკზე ფიქრი უფრო ნაკლებად რთული იყო, ვიდრე მასზე, ვინც სინამდვილეში მის წინ იდგა.

– როცა მკვდარი ხარ, სხვების ხოცვა უფრო იოლია, – უთხრა ლორამ შედოუს, – ანუ, ადამიანის მოკვლა აღარ გაფრთხობს და გაწუხებს.

ჩემთვის სულაცარ არის იოლი, – უთხრა შედოუმ.

– მაშ, გინდა, აქ დარჩე, სანამ დილის ცვლა არ მოვა? – ჰკითხა ლორამ, – თუ ეგრეა, დარჩი. მეგონა, აქედან თავის დაღწევას ნატრობდი.

– ეგონებათ, რომ ეს მე ჩავიდინე, – სულელივით ჩაილაპარაკა შედოუმ. – ალბათ, –

დაეთანხმა ლორა, – პალტო შემოიცვი, ძვირფასო, თორემ გაიყინები.

შედოუ დერეფანში გავიდა. დერეფნის ბოლოს მცველების ოთახი იყო. ოთახში ოთხი გვამი ეყარა: სამი მცველისა და აგენტი სტოუნის. მისი მეგობარი არსად ჩანდა. იატაკზე დამჩნეული სისხლიანი ნაკვალევი იუწყებოდა, რომ მოკლულთაგან ორი დერეფნიდან შეეთრიათ ოთახში.

შედოუს პალტო საკიდზე ეკიდა. საფულისთვის ხელი არ ეხლოთ, ისევ გულის ჯიბეში ედო. ლორამ შოკოლადით სავსე ორი მუყაოს ყუთი გახსნა.

მცველებს მუქი კამუფლაჟის უნიფორმა ეცვათ, მაგრამ ზედ ოფიციალური ნიშნები არ იყო დაკრული და შედოუმ ვერ გაარკვია, ვინ იყვნენ ან ვის ემსახურებოდნენ. იქნებ სულაც იხვებზე სანადიროდ ჩაცმული მონადირეები იყვნენ.

ლორამ თავის ცივ ხელში შედოუსი მოიქცია და მაგრად მოუჭირა. შედოუს მიცემული ოქროს მონეტა ოქროს ძეწკვზე აცმული ეკიდა კისერზე.

– ლამაზია, – უთხრა შედოუმ.

– გმადლობ, – მომხიბლავად გაიღიმა ლორამ.

– სხვები როგორ არიან? – ჰკითხა შედოუმ, – უენზდეი და დანარჩენები სად არიან?

ლორამ მას ორივე მუჭით მიაწოდა შოკოლადები, მერე თვითონაც გაივსო ჯიბეები.

– აქ სხვა არავინ ყოფილა. ბევრი ცარიელი საკანი ვნახე და მხოლოდ ერთში იყავი შენ. ოჰ, და კიდევ, რომელიღაც მცველს ჟურნალი ეჭირა და ერთ-ერთ ცარიელ საკანში ანძრევდა. ძალიან გაუკვირდა ჩემი დანახვა.

– ნძრევისას მოკალი? ლორამ მხრები აიჩეჩა.

– ჰო, – უხერხულად წაიბურტყუნა მან, – შემეშინდა, რომ რამეს დაგიშავებდნენ. ვინმემ ყურადღება უნდა მოგაქციოს. ხომ დაგპირდი, რომ თვალყურს გადევნებდი? აი, გამომართვი, – შედოუს ხელისა და ფეხის ქიმიური სათბურები მიაწოდა: თხელი

– სადებები, რომლებიც, თუ გახსნიდი, სხეულის ტემპერატურაზე ოდნავ მეტ სითბოს გამოყოფდნენ და რამდენიმე საათს ინარჩუნებდნენ. შედოუმ ესენიც ჯიბეში ჩაიწყო.

– ჰო, კარგია, რომ ყურადღებას მაქცევ. ლორამ მარცხენა წარბზე გადაუსვა თითი.

– დაშავებულხარ, – თქვა მან.

– კარგად ვარ.

შედოუმ კედელშიდატანებული ლითონის მძიმე კარი ნელა გააღო. მიწამდე ერთი მეტრი

აშორებდა. ჩახტა და ხრეშზე დაეშვა. შემდეგ ლორას დაუფიქრებლად შემოხვია წელზე ხელი და ისიც მსუბუქად, იოლად დასვა მიწაზე, როგორც სჩვეოდა.

სქელი ღრუბლის უკნიდან მთვარემ გამოანათა. უკვე ჰორიზონტთან ახლოს იყო, ჩადიოდა, მაგრამ თოვლზე დაცემული მისი მკრთალი შუქი გარემოს დასანახად კმაროდა. ტყეში სათადარიგო ლიანდაგზე გაჩერებული თუ მიტოვებული სატვირთო მატარებლის შავად შეღებილი ვაგონიდან ჩამოსულიყვნენ. ერთმანეთზე გადაბმული ვაგონების რიგს ბოლო არ უჩანდა, ტყეში შედიოდა და ხეებს შორის უჩინარდებოდა. რასაკვირველია, მატარებელში იყო, ამას აქამდე როგორ ვერ მიხვდა.

– აქ რანაირად მომაგენი? – ჰკითხა მკვდარ ცოლს. ლორამ გაკვირვებით გააქნია თავი.

– ბნელ სამყაროში შუქურასავით ანათებ, – უთხრა შედოუს, – არ გამჭირვებია. ახლა კი წადი. რაც შეიძლება შორს და სწრაფად წადი. საკრედიტო ბარათებს ნუ გამოიყენებ და ყველაფერი რიგზე იქნება.

– სად წავიდე? ლორამ თვალებზე ჩამოყრილ აბურდულ თმაში შეიცურა ხელი და

უკან გადაიწია.

– გზა იქითაა, – თქვა მან, – უკან ნურაფერზე დაიხევ. თუ საჭირო იქნება, მანქანა მოიპარე. სამხრეთში წადი.

– ლორა, – შედოუ შეყოყმანდა, – იცი, რა ხდება? იცი, ეს ხალხი ვინაა? იცი, ვინ დახოცე?

– ჰო, – უპასუხა მან, – მგონი, ვიცი.

– შენგან დავალებული ვარ, – უთხრა შედოუმ, – შენ რომ არა, ისევ დამწყვდეული ვიქნებოდი. თანაც, მგონი, კარგს არაფერს მიპირებდნენ.

– ჰო, მეც ეგრე ვფიქრობ.

ცარიელ ვაგონებს მოშორდნენ. შედოუმ ჯიბეში თავისუფლების ქანდაკების გამოსახულებიან დოლარს შემოაჭდო თითები და გაახსენდა, როგორ შემოხედა იმ

ღამეს მთვარის შუქზე ზორია პოლუნოჩნაიამ: „ჰკითხე, რა უნდოდა?... მკვდარს ამაზე გონივრულს ვერაფერს ჰკითხავს ცოცხალი ადამიანი.“

– ლორა... რა გინდა? – ჰკითხა ცოლს შედოუმ.

– მართლა გაინტერესებს?

– დიახ. გთხოვ, მითხარი. ლორამ უსიცოცხლო ლურჯი თვალები მიაპყრო. მინდა, რომ

ისევცოცხალი ვიყო, – თქვა მან, – ნახევრად ცოცხალი კი არა,

ნამდვილად ცოცხალი. მინდა, მკერდში ისევ გული მიძგერდეს. მინდა, ჩემს ძარღვებში ისევ სისხლი ჩქეფდეს – ცხელი, მლაშე, ნამდვილი სისხლი. უცნაურია, ცოცხალი საერთოდ ვერ გრძნობ ამას, მაგრამ დამიჯერე, როცა სისხლის მიმოქცევა შეგიწყდება, მაშინვე მიხვდები, – ლორამ თვალები სისხლიანი ხელებით მოისრისა და თვალებიც მოითხუპნა, – მისმინე, არ ვიცი, ეს რატომ დამემართა, მაგრამ ძალიან მიჭირს. თუ იცი, მკვდრები მხოლოდ ღამღამობით რატომ გამოდიან, ცუგა? იმიტომ, რომ სიბნელეში უფრო იოლია, თავი ცოცხლად მოაჩვენო. არ მინდა, თავს ცოცხლად ვაჩვენებდე. მინდა, ცოცხალი ვიყო.

– ვერ ვხვდები, ჩემგან რა გინდა.

– გამაცოცხლე, ძვირფასო. რამე მოიფიქრე. ვიცი, რომ შეძლებ.

– კარგი, – უთხრა ლორას შედოუმ, – ვეცდები. და თუ რამეს მოვიფიქრებ, როგორ გიპოვო?

მაგრამ ამასობაში ლორა გაქრა. შედოუ ტყეში სრულებით მარტო დარჩა. მხოლოდ მქრქალი, ნაცრისფერი ცა უჩვენებდა, საით იყო აღმოსავლეთი, დეკემბრის სუსხიან ქარს კი საიდანღაც ეული გოდება მოჰქონდა: ღამის უკანასკნელი ფრინველის კივილი თუ განთიადის პირველი ფრინველის ძახილი.

შედოუმ სამხრეთისკენ აიღო გეზი.

მეშვიდე თავი

ინდუისტური ღმერთები მხოლოდ გარკვეულწილად არიან „უკვდავები“: ისინი იბადებიან და იხოცებიან, უდიდესი ადამიანური დილემების წინაშეც აღმოჩნდებიან ხოლმე და მოკვდავებისგან რამდენიმე უმნიშვნელო თვისებით თუ განსხვავდებიან... ხოლო დემონებისგან კიდევ უფრო ნაკლებით. მიუხედავად ამისა, ინდუსები მათ სრულიად განსხვავებული არსებების კლასს მიაკუთვნებენ. ისინი განასახიერებენ ისეთ სიმბოლოებს, როგორიც ვერც ერთი ადამიანი ვერ იქნება, რაოდენ „არქეტიპულიც“ უნდა იყოს მისი ცხოვრება. ისინი მსახიობები არიან და ასრულებენ როლებს, რომლებიც მხოლოდ ჩვენთვისაა ნამდვილი; ისინი ნიღბები არიან, რომელთა მიღმაც საკუთარ სახეებს ვხედავთ.

–

უენდი დონიგერ ო’ფლაჰერტი[79], „შესავალი“, „ინდუისტური მითები“ **(Penguin Books, 1975)**

შედოუ რამდენიმე საათის განმავლობაში მიდიოდა სამხრეთისკენ, ან, უფრო სწორად, იმედოვნებდა, რომ კურსიდან ძალიან არ გადაუხვევია. სავარაუდოდ, სამხრეთ ვისკონსინის ტყეში მიუყვებოდა ვიწრო გზას, რომელზეც ერთი საგზაო ნიშანი ან მაჩვენებელი არ

შეხვედრია. ერთხელ გზაზე რამდენიმე ფარეზგაჩახჩახებულმა, შავმა ჯიპმა ჩამოიარა და შედოუ მაშინვე ხეს ამოეფარა, რომ არ დაენახათ. დილის ნისლი წელამდე სწვდებოდა.

ოცდაათი წუთის შემდეგ შორიდან, დასავლეთიდან, ვერტმფრენების ხმაური მოესმა. სასწრაფოდ გადაირბინა სოფლის შარაგზიდან და წაქცეული ხის ქვეშ, ორმოში ჩაიმალა. იქიდან არ ამომძვრალა, სანამ ვერტმფრენებმა თავზე არ გადაუფრინეს და მათი ხმა არ მიწყნარდა. მხოლოდ ერთხელ ამოყო თავი ორმოდან და ნაჩქარევად ახედა ნაცრისფერ ცას. როგორც ელოდა, ვერტმფრენებიც მქრქალი შავი ფერისა აღმოჩნდა.

ხეების ქვეშ ფხვიერი, ხრაშუნა თოვლი იდო. შედოუს ხელისა და ფეხის სათბურები ძალიან გამოადგა. მათ გარეშე კიდურები უეჭველად მოეყინებოდა. სხვა მხრივ კი, საერთოდ დაჰკარგოდა მგრძნობელობა: გული, გონება და სული თითქოს გაჰქვავებოდა. უგრძნობლობას ძალიან, ძალიან ღრმად გაედგა ფესვები მასში.

„რა მინდა?“ – ჰკითხა საკუთარ თავს. პასუხი არ ჰქონდა, ამიტომ შეუჩერებლად მიაბიჯებდა ტყეში. ხეები ნაცნობი ეჩვენებოდა, ლანდშაფტის ცქერა დროდადრო დეჟავუს განცდას აღუძრავდა. ნუთუ წრეზე ტრიალებს? იქნებ სულ ასე ივლის და ივლის, სანამ ხელ-ფეხის სათბურები და შოკოლადები არ გაუთავდება, მერე კი დაჯდება და ვეღარ ადგება?

ღელეს მიადგა და გადაწყვიტა, მის გასწვრივ ევლო. ღელე ყოველთვის მდინარეს უერთდება, ყველა მდინარე – მისისიპის და, თუ არ გაჩერდება, თუ ნავს მოიპარავს ან ტივს ააგებს, ბოლოს და ბოლოს, ნიუ-ორლეანში ჩავა. ნიუ-ორლეანში თბილა. ახლა სითბო სრულიად მიუწვდომლად ეჩვენებოდა, მაგრამ მასზე ფიქრმაც კი უჩვეულოდ დაამშვიდა.

შავი ვერტმფრენები აღარ დაბრუნებულან. როგორც ჩანდა, ვერტმფრენები სატვირთო მატარებლის გასასუფთავებლად და კვალის წასაშლელად გამოგზავნეს და არა შედოუზე სანადიროდ, თორემ ახლა კვალში მეძებარი ძაღლები და სანადიროდ აღჭურვილი სპეცრაზმელები ედგებოდნენ. საბედნიეროდ, არც ყეფა ისმოდა, არც გადაძახილ-გადმოძახილი და არც სირენების წივილი.

„რა მინდა? ის, რომ არ დამიჭირონ. მატარებელში იმ ხალხის დახოცვა მე არ დამაბრალონ“.

– ეს მე არ ჩამიდენია, – უნებლიეთ ჩაილაპარაკა, – ისინი ჩემმა მკვდარმა ცოლმა დახოცა.

წარმოიდგინა, როგორ შეეცვლებოდათ გამომეტყველება ამის მოსმენაზე სამართალდამცველებს. ხალხი ჯერ კიდევ იმაზე იდავებდა, გიჟია თუ არაო, როცა ელექტროსკამზე დასვამდნენ...

ვისკონსინში სიკვდილით დასჯა კიდევ თუ მოქმედებსო, გაიფიქრა. თუმცა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა: მას ხომ იმაში გარკვევა სურდა, რა ხდებოდა ან ეს ყველაფერი როგორ დამთავრდებოდა. ბოლოს, ნახევრად სევდიანი ღიმილით ინატრა, ნეტავ ციხეში არასდროს ჩავესვი, ლორა არ დაღუპულიყო და ეს საოცარი ამბავი არასდროს შემმთხვეოდაო.

„ვშიშობ, ტყუილად ოცნებობ, ბიჭო, – უენზდეის ხრინწიანი ხმა ჩაესმა გონებაში და თანხმობის ნიშნად თავი დააქნია, – ეს შეუძლებელია. უკან დასახევი გზა მოჭრილია. ასე რომ, წინ იარე. სასჯელი მოიხადე...“ სადღაც შორს, დამპალ კუნძზე, კოდალამ დააკაკუნა.

შედოუმ მისკენ მომართული მზერა იგრძნო: გაძვალტყავებული ანწლის ბუჩქიდან წითელი კარდინალები მოსჩერებოდნენ. ჩიტები რამდენიმე წამს უყურებდნენ, შემდეგ ანწლის შავი ნაყოფის კორტნა განაგრძეს. მათმა დანახვამ შედოუს „ჩრდილოეთ ამერიკის მგალობელი ფრინველების“ კალენდრის ილუსტრაციები გაახსენა. ღელეს მიუყვებოდა და უკნიდან ჩიტების ჟივილ-ხივილი და ჭიკჭიკი მოსდევდა – თითქოს სათამაშო ავტომატების დარბაზში აღმოჩნდა. თუმცა, ჟრიამული თანდათან დაცხრა.

ბორცვით დაჩრდილულ ველობზე ნუკრის ლეში ეგდო, ფერდზე გოშიასხელა შავი ფრინველი დასკუპებოდა და დიდი, საზარელი ნისკარტით გლეჯდა მის წითელ ხორცს. ნუკრისთვის თვალები უკვე ამოეჩიჩქნა, მაგრამ თავს არ შეხებოდა. გავაზე თეთრი კოპლები მოუჩანდა. ნეტავ როგორ მოკვდაო, გაიფიქრა შედოუმ.

შავმა ფრინველმა თავი გვერდზე გადახარა და ისეთი ხმით დაიყრანტალა, თითქოს ქვას ქვაზე ურტყამენო: – შედოუ-კაცო.

– მე ვარ შედოუ, – უთხრა შედოუმ.

ფრინველი ნუკრის გავაზე გადასკუპდა, თავი ასწია და ქოჩორი და კისრის ბუმბული აიშალა. დიდი ჩიტი იყო, მისი თვალები შავ მძივებს ჰგავდა. ამხელა ფრინველის ასეთმა სიახლოვემ შედოუ ცოტათი დააფრთხო.

– ამბობს, რომ კეი-როში გნახავს, – დაიყრანტალა ყორანმა. ნეტავ ეს ოდინის რომელი ყორანიაო, გაიფიქრა შედოუმ: ჰუგინი თუ მუნინი, „აზრი“ თუ „მეხსიერება“.

– კეი-როში?

– ეგვიპტეში.

– ეგვიპტეში როგორ წავიდე?

– მისისიპის გაჰყევი. სამხრეთით იარე. ტურა იპოვე.

– მისმინე, – თქვა შედოუმ, – არ იფიქრო, თითქოს მე... ღმერთო, რას ვაკეთებ... – წამით გაჩუმდა. იდგა და ელაპარაკებოდა დიდ, შავ ფრინველს, რომელიც ბემბითი საუზმობდა, – მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ გამოცანების მოსმენა მომბეზრდა.

– გამოცანები, – გაიმეორა ყორანმა.

– მე ახსნა-განმარტებები მჭირდება. ტურა კეი-როში. ვერაფერიც ვერ გავიგე. ფრაზას ჰგავს ცუდი ჯაშუშური ტრილერიდან.

– ტურა. მეგობარი. ყვა. კეი-რო.

– ეგ უკვე თქვი. უფრო მეტი ინფორმაცია მჭირდება.

ყორანი ნახევრად მიტრიალდა, ნუკრს ნეკნებიდან სისხლიანი, უმი ხორცის მორიგი ნაჭერი მოჰგლიჯა, ნისკარტში გრძელი, სისხლიანი ჭიაღუასავით გაიჩარა და ჰაერში აიჭრა.

– ეი, იქნებ ის მაინც მიმასწავლო, წესიერ გზამდე როგორ მივაღწიო! – მიაძახა შედოუმ. ყორანი ხეებისკენ გაფრინდა. შედოუმ ნუკრის ლეშს დახედა. ნამდვილი მეტყევე რომ ყოფილიყო, იქვე აქნიდა, კოცონს დაანთებდა და ხორცს შეწვავდა. ამის მაგივრად, ხის კუნძზე ჩამოჯდა, ჯიბიდან „სნიკერსი“ ამოიღო და შეჭამა, რადგან შედოუ მეტყევე არ იყო.

ხის ტოტზე ყორანმა დაიჩხავლა.

– გინდა, რომ გამოგყვე? – ჰკითხა შედოუმ, – თუ ტიმი ისევ ჭაში ჩავარდა?[80]

ყორანმა ამჯერად მოუთმენლად დაიჩხავლა. შედოუ მისკენ წავიდა. ყორანმა დაიცადა, სანამ შედოუ მიუახლოვდებოდა, შემდეგ შეიფრთხიალა და მეზობელი ხის ტოტზე ზანტად გადაფრინდა. ოდნავ მარცხნივ გადაუხვია იმ მიმართულებიდან, საითაც შედოუს ეჭირა გეზი.

– ეი, – დაუძახა შედოუმ, – ჰუგინ, მუნინ, თუ რა ჯანდაბაც გქვია!

ფრინველმა თავი უნდობლად გადახარა გვერდზე და ელვარე თვალებით შეხედა შედოუს.

– აბა, თქვი „აღარასდროს“[81], – უთხრა შედოუმ.

– გააფსი, – უთხრა ყორანმა და ხმა აღარ ამოუღია, ისე განაგრძეს გზა ტყეში. ყორანი მიუძღოდა, ხიდან ხეზე გადაფრინდებოდა ხოლმე, შედოუ მძიმედ მიაბიჯებდა მაღალ ბალახსა და ბუჩქებში და ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა. ამასობაშიმოშუადღევდა.

ნახევარ საათში პატარა ქალაქის განაპირას, ასფალტის გზამდე მიაღწიეს და ყორანი ისევ ტყეში შეფრინდა. შედოუმ „კალვერსის“[82] აბრა და ბენზინგასამართი სადგური დაინახა. რესტორანი ცარიელი აღმოჩნდა. სალაროსთან თავგადაპარსული მკვირცხლი ახალგაზრდა იდგა. შედოუმ ორი ჰამბურგერი და კარტოფილი ფრი შეუკვეთა. შემდეგ ტუალეტში შევიდა. საშინლად გამოიყურებოდა. ჯიბეები ამოიქექა. რამდენიმე მონეტა (მათ შორის, თავისუფლების ქანდაკების გამოსახულებიანი ვერცხლის დოლარი), ერთჯერადი კბილის ჯაგრისი და კბილის პასტა, სამი ცალი „სნიკერსი“, ხელ-ფეხის ხუთი სათბურა, საფულე (რომელშიც მხოლოდ მართვის მოწმობა და საკრედიტო ბარათი ედო. ნეტავ საკრედიტო ბარათს რამდენი ხნის სიცოცხლე დარჩენიაო, გაიფიქრა) და პალტოს გულის ჯიბეში გუშინდელი ნაძარცვიდან ორმოცდაათ- და ოცდოლარიანებად მიღებული ათასი დოლარი აღმოაჩნდა. ხელ-პირი ცხელი

წყლით დაიბანა, შავი თმა გადაივარცხნა და ისევ რესტორანში დაბრუნდა. ჰამბურგერები და კარტოფილი შეჭამა და ყავა დააყოლა.

დახლთან მივიდა.

– დესერტი გნებავთ? – შესთავაზა მკვირცხლმა ახალგაზრდამ.

– არა, გმადლობთ. აქ სადმე მანქანის დაქირავება შეიძლება? გზაზე მანქანა გამიფუჭდა. ბიჭმა კეფა მოიფხანა.

– ახლომახლო ვერსად, მისტერ. თუ მანქანა გაგიფუჭდათ, შეგიძლიათ, ხელოსანი გამოიძახოთ, ან აქვე, გვერდით, ბენზინგასამართ სადგურში სთხოვეთ და ბუქსირით წამოგაყვანინებენ.

– კარგი აზრია, – თქვა შედოუმ, – გმადლობთ.

გარეთ თოვლი უკვე დნებოდა. შედოუმ „კალვერსის“ ავტოსადგომი გადაჭრა და ბენზინგასამართი სადგურის მაღაზიაში შეიარა. უფრო მეტი შოკოლადი, ხელ-ფეხის სათბურა და აპოხტის ჩხირები იყიდა.

– აქ ახლომახლო მანქანის დაქირავება ხომ არ შეიძლება? – ჰკითხა სალაროსთან მდგარ მსუქან, სათვალიან ქალს, რომელსაც ძალიან გაუხარდა დამლაპარაკებლის გამოჩენა.

– აბა, დავფიქრდე, – თქვა მან, – არა, ეს პატარა ქალაქია. ეგეთი რამეები მედისონშია. სად მიდიხართ?

– კეი-როში, ოღონდ აზრზე არ ვარ, სადაა, – უპასუხა შედოუმ.

– მე ვიცი, – უთხრა ქალმა, – აი, მაგ თაროდან რუკა ჩამოიღეთ.

შედოუმ პოლიეთილენით შეფუთული ილინოისის რუკა მიაწოდა. ქალმა რუკას ცელოფანი შემოხსნა და საზეიმოდ მიუთითა შტატის ქვედა კუთხეზე.

– აგერ.

– კეი-რო?

– ეგრე ეგვიპტეში უწოდებენ. პატარა ეგვიპტეში[83] კეიროდ გამოთქვამენ. იქ ერთ სოფელს თებეც ჰქვია. ჩემი რძალი თებელია. ერთხელ ეგვიპტურ თებეზე ვკითხე და ისე შემომხედა, თითქოს შერეკილი ვიყავი, – ჩაიხითხითა ქალმა.

– იქ პირამიდებიცაა? – ქალაქი რვაასი კილომეტრის დაშორებით, პირდაპირ სამხრეთით მდებარეობდა.

– მაგაზე არაფერი მსმენია. იქაურობას პატარა ეგვიპტეს იმიტომ უწოდებენ, რომ ასი თუ ას ორმოცდაათი წლის წინ, როცა ამ მხარეში ყველგან შიმშილი იყო, მხოლოდ იქ არ უჩიოდნენ მოუსავლიანობას და ხალხიც მანდ მიდიოდა საჭმლის საყიდლად, როგორც ძველად, ბიბლიურ დროში. იოსები და მისი გასაოცარი, სიზმრების მომგვრელი ჭრელი კვართი![84] აბა, ჰე, ყველანი ეგვიპტეში!

– ჩემს ადგილზე იქ რით წახვიდოდით? – ჰკითხა შედოუმ.

– მანქანით.

– მანქანა გზაზე გამიფუჭდა. ბოდიში მომითხოვია და, ერთი დიდი ნეხვის გროვა იყო, – თქვა შედოუმ.

– ჰა-ჰა, ჩემი სიძეც ეგრე ეძახის მანქანებს. პატარა ბიზნესი აქვს. ნახმარ მანქანებს ყიდულობს და ყიდის. დამირეკავს და მეუბნება ხოლმე, მეტი, ახლახან კიდევ ერთი „ნეხვის გროვა“ გავყიდეო. ისე, იქნებ შენი მანქანითაც დაინტერესდეს. ნაწილებს ჩააბარებს ან რამე.

– მანქანა ჩემი ბოსისაა, – შედოუს თავადვე გაუკვირდა, ისე იოლად და აუღელვებლად იტყუებოდა, – უნდა დავურეკო, რომ ვინმე გამოგზავნოს წასაყვანად, – უცებ ერთმა აზრმა გაუელვა, – თქვენი სიძე ახლოს ცხოვრობს?

– მასკოდეიში. აქედან ათი წუთის სავალზე. მდინარის გადაღმა. რატომ გაინტერესებთ?

– ისეთი „ნეხვის გროვა“ ხომ არ ჰყავს, ხუთას-ექვსას დოლარად რომ მომყიდოს? ქალმა

თბილად გაიღიმა.

– მისტერ, ხუთას დოლარად ჩემი სიძე თავის ნებისმიერ მანქანას მოგყიდით და ავზსაც გაგივსებთ ბენზინით. ოღონდ მასთან არ წამოგცდეთ, რომ ეს მე გითხარით.

– ხომ ვერ დაურეკავთ? – სთხოვა შედოუმ.

– ახლავე, – ქალმა ყურმილი აიღო, – ძვირფასო, მე ვარ, მეტი. დროზე მოდი, შენთვის კლიენტი მყავს, მანქანის ყიდვა უნდა.

„ნეხვის გროვა“, რომელიც შედოუმ შეარჩია და ბენზინით სავსე ავზით 450 დოლარად იყიდა, 1983 წლის „შევროლე ნოვა“ იყო. ოდომეტრი თითქმის 400 000 კილომეტრს უჩვენებდა. სალონში ვისკისა და თამბაქოს სუსტი და ბანანის თუ რაღაც მსგავსის ძლიერი სუნი ტრიალებდა. მანქანა ისეთი დათოვლილი და ჭუჭყიანი იყო, შედოუმ მისი ფერივერ გაარჩია. მიუხედავად ამისა, მეტის სიძის ავტოსადგომზე მდგარი ავტომანქანებიდან მხოლოდ ეს ჰგავდა ისეთს, რვაას კილომეტრს რომ როგორმე გაატარებდა.

შედოუმ ნაღდი ფული ჩაუთვალა და მეტის სიძეს არც სახელი უკითხავს მისთვის და არც სოციალური დაზღვევის ნომერი მოუთხოვია. ფული ჩაიჯიბა და მორჩა.

შედოუს ჯერ დასავლეთით ეჭირა გეზი, შემდეგ სამხრეთით გადაუხვია. შტატთაშორისი ავტომაგისტრალით განგებ არ მოინდომა წასვლა. ჯიბეში ოთხას ორმოცდაათი დოლარი ედო. მანქანაში რადიომიმღები კი იყო, მაგრამ არ ჩაირთო. საგზაო ნიშანმა აუწყა, რომ ვისკონსინი უკან დარჩა და ახლა ილინოისის შტატში იმყოფებოდა.

გზისპირა სასადილოსთან გაჩერდა და ისადილა. საჭმელს არა უშავდა.

სადაც კი გაიარა, ყველა პატარა ქალაქისა თუ დაბის აღმნიშვნელი აბრის ქვეშ უფრო მომცრო აბრა იყო გაკრული, რომელზეც ეწერა, რომ ამ ქალაქში ცხოვრობდა ასმეტრიან სპრინტში შტატთაშორისი შეჯიბრის მესამეადგილოსანი ან ილინოისის შტატის ჭიდაობის თექვსმეტწლამდელთა ჩემპიონატის ნახევარფინალისტი და ა. შ.

საჭესთან იჯდა და თავს აკანტურებდა, ყოველ წუთს უფრო და უფრო ელეოდა ძალა. გზაჯვარედინზე წითელ შუქზე გაიარა და კინაღამ „დოჯი“ დაეჯახა გვერდიდან. როგორც კი ქალაქგარეთ აღმოჩნდა, ავტომაგისტრალიდან მის გასწვრივ მიმავალ სატრაქტორო გზაზე გადაინაცვლა და დათოვლილი ნამკალ-ნათიბების გვერდით გააჩერა მანქანა. ყანაში ჩასუქებული, შავი გარეული ინდაურები მგლოვიარეებივით მიჰყვებოდნენ ერთიმეორეს. შედოუმ ძრავა გამორთო, უკანა სავარძელზე გაიშოტა და დაიძინა.

სიბნელე; ელისივით უფსკრულში გადავარდნის შეგრძნება. ასი მეტრი მაინც ვარდებოდა სიბნელეში. ჰაერში, მის ირგვლივ, წყვდიადიდან სახეები იკვეთებოდნენ, მაგრამ შეხებას ვერ ასწრებდა, ისე იხეოდნენ და ნაფლეთებად ცვიოდნენ...

უეცრად, ყოველგვარი გადასვლის გარეშე, ვარდნა შეწყდა. გამოქვაბულში იყო, ოღონდ მარტო არა. ნაცნობი მზერა იგრძნო: დიდი, შავი, წყლიანი თვალები შემოჰყურებდა. თვალები ახამხამდა.

მიწის ქვეშ: ჰო. ეს ადგილი გაახსენდა. ძროხის სველი ბალნის სიმყრალე. კოცონის შუქი გამოქვაბულის სველ კედლებზე კრთოდა და ბიზონის თავს, ადამიანის ტანსა და აგურისფერ კანს ეფინებოდა.

– რას გადამეკიდეთ, ხალხო? – თქვა შედოუმ, – მაცალეთ ძილი.

ბიზონკაცამ ნელა დაუქნია თავი. ტუჩები არ აუმოძრავებია, მაგრამ შედოუს გონებაში მისი ხმა ჩაესმა: – სად მიდიხარ, შედოუ?

– კეი-რო-ში.

– რატომ?

– სხვაგან სად წავიდე? უენზდეი იქ მელოდება. მისი თაფლუჭი დავლიე.

შედოუს სიზმარში, სიზმრის ლოგიკით, ეს უცილობელ ვალდებულებად მოჩანდა: შედოუმ უენზდეის მიწოდებული სამი ჭიქა თაფლუჭი დალია და მასთან შეთანხმება დადო – მორჩა, სხვა ვეღარაფერს იზამდა.

ბიზონისთავიანმა კაცმა კოცონში ჩაყო ხელი და ნაკვერჩხლები გააღვივა, ხმელი ტოტები აბრიალდა.

– ქარიშხალი ახლოვდება, – თქვა მან და ნაცრიანი ხელები უბალნო მკერდზე შეიწმინდა. ზედ მურის ზოლები დაემჩნა.

– ყველა ამას მეუბნებით. შეიძლება ერთი რამ გკითხო?

სიჩუმე ჩამოვარდა. ბალნიან შუბლზე ბუზი დააჯდა და ბიზონკაცამ ხელის აქნევით მოიშორა.

– მკითხე.

– ეს მართალია? მართლა ღმერთები არიან? ყველაფერი ისეთი... – შედოუ შეყოყმანდა. შემდეგ დაასრულა, – წარმოუდგენელია, – თავიდან სხვა სიტყვის თქმას აპირებდა, მაგრამ ეს უფრო შესაფერისად მოეჩვენა.

– რანი არიან ღმერთები? – ჰკითხა ბიზონისთავიანმა კაცმა.

– არ ვიცი, – უპასუხა შედოუმ.

საიდანღაც შეუწყვეტელი, ყრუ კაკუნი ისმოდა. შედოუ ელოდა, რომ ბიზონისთავიანი კაცი კიდევ რამეს ეტყოდა, აუხსნიდა, რანი იყვნენ ღმერთები; აუხსნიდა, რატომ გადაიქცა მისი ცხოვრება დაუსრულებელ კოშმარად. შესცივდა. კოცონი ჩაქრა.

კაკ-კუკ, კაკ-კუკ.

შედოუმ თვალები გაახილა და რეტდასხმულივით ძლივძლივობით წამოჯდა. კანკალებდა. გარეთ, ცაზე, მთვარე მუქ იისფრად ციმციმებდა – როგორც ბინდისა და ღამის შესაყარზე ხდება ხოლმე. კაკ-კუკ.

– ეი, მისტერ, – თქვა ვიღაცამ.

შედოუმ თავი მიატრიალა. ის ვიღაც მანქანასთან იდგა, დაბნელებული ცის ფონზე ბუნდოვან

სილუეტად მოჩანდა. შედოუმ რამდენიმე სანტიმეტრით დასწია ფანჯრის მინა, ამოიხვნეშა და თქვა: – გამარჯობა.

– კარგად ხარ? ცუდად ხომ არ გახდი? ნასვამი ხარ? – წვრილი ხმა იყო – ქალისა ან ბიჭისა.

– მშვენივრად ვარ, – უპასუხა შედოუმ, – ერთი წუთით, – კარი გააღო და მანქანიდან გადავიდა. გაიზმორა. მერე ხელები მოიფშვნიტა გასათბობად და სისხლის ასამოძრავებლად.

– ოჰო. რამხელა ყოფილხარ!

– ეგრე ამბობენ, – დაეთანხმა შედოუ, – ვინ ხარ?

– მე სემი ვარ, – მოესმა პასუხად.

– ბიჭი სემი თუ გოგო სემი?

– გოგო სემი.

– კარგი, გოგო სემ. ახლა იქით წადი და გზისკენ მიტრიალდი.

– რატომ? შეშლილი მკვლელი ხარ ან რამე?

– არა, – უპასუხა შედოუმ, – მეფსია და რამდენიმე წამით განმარტოება მჭირდება.

– აჰ, ჰო, გასაგებია. პრობლემა არაა. მეც ეგეთი ვარ. ტუალეტის გვერდითა კაბინაში თუ ვინმეა, ვერაფრით ვერ ვფსამ. მორცხვი შარდის ბუშტის სინდრომი.

– მიტრიალდი, რა.

გოგო გზის მხარეს წავიდა, შედოუ – ყანის, ჯინსის შარვლის ელვაშესაკრავი ჩაიხსნა და ღობის სარს კარგა ხანს აფსამდა. მერე მანქანასთან დაბრუნდა. ამასობაში ბინდი ღამედ გადაიქცა.

– ისევ აქ ხარ? – გოგოს დაუძახა.

– დიახ, – უპასუხა სემმა, – მაგ შარდის ბუშტში, მგონი, მთელი ზღვა ჩაეტევა. სანამ შენ ფსამდი, ერთი დიდი იმპერია აღზევდებოდა და დაეცემოდა. ხმა მესმოდა.

– გმადლობ. რამე გჭირდება?

– რავი, დაგხედე, კარგად იყავი თუ არა. მკვდარი რომ მენახე ან რამე, პოლიციას გამოვიძახებდი. მაგრამ ფანჯრის მინები დაორთქლილი იყო და ვიფიქრე, ცოცხალი ყოფილა-მეთქი.

– აქ ახლოს ცხოვრობ?

– არა. მედისონიდან ავტოსტოპით ვმგზავრობ.

– ეს საშიშია.

– ბოლო სამი წელია, წელიწადში ხუთჯერ მაინც ვმგზავრობ ასე. ჯერაც ცოცხალი ვარ. შენ საით მიდიხარ?

– კაიროში.

– ძალიან კარგი, – თქვა გოგომ, – მე ელ-პასოში მივდივარ. არდადეგებს დეიდაჩემთან გავატარებ.

– მაგსიშორეზე ვერ წაგიყვან, – იუარა შედოუმ.

– ტეხასურ ელ-პასოში კი არა, აქაურში, ილინოისურში მივდივარ. სამხრეთით, რამდენიმე საათის სავალზე მდებარეობს. იცი, ახლა სად ხარ?

– არა, – უპასუხა შედოუმ, – წარმოდგენა არ მაქვს. სადმე ორმოცდამეთორმეტე მაგისტრალზე?

– შემდეგ ქალაქს პერუ ჰქვია, – უთხრა სემმა, – დიახ, ქვეყნის სახელი ჰქვია, ოღონდ ის პერუ სამხრეთ ამერიკაშია, ეს კი – ილინოისში. უნდა დაგყნოსო. დაიხარე, – შედოუ დაიხარა და გოგომ მისი სახე დასუნა, – კარგი. სპირტის სუნი არ მცემს. შეგიძლია, საჭესთან დაჯდე. წავედით.

– საიდან დაასკვენი, რომ მიმყავხარ?

– იქიდან, რომ გასაჭირში ჩავარდნილი მშვენიერი ასული ვარ, – უპასუხა გოგომ, – შენ კი – რაშზე თუ რავი... ძალიან ჭუჭყიან მანქანაზე ამხედრებული რაინდი. სხვათა შორის, უკანა საქარე მინაზე ვიღაცას „გამრეცხე“ დაუწერია. არ გინახავს?

შედოუ მანქანაში ჩაჯდა და მგზავრის სავარძლის მხარეს კარი გააღო. ჩვეულებრივ, კარის გაღებისას მანქანის სალონში შუქი ინთება ხოლმე, მაგრამ ამ მანქანაში არ აინთო.

– არა, არ შემიმჩნევია, – უპასუხა სემს.

გოგო მანქანაში ჩაჯდა.

– მე დავწერე, – აღიარა მან, – სანამ მთლად ჩამობნელდებოდა, მოვასწარი. შედოუმ

მანქანა დაქოქა, ფარები აანთო და ისევ გზაზე გადავიდა.

– მარცხნივ, – მიეშველა სემი. შედოუმაც მარცხნივ მოუხვია. რამდენიმე წუთის შემდეგ გამათბობელი ამუშავდა და მანქანის სალონში სასიამოვნოდ დათბა.

– სიტყვა არ დაგიძრავს, – შენიშნა სემმა, – თქვი რამე.

– ადამიანი ხარ? – ჰკითხა შედოუმ, – ნამდვილი, ხორციელი, კაცისა და ქალისგან შობილი სულიერი არსება?

– დიახ.

– კარგი. მხოლოდ დავაზუსტე. მაშ, რა გინდა, რომ გითხრა?

– რამე ისეთი, რაც დამამშვიდებს. ახლა რატომღაც „ვაი, მგონი, მანქანაში ამ შეშლილს არ უნდა ჩავჯდომოდი“ განცდა დამეუფლა.

– ჰო, ეგეთი რამ მეც განმიცდია, – უთხრა შედოუმ, – რით დაგამშვიდო?

– მხოლოდ ის მითხარი, რომ ციხიდან გამოქცეული ბოროტმოქმედი ან მანიაკი მკვლელი არ ხარ. შედოუ წამით ჩაფიქრდა.

– იცი, რა, ნამდვილად არ ვარ.

– თუმცა სანამ მიპასუხებდი, დაფიქრდი.

– სასჯელი მოვიხადე. არავინ მომიკლავს.

– ოჰ.

ქუჩის ლამპიონებითა და ციმციმა საშობაო ორნამენტებით განათებულ პატარა ქალაქში

შევიდნენ. შედოუმ მარჯვნივ მიიხედა. გოგოს მოკლედ შეჭრილი, აბურდული თმა და მიმზიდველი, თუმცა ოდნავ მამაკაცური სახე ჰქონდა: ქვისგან გამოკვეთილს ჰგავდა. შედოუს უყურებდა.

– ციხეში რატომ იჯექი?

– რამდენიმე ადამიანს ძალიან დავუშავე. გავბრაზდი.

– იმსახურებდნენ? შედოუ დაფიქრდა.

– მაშინ ეგრე მეგონა.

– ისევ ისე მოიქცეოდი?

– რა თქმა უნდა, არა. ციხეში ჩემი ცხოვრების სამი წელი დავკარგე.

– ჰმმ. ინდიელის სისხლი ხომ არ გირევია?

– როგორც ვიცი, არა.

– ინდიელს მიგამსგავსე და ამიტომ გკითხე.

– ვწუხვარ, რომ იმედი გაგიცრუე.

– არა უშავს. გშია? შედოუმ თავი დაუქნია.

– რამეს კი შევჭამდი, – თქვა მან.

– აი, იმ ლამპიონებს რომ ჩავუვლით, ერთი კარგი ადგილია. გემრიელი საჭმელი აქვთ. თანაც, იაფი.

შედოუ ავტოსადგომზე შევიდა და მანქანიდან გადმოვიდნენ. კარების ჩაკეტვით თავი არ შეიწუხა, მაგრამ მანქანის გასაღები ჯიბეში ჩაიდო. მერე რამდენიმე მონეტა ამოიღო გაზეთის საყიდლად.

– აქ სასადილოდ ფული გეყოფა? – ჰკითხა სემს.

– დიახ, – თავი ამაყად ასწია გოგომ, – ჩემსას მე გადავიხდი. შედოუმ თავი დააქნია.

– მოდი, კენჭი ვყაროთ, – თქვა მან, – მონეტას ავაგდებ. თუ პირზე დავარდება, სადილის ფულს შენ გადაიხდი, თუ ზურგზე – მე.

– ჯერ მონეტა მაჩვენე, – უნდობლად უთხრა სემმა, – მახსოვს, ბიძაჩემის ყალბ მონეტას ორივე მხარე ერთნაირი ჰქონდა.

გოგომ მონეტა დაათვალიერა და დარწმუნდა, რომ ოცდახუთცენტიანს უჩვეულო არაფერი სჭირდა. შედოუმ პირზე ამოტრიალებული მონეტა ცერა თითზე დაიდო და აისროლა ისე, რომ გოგოს ეფიქრა, მონეტა ჰაერში ბევრჯერ ამოტრიალდაო. სინამდვილეში მონეტა მხოლოდ დაბზრიალდა და ჩამოვარდა. შედოუმ ცალი ხელით დაიჭირა და მეორე ხელის ზურგზე დაიდო. მერე ხელი ასწია და მონეტა გამოაჩინა.

– ზურგზეა ამოტრიალებული, – წამოიძახა სემმა მხიარულად, – სადილი შენზეა.

– ჰოო, – თქვა შედოუმ, – ყოველთვის ვერ გაიმარჯვებ.

შედოუმ ხორცის რულეტი შეუკვეთა, სემმა – ლაზანია. შედოუმ გაზეთი გადაშალა. აინტერესებდა, სატვირთო მატარებელში დახოცილ ხალხზე ხომ არ ეწერა რამე, მაგრამ მსგავსი ვერსად ვერაფერი ამოიკითხა. ერთადერთი საინტერესო სტატია პირველ გვერდზე დაებეჭდათ: ქალაქს რეკორდული რაოდენობის ყორნები შემოსეოდა. ადგილობრივი ფერმერები დახოცილი ყორნების საჯარო შენობებზე ჩამოკიდებას მოითხოვდნენ სხვა ყორნების დასაფრთხობად; ორნიტოლოგების თქმით, ეს შედეგს ვერ მოიტანდა, რადგან ცოცხალი ყორნები დახოცილებს უბრალოდ შეჭამდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა მაინც არ ცხრებოდა. „როცა ყორნები დახოცილ თანამოძმეებს ნახავენ, – განუცხადებია მათ წარმომადგენელს, – მიხვდებიან, რომ ამ ქალაქში მათი ყოფნა არავის უხარია“.

გემრიელი საჭმელი დიდი, ოხშივარადენილი თეფშებით მოიტანეს.

– კაიროში ვინ გელოდება? – ჰკითხა პირგამოვსებულმა სემმა.

– აზრზე არ ვარ. ჩემმა ბოსმა შემატყობინა, იქ მჭირდებიო.

– რას საქმიანობ?

– შეიძლება ითქვას, მისი ხელის ბიჭი ვარ. სემს გაეღიმა.

– მაფიოზს არ ჰგავხარ, – თქვა მან, – დანჯღრეული მანქანით დადიხარ. ისე, სალონში ბანანის სუნი რატომ დგას?

შედოუმ მხრები აიჩეჩა და ჭამა გააგრძელა.

სემმა თვალები მოჭუტა.

– იქნებ ბანანების კონტრაბანდისტი ხარ, – თქვა მან, – არ გაინტერესებს, მე რას ვაკეთებ?

– რა დიდი მიხვედრა უნდა? სტუდენტი იქნები.

– ვისკონსინის უნივერსიტეტში. მედისონში.

– სადაც უთუოდ ხელოვნებათმცოდნეობასა და ფემინიზმის ისტორიას სწავლობ და ალბათ ბრინჯაოს ჩამოსხმაშიც ოსტატდები. ბინის ქირის გადასახდელად კი კაფეში მიმტანად მუშაობ. გოგომ ჩანგალი გადადო. ნესტოები გაებერა და თვალები გაუფართოვდა.

– ეგ ყველაფერი საიდან იცი?

– რა? წესით, ახლა უნდა მითხრა, არა, რომანულ ენებსა და ორნიტოლოგიას ვსწავლობო.

– მაშ, მხოლოდ შემთხვევით გამოიცანი და მეტი არაფერი?

– რა გამოვიცანი? სემი შავი თვალებით მიაშტერდა.

– უცნაური ვინმე ხარ, მისტერ... შენი სახელი არ ვიცი.

– შედოუს მიწოდებენ.

გოგომ პირი მობრიცა, თითქოს რაღაც უგემური გაესინჯოს. ლაპარაკი შეწყვიტა, თავი დახარა და ლაზანიას ჭამა დაამთავრა.

– თუ იცი, იმ მხარეს ეგვიპტეს რატომ უწოდებენ? – ჰკითხა შედოუმ, როცა სემი ჭამას მორჩა.

– სადაც კაიროა? კი. იმიტომ, რომ კაირო ოჰაიოსა და მისისიპის დელტაში მდებარეობს, როგორც ეგვიპტის კაირო – ნილოსის დელტაში.

– გასაგებია. სემმა ყავა და შოკოლადის ნამცხვარი შეუკვეთა, შემდეგ შავ თმაში

შეიცურა ხელი.

– ცოლი გყავს, მისტერ შედოუ? – ჰკითხა გოგომ და შეყოყმანდა, – ჯანდაბა, ეს რა რთული შეკითხვა დაგისვი.

– ხუთშაბათს დაკრძალეს, – რაც შეიძლებოდა ფრთხილად შეარჩია სიტყვები შედოუმ, – ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

– ოჰ, ღმერთო. ვწუხვარ.

– მეც.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

– შარშან, წლის მიწურულს, ჩემმა ნახევარდამ შვილი დაკარგა. მძიმეა.

– ჰო, ეგრეა. რა მოუვიდა? სემმა ყავა მოსვა.

– არ ვიცით. ისიც კი არ ვიცით, მართლა მოკვდა თუ არა. გაქრა. მხოლოდ ცამეტი წლისა იყო. შუა ზამთარში მოულოდნელად დაიკარგა. ჩემმა დამ ძლივს გადაიტანა.

– არანაირი სამხილი არ გიპოვიათ? – ტელესერიალის პოლიციელივით ჰკითხა შედოუმ, – ვინმეზე ხომ არ ეჭვობთ? – დაამატა, მაგრამ ამან უარესად გაიჟღერა.

– ჩემს ნაძირალა სიძეზე, მამამისზე, რომელსაც მშობლის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა. შვილი რომ მოეპარა, არ გამიკვირდება. ეს ვისკონსინის შტატში მოხდა, პატარა, მყუდრო, ლამაზ ქალაქში, იქ სახლის კარსაც კი არავინ კეტავს, – სემმა ამოიოხრა და თავი გააქნია. ყავის ჭიქა ორივე ხელით ეჭირა. შემდეგ შედოუს შეხედა და თემა შეცვალა, – როგორ მიხვდი, რომ ბრინჯაოს ჩამოსხმას ვსწავლობ?

– შემთხვევით გამოვიცანი. რაღაც ხომ უნდა მეთქვა?

– დარწმუნებული ხარ, რომ ნაწილობრივ ინდიელი არ ხარ?

– როგორც ვიცი, არა. შეიძლება. მამაჩემი არასდროს მინახავს. თუმცა, ძირძველი ამერიკელი რომ ყოფილიყო, დედაჩემი მეტყოდა.

სემმა კვლავ მობრიცა პირი. დესერტს ვეღარ მოერია: შოკოლადის ნამცხვრის ნაჭერი ლამის მისი თავისხელა იყო. თეფში შედოუსკენ გააჩოჩა.

– არ გინდა? შედოუმ გაიღიმა.

– კი, – თქვა და ნამცხვარი ბოლომდე შეჭამა. მიმტანმა ანგარიში მოიტანა და შედოუმ

გადაიხადა.

– გმადლობ, – უთხრა სემმა.

გარეთ უკვე ციოდა. მანქანამ რამდენჯერმე დაახველა, სანამ დაიქოქებოდა. ისევ

ავტოსტრადაზე დაბრუნდნენ და სამხრეთისკენ გააგრძელეს გზა.

– ჰეროდოტესი თუ წაგიკითხავს რამე? – ჰკითხა გოგოს შედოუმ.

– ღმერთო. რა?

– ჰეროდოტეზე თუ გსმენია? მისი „ისტორიები“ თუ წაგიკითხავს?

– იცი, მაკვირვებ, – დაბნეულად ჩაილაპარაკა სემმა, – ვერ ვხვდები, რას ან როგორ ამბობ. ჯერ აყლაყუდა ყეყეჩს ჰგავხარ, მერე ჩემს აზრებს კითხულობ და ბოლოს ჰეროდოტეზე მეკითხები. არა, არ წამიკითხავს, მაგრამ ჰეროდოტეზე მსმენია. მგონი, რადიოში. ტყუილების მამას რომ უწოდებენ, ის არაა?

– მეგონა, ეგ ეშმაკის წოდება იყო.

– ჰო, მაგასაც ეგრე უწოდებენ. იმ გადაცემაში ჰეროდოტეზე თქვეს, ბევრი რამ გამოიგონაო; მაგალითად, ამტკიცებდა, ოქროს საბადოებს ბუმბერაზი ჭიანჭველები და გრიფონები იცავდნენო.

– კი არ გამოუგონია, რასაც უყვებოდნენ, იმას წერდა. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო ამბები აქვს მოთხრობილი. ბევრი უცნაური რამ შევიტყვე. მაგალითად, იცოდი, რომ ეგვიპტეში თუ განსაკუთრებით ლამაზი გოგო ან რომელიმე მთავრის ცოლი მოკვდებოდა, გვამი მებალზამესთან სამი დღე არ მიჰქონდათ? ჯერ სიცხეში გახრწნას აცლიდნენ.

– რატომ? ოჰ, მოიცა. კარგი, მგონი, ვიცი, რატომაც. ოჰ, რა საზიზღრობაა.

– კიდევ ბრძოლები აქვს აღწერილი. ჩვეულებრივი ბრძოლები. მაგრამ უცებ ღმერთებს ახსენებს. ერთი ტიპი ბრძოლის შედეგის თანამემამულეებისთვის საცნობებლად მირბის და უცებ მინდორზე პანს[85] დაინახავს. პანი ეტყვის, შენს ხალხს უთხარი, ამ ადგილას ტაძარი ააშენონო. ის ტიპიც, კარგიო, პასუხობს და სირბილს აგრძელებს. მივა თავის ხალხთან და გავიმარჯვეთო, ახარებს, მერე კი სასხვათაშორისოდ დაამატებს, ისა, ჰო, პანმა მოგვთხოვა, ჩემი სახელობის ტაძარი ააგეთო.

– ესე იგი ჰეროდოტეს ამბებში ღმერთებია ნახსენები. რის თქმა გინდა, რომ იმ ხალხს რაღაცები ეჩვენებოდა? – სულაც არა, – უპასუხა შედოუმ. სემმა აქერცლილი ნუნა მოიკვნიტა.

– მე ტვინებზე წამიკითხავს წიგნები, – თქვა გოგომ, – ჩემს თანამეოთახეს ჰქონდა და სულ აქეთ-იქით დაათრევდა. მათში ეწერა, რომ დაახლოებით ხუთი ათასი წლის ადამიანის თავის ტვინის ნახევარსფეროები ერთმანეთს შეერწყა, ხოლო მანამდე, როცა მარჯვენა ნახევარსფერო რაიმე სიგნალს იძლეოდა, ადამიანებს ეგონათ, რომ მათ ღმერთები კარნახობდნენ, რა ექნათ. ტვინები ასეა მოწყობილი.

– მე ჩემი თეორია უფრო მომწონს, – თქვა შედოუმ.

– შენი თეორია რომელია?

– რომ ძველად ადამიანები ხანდახან მართლა ხვდებოდნენ ღმერთებს.

– ოჰ, – გოგო გაჩუმდა. ახლა მხოლოდ მანქანის ჯაყჯაყის, ძრავას რახრახისა და მაყუჩის გრუხუნის ხმა ისმოდა. შემდეგ სემმა დაამატა: – შენი აზრით, ისევ აქ არიან?

– სად?

– საბერძნეთში, ეგვიპტეში. კუნძულებზე. ეგეთ ადგილებში. როგორ ფიქრობ, იმ ძველი ხალხის ნაკვალევზე რომ გაიაროს ადამიანმა, ღმერთებს შეხვდება?

– შეიძლება, მაგრამ არა მგონია, მიხვდეს, რა იხილა.

– უცხოპლანეტელების ამბავს ჰგავს, – თქვა სემმა, – ჩვენს დროში ხალხი უცხოპლანეტელებს ხედავს, ძველად ღმერთებს ხედავდა. იქნებ უცხოპლანეტელები ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროდან არიან?

– არა მგონია, ღმერთებს ოდესმე ადამიანების სწორი ნაწლავი გამოეკვლიოთ, – თქვა შედოუმ, – ან საქონელი დაესახიჩრებინოთ. ამას მათთვის თვითონ ადამიანები სჩადიოდნენ.

სემმა ჩაიცინა. რამდენიმე წუთს ხმის ამოუღებლად მიდიოდნენ, შემდეგ გოგომ თქვა: – აჰ, ამაზე ერთი საინტერესო ამბავი გამახსენდა პირველი კურსის შედარებითი რელიგიათმცოდნეობიდან. გინდა, მოგიყვე?

– მიდი.

– კარგი. ჩემი საყვარელი ამბავია ოდინზე, სკანდინავიელთა ღმერთზე. მოკლედ, ერთი ვიკინგი მეფე ვიკინგთა ხომალდით მიცურავდა სადღაც, მაგრამ უქარობის გამო ვერ იძვროდნენ. ჰოდა, მეფემ ოდინს შესთხოვა, ადამიანს შემოგწირავ მსხვერპლად, თუ ქარს გამოგვიგზავნი, რომ ხმელეთამდე მივაღწიოთო. ქარი ამოვარდა და ხმელეთამდე მიცურეს. ხმელეთზე კენჭი ყარეს, მსხვერპლად ვინ შეეწირათ და კენჭი თავად მეფეს ერგო. გადაწყვიტეს, მეფე ვითომ ისე ჩამოეკიდათ, რომ არაფერი დაშავებოდა. ყელზე ხბოს ნაწლავები მსუბუქად შემოახვიეს, მეორე ბოლო წვრილ რტოზე მიაბეს და მეფეს შუბის ნაცვლად ლერწმის ღერი აძგერეს გვერდში. ესეც ასე, ხომ ჩამოგახრჩვეთ... უფრო სწორად, დაგკიდეთ, ოდინს მსხვერპლად შეგწირეთო, თქვეს.

გზამ მოუხვია. მორიგ დაბაში შევიდნენ. მოსახლეობა სამას ადამიანს შეადგენდა. აქ ციგურებით სრიალში თორმეტწლამდელთა ჩემპიონატის მეორეადგილოსანი ცხოვრობდა. გზის ორივე მხარეს ორი დიდი დამკრძალავი სახლი იდგა. „ნეტავ სამას ადამიანს ორი ამხელა დამკრძალავი სახლი რაში სჭირდებაო“, გაიფიქრა შედოუმ.

– როგორც კი ოდინის სახელი ახსენეს, ლერწმის ღერი შუბად გადაიქცა, ხბოს ნაწლავები – სქელ ბაწრად, ხოლო რტო – მსხვილ ტოტად. ხე გამაღლდა და მეფე მიწას მოსწყვიტა. გვერდში შუბგარჭობილი მეფე მართლა დაიხრჩო და სახე გაუშავდა. დასასრული. თეთრკანიანებს სასტიკი ღმერთები ჰყავდათ, მისტერ შედოუ.

– დიახ, – დაეთანხმა შედოუ, – შენ თეთრკანიანი არ ხარ?

– მე ჩეროკი[86] ვარ.

– სუფთა სისხლის?

– ნწ. მხოლოდ ნახევრად. დედა თეთრკანიანი მყავდა. სამაგიეროდ, მამაჩემი იყო რეზერვაციაში მცხოვრები ნამდვილი ინდიელი. ჩვენს მხარეში მოხვდა, დედაჩემზე იქორწინა და მე გავჩნდი; როცა დაშორდნენ, მამაჩემი ოკლაჰომაში დაბრუნდა.

– რეზერვაციაში?

– არა. ფული ისესხა და სწრაფი კვების რესტორანი გახსნა. „ტაკო ბელის“[87] მიბაძვით, „ტაკო ბილი“ დაარქვა. საქმეები კარგად მისდის. მე არ ვუყვარვარ. შერეულსისხლიანს მიწოდებს.

– ვწუხვარ.

– იდიოტია. ინდიელის სისხლით ვამაყობ. ეს უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდაში მეხმარება. ჯანდაბა, ის კი არა, ერთ დღეს სამსახურსაც მაშოვნინებს, თუ ჩემს ბრინჯაოს ქანდაკებებს ვერ გავყიდი.

– რაღაც ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე, – დაეთანხმა შედოუ.

სემი ელ-პასოში (მოსახლეობა 2 500), ქალაქის განაპირას მდგარ ძველ, ღარიბულ სახლთან ჩამოსვა. ეზოში საშობაო ნათურებით მორთული ჩრდილოეთის ირმის ფიგურა ციმციმებდა.

– არ შემოხვალ? – შესთავაზა სემმა, – დეიდაჩემი ყავას დაგალევინებს.

– არა, – იუარა შედოუმ, – მეჩქარება, ვერ დავრჩები.

გოგომ გაუღიმა და იმ მომენტში პირველად დასევდიანდა. შედოუს მკლავზე შეეხო.

– შეიძლება მთლად დაწყობილი ვერა ხარ, მაგრამ მაინც მაგარი ტიპი ხარ, მისტერ.

– მგონი, ყველა ჩვეულებრივი ადამიანი სწორედ ასეთია, – თქვა შედოუმ, – გმადლობ, რომ დამემგზავრე.

– არაფრის, – უთხრა სემმა, – თუ კაიროს გზაზე სადმე ღმერთებს გადაეყრები, აუცილებლად

გადაეცი ჩემგან მოკითხვა.

გოგო სახლის კართან მივიდა და ზარი დარეკა. უკან აღარ გამოუხედავს. შედოუს გაზის პედალისთვის ფეხი არ დაუჭერია, სანამ კარი არ გაიღო და გოგო შიგნით არ შეუშვეს.

გაიარა ქალაქები ნორმალი, ბლუმინგტონი და ლონდეილი. ღამის თერთმეტ საათზე, როცა მიდლტაუნში შედიოდა, კანკალი აუტყდა. აშკარად გამოძინება სჭირდებოდა, საჭესთან ჯდომამ დაღალა. მანქანა მოტელ „ნაითს ინთან“ გააჩერა, პირველ სართულზე მდებარე ნომრის საფასური, ოცდათხუთმეტი დოლარი, წინასწარ გადაიხადა და პირდაპირ სააბაზანოში შევიდა. კაფელით მოპირკეთებული იატაკის შუაგულში საბრალო ტარაკანი ზურგზე ეგდო. შედოუმ პირსახოცი აიღო, აბაზანა ამოწმინდა და თბილი წყლით გაავსო. ტანსაცმელი ოთახში გაიხადა და საწოლზე დააწყო. ტანზე სილურჯე მკაფიოდ ემჩნეოდა. აბაზანაში ჩაჯდა და უყურებდა, როგორ შეიცვალა წყალმა ფერი. შემდეგ შიშველმა პირსაბანის ნიჟარაშივე გარეცხა წინდები, საცვლები და მაისური, მაგრად გაწურა და იქვე გაბმულ ბაწარზე ჩამოკიდა გასაშრობად. ტარაკანისთვის ხელი არ უხლია – მკვდარს პატივი ასე მიაგო.

დაწვა. პორნოგრაფიული ფილმის ნახვას აპირებდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ნახვის საფასურის გადახდა მხოლოდ საკრედიტო ბარათით შეიძლებოდა. თანაც, დარწმუნებული არ

იყო, რომ სხვების სქესობრივი აქტის ცქერა რამით უშველიდა. თავის შესაქცევად ტელევიზორი ჩართო და დისტანციური მართვის პულტზე „ძილის“ ღილაკს სამჯერ დააჭირა თითი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ორმოცდახუთ წუთში ტელევიზორი ავტომატურად გამოირთვებოდა – წესით, იმ დროისთვის უკვე უნდა სძინებოდა. თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოტელის ტელევიზორის ეკრანზე ფერები არამკვეთრი და ბუნდოვანი იყო. სატელევიზიო უდაბნოში ერთი ღამის შოუდან მეორე ღამის შოუზე რთავდა, მაგრამ გული ვერაფერს დაუდო. ვიღაც სამზარეულოს რომელიღაც ნივთის დემონსტრირებას ახდენდა და აქებდა, თურმე ათობით სხვა ნივთის ფუნქციას ერთდროულად ასრულებდა, ოღონდ შედოუს არც ის ათობით ნივთი არ ჰქონდა. წკაპ. ეკრანზე კოსტიუმიანი კაცი გაჩნდა, მაყურებელს უხსნიდა, ბოლო ჟამი ახლოვდება და უფალი იესო (კაცი სახელს ხაზგასმით წარმოთქვამდა) თქვენს საქმეში ხელს მოგიმართავთ, ძალიან გამდიდრდებით, თუ გარკვეულ თანხას მითითებულ ანგარიშზე გამოაგზავნითო. წკაპ. „საინფელდის“ რომელიღაც სერია დამთავრდა და „დიკ ვან დაიკის შოუს“[88] ერთ-ერთი სერია დაიწყო.

უკვე მრავალი წელი იყო, შედოუს „დიკ ვან დაიკის შოუს“ ერთი სერიაც კი არ ენახა, მაგრამ მეოცე საუკუნის სამოციანი წლების შავ-თეთრმა სამყარომ, რომელსაც სერიალი ხატავდა, როგორღაც დამამშვიდებლად იმოქმედა მასზე. დისტანციური მართვის პულტი გვერდით

მოიდო და ელექტროლამპა გამორთო. შოუს ყურებისას თვალები თანდათან დაეხუჭა, მაგრამ მაინც იგრძნო, რომ რაღაც ისე არ იყო. შედოუს „დიკ ვან დაიკის შოუს“ არც ისე ბევრი სერია ჰქონდა ნანახი, ამიტომ სულაც არ გაჰკვირვებია, რომ ეს სერია არ ეცნო. შედოუს თავად სერიის ტონალობა ეუცნაურა.

სერიალის მთავარი გმირები ძლიერ განიცდიდნენ, რომ რობმა სმა დაიწყო და სამსახურს აცდენდა. მას შინ ესტუმრნენ. რობი საძინებელში ჩაიკეტა და იქიდან ძლივს გამოიყვანეს. გატრეტილი, ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ მაინც სასაცილოდ გამოიყურებოდა. მისმა მეგობრებმა, რომელთა როლებსაც მორი ამსტერდამი და როუზ მარი ასრულებდნენ, რამდენიმე კარგი სახუმარო რეპლიკა წარმოთქვეს და გავიდნენ. მერე ცოლმა რობს უსაყვედურა, ამ უკანასკნელმა კი სილა გააწნა. ქალი იატაკზე ჩაიკეცა და ატირდა, ოღონდ ეს მერი ტაილერ მურის ცნობილი ტირილი არ იყო – გულამოსკვნილი აქვითინდა.

– გთხოვ, ნუღარ დამარტყამ, – უმწეოდ დაიჩურჩულა მან, – ყველაფერს ვიზამ, ოღონდ ნუ დამარტყამ.

– რა ჯანდაბაა? – ხმამაღლა თქვა შედოუმ.

სურათი გაიდღაბნა და პიქსელებად დაიშალა. როცა ეკრანზე ისევ სუფთა გამოსახულება გაჩნდა, „დიკ ვან დაიკის შოუ“ როგორღაც „მე მიყვარს ლუსიდ“[89] გადაქცეულიყო. ლუსი რიკის ეჩიჩინებოდა, ძველი მაცივარი ახლით შევცვალოთო.

როცა რიკი გავიდა, ლუსი დივანზე დაჯდა, ფეხები გადააჯვარედინა, ხელები მუხლებზე დაიწყო და შავ-თეთრი წარსულიდან გამოიხედა.

– შედოუ, უნდა ვილაპარაკოთ, – თქვა მან.

შედოუს არაფერი უთქვამს. ლუსიმ ხელჩანთიდან სიგარეტი ამოიღო და ძვირად ღირებული ვერცხლის სანთებელათი მოუკიდა.

– შენ გეუბნები, – თქვა მან, – გესმის?

– ეს სიგიჟეა, – თქვა შედოუმ.

– თითქოს მთელი შენი ცხოვრება სიგიჟე არ იყოს. დიდი ამბავი!

– ვიცი, მაგრამ ლუსილ ბოლი[90] ტელევიზორიდან მელაპარაკება – ამაზე გიჟური რამ ცხოვრებაში აქამდე არ შემმთხვევია, – უთხრა შედოუმ.

– მე ლუსილ ბოლი კი არა, ლუსი რიკარდო ვარ. ისე, სიმართლე გითხრა, არც ეგ არ ვარ, მაგრამ ამ ვითარებაში ბევრად იოლია ასე გამოვიყურებოდე, – ქალი უხერხულად შეიშმუშნა დივანზე.

– ვინ ხარ? – ჰკითხა შედოუმ.

– კარგი, – თქვა ქალმა, – საინტერესო შეკითხვაა. მე გამომაყეყეჩებელი ყუთი ვარ. ტელევიზორი. ყოვლისმნახველი თვალი და კათოდური სხივის სამყარო. პატარა ტაძარი ვარ, რომლის ყურებითაც მთელი ოჯახი ტკბება.

– ტელევიზორი ხარ? თუ ვიღაც ტელევიზორში?

– ტელევიზორი სამსხვერპლოა. მე ის ვარ, ვისაც ხალხი მსხვერპლად სწირავს.

– რას სწირავს ხალხი? – ჰკითხა შედოუმ.

– ძირითადად, თავის დროს, – უპასუხა ლუსიმ, – ზოგჯერ ერთმანეთს, – ქალმა ორი თითი ასწია და წარმოსახვით კვამლს სული შეუბერა. მერე, ლუსის რომ სჩვეოდა, ისე ეშმაკურად ჩაუკრა თვალი. – ღმერთი ხარ? – ჰკითხა შედოუმ. ლუსიმ ჩაიცინა და ქალურად დაარტყა ნაფაზი.

– შეიძლება ასეც ითქვას.

– სემმა მოგიკითხა, – უთხრა შედოუმ. – რა? სემი ვინ არის? რას გულისხმობ? შედოუმ მაჯის საათზე დაიხედა. პირველის ოცდახუთი წუთი იყო.

– ისეთი არავინ, დაივიწყე, – უპასუხა მან, – აბა, ტელევიზორის ლუსი, რაზე ვისაუბროთ? ბოლო დროს ყველას ჩემთან საუბარი უნდა. როგორც წესი, საუბარი იმით მთავრდება, რომ მირტყამენ და მცემენ ხოლმე. კამერამ ახლო კადრი აიღო: ლუსი შეწუხდა, ტუჩები გამობერა.

– ცუდია. ცუდია, რომ გაწყენინეს, შედოუ. მე ამას არასდროს ვიზამდი, ძვირფასო. არა, მინდა, სამსახური შემოგთავაზო.

– რა უნდა ვქნა?

– ჩემთვის იმუშაო. ნამდვილად ვწუხვარ. გავიგე, ჯაშუშური სერიალის აგენტებთან პრობლემები შეგქმნია. სირთულეებს შთამბეჭდავად გაუმკლავდი. გონივრულად, აუღელვებლად და ეფექტურად. ვინ იფიქრებდა, რომ ამას შეძლებდი? მართლა ძალიან გაბრაზდნენ.

– მართლა?

– სათანადოდ ვერ შეგაფასეს, საყვარელო. მე ამ შეცდომას არ გავიმეორებ. ჩემს ბანაკში მჭირდები, – ქალი წამოდგა და კამერასთან ახლოს მოვიდა, – დაფიქრდი, შედოუ: მომავალი ჩვენ გვეკუთვნის. ჩვენ სავაჭრო ცენტრები ვართ, შენი მეგობრები უბადრუკი გზისპირა ატრაქციონები არიან. ჯანდაბა, ჩვენ ინტერნეტმაღაზიები ვართ, როცა შენი მეგობრები ავტომაგისტრალის გასწვრივ ურიკებით შინ მოყვანილ ხილს ყიდიან. არა! ხილს რომ ყიდდნენ, რა უჭირს! ძველმანებითა და ხარახურით ვაჭრობენ: ძველი ფაეტონებითა და კორსეტებით. ჩვენ დღევანდელი დღე და მომავალი ვართ, შენს მეგობრებზე კი გუშინდელი დღეც აღარ ითქმის. შედოუს ეს სიტყვები საიდანღაც ეცნო.

– ლიმუზინიან მსუქან ბიჭს ხომ არ შეხვედრიხარ? – ჰკითხა ლუსის.

ქალმა ხელები გაშალა და თვალები სასაცილოდ გადაატრიალა, როგორც ლუსი რიკარდოს სჩვეოდა, როცა უნდოდა ეჩვენებინა, მე ხელები დამიბანიაო.

– ტექნობიჭს? ტექნობიჭს შეხვდი? მისმინე, ის კარგი ბიჭია, ერთ-ერთი ჩვენგანი, მაგრამ უცნობებთან ლაპარაკი არ გამოსდის. აი, რომ დაიწყებ ჩვენთვის მუშაობას, ნახავ, რა საოცარი ვინმეა.

– და თქვენთვის მუშაობაზე რომ უარი ვთქვა, მე-მიყვარს-ლუსი?

ლუსის ბინის კარზე დააკაკუნეს. კადრს მიღმა რიკის ხმა გაისმა, ლუუუსი, ამდენ ხანს რას შვრებიო – შემდეგ სცენაში ხომ ორივენი კლუბში უნდა ყოფილიყვნენ. ლუსის კარიკატურულ სახეზე ბრაზი დაემჩნა.

– ჯანდაბა, – წამოიძახა მან, – მისმინე, არ ვიცი, ძველები რამდენს გიხდიან, მაგრამ მე ორმაგს

გადაგიხდი. სამმაგს. ასმაგს. მათზე ბევრად უფრო მეტს მოგცემ, – მომნუსხველად, მაცდურად, ლამაზად გაიღიმა, – რაც გინდა მთხოვე, ძვირფასო. ყველაფერს მიიღებ, – ქალმა ბლუზის ღილების გახსნა დაიწყო, – ეი, შენ, ლუსის ძუძუების ნახვა არასდროს გნდომებია? ეკრანი გაშავდა. ორმოცდახუთი წუთი გავიდა და ტელევიზორი თავისით გამოირთო.

– არა, არ მნდომებია, – თქვა შედოუმ.

საწოლში გადატრიალდა და თვალები დახუჭა. უცებ მიხვდა, რატომაც მოსწონდა უენზდეი, მისტერ ნანსი და სხვები მათ მეტოქეებზე მეტად. მიზეზი მარტივი იყო: მიუხედავად იმისა, რომ ძველები ძუნწები და ბინძურები იყვნენ და მათ საჭმელს მძღნერის გემო ჰქონდა, ახლებისგან განსხვავებით, დაშტამპული ფრაზებით მაინც არ ლაპარაკობდნენ.

გარდა ამისა, სავაჭრო ცენტრს ყველაზე იაფფასიანი, ყველაზე უბადრუკი და თაღლითური გზისპირა ატრაქციონი ერჩია.

დილით შედოუ ისევ გზას ადგა. ზამთრის ბალახითა და ფოთლებშემოძარცული ხეებით

დაფარული, გაყვითლებული ბორცვების გასწვრივ მიდიოდა. თოვლის უკანასკნელი ნარჩენებიც გაქრა. „ნეხვის გროვის“ ავზი იმ პატარა ქალაქის ბენზინგასამართ სადგურში აავსო, რომელშიც სამას მეტრზე რბენაში შტატის თექვსმეტწლამდელ ქალთა ჩემპიონატის მეორეადგილოსანი ცხოვრობდა. იქვე, იმის იმედით, რომ არ დაიშლებოდა, მანქანაც გაარეცხვინა. მისდა გასაკვირად, გასუფთავებული მანქანა თეთრი და დაუჟანგავი აღმოჩნდა.

ცა წარმოუდგენლად ლურჯი იყო, ფაბრიკა-ქარხნების მილებიდან ადენილი თეთრი კვამლი ცაში თითქოს იყინებოდა და ხედი ფოტოსურათზე აღბეჭდილს ემსგავსებოდა. ხმელი ხის ტოტიდან ქორი აიჭრა და შედოუსკენ გამოფრინდა. მზის შუქზე მისი ფრთების ქნევა სტოპკადრების სერიას ჰგავდა.

უცებ გაირკვა, რომ თურმე ისტ-სენტ-ლუისში შედიოდა. მიმართულება შეიცვალა ქალაქიდან გასასვლელად და დიდი სამრეწველო რაიონის წითელი ფანრების ქუჩაზე აღმოჩნდა. უამრავი ტრაილერი და სატვირთო იდგა შენობებთან, რომლებიც საწყობები გეგონებოდათ, მაგრამ ფასადზე გამოკრულ აბრებზე „24-საათიანი ღამის კლუბი“, „სტრიპტიზი“ და ერთგან „საუკეთესო პიპ-შოუ ქალაქში“ ეწერა. შედოუმ გამკიცხავად გააქნია თავი და გზა განაგრძო. ლორას ძალიან უყვარდა ცეკვა, ჩაცმულსა თუ გახდილს (რამდენიმე ღირსახსოვარ საღამოს სულაც ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადავიდა ცეკვა-ცეკვით), შედოუ კი სიამოვნებით უყურებდა ხოლმე.

პატარა ქალაქ რედ-ბადში[91] სადილად სენდვიჩი შეჭამა და „კოკა-კოლა“ დალია.

ჩაუარა ათასობით დამტვრეული ყვითელი ბულდოზერით, ტრაქტორითა და მუხლუხებიანი ექსკავატორით სავსე მინდორს. იქნებ ეს ბულდოზერთა სასაფლაოა, სადაც ბულდოზერები მოსაკვდომად მიდიანო, გაივლო გულში.

გაიარა ჩესტერში („პოპაის[92] სამშობლოში“). შეამჩნია, რომ ამ მიდამოებში ყველაზე ღარიბული, პატარა სახლების ფასადებსაც კი თეთრი სვეტები ამშვენებდა, რათა უცხო თვალისთვის მდიდრულად გამოჩენილიყო. გადაიარა დიდ, ტალახიან მდინარეზე და როცა ხიდის თავთან დარჭობილ დაფაზე მდინარის სახელი – ბიგ-მადი-რივერი[93] – წაიკითხა, გულიანად გადაიხარხარა. დაინახა ზამთარში ფოთლებგაცვენილი სამი

ხე, რომლებიც ზედ მოდებულ ყავისფერ კუძეს[94] შედოუსთვის მომავლის სამკითხაოდ გამზადებული სამი კუზიანი, ალქაჯი დედაბრისთვის დაემსგავსებინა.

მისისიპის გასწვრივ მიუყვებოდა. შედოუს ნილოსი არასდროს ენახა, მაგრამ მზის სხივებისგან თვალისმომჭრელად აციმციმებული განიერი, მუქი მდინარის დანახვისას მღვრიე, ვრცელ ნილოსზე დაიწყო ფიქრი; ოღონდ არა ახლანდელ, არამედ დიდი ხნის წინანდელ ნილოსზე, როცა ის არტერიასავით მიედინებოდა პაპირუსის ჭაობებში, რომლებშიც კობრები, ტურები და გარეული ძროხები ბინადრობდნენ... გზის მაჩვენებელი თებეზე მიუთითებდა.

ამ ჭაობიან მხარეში გზა სამი-ოთხი მეტრის სიმაღლის ყრილზე მიიწევდა. ლურჯ ცაზე შავ წერტილებად მოჩანდნენ აქეთ-იქით გუნდ-გუნდად მფრენი ჩიტები, რომელთა ქაოსური ნავარდი ბრაუნის მოძრაობას მოგაგონებდათ.

ნაშუადღევს მზემ ჩასვლა დაიწყო. გარემო ზღაპრულ ფერებად შეიღება და თითქოს არაამქვეყნიურად გადაიქცა. სწორედ ამ დროს ჩაუქროლა შედოუმ დაფას, რომელმაც აუწყა, უკვე ისტორიულ კაიროში იმყოფებიო. ხიდის ქვეშ გაიარა და პატარა საპორტო ქალაქში აღმოჩნდა. კაიროს შთამბეჭდავი სასამართლოსა და კიდევ უფრო შთამბეჭდავი საბაჟოს შენობები ვეებერთელა, ახალგამომცხვარ ფუნთუშებს ჰგავდა დაისის სიროფივით ოქროსფერ შუქზე.

მანქანა ვიწრო შესახვევში გააჩერა და მდინარის მოაჯირიან სანაპიროსთან მივიდა. ზუსტად არ იცოდა, რომელ მდინარეს გადაჰყურებდა, ოჰაიოს თუ მისისიპის. შენობის უკან, სანაგვე ყუთებში პატარა, ყავისფერი კატა იქექებოდა და დახტოდა. ამ სინათლეზე ნაგავიც კი ჯადოსნურად გამოიყურებოდა.

მდინარის ნაპირთან ეული თოლია ლივლივებდა, ხანდახან ცალ ფრთას მიმართულების გასასწორებლად დაიქნევდა ხოლმე.

უცებ შედოუმ იგრძნო, რომ მარტო არ იყო. სამი მეტრის მოშორებით,ტროტუარზე პატარა გოგო იდგა და ექვსი წლის ბავშვის სერიოზულობით, მოღუშული უყურებდა. ფეხზე ძველი კედები და კაბად მამაკაცის ნაცრისფერი შალის სვიტერი ეცვა. შავი, სწორი და გრძელი თმა ჰქონდა, კანი – მდინარესავით მუქი. შედოუმ გაუღიმა, გოგო მაინც გამომწვევად მისჩერებოდა.

წკმუილი და ჩხავილი მოისმა. პატარა ყავისფერი კატა წაქცეული სანაგვე ყუთიდან გამოხტა, მას გრძელდრუნჩიანი შავი ძაღლი გამოუდგა. კატამ მანქანის ქვეშ შეძრომით უშველა თავს.

– ეი, – გოგონას დაუძახა შედოუმ, – უჩინარი ფხვნილი თუ გინახავს ოდესმე? გოგონამ

მცირე ყოყმანის შემდეგ თავი უარის ნიშნად გააქნია.

– კარგი, – თქვა შედოუმ, – მაშინ მიყურე.

შედოუმ მარცხენა ხელით ოცდახუთცენტიანი ამოიღო, ასწია, გადაატრიალგადმოატრიალა, მერე ვითომ მარჯვენა ხელში ჩაიგდო, ოღონდ მუჭი მხოლოდ ჰაერს მოავლო და ისე გაიშვირა წინ.

– ახლა, – თქვა მან, – ჯიბიდან უჩინარ ფხვნილს ამოვიღებ, – მარცხენა ხელი გულის ჯიბეში ჩაიყო და მონეტა შიგ ჩაიდო, – იმ მუჭს მოვაყრი, რომელშიც მონეტა მიდევს, – თითები ერთმანეთზე გაუსვ-გამოუსვა, თითქოს მართლა ფხვნილს იყრიდა მარჯვენა ხელზე, – და, აი, შეხედე, მონეტაც გაქრა, – ჯერ ცარიელი მარჯვენა მუჭი გაშალა და შემდეგ – ცარიელი მარცხენა.

გოგონას ხმა არ ამოუღია, მხოლოდ უყურებდა.

შედოუმ მხრები აიჩეჩა და ხელები ჯიბეებში ჩაიწყო. ერთი ხელი ოცდახუთცენტიანს მოავლო, მეორე – ხუთდოლარიან კუპიურას. აპირებდა ორივე ჰაერიდან „ჩამოეხსნა“ და გოგოსთვის ხუთდოლარიანი ეჩუქებინა – ისე გამოიყურებოდა, აშკარად სჭირდებოდა.

– ოჰო, სეირის მაყურებლები შეგროვდნენ, – თქვა შედოუმ.

გოგონას აქეთ-იქიდან შავი ძაღლი და პატარა ყავისფერი კატა ამოსდგომოდნენ და ისინიც

დაჟინებით უცქერდნენ. ძაღლს ვეება ყურები დაეცქვიტა და სასაცილოდ გამოიყურებოდა. ტროტუარზე მათკენ ყანჩასავით კისერწაგრძელებული, ოქროსსათვალიანი კაცი მოაბიჯებდა და აქეთ-იქით იხედებოდა, თითქოს რაღაცას ეძებდა. ალბათ ძაღლის პატრონი თუაო, გაიფიქრა შედოუმ.

– აბა, რას იტყვი? – გოგოს გასამხიარულებლად ძაღლს ჰკითხა შედოუმ, – მოგეწონა?

შავმა ძაღლმა წაგრძელებული დრუნჩი გაილოკა. შემდეგ დაბალი, ბოხი ხმით თქვა: – ერთხელ ჰარი ჰუდინის[95] შოუ ვნახე და დამიჯერე, მეგობარო, შენ ჰარი ჰუდინი არ ხარ.

გოგონამ ჯერ შედოუს შეხედა, შემდეგ – ცხოველებს და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, თითქოს ჯოჯოხეთის ყველა დემონი უკან მისდევდა. ძაღლმა და კატამ თვალი გააყოლეს. ამასობაში ყანჩასავით კისერწაგრძელებული კაცი ძაღლთან მივიდა, დაიხარა და აცქვეტილი ყურები მოჰფხანა.

– კარგი, რა, – უთხრა მან ძაღლს, – ეს მხოლოდ მონეტის ფოკუსი იყო, წყლის ქვეშ კი არ გაუთავისუფლებია თავი.

– ჯერ არა, – თქვა ძაღლმა, – მაგრამ მაგასაც იზამს. ოქროსფერი დაისი ნაცრისფერმა

ბინდმა შეცვალა.

შედოუმ ოცდახუთცენტიანი მონეტა და დაკეცილი ხუთდოლარიანი ისევ ჯიბეში შეინახა.

– აბა, – თქვა მან, – რომელია თქვენგან ტურა?

– თვალები გაახილე, – ურჩია დიდდრუნჩიანმა ძაღლმა, – წამოდი, – ძაღლი ოქროსსათვალიანი კაცის გვერდით გაძუნძულდა ტროტუარზე. ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ შედოუც მათ გაჰყვა. კატა აღარსად ჩანდა. ფანჯრებაჭედილი შენობების რიგს ჩაუარეს და დიდ, ძველ სახლთან შედგნენ.

კარის გვერდით მიკრულ დაფაზე ეწერა: იბისი და მისტერ ტურელი. ოჯახური ფირმა. დამკრძალავი სახლი. 1863 წლიდან.

– მე მისტერ იბისი ვარ, – გაეცნო შედოუს ოქროსსათვალიანი კაცი, – გთხოვთ, ვახშამზე დამეწვიეთ, სანამ ჩემი მეგობარი თავის პატარა საქმეს მიხედავს. სადღაც ამერიკაში

სალიმს ნიუ-იორკი აშინებს, ამიტომაც ორივე ხელით მაგრად ჩაბღუჯული, ნიმუშებით სავსე კეისი გულში ჩაუკრავს. ეშინია შავკანიანებისა და მათი ბღვერის, ეშინია ებრაელების, რომელთაგან ზოგს შავი ტანსაცმლით, ქუდით, წვერითა და კულულებით ცნობს, მაგრამ უფრო მეტს – ვერა; ეშინია სხვადასხვა ფორმისა და ზომის ხალხისა, დაუსრულებლად რომ გამოედინებიან ძალიან, ძალიან მაღალი, ჭუჭყიანი შენობებიდან; ეშინია ავტომობილების გამაყრუებელი გნიასისა, და ეშინია თვით ჰაერისაც, რომელიც ერთდროულად ბინძურიცაა და ტკბილიც და სრულებით განსხვავდება ომანის ჰაერისგან.

უკვე ერთი კვირაა, სალიმი ამერიკაშია, ნიუ-იორკში ცხოვრობს. ყოველდღე ორ ან სამ ადგილას მიდის, კეისს ხსნის და სპილენძის იაფფასიან სამშვენისებს, ბეჭდებს, ბოთლებს, პატარა ელექტროფანრებსა და შიგნიდან სპილენძისფრად მბზინავ ემფაიარ-სთეით-ბილდინგის, თავისუფლების ქანდაკებისა და ეიფელის კოშკის მინიატიურულ მოდელებს ამოალაგებს ხოლმე. ყოველ ღამე თავის სიძეს, ფუადს, შინ, მასკატში, ფაქსს უგზავნის და ატყობინებს, არაფერი შემიკვეთესო, ანდა, რომელიმე იღბლიან დღეს – რამდენიმე შეკვეთა მომცესო (მაგრამ სალიმს ძალიან აწუხებს, რომ შეკვეთების სანაცვლოდ მიღებული თანხა ჯერჯერობით თვითმფრინავის ბილეთისა და სასტუმროში ცხოვრების საფასურსაც ვერ ფარავს).

სიძის საქმიანმა პარტნიორებმა სალიმი რატომღაც 46-ე ქუჩაზე, სასტუმრო „პარამაუნტში“ დააბინავეს. სალიმს იქაურობა ეძვირება, ეუცხოება და აბნევს, ნომერში სული ეხუთება.

ფუადი სალიმის დის ქმარია. მდიდარი არაა, მაგრამ წვრილმანი ნივთების მწარმოებელი ქარხნის თანამფლობელია. იქ სპილენძისგან იაფფასიან სამკაულებს, ბროშებს, ბეჭდებს, სამაჯურებსა და ფიგურებს ამზადებენ. პროდუქცია მთლიანად ექსპორტისთვისაა განკუთვნილი; არაბულ ქვეყნებში, ევროპასა და ამერიკაში გააქვთ.

სალიმი უკვე ექვსი თვეა, ფუადისთვის მუშაობს. ფუადი ცოტათი აფრთხობს. ფუადის ფაქსებში პასუხების ტონი მკაცრდება. საღამოობით სალიმი სასტუმროს ნომერში ზის, ყურანს კითხულობს და თავს იმხნევებს, რომ ყველაფერი გაივლის, ამ უცნაურ სამყაროში მისი ყოფნა აუცილებლად დასრულდება.

სიძემ ათასი დოლარი მისცა სახარჯოდ, მათ შორის, სამგზავროდაც, და ფული, რომელიც სალიმს თავიდანვე ძალიან ბევრი მოეჩვენა, იმაზე უფრო სწრაფად თავდება, ვიდრე წარმოედგინა. თავიდან, იმის შიშით, ვინმეს წუწკი არაბი არ ვეგონოო, გულუხვად უხდიდა ყველას ფეხის ქირასა და გასამრჯელოს; მაგრამ მალე მიხვდა, რომ მისი ხელგაშლილობით ბოროტად სარგებლობდნენ და ალბათ დასცინოდნენ კიდეც. ჰოდა, სალიმმაც ყველას შეუწყვიტა დამატებითი დოლარის მიცემა.

მეტროთი ერთადერთხელ მგზავრობისას გზა აებნა და შეხვედრაზე დააგვიანდა; ახლა, თუ საჭიროა, ტაქსის იძახებს, ან არადა, ყველგან ფეხით დადის. სუსხიანი ქუჩიდან ლოყებგაყინული შედის ზედმეტად გამთბარ ოფისებში, პალტოს ქვეშ ოფლში იწურება, თოვლ-ჭყაპში ფეხსაცმლები უსველდება. როცა ავენიუების ბოლოდან ქარი დაუბერავს (ავენიუები ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიიწევს, ხოლო ქუჩები – დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, ძალიან მარტივია, სალიმი ყოველთვის ხვდება, საითაა მექა), შიშველი კანი ეხორკლება ხოლმე.

სასტუმროში არასდროს ჭამს, რადგან ფუადის საქმიანი პარტნიორები მხოლოდ სასტუმროში ცხოვრების საფასურს იხდიან, საჭმლისა თვითონ უნდა გადაიხადოს. საჭმელს არაბულ სასადილოებსა და პატარა რესტორნებში ყიდულობს. ერთხანს პალტოს ქვეშ დამალული შეჰქონდა სასტუმროში, მაგრამ მერე შეამჩნია, რომ არავის ანაღვლებდა. და მაინც, თავს უცნაურად გრძნობს, როცა საჭმლით სავსე პაკეტებით შედის ოდნავ განათებულ ლიფტში (ყოველთვის დახრა უწევს, როცა თვალებმოჭუტული აჭერს თითს საჭირო ღილაკს) და თავის პატარა, თეთრკედლებიან ნომერში ადის.

სალიმი განაწყენებულია. დილით რომ გაიღვიძა, ფუადის ფაქსი დახვდა. ფუადი მკაცრად საყვედურობს, ვერ ივარგეო: სალიმმა იმედი გაუცრუა დას, ფუადს, ფუადის საქმიან პარტნიორებს, ომანის სასულთნოს, მთელ არაბულ სამყაროს. თუ შეკვეთების რაოდენობა არ

მოიმატებს, ფუადი იძულებული გახდება, სალიმი დაითხოვოს. არადა, როგორ იმედს ამყარებდნენ მასზე. მეტისმეტად ძვირად ღირებულ სასტუმროში დააბინავეს. ნეტავ სალიმმა ამდენ ფულს რა უყო, ამერიკაში სულთანივით ცხოვრობს? სალიმმა ფაქსი თავის ოთახში (რომელშიც ისე ცხელა და ისეთი დახუთულობაა ხოლმე, რომ წუხელ ფანჯარა გააღო, ამ დილით კი სიცივისგან კანკალებდა) წაიკითხა და შესაბრალისი გამომეტყველებით დიდხანს გაუნძრევლად იჯდა.

შემდეგ სალიმი ქალაქის ცენტრში წავიდა. კეისი ისე მაგრად ეჭირა ხელში, თითქოს შიგ ბრილიანტები და ლალები ეწყო. მრავალი კვარტალი გაიარა ყინვაში, სანამ ბროდვეისა და მე-19 ქუჩის კუთხეში, სამრეცხაოს ზემოთ, დაბალ შენობას არ მიაგნო. ახლა კიბით მეოთხე სართულზე ადის და „პანგლოუბალ იმპორტსის“ ოფისის კარს აღებს.

ერთი უბადრუკი ოფისია, მაგრამ სალიმმა იცის, რომ „პანგლოუბალი“ ახლოაღმოსავლური სუვენირების უმსხვილესი შემომტანია აშშ-ში, იმპორტის

თითქმის ნახევარი მასზე მოდის. ნამდვილი შეკვეთა, მნიშვნელოვანი შეკვეთა „პანგლოუბალისგან“ სალიმს ფინანსური კრახისგან იხსნის, მის ამერიკაში ჩამოსვლას წარმატებულს გახდის, ამიტომაც ზის ხის მოუხერხებელ სკამზე და მუხლებზე კეისი უდევს. იცდის. მის წინ მაგიდას მეტისმეტად წითლად თმაშეღებილი ქალი უზის და გაუთავებლად იხოცავს ცხვირს „კლინექსით“. ნახმარ „კლინექსებს“ სანაგვეში ყრის.

სალიმი „პანგლოუბალის“ ოფისში დათქმულ დრომდე ოცდაათი წუთით ადრე, თერთმეტის ნახევარზე მივიდა. ლოყებაწითლებული ზის და კანკალებს, ნეტავ ხომ არ გავცივდიო, ფიქრობს. დრო ნელა გადის.

სალიმი მაჯის საათს დასცქერის. შემდეგ ყურადღების მისაქცევად ახველებს.

მაგიდასთან მჯდარი ქალი უბღვერს.

– დიახ? – ეუბნება იგი, ოღონდ სალიმს „დიაქ“ ჩაესმის. – თორმეტს თხუთმეტი წუთი

  უკლია, – ამბობს სალიმი. ქალი კედლის საათს შეჰყურებს და ამბობს: „დიაქ, ეგრეა“.

– თერთმეტ საათზე დამიბარეს, – თავაზიანი ღიმილით ეუბნება სალიმი.

– მისტერ ბლენდინგმა იცის, რომ აქ ხართ, – გამკიცხავად ეპასუხება ქალი. „ბიდტერ ბლეთიგმა ითის, რო აქ ქართ“.

სალიმი მაგიდიდან „ნიუ იორკ ტაიმსის“ ძველ ნომერს იღებს. ინგლისურად უკეთ ლაპარაკობს, ვიდრე კითხულობს, ამიტომ სტატიის კითხვა ისე უჭირს, თითქოს კროსვორდის შევსებას ცდილობდეს. სხვა რა გზაა, კვლავ იცდის, პუტკუნა ახალგაზრდა კაცი ნაწყენ ფინიასავით საბრალო თვალებით ჯერ მაჯის საათს დაჰყურებს, მერე – გაზეთს და ბოლოს კედლის საათზე გადააქვს მზერა.

პირველის ნახევარზე კაბინეტიდან რამდენიმე ადამიანი გამოდის. ხმამაღლა ლაპარაკობენ, ამერიკულად ყბედობენ ერთმანეთში. ერთ-ერთს, ზორბა, ღიპიან კაცს, მოუკიდებელი სიგარა აქვს პირში გარჭობილი. კაბინეტიდან გამოსვლისას სალიმს გასცქერის. მერე მაგიდასთან მჯდარ ქალს ეუბნება, ლიმონის წვენი და თუთია მიიღოს, ჩემი და ირწმუნება, ვიტამინი C და თუთია ყველაფერს შველისო. ქალი ჰპირდება, კარგიო და რამდენიმე კონვერტს აძლევს. კაცი კონვერტებს ჯიბეში იდებს და სხვებთან ერთად გადის გარეთ. მათი სიცილ-ხარხარის ექო კიბეზე თანდათან წყდება.

პირველი საათია. ქალი მაგიდის უჯრიდან ყავისფერ პაკეტს, პაკეტიდან კი ორ ცალ სენდვიჩს, ვაშლსა და ერთ ცალ „მილკი უეის“[96] იღებს. ამათ გვერდით პლასტმასის ბოთლით დგამს ახლად დაწურული ფორთოხლის წვენს.

– უკაცრავად, – ამბობს სალიმი, – იქნებ მისტერ ბლენდინგს დაურეკოთ და უთხრათ, რომ მე ჯერაც ველოდები?

ქალი თავს სწევს, თითქოს არც ახსოვდა, რომ სალიმი ისევაქ იყო, თითქოს ბოლო ორსაათ-ნახევრის განმავლობაში მის წინ არ მჯდარიყოს. – ახლა სადილობს, – პასუხობს სალიმს. „აქლა თადილოფს“.

სალიმმა იცის, გუმანით იცის, რომ ბლენდინგი იყო ის კაცი, ვისაც მოუკიდებელი სიგარა ჰქონდა პირში გარჭობილი.

– როდის დაბრუნდება? ქალი მხრებს იჩეჩს და სენდვიჩს კბეჩს.

– დღეს მთელი დღე შეხვედრები აქვს, – ამბობს ის. „თქეს მთელი თქე შექვეთრები აქს“.

– რომ დაბრუნდება, შემხვდება? – ეკითხება სალიმი. ქალი მხრებს იჩეჩს და ცხვირს იხოცავს. სალიმს უფრო და უფრო ძლიერ შივდება, გაჯავრებულია, თავს უმწეოდ გრძნობს. სამ საათზე ქალი ეუბნება: – აგარ თაბრუთება.

– უკაცრავად?

– ბიდტერ ბლეთიქი დქეს აგარ თაბრუთება. – შეიძლება ხვალისთვის დავთქვათ შეხვედრა? ქალი ცხვირს იხოცავს.

– ტელეფონი გაქთ? შექვეთრები ტელეფონით უნდა დათქვათ.

– გასაგებია, – ამბობს სალიმი და იღიმება: მასკატიდან გამომგზავრებისას ფუადმა დაარიგა, ამერიკაში ღიმილი გამყიდველის სამოსიაო, – ხვალ დაგირეკავთ.

ნიმუშებით სავსე კეისს იღებს და მრავალსაფეხურიან კიბეზე ჩადის. გარეთ თოვლნარევი წვიმა მოდის. სალიმი ორჭოფობს, მძიმე კეისით 46-ე ქუჩაზე მდებარე სასტუმრომდე გრძელი გზა ფეხით გაიაროს თუ არა, მერე ტროტუარის კიდეზე დგება და ყოველ ყვითელ ტაქსის, თავისუფალს თუ დაკავებულს, ხელს უქნევს. არც ერთი ყვითელი ტაქსი არ უჩერებს.

ერთ-ერთი ტაქსი გვერდით ჩავლისას სიჩქარეს უმატებს; საბურავი გუბეში ვარდება და სალიმს შარვალსა და პალტოზე ტალახიან წყალს აშხეფებს. წუთით იმასაც კი ფიქრობს, რომელიმე მანქანას ჩაუხტეს, მაგრამ მალევე იაზრებს, რომ ფუადს ნიმუშებით სავსე კეისის ბედი უფრო შეაწუხებს, ვიდრე მისი; თავისი სიკვდილით მხოლოდ საყვარელ დაიკოს, ფუადის ცოლს თუ დასწყვეტს გულს (სალიმი მშობლებს ყოველთვის ზედმეტ ტვირთად აწვა, ყოველი მისი რომანტიკული ურთიერთობა კი ხანმოკლე და, როგორც საჭიროება მოითხოვდა, ანონიმური იყო): თანაც, არც ერთი მანქანა ისე სწრაფად არ მოძრაობს, რომ სალიმი იმსხვერპლოს.

მის გვერდით დანჯღრეული ყვითელი ტაქსი ჩერდება. სალიმს მავნე აზრები ეფანტება და მანქანაში ჯდება.

გახეული უკანასავარძელი ლენტითაა დაწებებული; ნახევრად ღია „პლექსიგლასის“ ტიხარზე მითითებულია, რა ღირს ამა თუ იმ აეროპორტამდე მგზავრობა და იქვე წერია, რომ ტაქსიში

მოწევა აკრძალულია. სალიმისთვის სრულიად უცნობი რომელიღაც ცნობილი ადამიანის ჩაწერილი ხმა აფრთხილებს, უსაფრთხოების ღვედი გაიკეთეო.

– სასტუმრო „პარამაუნტი“, – მისამართს ეუბნება ტაქსის მძღოლს სალიმი.

ტაქსის მძღოლი რაღაცას ბურტყუნებს და მანქანას ძრავს. წვერგაუპარსავია. სქელი, მტვრისფერი სვიტერი აცვია და პლასტმასისმინიანი მუქი სათვალე უკეთია. არადა, მოღრუბლულია. ღამდება. ნეტავ მძღოლს თვალებზე რამე ხომ არ სჭირსო, ფიქრობს სალიმი. მინასაწმენდები ქუჩის ხედს აბუნდოვანებენ და შუქის ციმციმს გადღაბნილ ლაქებად აქცევენ.

ტაქსის საიდანღაც ავტოფურგონი უჭრის გზას და მძღოლი არაბულად ილანძღება, წინასწარმეტყველის წვერს ახსენებს.

სალიმი ხელსაწყოთა დაფაზე მიკრულ მძღოლის სახელსა და გვარს აკვირდება, მაგრამ ვერ არჩევს.

– რამდენი ხანია, რაც ტაქსის მძღოლი ხარ, მეგობარო? – ეკითხება მას არაბულად.

– ათი წელი, – არაბულადვე პასუხობს ტაქსისტი, – საიდან ხარ?

– მასკატიდან, – პასუხობს სალიმი, – ომანიდან.

– აჰ, ომანიდან? ომანში ნამყოფი ვარ. ძალიან დიდი ხნის წინ. ქალაქ უბარის შესახებ თუ გსმენია? – ეკითხება ტაქსის მძღოლი.

– რასაკვირველია, – პასუხობს სალიმი, – კოშკების დაკარგული ქალაქი. ზუსტად აღარ მახსოვს, ხუთი თუ ათი წლის წინ იპოვეს უდაბნოში. იმ ექსპედიციის წევრი იყავი, გათხრებს რომ აწარმოებდა?

– შეიძლება ასე ითქვას. კარგი ქალაქი იყო, – ამბობს ტაქსის მძღოლი, – თითქმის ყოველ ღამე იქ სამი ან ოთხი ათასი ადამიანი ბანაკდებოდა: ყოველი მოგზაური უბარში ისვენებდა, ისმოდა მუსიკა და ღვინო მდინარესავით მოედინებოდა; უბარში მდინარეც მოედინებოდა, ქალაქიც ამის წყალობით არსებობდა.

– მეც ასე გამიგია, – ამბობს სალიმი, – მერე კი ქალაქი განადგურდა –ათასი თუ ორი ათასი წლის წინ. არა?

ტაქსის მძღოლი დუმს. წითელ შუქზე ჩერდებიან. მწვანე შუქი ინთება, მაგრამ ტაქსის მძღოლი,

თითქმის მაშინვე ატეხილი გამაყრუებელი პიპინის მიუხედავად, სვლას არ აგრძელებს. სალიმი „პლექსიგლასის“ ტიხრიდან ყოფს ხელს და გაუბედავად ეხება მას მხარზე. ტაქსის მძღოლი კრთება, თავს სწევს და გაზის პედალს ადებს ფეხს. გზაჯვარედინს კვეთენ.

– დედას შევეცი, – იგინება ინგლისურად.

– ალბათ, ძალიან დაიღალე, მეგობარო, – ეუბნება სალიმი.

– უკვე ოცდაათი საათია, ამ ალაჰისგან დაწყევლილი ტაქსით დავდივარ, – ეუბნება ტაქსის მძღოლი, – მეტისმეტია. მანამდე მხოლოდ ხუთი საათი მეძინა, ძილამდე კი თოთხმეტი საათი დავდიოდი. შობის წინ დიდი დატვირთვით ვმუშაობთ.

– იმედია, ბევრი ფული იშოვე.

– არც ისე, – ოხრავს ტაქსის მძღოლი, – ამ დილით 51-ე ქუჩიდან ერთი ტიპი ნიუარკის აეროპორტში მივიყვანე. ადგილზე რომ მივედით, მანქანიდან გადამიხტა და გაიქცა. ვეღარ ვიპოვე. ორმოცდაათი დოლარის გზაზე სულ ტყუილად ვიარე. ამას აქეთ მგზავრობის ხარჯიც დაამატე. სალიმი თავს უქნევს.

– დღეს მთელი დღე ვუცადე კაცს, რომელსაც ჩემი ნახვა არ უნდოდა. ჩემს სიძეს ვძულვარ. ერთი კვირაა ამერიკაში ვარ, მაგრამ ფულის ხარჯვის მეტი არაფერი მიკეთებია. ვერაფერი გავყიდე.

– რას ყიდი?

– ნაგავს, – პასუხობს სალიმი, – უსარგებლო ზიზილ-პიპილებს, იაფფასიან სამკაულებსა და ტურისტულ სუვენირებს. საშინელ, უხარისხო, უშნო ნაგავს.

ტაქსის მძღოლი საჭეს მკვეთრად მარჯვნივ ატრიალებს, რაღაცას გარს უვლის და გზას აგრძელებს. ამ წვიმასა და სიბნელეში მუქი სათვალე ხედვაში ხელს როგორ არ უშლისო, უკვირს თავისთვის სალიმს.

– მაშ, ნაგვის გასაღებას ცდილობ?

– კი, – პასუხობს იმით შეძრწუნებული და აღელვებული სალიმი, რომ სიძის საქონელზე სიმართლე თქვა.

– და არავინ ყიდულობს?

– არა.

– უცნაურია. აქაურ მაღაზიებს რომ უყურებ, ნაგვის მეტს კი არაფერს ყიდიან. სალიმი ნერვიულად იღიმის.

წინ სატვირთო მანქანას ქუჩა ჩაუხერგავს. იქვე მდგარი სახეაწითლებული პოლიციელი ხელის ქნევითა და ყვირილით მიუთითებს მათ უახლოესი ქუჩისკენ.

– მე-8 ავენიუზე გადავალთ და ქალაქის ცენტრიდან ისე გავაღწევთ, – უხსნის ტაქსის მძღოლი სალიმს და უხვევს ქუჩაზე, რომელზეც „საცობია“ და მანქანები საერთოდ ვერ მოძრაობენ, ყველა მძღოლი სიგნალს აძლევს და სრული კაკოფონიაა.

ტაქსის მძღოლს ძილი ეკიდება, თავს აკანტურებს, მერე მკერდზე უვარდება და ფშვინვას იწყებს. სალიმი ხელს იშვერს, რომ კაცი გააღვიძოს. იმედოვნებს, რომ სწორად იქცევა. მხარზე ხელს ჰკიდებს და ოდნავ ანჯღრევს. ამ დროს ტაქსის მძღოლი ირხევა, სალიმის ხელი სახეზე ხვდება, სათვალე სძვრება და კალთაში უვარდება. ტაქსისმძღოლითვალებს ახელს, მუქმინიან სათვალეს სასწრაფოდიღებს და ისევ

იკეთებს, მაგრამ უკვე გვიანაა, სალიმმა მისი თვალების დანახვა მოასწრო. წვიმაში მანქანა წინ მიბობღავს. მრიცხველზე რიცხვი იზრდება.

– მომკლავ? – ეკითხება სალიმი.

ტაქსის მძღოლს პირი მოკუმული აქვს. სალიმი მის სახეს უკანა ხედვის სარკეში აკვირდება.

– არა, – პასუხობს ის. მანქანა ისევ ჩერდება. სახურავზე წვიმის წვეთებს წკაპაწკუპი

გააქვს.

სალიმი ლაპარაკს იწყებს: – ბებიაჩემი იფიცებოდა, ერთხელ, მოსაღამოებულზე, უდაბნოს პირას იფრითი[97] თუ მარიდი[98] ვნახეო. ვარწმუნებდით, ალბათ ქარი ქროდა, ქვიშის ქარიშხალი დაინახეო, მაგრამ დაიჟინა, არა, მისი სახე ვნახეო; თურმე თვალები, შენსავით, წითლად უგიზგიზებდა.

ტაქსის მძღოლი იღიმის, მაგრამ მის თვალებს მუქი პლასტმასის მინები მალავს

და სალიმი ვერ ხვდება, ეს ღიმილი მხიარულია თუ არა.

– ამერიკაში ბებიებიც ჩამოდიოდნენ, – ამბობს ის.

– ნიუ-იორკში ბევრი ჯინი[99] ცხოვრობს?

– არა, ბევრნი არა ვართ.

– არიან ანგელოზები, არიან ადამიანები, რომლებიც ალაჰმა თიხისგან შექმნა და არიან ცეცხლის არსებები, ანუ ჯინები, – ამბობს სალიმი.

– აქაურმა ხალხმა ჩემნაირებზე არაფერი იცის, – ამბობს ტაქსის მძღოლი, – ჰგონიათ, ჩვენ სურვილებს ვასრულებთ. მე რომ სურვილების ასრულება შემეძლოს, როგორ გგონია, ტაქსის მძღოლად ვიმუშავებდი?

– რას გულისხმობ?

ტაქსის მძღოლი იღუშება. სალიმი იფრითის შავი ტუჩების მოძრაობას უკანა ხედვის სარკეში უყურებს.

– აქ ჰგონიათ, რომ სურვილებს ვასრულებთ. რატომ ფიქრობენ ასე? ბრუკლინში ერთ აქოთებულ ოთახში მძინავს. ამ ტაქსით ნებისმიერ შერეკილს დავატარებ, ტაქსით მგზავრობის ფული აქვს თუ არ აქვს. იქ მიმყავს, სადაც თვითონ მეტყვიან და საფასურს მიხდიან. ზოგჯერ ხურდასაც არ მართმევენ, – ქვედა ტუჩი უთრთის.

იფრითი ღელავს, – ერთმა მგზავრმა ერთხელ უკანა სავარძელზე მოჯვა. სანამ ტაქსის გარაჟში წავიყვანდი, იძულებული გავხდი, მე თვითონ გამომეწმინდა. ადამიანი ასე რატომ უნდა მოიქცე? მისი ტრაწი სავარძლიდან მე ავწმინდე. ეს სამართალია?

სალიმი იფრითს მხარზე ხელის დადებით ამხნევებს. შალის ქსოვილის ქვეშ სიმყარეს გრძნობს. იფრითი საჭიდან იღებს ხელს და რამდენიმე წამით სალიმის ხელს ეხება. სალიმსუდაბნო უდგება თვალწინ: წითელი ქვიშა მტვრისქარიშხალივით ტრიალებს

მის ფიქრებში, ხოლო დაკარგული ქალაქი უბარის ირგვლივ მეწამული აბრეშუმის კარვები ტყლაშუნობს და ფრიალებს. მე-8 ავენიუს მიუყვებიან.

– მოხუცებს სწამთ. ისინი ხვრელებსა და ორმოებში არ ფსამენ, რადგან წინასწარმეტყველისგან

იციან, რომ იქ ჯინები ცხოვრობენ. იციან, რომ ანგელოზები ცეცხლოვან ვარსკვლავებს გვესვრიან, როცა მათი საუბრის მოსმენას ვცდილობთ. მაგრამ თვით მოხუცებისთვისაც, როცა ამ ქვეყანაში ჩამოდიან, ჩვენ ძალიან, ძალიან შორს ვართ. იქ, იმ შორეულ სამშობლოში ტაქსის მძღოლობა არ დამჭირდებოდა.

– ვწუხვარ, – ეუბნება სალიმი.

– ცუდი დროა, – ამბობს ტაქსის მძღოლი, – ქარიშხალი ახლოვდება. ეს მაშინებს. რას არ ვიზამდი, რომ აქაურობას მომაშორა.

სასტუმრომდე ისე მივიდნენ, არც ერთს ხმა აღარ ამოუღია.

ტაქსიდან გადმოსვლისას სალიმი იფრითს ოც დოლარს აძლევს, მაგრამ ხურდას არ ართმევს. შემდეგ მხნეობის უეცარ მოზღვავებას გრძნობს და მას თავისი ოთახის ნომერს ეუბნება. ტაქსის მძღოლი არაფერს პასუხობს. მანქანის უკანა სავარძელზე ახალგაზრდა ქალი ჯდება და ტაქსი წვიმასა და სიცივეში აგრძელებს გზას.

საღამოს ექვსი საათია. სალიმს სიძისთვის ჯერ არ მიუწერია ფაქსი. წვიმაში ქუჩაში გადის და

სავახშმოდ ქაბაბსა და შემწვარ კარტოფილს ყიდულობს. ჯერ მხოლოდ ერთი კვირაა ნიუ-იორკში ცხოვრობს, მაგრამ უკვე სუქდება, მძიმდება და ღიპი ედება.

სასტუმროში რომ ბრუნდება, მისდა გასაკვირად, ვესტიბიულში ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ტაქსის მძღოლი ხვდება. შავ-თეთრი საფოსტო მარკების სტენდთან დგას. სალიმის დანახვაზე მორიდებულად იღიმის.

– შენს ნომერში დავრეკე, – ამბობს ის, – მაგრამ ყურმილი არავინ აიღო. მოცდა გადავწყვიტე.

სალიმიც იღიმის, კაცს მკლავზე ეხება და ეუბნება: – აქ ვარ.

ერთად შედიან მკრთალად, მწვანედ განათებულ ლიფტში და ხელიხელჩაკიდებულები ადიან მეხუთე სართულზე. იფრითი სააბაზანოში შესვლის ნებართვას სთხოვს. – ჭუჭყიანი ვარ, – ამბობს ის.

სალიმი თავს უქნევს. საწოლზე, რომელსაც პატარა, თეთრი ოთახის დიდი ნაწილი უჭირავს, ჩუმად ჯდება და ყურს უგდებს სააბაზანოდან გამოსულ წყლის ჩხრიალს. სალიმი იხდის ფეხსაცმელს, წინდებსა და ტანსაცმელს. ტაქსისმძღოლისააბაზანოდან გამოდის. ნახევრად სველია, წელზეპირსახოცი შემოუხვევია. მზის სათვალე აღარ უკეთია და ნახევრად ბნელ ოთახში მისი თვალები ალისფრად ელვარებს.

სალიმი ცრემლებს ძლივს იკავებს და ამბობს: – ნეტავ შენც ხედავდე იმას, რასაც მე ვხედავ.

– მე სურვილებს არ ვასრულებ, – ჩურჩულებს იფრითი, პირსახოცს ძირს აგდებს და სალიმს ნაზად აწვენს საწოლზე.

იფრითი დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ძლიერი, ღრმა ბიძგით ათავებს სალიმის პირში. ამასობაში სალიმმა უკვე ორჯერ მოასწრო გათავება. ჯინის თესლს უჩვეულო, მწარე გემო აქვს, სალიმს ყელს უწვავს.

სალიმი სააბაზანოში შედის პირის გამოსაბანად. საძინებელში რომ ბრუნდება, ტაქსის მძღოლი უკვე მშვიდად ფშვინავს თეთრ ლოგინში. სალიმი მის გვერდით წვება და მჭიდროდ ეკვრის, წარმოიდგენს, რომ მისი კანი უდაბნოა.

ბურანში მყოფს ახსენდება, რომ ფუადისთვის ფაქსი ჯერაც არ მიუწერია და დანაშაულის განცდა იპყრობს. სულის სიღრმეში თავს ცარიელად და მარტოსულად გრძნობს: ხელს იშვერს, იფრითს გაბრექილ ასოზე ადებს და მოდუნებული იძინებს.

ნაშუაღამევს იღვიძებენ, ერთმანეთს ეხუტებიან და ისევ ესიყვარულებიან. ერთ მომენტში სალიმი აცნობიერებს, რომ ტირის, იფრითი კი მხურვალე ტუჩებით უშრობს ცრემლებს.

– რა გქვია? – ეკითხება სალიმი ტაქსის მძღოლს.

– მართვის მოწმობაზე სახელი და გვარი აწერია, მაგრამ ეგ არ მქვია, – პასუხობს იფრითი.

შემდეგში სალიმმა ვერაფრით გაიხსენა, როდის დამთავრდა სექსი და დაიწყო სიზმრები.

როცა სალიმი იღვიძებს, ფანჯრიდან თეთრკედლებიან ოთახში ცივი მზე იჭყიტება. მარტოა.

მისი კეისიც წაუღიათ თავის ბოთლებიანად, ბეჭდებიანად და სპილენძის სუვენირებიანად; აღარსად ჩანს სალიმის ჩემოდანი, მისი საფულე, პასპორტი და ომანში დასაბრუნებელი თვითმფრინავის ბილეთი.

იატაკზე დაყრილი ჯინსის შარვლის, მაისურისა და მტვრისფერი შალის სვიტერის ქვეშ პოულობს იბრაჰიმ ბინ ირამის[100] სახელზე გამოწერილ მანქანის მართვისა და ტაქსისტის მოწმობებსა და გასაღებების ასხმას, რომელზეც ქაღალდის ნაგლეჯია მიმაგრებული და ზედ

ინგლისურად აწერია ბინის მისამართი. მოწმობებზე დაწებებულ ფოტოებზე გამოსახული კაცი სალიმს დიდად არ ჰგავს, მაგრამ სიმართლე ითქვას, დიდად არც იფრითს ჰგავდა.

ტელეფონი რეკავს. რეგისტრატორი ატყობინებს, რომ სალიმმა ანგარიში უკვე გაასწორა და სტუმარმა რაც შეიძლება მალე უნდა დატოვოს ნომერი, რათა დამლაგებელმა იქაურობა მომდევნო სტუმრისთვის მოაწესრიგოს.

– მე სურვილებს არ ვასრულებ, – ამბობს სალიმი და გრძნობს, რომ ეს სიტყვები თავისით ადგება ენაზე.

ჩაცმისას უჩვეულო თავბრუსხვევას გრძნობს.

ნიუ-იორკი მარტივადაა მოწყობილი: ავენიუები ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიიწევს, ქუჩები – დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ.

– არ გამიჭირდება! – ეუბნება საკუთარ თავს.

გასაღებებს ჰაერში აგდებს და იჭერს. მერე ჯიბეში ნაპოვნ მზის სათვალეს იკეთებს და სასტუმროს ოთახიდან გადის თავისი ტაქსის მოსაძებნად.

მერვე თავი

ასე თქვა, მკვდრებს სულები აქვთო, მაგრამ რომ
ვკითხე, როგორ-მეთქი – თავად მკვდრები მეგონა
სულები – მყისვე ტრანსიდან გამომაფხიზლა. არ
გაეჭვებთ, რომ მკვდრები შეიძლება რამეს მალავდნენ?
დიახ, მკვდრები რაღაცას მართლაც მალავენ. რობერტ
ლი ფროსტი[101], „კუსის ალქაჯი“

ვახშმობისას შედოუმ მისტერ იბისისგან შეიტყო, რომ ჩვეულებრივ, შობის წინა კვირა დამკრძალავი სახლისთვის ნაკლებად დატვირთულია.

– სულთმობრძავები როგორღაც უკანასკნელი შობის გადაგორებასაც ახერხებენ, – თქვა მისტერ იბისმა, – ზოგი ახალ წლამდეც მიაღწევს ხოლმე; ხოლო ისინი, ვისთვისაც სხვათა ზეიმისა და მხიარულების ცქერა მეტისმეტად მტკივნეულია, გაღმა ნაპირზე ჯერაც არ გაუგზავნია ფილმის, „ცხოვრება მშვენიერია“[102] ბოლო ჩვენებას, ჯერაც არ დაუმძიმებია იმ ბოლო ჩალის ღეროს, ან უფრო უპრიანი იქნება ითქვას, იმ ბოლო ბაძგის რტოს[103], რომელმაც აქლემს კი არა,

ჩრდილოეთის ირემს[104] მოსწყვიტა წელი[105], – და ნახევრად ჩაიცინა თუ ჩაიფრუტუნა, აშკარად კმაყოფილი იყო ამ თავის მახვილგონივრული ფრაზით.

დამკრძალავი სახლი „იბისი და ტურელი“ პატარა, ოჯახური ბიზნესი იყო. ამ მხარეში სხვა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი დამკრძალავი სახლი აღარ არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, მისტერ იბისი ამას ამტკიცებდა.

– ხალხი ძირითადად დიდი და ცნობილი ბრენდების მომსახურებით სარგებლობს, – თქვა მან.

მისტერ იბისი თავის ყოველ ნათქვამს ახსნა-განმარტებას ურთავდა: თითქოს აუღელვებლად, გასაგებად კითხულობდა ლექციას. შედოუს მისი სმენისას ერთი კოლეჯის პროფესორი გაახსენდა, რომელიც „კუნთების ფერმაში“ ვარჯიშობდა ხოლმე; პროფესორი კი არ ლაპარაკობდა, არამედ მსჯელობდა, განმარტავდა, ასწავლიდა. შედოუმ მისტერ იბისის გაცნობიდან რამდენიმე წუთში დაასკვნა, რომ დამკრძალავი სახლის მფლობელი საუბარში რაც შეიძლებოდა ნაკლებ მონაწილეობას მოითხოვდა მისგან. „იბისისა და ტურელის დამკრძალავი სახლიდან“ ორიოდე კვარტალის მოშორებით მდებარე პატარა რესტორანში ისხდნენ. შედოუმ ნოყიერად ივახშმა, მისტერ იბისი კი ყავისთვის შესატანებელი კექსის ერთ ნაჭერს ციცქნიდა.

– ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ ხალხს სურს, წინასწარ იცოდეს, რას მიიღებს. ამიტომაცაა „მაკდონალდსი“, „უოლ-მარტი“ და „ვულუორთი“ (ღმერთმა გაანათლოს) საქვეყნოდ ცნობილი, გავრცელებული ბრენდები. სადაც უნდა წახვიდე, ყველგან, მცირე, რეგიონული განსხვავებებით, ერთსა და იმავეს მიიღებ.

დაკრძალვის სფერო კი სრულიად განსხვავებულია; ადამიანი იძულებულია, ამ მომსახურებით ისარგებლოს. კლიენტი დამკრძალავი სახლისგან საქმისადმი პროფესიულ მიდგომას უნდა გრძნობდეს. ჭირისუფალს სურს, ამ დიდი მწუხარებისა და გლოვის ჟამს, მიცვალებული ისეთმა ადამიანმა გააპატიოსნოს, რომელიც მათ დანაკლისს განიცდის. სწორედ ამიტომ ურჩევნიათ პატარა, ადგილობრივი დამკრძალავი სახლები დიდსა და საქვეყნოდ ცნობილებს. ოღონდ ბიზნესის ყოველ დარგში – ხოლო სიკვდილიც, ჩემო მეგობარო, ბიზნესია, ეს არასდროს შეგეშალოთ – შემოსავალი მსხვილ ოპერაციებს, ცენტრალიზებულ მოქმედებებსა და დიდ შესყიდვებს მოაქვს. ვიცი, ცუდად ჟღერს, მაგრამ ეს სიმართლეა. პრობლემა შემდეგია: არავის სურს იმის ცოდნა, რომ მისი საყვარელი ადამიანი საყინულიანი ავტოფურგონით წაიღეს რომელიღაც დიდ, ძველ, გადაკეთებულ საწყობში, სადაც მის გარდა კიდევ ოცი, ორმოცდაათი თუ ასი გვამი ასვენია. არა, სერ. ხალხს სურს, სჯეროდეს, რომ მის მიცვალებულს სათანადო პატივს მიაგებს ოჯახის ისეთი ახლო ნაცნობი, რომელიც ქუჩაში შეხვედრისას მათ ქუდის მოხდით ესალმება ხოლმე.

მისტერ იბისს ქუდი ეხურა. მკრთალი ყავისფერი ქუდი იყო, მის მკრთალ ყავისფერ პიჯაკსა და მკრთალ ყავისფერ სახესთან შეხამებული. ცხვირზე პატარა, ოქროსჩარჩოიანი სათვალე დაესკუპებინა. შედოუს მისტერ იბისი ტანმორჩილ კაცად ამახსოვრდებოდა, მაგრამ ყოველთვის, როცა გვერდით ამოუდგებოდა, თითქოს ხელახლა აღმოაჩენდა, რომ ყანჩასავით კისერწაგრძელებული მისტერ იბისი 1,9 მეტრის სიმაღლის მაინც იქნებოდა.

– ამგვარად, დიდი კომპანიები პატარა კომპანიების სახელებს ყიდულობენ, დამკრძალავი სახლის თანამშრომლებს ფულს უხდიან, რომ იქვე მუშაობა გააგრძელონ და ამით ბაზარზე მოჩვენებით მრავალფეროვნებას ქმნიან.

სინამდვილეში ეს მხოლოდ საფლავის ქვის წვერია და ადგილობრივი დამკრძალავი სახლები ისეთივე ადგილობრივია, როგორიც, მაგალითად, „ბურგერ კინგი“. აი, ჩვენ კი ჭეშმარიტად დამოუკიდებლები ვართ, რადგან ჩვენთვის ასე უფრო ხელსაყრელია. ცხედარს ჩვენ თვითონ ვაბალზამებთ, საუკეთესო ბალზამი გვაქვს მთელ ქვეყანაში, ოღონდ ეს ჩვენ გარდა არავინ იცის. კრემაციას არ ვახდენთ. საკუთარი კრემატორიუმი რომ გვქონდეს, უფრო მეტ ფულს ვიშოვიდით, მაგრამ რაშიც საუკეთესოები ვართ, იმის საწინააღმდეგოს ვერ ვიზამთ. ჩემი საქმიანი პარტნიორი ამბობს, თუ უფალმა რაიმეს კეთების ნიჭი ან უნარი გიბოძა, ვალდებული ხარ, საუკეთესოდ გამოიყენოო. მეთანხმებით?

– კი, – უპასუხა შედოუმ.

– უფალმა ჩემს პარტნიორს მკვდრებზე ბატონობის უფლება უბოძა, ხოლო მე – მჭევრმეტყველების ნიჭი. კარგი რამაა ეს სიტყვები. იცით, მოთხრობებს ვწერ. დიდი მწერალი მე არ ვარ, ისეთი არაფერია, მხოლოდ ვერთობი. სხვათა ამბებს აღვწერ, – მისტერ იბისი გაჩუმდა. სანამ შედოუმ მოისაზრა, ეკითხა, რომელიმეს თუ წამაკითხებთო, შესაფერისმა მომენტმა ჩაიარა, – მოკლედ, ხალხს ჩვენი ტრადიციულობით ვიზიდავთ. უკვე ორასი წელია დამკრძალავი სახლი „იბისი და ტურელი“ არსებობს, ოღონდ ყოველთვის დამკრძალავი სახლის თანამშრომლებს კი

არ გვიწოდებდნენ. ადრე მებალზამეები ვიყავით, კიდევ უფრო ადრე – გამპატიოსნებლები.

– და კიდევ უფრო ადრე?

– ოჰ, – ოდნავ თავმომწონედ ჩაიცინა მისტერ იბისმა, – ჩვენი ამბავი ძალიან დიდი ხნის წინ იწყება. რასაკვირველია, აქ ჩვენი ნიში მხოლოდ შტატებს შორის გაჩაღებული ომის[106] შემდეგ ვიპოვეთ, ამ მხარეში მცხოვრები ფერადკანიანების მომსახურება დავიწყეთ. მანამდე ფერადკანიანად არავინ მიგვიჩნევდა. კი, ეგზოტიკური გარეგნობისანი, მუქკანიანები ვიყავით, მაგრამ არა – ფერადკანიანები. აი, ომის დამთავრებიდან მალევე კი, უხსოვრად იქცა ის დრო, როცა ჩვენ შავკანიანებს არ გვიწოდებდნენ. ჩემი საქმიანი პარტნიორი ჩემზე უფრო მუქკანიანია. შეცვლილ ვითარებას სწრაფად შევეგუეთ. როგორც წესი, ადამიანი ისეთია, როგორადაც მას

სხვები ხედავენ. თუმცა მაინც უცნაურად მეჩვენება, აფრო-ამერიკელს რომ მიწოდებენ. ამ დროს ყოველთვის პუნტის[107], ოფირისა[108] და ნუბიის[109] ხალხები მახსენდება. მე და ჩემი პარტნიორები თავს აფრიკელებად არასდროს მივიჩნევდით – ჩვენ ნილოსის ხალხთაგანი ვართ.

– ესე იგი ეგვიპტელები ყოფილხართ, – დააზუსტა შედოუმ.

მისტერ იბისმა ქვედა ტუჩი გამობერა და თავი აქეთ-იქით გადააქნია, გეგონებოდა, ზამბარაზე ყოფილიყო დამაგრებული; ისე ჩაფიქრდა, თითქოს საკითხის დადებით და უარყოფით მხარეებს, მის ყოველ ასპექტს განიხილავდა.

– ჰმ, კი და არა. „ეგვიპტელებზე“ ახლა იქ მცხოვრები ხალხი მახსენდება. მათ ჩვენს საფლავებსა და სასახლეებზე ააშენეს თავიანთი ქალაქები. აბა, შემომხედეთ, მე მგვანან?

შედოუმ მხრები აიჩეჩა. მისტერ იბისს თავისუფლად უწოდებდით შავკანიანს. თუმცა მისტერ იბისს ასევე თავისუფლად მიამგვანებდით მაგრად გარუჯულ თეთრკანიანს.

– კექსი როგორ მოგეწონათ? – ჰკითხა მათ მიმტანმა და ფინჯნები ხელახლა შეუვსო ყავით.

– ასეთი გემრიელი არასდროს მიჭამია, – უპასუხა მისტერ იბისმა, – დედას ჩემგან მოკითხვა გადაეცი.

– გადავცემ, – დაჰპირდა გოგო და წავიდა.

– დამკრძალავი სახლის თანამშრომელი არავის ჯანმრთელობით არ უნდა დაინტერესდე, თორემ შეიძლება იფიქროს, რომ შენი საქმიანობის გამო ეკითხები, – ხმადაბლა თქვა მისტერ იბისმა, – წავიდეთ, ვნახოთ, თქვენი ოთახი თუ გაამზადეს.

ღამის სუსხში პირიდან ორთქლი ამოსდიოდათ. მაღაზიის ვიტრინებში საშობაო ნათურები ციმციმებდა.

– გმადლობთ, რომ შემიფარეთ, – უთხრა მისტერ იბისს შედოუმ.

– თქვენი ბოსისგან მრავალგზის დავალებულნი ვართ. თანაც, უფალია მოწმე, თავისუფალი ადგილი გვაქვს. დიდი, ძველი სახლია. იცით, ადრე უფრო მეტნი ვიყავით. ახლა მხოლოდ სამნი ვცხოვრობთ. საერთოდ არ შეგვაწუხებთ.

– თუ იცით, თქვენთან რამდენ ხანს მომიწევს დარჩენა?

მისტერ იბისმა თავი გააქნია.

– არ უთქვამს. მაგრამ თქვენმა სტუმრობამ გაგვახარა და სამუშაოს გამოგიძებნით. იმედია, ძალიან პრეტენზიული არ ხართ. მთავარია, მკვდრებს პატივით მოეპყროთ. – ისე, კაიროში რამ ჩამოგიყვანათ? – ჰკითხა შედოუმ, – სახელმა მოგიზიდათ თუ სხვა რამემ?

– სულაც არა. სხვათა შორის, აქაურებმა არც კი იციან, რომ ამ მიდამოებს სახელები ჩვენ დავარქვით. ძველად აქ სავაჭრო პუნქტი იყო.

– ფაქტორია? ახალმოშენეების დროს?

– შეიძლება ასეც ითქვას, – უპასუხა მისტერ იბისმა, – საღამო მშვიდობისა, მის სიმონს, მრავალ შობას! ხალხი, რომელმაც აქ მომიყვანა, მისისიპის ამოჰყვა ძალიან დიდი ხნის წინ.

შედოუ შედგა და გაკვირვებული მიაშტერდა მისტერ იბისს.

– იმას გულისხმობთ, რომ ხუთი ათასი წლის წინ აქ ძველი ეგვიპტელები ჩამოვიდნენ სავაჭროდ? პასუხად მისტერ იბისმა მხოლოდ ხმამაღლა ჩაიფხუკუნა.

– სამი ათას ხუთას ოცდაათი წლის წინ. პლუს-მინუს რამდენიმე წელი.

– კარგი, – თქვა შედოუმ, – დავიჯერებ. როგორმე. აქ რით ვაჭრობდნენ?

– ბევრი არაფრით, – უპასუხა მისტერ იბისმა, – ტყავებით, საჭმლით, ზედა ნახევარკუნძულზე მოპოვებული სპილენძით. მათმა წამოწყებამ ვერ გაამართლა. ამხელა ძალისხმევა ფუჭი გამოდგა. აქ საკმაოდ დიდხანს დარჩნენ, რომ ჩვენი ეწამათ, ჩვენთვის მსხვერპლი შემოეწირათ; ბოლოს ის ერთი მუჭა ვაჭრები ციებ-ცხელებამ იმსხვერპლა და აქვე დაკრძალეს. ჩვენ კი აქ დავრჩით, – მისტერ იბისი შუა ტროტუარზე გაჩერდა და ხელები გაშალა, – ეს ქვეყანა ათი ათას წელზე მეტია გრანდსენტრალია[110]. ალბათ, მკითხავთ, კოლუმბზე რას იტყვითო?

– დიახ, – დაუდასტურა შედოუმ, – მაშ, კოლუმბზე რას იტყვით?

– კოლუმბსაც ისეთი არაფერი უქნია, რასაც მის გაჩენამდე ათასობით წლით ადრე არ აკეთებდა ხალხი. ამერიკაში ჩამოსვლა განსაკუთრებული მიღწევა არაა. დროდადრო ამაზე მოთხრობებს ვწერ.

გზა განაგრძეს.

– ნამდვილ ამბებს აღწერთ?

– გარკვეულწილად. ერთი-ორს წაგაკითხებთ, თუ გნებავთ. მისთვის, ვინც ხედავს, ყველაფერი აშკარაა. პირადად მე – გაითვალისწინეთ, „საიენტიფიკ ემერიკენის“[111] გამომწერი გელაპარაკებათ – ძლიერ თანავუგრძნობ პროფესიონალებს, როცა მორიგ დამაბნეველ, ამ კონტინენტისთვის უცხო რასის წარმომადგენლის თავის ქალას, ნივთს ან არტეფაქტს აღმოაჩენენ ხოლმე. თანავუგრძნობ, რადგან, იმას კი არ იტყვიან, ეს შეუძლებელიაო, ამბობენ, რა უცნაურიაო. რადგან, როცა რამეზე იტყვიან, შეუძლებელიაო, მაშინვე დამაჯერებლობას კარგავს, სულერთია, ნამდვილია თუ არა. მაგალითად, აღმოაჩინეს თავის ქალა, რომელიც ადასტურებს, რომ ცხრა ათასი წლის წინ ამერიკაში აინუები, აბორიგენი იაპონელები იმყოფებოდნენ. გვაქვს თითქმის ორი ათასი წლის წინ პოლინეზიელთა კალიფორნიაში ყოფნის დამადასტურებელი თავის ქალებიც. მეცნიერები კი იმაზე იმტვრევენ თავს და ბურტყუნებენ, ვინ ვისი შთამომავალია – უმთავრესი განზე რჩებათ. ღმერთმა უწყის, რა მოხდება, მართლა რომ იპოვონ გვირაბები, რომლებითაც ჰოპები აქ მოვიდნენ[112]. აგერ ნახავთ, ყველაფერი თავდაყირა თუ არ დადგეს.

მართლა ჩამოაღწიეს ირლანდიელებმა ბნელ შუა საუკუნეებში ამერიკაში? მკითხავთ თქვენ. რასაკვირველია. არა მხოლოდ ირლანდიელებმა, არამედ უელსელებმაც და ვიკინგებმაც; ხოლო დასავლეთ სანაპიროზე, ანუ როგორც შემდგომ საუკუნეებში შეარქვეს, სპილოს ძვლისა და მონების სანაპიროზე აფრიკელები სამხრეთ ამერიკასთან ვაჭრობდნენ. ჩინელები რამდენჯერმე ესტუმრნენ ორეგონს და იმ მხარეს ფუ-სანი უწოდეს. ათას ორასი წლის წინ ბასკებმა ნიუფაუნდლენდის სანაპიროზე მეთევზეთა წმინდა, საიდუმლო კოლონია დააარსეს. ახლა მეტყვით, მისტერ იბის, ისინი პრიმიტიული ხალხები იყვნენ, არც რადიოგადამცემები ჰქონდათ, არც ვიტამინის აბები და არც რეაქტიული თვითმფრინავებიო.

შედოუს არაფერი უთქვამს და არც არაფრის თქმას აპირებდა, მაგრამ იგრძნო, რომ სიტუაცია ამას მოითხოვდა. ამიტომაც იკითხა: – რა, არ იყვნენ?

მათ ფეხქვეშ შემოდგომის უკანასკნელი, ხმელი ფოთლები ტკაცუნობდა.

– მცდარი მოსაზრებაა, თითქოს კოლუმბამდე ხალხი ნავებითა და ხომალდებით შორს არ დაცურავდა. არადა, ახალ ზელანდიაზე, ტაიტისა და წყნარი ოკეანის უთვალავ პატარა კუნძულზე სწორედ ის ნაოსნები დასახლდნენ, რომლებიც ზღვაოსნობის ცოდნით კოლუმბს არათუ ჩამორჩებოდნენ, ბევრად სჯობდნენ. აფრიკა ვაჭრობამ გაამდიდრა; თუმცა,

რასაკვირველია, დიდწილად აღმოსავლეთთან, ინდოეთსა და ჩინეთთან ვაჭრობამ. ჩემმა ხალხმა, ნილოსელთა მოდგმამ, ჯერ კიდევ როდის აღმოაჩინა, რომ პატარა ლერწმის ნავი მთელ მსოფლიოს შემოგატარებს, თუ მოთმინებითა და საკმარისი წყლის მარაგით აღიჭურვები. ამერიკაში ჩამოსვლას, მონდომების შემთხვევაში, ყველა შეძლებდა, პრობლემა ის იყო, რომ ძველად ამსიშორეზე ჩამოსვლა არ უღირდათ, რადგან ვაჭრობით ვერ იხეირებდნენ.

უკვე დედოფალ ანას სტილისას რომ უწოდებენ, ისეთ დიდ, ძველ სახლთან იდგნენ. ნეტავ ეს დედოფალი ანა ვინ იყო და ადამსების ოჯახის სტილის სახლები რატომ მოსწონდაო, გაიფიქრა შედოუმ. ამ კვარტალში ამ ერთადერთი სახლისთვის არ აეჭედათ ფიცრებით ფანჯრები. ჭიშკარი შეაღეს, ეზოში შევიდნენ და სახლის უკანა კართან გაჩერდნენ.

მისტერ იბისმა გასაღებების ასხმა ამოიღო, სათანადო გასაღები აარჩია, ორსაგდულიანი კარი გააღო და დიდ, ცივ ოთახში შეაბიჯეს. ოთახში მხოლოდ ორი ადამიანი იყო: ძალიან მაღალი, მუქკანიანი კაცი ლითონის გრძელი სკალპელით ხელში და დაახლოებით ოცი წლის მკვდარი გოგო, რომელიც მაგიდისა თუ პირსაბანის ნიჟარის მსგავს ფაიფურის გრძელ საგანზე დაესვენებინათ.

იქვე, კედელზე, კორპის დაფაზე, მკვდარი გოგოს რამდენიმე ფოტო გაეკრათ. ერთერთზე,

სასკოლო ალბომის ფოტოზე, გოგო იღიმოდა. მეორეზე სამ გოგოსთან ერთად იდგა, თმა დაწნული და კოხტად დახვეული ჰქონდა. ყველას საღამოს კაბა ეცვა.

ახლა, ფაიფურის ცივ ზედაპირზე გაშოტილს, თმა გაშლოდა და მხრებზე ეყარა, ზედ სისხლი შეხმობოდა.

– ეს ჩემი პარტნიორი მისტერ ტურელია, – წარადგინა კაცი იბისმა.

– უკვე ვიცნობთ ერთმანეთს, – თქვა მისტერ ტურელმა, – მაპატიეთ, რომ ხელს ვერ ჩამოგართმევთ. შედოუმ მკვდარ გოგოს დახედა.

– რა დაემართა? – იკითხა მან.

– მეგობარი ბიჭის არჩევაში შეცდა, – უპასუხა ტურელმა.

– ეს ყოველთვის ასეთ საბედისწერო შედეგს როდი იწვევს, – ამოიოხრა მისტერ იბისმა, – მაგრამ ამჯერად გამოიწვია. ბიჭი მთვრალი იყო და დანა ჰქონდა, გოგომ უთხრა, მგონი, ფეხმძიმედ ვარო. ბიჭმა არ დაუჯერა, რომ მისგან დაფეხმძიმდა.

– გოგოს დანა ჩასცეს... – მისტერ ტურელმა თვლა დაიწყო. იმავდროულად ფეხით ჩამრთველს დააწვა, გაისმა ტკაცუნი და გვერდითა მაგიდაზე პატარა დიქტოფონი ჩაირთო, – ხუთჯერ. მკერდის მარცხენა წინა ნაწილში სამი ჭრილობა ემჩნევა: პირველი, 2,2 სანტიმეტრის სიგრძის ჭრილობა – მეოთხე და მეხუთე ნეკნებს შორის, მარცხენა ძუძუს შუა არეში; მეორე და მესამე, სამი სანტიმეტრის სიგრძისა, ერთმანეთს კვეთს მარცხენა ძუძუს ქვეშ, მეექვსე ნეკნთაშუა არეში. მეოთხე, ორი სანტიმეტრის სიგრძის ჭრილობა, მკერდის მარცხენა ზედა ნაწილში, მეორე ნეკნთაშუა არეში ატყვია, ხოლო მეხუთე, ხუთი სანტიმეტრის სიგრძისა და დიდი-დიდი 1,6 სანტიმეტრის სიღრმის ჭრილობა – მარცხენა მხრის დელტისებრ კუნთში. მხრის ჭრილობა მსუბუქი განასერია, მკერდის ოთხივე ჭრილობა – მძიმე და ღრმა. გარდაცვლილს სხვა გარეგანი დაზიანებები არ აღენიშნება, – ტურელმა ჩამრთველს ფეხი მოაცილა. შედოუმ ბალზამირების მაგიდის თავზე წვრილი სადენით ჩამოკიდებული პატარა მიკროფონი დაინახა.

– კორონერიც[113] ყოფილხართ, – თქვა შედოუმ.

– კორონერი ჩვენს მხარეში პოლიტიკური თანამდებობაა, – აუხსნა იბისმა, – ტურელის საქმე გვამისთვის წიხლის კვრაა. თუ გვამი წიხლის კვრითვე არ უპასუხებს, ტურელი გარდაცვალების

მოწმობას ხელს აწერს. ტურელი პროზექტორია, ანუ გვამის გამკვეთი. ოლქის სასამართლოს სამედიცინო ექსპერტის თანაშემწეა. გვამებს ათვალიერებს და ქსოვილის ნიმუშებს გამოსაკვლევად გზავნის. გოგოს ჭრილობები უკვე ფოტოებზე აღბეჭდა.

ტურელი მათ ყურადღებას არ აქცევდა. გრძელი სკალპელი აიღო და სოლისებურად ამოჭრა კანი ლავიწის ძვლებიდან მკერდის ძვლამდე. შემდეგ მკერდის ძვლიდან ბოქვენის ძვლამდე სწორად და ღრმად გაავლო ხაზი. აიღო პატარა, მაგრამ მძიმე ქრომირებული ბურღი, რომელსაც თავზე მედალიონისოდენა, მრგვალი ხერხი ჰქონდა მიმაგრებული, ჩართო და მკერდის ძვლის ორივე მხარეს ჩაამტვრია ნეკნები. გოგო ხელჩანთასავით გადაიხსნა. შედოუს ხორცის სუსტი, მაგრამ უსიამოვნო, შემაწუხებელი სუნი ეცა.

– მეგონა, უარეს სიმყრალეს ვიგრძნობდი, – შენიშნა მან.

– დიდი ხნის მკვდარი არაა, – უთხრა ტურელმა, – თანაც ნაწლავები არ დაზიანებია და განავლის სუნს ვერ გრძნობ.

შედოუ მიტრიალდა. მაგრამ ეს ზიზღით არ უქნია, რატომღაც მოერიდა – თითქოს სხვის პირად სივრცეში შეიჭრა, ამაზე მეტი სიშიშვლის წარმოდგენა შეუძლებელი იყო.

ტურელმა გოგოს მუცელში, კუჭის ქვეშ, მენჯში ღრმად, გველისებურად დაკლაკნილი, მბზინავი ნაწლავები გადაჭრა, სანტიმეტრ-სანტიმეტრობით ამოსწია, მიკროფონში ჩაილაპარაკა, ნორმალურ მდგომარეობაშიაო, და იატაკზე დადგმულ ვედროში ჩაყარა. ვაკუუმის ტუმბოთი მკერდიდან სისხლი გამოწოვა და აწონა. შემდეგ მკერდის ღრუ გამოიკვლია. „შედედებული სისხლით სავსე პერიკარდიუმში სამი გლეჯილი ჭრილობა აღენიშნება“, – ჩაილაპარაკა მიკროფონში.

ტურელმა გული ჩაბღუჯა, ზედა ნაწილი წააჭრა, ხელში შემოატრიალა და დაათვალიერა. ისევ ჩამრთველს დააწვა ფეხით და თქვა: – მიოკარდიუმი ორგანაა გაგლეჯილი; მარჯვენა პარკუჭზე აღენიშნება 1,5 სანტიმეტრის სიგრძის ჭრილობა, ხოლო მარცხენა პარკუჭზე –1,8 სანტიმეტრის სიგრძისა.

ტურელმა სათითაოდ ამოჭრა მკერდიდან ფილტვები. მარცხენა, გახვრეტილი ფილტვი ლამის ხელში ჩაეშალა. ფილტვები და გული აწონა და ჭრილობები ფოტოებზე აღბეჭდა. ორივე ფილტვიდან ქსოვილის პატარა ნაჭერი ჩამოთალა და ქილაში შეინახა.

– ფორმალდეჰიდი, – ჩურჩულით აუხსნა შედოუს მისტერ იბისმა.

ტურელი მიკროფონში ლაპარაკს აგრძელებდა, აღწერდა, რას აკეთებდა და რას ხედავდა, როცა გოგოს ღვიძლი, კუჭი, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ორივე თირკმელი, საშვილოსნო და საკვერცხეები ამოაცალა.

ყოველ ორგანოს წონიდა, დაუზიანებელი და ნორმალურ მდგომარეობაშიაო, ამბობდა, ყოველ ორგანოს პატარა ნაჭერს ათლიდა და ფორმალდეჰიდის ქილაში აწყობდა.

გულს, ღვიძლსა და ერთ-ერთ თირკმელს დამატებით კიდევ თითო-თითო ნაჭერი ჩამოათალა. ამ ნაჭრებს ნელა ღეჭავდა, რომ დიდხანს ემყოფინებინა და მუშაობისას თავს ჭამით იქცევდა.

საოცარია, მაგრამ შედოუ სულაც არ აღშფოთებულა ამის გამო, პირიქით, ეს პატივისცემის გამოხატულებად მიიჩნია.

– მაშ, კარგა ხანს ჩვენთან დარჩებით? – ჰკითხა მისტერ ტურელმა მკვდარი გოგოს გულის ნაჭრის ღეჭვა-ღეჭვით.

– თუ მიმიღებთ, – უპასუხა შედოუმ.

– რა თქმა უნდა, – უთხრა მისტერ იბისმა, – არანაირი მიზეზი არ გვაქვს, უარი გითხრათ და ბევრი მიზეზი გვაქვს, მიგიღოთ. სანამ აქ იცხოვრებთ, ჩვენ დაგიცავთ.

– იმედია, წინააღმდეგი არ ხართ, მკვდრების გვერდით ერთ ჭერქვეშ გეძინოთ, – უთხრა მისტერ ტურელმა. შედოუს ლორას ცივი და მწარე ტუჩების შეხება გაახსენდა.

– არა, თუ არ გაცოცხლდებიან, – თქვა შედოუმ.

ტურელი შემოტრიალდა და უდაბნოს ძაღლივით მუქი ყავისფერი თვალებით ცივი, კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო.

– ჩვენთან მკვდრები არ ცოცხლდებიან, – მხოლოდ ეს თქვა.

– რა ვიცი, – თქვა შედოუმ, – როგორც ჩანს, მკვდრები საკმაოდ იოლად ცოცხლდებიან.

– სულაც არა, – ჩაერთო იბისი, – ზომბებსაც კი ცოცხლებისგან წარმოქმნიან, ხომ იცით. ცოტა ფხვნილი, ცოტა შელოცვა, ცოტა ბიძგება და ეგაა, ზომბი გყავს. ზომბები ცოცხლები არიან,

მაგრამ ჰგონიათ, რომ დაიხოცნენ. აი, მკვდრის ნამდვილად გაცოცხლებას კი დიდი ძალა სჭირდება, – თქვა მან და მცირე ყოყმანის შემდეგ დაამატა, – ძველად, ძველ სამშობლოში, ამის გაკეთება შედარებით მარტივი იყო.

– შეგეძლო ადამიანის კა[114] მისი სხეულისთვის ხუთი ათასი წლით მიგება, – თქვა ტურელმა, – მიგება ან მოგეხსნა, – შემდეგ ყოველი ორგანო ფრთხილად, ისევ თავთავის ადგილას ჩაალაგა სხეულის ღრუში. გაჭრილი კანის კიდეები ერთმანეთს მიადო, მსხვილი, დიდი ნემსი და ძაფი აიღო და მარჯვედ, სწრაფად გაკერა, თითქოს ბეისბოლის ბურთს კერავდა. გვამი ხორცის ნაჭრიდან ისევ გოგოდ გადაიქცა.

– ლუდი უნდა დავლიო, – თქვა ტურელმა. რეზინის ხელთათმანები გაიხადა და სანაგვეში ჩაყარა. მუქი ყავისფერი სამუშაო ხალათი სარეცხის კალათაში ჩაჩურთა. მუყაოს კოლოფით აიღო ქილები, რომლებშიც ორგანოთა წითელი, ყავისფერი და იისფერი პატარ-პატარა ნაჭრები ეყარა და დაიძრა.

– მოდიხართ? – ჰკითხა დანარჩენებს.

კიბით სამზარეულოში ავიდნენ. სადა და კოხტა ოთახი იყო. აქაურობა ბოლოს ალბათ 1920

წელს მორთესო, გაიფიქრა შედოუმ. ერთ კუთხეში ვეებერთელა „კელვინატორის“ მაცივარი რახრახებდა. ტურელმა მაცივარი გამოაღო და ელენთის, თირკმლების, ღვიძლისა და გულის ნაჭრები პლასტმასის ქილებით შიგ შეაწყო. იქიდან სამი ყავისფერი ბოთლი გამოიღო. იბისმა შუშისკარებიანი განჯინის თაროდან სამი ჭიქა ჩამოიღო. მერე შედოუს თავის დაქნევით უხმო, მაგიდასთან მობრძანდიო. იბისმა ლუდი დაასხა და ერთი ჭიქა შედოუს მიაწოდა, მეორე – ტურელს.

– კარგი ლუდია, – მოეწონა შედოუს შავი და მწარე სასმელი.

– ჩვენ თვითონ მოვხარშეთ, – უთხრა იბისმა, – ძველად ლუდს ქალები ხარშავდნენ. ჩვენზე უკეთ გამოსდიოდათ. მაგრამ ახლა სამნიღა დავრჩით. მე, ეს და ის, – ოთახის კუთხეში პატარა კალათაში მძინარე კატაზე მიუთითა, – თავიდან უფრო მეტნი ვიყავით. მაგრამ სეთი[115] სამოგზაუროდ წავიდა, ასე, ორასი წლის წინ. 1905 და 1906 წლებში სან-ფრანცისკოდან ღია ბარათები გამოგვიგზავნა, მაგრამ მას შემდეგ მისგან აღარაფერი გვსმენია. საბრალო ჰოროსს[116] კი... – იბისმა აღარ დაამთავრა, ამოიოხრა და თავი გააქნია.

– ხანდახან ვხედავ ხოლმე, – თქვა ტურელმა, – როცა ცხედრის წამოსაღებად მივდივარ.

– ტვირთად არ დაგაწვებით, – უთხრა მათ შედოუმ, – სანამ აქ ვიცხოვრებ, ვიმუშავებ. დამავალეთ, რაც გნებავთ და გავაკეთებ.

– რამე სამუშაოს გამოგიძებნით, – დაჰპირდა ტურელი.

პატარა, ყავისფერმა კატამ თვალები გაახილა და ზმორებით წამოდგა. მაგიდასთან მიცუნცულდა და შედოუს ფეხსაცმელზე თავით გაეხახუნა. შედოუ დაიხარა და კატას შუბლზე, ყურების უკან და ქეჩოზე მოფხანა. კატამ ნეტარებით დაიკრუტუნა, ზურგი აპრიხა, შედოუს მუხლებზე შეახტა, წამოიწია, თათებით მის მკერდს მიეყრდნო და პაწია, ცივი ცხვირი შედოუს ცხვირს მიადო. შემდეგ მის კალთაში მყუდროდ მოეწყო და ისევ დაიძინა. შედოუ მოეფერა. კატას ბეწვი ფაფუკი და რბილი ჰქონდა, სხეული – თბილი: ისე მოკალათდა, თითქოს მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხო ადგილს მიაგნო, რაც შედოუს ძალიან ესიამოვნა.

ლუდმა ოდნავ გააბრუა.

– თქვენი ოთახი კიბის თავთან, სააბაზანოს გვერდითაა, – უთხრა მას ტურელმა, – სამუშაო ხალათს კარადაში იპოვით. მაგრამ მანამდე ბანაობა და წვერის გაპარსვა გენდომებათ.

შედოუ ასეც მოიქცა. თუჯის აბაზანაში მდგარმა იბანავა და ნერვიულად გაიპარსა წვერი ტურელის მიცემული საფრთხილო სამართებლით. სამართებელი მეტისმეტად ბასრი იყო, ტარი კი სადაფისა ჰქონდა. ამით უთუოდ მკვდარს უკანასკნელად პარსავენო, იეჭვა შედოუმ. საფრთხილო სამართებლით პირველად იპარსავდა, მაგრამ ერთგანაც კი არ გაუჭრია სახე. საპარსი ქაფი ჩამოიბანა და ბუზებისგან დალაქავებულ სარკეში შეათვალიერა შიშველი ანარეკლი. ტანი დალურჯებული ჰქონდა: შეშლილი სუინის მიერ მკერდსა და მკლავებზე დამჩნეული ლებები უკვე ფერმკრთალდებოდა, მაგრამ ისინი ახალს გადაეფარა. შეხედა სველ, შავ თმას და მუქ ნაცრისფერ თვალებს, რომლებიც უნდობლად უცქერდნენ სარკიდან. შემდეგ ყავისფერ კანზე ამობურცულ ხალებზე გადაიტანა მზერა.

უცებ, თითქოს ვიღაცას ხელი აეწევინებინოს, გახსნილი საფრთხილო სამართებელი ყელზე მიიდო.

„ეს გამოსავალია, – გაიფიქრა, – იოლი გამოსავალი. თანაც, თუ ვინმეს შეუძლია მომხდარს მშვიდად შეხვდეს, აქაურობა მოასუფთავოს და მოაწესრიგოს, ეს ის ორი ტიპია, ახლა ქვემოთ მაგიდას რომ უზის და ლუდს სვამს. აღარაფერი შეგაწუხებს ქვეყნად: არც ლორა, არც გაურკვევლობები და შეთქმულებები და არც კოშმარები. ერთი დასმა მთელ სიგრძეზე და ეგაა, მორჩა, საუკუნოდ დაისვენებ“.

სარკესთან იდგა ყელზე სამართებელმიდებული. იმ ადგილას, სადაც კანს სამართებლით აწვებოდა, სისხლის პაწაწინა წვეთმა გამოჟონა. როგორ გაიჭრა, არც დაუნახავს.

„ხედავ? – გონებაში მიმართა საკუთარ თავს და ლამის ჩურჩულად ჩაესმა ყურში, – ტკივილს ვერც კი იგრძნობ. მეტისმეტად ბასრია, რომ გეტკინოს. წამში მორჩება ყველაფერი“.

ამ დროს სააბაზანოს კარი რამდენიმე სანტიმეტრით გაიღო და პატარა, ყავისფერმა კატამ თავი შემოყო.

– მრრ, – დაიკრუტუნა მან და შედოუს ახედა.

– ამას ვის ვხედავ! მეგონა, კარი ჩავკეტე.

შედოუმ სამართებელი დაკეცა, პირსაბანის კიდეზე დადო და განასერზე ტუალეტის ქაღალდის ნაგლეჯი დაიწება. მერე წელზე პირსახოცი შემოიხვია და სააბაზანოს გვერდით მდებარე საძინებელში შევიდა.

მისი საძინებელიც, სამზარეულოსავით, 1920-იან წლებში მორთულს ჰგავდა. კომოდისა და

გრძელი სარკის გვერდით პირსაბანი და გრაფინი იდგა. ოთახში ნესტის მსუბუქი სუნი იგრძნობოდა – აშკარად იშვიათად ანიავებდნენ. ქვეშაგები დანამული მოეჩვენა, როცა შეეხო.

ვიღაცას საწოლზე უკვე დაელაგებინა მისთვის ტანსაცმელი: შავი კოსტიუმი, თეთრი პერანგი, შავი ჰალსტუხი, თეთრი ზედა და ქვედა საცვლები და შავი წინდები. საწოლის გვერდით, გაცვეთილ სპარსულ ხალიჩაზე, შავი ფეხსაცმელები ეწყო.

შეიმოსა. ტანსაცმელი ახალი არა, მაგრამ სუფთა და კარგი ხარისხის იყო. ნეტავ ვის ეკუთვნოდა? მკვდრის წინდები ხომ არ ჩაიცვა? მკვდრის ფეხსაცმელში მოუწევს ფეხის ჩადგმა? სარკეში ჩაიხედა. ტანსაცმელი ზუსტად მოერგო: არც მკერდზე შემოტმასნოდა და არც სახელოები ჰქონდა მოკლე. ჰალსტუხი გაისწორა და მოეჩვენა, რომ ანარეკლი გესლიანად უღიმოდა. ცხვირი მოიფხანა და შვებით ამოისუნთქა, როცა ანარეკლმაც მისი მოძრაობა გაიმეორა.

უკვე უკვირდა, რომ წეღან ყელის გამოჭრას აპირებდა. მისი ანარეკლის სახიდან ღიმილი არ წაშლილა, სანამ ჰალსტუხს ისწორებდა.

– ეი, რამე ისეთი იცი, რაც მე არ ვიცი? – ჰკითხა მას და თავი იმწამსვე იდიოტად იგრძნო.

კარი ისევ ოდნავ გაიღო, ღრიჭოში კატა შემოძვრა, ოთახი ცუხცუხით გადაჭრა და ფანჯრის რაფაზე აძვრა.

– ეი, – დაუძახა კატას შედოუმ, – კარი დავკეტე. ზუსტად მახსოვს, რომ დავკეტე.

კატამ ინტერესით გამოხედა. მუქი ყვითელი, ქარვისფერი თვალები ჰქონდა. ფანჯრის რაფიდან საწოლზე ისკუპა და, ძველ საბანზე მყუდროდ მოკალათებული, ბეწვის გუნდად გადაიქცა.

შედოუმ საძინებლის კარი ღია დატოვა, რომ კატას გასვლა შესძლებოდა და ოთახიც ცოტათი განიავებულიყო, ხოლო თვითონ ქვემოთ ჩავიდა. კიბის საფეხურები აჭრიალდნენ, თითქოს მის სიმძიმეს აპროტესტებდნენ და ითხოვდნენ, მოგვშორდიო.

– ოჰო, მშვენივრად გამოიყურებით! – უთხრა კიბის ძირას მომლოდინე ტურელმა, რომელსაც, შედოუს მსგავსად, შავი კოსტიუმი ჩაეცვა, – ოდესმე კატაფალკის საჭესთან მჯდარხართ?

– არა.

– რაღაცას ყოველთვის პირველად აკეთებს ადამიანი, – ჩაილაპარაკა ტურელმა, – სახლის წინ დგას.

მოხუცი ქალი გარდაცვლილიყო, სახელად ლაილა გუდჩაილდი. მისტერ ტურელის მითითებით, შედოუმ ალუმინის საკაცე ვიწრო კიბით საძინებელში აიტანა და საწოლის გვერდით გაშალა. ნახევრად გამჭვირვალე, ლურჯი საცხედრე ტომარა საწოლზე მკვდარი ქალის გვერდით დააფინა და ელვაშესაკრავი გახსნა. ქალს

ვარდისფერი ღამის პერანგი და დალიანდაგებული ხალათი ეცვა. შედოუმ ბუმბულივით მსუბუქი, მყიფე ცხედარი ასწია, საბანში გაახვია და ტომარაში ჩააწვინა. ტომარა შეკრა და საკაცეზე დადო. სანამ შედოუ ამას აკეთებდა, მისტერ ტურელი ელაპარაკებოდა ძალიან მოხუც კაცს, რომელიც ლაილა გუდჩაილდის სიცოცხლეში მისი ქმარი იყო. უფრო სწორად, მოხუცი კაცი ლაპარაკობდა და მისტერ ტურელი უსმენდა. თურმე ძალიან უმადური შვილები ჰყავდა და შვილიშვილებიც, რასაკვირველია, მშობლებს დაემსგავსნენ. ჩემი შვილები ისე გავზარდე, არაფერი დამიკლია, მათგან ასეთ მოქცევას არ ვიმსახურებდიო, შესჩივლა მოხუცმა მისტერ ტურელს.

შედოუმ და მისტერ ტურელმა საკაცე ვიწრო კიბეზე ჩააგორეს. მოხუცი მათ მოჰყვებოდა და გაუთავებლად ლაპარაკობდა, ძირითადად, ფულზე, სიხარბესა და უმადურობაზე. ფლოსტები ეცვა. საფეხურებზე ჩასვლისას შედოუს საკაცის უფრო მძიმე ბოლო ეჭირა. გარეთ რომ გავიდნენ, საკაცე მარტო გააგორა მოყინულ ასფალტზე და კატაფალკამდე მიიყვანა. ტურელმა კატაფალკის უკანა კარი გააღო. შედოუ შეყოყმანდა.

– მხოლოდ მიაწექი, – უთხრა ტურელმა.

შედოუ მიაწვა, საკაცის გორგოლაჭებიანი ფეხები უკან, ბამპერთან შეხებისას თავისით დაიკეცა და საკაცე პირდაპირ კატაფალკის იატაკზე შესრიალდა. ტურელმა ასწავლა, საკაცე როგორ დაემაგრებინა და კარი მიხურა. შემდეგ ისევ ყური დაუგდო ლაილა გუდჩაილდის მოხუც ქმარს, რომელიც, ზამთრის სუსხის მიუხედავად, ფლოსტებითა და ხალათით გამოსულიყო სახლიდან და წუწუნებდა, ჩემი შვილები ნამდვილი სვავები არიან, ლეშისმჭამელებივით დაგვტრიალებდნენ თავზე და ერთი სული ჰქონდათ, ჩემი და ლაილას შეკოწიწებული მცირე ქონება დაეტაცებინათო. ის და ლაილა ჯერ სენტ-ლუისში გაქცეულან, მერე – მემფისში, იქიდან მაიამიში და ბოლოს კაიროში ჩამოსულან. ძალიან მეშინოდა, რომ ლაილა მოხუცთა თავშესაფარში მოკვდებოდა და კიდევ კარგი, ასე არ მოხდაო, დაასრულა ბერიკაცმა.

მერე შინ შეაცილეს და თავის ოთახში აიყვანეს. ცოლ-ქმრის საძინებლის ერთ კუთხეში პატარა ტელევიზორი ზუზუნებდა. მასთან ჩავლისას, შედოუმ შეამჩნია, რომ დიქტორმა გაუღიმა და თვალი ჩაუკრა. შედოუ მიტრიალ-მოტრიალდა, დარწმუნდა, რომ ვერავინ ხედავდა და ტელევიზორს შუა თითი უჩვენა.

– ფული არ აქვთ, – თქვა ტურელმა, როცა კატაფალკში ჩასხდნენ, – ბერიკაცი ხვალ იბისის

სანახავად მოვა. ყველაზე იაფფასიან დაკრძალვის ცერემონიას შეუკვეთს. მოხუცი ქალის მეგობრები ეცდებიან, ბერიკაცი დაარწმუნონ, ცოლს სათანადო გაცილება მოუწყოს დიდი დარბაზიდან, მაგრამ ბერიკაცი იბუზღუნებს. ფული არ აქვს. ამ მიდამოებში ხალხს ფული აღარ აქვს. სულერთია, ბერიკაცი ექვს თვეში ან ბევრიბევრი, ერთ წელიწადში მოკვდება.

წინა ფარების შუქზე თოვლის ფიფქები ფარფატით ცვიოდა. თოვა სამხრეთით მიიწევდა.

– ავად არის? – ჰკითხა შედოუმ.

– სხვა რამ ვიგულისხმე. ქალებს შეუძლიათ თავიანთი კაცების დაკარგვას გადაურჩნენ, მაგრამ კაცები – ამ მოხუცისნაირები – თავიანთი ქალების გარეშე დიდხანს ვერ ძლებენ. აი, ნახავ, უცოლოდ დარჩენილისთვის ყველაფერი აზრს დაკარგავს, თანდათან დაუძლურდება, იმედი გადაეწურება და მორჩა, წასულია მაგის საქმე. შეიძლება ფილტვების ანთებამ იმსხვერპლოს, ან კიბომ, ანდა გული გაუჩერდეს. სიბერეში ადამიანი წინააღმდეგობის გაწევის უნარს კარგავს და კვდება.

შედოუ ჩაფიქრდა.

– ეი, ტურელ.

– გისმენ.

– სულის არსებობის გჯერა? –კითხვის დასმას სხვანაირად აპირებდა, უფრო მიკიბმოკიბულად, მაგრამ თავისდაუნებურად, ასე, პირდაპირ, წამოსცდა.

– გააჩნია. უწინ, ჩემს დროში, ყველაფერი მოწესრიგებული გვქონდა. როცა კაცი მოკვდებოდა, რიგში ჩადგებოდა და განიკითხავდნენ ავი საქმეებისთვისაც და კეთილი საქმეებისთვისაც. თუ მისი ავი საქმეები ბუმბულს გადასწონიდა, მის სულსა და გულს ამატს[117], სულთამჭამელს შევასანსვლინებდით ხოლმე.

– ბევრი ადამიანი ეყოლება შეჭმული.

– იმდენიც არა, რამდენიც შენ გგონია. ძალიან მძიმე ბუმბული იყო. საგანგებოდ დავამზადებინეთ. მართლაც ძლიერ ბოროტი უნდა ყოფილიყავი, ეგ პატარა რომ გადაგეწონა. აქ გააჩერე, ბენზინგასამართ სადგურთან. ერთი, ათი ლიტრი ჩავასხათ.

ქუჩებში სიჩუმეს დაესადგურებინა, თოვისას რომაა ხოლმე, ისეთს.

– თოვლიანი შობა გვექნება, – თქვა შედოუმ, როცა ავზში ბენზინს ტუმბავდა.

– ჰო. ჯანდაბა. ეგ ბიჭი ერთი იღბლიანი ქალწულიშვილი იყო.

– იესო?

– ძალიან, ძალიან იღბლიანი. სანარცხე ორმოშიც რომ ჩავარდნილიყო, ვარდის სურნელით ამოვიდოდა. ჯანდაბა, ოცდახუთში მისი დაბადების დღეც კი არ არის, იცოდი? მითრასგან[118] გადმოიღო. მითრას შეხვედრიხარ? კარგი ბიჭია. ჯარისკაცი.

– არა, მგონი, არ ვიცნობ.

– ჰო, ისე ამ მხარეში არც მე მინახავს. ეგ ჯარის გარეშე ვერ ძლებდა. შეიძლება შუა აღმოსავლეთში დაბრუნდა და ყველაფერი დაიკიდა. თუმცა, უფრო მეტად ის მგონია, რომ უკვე სამუდამოდ დაგვტოვა. ასეც ხდება. ერთ დღეს იმპერიის ყველა ჯარისკაცი შენთვის შემოწირული ხარის სისხლში ბანაობს, მეორე დღეს შენი დაბადების დღეც კი აღარავის ახსოვს.

უეცრად შუქნიშანზე ყვითელი აინთო და უცბადვე წითლით შეიცვალა. შედოუმ მუხრუჭის პედალს დააჭირა ფეხი. კატაფალკი ცარიელ გზაზე მოსრიალდა და გაჩერდა.

შუქნიშანზე მწვანე აინთო. შედოუმ 15 კმ/სთ-ის სიჩქარით წაიყვანა მანქანა, მოლიპულ ასფალტზე ესეც კმაროდა. როგორც ჩანდა, კატაფალკიც მეორე სიჩქარით სვლას იყო მიჩვეული; ალბათ რამდენჯერ გაუჩენია „საცობები“ ამ გზებზეო, გაიფიქრა შედოუმ.

– კარგია, – მოუწონა ტურელმა, – მოკლედ, ჰო, იესო ამერიკაში ასე თუ ისე, კარგად მოეწყო. მაგრამ ერთმა ტიპმა მითხრა, ავღანეთში რომ იესო ვნახე, გზის პირას იდგა და მანქანებს ხელს უქნევდა, რომ რომელიმეს დამგზავრებოდა, მაგრამ არც ერთმა არ გაუჩერაო. ხვდები? ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, სად ცხოვრობ.

– მგონი, ნამდვილი ქარიშხალი ახლოვდება, – თქვა შედოუმ და ამჯერად ამინდი იგულისხმა. მაგრამ ტურელი თავისას აგრძელებდა, ამინდი სულ არ ანაღვლებდა.

– აი, მაგალითად, მე და იბისი, – თქვა მან, – რამდენიმე წელიწადში უსაქმოდ დავრჩებით. შავი დღისთვის ცოტაოდენი ფული კი გვაქვს გადანახული, მაგრამ ეს შავი დღე უკვე დიდი ხანია დადგა და მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. ჰოროსმა მთლად გაუბერა, გიჟს ჰგავს, სულ ქორის იერით დაფრინავს და გზაზე მანქანის გაჭყლეტილი ნადირ-ფრინველის ლეშით იკვებება. განა ამას ცხოვრება ჰქვია? ბასტეტს[119] უკვე შეხვდი. თან, ჩვენ, სხვებთან შედარებით,

კიდევ არა გვიშავს. ვიღაცას მაინც სწამს ჩვენი და რაღაცნაირად თავი გაგვაქვს. ძალიან ბევრი კი მთლად დაჩაჩანაკებულია. ესეც დაკრძალვების ბიზნესს ჰგავს – ადრე თუ გვიან, მოგწონს თუ არ მოგწონს, დიდი ტიპები მაინც გიყიდიან, რადგან ისინი უფრო დიდები და მოხერხებულები არიან, ისინი მუშაობენ. მათთან ბრძოლა არაფერს შეცვლის, რადგან ამ ბრძოლაში ჯერ კიდევ მაშინ დავმარცხდით, როცა ამ მწვანე მინდორ-ველებზე მოვედით ასი, ათასი თუ ათი ათასი წლის წინ. ჩვენ ჩამოვედით, მაგრამ ამერიკას სულ არ ადარდებდა ჩვენი ჩამოსვლა. ერთი სიტყვით, ან გვიყიდიან, ან უკან არ დავიხევთ, ანდა აქედან გადავიკარგებით. დიახ, მართალია, ქარიშხალი ახლოვდება.

შედოუმ შეუხვია ქუჩაზე, სადაც ყველა სახლი, გარდა ერთისა, ცარიელი იყო, ფანჯრები კი – ჩაბნელებული და აჭედილი.

– უკანა მხრიდან მიდი, – უთხრა ტურელმა.

შედოუმ კატაფალკი ლამის სახლის უკანა კართან მიაყენა. იბისმა ჯერ საცხედრის კარი გააღო, შემდეგ – კატაფალკის საბარგულის, ხოლო შედოუმ საკაცე გამოსწია მანქანიდან. როგორც კი ბამპერს გამოსცდა, გორგოლაჭებიანი ფეხები თავისით გაიშალა. შედოუმ საკაცე ბალზამირების მაგიდასთან მიაგორა, ლაილა გუდჩაილდის ცხედარი ასწია, მძინარე ბავშვივით ჩაიკრა გულში და ისე ფრთხილად დააწვინა ზედ, თითქოს მისი გაღვიძების ეშინოდა.

– ხელით აწევა საჭირო არაა, – უთხრა მას ტურელმა, – მაგისთვის სპეციალური დამხმარე ფიცარი მაქვს.

– არა უშავს, – უთხრა შედოუმ, – დიდი და ღონიერი ბიჭი ვარ, არ გამჭირვებია.

ბავშვობაში შედოუ, ასაკთან შედარებით, დაბალი, გალეული ბიჭი იყო – ცარიელი მუხლები და იდაყვები. ლორას, ჩარჩოში ჩასასმელად, შედოუს ბავშვობის ერთადერთი ფოტო მოეწონა. მასზე აღბეჭდილი იყო შავაწეწილთმიანი ბიჭი, რომელიც სერიოზული გამომეტყველებით იდგა ნამცხვრებითა და ტორტებით სავსე მაგიდის გვერდით. შედოუს აზრით, ფოტო საელჩოს საშობაო წვეულებაზე უნდა ყოფილიყო გადაღებული, რადგან პეპელა-ჰალსტუხი ეკეთა და საუკეთესო სამოსი ეცვა, თოჯინასავით იყო გამოპრანჭული. ბიჭი ცივად აკვირდებოდა გარს შემოხვეულ უფროსებს.

შედოუ და დედამისი ბევრს მოგზაურობდნენ, ჯერ ევროპის გარშემო, საელჩოდან საელჩოში, სადაც დედამისი დიპლომატიურ სამსახურში მშიფრავად მუშაობდა, საიდუმლო ტელეგრამებს გადაწერდა და მთელ მსოფლიოში გზავნიდა. როცა შედოუ რვა წლის გახდა, ისევ აშშ-ში დაბრუნდნენ, მაგრამ დედამისი ხშირი ავადმყოფობის გამო სტაბილურ სამსახურს ვეღარ შოულობდა. ერთი ქალაქიდან მეორეში გადადიოდნენ, ერთ წელს აქ ცხოვრობდნენ, მეორე

წელს – იქ, დედა ოდნავ თუ მომჯობინდებოდა, ხან სად მუშაობდა, ხან – სად. ერთ ადგილას იმდენ ხანს არასდროს უცხოვრიათ, რომ ბიჭი იქაურობას გაშინაურებოდა, ვინმეს დამეგობრებოდა, მოდუნებულიყო. შედოუ კი მხოლოდ ბავშვი იყო...

სწრაფად გაიზარდა. ცამეტი წლისა იყო, ტანი რომ აიყარა. ჯერ კიდევ გაზაფხულზე ადგილობრივი ბიჭები ჩაგრავდნენ, აბრაზებდნენ და ჩხუბში ითრევდნენ, რადგან იცოდნენ, შედოუ მათ ვერ მოერეოდა. ჩვეულებრივ, ჩხუბი იმით მთავრდებოდა, რომ გამწარებული და ხშირად, ატირებული შედოუ ბიჭების ტუალეტში შერბოდა სახიდან სისხლისა და ტალახის ჩამოსაბანად, სანამ ვინმე დაინახავდა. მერე ზაფხული მოვიდა, გრძელი და ჯადოსნური მეცამეტე ზაფხული. შედოუ ზაფხულის განმავლობაში დიდ ბიჭებს თავს არიდებდა, ქალაქის აუზში დაცურავდა და აუზის პირას ქალაქის ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნებს კითხულობდა. ზაფხულის დასაწყისში თუ ცურვა უჭირდა, აგვისტოს ბოლოს უკვე თავისუფლად და დაუღალავად უსვამდა წყალში მკლავებს და მაღალი ტრამპლინიდანაცხტებოდა. მზემ და წყალმაკანი გაურუჯა და გაუყავისფრა. სექტემბერში სკოლაში დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ ის ბიჭები, ადრე რომ ამცირებდნენ, ძალიან პატარები და უმწეოები იყვნენ, მომავალში ვეღარაფერს დაუშავებდნენ. ერთი-ორ შეუგნებელს მაგრად მოსდო და სწრაფად ასწავლა ჭკუა. შედოუ გარდაიქმნა. ის ვეღარ იქნებოდა წყნარი, ჩუმი ბავშვი, რომელიც უკანა რიგში დგას და სხვათა ყურადღებას გაურბის – საამისოდ მეტისმეტად

თვალშისაცემი აღნაგობა ჰქონდა. წლის ბოლოს სკოლის მოცურავეთა და ძალოსანთა გუნდებში ჩაირიცხა, მწვრთნელი ტრიათლონისტთა[120] გუნდშიც ეპატიჟებოდა.

შედოუს მოსწონდა თავისი სიდიდე და სიძლიერე. ამან პიროვნულობა შესძინა. უწინ მორცხვი, ჩუმი, კითხვის მოყვარული ბავშვი იყო, რაც ცხოვრებას ურთულებდა, ახლა კი ზორბა, იდიოტ ტიპად გადაიქცა. მისგან დივნის მარტო აწევას და ერთი ოთახიდან მეორეში გატანას მოელოდნენ – მეტს აღარაფერს.

ყოველ შემთხვევაში, ასე იყო, სანამ ლორა გამოჩნდებოდა.

მისტერ იბისს საჭმელი მოემზადებინა: ბოსტნეულთან ერთად მოხარშული ბრინჯი თავისთვის და მისტერ ტურელისთვის.

– ხორცს არ ვჭამ, – აუხსნა შედოუს, – ტურელისთვის კი, მუშაობისას რომ ხორცს მიირთმევს, ისიც საკმარისია.

შედოუსთვის მაგიდაზე „ქეი-ეფ-სის“[121] ქათმის ხორცით სავსე მუყაოს კოლოფი და ერთი ბოთლი ლუდი იდგა.

ამდენ ხორცს შედოუ მარტო ვერ მოერია და კატასაც უწილადა. ნარჩენებს შებრაწული კანი გააძრო და თითებით დააქუცმაცა.

– ციხეში ერთი ტიპი იჯდა, გვარად ჯექსონი, – თქვა ჭამისას შედოუმ, – ციხის ბიბლიოთეკაში მუშაობდა. მან მითხრა, „ქენთაქი ფრაიდ ჩიქენს“ სახელი აბრევიატურით იმიტომ შეუცვალეს, რომ ნამდვილ ქათმის ხორცს აღარ ყიდიანო.

ქათამი გენეტიკურად მოდიფიცირებულმა მუტანტმა ჩაანაცვლა, უთავო მრავალფეხისებრმა არსებამ, რომლისგანაც მხოლოდ გემრიელი ნაჭრებია დარჩენილი: ბარკლები, მკერდი და ფრთებიო. ჯექსონის თქმით, სახელმწიფომ მათ სიტყვა „ჩიქენის“, ანუ „ქათმის“ გამოყენება აუკრძალა. მისტერ იბისმა შუბლი შეჭმუხნა.

– შენი აზრით, ეს სიმართლეა?

– არა. ჩემს ძველ თანამესაკნეს, ლოუ კის მიაჩნდა, რომ სიტყვა „ფრაიდ“[122] ცუდ სიტყვად გადაიქცა და სახელი აბრევიატურით ამიტომაც შეცვალეს.

ჭამას რომ მორჩნენ, ტურელმა მოიბოდიშა და საცხედრეში ჩავიდა. იბისი კაბინეტში ჩაიკეტა

საწერად. შედოუ კიდევ ცოტა ხანს იჯდა მაგიდასთან, ქათმის მკერდის ნაგლეჯებს პატარა ყავისფერ კატას აჭმევდა და ლუდს წრუპავდა. ლუდი და ქათმის ხორცი რომ გაუთავდა, ჭურჭელი და დანა-ჩანგლები დარეცხა, გასაშრობად დააწყო და ზემოთ ავიდა.

მოკაუჭებულ ფეხებზე მდგარ აბაზანაში იბანავადა ერთჯერადი კბილის ჯაგრისით გამოიხეხა კბილები. ხვალ ახალ კბილის ჯაგრისს ვიყიდიო, გადაწყვიტა მან.

როცა საძინებელში შევიდა, პატარა ყავისფერ კატას ისევ მის საწოლზე, ბეწვის ნახევარმთვარესავით მოკალათებულს ეძინა. ტუალეტის მაგიდის ერთ-ერთ უჯრაში რამდენიმე წყვილი ზოლებიანი ბამბის პიჟამა იპოვა. სამოცდაათი წლის წინანდელს

კი ჰგავდა, მაგრამ სუფთა იყო და ჩაიცვა. პერანგიც და შარვალიც, კოსტიუმის მსგავსად, ისე კარგად მოერგო, თითქოს საგანგებოდ მისთვის შეეკერათ.

საწოლის გვერდით, ტუმბაზე, „რიდერს დაიჯესტის“ მცირე დასტა იდო. უახლესი მათგანი 1960 წლის მარტით იყო დათარიღებული. ჯექსონმა – იმ ჯექსონმა, რომელიც იფიცებოდა, კენტუკური მუტანტი ქათმების ამბავი სიმართლეაო, რომელმაც უთხრა, მთავრობა შავ სატვირთო მატარებლებს ღამღამობით პოლიტიკური პატიმრების ჩრდილოეთ კალიფორნიის საიდუმლო საკონცენტრაციო ბანაკებში გადასაყვანად იყენებსო – ისიც უთხრა, რომ „სი-აი-ეი“

„რიდერს დაიჯესტს“ მთელ მსოფლიოში მიმოფანტული თავისი საიდუმლო ფილიალების საფარად იყენებდა.

– სასაცილოა, – შედოუს მისტერ ვუდის ხმა ჩაესმა გონებაში, – საიდან ვიცით, რომ კენედის მკვლელობაში „სი-აი-ეი“ არ არის გარეული?

შედოუმ რამდენიმე სანტიმეტრით გამოაღო ფანჯარა – იმდენად, რომ ოთახში სუფთა ჰაერი შემოსულიყო და კატას ღამით აივანზე გაძრომა მოეხერხებინა.

ელექტროლამპა აანთო, დაწვა და ცოტა ხანს კითხულობდა. ცდილობდა, აღარაფერზე ეფიქრა, ბოლო რამდენიმე დღე მეხსიერებიდან ამოეშალა. ყველაზე სულელურ სტატიებს ეძებდა ყველაზე სულელურ „დაიჯესტში“. „მე ჯოს კუჭქვეშა ჯირკვალი ვარ“ ნახევრამდეც არ წაეკითხა, რომ ძილი მოერია. ელექტროლამპა გამორთო, ბალიშზე თავი დადო და თვალები დაეხუჭა.

შემდგომში ვერაფრით გაიხსენა სიზმრის თანმიმდევრობა და დეტალები: ვერანაირმა მცდელობამ ნაყოფი ვერ გამოიღო, მხოლოდ ბუნდოვანი, ნახევრად გაუმჟღავნებელი სურათები

ჩარჩა გონების ბნელ ოთახში. ერთი გოგო დაესიზმრა. ის გოგო სადღაც გაეცნო და ახლა რომელიღაც ქალაქის შუაგულში, პატარა ტბაზე გადებულ ხიდზე მიაბიჯებდნენ. ქარს ტბის ზედაპირი აეღელვებინა და თეთრად აქოჩრილი ტალღები წარმოექმნა. შედოუმ ზემოდან ტალღები მისკენ გამოშვერილ პაწაწინა ხელებს მიამგვანა.

– იქ, ქვემოთ, – უთხრა ქალმა, რომლის ლეოპარდის ტყავივით კოპლებიან კაბას ქარი ტყლაშუნით აფრიალებდა. წინდებსა და კაბის ბოლოს შორის ისეთი რბილი და ქათქათა ბარძაყები მოუჩანდა, რომ შედოუმ ღვთისა და მთელი მსოფლიოს წინაშე ხიდზე დაიჩოქა და სახე მის ფეხებს შორის ჩარგო, მისი დამათრობელი, ტყიური ქალის სურნელი შეისუნთქა. სიზმარში იგრძნო, რომ ცხადში პენისი გაუმაგრდა, მტკივნეულად, ყრუდ დაუწყო ფეთქვა – ასეთი ერექცია შედოუს მოზარდობისას ჰქონდა ხოლმე, გარდატეხის ასაკში, როცა ჯერ კიდევ არ იცოდა, ეს რას ნიშნავდა და პენისის უეცარი გაბრექა აფრთხობდა.

ქალის ფეხებს მოსწყდა დათავიასწია. სახე ვერდაინახა, მაგრამ მის რბილტუჩებს მიაგნო. ხელებით მისი ძუძუები დასრისა, შემდეგ ცალი ხელი აბრეშუმივით გლუვ

კანზე ჩააცურა, გადაუწია ლეოპარდის ბეწვი, ქალს წელს რომ უფარავდა და მიაგნო საამო ნაპრალს, რომელიც შედოუსთვის გათბა, დასველდა და ყვავილივით გაიფურჩქნა.

აღგზნებული ქალი შედოუს მიეკრა და აკრუტუნდა, ხელი მისი გამაგრებული ასოსკენ წაიღო და მოუჭირა. შედოუმ საბანი გადაიხადა და ქალს ზემოდან მოექცა, ხელით ფეხები გააშლევინა. ქალი საკუთარი ხელით შეუძღვა მას შიგნით. ერთი ბიძგი, ერთი ჯადოსნური მიწოლა...

შედოუ თავის ძველ საკანში გაჩნდა ქალთან ერთად. მას ვნებიანად კოცნიდა. ქალს მკლავები მაგრად შემოეხვია შედოუსთვის და ფეხებიც ისე შემოეჭდო, შედოუს რომც ნდომოდა, მაინც ვერ დაუსხლტებოდა.

შედოუ ასეთ რბილ ტუჩებს პირველად კოცნიდა. ვერც კი წარმოიდგენდა, ასეთი რბილი ტუჩები ვინმეს თუ ექნებოდა. აი, ენა კი ქალს ზუმფარის ქაღალდივით ხაოიანი ჰქონდა. შედოუ გრძნობდა მის სიუხეშეს, როცა ქალის ენა მისას ეხებოდა.

– ვინ ხარ? – ჰკითხა ქალს შედოუმ.

ქალმა არ უპასუხა, მოქნილად გადააგორა შედოუ ზურგზე და მასზე ამხედრდა. ნაზი, ტალღისებური ნანაობით, ნელ-ნელა შეჰყავდა შედოუ თავის წიაღში. ყოველი მომდევნო ტაქტი, ყოველი მომდევნო რხევა ამ რიტმული მოძრაობისა წინაზე უფრო ძლიერი იყო და შედოუს გონებასა და სხეულს ისე ეხეთქებოდა, როგორც ქარის მიერ აღელვებული ტბის ტალღები

ეხეთქებოდა წეღან ნაპირებს. ქალის ნემსივით წვეტიანი ფრჩხილები შედოუს გვერდებში ესობოდა, კანს ფლეთდა, მაგრამ შედოუ ტკივილს საერთოდ ვერ გრძნობდა, მხოლოდ სიამოვნებას – თითქოს ჯადოსნობის წყალობით, ყველაფერი ენით აუწერელი სიამოვნების მომენტებად გარდაიქმნებოდა.

როგორღაც მოიკრიბა აზრი, გაჭირვებით ამოიდგა ენა ქვიშის ბორცვებითა და უდაბნოს ხორშაკებით გონებაგამოვსებულმა და ხელმეორედ ჰკითხა ქალს: – ვინ ხარ?

ქალმა მუქი ქარვისფერი თვალებით შეხედა, დაიხარა და ისე ვნებიანად, ისე ძლიერად, ისე ხარბად აკოცა, რომ შედოუმ ყველგან, ტბაზე გადებულ ხიდზე, ციხის საკანშიცა და კაიროს დამკრძალავი სახლის საძინებელში მდგარ საწოლზეც, კინაღამ გაათავა. ქარიშხლის გამხედნავი ფრანივით გახედნა მოჭარბებული გრძნობა, ჯერ არ უნდოდა, მწვერვალისთვის მიეღწია, აფეთქებულიყო, სიამოვნება დამთავრებულიყო. დაოკებულმა, ქალი გააფრთხილა.

– ჩემი ცოლი, ლორა, მოგკლავს.

– მე ვერ მომკლავს.

სადღაც გაგონილი უაზრობა ამოუტივტივდა მეხსიერების სიღრმეებიდან: შუა საუკუნეებში სჯეროდათ, რომ სქესობრივი კავშირისას, თუ ქალი ზემოდან მოექცეოდა კაცს, მომავალ ეპისკოპოსს ჩასახავდნენ. ამას „ეპისკოპოსის გაკეთებას“ უწოდებდნენ...

შედოუს ქალის სახელის გაგებაუნდოდა, მაგრამმესამედ კითხვის დასმა ვერ გაუბედა. ქალი მკერდით მკერდზე მიეკრა და შედოუმ მისი გამკვრივებული კერტების შეხება იგრძნო. ქალი როგორღაც უჭერდა, უჭერდა იქ, ქვემოთ, შიგნით. ამჯერად შედოუ ვნების ქარიშხლის ტალღებს ზედ ვეღარ მოექცა, მორევმა ჩაითრია და დააბზრიალა. აიზიდა, რაც შეიძლებოდა ღრმად შევიდა ქალში, როგორღაც თითქოს ერთ არსებად გადაიქცნენ, ერთად იცხრობდნენ შიმშილსა და წყურვილს, ერთმანეთს ეხუტებოდნენ და ჟინს ემორჩილებოდნენ...

– მიდი, ქენი, – კატისებური ხავილით ჩასჩურჩულა ქალმა, – უფრო მაგრად. მიდი!

და შედოუმაც გაათავა სპაზმური ცახცახით, თითქოს ნაწილებად დაიშალა, მისი ცნობიერება მცირე ხნით გადნა; შემდეგ თანდათან დაუბრუნდა ჩვეულ მდგომარეობას.

დასასრულს, როგორც იქნა, ღრმად ჩაისუნთქა, ფილტვები სუფთა ჰაერით გაევსო და მაშინღა მიხვდა, რომ თურმე დიდხანს იყო სუნთქვაშეკრული. სულ ცოტა, სამ წელს. ან უფრო მეტსაც.

– ახლა კი დაისვენე, – უთხრა ქალმა და ნაზი ტუჩებით ქუთუთოებზე აკოცა, – მოდუნდი. ნუღარაფერზე იფიქრებ. შედოუმ ღრმა, უსიზმრო და უდარდელ ძილს მისცა თავი.

უჩვეულო ნათელში გაახილა თვალი. მაჯის საათს დახედა: შვიდს თხუთმეტი წუთი აკლდა. ჯერ არ გათენებულიყო, მაგრამ ოთახი მკრთალ ლურჯ შუქს ბუნდოვნად გაენათებინა. საწოლიდან ადგა. ახსოვდა, რომ დასაძინებლად პიჟამიანად დაწვა, მაგრამ ახლა სრულიად შიშველი იყო და ტანზე ხორკლები დააყარა. ფანჯარასთან მივიდა და დახურა.

ღამით მოეთოვა: თხუთმეტი სანტიმეტრი დაედო, შეიძლება უფრო მეტიც. ქალაქის ის ნაწილი, რომელიც შედოუს ფანჯრიდან მოჩანდა, ბინძური და ნახევრად დანგრეული, თოვლს გაეწმინდა და გადაესხვაფერებინა: სახლები მიტოვებული და მივიწყებული კი აღარ იყო, თრთვილს დაემშვენებინა. ქუჩები თოვლის თეთრ საბანს გაექრო.

გონებაში ერთმა აზრმა გაუელვა – რაღაც გაიფიქრა წარმავლობაზე – მაგრამ ვერ მოიხელთა, წამსვე მიავიწყდა. გარეთ ყველაფერს ისე ცხადად ხედავდა, როგორც დღის შუქზე.

სარკეში შედოუმ უცნაური რამ შეამჩნია. ახლოს მივიდა და დაბნეული დააკვირდა. ტანზე არც ერთი ლები აღარ ემჩნეოდა. ხელი დაიდო გვერდზე, მისტერ ვუდისა და მისტერ სტოუნის წყალობით რომ სტკიოდა, და მაგრად დააწვა, მაგრამ ვერაფერი იგრძნო. ვერც ის დალილავებული ადგილი იპოვა, რომლითაც შეშლილმა სუინიმ დააჯილდოვა. არც სახეზე ეტყობოდა რამე. სამაგიეროდ, ზურგი (ლამის წელი მოიგრიხა ზურგის თვალიერებისას) აშკარად ბრჭყალებით ჰქონდა დაკაწრული. გამოდის, მთლად ყველაფერი არ დასიზმრებია.

შედოუმ უჯრები გამოაღო და რაც იპოვა, ის ჩაიცვა: „ლივაისის“ ლურჯი ჯინსის შარვალი, პერანგი და სქელი ლურჯი სვიტერი. გარდერობის საკიდიდან მებალზამის შავი ხალათი ჩამოხსნა დატანზეშემოიცვა. ამჯერადაც გაიფიქრა, ნეტავ ეს ტანსაცმელი ვის ეკუთვნოდაო. თავისი ძველი ფეხსაცმელი ჩაიცვა.

სახლს ეძინა. ფეხაკრეფით გავიდა გარეთ (წინა კარით; დილით საცხედრიდან გასვლა არ

მოინდომა), იატაკი რომ არ აჭრიალებულიყო და თოვლში გაიარა. უბიწო თოვლში ღრმა ნაფეხურებს ტოვებდა. თოვლი ხრაშუნობდა, იმაზე მსუბუქი აღმოჩნდა, ვიდრე შიგნიდან ჩანდა. ციდან მომავალ შუქს ირეკლავდა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ შედოუ ხიდს მიადგა. ხიდის თავთან დარჭობილი დაფა მგზავრს აუწყებდა, ისტორიული კაიროდან მიდიხარო. ხიდის ქვეშ აყლაყუდა კაცი იდგა და აკანკალებული ეწეოდა სიგარეტს. შედოუს კაცი ეცნო, მაგრამ თოვლიდან არეკლილი შუქი თვალს სჭრიდა და კიდევ უფრო მიუახლოვდა დასაკვირვებლად. კაცს საკერებლებიანი დენიმის პიჯაკი ეცვა და ბეისბოლისტის კეპი ეხურა.

და, აი, მასთან ისე ახლოს აღმოჩნდა, რომ ხიდის ქვეშ, ზამთრის სიბნელეში

კაცის ჩალურჯებული უპე გაარჩია. – დილა მშვიდობისა, შეშლილო სუინი.

ირგვლივ სრულ მდუმარებას დაესადგურებინა. მანქანებიც ვერ არღვევდნენ თოვლიან სიჩუმეს.

– გაუმარჯოს, – მიესალმა შეშლილი სუინი. თავი არ აუწევია. სიგარეტი ხელით იყო შეხვეული. ნეტავ „პლანს“ ხომ არ ეწევაო, გაიფიქრა შედოუმ. არა, ბოლს თამბაქოს სუნი ასდიოდა.

– ხიდის ქვეშ თუ იდგები, შეშლილო სუინი, – უთხრა შედოუმ, – ხალხს ტროლი ეგონები[123]. შეშლილმა სუინიმ ამჯერად შემოხედა. შეშინებული ჩანდა.

– გეძებდი, – თქვა მან, – უნდა დამეხმარო. მაგრად მივქარე, – ნაფაზი დაარტყა და ხელით შეხვეული სიგარეტი პირიდან გამოიღო. სიგარეტის ქაღალდი ტუჩზე მიეწება და გაიხა, მისი შიგთავსი წითურ წვერსა და ჭუჭყიან მაისურზე დაეყარა. შეშლილმა სუინიმ გაშავებული ხელებით სასწრაფოდ ჩამოიფერთხა თამბაქო, თითქოს სახიფათო მწერი ყოფილიყო.

– ბევრით ვერაფრით დაგეხმარები, შეშლილო სუინი, – უთხრა შედოუმ, – მაგრამ ძალღონეს არ დავზოგავ. მითხარი, რა გიჭირს. ყავას ხომ დალევ?

შეშლილმა სუინიმ თავი გააქნია. დენიმის პიჯაკის ჯიბიდან თამბაქოს ქისა და ქაღალდი ამოიღო და ახალი სიგარეტის გახვევას შეუდგა. ამ დროს წვერს აცანცარებდა და ტუჩებს აცმაცუნებდა, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს. მერე ქაღალდის წებოვანი მხარე გალოკა და თითები გადაუსვა. შედეგი სიგარეტს ნაკლებად ჰგავდა.

– მე ტროლი არ ვარ, – სალაპარაკოდ მოიცალა მან, – ჯანდაბა! ეგ ნაბიჭვრები მავნეები არიან.

– ვიცი, რომ ტროლი არ ხარ, სუინი, – უთხრა ნაზად შედოუმ და გაიფიქრა, იმედია, ენა არ მომიჩლექიაო, – რით დაგეხმარო?

შეშლილმა სუინიმ სანთებელას თითი ჩამოჰკრა, სიგარეტის წვეტს ცეცხლი მოეკიდა და ჩაიფერფლა.

– გახსოვს, მონეტის გაჩენა რომ გასწავლე? ხომ გახსოვს?

– კი, – შედოუს თვალწინ დაუდგა ლორას კუბოზე დავარდნილი და შემდეგ მის ყელზე შებმული ოქროს მონეტა, – მახსოვს.

– მონეტა შეცდომით აიღე, მეგობარო.

დილის ბინდში ხიდის ქვეშ მანქანა გამოჩნდა და ფარების შუქით ორივე ლამის დააბრმავა. მათთან ჩავლისას მანქანამ სიჩქარე შეანელა და გაჩერდა. ფანჯარა ჩასწიეს.

– აქ ყველაფერი რიგზეა, ბატონებო?

– ყველაფერი ხუთიანზეა, გმადლობთ, ოფიცერო, – უპასუხა შედოუმ, – მხოლოდ ვსეირნობთ.

– კარგი, – თქვა პოლიციელმა, მაგრამ სულაც არ ეტყობოდა, რომ შედოუს სიტყვები დაიჯერა. დაიცადა. შედოუმ შეშლილ სუინის მხარზე დაადო ხელი და წინ, ქალაქიდან, პოლიციის მანქანიდან შორს გაუძღვა. ფანჯრის მინის აწევის ხმა მოისმა, მაგრამ მანქანა ადგილზე დარჩა.

შედოუ მიდიოდა და შეშლილი სუინიც მიჰყვებოდა. ხანდახან ბარბაცებდა. ჩაუარეს გზის მაჩვენებელს, რომელზეც ფიუჩერ-სიტი[124] ეწერა. შედოუმ წარმოიდგინა სხვადასხვაფრად მოელვარე კოშკები და ფრენკ რ. პოლის[125] ცათამბჯენები, მინისგუმბათოვანი საჰაერო მანქანები, რომლებიც ფუსფუსა ფუტკრებივით ხან ერთ კოშკს დასტრიალებდნენ თავზე, ხან – მეორეს. ასეთი ესახებოდა ფიუჩერ-სიტი შედოუს და უცებ მიხვდა, რომ მსგავს რამეს კაიროში არასდროს არავინ ააშენებდა.

პოლიციის მანქანამ მათ ნელა ჩაუარა, ოდნავ წინ მოუხვია, დათოვლილ გზაზე სიჩქარეს მოუმატა და ისევ ქალაქისკენ გასწია.

– ახლა მითხარი, რა გაწუხებს, – უთხრა შედოუმ შეშლილ სუინის.

– ისე მოვიქეცი, როგორც მან მითხრა. ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მან მითხრა, მაგრამ შეცდომით სხვა მონეტა მოგეცი. ეგ მონეტა არ უნდა მომეცა. ეგ მონეტა მეფეებისთვისაა

განკუთვნილი. მიხვდი? წესით, საერთოდ ვერ უნდა გამეჩინა. ეგ მონეტა თავად ამერიკის მეფეს უნდა მისცე და არა ჩემნაირ ან შენნაირ გლეხუჭებს. დიდ შარში გავყავი თავი. დამიბრუნე მონეტა, თუ ძმა ხარ და გეფიცები, აღარ შეგაწუხებ, კარგი?

–

– ვინ გითხრა, ასე მოიქეციო, სუინი?

გრიმნირმა. იმ ტიპმა, შენრომ უენზდეის უწოდებ. ხომ იცი, ვინ არის? ხომიცი, სინამდვილეში ვინ არის?

– კი. მგონი, ვიცი.

შედოუმ ირლანდიელის შეშლილ, ლურჯ თვალებში შიში ამოიკითხა.

– ცუდი არაფერი გვქონია ჩაფიქრებული. ისეთი არაფერი... მხოლოდ მითხრა, ბარში მოდი და ჩხუბი აუტეხეო. აინტერესებდა, რას წარმოადგენდი.

– კიდევ რამის გაკეთება გთხოვა?

სუინი აცახცახდა და დაიკრუნჩხა; შედოუმ თავიდან იფიქრა, შესცივდაო, მაგრამ უცებ

გაახსენდა, რომ ასეთი ცახცახი უკვე ენახა ციხეში: ეს ნარკომანის ცახცახი იყო. სუინის „ლომკა“ ჰქონდა. ნარკომანი ლეპრეკონი? შეშლილმა სუინიმ მოკიდებულ სიგარეტს თავი მოაგლიჯა, ძირს დააგდო, მოუწეველი გაყვითლებული ღერი კი ჯიბეში შეინახა. ჭუჭყიანი თითები დაიზილა და სული შეუბერა გასათბობად.

– მისმინე, მომე, რა, ეგ ოხერი მონეტა, ძმაო, – ხვეწნაზე გადავიდა შეშლილი სუინი, – რად გინდა? ჰა? იცი, რა, ეგეთი კიდევ ბევრია. სხვას მოგცემ, ეგეთივეს. ჯანდაბა, ერთს კი არა, ძალიან ბევრს მოგცემ.

შეშლილმა სუინიმ ჭუჭყიანი კეპი მოიხადა, მარჯვენა ხელი აიქნია, საიდანღაც ოქროს მონეტა გააჩინა და შიგ ჩააგდო. მერე მეორე გამოაძვრინა პირიდან ამოსული ორთქლიდან, მერე კიდევ ერთი – დილის დამდგარი ჰაერიდან და ასე აგრძელებდა, სანამ კეპი არ გაივსო და ისე არ დამძიმდა, რომ იძულებული გახდა, ორივე ხელით დაეჭირა.

– აი, ეს გამომართვი, ძმაო, – ოქროთი სავსე კეპი შედოუს გაუწოდა, – ჩემი მონეტა კი დამიბრუნე. შედოუმ კეპს დახედა და გაიფიქრა, ნეტავ შიგთავსის ღირებულება რამდენი იქნებაო.

– ამ მონეტებს სად დავხარჯავ, შეშლილო სუინი? – ჰკითხა შედოუმ, – ბევრგან შეიძლება ოქროს ფულზე გადაცვლა?

წამით გაიფიქრა, ირლანდიელი დამარტყამსო, მაგრამ იმ წამმა გაიარა, შეშლილი სუინი კი არ განძრეულა. იდგა და ოლივერ ტვისტივით ორივე ხელით წინ გამოეშვირა ოქროთი სავსე კეპი. მერე ლურჯი თვალებიდან ლოყებზე ღაპაღუპით დასდინდა ცრემლები. კეპი ასწია (ოქრო უეცრად გაქრა და შიგ მხოლოდ ოფლისგან გაყვითლებული ძირი დარჩა) და ისევ თმაშეთხელებულ თავზე დაიხურა.

–

– აუცილებლად უნდა დამიბრუნო, ძმაო, – თქვა მან, – ხომ გაჩვენე, ეს როგორ გააკეთო? გაჩვენე, როგორ აიღო მონეტა საგანძურიდან. გაჩვენე საგანძური სადაცაა. ეს მზის განძია. ახლა კი პირველი მონეტა დამიბრუნე. ის ჩემი არ იყო.

– ის მონეტა აღარ მაქვს. შეშლილმა სუინიმ ტირილი შეწყვიტა და ლოყებზე წითელი

ლაქები დაემჩნა. შე, შე ნაბიჭვარო... – დაიწყო, მაგრამ ვეღარ დაამთავრა, ხმა

ჩაუწყდადა პირი უმწეოდ

დააღო.

– სიმართლეს გეუბნები, – უთხრა შედოუმ, – ვწუხვარ. რომ მქონდეს, დაგიბრუნებდი, მაგრამ სხვას მივეცი.

სუინიმ ბინძური ხელები შედოუს მხრებში ჩაავლო და ღია ლურჯი თვალებით მიაშტერდა. ცრემლებს შეშლილი სუინის ჭუჭყიან სახეზე თეთრი კვლები გაევლო.

– ფუ, ამის! – თქვა მან. შედოუს თამბაქოს, ლუდისა და ვისკის მოდენილი ოფლის სუნი ერთდროულად ეცა, – სიმართლეს ამბობ, შე ნაბიჭვარო. მართლა სხვისთვის მიგიცია და თან საკუთარი ნებით. ჯანდაბა, ის ოხერი მონეტა სხვისთვის მიგიცია!

– ვწუხვარ.

– შენი წუხილი მე რას მიშველის? დავიღუპე, – შეშლილი სუინი ისევ ასლუკუნდა და ამჯერად ცხვირიდან ცინგლიც ჩამოუვიდა. მისი ლაპარაკი გაურკვეველ ლუღლუღად გადაიქცა, სიტყვები – ერთმანეთთან დაუკავშირებელ მარცვლებად, – ბა-ბა-ბა, – თქვა მან, – მა-მა-მა, – ცხვირი და თვალები სახელოთი მოიწმინდა; სახეზე ჭუჭყის უჩვეულო ფიგურები გამოესახა, ცინგლი კი წვერსა და ულვაშში აიზილა.

შედოუმ შეშლილ სუინის მკლავზე მაგრად მოუჭირა ხელი, უხერხული მამაკაცური ჟესტით ანიშნა, შენ გვერდით ვარო.

– ის დღე დაიწვას, მე რომ გავჩნდი, – როგორც იქნა, ამოღერღა შეშლილმა სუინიმ. მერე თავი ასწია, – ვისაც მიეცი, ის კაცი არ დაგიბრუნებს.

– კაცს კი არა, ქალს მივეცი და არ ვიცი, სადაა. თუმცა, არა მგონია, დამიბრუნოს.

სუინიმ სევდიანად ამოიოხრა.

– პატარა ღლაპი რომ ვიყავი, ერთ ვარსკვლავებიან ღამეს ვიღაც ქალს შევხვდი; მან ძუძუებზე მომაკიდებინა ხელი და შემდეგ მომავალი მიწინასწარმეტყველა. მითხრა, რომ იმ მხარეში, სადაც მზე ჩადის, მიმატოვებდნენ და დავიღუპებოდი: მკვდარი ქალის სამკაული მოგიღებს ბოლოსო. მის ნათქვამზე გავიცინე, უფრო მეტი ქერის ღვინო დავისხი და ძუძუები უფრო მაგრად დავუზილე. მერე ტკბილ ტუჩებში ვაკოცე. მაშინ კაი დრო იყო – რუხ ბერებს ჯერ არ მოეღწიათ ჩვენს მიწამდე, არც მწვანე ზღვა გადმოეცურათ დასავლეთით. ახლა კი... – შეშლილმა სუინიმ აღარ

– დაამთავრა. მიტრიალდა და შედოუზე გადაიტანა ყურადღება, – მას ნუ ენდობი, – გამკიცხავად გააფრთხილა.

– ვის?

– უენზდეის. მას ნუ ენდობი.

– რატომ უნდა ვენდო? უბრალოდ, მისთვის ვმუშაობ.

– გახსოვს, როგორ უნდა ქნა?

– რა? – შედოუს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს სულ მცირე, ექვს სხვადასხვა ადამიანს ელაპარაკებოდა. თვითმარქვია ლეპრეკონი ბუტბუტებდა, ერთი ვინაობა მეორით ეცვლებოდა, ერთი თემიდან მეორეზე ხტოდა ისე, თითქოს ტვინის

უჯრედების ნარჩენები მისთავში ალდებოდა, იფერფლებოდა და სამუდამოდ კვდებოდა.

– მონეტები როგორ გააჩინო, ძმაო, მონეტები. ხომ გაჩვენე, არ გახსოვს? – ორი თითი სახესთან მიიტანა, მიაშტერდა და უცებ პირიდან ოქროს მონეტა გამოიღო. მონეტა შედოუს გადაუგდო. შედოუმ მონეტის დაჭერა მოინდომა, მაგრამ ხელი მხოლოდ სიცარიელეს ჩაავლო – მონეტა ჰაერშივე გაქრა. – მთვრალი ვიყავი, – უპასუხა შედოუმ, – არ მახსოვს.

სუინი გზაზე გაბარბაცდა. გათენდა. სამყაროს მორუხო-თეთრი შუქი მოეფინა. შედოუ უკან მიჰყვა სუინის, რომელიც დიდ ნაბიჯებს ადგამდა, ისე მიალაჯებდა, თითქოს ცოტაც და, პირქვე დაემხობოდა, მაგრამ ფეხები არ ანებებდნენ და წინსვლას აიძულებდნენ. ხიდთან რომ მივიდნენ, ცალი ხელით აგურის მოაჯირს დაეყრდნო, შემოტრიალდა და შედოუს ჰკითხა: – ცოტა ფულს ვერ მომცემ? ბევრი არ მჭირდება, მხოლოდ იმდენი, რომ აქედან წავიდე. ოცი დოლარი მეყოფა ბილეთისთვის. ოცი დოლარი გაქვს? მეტს კი არა გთხოვ...

– ოცდოლარიანი ავტობუსის ბილეთით სად წახვალ? – ჰკითხა შედოუმ.

– აქაურობას მოვშორდები, – უპასუხა სუინიმ, – წავალ, სანამ ქარიშხალი ამოვარდება. გავერიდები სამყაროს, სადაც ოპიატები მასებისთვის რელიგიად ქცეულა. მივდივარ, – გაჩერდა, ცხვირი ხელის ზურგით მოიწმინდა, ხელის ზურგი კი სახელოზე შეიწმინდა.

შედოუმ შარვლის ჯიბიდან ოცდოლარიანი ამოიღო და სუინის მისცა: – გამომართვი.

სუინიმ კუპიურა დაჭმუჭნა და ჩაიდო დალაქავებული დენიმის პიჯაკის გულის ჯიბეში, რომელზეც ხმელ ტოტზე შემოსკუპებული ორი სვავის ემბლემა იყო დაკერებული და მათ ქვეშ ძლივს იკითხებოდა წარწერა: მოთმინება არა, ჩემი ფეხები! რამეს მოვკლავ!

– სადაც მინდა, იქამდე მიმიყვანს, – თავი დააქნია სუინიმ. მოაჯირს მიეყუდა და ჯიბეებში აფათურა ხელები, სანამ წეღან შენახული სიგარეტის ღერის ნარჩენი არ იპოვა. ფრთხილად მოუკიდა, რომ თითები ან წვერი არ დაეწვა, – ერთ რამეს გეტყვი, – ისე უთხრა, თითქოს იმ დღეს მეტი არაფერი ეთქვას, – სახრჩობელის ქვეშ დგახარ, თავი მსხვილ ყულფში გაქვს გაყოფილი და ორივე მხარზე ყორნები გასხედან, რომ თვალები ამოგჩიჩქნონ. სახრჩობელას ხეს ღრმა ფესვები ზესკნელიდან ქვესკნელამდე აქვს გადგმული, ჩვენი სამყარო კი ხის მხოლოდ ერთი ტოტია, რომელზეც თოკი კიდია, – გაჩერდა, – აქ ცოტა სულს მოვითქვამ, – და აგურის მოაჯირთან ჩაცუცქდა.

– წარმატებებს გისურვებ, – დაემშვიდობა შედოუ.

– რა წარმატებები, მაგრად დამერხა, – უთხრა შეშლილმა სუინიმ, – კაი, ჰო, გმადლობ.

შედოუ ქალაქისკენ გაემართა. დილის რვა საათი იყო. კაირო დაღლილი მხეცივით იღვიძებდა. უკან მიიხედა. ცრემლებითა და ჭუჭყით სახედაზოლილი, ფერმკრთალი სუინი თვალს არ აშორებდა. მას შემდეგ შედოუს შეშლილი სუინი ცოცხალი აღარ უნახავს.

შობისწინა, ზამთრისმოკლე დღეებმა, სიბნელეში წამიერ გაელვებებსრომ ჰგავდა, მკვდრების სახლში სწრაფად გაირბინა.

23 დეკემბერს ტურელმა და იბისმა ლაილა გუდჩაილდის პანაშვიდი გამართეს. ქალებმა სამზარეულო ქვაბებით, ტაფებით, ჯამებითა და პლასტმასის კონტეინერებით გაავსეს, ხოლო გარდაცვლილი თაიგულებით მორთული კუბოთი დაასვენეს დამკრძალავი სახლის დიდ ოთახში. ოთახის ერთ კუთხეში მაგიდაზე ელაგა კომბოსტოს სალათა, ლობიო, სოია, სიმინდის კვერები, ქათმის ხორცი და საქონლის ნეკნები. ნაშუადღევს დამკრძალავი სახლი უკვე ხალხით იყო სავსე. ზოგი ტიროდა, ზოგი იცინოდა, ყველა მღვდელს ართმევდა ხელს. კარგად ორგანიზებული ცერემონიის მსვლელობას თავად ორგანიზატორები, სამგლოვიაროდ ჩაცმული მისტერ ტურელი და მისტერ იბისი ადევნებდნენ თვალს. დაკრძალვა მეორე დილით შედგებოდა.

დარბაზში ტელეფონი (ძველებური, შავი, ბაკელიტისგარსიანი, მბრუნავი დისკოთი) აწკრიალდა და მისტერ იბისმა უპასუხა. შემდეგ შედოუ გვერდზე გაიხმო.

– პოლიცია იყო, – უთხრა მას, – ცხედარს წამოიღებ?

– კი.

– ზედმეტ ყურადღებას ნუ მიიქცევ. აი, – იბისმა ქაღალდის ნაგლეჯზე მისამართი დაწერა და შედოუს მიაწოდა. შედოუმ კალიგრაფიული ხელით ნაწერს გადაავლო თვალი, ქაღალდი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო, – იქ პოლიციის მანქანა დაგხვდება, – დაამატა იბისმა.

შედოუ უკანა ეზოში გავიდა და კატაფალკში ჩაჯდა. მისტერ იბისმა და მისტერ ტურელმა ცალ-ცალკე აუხსნეს, რომ კატაფალკს მხოლოდ დაკრძალვებისას იყენებდნენ, ხოლო ცხედრები ავტოფურგონით დაჰქონდათ; მაგრამ ფურგონს უკვე სამი კვირაა არემონტებენ და თუ შეიძლება, კატაფალკს გაუფრთხილდიო, დაარიგეს შედოუ. ჰოდა, ისიც ფრთხილად მიდიოდა ქუჩაში. გზები თოვლისგან უკვე გაეწმინდათ, მაგრამ შედოუს მანქანის ნელა ტარება მოსწონდა. მისი აზრით, კატაფალკს სწორედაც რომ ნელა უნდა ევლო, თუმცა თვითონ აღარც კი ახსოვდა, ქუჩაში კატაფალკი როდის ნახა. ამერიკის ქუჩებიდან სიკვდილი გაქრაო, ფიქრობდა შედოუ, სიკვდილმა საავადმყოფოს პალატებსა და სასწრაფო დახმარების მანქანებში გადაინაცვლა.

„ცოცხლები არ უნდა დავაფრთხოთ“, – გაიფიქრა შედოუმ. მისტერ იბისმა უთხრა, ზოგიერთ საავადმყოფოში ცხედრები ვითომდა ცარიელი, გადაფარებული საკაცეების

ქვედა თაროთი გადააქვთ – გარდაცვლილები თავიანთ გზას თავისებურად, მალულად გადიანო.

შედოუმ ერთ-ერთ შესახვევში მუქი ლურჯი საპატრულო კრუიზერი დაინახა და კატაფალკი

მის უკან გააჩერა. კრუიზერში მსხდომი ორი პოლიციელი თერმოსის ჭიქებით ყავას სვამდა. ძრავას ამუშავებდნენ, რომ არ შესცივებოდათ. შედოუმ ფანჯრის მინაზე მიუკაკუნა.

– გისმენთ.

– დამკრძალავი სახლიდანგამომგზავნეს, – თქვა შედოუმ.

– ჩვენ სასამართლოს სამედიცინო ექსპერტს ველოდებით, – უთხრა ერთ-ერთმა, შავკანიანმა პოლიციელმა. ნეტავ ეს ის ტიპი ხომ არაა, ხიდის ქვეშ რომ დამელაპარაკაო, გაიფიქრა შედოუმ. შავკანიანი პოლიციელი მანქანიდან გადმოვიდა, მისი კოლეგა კი მძღოლის სავარძელზე დარჩა. პოლიციელი შედოუს დიდი სანაგვე ყუთისკენ გაუძღვა. ყუთის გვერდით, თოვლში, შეშლილი სუინი იჯდა. კალთაში ცარიელი მწვანე ბოთლი ედო; სახეზე, ბეისბოლისტის კეპსა და მხრებზე თოვლის ნაფხვენები ეყარა. თვალებს არ ახამხამებდა.

– ვიღაც ლოთი მომკვდარა, – თქვა პოლიციელმა.

– ეტყობა, – დაეთანხმა შედოუ.

– ჯერ ნურაფერს შეეხებით, – გააფრთხილა პოლიციელმა, – სამედიცინო ექსპერტი მალე მოვა. მე თუ მკითხავთ, ისედაც ყველაფერი ცხადია: ტიპი გაილეშა და ძილში გაიყინა.

– დიახ, ეგრე ჩანს, – თქვა შედოუმ.

ჩაცუცქდა და შეშლილი სუინის მუხლებზე დადებულ ბოთლს დახედა. ვისკი „ჯეიმისონ აირიში“: ოცდოლარიანი ბილეთი შორს წასასვლელად. იქვე პატარა მწვანე „ნისანი“ გაჩერდა. მანქანიდან დაქანცულსახიანი, ქვიშისფერთმიანი და ულვაშიანი შუახნის კაცი გადმოვიდა და მათთან მოვიდა. გვამს კისერზე მიადო ხელი. „გვამს წიხლს ჰკრავს, – გაიფიქრა შედოუმ, – და თუ გვამი წიხლის კვრითვე არ უპასუხებს...“

– მკვდარია, – თქვა სამედიცინო ექსპერტმა, – ვინაობა ცნობილია?

– ჯონ დოუა[126], – უპასუხა პოლიციელმა.

– ტურელისა და იბისის თანამშრომელი ხართ? – სამედიცინო ექსპერტმა შედოუს შეხედა.

– დიახ, – უპასუხა შედოუმ.

– ტურელს უთხარით, კბილებისა და თითების ანაბეჭდები აიღოს და ფოტოები გადაიღოს ცხედრის ვინაობის ამოსაცნობად. სრული დათვალიერება საჭირო არაა,

მხოლოდ სისხლი შეამოწმოს, ხომ არ მოწამლულა. გასაგებია? გნებავთ, დაგიწეროთ, რაც დაგავალეთ?

– არა, – იუარა შედოუმ, – საჭირო არ არის, დავიმახსოვრებ.

კაცი წამით მოიღუშა, მერე ჯიბიდან სავიზიტო ბარათი ამოიღო, ზედ რაღაც დააჯღაბნა და შედოუს მიაწოდა სიტყვებით, ტურელს მიეცითო. მერე სამედიცინო ექსპერტმა ყველას ბედნიერი შობა უსურვა და თავის გზას დაადგა. ცარიელი ბოთლი პოლიციელებმა შეინახეს.

შედოუმ საბუთებს ხელი მოაწერა და ჯონ დოუ ასწია. გვამი ისე გაშეშებულიყო, მჯდომარე მდგომარეობაშივე დადო საკაცეზე. კარგა ხანს ეჩხირკედელავა საკაცეს და ცალი ბოლო წამოაყენა. მჯდომარე ჯონ დოუ ღვედით დაამაგრა და საკაციანად კატაფალკაში შედო სახით წინ. მანქანით უკანასკნელად გაისეირნებსო, გაიფიქრა შედოუმ. უკანა ფანჯრის მინას ფარდები ჩამოაფარა და დამკრძალავისახლისკენ გასწია.

წითელ შუქზე იდგა იმავე შუქნიშანთან, რომელთანაც რამდენიმე ღამის წინ მანქანა მოუსრიალდა, როცა ხრიწინი გაიგონა: – კარგი ქელეხი გამიმართეთ, ყველაფერი საუკეთესო

იყოს, ლამაზმა ქალებმა ცრემლები დაღვარონ და ტანსაცმელი შემოიხიონ ჩემთვის, გულადმა კაცებმა კი დამიტირონ და ჩემი დიადი საქმეები გაიხსენონ.

– მკვდარი ხარ, შეშლილო სუინი, – უთხრა მას შედოუმ, – მკვდარი კი იმით უნდა დაკმაყოფილდე, რასაც შემოგთავაზებენ.

– ჰო, მომიწევს, – ამოიოხრა კატაფალკის უკანა ნაწილში მჯდარმა მკვდარმა. ნარკომანივით აღარ წუწუნებდა, ბედთან შეგუებულის მონოტონური ხმა ჰქონდა, მისი სიტყვები თითქოს ძალიან, ძალიან შორიდან გადმოიცემოდა – მკვდარი სიტყვები ისმოდა მკვდარ სიხშირეზე. მწვანე შუქი აინთო და შედოუ მსუბუქად დააწვა გაზის პედალს.

– მაგრამ ამაღამ მაინც მომიხსენიეთ, – თქვა შეშლილმა სუინიმ, – ჩემს სახელზე სუფრა გაშალეთ და მაგრად დათვერით. შენ მომკალი, შედოუ, ჩემი ვალი გაქვს.

– მე არ მომიკლავხარ, შეშლილო სუინი, – უთხრა შედოუმ. „აქედან წასასვლელი ბილეთისთვის მოცემულმა ოცმა დოლარმა მოგკლა“, – სასმელმა და ყინვამ გიმსხვერპლა.

პასუხი აღარ მიუღია. დამკრძალავ სახლამდე ისე იარა, კატაფალკში სიჩუმე არავის დაურღვევია. მანქანა უკანა ეზოში გააჩერა, საკაცე გამოიღო და საცხედრეში შეაგორა. შეშლილი სუინი ბალზამირების მაგიდაზე ხელით გადაათრია, თითქოს დაკლული საქონლის ფერდი ყოფილიყო.

ჯონ დოუს ზეწარი გადააფარა და იქვე დატოვა, გვერდით საბუთები მიუდო. როცა კიბეზე ადიოდა, ხმა მოესმა, თითქოს რომელიღაც ოთახში რადიო იყო ჩართული.

– სასმელი და ყინვა მე, წმინდასისხლიან ლეპრეკონს, რას დამაკლებდა? არა, მე იმან მომკლა, რომ პატარა ოქროს მზე დაკარგე, შედოუ – ეს ისევე ცხადია, როგორც ის, რომ წყალი სველია, დღეები – გრძელი, მეგობარი კი ბოლოს აუცილებლად იმედს გაგიცრუებს.

შედოუ აპირებდა, შეშლილი სუინისთვის ეთქვა, ასე მწარედ რას ფილოსოფოსობო, მაგრამ გადაიფიქრა – აბა, სიკვდილი ვის არ გაამწარებს?

ზემოთ ავიდა. შუახნის ქალები უკვე მაგიდას ალაგებდნენ. ნასუფრალს ქვაბებსა და ჯამებში ყრიდნენ და თავსახურებს ახურავდნენ. მისტერ გუდჩაილდს, გარდაცვლილის მეუღლეს, კედელთან მისტერ იბისი დაემარტოხელებინა და ეუბნებოდა, ვიცოდი, ჩემი არც ერთი შვილი

რომ არ მოვიდოდა დედისთვის პატივის მისაგებადო. ვაშლი ხისგან შორს არ ეცემა, ყველას ამას უმეორებდა, ვაშლი ხისგან შორს არ ეცემაო[127].

იმ საღამოს შედოუმ მაგიდაზე დამატებით ერთი თეფში დადო. ყოველ თეფშს ჭიქა მიუდგა, მაგიდის შუაში ერთი ბოთლი „ჯეიმისონ გოულდი“ დადგა. ადგილობრივ ალკოჰოლის მაღაზიაში ეს ყველაზე ძვირად ღირებული ირლანდიური ვისკი იყო. შუახნის ქალის დატოვებული ნარჩენებით ვახშმობას რომ მორჩნენ, შედოუმ თავისთვის, იბისისთვის, ტურელისა და სუინისთვის უხვად ჩამოასხა ჭიქებში ვისკი.

– მერე რა, რომ სარდაფში მაგიდაზე ასვენია, – თქვა შედოუმ ვისკის დასხმისას, – და მალე უსახლკაროთა სასაფლაოზე დამარხავენ? ამაღამ მის მოსაგონარს დავლევთ, როგორც უნდოდა.

შედოუმ ჭიქა ასწია და მაგიდასთან ცარიელი ადგილისკენ გაიშვირა.

– შეშლილ სუინის ცოცხალს მხოლოდ ორჯერ შევხვედრივარ, – თქვა მან, – პირველად ვიფიქრე, რომ ხეპრე და გაუთლელი იყო, თანაც გადარეული; მაგრამ მეორედ შეხვედრისას ერთ უბადრუკ და საწყალ ვინმედ მომეჩვენა და თავის მოსაკლავად ფული მივეცი. მონეტის ფოკუსი

მიჩვენა, მაგრამ აღარ მახსოვს, როგორ კეთდება. მუშტები მირტყა და კარგა გვარიანად დამალურჯა. ირწმუნებოდა, ლეპრეკონი ვარო. მშვიდად განისვენე, შეშლილო სუინი,
– ამ სიტყვებით სწრაფად მოწრუპა ვისკი, რათა ბოლის გემო, სასმელს რომ გადაჰკრავდა, უცბადვე გაჰფანტოდა პირში. მისმა თანამესუფრეებმაც აუწიეს ჭიქები ცარიელ სკამს და სადღეგრძელო შესვეს.

მისტერ იბისმა გულის ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო და დიდხანს ფურცლავდა, სანამ საჭირო გვერდს მიაგნებდა. შემდეგ შეშლილი სუინის ცხოვრების მოკლე აღწერა წაიკითხა.

მისტერ იბისის ჩანაწერების მიხედვით, შეშლილი სუინის არსებობა სამი ათასი წლის წინ პატარა ირლანდიურ მინდორზე წმინდა ქვის მცველობით დაეწყო. მისტერ იბისმა უამბო მათ შეშლილი სუინის სასიყვარულო თავგადასავლების, მისი მტრებისა და

ძალის მომცემი სიშლეგის შესახებ („მის სიშლეგეზე დღემდე თხზავენ ლექსებს, ოღონდ ლეგენდის სიძველე და სიწმინდე ბევრს აღარ ახსოვს“), როგორ ეთაყვანებოდნენ და პატივს სცემდნენ მას სამშობლოში, როგორ გადაიქცა ეს პატივისცემა თანდათან მოწიწებად და ბოლოს – გართობად; მისტერ იბისისგან შეიტყვეს ამერიკაში, ახალ სამყაროში გადასახლებულ ბანტრიელ[128] გოგოზე, რომელმაც ლეპრეკონ შეშლილი სუინის რწმენა თან წაიყოლა, რადგან ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ერთხელ ღამით, ტბორის ნაპირას, საკუთარი თვალით დაინახა იგი, ხოლო ლეპრეკონმა

გაუღიმა და სახელით მიმართა. გემის ტრიუმში გოგოსთან ერთად იჯდა სამშობლოდან გამოქცეული ხალხი, რომელთაც კარტოფილი თვალწინ ჩაულპათ მიწაში და მეგობრები და საყვარელი ადამიანები შიმშილით დაეხოცათ, რომლებიც ოცნებობდნენ ისეთ ქვეყანაში ცხოვრებაზე, სადაც მუდამ მაძღრები იქნებოდნენ. ბანტრიელი გოგო კი იმას ნატრობდა, რომელიმე ქალაქში კარგი სამუშაო ეშოვა და ოჯახის ახალ სამყაროში ჩამოსაყვანად საკმარისი ფული შეეგროვებინა. ამერიკაში ჩასული ირლანდიელების უმეტესობა თავს კათოლიკედ მიიჩნევდა, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ არ იცოდნენ კატეხიზმო, ხოლო რელიგიურობა, მათი აზრით, ნიშნავდა რწმენას ბანშისა, რომელიც ღამღამობით სასიკვდილოდ განწირულის სახლთან იწყებდა მოთქმა-გოდებას, და წმინდა ბრაიდისა, რომელსაცოდესღაც ბრიგიტი ერქვა და ორი და ჰყავდა (სინამდვილეში კი სამივე ერთი და იგივე ქალი იყო და სამივეს ბრიგიდი ერქვა)[129]; მათ სჯეროდათ ფინის[130], ოშიინის[131] და კონან მელოტის[132] ამბებისა და თვით ლეპრეკონების, პატარა კაცების არსებობისა (ყველაზე დიდი ირლანდიური ხუმრობაც ესაა – თავის დროზე ხომ ლეპრეკონები მთა-გორაკების ხალხში ყველაზე მაღლები იყვნენ)...

ეს ყველაფერი და კიდევ უფრო მეტი მათ მისტერ იბისმა უამბო იმ ღამით, სამზარეულოში. მისი ლანდი კედელზე წაგრძელებული და ფრინველისებური მოჩანდა. როცა ვისკი მთელ სხეულს მოედო, შედოუს იბისის თავი რომელიღაც დიდი, გრძელ და მოკაუჭებულნისკარტიანი წყლის ფრინველისად წარმოესახა. უკვე მეორე ჭიქას ცლიდნენ, როცა მისტერ იბისის თხრობაში თავად

შეშლილი სუინი ჩაერთო წვრილმანი დეტალებითა და უადგილო შენიშვნებით („...ისეთი ლამაზი გოგო იყო; ქათქათა, ჭორფლებით დაწინწკლული ძუძუები ჰქონდა, კერტები – მოწითალო-ვარდისფერი, ნაშუადღევს, კოკისპირული წვიმის შემდეგ გამოსული მზის სხივებით შეღებილ ცასავით...“), შემდეგ ორივე ხელის მოშველიებით დაიწყო ირლანდიელი ღმერთების ისტორიის მოყოლა. ტალღა ტალღას მოსდევდა, მოდიოდნენ და მოდიოდნენ ღმერთები გალიიდან, ესპანეთიდან და ათასი ჯანდაბიდან, ყოველი მომდევნო ტალღა წინა ღმერთებს ტროლებად, ფერიებად და ათას ოხერ არსებად გარდაქმნიდა, სანამ თავად უწმინდესი დედა ეკლესია არ გამოცხადდა და ირლანდიაში ყოველი ღმერთი ერთბაშად ფერიად, წმინდანად ან მკვდარ მეფედ არ გადაიქცა...

მისტერ იბისმა ოქროსჩარჩოიანი სათვალის მინები გაწმინდა და ჩვეულებრივზე უფრო მეტად დაზუსტებითა და დაწვრილებით დაიწყო ახსნა. შედოუ მიხვდა, რომ იბისი დათვრა (ამაზე მხოლოდ მისი სიტყვები და იმ ცივ სახლში ოფლით დაცვარული შუბლი მეტყველებდა), თითს იქნევდა და ამბობდა, მე მხატვარი ვარ, ჩემი მონათხრობი პირდაპირი მნიშვნელობით კი არ უნდა გაიგოთ, არამედ მხატვრულ რეკონსტრუქციად, სიმართლეზე უფრო დიდ ჭეშმარიტებად უნდა წარმოიდგინოთო.

– მე შენ გიჩვენებ მხატვრულ რეკონსტრუქციას! ახლა ჩემი მუშტი მხატვრულად

მიგინგრ-მოგინგრევს ცხვირ-პირს, – თქვა შეშლილმა სუინიმ, მაგრამ მისტერ ტურელმა კბილები დაკრიჭა და სუინის შეუღრინა. ეს იყო ღრენა დიდი ძაღლისა, რომელიც ჩხუბს არასდროს დაიწყებს, მაგრამ შეუძლია ჩხუბი მეტოქისთვის ყელის გამოღადვრით, სწრაფად დაამთავროს. სუინიმ გაფრთხილება ყურად იღო, ისევ დაჯდა და ჭიქა კვლავ ვისკით გაივსო.

– გაიხსენე ფოკუსი როგორ გააკეთო? – ჰკითხა გაღრეჭილმა შედოუს.

– ვერა.

– აბა, თუ გამოიცნობ, – წააქეზა ტუჩებგალურჯებულმა და თვალებდანისლულმა სუინიმ, – ახლოს რომ იქნები, მიგანიშნებ, დათბა-მეთქი.

– მუჭში არ მალავ, ხომ ასეა? – ჰკითხა შედოუმ.

– არა.

– ხელსაწყოს იშველიებ? სახელოში ან სადმე შემალული მოწყობილობა მონეტებს ისვრის და შენ იჭერ?

– ისევ ვერ გამოიცანი. ვინმეს კიდევ დაგისხათ ვისკი?

– წიგნში წავიკითხე, რომ „ძუნწის ოცნების“ გასაკეთებლად ხელისგულზე ლატექსის პატარა, კანისფერ ქისას იწებებენ და შიგ მონეტებს მალავენ.

– ეჰ, რა სამწუხაროა, დიადი სუინი – სიგიჟეში მთელ ირლანდიას ჩიტივით რომ შემოუფრინა და სულ წყლის წიწმატს ჭამდა – მოკვდა და დამტირებლად მხოლოდ ჩიტი, ძაღლი და იდიოტი დარჩა. არა, არანაირ ქისას არ ვიყენებ.

– მაშინ, მე იდეები გამომელია, – უთხრა შედოუმ, – ალბათ არსაიდან აჩენ, – ეს სარკასტულად ითქვა, მაგრამ შეშლილ სუინის გამომეტყველება შეეცვალა, – ეგრეცაა, – წამოიძახა შედოუმ, – მართლა არსაიდან აჩენ.

– მთლად არსაიდან არა, – თქვა შეშლილმა სუინიმ, – მაგრამ უკვე ხვდები. მონეტას საგანძურიდან იღებ.

– საგანძურიდან, – თქვა შედოუმ და გაახსენდა, – ჰო.

– მთავარია, წარმოიდგინო და ეგაა, მოჰკიდებ ხელს და აიღებ. მზის განძი. მაშინ ჩნდება, როცა ცაზე ცისარტყელა გადაირკალება, ან მზე ბნელდება, ანდა ავდარი დგება ხოლმე, – უთხრა შეშლილმა სუინიმ და კიდევ ერთხელ უჩვენა, ეს როგორ ექნა. ამჯერად შედოუმ დაიმახსოვრა.

შედოუს ტკივილისგან თავი ლამის გასკდომოდა. ახალგაღვიძებულს დღის შუქმა თვალი მოსჭრა. პირი გამოშრობოდა. სასადილო მაგიდაზე თავჩამოდებულს ჩასძინებოდა. ტანსაცმელი ეცვა, მხოლოდ შავი ჰალსტუხის მოხსნა მოესწრო დაძინებამდე.

ქვემოთ, საცხედრეში ჩავიდა და შვებით ამოისუნთქა, მაგრამ სულაც არ გაჰკვირვებია, რომ ჯონ დოუ ისევ ბალზამირების მაგიდაზე ესვენა. შედოუმ გვამს გაშეშებული თითებიდან „ჯეიმისონ გოულდის“ ბოთლი გამოჰგლიჯა და გადააგდო. ნაბიჯების ხმა მოესმა, ზემოთ ვიღაც დადიოდა.

სამზარეულოში რომ დაბრუნდა, მაგიდასთან მისტერ უენზდეი იჯდა. პლასტმასის კონტეინერიდან პლასტმასის კოვზით კარტოფილის სალათის ნარჩენებს ჭამდა. მუქი რუხი

კოსტიუმი და თეთრი პერანგი ეცვა და მუქი რუხი ჰალსტუხი ეკეთა: დილის მზის სხივებს ჰალსტუხის, ხის ფორმის ვერცხლის ქინძისთავი აებრჭყვიალებინა. შედოუს გაუღიმა.

– შედოუ, ჩემო ბიჭო, რა კარგია, რომ უკვე ამდგარხარ. მეგონა, არასდროს გაიღვიძებდი.

– შეშლილი სუინი მოკვდა, – უთხრა შედოუმ.

– ჰო, გავიგე. ძალიან ცუდია. რასაკვირველია, ადრე თუ გვიან სიკვდილი ყველას გვეწვევა, – უენზდეიმ ყურთან წარმოსახვითი თოკი ხელით მოქაჩა, თავი განზე გადახარა, ენა გადმოაგდო და თვალები გადმოკარკლა. პანტომიმა მოკლე, მაგრამ სანახავად საზარელი იყო. მერე უენზდეიმ „თოკს“ ხელი გაუშვა და სახეზე ჩვეული ღიმილი დაუბრუნდა, – კარტოფილის სალათას ხომ არ მიირთმევ?

– არა, – შედოუმ სამზარეულოს მოავლო თვალი და ჰოლშიც გაიხედა, – თუ იცი, იბისი და ტურელი სად არიან?

– დიახ, ვიცი. მისის გუდჩაილდს მარხავენ – ალბათ შენც წაგიყვანდნენ დასახმარებლად, მაგრამ ვთხოვე, ძილი დაეცლიათ შენთვის. საჭესთან მოგიწევს დაჯდომა, წინ გრძელი გზა გვიდევს.

– მივდივართ?

– ერთ საათში.

– იბისსა და ტურელს უნდა დავემშვიდობო.

– დამშვიდობებაზე გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ. ეჭვიც არ მეპარება, სანამ ეს ყველაფერი დამთავრდება, მათ ისევ შეხვდები.

პირველი ღამის შემდეგ პირველად შეამჩნია შედოუმ, პატარა ყავისფერი კატა თავის კალათაში მოკალათებულიყო. მან არაცნობისმოყვარე, ქარვისფერი თვალები გაახილა და მზერით გააცილა შედოუ.

ასე წავიდა მკვდრების სახლიდან შედოუ. გაშიშვლებულ ხეებსა და ბუჩქებს ჭირხლი დასდებოდა – ამ ქვეყანას მოწყვეტილებს, სიზმარეულებს დამსგავსებოდნენ. სახლის კარიდან გზამდე მიმავალი ბილიკი მოლიპული იყო.

თეთრ „შევროლე ნოვასთან“ პირველი უენზდეი მივიდა. მანქანა მცირე ხნის წინ გაერეცხათ,

ვისკონსინის შტატის სანომრე ნიშნები კი მინესოტასით შეეცვალათ. უენზდეის ბარგი უკვე უკანა სავარძელზე იდო. კარი უენზდეიმ გააღო იმ გასაღების ასლით, შედოუს ჯიბეში რომ ედო.

– ჯერ მე ვატარებ, – თქვა უენზდეიმ, – ბოლომდე გამოსაფხიზლებლად კიდევ ერთი საათი მაინც დაგჭირდება.

მოღრუბლული ცის ქვეშ განიერ, ვერცხლისფერ ზოლად გაჭიმულ მდინარე მისისიპის მარჯვნივ გაუყვნენ და ჩრდილოეთით აიღეს გეზი. შედოუმ გზის პირას უფოთლო ხის ტოტზე ჩამომჯდარი დიდი თეთრ-ყავისფერი ქორი დაინახა. ის მძვინვარე თვალებით იყურებოდა ზემოდან, მანქანის მიახლოებაზე კი აფრინდა, ცაში დინჯად შეკრა კამარა და თვალს მიეფარა.

შედოუ მიხვდა: მკვდრების სახლში მხოლოდ დროებით შეისვენა; უკვე ეჩვენებოდა, რომ ეს ყველაფერი ვიღაც სხვას შეემთხვა დიდი ხნის წინათ.

მეორე ნაწილი. მაი აინსელი

[133]

მეცხრე თავი

აღარაფერს ვამბობ მითურ არსებებზე, ქვის ნამტვრევებში რომ ბინადრობენ...
უენდი კოუპი[134], „პოლიციელის ხვედრი“

საღამოს, ილინოისის შტატი უკან რომ მოიტოვეს და გზის მაჩვენებელ დაფაზე წარწერა „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ვისკონსინში“ დაინახა, შედოუმ უენზდეის პირველი შეკითხვა დაუსვა: – ვინ იყო ის ხალხი, ავტოსადგომიდან რომ გამიტაცა? მისტერ ვუდი და მისტერ სტოუნი ვინ იყვნენ?

მანქანის ფარების შუქზე ზამთრის პეიზაჟი მოჩანდა. უენზდეიმ წინასწარ გააფრთხილა, ავტომაგისტრალებს უნდა ვერიდოთ, რადგან უცნობია, ავტომაგისტრალები ვის მხარეზეაო. შედოუ ამ უცნაურ სიტყვებს არ გაუკვირვებია, უენზდეის გიჟად აღარ მიიჩნევდა. ამიტომაც სოფლის გზებით მიდიოდა.

– აგენტები, – ჩაიბურტყუნა უენზდეიმ, – ჩვენი მეტოქეები. შავქუდოსნები.

– ჩემი აზრით, – თქვა შედოუმ, – იმათ თავი თეთრქუდოსნებად წარმოუდგენიათ.

– რასაკვირველია. ნამდვილი ომის ყველა მონაწილე მხარეს თავი ყოველთვის მართალი ჰგონია. ჭეშმარიტად სახიფათოა ხალხი, რომელიც სრულიად დარწმუნებულია, რომ სწორად იქცევა. ასეთი თავდაჯერებულობა საშიშია.

– და შენ? – ჰკითხა შედოუმ, – შენ რატომ აკეთებ იმას, რასაც აკეთებ?

– იმიტომ, რომ მინდა, – უპასუხა უენზდეიმ და გაიკრიჭა, – მოკლედ, არაფერს ვაშავებ.

– როგორ გაიქეცით? – ჰკითხა შედოუმ, – თუ ყველა ვერ გაიქეცით?

– კი, გავიქეცით, – უპასუხა უენზდეიმ, – მაგრამ ბეწვზე კი გადავრჩით. ჯერ შენ მოსატაცებლად რომ არ შეყოვნებულიყვნენ, ალბათ ყველას გამოგვიჭერდნენ. მეორე მხრივ, ამ თავდასხმამ რამდენიმე მერყევი ჩვენგანი დაარწმუნა, რომ სულაც არ გავგიჟებულვარ და საფრთხე მართლაც არსებობს.

– ჰოდა, როგორ გამოიქეცით?

– ხელფასს კითხვების დასმაში არ გიხდი, – თავი გააქნია უენზდეიმ, – ეს ერთხელ უკვე გითხარი.

შედოუმ მხრები აიჩეჩა. ღამე ლა-კროსის

სამხრეთით, მოტელში გაათიეს.

შობა გზაზე გაატარეს. ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთით მიიწევდნენ. დამუშავებულმა მიწებმა ფიჭვების ტყეს დაუთმო ადგილი. ქალაქები უფრო და უფრო შორდებოდა ერთმანეთს.

საშობაო სადილი შუადღისას ჩრდილოეთ ვისკონსინში, დარბაზის მსგავს ოჯახურ რესტორანში მიირთვეს. შედოუ უხალისოდ ლოღნიდა ზედმეტად გამომშრალ ინდაურის ხორცს მურაბასავით ტკბილ მოცვის სოუსთან ერთად, ხესავით ხმელ

შემწვარ კარტოფილსა და უჩვეულოდ მწვანე სოიის კონსერვს. აი, უენზდეი კი მადიანად ნთქავდა თავის ულუფას და ხარბად აწკლაპუნებდა პირს. სადილობისას თანდათან გამხიარულდა, ბევრს ლაპარაკობდა, იცინოდა, ხუმრობდა და, როცა კი მიმტანი მათ მაგიდასთან მოდიოდა, ტანწვრილ ქერა გოგოს, ახალსკოლადამთავრებულს რომ ჰგავდა, ურცხვად ეარშიყებოდა.

– უკაცრავად, ჩემო კარგო, თუ არ შეწუხდებით, იქნებ თქვენი ჩინებული ცხელი შოკოლადი კიდევ მომიტანოთ? გარდა ამისა, თუ თავხედობაში არ ჩამომართმევთ, გეტყვით, რომ ლამაზი კაბა გაცვიათ, ძალიან გშვენით. საზეიმოა, მაგრამ მოდური.

მიმტანმა გოგომ, რომელსაც ბრჭყვიალა, ვერცხლისფერი ლენტის არშიამოვლებული წითელ-მწვანე კაბა ეცვა, ჩაიკისკისა, გაწითლდა, ბედნიერად გაიღიმა და უენზდეისთვის კიდევ ერთი ჭიქა შოკოლადის მოსატანად წავიდა.

– ლამაზია, – ფიქრიანად ჩაილაპარაკა უენზდეიმ, – შვენის. კაბას სულაც არ უნდა

გულისხმობდესო, გაიფიქრა შედოუმ.

უენზდეიმ ინდაურის ხორცის ბოლო ნაჭერიც შეჭამა, ხელსახოცით წვერი მოიწმინდა და თეფში განზე გასწია.

– ااااჰ, კარგი იყო, – ამოიხვნეშა და ოჯახურ რესტორანს მიმოავლო თვალი. სადღაც უკნიდან საშობაო სიმღერა ისმოდა: პატარა მედოლე ბიჭს არაფერი ჰქონდა ყრმა იესოსთვის საჩუქებლად, პამპარამპა-პამ, რამპაპამპა-პამ, პამპარამპა-პამ [135].

– ზოგიერთი რამ შეიძლება შეიცვალოს, – თქვა უცებ უენზდეიმ, – მაგრამ ხალხი... ხალხი ისეთივე რჩება. ზოგიერთი თაღლითური ოინი დროს უძლებს, ზოგს მალევე სანსლავს დრო და სამყარო. ჩემს საყვარელ ოინს დღეს ვეღარსად გამოიყენებ. თუმცა, მაინც გასაკვირად ბევრი

ხრიკი შემოგვრჩა. მაგალითად, „ესპანელი ტყვე“[136], „არიფის გამოჭერა“, „ცრუ გარიგება“ (ეს იგივე „არიფის გამოჭერაა“, ოღონდ საფულის მაგივრად ოქროს ბეჭედს აგდებ ძირს), „მევიოლინე“...

– „მევიოლინე“ პირველად მესმის, – თქვა შედოუმ, – დანარჩენები გამიგია. ჩემმა ძველმა თანამესაკნემ ერთ ტიპს „ესპანელი ტყვე“ გაუჩალიჩა. თვითონ მითხრა. ისიც თაღლითი იყო.

– აჰ, – უენზდეის თვალები გაუბრწყინდა, – „მევიოლინე“ ჩინებული ოინი იყო. ამ ოინისთვის ორი ადამიანია საჭირო. როგორც ყოველი დიდი თაღლითობა, ესეც ადამიანის სიხარბესა და გაუმაძღრობაზეა აგებული. რა თქმა უნდა, პატიოსანი ადამიანის გაცურებაც შეიძლება, მაგრამ ამისთვის უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო. მაშ, ასე, ვიმყოფებით რომელიმე ოტელში, გზისპირა სასტუმროში ან კარგ რესტორანში და ვსადილობთ. ვხედავთ ერთ კაცს, რომელსაც აუცილებლად ღარიბული, ძველი სამოსი უნდა ეცვას, მაგრამ თავაზიანი მანერები ჰქონდეს; მთლად ჩამოკონკილი მათხოვარი არ უნდა იყოს, მაგრამ ხელმოცარულს ჰგავდეს. მოდი, ვუწოდოთ მას ეიბრაჰამი. და, აჰა, ანგარიშის გასწორების დრო მოვიდა – დიდ

თანხაზე არ ვლაპარაკობთ, ეიბრაჰამს დაახლოებით 50-75 დოლარი ექნება გადასახდელი – და, ვაი, სირცხვილო! სად არის საფულე? ღმერთო, ეტყობა, მეგობართან დარჩა, აქვე ცხოვრობს. ახლავე წავა და საფულეს წამოიღებს! მანამდე კი, პატივცემულო მასპინძელო, ამბობს ეიბრაჰამი,

გირაოდ ჩემს ძველ ვიოლინოს გიტოვებთ. როგორც ხედავთ, ძველია, მაგრამ თავი მისი წყალობით გამაქვს. მოახლოებული მიმტანის დანახვაზე უენზდეიმ ფართოდ და მტაცებლურად გაიღიმა.

– აჰ, ცხელი შოკოლადი! თავად შობის ანგელოზმა მომართვა! ჩემო კარგო, როცა მოიცლით, იქნებ თქვენი გემრიელი პურის რამდენიმე ნაჭერიც მომიტანოთ?

მიმტანმა გოგომ – რამდენი წლის იქნებაო, გაიფიქრა შედოუმ: თექვსმეტის, ჩვიდმეტის? – თავი დახარა და ლოყები შეეფაკლა. ხელებაკანკალებულმა დადგა შოკოლადი, წავიდა, ოთახის კუთხეში, ბუფეტთან დადგა და იქიდან გამოხედა უენზდეის. შემდეგ სამზარეულოში შესხლტა მისთვის პურის მოსატანად.

– მაშ, ასე. ვიოლინო – აუცილებლად ძველი, ოდნავ დაზიანებულიც თუ იქნება, მით უკეთესი – თავსდება ფუტლარში, ხოლო დროებით გაღარიბებული ჩვენი ეიბრაჰამი საფულის მოსაძებნად მიდის. ამასობაში ერთი კარგად ჩაცმული ჯენტლმენი, რომელმაც ახლახან ისადილა და ამ სცენას შეესწრო, სასტუმროს თუ რესტორნის პატრონთან მიდის და ეკითხება, თუ შეიძლება პატივცემული ეიბრაჰამის დატოვებული ვიოლინო დავათვალიეროო.

რასაკვირველია, შეუძლია. მასპინძელი ვიოლინოს უწვდის და კარგად ჩაცმული ჯენტლმენი – მოდი, მას ბარინგტონი ვუწოდოთ – გაკვირვებისგან პირს აღებს, მაგრამ მალევე გონს მოდის და დარცხვენილი, ისევ კუმავს. ვიოლინოს მოწიწებით დასცქერის, თითქოს რომელიმე წმინდანის ნეშტს ათვალიერებდეს წმინდა საკურთხეველში.

„ღმერთო, ნუთუ ეს... შეუძლებელია... მაგრამ ნამდვილად ის არის! დაუჯერებელია!“ – და მასპინძელს ვიოლინოს ღრუში დაწებებულ დამამზადებლის გახუნებულ იარლიყზე მიუთითებს. თუმცა, იარლიყიც რომ არ ენახა, ვიოლინოს შეფერილობითა და ფორმითაც იცნობდა.

ბარინგტონი ჯიბიდან სავიზიტო ბარათს იღებს: თურმე იშვიათი და ანტიკვარული მუსიკალური საკრავებით ვაჭრობს.

„მაშ, ეს იშვიათი ვიოლინოა?“ – ეკითხება სასტუმროს თუ რესტორნის პატრონი.

„დიახ, – პასუხობს ბარინგტონი და ვიოლინოს თვალს ვერ სწყვეტს, – თუ არ მეშლება, სულ ცოტა, ასი ათასი დოლარი მაინც ღირს. თავად, როგორც ანტიკვარული საკრავებით მოვაჭრე, ორმოცდაათ... არა, სამოცდათხუთმეტ ათას დოლარს მაინც გადავიხდი ნაღდი ფულით ასეთი

ჩინებული ნაოსტატარის სანაცვლოდ. ერთ ისეთ კოლექციონერს ვიცნობ, ხვალვე, უნახავად, იყიდდა ამ ვიოლინოს. ერთი დეპეშაც კი საკმარისია, რომ ჩემ

მიერ დასახელებული ნებისმიერი თანხა გადაიხადოს“. უცებ ბარინგტონი მაჯის საათზე იხედება და იღუშება.

„ჩემი მატარებელი, – ამბობს ის, – მაგვიანდება, უნდა გავიქცე, თორემ ვეღარ მივუსწრებ! კეთილო სერ, როცა ამ შეუფასებელი საკრავის მფლობელი დაბრუნდება, გთხოვთ, ჩემი სავიზიტო ბარათი მიეცით. სამწუხაროდ, მე უნდა წავიდე“.

ამ სიტყვებით ბარინგტონიმიდის, მან მშვენივრად იცის, რომ დრო და მატარებელი არასდროს იცდის.

მასპინძელი ვიოლინოს ათვალიერებს, მის ძარღვებში ცნობისმოყვარეობას სიხარბე ერწყმის და გონებაში გეგმას აწყობს. მაგრამ წუთები გადის, ეიბრაჰამი კი არ ჩანს. უკვე გვიანია. და, აი, როგორც იქნა, ეიბრაჰამი, ჩვენი ღარიბულად ჩაცმული, მაგრამ ამაყი მევიოლინე შემოდის. ხელში საფულე უჭირავს, საფულე, რომელსაც უკეთესი დღეებიც უნახავს, საფულე, რომელშიც თვით საუკეთესო დღეებშიც ას დოლარზე მეტი არასდროს დებულა. ამ საფულიდან ეიბრაჰამი

ფულს იღებს, რათა სადილისა თუ სასტუმროში ყოფნის საფასური გადაიხადოს და ვიოლინო დაიბრუნოს.

სასტუმროს თუ რესტორნის პატრონი ვიოლინოს ფუტლარიანად დახლზე დებს, ეიბრაჰამი კი იღებს, გულში იკრავს, როგორც დედა – შვილს.

„ერთ რამეს გკითხავთ, – ეუბნება მას მასპინძელი, რომელსაც ამ ვიოლინოში ორმოცდაათი ათასი დოლარის გადასახდელად მზად მყოფი ანტიკვარული საკრავებით მოვაჭრის სავიზიტო ბარათი უბის ჯიბეში უდევს და წვავს, – თქვენი აზრით, ეს ვიოლინო რა ღირს? ჩემს დისწულს ძალიან სურს, ვიოლინოს დაკვრა ისწავლოს. ერთ კვირაში მისი დაბადების დღეა, საჩუქრად უკეთესს ვერაფერს ინატრებს“.

„ვიოლინოს გაყიდვას მთავაზობთ? – ეკითხება ეიბრაჰამი, – ეს არ მოხდება. უკვე ოცი წელია, მაქვს. მთელი ქვეყანა შემოვიარე მასთან ერთად. თანაც, სიმართლე გითხრათ, თავის დროზე ხუთას დოლარად ვიყიდე“. მასპინძელი გაღიმებისგან თავს ძლივს იკავებს.

„ხუთას დოლარად? აქვე, ახლავე ათასი დოლარი რომ მოგცეთ, არ მომყიდით?“

მევიოლინეს სიხარულისგან თვალები უბრწყინდება, მაგრამ უცბადვე სევდიანდება.

„მაგრამ მე მევიოლინე ვარ, სერ, სხვა არაფრის კეთება არ ვიცი. ვიოლინო მიცნობს და ვუყვარვარ, ხოლო ჩემი თითები ისე მიეჩვივნენ მას, რომ სრულ სიბნელეშიც კი დავუკრავ. ასეთ ჟღერადს, სხვას სადღა ვიპოვი? ათასი დოლარი კარგი ფულია, მაგრამ ეს ვიოლინო ჩემი მარჩენალია. ათასად კი არა, ხუთ ათასადაც არ გავყიდი“.

სასტუმროსა თუ რესტორნის პატრონი ხვდება, რომ შეიძლება ხეირს ვერ გამორჩეს, მაგრამ უკან არ იხევს, ეს ბიზნესია: ფულის საშოვნელად ფული უნდა დახარჯო.

„რვა ათას დოლარს გადაგიხდი, – ეუბნება მევიოლინეს, – ამდენი არ ღირს, მაგრამ მომეწონა, ჩემს დისწულს კი, ისე მიყვარს, ძალიან ვანებივრებ“.

ეიბრაჰამს ვიოლინოსთან განშორებაზე ფიქრიც კი არ უნდა, ცრემლი ადგება, მაგრამ რვა ათას დოლარზე უარი როგორ თქვას? მით უმეტეს, მასპინძელი კედლის სეიფთან მიდის და რვა კი არა, ცხრა ათასი დოლარი გამოაქვს, დასტად შეკრული და მევიოლინეს ცარიელ ჯიბეში გადასანაცვლებლად გამზადებული.

„კარგი კაცი ხართ, – ეუბნება მას ეიბრაჰამი, – ნამდვილი წმინდანი! მაგრამ უნდა დამპირდეთ, რომ ჩემს ძვირფას გოგონას გაუფრთხილდებით!“ – და უხალისოდ აძლევს ვიოლინოს.

– რესტორნის პატრონმა რომ ბარინგტონის სავიზიტო ბარათი მისცეს და უთხრას, დღეს ბედი გიღიმითო, მერე? – ჰკითხა უენზდეის შედოუმ.

– მაშინ გამოვა, რომ ორი სადილის ფული ტყუილად დაგვიხარჯავს, – უპასუხა უენზდეიმ. პურის ნაჭრით თეფშიდან ცხიმი და ხორცის ნარჩენები მოასუფთავა და გემრიელად შეჭამა.

– აბა, ვნახოთ, სწორად თუ გავიგე, – თქვა შედოუმ, – ეიბრაჰამი ცხრა ათასი დოლარით გამდიდრებული მიდის და რკინიგზის სადგურის ავტოსადგომზე ბარინგტონს ხვდება. მას ფულს შუაზე უყოფს, მერე ბარინგტონის A მოდელის „ფორდში“ ჯდება და ერთად მიდიან მეზობელ ქალაქში. ჩემი აზრით, მანქანის საბარგული ასდოლარიანი ვიოლინოებით იქნება სავსე.

– პირადად მე, ღირსების საკითხად მიმაჩნდა, თითოში ხუთ დოლარზე მეტი არ გადამეხადა, – უთხრა უენზდეიმ და მაგიდასთან ყოყმანით დამდგარ მიმტანს მიუტრიალდა, – ახლა კი, ჩემო კარგო, დაგვდეთ პატივი და ჩამოგვითვალეთ, დესერტად და პირის ჩასატკბარუნებლად რის

მირთმევა შეგვიძლია ჩვენი უფლის ქვეყნად მოვლინების ამ დიდებულ დღეს, – გოგოს ისე (შეიძლება ითქვას, ავხორცულად) მიაშტერდა, თითქოს მზერით ეუბნებოდა, რა ნუგბარიც უნდა შემომთავაზო, შენზე გემრიელი ვერ იქნებაო. შედოუმ თავი ძალიან უხერხულად იგრძნო: მის თვალწინ ბებერი მგელი მეტისმეტად ნორჩ ნუკრს ეპარებოდა და, თუ ნუკრი დაუყოვნებლივ არ გაიქცეოდა, მალე რომელიმე მიყრუებულ მინდორზე მის ძვლებს ყორნები დახრავდნენ.

გოგო კვლავ გაწითლდა და ჩამოთვალა, დესერტად გვაქვს ვაშლის ღვეზელი, ვაშლის ღვეზელი ვანილის ნაყინთან ერთად, საშობაო ნამცხვარი, საშობაო ნამცხვარი ნაყინთან ერთად და წითელ-მწვანე ათქვეფილი პუდინგიო. უენზდეიმ თვალის მოუშორებლად შეუკვეთა გოგოს საშობაო ნამცხვარი ნაყინთან ერთად. შედოუმ დესერტზე უარი თქვა.

– „მევიოლინე“ ძველი ოინია, – განაგრძო უენზდეიმ, – სამასი წლის მაინც იქნება, მეტის თუ არა. თუმცა, თუ მსხვერპლს სწორად შეარჩევ, ამ ოინით დღესაც ბლომად ფულს იშოვი ამერიკაში.

– წეღან არა თქვი, ჩემს საყვარელ ოინს ვეღარსად გამოიყენებო?

– მართლაც ეგრეა. „მევიოლინე“ სულაც არ მიგულისხმია. კარგი და გასართობი კია, მაგრამ ჩემი

საყვარელი ოინი „ეპისკოპოსია“. არაფერი არ აკლია: არც დაძაბულობა, არც ეშმაკურობა და არც დინამიკურობა ან მოულოდნელობის ეფექტი. იქნებ, ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, იქნებ ცოტა რამ რომ შევცვალოთ... – უენზდეი წამით დაფიქრდა, შემდეგ თავი გააქნია, – არა, ამის დრო წავიდა. წარმოვიდგინოთ, რომ 1920 წელია საშუალო ზომის ან დიდ ქალაქში – დავუშვათ, ჩიკაგოში, ნიუ-იორკში ანდა ფილადელფიაში. ვიმყოფებით საიუველირო მაღაზიაში. შემოდის სასულიერო პირივით – უფრო ზუსტადკი, ეპისკოპოსის მეწამული ანაფორით – შემოსილი ადამიანი და ირჩევს ყელსაბამს, ბრილიანტისა და მარგალიტისგან ასხმულ დიდებულ სამკაულს, ხოლო საფასურს ტკიცინა ასდოლარიანებით იხდის.

დასტაში ზედა კუპიურას მწვანე მელნის ლაქა აცხია და მაღაზიის მეპატრონე, მობოდიშებით, მაგრამ უყოყმანოდ გზავნის ფულს უახლოეს ბანკში შესამოწმებლად. ძალიან მალე, მაღაზიის გამყიდველი ფულიანად ბრუნდება: ბანკში მითხრეს, ყალბი არც ერთი არ არისო. მაღაზიის მეპატრონე კიდევ ერთხელ იხდის ბოდიშს. ეპისკოპოსი ლმობიერებას იჩენს, მას პრობლემის არსი ესმის, ჩვენს დროში ხომ ამქვეყნად იმდენი ავაზაკი და უღმერთო დაიარება, ირგვლივ უზნეობა და უხამსობა მძვინვარებს – ქალებმაც სულ დაკარგეს სირცხვილის გრძნობა; ახლა, როცა ყოველგვარმა გარყვნილებამ და ნაძირლობამ საზოგადოებრივი ფსკერიდან კინოეკრანებზე გადაინაცვლა, სხვას რას უნდა ელოდოს ადამიანი? ყელსაბამს ბუდეში დებენ. მაღაზიის მეპატრონე როგორღაც თავს იკავებს და არ ეკითხება, მაგრამ თავისთვის კი ფიქრობს,

ნეტავ რაში დასჭირდა ასეთი ძვირი ბრილიანტის ყელსაბამი ეპისკოპოსს და რატომ იხდის მასში ათას ორასი დოლარის ოდენობის ნაღდ ფულსო.

ეპისკოპოსი საიუველირო მაღაზიის მეპატრონეს თბილად ემშვიდობება და ქუჩაში გადის. ამ დროს მხარზე ვიღაც მძიმედ ადებს ხელს.

„ამას ვის ვხედავ! რაო, „გაქექილო“, ისევ ყალთაბანდობ?“ – ნაღდი ირლანდიელის გარეგნობის, ბეჭებგანიერ უბნის პოლიციელს ეპისკოპოსი ისევ საიუველირო მაღაზიაში შეჰყავს.

„უკაცრავად, ამ კაცმა წეღან თქვენთან რამე იყიდა?“ – ეკითხება პოლიციელი იუველირს.

„არაფერიც არ მიყიდია, – ამბობს ეპისკოპოსი, – უთხარით, რომ არ მიყიდია“.

„როგორ არა, – ამბობს იუველირი, – ბრილიანტისა და მარგალიტის ყელსაბამი იყიდა ჩემგან, საფასური ნაღდი ფულით გადამიხადა“.

„კუპიურებს ხომ ვერ მაჩვენებთ, სერ?“ – ეკითხება მას პოლიციელი.

იუველირი სალაროდან ათას ორასი დოლარის კუპიურებს იღებს და პოლიციელს აძლევს.

პოლიციელი კუპიურებს შუქზე აკვირდება და გაოცებული იქნევს თავს.

„ოჰ, „გაქექილო“, „გაქექილო“! – ამბობს ის, – საუკეთესოა, რაც მინახავს. ამ საქმის ნამდვილი ოსტატი ხარ!“ ეპისკოპოსი თავმომწონედ იღიმება.

„ვერაფერს დამიმტკიცებ, – ეუბნება პოლიციელს, – ბანკში შეამოწმეს და ნამდვილიაო, ასე თქვეს. ნამდვილი მწვანე დოლარებია“.

„დარწმუნებული ვარ, ეგრეც იქნებოდა, – ეთანხმება პოლიციელი, – მაგრამ არა მგონია, ბანკში იცოდნენ, ქალაქში „გაქექილი“ სილვესტერი რომ ჩამოვიდა და არც იმ ყალბი ასდოლარიანების ხარისხზე გააფრთხილებდა მათ ვინმე, „გაქექილი“ დენვერსა და სენტ-ლუისში რომ ასაღებდა, – ამ სიტყვებით პოლიციელი ეპისკოპოსს ჯიბეში ხელს უყოფს და ყელსაბამს აცლის, – ათას ორასი დოლარის ღირებულის ბრილიანტები და მარგალიტები ორმოცდაათი ცენტის ღირებულების ქაღალდსა და მელანში, – ამბობს პოლიციელი, რომელიც გულის სიღრმეში აშკარად ფილოსოფოსია, – როგორ არ გრცხვენია, სასულიერო პირივით რომ ჩაგიცვამს?“ – ეპისკოპოსს ხელბორკილს ადებს და მიჰყავს, მაგრამ მანამდე იუველირს ხელწერილს უტოვებს, რომ ყელსაბამიცა და ათას ორასი დოლარიც მტკიცებულებად მიაქვს.

– ფული მართლა ყალბი იყო? – ჰკითხა უენზდეის შედოუმ.

– რა თქმა უნდა, არა! ბანკიდან გამოტანილი ახალთახალი კუპიურები იყო, მხოლოდ რამდენიმეგან გათხაპნილი მწვანე მელნით, ოინი უფრო საინტერესო რომ ყოფილიყო. შედოუმ ყავა მოწრუპა. ციხის ყავაზე უფრო უგემურად მოეჩვენა.

– ესე იგი პოლიციელი ნამდვილი პოლიციელი არ ყოფილა. და ყელსაბამი?

– მტკიცებულებაა, – უპასუხა უენზდეიმ, სამარილეს თავი მოხსნა, გადმოაპირქვავა და მაგიდაზე მარილი პატარა გროვად დაახვავა, – მაგრამ იუველირს ხელწერილს უტოვებენ და ჰპირდებიან, რომ როგორც კი „გაქექილ“ სილვესტერს გაასამართლებენ, ყელსაბამს უკან დაუბრუნებენ. მას კარგი მოქალაქეობისთვის აქებენ და ისიც უკვე იმაზე ფიქრობს, როგორ მოჰყვება ამ ამბავს ხვალ საღამოს, „უჩვეულოთა საძმოს“[137] მორიგ შეკრებაზე, დგას და ამაყი მზერით მიაცილებს პოლიციელს, რომელსაც ერთ ჯიბეში ათას ორასი დოლარი უდევს, მეორეში – ათას ორასი დოლარის ღირებულების ყელსაბამი და ეპისკოპოსად გადაცმული თაღლითი მიჰყავს პოლიციის განყოფილებაში, სადაც ვერც ამ პოლიციელსა და ვერც ამ თაღლითს თვალითაც ვერავინ ნახავს. მიმტანი გოგო მაგიდის გადასაწმენდად დაბრუნდა.

– მითხარი, ძვირფასო, გათხოვილი ხარ? – ჰკითხა მას უენზდეიმ. გოგომ უარის ნიშნად გააქნია თავი.

– გასაკვირია, რომ ასეთი საყვარელი გოგო ჯერ არავის ჩაუგდია ხელში, – უენზდეი მაგიდაზე დაყრილ მარილს ფრჩხილით ოთხკუთხა, რუნის მსგავს ფორმებს აძლევდა.

მიმტანი გოგო უძრავად იდგა მაგიდასთან. შედოუს ის შვლის ნუკრს კი არა, თვრამეტბორბლიანი სატვირთო მანქანის ფარების შუქით დამფრთხალ და გაქვავებულ, გზაზე გამომხტარ კურდღელს აგონებდა.

უენზდეიმ ხმას ისე დაუდაბლა, რომ მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მჯდარმა შედოუმ ძლივს გაიგონა.

– რომელ საათზე თავისუფლდები?

– ცხრაზე, – უპასუხა გოგომ და ნერწყვი გადაყლაპა, – ყველაზე გვიან, ათის ნახევარზე.

– ამ მიდამოებში საუკეთესო მოტელი რომელია?

– „მოტელ 6“[138], მაგრამ დიდი ვერაფერია.

უენზდეი თითისწვერებითმსუბუქად შეეხოგოგოს ხელზე და კანზე მარილის ნამცეცები შეატოვა. გოგოს არ ჩამოუფერთხავს.

– ჩვენთვის, – ლამის გაურკვევლად ჩაიბურტყუნა უენზდეიმ, – იქაურობა სიამეთა სასახლედ გადაიქცევა.

მიმტანმა გოგომ შეხედა, წვრილ ტუჩზე იკვნიტა, წამიერი ყოყმანის შემდეგ თავი დაუქნია და სწრაფად გაემართა სამზარეულოსკენ.

– კარგი, რა, – თქვა შედოუმ, – სრულწლოვანსაც კი ძლივს ჰგავს.

– ეგეთი საკითხები დიდად არასდროს მაღელვებდა, – უთხრა უენზდეიმ, – მთავარია, ის მივიღო, რაც მინდა. ზოგჯერ ძალიან გრძელი და ცივი ღამეებია ხოლმე. თანაც, ეგ გოგო მხოლოდ გასართობად კი არ მჭირდება, ცოტას გამომაფხიზლებს კიდეც. თვით დავით მეფემაც

კი იცოდა, რომ ზებერ ძარღვებში სისხლის გასათბობად იოლი წამალი არსებობს: ქალწული ჩაიწვინე და ცოტა ხნით ყველაფერი დაიკიდე.

შედოუმ გაიფიქრა, ნეტავ იგლ-პოინტის მოტელში ის ღამის მორიგე გოგოც ქალწული ხომ არ იყოო.

– დაავადება რომ აიკიდო, არ გეშინია? – ჰკითხა უენზდეის, – ან გოგო რომ დააორსულო? ვაითუ, ძმა ჰყავდეს?

– არა, დაავადებების არ მეშინია, – უპასუხა უენზდეიმ, – ჩემნაირ ხალხს არაფერი ემართება. სამწუხაროდ, ყველას ის მოსწონს, ფუჭ ტყვიებს რომ ვისვრი, ამიტომ არც ნაჯვარის გაჩენის დიდი ალბათობა არსებობს. ძველად ასეთი რამეებიც ხდებოდა, მაგრამ დღესდღეობით მთლად შეუძლებელი ვერა, მაგრამ თითქმის

წარმოუდგენელია. ასე რომ, ნუ ღელავ. ისე კი, ბევრ გოგოს ჰყავს ძმაც და მამაც. ზოგი ქმრიანია კიდეც. ეს ჩემი პრობლემა არაა. ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში ქალაქიდან უკვე წასული ვარ ხოლმე.

– მაშ, ამაღამ აქ ვრჩებით? უენზდეიმ ნიკაპი მოიფხანა.

– მე „მოტელ 6-ში“ გავჩერდები, – თქვა მან, მერე პალტოს ჯიბიდან ბრინჯაოსფერი გასაღები ამოიღო. გასაღებზე მიმაგრებულ ბარათზე მისამართი ეწერა: ნორთრიჯროუდი 502, ბინა 3, – აი, შენ კი აქედან შორს მდებარე ქალაქში ბინა გელოდება, – უენზდეიმ წამით დახუჭა, მერე ისევ გაახილა თვალები – ნაცრისფრები, მოელვარეები და ნაწილობრივ ერთმანეთის შეუსაბამოები, – ოც წუთში ქალაქში „გრეიჰაუნდი“ გამოივლის. ბენზინგასამართ სადგურთან გაჩერდება. აი, შენი ბილეთი, – მაგიდის მეორე მხრიდან დაკეცილი ბილეთი მიაწოდა შედოუს. ამ უკანასკნელმა გამოართვა, გაშალა და დახედა.

– მაიკ აინსელი ვინ არის? – ჰკითხა უენზდეის. ბილეთზე ეს სახელი ეწერა.

– შენ. შობას გილოცავ.

– ლეიკსაიდი[139] სადაა?

– იქ, სადაც ბედნიერად იცხოვრებ მომდევნოთვეების განმავლობაში. ახლა კი, რახან იტყვიან, ღმერთი სამობითააო... – უენზდეიმ ჯიბიდან საჩუქარივით შეფუთული პაკეტი ამოიღო და მაგიდაზე გაასრიალა. პაკეტი თავსახურზე კეტჩუპშემხმარი ბოთლის გვერდით გაჩერდა. შედოუმ ხელი არ ახლო.

– არ აიღებ?

შედოუმ უხალისოდ გახია ჭრელი ქაღალდი და მოყვითალო-მოყავისფრო ტყავის საფულე დაინახა. აშკარად ვიღაცის საფულე იყო. საფულეში იდო მილუოკის შტატის მისამართზე მცხოვრები ვინმე მაიკ აინსელზე გაცემული შედოუს ფოტოიანი მართვის მოწმობა, მისტერ აინსელის „მასტერქარდი“ და ოცი ტკიცინა ორმოცდაათდოლარიანი. შედოუმ საფულე დაკეცა და უბის ჯიბეში ჩაიდო.

– გმადლობ, – უთხრა უენზდეის.

– ეს საშობაო პრემიაა ჩემგან. ახლა კი ავტობუსამდე მიგაცილებ. ხელს დაგიქნევ, როცა „რუხ მწევარს“ ჩრდილოეთში გაჰყვები.

რესტორნიდან გავიდნენ. შედოუს გასაკვირად, ბოლო რამდენიმე საათში ძლიერ აცივებულიყო. ყინავდა. ალბათ მოთოვდა კიდეც. ცუდი ზამთარი იდგა.

– ეი, უენზდეი. ორივეგან, „მევიოლინეშიც“ და „ეპისკოპოსშიც“, ეპისკოპოსსაც და მევიოლინესაც... – შედოუ გაჩუმდა, სცადა, სათქმელისთვის თავი მოეყარა, აზრი გასაგებად ჩამოეყალიბებინა.

– რა?

– ეს თაღლითობები ორკაციანია. ეპისკოპოსსაც და მევიოლინესაც დამხმარე სჭირდებათ. პარტნიორი გყავდა? – შედოუს პირიდან ამონასუნთქი ორთქლის ღრუბლებად ამოვიდა. მაშინვე აღუთქვა თავის თავს, ლეიკსაიდში ჩასვლისთანავე საშობაო პრემიით მსოფლიოში ყველაზე სქელ და თბილ პალტოს ვიყიდიო.

– დიახ, პარტნიორი მყავდა. უმცროსი პარტნიორი. მაგრამ, ვაი, რომ ის დღეები წარსულს ჩაჰბარდა. აგერ, ბენზინგასამართი სადგური და აგერ, თუ თვალი არ მატყუებს, ავტობუსიც, – „გრეიჰაუნდი“ უკვე გაჩერებისკენ უხვევდა, – მისამართი გასაღებზე წერია, – უთხრა შედოუს უენზდეიმ, – თუ ვინმე გკითხავს, ეტყვი, რომ ბიძაშენი ვარ და მეტად უჩვეულოდ, ემერსონ ბორსონად ვიწოდები. ლეიკსაიდში დაბინავდი, დისწულო აინსელ. ერთ კვირაში გეწვევი. ერთად ვიმოგზაურებთ. საჭირო ხალხს ვესტუმრებით. ამასობაში, თვალში ნურავის შეეჩხირები და შარში თავს ნუ გაყოფ.

– და ჩემი მანქანა?

– კარგად მოვუვლი. ლეიკსაიდში კარგად გაერთე, – უთხრა უენზდეიმ და ხელი გაუწოდა. შედოუმ ჩამოართვა. უენზდეის მკვდარზე ცივი ხელი ჰქონდა.

– ღმერთო, გაყინულხარ, – უთხრა შედოუმ.

– მაშინ, მე და ის ტურფა გოგუცანა რაც უფრო მალე გადავიქცევით ორზურგიან ცხოველად „მოტელ 6-ში“, მით უკეთესი იქნება ჩემთვის, – თქვა უენზდეიმ და მხარში ხელი ჩაავლო.

შედოუს ისევ გაუორდა მხედველობა. მის წინიდგა გაჭაღარავებული მოხუცი, რომელიც მხარზე ხელს უჭერდა, მაგრამ სხვა რამეც დაინახა: მრავალი ზამთრის, ასობით ზამთრის განმავლობაში ერთი სოფლიდან მეორეში მავალი, რუხით შემოსილი და განიერფარფლიანი ქუდით თავდაბურული, კვერთხზე დაყრდნობილი ბერიკაცი, ფანჯრიდან რომ შესცქეროდა ცეცხლის ალს, ოჯახურ მხიარულებას, მჩქეფარე ცხოვრებას, რომელსაც იგი ვერასდროს გაიზიარებდა, ვერასდროს იგრძნობდა...

– წადი, – დააჩქარა უენზდეიმ, – ყველაფერი კარგადაა; ყველაფერი კარგადაა და უკეთ იქნება.

შედოუმ ბილეთი მძღოლ ქალს უჩვენა.

– საშინელი დღე კია სამგზავროდ, – უთხრა ქალმა და მერე ერთგვარი კმაყოფილებით, გაღიმებულმა დაამატა, – შობას გილოცავთ. ავტობუსი თითქმის ცარიელი იყო.

– ლეიკსაიდში როდის ვიქნებით? – ჰკითხა შედოუმ.

– ორ საათში. შეიძლება ცოტა მეტი დრო დაგვჭირდეს, – უპასუხა მძღოლმა, – როგორც ამბობენ, მკვეთრად აცივდება, – მერე ბერკეტი ჩამოსწია და კარი შიშინითა და ბრახუნით დაიხურა.

შედოუმ ავტობუსის შუაში დაიკავა ადგილი, სავარძლის საზურგე რაც შეიძლებოდა უკან გადასწია და დაფიქრდა. ავტობუსის რწევამ და სითბომ გააბრუა და ვერც კი იგრძნო, ისე ჩაეძინა.

მიწაში და მიწის ქვეშ. ნესტიან თიხის კედელზე ხელის ანაბეჭდები, ნათითურები და აქა-იქ, ცხოველების, ადამიანებისა და ფრინველების უხეში გამოსახულებები მოჩანდა.

ცეცხლი ისევ გიზგიზებდა და ბიზონისთავიანი კაციც კოცონის მოპირდაპირე მხრიდან უყურებდა შედოუს წუმპესავით მღვრიე, დიდი შავი თვალებით. ყავისფერი ბალნით გარს შემოვლებული ბიზონის ტუჩები არც კი განძრეულა, როცა მისი ხმა გაისმა.

– აბა, შედოუ, ახლა მაინც გწამს?

– არ ვიცი, – უპასუხა შედოუმ. უცებ გააცნობიერა, რომ არც თვითონ აუმოძრავებია ტუჩები. საუბრობდნენ, მაგრამ სიტყვებს არ წარმოთქვამდნენ – ყოველ შემთხვევაში, შედოუს სხვანაირად მეტყველების შესახებ არაფერი სმენოდა, – ნამდვილი ხარ?

– ირწმუნე, – უთხრა ბიზონისთავიანმა კაცმა.

– შენც... – შედოუ შეყოყმანდა, მაგრამ მაინც ჰკითხა, – შენც ღმერთი ხარ?

ბიზონისთავიანმა კაცმა კოცონიდან მუგუზალი გამოიღო. მოყვითალო-მოლურჯო ალი წითელ ხელს ულოკავდა, მაგრამ არ წვავდა.

– ეს მიწა ღმერთების არაა, – თქვა ბიზონისთავიანმა კაცმა. მაგრამ შედოუ სიზმარშივე მიხვდა, რომ ბიზონისთავიანი კაცი კი არა, უკვე აგიზგიზებული, აბრიალებული ცეცხლი ელაპარაკებოდა მიწისქვეშა ბნელ ადგილას.

– ეს მიწა ოკეანის სიღრმიდან ამოზიდა ღორიხვამ და ობობამ თავისი ქსელით მოქსოვა, – თქვა

ცეცხლმა, – ეს მიწა ყორანმა დასკინტლა. ეს მიწა დაცემული მამის სხეულია, მთები მისი ძვლებია, ხოლო ტბები – მისი თვალები. ეს სიზმრებისა და ცეცხლის მიწაა, – დაასრულა ცეცხლმა. ბიზონკაცამ მუგუზალი ისევ კოცონში შეაგდო.

– ამას რატომ მეუბნები? – ჰკითხა შედოუმ, – მე არაფერს წარმოვადგენ. არარაობა ვარ. როგორც მწვრთნელს, არა მიშავდა, რა, მაგრამ თაღლითი ჩემგან არ გამოვიდა და, როგორც ჩანს, ვერც ქმრად ვივარგე... – შედოუ რამდენიმე წამით გაჩუმდა და შემდეგ დაამატა: – ლორას როგორ ვუშველო?

ბიზონისთავიანმა კაცმა პასუხი არ გასცა. გამურული ხელისგული შედოუს მიუშვირა, საჩვენებელი თითით კი გამოქვაბულის ჭერზე ანიშნა. შედოუმ მზერა გააყოლა. პაწაწინა ღიობიდან ზამთრის მზის წვრილი, ცივი სხივი შემოდიოდა.

– ზემოთ? – ჰკითხა შედოუმ და ინატრა, ნეტავ რამეზე მაინც მიპასუხებდესო, – ზემოთ ავიდე?

შემდეგ სიზმარმა მთლიანად მოიცვა და იდეამ ხორცი შეისხა – შედოუ ქანებსა და მიწას

შეასკდა, შიგ შევარდა. თხუნელასავით მიძვრებოდა მიწაში, მაჩვივით მიცოცავდა, ზაზუნასავით მიიკვლევდა გზას, დათვივით თხრიდა მიწას, მაგრამ მიწა მეტისმეტად მაგარი და მკვრივი იყო, ძლივს სუნთქავდა; მალე ძალა სავსებით გამოელია, თხრა და ცოცვა შეწყვიტა და მიხვდა, რომ იქ, მიწის სიღრმეში, უკუნ წყვდიადში მოკვდებოდა.

ძალა აღარ ჰყოფნიდა. გაბრძოლებასაც აზრი არ ჰქონდა. იცოდა, რომ სინამდვილეში ტყეში მიმავალი თბილი ავტობუსის სავარძელში იჯდა, მაგრამ თუ აქ, მიწის ქვეშ, შეწყვეტდა სუნთქვას, იქ, ზემოთ, ცხადშიც დაიხრჩობოდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა.

მაინც არ დანებდა, სუსტად გაიქაჩა წინ, ყოველი მოძრაობა ძვირფას ჰაერს ახარჯვინებდა. ხაფანგში აღმოჩნდა: ვერც წინ მიდიოდა და ვეღარც იქ ბრუნდებოდა, საიდანაც მოვიდა.

– შემევაჭრე, – ჩაესმა გონებაში ხმა. იქნებ ეს სულაც მისი ხმა იყო – ვინ იცის?

– რა შემოგთავაზო? – ჰკითხა შედოუმ, – არაფერი მაქვს.

პირი სქელი თიხის ნაფშვენებით გაევსო; გარემომცველი ქანებისა და მინერალების მძაფრ გემოს გრძნობდა.

უცებ მიხვდა: – ჩემი თავის გარდა. ჩემი თავი მე მეკუთვნის.

თითქოს ყველაფერს შეეკრა სუნთქვა – არა მხოლოდ შედოუს, არამედ მთელ მიწისქვეშეთს, ყოველ ჭიაღუას, ყოველ ნაპრალს, ყოველ გამოქვაბულს.

– ჩემს თავს გთავაზობ.

მყისვე მიიღო პასუხი. ქანები და მიწა, გარს რომ ერტყმოდა, შედოუს ისე ძლიერ დააწვა, ფილტვებიდან ბოლო რამდენიმე გრამი ჰაერიც ამოართვა. დაწოლა ტკივილად გადაიქცა, წნეხი ყველა მხრიდან გაძლიერდა. ტკივილის განცდამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, შედოუს მეტის გაძლება აღარ შეეძლო, ტკივილი აუტანელი იყო, მაგრამ უცებ სპაზმმა გაუარა და ამოისუნთქა. მის თავზემოთ სინათლის ლაქა გადიდებულიყო.

ზედაპირისკენ მიექანებოდა.

სპაზმის მეორე ტალღას შედოუ მომზადებული დახვდა. მიწას, რომელიც ქვემოდან აწვებოდა და თავისი წიაღიდან მის გაძევებას ლამობდა, დაჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ მიეცა სულის მოთქმის საშუალება. მერე ისევ კრუნჩხვებმა შეიპყრეს, შეარყიეს, ყოველი გატოკება წინაზე მეტად სტკენდა.

მიწაში იგრიხებოდა და ტრიალებდა; აი, სახით ღიობს მიეკრა. ნაპრალიდან, მისი მუჭისოდენა ძლივს რომ იქნებოდა, მკრთალი, ნაცრისფერი შუქი და ჰაერი, სანუკვარი ჰაერი შემოდიოდა.

ტკივილი, ბოლო ჭინთვისას რომ განიცადა, როცა ურყევი, მტკიცე ქვის ნაპრალიდან გარეთ ვარდებოდა, სიტყვებით ვერ აიწერება. ძვლები დაემსხვრა, ხორცი ფარშად გადაექცა და თვითონ თითქოს გველს დაემსგავსა. როგორც კი პირი და გატეხილი თავი ზედაპირზე ამოყო, შიშისა და ტკივილისგან შეწუხებული აყვირდა.

ამ დროს, თავისთვის გაიფიქრა, ნეტავ იქ, ცხადშიც ხომ არ ვყვირიო. ჩაბნელებული ავტობუსის სავარძელზე გადაწოლილი, ძილში ხომ არ ყვიროდა?

და, აჰა, როგორც იქნა, შედოუ მიწის ზედაპირზე აღმოჩნდა. თითები წითელ თიხაში ჩაასო. საბედნიეროდ, ტკივილი დაცხრა და ღრმად ჩაისუნთქა საღამოს თბილი ჰაერი.

წამოჯდა, სახიდან მიწა ჩამოიწმინდა და ცას ახედა. ბინდი იდგა, ხანგრძლივი, იისფერი ბინდი, ვარსკვლავები ერთიმეორის მიყოლებით ენთებოდა, შედოუს არასდროს რომ არ ენახა ან წარმოედგინა, ისეთი კაშკაშა და ხასხასა ვარსკვლავები.

– მალე, – ცეცხლის ტკაცატკუცი მოესმა უკნიდან, – ვარსკვლავები მალე ჩამოცვივდება და ვარსკვლავების ხალხი მიწის ხალხს შეხვდება. მათ შორის გამოჩნდებიან გმირები, რომლებიც ურჩხულებს დახოცავენ და ცოდნას მოიტანენ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იქნება ღმერთი. ღმერთებისთვის ეს ცუდი ადგილია.

უჩვეულოდ სუსხიანმა ქარმა დაუბერა და შედოუს სახეში დაეძგერა. თითქოს ყინულივით ცივი წყალი გადაასხეს. გაიგონა ავტობუსის მძღოლის ხმა, პაინვუდში ცოტა ხნით გავჩერდებით და, თუ ვინმეს სიგარეტის მოწევა ან ხელ-ფეხის გაშლა გინდათ, მოასწარით, თორემ ათ წუთში ისევ გზას გავუდგებითო.

შედოუ ავტობუსიდან ჩაბანცალდა. ზუსტად ისეთივე ბენზინგასამართ სადგურთან გაჩერებულიყვნენ, საიდანაც შედოუ გამოჰყვა ავტობუსს. მძღოლი ორ მოზარდ გოგოს ეხმარებოდა ავტობუსში ჩასხდომაში, მათი ჩემოდნები საბარგო განყოფილებაში შეინახა.

– ეი, – დაუძახა მძღოლმა შედოუს, – თქვენ ლეიკსაიდში ჩადიხართ, ხომ ასეა?

შედოუ ნამძინარევი ხმით დაეთანხმა, დიახო.

– კაი ქალაქი კია, – თქვა ავტობუსის მძღოლმა, – ხანდახან ვფიქრობ, პენსიაზე რომ გავდიოდე, ლეიკსაიდში დავსახლდებოდი-მეთქი. ეგეთი ლამაზი ქალაქი მეორე არ შემხვედრია. დიდი ხანია, მანდ ცხოვრობთ?

– პირველად მივდივარ.

– „მეიბლში“ ჩემ მაგივრად ღვეზელი შეჭამეთ, კარგი? შედოუ აღარ ჩაეძია, ეგ სად არის ან ეგეთი რა ღვეზელიაო.

– იცით, რა მაინტერესებს, ძილში ხომ არ ვლაპარაკობდი? – ჰკითხა ქალს.

– თუ ლაპარაკობდით, მე არაფერი გამიგია, – ქალმა მაჯის საათზე დაიხედა, – ავტობუსში დავბრუნდეთ. ლეიკსაიდში რომ ვიქნებით, გეტყვით.

მოზარდი გოგოები, რომლებიც, შედოუს აზრით, თოთხმეტზე მეტისანი არ იქნებოდნენ, მის წინ დასხდნენ. ძალაუნებურად ყურს უგდებდა მათ საუბარს და დაასკვნა, დები კი არა, მეგობრები არიანო. ერთ-ერთმა საერთოდ არაფერი იცოდა სექსზე, მაგრამ კარგად იცნობდა ცხოველებს და

რომელიღაც თავშესაფარში მუშაობდა თუ სხვებს ეხმარებოდა ცხოველების მოვლაში; ხოლო მეორეს მიაჩნდა, რომ ინტერნეტიდან თუ ტელეგადაცემებიდან ამოკრეფილი ნამცეცების შეკოწიწებით ადამიანის სექსუალობაზე ბევრი რამ შეიტყო. შედოუ გაოგნებული და თან შეძრწუნებული უსმენდა გოგოს, რომელიც თავდაჯერებულად უხსნიდა მეგობარს „ალკა-ზელცერის“[140] დახმარებით ორალური სექსის გაუმჯობესების ხერხებს.

გოგოები, ცხოველების მოყვარულიცა და სექსის მცოდნეც, ენას არ აჩერებდნენ. მალე ამჟამინდელ „მის ლეიკსაიდს“ დაუწყეს ლაფის სროლა, სილამაზის დედოფლის გვირგვინი მხოლოდ ჟიურის წევრებთან არშიყობით დაიდგა თავზეო.

გაბეზრებულმა შედოუმ ავტობუსის ხმაურზე გადაიტანა ყურადღება, ახლა მის სმენამდე გოგოების საუბრის ფრაგმენტებიღა აღწევდა.

გოლდი ისეთი კარგი ძაღლია, სუფთა სისხლის რეტრივერი, ოღონდაც მამა

შინ მიმაყვანინებდეს. ჩემს დანახვაზე ყოველთვის კუდს აქიცინებს! შობაა,

ახლა მაინც უნდა დამსვას თოვლმავალზე. იმხელა სირი აბია, ენით ზედ

საკუთარ სახელს დაწერ. სენდი მენატრება.

ჰო, სენდი მეც მენატრება.

ამაღამ თხუთმეტ სანტიმეტრს მოთოვსო, გამოაცხადეს, მაგრამ მაგათი

პროგნოზი სანდო არაა, იგონებენ, გამკითხავი მაინც არავინაა... მერე მძღოლმა

დაიყვირა: – ლეიკსაიდი!

ავტობუსი დაამუხრუჭეს და კარი გაიღო. შედოუ გოგოებს ჩაჰყვა ვიდეომაღაზიისა და სოლარიუმის ავტოსადგომზე, რომელიც, როგორც ჩანდა, ლეიკსაიდის ავტობუსების სადგურის მოვალეობასაც ასრულებდა. საშინლად ციოდა, მაგრამ სიცივემ შედოუ გამოაფხიზლა. სამხრეთითა და დასავლეთით ქალაქის განათებული ნაწილი მოჩანდა, აღმოსავლეთით – ვრცლად გადაჭიმული გაყინული ტბა.

გოგოები ავტოსადგომზე დადგნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ და თეატრალურად უბერავდნენ სულს ხელებს. ერთ-ერთმა, უმცროსმა გოგომ, შედოუსკენ გამოაპარა თვალი და, როცა მიხვდა, შეამჩნიეს, უხერხულად გაიღიმა.

– შობას გილოცავთ! – შედოუმ ამის თქმა უსაფრთხოდ მიიჩნია.

– გმადლობთ, – უთხრა მეორემ, პირველზე ერთი-ორი წლით უფროსმა გოგომ, – თქვენც გილოცავთ! – მას სტაფილოსფერი თმა და პაჭუა, ჭორფლებიანი ცხვირი ჰქონდა.

– მომწონს თქვენი ქალაქი, ლამაზია, – აღნიშნა შედოუმ.

– ჩვენც მოგვწონს, – თქვა უმცროსმა, იმან, ცხოველები რომ უყვარდა, და მორცხვად გაღიმებისას კბილებზე დამაგრებული ბრეკეტები გამოუჩნდა, – ვიღაცას მაგონებთ, – სერიოზულად თქვა, – ვინმეს ძმა ან შვილი ხომ არ ხართ?

– რა დებილი ხარ, ელისონ, – უთხრა მეგობარმა, – ყველა ვიღაცის შვილი ან ძმაა.

– ეგ არ მიგულისხმია, – თავი იმართლა ელისონმა. წამით სამივეს მსუბუქი ავტომობილის წინა ფარების შუქი გადაეფინა. საჭესთან ქალი იჯდა, რომელიღაც გოგოს დედა. გოგოებმა ბარგი სწრაფად ჩააწყვეს საბარგულში, თვითონაც მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ. შედოუ ავტოსადგომზე მარტო დარჩა.

– ახალგაზრდავ, რამით ხომ არ დაგეხმაროთ? – ვიღაც ბერიკაცმა ვიდეომაღაზია ჩაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო, – მაღაზია საშობაოდ დაკეტილია, – მხიარულად უთხრა შედოუს, – მაგრამ ავტობუსის დასახვედრად მოვედი. მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ ყველაფერი რიგზეა. შობა დღეს საბრალო, გარიყული სულის მარტო დატოვებას საკუთარ თავს ვერ ვაპატიებ.

ბერიკაცი იმდენად ახლოს მოვიდა, რომ შედოუმ მისი სახე გაარჩია: მოხუცი კი იყო, მაგრამ ბედნიერად გამოიყურებოდა; იმ კაცს ჰგავდა, ცხოვრების ყოველი სიმწარე დიდწილად თაფლად რომ შერგებია.

– მადლიერი დაგრჩებით, აქაური ტაქსის კომპანიის ტელეფონის ნომერს თუ მიკარნახებთ, – უთხრა შედოუმ.

– კი გიკარნახებდით, მაგრამ ტომს ასე გვიან, ალბათ, უკვე სძინავს. თუნდაც გააღვიძოთ, არა მგონია, პატივი დაგდოთ – ამ საღამოს ვნახე ბარში „აქ ყველა ვსვამთ“ და სხვათა შორის, კარგ განწყობაზე იყო. ძალიან კარგ განწყობაზე. საით გაგიწევიათ? შედოუმ მისამართი წააკითხა.

– ეგ ხიდს გადაღმა, ათი ან შეიძლება ოცი წუთის სავალზეა, მაგრამ ამ სიცივეში სიარული რა სახალისოა? თანაც, თუ დაჰკვირვებიხართ, როცა ადამიანმა არ იცის, სად მიდის, გზა თითქოს იწელება. უცხო ადგილის მიგნებას საუკუნე უნდება კაცი, მერე და მერე კი თვალის დახამხამებაში გადიხარ ამ გზას.

– დიახ, – დაეთანხმა შედოუ, – ამაზე არასდროს მიფიქრია, მაგრამ ალბათ მართალს ამბობთ. ბერიკაცმა თავი დაუქნია და სახე ღიმილმა გაუნათა.

– ჯანდაბას, დღეს ხომ შობაა! „ტესიში“ ჩაჯექით, მე წაგიყვანთ.

– ტესიში? – გაუკვირდა შედოუს, მაგრამ იმწამსვე დაამატა, – გმადლობთ.

– არაფერს.

შედოუ ბერიკაცს გზისპირთან მიჰყვა, სადაც დიდი, ძველი, 1920-იან წლებში განგსტერები რომ დაატარებდნენ, ისეთი „როუდსტერი“[141] იდგა. ნატრიუმის ნათურების შუქზე მუქი ფერისა ჩანდა, მაგრამ სინამდვილეში წითელი ან მწვანე შეიძლებოდა ყოფილიყო.

– აი, ეს არის „ტესი“, – უთხრა შედოუს ბერიკაცმა, – ხომ ლამაზია? – და მესაკუთრულად დაჰკრა ხელი კაპოტზე.

– რომელი მოდელია? – ჰკითხა შედოუმ.

– „უენტ ფინიქსი“. 1931 წელს „უენტი“ გაკოტრდა და „კრაისლერმა“ შეიძინა, მაგრამ „უენტის“ სერიის გამოშვება აღარ გააგრძელა. კომპანიის დამაარსებელი ჰარვი უენტი აქაური ბიჭი იყო. კალიფორნიაში გადასახლდა და 1941 თუ 1942 წელს თავი მოიკლა. ტრაგიკული ამბავია.

მანქანის სალონში ტყავისა და სიგარეტის სუნი ტრიალებდა, ოღონდ ახალმოწეულისა – არა. ამ ხნის განმავლობაში მანქანაში იმდენ ადამიანს ექნებოდა სიგარეტი მოწეული, თამბაქოს სუნი მანქანის შემადგენელ ნაწილად ქცეულიყო. ბერიკაცმა გასაღები გადაატრიალა და „ტესი“ დაქოქა.

– ხვალ ფარეხში მიმყავს, – უთხრა შედოუს, – შალითას გადავაფარებ მტვრისგან დასაცავად და გაზაფხულამდე იქ დავტოვებ. სიმართლე გითხრათ, ამხელა თოვლში არც უნდა დამყავდეს.

– თოვლში კარგად ვერ დადის?

– თოვლი კი არა, თოვლის გასადნობად გზებზე დაყრილი მარილი უშლის ხელს. ვერც კი წარმოიდგენთ, ამ ძველ ლამაზმანებს რა სწრაფად ჟანგავს. რა გნებავთ, პირდაპირ დანიშნულების ადგილას მიგიყვანოთ თუ მთვარის შუქზე ექსკურსია მოგიწყოთ ქალაქში?

– არ მინდა, ზედმეტად შეგაწუხოთ...

– რა შეწუხებაა. ჩემი ხნისა რომ გახდებით, წამით თვალის მოხუჭვითაც ბედნიერი იქნებით. ღამით ხუთი საათით თუ დავიძინე, ესეც საქმეა – გამეღვიძება და მორჩა, ფიქრები ამეშლება, გონება მოსვენებას კარგავს. უი, ზრდილობა სულ დავკარგე! მე ჰინცელმანი ვარ. გეტყოდით, რიჩი მიწოდეთ-მეთქი, მაგრამ აქაურები, მარტივად, ჰინცელმანად მიცნობენ. ხელს ვერ ჩამოგართმევთ, ორივე „ტესის“ სამართავად მჭირდება. გული მოსდის ხოლმე, სათანადო ყურადღებას თუ არ ვაქცევ.

– მაიკ აინსელი, – უთხრა შედოუმ, – სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ჰინცელმან.

– მაშ, ექსკურსია მოვაწყოთ. ტბას წრე დავარტყათ, – თქვა ჰინცელმანმა.

მეინ-სტრიტი, ქალაქის მთავარი ქუჩა ღამითაც კი ლამაზი ჩანდა და ძველებურად

გამოიყურებოდა ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით – თითქოს ხალხი ამ ქუჩას ასობით წლის განმავლობაში უფრთხილდებოდა და ელოლიავებოდა და თუ რამ მოსწონდა, იმასთან განშორებას არ ჩქარობდა.

გვერდით ჩავლისას ჰინცელმანმა მიუთითა ქალაქის ორ რესტორანზე (ერთ გერმანულსა და ერთ „ბერძნულის, ნორვეგიულისა და სხვათა ნაზავზე“); უჩვენა პურფუნთუშეულისა და წიგნის მაღაზიები („ჩემი აზრით, ქალაქი, რომელშიც წიგნის მაღაზია არ არის, სინამდვილეში ქალაქი არც არის. შეიძლება ქალაქად იწოდებოდეს,

მაგრამ წიგნების მაღაზიის გარეშე ეგ წოდება ფუჭია“). ბიბლიოთეკასთან ჩავლისას, „ტესი“ შეანელა, რომ შედოუს შენობა უკეთ დაეთვალიერებინა. ამაყად აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკის შესასვლელთან ძველებური გაზის ლამპები ენთო.

– ბიბლიოთეკა1870 წელს აქაურმა ხე-ტყის მაგნატმა ჯონ ჰენინგმა ააშენა. უნდოდა, მისთვის „ჰენინგის სახელობის ბიბლიოთეკა“ დაერქმია, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ყველა „ლეიკსაიდის ბიბლიოთეკად“ მოიხსენიებს და ალბათ ეს სახელი შერჩება ქვეყნიერების აღსასრულამდე. ხომ ზღაპრული შენობაა? – ჰინზელმანმა ისეთი სიამაყით ჰკითხა, თითქოს ბიბლიოთეკა თავად აეშენებინოს. შედოუმ ბიბლიოთეკა ციხესიმაგრეს მიამგვანა და ჰინცელმანს ასევე უთხრა.

– ჰო, ამ თავისი კოშკურებით გარედან მართლაც ჰგავს, – დაეთანხმა ეს უკანასკნელი, – ეს ჰენინგის ჩანაფიქრი იყო. შიგნით ძველი ფიჭვის თაროებია შენარჩუნებული. მირიამ შულცს ძალიან უნდა ინტერიერი გადააკეთოს და გაარემონტოს, მაგრამ ბიბლიოთეკას ისტორიული ძეგლის წოდება აქვს და ხელსაც ვერ ახლებს.

ტბის სამხრეთ ნაპირს შემოუარეს. ქალაქი გზის დონიდან ათი მეტრით ქვემოთ მდებარე ტბას გარს ერტყმოდა. გაყინული ტბის ზედაპირი თეთრად ლაპლაპებდა, აქა-იქ ქალაქის განათებები ირეკლებოდა.

– როგორც ჩანს, აქ ძალიან ყინავს, – შენიშნა შედოუმ.

– უკვე თვეზე მეტია, – დააზუსტა ჰინცელმანმა, – მკრთალი ლაქები თოვლის ნამქერებია, ხოლო ციმციმა ყინულია. ტბა მადლიერების დღის შემდეგ ერთ სუსხიან ღამეს გაიყინა და მოისარკა. ყინულში თუ გითევზავიათ, მისტერ აინსელ? – არასდროს.

– კაცი უკეთეს გასართობს ვერ მოიფიქრებს. მთავარი თევზის ჭერა კი არა, დამშვიდებული გონებაა, რომლითაც შინ დაბრუნდები.

– დავიმახსოვრებ, – შედოუმ „ტესის“ ფანჯრიდან ტბას გადახედა, – ზედაპირზე გავლა უკვე შეიძლება?

– ფეხით გავლა შეიძლება. მანქანაც გაივლის, მაგრამ ჯერ მაინც არ გავრისკავდი. უკვე ექვსი კვირაა, ჩვენთან ყინვები უჭირავს, – თქვა ჰინცელმანმა, – მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აქ, ჩრდილოეთ ვისკონსინში, იმაზე უფრო მაგრად და სწრაფად იყინება ყველაფერი, ვიდრე სხვაგან. ერთხელ სანადიროდ წავედი, ირემზე სანადიროდ, ეს დაახლოებით, ოჰ, ოცდაათი-ორმოცი წლის წინ მოხდა, და ხარირემს ვესროლე.

ავაცდინე. ტყეში შევარდა, ტბის ჩრდილოეთ ნაპირთან, სადაც თქვენ დაიდებთ ბინას, მაიკ. მართლაც გასაოცარი ხარირემი იყო, ოცტოტიანი ქორბუდა, მომცრო ცხენისოდენა – მსგავსი არასდროს მენახა. მაშინ უფრო ახალგაზრდა და შეუპოვარი ვიყავი და მართალია, იმ წელს თოვა ჯერ კიდევ ჰელოუინამდე[142] დაიწყო, იმ დღეს, მადლიერების დღეს[143], ტყისპირას, მიწაზე ჯერაც გაუკვალავი თოვლი იდო და ირმის ნაკვალევი ცხადად ემჩნეოდა. შეშინებული ირემი აშკარად ტბისკენ მირბოდა.

მხოლოდ სულელი თუ იფიქრებს, ირემს დავეწევიო, მაგრამ, ჰა, სულელივით მაინც გავეკიდე. უცებ, ვხედავ, ტბაში, 20-25 სანტიმეტრის სიღრმის წყალში დგას და მე

მომჩერებია. სწორედ ამ დროს მზე ღრუბელს ამოეფარა და სიცივე ჩამოვარდა, მგონი, ათ წუთში ტემპერატურა 15 გრადუსით მაინც დაეცა, არ ვაჭარბებ. ბებერი ხარირემი გასაქცევად ემზადება, მაგრამ... ვერ ინძრევა. თურმე ფეხები ტბაში ჩაეყინა.

ნელა ვუახლოვდები. ფეხებს ვერ ანძრევს და ვერსად წამივა. მაგრამ საბრალო ცხოველს როგორ ვესროლო, როცა ჩემ წინ უმწეოდ გაშეშებულა – ადამიანი მერქმეოდა, ეს რომ მექნა, ჰა? ჰოდა, თოფს ზემოთ ვწევ და ჰაერში ვისვრი.

თოფის გრიალი ისედაც შეშინებულ ხარირემს უფრო მეტად აფრთხობს და ლამისაა ტყავიდან ამოხტეს. ლამისაა კი არა, ტბაში ფეხებჩაყინულს სხვა გამოსავალი აღარ რჩება, მართლაც ტყავიდან ხტება და გარბის. ტყავსა და ტოტებიან რქებს ტბაზე მიყინულს ტოვებს, თვითონ კი, ახალშობილი წრუწუნასავით ვარდისფერი და აცახცახებული ტყეს აფარებს თავს.

ხარირემი ისე შემეცოდა, „ლეიკსაიდის მქსოველ ქალთა კლუბს“ მოველაპარაკე და მისთვის, ზამთარში სიცივისგან რომ არ მომკვდარიყო, შალის თბილი შემოსაცმელი მოვაქსოვინე. ჭკუაც ვიხმარეთ და შემოსაცმელი ნარინჯისფერი შალისგან მოვუქსოვეთ, რომ არც ერთ მონადირეს არ მოენდომებინა მისთვის სროლა – ამ მიდამოებში ხალხი ნადირობისას ნარინჯისფრად იმოსება, – აუხსნა შედოუს ჰინცელმანმა, – თუ გგონიათ, ამ ამბავში ერთი სიტყვა მაინც ურევია ტყუილი, დაგიმტკიცებთ, რომ ცდებით. მისი რქები დღესაც ჩემი დასასვენებელი ოთახის კედელზე მიკიდია.

შედოუმ გაიღიმა. ბერიკაცმაც დახელოვნებული ოსტატივით კმაყოფილმა ჩაიღიმა. აგურის

შენობასთან გაჩერდნენ. სახლს ხის განიერი ვერანდა გასდევდა, რომელიც მიმზიდველად მოციმციმე საშობაო ნათურებით მოერთოთ.

– ესეც 502, – თქვა ჰინცელმანმა, – მესამე ბინა მესამე სართულზე იქნება, იქითა მხარეს. ალბათ პირდაპირ ტბას გადაჰყურებს. მოვედით, მაიკ.

– გმადლობთ, მისტერ ჰინცელმან. ბენზინის ფული რამდენი მმართებს?

– მხოლოდ ჰინცელმანიც კმარა. ერთი ცენტიც არ გმართებთ ჩემი. შობას გილოცავთ მეც და „ტესიც“.

– მართლა არ გამომართმევთ ფულს? ბერიკაცმა ნიკაპი მოიფხანა.

– იცით, რა, იმ კვირაში რომელიმე დღეს გამოგივლით და ჩვენი საქველმოქმედო ლატარიის ბილეთებს მოგყიდით, – უთხრა ჰინცელმანმა, – ახლა კი, აჯობებს, დაისვენოთ, ახალგაზრდავ.

– შობას გილოცავთ, ჰინცელმან, – გაუღიმა შედოუმ. ბერიკაცმა შედოუს მუხის

ტოტივით მაგარი, დაკოჟრილი ხელით ხელი ჩამოართვა.

– სახლამდე ფრთხილად იარეთ, ბილიკი მოყინული იქნება და ფეხი არ მოგიცურდეთ. აი, თქვენი ბინის კარი აქედანაც ჩანს. ხედავთ? აქ ვიდგები და დავრწმუნდები, რომ მშვიდობით დაბინავდით. ცერა თითი ამიწიეთ, რომ ყველაფერი რიგზეა და წავალ.

სანამ შედოუმ ხის საფეხურები არ აიარა და გასაღებით ბინის კარი არ გააღო, „უენტ ფინიქსი“ დაქოქილი იდგა ქვემოთ. მერე შედოუმ ცერა თითი გაშალა და „უენტში“ („ტესიშიო“, შეასწორა გონებაში შედოუმ და ადამიანის სახელიანი მანქანის წარმოდგენაზე ისევ გაეღიმა) მჯდარმა ბერიკაცმა მანქანა შემოატრიალა და ის და მისი „ტესი“ ხიდისკენ გაბრუნდნენ.

შედოუმ კარი მიხურა. ოთახში ციოდა. ირგვლივ ახალი ცხოვრების დასაწყებად წასული ხალხის, მათი ნაჭამისა და ნაოცნებარის სუნი ტრიალებდა. თერმოსტატი იპოვა და 20 გრადუსზე დააყენა. მოცუცქნულ სამზარეულოში შევიდა, უჯრები შეამოწმა, ავოკადოსფერ მაცივარში შეიხედა. რასაკვირველია, ცარიელი იყო. თუმცა, გამოწმენდილი და სუფთა რომ დახვდა, ესეც საქმეა.

სამზარეულოს გვერდით მთლად ერთი ციცქნა სააბაზანო იყო. თითქმის მთელი სააბაზანო

საშხაპე კაბინას ეჭირა. უნიტაზში მოტივტივე გაყვითლებულ სიგარეტის ნამწვს წყალი ყავისფრად შეეღება. შედოუმ უნიტაზი ჩარეცხა.

სააბაზანოს მოპირდაპირედ პატარა საძინებელში შევიდა. იატაკზე გაქუცული ხალიჩა დაეფინათ. კარადაში ქვეშაგები იპოვა და ლოგინი დააგო. მერე ფეხსაცმელი და ქურთუკი გაიხადა, მაჯის საათიც მოიხსნა და ტანსაცმლიანად დაწვა, იმ იმედით, რომ მალე გათბებოდა.

ბნელ ბინაში სიჩუმეს მხოლოდ მაცივრის ზუზუნი არღვევდა. საიდანღაც რადიოს ხმაც ისმოდა. სიბნელეში იწვა და ფიქრობდა, „გრეიჰაუნდში“ გამოძინება, შიმშილი, სიცივე, ახალი საწოლი და ბოლო რამდენიმე კვირის სიგიჟეები – ეს ყველაფერი ერთად – ძილს ხომ არ დამიფრთხობსო.

მდუმარებაში რაღაცამ გაიტკაცუნა. ტოტი ან ყინული იქნებაო, დაასკვნა შედოუმ. გარეთ საშინლად ყინავდა.

ნეტავ უენზდეი როდის ჩამოვაო, გაიფიქრა: ერთ დღეში? ერთ კვირაში? სულერთია, ამასობაში ყურადღება სხვა რამეზე უნდა გადაეტანა. გადაწყვიტა, ვარჯიში განეახლებინა და მონეტებით ფოკუსების კეთებაც დაეხვეწა („ყველა შენი ფოკუსის კეთებაში დაოსტატდი, – ჩასჩურჩულა

ვიღაც უცხოს ხმამ გონებაში, – ყველას კეთებაში, გარდა იმ ერთისა, საბრალო, აწ უკვე მკვდარმა შეშლილმა სუინიმ რომ გიჩვენა, გაყინულმა, ყველასგან მივიწყებულმა და აღარავისთვის საჭირო სუინიმ. არა, იმ ფოკუსს შეეშვი“.).

ეს ქალაქი მართლაც კარგი იყო. ამას გრძნობდა.

კაიროში გატარებულ პირველ ღამეს ნანახი სიზმარი გაახსენდა, თუ სიზმარი იყო საერთოდ. ზორიაზე დაფიქრდა... რა ჯანდაბა ერქვა? შუაღამის და. მერე ლორაზე დაფიქრდა...

მასზე ფიქრისას შედოუს გონებაში თითქოს სარკმელი გაიღო. ლორა დაინახა. როგორღაც დაინახა.

ლორა იგლ-პოინტში იყო, დედამისის დიდი სახლის ეზოში.

იდგა სიცივეში, რომელსაც ვეღარ გრძნობდა თუ გამუდმებით გრძნობდა; იდგა სახლის წინ, რომელიც დედამისმა 1989 წელს იყიდა დაზღვევის ფულით მას შემდეგ, რაც ლორას მამას, ჰარვი მაკ-კეიბს, უნიტაზზე მჯდარს ჭინთვისას გული გაუსკდა; იდგა და ფანჯრის მინაზე ხელმიდებული, ისე რომ საერთოდ არ ორთქლავდა მინას, უყურებდა დედამისსა და ტეხასიდან საშობაოდ ჩამოსულ თავის დას, დისშვილებსა და ტეხასელ სიძეს.

გარეთ, წყვდიადში მდგარი ლორა მათ თვალს ვერ აშორებდა.

შედოუს თვალებზე ცრემლები მოადგა და საწოლში გადატრიალდა.

„უენზდეი“, გაიფიქრა მან და ახლა სხვა სარკმელი გაიღო. „მოტელ 6-ის“ ოთახის კუთხიდან დაინახა ნახევრად ბნელში მოკოტრიალე ორი ფიგურა.

თვალთვალის შერცხვა, გონების სარკმლები გამოიხურა და ფიქრები თავისთან იხმო. ღამეში მისკენ მსწრაფი გრძელი, შავი ფრთების ფართხუნი წარმოესახა; არქტიკიდან მონაბერი ქარის სუსხიანმა, მკვდრის თითებივით ცივმა შეხებამ ქვემოთ გადაჭიმულ ტბაზე წყლის ნარჩენები გაყინა და გაამყარა.

შედოუმ ნელა დაიწყო სუნთქვა. აღარ ციოდა. ესმოდა, როგორ ამოვარდა ქარი და კივილით დაქროდა სახლის გარშემო; ერთ მომენტში მოეჩვენა, რომ ქარში სიტყვები ისმოდა.

რახან სადღაც უნდა ვყოფილიყავი, ბარემ აგერ ვარ და აქვე დავრჩებიო,

გაიფიქრა შედოუმ და დაიძინა. ამასობაში. საუბარი.

– მის ქროუ.

– დიახ.

– მის სამანთა ბლექ ქროუ[144] ბრძანდებით?

– დიახ.

– შეიძლება რამდენიმე შეკითხვა დაგისვათ, მემ?

– არა, არ შეიძლება!

– მემ, ბევრ დროს არ წაგართმევთ.

– ვინ ხართ, პოლიციელები?

– მე ტაუნი[145] ვარ. ეს ჩემი კოლეგა მისტერ როუდია[146]. ჩვენი ორი თანამშრომლის გაუჩინარებას ვიძიებთ.

– მათ რა ერქვათ?

– უკაცრავად?

– მათი სახელები მითხარით. მაინტერესებს, რა ერქვათ თქვენს თანამშრომლებს. მათი სახელები მითხარით და იქნებ დაგეხმაროთ კიდეც.

– კარგი. მათ მისტერ ვუდი და მისტერ სტოუნი ერქვათ. ახლა გვიპსუხებთ რამდენიმე შეკითხვაზე?

– თქვენ რა, რასაც დაინახავთ, სახელად იმას ირქმევთ? ოჰ, მოდი, შენ მისტერ საიდუოკი[147] იყავი, ის მისტერ კარპიტი[148] იყოს, მისტერ ეარპლეინს[149] მიესალმე...

– ახლა ხუმრობებისთვის არ გვცალია, მემ. პირველი შეკითხვა: ეს კაცი ხომ არ გინახავთ? აი, ფოტოს დააკვირდით.

– ოჰო. ანფასი და პროფილი. ქვემოთ ციფრები... რამხელაა. მაგრამ ლამაზი კია. რა ჩაიდინა?

– ერთ პატარა ქალაქში რამდენიმე წლის წინ ბანკის ძარცვაში მონაწილეობდა. მძარცველების მანქანას მართავდა. მისმა ორმა კოლეგამ ნაძარცვის მესამისთვის გაყოფა არ მოინდომა და აითესნენ. ეს გაბრაზდა, ორივე იპოვა და შიშველი ხელებით ლამის დახოცა. ბრალდების მხარე დაზარალებულებს შეუთანხმდა და ჩვენების სანაცვლოდ, ორივეს პირობითი მიუსაჯეს, ამ ჩვენს შედოუს კი – ექვსი წელი. სამი წელი მოიხადა. მე თუ მკითხავთ, ამისნაირი ტიპები საკანში უნდა გამოკეტო და გასაღები მოისროლო.

– პირველად მესმის, ამას ვინმე მართლა ამბობდეს.

– რას, მის ქროუ?

– „აითესნენო“. ფილმებში კი მომისმენია, მაგრამ სინამდვილეში ვინმეს ეთქვას, არ შევსწრებივარ.

– ეს ფილმი არ არის, მის ქროუ.

– ბლექ ქროუ. მის ბლექ ქროუ – ასე უნდა მომმართოთ. მეგობრები სემს მიწოდებენ.

– გასაგებია, სემ. ახლა ისევ ამ კაცს...

– მაგრამ თქვენ ჩემი მეგობრები არ ხართ. თქვენ მის ბლექ ქროუუნდა მიწოდოთ.

– მისმინე, შე ცინგლიანო...

– არა უშავს, მისტერ როუდ. სემს... უკაცრავად, მემ... უფრო ზუსტად, მის ბლექ ქროუს ჩვენი დახმარება სურს. ის კანონმორჩილი მოქალაქეა.

– მემ, ვიცით, რომ შედოუს დაეხმარეთ. ცოტა ხნის წინ მასთან ერთად შეგამჩნიეს თეთრ „შევროლე ნოვაში“. მას დაემგზავრეთ. შედოუმ სადილის საფასური გადაგიხადათ. რამე ისეთი ხომ არ უთქვამს, საქმის გამოძიებაში რომ დაგვეხმარება? ჩვენი ორი საუკეთესო თანამშრომელი გაუჩინარდა.

– მას არასდროს შევხვედრივარ.

– შეხვედრიხართ. გთხოვთ, ნუ შეცდებით და სულელები ნუ გეგონებით. სულელები არ ვართ.

– ჰმ. მე ბევრ ადამიანს ვხვდები. იქნებ ამ ტიპს შევხვდი კიდეც, მაგრამ გადამავიწყდა.

– მემ, თქვენთვის უკეთესია, თუ ჩვენთან ითანამშრომლებთ.

– თუ არადა, თქვენი მეგობრების, მისტერ თამბსქრიუსა[150] და მისტერ პენტოთალის[151] გაცნობა მომიწევს?

– მემ, საქმეს ძალად ირთულებთ.

– ღმერთო. მაპატიეთ. კიდევ რამე გაინტერესებთ? თუ არადა, დაგემშვიდობებით და კარს მივხურავ, თქვენ კი ალბათ მისტერ ავტომობილში ჩასხდებით და წახვალთ.

– დავიმახსოვრებთ, რომ ჩვენთან თანამშრომლობა არ ისურვეთ, მემ.

– კარგად ბრძანდებოდეთ.

ჩხაკ.

მეათე თავი

ყველა საიდუმლოს გაგიმხელ, მაგრამ ჩემს
წარსულზე მაინც ვიცრუებ, ჰოდა, გამიშვი
სამუდამოდ დასაძინებლად. ტომ უეიტსი[152],
„ტანგო ფეხების დაწყლულებამდე“

წყვდიადში, სიბინძურეში განვლილი მთელი ცხოვრება – აი, რა ესიზმრა ლეიკსაიდში გატარებულ პირველ ღამეს შედოუს. ბავშვის ცხოვრება, დიდი ხნის წინ და ძალიან შორს, ოკეანის გაღმა ქვეყანაში, სადაც მზე ამოდის. მაგრამ ბავშვს აისი არასდროს უნახავს, მისთვის დღე ყოველთვის ბინდიანი იყო, ღამე – სრულიად ბნელი.

ბიჭუნას არავინ ელაპარაკებოდა. გარედან ადამიანთა ხმები ესმოდა, მაგრამ მათი მეტყველება მისთვის ისეთივე გაუგებარი იყო, როგორიც ბუების კივილი ან ძაღლების
წკავწკავი. გაახსენდა, ან ეგონა, რომ გაახსენდა, ერთ ღამეს, ლამის ნახევარი სიცოცხლის წინ, ვიღაც დიდთაგანი ჩუმად რომ შემოვიდა და კი არ ცემა ან აჭამა, არამედ გულში ჩაიკრა. ქალს კარგი სუნი ასდიოდა. ბიჭუნას დაუყვავა. მისი თვალებიდან გადმოდენილი წყლის თბილი წვეთები ბიჭუნას სახეზე დაეცა.

ბიჭუნას შეეშინდა და ბღავილი მორთო. ქალმა საჩქაროდ ჩალაზე დააწვინა და ქოხიდან გავიდა, კარი მაგრად გაიხურა.

ბავშვმა ის მომენტი დაიმახსოვრა და ამ მოგონებას გულში სათუთად ინახავდა, ისევე როგორც კომბოსტოს თავის სიტკბოებას, ქლიავის სიმჟავეს, ვაშლების ხრამუნსა და შემწვარი თევზის ჭამით გამოწვეულ სიხარულს.

და ახლა კოცონის შუქზე სახეები დაინახა. ყველა მას მოსჩერებოდა, როცა პირველად გაიყვანეს ქოხიდან. აი, თურმე როგორ გამოიყურებოდნენ ადამიანები. სიბნელეში გაზრდილს, სახეები არასდროს ენახა. მისთვის ყველაფერი ისეთი ახალი იყო, ისეთი უცხო. კოცონის სიკაშკაშემ თვალები აუწვა. კისერზე თოკი შეაბეს და ორ კოცონს შუა მომლოდინე კაცთან მიიყვანეს.

და როცა პირველი მახვილი ასწიეს კოცონის შუქზე, შეგროვილმა ხალხმა ყიჟინა დასცა, ხოლო წყვდიადის ბავშვი მათთან ერთად ახარხარდა, გახარებული და გათავისუფლებული.

მერე მახვილი ქვემოთ დაეშვა.

შედოუმ თვალები გაახილა. იგრძნო, რომ შიოდა და სციოდა. ფანჯრის მინას შიგნიდან სქელი ჭირხლი დასდებოდა – მისი გაყინული ამონასუნთქი. ადგა. კიდევ კარგი, გაუხდელს ეძინა და

ტანსაცმლის ჩაცმა არ დასჭირდა. ფანჯარასთან ჩავლისას დაჭირხლული მინა ფრჩხილით გადაფხაჭნა. ფრჩხილის ქვეშ დაგროვილი ჭირხლის ნამცეცები წამში დადნა.

სიზმრის გახსენება სცადა, მაგრამ სიბნელისა და უბედურების მეტი ვერაფერი გაიხსენა.

ფეხსაცმელი ჩაიცვა. ქალაქის ცენტრში წასვლა გადაწყვიტა: თუწუხელ სწორად დაიმახსოვრა, საამისოდ ტბის ჩრდილოეთ ნაპირთან ხიდზე უნდა გადასულიყო. თხელი ქურთუკის შემოცმისას საკუთარი თავისთვის მიცემული პირობა გაახსენდა, თბილი პალტო რომ უნდა ეყიდა. ბინის კარი გააღო და გარეთ გააბიჯა. სუსხმა სუნთქვა შეუკრა. ჰაერის ჩასუნთქვისას ნესტოებში თმის ყოველი ღერი გაუშეშდა. ხის ვერანდიდან აქა-იქ ნაცრისფერი ლაქებით დაწინწკლული, თეთრად მოსარკული ტბის მშვენიერი ხედი იშლებოდა.

როგორც პროგნოზირებდნენ, მკვეთრად აცივდა და ტემპერატურა ნულს ქვემოთ დაეცა. ასეთ ყინვაში ფეხით სიარული არც ისე სასიამოვნოა, მაგრამ წუხელ ჰინცელმანმა არ თქვა, ხიდამდე სულ ათი წუთის სავალიაო? შედოუსნაირ ზორბა ტიპს იქამდე მისვლა არ გაუჭირდებოდა, სწრაფად ივლიდა და გათბებოდა.

სამხრეთისკენ, ხიდისკენ აიღო გეზი.

სუსხიანი ჰაერით ყელჩამწვარს, მალე ხველება აუტყდა. ყურები, სახე და ტუჩები აეწვა. ფეხებიც ასტკივდა. ხელები ქურთუკის ჯიბეში ჩაიწყო და დამუჭა ცოტათი მაინც გასათბობად. მინესოტურ ზამთარზე ლოუ კი ლაისმითის მონაყოლი

დაუჯერებელი ამბავი გაიხსენა: ერთხელ ერთ მონადირეს თურმე დათვი გამოჰკიდებია და შეშინებული, ხეზე ამძვრალა. მოშარდვა რომ მონდომებია, ხის ტოტიდანვე გადაუფსამს, მაგრამ ისე ძლიერ ყინავდა, შარდი ჰაერში გაყინულა. დათვის წასვლისთანავე მონადირე ქვასავით გამაგრებული, გაყინული ყვითელი შარდის სვეტით ჩასრიალებულა ქვემოთ. ამის წარმოდგენაზე შედოუს ალმაცერად ჩაეცინა და ჩაცინებისას კვლავ ხველა აუტყდა.

ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა წინ. უკან მიიხედა. მრავალბინიანი სახლი იმდენად შორს არ აღმოჩნდა, როგორც ფიქრობდა.

ფეხით არ უნდა წამოვსულიყავიო, დაასკვნა. მაგრამ სახლს უკვე სამი-ოთხი წუთის სავალზე დაშორდა, წინ კი ტბაზე გადებული ხიდი მოჩანდა. ხიდამდეც იგივე მანძილი რჩებოდა გასავლელი, რამდენიც სახლამდე (შინ რაღა ექნა? გამორთული ტელეფონით ტაქსი გამოეძახებინა? გამოზაფხულებას დალოდებოდა? მაცივარი ხომ ცარიელიაო, შეახსენა საკუთარ თავს.).

წინსვლა განაგრძო. გზადაგზა ცდილობდა, გამოეცნო, რამდენ გრადუსამდე დაეცა ტემპერატურა. მინუს ათამდე? მინუს ოცამდე? თუ მინუს ორმოცამდე – იმ უცნაურ ნიშნულამდე, როცა ფარენჰეიტისა და ცელსიუსის სკალებზე ტემპერატურა ერთმანეთს ემთხვევა? ან იქნებ ასე ძლიერ სულაც არ ციოდა? თუმცა, როგორ არა, არქტიკიდან კანადის გავლით მოვარდნილი სუსხიანი ქარი ტბის თავზე ხომ განუწყვეტლად ქროდა?!

შედოუმ შაოსანი კაცების მატარებლიდან წამოღებული ხელ-ფეხის ქიმიური სათბურები ინატრა, აჰ, ნეტავ ახლა აქ მომცაო.

ათი წუთის შემდეგ მიხვდა, რომ ხიდი არ მოახლოებულა. ისე სციოდა, ვეღარც კი კანკალებდა. თვალები ეწვოდა. არა, ეს ჩვეულებრივი ყინვა არაა, გაიფიქრა შედოუმ, მსგავსი რამ მხოლოდ სამეცნიერო ფანტასტიკაში შეიძლება მოხდესო. თითქოს მერკურის ბნელ მხარეზე აღმოჩნდა, ანდა სადღაც ქვიან პლუტონზე, საიდანაც მზე ჩვეულებრივი ვარსკვლავივით მოჩანს, მხოლოდ ოდნავ უფრო მეტად კაშკაშებს. ხანდახან მანქანები ჩაუვლიდა გვერდით, მაგრამ ისინი არარეალურები ეჩვენებოდა: საჰაერო ხომალდებს ამსგავსებდა, ლითონისა და მინის პატარა, მშრალად გაყინულ პაკეტებს, რომლებშიც მასზე უფრო თბილად ჩაცმული ხალხი იჯდა. გონებაში დედამისის საყვარელი

მელოდია „Winter Wonderland“[153] ამოუტივტივდა და პირმოკუმული აღიღინდა. სიმღერის ტაქტს ნაბიჯს აყოლებდა.

ტერფებს საერთოდ ვეღარ გრძნობდა. შავი ტყავის ფეხსაცმელი და თხელი წინდები ეცვა. სერიოზულად დაფრთხა, ვაითუ, ფეხები მომეყინოსო.

ეს უკვე ხუმრობა აღარ იყო. ამას უგუნურებაც აღარ ერქვა. ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა და „ღმერთო, რა მაგრად მივქარეს“ მხარეში ამოყო თავი. ტანზე გინდ ეს ქურთუკი სცმოდა და გინდ ბადე ჰქონოდა შემოხვეული: ქარი ძვალ-რბილში ატანდა.

წამწამები დაეთრთვილა, ფეხებს შორის თბილი ადგილიც გაეყინა, ყვერები კი ლამის მენჯის ღრუში შეიყუჟნენ.

„იარე, – უმეორებდა საკუთარ თავს შედოუ, – იარე. შინ რომ მიხვალ, მაშინ გაჩერდები და მოითქვამ სულს“.

გონებაში „ბითლზის“ ჰიტის მღერა დაიწყო და მელოდიას ნაბიჯიც ააყოლა. მისამღერამდე რომ მივიდა, მაშინ მიხვდა, თურმე Help!-ს[154] ღიღინებდა.

ხიდამდე ცოტაღა დარჩა. ხიდს გადაივლის და მერე კიდევ ათი წუთი უნდა იაროს ტბის დასავლეთ ნაპირთან განლაგებულ მაღაზიებამდე – შეიძლება ცოტა უფრო მეტი...

შავმა მანქანამ ჩაუარა, დაამუხრუჭა, გამონაბოლქვის ხრჩოლვა-ხრჩოლვით შემოტრიალდა და მასთან გაჩერდა. ფანჯრის მინა დასწიეს. შიგნიდან გამოსული ორთქლი გამონაბოლქვში აირია და მანქანა თითქოს დრაკონის მყრალ ამონასუნთქში გაეხვია.

– ყველაფერი რიგზეა? – ჰკითხა შედოუს მანქანაში მჯდარმა პოლიციელმა.

თავიდან შედოუმ, ლამის ინსტინქტურად, ავტომატურად უპასუხა, კი, ყველაფერი მშვენივრადაა, ოფიცერო, ნუ შეყოვნდებითო, მაგრამ ახლა სიფრთხილის დრო არ იყო.

– მგონი, ვიყინები. ქალაქის ცენტრში საჭმლისა და ტანსაცმლის საყიდლად ფეხით წასვლა გადავწყვიტე, მაგრამ მანძილი დიდი აღმოჩნდა... –ეგონა, ეს თქვა, მაგრამ უცებ მიხვდა, რომ კბილები უკაწკაწებდა და პირიდან მხოლოდ ერთი სიტყვა ამოუვიდა: – ვ-ვ-ვიყინები, – ძალა მოიკრიბა და როგორღაც დაამატა: – მ-მ-მაპატიეთ. მცივა. მაპატიეთ.

პოლიციელმა მანქანის უკანა კარი გაუღო და უთხრა: – ახლავე ჩაჯექით და გათბით!

მადლიერი შედოუ უკანა სავარძელზე დაჯდა და ჯერ ხელები დაისრისა, ხოლო მოყინულ ფეხის თითებზე დარდი დროებით თავიდან ამოიგდო. პოლიციელმა ისევ საჭესთან დაიკავა

ადგილი. შედოუმ ცხაურიდან გახედა მას. შედოუმ განგებ არ გაიხსენა, ბოლოს რომ იჯდა პოლიციის მანქანის უკანა სავარძელზე, არც იმას მიაქცია ყურადღება, რომ უკანა კარებს შიგნიდან სახელურები არ ჰქონდა. ახლა მთავარიიყო, როგორმე გაყინული ხელები გაეთბო და გამოეცოცხლებინა. სახე და გაწითლებული თითები ეწვოდა. ოდნავ გაუთბა თუ არა, ფეხის თითებიც ასტკივდა. პოლიციელმა მანქანა დაძრა.

– იცით, – თქვა მან შედოუსკენ მიუტრიალებლად, მხოლოდ ცოტათი ხმას აუმაღლა, – იმედია, არ მიწყენთ, მაგრამ სულელურად მოქცეულხართ. ამინდის პროგნოზისთვის არ მოგისმენიათ? გარეთ მინუს ოცდათხუთმეტი გრადუსია. ამას ქარიც დაუმატეთ. თუმცა, როცა ტემპერატურა მინუს ოცდათხუთმეტი გრადუსია, ისედაც სულერთია, ქარი ქრის თუ არა.

– გმადლობთ, – უთხრა შედოუმ, – გმადლობთ, რომ გამიჩერეთ. უღრმესი მადლობა.

– ამ დილით რაინლენდერში[155] ერთი ქალი ჩიტებისთვის პურის ნამცეცების დასაყრელად გარეთ ხალათითა და ჩუსტებით გავიდა და ტროტუარზე მიეყინა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ახლა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში წევს. ამ დილით რადიოში

გადმოსცეს. ქალაქში ახალი ჩამოსული ხართ, – ბოლო სიტყვები შეკითხვას კი ჰგავდა, მაგრამ პოლიციელმა პასუხი უკვე იცოდა.

– წუხელ ავტობუსით ჩამოვედი. ვიფიქრე, თბილ სამოსს, საჭმელსა და მანქანას დღეს ვიყიდდი. ასეთ სიცივეს არ ველოდი.

– არც მე. გლობალურ დათბობაზე ვდარდობდი. ჩედ მალიგანი, ლეიკსაიდის პოლიციის უფროსი, – გაეცნო პოლიციელი.

– მაიკ აინსელი.

– გამარჯობა, მაიკ. უკეთ გრძნობთ თავს?

– ცოტათი.

– აბა, ჯერ სად წაგიყვანოთ?

შედოუმ ხელები მანქანის გამათბობლიდან მომავალ ჰაერის თბილ ნაკადს შეუშვირა, მაგრამ თითები ასტკივდა და სწრაფადვე მოაშორა. აჯობებდა, ხელები ნელ-ნელა, თავისით გასთბობოდა.

– შეგიძლიათ ქალაქის ცენტრში ჩამომსვათ?

– გამორიცხულია. ოღონდაც ბანკის გასაძარცვად არ წამიყვანოთ და სხვაგან ყველგან წამოგყვებით. ეს ქალაქ ლეიკსაიდის თბილ დახვედრად ჩათვალეთ.

– მაშ, რას მირჩევთ, რით დავიწყო?

– წუხელ ჩამოხვედით, ხომ?

– დიახ.

– უკვე ისაუზმეთ?

– არა.

– მაშ, ამით დაწყება სჯობს, – უთხრა მალიგანმა. ამასობაში ხიდზე გადავიდნენ და

ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შევიდნენ.

– ეს მთავარი ქუჩაა, მეინ-სტრიტი, – აუხსნა მალიგანმა, – აი, ეს, – დაამატა მეინსტრიტიდან მარჯვნივ შეხვევისას, – ქალაქის მოედანია.

ქალაქის მოედანი ზამთარშიც კი შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, მაგრამ შედოუ მაშინვე მიხვდა, რომ იქაურობა ადამიანს ზაფხულში უნდა ენახა, როცა მოედანს ყაყაჩოები, ზამბახები და სხვა ათასგვარი ყვავილი ააჭრელებდა, ხოლო მოედნის ერთ კუთხეში მდგარი არყის ხეები მწვანე-ვერცხლისფერ ფანჩატურად გადაიქცეოდა.

ახლა მოედანი უფერული და მოტიტვლებული იყო, საორკესტრო ესტრადა – ცარიელი, შადრევანი – საზამთროდ დამშრალი, ქვიშაქვისგან აშენებული რატუშა – დათოვლილი, მაგრამ თავისებური სილამაზე მაინც შეენარჩუნებინა.

– ...ეს კი, – დაასრულა ჩედ მალიგანმა მოედნის დასავლეთ ნაპირას შუშისფასადიან მაღალ, ძველ შენობასთან მანქანის დამუხრუჭებისას, – კაფე „მეიბლია“.

მალიგანი მანქანიდან გადავიდა და შედოუს უკანა კარი გაუღო. ქარში ორივემ თავჩახრილმა გაირბინა ტროტუარზე და ახალგამომცხვარი პურისა და ღვეზლის, შემწვარი ბეკონისა და წვნიანის საამური სურნელით გაჟღენთილ თბილ ოთახში შეცვივდნენ.

კაფე თითქმის ცარიელი იყო. ერთ-ერთ მაგიდას შემოუსხდნენ. შედოუს აზრით, პოლიციის უფროსი ქალაქში ჩამოსული უცნობის შესწავლას ცდილობდა. მეორე მხრივ, პოლიციის უფროსი შეიძლება მართლაც ისეთივე მეგობრული, ყურადღებიანი და კეთილი იყო, როგორიც ერთი შეხედვით ჩანდა.

მათ მაგიდასთან ქალი მოვიდა. ზორბა ქალი იყო, მსუქანი კი არა, მართლაც დიდი ტანისა; სამოც წელს გადაცილებული იქნებოდა და თმა გასჭაღარავებოდა.

– გამარჯობა, ჩედ, – მიესალმა ქალი, – სანამ საჭმელს შეარჩევთ, ცხელ შოკოლადს ხომ არ დალევთ? – და ორივეს ლამინირებული მენიუ მიაწოდა.

– ოღონდ ნაღებს ნუ მოასხამ, – უთხრა პოლიციის უფროსმა, – მეიბლი კარგად მიცნობს, – შედოუს მიუბრუნდა მალიგანი, – თქვენ რას შეუკვეთთ, მეგობარო?

– ცხელი შოკოლადი არც მე მაწყენდა, – თქვა შედოუმ, – და არც ნაღების საწინააღმდეგო მაქვს რამე.

– მშვენიერია, – თქვა მეიბლმა, – ცხოვრებაში არაფერი უნდა მოიკლოს ადამიანმა. ჩედ, არ გამაცნობ ამ ახალგაზრდას? ჩვენი ახალი ოფიცერია?

– ჯერჯერობით არა, – ჩედის ქათქათა კბილებმა გაიელვა, – ეს მაიკ აინსელია. ლეიკსაიდში წუხელ ჩამოვიდა, – თქვა და წამოდგა, – უკაცრავად, ცოტა ხნით დაგტოვებთ, – პოლიციის უფროსმა ოთახის ბოლოში შეაღო კარი, რომელსაც პოინტერები[156] ეწერა, იმ კარის გვერდითა კარზე კი – სეტერები[157].

– ნორთრიჯ-როუდისბინაში რომახალჩამოსული დასახლდა, ისა ხართ. იქ წინათ პილსენი ცხოვრობდა. მივხვდი, ვინც ხართ, დიახ, – მხიარულად უთხრა შედოუს ქალმა, – ამ დილით ღვეზლის საჭმელად ჰინცელმანმა შემოიარა და თქვენზე მან მითხრა. ბიჭებო, მხოლოდ ცხელ შოკოლადს დალევთ თუ საუზმობასაც აპირებთ?

– მე ვაპირებ, – უპასუხა შედოუმ, – კარგს რას შემომთავაზებთ?

– აქ ყველაფერი კარგი გვაქვს. მე თვითონ ვამზადებ. ამ მიდამოებში უფრო გემრიელ ღვეზლებს ვერსად შეჭამთ. ნოყიერიცაა და თან გათბობს. ჩემი საფირმო კერძია.

კარგი, გავსინჯავო, დასთანხმდა შედოუ. რამდენიმე წუთის შემდეგ მეიბლმა თეფშით ქაღალდის ხელსახოცში გახვეული ფენოვანი ღვეზელი მოუტანა. შედოუმ

ხელსახოცი ოდნავ გადასწია, თბილი ღვეზელი აიღო და მოკბიჩა: ხორცით, კარტოფილით, სტაფილოთი და ნივრით გამოტენილი აღმოჩნდა.

– ღვეზელს ცხოვრებაში პირველად ვჭამ, – აღიარა მან, – მართლაც გემრიელია.

– ასეთებს მხოლოდ ზედა ნახევარკუნძულზე აცხობენ ხოლმე, აირონვუდს[158] ქვემოთ, ასე შორს, ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთით, სხვაგან ვეღარსად შეხვდება კაცი. რეცეპტი აქ რკინის მაღაროებში სამუშაოდ ჩამოსულმა კორნუოლელებმა ჩამოიტანეს.

ამასობაში პოლიციის უფროსი დაბრუნდა. ჭიქა აიღო და ცხელი შოკოლადი მოხვრიპა.

– მეიბლ, ამ კეთილ ახალგაზრდას შენი ღვეზლის ჭამას აიძულებ? – ჰკითხა ქალს.

– გემრიელია, – უთხრა შედოუმ და მართლაც ასე იყო – ცომში გახვეული ცხარე სატენი ძალიან მოეწონა.

– კი, ოღონდ ღიპის წამოზრდა იცის ხოლმე, – მუცელზე ხელი დაიტყაპუნა მალიგანმა, – გაფრთხილებთ. ესეც ასე. მაშ, მანქანაც გჭირდებათ? – ქურთუკის გახდის შემდეგ შედოუს მაღალი, მუცელმომრგვალებული კაცი შერჩა ხელთ. მალიგანს ისეთი დაღლილი და საქმიანი იერი ჰქონდა, პოლიციელი კი არა, ინჟინერი გეგონებოდა. პირგამოვსებულმა შედოუმ თავი დაუქნია.

– კარგი. რამდენიმეგან დავრეკე. ჯასტინ ლიბოვიცი თავის ჯიპს ყიდის ოთხი ათას დოლარად, მაგრამ სამ ათასსაც დაჰყაბულდება. განთერებს უკვე რვა თვეა „ტოიოტა 4რანერი“ ვერ გაუყიდიათ, ერთი მახინჯი ჯაბახანაა, ოღონდაც მათ გარაჟს მოაცილო და აქეთ გადაგიხდიან ფულს. თუ სიმახინჯე არ გადარდებს, მაშინ სარფიანი გარიგებაა. მამაკაცების ტუალეტიდან დავრეკე, მისი განთერს „ლეიკსაიდის უძრავი ქონების სააგენტოში“ შეტყობინება დავუტოვე. თვითონ იქ არ დამხვდა, ალბათ „შეილას სალონში“ ახალ ვარცხნილობას იკეთებს.

შედოუ მადიანად ილუკმებოდა. ღვეზელი საოცრად ნოყიერი და გემრიელი აღმოჩნდა, „პირდაპირ თითების ჩასაკვნეტი“, როგორც დედა ეტყოდა ხოლმე.

– ესე იგი, – პოლიციის უფროსმა ჩედ მალიგანმა ტუჩებიდან შოკოლადის ქაფი მოიწმინდა, – აქედან „ჰენინგის სამეურნეო და საშინაო საქონელში“ წავალთ და ნამდვილ ზამთრის ტანსაცმელს შევიძენთ, იქიდან „დეივის დელიკატესებში“ შევივლით საკუჭნაოსგასავსებადდა ბოლოს „ლეიკსაიდის უძრავი ქონების სააგენტოში“ ჩამოგსვამთ. თუ ათას დოლარს წინასწარ გადაუხდით, განთერებს ძალიან გაუხარდებათ, თუ არადა, მანქანის საფასურის ოთხ თვეზე ხუთას-ხუთას დოლარად გადანაწილებაზეც სიამოვნებით დაგთანხმდებიან. მახინჯი მანქანაა, როგორც გითხარით, მაგრამ მაგათ ბავშვს იისფრად რომ არ შეეღება, ეგ „ტოიოტა“ ათი ათასი დოლარი მაინც ეღირებოდა. სამაგიეროდ, სანდო მანქანაა და, მე თუ მკითხავთ, ასეთ ზამთარში ძალიანაც გამოგადგებათ.

– ძალიან დიდი მადლობა, – უთხრა მალიგანს შედოუმ, მაგრამ ახალჩამოსულის დახმარების ნაცვლად, ახლა დამნაშავეებს არ უნდა იჭერდეთ? სხვანაირად არ გამიგოთ, კი არ ვწუწუნებ. მეიბლმა ჩაიხითხითა.

– ამას ჩვენც ხშირად ვეუბნებით ხოლმე. მალიგანმა მხრები აიჩეჩა.

– ლეიკსაიდი კარგი ქალაქია, – თქვა უბრალოდ, – უსიამოვნებები აქ იშვიათობაა. ქალაქში სიჩქარის გადაჭარბება არც ჩვენთვისაა უცხო ხილი – ეს კარგია, რადგან გამოწერილი ჯარიმები იგივე ჩემი ხელფასია. პარასკევს ან შაბათს, საღამოს, რომელიმე იდიოტი გაილეშება ხოლმე და მეუღლეს სცემს. სხვათა შორის, ამაში კაცებს არც ქალები ჩამოუვარდებიან, დამიჯერეთ. მე კიდევ, გრინ-ბეიში[159] მსახურობისას დავრწმუნდი, რომ დიდ ქალაქში ოჯახური კონფლიქტის მოგვარებას ბანკის მძარცველების დევნა სჯობს. სხვა მხრივ, ჩვენთან სიწყნარეა. მირეკავენ, როცა ვინმეს მანქანის გასაღები შიგ ჩარჩება ხოლმე, ანდა მეზობლებს ძაღლის ყეფა აწუხებთ. ყოველ წელს ერთი-ორ „მოსაწევიან“ უფროსკლასელს გამოვიჭერთ ხოლმე სტადიონის ტრიბუნების უკან. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყველაზე ხმაურიანი

შემთხვევა ის იყო, მთვრალმა დენ შვარცმა თავის საცხოვრებელ ტრაილერს სროლა რომ დაუწყო, მერე ინვალიდის სავარძლით მეინ-სტრიტზე დაეშვა, თოფს იქნევდა და გაჰყვიროდა, ვინც გადამეღობება, ყველას ვესვრიო. ჰოდა, ყველა გზას უთმობდა და ისიც შტატთაშორის ავტომაგისტრალამდე მიგორდა. მგონი, ვაშინგტონში პრეზიდენტის მოსაკლავად მიდიოდა. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ მიგორავდა დენი ავტომაგისტრალზე, ინვალიდის სავარძლის საზურგეზე სტიკერი ჰქონდა დაწებებული და ზედ ეწერა: ჩემი არასრულწლოვანი დამნაშავე თქვენს წარჩინებულ მოსწავლეს ხმარობს. დღემდე მეცინება. გახსოვს, მეიბლ?

ქალმა ტუჩები გაბუსხა და თავი დაუქნია. მალიგანისგან განსხვავებით, მას აშკარად არ ეცინებოდა.

– მერე რა ქენით? – ჰკითხა შედოუმ.

– დაველაპარაკე. თოფი მომცა. იზოლატორში გამოვაფხიზლე და გაუარა. დენი ცუდი ბიჭი არაა, მხოლოდ მთვრალი და გაბრაზებული იყო.

შედოუმ ღვეზლის საფასურიც თავად გადაიხადა და, მიუხედავად ჩედ მალიგანის არც ისე დაჟინებული პროტესტისა, ცხელი შოკოლადისაც.

„ჰენინგის სამეურნეოდა საშინაოსაქონლის“ საწყობისხელაშენობა ქალაქისსამხრეთ ნაწილში მდებარეობდა და იქ შეიძენდი ყველაფერს – ტრაქტორით დაწყებული, სათამაშოთი დამთავრებული. სათამაშოები, საშობაო დეკორაციების მსგავსად, უკვე გაეიაფებინათ. მაღაზიაში შობისშემდგომი ფასდაკლებების მოყვარული მყიდველები ირეოდნენ. შედოუმ ავტობუსში მის წინ მსხდარ გოგონათაგან უმცროსი იცნო. მშობლებს უკან მიჰყვებოდა. შედოუმ მას ხელი დაუქნია, გოგომ მცირე ყოყმანის შემდეგ გაუღიმა და ბრეკეტიანი კბილები გამოაჩინა. ნეტავ ათი წლის შემდეგ როგორი იქნებაო, გაიფიქრა შედოუმ.

ალბათ „ჰენინგის სამეურნეო და საშინაო საქონლის“ მოლარე გოგოსავით ლამაზი, შედოუს შენაძენი რომ დაასკანერა შტრიხკოდის პატარა, წკარუნა ხელის სკანერით, რომელიც უეჭველად ტრაქტორზე გადატარებისასაც დაიწკარუნებდა, თუ ვინმე ტრაქტორს სალაროსთან მიიყვანდა.

– ათი ცალი რეიტუზი? ზამთრისთვის იმარაგებთ? – ჰკითხა ახალგაზრდა კინოვარსკვლავის გარეგნობის მოლარე გოგომ.

შედოუმ თავი თოთხმეტი წლის მოზარდად იგრძნო, შერცხვა და ენა დაება. ხმა არ ამოუღია, სანამ მოლარე გოგო ჩექმების, ხელთათმანების, სვიტერებისა და დათბილული პალტოს ფასს დაუანგარიშებდა.

უენზდეის მოცემული საკრედიტო ბარათის გამოცდა არ მოინდომა, რადგან დახმარების მოსურნე პოლიციის უფროსი ჩედ მალიგანი გვერდიდან არ შორდებოდა. ყველაფრის საფასური ნაღდი ფულით გადაიხადა. მერე ქაღალდის პარკებიანად კაცების გასახდელში შევიდა და იქიდან ახალი შენაძენით შემოსილი გამოვიდა.

– მშვენივრად გამოიყურებით, მეგობარო, – უთხრა მალიგანმა.

– რაც მთავარია, გავთბი, – თქვა შედოუმ და მართლაც, გარეთ, ავტოსადგომზე ქარმა მხოლოდ სახე დაუსუსხა, სხვაგან სიცივე აღარ მიჰკარებია. მალიგანმა ამჯერად წინა სავარძელზე დაჯდომა შესთავაზა, ქაღალდის პარკები პოლიციის მანქანის უკანა სავარძელზე დააწყვეს.

– აბა, მითხარით, რას საქმიანობთ, მისტერ აინსელ? – ჰკითხა პოლიციის უფროსმა, – ასეთი ზორბა ახალგაზრდა ლეიკსაიდში რის კეთებას აპირებთ, რა პროფესიის ხართ?

შედოუს გულისცემა აუჩქარდა, მაგრამ პასუხის გაცემისას მღელვარება არ დასტყობია: – ბიძაჩემისთვის ვმუშაობ. მთელ ქვეყანაში ყიდვა-გაყიდვითაა დაკავებული. მე მძიმე ნივთებს დავათრევ.

– კარგად გიხდით?

– ოჯახის წევრი ვარ. იცის, რომ მის გაყვლეფას არ ვაპირებ. თანაც, ნელ-ნელა ვაჭრობასაც ვსწავლობ. ამასობაში საკუთარ თავშიც გავერკვევი და გავიგებ, სინამდვილეში რა მსურს, – ეს ყველაფერი წარბშეუხრელად, დამაჯერებლად წარმოთქვა. უცებ შედოუ მიხვდა, რომ კარგად იცნობდა ზორბა მაიკ აინსელს და მოსწონდა იგი. მაიკ აინსელს სულაც არ აწუხებდა შედოუს პრობლემები, მაიკ აინსელი დაოჯახებული არასდროს ყოფილა, მაიკ აინსელი არასდროს დაუკითხავთ სატვირთო მატარებელში მისტერ ვუდსა და მისტერ სტოუნს. მაიკ აინსელს ტელევიზორები არ ელაპარაკებოდნენ („გინდა, ლუსის ძუძუები ნახო?“ – ჩაესმა გონებაში ხმა). მაიკ აინსელს კოშმარები არ ესიზმრებოდა და არც ქარიშხლის მოახლოების სწამდა.

„დეივის დელიკატესებში“ ნავაჭრის კალათა მხოლოდ წასახემსებელი რამეებით – რძით, კვერცხებით, პურით, ვაშლებით, ყველითა და კექსებით გაავსო – თავი

ბენზინგასამართი სადგურის მაღაზიაში ეგონა. გადაწყვიტა, აქ ხელმეორედ მოსულიყო ნამდვილი სანოვაგის მოსამარაგებლად. სანამ შედოუ თაროებს შორის მიმოდიოდა, ჩედ მალიგანი ხალხს ესალმებოდა და მათ შედოუს აცნობდა.

– ეს მაიკ აინსელია, ადრე პილსენი რომ ცხოვრობდა, იმ ბინაში დასახლდა, ტბას რომ გადაჰყურებს.

შედოუმ სახელების დამახსოვრება მალევე შეწყვიტა. მხოლოდ ხელს ართმევდა ხალხს და იღიმებოდა. გამთბარ მაღაზიაში, ტანსაცმლის მრავალ ფენაში ჩაფუთნილს, დასცხა და ცოტათი გაოფლიანდა.

ჩედ მალიგანმა შედოუ ქუჩის გადაღმა, „ლეიკსაიდის უძრავი ქონების სააგენტოსთან“ მიიყვანა. მისი განთერთან, ახლად და კოხტად თმადავარცხნილ ქალთან, შედოუს წარდგენა საჭირო არ გამხდარა: მან უკვე იცოდა, ვინ იყო მაიკ აინსელი. აბა, მაშ, მისტერ ბორსონი, მაიკის კეთილი ბიძა ემერსონი, ექვსი თუ რვა კვირის წინ რატომ გამოივლიდა და პილსენის ბინას რატომ იქირავებდა? ალბათ მისტერ აინსელიც დაეთანხმება, რომ იქიდან გასაოცარი ხედი იშლება. ეს ჯერ კიდევ რაა, გაზაფხულამდე მოითმინოს და სილამაზეს მერე ნახავს. ლეიკსაიდელებს ბედი სწყალობთ, ამ მიდამოებში ზაფხულობით წყალმცენარეები და ლეყეპო ყველა ტბას ისე ამწვანებს, ადამიანს გული აერევა, მაგრამ ლეიკსაიდის ტბიდან – აი, მოვიდეს ოთხი ივლისი და მისტერ აინსელი თავად დარწმუნდება – პრაქტიკულად, წყალი დაილევა. დიახ, მისტერ ბორსონმა მთელი წლის ქირა წინასწარ გადაიხადა. რაც შეეხება „ტოიოტას“, საკვირველია, რომ ჩედ მალიგანს გაახსენდა. დიახ, სიამოვნებით მოიშორებს მას თავიდან. ჰინცელმანს ყოველ წელს სჭირდება ხოლმე თითო ჯაბახანა და, სიმართლე ითქვას, მისი განთერი უკვე იმასაც ფიქრობდა, „ტოიოტა“ მისთვის ხომ არ დაეთმო. არა, სხვანაირად არ გაიგოთ, „ტოიოტა“ ჯაბახანა სულაც არ არის, მისი განთერის ვაჟისა იყო, სანამ ბიჭი გრინ-ბეიში წავიდოდა

სასწავლებლად. ერთ დღეს ბიჭმა მანქანა რატომღაც იისფრად შეღება. ჰა-ჰა, იმედია, მაიკ აინსელს იისფერი უყვარს, მაგრამ თუ არ უყვარს, მისი განთერს სულაც არ გაუკვირდება...

პოლიციის უფროსმა ჩედ მალიგანმა ქალის სიტყვით გამოსვლას ბოლომდე ვერ გაუძლო, გააწყვეტინა და ბოდიში მოიხადა: – განყოფილებაში ვჭირდები. სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, მაიკ, – თქვა და შედოუს ნავაჭრი მისი განთერის მანქანის საბარგულში გადააწყო.

მისიმ შედოუ შინ წაიყვანა. სახლის წინ ძველი მოდელის დიდი, სპორტული „ტოიოტა“ იდგა. ზედ მიკრულ თოვლს მანქანა ნაწილობრივ თვალისმომჭრელად გაეთეთრებინა, ნაწილობრივ კი იმდენად უსიამოვნოდ იისფერი იყო, მაგრად დაბოლების შემდეგ თუ მიიჩნევდი ოდნავ მაინც მიმზიდველად.

სამაგიეროდ, მანქანა პირველივე ცდაზე დაიქოქა, გამათბობელიც მუშაობდა, ოღონდ ძრავას ამუშავებიდან ათი წუთი დასჭირდა სალონში გამეფებული აუტანელი სიცივის მსუბუქ სიგრილედ გადასაქცევად. ამასობაში მისიგანთერმა შედოუ სამზარეულოში შეიპატიჟა – უწესრიგობისთვის ბოდიშს იხდის, პატარებმა საშობაოდ

ყველგან სათამაშოები დაყარეს და მისი განთერმა ასალაგებლად ჯერ ვერ მოიცალა. ცოტა ინდაურის ხორცი დარჩა და მისტერ აინსელი სადილად ხომ არ დაეწვევა? შარშან ბატის ხორცი ჰქონდათ საშობაოდ, წელს –

ინდაურისა. კარგი, მაშ, მხოლოდ ყავა იყოს. ახლავე მოადუღებს – შედოუმ კი ფანჯარასთან მდგარი სკამიდან წითელი სათამაშო მანქანა აიღო და დაჯდა. მისი განთერმა ჰკითხა, მეზობლები უკვე გაიცანითო? შედოუ გამოუტყდა, ჯერ არაო.

სანამ ყავა ადუღდებოდა, მისი განთერისგან შეიტყო, რომ მრავალბინიან სახლში მის გარდა კიდევ ოთხი ადამიანი ცხოვრობდა: უწინ, როცა ის სახლი პილსენების ოჯახს ეკუთვნოდა, პილსენები პირველ სართულზე ცხოვრობდნენ, ხოლო ზედა ორ სართულს აქირავებდნენ; ახლა პირველ სართულზე მისტერ ჰოლცი და მისტერ ნიმანი, ახალგაზრდა წყვილი ცხოვრობს, „წყვილში“ კი, მისი განთერმა, ზუსტად წყვილი იგულისხმა. დიახ, მისტერ აინსელ, ჩვენთან ყველანაირი ჯურის ხალხი სახლობს, ტყეში მხოლოდ ერთი სახეობის ხე როდი იზრდება; მართალია, ამათნაირები მედისონში ან ტყუპ ქალაქში[160] ჭარბობენ, მაგრამ რა დასამალია და, ლეიკსაიდში ამას დიდ ყურადღებას არავინ აქცევს. ზამთარში წყვილი კი-უესტში[161] ცხოვრობს, აქ აპრილში დაბრუნდებიან და შედოუც მათ მაშინ გაიცნობს. ლეიკსაიდი ძალიან კარგი ქალაქია და მთავარი სწორედ ესაა. მისტერ აინსელის მეზობლად მარგარიტ ოლსენი და მისი პატარა ბიჭი ცხოვრობენ. მარგარიტი კეთილი ქალია, ძალიან კეთილი, ცხოვრებაში უამრავი ცუდი უნახავს, მაგრამ მაინც თაფლივით ტკბილი ქალია, „ლეიკსაიდ ნიუსში“ მუშაობს. „ლეიკსაიდ ნიუსს“ მსოფლიოში ყველაზე საინტერესო გაზეთს ვერ უწოდებს კაცი, მაგრამ, მისი განთერის აზრით, ალბათ ამიტომაც მოსწონთ აქაურებს.

ოჰ, მისტერ აინსელი აქაურობას გვიან გაზაფხულზე ან ზაფხულში რომ ნახავს, როცა იასამნები, ვაშლები და ალუბლები აყვავილდებიან, მაშინვე დაეთანხმება მისი განთერს, რომ მსგავსი სილამაზე მსოფლიოში სხვაგან არსად მოიძებნება.

მისი განთერმა შედოუს ყავა დაუსხა. შედოუმ ყავა დალია, მერე ქალს პირველი თვის ხუთასი დოლარი გადაუხადა, მანქანაში ჩაჯდა და უკუსვლით დაძრა გზაზე გადასასვლელად. მისი განთერმა საქარე მინაზე დაუკაკუნა.

– ეს თქვენთვისაა, კინაღამ დამავიწყდა, – უთხრა და ყვითელი კონვერტი მიაწოდა, – ერთგვარი ხუმრობაა. რამდენიმე წლის წინ დავაბეჭდვინეთ. შეგიძლიათ, მოგვიანებით ნახოთ.

შედოუ მადლობის თქმით დაემშვიდობა მისი განთერს და ქალაქის ცენტრში დაბრუნდა. გზაზე ფრთხილად და ნელა მიდიოდა. ტბას გარს შემოუარა. ნეტავ გაზაფხულზე, ზაფხულში ან შემოდგომაზე მანახვაო, გაიფიქრა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ტბა ულამაზესი იქნებოდა.

ათ წუთში შინ იყო.

მანქანა ქუჩაში გააჩერა და ხის კიბით ავიდა თავის ცივ ბინაში. სანოვაგე ქაღალდის პარკებიდან

ამოალაგა დამაცივარსა და განჯინაში შეაწყო. მერემისი განთერის მოცემული კონვერტი გახსნა.

შიგ ლურჯი, ლამინირებულყდიანი პასპორტი იდო, პასპორტში მისი განთერს კოხტად, გარკვევით ჩაეწერა, რომ მაიკლ აინსელი ლეიკსაიდის მოქალაქე იყო. მომდევნო გვერდზე ქალაქის რუკა ეხატა. დანარჩენ გვერდებს შორის სხვადასხვა მაღაზიის ფასდაკლების ვაუჩერები ეწყო.

– მგონი, აქაურობა მომეწონება, – ჩაილაპარაკა შედოუმ და დაჭირხლული ფანჯრიდან ტბას გადახედა, – თუ ოდესმე დათბება.

დღის ორ საათზე, როცა შედოუ ფოკუსის კეთებაში ვარჯიშობდა და ოცდახუთცენტიანი ერთი ხელიდან მეორეში შეუმჩნევლად გადაჰქონდა, კარზე დააკაკუნეს. შედოუს გაყინული და გატლანქებული ხელიდან მონეტა ხშირ-ხშირად უვარდებოდა მაგიდაზე და ახლაც უეცარმა კაკუნმა ისევ ხელიდან გააგდებინა. კართან მივიდა და გააღო.

წამით პანიკამ შეიპყრო: კართან მდგარ კაცს სახეს ნიღაბი უფარავდა – ტელესერიალის ბანკის მძარცველსა თუ მცირებიუჯეტიანი მხატვრული ფილმის სერიულ მკვლელს ჰგავდა. თავზე შავი, ნაქსოვი ქუდი ეხურა.

თუმცა, კაცი შედოუზე დაბალი და გამხდარი იყო და არც შეიარაღებული ჩანდა. თანაც, ღია ფერის კუბოკრული პალტო ეცვა – როგორც წესი, სერიული მკვლელები ასე არ იმოსებიან.

– ჰიჰელჰანი ჰარ, – თქვა სტუმარმა.

– ჰა?

კაცმა ნიღაბი ჩამოიწია და ჰინცელმანის მხიარული სახე გამოჩნდა.

– ჰინცელმანი ვარ-მეთქი. არც კი ვიცი, ამ ნიღბების გარეშე რა გვეშველებოდა. მახსოვს, წინათ სქელ ნაქსოვ ქუდს სახეზე ჩამოვიწევდით და ზედ შარფებსაც შემოვიხვევდით ხოლმე. საოცარია, რაებს აღარ მოიგონებენ ჩვენს დროში. მოხუცი კი ვარ, მაგრამ პროგრესზე მაინც არ ვიბუზღუნებ.

ამ სიტყვებით ჰინცელმანმა შედოუს სურსათით სავსე კალათა დააკავებინა ხელში და ბინაში შემოვიდა. კალათა პირამდე გაევსოთ რამდენიმე თავი ლეიკსაიდური ყველით, ბოთლებით, ქილებითა და ორი თუ სამი პატარა სალიამით[162], რომლებიც, როგორც იარლიყები იუწყებოდა, ზაფხულში მონადირებული ირმის ხორცისგან იყო დამზადებული.

– შობის მომდევნო დღეს გილოცავთ! – თქვა ჰინცელმანმა. ნიღაბაფარებული კი მოვიდა, მაგრამ ცხვირი, ლოყები და ყურები მაინც ჟოლოსავით გასწითლებოდა, – გავიგე, მეიბლის ღვეზელი უკვე გაგისინჯავთ. ცოტა რამ მოგიტანეთ ძღვნად.

– უღრმესად გმადლობთ, – უთხრა შედოუმ.

– არაფერს. იმკვირაში ყელშიამოგადენთ. საქველმოქმედოლატარიას სავაჭრო პალატა მართავს, სავაჭრო პალატას კი მე ვმართავ. შარშან თითქმის ჩვიდმეტი ათასი დოლარი შევაგროვეთ ლეიკსაიდის საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებისთვის.

– ახლავე რომ მომყიდოთ ლატარიის ბილეთი?

– ბილეთების გაყიდვა იმ დღეს დაიწყება, როცა ჯაბახანას ყინულზე დავაყენებთ, – უპასუხა

ჰინცელმანმა და შედოუს ფანჯრიდან ტბას გახედა, – გარეთ ცივა. წუხელ დაახლოებით ოცდახუთი გრადუსით მაინც დაეცა ტემპერატურა.

– ძალიან სწრაფად მოხდა, – დაეთანხმა შედოუ.

– თურმე ძველად ვლოცულობდით, რომ ასეთი ყინვები დაეჭირა, – თქვა ჰინცელმანმა,
– მამაჩემმა მითხრა. ეს მაშინ ხდებოდა, როცა ამ მხარეებში პირველი ახალმოსახლეები, ფერმერები და ტყისმჭრელები გამოჩნდნენ, მაღაროელებამდე დიდი ხნით ადრე. ისე, ჩვენს ოლქში ბევრი მაღარო არც არასდროს ყოფილა, რაც, ჩემი აზრით, სამწუხაროა, რადგან მიწის ქვეშ რკინის დიდი საბადოებია...

– ასეთი ყინვებისთვის ლოცულობდით? – გააწყვეტინა შედოუმ.

– ჰო, სხვანაირად მაშინ ახალმოსახლეები ვერ გადარჩებოდნენ. ყველასთვის საკმარისი საჭმელი არ იყო, ძველად დღევანდელივით „დეივის დელიკატესებში“ ვერ წახვიდოდი და ურიკას საჭმლით ვერ გაივსებდი, ვერა, სერ. ჰოდა, პაპაჩემმაც ერთი რამ მოიფიქრა. როცა ასეთი ცივი, სუსხიანი დღე დადგებოდა, ბებიაჩემს და შვილებს – ბიძაჩემს, მამიდაჩემს და მამაჩემს (ნაბოლარას), მოახლე გოგოსა და მოჯამაგირეს ნაკადულთან ჩაიყვანდა, იქ ყველას ძველი

სამშობლოდან ჩამოტანილი რეცეპტით დამზადებულ, რომში გაზავებულ ბალახეულის ნაყენს დაალევინებდა და ნაკადულის წყალს გადაასხამდა ხოლმე. ისინი, რასაკვირველია, მაშინვე სიცივისგან ლურჯდებოდნენ და იყინებოდნენ, ლოლუებად იქცეოდნენ, პაპა კი მათ წინასწარ ამოთხრილ და ჩალით ამოფენილ ორმოსთან მიათრევდა, შეშის ღერებივით შიგ სათითაოდ ჩადებდა, ირგვლივაც ჩალას შემოუწყობდა და ორმოს ზემოდან ფიცრებს გადააფარებდა, რომ შიგ ცხოველები არ ჩამძვრალიყვნენ... მაშინ აქაური ტყეები სავსე იყო მგლებით, დათვებითა და სხვა მხეცებით, ოღონდ ჰოდაგებით[163] – არა, ეგ გამოგონილი ამბავია და ტყუილებით თქვენთვის ყურის გამოჭედვას არ ვაპირებ, არა, სერ... ჰოდა, იმ ფიცრებგადაფარებულ ორმოს ზემოდან მალევე დაათოვდა, პაპაჩემი კი იქვე დროშას დაარჭობდა ხოლმე, რომ როცა დასჭირდებოდა, ორმო ადვილად ეპოვა.

ამგვარად, პაპაჩემი მშვიდად და მყუდროდ გამოიზამთრებდა ხოლმე, არც საჭმლის ნაკლებობაზე ღელავდა და არც – შეშისა. როცა გაზაფხული მოახლოვდებოდა, დარჭობილ დროშასთან მივიდოდა, თოვლს გადაწმენდდა, ფიცრებს აიღებდა, გაყინულ სახლეულს ამოიყვანდა და შინ ბუხრის წინ დადგამდა გასადნობად. უკმაყოფილება არასდროს არავის გამოუთქვამს, გარდა ერთი მოჯამაგირისა,

რომელსაც წრუწუნების ოჯახმა ცალი ყური მოაკვნიტა, რადგან პაპაჩემმა ორმოზე ფიცრები კარგად არ გადააფარა. რასაკვირველია, ადრე ზამთარი უფრო სუსხიანი იცოდა, მაშინასეთ რამეს იზამდი. აბა, ახლანდელიზამთარი რა ზამთარია, წესიერად არც აცივებულა.

– არა? – თავი მოისულელა შედოუმ. ბერიკაცს მანაც აუბა მხარი და კარგად ერთობოდა.

– 1949 წლის შემდეგ მართლაც ცივი ზამთარი არ გვქონია. მაგრამ მაშინ პატარა იქნებოდით, არ გემახსოვრებათ. აი, ის იყო ზამთარი, თუ იყო. ვხედავ, მანქანა გიყიდიათ.

– ჰო. რას იტყვით?

– სიმართლე გითხრათ, განთერების ბიჭი არასდროს მომწონდა. ტყეში ერთგან, აქედან შორს, მდინარეში, ჩემს მიწაზე კალმახები მოვაშენე; უფრო ზუსტად, ჩემი კი არა, ქალაქის ტერიტორიაა, მაგრამ მდინარეში ქვები ჩავაწყვე და იმ ადგილებში, სადაც კალმახები გროვდებიან, გუბურები მოვაწყვე. მერე თევზაობას შევუდექი და დიდდიდი თევზებიც ამოვყარე წყლიდან, ერთი კალმახი ოცდაათი სანტიმეტრის სიგრძის მაინც იქნებოდა. იმ საძაგელმა, პატარა განთერმა კი გუბურის ზღუდეები მომირღვია და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტში დაბეზღებით დამემუქრა. ახლა ეგ ლაწირაკი გრინ-ბეიშია, მაგრამ მალე დაბრუნდება. ამქვეყნად რომ სამართალი იყოს, ზამთარს გაექცეოდა და მსოფლიოს სანახავად გადაიკარგებოდა, მაგრამ არა, ისე ჩაბღაუჭებია ლეიკსაიდს, როგორც ბირკა – შალის ჟილეტს, – ჰინცელმანი კალათიდან სურსათის ამოლაგებასა და მაგიდაზე დაწყობას შეუდგა, – ეს ქეთრინ პაუდერმეიკერის მოხარშული მაჟალოს მურაბაა. ჯერ კიდევ იმ დროიდან მჩუქნის საშობაოდ,

თქვენ დაბადებულიც რომ არ იქნებოდით და, რაღა დაგიმალოთ, არც ერთი ქილა არ გამიხსნია. ორმოცი თუ ორმოცდაათი ქილა მიწყვია სარდაფში. შეიძლება ერთხელაც რომელიმე გავხსნა და გაირკვეს, რომ თურმე მომწონს. მანამდე კი, აგერ, ერთი თქვენ მოგიტანეთ. იქნებ მოგეწონოთ. შედოუმ მურაბა ჰინცელმანის მოტანილ სხვა ძღვენთან ერთად მაცივარში შედო.

– ეს რა არის? – ჰკითხა უიარლიყო ბოთლზე, რომელიც მომწვანო, ცხიმისებური ნივთიერებით იყო სავსე.

– ზეითუნის ზეთი. ასეთ სიცივეში სწორედ ეგრე გამოიყურება ხოლმე. ნუ ღელავთ, არ გაფუჭებულა.

– კარგი. ისე, „ზამთარს გაექცეოდა“ რას ნიშნავს?

– ჰმმ, – ბერიკაცმა ნაქსოვი ქუდი ყურებამდე აიკაპიწა და ვარდისფერი საჩვენებელი თითით საფეთქელი დაიზილა, – ეს მხოლოდ ლეიკსაიდში არ ხდება... კარგი ქალაქი გვაქვს, ბევრს სჯობია, მაგრამ იდეალურიც არაა. ხანდახან ზამთარში რომელიმე ბავშვი ჩაკეტილობას ვეღარ უძლებს და ჭკუიდან იშლება... როცა ასეთი ყინვებია,

გარეთ ვერ გადიხარ, თოვლიც ისეთი მშრალია, ვერ დააგუნდავებ, ხელში ჩაგეფშვნება...

– გარბიან ხოლმე?

მოღუშულმაბერიკაცმა თავიდააქნია.

– ტელევიზიას ვადანაშაულებ. ბავშვებს გონებას უწამლავენ იმით, რაც არასდროს ექნებათ: „დალასით“, „დინასტიით“, „ბევერლი-ჰილზით“, „ჰავაი 5-0-ით“[164] და მსგავსი სისულელეებით. 1983 წლის შემოდგომიდან ტელევიზორი არ ჩამირთავს. ერთ შავ-თეთრ ტელევიზორს კი ვინახავ კარადაში, რომ, თუ შორიდან სტუმრები მეწვევიან და რამე დიდი თამაში გადის, ვაყურებინო ხოლმე.

– რამეს ხომ არ ინებებთ, ჰინცელმან?

– ყავას ვერ ვსვამ, გულძმარვა მეწყება. წყალს დავლევ, – უპასუხა ბერიკაცმა და სინანულით გააქნია თავი, – ამ მხარეში უდიდესი პრობლემა სიღარიბეა. ისეთი სიღარიბე კი არა, „დიდი დეპრესიის“ დროს რომ იყო... ეს სულ სხვა რამაა. როგორც იტყვიან, რაღაც ჩუმად, ტარაკანივით რომ დაიპარება კუთხეებში?

– მზაკვრულად?

– დიახ, ეს უფრო მზაკვრული რამაა. ხე-ტყის ჭრა ჩაკვდა, სამთო მრეწველობა ჩაკვდა, ტურისტები ვისკონსინის ტყიან ჭალებზე შორს აღარ მოდიან, მხოლოდ ერთი-ორი მონადირე ან რამდენიმე ახალგაზრდა თუ შემოეხეტება სანადიროდ ან ტბის სანახავად, მაგრამ ისინი ფულს ქალაქში არ ხარჯავენ.

– ლეიკსაიდს სიღარიბე არ ეტყობა. ბერიკაცმა ლურჯი თვალები დაახამხამა.

– დიახ, და დამიჯერეთ, ეს დიდი ძალისხმევის შედეგია, – თქვა მან, – დაუღალავი გარჯის. მაგრამ ლეიკსაიდი კარგი ქალაქია და ღირსია იმის, რომ ხალხი მისთვის ამდენს შრომობდეს. თუმცა, იმას სულაც არ ვამბობ, რომ ჩემს ბავშვობაში ოჯახი ღარიბი არ ყოფილა. მკითხეთ, აბა, როგორი ღარიბები ვიყავით.

შედოუ კვლავ აჰყვა თამაშში ბერიკაცს და ჰკითხა: – რამდენად ღარიბულად ცხოვრობდა თქვენი ოჯახი თქვენს ბავშვობაში, მისტერ ჰინცელმან?

– მხოლოდ ჰინცელმანიც საკმარისია, მაიკ. ჩემს ბავშვობაში ისეთი ღარიბები ვიყავით, შეშის

ფული არ გვქონდა, რომ ცეცხლი დაგვენთო. შობის ღამეს მამაჩვენი პიტნის კანფეტს წუწნიდა, ჩვენ კი, ბავშვები, ხელებგაშვერილები გარს ვეხვეოდით და მის მხურვალებას ვეფიცხებოდით.

შედოუმ მოურიდებლად ჩაიფხუკუნა. ჰინცელმანმა მოთხილამურის ნიღაბი ჩამოიცვა, სქელი კუბოკრული პალტო შეიკრა, ჯიბიდან მანქანის გასაღები ამოიღო და სულ ბოლოს ხელთათმანები ჩაიცვა.

– თუ შინ მოგწყინდებათ, ვიდეომაღაზიაში მოდით და მიკითხეთ. ხელნაკეთი სატყუარების კოლექციას გაჩვენებთ. ისე მოგაბეზრებთ თავს, რომ შინ დაბრუნებისას შვებით ამოისუნთქავთ, – ჰინცელმანის ხმა ყრუდ, მაგრამ გარკვევით ისმოდა.

– ეგრე ვიზამ, – ღიმილით დაჰპირდა შედოუ, – „ტესი“ როგორ არის?

– სძინავს. გაზაფხულამდე არგაიღვიძებს. აბა, თავსგაუფრთხილდით, მისტერ აინსელ, – დაემშვიდობა ჰინცელმანი, გავიდა და კარი გაიხურა.

ბინა უფრო და უფრო ცივდებოდა.

შედოუმ ჯერ პალტო და ხელთათმანები ჩაიცვა, მერე – ჩექმები. ფანჯრის მინები ისე დაიჭირხლა, ტბა აბსტრაქტულ ნახატად მოჩანდა.

პირიდან ორთქლი ამოსდიოდა.

შედოუ ხის ვერანდაზე გავიდა და გვერდითა კარზე მიაკაკუნა. შიგნით ქალმა ვიღაცას დაუცაცხანა, თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი და ტელევიზორის ხმას დაუწიეო – ალბათ ბავშვს, თორემ უფროსები ასეთი ტონით სხვა უფროსებს არ უყვირიან. კარი გაიღო და შედოუს ძალიან გრძელ, შავთმიანმა ქალმა დაღლილი სახით ფრთხილად შემოხედა.

– გისმენთ.

– გამარჯობა, მემ. მე მაიკ აინსელი ვარ, თქვენი კარის მეზობელი. ქალს წარბიც კი არ შეუხრია.

– გისმენთ.

– მემ, ჩემს ბინაში საშინლად ყინავს. გათბობა ჩავრთე, მაგრამ რადიატორი საკმარისად ვერ ათბობს ოთახს.

ქალმა შედოუ აათვალიერ-ჩაათვალიერა, შემდეგ მისი ტუჩის კუთხეებს ძლივს შესამჩნევი ღიმილი შეეხო და თქვა: – მაშ, შემობრძანდით, თორემ აღარც ჩემს ბინაში იქნება სითბო.

შედოუ ბინაში შევიდა. იატაკზე პლასტმასის ფერადი სათამაშოები ეყარა. კედელთან საშობაო საჩუქრების შესაფუთი ბრჭყვიალა ქაღალდის ნაგლეჯები დაეხვავებინათ. ტელევიზორიდან რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით პატარა ბიჭი იჯდა და დისნეის „ჰერაკლეს“ უყურებდა – ტელეეკრანზე ანიმაციური სატირი ფეხებს აბაკუნებდა და რაღაცას ყვიროდა. შედოუმ ტელევიზორს ზურგი შეაქცია.

– მაშ, ასე, – რჩევა-დარიგებას შეუდგა ქალი, – აი, როგორ უნდა მოიქცეთ: უპირველეს ყოვლისა, ჯერ ფანჯრები უნდა დაგმანოთ. მასალას „ჰენინგსში“ იყიდით. პლასტმასის ნაჭრებია, პოლიეთილენს ჰგავს. ფანჯრებზე ააკარით. თუ არ დაგეზარებათ, ფენითაც გააშრეთ. მთელ ზამთარს გაძლებს. ამგვარად, ფანჯრებიდან სითბო აღარ გავა. მერე ერთი-ორი ელექტროგამათბობელი იყიდეთ. ბოლო დროს ზამთარში არც ისე ძლიერ ციოდა ხოლმე, მადლობა ღმერთს, მაგრამ შენობის გათბობის სისტემა მოძველებულია და ახლა ქვაბი ასეთ ყინვებს ვერ უმკლავდება, – თქვა ქალმა და ხელი გამოუწოდა, – მარგარიტ ოლსენი.

–

– სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, – უთხრა შედოუმ, ხელთათმანი მოიძრო და ხელი ჩამოართვა, – იცით, მემ, ყოველთვის მეგონა, რომ ოლსენები ქერები იყვნენ.

– ჩემი ყოფილი ქმარი იყო ქერა. ვარდისფერკანიანი და თმანათელი. მთელი დღე რომ მზეზე წოლილიყო, მაინც არ მოეკიდებოდა.

მისი განთერმა მითხრა, რომადგილობრივ გაზეთში მუშაობთ.

– მისი განთერი ყველას ყველაფერს ეუბნება. იმასაც კი ვფიქრობ, გაზეთი რა საჭიროა, როცა ქალაქში მისი განთერი ცხოვრობს, – მარგარიტმა თავი დააქნია, – დიახ. ხანდახან ახალ ამბებზე ვწერ. თუმცა, ამ საქმით მეტწილად რედაქტორია დაკავებული. მე ბუნებაზე წერა უფრო მიყვარს, მაქვს სვეტი მებაღეობაზე, ვუძღვები რუბრიკას „კვირის მოსაზრება“; აგრეთვე, „საზოგადოებრივ სიახლეებს“, რაც იმას გულისხმობს, რომ წვრილად აღვწერ ოცდახუთი კილომეტრის რადიუსში ვინ ვისთან ისადილა.

ქალმა შედოუს შავი თვალები მიაპყრო. შედოუს დეჟა-ვუს განცდა დაეუფლა.

„აქ წინათაც ვყოფილვარ, – გაიფიქრა მან, – ვიღაცას მაგონებს“.

– მოკლედ, ბინა ასე უნდა გაათბოთ, – უთხრა ქალმა.

– გმადლობთ. როცა ბინას გავათბობ, თქვენ და თქვენმა პატარამ შემომიარეთ, – მიიწვია შედოუმ.

– მას ლეონი ჰქვია, – გააცნო ბიჭი ქალმა, – სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი, მისტერ... უკაცრავად...

– აინსელ, – მიეშველა შედოუ, – მაიკ აინსელი.

– სადაური გვარია აინსელი? – დაინტერესდა მარგარიტ ოლსენი.

– სამწუხაროდ, არ ვიცი, – შედოუს წარმოდგენა არ ჰქონდა, – გვარის წარმოშობის ისტორიით არასდროს დავინტერესებულვარ.

– იქნებ ნორვეგიულია?

– ვერ გეტყვით, არა მგონია, – შედოუს უცებ „ბიძამისი“ ემერსონ ბორსონი გაახსენდა და დაამატა: – ყოველ შემთხვევაში, მამის მხრიდან ნორვეგიელებს არ ვენათესავებით.

როცა მისტერ უენზდეი ჩამოვიდა, შედოუს ყველა ფანჯარაზე უკვე პოლიეთილენი ჰქონდა აკრული, მისაღებსა და საძინებელში კი თითო-თითო ელექტროგამათბობელი – ჩართული. ბინაში სასიამოვნოდ თბილოდა.

– მაგ იისფერი ნეხვის გროვით როგორ დადიხარ? – მიუსალმებლად აჯახა უენზდეიმ.

– თორემ შენ არ დადიოდი ჩემი თეთრი ნეხვის გროვით, – უპასუხა შედოუმ, – სხვათა შორის, სად არის?

–

– დალუთში[165] გადავცვალე. სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ნუ ღელავ, შენს წილს მიიღებ, როცა ეს ყველაფერი მორჩება.

– აქ რას ვაკეთებ? – ჰკითხა შედოუმ, – ე. ი. ლეიკსაიდში რატომ ვარ და სხვაგან – არა?

უენზდეის სახეზე ჩვეული ღიმილი გამოესახა, სწორედ ის, შედოუს რომ მისთვის მუშტის დარტყმას ანდომებდა.

– ლეიკსაიდში იმიტომ ცხოვრობ, რომ აქ ძებნას არასდროს დაგიწყებენ. უსაფრთხოდ იქნები.

ვინ არ დამიწყებს ძებნას? შავქუდოსნები?

– დიახ. ვშიშობ, „კლდეზე მდგარ სახლს“ ახლოს ვეღარ მივეკარებით. არა უშავს, როგორმე გავძლებთ. ისღა დაგვრჩენია, ფეხები ვაბაკუნოთ, დროშები ვიქნიოთ და ბოლთა ვცეთ, სანამ ნამდვილი ბრძოლა დაიწყება – იმაზე ოდნავ გვიან, ვიდრე ველოდით. ალბათ გაზაფხულამდე იერიშზე არ გადმოვლენ. მანამდე მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ რამდენიც უნდა ილაპარაკონ მიკრო-მილიწამებზე, ვირტუალურ სამყაროებზე, პარადიგმის ცვლილებებსა და ათას ეგეთ რამეზე, ისინიც ამ პლანეტის მკვიდრები არიან და წელიწადის დროებს უნდა მოერგონ. ახლა მკვდარი სეზონია. ზამთრის თვეებში მოპოვებული გამარჯვება მკვდრადშობილი იქნება.

– წარმოდგენა არ მაქვს, რას ამბობ, – უთხრა შედოუმ, მაგრამ მთლად სიმართლე არ უთქვამს. ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა და იმედოვნებდა, რომ ცდებოდა.

– ცუდი ზამთარი გველის და მე და შენ ეს დრო გონივრულად უნდა გამოვიყენოთ. ჩვენი ლაშქარი უნდა შევკრიბოთ და ბრძოლის ველი შევარჩიოთ.

– კარგი, – შედოუ მიხვდა, რომ უენზდეი სიმართლეს ან ნაწილობრივ სიმართლეს ეუბნებოდა. ომი ახლოვდებოდა. არა, კი არ ახლოვდებოდა, ომი უკვე მიმდინარეობდა. ბრძოლა ახლოვდებოდა, – შეშლილმა სუინიმ მითხრა, რომ შენთან იყო შეკრული იმ ღამით, როცა პირველად შევხვდით. სიკვდილის წინ გამიმხილა.

– აბა, რა მექნა, ისეთი ვინმესთვის მეხადა ხელფასი, სუინისნაირ გატრეტილ უბადრუკს რომ ვერ მოერეოდა ბარში? ნუ ღელავ, ნდობა უკვე ბევრჯერ გამიმართლე. ლას-ვეგასში ოდესმე ყოფილხარ?

– ნევადის ლას-ვეგასში?

– ჰო.

– არა.

– ამაღამ მედისონიდან იქ მივფრინავთ ბობოლა მოთამაშეებისთვის განკუთვნილი ღამის ჩარტერული რეისით. დავითანხმე, რომ ჩვენც წაგვიყოლონ.

–

– ტყუილების თქმით არ იღლები? – ჰკითხა შედოუმ აუღელვებლად, ინტერესით.

– ოდნავაც არა. მაგრამ ახლა ტყუილი სულაც არ მითქვამს. უმაღლეს ფსონზე ვთამაშობთ. მედისონამდე რამდენიმე საათში მივალთ, გზები თავისუფალია. კარი ჩაკეტე და გამათბობლები გამორთე. საშინელება იქნება, შინ არყოფნისას სახლი რომ გადაწვა.

– ლას-ვეგასში ვინ უნდა ვნახოთ? უენზდეიმ უთხრა.

შედოუმ გამათბობლები გამორთო, ჩანთაში გამოსაცვლელი სამოსი ჩაილაგა, მერე უენზდეის მიუტრიალდა და უთხრა: – თავს სულელად ვგრძნობ. წეღან კი მითხარი, ვისაც ვხვდებით, მაგრამ რავი, რა მეტაკა, გადამავიწყდა. ვის ვხვდებითო, რა თქვი? უენზდეიმ სახელი გაუმეორა.

ამჯერად შედოუმ თითქმის დაიმახსოვრა. სახელი მეხსიერების ზედაპირზე უტივტივებდა, მაგრამ ხელი ვერ ჩაავლო. ნეტავ უფრო ყურადღებით მოესმინა უენზდეისთვის. გონებიდან ისევ ამოუვარდა.

– საჭესთან ვინ ჯდება? – ჰკითხა უენზდეის.

– შენ, – უპასუხა მან. ბინიდან გავიდნენ, ხის კიბე ჩაიარეს და მოყინული ბილიკით მივიდნენ სახლის წინ გაჩერებულ შავ „ლინკოლნთან“. საჭესთან შედოუ დაჯდა.

კაზინოში ადამიანს ყველაფერი იზიდავს – იზიდავს იმდენად ძლიერად, რომ მხოლოდ ქვასავით უგრძნობელი, უგულო, უგუნური და სიხარბისგან სრულიად დაცლილი ადამიანი არ აჰყვება ცდუნებას. უსმინეთ: სათამაშო ავტომატის ჭრილიდან გადმოყრილი მონეტები მონოგრამებიან ხალიჩებზე ჩხარუნით ცვივა. ჩხარუნს სათამაშო ავტომატების დამაყრუებელი წკარუნი და ჟღარუნი ენაცვლება, მაგრამ ამ გნიასს თანდათან ნთქავს დიდი ოთახი. რაც უფრო ახლოს მიდის ადამიანი სათამაშო მაგიდებთან, გაურკვეველ, დამამშვიდებელ ბუტბუტად, შორეულ ხმაურადღა ისმის – რაც მთავარია, მოთამაშეთა ძარღვებში ადრენალინს ხომ აჩქროლებს.

ყველა კაზინო ერთ საიდუმლოს ინახავს, განძივით იცავს და უფრთხილდება. მიუხედავად იმისა, რომ რეკლამები ამას ეუბნება, ამას ახვევს თავს და ამაზე აოცნებებს, სინამდვილეში ხალხის უმეტესობა კაზინოში ფულის მოსაგებად არ თამაშობს. ეს სიცრუეა, რომლითაც

მოთამაშეები თავს იტყუებენ, სიცრუე, რომელიც მათ სტუმართათვის მუდმივად ღია, დიდ კარში შესვლის საშუალებას აძლევს.

საიდუმლო კი ესაა: ხალხი ფულის წასაგებად თამაშობს. კაზინოში ყველა მცირე ხნით გამოსაცოცხლებლად, რულეტზე კოჭის გასაგორებლად, კარტის ამოსატრიალებლად და სათამაშო ავტომატებში მონეტების ყრით გასართობად შედის. ხალხს სურს, რაღაცას წარმოადგენდეს. მოთამაშეები ტრაბახით იხსენებენ იმ ღამეებს, როცა კაზინოში მოიგეს, „დიდი კუში მოხსნეს“, მაგრამ გულის სიღრმეში სათუთად ინახავენ მარცხიანი ღამის მოგონებებს. ეს ერთგვარი მსხვერპლშეწირვაა.

კაზინოში მწვანე და ვერცხლის დოლარების უწყვეტი ნაკადი მოედინება, ხელიდან ხელში ინაცვლებს, მოთამაშიდან კრუპიეს, მოლარის, მენეჯერისა და მცველის გავლით, ბოლოს და ბოლოს, წმიდათაწმიდაში, მდუმარე საკურთხეველში, ფულის დასათვლელ ოთახში აღმოჩნდება ხოლმე. აქ მწვანე კუპიურებს ითვლიან, აღრიცხავენ, დასტა-დასტად კრავენ. მაგრამ დღითი დღე ამ ადგილის არსებობის საჭიროება მცირდება, რადგან ფული წარმოსახვითი ხდება: სატელეფონო ხაზებიდან ელექტრონული სახით შემოდის.

ფულის დასათვლელ ოთახში სამი ადამიანია. ფულს ითვლიან ხილული და უხილავი კამერების გაყინული, დაჟინებული მზერის ქვეშ. ერთი მორიგეობისას თითოეული მათგანი იმდენ ფულს ითვლის, მთელ სიცოცხლეში რომ არასდროს გადაუხდიან. თითოეულ მათგანს ღამღამობით დათვლილი და აღრიცხული, ერთმანეთზე დაწყობილი ფულის დასტები ესიზმრება. თითოეულ მათგანს კვირაში ერთხელ მაინც გაუელვებს აზრი, როგორმე კაზინოს უსაფრთხოების სისტემას გვერდს რომ ავუქცევდე, რაც შეიძლება მეტ ფულს მოვხვეტდი და გავიქცეოდიო. მაგრამ თითოეული მათგანი ყოველთვის იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამის გაკეთება შეუძლებელია და აჯობებს, ნორმალურ ხელფასს დასჯერდეს, ვიდრე ციხეში იჯდეს ან უსახელო საფლავში იწვეს.

სწორედ აქ, წმიდათაწმიდაში, სამი ადამიანი ფულს ითვლის; მათ გარდა აქ მცველებიც არიან, ფული მიაქვთ და მოაქვთ. ოთახში კიდევ ერთი ადამიანია. უზადო, ნახშირისფერი კოსტიუმი აცვია, მუქი თმა აქვს, წვერი სუფთად გაუპარსავს. მისი სახე და ქცევა თვალში არანაირად არ გხვდება. უფრო მეტიც, ფულის მთვლელები საერთოდ ვერ ამჩნევენ მას, ან თუ შეამჩნევენ კიდეც, მისი არსებობა წამში ავიწყდებათ.

როგორც კი ცვლა მთავრდება, ნახშირისფერკოსტიუმიანი კაცი ოთახიდან გადის და მცველებთან ერთად მიაბიჯებს დერეფანში. მათ ფეხის ხმას მონოგრამიანი ხალიჩები ახშობს. ფული სეიფებით მიაქვთ შიდა სატვირთო მოედნამდე და იქ ჯავშანმანქანაში აწყობენ. მერე

სატვირთო სადგურის ლუკი იღება და ჯავშანმანქანა გამთენიისას ლას-ვეგასის ქუჩებისკენ მიემართება. ნახშირისფერკოსტიუმიანი კაცი შეუმჩნევლად უახლოვდება კარს, გარეთ გადის და ტროტუარზე დგება. მარცხნივ მდგარ ნიუ-იორკის ასლს ზედაც არ უყურებს.

ლას-ვეგასი საბავშვო ილუსტრირებულ წიგნებში აღწერილ და გამოსახულ ოცნების ქალაქს ჰგავს. აგერ ზღაპრული კოშკი აღმართულა, ეგერ სფინქსის გვერდით შავი პირამიდა სიბნელეში სინათლის სხივს ისვრის, თითქოს მფრინავ თეფშს იწვევს მიწაზე დასაჯდომად. ყველგან ნეონის ორაკულები და მოტრიალე ეკრანებია, ბედნიერებასა და იღბალს წინასწარმეტყველებენ, აანონსებენ ადგილობრივი ან მოწვეული მომღერლების, კომიკოსებისა და ილუზიონისტების წარმოდგენებს. კაშკაშა ნათურები და პროჟექტორები გამუდმებით გიხმობენ. საათში ერთხელ ვულკანი იფრქვევა, ელვარებს და ცეცხლოვან ლავას აფრქვევს. საათში ერთხელ მეკობრეთა ხომალდი საბრძოლო ხომალდს ძირავს.

ნახშირისფერკოსტიუმიანი კაცი ტროტუარზე მისეირნობს, ქალაქში ფულის შემოდინებას გრძნობს. ზაფხულში, როცა ქუჩები იხრუკება, ყოველ მაღაზიასთან ჩავლისას, შიგნიდან მონაბერი კონდიცირებული ჰაერის სიგრილე შუბლზე ოფლის წვეთებს შეაშრობს ხოლმე. ახლა კი უდაბნოს ზამთრის მშრალი სუსხით ტკბება. მის წარმოსახვაში ფულის დინება სინათლისა და მოძრაობისგან დაწნულ, სამგანზომილებიან ხლართს ემსგავსება. ამ უდაბნოს ქალაქში

ყველაზე მეტად სისწრაფე მოსწონს, ის, თუ როგორ გადადის ფული ხელიდან ხელში, ერთი ადგილიდან მეორეში: ამით კაიფობს, ეს აბრუებს, ქუჩისკენ იზიდავს, როგორც ნარკომანს.

ნახშირისფერკოსტიუმიან კაცს უკან ტაქსი მიჰყვება. მასთან დისტანციას ინარჩუნებს. კაცი მდევარს ვერ ამჩნევს. ან რატომ უნდა ამჩნევდეს, თვითონ ხომ იმდენად შეუმჩნეველია, ვერც კი წარმოუდგენია, ვინმე უთვალთვალებდეს?

დილის ოთხი საათია. ნახშირისფერკოსტიუმიანი კაცი უნებურად უახლოვდება ერთ ძველ კაზინო-სასტუმროს. უკვე ოცდაათი წელია, იქაურობა მოდურად აღარ ითვლება, მაგრამ როგორმე ერთ დღეს ან თუნდაც ექვს თვეს კიდევ გაძლებს, სანამ ააფეთქებენ, დაანგრევენ და დაივიწყებენ, მის ადგილას კი ახალ სიამეთა სასახლეს წამოჭიმავენ. ნახშირისფერკოსტიუმიან კაცს არავინ იცნობს, იგი არავის ახსოვს. ვესტიბიულში ნახევრად ცარიელ, ჩუმ ბარში მაგიდასთან ჯდება. იქაურობა სიგარეტის ბოლს ლურჯად დაუნისლავს. ზემოთ, პრივატულ ოთახში, ვიღაც ნახევარი მილიონის ფსონად ჩასვლას აპირებს პოკერის თამაშში. რამდენიმე სართულით ქვემოთ ნახშირისფერკოსტიუმიან კაცს მიმტანი ყურადღებას არ აქცევს. საიდანღაც გაურკვევლად, ცნობიერებისთვის ძლივს აღსაქმელად ისმის „Why Can’t He Be You“ [166]. ელვის პრესლის ხუთი იმიტატორი (ხუთივე სხვადასხვა ფერის კომბინეზონით შემოსილი) ტელევიზორში ბეისბოლის მატჩის გამეორებას უყურებს.

ნახშირისფერკოსტიუმიანი კაცის მაგიდასთან ღია ფერის კოსტიუმიანი კაცი ჯდება. აი, მას კი მიმტანი გოგო (იმდენად გამხდარი, რომ ლამაზი არ ეთქმის და ეს თვალშისაცემი ანორექსია „ლუქსორში“ ან „ტროპიკანაში“ მუშაობაში ხელს უშლის და, რომელიც ახლა წუთებს ითვლის, სამსახურიდან როდის გათავისუფლდება) მაშინვე ამჩნევს და ღიმილით უახლოვდება. მეორე კაციც ფართოდ უღიმის.

– მშვენივრად გამოიყურებით ამაღამ, ჩემო კარგო, ჩემი ბებერი თვალებისთვის თქვენი ცქერა ერთი სიამოვნებაა, – ეუბნება მიმტან გოგოს კაცი. მიმტანს მსუყე გასამრჯელოს სუნი სცემს და მომხიბვლელად უღიმის. ღია ფერის კოსტიუმიანი კაცი თავისთვის „ჯეკ დენიელსს“ უკვეთს, ნახშირისფერკოსტიუმიანი კაცისთვის კი – „ლაფროიგს“.

– იცი, – ამბობს ღია ფერის კოსტიუმიანი კაცი, როცა მისთვის ვისკი მოაქვთ, – ამ დაწყევლილი ქვეყნის ისტორიაში ყველაზე პოეტური ფრაზა 1853 წელს ბატონ-რუჟში [167] წარმოთქვა „კანადელმა“ ბილ ჯოუნსმა[168], როცა „ფარაონის“ [169] ჩაწყობილ თამაშში პირწმინდად ყვლეფდნენ. ჯორჯ დივოლმა, „კანადელი ბილის“ მსგავსად, ახალბედების გაფცქვნაზე უარს რომ არასდროს ამბობდა, ბილი განზე გაიხმო და ჰკითხა, ვერ ხედავ, თამაში ჩაწყობილიაო. რაზეც ბილმა ამოიოხრა, მხრები აიჩეჩა და უპასუხა, ვხედავ, მაგრამ ქალაქში სხვაგან არსად თამაშობენო, და ისევ მაგიდასთან დაბრუნდა.

შავი თვალები უნდობლად შესცქერის ღია ფერის კოსტიუმიან კაცს. ნახშირისფერკოსტიუმიანი კაცი რაღაცას პასუხობს. ღია ფერის კოსტიუმიანი კაცი, რომელსაც წითურ თმაში ჭაღარა შეჭპარვია, უარის ნიშნად აქნევს თავს.

– მისმინე, – ამბობს ის, – ვწუხვარ იმის გამო, რაც ვისკონსინში მოხდა. მაგრამ ყველანი ხომ უსაფრთხოდ გამოგიყვანეთ? არავინ დაშავებულა.

ნახშირისფერკოსტიუმიანი კაცი ნება-ნება წრუპავს „ლაფროიგს“, რომელსაც ჭაობის გემო დაჰკრავს, და კითხვას სვამს.

– არ ვიცი. ყველაფერი მოსალოდნელზე სწრაფად ხდება. ერთი ბიჭი ავიყვანე დამხმარედ და ყველა იმას აუშარდა. გარეთ, ტაქსიში ზის და მელოდება. აბა, ისევ ჩვენთან ხარ თუ არა? ნახშირისფერკოსტიუმიანი კაცი პასუხობს. წვერიანი კაცი თავს ისევ უარის ნიშნად აქნევს.

– ორასი წელია, აღარავის უნახავს. შეიძლება ცოცხალი იყოს, მაგრამ სცენაზე გამოსვლას ერიდება. ნახშირისფერკოსტიუმიანი კაცი კიდევ რაღაცას ამბობს.

– მისმინე, – ამბობს ღია ფერის კოსტიუმიანი კაცი და თავის ჭიქას ბოლომდე ცლის, – როცა დაგვჭირდები, მოდი და გვერდით დაგვიდექი. შენზე მე ვიზრუნებ. რა გინდა? სომა[170]? ერთ ბოთლ ნამდვილ სომას გიშოვი!

ნახშირისფერკოსტიუმიანი კაცი მცირე ფიქრის შემდეგ უხალისოდ უქნევს თავს და რაღაცას ამბობს.

– რასაკვირველია, – პასუხობს წვერიანი კაცი და სამართებელივით ბასრად იღიმება, – მაშ, რა გგონია? მაგრამ ამას ასე შეხედე: ქალაქში ეს ერთადერთი თამაში იმართება, – დათვის ტორისხელა ხელს იწვდის და ნახშირისფერკოსტიუმიან კაცს კარგად მოვლილ ხელს ართმევს. შემდეგ მიდის.

გამხდარი მიმტანი გოგო ბრუნდება. დაბნეულია: კუთხის მაგიდასთან ახლა მხოლოდ ერთი კაცი ზის, მას შავი თმა აქვს და ნახშირისფერი კოსტიუმი აცვია. – კარგად ხართ? – ეკითხება მიმტანი, – თქვენი მეგობარი არ დაბრუნდება?

შავთმიანი კაცი ამოოხვრით პასუხობს, რომ მისი მეგობარი არ დაბრუნდება და გოგო მომსახურებისთვის დამატებით გასამრჯელოს ვერ ეღირსება. თუმცა, როცა მის თვალში წყენას ხედავს, სიბრალული იპყრობს, გონებაში ოქროს ძაფებს იკვლევს, ხლართს აკვირდება, ფულის დინებას მიჰყვება და, აი, კვანძს ამჩნევს. მიმტან გოგოს ეუბნება, რომ თუ სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, ზუსტად ოცდაათ წუთში, დილის ექვს საათზე, „თრეჟერ აილენდის“[171] წინ იდგება, შეხვდება დენვერელ ონკოლოგს, რომელმაც კამათლების მაგიდასთან 40 000 დოლარი მოიგო და სასწრაფოდ სჭირდება მრჩეველი, პარტნიორი ან ვინმე, ვინც ამ ფულს ორმოცდარვა საათში დაახარჯვინებს, სანამ თვითმფრინავით შინ გაფრინდება.

ეს სიტყვები მიმტანი გოგოს გონებაში მაშინვე კი ორთქლდება, მაგრამ ბედნიერების განცდით ავსებს. ოხრავს. ხედავს, რომ კუთხეში მჯდარი ტიპები ისე ათესილან, არათუ ფეხის ქირა დაუტოვებიათ მისთვის, ვისკის საფასურიც კი არ გადაუხდიათ. უცებ თავში აზრად მოსდის, რომ, როცა სამსახურიდან გათავისუფლდება,

დაუყოვნებლივ შინ წასვლის ნაცვლად, ჯერ „თრეჟერ აილენდთან“ გაიაროს – ოღონდ რატომ, თვითონაც ვერ ხვდება.

– ვინ არის ეგ ტიპი, ვისაც შეხვდი? – ჰკითხა უენზდეის შედოუმ, როცა ლას-ვეგასის აეროპორტში დაბრუნდნენ. აეროპორტის დარბაზში სათამაშო ავტომატები ჩაემწკრივებინათ და

მათთან ასე დილაადრიანადაც კი ხალხი იდგა. ნეტავ აქ ისეთები თუ არიან, თვითმფრინავიდან ჩამოსვლისთანავე, დარბაზში, სათამაშო ავტომატებთან რომ მიიჭრნენ და, თვალისმომჭრელი ციმციმითა და მოტრიალე ნახატებით თავბრუდახვეულები, გარეთ აღარც გასულანო, გაიფიქრა შედოუმ: ალბათ უკანასკნელ მონეტასაც სათამაშო ავტომატში ჩააგდებდნენ, მერე მიტრიალდებოდნენ და თვითმფრინავით შინ გაფრინდებოდნენ.

რა თქმა უნდა, იქნებიანო, დაასკვნა შედოუმ. ამერიკა იმხელაა, გამორიცხულია, ამდენ მილიონ ადამიანში ასეთი ხალხი არ გამოერიოს. თანაც, ლას-ვეგასში, ადრე თუ გვიან, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, არაფერმა უნდა გაგაკვირვოს.

უცებ მიხვდა, რომ ფიქრებით გართულს, საერთოდ არ გაუგია, უენზდეიმ ნახშირისფერკოსტიუმიან კაცზე რაღაც რომ უთხრა.

– მოკლედ, გვერდით დაგვიდგება, – დაასრულა უენზდეიმ, – ოღონდ მისი დაყოლიება ერთ ბოთლ სომად დამიჯდა.

– სომა რა არის?

– სასმელია.

თვითმფრინავში ჩასხდნენ. ჩარტერული რეისით მათ გარდა კიდევ სამი მდიდარი ბიზნესმენი მგზავრობდა, ღამით ბლომად ფულის გაფლანგვის შემდეგ ჩიკაგოში დილით სამსახური ელოდათ. უენზდეი მყუდროდ მოეწყო და თავისთვის „ჯეკ დენიელსი“ შეუკვეთა.

– ჩემნაირი ხალხისთვის თქვენნაირი ხალხი... – უენზდეი შეყოყმანდა, – ეს ფუტკრებისა და თაფლის ამბავს ჰგავს. თითო ფუტკარი თაფლის მხოლოდ პაწაწინა წვეთს ამზადებს. ათასობით ან შეიძლება მილიონობით ფუტკრის ერთობლივი შრომაა საჭირო იმ ერთი ქილა თაფლის დასამზადებლად, საუზმედ რომ მიირთმევ. ახლა წარმოიდგინე, თაფლის გარდა სხვას ვერაფერს რომ ვერ ჭამდე. აი, რა აწუხებს ჩემნაირ ხალხს... ჩვენ რწმენით, ლოცვებით, სიყვარულით ვიკვებებით. უამრავი ადამიანის რწმენაა საჭირო, მცირედი საზრდო მაინც რომ გვქონდეს. დიახ, საჭმლის ნაცვლად ჩვენ რწმენა გვჭირდება.

– და სომა...

– თუ შედარებას გავაგრძელებთ, სომა თაფლუჭია, თაფლიანი ღვინო, – ჩაიცინა უენზდეიმ, – ლოცვებისა და რწმენისგან გამოხდილი სასმელი.

ნებრასკის თავზე მიფრინავდნენ და თვითმფრინავის მგზავრთათვის განკუთვნილ უგემურ საუზმეს ჭამდნენ, როცა შედოუმ თქვა: – ჩემი ცოლი. ლორა.

– მკვდარია.

– ჰო, მაგრამ ვერ ისვენებს. სიცოცხლე უნდა. თვითონ მითხრა, როცა მატარებელში იმ ტიპების ხელიდან დამიხსნა.

– სამაგალითო ცოლის შესაფერისი საქციელია. ტყვეობისგან გიხსნა და შენთვის ავის მზრახველნი დახოცა. თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე მას, დისწულო აინსელ. – ნამდვილად გაცოცხლება უნდა, მოსიარულე მკვდრობა კი არა. უნდა, რომ ცოცხლობდეს. ეს შესაძლებელია? ვუშველით?

უენზდეი იმდენ ხანს დუმდა, შედოუმ იფიქრა, ალბათ კითხვა არ გაუგონია, ანდა თვალგახელილს ჩაეძინაო. კარგა ხნის შემდეგ ამოიღო ხმა. წინ იყურებოდა.

– ვიცი შელოცვა, ავადმყოფს ტკივილს რომ უქარვებს და მწუხარეს – სევდას.

ვიცი შელოცვა, რომელიც შეხებით კურნავს.

ვიცი შელოცვა, მტრის იარაღს რომ ამაცილებს.

ვიცი შელოცვა, ყოველ ბორკილსა და კლიტეს რომ გამიხსნის.

მეხუთე შელოცვა: ნასროლ ტყვიას ჰაერში დავიჭერ და არაფერი დამემართება.

უენზდეი ჩუმად, დაჟინებით ლაპარაკობდა. მის ხმაში აღარ იგრძნობოდა გამომწვევი და დამცინავი კილო. სიტყვებს ისე წარმოთქვამდა, თითქოს რელიგიურ რიტუალს ასრულებდა, თითქოს რაღაც ბნელსა და მტკივნეულს ამბობდა. – მეექვსე: ჩემ სავნებლად გამოგზავნილი თავად გამომგზავნელს ავნებს. ვიცი მეშვიდე შელოცვაც: ერთი შეხედვით ჩავაქრობ ცეცხლს.

მერვე: მოძულეს მეგობრად გავიხდი.

მეცხრე: ქარს მღერით დავაძინებ და ზღვის მღელვარებას დავაცხრობ, რათა ხომალდი ნაპირთან მიცურდეს.

ეს პირველი ცხრა შელოცვაა, მე რომ ვისწავლე. ფერდში შუბგარჭობილი ცხრა ღამე ვეკიდე უფოთლო ხის ტოტზე. ქარში ვქანაობდი, თბილსა თუ ცივში, უსაჭმლოდ და უწყლოდ, თავს მსხვერპლად ჩემივე თავი შევწირე და თვალწინ მრავალი სამყარო გადამეშალა.

მეათე შელოცვით კუდიანებს ისე მიმოვფანტავ და ცაში ისე დავაბზრიალებ, რომ შინამდე გზას ვეღარასდროს მიაგნონ.

მეთერთმეტე: ბრძოლის ჟამს თუ ვიმღერებ, მეომრები ომის ქარცეცხლს უვნებლად გადაურჩებიან და მშობლიურ კერას საღ-სალამათები დაუბრუნდებიან.

ვიცი მეთორმეტე შელოცვაც: თუ დავინახავ სადმე ჩამომხრჩვალს, ხიდან ჩამოვხსნი, რათა ჩამჩურჩულოს ყველაფერი, რაც ახსოვს.

მეცამეტე: ბავშვს თავზე წყალს თუ მოვასხურებ, ის ბავშვი ბრძოლის ველზე

არასდროს დაეცემა. მეთოთხმეტე: ყოველი ოხერი ღმერთის სახელი ვიცი.

თითოეული მათგანის.

მეთხუთმეტე: ძლიერების, დიდებისა და სიბრძნის სიზმარს ვისაც მოვუვლენ, ყველას დავაჯერებ.

უენზდეი უკვე ისე ხმადაბლა ჩურჩულებდა, შედოუს ყურთასმენის დაძაბვა დასჭირდა, რომ თვითმფრინავის ძრავას ხმაურში მისი სიტყვები გაერჩია.

– ვიცი მეთექვსმეტე შელოცვა: თუ ქალთან ალერსი მომინდება, მის ფიქრებსა და გულს უთუოდ დავიმორჩილებ.

მეჩვიდმეტე: იმ ქალს, მე რომ თვალს დავადგამ, სხვა აღარავინ მოუნდება.

ვიცი მეთვრამეტე შელოცვაც და ის შელოცვა ყველაზე ძლიერია, მაგრამ ვერავის გავუმხელ, რადგან საიდუმლო, რომელიც მხოლოდ შენ იცი, ამქვეყნად უდიდესია.

უენზდეიმ ამოიხვნეშა და ლაპარაკი შეწყვიტა.

შედოუს ჟრუანტელმა დაუარა. მისთვის თითქოს სხვაგან გამავალი კარი გაიღო. სადღაც, მრავალი სამყაროს იქით, ყოველ გზაჯვარედინზე ქარში ჩამოხრჩობილები ქანაობდნენ, ხოლო ღამის ბნელ ცაში წივილ-კივილით დაფრინავდნენ კუდიანები.

– ლორა, – მხოლოდ ეს თქვა. უენზდეიმ თავი მოატრიალა და შედოუს ნაცრისფერ

თვალებში ჩახედა.

– ვერ გავაცოცხლებ, – თქვა მან, – ისიც კი არ ვიცი, ცოცხალი რატომაა, როცა მკვდარი უნდა იყოს.

– მგონი, ეს მე ვქენი, – ჩაილაპარაკა შედოუმ, – ჩემი ბრალია.

უენზდეიმ ხშირი წარბები შეჭმუხნა.

– შეშლილმა სუინიმ იმ ფოკუსის კეთება რომ მასწავლა, ოქროს მონეტა მომცა. როგორც სიკვდილის წინ მისი ნათქვამიდან გავიგე, შემთხვევით სულ სხვა, ბევრად

ძლიერი მონეტა მოუცია. მე კიდევ ის მონეტა ლორას საფლავში ჩავაგდე.

მოღუშულმა უენზდეიმ თავი დახარა და რაღაც ჩაიბურტყუნა. მერე ისევ ასწია თავი.

– ალბათ მიზეზიც ეგაა, – თქვა მან, – და ვერა, მე ვერაფრით ვუშველი. რასაკვირველია, თავისუფალ დროს როგორ დახარჯავ, ეგ შენი გადასაწყვეტია.

– ეგ რას ნიშნავს? – ჰკითხა შედოუმ.

– იმას, რომ არწივის ქვებისა და ქუხილის ჩიტების[172] ძიებას ვერ აგიკრძალავ, მაგრამ ნამდვილად კი მირჩევნია, ლეიკსაიდში ჩუმად იჯდე და თვალში არავის

ეჩხირებოდე, იმედია, ყველას მიავიწყდები. როცა ვითარება დაიძაბება, ყველას დახმარება და თანადგომა დაგვჭირდება.

ამის თქმისას უენზდეი ძალიან მოხუცად და უძლურად გამოიყურებოდა, ნახევრად გამჭვირვალე კანის ქვეშ მუქი ხორცი მოუჩანდა.

შედოუს ძალიან მოუნდა, უენზდეის ბებერ ხელს შეხებოდა და მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ამის არ სჯეროდა, მისთვის ეთქვა, ყველაფერი კარგად იქნებაო. არადა, შაოსანი კაცები შავ მატარებლებში, მსუქანი ბიჭი ლიმუზინსა და ხალხი ტელევიზორებში – ესენი ცუდს უპირებდნენ. შედოუ უენზდეის არ შეხებია. არაფერი უთქვამს.

მოგვიანებით შედოუ გაიფიქრებს, ნეტავ ეს ჟესტი რამეს სასიკეთოდ თუ შეცვლიდა,

მოსალოდნელ უბედურებას თავიდან ოდნავ მაინც თუ აგვარიდებდაო, მაგრამ მაშინვე უპასუხებს თავის თავს, რომ არა, არაფერი შეიცვლებოდა. მიუხედავად ამისა, გულში ინატრებს, იმ საღამოს, თვითმფრინავით შინ რომ ბრუნდებოდნენ, უენზდეის ხელს წამით მაინც შეხებოდა.

ზამთრის ხანმოკლე დღე უკვე იწურებოდა, როცა უენზდეიმ შედოუ მისი ბინის წინ ჩამოსვა. მანქანის კარის გაღებისას შედოუს ლას-ვეგასურთან შედარებით მართლაც რომ წარმოუდგენელი, არაამქვეყნიური სუსხი დაეძგერა.

– შარში ნუ გაეხვევი, – უთხრა უენზდეიმ, – თავს ნუ გამოყოფ და წყალს ნუ აამღვრევ.

– ეს ყველაფერი ერთდროულად?

– ახლა შენი ხუმრობის მოსმენის თავი არ მაქვს, ყმაწვილო. ლეიკსაიდში ვერავინ გიპოვის. დიდ ძალისხმევად დამიჯდა აქ შენი უსაფრთხოდ გადამალვა. ახლა ქალაქში რომ იყო, წუთში ჩაგიდგებოდნენ კვალში.

– ზედმეტ ყურადღებას არ მივიქცევ და პრობლემებსაც მოვერიდები, – გულწრფელად დაჰპირდა შედოუ. მთელი ცხოვრება ისედაც უსიამოვნებები ჰქონდა და დრო მოვიდა, ამისთვის ბოლო მოეღო, – როდის დაბრუნდები?

– მალე, – უპასუხა უენზდეიმ, „ლინკოლნი“ დაქოქა, ფანჯრის მინა ასწია და ცივ ღამეში გზას გაუდგა.

მეთერთმეტე თავი

სამი საიდუმლოს მხოლოდ მაშინ შეინახავს, თუ ორი მათგანი მკვდარია.
ბენჯამინ ფრანკლინი, „საბრალო რიჩარდის ალმანახი“

სამი ცივი დღე გავიდა. თერმომეტრი ერთხელაც არ ასცილებია ნულს, თვით შუადღისასაც კი. შედოუს უკვირდა, ელექტრობამდელ ხანაში, როცა არც ასფალტის გზები არსებობდა, არც თბილი ნიღბები და მსუბუქი ზამთრის სამოსი ჰქონდათ, ხალხი ასეთ ყინვებს როგორ უძლებდაო.

ჰინცელმანის მაღაზიაში (რომელიც სოლარიუმიც იყო, ვიდეომაღაზიაც და იქვე სათევზაო აღჭურვილობაც იყიდებოდა) ხელნაკეთ სატყუარებს ათვალიერებდა. სხვათა შორის, ძალიან მოეწონა ბუმბულისა და ძაფებისგან დამზადებული და შიგ კავჩამალული მწერის ხასხასა, ხატოვანი ასლები.

ჰინცელმანს ის შეკითხვა დაუსვა, რომელზეც თავს იმტვრევდა.

– სიმართლე გითხრა? – ჰკითხა ჰინცელმანმა.

– სიმართლე მითხარი, – უპასუხა შედოუმ.

– კარგი, – თქვა ბერიკაცმა, – ზოგჯერ ვერ ძლებდნენ და იხოცებოდნენ. გაბზარული საკვამურები და ცუდად განიავებული ქურები და ღუმლებიც იმდენივე ადამიანს ხოცავდა, რამდენსაც სიცივე. მაშინ მძიმე დრო იდგა. ხალხი მთელ ზაფხულსა და შემოდგომას საჭმელსა და შეშას იმარაგებდა ზამთრისთვის. ყველაზე ცუდი სიგიჟე იყო. რადიოში მოვისმინე, რომ ამას ზამთარში მზის ნაკლებობა იწვევს. მამაჩემი გვიყვებოდა, როგორ იშლებოდა ჭკუიდან ხალხი – ავადმყოფობას „ზამთრის სიგიჟეს“ უწოდებდნენ. ლეიკსაიდში იმდენად არა, მაგრამ მეზობელ ქალაქებში ასეთი რამ ძალიან ხშირად ხდებოდა. ჩემს ბავშვობაში ერთი გამოთქმა არსებობდა, თუ თებერვლამდე მოახლემ ერთხელაც არ დაგიპირა მოკვლა, უხერხემლო ვინმე ყოფილაო.

სანამ ქალაქში ბიბლიოთეკა გაიხსნებოდა, ყოველ წიგნს, ყველაფერს, რის წაკითხვაც შეიძლებოდა, განძივით უფრთხილდებოდნენ. ერთხელ პაპაჩემს ბავარიიდან მისმა ძმამ ზღაპრების წიგნი გამოუგზავნა და ქალაქში მცხოვრები ყოველი გერმანელი რატუშაში შეიკრიბა მის მოსასმენად. მერე ფინელები, ირლანდიელები და სხვები გერმანელებს აყოლებდნენ იმ ზღაპრებს.

აქედან ოცდაათი კილომეტრის დაშორებით, ჯიბუეიში, ზამთარში, ქუჩაში შიშველ ქალს გადააწყდნენ, გულში მკვდარი ჩვილი ჰყავდა ჩაკრული, მისთვის ხელი არავის შეახებინა, – ჰინცელმანმა ფიქრიანად გააქნია თავი და სატყუარებით სავსე შემინული კარადის კარი მიკეტა, – საქმეები ცუდად მიდის. ვიდეომაღაზიის მუდმივი კლიენტის ბარათი არ გინდა? ადრე თუ გვიან, აქაც გახსნიან „ბლოკბასტერს“[173] და ჩვენ დავიხურებით, მაგრამ ჯერჯერობით საკმაოდ კარგი არჩევანი გვაქვს.

შედოუმ ჰინცელმანს შეახსენა, რომ შინ არც ტელევიზორი ჰქონდა და არც – ვიდეომაგნიტოფონი. მას მოსწონდა ბერიკაცის საზოგადოებაში ყოფნა, მისი მოგონებები, დაუჯერებელი ამბები, ეშმაკური ღიმილი. მისთვის რომ ეთქვა, ტელევიზორის ყურებას შევეშვი, რადგან ბოლო დროს ტელევიზორები მელაპარაკებიანო, შეიძლებოდა მასთან ურთიერთობა გაჰფუჭებოდა, რადგან ბერიკაცი იფიქრებდა, ამასაც გაუფრენიაო.

ჰინცელმანმა უჯრიდან თუნუქის კოლოფი ამოიღო. ოდესღაც ალბათ საშობაო საჩუქრების კოლოფი იყო და შიგ შოკოლადები ან ტკბილეული ეყარა: თავსახურიდან სანტა-კლაუსი იყურებოდა სახეზე ღიმილით და ხელში ლანგარზე დაწყობილი

„კოკაკოლას“ ბოთლებით. ჰინცელმანმა თავსახური მოხსნა. კოლოფში რვეული და ცარიელი ბილეთების წიგნაკი ეწყო.

– შენს სახელზე რამდენი გამოვწერო?

– რამდენი რა?

– ბილეთი. ჯაბახანა დღეს დადგება ყინულზე, ბილეთების გაყიდვა უკვე დავიწყეთ. თითო ბილეთი ათი დოლარი ღირს, ხუთს ერთად ორმოცად მოგცემ, ათს – სამოცდათხუთმეტად. ერთი ბილეთით ხუთ წუთს ყიდულობ. რასაკვირველია, ვერ დაგპირდები, რომ მანქანა ზუსტად შენს ხუთ წუთში ჩაიძირება, მაგრამ ის, ვინც ყველაზე მიახლოებით გამოიცნობს დროს, ხუთას დოლარს მოიგებს. ხოლო თუ მანქანა მართლაც შენს ხუთ წუთში ჩაიძირება, ათას დოლარს მოიგებ. რაც უფრო ადრე ყიდულობ ბილეთს, მით უფრო დიდია დროის არჩევანი. საინფორმაციო ფურცელს გადახედავ?

– დიახ.

ჰინცელმანმა შედოუს ქსეროასლი მიაწოდა. ძველ მანქანას ძრავას და საწვავის ავზს აცლიდნენ და ზამთარში ყინულზე აყენებდნენ. გაზაფხულზე ყინული დნობას დაიწყებდა და, როცა ძალიან გათხელდებოდა, ჯაბახანის სიმძიმეს ვეღარ გაუძლებდა, ჩატყდებოდა და მანქანა ტბაში ჩაიძირებოდა. ჯაბახანის ტბაში ჩავარდნის უადრეს თარიღად 27 თებერვალი აღენუსხათ („ეს 1998 წლის ზამთარში მოხდა, თუ იმას ზამთარი შეიძლება ეწოდოს“.), უგვიანესად – 1 მაისი („1950 წლის. მაშინ გვეგონა, ზამთარი არასდროს დამთავრდებოდა, თუ ვინმე სარით გულს არ გაუპობდა“.).
სტატისტიკის მიხედვით, მანქანა ყველაზე ხშირად აპრილის დასაწყისში, შუადღით იძირებოდა ხოლმე.

აპრილის დასაწყისის შუადღეების ბილეთები აღარ დარჩენილიყო, ჰინცელმანს რვეულში ყველა დრო გადაეხაზა. შედოუმ 23 მარტის დილის ოცდახუთწუთიანი მონაკვეთი, 09:00 – 09:25 შეიძინა და ჰინცელმანს ორმოცი დოლარი მისცა.

– ნეტავ ამ ქალაქში ყველა შენსავით მონდომებით ყიდულობდეს ბილეთებს, – თქვა ჰინცელმანმა.

– ამით მადლობას გიხდი, პირველ ღამეს შინ მანქანით რომ მიმიყვანე, – უთხრა შედოუმ.

– არა, მაიკ, ამით ბავშვებს ეხმარები, – შეუსწორა ჰინცელმანმა და წუთით დასერიოზულდა, დანაოჭებული სახიდან ოხუნჯობის ყოველგვარი კვალი წაეშალა, – შუადღისას ჯაბახანა ყინულზე უნდა შევაგოროთ, გამოიარე, ხელი მოგვაშველე. ჰინცელმანმა შედოუს ხუთი ლურჯი ბარათი მიაწოდა, ხუთივეზე მისი ძველებური ხელწერით თარიღი ეწერა. მერე გაყიდული დროის ყოველი ხუთი წუთი რვეულში ჩაინიშნა.

– ჰინცელმან, არწივის ქვებზე თუ გსმენია? – ჰკითხა შედოუმ.

– რაინლენდერის ჩრდილოეთით რომაა? არა, ეგ იგლ-რივერია[174]. მაშინ, არა, არ მსმენია.

– ქუხილის ჩიტებზე?

– მე-5 ქუჩაზე იყო გალერეა „ქუხილის ჩიტები“, მაგრამ დაიხურა. სხვა რამ გაინტერესებს, ხომ?

– ჰო.

– მაშინ ბიბლიოთეკაში შევლას გირჩევ. იქ კარგი ხალხი მუშაობს. ახლა წიგნების გაყიდვის კვირეულია და ალბათ დიდად არ სცალიათ, მაგრამ უყურადღებოდ მაინც არ დაგტოვებენ. ხომ გიჩვენე, ბიბლიოთეკა სადაცაა?

შედოუმ ჰინცელმანს თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და დროებით დაემშვიდობა. ჩაჯდა თავის იისფერ „ტოიოტაში“ და ქალაქის მთავარ ქუჩას სამხრეთით გაუყვა, სანამ ტბის სამხრეთ ნაპირთან ციხე-კოშკის მსგავს შენობას არ მიადგა. სწორედ აქ იყო განთავსებული ბიბლიოთეკა. ჰოლში შევიდა. აბრაზე სარდაფისკენ მიმავალი გზა მიეთითებინათ და ზედვე ეწერა: ბიბლიოთეკის წიგნების გაყიდვის კვირეული. თავად ბიბლიოთეკა პირველ სართულზე მდებარეობდა. შედოუმ ჩექმებიდან თოვლი ჩამოიფერთხა და ბიბლიოთეკის კარი შეაღო.

უსიამოვნო გარეგნობის, წითელტუჩებგაბუსხულმა ქალმა პირდაპირ ჰკითხა, რით დაგეხმაროთო.

– მკითხველის ბარათი დამჭირდება, – უპასუხა შედოუმ, – ყველაფერი მაინტერესებს, რაც ქუხილის ჩიტებზეა ცნობილი.

ქალმა ფორმა შეავსებინა და აუწყა, ბარათს ერთ კვირაში გამოგიწერენო. ამდენი ხანი რა საჭიროა, მთელი ქვეყნის ბიბლიოთეკებში უნდა შეამოწმონ, გატანილი წიგნების დაუბრუნებლობაში ხომ არ ვარ ეჭვმიტანილიო?! – გაიკვირვა გულში შედოუმ.

ციხეში ერთი ტიპი ბიბლიოთეკის წიგნების მოპარვისთვის იჯდა.

– მკაცრი სასჯელია, – უთხრა მას შედოუმ, როცა გაიგო, რისთვის დააპატიმრეს.

– ნახევარი მილიონი დოლარის ღირებულების წიგნები იყო, – დააზუსტა ამაყად კაცმა. მას გარი მაკგუაირი ერქვა, – რარიტეტული, ძველი წიგნები ბიბლიოთეკებიდან და უნივერსიტეტებიდან. სათავსი ჭერამდე სავსე მქონდა წიგნებით. თავის მართლება არც კი მიცდია.

– რატომ იპარავდი? – ჰკითხა შედოუმ.

– ის წიგნები მინდოდა და იმიტომ, – უპასუხა გარიმ.

– ღმერთო, ნახევარი მილიონის ღირებულების წიგნები.

გარიმ თავმომწონედ გაიღიმა და ჩურჩულით დაამატა: – ეგ მხოლოდ ერთ სათავსში, მაგათ სან-კლემენტეს ავტოფარეხი არ აღმოუჩენიათ. იქაც კარგი წიგნები მაქვს გადანახული.

გარი ციხეში გარდაიცვალა. ერთ დღეს შეუძლოდ გახდა, მაგრამ ლაზარეთში უთხრეს, არაფერი გჭირს, თავს იკატუნებო, იმავე საღამოს კი ბრმა ნაწლავი გაუსკდა. და ახლა, ლეიკსაიდის ბიბლიოთეკაში მყოფმა შედოუმ სან-კლემენტეს გარაჟში გადანახული რარიტეტული, უცხო და ლამაზი წიგნები წარმოიდგინა; ალბათ ყუთებში ლპებოდა, ყვითლდებოდა და ობდებოდა და ამაოდ ელოდა ვინმეს, ვინც არასდროს მივიდოდა მათ გასათავისუფლებლად.

წიგნები აბორიგენ ამერიკელთა რწმენებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ ბიბლიოთეკის ერთ-ერთი კოშკურაში, ერთ თაროზე დაეტიათ. შედოუმ რამდენიმე წიგნი გადმოიღო და ფანჯარასთან დაიკავა ადგილი. რამდენიმე წუთში შეიტყო, რომ ქუხილის ჩიტები მთის მწვერვალებზე მობუდარ ვეებერთელა მითურ ფრინველებს ერქვა, რომლებიც ფრთების ქნევით ქუხილს იწვევდნენ და ციდან მეხს ისროდნენ. ამერიკელ აბორიგენთა ზოგიერთი ტომის რწმენით, სამყარო ქუხილის ჩიტებმა შექმნეს. კიდევ ნახევარი საათი კითხულობდა, მაგრამ მეტი ვეღარაფერი გაარკვია. არწივის ქვებს არც ერთი წიგნის საძიებელში არ ახსენებდნენ.

ბოლო წიგნს დებდა თაროზე, როცა ვიღაცის დაჟინებული მზერა იგრძნო. მძიმე თაროებს ამოფარებული ბიჭუნა სერიოზული გამომეტყველებით უთვალთვალებდა. შედოუ მიტრიალდა თუ არა, მისი სახე გაუჩინარდა. შედოუმ ბიჭს ზურგი შეაქცია, მაგრამ რამდენიმე წამში ისევ მიტრიალდა და ბიჭი გამოიჭირა.

ჯიბიდან თავისუფლების ქანდაკების გამოსახულებიანი დოლარი ამოიღო და მარჯვენა ხელით ისე დაიკავა, რომ ბიჭს კარგად დაენახა. მონეტა თითებით მალულად გადაიტანა მარცხენა ხელის ზურგზე, ორივე ხელისგული უჩვენა, ცარიელი მაქვსო, მერე მარცხენა მუჭი პირთან მიიტანა და ჩაახველა, ხოლო მონეტა მარცხენა ხელიდან ისევ მარჯვენაში ჩაიგდო.

ბიჭუნა თვალებდაჭყეტილი უყურებდა. მერე სადღაც გაიქცა და უკან ორიოდე წუთში დაბრუნდა მარგარიტ ოლსენთან ერთად. მოღუშულმა ქალმა ეჭვით შეხედა შედოუს.

– გამარჯობა, მისტერ აინსელ. ლეონმა მითხრა, რომ ფოკუსი უჩვენეთ.

– მხოლოდ ვჟონგლიორობდი, მემ.

– გთხოვთ, ამას ნუღარ იზამთ.

– მაპატიეთ, ბიჭის გართობას ვცდილობდი.

ქალმა დაძაბულად გაიქნია თავი და ამ ჟესტით ანიშნა, მორჩითო. შედოუმაც აღარ გააგრძელა.

– კარგი რჩევა რომ მომეცით, მადლობა ჯერ არ გადამიხდია. ჩემს ბინაში ახლა ისე თბილა, როგორც სათბურში.

– მშვენიერია, – მარგარიტ ოლსენს მაინც ყინულივით ცივი კილო ჰქონდა.

– კარგი ბიბლიოთეკაა, – აღნიშნა შედოუმ.

– ლამაზი შენობაა. მაგრამ ქალაქს ნაკლებად ლამაზი და მეტად პრაქტიკული ნაგებობა სჭირდება. ქვემოთ წიგნების ყიდვას აპირებთ?

– არა.

– გირჩევდით. ეს კარგი საქმისთვის კეთდება. შემოსული ფულით ახალ წიგნებს იყიდიან, თაროებზე ადგილი გათავისუფლდება და საბავშვო განყოფილებაში კომპიუტერებს დადგამენ. თუმცა, რაც უფრო მალე ავაშენებთ ახალ ბიბლიოთეკას, მით უკეთესი.

– მაშინ აუცილებლად ჩავალ.

– ჩასასვლელი ჰოლიდანაა. გამიხარდა, რომ შეგხვდით, მისტერ აინსელ.

– მაიკი მიწოდეთ, – უთხრა შედოუმ.

ქალს აღარაფერი უთქვამს, ლეონს ხელი მოჰკიდა და საბავშვო განყოფილებისკენ წაიყვანა.

– მაგრამ, დე, – გაიგონა შედოუმ ლეონის ნათქვამი, – ეს ჟანგიგლორობა არ ყოფილა. დავინახე, როგორ გაქრა და მერე ცხვირიდან გადმოუვარდა. დავინახე.

შედოუს კედლიდან აბრაამ ლინკოლნის ზეთის საღებავით შესრულებული პორტრეტი დაჰყურებდა. მარმარილოს და მუხისსაფეხურებიანი კიბით ჩავიდა სარდაფში, კარი შეაღო და მაგიდებით სავსე დიდ ოთახში აღმოჩნდა. მაგიდებზე უწესრიგოდ და განურჩევლად ეწყო ყველანაირი ჟანრისა და სახის წიგნი: რბილყდიანები და მაგარყდიანები, მხატვრული და დოკუმენტური პროზა, პერიოდიკა და ენციკლოპედიები გვერდიგვერდ, ერთმანეთზე დაეხვავებინათ.

შედოუ ოთახის ბოლოში მდგარ მაგიდასთან გაჩერდა. აქ ძველი, ტყავისყდიანი წიგნები ეწყო. წიგნის ყუებზე თეთრად დაეწერათ ბიბლიოთეკის კატალოგის ნომერი.

– თქვენ პირველი ხართ, ვინც ამ კუთხესთან მოვიდა, – უთხრა შედოუს ცარიელი ყუთებისა და ტომრების გვერდით, ღია ლითონის სალაროსთან მჯდარმა კაცმა, – ხალხი ძირითადად თრილერებს, საბავშვო წიგნებსა და ქალურ რომანებს ყიდულობს. ჯენი კერტონს, დენიელა სტილს და ა. შ., – კაცი აგათა კრისტის „როჯერ ეკროიდის მკვლელობას“ კითხულობდა, – ამ მაგიდაზე რაც აწყვია, თითო ორმოცდაათი ცენტი ღირს, სამს ერთად დოლარად მოგცემთ.

შედოუმ მადლობა გადაუხადა და წიგნების თვალიერება განაგრძო. ჰეროდოტეს ყავისფერტყავგადაკრული, გაცრეცილყდიანი „ისტორიები“ იპოვა და ციხეში დატოვებული რბილყდიანი ეგზემპლარი გაახსენდა. ერთ წიგნს „გასაოცარი საშინაო ფოკუსები“ ერქვა, იფიქრა, აქ მონეტების ფოკუსები იქნებაო და იმასაც მაშინვე ხელი დაავლო. წიგნებიანად სალაროსთან მჯდარ კაცთან მივიდა.

– მესამეც შეარჩიეთ, მაინც დოლარის გადახდა მოგიწევთ, – ურჩია კაცმა, – თანაც, კიდევ ერთი წიგნის ყიდვით დიდ სამსახურს გაგვიწევთ, თაროებზე ადგილები აღარ გვყოფნის.

შედოუ ისევ ტყავისყდიან წიგნებთან დაბრუნდა. ისეთი წიგნის ყიდვა გადაწყვიტა, რომელსაც, მისი აზრით, სხვა არ იყიდდა. ორ წიგნს შორის არჩევანის გაკეთება გაუჭირდა. ერთს „საშარდე გზების გავრცელებული დაავადებები: ექიმის მიერ დასურათებული“ ერქვა, მეორეს – „ლეიკსაიდის ქალაქის საბჭოს ოქმების წიგნი 18721884“. სამედიცინო წიგნის ილუსტრაციებს თვალი გადაავლო და დაასკვნა, ამ ქალაქში უთუოდ იქნება ისეთი ბიჭი, ვისაც ამ წიგნით მეგობრების დაფრთხობა მოუნდებაო და „ოქმები“ აიღო. კართან მჯდარმა კაცმა დოლარი გამოართვა და წიგნები „დეივის დელიკატესების“ ლოგოიან ყავისფერ ქაღალდის პარკში ჩაუდო.

შედოუ ბიბლიოთეკიდან გამოვიდა. აქედან ტბის ხედს არაფერი ფარავდა, მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაპირიც მოჩანდა. თავის სახლიც კი დაინახა ხიდს მიღმა, ტბის პირას; პატარა ყავისფერ ყუთს ჰგავდა. ხიდთან ოთხი თუ ხუთი ადამიანი მუქ მწვანე მანქანას აწვებოდა და გაყინული, თეთრი ტბის შუაგულისკენ მიაგორებდა.

– ოცდასამი მარტი, – ჩურჩულით უთხრა შედოუმ ტბას, – დილის ცხრიდან ათის ოცდახუთ წუთამდე. ნეტავ ტბამ ან ჯაბანახამ მისი ნათქვამი თუ გაიგეს, ან თუ გაიგეს, თუ შეისმენენ?

სახეში სუსხიანი ქარი დაეძგერა.

შინ რომ დაბრუნდა, სახლის წინ პოლიციის ოფიცერი ჩედ მალიგანი უცდიდა. შედოუს პოლიციის მანქანის დანახვაზე გული აუფანცქალდა, მაგრამ მალევე დამშვიდდა, რადგან პოლიციელი წინა სავარძელზე საბუთებში იქექებოდა.

მანქანასთან მივიდა ქაღალდის პარკიანად.

ჩედ მალიგანმა ფანჯრის მინა ჩასწია.

– წიგნები იყიდეთ? – ჰკითხა შედოუს.

– დიახ.

– ორი თუ სამი წლის წინ მანდ რობერტ ლედლემის[175] წიგნებით სავსე ყუთი ვიყიდე და რა ხანია, წაკითხვას ვაპირებ. ჩემს ბიძაშვილს ამ კაცზე აბოდებს. ოდესმე უკაცრიელ კუნძულზე თუ გავირიყები რობერტ ლედლემის წიგნებიანად, თორემ ისე, წასაკითხად როდის მოვიცლი, კაცმა არ იცის.

– ჩემი დახმარება ხომ არ გჭირდებათ, უფროსო?

– არა, მეგობარო. მხოლოდ დაგხედეთ, ხომ კარგად მოეწყვეთ. ის ჩინური გამოთქმა თუ გსმენიათ, კაცს სიკვდილისგან თუ იხსნი, მის ბედზე სამუდამოდ პასუხისმგებელი ხარო? იმას არ ვამბობ, რომ წინა კვირას სიკვდილისგან გიხსენით, მაგრამ მაინც გამოგიარეთ. განთერების იისფერმობილი როგორ მოგწონთ?

– კმაყოფილი ვარ, – უპასუხა შედოუმ, – მშვენივრად დადის.

– მიხარია.

– ბიბლიოთეკაში ჩემს კარის მეზობელს შევხვდი, – თქვა შედოუმ, – მისის ოლსენს. ნეტავ...

– რა ბზიკმა უკბინა?

– დიახ, ასეც შეიძლება ითქვას.

– გრძელი ამბავია. ცოტა გავიაროთ, გზაში მოგიყვებით.

– კარგი, – წამით დაფიქრების შემდეგ უპასუხა შედოუმ და წინ, მგზავრის სავარძელში ჩაჯდა. ჩედ მალიგანმა ქალაქის ჩრდილოეთი ბოლოსკენ გასწია, ციმციმა გამორთო და ქალაქგარეთ, გზისპირას გააჩერა მანქანა.

– დარენ ოლსენმა მარგარიტი სტივენს-პოინტში, ვისკონსინის უნივერსიტეტში გაიცნო და ლეიკსაიდში ჩამოიყვანა. მარგარიტი ჟურნალისტის სპეციალობას ეუფლებოდა, დარენი სასტუმროების მართვას თუ რაღაც ეგეთ სისულელეს სწავლობდა. აქ რომ ჩამოვიდნენ, ყველამ პირი დავაღეთ. ეს ცამეტი-თოთხმეტი წლის წინ მოხდა. მარგარიტი ისეთი ლამაზი იყო... ისეთი შავი თმა ჰქონდა... – მალიგანი შეყოვნდა, – დარენი აქედან ოცდაათი კილომეტრის დაშორებით, კამდენში, მოტელ „ამერიკაში“ მუშაობდა. ოღონდ „ამერიკაში“ თითქმის არასდროს არავინ ჩერდებოდა და, ბოლოს და ბოლოს, დაიხურა. მაშინ უკვე ორი ბიჭი ჰყავდათ. სენდი თერთმეტი წლის იყო, პატარა ლეონი კი – ჯერაც თოთო.

დარენ ოლსენი მამაცი სულაც არ ყოფილა. კოლეჯში კი კარგად თამაშობდა ფეხბურთს, მაგრამ მას შემდეგ აღარსად გაუბრწყინია. მოკლედ, ვერ გაბედა, მარგარიტისთვის ეთქვა, უსამსახუროდ დავრჩიო. ერთი თუ ორი თვე დილაადრიან შინიდან გადიოდა და გვიან საღამოს ბრუნდებოდა წუწუნით, მოტელში მძიმე დღე მქონდაო.

– მთელი დღე რას აკეთებდა? – დაინტერესდა შედოუ.

– ზუსტად ვერ გეტყვით. აირონვუდში ან შეიძლება, გრინ-ბეიში მიდიოდა. თავიდან ალბათ სამსახურს ეძებდა, მაგრამ მერე სმა დაიწყო, სავარაუდოდ, მეძავებთანაც ეძებდა წამიერ სიამოვნებას და აზარტულ თამაშებსაც თამაშობდა. ზუსტად ის ვიცი, რომ ბანკის საერთო ანგარიში ათიოდე კვირაში დააცარიელა. სამუდამოდ ეს ვერ დაიმალებოდა და ერთხელაც მარგარიტმაც შეიტყო!

უეცრად ჩედ მალიგანმა მანქანა დაძრა, ციმციმა და სირენა ჩართო და შიშით ლამის გული გაუხეთქა ტანმორჩილ აიოველ მძღოლს, რომელიც დაღმართზე 110 კმ/სთ-ის სიჩქარით დაეშვა.

მალიგანმა მოძრაობის წესების დამრღვევი აიოველი დააჯარიმა და ისევ მანქანაში ჩაჯდა.

– სად გავჩერდი? აჰ, ჰო. მარგარიტმა დარენი სახლიდან გააპანღურა და განქორწინება მოითხოვა. შვილების მეურვეობის უფლების მოსაპოვებლად სასამართლოში სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ასე წერენ ხოლმე ჟურნალ „ფიფლში“ მსგავს რამეებზე. „სასტიკი ბრძოლა სასამართლოში“ – მე კიდევ ამის გაგონებაზე დანებით,

ხელკეტებითა და პისტოლეტებით შეიარაღებული ადვოკატები მიდგება თვალწინ. ბავშვები მარგარიტთან დარჩნენ, დარენმა მათი მონახულების უფლება მიიღო და მეტი თითქმის არაფერი. მაშინ ლეონი ძალიან პატარა იყო, სენდი – მასზე უფროსი, მამას აღმერთებდა. მარგარიტს მასზე ერთ ცუდ სიტყვას არ ათქმევინებდა. ოლსენებმა, დენიელს როუდზე რომ ლამაზი სახლი ჰქონდათ, დაკარგეს. მარგარიტი შვილებიანად იმ ბინაში დასახლდა. დარენი ლეიკსაიდიდან წავიდა, მაგრამ რამდენიმე თვეში ერთხელ ბრუნდებოდა და ყველას აწუხებდა.

რამდენიმეწელს გრძელდებოდა ასე. დარენი მოვიდოდა, შვილებს ფულს დაახარჯავდა და ისევ წავიდოდა, მარგარიტს კი ატირებულს ტოვებდა. ბოლოს მთელი ქალაქი იმას ვნატრობდით, ნეტავ აღარასდროს დაბრუნდესო. დარენის მშობლები პენსიაზე გასვლის შემდეგ ფლორიდაში გადასახლდნენ, აქაურ ზამთარს ვეღარ უძლებდნენ. ჰოდა, შარშან დარენი ისევ გამოცხადდა და საშობაოდ ბავშვების ფლორიდაში წაყვანა მოინდომა. მარგარიტმა კატეგორიულად იუარა და ყოფილ ქმარს მიახალა, აქედან დაიკარგეო. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ ოჯახური კონფლიქტის მოსაგვარებლად გამომიძახეს. იქ რომ მივედი, დარენი ეზოში იდგა და იგინებოდა, ბავშვები შიშისგან ცახცახებდნენ, მარგარიტი კი ტიროდა.

დარენი გავაფრთხილე, ღამის იზოლატორში გატარება მოგიწევს-მეთქი. წუთით ვიფიქრე, რომ დამარტყამდა, მაგრამ ჭკუა ეყო და თავი შეიკავა – როგორც ჩანს, ძალიან მთვრალიც არ იყო. მანქანაში ჩავისვი და ქალაქის სამხრეთით, საცხოვრებელი ტრაილერების სადგომზე წავიყვანე. გამოფხიზლება და თავის საქციელზე დაფიქრება ვურჩიე... ვუთხარი, მარგარიტისთვის აღარ ევნო. მეორე დღეს დარენი ქალაქიდან წავიდა.

ორი კვირის შემდეგ სენდი გაუჩინარდა. იმ დღეს სკოლის ავტობუსში არ ასულა. წინა დღეს მეგობრისთვის უთქვამს, მალე მამას შევხვდები, საშობაოდ ფლორიდაში ვერ წაგვიყვანა, მაგრამ სამაგიეროდ ახლა ძალიან მაგარ საჩუქარს ჩამომიტანსო. მას შემდეგ ბიჭი არავის უნახავს. ბავშვი, რომელსაც მეურვეობის უფლებაწართმეული მშობელი იტაცებს, ძნელი მოსაძებნია. მით უმეტეს, თუ ამ ბავშვს არ უნდა, რომ იპოვონ. მიხვდით?

დიახო, უპასუხა შედოუმ. იმასაც მიხვდა, რომ ჩედ მალიგანს მარგარიტ ოლსენი უყვარდა. ნეტავ თვითონ თუ ხვდება, ეს რა თვალშისაცემიაო, გაიფიქრა გულში.

მალიგანმა კიდევ ერთხელ ჩართო ციმციმა და სირენები და ამჯერად 90 კმ/სთ-ის სიჩქარით მოძრავი მოზარდები გააჩერა. ისინი არ დაუჯარიმებია, მხოლოდ „ღვთის შიში ჩაუნერგა გულებში“.

იმ საღამოს შედოუ სამზარეულოში მაგიდასთან იჯდა და ვერცხლის ერთდოლარიანის ერთცენტიანად გადაქცევას ცდილობდა. ამ ფოკუსის შესახებ „გასაოცარ საშინაო ფოკუსებში“ ამოიკითხა, მაგრამ მითითებები საშინლად ბუნდოვანი იყო და არაფერში შველოდა. მაგალითად, ლამის ყოველ მეორე წინადადებაში ხვდებოდა ფრაზა „შემდეგ ერთცენტიანი ჩვეულებრივი ხერხით დამალეთ“. ნეტავ ამ შემთხვევაში „ჩვეულებრივი ხერხი“ რას ნიშნავსო, თავს

იმტვრევდა შედოუ. მონეტა ხელიდან ხელში უნდა გადაეტანა? სახელოში შეემალა? „ღმერთო, ფრთხილად, ლომი!“ დაეყვირა, მაყურებლისთვის ყურადღება გაეფანტა და ამასობაში მონეტა გვერდითა ჯიბეში ჩაეგდო?

ერთდოლარიანი ჰაერში ააგდო, დაიჭირა, გაიხსენა მთვარე და ქალი, რომელმაც ეს მონეტა მისცა და კვლავ სცადა ფოკუსის გაკეთება. მაინც არ გამოუვიდა. სააბაზანოში შევიდა და სარკის წინ გაიმეორა მითითებები. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ წიგნის მითითებების მიხედვით ამ ფოკუსს ვერ გააკეთებდა. ამოიოხრა, მონეტები ჯიბეში ჩაიყარა და დივანზე დაჯდა. მუხლებზე იაფფასიანი პლედი გადაიფარა და „ლეიკსაიდის ქალაქის საბჭოს ოქმების წიგნი 1872-1884“ გადაშალა. ორ სვეტად ჩამოწერილი ტექსტის შრიფტი იმდენად წვრილი იყო, ძლივს იკითხებოდა და იმ დროის ფოტოების რეპროდუქციების თვალიერება დაიწყო. ლეიკსაიდის ქალაქის საბჭოს მრავალი თაობის ბაკენბარდებიან, ჩიბუხიან, გაცვეთილ და პრიალაქუდიან წევრებს შორის უჩვეულოდ ნაცნობი სახეებიც აღმოაჩინა. სულაც არ გაჰკვირვებია, რომ 1882 წლის ქალაქის საბჭოს ჩასკვნილ მდივანს პატრიკ მალიგანი ერქვა: წვერგაპარსულსა და ათიოდე კილოთი გამხდარს, თავისი შვილთაშვილისა თუ შვილთაშვილისშვილისგან, ჩედ მალიგანისგან ვერ გაარჩევდით. შედოუმ ფოტოებზე ჰინცელმანის ახალმოშენე პაპაც ეძება, მაგრამ ვერსად იპოვა. ის ალბათ ქალაქის საბჭოს წევრი არ ყოფილა. სამაგიეროდ, გვერდების სწრაფად ფურცვლისას მოეჩვენა, რომ ტექსტში ჰინცელმანის გვარს მოჰკრა თვალი. სამწუხაროდ, იმ გვერდზე შეყოვნება ვერ მოასწრო, შრიფტი კი თვალს ისე სტკენდა, ძებნა აღარ უცდია.

წიგნი მკერდზე დაიდო და უცებ მიხვდა, რომ თავს აკანტურებდა. რა სისულელეა, დივანზე რატომ უნდა დავიძინო, როცა საძინებელი აქვეა, სულ რამდენიმე ნაბიჯის მოშორებითო, გაიფიქრა. მეორე მხრივ, საძინებელი და საწოლი ხუთი წუთის შემდეგაც აქვე იქნება, არსად წავა, თანაც დაძინებას ხომ არ აპირებს, მხოლოდ თვალებს დახუჭავს წუთით...

წყვდიადი ღრიალებდა.

ველზე იდგა, იმ ადგილის გვერდით, საიდანაც ოდესღაც ამოძვრა, როცა მიწამ თავისი წიაღიდან გამოდევნა. ციდან კვლავაც ვარსკვლავები ცვიოდა და ყოველი ვარსკვლავი მიწასთან შეხებისას კაცად ან ქალად გარდაიქმნებოდა. კაცებს გრძელი შავი თმა და მაღალი ღაწვები ჰქონდათ, ქალები კი ყველანი მარგარიტ ოლსენს ჰგავდნენ. ესენი ვარსკვლავების ხალხი იყო. შავი თვალებით გოროზად დახედეს შედოუს.

– ქუხილის ჩიტების შესახებ გკითხავთ, – უთხრა მათ შედოუმ, – ჩემთვის კი არ მინდა. ჩემს ცოლს მინდა ვუშველო.

ვარსკვლავის ხალხმა ერთიმეორის მიყოლებით შეაქცია შედოუს ზურგი და როგორც კი პირი იბრუნეს, თვითონაც გაუჩინარდნენ, პეიზაჟს შეერივნენ. მაგრამ უკანასკნელმა მათგანმა, მუქ თმაში თეთრგარეულმა ქალმა, ღვინისფერი ცისკენ აიშვირა თითი და უთხრა: – თავად მათ ჰკითხე!

ამ დროს ზაფხულის ელვა გაიკლაკნა ცაში და წამით გარემო კიდით-კიდემდე განათდა.

შედოუმ ოდნავ მოშორებით კლდეები დაინახა, ქვიშაქვის მწვერვალები და ქიმები. უახლოეს მათგანზე აცოცებას შეუდგა. კლდის ქიმი ძველი სპილოსძვლისფერი იყო. ხელმოსაჭიდს მიაგნო და მაგრად ჩაავლო თითები. იგრძნო, რომ ხელისგული გაესერა. „ეს ძვალია, – გაიფიქრა შედოუმ, – ქვა კი არა, ძველი, გამომშრალი ძვალია“.

მაგრამ შედოუ სიზმარს ხედავდა, სიზმარში კი, ხანდახან, არჩევანი არ გაქვს: ვერაფერს შეცვლი, ყველაფერი წინასწარ გადაწყვეტილი და დადგენილია. შედოუმ აცოცება განაგრძო. ხელები სტკიოდა. ფეხებს ძვლებს ადგამდა, ტეხდა და ფშვნიდა, შიშველი ფეხისგულები გაეჭრა და ეწვოდა. ქარი ექაჩებოდა, მაგრამ შედოუ ქიმს მაგრად მიჰკვროდა.

თანდათანდარწმუნდა, რომ კლდე ერთნაირი ძვლებისგან შედგებოდა, ყველა გამომშრალი და ბურთისებრი იყო. თავიდან იფიქრა, რომელიღაც საზარელი ფრინველის ყვითელი კვერცხები ან ნაჭუჭებიაო, მაგრამ ამასობაში კიდევ ერთხელ გაიელვა და გაარჩია, რომ ძვლებს თვალბუდეები და კბილები ჰქონდათ და ცივად იღრიჭებოდნენ.

სადღაც ფრინველები გაჰკიოდნენ.

შედოუს სახე წვიმამ დაუსველა. მიწიდან ორმოცდაათი მეტრის სიმაღლეზე, თავის ქალებით აგებული კოშკის კედელზე ეკიდა.

კლდის თავზე მოტრიალე ბუნდოვანი, აჩრდილისებრი ფრინველების ფრთებიდან მეხი ცვიოდა. ვეებერთელა, შავი, კონდორის მსგავსი საძაგელი, კისერზე რგოლად შემოვლებული თეთრი ბუმბულის საყელოიანი ფრინველები დინჯად და გრაციოზულად კრავდნენ კამარას, მათი ფრთების ქნევა კი ქუხილად ისმოდა ღამეში.

„მათი ფრთების შლილის სიგრძე 5-6 მეტრი იქნება“, – გაიფიქრა შედოუმ.

უცებ პირველი ფრინველი დაეშვა მისკენ ფრთების ქნევითა და ლურჯი ნაპერწკლების ყრით. შედოუ თავის ქალების კედლის ნაპრალში შეიმალა. ყველა მხრიდან ცარიელი თვალბუდეები უყურებდნენ და გაყვითლებული კბილები იღრიჭებოდნენ, მაგრამ შედოუ მაინც არ გაჩერდა, ზემოთ ადიოდა, ბასრი შვერილები კანში ერჭობოდა, ზიზღისა და შიშისგან ცახცახებდა. კიდევ ერთი ფრინველი დაეშვა მისკენ და ხელისმტევნისხელა კლანჭი მკლავში ჩაასო.

შედოუმ ხელი გაიშვირა, რომ ფრინველის ფრთიდან ერთი ბუმბული გამოეგლიჯა. შინ ქუხილის ჩიტის ბუმბულის გარეშე თუ დაბრუნდებოდა, თანატომელები დასცინებდნენ, კაცად აღარ მიიჩნევდნენ. მაგრამ ქუხილის ჩიტი ისევ ზემოთ აიჭრა და შედოუ ვეღარ მისწვდა. ცოცვა განაგრძო.

„ათასობით თავის ქალა იქნება, – გაიფიქრა შედოუმ, – ასობით ათასი. თანაც, არა მხოლოდ ადამიანისა“.

როგორც იქნა, ძვლების მთის მწვერვალზე დადგა ფეხი. მის თავზემოთ ქუხილის ჩიტები ნელა ტრიალებდნენ, ქარის დაქროლებას ფრთების თითქმის შეუმჩნეველი შეტოკებით უმკლავდებოდნენ.

ქარში ხმა გაისმა, ბიზონისთავიანი კაცის ხმა, შედოუს ეუბნებოდა, ვისი იყო ეს თავის ქალები...

კოშკი შეირყა და ფრინველთაგან უდიდესი, გაკლაკნილ ელვასავით ლურჯად თვალებმოელვარე, მეხივით დაეშვა მისკენ. შედოუმ წონასწორობა დაკარგა, წაიქცა და თავის ქალებთან ერთად ჩავარდა ძირს...

ტელეფონი აწკრიალდა. შედოუმ არც კი იცოდა, რომ ტელეფონი ჩართული იყო. ნამძინარევმა აიღო ყურმილი.

– გააფრინე? – გაჯავრებული უენზდეის ყვირილი პირველად გაიგონა, – შენი აზრით, რა ჯანდაბას აკეთებ?

– მეძინა, – სულელივით ჩაილაპარაკა ყურმილში შედოუმ.

– რა აზრი აქვს შენს ლეიკსაიდში გადამალვას, თუ ისეთ აურზაურს ატეხ, მკვდარიც წამოდგეს საფლავიდან?

– ქუხილის ჩიტები დამესიზმრა... – უთხრა შედოუმ, – და კიდევ კოშკი. თავის ქალების, – რატომღაც მნიშვნელოვნად მოეჩვენა ნანახი სიზმრის მოყოლა.

– ვიცი, რაც გესიზმრებოდა. ყველამ მშვენივრად იცის, რაც გესიზმრება. ღმერთო დიდებულო. ტყუილად რატომ გმალავ მანდ, თუ მაინც ყველას ყურადღების მიქცევას აპირებ? შედოუმ ვერაფერი უპასუხა. ყურმილშიც სიჩუმე ჩამოვარდა.

– დილით მანდ ვიქნები, – თქვა ხანმოკლე პაუზის შემდეგ უენზდეიმ. მის ხმაში სიბრაზე აღარ იგრძნობოდა, – სან-ფრანცისკოში მივდივართ. თმაში ყვავილების ჩაწვნა აუცილებელი არ არის[176], – ამით კავშირი გაწყდა.

შედოუმ ტელეფონი იატაკზე დადო და წელგაშეშებული, გაჭირვებით წამოჯდა. დილის ექვსი საათი იყო. გარეთ ჯერ ისევ ღამესავით ბნელოდა. აცახცახებული ადგა დივნიდან. გაყინული ტბიდან ქარის კივილი აღწევდა. ისმოდა ტირილიც, ოღონდ უფრო ახლოდან, ერთი კედლის იქიდან. ეს უთუოდ მარგარიტ ოლსენი ქვითინებდა ჩუმად და გულისმომკვლელად.

შედოუ სააბაზანოში შევიდა და მოფსა. მერე საძინებელში შევიდა და კარი მიხურა, რომ ქალის ტირილი აღარ გაეგონა. გარეთ ქარი ისე დაძრწოდა და მოთქვამდა, თითქოს ისიც დაკარგულ შვილს ეძებდა.

სან-ფრანცისკოში იანვრისთვის შეუფერებლად თბილოდა; იმდენად თბილოდა, რომ შედოუს კისერი ოფლით დაეცვარა. უენზდეის მუქი ლურჯი კოსტიუმი ეცვა და ოქროსჩარჩოიანი სათვალე ეკეთა, შოუ-ბიზნესში მომუშავე ადვოკატს ჰგავდა.

ჰეიტ-სტრიტზე მიაბიჯებდნენ. მაწანწალები, მეძავები და მათხოვრები მხოლოდ თვალს აყოლებდნენ, არავინ იშვერდა ხურდის ჩასაყრელ ჭიქებს, არავინ არაფერს სთხოვდა მათ.

უენზდეის კრიჭა ჰქონდა შეკრული. შედოუ უენზდეის დანახვისთანავე მიხვდა, რომ ბერიკაცი მასზე ისევ ბრაზობდა და არაფერი უკითხავს, როცა შავი „ლინკოლნი“ იმ დილით სახლის წინ გაჩერდა. აეროპორტამდეც ხმის ამოუღებლად იმგზავრეს. შედოუმ შვებით ამოისუნთქა, თვითმფრინავში უენზდეიმ პირველი კლასის სალონში რომ დაიკავა ადგილი, თვითონ კი მეორე კლასისაში მოათავსეს.

ნაშუადღევი იწურებოდა. შედოუს, რომელიც სან-ფრანცისკოში ბავშვობის შემდეგ არ ყოფილიყო და იქაურობა მხოლოდ ფილმებში ენახა, ქალაქი მაინც საოცრად ნაცნობი ეჩვენა. ძლიერ მოეწონა ფერადოვანი და უნიკალური ხის სახლები, აღფრთოვანებული უყურებდა დამრეც ბორცვებს, მოხიბლა სან-ფრანცისკოს სრულიად თავისებურმა, სხვა არც ერთი ქალაქის მსგავსმა იერმა.

– თითქმისდაუჯერებელია, რომ აქაურობაც და ლეიკსაიდიც ერთ ქვეყანაში მდებარეობს, – თქვა მან.

უენზდეიმ შეუბღვირა. შემდეგ უთხრა: – სულაც არ არის დაუჯერებელი. სანფრანცისკო და ლეიკსაიდი ზუსტად ისევე არ მდებარეობს ერთ ქვეყანაში, როგორც ნიუ-ორლეანი და ნიუ-იორკი, ან მაიამი და მინეაპოლისი.

– მართლა? – ჩუმად ჩაილაპარაკა შედოუმ.

– დიახ. შეიძლება ზოგიერთი კულტურული მახასიათებელი ერთნაირი ჰქონდეთ – ფული, ფედერალური მთავრობა, შოუ-ბიზნესი, მიწა, რომელიც, ცხადია, საერთოა – მაგრამ მთავარი, რაც სინამდვილეში ქვეყნის ერთიანობის ილუზიას გვიჩენს, მწვანე დოლარები, „ღამის შოუ“ და „მაკდონალდსია“, – გზის ბოლოს მდებარე პარკს უახლოვდებოდნენ, – ერთ ქალს უნდა ვესტუმროთ. მასთან თავაზიანად მოიქეცი, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეს.

– გასაგებია, – უთხრა შედოუმ.

ბალახზე დადგეს ფეხი.

მათ მწვანედ, ნარინჯისფრად და ვარდისფრად თმაშეღებილი გოგო ადევნებდა თვალს. თოთხმეტი წლისა იქნებოდა, მეტის არა. გვერდით ეჯდა ქუჩის ძაღლს, რომელსაც საყელურისა და საბელის ნაცვლად ბაწარი ჰქონდა შებმული. გოგო ძაღლზე უფრო დამშეულად იყურებოდა. ძაღლმა შედოუსა და უენზდეის დაუყეფა და კუდი გააქიცინა.

შედოუმ გოგოს ერთდოლარიანი მისცა. გოგომ ეჭვით დახედა, თითქოს არ იცოდა, ხელში რა ეჭირა.

– ძაღლს საჭმელი უყიდე, – ურჩია შედოუმ. გოგომ თავი დაუქნია და გაიღიმა.

– პირდაპირ გეტყვი, – უთხრა შედოუს უენზდეიმ, – იმ ქალბატონთან სიფრთხილე გმართებს. შეიძლება თვალში მოუხვიდე, რაც ძალიან ცუდი იქნება.

– შენი საყვარელია ან რამე?

– ამქვეყნად ყველა ჩინური პლასტმასის თოჯინის სანაცვლოდაც არ ვისურვებდი მაგას[177], – ლაღად უპასუხა უენზდეიმ.

ბერიკაცი აღარ ჯავრობდა, ანდა შეიძლება, ჯავრი სამომავლოდ გადაინახა. შედოუს აზრით, უენზდეის სწორედ ბრაზი ამუშავებდა.

მინდორზე, ხის ქვეშ, ქალი იჯდა. ძირს ქაღალდის სუფრა გაეშალა და ზედ პლასტმასის ჯამ-ჭურჭელი ეწყო.

ქალს მსუქანი სულაც არ ეთქმოდა; შედოუს მისი დანახვისთანავე „ტანსრული“ მოადგა ენაზე. ქერა, თითქმის თეთრთმიანი იყო, პლატინისფერი კულულებით დიდი ხნის წინ გარდაცვლილ რომელიღაც ახალგაზრდა კინოვარსკვლავს ჰგავდა, ტუჩებზე მუქი წითელი პომადა წაესვა, ვერ გაარკვევდი, ოცდახუთი წლისა იყო თუ ორმოცდაათისა.

მასთან რომ მივიდნენ, თეფშიდან ცხარედ შეკმაზულ კვერცხებს არჩევდა. უენზდეის მიახლოებაზე ქალმა თავი ასწია, არჩეული კვერცხი ისევ თეფშზე დადო და ხელი გაიწმინდა.

– გამარჯობა, ბებერო თაღლითო, – თქვა ღიმილით. უენზდეიმ თავი დაუკრა და

ხელზე ეამბორა.

– ღვთაებრივად გამოიყურები, – უთხრა ქალს.

– აბა, როგორ უნდა გამოვიყურებოდე? – სათნოდ გაიკვირვა ქალმა, – მოკლედ, ნამდვილი მატყუარა ხარ. ნიუ-ორლეანში წასვლით მწარედ შევცდი. თხუთმეტი კილო მაინც მოვიმატე იქ. გეფიცები. ბაჯბაჯი რომ დავიწყე, მივხვდი, უნდა წამოვსულიყავი. წარმოგიდგენია, სიარულისას ჩემი ბარძაყები ერთმანეთს ეხახუნება? – ბოლო შეკითხვით შედოუს მიმართა. შედოუ დაიბნა, არ იცოდა, რა ეპასუხა და წამოწითლდა. ქალმა მხიარულად გაიცინა, – გაწითლდა! უენზდეი, ჩემო კეთილო, ჩემთვის მორცხვი ბიჭი მოგიყვანია. რა კარგია. რა ჰქვია?

– შედოუ, – უენზდეის აშკარად სიამოვნებდა შედოუს უხერხულობა, – შედოუ, გაიცანი ისტერი[178].

შედოუმ გამარჯობის მაგვარი რამ ჩაიბურტყუნა და ქალმა ხელახლა გაუღიმა. შედოუ თავს ისე გრძნობდა, თითქოს უეცრად დამაბრმავებელი პროჟექტორი მიანათეს, როგორც ბრაკონიერებს სჩვევიათ ხოლმე მიზანში ამოღებული ირმის გასაშეშებლად და დასაბნევად. ქალის სუნამოს სუნს შორიდანაც კი გრძნობდა; ჟასმინისა და ცხრატყავას, ახალი რძისა და ქალის კანის ერთმანეთში არეული ტკბილი სურნელი აბრუებდა.

– აბა, როგორ მიდის საქმეები? – ჰკითხა ქალს უენზდეიმ.

ქალი, ისტერი, მთელი ხმითა და ტანით ახარხარდა. აბა, ასეთი ვინმე როგორ არ უნდა მოეწონოს კაცს?

– ყველაფერი მშვენივრადაა, – თქვა მან, – შენ როგორ ხარ, ბებერო მგელო?

– მინდა შენი მხარდაჭერა მოვიპოვო.

– ტყუილად მომცდარხარ.

– სანამ უარს იტყოდე, მომისმინე მაინც.

– აზრი არ აქვს. თავს ნუ შეიწუხებ. ქალმა შედოუს შეხედა.

– გთხოვ, დაჯექი და რამე ჭამე. აი, თეფში, რაც და რამდენიც გინდა, გადაიღე, ნუ მოგერიდება. ყველაფერი გემრიელია. კვერცხები, შემწვარი ქათამი, კარით[179] შეკმაზული ქათამი, ქათმის სალათა, ეს ბოცვერია, ცივად თუ მიირთმევ, უგემრიელესია, იმ ჯამში მოშუშული კურდღლის ხორცია. იცი, რა, მოდი, მე თვითონ გადმოგიღებ.

ქალი მართლაც ასე მოიქცა, პლასტმასის თეფშზე საჭმელი დაახვავა და შედოუს მიაწოდა. მერე უენზდეის მიუტრიალდა.

– შენც შეჭამ? – ჰკითხა მას.

– შენს განკარგულებაში ვარ, ძვირფასო, – უპასუხა უენზდეიმ.

– ჩემს განკარგულებაში კი არა, მძღნერითა ხარ სავსე, – უთხრა მას ისტერმა, – მიკვირს, როგორ არ სკდები, – და ცარიელი თეფში მიაწოდა, – თავს თვითონ მოემსახურე. ნაშუადღევის მზე ქალის თმას პლატინისფერი შარავანდით მოსავდა.

– შედოუ, – თქვა ქალმა და ქათმის ბარკალს მადიანად ჩაასო კბილები, – რა კარგი სახელია. შედოუს რატომ გიწოდებენ? შედოუმ გამშრალი ტუჩები გაილოკა.

– ბავშვობაში, – თქვა მან, – მე და დედაჩემი ვცხოვრობდით... ჩვენ, ანუ ის, დედაჩემი, მდივნად მუშაობდა აშშ-ის საელჩოებში და ერთი ქალაქიდან მეორეში გადაჰყავდათ ჩრდილოეთ ევროპაში. მერე დედა ავად გახდა, ნაადრევ პენსიაზე გავიდა და ამერიკაში დავბრუნდით. სხვა ბავშვებისთვის რა მეთქვა, არ ვიცოდი, ჰოდა, მეც სულ უფროსებს დავდევდი უხმოდ კუდში. არ ვიცი, ალბათ მარტო ყოფნა არ მინდოდა. პატარა ვიყავი.

– ახლა უკვე დიდი ხარ, – შენიშნა ქალმა.

– კი, – დაეთანხმა შედოუ, – დიდი ვარ.

ისტერი უენზდეის მიუტრიალდა. ეს უკანასკნელი ჯამიდან კოვზით ხვრეპდა გაცივებულ გამბოს[180].

– ესაა ის ბიჭი, ყველა რომ ააღელვა?

– უკვე შეგიტყვია.

– ყურები დაცქვეტილი მაქვს, – თქვა ისტერმა. შემდეგ შედოუ გააფრთხილა: – მათ ნუ გადაეღობები. უამრავი საიდუმლო საზოგადოება არსებობს. არავინ იმათ არ უყვართ, არავის ისინი არ ერთგულობენ. კომერციული, დამოუკიდებელი, სამთავრობო ორგანიზაციები – ყველა ერთ ნავში ზის. ზოგი საერთოდ უვნებელია, ზოგი – უაღრესად საშიში. ეი, ბებერო მგელო, ერთ ახალ ხუმრობას გეტყვი, უეჭველად მოგეწონება. საიდან ვიცით, რომ კენედის მკვლელობაში „სი-აი-ეი“ არ არის გარეული?

– ეს ხუმრობა მსმენია, – უთხრა უენზდეიმ.

– სამწუხაროა, – ქალმა ისევ შედოუზე გადაიტანა ყურადღება, – მაგრამ ის აგენტები, შენ რომ შეხვდი, სულ სხვანაირები არიან. იმიტომ არსებობენ, რომ ყველამ იცის, ისინი უნდა არსებობდნენ, – ქალმა ქაღალდის ჭიქიდან თეთრი ღვინო ბოლომდე დალია და ადგა, – შედოუ კარგი სახელია. წამოდით, ახლა მოკაჩინო დავლიოთ.

– საჭმელს რა ვუყოთ? – ჰკითხა უენზდეიმ, – ასე ვერ დავტოვებთ.

ქალმა გაიღიმა და ძაღლის გვერდით მჯდარი გოგოსკენ გაიშვირა ხელი. მერე ორივე ხელი ისე გაშალა, თითქოს ჰეიტ-სტრიტისა და მთელი მსოფლიოს ჩახუტებას ცდილობსო.

– დაე, ისინი გააძღოს, – თქვა მან და დაიძრა. შედოუ და უენზდეი გაჰყვნენ.

– სხვათა შორის, – გადაულაპარაკა ქალმა უენზდეის, – მე მდიდარი ვარ. არაფერი მაკლია. რატომ უნდა დაგეხმარო?

– იმიტომ, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი ხარ, – უპასუხა უენზდეიმ, – შენც დაგივიწყეს, აღარავის ახსოვხარ და უყვარხარ. აშკარაა, ვის უნდა მიემხრო.

ქუჩის კუთხეში ყავის სახლს მიადგნენ და შიგნით შევიდნენ. კლიენტებს მხოლოდ ერთი მიმტანი ემსახურებოდა. დახლთანაც, ყავის აპარატთანაც, ერთი ქალი იდგა. მიმტანს წარბზე, კასტის ნიშანივით, რგოლი ეკეთა. მათთან მივიდა, ავტომატურად გაუღიმა, მაგიდასთან დასხა და შეკვეთა ჩაიწერა.

ისტერმა წვრილი ხელი უენზდეის ოთხკუთხა, ნაცრისფერ ხელზე დაადო.

– გეუბნები, – თქვა მან, – მშვენივრად ვარ. ჩემი სახელობის დღესასწაულებზე კვლავაც კვერცხებსა და კურდღლებს, ტკბილეულსა და ხორცს ჭამენ, ნიშნად ხელახლა შობისა და შეწყვილებისა. ქუდებზე ყვავილებს იმაგრებენ და ერთმანეთს ყვავილებს ჩუქნიან. ამას ჩემს სახელზე აკეთებენ. ასეთთა რიცხვი ყოველ წელს მატულობს. ჩემს სახელზე, ბებერო მგელო.

– მათი სიყვარული და თაყვანისცემაა, ასე რომ გასუქებს და გამდიდრებს? – ცივად ჰკითხა უენზდეიმ.

– ახლა შენებურად კბენას ნუ დაიწყებ, – ქალის ხმაში უეცრად დაღლილობა გამოერია. მოკაჩინო მოსვა.

– სერიოზულად გეკითხები, ძვირფასო. დიახ, გეთანხმები, მილიონობით ადამიანი ჩუქნის ერთმანეთს საჩუქარს შენს სახელზე და შენს დღესასწაულს ისევ აღნიშნავენ ძველი რიტუალებით, მათ შორის, გადამალული კვერცხების ძიებით, მაგრამ რამდენმა მათგანმა იცის, ვინ ხარ? – უენზდეიმ მიმტან გოგოს დაუძახა, – უკაცრავად, მის!

– კიდევ გნებავთ ესპრესო? – ჰკითხა მიმტანმა.

– არა, ძვირფასო. პატარა კამათის გადაჭრაში ხომ ვერ დაგვეხმარებით? მე და ჩემი მეგობრები ვერაფრით შევთანხმებულვართ, რას ნიშნავს სიტყვა „ისტერი“. იქნებ თქვენ იცოდეთ?

გოგო უენზდეის ისე მიაშტერდა, თითქოს ცოტაც და, პირიდან მწვანე გომბეშოები ამოუძვრებოდნენ.

– ქრისტიანულ დღესასწაულებზე არაფერი ვიცი. წარმართი ვარ, – როგორც იქნა, ამოღერღა.

საუბარში დახლთან მდგარი ქალი ჩაერთო: – მგონი, ლათინური სიტყვაა და „ქრისტე აღდგა“ თუ რაღაც ეგეთს ნიშნავს.

– მართლა? – ჰკითხა უენზდეიმ.

– ჰო, – თქვა ქალმა, – ისტერი. როგორც მზე ამოდის აღმოსავლეთიდან[181]. – აღმდგარი ძე. დიახ, ყველაზე ლოგიკური მოსაზრებაა, – თქვა უენზდეიმ. ქალმა გაიღიმა და ყავის აპარატს მიუბრუნდა. უენზდეიმ მიმტან გოგოს შეხედა.

– ვფიქრობ, კიდევ ერთ ჭიქა ესპრესოს დავლევ. და კიდევ ერთ რამეს გკითხავთ: თქვენ, როგორც წარმართი, ვის ეთაყვანებით?

– ვეთაყვანები?

– დიახ. ალბათ ფართო ასპარეზი გაქვთ. მაშ, ვის სწირავთ მსხვერპლს? ვის წინაშე იხრით ქედს? ვის სახელზე ლოცულობთ დილას და საღამოს?

გოგომ რამდენჯერმე გააღო და მოკუმა პირი, სანამ პასუხს თავს მოაბამდა: – ქალურ საწყისს. ეს შინაგანად გაძლიერებს.

– გასაგებია. და ამ თქვენს ქალურ საწყისს სახელი თუ აქვს?

– ქალღმერთი ყოველ ჩვენგანშია, – უპასუხა წარბზე რგოლმიმაგრებულმა გოგომ და ლოყები ოდნავ შეეფაკლა, – მას სახელი არ სჭირდება.

– აჰ, – ცბიერად გაიღიმა უენზდეიმ, – მაშ, მის სადიდებლად ბაკქანალიებს აწყობთ? სავსე მთვარის ქვეშ, ვერცხლის შანდლებში ჩარჭობილი მეწამული სანთლების შუქზე სისხლიან ღვინოს სვამთ? შიშველი ჩადიხართ აქაფებულ ზღვაში და თქვენს უსახელო ქალღმერთს საგალობელს უმღერით, სანამ ტალღები ფეხებზე გეხლებიან და ათასობით ლეოპარდის ენასავით გილოკავენ ბარძაყებს?

– თქვენ რა, დამცინით? ეგეთს არაფერს ვაკეთებთ, – გოგომ ღრმად ჩაისუნთქა. ათამდე ითვლისო, გაიფიქრა შედოუმ, – ყავა ხომ არ გნებავთ კიდევ? მოკაჩინო დაგიმატოთ, მემ? – კვლავ ის ავტომატური ღიმილი აღებეჭდა სახეზე, რომლითაც ახალშემოსულ კლიენტებს ეგებებოდა.

სამივემ თავის გაქნევით უთხრა უარი და მიმტანი გოგო სხვა მაგიდის მოსამსახურებლად წავიდა.

– აი, ერთ-ერთი იმათგანი, – თქვა უენზდეიმ, – ვისზეც ჩესტერტონი ამბობს, „არცა სწამს და არცა ლაღობს“[182]. მართლაც რომ წარმართი. აბა, ისტერ, ჩემო კარგო, გარეთ გავიდეთ და სავარჯიშო კიდევ ერთხელ გავიმეოროთ? გამვლელებს ვკითხოთ, რამდენმა იცის, რომ აღდგომის დღესასწაულმა სახელი სინამდვილეში ქალღმერთ ოსტარასგან, ანუ „განთიადისგან“ ისესხა. მოდი, ასე მოვიქცეთ: ასი ადამიანი გამოვკითხოთ და რამდენსაც სწორი პასუხი ეცოდინება, იმდენ ხელის თითს მომაჭრი; თუ ხელის თითები არ გვეყო, ფეხისაზე გადავალთ; ყოველ ოც მცდარ პასუხზე კი თითო ღამეს ვიკოტრიალებ შენთან. სხვათა შორის, წარმატების დიდი შანსი გაქვს, ბოლოს და ბოლოს, სან-ფრანცისკოში ვართ, ეს დამრეცი ქუჩები სავსეა კერპთაყვანისმცემლებით, წარმართებითა და შავი მაგიის მიმდევრებით.

ქალმა მწვანე თვალები (რომლებიც შედოუმ მზის სხივებით განათებულ გაზაფხულის ნორჩი ფოთლის ფერს მიამგვანა) მიაპყრო უენზდეის, მაგრამ არაფერი უთქვამს.

– შეგვიძლია ვცადოთ, – განაგრძო უენზდეიმ, – მაგრამ გარწმუნებ, ხელ-ფეხზე ათათივე თითი შემრჩება, შენ კი ხუთჯერ მოგიწევს ჩემთან დაწოლა. ჰოდა, ნუღარ მეტყვი, რომ თაყვანს გცემენ და შენი სახელობის დღესასწაულს აღნიშნავენ. დიახ, შენს სახელს წარმოთქვამენ, მაგრამ მისი მნიშვნელობა საერთოდ არ იციან. ქალს თვალზე ცრემლი მოადგა.

– ეგ ვიცი, – ჩაილაპარაკა ჩუმად, – სულელი კი არ ვარ.

– არა, არ ხარ, – დაეთანხმა უენზდეი. „ძალიან მაგრად მიაწვა,“ გაიფიქრა შედოუმ.

უენზდეიმ თავი ჩაღუნა.

– მაპატიე, – თქვა. შედოუს მისი სიტყვები გულწრფელი ეჩვენა, – გვჭირდები. შენი ძალ-ღონე, შენი მხნეობა გვჭირდება. იბრძოლებ ჩვენთან ერთად, როცა ქარიშხალი დაგვატყდება თავს?

ისტერი შეყოყმანდა. მარცხენა მაჯაზე ქალს ლურჯი კესანეების ძეწკვი დაესვირინგებინა.

– კი, – თქვა ხანმოკლე ფიქრის შემდეგ, – ალბათ ვიბრძოლებ.

უენზდეიმ თითზე იკოცა და ის თითი ისტერს ლოყაზე მიადო. მერე მიმტან გოგოს უხმო, ანგარიში მოითხოვა და ყავის საფასური გადაიხადა. ფული გულდასმით გადათვალა, ჩეკთან ერთად გადაკეცა და მიმტანს მიაწოდა. გოგო მაგიდას რომ მოშორდა, შედოუმ დაუძახა.

– მემ, უკაცრავად, მგონი, ეს დაგივარდათ, – შედოუმ იატაკიდან ათდოლარიანი კუპიურა აიღო.

– არა, – მიმტანმა მუჭში ჩაკეცილ ფულს დახედა.

– დავინახე, რომ დაგივარდათ, – თავაზიანად უთხრა შედოუმ, – აბა, გადათვალეთ.

გოგომ ფული დათვალა და გაკვირვებულმა თქვა: – ღმერთო, მართლაც დამვარდნია. მაპატიეთ, – შედოუს ათდოლარიანი გამოართვა და წავიდა.

ქუჩაში გავიდნენ. დღის შუქი თანდათან მკრთალდებოდა. ისტერმა უენზდეის თავი დაუქნია, შემდეგ შედოუს ხელზე შეეხო და ჰკითხა: – წუხელ რა დაგესიზმრა?

– ქუხილის ჩიტები, – უპასუხა შედოუმ, – და თავის ქალების კოშკი. ისტერმა თავი

  დააქნია.

– და თუ იცი, ვისი იყო ის თავის ქალები?

– სიზმარში ხმა ჩამესმა. იმან მითხრა.

ისტერმა კვლავთავი დააქნია და შეიცადა, რასიტყოდა შედოუ.

– ხმამ მითხრა, რომ თავის ქალები ჩემი იყო. ჩემი ძველი თავის ქალები. ასობით ათასი თავის ქალა.

ისტერმა უენზდეის შეხედა და მხიარულად გაიღიმა: – ვფიქრობ, ეს მცველია, – მერე შედოუს მკლავზე ხელი მოუთათუნა და ტროტუარს გაუყვა. შედოუმ მზერით გააცილა. ამაოდ სცადა, არ ეფიქრა ქალის მოხახუნე ბარძაყებზე. ტაქსით აეროპორტში რომ მიდიოდნენ, უენზდეი შედოუს მიუტრიალდა.

– იმ ათ დოლარზე რა სცენა გამიმართე?

– გოგოს ფული დააკელი. დანაკლისს ხელფასიდან ჩამოაჭრიდნენ. – მერე შენ რა

  გენაღვლება? – უენზდეი გულწრფელად განაწყენებული ჩანდა.

შედოუ ჩაფიქრდა. შემდეგ უპასუხა: – ჩემთვის რომ ეგ ექნათ, არ მომეწონებოდა. გოგოს არაფერი დაუშავებია.

– ეგრე გგონია? – უენზდეიმ სადღაც წინ გაიხედა, – შვიდი წლის რომ იყო, მაგ გოგომ კატა კარადაში ჩაკეტა და რამდენიმე დღე მის კნავილს უსმენდა. როცა კნავილი შეწყდა, მკვდარი კატა კარადიდან გამოიღო, ფეხსაცმლის ყუთში ჩადო და უკანა ეზოში დამარხა. ასე იმიტომ მოიქცა, რომ ძალიან უნდოდა რაიმეს დამარხვა. სადაც მუშაობს, ყველგან იპარავს. ძირითადად ცოტ-ცოტას. შარშან მოხუცთა თავშესაფარში გამოკეტილი ბებია ინახულა. საბრალო ქალის ტუმბადან ოქროს მაჯის საათი აიღო, შემდეგ სხვა ოთახებში შეიპარა და ცოტაოდენი ფული და პირადი ნივთები ასწაპნა იმ პენსიონერებს, სიცოცხლის უკანასკნელ წლებს რომ ითვლიან. შინ დაბრუნებისას შეეშინდა, ვაითუ, ვინმემ ჩემზე ეჭვი მოიტანოსო, აღარ იცოდა, ნაძარცვისთვის რა ექნა, ჰოდა, ადგა და ყველაფერი გადაყარა, ფულის გარდა.

– გასაგებია, – თქვა შედოუმ.

– გარდა ამისა, უსიმპტომო გონორეა აქვს, – განაგრძო უენზდეიმ, – კი ეჭვობს, რომ შეიძლება დაინფიცირებული იყოს, მაგრამ მაინც არ მკურნალობს. როცა ბოლო მეგობარმა ბიჭმა სენის გადადებაში დაადანაშაულა, გაბრაზდა, ეწყინა და მას დაშორდა.

– გასაგებია-მეთქი, ნუღარ აგრძელებ, – უთხრა შედოუმ, – ისე, როგორც ჩანს, ნებისმიერი ადამიანი შეგიძლია აძაგო.

– რასაკვირველია, – დაეთანხმა უენზდეი, – ყველა ერთნაირად იქცევა. ჰგონიათ, ორიგინალურად სცოდავენ, მაგრამ სინამდვილეში ყველა ერთსა და იმავე სისულელეს იმეორებს.

– და ამიტომ მათთვის ათი დოლარის მოპარვა სამართლიანია?

უენზდეიმ ტაქსის მძღოლს მგზავრობის საფასური გადაუხადა. მანქანიდან ჩავიდნენ, აეროპორტში შევიდნენ და თავიანთ გასასვლელს მიადგნენ. თვითმფრინავში ჩასხდომა ჯერ არ დაწყებულიყო.

– აბა, რა ვქნა? – ახლაღაუპასუხა უენზდეიმ, – მე ვერძებსა და ხარებს მსხვერპლად არ მწირავენ. არც მკვლელებისა და მონების ან ჩამოხრჩობილებისა და ყორნებისგან დაკორტნილთა სულებს მიგზავნიან. ვინც შემქმნეს, იმათვე დამივიწყეს. ახლა ამ ხალხს ცოტ-ცოტას ვპარავ. ეს უსამართლობაა?

– დედაჩემი ხშირად ამბობდა, ცხოვრება უსამართლოაო, – შენიშნა შედოუმ.

– რასაკვირველია, იტყოდა, – უთხრა უენზდეიმ, – დედები სულ ასეთ რამეებს ამბობენ: „შენი ყველა მეგობარი კლდიდან რომ გადახტეს, შენც გადაჰყვები?“ და ა. შ.

– შენ გოგოს ათი დოლარი მოუტეხე, მე ათი დოლარი დავუმატე, – მაინც თავისაზე იდგა შედოუ, – როგორც უფრო სწორად მომეჩვენა, ისე მოვიქეცი. ამასობაში გამოაცხადეს, რომ მათ რეისზე ჩასხდომა დაიწყო. უენზდეი წამოდგა.

– დაე, ყოველთვის სწორად მოქცეულიყავი, – თქვა მან ამჯერადაც სრულიად გულწრფელი ხმით.

„მართალი უთქვამთ: თავის გულწრფელად გასაღება წარმატების საწინდარია“, – გაიფიქრა შედოუმ.

ნაშუაღამევს უენზდეიმ შედოუ სახლის წინ ჩამოსვა. ლეიკსაიდში ისე ძლიერად აღარ ყინავდა. მართალია, ჯერაც საშინლად ციოდა, მაგრამ გაუსაძლისად – აღარ. ქალაქში რომ შევიდნენ, „ემ-ენდ-აი“ ბანკის ფასადზე მონაცვლეობით ციმციმებდა დრო – 03:30 – და ტემპერატურა – -20°C.

დილის ათის ნახევარზე შედოუს ბინის კარზე პოლიციის უფროსმა ჩედ მალიგანმა დააკაკუნა და ჰკითხა, ვინმე ელისონ მაკგავერნს თუ იცნობო.

– არა მგონია, – უპასუხა ნამძინარევმა შედოუმ.

– აი, მისი ფოტო, – მალიგანმა სასკოლო ალბომის ფოტო უჩვენა. შედოუმ მაშინვე იცნო კბილის ბრეკეტებიანი გოგო, რომელსაც მეგობარი „ალკა-ზელცერის“ ორალური სექსის გასამრავალფეროვნებლად გამოყენებას ასწავლიდა.

– აჰ, ჰო, დიახ. ქალაქში ავტობუსით ერთად ჩამოვედით.

– გუშინ სად იყავით, მისტერ აინსელ?

უეცრად შედოუმ იგრძნო, რომ ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა. არადა, მღელვარების არანაირი მიზეზი არ ჰქონდა („ვადაზე ადრე გათავისუფლებული დამნაშავე ხარ და ყალბი სახელითა და გვარით ცხოვრობ, – მშვიდი ხმა ჩაესმა გონებაში, – უფრო მეტი მიზეზი რაღა გინდა?“).

– სან-ფრანცისკოში, – უპასუხა შედოუმ, – კალიფორნიაში. ბიძაჩემს ბალდახინიანი საწოლის ტრანსპორტირებაში ვეხმარებოდი.

– ამის დადასტურება თუ შეგიძლიათ? შემთხვევით, ბილეთი ან რამე ეგეთი ხომ არ შეგინახავთ?

– დიახ, – შედოუს ორივე გზის ჩასხდომის ბარათი შარვლის უკანა ჯიბეში ედო, ამოიღო და უჩვენა, – რა ხდება?

ჩედ მალიგანმაჩასხდომის ბარათები შეამოწმა.

– ელისონ მაკგავერნი გაუჩინარდა. „ლეიკსაიდის ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში“ მოხალისედ მუშაობდა. სკოლის შემდეგ მიდიოდა ხოლმე იქ, ცხოველებს აჭმევდა და ძაღლებს ასეირნებდა. საღამოს შინ დოლი კნოპფს, ცხოველთა თავშესაფრის დირექტორს მიჰყავდა. გუშინ ელისონი ცხოველთა თავშესაფარში არ გამოჩენილა.

– დაიკარგა?

– დიახ. წუხელ მისმა მშობლებმა დარეკეს პოლიციაში. სულელი ბავშვი ცხოველთა თავშესაფრამდე გამვლელ მანქანებს მიჰყვებოდა ხოლმე. თავშესაფარი ცოტა მოშორებულ ადგილას მდებარეობს. მშობლები ელისონს კი აფრთხილებდნენ, უცხოებს ნუ დაჰყვებიო, მაგრამ ლეიკსაიდში ასეთი რამეები არ ხდება... ხომ ხვდებით? აქ ხალხი სახლის კარს არ კეტავს. თანაც, ბავშვები როდის იყო, მშობლებს უსმენდნენ! აბა, კიდევ ერთხელ დახედეთ ფოტოს. კბილზე ბრეკეტებდამაგრებული ელისონ მაკგავერნი იღიმებოდა.

– ესე იგი ამტკიცებთ, რომ არ გაგიტაცებიათ, არ გაგიუპატიურებიათ და არ მოგიკლავთ იგი?

– სან-ფრანცისკოში ვიყავი. თანაც, ეგეთ საზიზღრობას არასდროს ჩავიდენდი.

– მეც ეგ ვიფიქრე, მეგობარო. მაშ, დაგვეხმარებით მის მოძებნაში?

– მე?

– დიახ. ამ დილით მეძებრების მეშვეობით ამაოდ ვცადეთ კვალის მიგნება. ჯერჯერობით ძებნა უშედეგოდ მიმდინარეობს, – ჩედ მალიგანმა ამოიოხრა, –

ჯანდაბა, მაიკ, იმედია, გოგოს დაბოლილ შეყვარებულთან ერთად მინეაპოლისში ან სადმე მივაგნებთ.

– ეგრე ფიქრობთ?

– ესეც შესაძლებელია. გამოგვყვებით მის მოსაძებნად?

შედოუს გაახსენდა, ელისონ მაკგავერნს „ჰენინგის სამეურნეო და საშინაო საქონელში“ რომ მოჰკრა თვალი. მან მორცხვად გაუღიმა, შედოუმ კი გაიფიქრა, ერთ დღესაც ეს გოგო ძალიან ლამაზი ქალი გახდებაო.

– კარგი, გამოგყვებით.

სახანძრო სადგურის ვესტიბიულში ოცამდე ქალი და კაცი შეგროვილიყო. შედოუმ ჰინცელმანი და სხვა რამდენიმე ნაცნობი სახე შეამჩნია. ლურჯით შემოსილი რამდენიმე პოლიციელის გვერდით ლამბერის ოლქის შერიფის გამოგზავნილი, ყავისფრით შემოსილი ქალები და კაცები იდგნენ.

ჩედ მალიგანმა ყველას აუწყა, რომ ელისონს გაუჩინარებისას ალისფერი ზამთრის კომბინეზონი და მწვანე ხელთათმანები ეცვა და ლურჯ ნაქსოვ ქუდზე კომბინეზონის კაპიუშონი ჰქონდა ჩამოფხატული. შემდეგ შეგროვილები სამ ჯგუფად დაყო. ჰინცელმანი, შედოუ და ვინმე ბროგანი ერთ ჯგუფში აღმოჩნდნენ. ზამთრის დღე მოკლეა და ნუ ვიზოზინებთო, თქვა პოლიციის უფროსმა და ყველა გააფრთხილა: – ღმერთმა დაგვიფაროსდა, თუ ელისონს მკვდარს იპოვით, ხელს ნურაფერს ახლებთ, ვიმეორებ, ხელს ნურაფერს ახლებთ, მხოლოდ რაციით გვაცნობეთ დანარჩენებს, სადაც მოვიდეთ, ხოლო თუ ცოცხალს იპოვით, ჩვენ მოსვლამდე როგორმე გაათბეთ. ჯგუფის წევრები ცხოველთა თავშესაფრისკენ მიმავალ გზაზე ჩამოსხეს.

ჰინცელმანი, შედოუ და ბროგანი გაყინული ღელეს ნაპირს გაუყვნენ. წამოსვლამდე ჯგუფები პატარა რაციებით აღჭურვეს.

ცა მოღრუბლული იყო, გარემო – ნაცრისფერი. ბოლო ოცდათექვსმეტი საათის განმავლობაში ერთხელაც არ მოეთოვა და ხრაშუნა თოვლის მბრწყინავ ქერქზე ნაფეხურები ცხადად ემჩნეოდა.

ბროგანი შევერცხლილი საფეთქლებითა და წვრილი ულვაშით არმიის გადამდგარ პოლკოვნიკს ჰგავდა. სინამდვილეში პენსიაზე გასული სკოლის დირექტორი გამოდგა.

– როგორც კი ვიგრძენი, ასაკი მემატებოდა, ნაადრევად გავედი პენსიაზე. ჯერაც ვასწავლი ცოტ-ცოტას, სასკოლო სპექტაკლსაც ვადგმევინებ მოსწავლეებს – წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მაინც ესაა, ხანდახან ვნადირობ ხოლმე, უმეტეს დროს კი ტბა პაიკის ნაპირთან, ჩემს კოტეჯში ვატარებ, – აუხსნა შედოუს.

როცა გოგოს საძებნელად გაემართნენ, ბროგანმა თქვა: – ერთი მხრივ, ვიმედოვნებ, რომ გოგოს ვიპოვით. მეორე მხრივ, ძალიან გამიხარდება, თუ მას სხვები იპოვიან. ხვდებით, რატომაც?

შედოუ მშვენივრად ხვდებოდა, რატომაც.

ცოტას ლაპარაკობდნენ. მიდიოდნენ და ალისფერ კომბინეზონს, მწვანე ხელთათმანებს, ლურჯ ქუდს ან გათეთრებულ გვამს ეძებდნენ. ხანდახან ბროგანი რაციით ჩედ მალიგანს ელაპარაკებოდა.

შუადღისას სხვებთან ერთად სამაშველო რაზმისთვის გამოყოფილ სკოლის ავტობუსში ჰოთ-დოგები შეჭამეს და ცხელი წვნიანი შეხვრიპეს. ვიღაცამ გაშიშვლებულ ხის ტოტზე ჩამომჯდარი წითელკუდიანი კაკაჩა შეამჩნია, მას სხვამ შეუსწორა, კაკაჩა კი არა, შევარდენიაო. მაგრამ ამასობაში ფრინველი გაფრინდა და კამათი შეწყდა.

ჰინცელმანი მათ პაპამისის საყვირის ამბავს მოუყვა. თურმე პაპამისი საყვირზე დაკვრაში ბეღელში მეცადინეობდა ხოლმე, მაგრამ ერთხელ ისეთი ყინვები ყოფილა, შიგ რომ ჩაჰბერა, საყვირიდან ხმა არ ამოსულა.

– შინ შემოვიდა და საყვირი ღუმელთან დადო გასადნობად. ღამით კი, როცა მთელ ოჯახს უკვე ეძინა, საყვირიდან გამლღვალი მუსიკის ჰანგები ამოჭრილა. საწყალ ბებიაჩემს კინაღამ შიშით სული გაუფრთხია.

მთელი ნაშუადღევი ტყუილად იარეს, დაიღალნენ და დაღონდნენ. დღის შუქი თანდათან მიინავლა. საღამოს, როცა მხედველობის არე შემცირდა, სამყარო ინდიგოსფერი გახდა და სახის მსუსხავი ქარი ამოვარდა, ჩედ მალიგანმა რაციით გადმოსცა, ამ საღამოს ძიებას ვწყვეტთო და ყველანი ისევ სახანძრო სადგურში წაიყვანეს.

სახანძრო სადგურის გვერდით იყო ტავერნა „აქ ყველა ვსვამთ“. მაშველების უმეტესობა სწორედ იქ შეიკრიბა. დაქანცულები უხალისოდ საუბრობდნენ. გაიხსენეს თეთრთავა ფსოვი, რომელიც მთელი დღე თავზე დასტრიალებდათ, წუხდნენ, რომ ასე ძლიერ აცივდა და ერთმანეთს ამხნევებდნენ, ერთ-ორ დღეში ელისონი თავისით გამოჩნდება და გაიკვირვებს, მის გამო ამხელა აურზაური რომ ატყდაო.

– ამის გამო ქალაქზე ცუდს ნუ იფიქრებთ, – უთხრა შედოუს ბროგანმა, – ლეიკსაიდი კარგი ქალაქია.

– ამ მხარეში უკეთეს ქალაქს ვერ იპოვით, – დაამატა კოხტა ქალმა, რომლის ვინაობაც შედოუს აღარ ახსოვდა. ან შეიძლება საერთოდ არ გაუცნიათ მისთვის, – თუ იცით, რამდენი უმუშევარია ლეიკსაიდში?

– არა, – უპასუხა შედოუმ.

– ოცზე ნაკლები, – უთხრა ქალმა, – ქალაქში და ქალაქის გარშემო კი ხუთი ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. შეიძლება მდიდრები არ ვართ, მაგრამ ყველა ვმუშაობთ. ლეიკსაიდი მაღაროელების სხვა ჩრდილოურ ქალაქებს არ ჰგავს – მათი უმეტესობა ახლა ქალაქ-მოჩვენებებად არის ქცეული. ზოგან სოფლის მეურნეობას მისდევდნენ, მაგრამ რძის ფასის დაცემამ და ღორის ხორცის სიიაფემ იქაურობაც გააღატაკა. აბა,

თუ მიხვდებით, შუადასავლეთის ფერმერებს შორის არაბუნებრივი სიკვდილიანობის ყველაზე ხშირი მიზეზი რომელია?

– თვითმკვლელობა? – ფრთხილი ვარაუდი გამოთქვა შედოუმ.

– დიახ, ეგაა. თავს იკლავენ, – ქალს ლამის ეწყინა, შედოუმ პასუხი რომ გამოიცნო. მერე გამკიცხავად გააქნია თავი და განაგრძო, – ამ მხარეში უამრავი ქალაქი მხოლოდ მონადირეებისა და დამსვენებლების ხარჯზე სულდგმულობს, მათგან ფულს იღებს, შინ კი ნანადირევითა და კოღოების ნაკბენებით გზავნის. არსებობს ქალაქები, რომლებიც დიდი კორპორაციების წყალობით სულდგმულობენ, სადაც ყველაფერი მშვენივრადაა, სანამ „უოლმარტი“ თავის სადისტრიბუციო ცენტრს იქიდან გადაიტანს, ან „3M“ კომპაქტდისკის ჩასადები კოლოფების სხვაგან წარმოებას დაიწყებს; აი, მერე კი უამრავი ადამიანი უმუშევარი და იპოთეკის დასაფარი ფულის გარეშე რჩება. მაპატიეთ, თქვენი სახელი ვერ დავიმახსოვრე.

– მაიკ აინსელი, – უთხრა შედოუმ, რომელიც წყაროს წყლით მოხარშულ ადგილობრივ ლუდს სვამდა და ძალიან მოსწონდა.

– მე კელი კნოპფი ვარ, დოლის და, – გაეცნო ქალი, რომელსაც სახე სიცივისგან ჯერაც წითლად უღაჟღაჟებდა, – მოკლედ, იმის თქმას ვცდილობ, რომ ლეიკსაიდს ბედი სწყალობს. აქ ცოტ-ცოტა ყველაფერი გვაქვს: სოფლის მეურნეობა, მსუბუქი მრეწველობა, ტურიზმი, ხელოსნობა, კარგი სკოლები.

შედოუმ დაბნეულად შეხედა მას. კელი კნოპფის სიტყვებში ერთგვარი სიცარიელე იგრძნობოდა. თითქოს გამყიდველს უსმენდა, კეთილსინდისიერ გამყიდველს, რომელსაც გასაყიდი საქონლის სიკარგის სჯერა, მაგრამ მაინც სურს დარწმუნდეს, რომ მყიდველს შინ ენციკლოპედიის ყველა ტომით ან ხელსაწყოების სრული კომპლექტით უშვებს. ქალს მსგავსი გულმოდგინება სახეზე ეტყობოდა.

– უკაცრავად, რაც უყვარს, იმაზე ლაპარაკით ადამიანი ვერასდროს ძღება, – მოუბოდიშა კელი კნოპფმა, – თქვენ რას საქმიანობთ, მისტერ აინსელ?

– სიმძიმეებს ვწევ, – უპასუხა შედოუმ, – ბიძაჩემი ანტიკვარიატის ყიდვა-გაყიდვითაა დაკავებული. დიდი, მძიმე ნივთები დამაქვს მისთვის ისე, რომ ძალიან არ დაზიანდეს. კარგი სამუშაოა, მაგრამ არც ისე სტაბილური, – შავი კატა, ბარის თილისმა, შედოუს ფეხებზე აეგლისა და შუბლი ჩექმაზე გაუხახუნა. მერე მის გვერდით სკამზე ახტა, მყუდროდ მოკალათდა და დაიძინა.

– სამაგიეროდ, ბევრს მოგზაურობთ, – შენიშნა ბროგანმა, – სხვას რას აკეთებთ?

– რვა ოცდახუთცენტიანი ხომ არ გექნებათ? – ჰკითხა შედოუმ. ბროგანმა ჯიბეები მოიქექა. ხუთი ოცდახუთცენტიანი ამოიღო და მაგიდაზე დაყარა. სამი ოცდახუთცენტიანი კელი კნოპფმა დაამატა.

შედოუმ მონეტები ორ თანაბარ რიგად დააწყო, მარცხენა ხელი ოდნავ გადაუსვა, ოთხი მონეტა მაგიდის ზედაპირში „გაამვრინა“ და მაგიდის ქვეშ მარჯვენით „დაიჭირა“.

მერე რვავე მონეტა მარჯვენა ხელში აიღო, მარცხენით კი ცარიელი ჭიქა დაიჭირა და ზედ ხელსახოცი გადააფარა. მონეტები თითქოსდა სათითაოდ ჩაცვივდა მისი მარჯვენა ხელიდან ჭიქაში. ჩხარუნიც კი ისმოდა. ბოლოს შედოუმ მარჯვენა ხელი გაშალა და ცარიელი აღმოჩნდა. ჭიქას ხელსახოცი გადახსნა: მონეტები შიგ ეყარა.

შედოუმ მონეტები მფლობელებს დაუბრუნა, სამი – კელის, ხუთი – ბროგანს, მაგრამ ბროგანს უცბადვე ერთი მონეტა გამოართვა და კაცს მუჭში ოთხი მონეტა დარჩა. შედოუმ გამორთმეულ მონეტას სული შეუბერა, ერთცენტიანად გადააქცია და ბროგანს დაუბრუნა. ამ უკანასკნელმა მონეტები გადათვალა და, მისდა გასაკვირად, მუჭში ისევ ხუთი ოცდახუთცენტიანი აღმოაჩნდა.

– ჰუდინი ყოფილხარ! – წამოიძახა აღტაცებულმა ჰინცელმანმა, – ნამდვილი ჯადოქარი!

– მხოლოდ მოყვარული ვარ, – თქვა შედოუმ, – ჰუდინობამდე ჯერ კიდევ შორი გზა მაქვს გასავლელი, – თუმცა გულის სიღრმეში თავი ამაყად იგრძნო. პირველად წარდგა ზრდასრული მაყურებლების წინაშე.

შინისაკენ მიმავალმა გზად სასურსათო მაღაზიაში შეიარა და ერთი კოლოფი რძე იყიდა. წითური გამყიდველი გოგონა ნაცნობივით გამოიყურებოდა. თვალები ნამტირალებივით გასწითლებოდა, ხოლო სახე მთლიანად ჭორფლებით დასწინწკვლოდა.

– გიცნობ, – უთხრა მას შედოუმ, – შენ... – კინაღამ წამოსცდა, „ალკა-ზელცერის“ გოგო ხარო, მაგრამ ენას დროულად დააჭირა კბილი და დაასრულა, – ელისონის მეგობარი ხარ. ავტობუსით ერთად ვიმგზავრეთ. იმედი მაქვს, არაფერი დამართნია. გოგომ დაისრუტუნა და თავი დაუქნია.

– მეც იმედი მაქვს, – ცხვირი ხმაურით მოიხოცა დაცხვირსახოცი ისევ სახელოში შეიჩურთა.

მის სამკერდე ნიშანზე ეწერა: „სალამი, მე სოფი ვარ! მკითხე და გიპასუხებ, როგორ დაიკლო 15 კგ 30 დღეში.“

– მთელი დღე სხვებთან ერთად დავეძებდი. ჯერჯერობით ვერ ვიპოვეთ.

სოფიმ თავი დაუქნია და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა. რძის კოლოფი სკანერზე გადაატარა და სკანერმა წკარუნით აცნობა ფასი. შედოუმ ორი დოლარი მიაწოდა.

– ამ წყეული ქალაქიდან მივდივარ, – მოგუდული ხმით ამოილაპარაკა უცებ გოგომ, – ეშლენდში დედასთან ვიცხოვრებ. ელისონი დაიკარგა. შარშან სენდი ოლსენი გაქრა, შარშანწინ – ჯო მინი. გაისად ჩემი ჯერი რომ მოვიდეს?

– მეგონა, სენდი ოლსენი მამამისმა წაიყვანა.

– ჰო, რა თქმა უნდა, სენდი მამამ წაიყვანა, – ამოიოხრა გოგომ, – ჯო მინი კალიფორნიაში წავიდა, სარა ლინდქუისტი კი ლაშქრობისას დაიკარგა და ვეღარ იპოვეს. მოკლედ, მე ეშლენდში მივდივარ.

გოგომ ღრმად ჩაისუნთქა და წამით სუნთქვა შეიკავა. მერე შედოუს გაუღიმა. მის ღიმილში სიყალბის ნატამალი არ ჩანდა. ეს იმ გოგოს ღიმილი იყო, რომელსაც ასწავლეს, როცა ხურდას უბრუნებს, მყიდველს უნდა გაუღიმოს. გოგომ შედოუს ხურდა და ქვითარი რომ მიაწოდა, მშვიდობიანი საღამოც უსურვა. მერე შედოუს უკან მდგარი ქალისკენ მიტრიალდა და სავსე ურიკიდან მისი ნავაჭრის ამოლაგებასა და დასკანერებას შეუდგა.

შედოუმ თავისი რძე წაიღო, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. ჩაუარა ბენზინგასამართ სადგურს და ყინულზე მდგარ ჯაბახანას, გადავიდა ხიდზე და შინ დაბრუნდა.

ამერიკაში ჩასვლა
1778

იყო ერთი გოგო, რომელიც ბიძამისმა გაყიდა, – კალიგრაფიული ხელით დაწერა მისტერ იბისმა.

ესაა ამ ამბის არსი, დანარჩენი დეტალებია.

არსებობს ნამდვილი ამბები, რომლებშიც ყოველი ადამიანის ხვედრი განსხვავებული და ტრაგიკულია. მაგრამ უფრო ცუდი ისაა, რომ ეს ტრაგედია წინათ უკვე მოგვისმენია, ამიტომაც არ გვსურს, ძლიერ განვიცადოთ. მას ნაჭუჭში ვაქცევთ, როგორც მოლუსკი შემოახვევს ხოლმე სადაფის გლუვ ფენებს შემაწუხებელ ქვიშის მარცვალს. ადამიანი ლაპარაკობს, დადის და ცოცხლობს მხოლოდ იმიტომ, რომ სხვისი ტკივილი და დარდი გულთან ახლოს არ მიაქვს. ეს სულიერად დაგვასახიჩრებდა, ან ყველას წმინდანად გვაქცევდა; მაგრამ, ჩვეულებრივ, ასე არ ხდება. ჩვენ სხვებს ვერ თანავუგრძნობთ.

ამაღამ, ვახშმობისას, თუ გნებავთ, გაიხსენეთ, რომ მთელ მსოფლიოში მრავალი ბავშვი შიმშილობს, იმდენი მილიონი ბავშვი, რომ ერთი მილიონით ნაკლებს იტყვით თუ ერთ მილიონით მეტს, არაფერს შეცვლის – რიცხვიმაინც წარმოუდგენლად დიდია. შესაძლოა, ამაზე დაფიქრებისას უხერხულობა იგრძნოთ ან არ იგრძნოთ, მაგრამ მადა მაინც არ დაგეკარგებათ.

ზოგიერთ ამბავს შეუძლია გული ძლიერ დაგვწყვიტოს. აი, მაგალითად, არის ერთი კაცი, რომელიც თავს კარგ ადამიანად მიიჩნევს და სხვებიც ასე ფიქრობენ. ის მოსიყვარულე და ერთგული ქმარია, გიჟდება და ყურადღებას უთმობს პატარა შვილებს, ზრუნავს სამშობლოზე და თავის საქმეს კეთილსინდისიერად აკეთებს. აგერ, ახლა დიდი მონდომებით, სრულიად უწყინრად ხოცავს ებრაელებს. მოსწონს მუსიკალური ფონი, რომელიც ებრაელების დასამშვიდებლად ისმის. ებრაელებს ურჩევს, საშხაპეში შესვლისას საიდენტიფიკაციო ნომრების წაღება არ დაავიწყდეთ, ბევრს ნომრების წაღება ავიწყდება და შეცდომით სხვის ტანსაცმელს იცვამს ხოლმეო, უხსნის მათ. ეს ებრაელებს აწყნარებს, ესე იგი საშხაპეში დახოცვას არ გვიპირებენო,

იმედი ეძლევათ. მაგრამ მწარედ ცდებიან. ეს ჩვენი კაცი პირადად ზედამხედველობს გვამების ღუმლებში შეყრას; ისღა აწუხებს, რომ პარაზიტების გაზით მოწამვლას რატომღაც მაინც განიცდის. მართლაც კარგი ადამიანი რომ ვიყო, მხოლოდ გამიხარდებოდა დედამიწის ამ მავნებლებისგან გაწმენდაო.

შევეშვათ ამ კაცს. ის მეტისმეტად ახლობელია ჩვენთვის და მისი ამბავი გულს გვტკენს. იყო ერთი გოგო, რომელიც ბიძამისმა გაყიდა. თითქოს რა მარტივად ჟღერს.

„არავინ არის კუნძული“, – ამბობს ჯონ დონი[183] და ცდება. კუნძულები რომ არ ვიყოთ, დავიკარგებოდით, ერთმანეთის ტრაგედიებში დავიხრჩობოდით. სხვათა ტრაგედიებისგან სწორედ რომ ჩვენი კუნძულისებური ბუნება, ჩვენი ამბების ერთნაირობა და გამეორებითობა განგვაცალკევებს. ყველა ამბავი ერთმანეთს ჰგავს. ადამიანი გაჩნდა, იცოცხლა და ამა თუ იმ მიზეზით მოკვდა. მორჩა. ამბის დეტალებით გასამდიდრებლად თუნდაც საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება გამოიყენოთ, ერთი ამბავი მაინც მეორესავით არაორიგინალური იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ერთის ცხოვრება მეორისგან განსხვავებულია. ყოველი სიცოცხლე თოვლის ფიფქია, დეტალებით კი განსხვავდებიან, მაგრამ ჩვენთვის უკვე ნაცნობ ფორმებს წარმოქმნიან და ისევე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც მარცვლები ბარდის პარკში (არადა, ბარდის პარკში მარცვლებს ოდესმე თუ დაჰკვირვებიხართ? ყურადღებით დაგიხედავთ? თუ კარგად დააკვირდებით, გამორიცხულია, რომელიმე ერთმანეთში აგერიოთ.).

ამბავში ყურადღება პიროვნებას უნდა დაეთმოს, თორემ სხვანაირად ხელთ მხოლოდ რიცხვები შეგვრჩება: ათასი დაღუპული, ასი ათასი დაღუპული, „მსხვერპლის რაოდენობამ შეიძლება მილიონს მიაღწიოს“. პიროვნულ ამბავში სტატისტიკა ხალხად გადაიქცევა ხოლმე – მაგრამ ესეც ტყუილია, რადგან ხალხი ისე მრავლად იტანჯება, რაოდენობა აღარაფერს გამოხატავს და ნიშნავს. აი, ეს ბავშვი, შეხედეთ მის გასივებულ მუცელს, მის თვალის კუთხეებთან მცოცავ ბუზებს, მის გაძვალტყავებულ ხელ-ფეხს: თავს უკეთ იგრძნობდით, რომ იცოდეთ, რა ჰქვია, რამდენი წლისაა, რაზე ოცნებობს ან რის ეშინია? მის სულში ჩახედვა რომ შეგეძლოთ? და თუ ასეა, რა დააშავა მისმა დამ, იქვე, მტვერში რომ გდია დამახინჯებული და მუცელგასივებული და ბავშვის კარიკატურას ჰგავს? და თუ ეს ორნი შეგვეცოდება, მათზე ნაკლები რითაა ათასობით სხვა ბავშვი, რომელსაც იგივე შიმშილობა შეეხო დამალე ეს ათასობით ნორჩიარსება უთვალავი ბუზისა და მათი ნაშიერის საკვებად გადაიქცევა?

მტკივნეულ წუთებს ყოველთვის ვემიჯნებით ხოლმე და ჩვენ-ჩვენს მიუწვდომელ კუნძულებზე ვემალებით; გლუვი, უსაფრთხო სადაფის შრეებით ვფარავთ, რათა ჩვენი გულებიდან მარგალიტებივით, თითქმის უმტკივნეულოდ, შეუმჩნევლად ამოცვივდნენ.

პროზა საშუალებას გვაძლევს სხვათა გონებაში, სხვა ადგილებში შევიპაროთ და სხვისი თვალებით ვუყუროთ სამყაროს. და იქ, სხვის ამბავში, დროულად ვჩერდებით, სანამ მოვკვდებოდეთ; ანდა ვითომ ვკვდებით, სინამდვილეში კი უვნებლები

ვრჩებით – ამბის მიღმიერ სამყაროში შემდეგ გვერდზე ვფურცლავთ ან წიგნს ვკეცავთ და ჩვენს სიცოცხლეს ვაგრძელებთ. სიცოცხლეს, რომელიც, სხვათა მსგავსად, სხვებისას არ ჰგავს.

მარტივი ჭეშმარიტება კი ესაა: იყო ერთი გოგო, რომელიც ბიძამისმა გაყიდა.

გოგოს სამშობლოში ასე ამბობდნენ, რომ ბავშვის მამის ვინაობაში ზუსტად დარწმუნებული ვერავინ იქნება, აი, დედისაში – კი. გვარი და ქონება შვილს დედის მხრიდან გადაეცემოდა, ხოლო ძალაუფლება კაცების ხელში რჩებოდა: და ამიტომაც დისწულების ბედს სწორედ ბიძა განაგებდა.

იმ მხარეში ომი ატყდა. ამას ომსაც ვერ უწოდებდით, ჩხუბს უფრო ჰგავდა, ორი მოშუღლე სოფლის კაცებს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა. ჩხუბში ერთმა სოფელმა გაიმარჯვა, მეორე დამარცხდა.

ათასობით წლის განმავლობაში მონობა სამყაროს იმ ნაწილში ჩვეულებრივ რამედ მიაჩნდათ. სიცოცხლე იქ ფართო მოხმარების საქონელი იყო, ადამიანი – საკუთრება. აღმოსავლეთ აფრიკის დიდი სამეფოები არაბმა მონებით მოვაჭრეებმა დააქციეს, დასავლეთ აფრიკის ერებმა კი ერთმანეთი გაანადგურეს.

მოულოდნელი და უჩვეულო არ ყოფილა ის, რომ ბიძამ ტყუპები გაყიდა, თუმცა ტყუპები ჯადოსნურ არსებებად მიაჩნდათ და ბიძას მათი ეშინოდა; იმდენად ეშინოდა, მათ არ გაუმხილა, გაყიდვას რომ უპირებდა, ვაითუ, ჩემს ჩრდილს რამე ავნონ და მომკლანო. და-ძმა თორმეტი წლის იყო. გოგოს ვუტუტუ ერქვა, „მაცნე ფრინველი“, ბიჭს – აგასუ, მკვდარი მეფის სახელი. ჯანმრთელი ბავშვები იყვნენ. რადგან ტყუპები იყვნენ, გოგოს და ბიჭს ღმერთებზე უამრავ რამეს უყვებოდნენ. და ისინიც, რადგან ტყუპები იყვნენ, უსმენდნენ და იმახსოვრებდნენ, რასაც უყვებოდნენ.

მათი ბიძა მსუქანი და ზარმაცი კაცი იყო. უფრო მეტი ძროხა რომ ჰყოლოდა, ალბათ ბავშვების მაგივრად მათ გაყიდდა, მაგრამ არ ჰყავდა და ამიტომაც ტყუპები გაყიდა. გვეყოფა მასზე ლაპარაკი. ამ ამბავში ის აღარ გამოჩნდება. ჩვენ ტყუპების კვალს გავყვებით.

ომში შეპყრობილ ან მონად გაყიდულ ტყვეებთან ერთად ისინიც ოცი კილომეტრის დაშორებით მდებარე პატარა ავანპოსტში მიიყვანეს. იქ ტყუპები სხვა ცამეტ მონასთან ერთად შუბებითა და დანებით შეიარაღებულმა ექვსმა კაცმა იყიდა. მონები კისრით ერთმანეთზე გადააბეს, ხელები მსუბუქად შეუკრეს და დასავლეთით, ზღვის ნაპირისკენ წაასხეს.

ვუტუტუმ აგასუს ჰკითხა, რა მოგვივაო.

– არ ვიცი, – უპასუხა აგასუმ, რომელიც ხშირად იღიმებოდა და ამ დროს ქათქათა ჯანსაღი კბილები გამოუჩნდებოდა ხოლმე. ძმის მხიარული ღიმილი ვუტუტუსაც ახარებდა. ამჯერად აგასუმ გაღიმების ნაცვლად დის გამხნევება სცადა. მხრები გაშალა და თავი ამაყად ასწია, საშიშადაც გამოიყურებოდა და, ბალანაშლილი პაწია ლეკვივით, სასაცილოდაც.

რიგში ვუტუტუს უკან მომავალმა, ნაიარევებით ლოყებდაფარულმა კაცმა თქვა: – თეთრ ეშმაკებს მიგვყიდიან, ისინი კი დიდი წყლის გადაღმა თავიანთ სახლში წაგვიყვანენ.

– იქ რას გვიზამენ? – ჰკითხა ვუტუტუმ. კაცმა არაფერი უპასუხა.

– ჰა? – ჩაეძია ვუტუტუ. აგასუმ მხარს ზემოდან გამოხედა დას. სიარულისას ლაპარაკი და მღერა ეკრძალებოდათ.

– შეიძლება შეგვჭამონ, – უპასუხა კაცმა, – მე ასე მსმენია. ამდენი მონა იმიტომ სჭირდებათ, რომ ყოველთვის შიათ.

ვუტუტუ ატირდა. აგასუმ მას უთხრა: – ნუ ტირი, დაო. არ შეგჭამენ. მე დაგიცავ. ჩვენი ღმერთები დაგიფარავენ.

მაგრამ გულდამძიმებულ ვუტუტუს ტირილი არ შეუწყვეტია; ტკივილი, ბრაზი და შიში შეიგრძნო ისე მწვავედ, როგორც მხოლოდ ბავშვს შეუძლია. აგასუს ვერ უთხრა, რომ სულაც არ ეშინოდა თეთრი ეშმაკების. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მათ გადაურჩებოდა. ვუტუტუს ის ატირებდა, რომ ეშინოდა, აგასუს ვერ დავიცავ და თეთრი ეშმაკები შემიჭამენო.

მიაღწიეს სავაჭრო დასახლებამდე, სადაც ათი დღე დაყვეს. მეათე დილას ჩაკეტილი მონები ქოხიდან გამორეკეს (ქოხი ბოლო დღეებში ხალხით გაივსო, რადგან ვაჭრებს სხვადასხვა მხრიდან, ასობით კილომეტრის სიშორიდანაც კი, მოჰყავდათ შებორკილი მონები) და ნავსადგურში წაიყვანეს. იქ ვუტუტუმ დაინახა გემი, რომელსაც ისინი შორს უნდა წაეყვანა.

ჯერ გაიფიქრა, რამხელაა, მაგრამ მერე გაიფიქრა, ძალიან პატარაა, ამაში ყველა ვერ ჩავეტევითო. გემი მსუბუქად იჯდა წყალზე. მონები გემამდე ნავით მიჰყავდათ. გემბანზე მეზღვაურები მონებს ბორკავდნენ და ტრიუმში ანაწილებდნენ. ზოგი მეზღვაური აგურივით წითელი იყო, ზოგი – მზისგან გაშავებული, ისეთი უცნაური, წაწვეტებული ცხვირები და ხშირი წვერი ჰქონდათ, მხეცები გეგონებოდათ. ზოგიერთი ვუტუტუს თანამოძმეებივით გამოიყურებოდა, მათსავით, ვინც მონები ზღვის ნაპირამდე მოიყვანეს. კაცები, ქალები და ბავშვები განაცალკევეს და სხვადასხვაგან დაამწყვდიეს. გემზე ყველა მონის დასატევი ადგილი არ იყო, ამიტომ ათი მამაკაცი გემბანზე, ღია ცის ქვეშ შებორკეს ეკიპაჟისთვის გაბმული ჰამაკების შორიახლო.

ვუტუტუ ბავშვებთან მოხვდა და არა – ქალებთან. ხელ-ფეხი არ შეუკრავთ, მხოლოდ დაამწყვდიეს. აგასუ, მისი ძმა, შებორკეს და სხვა კაცებთან ერთად ჩაკეტეს. კაცების ტრიუმში ისეთი ჭედვა იყო, ნემსი არ ჩავარდებოდა. მეზღვაურებს ტრიუმები საგულდაგულოდ გამოერეცხათ და გაეწმინდათ ბოლო ტრანსპორტირების შემდეგ, მაგრამ იქაურობა მაინც საშინლად ყარდა. შიშის, ნახველის, განავლის, სიკვდილის, ციებ-ცხელების, სიგიჟისა და სიძულვილის მყრალი სუნი ღრმად გამჯდარიყო ფიცრებში. ვუტუტუ დახუთულ ტრიუმში სხვა ბავშვებთან ერთად იჯდა. მის აქეთიქით მსხდარი ბავშვები ოფლში იწურებოდნენ. გემი შეჯანჯღარდა და პატარა

ბიჭი დაეჯახა. ბიჭმა ვუტუტუსთვის უცნობ ენაზე მოუბოდიშა. ვუტუტუმ ნახევრად ბნელში გაუღიმა.

გემი ნავსადგურიდან გავიდა. მძიმედ მიცურავდა წყალში.

ვუტუტუ იმ ქვეყანაზე ფიქრობდა, საიდანაც თეთრი ადამიანები მოვიდნენ (სინამდვილეში ვერც ერთს ვერ უწოდებდით სრულებით თეთრს, ყველანი გარუჯულები და შავგვრემანები იყვნენ). ნუთუ იმდენად არ ჰყოფნიდათ საჭმელი, რომ ამსიშორეზე გამოცურეს საჭმელად ხალხის საყიდლად? ან იქნებ უკვე იმდენი რამ ეჭამათ, რომ ეს ამდენი ხალხი დელიკატესად უნდოდათ და მხოლოდ შავკანიანი ხორცი თუ მოადენდა მათ პირში ნერწყვს?

მოგზაურობის მეორე დღეს გრიგალში მოჰყვნენ, არც ისე ძლიერში, მაგრამ გემი ისე ირწეოდა, შარდის, თხიერი განავლისა და შიშისგან მოგვრილი ოფლის სუნს ნარწყევისაც შეერია. ტრიუმის ჭერში დატანებული საჰაერო ხვრელებიდან წვიმა კოკისპირულად ასხამდა.

ერთი კვირის შემდეგ, როცა ხმელეთი საბოლოოდ თვალს მიეფარა, მონებს ბორკილები ახსნეს, მაგრამ ყველანი გააფრთხილეს, უმცირესი დაუმორჩილებლობისთვის ან შფოთისთვისაც კი მკაცრად დაისჯებითო.

დილით ტყვეებს ბარდასა და გალეტებს აჭმევდნენ და ერთ პეშვ ისეთ მჟავე, ძმარგარეულ ლაიმის წვენს ასმევდნენ, რომ ყველა სახეს მანჭავდა, ახველებდა და ფხუკუნებდა, ზოგი მოთქვამდა და ოხრავდა, მაგრამ გადმოფურთხებას ვერავინ ბედავდა, რადგან, ვისაც ლაიმის წვენის გადმოფურთხებისას გამოიჭერდნენ, სცემდნენ ან შოლტავდნენ.

ღამე მათთვის დამარილებული ხორცი მოჰქონდათ. ხორცი თავიდანვე მშრალი და უგემური იყო, მაგრამ თანდათან კიდევ უფრო გაფუჭდა.

როცა შესაძლებლობა გამოუჩნდებოდათ, ვუტუტუ და აგასუ ერთმანეთს ეხუტებოდნენ და დედაზე, სამშობლოსა და მეგობრებზე საუბრობდნენ. ხანდახან ვუტუტუ აგასუს უყვებოდა დედისგან მოსმენილ ამბებს ღმერთთა შორის უცბიერეს ელეგბაზე[184], რომელიც დიადი მავუს[185] თვალები და ყურებია, მავუს სიტყვები სხვებისთვის მიაქვს და სხვების პასუხები მავუსთან მოაქვს.

საღამოობით, მოგზაურობის მოსაწყენი საღამოების გასამრავალფეროვნებლად, მეზღვაურები მონებს მშობლიურ სიმღერებს ამღერებდნენ და აცეკვებდნენ.

ვუტუტუს გაუმართლა, რომ ბავშვებთან მოათავსეს გატენილ ტრიუმში; მათ ყურადღებას არავინ აქცევდა, აი, ქალებს კი ბედმა ნაკლებად გაუღიმა. მონებით მოვაჭრეების ზოგიერთ გემზე მონა ქალებს გამუდმებით აუპატიურებდნენ, მეზღვაურებს ამას არავინ უშლიდა – ერთგვარი დაუწერელი წესი იყო. ეს გემი ისეთ გემთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ ამ გემზე მონა ქალები არ გაუუპატიურებიათ.

ასი კაცი, ქალი და ბავშვი დაიღუპა ამ მოგზაურობისას და მათი გვამები წყალში გადაყარეს; ზოგიერთი ტყვე ჯერაც ცოცხალი იყო, გემიდან რომ გადააგდეს, ოკეანემ მათი ციებ-ცხელების უკანასკნელი წუთები გააგრილა და საბრალონი ფართხალფართხალით დაიხრჩვნენ და ჩაიძირნენ.

ვუტუტუსა და აგასუს წარმოდგენა არ ჰქონდათ, რომ ჰოლანდიურ ხომალდზე იმყოფებოდნენ, მაგრამ გინდაც ბრიტანულ, პორტუგალიურ, ესპანურ ან ფრანგულ გემზე ყოფილიყვნენ, მაინც სულერთი იქნებოდა.

გემზე მსახურობდნენ ვუტუტუზუ უფრო შავკანიანი მეზღვაურები და ტყვეებს ისინი კარნახობდნენ, რა ექნათ, სად წასულიყვნენ ან როდის ეცეკვათ. ერთ დილას ვუტუტუმ დაინახა, რომ ერთ-ერთი შავკანიანი მცველი თვალს არ აშორებდა. ჭამისას კაცი ვუტუტუს თავზე დაადგა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

– ამას რატომ აკეთებ? – ჰკითხა გოგომ კაცს, – თეთრ ეშმაკებს რატომ ემსახურები?

კაცი ისე გაიღრიჭა, თითქოს სიცოცხლეში ამაზე სასაცილო არაფერი ჰქონოდეს მოსმენილი. მერე დაიხარა, ვუტუტუს ტუჩები თითქმის ყურზე მიადო და მისმა ცხელმა ამონასუნთქმა გოგოს კინაღამ გული აურია.

– ცოტა უფრო დიდი რომ იყო, ჩემს ასოს გაძგერებდი და სიამოვნებისგან აგაკივლებდი. იქნებ ამაღამ ვქნა კიდეც. მინახავს, რა კარგად ცეკვავ.

გოგომ მას წაბლისფერი თვალებით შეხედა და წარბშეუხრელად უპასუხა: – მე ალქაჯი გოგო ვარ, იქ, ქვემოთ, ისეთი ბასრი კბილები მაქვს, შენს ასოს თუ შემიდებ, იცოდე, მოგაკვნეტ.

კაცს გამომეტყველება შეეცვალა და სიტყვის უთქმელად გასცილდა. ვუტუტუმ კმაყოფილებით ჩაიცინა გულში.

ის, რაც ვუტუტუმ თქვა, მისი სიტყვები არ ყოფილა, მას არ მოუფიქრებია. არა, გოგოს ღრმად სწამდა, რომ ეს სიტყვები გაიძვერა ელეგბამ ათქმევინა. სამყარო მავუმ შექმნა, ელეგბას გაიძვერობის წყალობით კი მის მიმართ ინტერესი გაუნელდა. იმწუთას ვუტუტუში ელეგბა ჩასახლდა და გოგოს პირით სწორედ ის მეტყველებდა. ამიტომაც იმ ღამით, ძილის წინ, ვუტუტუმ ელეგბას მადლობა შესწირა.

ერთ დღეს ზოგიერთმა ტყვემ ჭამა იუარა. მათ იმდენ ხანს ამათრახებდნენ, სანამ პირში საჭმელი თვითონვე არ ჩაიდეს და არ გადაყლაპეს. სასტიკმა გამათრახებამ ორი ადამიანი იმსხვერპლა, მაგრამ ამან იმოქმედა. გემზე შიმშილობით თავისუფლების მოპოვება აღარავის მოუნდომებია. ერთი კაცი და ქალი ოკეანეში გადახტნენ თავის დასახრჩობად. ქალმა საწადელს მიაღწია. კაცი იხსნეს, ანძაზე მიაბეს და თითქმის მთელი დღე ამათრახებდნენ, სანამ ზურგი მთლიანად არ გაუსისხლიანდა. ღამითაც იქვე დატოვეს. არაფერს აჭმევდნენ და არაფერს ასმევდნენ, თავისივე შარდის გარდა. მესამე დღეს უკვე აბოდებდა, თავი გაუსივდა და გადამწიფებული ნესვივით დაურბილდა. როცა ბოდვა შეწყვიტა, ოკეანეში გადააგდეს. ქალისა და კაცის გაქცევის მცდელობის გამო, მომდევნო ხუთი დღით ყველა ტყვეს ისევ ბორკილები და ხუნდები დაადეს.

მოგზაურობა ხანგრძლივი და ტყვეებისთვის საშინელი გამოდგა; სასიამოვნოარც გემის ეკიპაჟისთვის ყოფილა, თუმც კი ამ საქმეში ჭიპმოჭრილები და გულგამაგრებულები იყვნენ და თავს მხოლოდ ფერმერებად მიიჩნევდნენ, ბაზარში საქონელი რომ მიჰყავთ გასაყიდად.

ერთ მშვენიერ, თბილ დილას ბარბადოსის ქალაქ ბრიჯტაუნში ჩაუშვეს ღუზა. ტყვეები გემიდან ნავებით გადასხეს ნაპირზე და ნავსადგურიდან მაშინვე ბაზრის მოედანზე წაიყვანეს, სადაც ყვირილითა და ხელკეტების რტყმით მწკრივებად დააყენეს. გაისმა სასტვენის ხმა და ბაზრის მოედანი ხალხით გაივსო. სახეგაწითლებული კაცები ერთმანეთს აწვებოდნენ და მუჯლუგუნს სცემდნენ, მონებს ათვალიერებდნენ, აფასებდნენ, რაღაცას გაჰყვიროდნენ და ბუზღუნებდნენ.

შემდეგ ვუტუტუ და აგასუ დააშორეს. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. ვიღაც ზორბა კაცმა აგასუს პირი ძალით გააღებინა, მისი კბილები შეამოწმა, კუნთები გაუსინჯა, თავი დააქნია და მისმა ორმა თანმხლებმა აგასუ წაათრია. აგასუს წინააღმდეგობა არ გაუწევია. ვუტუტუს შეხედა და დაუძახა, გამაგრდიო. ვუტუტუმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მერე მზერა ცრემლებმა გაუდღაბნა და ატირდა. ერთად ის და აგასუ ჯადოსნური, ძლიერი ტყუპები იყვნენ, ცალ-ცალკე – საბრალო ბავშვები. მას შემდეგ ვუტუტუმ ძმა მხოლოდ ერთხელ ნახა, ისიც მკვდარი.

აი, რა შეემთხვა აგასუს. ის ჯერ სანელებლების პლანტაციაში წაიყვანეს, სადაც ყოველდღე ამათრახებდნენ, ეს რატომ ქენი ან ის რატომ არ ქენიო, საყველპურო ინგლისური ასწავლეს და კანის სიშავის გამო „კუპრისფერი ჯეკი“ შეარქვეს. ერთხელ პლანტაციიდან გაიქცა, მაგრამ მაძებრებიანი მდევრები დაეწივნენ, უკან დააბრუნეს და ჭკუის სასწავლებლად ფეხზე ერთი თითი მოაჭრეს. ერთხელაც ჭამაზე უარი თქვა, მაგრამ შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, წინა კბილები ჩაუმტვრიეს და პირში შვრიის თხელი ფაფა ძალით ჩაასხეს. სხვა გზა აღარ დარჩა, რომ არ ჩაეყლაპა, დაიხრჩობოდა.

ჯერ კიდევ მაშინ ტყვეობაში შობილი მონები ერჩიათ აფრიკიდან ჩამოყვანილებს. თავისუფლად შობილი მონები გაქცევას ან სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულებას ხშირად ცდილობდნენ, რაც მონათმფლობელებს აზარალებდა.

როცა „კუპრისფერ ჯეკს“ თექვსმეტი წელი შეუსრულდა, სხვა რამდენიმე მონასთან ერთად კუნძულ სენ-დომენგზე[186] შაქრის პლანტატორს მიჰყიდეს. დიდ, კბილებჩამტვრეულ მონას იასენთი[187] შეარქვეს. იმ პლანტაციაში იასენთი თავის თანასოფლელ დედაბერს შეხვდა. ქალი მთელი ცხოვრება მოახლედ მუშაობდა, სანამ სიბერისა და ართრიტისგან თითები არ გაუშეშდა. სწორედ მისგან შეიტყო იასენთმა, რომ თეთრკანიანები განგებ აცალკევებდნენ ერთი სოფლის, ქალაქის ან მხარის ტყვეებს, რადგან აჯანყებასა და არეულობას უფრთხოდნენ. არც ის მოსწონდათ, მონები ერთმანეთს მშობლიურ ენაზე რომ ესაუბრებოდნენ.

იასენთმა ცოტა ფრანგული ისწავლა და კათოლიკური ეკლესიის სწავლებებიც გააცნეს. შაქრის ლერწმის ჭრას დილაუთენია, მზის ამოსვლამდე იწყებდა და დაღამებულზე, მზის ჩასვლის შემდეგ წყვეტდა.

იასენთს რამდენიმე შვილი გაუჩნდა. აკრძალვის მიუხედავად, შუაღამისას სხვა მონებთან ერთად ტყეში მიდიოდა კალინდას საცეკვაოდ და დამბალა-ვედოსთვის, შავი გველის სხეულის მქონე ღმერთისთვის, სამღერად. იასენთი უმღერდა ელეგბას, ოგუნს[188], შანგოს[189], ზაკას[190] და მრავალ სხვა ღმერთს, რომლებიც ტყვეებმა თავიანთი სამშობლოდან თავიანთივე გონებითა და გულით საიდუმლოდ ჩაიყოლეს კუნძულზე.

სენ-დომენგის შაქრის პლანტაციებში მონები ათ წელზე მეტს იშვიათად ცოცხლობდნენ. თავისუფალი დრო ცოტა ჰქონდათ – ორი საათი შუადღის პაპანაქებაში და ხუთი საათი ღამის სიბნელეში (თერთმეტიდან ოთხ საათამდე) – და ეს დრო უნდა გამოეყენებინათ არა მხოლოდ დასაძინებლად და საოცნებოდ, არამედ თავიანთი საზრდოს მოსაწევადაც, რადგან ბატონები მონებს თვითონ კი არ აჭმევდნენ, მათ მიწის პატარ-პატარა ნაკვეთებს აძლევდნენ დასამუშავებლად. მიუხედავად ამისა, მონები ღამღამობით შეკრებას, ცეკვას, მღერას და თავიანთი ღმერთების თაყვანისცემას ახერხებდნენ. სენ-დომენგის მიწა ნაყოფიერი იყო, დაჰომეის, კონგოსა და ნიგერის ღმერთებმა ღრმად გაიდგეს ფესვები, გაიხარეს, გაიზარდნენ და თავისუფლებას ჰპირდებოდნენ ყველას, ვინც ღამღამობით კორომებში ეთაყვანებოდა და ადიდებდა მათ.

იასენთი ოცდახუთი წლის იყო, როცა ხელისზურგზე ობობამ უკბინა. ნაკბენი გაუმიზეზდა და ხორცმა ხმობა დაიწყო. მალე მთელი მკლავი გაუსივდა და გაულურჯდა, საშინლად ეწვოდა და უყარდა.

იასენთს ახალნახადი რომი დაალევინეს, მკლავი მხართან გადაუხერხეს და ჭრილობა ცეცხლში გახურებული მაჩეტეთი მოუწვეს. ერთი კვირა ციებცხელებიანი იწვა. შემდეგ ისევ სამუშაოს დაუბრუნდა.

ცალხელა მონა იასენთი 1791 წლის აჯანყებაში მონაწილეობდა.

კორომში იასენთს თავად ელეგბა დაეპატრონა, მასზე ამხედრდა, როგორც თეთრკანიანები მხედრდებოდნენ ცხენებზე და მისი პირით ამეტყველდა. იასენთს ნალაპარაკევიდან ბევრი არაფერი ახსოვდა, მაგრამ ვინც მოუსმინა, იმათ უთხრეს, ტყვეობიდან გათავისუფლებას დაგვპირდიო. იასენთს მხოლოდ ის ახსოვდა, რომ მტკივნეული ერექცია ჰქონდა, ასო კვერთხივით გაუმაგრდა, და ორივე ხელი – საღიც და მოჭრილიც – მთვარისკენ აღაპყრო.

ღორი დაკლეს, პლანტაციაში მომუშავე ქალებმა და კაცებმა მისი თბილი სისხლი დალიეს და ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცეს. თავი გამოაცხადეს თავისუფლებისთვის მებრძოლებად და ყველა იმ ქვეყნის ღმერთების მორჩილებად, საიდანაც გაიტაცეს და უცხო, შორეულ მხარეში მონებად ჩამოიყვანეს.

– თუ თეთრკანიანებთან ბრძოლაში დავიხოცებით, – ეუბნებოდნენ ერთმანეთს, – აფრიკაში, ჩვენს სამშობლოში, ჩვენს სოფლებში გავცოცხლდებით.

აჯანყებულთა შორის მეორე იასენთიც იყო, ამიტომ აგასუს „ცალხელა გოლიათი“ შეარქვეს. ის იბრძოდა, ღმერთებს თაყვანს სცემდა და მსხვერპლს სწირავდა, გეგმებს

აწყობდა. თვალწინ მეგობრები და საყვარელი ადამიანები ეხოცებოდა, მაგრამ ბრძოლას აგრძელებდა.

პლანტატორებთან და საფრანგეთიდან გამოგზავნილჯართან სისხლიანი, სასტიკი ბრძოლა თორმეტ წელს გაგრძელდა. მონები არ დანებდნენ, იარაღი არ დაყარეს და რაოდენ დაუჯერებლადაც უნდა ჟღერდეს, გაიმარჯვეს.

1804 წლის პირველ იანვარს სენ-დომენგის დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ახალშექმნილი სახელმწიფო მალე მთელი მსოფლიოსთვის ჰაიტის რესპუბლიკის სახელით გახდა ცნობილი. „ცალხელა გოლიათი“ ამ დღეს არ მოსწრებია, 1802 წლის აგვისტოში ფრანგმა ჯარისკაცმა წამოაგო ხიშტზე და მოკლა.

„ცალხელა გოლიათის“ (რომელსაც ოდესღაც იასენთი ერქვა, მანამდე კი – „კუპრისფერი ჯეკი“, ხოლო გულში თავის თავს მუდამ აგასუს უწოდებდა) სიკვდილის წამს, მისმა დამ, რომელსაც იგი ვუტუტუს სახელით იცნობდა, მაგრამ კაროლინის პლანტაციაში ჯერ მერი შეარქვეს, მერე, როცა მოახლედ დაიწყო მუშაობა – დეიზი, ხოლო ნიუ-ორლეანში ლავერების ოჯახს რომ მიჰყიდეს – სუკი, მკერდში ცივი ხიშტის ძგერება იგრძნო, კივილი მორთო და გულამოსკვნილი ატირდა. მისმა ტყუპმა გოგოებმა გაიღვიძეს და აბღავლდნენ. ახალშობილებს ყავისფერი კანი ჰქონდათ და არა ისეთი შავი, როგორიც მის პირველ სამ შვილს, პლანტაციაში მუშაობისას რომ გააჩინა თავადაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა გოგომ. ბოლოს რომ ნახა ისინი, სანამ ნიუ-ორლეანში გაყიდდნენ, უფროსი თხუთმეტი წლის იყო, უმცროსი – ათის, შუათანა გოგო კი – ერთი წლის მკვდარი.

ხმელეთზე გადმოსმის შემდეგ სუკი მრავალჯერ ცემეს, ერთხელ ჭრილობებზე მარილი მოაყარეს, ერთხელ კი ისე მწარედ და დიდხანს ამათრახეს, რომ რამდენიმე დღე ვერც ჯდებოდა და ზურგზე თითის დაკარებაზეც კი ტკივილისგან კიოდა. ახალგაზრდობაში რამდენჯერმე გააუპატიურეს: შავკანიანმა კაცებმაც, რომლებსაც ხის ფიცარზე ღამღამობით გვერდით უწვენდნენ, და თეთრკანიანებმაც. ჯაჭვითაც არაერთხელ დააბეს. თუმცა მაშინ არ უტირია. ძმასთან განშორების შემდეგ მხოლოდ ერთხელ იტირა. ეს ჩრდილოეთ კაროლინაში მოხდა, როცა ძაღლებსა და მონა ბავშვებს საჭმელი ერთ ბაგაში ჩაუყარეს და მის პატარა შვილებს ნარჩენებისთვის ძაღლებთან კინკლაობა მოუხდათ. მსგავსი რამ იმ პლანტაციაზე წინათაც ბევრჯერ ენახა და შემდეგაც ბევრჯერ ნახა, მაგრამ სწორედ იმ დღეს ამის დანახვაზე გული ძლიერ დასწყდა და იტირა.

კარგა ხანს ლამაზი იყო. მერე მრავალწლიანმა ტანჯვამ დაღი დაასვა და დამახინჯდა. სახე დაუნაოჭდა და წაბლისფერ თვალებში სევდა ჩაუდგა.

თერთმეტი წლის წინ, ოცდახუთი წლისას, მარჯვენა ხელი გაუხმა. მისი თეთრკანიანი ბატონები მიზეზს ვერაფრით მიხვდნენ. ძვლებზე თითქოს ხორცი შემოადნა და ახლა მარჯვენა ხელი გაძვალტყავებული, თითქმის უმოძრაოდ ეკიდა გვერდზე. დახეიბრებული სუკი შინამოსამსახურედ აიყვანეს.

პლანტაციის მფლობელ კასტერტონების ოჯახს მისი მომზადებული საჭმელი და დალაგებული სახლი მოსწონდა, მაგრამ მისის კასტერტონს გამხმარი ხელი

აფრთხობდა და მალე ერთი წლით ლუიზიანიდან გადმოსახლებულ ლავერების ოჯახს მიჰყიდეს. მისტერ ლავერი მსუქანი, მხიარული კაცი იყო, კარგი მზარეული და მოახლე სჭირდებოდა და მონა დეიზის გამხმარი მკლავი სულაც არ ეზიზღებოდა. ერთი წლის შემდეგ საცხოვრებლად ისევ ლუიზიანაში რომ დაბრუნდნენ, მოახლე სუკიც თან წაიყვანეს.

ნიუ-ორლეანში სუკისთან მალამოების, სიყვარულისელექსირებისა და პატარა ავგაროზების საყიდლად კაცებიც დადიოდნენ და ქალებიც; მათ შორის, დიახ, შავკანიანები ჭარბობდნენ, მაგრამ თეთრკანიანებიც ერივნენ. ლავერები ამაზე თვალს ხუჭავდნენ. შეიძლება უხაროდათ კიდეც და პრესტიჟულად მიაჩნდათ, რომ მათ მონას ხალხი უფრთხოდა და პატივს სცემდა. თუმცა, თავისუფლების ყიდვაზე უარს ეუბნებოდნენ.

სუკი ღამღამობით მდინარესთან ჩადიოდა და კალინდასა და ბამბულას ცეკვავდა. მდინარის პირას მოცეკვავეებს წყლის შავი გველი ჰყავდათ თავიანთ ვუდუდ. მართალია, სუკის თანამემამულეების ან სხვა აფრიკული ერების ღმერთები არ ჩასახლებულან ადგილობრივ მონებში, ისე როგორც სუკის, მისი ძმის ან სენ-დომენგის მონებში ჩასახლდნენ, მაგრამ მაინც გამუდმებით უხმობდა მათ და წყალობას სთხოვდა.

სუკის თეთრკანიანებისგან ესმოდა, როგორ საუბრობდნენ სანტო-დომინგოს (აქაურები ასე უწოდებდნენ იმ ადგილს) აჯანყებაზე, მონები მარცხისთვის განწირულები არიანო – „წარმოგიდგენიათ! კაციჭამიების ქვეყანა!“ – მაგრამ თანდათან იქაური ამბების მოყოლა შეწყვიტეს.

მალე საერთოდ დაივიწყეს სანტო-დომინგო, ვითომ არც არასდროს არსებობდა; სიტყვა ჰაიტის კი საერთოდ არ ახსენებდნენ. თითქოს მთელმა ამერიკელმა ერმა გადაწყვიტა, რომ რწმენისა და სურვილის ძალით კარიბის ზღვაში მდებარე იმხელა კუნძულს გააქრობდა.

ლავერების ბავშვების მთელი თაობა სუკის მეთვალყურეობით გაიზარდა. მათგან ყველაზე უმცროსი პატარაობისას სუკის ვერ ამბობდა და მას დედილო ზუზუს უწოდებდა. ეს მეტსახელი შერჩა. ახლა, 1821 წელს, სუკი ორმოცდათხუთმეტი წლისა იყო, მაგრამ უფრო ხნიერად გამოიყურებოდა.

მან უფრო მეტი საიდუმლო იცოდა, ვიდრე სანიტა დედემ, რომელიც კაბილდოს[191] წინ ტკბილეულს ყიდდა, და მარია სალოპემ, რომელიც თავს ვუდუს დედოფალს უწოდებდა: მაგრამ დედილო ზუზუსგან განსხვავებით, ორივე თავისუფალი ფერადკანიანი ქალი იყო; დედილო ზუზუს კი, ბატონის თქმით, მონობაშივე ამოხდებოდა სული.

ერთ დღეს დედილო ზუზუსთან ახალგაზრდა ქალი მოვიდა და სთხოვა, გაერკვია, მის ქმარს რა დაემართა. მკერდსავსე, ამაყი ქალი პარის ქვრივად გაეცნო, მის ძარღვებში აფრიკელის, ევროპელისა და ინდიელის სისხლი ჩქეფდა. მოწითალო კანი ჰქონდა, თმა შავად უპრიალებდა. შავი თვალებით მედიდურად იმზირებოდა. ჩემი ქმარი, ჟაკ პარი, ხომ არ მომკვდარაო, აინტერესებდა. სანტო-დომინგოდან სხვა

მრავალ იმიგრანტთან ერთად გამოქცეული, ოდესღაც წარჩინებული ოჯახის უფროსის უკანონო შვილი და თავისი მომხიბვლელი, ახალგაზრდა ცოლივით თავისუფლად შობილი ჟაკ პარი, ზუსტად სამი მეოთხედით თეთრკანიანი იყო.

– ჩემი ჟაკი მოკვდა? – ჰკითხა პარის ქვრივმა, რომელიც პარიკმახერად მუშაობდა, ნიუორლეანელ მდიდარ ქალბატონებთან შინ მიდიოდა და საზოგადოებრივ თავყრილობებზე წასვლის წინ მოდურად უვარცხნიდა თმას. დედილო ზუზუ ძვლებს დაეკითხა რჩევას და უარის ნიშნად თავი გააქნია.

– თეთრ ქალთანაა, სადღაც ჩრდილოეთში, – უპასუხაქალს, – ოქროსფერთმიან, თეთრკანიან ქალთან. ცოცხალია, – ჯადოქრობა არ დასჭირვებია. ნიუ-ორლეანში ყველამ მშვენივრად იცოდა, ვისთან გაიქცა ჟაკ პარი და რა ფერის თმა ჰქონდა იმ ქალს.

დედილო ზუზუს გაუკვირდა, პარის ქვრივმა როგორ არ იცოდა, რომ ჟაკი ყოველ ღამე სადღაც კოლფაქსში კვარტერონის[192] ჭუჭუს ვარდისფერკანიან გოგოს ურჭობდა. უფრო ზუსტად, მთლად ყოველ ღამე ვერა, რადგან, თუ ძალიან დათვრებოდა, ჭუჭუ მხოლოდ მოსაფსმელად უვარგოდა. ან შეიძლება პარის ქვრივმა ეს მშვენივრად იცოდა და სინამდვილეში სულ სხვა მიზეზით მოვიდა.

მას შემდეგ პარის ქვრივი მონა დედაბერს კვირაში ერთი-ორჯერ სტუმრობდა ხოლმე. ერთი თვის შემდეგ ძღვენი მოართვა: ბაფთები, კვლიავიანი ნამცხვარი და შავი მამალი.

– დედილო ზუზუ, – უთხრა გოგომ, – დროა, შენი ცოდნა გამანდო.

– დიახ, – უპასუხა დედილო ზუზუმ, რომელიც მიხვდა, საითაც უბერავდა ქარი. თანაც, სხვა რა გზა ჰქონდა? პარის ქვრივმა თვითონ გაანდო, აპკიანი ფეხის თითებით დავიბადეო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ტყუპისცალი დედის მუცელშივე მოკლა.

გოგოს ასწავლა, რომ ბაწარზე აცმული ჯავზის ორი კაკლის კისერზე შებმა გულის შუილს შველის, ხოლო ფრთაგაუმართავი მტრედის შუაზე გაჭრა და ავადმყოფის თავზე დადება სიცხეს აგდებს. ასწავლა, როგორ გაეკეთებინა სურვილის ამხდენი ქისა; ტყავის პატარა პარკში ცამეტი ერთცენტიანი, ცხრა ბამბის თესლი და შავი ტახის ჯაგარი ჩაყარა და უჩვენა, როგორ დაესრისა ქისა ნატვრის ასასრულებლად.

პარის ქვრივმა ყველაფერი დაიმახსოვრა, რაც დედილო ზუზუმ უთხრა. თუმცა, ღმერთებით დიდად არ დაინტერესებულა. უფრო მეტად პრაქტიკული რამეების სწავლა უნდოდა. მაგალითად, ძალიან გაუხარდა, როცა შეიტყო, რომ, თუ ცოცხალ ბაყაყს თაფლში ჩააწებ და მერე ჭიანჭველების ბუდეში ჩადებ, როცა ჭიანჭველები ხორცს გააცლიან და ძვლებს გაასუფთავებენ, ყურადღებით დაკვირვებისას გულის ფორმის ძვალს იპოვი, კიდევ – კაუჭიან ძვალს, რომელსაც თუ იმის ტანსაცმელზე მიამაგრებ, ვისაც თავი გინდა შეაყვარო, ხოლო გულის ფორმის ძვალს უსაფრთხოდ შეინახავ (რადგან თუ დაკარგავ, შეყვარებული ავი ძაღლივით გადაგემტერება), მაშინ შენთვის სასურველი ადამიანის გულს სამუდამოდ დაეპატრონები.

ისწავლა ისიც, რომ, თუ გამხმარი გველის ფხვნილს შენს მტერს უმარილში ჩაუყრი, აუცილებლად დაბრმავდება, ხოლო თუ საცვალს მოჰპარავ, ამოაბრუნებ და ღამით აგურის ქვეშ დამარხავ, წყალში დაიხრჩობა.

დედილო ზუზუმ პარის ქვრივს უჩვენა, სასწაულმოქმედი ძირხვენა, ჯონ დამპყრობლის[193] დიდი და პატარა ფესვები, დრაკონის სისხლი[194], კატაბალახა და მარწყვბალახა. უჩვენა, როგორ მოეხარშა დამაუძლურებელი ჩაი, გამტყუებელი ნაყენი და შინგოს ჯადოსნური წყალი.

ეს და კიდევ უფრო მეტი რამ ასწავლა დედილო ზუზუმ პარის ქვრივს, მაგრამ მან მაინც იმედი გაუცრუა. უამრავი ფარული ჭეშმარიტება გაუმხილა, უამბო ელეგბაზე, აიდო-ჰვედოზე[195], მავუსა და სხვებზე, მაგრამ პარის ქვრივს (ახლა მის ნამდვილ სახელს გეტყვით, სახელს, რომლითაც ცნობილი გახდა: ქალს მარი ლავო ერქვა. დიდებულ მარი ლავოში არ აგერიოთ, მის ქალიშვილში[196]. დედა მარი ლავომ მოგვიანებით ახალი საყვარელი გაიჩინა და გლაპიონის ქვრივად იქცა.) შორეული ქვეყნის ღმერთები არ აინტერესებდა. აფრიკის ღმერთებმა სანტო-დომინგოს ბარაქიან, შავ მიწაში კი გაიხარეს, მაგრამ აქაურობა, სიმინდისა და ნესვების, კიბორჩხალებისა და ბამბის მიწა, მათთვის უნაყოფო და მწირი აღმოჩნდა.

– საერთოდ არ მიგდებს ყურს, – შესჩივლა დედილო ზუზუმ კლემენტინს, თავის მესაიდუმლეს, რომელიც იმ უბანში ბევრს ურეცხავდა ფარდებსა და ქვეშაგებს. კლემენტინს ცალი ლოყა დამწვარი ჰქონდა, მისი ერთ-ერთი შვილი კი ცოცხლად დაიფუფქა, როცა სამრეცხაოში სპილენძის ქვაბი აყირავდა და მდუღარე წყალი ზედ გადაესხა.

– მაშინ ნუღარ ასწავლი, – უთხრა კლემენტინმა.

– ვასწავლი, მაგრამ, რაც ღირებულია, იმას ვერ ამჩნევს – მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რას როგორ გამოიყენებს. მე ბრილიანტის ქვებს ვაძლევ, მას მხოლოდ ბრჭყვიალა შუშა ხიბლავს, მე წითელ ბორდოს ვთავაზობ, ის მდინარის წყალს ეტანება. მე მწყრის ხორცზე ვეპატიჟები, მას მხოლოდ ვირთხების ჭამა უნდა.

– მაშინ რატომ არ ეშვები? – ჰკითხა კლემენტინმა.

დედილო ზუზუ მხრებს იჩეჩს და გამხმარი ხელი უთრთის.

პასუხი არ აქვს. შეუძლია კლემენტინს უთხრას, იმიტომ ვასწავლი, რომ სიცოცხლე მიხარიაო: დედილო ზუზუს ხომ უამრავი თავისნაირის სიკვდილი უნახავს, თვითონ კი ამდენ ხანს გაძლო. შეუძლია უთხრას, რომ ოცნებობს იმ დღეზე, როცა მონები აჯანყდებიან, როგორც აჯანყდნენ (და დამარცხდნენ) ლაპლასში, მაგრამ გულის სიღრმეში მშვენივრად იცის, რომ აფრიკის ღმერთების დახმარების გარეშე ისინი ვერასდროს მოერევიან თეთრკანიან დამატყვევებლებს, ვერასდროს დაბრუნდებიან თავიანთ სამშობლოებში.

დედილო ზუზუს სიცოცხლემ აზრი თითქმის ოცი წლის წინ, იმ საშინელ ღამეს დაკარგა, როცა მკერდში ცივი ხიშტის ძგერებით გამოწვეულმა ტკივილმა გამოაღვიძა. ახლა მას მხოლოდ სიძულვილი აცოცხლებს. სიძულვილზე თუ ჰკითხავთ, ვერაფერს

გეტყვით გემის აქოთებულ ტრიუმში დამწყვდეულ თორმეტი წლის გოგოზე – ამდენმა გაროზგვამ, ამდენმა გამათრახებამ, ბორკილებში გატარებულმა ამდენმა ღამემ, ამდენმა განშორებამ, ამდენმა ტანჯვამ ის მოგონებები გადაფარა. სამაგიეროდ, გიამბობთ თავის ვაჟიშვილზე, რომელსაც ბატონმა ცერა თითი მოაჭრა, როცა შეიტყო, რომ ბიჭმა წერა-კითხვა იცოდა. გიამბობთ თავის ქალიშვილზე, თორმეტი წლისა უკვე რვა თვის ფეხმძიმედ რომ იყო ზედამხედველისგან. გიამბობთ, როგორ ამოთხარეს წითელ მიწაში ორმო შიგ ფეხმძიმე გოგოს მუცლის ჩასატევად და მერე ზურგის გასისხლიანებამდე როგორ გაამათრახეს იგი. მიუხედავად ზომაზე ამოთხრილი მიწისა, მისმა ქალიშვილმა ბავშვიც დაკარგა და თვითონაც დაიღუპა იმ კვირადღეს, როცა თეთრკანიანები ეკლესიაში წირვას ესწრებოდნენ... ტკივილი გაუსაძლისია.

– თაყვანი ეცი მათ, – უთხრა დედილო ზუზუმ პარის ქვრივს ნაშუაღამევს, როცა წელზემოთ შიშვლები იდგნენ მდინარის პირას. ჰაერი არ იძვროდა და ოფლში იწურებოდნენ ნოტიო ღამეში. მთვარის თეთრ შუქზე კანი უბზინავდათ.

პარის ქვრივისთვის მის ქმარ ჟაკს (რომელიც სამი წლის შემდეგ მეტად უჩვეულო ვითარებაში გარდაიცვალა) ცოტა რამ უკვე ეამბა სანტო-დომინგოს ღმერთებზე, მაგრამ მარის მაინც არ აინტერესებდა. ქალს სწამდა, რომ ადამიანს ძალას რიტუალები ანიჭებენ და არა – ღმერთები.

დედილო ზუზუ და პარის ქვრივი ერთად ღიღინებდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ და გოდებდნენ დაჭაობებულ მდინარეში. თავისუფლად შობილი ფერადკანიანი ქალი და ხელგამხმარი მონა ქალი გველშავებს შორის მღეროდნენ.

– მთავარი მხოლოდ შენი წარმატება და მტრების მარცხი არაა, – თქვა დედილო ზუზუმ.

უამრავი სარიტუალო სიტყვა, სიტყვები, რომლებიც ოდესღაც იცოდა და მისმა ძმამაც იცოდა, დედილო ზუზუს აღარ ახსოვდა, მაგრამ როგორც მარი ლავოს უთხრა, სიტყვებზე უფრო მნიშვნელოვანი მელოდია და რიტმი იყო; და იქ, წყალში მოსრიალე გველშავებს შორის, დაჭაობებულ მდინარეში, დედილო ზუზუს უჩვეულო ხილვა ეწვია. ხედავს სიმღერების რიტმს, კალინდას რიტმს, ბამბულას რიტმს, ეკვატორული აფრიკის ყველა რიტმი ნელ-ნელა ვრცელდება ამ შუაღამის მიწაზე და მალე მთელი მხარე ირხევა და ქანაობს იმ ღმერთების რიტმებზე, რომელთა სამეფოებიდანაც დედილო ზუზუ ჩამოვიდა. მაგრამ ესეც კი, ხვდება იგი, ესეც კი არ კმარა.

მერე ლამაზი მარისკენ ტრიალდება და მისი თვალებით შესცქერის საკუთარ თავს, შავკანიან მოხუც ქალს, მის დანაოჭებულ სახეს, უღონოდ ჩამოკიდებულ, გაძვალტყავებულ ხელს, თვალებს, რომლებსაც უნახავს, როგორ ებრძოდნენ მისი შვილები ძაღლებს საჭმლის ნარჩენებისთვის. თავისი თავი დაინახა და იმწამს პირველად იგრძნო ახალგაზრდა ქალის შიში და ზიზღი მის მიმართ.

მერე გაეცინა, დაიხარა და ნორჩ ხესავით გრძელ და თოკივით სქელ გველშავას ჩაავლო ხელი.

– აი, – თქვა მან, – აქ იქნება ჩვენი ვუდუ, – და მორჩილი გველი ყვითელკანიან მერის რომ ეჭირა, იმ კალათაში ჩააგდო.

უცებ მთვარის შუქზე მეორე და ბოლო ხილვა ეწვია. დაინახა თავისი ძმა აგასუ, რომელიც თორმეტი წლის ბიჭი კი აღარ იყო, უკანასკნელად დიდი ხნის წინ ბრიჯტაუნის მონათა ბაზრობაზე რომ ნახა, არამედ თავმოტვლეპილი, კბილებჩამტვრეული და ნაიარევებით ზურგაჭრელებული გოლიათი. მარჯვენა ხელის ადგილას ტაკვი მოუჩანდა. იღიმოდა. დედილო ზუზუმ საღი ხელი გაიშვირა მისკენ.

– დარჩი, ცოტა ხანს დარჩი, – დაიჩურჩულა მან, – მალე მოვალ. მალე შენთან ვიქნები.

მარი პარიმ კი იფიქრა, რომ დედაბერი მას ელაპარაკებოდა.

მეთორმეტე თავი

ამერიკის სარწმუნოება, მის ზნეობასთან ერთად, შემოსავლიან ფასიან ქაღალდებშია დაბანდებული. ამერიკას კურთხეული ერის შეუვალი პოზიცია უჭირავს – კურთხეულია, რადგან ამას იმსახურებს; ხოლო მისი ძეები, რომელი თეოლოგიური დოქტრინების მომხრენი ან მოწინააღმდეგენიც უნდა იყვნენ, უპირობოდ ეთანხმებიან ამ ეროვნულ მრწამსს. აგნეს რეპლიერი[197], „ეპოქები და ტენდენციები“

შედოუ საჭესთან იჯდა და დასავლეთით მიჰყავდა მანქანა. გაიარეს ვისკონსინი, მინესოტა და ჩავიდნენ ჩრდილოეთ დაკოტაში, სადაც დათოვლილი მთა-გორაკები ვეებერთელა მძინარე ბიზონს ჰგავდა. მრავალი კილომეტრის მანძილზე მას და უენზდეის სხვა არაფერი უნახავთ. შემდეგ სამხრეთით გადაუხვიეს და სამხრეთ დაკოტის საზღვარი გადაკვეთეს. გეზი რეზერვაციისკენ ეჭირათ.

უენზდეიმ „ლინკოლნი“ ერთ დიდ, მოგრუხუნე, ძველისძველ „უინებეიგოზე“[198] გადაცვალა, რომლის მართვაც, „ლინკოლნისგან“განსხვავებით, შედოუს დიდად არ ეხალისებოდა, თანაც, ფურგონი აშკარად ხვადი კატის სუნით იყო გაჟღენთილი.

ჩაუქროლეს საგზაო მაჩვენებელს, რომელზეც მითითებული იყო, რომ რაშმორის მთისგან კიდევ რამდენიმე ასეული კილომეტრი აშორებდათ.

– აი, ეს კი წმინდა ადგილია, – ჩაიბურტყუნა უენზდეიმ.

შედოუს ეგონა, უენზდეის ეძინა.

– გამიგია, რომ ინდიელებს ეს ადგილი წმინდად მიაჩნდათ.

– არის კიდეც წმინდა ადგილი, – თქვა უენზდეიმ, – მაგრამ ამერიკელებს აქ მოსასვლელად და სიწმინდისთვის თაყვანის საცემად საბაბი სჭირდებოდათ. ჩვენს დროში ხალხი ასე უმიზეზოდ მთის სანახავად თავს არ შეიწუხებს. ამიტომაც მისტერ გუცონ ბორგლუმმა მთის კალთაზე პრეზიდენტის სახეები ამოკვეთა. ჰოდა, ხალხი ახლა უკვე ჯგროდ დადის საკუთარი თვალით იმის სანახავად, რაც არაერთ საფოსტო მარკაზე უნახავს.

– ერთ ტიპს ვიცნობდი, „კუნთების ფერმაში“ ვარჯიშობდა. იმან მითხრა, დაკოტელი ინდიელი ახალგაზრდები მთაზე ადიან, სიკვდილს არ უშინდებიან და პრეზიდენტის თავებზე ცოცხალ ჯაჭვს კრავენ, რომ სულ განაპირას მდგარმა პრეზიდენტს ცხვირზე მიაფსასო.

უენზდეიმ გადაიხარხარა.

– ჰა! რა მაგარია! რომელიმე პრეზიდენტს განსაკუთრებით ხომ არ ერჩიან?

– ეგ აღარ უთქვამს, – მხრები აიჩეჩა შედოუმ.

„უინებეიგოს“ ბორბლების ქვეშ კილომეტრები უჩინარდებოდა. შედოუმ წარმოიდგინა, რომ თვითონ არ ინძრეოდნენ, გარშემო კი ამერიკის ლანდშაფტი მიქროდა 105 კმ/სთ სიჩქარით. ზამთრის ნისლი საგნების კიდეებს ბურავდა.

მგზავრობის მეორე დღის შუადღემ მოაწია. დანიშნულების ადგილამდე შორი აღარ იყო. მცირე ფიქრის შემდეგ შედოუმ თქვა: – წინა კვირას, როცა სან-ფრანცისკოში ვიყავით, ლეიკსაიდში გოგო გაუჩინარდა.

– ჰმმ? – მაინცდამაინც დიდი ცნობისმოყვარეობა არ დასტყობია უენზდეის.

– გოგოს ელისონ მაკგავერნი ჰქვია. პირველი არაა, თურმე სხვა ბავშვებიც გამქრალან. ზამთარში იკარგებიან. უენზდეიმ წარბები შეჭმუხნა.

– ტრაგიკული რამაა, არა, რძის კოლოფებსა და გზისპირა სასადილოების კედლებზე მიკრული ნორჩი სახეები? ისე, აღარც კი მახსოვს, რძის კოლოფზე მსგავსი რამ როდის ვნახე. „ხომ არ გინახავხარ?“ – გვეკითხებიან ეს ფოტოები. ერთობ ეგზისტენციალური კითხვაა ჩვეულებრივ შემთხვევაშიც კი. „ხომ არ გინახავხარ?“ შემდეგ გზაგასაყართან გადაუხვიე.

შედოუს ვერტმფრენის ხმა ჩაესმა, მაგრამ სქელი ღრუბლების გამო არ ჩანდა, მართლა გადაიფრინა თუ არა.

– ლეიკსაიდი რატომ შეარჩიე? – ჰკითხა უენზდეის.

– უკვე აგიხსენი. კარგი, მყუდრო ადგილია შენ დასამალად. იქ რადარზე არ ჩანხარ, ვერავინ მოგაგნებს.

– რატომ?

– იმიტომ. ახლა მარცხნივ გადაუხვიე. შედოუმ საჭე მარცხნივ გადაატრიალა.

– ეს რაღაა? – თქვა უენზდეიმ, – ჯანდაბა! სიჩქარე შეანელე, მაგრამ არ გაჩერდე.

– მეტყვი თუ არა, რა ხდება?

– პრობლემა გვაქვს. სხვა გზა ხომ არ იცი?

– არა. სამხრეთ დაკოტაში პირველად ვარ, – უპასუხა შედოუმ, – თან, წარმოდგენა არ მაქვს, სად მივდივართ. მთის გადაღმა ნისლში რაღაცამ წითლად გაიელვა.

– გზა ჩახერგილია, – თქვა უენზდეიმ. ხელი პიჯაკის ჯერ ერთ ჯიბეში ჩაიყო, მერე – მეორეში. რაღაცას გამალებით ეძებდა.

– გავჩერდები და მივტრიალდები. ჯიპი რომ გვყავდეს, გზიდან გადავიდოდით და ისე ვივლიდით, მაგრამ „უინებეიგოთი“ გზისპირა თხრილზე გადასვლა რომ ვცადო, გადავყირავდებით.

– არა, ვერ მივტრიალდებით. უკანაც მოგვყვებიან, – უთხრა უენზდეიმ, – 20-25 კმ/სთის სიჩქარით იარე. შედოუმ უკანა ხედვის სარკეში ჩაიხედა. კილომეტრ-ნახევრით უკან ფარები ენთო.

– ნაღდად იცი? – ჰკითხა უენზდეის.

– როგორც ის, რომ ორჯერ ორი ოთხია, – ჩაიფხუკუნა ბერიკაცმა, – აჰ, ძლივს! – წამოიძახა და ჯიბიდან თეთრი ცარცის ნატეხი ამოიღო.

ავტოფურგონის ხელსაწყოთა დაფაზე ცარცით ჩხაპნა დაიწყო, თითქოს არითმეტიკული ამოცანის ამოხსნას ცდილობდა. ან იქნებ, უსახლკარო მაწანწალასავით, სხვა მაწანწალებს გრძელ, დაშიფრულ შეტყობინებას უტოვებსო, გაიფიქრა შედოუმ. მაგალითად, რამე ასეთს: „აქ ავი ძაღლია, სახიფათო ქალაქია, ქალები ლამაზები არიან, იზოლატორში სიმკაცრე არაა, ღამის გათევა შეიძლება...“

– კარგი, – თქვა უენზდეიმ, – ახლა 50 კმ/სთ-მდე გაზარდე სიჩქარე. ნუ შეანელებ.

უკან მომავალმა ერთ-ერთმა მანქანამ ციმციმები და სირენა ჩართო და უფრო სწრაფად წამოვიდა მათკენ.

– არ შეანელო, – გაუმეორა უენზდეიმ, – უნდათ, რომ ბარიერამდე მისვლამდე შევანელოთ სიჩქარე, – და ცარცით ჩხაპნა განაგრძო.

ბორცვს თხემზე მოექცნენ. ბარიერისგან ნახევარი კილომეტრიღა აშორებდათ. გზაზე და გზის პირას თორმეტი საპატრულო მანქანა და რამდენიმე დიდი, შავი ავტოფურგონი იდგა.

– ესეც ასე, – თქვა უენზდეიმ და ცარცი გადადო. „უინებეიგოს“ ხელსაწყოთა დაფა რუნების მსგავს უცნაურ ასო-ნიშნებს დაეფარა.

სირენიანი მანქანა ახლა ზუსტად მათ უკან მოდიოდა შესაბამისი სიჩქარით. მეგაფონით გაძლიერებული ხმა გაისმა: – გააჩერეთ!

შედოუმ უენზდეის შეხედა.

– მარჯვნივ გაუხვიე, – უთხრა მან, – გზიდან გადადი.

– ამ ძორძოხას გზიდან ვერ გადავიყვან. გადავყირავდებით.

– არაფერი მოგვივა. მარჯვნივ გაუხვიე. ახლავე!

შედოუმ მარჯვენა ხელით მოატრიალა საჭე, „უინებეიგო“ შეხტა და შეჯანჯღარდა. წამით გაიფიქრა, არ შევმცდარვარ, ავტოფურგონი გადაყირავდებაო, მაგრამ უეცრად საქარე მინაში სამყარო დაიშალა და ათრთოლდა, როგორც ანარეკლი ქარის მიერ აღელვებულ ანკარა წყაროს ზედაპირზე. ღრუბლები, ნისლი, თოვლი და დღე გაქრა. ბნელი ცა ცივად მოკაშკაშე ვარსკვლავებს მოეჭედა.

– მანქანა აქ გააჩერე, – უთხრა უენზდეიმ, – დარჩენილ გზას ფეხით გავივლით.

შედოუმ ძრავა გამორთო. „უინებეიგოს“ უკანა ნაწილში გადაინაცვლა და პალტო, ჩექმები და ხელთათმანები ჩაიცვა. მერე მანქანიდან ჩავიდა და დადგა.

– აბა, წავედით, – თქვა მან.

უენზდეიმ გაკვირვებით და ერთგვარი გაღიზიანებითა თუ სიამაყით შეხედა.

– რატომ არ მეკამათები? – ჰკითხა მან, – რატომ არ გაიძახი, რომ ეს შეუძლებელია? მშვიდად რატომ აკეთებ იმას, რაც მე გითხარი?

– იმიტომ, რომ ხელფასს კითხვების დასმაში არ მიხდი, – უპასუხა შედოუმ და ძალაუნებურად დაამატა სიმართლე: – მას შემდეგ, რაც ლორას შეემთხვა, აღარაფერი გამაკვირვებს.

– მის მკვდრეთით აღდგომას გულისხმობ?

– მის რობისთან წოლას. მაგრად მეწყინა. სხვა ყველაფერი სულერთია. ახლა საით?

უენზდეიმ მიუთითა და იქით წავიდნენ. სრიალა, ვულკანური წარმოშობის მინისებრ ქვებზე დგამდნენ ფეხს. გრილოდა, მაგრამ არ ყინავდა. დაღმართზე მოუხერხებლად, ფრთხილად დაიწყეს დაშვება. ძლივს შესამჩნევ, საცალფეხო ბილიკს მიუყვებოდნენ. შედოუმ ძირს გადაიხედა და წარმოუდგენელი რამ დაინახა.

– ეს რა ჯანდაბაა? – ჰკითხა უენზდეის, მაგრამ მან ტუჩებზე მიიდო თითი და თავი მკვეთრად გააქნია, ჩუმადო.

ბორცვის ძირას ტრაქტორისხელა, დიოდის ნათურებით აბრჭყვიალებული, ლურჯი ლითონის მექანიკური ობობა ჩაცუცქულიყო. იქვე გროვებად ეყარა ძვლები, რომელთა გვერდით სანთლის ალივით მკრთალი ალი ციმციმებდა.

უენზდეიმ შედოუს ანიშნა, ძვლის გროვებს არ მიუახლოვდეო. შედოუმ კიდევ ერთი ნაბიჯი გადგა განზე და მწარედაც ინანა, რადგან მინისებრ ზედაპირზე ფეხი გაუცურდა, წონასწორობა დაკარგა და კოტრიალ-კოტრიალით დაგორდა ფერდობზე. სცადა, ხელი ქვის შვერილისთვის წაევლო, მაგრამ ობსიდიანმა ტყავის ხელთათმანი ისე გაუხია, თითქოს ქაღალდის ყოფილიყოს. ბორცვის ძირას, მექანიკურ ობობასა და ძვლებს შორის, პირქვე დაეცა.

ხელს დაეყრდნო, წამოდგომა მოინდომა, მაგრამ უცებ აღმოაჩინა, რომ ხელისგულით ბარძაყის ძვალს ეხებოდა და...

...დღის შუქზე დგას, სიგარეტს ეწევა და მაჯის საათს დაჰყურებს. მის გარშემო მანქანები დგას, ზოგი – ცარიელი, ზოგი – არა. ბოლო ფინჯანი ყავა არ უნდა დამელიაო, ნანობს, რადგან თავს ძლივს იკავებს, ისე ეფსია.

ადგილობრივი პოლიციის ოფიცერი უახლოვდება. ზორბა ტიპია, ჭაღარაგარეული ხშირი ულვაშით. მისი სახელი აღარ ახსოვს.

– ვერ ვხვდები, როგორ გაგვექცნენ, – მობოდიშებით ეუბნება დაბნეული პოლიციელი.

– ოპტიკური ილუზიის ბრალია, ასეთ ცუდ ამინდში ხდება ხოლმე. ნისლში. მირაჟი იყო. სხვა გზით მიდიოდნენ, შეგვეშალა. ადგილობრივი პოლიციელი იმედგაცრუებას ვერ მალავს.

– აჰ, მეგონა, „საიდუმლო მასალებში“ რომ უცნაურობები ხდება, ისეთ რამეს შევესწარი.

– ვშიშობ, ეგეთი აღსანიშნავი არაფერი მომხდარა.

დროდადრო ბუასილი აწუხებს და ახლაც ეწვის უკანალი. დროზე უნდა დაბრუნდეს ვაშინგტონში. აჰ, ნეტავ სადმე ხე მაინც იდგეს, რომ ამოეფაროს. საშინლად ეფსია. სიგარეტის ნამწვს აგდებს და ფეხით სრესს.

ადგილობრივი პოლიციის ოფიცერი ერთ-ერთ საპატრულო მანქანასთან მიდის და მძღოლს

რაღაცას ეუბნება. ორივე თავს აქნევს.

იქნებ აჯობებს კრიჭა შეკრას, წარმოიდგინოს, რომ ირგვლივ არავინაა და მანქანის უკანა ბორბალთან მოფსას? ნეტავ ასე არ რცხვენოდეს. ჯანდაბას, მოვითმენო, ფიქრობს, მაგრამ მაშინვე ახსენდება სტუდენტთა კლუბის კედელზე გაკრული საგაზეთო ამონაჭერი, რომელიც ოცდაათი წლის წინ წაიკითხა: ჭკუის დამრიგებლური ამბავი ერთ მოხუცზე, რომელსაც იმის გამო, რომ ტუალეტი გაფუჭებული იყო, ავტობუსით ხანგრძლივი მგზავრობისას შარდის შეკავება მოუხდა და გზის დასასრულს კათეტერიზაცია დასჭირდა შარდის ბუშტის დასაცლელად...

რა სასაცილოა. თვითონ ბებერი სულაც არაა. აპრილში ორმოცდაათი წლისა გახდება. მისი „წყალგაყვანილობის სისტემა“ ჩინებულად მუშაობს.

მობილურ ტელეფონს იღებს, მენიუში შედის და კონტაქტებში პოულობს „სამრეცხაოს“. ტელეფონის ნომრის მფლობელს ასე რომ არქმევდა, ძალიან იხალისა – სახელი „U.N.C.L.E.-ის აგენტიდან“[199] ისესხა. თუმცა, არა... იმ სერიალიდან „სამკერვალო“ ისესხა, „სამრეცხაოს“ კი „აგენტ 86-ს“[200] დაესესხა. დღემდე უცნაურად ეჩვენება და ცოტათი ერიდება კიდეც, ბავშვობაში როგორ ვერ ხვდებოდა, ეს სერიალი რომ კომედიური იყო. ო, რა ძლიერ უნდოდა მაშინ, მაქსუელ სმარტივით თვითონაც ჰქონოდა ფეხსაცმელ-ტელეფონი... ქალმა უპასუხა.

– გისმენთ.

– მისტერ ტაუნი გელაპარაკებათ. მისტერ უორლდს[201] სთხოვეთ.

– ერთი წუთით. გავარკვევ, თუ სცალია.

სიჩუმე. ტაუნი იშმუშნება. ქამარს ექაჩება და შარვლის წელს უფრო მაღლა იწევს, შარდის ბუშტს რომ არ დააწვეს. სამაგიეროდ, ახლა მუცელზე უჭერს. ეს ზედმეტი ხუთი კილო უნდა მოიშოროს.

ამასობაში თავაზიანად ესალმებიან.

– გამარჯობა, მისტერ ტაუნ.

– გაგვექცნენ, – ეუბნება ტაუნი და მრისხანება იპყრობს. იმ ნაბიჭვრებმა, იმ ქეციანმა, ბინძურმა არამზადებმა ვუდი და სტოუნი დახოცეს. რა კარგი ბიჭები იყვნენ. მისის ვუდის მოტყვნა ძალიან კი უნდა, მაგრამ ვუდის სიკვდილიდან ჯერ საკმარისი დრო არ გასულა, ცოტა უნდა

მოიცადოს. ჯერჯერობით ქალს ორ კვირაში ერთხელ სადილად პატიჟებს ხოლმე, სამომავლოდ ნიადაგს იმზადებს; ქალი ყურადღებისთვის მადლიერია...

– როგორ?

– არ ვიცი. გზა ჩავკეტეთ, წასასვლელი არსად ჰქონდათ, მაგრამ როგორღაც მაინც დაგვისხლტნენ.

– ცხოვრების მორიგი პატარა საიდუმლო. არა უშავს. ადგილობრივები დააწყნარეთ?

– ვუთხარი, რომ ოპტიკური ილუზია იყო.

– დაიჯერეს?

– მგონი.

მისტერ უორლდის ხმა რაღაცნაირად ნაცნობია... რა უცნაური განცდაა, მისტერ უორლდისთვის ხომ უკვე ორი წელია მუშაობს, მას ყოველდღე ელაპარაკება, რა თქმა უნდა, მისი ხმა ეცნობა.

– ახლა ალბათ უკვე შორს იქნებიან.

– რეზერვაციაში ხალხი გავგზავნოთ, მათთვის გზის გადასაჭრელად?

– არ ღირს. მეტისმეტად ბევრი იურისდიქციული დაბრკოლება შეგვექმნება, ყველაფრის ერთბაშად მოგვარებას ვერ მოვახერხებთ. დრო საკმარისად გვაქვს. დაბრუნდით. ახალი სტრატეგიის შესამუშავებლად თათბირი უნდა გავმართოთ და სხვა რამისთვის ჯერ არ მცალია.

– პრობლემაა რამე?

– ერთმანეთის ჯიბრში დგომა. აქ მოვითათბიროთ-მეთქი, შევთავაზე, მაგრამ ტექნიკოსებს ოსტინში ან სან-ხოსეში უნდათ შეკრება, მოთამაშეებს – ჰოლივუდში, არახელშესახებებს – უოლ-სტრიტზე. ყველა თავისთან გვეპატიჟება. დათმობას არავინ აპირებს.

– რამეს ხომ არ დამავალებთ?

– ჯერ არა. ზოგს შევუღრენ, ზოგს – ხელს გადავუსვამ. ხომ იცით, როგორც ხდება.

– დიახ, სერ.

– საქმეს მიხედეთ, ტაუნ. კავშირი წყდება.

ნეტავ სპეცრაზმით დასხმოდა თავს იმ ოხერ „უინებეიგოს“, ან გზა დაენაღმა, ანდა ტაქტიკური ბირთვული რაკეტით აეწია ჰაერში, მაგ ნაბიჭვრებს ჭკუას ასწავლიდა და უჩვენებდა, რომ მათთან ხუმრობა არ ღირს. მისტერ უორლდმა სწორად უთხრა ერთხელ, მომავალს ცეცხლოვანი ასოებით ვწერთო.

ღმერთო, ახლავე თუ არ მოფსამს, უთირკმლოდ დარჩება, შარდის ბუშტი გაუსკდება. გაახსენდა მამის მკვეთრი ჩრდილოური აქცენტით ნათქვამი სიტყვები, რომლებიც

მისტერ ტაუნს ბავშვობაში მანქანით მგზავრობისას არაერთხელ მოუსმენია: „უნდა მოვფსა, თორემ გავასხამ...“

...და სწორედ მაშინ შედოუმ მუჭი გახსნა, სათითაოდ გაშალა ბარძაყის ძვალზე შემოჭდობილი თითები. მოშარდვა აღარ უნდოდა. ის ვიღაც სხვა იყო. ვარსკვლავებიანი ცის ქვეშ ქვიან დაბლობზე იდგა. ბარძაყის ძვალი ძვლების გროვაში ეგდო. უენზდეიმ კიდევ ერთხელ ანიშნა, არ იხმაუროო. მერე დაიძრა და შედოუც გაჰყვა.

მექანიკურმა ობობამ დაიჭრიალა და უენზდეი გაქვავდა. შედოუც გაჩერდა და მას დაუცადა. ობობის გვერდებზე მწვანე ნათურები ერთიმეორის მიყოლებით, ϫგუფϫგუფად აინთო. შედოუ შეეცადა, ხმამაღლა არ ესუნთქა.

წეღან რაც მოხდა, იმაზე ფიქრობდა. თითქოს ფანϫრიდან იყურებოდა ვიღაცის თავში. და უცებ მიხვდა, მისტერ უორლდის ხმა თვითონ ჩაესმა ნაცნობად. „ეს მე გავიფიქრე და არა – ტაუნმა. ამიტომაც გაიკვირვა“. გონება დაძაბა, მაგრამ ამაოდ, ხმის ამოცნობა, კონკრეტულ პიროვნებასთან გაიგივება ვერ შეძლო.

„არა უშავს, ადრე თუ გვიან, მივხვდები“, – დაიმშვიდა თავი.

მწვანე შუქი ϫერ გალურϫდა, შემდეგ გაწითლდა და ბოლოს ნელ-ნელა გამკრთალდა. ობობამ მექანიკური ფეხები მოიკეცა. უენზდეიმ წინსვლა განაგრძო. ეულ ფიგურად მოჩანდა ვარსკვლავთა ქვეშ, ფართოფარფლიანი ქუდი ეხურა, გაცვეთილ მუქ მოსასხამს არსაიდან მონაბერი ქარი უფრიალებდა, კვერთხს ვულკანური მინით მოფენილ მიწაზე არაკუნებდა.

როცა მექანიკური ობობა შორეულ, მკრთალ ნათებად გადაიქცა ველზე, უენზდეიმ თქვა: – ახლა უკვე უსაფრთხოა ლაპარაკი.

– სად ვართ?

– კულისებში, – უპასუხა უენზდეიმ.

– სადაო?

– წარმოიდგინე, რომ თეატრის სცენის უკან ვართ. პარტერიდან ავდექით და კულისებში დავდივართ. ეს მოკლე გზაა.

– იმ ძვალს რომ შევეხე, ვიღაც ტიპის, ვიღაც ტაუნის გონებაში აღმოვჩნდი. ეგეც იმ ϫაშუშთაგანია. ვეზიზღებით.

– ჰო.

– მის უფროსს მისტერ უორლდი ჰქვია. ვიღაცას მაგონებს, მაგრამ არ ვიცი, ვის. ტაუნის გონებაში ვიყურებოდი, ან შეიძლება უორლდისაში. ზუსტად ვერ გეტყვი.

– იციან, სად მივდივართ?

– მგონი, დროებით შეწყვიტეს ნადირობა. რეზერვაციაში ჩვენს დევნას არ აპირებენ.

რეზერვაციაში მივდივართ?

– შეიძლება, – უენზდეი წუთით კვერთხს დაეყრდნო, შემდეგ ისევ გზა განაგრძო.

– ეგ ობობისმაგვარი რაღაც რა იყო?

– მოდელის განსახიერება. საძიებო მანქანა.

– საშიშია?

– ყოველთვის უარესისთვის იყავი მზად, ჩემ ასაკამდე იცოცხლებ.

– შენ რა ხნის ხარ? – გაიღიმა შედოუმ.

– ჩემი ენის ხნისა, – უპასუხა უენზდეიმ, – და ჩემს კბილებზე ცოტათი უფროსი. – ენაზე კბილის დაჭერა ისე გიყვარს, მეშინია, არ მოიკვნიტო, – უთხრა შედოუმ. პასუხად უენზდეიმ ჩაიბურტყუნა.

ყოველი მორიგი ბორცვის გადავლა უფრო უძნელდებოდათ.

შედოუს თავი ასტკივდა. ვარსკვლავის შუქი თითქოს ფეთქავდა და ამას საფეთქლებსა და მკერდში მისი პულსიც ეხმაურებოდა. შემდეგი ბორცვის ძირას წაბარბაცდა, რაღაცის სათქმელად პირი გააღო და უეცრად აღებინა. უენზდეიმ უბის ჯიბიდან პატარა მათარა ამოიღო. – მოსვი, – ურჩია შედოუს, – მხოლოდ ერთი ყლუპი.

სითხე მწველი აღმოჩნდა და პირში კარგი ბრენდივით აუორთქლდა, ოღონდ ალკოჰოლის გემო სულაც არ ჰქონდა. უენზდეიმ მათარა სწრაფად მოაშორა და ისევ ჯიბეში შეინახა.

– მაყურებლისთვის კულისებში ხეტიალი ცუდია, ამიტომაც აგერია გული. სწრაფად უნდა გავიდეთ აქედან.

ნაბიჯს აუჩქარეს. უენზდეი მტკიცედ მიადგამდა ფეხს, შედოუ დროდადრო ფორხილებდა, მაგრამ თავს შედარებით უკეთ გრძნობდა, აშკარად უშველა სითხემ, რომელმაც პირში ფორთოხლის ქერქის, როზმარინის ზეთის, პიტნისა და მიხაკის გემო დაუტოვა. უენზდეიმ მკლავში ჩაავლო ხელი.

– აი, მანდ, – მარცხნივ აღმართული ორი იდენტური მინისებრი ქვიანი გორაკისკენ მიუთითა, – მაგ ბორცვებს შორის უნდა გავიაროთ. არ ჩამომრჩე.

ისევ დაიძრნენ და უცებ შედოუს ცივი ჰაერი და დღის შუქი ერთდროულად დაეძგერა სახეში. გაჩერდა და წამით დაბრმავებულმა, თვალები დახუჭა, მერე ხელი მოიჩრდილა და თვალები ისევ გაახილა.

დამრეცი ფერდობის შუაში იდგნენ. ნისლი გაფანტულიყო, მზიანი და გრილი დღე იდგა, ცა ლურჯად კრიალებდა. ბორცვის ძირას, ხრეშიან გზაზე, წითელი „სედანი“ მიჯაყჯაყებდა. ზემოდან სათამაშო მანქანას ჰგავდა. ქარის მოტანილმა კვამლის ბოლქვებმა შედოუს თვალები აუცრემლიანა. კვამლი იქვე მდგარი სახლიდან

ამოდიოდა. მრავალგზის შეკეთებული და მიშენებულ-მოშენებული შენობა ისე უბადრუკად გამოიყურებოდა, თითქოს ვიღაცამ ოცდაათი წლის წინ გადასატანი სახლი ამოიტანა და ფერდობზე დადგაო. შედოუმ მაშინვე შეამჩნია, რომ თუთიის საკვამური, საიდანაც კვამლი ამოდიოდა, პირვანდელი ნაგებობის ნაწილი არ ყოფილა.

სახლთან ახლოს რომ მივიდნენ, კარი გაიღო და შუახნის შავგვრემანმა კაცმა გამოიხედა. მახვილი მზერა ჰქონდა, პირი დანით განაჭერს მიუგავდა.

– გავიგე, ორი კაცი მოდიოდა ჩემ სანახავად. ორი თეთრკანიანი „უინებეიგოთი“. ისიც გავიგე, რომ გზა აერიათ და დაიკარგნენ, რადგან თავიანთი საგზაო მაჩვენებლების გარეშე თეთრკანიანები ყოველთვის იკარგებიან. ახლა ამ ორ საბრალო ნადირს დამიხედეთ. იცით, რომ ლაკოტების[202] ტერიტორიაზე ხართ? – კაცს ჭაღარა, გრძელ თმას ქარი უფრიალებდა.

– მერედა, შენ როდის აქეთა ხარ ლაკოტა, ბებერო ყალთაბანდო? – ჰკითხა უენზდეიმ, რომელსაც, რაც უნდა გასაკვირი იყოს, წეღანდელისგან განსხვავებით, როცა ვარსკვლავების შუქზე დაფლეთილი მოსასხამითა და ფართოფარფლიანი ქუდით მიაბიჯებდა, ახლა პალტო ეცვა და ყურსაფრიანი ქუდი ეხურა, – აბა, ვისკი ჯეკ[203], შე საცოდავო არამზადავ, შინ არ შეგვიპატიჟებ? მშია, ჩემმა მეგობარმა კი სულ ცოტა ხნის წინ საუზმე ამოარწყია.

ვისკი ჯეკმა იღლია მოიფხანა. ჯინსის შარვლისა და თმასავით ნაცრისფერი მაისურის ამარა იდგა. ფეხზე მხოლოდ მოკასინები ეცვა, მაგრამ, როგორც ჩანდა, სულაც არ სცივოდა.

– შემოდით, თეთრკანიანებო, რომლებმაც „უინებეიგო“ დაკარგეთ! – თქვა მან ბოლოს.

საცხოვრებელი ავტომისაბმელი უფრო მეტად გაკვამლული აღმოჩნდა. შიგნით, მაგიდასთან, კიდევ ერთი კაცი იჯდა, დალაქავებული ირმის ტყავი ეცვა და ფეხშიშველა იყო. ხის ქერქის ფერი კანი ჰქონდა.

უენზდეი მისმა დანახვამ გაახარა.

– მცირე ხნით შეფერხება წაგვადგა კიდეც. ვისკი ჯეკი და ეპლ ჯონი. ერთი ქვით ორი ჩიტი მოვკალი.

მაგიდასთან მჯდარმა კაცმა, ეპლ ჯონიმ, უენზდეის შეხედა, მერე ხელი შარვლის უბეზე მიიდო და თქვა: – ისევ შეცდი. აჰა, ამწამს შევამოწმე და ორივე ქვა ადგილზე მკიდია, – მერე შედოუს შეხედა და ხელის აწევით მიესალმა, – მე ჯონ ჩეპმენი[204] ვარ. შენმა უფროსმა ჩემზე რაც უნდა თქვას, ნუ დაუჯერებ. ნამდვილი ნაძირალაა. ყოველთვის ნაძირალა იყო და იქნება. ზოგს არაფერი ეშველება.

– მაიკ აინსელი, – გაეცნო შედოუ. ჩეპმენმა გაუპარსავი ნიკაპი მოიქექა.

– აინსელი, – ჩაილაპარაკა მან, – ეგ გვარი არაა. მაგრამ არა უშავს, ივარგებს. რას გეძახიან?

– შედოუს.

– მეც შედოუს დაგიძახებ. ეი, ვისკი ჯეკ, – დაუძახა მან მეგობარს, ოღონდ შედოუს სახელი სხვაგვარად, უფრო მეტმარცვლიანად ჩაესმა, – საჭმლის საქმე როგორაა? ვისკიჯეკმახის კოვზი აიღო და შეშის ღუმელზე შემოდგმულ, მოთუხთუხე რკინის ქვაბს ხუფი ახადა.

– მზადაა, – თქვა მან, კერძი ქვაბიდან პლასტმასის ჯამებში გადმოიღო და მაგიდაზე დააწყო. შემდეგ გარეთ გავიდა, თოვლში ჩადგმულ პლასტმასის დიდ დოქს დაავლო ხელი და შინ შემოიტანა. ოთხ დიდ ჭიქაში მოყვითალო-ყავისფერი, მღვრიე სითხე დაასხა და ჯამებს გვერდით მიუდგა. ბოლოს ოთხი კოვზიც იპოვა უჯრაში და სხვებთან ერთად მიუჯდა მაგიდას. უენზდეიმ ეჭვით შეხედა თავის ჭიქას.

– ფსელს ჰგავს, – თქვა მან.

– მაგას კიდევ სვამთ? – ჰკითხა ვისკი ჯეკმა, – თეთრკანიანები გიჟები ხართ. ეს სჯობია,
– მერე შედოუს მიუტრიალდა, – რაგუ გარეული ინდაურის ხორცისგანაა მომზადებული, ვაშლის ბრენდი კი ჯონიმ მოიტანა.

– სიდრია, – დააზუსტა ჯონი ჩეპმენმა, – მაგარი ალკოჰოლიანი სასმელები არ მიყვარს. ხალხს ჭკუას აკარგვინებს.

რაგუ გემრიელი გამოდგა, სიდრი – ძალიან კარგი. შედოუს ისე ძლიერ მოშიებოდა, თავი რომ არ შეეკავებინა და ყოველი ლუკმა ძალით დიდხანს არ ეღეჭა, ჯამს ერთ წუთში მოასუფთავებდა, სიდრს კი ერთ ყლუპად დალევდა. ჯამიცა და ჭიქაც ხელმეორედ მაინც გაივსო საჭმლითა და სასმელით.

– ხმები დადის, რომ ხალხს ხვდები, ათას რამეს ჰპირდები და სთავაზობ. როგორც ამბობენ, ძველებს საომრად ამხედრებ, – უთხრა ჯონ ჩეპმენმა უენზდეის. შედოუ და ვისკი ჯეკი ჭურჭელს რეცხავდნენ. რაგუს ნარჩენები პლასტმასის ქვაბში ჩაყარეს და ვისკი ჯეკმა გარეთ, კართან, თოვლში ჩაფლო, ზედ კი რძის ბოთლის ყუთი დაადო, რომ ადვილად ეპოვა.

– დიახ, სწორად გაგიგია, – უთხრა ჩეპმენს უენზდეიმ.

– ისინი გაიმარჯვებენ, – დარწმუნებით თქვა ვისკი ჯეკმა, – უკვე გაიმარჯვეს. შენ უკვე დამარცხდი, როგორც ჩემი ხალხი თეთრკანიანებთან. მათ გაიმარჯვეს. თუ დამარცხდებიან, ზავს დადებენ. მერე ზავს დაარღვევენ და ისევ გაიმარჯვებენ. მორიგი მარცხისთვის განწირული საქმისთვის ბრძოლას არ ვაპირებ.

– ნურც ჩემი იმედი გექნება, – უთხრა ჯონ ჩეპმენმა უენზდეის, – თუნდაც შენთვის ვიბრძოლო – რასაც არ ვიზამ – მაინც ვერაფერში გამოგადგები. ქეციანმა, დამპალმა ნაბიჭვრებმა მომწყვიტეს და დამივიწყეს, – გაჩუმდა. შემდეგ თქვა: – პოლ ბანიანი[205], – დანანებით გააქნია თავი, – პოლ ბანიანი.

შედოუს არასდროს გაეგონა, ვინმეს ეს სახელი და გვარი ასეთი კილოთი წარმოეთქვას.

– პოლ ბანიანმა რა დააშავა? – იკითხა მან.

– ხალხის გონებაში ადგილი დაიკავა, – უპასუხა ვისკი ჯეკმა, უენზდეის სიგარეტი სთხოვა და მასთან ერთად გააბოლა.

– არსებობენიდიოტები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ კოლიბრები გასუქებაზე, კბილების გაფუჭებასა და სხვა ასეთ სისულელეებზე დარდობენ და შაქრის მავნებლობისგან მათ დაცვას ცდილობენ, – აუხსნა უენზდეიმ შედოუს, – ჰოდა, კოლიბრებს საკვებურებში „ნუტრასუიტს“[206] უსხამენ. საბრალო კოლიბრები სვამენ და იხოცებიან, რადგან პაწია კუჭებს კი ივსებენ, მაგრამ მათი საჭმელი კალორიებს არ შეიცავს. აი, ზუსტად ეგ არის შენი პოლ ბანიანი. პოლ ბანიანის ამბებს არავინ ჰყვებოდა. პოლ ბანიანის არავის სჯეროდა. 1910 წელს ნიუ-იორკის ერთ სარეკლამო სააგენტოში გაჩნდა და ერს მუცელი უკალორიო მითებით ამოუყორა.

– მე მიყვარს პოლ ბანიანი, – თქვა ვისკი ჯეკმა, – რამდენიმე წლის წინ მინესოტაში, „ამერიკის სავაჭრო ცენტრში“, მაგის ატრაქციონზე მაგრად გავერთე. ადიხარ ბებერი პოლ ბანიანის თავზე და იქიდან გრიალ-გრიალით ეშვები. სულაც არ მანაღვლებს, რომ არასდროს არსებობდა. გამოდის, არც ხეები მოუჭრია არასდროს. პრინციპში, არც დაურგავს, მაგრამ არა უშავს.

უენზდეიმ ბოლის რგოლი გამოუშვა პირიდან. რგოლი რამდენიმე წამით დაეკიდა ჰაერში, მერე წვრილ ბოლქვებად დაიშალა და გაიფანტა.

– კარგი, რა, ვისკი ჯეკ, ეგ არაფერ შუაშია და ეს შენც მშვენივრად იცი, – თქვა მან.

– შენს დახმარებას არ ვაპირებ, – უთხრა ვისკი ჯეკმა, – როცა მაგრად მიგბერტყავენ, შეგიძლია ხოხვა-ხოხვით დაბრუნდე და, თუ აქ დაგხვდები, ისევ დაგაპურებ.

– სხვა გამოსავალი არ არსებობს, ყველა ალტერნატივა ერთმანეთზე უარესია, – შენიშნა უენზდეიმ.

– ალტერნატივებზე შენ წარმოდგენა არ გაქვს, – შეეპასუხა ვისკი ჯეკი და მერე შედოუსკენ შებრუნდა, – რაღაცას დაეძებ, – უთხრა სიგარეტის წევისგან ჩახლეჩილი ხმით და მისმა ხმამ სიგარეტისა და ღუმლიდან გამოსული კვამლით გაბოლილ ოთახს დაუარა.

– ვმუშაობ, – უთხრა შედოუმ. ვისკი ჯეკმა თავი გაიქნია.

– იმავდროულად რაღაცას დაეძებ, – თქვა მან, – ერთი ვალის გადახდა გსურს.

შედოუს ლორას ლურჯი ტუჩები და გასისხლიანებული ხელები გაახსენდა და თავი დააქნია.

– მისმინე. აქ პირველად მელა გაჩნდა. მას ძმა ჰყავდა, მგელი. მელამ თქვა, ადამიანები სამუდამოდ იცოცხლებენო. თუ დაიხოცებიან, ცოტა ხნით დაიხოცებიანო. მაგრამ მგელმა თქვა, არა, ადამიანები დაიხოცებიან, უნდა დაიხოცონ, ყველა ცოცხალი არსება უნდა დაიხოცოს, თორემ გამრავლდებიან, მთელ მსოფლიოს მოედებიან და ყველა ორაგულს, კარიბუსა[207] და ბიზონს შეჭამენ, ყველა გოგრასა და სიმინდს

შესანსლავენო. ერთ დღესაც მგელი მოკვდა და მელას უთხრა, მიდი, სწრაფად გამაცოცხლეო. მელამ კი უპასუხა, არა, მკვდრები არ უნდა გაცოცხლდნენ, შენ მე დამარწმუნეო. ამის თქმისას ცრემლები წასკდა, მაგრამ აზრი აღარ შეუცვლია. მას აქეთ, მგელი მკვდართა სამყაროს განაგებს, ხოლო მელა კვლავ მზისა და მთვარის ქვეშ ცხოვრობს და ძმას გლოვობს.

– თუუარზედგახართ, იდექით, – თქვა უენზდეიმ, – ჩვენ გზას გავაგრძელებთ. ვისკი ჯეკს გამომეტყველება არ შესცვლია.

– მე ამ ახალგაზრდას ველაპარაკები, – თქვა მან, – შენ აღარაფერი გეშველება. მისი შველა კიდევ შეიძლება, – ისევ შედოუსკენ მიტრიალდა, – იცი, აქ, ჩემთან ვერავინ მოვა, თუ მე არ მსურს. შედოუმ გააცნობიერა, რომ ეს იცოდა.

– ვიცი.

– შენი სიზმარი მიამბე, – სთხოვა ვისკი ჯეკმა.

– თავის ქალების კოშკზე ავდიოდი, კოშკის გარშემო ვეებერთელა ჩიტები დაფრინავდნენ. ფრთების ქნევისას მეხს ისროდნენ. მიტევდნენ. კოშკი დაინგრა.

– სიზმრებს ყველა ხედავს, – თქვა უენზდეიმ, – წავედით?

– ქუხილის ჩიტები, ვაკინიაუები, ყველას როდი ესიზმრება, – თქვა ვისკი ჯეკმა, – შენი სიზმრის ექომ ჩვენამდე მოაღწია.

– ხომ გითხარი, – ჩაილაპარაკა უენზდეიმ, – ღმერთო.

– ერთგან, დასავლეთ ვირჯინიაში, ქუხილის ჩიტები ბუდობენ, – სასხვათაშორისოდ ახსენა ჯონ ჩეპმენმა, – სულ მცირე, ორი დედალი და ერთი მოხუცი მამალია. კიდევ ერთი წყვილი კენტუკისა და ტენესის შორის, ფრანკლინის შტატს რომ უწოდებდნენ (თუმცა ბებერი ბენი თავისი სახელობის შტატს მაინც ვერ ეღირსა)[208], იმ ადგილას ბუდობს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ქუხილის ჩიტები ბევრნი არც არასდროს ყოფილან.

ვისკი ჯეკი წითელი თიხისფერი ხელით შედოუს სახეს ნაზად შეეხო.

– ჰო, სიმართლეა, – თქვა მან, – თუ ქუხილის ჩიტს დაიჭერ, შენს ქალს სააქაოს მოაბრუნებ. მაგრამ ის მგელს ეკუთვნის, მკვდართა მიწაზე უნდა დადიოდეს და არა – ცოცხალთა.

– რა იცი? – ჰკითხა ვისკი ჯეკს შედოუმ. ვისკი ჯეკის ტუჩები არ განძრეულა.

– რა გითხრა ბიზონმა?

– იწამეო.

– კარგი რჩევაა. შეისმენ?

– მგონი, ალბათ, – უსიტყვოდ, უპიროდ, უხმოდ საუბრობდნენ. შედოუმ გაიფიქრა, ნეტავ უენზდეისა და ჩეპმენს წამით ან წამის მეასედით, გაუნძრევლად მდგომნი ხომ არ მოვეჩვენეთო.

– როცა შენს ტომს იპოვი, დაბრუნდი და მნახე, – უთხრა ვისკი ჯეკმა, – დაგეხმარები.

– დავბრუნდები.

ვისკიჯეკმახელი დასწია და უენზდეისკენ მიტრიალდა.

– შენს ჰო-ჩანკს არ მოიყვან?

– რას?

– ჰო-ჩანკს. უინებეიგოს ტომი საკუთარ თავს ასე უწოდებს.

უენზდეიმ თავი გააქნია.

– ძალიან საშიშია. გამიჭირდება. ალბათ უკვე დაეძებენ.

– მოპარულია? უენზდეი გულწრფელად განაწყენდა.

– სულაც არა. საბუთები ხელთათმანების განყოფილებაში დევს.

– გასაღები?

– მე მაქვს, – უპასუხა შედოუმ.

– ჩემს დისწულ ჰარი ბლუჯეის[209] 1981 წლის „ბიუიკი“ ჰყავს. ავტოფურგონის გასაღები მომეცით და თქვენ მისი მანქანა წაიყვანეთ.

– ჩვენს გაყვლეფას ცდილობ? – აიჯაგრა უენზდეი. ვისკი ჯეკმა მხრები აიჩეჩა.

– იცი, რა ძნელი იქნება შენი ავტოფურგონის წამოყვანა იქიდან, სადაც დატოვეთ? გეხმარები. თუ არ გინდა, ნუ გინდა. სულ არ მადარდებს, – თქვა და დანის განაჭერის მსგავსი პირი მოკუმა.

გაბრაზებული უენზდეი დაცხრა, დაფიქრდა და მერე შედოუს უთხრა: –

„უინებეიგოს“ გასაღები მიეცი. შედოუმ ავტოფურგონის გასაღები ვისკი ჯეკს მისცა.

– ჯონი, ამ ორს ჰარი ბლუჯეის აპოვნინებ? უთხარი, ბიძაშენი გთხოვს, მანქანა ამათ დაუთმე-თქო.

– კარგი, – თქვა ჯონ ჩეპმენმა, ადგა, კართან მივიდა, იქ დადებული პატარა ჯუთის ტომარა აიღო, კარი გააღო და გარეთ გავიდა. შედოუ და უენზდეი გაჰყვნენ. ვისკი ჯეკი კართან იცდიდა.

– ეი, – უთხრა მან უენზდეის, – ნუღარ დაბრუნდები, აქ არავინ გელის. უენზდეიმ

შუათითი ზეცისკენ აღაპყრო. – ამაზე დამახტი, – თქვა აუღელვებლად.

დათოვლილ დაღმართზე დაეშვნენ. ჩეპმენი მიუძღოდათ; შიშველ, გაწითლებულ ფეხებს თოვლის ქერქზე აბიჯებდა.

– არ გცივა? – ჰკითხა შედოუმ.

ჩემიცოლიჩოკტოს ტომისა იყო, – უპასუხა ჩეპმენმა.

– და სიცივისგან თავდაცვის იდუმალი ხერხები გასწავლა?

–

– არა. ჩემი ცოლი გიჟად მიმიჩნევდა, – უთხრა ჩეპმენმა, – სულ მეუბნებოდა, ჯონი, ჩექმები ჩაიცვიო.

ფერდობი უფრო დაცერდა და სალაპარაკოდ ვეღარ მოიცალეს. თოვლში ფეხი უსრიალებდათ და ბარბაცებდნენ, თავის შესამაგრებლად და წონასწორობის დასაცავად არყის ხეებს ეჭიდებოდნენ. როცა მიწა ოდნავ გასწორდა, ჩეპმენმა თხრობა განაგრძო.

– ცოცხალი აღარ არის. როცა მოკვდა, მგონი, ცოტათი მართლა გავგიჟდი. ყველას შეიძლება დაემართოს. შენც კი, – შედოუს მკლავზე დაჰკრა ხელი, – იესოს და იოსაფატის სახელით, რამხელა ყოფილხარ.

– ასე ამბობენ, – თქვა შედოუმ.

კიდევ ნახევარ საათს ჩადიოდნენ დაღმართზე. როგორც იქნა, ბორცვის ძირამდე ჩააღწიეს და ხრეშიან გზას გაუყვნენ ზემოდან დანახული შენობებისკენ.

უკნიდან მანქანა წამოეწიათ, სიჩქარე შეანელა და გაჩერდა. საჭესთან მჯდარმა ქალმა წინა სავარძლის მხარეს ფანჯრის მინა დასწია, გადმოიხარა და მათ ჰკითხა: – ბიჭებო, ხომ არ გაგიყოლოთ?

– მადლობას მოგახსენებთ, მემ, – უთხრა უენზდეიმ, – მისტერ ჰარი ბლუჯეის ვეძებთ.

– პაბში იქნება, – თქვა ქალმა, რომელიც, შედოუს აზრით, ორმოცს გადაცილებული იქნებოდა, – ჩასხედით.

ჩასხდნენ. უენზდეი წინა სავარძელზე დაჯდა, შედოუ და ჯონ ჩეპმენი – უკანაზე. შედოუს მეტისმეტად გრძელი ფეხები ჰქონდა უკან მოხერხებულად დასაჯდომად, მაგრამ როგორღაც ჩაეტია. მანქანა ხრეშიან გზაზე გაჯაყჯაყდა.

– საიდან ხართ? – დაინტერესდა მძღოლი.

– მეგობარს ვსტუმრობთ, – უპასუხა უენზდეიმ.

– აი, იმ გორაკზე ცხოვრობს, – დაამატა შედოუმ.

– რომელ გორაკზე? – გაიკვირვა ქალმა.

შედოუმ უკანა, მტვრიან საქარე მინაში გაიხედა, მაგრამ გორაკი ვეღარსად დაინახა, ვაკეზე მხოლოდ ღრუბლები მოჩანდა.

– ვისკი ჯეკის, – თქვა შედოუმ.

– აჰ, – თქვა ქალმა, – ჩვენ მაგას აქ ინკტომის ვეძახით. მგონი, ეგაა და არ მეშლება. ბავშვობაში პაპაჩემი მიყვებოდა მასზე ზღაპრებს. რასაკვირველია, მათ შორის საუკეთესოები, უხამსი იყო, – ორმოში ჩახტნენ და ქალმა შეიგინა, – უკან კარგად ხართ?

– დიახ, მემ, – უპასუხა უკანა სავარძელს ორივე ხელით ჩაბღაუჭებულმა ჯონ ჩეპმენმა.

– რეზერვაციის გზები, – დანანებით თქვა ქალმა, – ნელ-ნელა მიეჩვევით.

– ყველა ასეთია? – ჰკითხა შედოუმ.

– თითქმის, – უპასუხა ქალმა, – ყოველ შემთხვევაში, ამ მიდამოებში. კაზინოებიდან შემოსულ ფულზე ნურაფერს მკითხავთ. აქ რომელი ჭკუათმყოფელი ჩამოვა კაზინოში სათამაშოდ? არანაირი დიდი ფული ჩვენ არ გვინახავს.

– სამწუხაროა.

– ნუ წუხხართ, – ქალმა ღრჭიალითა და ჭრიალით გადართო სიჩქარის ბერკეტი, – თუ იცით, რომ მთელ ქვეყანაში თეთრკანიანი მოსახლეობის რიცხვი მცირდება? სადაც გაივლი, ყველგან ქალაქი-მოჩვენებები გხვდება კაცს. როგორ გინდა, ხალხი ფერმაში დააკავო, როცა ტელეეკრანებზე მთელ მსოფლიოს უჩვენებენ? თანაც, ბედლენდსში[210] ვერაფერს გაახარებ. მიწები წაგვართვეს და აქ დასახლდნენ, ახლა კი მიდიან. მიდიან სამხრეთში, მიდიან დასავლეთში. ცოტას კიდევ თუ ვაცლით, რომ ნიუ-იორკში, მაიამიში ან ლოს-ანჯელესში გადასახლდნენ, ქვეყნის შუა ნაწილს უბრძოლველად დავიბრუნებთ.

– წარმატებას გისურვებთ, – უთხრა შედოუმ.

ჰარი ბლუჯეის პაბში მიაგნეს. ბილიარდის მაგიდასთან იდგა და მარჯვე დარტყმებით გოგოების მცირერიცხოვანი ჯგუფის მოხიბვლას ცდილობდა. მარჯვენა ხელის ზურგზე ლურჯი ჩხიკვის ტატუ ეხატა, ხოლო მარჯვენა ყური მრავალგან ჰქონდა გახვრეტილი.

– ჰო ჰოკა, ჰარი ბლუჯეი, – მიესალმა ჯონ ჩეპმენი.

– დაახვიე აქედან, შე ფეხშიშველო, გიჟო თეთრო მოჩვენებავ, – მხიარულად გამოელაპარაკა ჰარი ბლუჯეი, – მაშინებ.

დარბაზის შორეულ ბოლოში უფრო ასაკოვანი ხალხი შეკრებილიყო. ზოგი კარტს თამაშობდა, ზოგი საუბრობდა. ჰარი ბლუჯეის თანატოლები ბილიარდის მაგიდასთან თავიანთ რიგს უცდიდნენ. მაგიდის მწვანე მაუდი ერთგან მოვერცხლისფრო-რუხი ლენტით დაემაგრებინათ.

– ბიძაშენმა გამომგზავნა, – მშვიდად უთხრა ჩეპმენმა, – გთხოვს, ამ ორს შენი მანქანა მისცე.

დარბაზში ოცდაათი-ორმოცი ადამიანი იქნებოდა და ახლა ყველანი დაჟინებით დასცქეროდნენ თავიანთ კარტებს, ფეხებსა თუ ფრჩხილებს, თავს იკატუნებდნენ, ვითომ არ აყურადებდნენ.

– ეგ ბიძაჩემი არაა.

სიგარეტის ბოლს ნისლივით დაებურა დარბაზი. ჩეპმენმა ფართოდ გაიღიმა. ამაზე საშინელი კბილები ადამიანის პირში შედოუს არასდროს ენახა.

–

– ბიძაშენმა ეგ რომ გაიგოს, ეწყინება. სულ იმას ამბობს, რომ ლაკოტებთან მხოლოდ შენ გამო რჩება.

ვისკი ჯეკი ბევრ რამეს ამბობს, – ბრაზიანად თქვა ჰარი ბლუჯეიმ. თუმცა ვისკი ჯეკი მანაც სხვაგვარად გამოთქვა. მგონი, ვისაკეჯაკი გავიგონეო, გაიფიქრა შედოუმ. დიახ, ვისკი ჯეკს კი არა, ვისაკეჯაკს ამბობდნენ.

– დიახ, – დაეთანხმა შედოუ, – ისიც თქვა, რომ ჩვენს „უინებეიგოს“ შენს „ბიუიკში“ გაგვიცვლი.

– „უინებეიგოს“ ვერსად ვხედავ.

– „უინებეიგოს“ თვითონ მოგიყვანს, – უთხრა ჰარი ბლუჯეის ჯონ ჩეპმენმა, – ხომ იცი, მოგიყვანს.

ჰარი ბლუჯეიმ რთული პოზიციიდან მოინდომა ბურთის ჩაგდება, მაგრამ ააცდინა. ხელი უცახცახებდა.

– მე მაგ ბებერი მელას დისწული არ ვარ, – თქვა ჰარი ბლუჯეიმ, – კარგი იქნება, ხალხს ასე არ ვეუბნებოდეთ.

– მკვდარ მგელს ცოცხალი მელა სჯობია, – ისეთი ბოხი ხმით თქვა უენზდეიმ, რომ სიტყვები ძლივს გაარჩიეს, – აბა, დაგვითმობ შენს მანქანას თუ არა? ჰარი ბლუჯეის ძლიერად და შესამჩნევად გააკანკალა.

– დიახ, – თქვა მან, – დიახ, მხოლოდ ვხუმრობდი. მე ასეთი ვარ, ბევრს ვხუმრობ, – კიი ბილიარდის მაგიდაზე დადო, პაბის კართან საკიდზე ჩამოკიდებულ ერთნაირ სქელ ქურთუკებს შორის თავისი ამოარჩია და ჩამოხსნა, – ოღონდ ჯერ მანქანიდან ჩემს ნაგავს ავკრეფ.

უენზდეის ისე მორიდებით გახედა, თითქოს ეშინოდა, ცოტაც და, ბერიკაცი აფეთქდებაო.

ჰარი ბლუჯეის მანქანა ასი მეტრის მოშორებით იდგა. მასთან რომ მიდიოდნენ, პატარა, შეთეთრებულ კათოლიკურ ეკლესიას ჩაუარეს. კართან მდგარმა ქერათმიანმა მღვდელმა მათ თვალი გააყოლა. სიგარეტს ისე უხალისოდ ეწეოდა, თითქოს ბოლის ყლაპვა სულაც არ ეხალისებოდა.

– დღე მშვიდობისა, მამაო! – მიაძახა ჯონ ჩეპმენმა, მაგრამ მღვდელს პასუხი არ გაუცია. სიგარეტის ნამწვი ფეხით გასრისა, აიღო და კართან მდგარ სანაგვე ყუთში ჩააგდო.

– ბოლოს რომ იყავი, ხომ გაგაფრთხილე, იმ პამფლეტებს ნუღარ აძლევ-მეთქი, – უთხრა ჩეპმენს ჰარი ბლუჯეიმ.

– მე კი არა, თვითონაა ცოდვილი, – თქვა ჩეპმენმა, – მე რომ სვედენბორგის[211] წიგნი მივეცი, იმას თუ წაიკითხავს, მიხვდება.

ჰარი ბლუჯეის მანქანას გვერდითა სარკეები არ ჰქონდა, ხოლო საბურავები ცვეთისგან შავ, გლუვ რეზინად გადაჰქცეოდა. ზეთს უზომოდ ნთქავსო, გააფრთხილა ისინი ჰარი ბლუჯეიმ, მთავარია, ზეთი არ მოაკლოთ და ივლის, სანამ არ გააჩერებთო.

ჰარი ბლუჯეიმ შავი ტომარა მანქანიდან გამოღებული თავისი ნაგვით გაავსო (ზემოთ აღნიშნული ნაგავი შედგებოდა რამდენიმე იაფფასიანი ლუდის ბოთლისგან, ვერცხლისფერ ფოლგაში გახვეული და მანქანის საფერფლეში ცუდად დამალული ჰაშიშის პაკეტისგან, სკუნსის კუდისგან, ქანთრისა და ვესტერნის ჟანრისსიმღერების ოცამდე კასეტისა და რობერტ ჰაინლაინის წიგნის, „უცხო უცხო ქვეყანაში“, გაყვითლებული ეგზემპლარისგან.).

– ბოდიში, რომ წეღან ვაჩმახებდი, – უთხრა ჰარი ბლუჯეიმ უენზდეის და გასაღები მიაწოდა, – ხომ არ იცით, ჩემს „უინებეიგოს“ როდის მომიყვანენ?

– ბიძაშენს ჰკითხე. ნახმარი მანქანებით ეგ ვაჭრობს, – შეუღრინა უენზდეიმ.

– ვისაკეჯაკი ბიძაჩემი არაა, – თქვა ჰარი ბლუჯეიმ, ნაგვის ტომარა აიღო, უახლოეს სახლში შევიდა და კარი მიიხურა.

ჯონი ჩეპმენი სიუ-ფოლსში, ხილ-ბოსტნეულის მაღაზიის წინ ჩამოსვეს.

გზაში უენზდეი ფიქრებს მიეცა. არ ლაპარაკობდა.

სენტ-პოლის მისადგომებთან ოჯახურ რესტორანში შედოუმ ვიღაცის დატოვებული გაზეთი აიღო. ერთხელ დახედა, მეორედ, და მერე უენზდეის მიაწოდა. უენზდეის ვისკი ჯეკის სახლიდან წამოსვლის შემდეგ დანა პირს არ უხსნიდა.

– შეხედე, – უთხრა შედოუმ.

უენზდეიმ ამოიხვნეშა და გაზეთს ისეთი გატანჯული სახით დახედა, თითქოს

თავის დახრა ენით აღუწერელ ტკივილს ჰგვრიდა.

– ძალიან მიხარია, – თქვა მან, – რომ ავიადისპეტჩერებთან წარმოქმნილი სახელფასო დავა გაფიცვის გარეშე დასრულდა.

– მაგას კი არა, თარიღს დახედე, – უთხრა შედოუმ, – თოთხმეტი თებერვალი წერია.

– ვალენტინობას გილოცავ!

– ჩვენ ხომ ოც თუ ოცდაერთ იანვარს გამოვედით? ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, რომ იანვრის მესამე კვირა იყო. გზაში სულ სამი დღე ვიყავით. დღეს თოთხმეტი თებერვალი როგორაა?

– როგორ და, ბედლენდსში, კულისებში, ჩვენი მოგზაურობა თითქმის ერთ თვეს

გაგრძელდა, – უპასუხა უენზდეიმ. – ძალიან გრძელი მოკლე გზით კი გვივლია.

უენზდეიმ გაზეთი განზე გადადო.

–

– წყეული ჯონი ეპლსიდი. ტვინი წაიღო ამ პოლ ბანიანით. რეალურ ცხოვრებაში ჩეპმენი თოთხმეტ ხეხილნარს ფლობდა და ათას ჰექტარზე ჰქონდა ვაშლი გაშენებული. დიახ, დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისებასთან ერთად, ისიც უფრო და უფრო დასავლეთით მიიწევდა, მაგრამ რასაც მასზე ჰყვებიან, თითქმის სულ ტყუილია, გარდა იმისა, რომ ერთხელ ცოტათი მართლაც გააფრინა. ამას მნიშვნელობა არ აქვს. როგორც გაზეთების გამომცემლები ამბობდნენ, თუ სიმართლე საკმარისად შთამბეჭდავი არაა, ლეგენდა უნდა დაბეჭდო. ამ ქვეყანას თავისი ლეგენდები სჭირდება. ოღონდ ამ ლეგენდებისა თვით მათ გმირებსაც აღარ სჯერათ.

კი, მაგრამ ისინი ხომ არსებობენ?

– ჩემი ამბავი მორჩა. ყველას ფეხებზე ვკიდივარ.

– შენ ღმერთი ხარ, – ჩუმად უთხრა შედოუმ.

უენზდეიმ წამოიწია და ცივად გამოხედა. რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა, ისევ სავარძელში ჩაჯდა და მენიუს დახედა.

– მერე რა?

– ღმერთობა კარგია, – თქვა შედოუმ.

– ვითომ? – ჰკითხა უენზდეიმ და ამჯერად შედოუმ მოარიდა თვალი.

ლეიკსაიდიდან ორმოცი კილომეტრის დაშორებით, ერთი ბენზინგასამართი სადგურის კედლებზე ელისონ მაკგავერნის ფოტოს ასლები გაეკრათ: გოგონას შავთეთრი გამოსახულების თავზე ხელით წაეწერათ „ხომ არ გინახავხარ“? იგივე სასკოლო ალბომის ფოტო იყო: კბილების ბრეკეტებიანი გოგო, რომელიც, როცა გაიზრდება, ცხოველებზე ზრუნვას აპირებს, თავდაჯერებულად იღიმის.

შედოუმ „სნიკერსი“, ერთი ბოთლი წყალი და „ლეიკსაიდ ნიუსის“ ახალი ნომერი იყიდა. წინა გვერდზე ადგილობრივი რეპორტიორის, მარგარიტ ოლსენის სტატიის სათაური გამოეტანათ. ქვეშ დაებეჭდათ ფოტო ბიჭისა და ასაკოვანი მამაკაცისა, რომლებიც გაყინულ ტბაზე, სოფლის ტუალეტის მსგავს, მეთევზეთა პატარა ქოხთან იდგნენ და დიდი თევზი ეჭირათ. ორივე იღიმებოდა. „მამა-შვილმა ჩრდილოური ქარიყლაპია დაიჭირა. სტატია იხილეთ შიდა გვერდზე“.

საჭესთან უენზდეი იჯდა.

– რამე საინტერესოს თუ წააწყდები, მეც წამიკითხე, – უთხრა შედოუს.

შედოუ გაზეთს ნელა ფურცლავდა, გულდასმით გადაავლო თვალი სტატიებს, მაგრამ საინტერესო ვერაფერი იპოვა.

უენზდეიმ სახლის წინ, გზისპირას ჩამოსვა. კიბესთან კვამლისფერი კატა ჩამომჯდარიყო, მაგრამ როცა შედოუ მის მოსაფერებლად დაიხარა, გაიქცა.

შედოუ ზემოთ ავიდა და ხის ვერანდიდან გადახედა მეთევზეთა მწვანე და მუქი ქოხებით ალაგ-ალაგ დაწინწკლულ ტბას. ქოხების გვერდით ბევრ მათგანს მანქანა დაეყენებინა. ხიდთან ახლოს, ყინულზე, ძველი, მწვანე ჯაბახანა იდგა სწორედ ისე, როგორც გაზეთში გამოქვეყნებულ ფოტოზე.

– ოცდასამ მარტს, – წამახალისებლად თქვა შედოუმ, – ზუსტად დილის ათის თხუთმეტ წუთზე. შენ ამას შეძლებ.

– შანსი არაა, – გაისმა ქალის ხმა, – სამ აპრილს, საღამოს ექვს საათზე. დღისით ყინული გათბება და საღამოსპირს ჩატყდება.

შედოუს გაეღიმა. მარგარიტ ოლსენს ზამთრის კომბინეზონი ეცვა. ვერანდის მეორე ბოლოში იდგა და ჩიტების საკვებურს ავსებდა.

– „ლეიკსაიდში“ რეკორდული ზომის ქარიყლაპიაზე დაწერილი თქვენისტატია წავიკითხე.

– ამაღელვებელი ამბავია, არა?

– საგანმანათლებლო უფროა.

– მეგონა, აღარ დაგვიბრუნდებოდით, – თქვა ქალმა, – დიდხანს არ ჩანდით.

– ბიძაჩემს დავჭირდი, – აუხსნა შედოუმ, – დრომ შეუმჩნევლად გაიფრინა.

მარგარიტ ოლსენი საკვებურს მოსცილდა. სახლთან ახლოს მდგარი სოჭის ტოტებზე მაშინვე რამდენიმე ჩიტბატონა ჩამოსკუპდა.

– გაზეთში ელისონ მაკგავერნზე ვერაფერი ვნახე.

– ახალი არაფერია. გოგო ჯერაც არ უპოვიათ. ხმა გავრცელდა, ვიღაცამ დეტროიტში ნახაო, მაგრამ ცრუ განგაში აღმოჩნდა.

– საბრალო ბავშვი.

– იმედია, მკვდარია, – აუღელვებლად თქვა ქალმა. შედოუ შეცბა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ სიკვდილი სჯობს იმას, რაც შეიძლებოდა დამართნოდა.

ჩიტბატონებს ერთი სული ჰქონდათ, როდის დაცარიელდებოდა ვერანდა. სოჭის ტოტებზე ფრთხიალებდნენ. მათ კოდალაც შეუერთდა.

„შენ ახლა ელისონზე კი არა, – გაიფიქრა შედოუმ, – შენს შვილზე, სენდიზე ფიქრობ“.

გაახსენდა, ვიღაცამ თქვა, სენდი მენატრებაო. ნეტავ ვინ?

– სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი.

– ჩემთვისაც, – უთხრა ქალმა.

–

თებერვლის მოკლე, მოღრუბლული დღეები ერთმანეთს მისდევდა. ზოგჯერ თოვდა, მაგრამ უმეტესად – აღარ; ცოტათი დათბა და ყინვები შეწყდა. შედოუს შინ ჯდომა მოსწყინდა და საკნად ქცეული ბინიდან თავის დასაღწევად, იმ დღეებში, როცა უენზდეის აღარ სჭირდებოდა, სეირნობას მოუხშირა.

შორს, ქალაქგარეთ გადიოდა ფეხით. მარტო სეირნობდა. ერთხელ ჩრდილოეთით ტყის ეროვნულ ნაკრძალამდე მივიდა, დასავლეთით – სიმინდის ყანებამდე, სამხრეთით – ნახირის საძოვრებამდე. მიუყვებოდა ძველ ლიანდაგებს ან სოფლის შარაგზებს. რამდენჯერმე გარს შემოუარა ტბას. ზოგჯერ ადგილობრივი მცხოვრებლები, ზამთრის ტურისტები ან მორბენლები შემოხვდებოდნენ, მათ ხელს უქნევდა და ესალმებოდა. უფრო ხშირად ყვავებსა და სკვინჩებს ხედავდა. ერთხელ გზაზე მანქანის გასრესილი ოპოსუმისა თუ ენოტის ლეშზე მონადიმე ქორსაც მოჰკრა

თვალი. ყველაზე მეტად ის დაამახსოვრდა, ერთხელ არწივმა კიდეებმოყინული მდინარე უაით-პაინის შუა დინებიდან ვერცხლისფერი თევზი რომ ამოიტაცა. შუადღის მზის შუქზე მოელვარე თევზი არწივის კლანჭებში იგრიხებოდა და იკლაკნებოდა. შედოუმ წარმოიდგინა, თევზი როგორ ითავისუფლებს თავს და ცაში როგორ მიცურავს. გაეღიმა.

თანდათან გააცნობიერა, რომ სეირნობისას აღარაფერზე ფიქრობდა და სწორედ ეს მოსწონდა. თორემ ფიქრისას გონებას ისეთ ადგილებში მიჰყავდა, სადაც ვერაფერს ცვლიდა და წუხდა. დაღლა სიამოვნებდა. დაღლილს არც ლორა აგონდებოდა, არც უცნაურობები ესიზმრებოდა და არც არარსებული რამეები ესახებოდა. სეირნობიდან შინ რომ ბრუნდებოდა, იოლად იძინებდა და აღარც კოშმარები აბეზრებდა თავს.

ქალაქის მთავარ მოედანზე „ჯორჯის საპარიკმახეროში“ პოლიციის უფროს ჩედ მალიგანს შეხვდა. შედოუს თმის შეჭრისას ყოველთვის იმედი უცრუვდებოდა. თმის შეჭრის შემდეგაც თითქმის ისე გამოიყურებოდა, როგორც თმის შეჭრამდე. მხოლოდ თმა უმოკლდებოდა, სხვა არაფერი იცვლებოდა. შედოუს გვერდით მჯდარი ჩედი კი ძლიერ ღელავდა თავის გარეგნობაზე. საკუთარი ანარეკლი სარკეში ისე მკაცრად შეათვალიერა, თითქოს მისთვის სიჩქარის გადაჭარბებისთვის ჯარიმის გამოწერას აპირებდა.

– კარგად გამოიყურები, – გაამხნევა შედოუმ.

– ქალი რომ იყო, ასეთი მოგეწონებოდი?

– ვფიქრობ, კი. ქუჩის გადაღმა, კაფე „მეიბლში“ ერთად შევიდნენ და ცხელი

  შოკოლადი შეუკვეთეს.

– მაიკ, ოდესმე პოლიციაში მუშაობაზე თუ გიფიქრია? – ჰკითხა ჩედმა.

შედოუმ მხრები აიჩეჩა.

– რაღა დაგიმალო და, არასდროს. საამისოდ ბევრი რამის ცოდნაა საჭირო. ჩედმა

  უარის ნიშნად გაიქნია თავი.

– იცი, ასეთ ქალაქში პოლიციელის მთავარი მოვალეობა რა არის? სიმშვიდის შენარჩუნება. როცა რაღაც ხდება, ვიღაც გიყვირის, გარშემო წივილ-კივილია, წყნარად უნდა უპასუხო, დარწმუნებული ვარ, ისეთი არაფერია, თუ განზე გადგებით და ხელს არ შემიშლით, ყველაფერს მოვაგვარებო. ნათქვამის გულწრფელად უნდა გჯეროდეს.

– და მართლაც აგვარებ ხოლმე?

– როგორც წესი, ყველაფერი მაშინ გვარდება, როცა დამნაშავეს ხელბორკილს ადებ. თუმცა, დიახ, პრობლემის მოსაგვარებლად ძალ-ღონე არ უნდა დაზოგო.

თუ დაინტერესდები, გამაგებინე. ახალი თანამშრომლები გვჭირდება.

ზუსტად საჩვენო ბიჭი ხარ.

– ვიფიქრებ, თუ ბიძაჩემთან საქმეები ცუდად წამივა. ცხელი შოკოლადი მოხვრიპეს.

– მისმინე, მაიკ, რას იზამდი, ძველმა ნაცნობმა ქალმა, უკვე დაქვრივებულმა, რეკვა რომ დაგიწყოს?

– რეკვა?

– ტელეფონით. შორიდან. სხვა შტატში ცხოვრობს, – ჩედს ლოყები გაუწითლდა, – შარშან ორეგონში, ნათესავის ქორწილში ვნახე. მაშინ, მგონი, ქმარი ცოცხალი ჰყავდა, დაოჯახებული იყო. ის ქალი ძველი ნაცნობია.

– მოგწონს?

ჩედს მთლად ალმური აუვიდა.

– არ ვიცი.

– მოდი, სხვანაირად გკითხავ. მას მოსწონხარ?

– მიმანიშნა. მიმზიდველი ქალია.

– მაშ, რას იზამ?

– პაემანს დავუნიშნავ. ხომ შეიძლება? მითხრა, ჩამოვალო.

– ბავშვი არც ერთი არ ხართ. მეც ასე მოვიქცეოდი.

ჩედმა თავი დააქნია, წამოჭარხლდა და ისევ დააქნია თავი.

შედოუს ბინაში ტელეფონი გამორთული იყო და დუმდა. ჩართვას კი აპირებდა, მაგრამ ისეთი ვერავინ გაიხსენა, ვისაც დაურეკავდა. ერთხელ, გვიან ღამით, ყურმილი აიღო და სმენად იქცა. თავი დაირწმუნა, რომ ქარის ზუზუნი და ადამიანთა ჯგუფის გაურკვეველი ჩურჩული გაიგონა. – ალო! – ჩასძახა შიგ, – რომელი ხარ?

პასუხი არავინ გასცა, მაგრამ უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ შორეული ხარხარი მოესმა, იმდენად ბუნდოვანი, რომ იფიქრა, იქნებ სულაც მომეჩვენაო.

მომდევნო კვირების განმავლობაში შედოუ უენზდეისთან ერთად ბევრს მოგზაურობდა.

როდ-აილენდში პატარა კოტეჯის სამზარეულოში იცდიდა და უსმენდა უენზდეის, როცა ეს უკანასკნელი ჩაბნელებულ საძინებელში ელაპარაკებოდა ქალს, რომელიც საწოლიდან არ დგებოდა და არც სახეში შეხედვის ნებას აძლევდა მათ. მაცივარში ორი პოლიეთილენის პარკი ეწყო, ერთი ჭრიჭინებით იყო სავსე, მეორე – წრუწუნების ლეშებით.

სიეტლის ერთ-ერთ როკ-კლუბში ხმაურიანი მუსიკის გადასაფარად, უენზდეი ხმამაღლა მიესალმა მოკლე, წითელთმიან გოგოს, რომელსაც მკლავებზე სპირალისებურად შემოხვეოდა ტატუები. მასთან საუბარი აშკარად წარმატებით დასრულდა, რადგან უენზდეი როკკლუბიდან გაკრეჭილი გამოვიდა.

ხუთი დღის შემდეგ შედოუ დალასში, მანქანების გამქირავებელი კომპანიის მისაღებში იჯდა, როცა კაბინეტიდან დაბღვერილი უენზდეი გამოვიდა. უენზდეიმ მანქანაში ჩაჯდომისას კარი მაგრად მოიჯახუნა. სიბრაზისგან სახე უხურდა. – დაგაზე, – მოკლედ უთხრა შედოუს, – წყეული ალბანელები. ერთი მაგათიც!

სამი დღის შემდეგ ბოულდერში გაფრინდნენ, სადაც ხუთ ახალგაზრდა იაპონელ ქალთან ისადილეს. სადილობისას ისეთ თავაზიანობას იჩენდნენ და იმდენს აქებდნენ ერთმანეთს, შედოუ ვერც კი მიხვდა, რამეზე თუ შეთანხმდნენ ან რამე თუ გადაწყდა. თუმცა, უენზდეი ბედნიერი სახით გამოვიდა რესტორნიდან.

ამასობაში შედოუ ლეიკსაიდში ცხოვრებას მიეჩვია. სხვაგან ყოფნისას იქაური სიმშვიდე და სიმყუდროვე ენატრებოდა.

ყოველ დილით, როცა უენზდეისთან ერთად არ მოგზაურობდა, მანქანით ხიდზე გადადიოდა და ქალაქის მოედნისკენ მიდიოდა. კაფე „მეიბლში“ ორ ღვეზელს ყიდულობდა; ერთს იქვე ჭამდა და ყავას აყოლებდა. თუ ვინმე გაზეთს დატოვებდა, კითხულობდა, თუმცა თვითონ არასდროს ყიდულობდა: ახალი ამბები დიდად არ აინტერესებდა. მეორე ღვეზელი ქაღალდში გახვეული მიჰქონდა თან და სადილად ჭამდა.

ერთ დილას „იუ-ეს-ეი თუდეის“ კითხულობდა, როცა მეიბლმა ჰკითხა: – ეი, მაიკ, დღეს სად მიდიხარ?

მოწმენდილი ცა ლურჯად კრიალებდა. დილის ნისლისგან მხოლოდ თრთვილი შერჩენილიყო ხის ტოტებზე.

– არ ვიცი, – უპასუხა შედოუმ, – შეიძლება ისევ ტყის ბილიკზე გავისეირნო.

მეიბლმა ყავა დაუსხა.

– ერთ ლამაზ ადგილს მიგასწავლი. მე-12 ავენიუზე რომ ხალიჩების მაღაზიაა, იქიდან ერთი პატარა გზა იწყება. იმას გაუყევი.

ის ადგილი მართლაც ლამაზი აღმოჩნდა. შედოუმ მანქანა ქალაქის განაპირას გააჩერა და გორაკებს შორის გაკლაკნილ სოფლის გზას ფეხით გაუყვა. ყოველი გორაკი ფოთლებშემოძარცულ ნეკერჩხლებს, ძვლებივით თეთრ არყებს, მუქ ფიჭვებსა და ნაძვებს დაეფარა. საფეხმავლო ბილიკი არსად ჩანდა და შედოუ შუა გზაზე მიაბიჯებდა. თუ მანქანის ხმას გაიგონებდა, გზიდან გადადიოდა.

ერთგან შავი კატა აედევნა. ჭუჭყისფერი ბეწვი და თეთრი თათები ჰქონდა. შედოუ მიუახლოვდა. კატა არ გაქცეულა. – სალამი, ფისო, – მოურიდებლად უთხრა.

კატამ თავი გადახარა და ზურმუხტისფერი თვალებით ამოხედა. მერე დაიჩხავლა. შედოუსი არ შეშინებია. გზის გადაღმა რაღაც შეამჩნია, ის, რასაც შედოუ ვერ ხედავდა.

– მშვიდად, – უთხრა კატას შედოუმ. კატა გზის მეორე მხარეს გაიძურწა და სიმინდის აუღებელ ყანაში გაუჩინარდა.

მომდევნო მოსახვევში შედოუ პატარა სასაფლაოს გადააწყდა. საფლავის ქვები გახუნებული იყო, თუმცა ზოგიერთთან ახალი ყვავილების კონა ეწყო. იქაურობა არც შემოკედლილი იყო, არც შემოღობილი, გარს მხოლოდ ყინვისა და სიბერისგან მოკუზული დაბალი თუთის ხეები ერტყა. სასაფლაოს შესასვლელს ორი ქვის სვეტი აღნიშნავდა, ოღონდ მათ შორის კარი არ ეკიდა. შედოუმ გზისპირას დახვავებულ ტალახნარევ თოვლს გადააბიჯა, ქვის სვეტებს შორის გაიარა და სასაფლაოზე შევიდა.

კარგა ხანს დაეხეტებოდა აქეთ-იქით და საფლავის ქვებს აკვირდებოდა. უახლესი წარწერა 1969 წლით თარიღდებოდა. მყარად მდგარი გრანიტის ანგელოზიდან თოვლი გადმოწმინდა და მიეყუდა.

ჯიბიდან ქაღალდში გახვეული ღვეზელი ამოიღო და კუთხე მოატეხა. ცივ ჰაერში ორთქლის წვრილი ბოლქვი აიწვერა. სუნმა მადა აღუძრა და ღვეზლის ნატეხი პირში ჩაიდო.

მის გვერდით შრიალი გაისმა. თავიდან იფიქრა, რომ კატა დაბრუნდა, მაგრამ უცებ სუნამოს სურნელი იგრძნო, სურნელი, რომელიც სიდამპლის სიმყრალეს ვერ ფანტავდა.

– გთხოვ, არ შემომხედო.

– გამარჯობა, ლორა, – მიესალმა შედოუ.

– გამარჯობა, ცუგა, – ქალს მერყევი, ცოტათი დამფრთხალი ხმა ჰქონდა.

– არ გინდა? – ღვეზლის ნატეხი შესთავაზა ცოლს შედოუმ.

ლორა ახლა ზუსტად მის უკან იდგა.

– არა, – უპასუხა მან, – შენ შეჭამე. მე საჭმელს აღარ ვჭამ. შედოუმ გემრიელი ღვეზლის ჭამა განაგრძო.

– მინდა, შემოგხედო, – უთხრა ლორას.

– არ მოგეწონები.

– გთხოვ.

გრანიტის ანგელოზს ამოფარებული ლორა წინ გამოვიდა და შედოუმ დღის შუქზე შეათვალიერა. ზოგი რამ შეცვლილი მოეჩვენა, ზოგი რამ – უცვლელი. თვალები ისევ ისეთი ჰქონდა და ისევ ისე ეშმაკურად და ლაღად იღიმებოდა. თუმცა, ნამდვილად მკვდარი იყო. შედოუ ღვეზლის ჭამას მორჩა. გაიმართა და ტანსაცმლიდან ნამცეცები ჩამოიფერთხა, ქაღალდი კი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო.

კაიროს დამკრძალავ სახლში გატარებულმა დრომ როგორღაც გაუადვილა ლორას გვერდით დგომა. არ იცოდა, მისთვის რა ეთქვა.

ლორამ ხელი შეახო. შედოუმ ნაზად მოუჭირა. იგრძნო, გული ძლიერად რომ აუძგერდა. შეეშინდა. ამ მომენტის ჩვეულებრიობამ შეაშინა. იმდენად სიამოვნებდა ლორას სიახლოვე, რომ შეძლებოდა, იქიდან ფეხს არასდროს მოიცვლიდა.

– მომენატრე, – აღიარა.

– აქ ვარ, – უთხრა ლორამ.

– როცა ჩემთან ხარ, სწორედ მაშინ მენატრები ყველაზე ძლიერ. როცა ჩემთან არ ხარ, როცა მხოლოდ წარსულის მოჩვენება ან სხვა ცხოვრებიდან მოვლენილი სიზმარი ხარ, მაშინ უკეთ ვგრძნობ თავს.

ლორამ თითებზე ხელი მოუჭირა.

– აბა, როგორია სიკვდილი?

– რთული, – უპასუხა ლორამ, – დაუსრულებლად გრძელდება, – და თავი მხარზე დაადო. შედოუს კინაღამ მუხლები მოეკეცა.

– გავიარ-გამოვიაროთ?

– კარგი, – ლორამ გაუღიმა. ნერვიული, ალმაცერი ღიმილი გამოესახა მკვდარ სახეზე.

პატარა სასაფლაოდან გავიდნენ და ხელიხელჩაკიდებულები გაუყვნენ გზას ქალაქისკენ.

– სად იყავი? – ჰკითხა ლორამ.

– აქ, – უპასუხა შედოუმ, – უმეტეს ხანს.

– შობის შემდეგ თითქოს დამეკარგე. ზოგჯერ, რამდენიმე საათით ან დღით ვიგებდი, რომ ხან სად იყავი და ხან – სად, მაგრამ მერე ისევ ქრებოდი.

– ამ ქალაქში ვიყავი, – უთხრა შედოუმ, – ლეიკსაიდში. კარგი, პატარა ქალაქია.

– გასაგებია.

ლორას ის ლურჯი კაბა გამოეცვალა, რომლითაც დამარხეს. ახლა ერთდროულად ორი სვიტერი, გრძელი, შავი კაბა და მუქი წითელი ჩექმები ეცვა. შედოუმ კომპლიმენტი უთხრა. ლორამ თავი დახარა და გაიღიმა.

– ხომ ლამაზი ჩექმებია? ჩიკაგოში, ერთ დიდ მაღაზიაში აღმოვაჩინე.

– ჩიკაგოდან აქ რამ მოგიყვანა?

– ოჰ, ჩიკაგოდან რა ხანია წამოვედი, ცუგა. სამხრეთში მივდიოდი. სიცივემ შემაწუხა. კაცი იფიქრებს, რომ უნდა მსიამოვნებდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, მკვდარი სიცივეს სხვანაირად გრძნობს. სიცივე თითქოს არაფერია. მკვდარს კი თუ რამის ეშინია, ეს არაფერია. ტეხასში მივდიოდი. გალვესტონში გამოზამთრებას ვაპირებდი. ეტყობა, ზამთრის გალვესტონში გატარებას ბავშვობაში მივეჩვიე.

– არა მგონია, – შენიშნა შედოუმ, – გალვესტონი არასდროს გიხსენებია.

– არა? მაშინ იქნებ იქ ვინმე სხვა იზამთრებდა ხოლმე. არ ვიცი. თოლიები მახსოვს. ასობით თოლია დაფრინავდა, მთელ ცას ფარავდნენ, მე პურის ნამცეცებს ვისროდი ჰაერში და ისინი იჭერდნენ, – ლორა შეყოვნდა, – ეს მე თუ არ მინახავს, ალბათ სხვამ ნახა.

მოსახვევიდან მანქანა გამოვიდა. მძღოლი ხელის დაქნევით მიესალმა. შედოუმაც ხელი დაუქნია. ცოლთან ერთად სეირნობას არაფერი სჯობდა.

– რა კარგია, – თითქოს მისი აზრები წაიკითხა ლორამ.

– ჰო, – დაეთანხმა შედოუ.

– მიხარია, რომ შენც გსიამოვნებს. როცა ძახილი გავიგონე, სასწრაფოდ აქეთ წამოვედი. არადა, თითქმის ტეხასში ვიყავი.

– ძახილი? ლორამ ამოხედა. მის კისერზე შებმული ოქროს მონეტა აელვარდა.

– ძახილს ჰგავდა, – აუხსნა შედოუს, – შენ გამახსენდი, მივხვდი, რომ შენთან უფრო კარგად გავერთობოდი, ვიდრე გალვესტონში. მივხვდი, რომ ძალიან მინდოდა შენი ნახვა. თითქოს ძლიერ მომშივდა.

– სწორედ მაშინ მიხვდი, რომ აქ ვიყავი?

– კი, – ლორა გაჩუმდა და მოიღუშა, ზედა კბილებით ქვედა ტუჩზე მწარედ იკბინა. თავი გადახარა და თქვა: – ჰო, უეცრად მივხვდი. მეგონა, შენ მიხმობდი, მაგრამ, როგორც ჩანს, შენ არ ყოფილხარ.

– არა.

– ჩემი ნახვა არ გინდოდა?

– რას ამბობ... – შედოუ შეყოყმანდა, – არა, არ მინდოდა. ძალიან მტკივნეულია.

მათ ფეხქვეშ თოვლი ხრაშუნობდა და მზის შუქზე ბრილიანტის თვლებივით ბრწყინავდა.

– ალბათ ძალიან მძიმეა, – თქვა ლორამ, – უსიცოცხლობა.

– იმას გულისხმობ, რომ მკვდრობა გიმძიმს? მისმინე, კვლავაც ვცდილობ, გავარკვიო, წესიერად როგორ მოგაბრუნო. ვფიქრობ, სწორ გზას დავადექი...

– არა, – უთხრა ლორამ, – რასაკვირველია, მადლობელი ვარ და ვიმედოვნებ, მართლა შეძლებ ამას. მე ხომ ბევრი ცუდი რამ ჩავიდინე... – დანანებით გააქნია თავი, – მაგრამ მე შენ გგულისხმობდი.

– მე ცოცხალი ვარ, – უთხრა შედოუმ, – არ მოვმკვდარვარ. არ გახსოვს?

– არ მომკვდარხარ, მაგრამ, მგონი, არც ცოცხალი ხარ. არა.

„საუბარი ცუდად წარიმართა, – გაიფიქრა შედოუმ, – ასეთ რამეებზე არ უნდა ვსაუბრობდეთ“.

– მიყვარხარ, – გულგრილად უთხრა ლორამ, – შენ ჩემი ცუგა ხარ. მაგრამ მკვდარი რაღაც-რაღაცებს უფრო ცხადად ხედავს. ახლა აქ თითქოს არავინაა. შენ მხოლოდ დიდი, ადამიანის ფორმის სილუეტი ხარ, სიცარიელე, – ლორამ შუბლი შეკრა, – ერთად რომ ვცხოვრობდით, მაშინაც... მიყვარდა შენთან ყოფნა, რადგან მაღმერთებდი

,

და ჩემთვის ყველაფერს იზამდი... მაგრამ ზოგჯერ რომ მეგონა ცარიელ ოთახში შევდიოდი, შუქს ავანთებდი და იქ შენ მხვდებოდი ხოლმე, შენთვის იჯექი, არც კითხულობდი, არც ტელევიზორს უყურებდი, არც არაფერს აკეთებდი, – შედოუს მოეხვია, თითქოს შეეშინდა, ჩემმა სიტყვებმა გული არ ატკინოსო, – რობიში ყველაზე მეტად ის მომწონდა, რომ ვიღაც იყო. ზოგჯერ ნამდვილი იდიოტივით იქცეოდა, ზოგჯერ მასხრობდა, ერთად რომ ვიწექით, გარშემო სარკეებს შემოიდგამდა ხოლმე იმის საყურებლად, როგორ მხმარობდა, მაგრამ ის ცოცხალი იყო, ცუგა. მას სურვილები ჰქონდა. სივრცეში ადგილს იკავებდა, – ლორა გაჩუმდა, თავი გადახარა და შედოუს ჰკითხა: – მაპატიე. გაწყენინე?

შედოუს შეეშინდა, ვაითუ, ხმა ამიკანკალდესო და მხოლოდ თავი გაიქნია.

– კარგი, – თქვა ლორამ, – ძალიან კარგი.

შედოუს მანქანას უახლოვდებოდნენ. იგრძნო, რომ რაღაც უნდა ეთქვა, „მიყვარხარ“, „გთხოვ, ნუ წახვალ“, ან „მაპატიე“, სიტყვები, რომლებითაც უეცრად წყვდიადით მოცულ, საშიშ ადგილას შესული, საუბარს ამთავრებ. ამის მაგივრად ეს თქვა: – მკვდარი არ ვარ.

– შეიძლება, არ ხარ, – უთხრა ლორამ, – მაგრამ ზუსტად იცი, რომ ცოცხალი ხარ?

– შემომხედე.

– ეს პასუხი არაა, – უთხრა მკვდარმა ცოლმა, – გეცოდინება, როცა გაცოცხლდები.

– ახლა საით?

– უკვე გნახე. ისევ სამხრეთში წავალ.

– უკან, ტეხასში?

– სადმე, სადაც თბილა. სულერთია.

– აქ უნდა დავრჩე, – უთხრა შედოუმ, – სანამ ჩემს უფროსს დავჭირდები.

– ეს სიცოცხლე არაა, – ამოიოხრა ლორამ. შემდეგ გაიღიმა. რამდენჯერაც უნდა ენახა, ეს ღიმილი შედოუს მუდამ გულს უფრთხიალებდა. თითქოს ყოველთვის პირველად ხედავდა.

– კიდევ შეგხვდები? ლორამ შეხედა და დასერიოზულდა.

– ალბათ, – უპასუხა, – ბოლოს. ჯერ ხომ არაფერი დამთავრებულა?

– არა, – თქვა შედოუმ, – არ დამთავრებულა.

უნდოდა, მისთვის წელზე შემოეხვია ხელი, მაგრამ ლორამ თავი გააქნია და მოშორდა. გზის პირას დადგმულ, თოვლით დაფარულ საპიკნიკე მაგიდასთან ჩამოჯდა და მზერით გააცილა მანქანით მიმავალი შედოუ.

ინტერლუდია

ომი გაჩაღდა, მაგრამ ვერავინ ხვდებოდა. ქარიშხალი ახლოვდებოდა, მაგრამ ვერავინ გრძნობდა.

ომები დაუსრულებლად გრძელდება, რადგან სამყარო საკუთარ შეცდომებზე ვერ სწავლობს: დანაშაულთან ომი, სიღარიბესთან ომი, ნარკოტიკებთან ომი. ეს ომი სხვებზე მცირე იყო, უფრო შერჩევითი, მაგრამ იმავდროულად, სხვა ომებივით ნამდვილი და სასტიკი.

მანჰეტენზე სამშენებლო კოჭის ჩამოვარდნამ ქუჩაში ავტომანქანების მოძრაობა ორი დღით შეზღუდა. კოჭმა ორი ადამიანი იმსხვერპლა: არაბი ტაქსის მძღოლი და მგზავრი.

დენვერში სატვირთო მანქანის მძღოლი შინ მოკლული იპოვეს. მკვლელობის იარაღი, მარწუხიანი ჩაქუჩი, გვამის გვერდით, იატაკზე ეგდო. კაცს სახეზე ძალადობის კვალი არ ეტყობოდა, მაგრამ კეფა ჩამტვრეული ჰქონდა. სააბაზანოს სარკეზე ყავისფერი პომადით უცხო ენაზე უცხო ასოებით რაღაც მიეწერათ.

არიზონის შტატში, ფინიქსის საფოსტო განყოფილებაში ერთმა კაცმა გააფრინა და როგორც იმ საღამოს საინფორმაციო გამოშვებაში გამოაცხადეს, ავადმყოფურად მსუქან, ტრაილერში მარტო მცხოვრებ, მორიდებულ ტონი „ტროლ“ ევენსენს „წერილი წააღებინა“. საფოსტო

განყოფილებაში კიდევ რამდენიმე ადამიანს ესროლეს, მაგრამ მხოლოდ ევენსენი დაიღუპა. მკვლელი, რომელიც თავიდან ფოსტის უკმაყოფილო თანამშრომელი ეგონათ, ვერ დაიჭირეს. მისი ვინაობა დაუდგენელია.

– სიმართლე გითხრათ, – განაცხადა ტონი „ტროლ“ ევენსენის უშუალო ზემდგომმა ხუთსაათიან საინფორმაციო გამოშვებაში, – თუ ვინმეს გაგიჟებას ველოდით, სწორედ „ტროლისას“. კარგი თანამშრომელი, მაგრამ უცნაური ტიპი იყო. ასეა, არასდროს იცი, ვისგან რას ელოდო!

იმ საღამოს სიუჟეტი გაიმეორეს, მაგრამ ეს ინტერვიუ ამოჭრეს.

მონტანაში ერთად მცხოვრები ცხრა განდეგილი მკვდარი იპოვეს. რეპორტიორებმა მომხდარი მასობრივ მკვლელობად შერაცხეს, მაგრამ მალე სიკვდილის მიზეზად ძველი გამათბობლიდან მხუთავი აირის გაჟონვა დაასახელეს.

ატლანტის ზღვის პროდუქტების რესტორნის ვესტიბიულში კიბოების აკვარიუმი დალეწეს.

კი-უესტის სასაფლაოზე აკლდამა წაბილწეს.

აიდაჰოში მატარებელი ფოსტის სატვირთო მანქანას დაეჯახა. სატვირთოს მძღოლი დაიღუპა. მატარებლის მგზავრები სერიოზულად არ დაშავებულან.

,

ჯერჯერობით ცივი ომი მიმდინარეობდა, ცრუ ომი, რომელშიც ვერავინ გაიმარჯვებდა ან დამარცხდებოდა. ქარმა ხის ტოტები შეარხია. ცეცხლმა ნაპერწკლები გაყარა. ქარიშხალი ახლოვდებოდა. საბას დედოფალი, რომელიც, როგორც ამბობდნენ კუდიანი, ექიმბაში, გულთმისანი და მამის მხრიდან ნახევრად დემონი იყო, რომელიც საბას განაგებდა მაშინ, როცა საბა ამქვეყნად უმდიდრესი სამეფო იყო და იქაური სანელებლები, ძვირფასი ქვები და სურნელოვანი ხეები ნავებითა და აქლემებით ქვეყნიერების ოთხივე კუთხეში მიჰქონდათ, და რომელსაც უბრძნესი მეფეები სიცოცხლეშივე აღმერთებდნენ და ეთაყვანებოდნენ, ღამის ორ საათზე სანსეტ-ბულვარის ტროტუარზე დგას და საქორწილო ტორტში ჩარჭობილი ავხორცი პლასტმასის დედოფლის უსიცოცხლო თვალებით უყურებს ქუჩაში მოძრავ მანქანებს. ისე დგას, თითქოს ტროტუარი და ღამე, გარს რომ ახვევია, მას ეკუთვნოდეს.

როცა ვინმე შემოხედავს, ტუჩებს აცმაცუნებს, თითქოს მას ელაპარაკება. როცა მანქანით კაცები ჩაუვლიან, მათ თვალს უსწორებს. ქვეითებს ყურადღებას არ აქცევს (დიახ, დასავლეთ ჰოლივუდშიც კი დასეირნობს ხალხი ტროტუარზე), თვალს არიდებს, ვითომც ვერ ხედავს. ღამე გრძელი გამოდგა.

გასული კვირა და მთელი ოთხიათასწლეულიც გრძელი გამოდგა.

ამაყობს იმით, რომ არავისი არაფერი მართებს. მისგან განსხვავებით, ქუჩაში მდგარი სხვა გოგოები სუტენიორებს ემორჩილებიან, წამალზე არიან შემსხდარნი, შვილებს ზრდიან, ნაშოვნ ფულს ვიღაცას ან რაღაცას ახარჯავენ.

მის პროფესიაში წმინდა აღარაფერი დარჩა.

ერთი კვირის წინ ლოს-ანჯელესში წვიმიანობა დაიწყო. მოლიპულ ქუჩებში ავტოავარიების რიცხვმა იმატა, მთის ფერდობებიდან მოვარდნილმა ნიაღვარმა სახლები დატბორა, წყალსადინარი თხრილები ტალახით გაივსო, უსახლკარო ლოთები და მაწანწალები წყალმა წაიღო და ბეტონის კალაპოტში მოქცეულ მდინარეში ჩაყარა. ლოს-ანჯელესში წვიმიანობას ხალხი ყოველთვის მოუმზადებელი ხვდება.

ბილქისმა წინა კვირა შინ გაატარა. ასეთ ამინდში ტროტუარზე არ დაიდგომებოდა. უმი ღვიძლისფერ ოთახში, საწოლში მოკუნტული იწვა და ფანჯარასთან მიმაგრებულ ჰაერის კონდიციონერზე წვიმის წვეთების წკაპუნს უსმენდა ანდა ინტერნეტში პირად განცხადებებს ათავსებდა. მოსაწვევები დატოვა საიტებზე adultfriendfinder.com, LAescorts.com და classyhollywoodbabes.com. ყველგან ანონიმური ელექტრონული მისამართი მიუთითა. ეამაყება ამ ახალი ტერიტორიის ათვისება, მაგრამ ცოტათი მაინც ღელავს – წერილობითი კვალის დატოვებას უფრთხის. „ელ-ეი უიკლის“ უკანა გვერდებზე არასდროს გამოუქვეყნებია სარეკლამო განცხადება. ურჩევნია თავად

შეარჩიოს კლიენტი, საკუთარი თვალით, ყნოსვითა და შეხებით იპოვოს ის, ვინც ისე სცემს თაყვანს, როგორც ბილქისს სჭირდება, ვინც სრულად მიანდობს თავს...

და, აი, ახლა, ტროტუარზე მოცახცახე (მართალია, თებერვლის წვიმებმა გადაიღო, მაგრამ ქუჩაში ჯერ კიდევ ცივა), უეცრად აცნობიერებს, რომ ჰეროინსა და კოკაინზე შემჯდარი სხვა ბოზებივით, თვითონაც ნარკომანია და ეს აღონებს. კვლავ ტუჩების ცმაცუნს იწყებს. მის ლალივით წითელ ტუჩებთან ახლოს რომ იყოთ, ამ სიტყვებს გაიგონებდით:

– ავდგები და მოვივლი ქალაქის ქუჩებსა და მოედნებს. მოვძებნი ჩემი სულის შეყვარებულს[212], – ჩურჩულებს იგი, – მე ჩემი მეტრფისა ვარ და ჩემია მეტრფე ჩემი [213]. მითხრა, შენი ტანი

ფინიკის ხეა, შენი ძუძუნი – ვაზის მტევნებიო. მითხრა, რომ მოვიდოდა ჩემთან. მე ჩემი მეტრფისა ვარ და ჩემკენ მოილტვის ისიც[214].

წვიმამ გადაიღო და ბილქისი იმედოვნებს, რომ კლიენტები დაბრუნდებიან. სანსეტბულვარზე ორ-სამ კვარტალს აივლ-ჩაივლის ხოლმე. თითქმის მთელი წლის განმავლობაში ლოს-ანჯელესური გრილი ღამეებით ნებივრობს. თვეში ერთხელ ქრთამს უხდის ლოს-ანჯელესის პოლიციის ოფიცერს, ვინმე საბაჰს. წინათ საბაჰის მაგივრად ფულს ოფიცერ ჯერი ლებეკს აძლევდა, მაგრამ ლებეკი უჩვეულო ვითარებაში გაუჩინარდა და ლოს-ანჯელესის პოლიციის დეპარტამენტი ამაოდ დაეძებდა. ლებეკი ბილქისის სილამაზემ ისე მოხიბლა, ფეხით უკან დაჰყვებოდა. ერთ შუადღეს ბილქისი ხმაურმა გააღვიძა. ბინის კარი გააღო და დერეფანში გაიხედა. იქ ლებეკი დახვდა. სამოქალაქო ტანსაცმლით გაცვეთილ ხალიჩაზე დაჩოქილიყო და თავჩაქინდრული ირწეოდა. იცდიდა, ბილქისი როდის გამოვიდოდა და ქანაობისას თავს კარს ურტყამდა. სწორედ ეს ბრაგუნი მოესმა ბილქისს.

ბილქისმა თავზე ხელი გადაუსვა და შიგნით შეიყვანა. მცირე ხნის შემდეგ მისი ტანსაცმელი ნაგვის შავი ტომრით რამდენიმე კვარტალის იქით, დიდი სასტუმროს უკან მდგარ სანაგვე ყუთში ჩაყარა. პისტოლეტი და საფულე ქაღალდის პაკეტში ჩააწყო, ზედ საჭმლის ნარჩენები და დაფქული ყავა მოაყარა, თავი მოუკეცა და ერთერთ ავტობუსის გაჩერებასთან, განათების ბოძზე მიმაგრებულ ურნაში ჩაუძახა.

ბილქისი სუვენირებს არ ინახავდა.

შორს, დასავლეთით, ზღვის მხარეს, ბნელი ცა ნარინჯისფრად კრთის. ელავს. ბილქისი ხვდება, რომ მალე გაწვიმდება. ხვნეშის. არ უნდა, წვიმაში დასველდეს. აჯობებს, ბინაში დაბრუნდეს, შხაპი მიიღოს და ფეხები გაიპარსოს. ბოლოს დროს ფეხის პარსვისა და ძილის მეტს არც არაფერს აკეთებს.

– ვეძებე ღამით ჩემს სარეცელზე ჩემი სულის შეყვარებული, ვეძებე იგი და ვერ ვიპოვე[215], – ჩურჩულებს ბილქისი, – მეამბოროს თავისი ბაგეების ამბორით [216]. მე ჩემი მეტრფისა ვარ და ჩემია მეტრფე ჩემი.

ვიწრო ქუჩაში უხვევს და აღმართს მიუყვება. მანქანა ზემოთ გააჩერა.

,

უკნიდან წინა ფარების შუქი ეწევა და თანდათან ნელდება. ბილქისი უკან ტრიალდება და იღიმება. თეთრ ლიმუზინს ხედავს და ღიმილი სახეზე აშრება. თეთრლიმუზინიან კაცებს თეთრ ლიმუზინში ტყნაური უნდათ და არა – ბილქისის ტაძარში. არა უშავს, იქნებ ისეთი ვინმეა, ვინც სამომავლოდ გამოადგება.

დაბურული მინა ზუზუნით ეშვება და ბილქისი ლიმუზინისკენ გაღიმებული იხრება.

– გამარჯობა, საყვარელო, – ამბობს, – რამეს ეძებ?

– ალერსს, – ისმის ხმა ლიმუზინიდან. ბილქისი ნახევრად ღია ფანჯრიდან დაჟინებით იყურება შიგნით: ერთი მისი ნაცნობი გოგო ლიმუზინში ხუთ მთვრალ ფეხბურთელს ჩაუჯდა და ლამის დაასახიჩრეს, მაგრამ მანქანაში მხოლოდ ერთი ტიპი ზის და თუ მზერა არ ატყუებს, ახალგაზრდაა. ისეთს არა ჰგავს ბილქისს რომ თაყვანი სცეს, მაგრამ მისი ხელიდან ბილქისისაში გადმონაცვლებული ფულიც ძალის მომცემია – ოდესღაც ამ ძალას ბარაქას უწოდებდნენ. ასეთ დროში ცოტ-ცოტა ყველაფერი ეხმარება.

– რამდენს ითხოვ?

– გააჩნია, რა გინდა და რამდენ ხანს, – პასუხობს ბილქისი, – ან საერთოდ თუ გაქვს მაგდენი.

ლიმუზინში აშკარად ბოლის სუნი ტრიალებს. დამწვარი სადენებისა და გახურებული მიკროსქემების სუნია. კარი იღება.

– იმისთვის, რაც მინდა, ფული ყოველთვის მაქვს, – ეუბნება კლიენტი. ბილქისი სალონში ყოფს თავს. შიგნით მხოლოდ პუტკუნა ბიჭი ზის, ისეთი ნორჩია, ჯერ ლუდის დალევის უფლებაც არ ექნება. სალონში მეტი არავინაა და ბილქისი ლიმუზინში ჯდება.

– ეს რა მდიდარ ბიჭს გადავეყარე.

– მდიდარზე უმდიდრესს, – ეუბნება ტყავის სავარძელზე მჯდარი ბიჭი და მისკენ მოჩოჩავს. უხერხულად მოძრაობს. ბილქისი გამამხნევებლად უღიმის.

– ჰმმმ. როგორ აღმაგზნებ, საყვარელო, – ეუბნება მას, – ალბათ შენც ინტერნეტკომპანიებით გამდიდრებული ბიჭი ხარ, თქვენნაირებზე ბევრს წერენ გაზეთებში. ბიჭი მამალივით იფხორება.

– დიახ და არა მხოლოდ მაგით ვარ ცნობილი. მე ტექნიკოსი ბიჭი ვარ.

მანქანა მიდის.

– აბა, – ამბობს ბიჭი, – მითხარი, ბილქის, სირს რამდენად მომწოვ?

– რა მიწოდე?

– ბილქისი, – იმეორებს ბიჭი და მღერის ხმით, რომელიც სასიმღეროდ არაა განკუთვნილი: – არამატერიალური გოგო ხარ მატერიალურ სამყაროში.

ეს სიტყვები დაზეპირებულივით წარმოთქვა, თითქოს სარკის წინ დიდხანს ემზადებოდა გამოსვლისთვის. ბილქისს სახე უსერიოზულდება და უმკაცრდება.

– რა გინდა?

– უკვე გითხარი. ალერსი.

– რაც გინდა, ყველაფერს მოგცემ, – ეუბნება ბიჭს. ლიმუზინიდან უნდა გადავიდეს. მანქანა მეტისმეტად სწრაფად მიდის, რომ გადახტეს, როგორმე უნდა დაიძვრინოს თავი. რაღაც ცუდი ხდება და ეს არ მოსწონს.

– რაც მინდა. დიახ, – ბიჭი წამით ჩუმდება და ენით ტუჩებს ილოკავს, – მე სუფთა სამყარო მინდა. მინდა მომავალს განვაგებდე. მინდა ევოლუცია, დევოლუცია და რევოლუცია. მინდა ჩვენი მოდგმა ჩრდილიდან გამოვიდეს და ყურადღების ცენტრში მოექცეს. თქვენ იატაკქვეშეთს

აფარებთ თავს. ეს შეცდომაა. დღის შუქზე უნდა გამოვიდეთ. დიდხანს სიბნელეში მალვამ დაგაბრმავათ.

– მე აიშა მქვია, – ამბობს ბილქისი, – წარმოდგენა არ მაქვს, რას გულისხმობ. კუთხეში კიდევ ერთი გოგო დგას, ბილქისი იმას ჰქვია. სანსეტ-ბულვარზე დავბრუნდეთ, ორივეს წაგვიყვან...

– აჰ, ბილქის, – დრამატულად ოხრავს ბიჭი, – ქვეყნად ყველასთვის სამყოფი რწმენა აღარ დარჩა. ხალხი ბევრს ვეღარაფერს შემოგვთავაზებს. ნდობის ხიდი ჩატეხილია, – და ისევ დუდღუნებს: – ანალოგური გოგო ხარ ციფრულ სამყაროში.

ლიმუზინი მკვეთრად უხვევს გზაჯვარედინზე და ბიჭი ბილქისს ეჯახება. მინის დაბურულ ტიხარს მიღმა მძღოლი არ ჩანს. უცებ ბილქისს გიჟური აზრი მოსდის თავში: ლიმუზინს არავინ მართავს, ბევერლი-ჰილზში თავისით დაქრის.

ბიჭი მინის ტიხარზე აკაკუნებს.

ლიმუზინი სიჩქარეს ანელებს, მაგრამ სანამ გაჩერდება, ბილქისი კარს აღებს, გარეთ ხტება და ასფალტზე ეცემა. ფერდობზე არიან. მისგან მარცხნივ დამრეცი ბორცვი აღმართულა, მარჯვნივ – ხევი. ბილქისი დაღმართზე ჩარბის.

ლიმუზინი არ იძვრის.

წვიმა მოდის. ბილქისს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი უსრიალებს და ბარბაცებს. ფეხსაცმელს იხდის და ფეხშიშველა გარბის. ერთიანად გაწუწულია. სამალავს ეძებს, რომ გზიდან გადავიდეს. შეშინებულია. კი, ჯადოსნური ძალა გააჩნია, მაგრამ ბილქისის ძალა მისი საშოა, მისი დაუოკებელი ჟინი. ამ ქვეყანაში ამდენი ხანი

,
სწორედ ამით სულდგმულობს, მაგრამ, სხვა მხრივ, ბილქისი თავის მახვილ მზერას, გამჭრიახ გონებას, სიმაღლესა და გარეგნობას ეყრდნობა.

მარჯვნივ გზას ლითონის მოაჯირი გასდევს, რომ მანქანები ფერდობიდან ხევში არ გადაცვივდნენ. კოკისპირულმა წვიმამ ფერდობის გზა მდინარედ გადააქცია. ბილქისს გადატყავებული ქუსლებიდან სისხლი სდის.

მის თვალწინ ლოს-ანჯელესი ციმციმებს, წარმოსახვითი სამეფოს ბრჭყვიალა ელექტრონულ რუკას ჰგავს, თითქოს ზეცა გადაშლილა მიწაზე. როგორმე გზიდან უნდა გადავიდეს და სამშვიდობოს გააღწევს.

– შავი ვარ, მაგრამ მშვენიერი[217], – ეჩურჩულება ღამესა და წვიმას, – მე ვარ ნარგიზი შარონისა და ღელეთა შროშანი [218]. გამამაგრეთ ღვინით, გამაგრილეთ ვაშლებით, რადგან დავსნეულდი სიყვარულისგან [219].

ღამის ცაზე ელვა იკლაკნება. ბილქისს ფეხი უცურავს, ეცემა, მუხლსა და იდაყვს იყვლეფს, ისევ დგება და ამ დროს ზემოდან მისკენ მომავალი მანქანის ფარების შუქს

ხედავს. ლიმუზინი სწრაფად მოქრის. ბილქისი ბორცვის ძირამდე ვერ ჩაასწრებს. მარჯვნივ რომ გაიქცეს, მანქანა მოაჯირზე მიაჭყლეტს, ამიტომ ბილქისი მარცხნივ გარბის, იქნებ ბორცვზე აცოცება მოახერხოს. თეთრი ლიმუზინი მოლიპულ გზაზე ბზრიალდება. ღმერთო, ალბათ ას ოცით მაინც მოდის, ლამისაა ასფალტს მოსწყდეს. ბილქისი გზიდან გადარბის და ცდილობს, სველ ბალახსა და მიწას მოეჭიდოს, ზემოთ აძვრეს, მაგრამ ფეხქვეშ მიწა ეცლება და ისევ ქვემოთ, გზისკენ მიგორავს.

ლიმუზინი ისეთი ძალით ეჯახება, მისი ბამპერი იზნიქება, ბილქისი ტიკინასავით მიფრინავს ჰაერში. ლიმუზინის უკან ეცემა. შეჯახებისას მენჯის ძვალი ემსხვრევა და თავის ქალა ებზარება. სახეზე წურწურით ჩამოსდის წვიმის ცივი წვეთები.

მკვლელს წყევლის: წყევლის ჩუმად, რადგან ტუჩებს ვეღარ ამოძრავებს. წყევლის სიფხიზლისა

და უგონობის, სიცოცხლისა და სიკვდილის ზღვარზე მყოფი. წყევლის ისე, როგორც

ეს მამის მხრიდან ნახევრად დემონს შეუძლია. მანქანის კარი იღება. ვიღაც

უახლოვდება.

– ანალოგური გოგო იყავი, – დუდღუნებს ბიჭი, – ციფრულ სამყაროში, – შემდეგ ამატებს, – ტვინი წაიღეს ამ მადონებმა. შევეცი მადონებს, – და მიდის.

მანქანის კარი ჯახუნით იხურება.

ლიმუზინი უკუსვლით იძვრის, ნელა გადაუვლის ბილქისს და ბორბლებით ძვლებს უფშვნის. მერე ისევ წინ მოდის.

ბოლოს და ბოლოს, მანქანა დაღმა, ბორცვის ძირისკენ ეშვება, გზაზე კი წითელი ხორცის გასრესილ მასას ტოვებს, რომელსაც ძნელად თუ მიამგვანებთ ადამიანს. მალე ამასაც წვიმა ჩარეცხავს.

მეორე ინტერლუდია

– გამარჯობა, სამანთა.

– მეგს, შენ ხარ?

– სხვა ვინ უნდა იყოს? ლეონმა მითხრა, სანამ ბანაობდი, დეიდა სემიმ დარეკაო.

– კარგად ვისაუბრეთ. საყვარელი ბიჭია.

– ჰო, ამას მაინც არსად გავუშვებ.

ორივეს წამიერი უხერხულობის გრძნობა იპყრობს და ჩუმდება. ყურმილებში მხოლოდ შიშინი ისმის. შემდეგ სიჩუმე ირღვევა: – სემი, სწავლის საქმე როგორ მიდის?

– ერთი კვირით დაგვითხოვეს. გათბობის სისტემას პრობლემა შეექმნა. ლეიკსაიდში რა ხდება?

– ახალი კარის მეზობელი მყავს. მონეტით ფოკუსებს აკეთებს. „ლეიკსაიდ ნიუსის“ მკითხველის წერილების სვეტში ქალაქის ხელახალი დარაიონების თაობაზე კამათია გაჩაღებული. ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირას, ძველ სასაფლაოსთან, საბინაო მშენებლობის წამოწყებას

აპირებენ. შენმა მონა-მორჩილმა მკაცრი სარედაქციო წერილი უნდა დაწეროს, რომელშიც მთელი გაზეთის პოზიციას დააფიქსირებს, ისე რომ არავინ გაანაწყენოს და ვერც ვერავინ მიხვდეს, რა პოზიციაზე ვდგავართ.

– მგონი, კარგად ხალისობთ.

– არა. წინა კვირას ელისონ მაკგავერნი დაიკარგა, ჯილი და სტენ მაკგავერნების უფროსი გოგო. მგონი, მათ არ იცნობ. კარგი ბავშვია. რამდენჯერმე დავტოვე ლეონისთვის ყურადღების მისაქცევად.

პირი რაღაცის სათქმელად იღება, მაგრამ ნაცვლად იმისა, რაც უნდა ეთქვა, სხვა რამეს ამბობს: – რა საშინელებაა.

– ჰო.

– აბა... – სემი მძიმე თემას ცვლის, – რას იტყვი, ლამაზია?

– ვინ?

– მეზობელი.

– მაიკ აინსელი ჰქვია. არა უშავს. ჩემთვის ძალიან ახალგაზრდაა. ზორბა ტიპია. ისეთია... სიტყვა დამავიწყდა.

– ავი? ფიცხი? დიდებული? ცოლიანი?

ისმის ჩაცინება.

– ჰო, ცოლიანს კი ჰგავს, ისე. ალბათ ცოლიანი კაცები მასავით გამოიყურებიან. მაგრამ მე სიტყვა „მელანქოლიურს“ ვიხსენებდი. მელანქოლიურია.

– და იდუმალი?

– სულაც არა. რომ გადმოვიდა, უმწეო ჩანდა, ფანჯრები წესიერად როგორ დაეგმანა, არ იცოდა. ახლაც ისე გამოიყურება, თითქოს ვერ ხვდება, აქ რა ჯანდაბას აკეთებს. როცა ლეიკსაიდშია... ხან აქ არის, ხან სადღაც მიემგზავრება... ხანდახან ქალაქში დასეირნობს ხოლმე. უწყინარი ბიჭია.

– იქნებ ბანკებს ძარცვავს?

– ჰა-ჰა. მეც მაგას ვფიქრობდი.

– არა. ეს ჩემი იდეა იყო. მისმინე, მეგს, როგორ ხარ? ხომ კარგად ხარ?

– კი.

– ნამდვილად?

– არა.

პასუხს ხანგრძლივი პაუზა მოსდევს.

– გინახულებ.

– სემი, არ გინდა.

– გათბობის სისტემას იქითა კვირის დასაწყისამდე ვერ შეაკეთებენ და სწავლაც მანამდე არ

განახლდება. ცოტას გაგართობ. ლოგინი დივანზე გამიშალე და იდუმალი მეზობელი ვახშმად დაპატიჟე.

– სემ, მაჭანკლობას აპირებ?

– ვინ, მე? იმ ნაგიჟარი კლოდინის შემდეგ, მგონი, დროა, ისევ ბიჭებს დავუბრუნდე. საშობაოდ ელ-პასოში რომ მივდიოდი, ერთ უცნაურ, მაგრამ სიმპათიურ ბიჭს დავემგზავრე.

– სემ, რამდენჯერ გითხარი, ავტოსტოპით მგზავრობას შეეშვი-მეთქი.

– შენი აზრით, ლეიკსაიდში ჩამოსვლას რით ვაპირებ?

– ელისონ მაკგავერნიც ავტოსტოპით მგზავრობდა ხოლმე. უცხო მანქანაში ჩაჯდომა ასეთ პატარა ქალაქშიც კი საშიშია. ფულს გადმოგირიცხავ. ავტობუსით წამოდი.

– არაფერი მომივა.

– სემი.

– კარგი, მეგს, ფული გადმომირიცხე, თუკი ეს დაგამშვიდებს.

– მშვენივრად იცი, რომ დამამშვიდებს.

– კარგი, უფროსობის მოყვარულო უფროსო დაიკო. ლეონს ჩემ მაგივრად ჩაეხუტე და უთხარი, რომ დეიდა სემი ჩამოდის, ამჯერად სათამაშოებს საწოლში ნუღარ ჩაუყრის.

– ვეტყვი, მაგრამ ვერ დაგპირდები, რომ რჩევას გაითვალისწინებს. მაშ, როდისთვის გელოდო?

– ხვალ ღამით მანდ ვიქნები. ავტოსადგურში დახვედრა საჭირო არაა, ჰინცელმანს ვთხოვ და „ტესით“ მომიყვანს.

– „ტესი“ გამოსაზამთრებლად გარაჟში აყენია. მაგრამ ჰინცელმანი მაინც წამოგიყვანს. შენ მოსწონხარ. მის არაკებს გულისყურით უსმენ.

– ისე, სტატია ჰინცელმანს უნდა დააწერინო. რაღაც ამდაგვარი: „ძველ სასაფლაოსთან მშენებლობის დაწყების თაობაზე. 1903 წლის ზამთრის ერთ დღეს პაპაჩემი ძველ

სასაფლაოსთან ხარირემს გადააწყდა. ტყვიები გასთავებოდა და ბებიაჩემის გამოტანებული სადილიდან

მორჩენილი ალუბლის კურკა ესროლა. კურკამ თავის ქალა გაუხვრიტა და ხარირემი შურდულით გატყორცნილ ქვასავით გაქანდა ხეებისკენ. ორი წლის შემდეგ იმავე ადგილას პაპაჩემმა ეს დიდი ხარირემი დაინახა, მის რქებს შორის ალუბალს გაეშალა ტოტები. ამჯერად მოკლა და ბებიაჩემმა იმდენი ალუბლის ღვეზელი გამოაცხო, რომ მომდევნო ოთხ ივლისამდე ეყოთ...“

ორივეს გაეცინა.

მესამე ინტერლუდია ფლორიდა,

ჯექსონვილი, 02:00 – აბრაზე წერია,

რომ ვაკანსია გაქვთ.

– დამხმარე ყოველთვის გვჭირდება.

– მხოლოდ ღამით შემიძლია მუშაობა. გაწყობთ?

– კი. აგერ, ანკეტა შეავსეთ. ბენზინგასამართ სადგურზე წინათაც გიმუშავიათ?

– არა. ძნელი იქნება?

– ძალიან რთული საქმეა-მეთქი, ვერ მოგატყუებთ.

– აქ ახლახან გადმოვსახლდი. ტელეფონი არ მაქვს. ველოდები, როდის დამიდგამენ.

– ნაცნობი სიტუაციაა. გალოდინებენ, იციან, რომ მათ გარდა, სხვასთან მაინც ვერავისთან მიხვალ. მემ, იმედია, არ მიწყენთ, ამას რომ გეუბნებით, მაგრამ ცუდად გამოიყურებით.

– ვიცი. ავად ვარ. მაგრამ იმდენად ცუდადაც არ ვარ, როგორც გამოვიყურები. სასიკვდილო არაფერი მჭირს.

– კარგი. ანკეტა მე დამიტოვეთ. სხვათა შორის, ღამის ცვლაში ხალხი გვაკლია. ღამის ცვლას ზომბების ცვლას ვუწოდებთ. ღამღამობით, დიდხანს მუშაობის შემდეგ, ზომბს ემსგავსები. მაშ, ასე... რა წერია... ლოტა, არა?

– ლორა.

– ლორა. დიახ. იმედია, შერეკილებთან ურთიერთობა არ გაგიჭირდებათ. ღამით ეგეთი ხალხი დაბოდიალობს ხოლმე.

– ეჭვიც არ მეპარება. პრობლემა არაა.

მეცამეტე თავი

გამარჯობა, ძველო
მეგობარო. რას იტყვი, ძველო
მეგობარო? ძველი
მეგობრობის ხათრით,
გთხოვ, ნუ იბღვირები! სულ
ერთად ვიქნებით.
ის, მე, შენ – ბევრი სიცოცხლე დევს სასწორზე...
სტივენ სონდჰაიმი[220], „ძველი მეგობრები“
შაბათ დილას შედოუს ბინის კარზე
დააკაკუნეს.

მარგარიტ ოლსენი აღმოჩნდა. შიგნით არ შემოვიდა, მზის შუქზე იდგა სერიოზული სახით.

– მისტერ აინსელ……

– გთხოვთ, მაიკი მიწოდეთ, – შეაწყვეტინა შედოუმ.

– კარგი, მაიკ. ამ საღამოს სადილად ხომ არ დამეწვევით? ექვსი საათისთვის შემოიარეთ. მხოლოდ სპაგეტი და გუფთა მექნება, ისეთი არაფერი.

– მშვენიერია. სპაგეტი და გუფთა მიყვარს.

– რასაკვირველია, თუ სხვა გეგმები გაქვთ...

– მცალია.

– მაშინ ექვს საათზე გელით.

– ყვავილები მოვიტანო?

– როგორც გნებავთ. მაგრამ ეს მეგობრული სადილია და არა – რომანტიკული, – უთხრა მარგარიტ ოლსენმა და წავიდა.

შედოუმ შხაპი მიიღო. მერე ცოტა გაისეირნა ხიდამდე და უკან. მზე მქრქალ მონეტასავით ეკიდა ცაში. შედოუს პალტოში დასცხა და გაოფლიანდა. სეირნობის შემდეგ იისფერი „ტოიოტათი“ „დეივის დელიკატესებში“ წავიდა და ერთი ბოთლი ღვინო იყიდა ოც დოლარად – ფასი

ხარისხის გარანტად მიიჩნია, თვითონ ღვინოებს ვერ ცნობდა და იფიქრა, ეს კარგი იქნებაო. „კალიფორნიული კაბერნე“ შეარჩია. ბამპერის სტიკერზე ერთხელ (როცა ახალგაზრდა იყო და ხალხი ბამპერებზე სტიკერებს ჯერ კიდევ აწებებდა) თვალი მოჰკრა წარწერას ცხოვრება კაბერნეა[221] და ბევრი იცინა. ეს სახელი იმ დროიდან ახსოვდა.

საჩუქრად მწვანეფოთლებიანი და უყვავილო ქოთნის მცენარე იყიდა, ისეთი, რომანტიკულობის რომ არაფერი ეცხო.

აგრეთვე შეიძინა ერთი კოლოფი რძე და ხილი, რომელსაც თვითონ არასდროს მიირთმევდა.

იქიდან „მეიბლის კაფეში“ წავიდა და ერთი ღვეზელი იყიდა. მის დანახვაზე მეიბლს სახე გაუნათდა.

– ჰინცელმანი შეგხვდათ?

– არ ვიცოდი, თუ მეძებდა.

– დიახ. ყინულზე სათევზაოდ გეპატიჟებათ. ჩედ მალიგანმაც გიკითხათ, ხომ არ გამოჩენილაო.

ნაცნობი ესტუმრა სხვა შტატიდან. ქვრივი ქალია. ძალიან საყვარელი ვინმეა. მოგეწონებათ, – უთხრა მეიბლმა, ღვეზელი ყავისფერ პაკეტში ჩაუგდო და მიაწოდა.

შინისკენ მიმავალი შედოუ საჭეს ცალი ხელით მართავდა, მეორით ღვეზელს ჭამდა. ნამცეცები ჯინსის შარვალსა და „ტოიოტას“ იატაკზე ცვიოდა. ტბის სამხრეთ ნაპირთან ბიბლიოთეკას ჩაუარა. ყინულსა და თოვლში ქალაქი შავ-თეთრს ჰგავდა. გაზაფხულამდე წარმოუდგენლად შორი ჩანდა. შედოუს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ჯაბახანა სამუდამოდ იდგებოდა ყინულზე მეთევზეთა ქოხებს, პიკაპებსა და თოვლმავლების ბილიკებს შორის.

მანქანა სახლის წინ გააჩერა, გადმოვიდა და ხის კიბით ვერანდაზე ავიდა. ჩიტების საკვებურს დასეულ ჩიტბატონებსა და ცოციებს მისკენ არც გამოუხედავთ. შედოუ შინ შევიდა. ქოთნის მცენარე მორწყა და დაფიქრდა, ღვინო მაცივარში შეედგა თუ არა. ექვს საათამდე როგორმე დრო უნდა მოეკლა.

ნეტავ ისევ გემოზე მაყურებინა ტელევიზორსო, ინატრა. ხმითა და ეკრანის ციმციმით თავის შექცევა სურდა და არაფერზე ფიქრი. „გინდა ლუსის ძუძუები ნახო?“ – ლუსის ჩურჩული ჩაესმა გონებაში და მაშინვე უარით გაიქნია თავი, თუმცა ოთახში არავინ იყო.

მიხვდა, რომ ღელავდა. მას შემდეგ, რაც სამი წლის წინ დააპატიმრეს, პირველად მოუწევდა ხალხთან ურთიერთობა, ჩვეულებრივ ხალხთან და არა – პატიმრებთან, ზედამხედველებთან, ღმერთებთან, მითოლოგიურ გმირებსა და სიზმრისეულ მოჩვენებებთან. საუბარი მოუწევდა, ოღონდ როგორც მაიკ აინსელს და არა შედოუს.

მაჯის საათზე დაიხედა. სამის ნახევარი იყო. მარგარიტ ოლსენმა უთხრა, ექვსი საათისთვის შემოიარეო. ზუსტად ექვსზე მივიდეს? ცოტა ადრე? ან იქნებ ცოტა გვიან? გადაწყვიტა, შვიდის ხუთ წუთზე დაეკაკუნებინა მეზობლის კარზე. შედოუს ტელეფონი აწკრიალდა.

– რა იყო?

– ტელეფონს ეგრე ვინ პასუხობს? – ჩაიბურტყუნა უენზდეიმ.

– ტელეფონს რომ ჩავრთავ, მაშინ ზრდილობიანად ვუპასუხებ ხოლმე, – უპასუხა შედოუმ, – რით დაგეხმარო?

– არ ვიცი, – თქვა უენზდეიმ და რამდენიმე წამით გაჩუმდა. შემდეგ განაგრძო, – ღმერთების შეგროვება კატების მწკრივში დაყენებაზე რთული ყოფილა. მიუჩვეველნი არიან, – შედოუმ უენზდეის ხმაში უჩვეულო ნაღველი და დაღლილობა იგრძნო.

– რა მოხდა?

– აღარ შემიძლია, დავიტანჯე. აღარც კი მჯერა, რომ რამე გამოვა. აჯობებს, საკუთარი ხელით გამოვიჭრათ ყელი.

– მაგას ნუ ამბობ.

– ჰო, ვიცი, ყურები ჩამოვყარე.

– თუ ყელს თვითონ გამოიჭრით, იქნებ ძალიან არც გეტკინოთ, – უენზდეის გამხიარულება სცადა შედოუმ.

– მაინც მტკივნეული იქნება, ჩემნაირებისთვისაც კი. თუ მატერიალურ სამყაროში ცხოვრობ და მოქმედებ, მატერიალური სამყაროც მოქმედებს შენზე. ტკივილი გტანჯავს, სიხარბე გწამლავს

და ვნება გწვავს. მართალია, ძნელად ვიხოცებით, მაგრამ სიკვდილისგან არც ჩვენ ვართ დაცულები და როცა ვიხოცებით, მერწმუნე, ჩვენი აღსასრული საშინელია. თუ ხალხს ვუყვარვართ და ვახსოვართ, ჩვენს ადგილს სხვა ჩვენი მსგავსი იკავებს და მერე ყველაფერი თავიდან იწყება ხოლმე, მაგრამ თუ დაგვივიწყებენ, მორჩა, ჩვენი ამბავი სამუდამოდ მთავრდება. შედოუმ სათქმელი ვერაფერი მოიფიქრა და ჰკითხა:
– საიდან მირეკავ?

– შენი საქმე არაა.

– მთვრალი ხარ?

– ჯერ არა. სულ თორზე ვფიქრობ. მას არ იცნობდი. შენსავით ზორბა ტიპი იყო. გულკეთილი. ჭკვიანი და გამჭრიახი არასდროს ყოფილა, მაგრამ რომ გეთხოვა, თავის პერანგს გაიხდიდა და მოგცემდა. თავი მოიკლა. 1932 წელს ფილადელფიაში პირში რევოლვერის ლულა შეიყო და სასხლეტს თითი გამოჰკრა. განა ღმერთი ასე უნდა კვდებოდეს?

– სამწუხაროა.

– თითქოს მართლა განაღვლებდეს. ისიც შენ გგავდა, დიდი და ყეყეჩი იყო, – უენზდეი გაჩუმდა და ჩაახველა.

– რა მოხდა? – მეორედ ჰკითხა შედოუმ.

– დამიკავშირდნენ.

– ვინ?

– მოწინააღმდეგეები.

– მერე?

– მოვილაპარაკოთო. დაზავებას გვთავაზობენ. იცოცხლე და სხვაც აცოცხლე.

– რას იზამ?

– რას ვიზამ და, კანზას-სიტის მასონთა დარბაზში თანამედროვე ნაბიჭვრებთან ერთად უგემურ ყავას დავლევ.

– კარგი. გამომივლი თუ სადმე შეგხვდე?

– მანდ დარჩი და თავი არ გამოყო. შარში არ გაეხვიო. გასაგებია?

– მაგრამ...

კავშირი გაწყდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ყურმილში ზუმერიც კი არ ისმოდა. ტელეფონი ხომ ჩართული არ იყო.

უენზდეისთან საუბარმა შედოუ ააფორიაქა. ადგა. დროის გასაყვანად გასეირნებას აპირებდა, მაგრამ გარეთ უკვე ბნელდებოდა და ისევ დაჯდა. „ლეიკსაიდის ქალაქის საბჭოს ოქმების წიგნი 1872-1884“ აიღო და ფურცვლას შეუდგა. წვრილ შრიფტს არ კითხულობდა, მხოლოდ აკვირდებოდა და, თუ რამე საინტერესო მოხვდებოდა თვალში, მაშინღა ჩერდებოდა.

შეიტყო, რომ 1874 წელს ქალაქის საბჭო ლეიკსაიდში უცხო ტყისმჭრელების მომრავლებამ შეაწუხა. მესამე ქუჩისა და ბროდვეის კუთხეში ოპერისთვის ნაგებობის აშენება დაიგეგმა. მოელოდნენ, რომ მილ-კრიკის[222] დაგუბებით გამოწვეული მღელვარება წისქვილის საგუბრის ტბად გადაქცევისთანავე დაცხრებოდა. საბჭომ მისტერ სამუელ სამუელსსა და მისტერ ჰეიკი

სალმინენს მათი ყანებისა და საცხოვრებელი ადგილების დატბორვისთვის, შესაბამისად, სამოცდაათი და ოთხმოცდახუთი დოლარი გადაუხადა კომპენსაციის სახით.

თურმე ტბა ხელოვნური ყოფილაო, გაუკვირდა შედოუს. რატომ დაარქვეს ქალაქს ლეიკსაიდი, თუ თავიდან მხოლოდ წისქვილის საგუბართან იყო გაშენებული? კითხვა განაგრძო. ტბის დაგუბებას ხელმძღვანელობდა მისტერ ჰინცელმანი, წარმოშობით ჰუნდენმიულენიდან, ბრაუნშვაიგის საჰერცოგოდან. ქალაქის საბჭომ მას პროექტის განსახორციელებლად 370 დოლარი გამოუყო. შესაძლო დანაკლისს ხალხის შემოწირულობით დაფარავდნენ. შედოუმ ის გვერდი ქაღალდის ხელსახოცის ნაგლეჯით ჩაინიშნა. წარმოიდგინა, როგორ გაუხარდებოდა ჰინცელმანს, წიგნში პაპამისზე ჩანაწერს რომ წააკითხებდა.

ტბა 1876 წლის გაზაფხულზე საზეიმოდ გაეხსნათ ქალაქის დაარსების მეასე წლისთავის აღსანიშნავად. საბჭოს ერთხმად გადაეხადა განსაკუთრებული მადლობა მისტერ ჰინცელმანისთვის.

შედოუმ მაჯის საათზე დაიხედა. ექვსის ნახევარი იყო. სააბაზანოში შევიდა, გაიპარსა და თმა დაივარცხნა. ტანსაცმელი გამოიცვალა. როგორღაც თხუთმეტი წუთი გავიდა. ღვინო და ქოთნის მცენარე აიღო და მეზობლის კარს მიადგა.

დაკაკუნებისთანავე გაუღეს. მარგარიტ ოლსენი თითქმის მასავით აღელვებული ჩანდა. ღვინის ბოთლი და ქოთნის მცენარე გამოართვა და მადლობა გადაუხადა. ვიდეომაგნიტოფონი იყო ჩართული და ტელევიზორში „ოზის ჯადოქარს“ უყურებდნენ. ჯერაც სეპიას ტონებში შეღებილ კანზასში მყოფი დოროთი თვალდახუჭული იჯდა პროფესორ მარველის ფურგონში და ის ბებერი თაღლითი ატყუებდა, ვითომ მის აზრებს კითხულობდა, მათკენ კი მოიწევდა ქარბორბალა, რომელიც დოროთის ჩვეულ ცხოვრებას მოსწყვეტდა და შორს გაიტაცებდა. ლეონი ტელევიზორის წინ იჯდა და სათამაშო სახანძრო მანქანას დააგორებდა. შედოუს დანახვაზე სიხარულით თვალები გაუბრწყინდა, წამოხტა, საძინებელში შევარდა და წუთის შემდეგ იქიდან ოცდახუთცენტიანის ქნევით გამოიჭრა.

– შეხედე, მაიკ აინსელ! – დაიყვირა მან, ორივე ხელი მომუჭა, მონეტა ვითომ მარჯვენაში გადაიტანა და მერე მარჯვენა მუჭი გაშალა, – გავაქრე, მაიკ აინსელ!

– კი, – დაეთანხმა შედოუ, – ნასადილევს, თუ დედაშენი ნებას დაგვრთავს, გიჩვენებ, ეგ უფრო მარჯვედ როგორ გააკეთო.

– თუ გნებავთ, ახლავე უჩვენეთ, – უთხრა მარგარიტ ოლსენმა, – სამანთა ჯერ არ დაბრუნებულა. არაჟნის მოსატანად გავგზავნე. ნეტავ ამდენ ხანს რატომ არ ჩანს?

თითქოს ამის გაგონებას ელოდაო, ვერანდაზე ნაბიჯების ხმა გაისმა და ვიღაცამ მხრის კვრით შემოაღო კარი. თავიდან შედოუმ გოგო ვერ იცნო, მაგრამ შემდეგ მან დაილაპარაკა: – არ ვიცოდი, კალორიული გინდოდა თუ შპალერის წებოს გემოიანი, ამიტომ კალორიული წამოვიღე, – და ამ ხმამ მიახვედრა, ეს ის გოგო იყო, კაიროს გზაზე რომ შეხვდა.

– არა უშავს, – უთხრა მარგარიტმა, – სემ, ეს ჩემი მეზობელია, მაიკ აინსელი. მაიკ, ეს სამანთა ბლექ ქროუა, ჩემი და.

„არ გიცნობ, – სასოწარკვეთით ფიქრობდა შედოუ, – აქამდე არასდროს გინახივარ. ერთმანეთს პირველად შევხვდით“. ერთხელ თოვლზე რომ ფიქრობდა, მართლაც მოთოვა, მაგრამ მაშინ ასეთ უიმედო ვითარებაში არ ყოფილა, თავს ლაღად და მშვიდად გრძნობდა. გოგოს ხელი გაუწოდა: – სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა.

გოგომ თვალები დაახამხამა და სახეში შეხედა. წამიერი დაბნეულობის შემდეგ მზერაზე დაეტყო, რომ შედოუ იცნო და ჩაეცინა.

– გამარჯობა, – თქვა მან.

– საჭმელს დავხედავ, – თქვა მარგარიტმა იმ ადამიანის დაძაბული ხმით, რომელსაც სამზარეულოში საჭმელი ტაფაზე ეწვება, თუ წუთით მაინც მიივიწყებს. სემმა ფაფუკი პალტო გაიხადა და ქუდიც მოიხადა.

– მაშ, შენ ხარ ის მელანქოლიური და იდუმალი მეზობელი? – ხმადაბლა იკითხა მან, – ვინ იფიქრებდა?

– შენ კი გოგო სემი ხარ, – უთხრა შედოუმ, – შეიძლება ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ?

– ოღონდ დამპირდი, რომ ყველაფერს ამიხსნი.

– მოსულა.

ლეონმა შედოუს შარვლის ტოტზე მოქაჩადა ოცდახუთცენტიანი გაუშვირა.

– ახლავე მიჩვენებთ?

– კარგი, – დათანხმდა შედოუ, – მაგრამ დაიმახსოვრე, ნამდვილი ილუზიონისტი არასდროს ამხელს, ფოკუსი როგორ კეთდება. – დავიმახსოვრებ, – დაჰპირდა ლეონი.

შედოუმ მონეტა მარცხენა ხელით გამოართვა, შემდეგ ლეონის პატარა მარჯვენა თავის დიდ ხელში მოიქცია და უჩვენა, მარჯვენით მონეტა ვითომ როგორ აეღო, სინამდვილეში კი ისევ შედოუს მარცხენა ხელში დაეტოვებინა. შემდეგ მონეტა ლეონს მარცხენა ხელში დააჭერინა და მოძრაობები გაამეორებინა. რამდენიმე მცდელობის შემდეგ ბიჭი ხელის ამოძრავებაში გაიწაფა.

– ეს ფოკუსის მხოლოდ ნახევარია, – უთხრა შედოუმ ბიჭს, – ახლა მეორე ნახევარს გასწავლი: ყურადღება იმ ადგილზე გადაიტანე, სადაც მონეტა უნდა იყოს. მზერა გააყოლე. თუკი ისე მოიქცევი, თითქოს ბეჭედი მარჯვენა ხელში გაქვს, რაც უნდა მოუქნელი იყო, მარცხენა ხელზე მაინც არავინ შემოგხედავს.

სემი შედოუს მოძრაობებს უხმოდ აკვირდებოდა, თავი ოდნავ გვერდზე ჰქონდა გადახრილი.

– სადილი მზადაა! – დაიძახა მარგარიტმა და სამზარეულოდან ოხშივარადენილი სპაგეტის ქვაბით გამოვიდა, – ლეონ, წადი, ხელები დაიბანე.

ხრაშუნა ნივრიანი პურით, სქელი, წითელი საწებლითა და ცხარე სანელებლებით შეკმაზული გემრიელი გუფთით კარგად ისადილეს. შედოუმ მარგარიტი შეაქო.

– ძველი შინაური რეცეპტია, – უთხრა მარგარიტმა, – კორსიკელი ნათესავებისგან გადმოგვეცა.

– მეგონა, აბორიგენი ამერიკელები იყავით.

– მამაჩვენია ჩეროკი, – აუხსნა სემმა, – მეგსის დედის მამა კორსიკელი იყო, – ოთახში კაბერნეს მხოლოდ სემი სვამდა, – მეგსი ათი წლის იყო, მამამ ოჯახი რომ მიატოვა. ექვსი თვის შემდეგ მე გავჩნდი. როგორც კი პირველ ცოლს გასცილდა, მამაჩემი

დედაჩემზე დაქორწინდა. ვფიქრობ, კარგა ხანს ცდილობდნენ ოჯახის შენარჩუნებას, მაგრამ ათი წლისა რომ გავხდი, მამამ ჩვენც მიგვატოვა. ეტყობა, ერთ ქალთან ათ წელზე მეტს ვერ ძლებს.

– ათი წელია, უკვე ოკლაჰომაში ცხოვრობს, – შენიშნა მარგარიტმა.

– აი, დედაჩემის წინაპრები კი ევროპელი ებრაელები იყვნენ, – განაგრძო სემმა, – იმ ქვეყანას ადრე კომუნისტები განაგებდნენ, ახლა იქ სრული ქაოსია. მგონი, დედაჩემი ჩეროკიზე გათხოვების იდეამ უფრო მოხიბლა: დაკეპილი ღვიძლი შემწვარ პურთან[223], – სემმა ღვინო კიდევ მოწრუპა.

– დედამისი გადარეული ქალია, – ერთგვარი მოწონებით თქვა მარგარიტმა.

– იცით, დედაჩემი ახლა სად არის? – შედოუსკენ მიტრიალდა სემი, – ავსტრალიაში. ინტერნეტის მეშვეობით ერთი ჰობარტელი ტიპი გაიცნო. როცა პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, არ მოეწონა, საძაგელი ვინმეაო. სამაგიეროდ, ტასმანია მოუვიდა თვალში. ქალების ჯგუფთან ერთად ცხოვრობს და იქაურებს დაჩითვას და ეგეთ რამეებს ასწავლის. წარმოგიდგენიათ, მის ასაკში?

შედოუ დაეთანხმა, მართლაც მაგარი დედა გყოლიაო და გუფთა კიდევ გადაიღო. სემი მოჰყვა, ბრიტანელებმა ტასმანიის აბორიგენი მოსახლეობა როგორ გაჟლიტეს და როგორ შეკრეს ცოცხალი ჯაჭვი, რომ არავინ გაჰქცეოდათ, მაგრამ მხოლოდ ერთი ბერიკაცი და ავადმყოფი ბიჭი შეიპყრეს. იმასაც მოჰყვა, ცხვრებზე თავდასხმის შიშით ფერმერებმა ტასმანიური მგლები, ტილაცინები, როგორ გაწყვიტეს, ხოლო პოლიტიკოსებმა 1930-იან წლებშიღა ამოიღეს ხმა,

ტასმანიურ მგლებს დაცვა სჭირდებათო, როცა უკანასკნელი მათგანი მოკვდა. ამასობაში მეორე ჭიქა დაცალა და მესამედ დაისხა ღვინო.

– აბა, მაიკ, – ლოყები აუღაჟღაჟდა უცებ სემს, – გვიამბეთ თქვენს ოჯახზე. რა ხალხია ეს აინსელები? – იკითხა და ეშმაკურად გაიღიმა.

– არაფრით გამორჩეული, – უპასუხა შედოუმ, – არც ერთი ჩვენგანი ტასმანიასავით შორს არ წასულა. მაშ, მედისონში სწავლობთ? როგორ მოგწონთ იქაურობა?

– იცით, – ხაზგასმით წარმოთქვა გოგომ, – ხელოვნებათმცოდნეობასა და ფემინიზმის ისტორიას ვსწავლობ და ბრინჯაოს ჩამოსხმაში ვოსტატდები.

– რომ გავიზრდები, – თქვა ლეონმა, – ფოკუსებს გავაკეთებ. მონეტებს გავაქრობ. ფაფუ! ხომ მასწავლი, მაიკ აინსელ?

– კი, თუ შენი დედიკო წინააღმდეგი არ იქნება.

მარგარიტმა მხრები აიჩეჩა.

– ნასადილევს, სანამ შენ ლეონს დააძინებ, ვფიქრობ, მაიკს დავითანხმებ და ერთი-ორი საათით „აქ ყველა ვსვამთ“-ში შევივლით.

ამჯერად მარგარიტმა მხრები არ აიჩეჩა. თავი მოატრიალა და ცალი წარბი ოდნავ აპრიხა.

– საინტერესო ვინმე ჩანს, – განაგრძო სემმა, – მგონი, ბევრ რამეზე მოგვიწევს საუბარი.

მარგარიტმა შედოუზე გადაიტანა მზერა. შედოუმ ვითომ ვერ შეამჩნია, ქაღალდის ხელსახოცით ნიკაპზე მიკრულ პურის ნამცეცებს იწმენდდა.

– როგორც გნებავთ, ბავშვები არა ხართ, – თქვა მარგარიტმა, მაგრამ მისი კილო საპირისპიროს გამოხატავდა: შეიძლება ბავშვები არ ხართ, მაგრამ ასე არ უნდა იქცეოდეთო.

ნასადილევს სემმა ჭურჭელი დარეცხა, შედოუ კი გამშრალებაში მიეხმარა. შემდეგ შედოუმ კიდევ ერთი ფოკუსი უჩვენა ლეონს. ბიჭს მუჭში ერთცენტიანები ჩაუთვალა. ყოველ ჯერზე, როცა ლეონი მუჭს გაშლიდა, ხელისგულზე ერთით ნაკლები მონეტა ედო ხოლმე. ბოლო ერთცენტიანის ჩაგდებისას შედოუმ უთხრა, ხომ მაგრად უჭერ, არ გაგივარდესო, მაგრამ როცა ლეონმა მუჭიგაშალა, ერთცენტიანი ათცენტიანად გადაქცეულიყო.

– როგორ გააკეთე? დე, როგორ გააკეთა? – გაკვირვებული ლეონის შეძახილებმა გამოაცილა შედოუ ჰოლში. ღვინისგან ლოყებშეფაკლულმა სემმა პალტო მიაწოდა და უთხრა: – წავედით. გარეთ ციოდა.

შედოუმ ბინაში შეიარა და „ლეიკსაიდის ქალაქის საბჭოს ოქმების წიგნი“ თან წაიყოლა, თუ ჰინცელმანი ბარში დამხვდება, პაპამისზე ჩანაწერს ვაჩვენებო. შედოუმ გარაჟი რომ გააღო, სემს სიცილი აუტყდა.

– ღმერთო, – თქვა „ტოიოტას“ დანახვაზე, – პოლ განთერის მანქანა. პოლ განთერის მანქანა გიყიდია. ღმერთო.

შედოუმ მანქანის კარი გაუღო. მერე თვითონაც ჩაჯდა.

– ეს მანქანა ადრეც გინახავს?

– ორი-სამი წლის წინ მეგსს რომ ვსტუმრობდი, სწორედ მე დავარწმუნე პოლი, იისფრად შეეღება.

– ოჰ, – თქვა შედოუმ, – დამნაშავეც ვიპოვეთ.

„ტოიოტა“ ქუჩაში გაიყვანა, გადავიდა, გარაჟის კარი დაკეტა და ისევ მანქანაში ჩაჯდა. სემმა უცნაურად შემოხედა, თავდაჯერებულობის ნატამალიც აღარ შერჩენოდა. უსაფრთხოების ღვედი შეიკრა და თქვა: – მეშინია. სულელურად მოვიქეცი, არა? შეშლილ მკვლელს მანქანაში ჩავუჯექი.

– წინათ შინ უსაფრთხოდ მიგიყვანე, – შეახსენა შედოუმ.

– ორი ადამიანი მოკალი, ფედერალები დაგეძებენ. ახლა უცებ აღმოვაჩინე, რომ ყალბი სახელითა და გვარით ჩემი დის მეზობლად ცხოვრობ. თუ მართლა მაიკ აინსელი გქვია?

– არა, – ამოიხვნეშა შედოუმ და რაღაცნაირად გული დასწყდა, მაიკ აინსელობაზე ხელი რომ აიღო, თითქოს მეგობარს დაემშვიდობა.

– ის ხალხი შენ მოკალი?

– არა.

–

– აგენტები კარზე მომადგნენ, მკვლელთან ერთად დაგინახესო. ერთმა შენი ფოტო მიჩვენა. დაიცა, რა ერქვა... მისტერ ჰეტი[224]? არა, მისტერ ტაუნი. ვიუარე, ეგ ტიპი არასდროს მინახავს-მეთქი.

– გმადლობ.

– აბა, დროა, ამიხსნა, რა ხდება, – უთხრა გოგომ, – შენს საიდუმლოებებს შევინახავ, თუ ჩემსას არ გათქვამ.

მე შენი არც ერთი საიდუმლო არ ვიცი, – შენიშნა შედოუმ.

– უკვე იცი, რომ პოლ განთერს ამ მანქანის იისფრად შეღებვის იდეა მე მივაწოდე. შედეგად ბიჭი რამდენიმე ოლქის რადიუსში ისეთი დაცინვისა და ზიზღის საგნად იქცა, რომ იძულებული გახდა, ქალაქიდან საერთოდ წასულიყო. დაბოლილები ვიყავით, – გამოტყდა სემი.

– არა მგონია, ეგ დიდი საიდუმლო იყოს, – თქვა შედოუმ, – ალბათ მთელმა ლეიკსაიდმა იცის. მართლაც დაბოლილის შეღებილს ჰგავს.

უცებ გოგომ ძალიან ჩუმად და სწრაფად უთხრა: – თუ მოკვლას მიპირებ, გთხოვ, უმტკივნეულოდ მომკალი. არ უნდა გამოგყოლოდი. რა იდიოტი ვარ. გამოტვინებული რეგვენი. უნდა გავქცეულიყავი ან პოლიცია გამომეძახებინა, როცა პირველად გნახე. შენი ამოცნობა შემიძლია. ღმერთო. ნამდვილი იდიოტი ვარ.

შედოუმ ამოიოხრა.

– არავინ არასდროს მომიკლავს. მართლა. ახლა კი ბარში მიმყავხარ, – უთხრა გოგოს, – ან, თუ მთხოვ, მანქანას მივატრიალებ და შინ წაგიყვან. თუ ასაკი ხელს არ შეგიშლის, ლუდზე დაგპატიჟებ, თუ არადა, გაზიან სასმელს გიყიდი. მერე ისევ მარგარიტთან წაგიყვან, შენს თავს საღ-სალამათს ჩავაბარებ და იმედს დავიტოვებ, რომ პოლიციაში არ დამაბეზღებ. ხიდი ხმის ამოუღებლად გადაიარეს.

– ის ხალხი ვინ დახოცა? – ჰკითხა სემმა.

– რომ გითხრა, მაინც არ დამიჯერებ.

– დაგიჯერებ, – სემის ხმაში სიბრაზემ გაიჟღერა. შევცდი, სადილზე ღვინო არ უნდა მიმეტანაო, გაიფიქრა შედოუმ. იმწამს სიცოცხლე კაბერნეს სულაც არ ჰგავდა.

– ძნელად დასაჯერებელია.

– მე ყველაფრის დაჯერება შემიძლია, – მტკიცედ განუცხადა სემმა, – ვერც კი წარმოიდგენ, როგორი რამეების მჯერა.

– მართლა?

– შემიძლია დავიჯერო ის, რაც სიმართლეა, რაც სიმართლე არაა, ან რაც არავინ იცის, სიმართლეა თუ არა. მჯერა სანტა-კლაუსის, სააღდგომო კურდღლის, მერილინ მონროსი, „ბითლზის“, ელვისისა და მისტერ ედის[225]. მისმინე... მჯერა, რომ ხალხს

სრულყოფის უნარი აქვს და ცოდნა უსაზღვროა, რომ მსოფლიოს საიდუმლო საბანკო კარტელები მართავს და დედამიწაზე ხშირად ჩამოდიან უცხოპლანეტელები, კეთილებიც, დანაოჭებულ ლემურებს რომ ჰგვანან, და ბოროტებიც, ჩვენს ძროხებს რომ ასახიჩრებენ და ჩვენი წყლისა და ქალების დაპატრონებას ცდილობენ. მჯერა, რომ მომავალი გაბანძდება, მჯერა, რომ მომავალი მაგრად გაასწორებს და იმისაც მჯერა, რომ თეთრი ბიზონი-ქალი[226] დაბრუნდება და ყველას

ცხვირ-პირს დაუნაყავს. მჯერა, რომ მამაკაცები სინამდვილეში კომუნიკაციის პრობლემის მქონე ზრდასრული ბიჭები არიან და რომ ამერიკაში კარგი სექსის პრობლემა ღია ცისქვეშა კინოთეატრებისრიცხვის კლებასთან ერთად გაჩნდა. მჯერა, რომ ყველა პოლიტიკოსი უზნეო მატყუარაა, მაგრამ მათ გარეშე უარესი ვითარება იქნება. მჯერა, რომ კალიფორნია ერთხელაც ოკეანის ტალღებში ჩაინთქმება, ფლორიდას კი სიგიჟე, ალიგატორები და ტოქსიკური ნარჩენები წალეკავს. მჯერა, რომ ანტიბაქტერიული საპონი ჭუჭყისა და ავადმყოფობებისადმი გამძლეობას გვიქვეითებს და ერთ დღესაც ყველას ჩვეულებრივი გაციება მოგვიღებს ბოლოს, როგორც ბოროტ მარსელებს „სამყაროთა ომში“. მჯერა, რომ გასული საუკუნის საუკეთესო პოეტები ედით სიტუელი[227] და დონ მარკუისი[228] იყვნენ; რომ ნეფრიტი დრაკონის გამხმარი სპერმაა და რომ ათასობით წლის წინ, წინა სიცოცხლეში, ცალხელა ციმბირელი შამანი ვიყავი. მჯერა, რომ კაცობრიობის მომავალი ვარსკვლავებშია. მჯერა, რომ კანფეტები ჩემს ბავშვობაში უფრო გემრიელი იყო, რომ აეროდინამიკის კანონების თანახმად, ბაზი ვერ უნდა დაფრინავდეს, რომ სინათლე ტალღა და ნაწილაკია, რომ სადღაც ყუთში მჯდარი კატა ერთდროულად ცოცხალიცაა და მკვდარიც (თუმცა, თუ იმ ყუთს არასდროს გახსნიან და საჭმელს არ ჩაუყრიან, ადრე თუ გვიან, შიგ ორი სხვადასხვანაირად მკვდარი კატა აღმოჩნდება) და, რომ სამყაროში თავად სამყაროზე მილიარდი წლით უფროსი ვარსკვლავები არსებობს. მჯერა პიროვნული ღმერთის, რომელიც მმფარველობს, მაკვირდება და ღელავს ჩემზე.
მჯერა უპიროვნო ღმერთის, რომელმაც სამყარო შექმნა და თავის გოგოსთან გასართობად წავიდა, მე კი საერთოდ აღარ ვახსოვარ. მჯერა

მიზეზობრივი ქაოსის, ფონის ხმაურისა და შემთხვევითობის ცარიელი და უღმერთო სამყაროსი. მჯერა, რომ იმას, ვინც ამბობს, ხალხს სექსზე გადაჭარბებული წარმოდგენა აქვსო, წესიერი სექსი არასდროს ჰქონია. მჯერა, რომ ის, ვინც ამბობს, ვიცი, რაც ხდებაო, სხვა წვრილმან რამეებზეც იცრუებს. მჯერა ჭეშმარიტი გულწრფელობისა და მართებული მეგობრული ტყუილისა. მჯერა ქალის არჩევნის უფლებისა და ჩვილის სიცოცხლის უფლებისა. მჯერა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ადამიანის სიცოცხლე წმინდაა, თუკი სამართლებრივ სისტემას ბრმად ენდობი, სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო არაფერი გექნება, მაგრამ იმისაც მჯერა, რომ სამართლებრივ სისტემას ბრმად მხოლოდ ნამდვილი იდიოტი ენდობა. მჯერა, რომ ცხოვრება თამაშია, მწარე ხუმრობა, ცხოვრება ისაა, რაც შენს სიცოცხლეში ხდება, ამიტომ

–
მყუდროდ უნდა მოკალათდე და ისიამოვნო, სანამ შეგიძლია, – სხაპასხუპით თქვა სემმა და გაჩუმდა.

შედოუმ ხელები ლამის საჭიდან აიღო ტაშის დასაკვრელად.

– კარგი. ესე იგი, თუ სიმართლეს გეტყვი, გიჟად არ შემრაცხავ.

– რა ვიცი, სცადე.

– რომ გითხრა, ყველა ღმერთი, რომელიც კი ადამიანებს ოდესმე წარმოუდგენიათ, დღეს ჩვენთან არის-მეთქი, დაიჯერებ?

– შეიძლება დავიჯერო.

– აგრეთვე, არსებობენ კომპიუტერების, ტელეფონებისა და ეგეთი რამეების ახალი ღმერთები. ახლებს ჰგონიათ, რომ ძველების ადგილი ამქვეყნად აღარ არის. მალე მათ შორის ომი გაჩაღდება.

– ამ ღმერთებმა მოკლეს ის ორი ადამიანი?

არა, ისინი ჩემმა ცოლმა დახოცა.

– მგონი, მითხარი, ცოლი მომიკვდაო.

– დიახ, მკვდარია.

– ანუ ისინი სიკვდილამდე დახოცა?

– სიკვდილის შემდეგ. ნუ მკითხავ. სემმა შუბლიდან კულული გადაიწია.

შედოუმ მანქანა მეინ-სტრიტზე ბარის – „აქ ყველა ვსვამთ“ – წინ გააჩერა. ფანჯარაზე გაკრულ აბრაზე დახატული ხარირემი ყალყზე იდგა და წინა ჩლიქებით ლუდის კათხა ეჭირა. შედოუმ წიგნი აიღო და მანქანიდან გადავიდა.

– რატომ უნდა იომონ? – ჰკითხა სემმა, – მგონი, აჭარბებენ. ომით ვინ რას მოიგებს?

– არ ვიცი, – აღიარა შედოუმ.

– უცხოპლანეტელების არსებობის დაჯერება უფრო ადვილია, ვიდრე ღმერთების, – თქვა სემმა, – იქნებ მისტერ ტაუნი და ის მისტერ ვიღაცა შაოსანი კაცები იყვნენ, აი, ისინი, უცხოპლანეტელებს რომ დასდევენ.

– შეიძლება, – თქვა შედოუმ. სემი გაჩერდა და მისი ამონასუნთქი პატარა, თხელი

ღრუბელივით დაეკიდა ჰაერში. – მითხარი, რომ შენ კარგების მხარეზე ხარ.

– არ შემიძლია, – იუარა შედოუმ, – ნეტავ შემეძლოს! ყოველ შემთხვევაში, ძალ-ღონეს

არ ვზოგავ. გოგომ შეხედა და ქვედა ტუჩზე იკბინა. შემდეგ თავი დაუქნია.

– ესეც საკმარისია, – თქვა მან, – არ დაგაბეზღებ. შეგიძლია ლუდი მიყიდო.

შედოუმ ბარის კარი გაუღო და შევიდნენ. მაშინვე სიცხე და გამაყრუებელი მუსიკა დაეძგერათ, ლუდისა და ჰამბურგერების თბილ ოხშივარში გაეხვივნენ.

სემმა ვიღაც მეგობრებს ხელი დაუქნია. შედოუმ რამდენიმე ნაცნობს მოჰკრა თვალი და თავი დაუკრა. მათი სახელები აღარ ახსოვდა, მაგრამ ზოგს ელისონ მაკგავერნის ძებნისას, ზოგს კი „მეიბლში“ საუზმობისას შეხვედროდა. დახლთან ჩედ მალიგანი იდგა და ტანმორჩილი წითელთმიანი ქალისთვის მხრებზე ხელი გადაეხვია. ეს ალბათ ის ნაცნობიაო, გაიფიქრა შედოუმ. ქალი ზურგით იდგა, ამიტომ მისი შეთვალიერება ვერ მოახერხა. ჩედმა შედოუ შეამჩნია და მხედრულად მიესალმა. შედოუმ გაიღიმა და თვითონაც დაუქნია ხელი. მერე

მიიხედ-მოიხედა, იქნებ სადმე ჰინცელმანი დავინახოო, მაგრამ ამ საღამოს

ბერიკაცი ბარში არ ჩანდა. ერთ კუთხეში ცარიელი მაგიდა დაინახა და იქით

წავიდა. უეცრად ვიღაც აკივლდა.

ვიღაც ისე გაბმულად, ისტერიკულად კიოდა, თითქოს მოჩვენება დაინახაო. ბარში ყველა ერთდროულად გაჩუმდა. შედოუ მიტრიალდა, ეგონა, უეჭველად ვიღაცას კლავენო, მაგრამ მისკენ შემობრუნებულთა სახეები დაინახა. თვით შავი კატა, რომელსაც დღისით ფანჯრის რაფაზე ეძინა ხოლმე, ჯუკ-ბოქსზე შემხტარიყო და კუდაწეული და ზურგაპრეხილი უყურებდა. დრო შენელდა.

– დაიჭირეთ! – აყვირდა ქალი, რომელსაც გაგიჟებას ცოტა უკლდა, – თუ ღმერთი გწამთ, ვინმემ დაიჭირეთ! არ გაუშვათ! გთხოვთ! შედოუ ამ ხმას იცნობდა.

არავინ განძრეულა. ხალხი შედოუს მიშტერებოდა, შედოუ – ხალხს.

ხალხში ჩედ მალიგანმა გამოიკვლია გზა. მის უკან ტანდაბალი ქალი მოდიოდა ფრთხილად, თვალებდაჭყეტილი, თითქოს კვლავ ასაკივლებლად ემზადებოდა. შედოუ იცნობდა მას. რასაკვირველია, იცნობდა. ჩედმა ლუდის კათხა უახლოეს მაგიდაზე დადგა.

– მაიკ, – თქვა მან. – ჩედ, – თქვა შედოუმ.

ოდრი ბერტონი ჩედ მალიგანისგან ერთი ნაბიჯით უკან იდგა. სახეზე ფერი არ ედო. თვალები ცრემლებით გავსებოდა. სწორედ ის კიოდა წეღან.

– შედოუ, შე ნაბიჭვარო, – თქვა მან, – შე მკვლელო, ბოროტო ნაბიჭვარო.

– ძვირფასო, ეს კაცი ვინმეში ხომ არ გეშლება? – ჰკითხა ჩედმა, რომელიც შეწუხებული ჩანდა. აშკარად ძალიან უნდოდა, მომხდარი გაუგებრობა ყოფილიყო, რომელსაც მომავალში სიცილით გაიხსენებდნენ. ოდრი ბერტონმა უნდობლად შეხედა მას.

– გაგიჟდი? რობისთან მრავალი წელი მუშაობდა. ამის კახპა ცოლი ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო. ამას მკვლელობისთვის დაეძებენ. დამკითხეს. პატიმრობიდან გაქცეული ბოროტმოქმედია.

–

ქალს მეტისმეტი ნერვიულობისგან ხმა უთრთოდა, სიტყვებს სლუკუნით

წარმოთქვამდა „ემით“ დაჯილდოებული საპნის ოპერის ვარსკვლავივით.

ბარში სიტყვა არავის დაუძრავს. ჩედ მალიგანმა შედოუს შეხედა.

– ალბათ რაღაც შეცდომაა. ყველაფერს გავარკვევთ, – წყნარად თქვა მან და ხალხს მიუბრუნდა, – ყველაფერი რიგზეა. ნუ ღელავთ. გავერკვევით, – შემდეგ შედოუს უთხრა, – გარეთ გამომყევი, მაიკ.

პროფესიონალიზმიც ამას ერქვა. მისმა აუღელვებელმა მოქმედებამ შედოუზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

– კარგი, – დაეთანხმა შედოუ.

ხელზე ვიღაც შეეხო. მიტრიალდა. სემი შემოჰყურებდა. რაც შეიძლებოდა, მხნედ გაუღიმა მას. სემმა ბარში მყოფ ხალხს შეავლო თვალი და ოდრი ბერტონს უთხრა: – დიდი ნაბოზარი ვიღაცა ხარ, – შემდეგ ფეხის წვერებზე შედგა, შედოუ თავისკენ მოიზიდა და ტუჩებში მაგრად აკოცა. კოცნა რეალობაში ალბათ ძალიან ცოტა ხანს გრძელდებოდა, საათზე წამის ისარმა მხოლოდ ხუთი დანაყოფის გავლა მოასწრო, მაგრამ თავად სემს ეგონა, რამდენიმე წუთს მაინც არ მოვმწყდარვარ შედოუს ტუჩებსო.

რა უცნარი კოცნააო, გაიფიქრა შედოუმ, როცა მისი ტუჩები სემისას მიეწება. კოცნა მისთვის კი არა, გარშემო მყოფთათვის იყო განკუთვნილი, სემი ხალხს უჩვენებდა, ვის მხარეზე იდგა. ეს კოცნა დროშის ქნევას ჰგავდა. შედოუმ კოცნისას იგრძნო, რომ გოგოს სულაც არ მოსწონდა, ყოველ შემთხვევაში, ისე არა, რომ მისი კოცნა მონდომებოდა.

დიდი ხნის წინ, ბავშვობაში წაკითხული ამბავი გაახსენდა: ერთ მოგზაურს კაციჭამია ვეფხვები გამოეკიდნენ და კლდიდან დაგორდა. კაცმა შვერილზე მოჭიდება და შუა ფერდობზე თავის შემაგრება მოახერხა. ვეღარსად მიდიოდა. ზემოთაც და ქვემოთაც გარდაუვალი სიკვდილი ელოდა. იქვე, მის გვერდით, ფერდობზე მარწყვი ამოსულიყო. როგორ მოიქცეს კაცი? – დასმული იყო კითხვა. შეჭამოს მარწყვი, – ეწერა პასუხად. ბავშვობაში ეს ზღაპარი შედოუს უაზროდ მოეჩვენა. ახლაღა მიხვდა მის აზრს.

ამიტომაც თვალები დახუჭა, სემს კოცნაზე კოცნითვე უპასუხა და მისი რბილი კანის შეხებითა და ველური მარწყვივით გემრიელი ტუჩებით ტკბობას მიეცა.

– მაიკ, წამოდი, – მტკიცედ უთხრა ჩედმა, – გთხოვ, გარეთ გამომყევი.

სემი მოშორდა. ტუჩები გაილოკა და გაიღიმა, გაიღიმა თითქმის გულწრფელად.

– ცუდი არ იყო, – თქვა გოგომ, – ბიჭის კვალობაზე საკმაოდ კარგი კოცნა გცოდნია. კარგი, წადი ახლა და გარეთ ითამაშე, – შემდეგ ოდრისკენ მიტრიალდა, – შენ კი მაინც ნაბოზარი ხარ.

შედოუმ მანქანის გასაღები გადაუგდო. სემმა ცალი ხელით დაიჭირა. შედოუმ დარბაზი გაიარა და გარეთ გააბიჯა. ჩედ მალიგანი უკან მიჰყვა. თოვდა. ნეონის ნათურების შუქზე წვრილი ფანტელები ფარფატებდა.

– ამიხსნი, რა ხდება? – ჰკითხა ჩედმა.

– დაპატიმრებული ვარ? – კითხვით უპასუხა შედოუმ.

ბარიდან ოდრიც გამოვიდა და ტროტუარზე მათ გვერდით დადგა.

ისე გამოიყურებოდა, თითქოს კვლავ აკივლებას აპირებდა.

– მან ორი ადამიანი მოკლა, ჩედ. კარზე „ეფ-ბი-აი“ მომადგა. შეშლილია. განყოფილებაში გამოგყვები და ჩვენებას მოგცემ, თუ საჭიროა.

ისედაც უამრავი უსიამოვნება შეგვიქმენით, მემ, – შედოუს საკუთარი ხმა თვითონვე

–
დაღლილად ჩაესმა, – გთხოვთ, გვაცალეთ საუბარი.

– ჩედ, გაიგონე? დამემუქრა! – წამოიძახა ოდრიმ.

– შიგნით შედი, ოდრი, – უთხრა მას ჩედ მალიგანმა. ოდრი თითქოს შეკამათებას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და პირი ისე მაგრად მოკუმა, ტუჩები გაუთეთრდა. ისევ ბარში შევიდა.

– მის ნათქვამზე რას იტყვი? – ჰკითხა შედოუს ჩად მალიგანმა.

– არასდროს არავინ მომიკლავს.

– მჯერა, – თავი დაუქნია ჩედმა, – ვფიქრობ, ყველა ბრალდებას იოლად გავაქარწყლებთ. ალბათ არც არაფერია, მაგრამ მაინც უნდა დაგკითხო. ხომ არ შემეწინააღმდეგები, მაიკ?

– რა თქმა უნდა, არა, – უპასუხა შედოუმ, – ეს რაღაც შეცდომაა.

– ზუსტად, – დაეთანხმა ჩედი, – აჯობებს, განყოფილებაში წავიდეთ და იქ გავერკვეთ.

– მაპატიმრებ? – ხელმეორედ ჰკითხა შედოუმ.

– არა, – უპასუხა ჩედმა, – თუ თავად არ გსურს, რომ დაგაპატიმრო. განყოფილებაში გამომყვები, როგორც კანონმორჩილი მოქალაქე და როგორმე ყველაფერს მოვაგვარებთ.

ჩედმა შედოუ გაჩხრიკა. იარაღი ვერ უპოვა. მალიგანის მანქანაში ჩასხდნენ. ამჯერად შედოუ უკანა სავარძელზე დასვეს და იქიდან უყურებდა, ცხაურიანი ტიხრის მიღმა, საჭესთან მჯდარ პოლიციის უფროსს.

„SOS! დამეხმარეთ! მიშველეთ! – სცადა მალიგანის გონებაზე ზემოქმედება მოეხდინა, – ეს შენი ძველი მეგობარი მაიკ აინსელია. სიკვდილისგან იხსენი. რა სულელივით იქცევი? კარგი, რა!“

– ბარიდან სასწრაფოდ წამოგიყვანე, – უთხრა ჩედმა, – თორემ რომელიმე „ჭკვიანს“ მეტი კი არ უნდა, დაასკვნიდა, ელისონ მაკგავერნიც ამან მოკლაო და იქვე გაგასამართლებდნენ ლინჩის წესით.

– კარგად მოგიფიქრებია.

– მოკლედ, ჩემთვის სათქმელი არაფერი გაქვს?

– საერთოდ არაფერი.

პოლიციის განყოფილებამდე ხმის ამოუღებლად იარეს.

– ეს შენობა სინამდვილეში ოლქის შერიფის განყოფილებას ეკუთვნის, – უთხრა ჩედმა შედოუს, როცა მანქანა შენობის წინ გააჩერა, – ლეიკსაიდის პოლიციას მხოლოდ რამდენიმე ოთახი აქვს გამოყოფილი. მალე ოლქი თანამედროვე შენობას ააშენებს, მანამდე ამით ვკმაყოფილდებით. შიგნით შევიდნენ.

– ადვოკატს დავურეკო? – ჰკითხა შედოუმ.

– როგორც გნებავს, – უთხრა მალიგანმა, – ბრალი არაფერში გედება. აი, მანდ ჩამოჯექი.

შედოუ სიგარეტით ამომწვარ ხის სკამზე დაჯდა. თავს სულელივით გრძნობდა. განცხადებების

დაფაზე დიდი ასოებით ეწერა გაფრთხილება „მოწევა აკრძალულია“, გვერდით კი ელისონ მაკგავერნის ფოტო გაეკრათ წარწერით „დაიკარგა და საფრთხეშია“.

სკამისგან ოდნავ მოშორებით ხის მაგიდა იდგა. მაგიდაზე „სპორტს ილუსტრეიტედისა“ და „ნიუსუიკის“ ძველი ნომრები ეწყო. ოთახს ნათურა ძლივს ანათებდა. ოდესღაც თეთრი კედლები უკვე გაყვითლებულიყო.

ათი წუთის შემდეგ ჩედმა ავტომატიდან ჩამოსხმული წყალწყალა კაკაო მოუტანა ჭიქით.

– ეგ რა არის? – ჰკითხა შედოუს.

შედოუმ მაშინღა გააცნობიერა, რომ „ლეიკსაიდის ქალაქის საბჭოს ოქმების წიგნი“ ისევ ხელში ეჭირა.

– ძველი წიგნია, – უპასუხა ჩედს, – აქ პაპაშენის თუ დიდი პაპის ფოტოა.

– მართლა?

შედოუმ იმ გვერდზე გადაფურცლა, რომელზეც საბჭოს წევრების ერთობლივი

ფოტო იყო გამოსახული და ვინმე მალიგანზე მიუთითა. ჩედმა ჩაიცინა. – ნაღდად კი

მგავს.

გავიდა წუთები, საათები. შედოუ ოთახში იჯდა. ორი „სპორტს ილუსტრეიტედის“ წაკითხვა მოასწრო და „ნიუსუიკზე“ გადავიდა. ხანდახან ჩედ მალიგანი შემოდიოდა და ეკითხებოდა, ტუალეტში გასვლა ხომ არ გინდაო. ერთხელ პატარა პაკეტით ჩიფსები და ლორის სენდვიჩი შემოუტანა.

– გმადლობ, – გამოართვა შედოუმ, – დაპატიმრებული ვარ? ჩედმა ამოიხვნეშა.

– მალე გავიგებთ, – თქვა მან, – როგორც აღმოჩნდა, სინამდვილეში მაიკ აინსელი არ გქვია. მეორე მხრივ, ამ შტატში, რასაც გინდა, იმას დაირქმევ, მთავარია, სათაღლითოდ არ გამოიყენო. ლოდინის გარდა, არაფერი დაგვრჩენია.

– შეიძლება დავრეკო?

– ადგილობრივი ზარია?

– საქალაქთაშორისო.

ჩემი სატელეფონო ბარათი გამოიყენე და იაფი დაგიჯდება, თორემჰოლში რომ

–
ტაქსოფონია, ოცდახუთ-ოცდახუთ ცენტად ათ დოლარს მაინც ჩაგიყლაპავს.

„აჰა, – გაიფიქრა შედოუმ, – თან იმასაც გაიგებ, რა ნომერზე დავრეკე და ალბათ ჩემს საუბარსაც ჩუმად მოუსმენ“. – ძალიან კარგი, – უთხრა შედოუმ.

ჩედის კაბინეტის გვერდით მდებარე ცარიელ ოთახში შევიდნენ. იქაურობა ოდნავ უკეთ იყო განათებული. შედოუმ ჩედს კაიროს დამკრძალავი სახლის ტელეფონის ნომერი უკარნახა. ჩედმა ნომერი აკრიფა და ყურმილი შედოუს მიაწოდა.

– დაგტოვებ, – უთხრა და გავიდა. რამდენიმე წამის შემდეგ უპასუხეს.

– „ტურელი და იბისი“ გისმენთ. რით გემსახუროთ?

– გამარჯობა. მისტერ ტურელ, მაიკ აინსელი ვარ. დეკემბერში, საშობაოდ რამდენიმე დღე გეხმარებოდით. ხანმოკლე დუმილის შემდეგ ყურმილში ხმა გაისმა.

– დიახ, მაიკ. როგორ ხართ?

– რაღა დაგიმალოთ და, პრობლემა შემექმნა, მისტერ იბის. დაპატიმრებას მიპირებენ. ბიძაჩემთან შეხვედრას ხომ არ გეგმავთ? ან იქნებ როგორმე შეატყობინოთ.

– ვეცდები, მაიკ. ერთი წუთით, შენთან ვიღაცას დალაპარაკება სურს. ყურმილი სხვას გადააწოდეს და შედოუმ ქალის ხრინწიანი ხმა გაიგონა.

– გამარჯობა, ძვირფასო. მენატრები.

შედოუს ეს ხმა ნამდვილად არასდროს გაეგონა, მაგრამ ქალს საიდანღაც იცნობდა. დარწმუნებული იყო, რომ იცნობდა...

„ნუ ღელავ, – ჩასჩურჩულა ხრინწიანმა ხმამ გონებაში, – ნურაფერზე იდარდებ“.

– ის გოგო ვინ იყო, ვისაც კოცნიდი, ძვირფასო? რატომ მაეჭვიანებ?

– მხოლოდ მეგობრები ვართ, – უპასუხა შედოუმ, – ასე სხვებისთვის საჩვენებლად მოიქცა. როგორ გაიგე, რომ მაკოცა?

– სადაც ჩემი ხალხია, ყველგან ყველაფერს ვხედავ, – მიიღო პასუხად, – თავს გაუფრთხილდი, ძვირფასო... წამიერი სიჩუმის შემდეგ კვლავ მისტერ იბისი დაელაპარაკა: – მაიკ.

– დიახ.

– ბიძაშენს ვერ ვუკავშირდები. ეტყობა, დაკავებულია. ვეცდები, ბიცოლაშენ ნანსის შევატყობინო. წარმატებებს გისურვებ. კავშირი გაწყდა.

შედოუ დაჯდა. ჩედის გამოჩენას ელოდა. ცარიელ ოთახში სხვა რომვერაფერიიპოვა, მოწყენილმა ისევ „ოქმები“ გადაშალა შუა გვერდზე და კითხვას შეუდგა.

1876 წლის დეკემბერში საბჭომ, რვა ხმით ოთხის წინააღმდეგ, ტროტუარებზე დაფურთხებისა და საჯარო შენობების იატაკზე თამბაქოს ნებისმიერი სახით დაყრის აკრძალვის განკარგულება მიიღო.

1876 წლის 13 დეკემბერს ციებ-ცხელებით გონებადაბინდული თორმეტი წლის ლემი ჰაუტალა, როგორც შიშობდნენ, შინიდან გავიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მის მოსაძებნად დაუყოვნებლივ მაშველები შეიკრიბნენ, მაგრამ ძლიერი თოვლისა და ქარბუქის გამო ძებნა შეწყდა. საბჭომ ერთხმად მიუსამძიმრა ჰაუტალების ოჯახს.

მომდევნო კვირას ოლსენების თავლაში გაჩენილი ხანძარი უმსხვერპლოდ ჩააქრეს. არც ადამიანები დაზიანებულან და არც ცხენები.

შედოუმ ახლო-ახლო დაბეჭდილი სვეტები გულდასმით გადაიკითხა. ლემი ჰაუტალა სხვაგან აღარსად უხსენებიათ.

მერე, თითქოს ალღოს კარნახით, შედოუმ 1877 წლის ზამთრის ჩანაწერებზე გადაშალა. რასაც ეძებდა, იანვრის ოქმებში მიაგნო: ჯესი ლოვატი (ასაკი არ მიეთითებინათ), „ზანგი გოგო“, ოცდარვა დეკემბრის ღამეს გაუჩინარებულიყო. ეჭვობდნენ, რომ გოგო ერთი კვირით ადრე ქალაქიდან ქურდობის გამო გაძევებულმა და სენტ-პოლში მიმავალმა ე. წ. მეწვრილმანეებმა მოიტაცეს. სენტ-პოლში ტელეგრამები გაგზავნეს, მაგრამ უშედეგოდ, ვერაფერი დაადგინეს. საბჭოს ლოვატების ოჯახისთვის არ მიუსამძიმრებია.

შედოუ 1878 წლის ზამთრის ოქმებს ამოწმებდა, როცა კარზე ჩედ მალიგანმა დააკაკუნა და ოთახში შემოვიდა. დარცხვენილი სახე ჰქონდა ბავშვივით, რომელსაც შინ მშობლისთვის საჩვენებლად, დღიურით „ორიანი“ მიაქვს.

– მისტერ აინსელ, – თქვა მან, – მაიკ, ძალიან ვწუხვარ. მადლობელი ვარ, რომ წინააღმდეგობა არ გაგიწევია. პირადად მე ძალიან მომწონხარ. მაგრამ ეს არაფერს ცვლის, ხომ ხვდები? ვხვდებიო, უპასუხა შედოუმ.

– სხვა არჩევანი არ მაქვს, – განაგრძო ჩედმა, – ვადამდე გათავისუფლების პირობები დაარღვიე და უნდა დაგაპატიმრო.

პოლიციის უფროსმა ჩედ მალიგანმა შედოუს მისი უფლებები წაუკითხა, ბლანკები შეავსო, შედოუს თითის ანაბეჭდები აუღო და შემდეგ დერეფნის გავლით შენობის მეორე ნაწილში მდებარე ოლქის საპატიმროსკენ გაუძღვა.

ოთახის ერთ მხარეს გრძელი დახლი და სამი კარი იყო, მეორე მხარეს – ორი საკანი და ერთი კარი. ერთ-ერთი საკანში, ცემენტის საწოლზე, საბანგადაფარებულ კაცს ეძინა, მეორე საკანი ცარიელი იყო.

დახლს მიღმა ყავისფერუნიფორმიანი ძილმორეული ქალი იჯდა და პატარა, თეთრ პორტატიულ ტელევიზორში ჯეი ლენოს შოუს უყურებდა. მან ჩედს საბუთები

გამოართვა. ჩედი ცოტა ხანს დარჩა და კიდევ რამდენიმე ბლანკი შეავსო. ქალი დახლს უკნიდან გამოვიდა, შედოუ თავით-ფეხებამდე გაჩხრიკა, კუთვნილინივთები – საფულე, მონეტები, ბინის გასაღები, წიგნი და მაჯის საათი – გამოართვა და დახლზე დააწყო, სანაცვლოდ კი ნარინჯისფერი შარვალ-პერანგი მისცა, ცარიელ საკანში შედით და გამოიცვალეთო. მხოლოდ საცვლებისა და წინდების დატოვების ნება დართეს. შედოუ საკანში შევიდა და ნარინჯისფერი სამოსი და რეზინის ჩუსტები ჩაიცვა. საკანი საშინლად ყარდა. ნარინჯისფერ პერანგს ზურგზე დიდი ასოებით ლამბერის ოლქის ციხე ეწერა.

საკნის ლითონის უნიტაზი პირამდე სავსე იყო თხევადი ფეკალიებისა და ლუდისებრი მჟავე შარდის წვნიანით.

შედოუ საკნიდან გამოვიდა და თავისი ტანსაცმელი ქალს მისცა. ქალმა შედოუს ტანსაცმელი და ნივთები შავ პარკში ჩააწყო. შემდეგ მათი მიღების დამადასტურებელ საბუთზე შედოუს ხელი მოაწერინა. შედოუს მაიკ აინსელი უკვე წარსულში დარჩენილ ვინმედ ესახებოდა, იმად, ვისაც მომავალში ვეღარ იხილავდა, მაგრამ მაინც ამ სახელით მოაწერა ხელი. წეღან, როცა ქალს საფულეს აძლევდა, შიგ ხელი მოაფათურა.

– ამას გაუფრთხილდით, – უთხრა ქალს, – მანდ მთელი ჩემი ცხოვრებაა.

ქალმა საფულე გამოართვა და დაამშვიდა, კარგად შეგინახავთო. მერე ჩედსაც დაამოწმებინა, ხომ მართალს ვამბობ. ქაღალდებში თავჩარგულმა ჩედმა ამოიხედა და თქვა, ლიზი მართალს ამბობს, პატიმრის ნივთები არასდროს დაგვიკარგავსო.

შედოუმ საფულიდან უჩუმრად აწაპნილი ოთხასი დოლარი საკანში ტანსაცმლის გამოცვლისას წინდაში ჩაიჩურთა ვერცხლის დოლარიანთან ერთად, რომელიც ჯიბეებს რომ ცლიდა, მაშინ დამალა მუჭში.

– შეიძლება წიგნი ბოლომდე წავიკითხო? – იკითხა შედოუმ.

– მაპატიე, მაიკ, წესი წესია, – უპასუხა ჩედმა.

ლიზმა შედოუს ტანსაცმელი და ნივთები უკანა ოთახში შეინახა. ჩედი შედოუს დაემშვიდობა, ოფიცერ ბუტის საიმედო ხელში გტოვებო. ლიზს ყურიც არ შეუბერტყავს, ეს სიტყვები გულგრილად მოისმინა. ჩედი წავიდა. ტელეფონმა დარეკა და ოფიცერმა ბუტმა უპასუხა.

– კარგი, გასაგებია, – თქვა მან, – პრობლემა არაა. კარგი. ქალმა ყურმილი დადო და

  დაიმანჭა.

– რამე პრობლემაა? – ჰკითხა შედოუმ.

– დიახ. არა. მგონი. მილოუკიდან შენ წასაყვანად ვიღაც გამოგზავნეს. კარგი, ავადმყოფობა ხომ არ გაწუხებთ, დიაბეტი ან რამე მსგავსი?

– არა, – უპასუხა შედოუმ, – რატომ მეკითხებით?

– იმიტომ, რომ სამი საათი აქ, ჩემ გვერდით უნდა იჯდეთ, – უპასუხა ქალმა, – მგონი, ოლქის ციხეში თქვენს დარეგისტრირებას აზრი არ აქვს, სამ საათში მაინც უნდა გადაგიყვანონ, – ოფიცერმა ბუტმა თავი გააქნია, – თანაც, ის საკანი, – ხელი გაიშვირა კარის გვერდით მდებარე საკნისკენ, რომელშიც კაცს ეძინა, – დაკავებულია. მაგტიპმა თავის მოკვლა სცადა და ვდარაჯობთ. მასთან ვერ მოგათავსებთ, – იმ საკანში ჯდომა კი, არა მგონია, მოგინდეთ, – მიუთითა საკანზე, რომელშიც შედოუმ ტანსაცმელი გამოიცვალა, – უნიტაზი გაჭედილია. აქოთებულია იქაურობა.

– ჰო, საშინლად ყარს.

– აი, ასეთები ვართ ადამიანები. იმედია, დროზე აგვიშენებენ ახალ შენობას, თორემ მეტი აღარ შემიძლია. გუშინ აქ ერთი ქალი იჯდა და ეტყობა, ტამპონი ჩარეცხა. სულ ვეუბნები, არ ქნათ, სანაგვე ყუთები, აბა, რისთვის გვაქვს-მეთქი, მაგრამ ვინ გისმენს? კანალიზაციის მილები იჭედება. ყოველი ჩარეცხილი ტამპონი ოლქის მიერ სანტექნიკოსისთვის გადახდილი ასი დოლარია. მოკლედ, ან ხელ-ფეხს შეგიბორკავთ და აქ იჯდებით, ანდა იმ საკანში უნდა შეხვიდეთ, – შედოუს შეხედა ოფიცერმა ბუტმა, – თქვენ გადაწყვიტეთ.

– ვერ ვიტყვი, რომ ვგიჟდები, მაგრამ მაინც ბორკილები მირჩევნია.

ოფიცერმა ბუტმა ქამრიდან ხელბორკილი ჩამოიხსნა და თან ნახევრად ავტომატურ პისტოლეტსაც გადაუსვა ხელი, თითქოს შედოუს შეახსენა, არაფერი მოინდომოო.

– ხელები ზურგს უკან შემოიწყვეთ.

შედოუს ბორკილებმა მოუჭირა: მსხვილი მაჯები ჰქონდა. ქალმა კოჭებზეც დაადო ხუნდები და ოთახის მეორე კუთხეში, კედელთან დასვა.

– ახლა კი, – თქვა მან, – ნურც თქვენ შემაწუხებთ და არც მე შეგაწუხებთ. ტელევიზორი

ისე შემოატრიალა, რომ შედოუსაც დაენახა.

„ღამის შოუ“ დამთავრდა. ჯეი ლენომ და მისმა სტუმრებმა მაყურებლებს ღიმილით უსურვეს ღამე მშვიდობისა. „ჩირსის“ რომელიღაც სერია დაიწყო. შედოუს „ჩირსის“[229] მხოლოდ ერთი სერია ჰქონდა ნანახი – რომელშიც მწვრთნელის გოგო ბარში მოდის – ოღონდ რამდენჯერმე. მრავალწლიანი დაკვირვების შემდეგ შედოუ ერთ რამეს მიხვდა: ადამიანი მისთვის უინტერესო სერიალის ყოველთვის ერთსა და იმავე სერიას ნახულობს წლების შემდეგაც. როგორც ჩანს, ეს ერთგვარი კოსმიური კანონიაო, გაიფიქრა თავისთვის.

ოფიცერი ლიზ ბუტი სკამზე გადაწოლილიყო. აშკარად არ ეძინა, მაგრამ არც ფხიზელი ეთქმოდა. არ შეუმჩნევია, ბარ „ჩირსში“ შეკრებილმა ხალხმა ლაპარაკი და სხარტი ხუმრობების თქმა რომ შეწყვიტა და ეკრანიდან შედოუს მიაშტერდა.

პირველად დაიანმა დაილაპარაკა, ქერა ბარმენმა, რომელსაც თავი ინტელექტუალად მოჰქონდა.

– შედოუ, – თქვა მან, – შენზე ვღელავდით. უგზო-უკვლოდ გადაიკარგე. გვიხარია, შენი დანახვა თუნდაც შებორკილისა და პატიმარივით შემოსილის.

– ჩემი აზრით, სწორედ საუკეთესო დროა, მანდედან გამოიქცე, – ყოვლისმცოდნის იერით უთხრა აბეზარმა კლიფმა, – ნადირობის სეზონია და ყველას მაინც ნარინჯისფერი ტანსაცმელი აცვია.

შედოუ დუმდა.

– აჰ, ვხედავ, პირში წყალი ჩაგიგუბებია, – თქვა დაიანმა, – რაღა დაგიმალო და, დიდხანს კი გვარბენინე!

შედოუმ ეკრანს თვალი მოარიდა. ოფიცერი ლიზ ბუტი უკვე ფშვინავდა. კარლამ, ტანდაბალმა მიმტანმა, თითები გაატკაცუნა.

– ეი, შე გამოქლიავებულო! სერიალის ჩვენება შევწყვიტეთ და ისეთი რამ უნდა გაჩვენოთ, შიშისგან შარვალში ჩაიფსამ. მზად ხარ?

ეკრანი აციმციმდა და გაშავდა. მის ქვედა მარცხენა კუთხეში თეთრი ასოებით დაიწერა „პირდაპირი ეთერი“. კადრს მიღმა ქალის ყრუ ხმა გაისმა: – გამარჯვებულის მხარეზე გადასვლა გვიან არასდროს არის. თუმცა, რასაკვირველია, სრული უფლება გაქვთ, იქ დარჩეთ, სადაც ახლა დგახართ. სწორედ ამას ნიშნავს ამერიკელობა. სწორედ ეს არის ამერიკული სასწაული. რწმენის თავისუფლება არასწორი რამის რწმენის თავისუფლებასაც ნიშნავს, ისევე როგორც სიტყვის თავისუფლება განიჭებთ დუმილის უფლებას.

ეკრანზე ქუჩა გამოჩნდა. კადრი ისე ქანაობდა, თითქოს ოპერატორს ვიდეოკამერა მხარზე ჰქონდა შემოდებული და დოკუმენტურ ფილმს იღებდა.

კადრი თმაშეთხელებული, გარუჯული და ოდნავ დაღვრემილი იერის მქონე კაცის სახემ გაავსო. ის კედელთან იდგა და პლასტმასის ჭიქიდან ყავას წრუპავდა. კაცმა კამერისკენ

გამოიხედა და თქვა: – ტერორიზმი იოლად საბურთაო სიტყვაა. ნამდვილი ტერორისტები „თავისუფლებისთვის მებრძოლს“ და სხვა მსგავს ცარიელ ფრაზებს ამოეფარებიან ხოლმე, როცა სინამდვილეში მკვლელები და გარეწრები არიან, მორჩა და გათავდა. ამით ჩვენი საქმე სულაც არ მარტივდება, მაგრამ ის მაინც ვიცით, რისთვის ვიბრძვით. საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად სამყაროს ვაუმჯობესებთ.

შედოუმ ხმა იცნო. ერთხელ ამ კაცის გონებაში ჩაიხედა. მისტერ ტაუნის ხმა შიგნიდან სხვანაირად ჟღერდა, უფრო ბოხად, რიხიანად, მაგრამ ნამდვილად არ ეშლებოდა.

კამერებმა უკან დაიხიეს და გამოჩნდა, რომ მისტერ ტაუნი ნაღდ ამერიკულ ქუჩაზე აგურის შენობის წინ იდგა. კარის თავზე მოჩანდა სახაზავი მართკუთხა სამკუთხედი და კომპასი შიგ ჩასმული ლათინური ასოთი G-თი[230].

– ადგილებზე! – გაისმა კადრს მიღმა.

– ვნახოთ, დარბაზში თუ მუშაობს კამერები, – ისევ ქალმა დაილაპარაკა. თითქოს რომელიღაც პროდუქტის რეკლამას უყურებდი და მისი ხმა გაქეზებდა, შენნაირი ჭკვიანი ადამიანი შანსს ხელიდან არ გაუშვებს და ამას აუცილებლად იყიდისო.

ეკრანის ქვედა მარცხენა კუთხეში კვლავინდებურად კრთოდა „პირდაპირი ეთერი“. ამჯერად კადრში მომცრო, მკრთალად განათებული დარბაზი გამოჩნდა. ოთახის მეორე ბოლოში, მაგიდასთან ორი კაცი იჯდა, ერთ-ერთი – კამერისკენ ზურგით. კამერა მათ ჯაყჯაყით მიუახლოვდა. წამით ორივენი ფოკუსიდან ამოვარდნენ, მაგრამ მალე გამოსახულება ისევ მკაფიო გახდა. კამერისკენ სახით მჯდომი კაცი ადგა და ჯაჭვით დაბმული დათვივით ბოლთის ცემას მოჰყვა. ეს უენზდეი იყო. ისე გამოიყურებოდა, თითქოს რაღაც მხრივ, ძალიანაც ერთობოდა იმით, რაც ირგვლივ ხდებოდა. გამოსახულების გამკვეთრებასთან ერთად ხმასაც ერთბაშად აუწიეს.

კამერისკენ ზურგით მჯდარი კაცი ამბობდა: – ...ყველაფრის აქ და ახლავე დამთავრების შანსს გთავაზობთ. ბოლო მოეღება სისხლისღვრას, ძალადობას, ტკივილს, მკვლელობებს. განა ამისთვის ცოტაოდენის დათმობა არ გიღირთ? უენზდეი გაჩერდა და შემოტრიალდა. ნესტოები გაებერა.

– ჯერ ერთი, – ჩაიბუზღუნა მან, – თქვენ მე სხვების, ჩემს მდგომარეობაში მყოფი ყოველი პირის მაგივრად გადაწყვეტილების მიღებას მთხოვთ, რაც სრულ უაზრობად მიმაჩნია. რას იზამენ და როგორ მოიქცევიან, ამას მე არ მეკითხებიან. და მეორე, რამ გაფიქრებინათ, რომ თქვენი სიტყვის კაცობის მჯერა? კამერისკენ ზურგით მჯდარმა კაცმა თავი გადახარა.

– ოჰ, ძალიანაც ნუ დაიკნინებთ თავს, – თქვა მან, – აშკარაა, წინამძღოლი არ გყავთ, მაგრამ ძველები თქვენ გისმენენ. ყურადღებას გაქცევენ, მისტერ კარგო. რაც შეეხება ჩემს სიტყვის კაცობას, ჩვენი წინასწარი სამშვიდობო მოლაპარაკებები იწერება და პირდაპირ ეთერში გადაიცემა, – და ხელი კამერებისკენ გაიშვირა, – ზოგიერთი თქვენიანი ახლა თვალყურს გვადევნებს. ზოგი ვიდეოჩანაწერს ნახავს. სხვებს თავიანთი სანდო მეგობრები მოუყვებიან. კამერა არ იტყუება.

– ყველა იტყუება, – თქვა უენზდეიმ.

შედოუმ კამერისკენ ზურგით მჯდარი კაცის ხმა იცნო. ეს მისტერ უორლდი იყო, ის, ვინც ტაუნს მობილური ტელეფონით ელაპარაკებოდა, როცა ტაუნის თავში შედოუ იხედებოდა.

– არ გჯერათ, რომ სიტყვას შევასრულებთ? – ჰკითხა უენზდეის მისტერ უორლდმა.

– ჩემი აზრით, თქვენთვის სიტყვისა და ფიცის გატეხა არაფერია. აი, მე კი ჩემს სიტყვას შევასრულებ.

– მოლაპარაკებებისას ხელშეუხებლობას დაგპირდით და ავასრულეთ კიდეც, – უთხრა მისტერ უორლდმა, – ახლა დაზავებაზეც უნდა შევთანხმდეთ. სხვათა შორის, თქვენი ახალგაზრდა პროტეჟე კვლავ ჩვენს ხელშია.

– ჰაჰ, – ჩაიფხუკუნა უენზდეიმ, – არა, არ არის.

– წეღან არსებული წესრიგის მოსალოდნელ შეცვლაზე ვსაუბრობდით. აუცილებელი არაა, ერთმანეთს ვმტრობდეთ. ასე არ ფიქრობთ?

უენზდეი აფორიაქებული ჩანდა. –

ყველაფერს ვიღონებ, რაც შემიძლია...

შედოუმ ტელევიზორის ეკრანზე უენზდეის გამოსახულებას უცნაური რამ შეატყო. მას მარცხენა, შუშის თვალი წითლად უბრწყინავდა, ზედ მეწამული ლაქა დასთამაშებდა და ყოველი ამოძრავებისას, თითქოს ფოსფორისცენციურ ნაკვალევს ტოვებდა. უენზდეი ამას ვერ ამჩნევდა.

– ამერიკა დიდიქვეყანაა, – ფიქრიანად თქვა მან, თავი აამოძრავა და ბრჭყვიალა წერტილი ლოყაზე ჩამოუცურდა, თითქოს ზედ ლაზერი მიენათებინოთ, – ადგილი ყველასთვის...

გაისმა ტელევიზორის დინამიკებით დახშობილი ბათქი და უენზდეის საფეთქელი გასკდა. ბერიკაცი უკან გადავარდა.

მისტერ უორლდი კამერისკენ შემოუბრუნებლად წამოდგა და კადრიდან გავიდა.

– მოდით, კიდევ ერთხელ, შენელებულად ვნახოთ ეს სცენა, – გამამხნევებელი კილოთი თქვა რეპორტიორმა ქალმა.

ეკრანის ქვედა კუთხეში წარწერა „პირდაპირი ეთერი“ „გამეორებამ“ შეცვალა. ამჯერად შენელებულად აჩვენეს, ლაზერული სამიზნის წითელი წერტილი როგორ მისრიალდა უენზდეის შუშის თვალამდე და ბერიკაცის სახე სისხლის წითელ შხეფებში როგორ ჩაიკარგა. კადრი გაიყინა.

– დიახ, ამერიკა კვლავაც ღვთივკურთხეული ქვეყანაა, – რეპორტაჟის შემაჯამებელი სიტყვები წარმოთქვა ქალმა, – მაგრამ საკითხავია, რომელი ღმერთების?

სხვა ხმამ – შედოუმ მისტერ უორლდისას მიამსგავსა, რადგან ნაცნობი ხმასავით

ჟღერდა – დაამატა: – ახლა კი დროებით შეწყვეტილ გადაცემას ვუბრუნდებით.

„ჩირსში“ მწვრთნელი თავის ქალიშვილს არწმუნებდა, დედაშენივით ლამაზი ხარო.

ტელეფონი აწკრიალდა და ოფიცერი ლიზი შემკრთალი წამოჯდა. ყურმილი აიღო.

– კარგი, კარგი, დიახ, – თქვა მან, – კარგი, მანდ ვიქნები, – ყურმილი დადო და ადგა. შედოუს უთხრა: – ვწუხვარ, მაგრამ საკანში უნდა ჩაგსვათ. უნიტაზს ნუ გამოიყენებთ. თუ ტუალეტში მოგინდებათ, კართან ღილაკს დააჭირეთ, როგორც კი შევძლებ, ჩამოვალ და ტუალეტში წაგიყვანთ. ლაფაიეტის შერიფის განყოფილებიდან ბიჭები მოდიან თქვენ გადასაყვანად და მალე აქ იქნებიან.

ქალმა შედოუს ბორკილები და ხუნდები ახსნა და საკანში დაამწყვდია. კარი რომ მიხურეს, სიმყრალე კიდევ უფრო გაუსაძლისი გახდა.

შედოუ ბეტონის საწოლზე ჩამოჯდა, ვერცხლის ერთდოლარიანი ამოიღო და დროის გასაყვანად და გასართობად, თითებით აათამაშა, ხან ხელის ზურგის მხარეს მალავდა, ხან – ხელის გულის, ერთი მუჭიდან მეორეში უხილავად გადაჰქონდა.

უეცრად ძლიერ მოენატრა უენზდეი. მოენატრა მისი სიმტკიცე და სიდინჯე, მისი თავდაჯერებულობა.

ხელი გაშალა და ქალბატონი თავისუფლების ვერცხლის პროფილს დახედა. მონეტას თითები მაგრად მოუჭირა და გაიფიქრა, ნეტავ მეც იმ ხალხის ბედი ხომ არ მელის, სამუდამო პატიმრობა ტყუილუბრალოდ რომ მიუსაჯესო. თუმცა, არა, დიდხანს არავინ აცოცხლებდა. მისტერ უორლდი და მისტერ ტაუნი ციხემდე არც მიუშვებდნენ, სადმე გზაზე ავარიას მოუწყობდნენ ან გაქცევის მცდელობისას ტყვიას დაახლიდნენ. გამორიცხული არაფერი იყო.

ოთახში ოფიცერი ლიზი დაბრუნდა და ღილაკს თითი დააჭირა. შედოუსთვის უხილავი კარი გაიღო და შიგნით შერიფის შავკანიანი თანაშემწე შემოვიდა. ის სწრაფად მიუახლოვდა დახლს.

შედოუმ მონეტა ისევ წინდაში ჩაიცურა.

ახლამოსულმა შერიფის თანაშემწემ ლიზს საბუთები წარუდგინა, ლიზმა თვალი გადაავლო და ხელი მოაწერა. ჩედ მალიგანი შემოვიდა და შერიფის თანაშემწეს გამოელაპარაკა, მერე კარი გააღო და შედოუსთან საკანში შეაბიჯა.

– აქაურობა ყარს.

– აბა, მე მკითხე.

– შენ წასაყვანად უკვე მოვიდნენ. თურმე საშიში ბოროტმოქმედი ყოფილხარ. იცოდი ეს?

– „ლეიკსაიდ ნიუსისთვის“ სენსაციური მასალაა, – თქვა შედოუმ. ჩედმა გულგრილად შეხედა.

– ის, რომ ვიღაც მაწანწალამ ვადამდე გათავისუფლებულის პირობები დაარღვია? დიდი ვერაფერი ამბავია.

– მაშ, ამიტომ ატყდა მთელი ეს აურზაური?

– ასე მითხრეს, – უპასუხა ჩედ მალიგანმა და ამჯერად შედოუს ხელ-ფეხი მან შეუბორკა.

„გარეთ გამიყვანენ, – გაიფიქრა შედოუმ, – იქნებ გაქცევა ვცადო? ჰო, ხელფეხშებორკილი, ამ თხელი ნარინჯისფერი შარვალ-პერანგის ამარა თოვლში გავიქცევი“, მწარედ გაივლო გულში და დანანებით გააქნია თავი, მიხვდა, რაოდენ უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

საკნიდან ჩედმა გაიყვანა. ლიზს ტელევიზორი გამოერთო. შერიფის შავკანიანმა თანაშემწემ შედოუ შეათვალიერა და ჩედს გადაულაპარაკა: – ზორბა ვინმე ყოფილა.

ლიზმა შერიფის თანაშემწეს შედოუს ნივთებით სავსე ქაღალდის პარკი გადასცა და მათი მიღების დამადასტურებელ დოკუმენტზე ხელი მოაწერინა.

ჩედმა ჯერ შედოუს შეხედა, შემდეგ – შერიფის თანაშემწეს და ხმადაბლა, მაგრამ შედოუს გასაგონად უთხრა: – მისმინეთ, რაღაც არ მომწონს, ეს როგორც კეთდება.

შერიფის თანაშემწემ თავი დაუქნია და ბოხი, თავაზიანი ხმით უპასუხა, ხმით, რომელიც პრესკონფერენციის უწყინარ ორგანიზატორსაც შეიძლება ეკუთვნოდეს და მასობრივი ხოცვა-ჟლეტის დამგეგმავსაც.

– პრეტენზიით უფროსობას უნდა მიმართოთ, სერ. ჩვენ მხოლოდ პატიმრის გადაყვანა დაგვავალეს. ჩედი მოიღუშა. ლიზისკენ მიტრიალდა.

– კარგი, კარი გააღე.

ლიზი ბრძანებასდაემორჩილა.

– ნარინჯისფერი უნიფორმა დაგვიბრუნეთ, – უთხრა ქალმა შერიფის თანაშემწეს, – ლაფაიეტში ბოლოს წაყვანილ დამნაშავეს რომ ეცვა, ის უნიფორმა თვალით აღარ გვინახავს. ოლქს შარვალ-პერანგის შეკერვა ფული უჯდება.

შედოუ გარეთ გაიყვანეს, სადაც მანქანა იცდიდა. ოღონდ ეს შერიფის განყოფილების მანქანა კი არა, შავი „სედანი“ იყო. მანქანასთან შერიფის მეორე თანაშემწე, ჭაღარა, ულვაშიანი, თეთრკანიანი კაცი იდგა და სიგარეტს ეწეოდა. როცა მიუახლოვდნენ, ნამწვი ძირს დააგდო, ფეხით გასრისა და შედოუს კარი გაუღო.

ხელფეხშებორკილი შედოუ მოუხერხებლად ჩაჯდა. წინა და უკანა სავარძლები ცხაურით გადატიხრული არ იყო.

შერიფის თანაშემწეები წინ ჩასხდნენ. შავკანიანმა მანქანა დაქოქა. იცდიდნენ, როდის გაუღებდნენ ჭიშკარს.

– ჰე, ახლა, სწრაფად, – საჭეზე თითებს აკაკუნებდა შერიფის შავკანიანი თანაშემწე.

გვერდითა მინაზე ჩედ მალიგანმა დააკაკუნა. შერიფის თეთრკანიანმა თანაშემწემ მისკენ მიიხედა და მინა ჩასწია.

– ეს არ მომწონს, – უთხრა ჩედმა, – კიდევ გიმეორებთ.

– თქვენს აზრს შესაბამის ორგანოებს მოვახსენებთ, – უთხრა მძღოლმა.

ჭიშკარი გაიღო. ისევ თოვდა. წინა ფარების შუქზე ფანტელები თავბრუდამხვევად ბზრიალებდნენ. მძღოლმა გაზის პედალს დააჭირა ფეხი, გზაზე გადავიდნენ და მეინსტრიტზე გაუხვიეს.

– უენზდეის შესახებ გაიგე? – ჰკითხა მძღოლმა. მისი ხმა ახლა სხვანაირად ჟღერდა, უფრო ნაცნობი მოეჩვენა, მოხუცისას ჰგავდა, – მკვდარია.

– ჰო, ვიცი, – უპასუხა შედოუმ, – ტელევიზორში ვნახე.

– ეგ ნაბიჭვრები, – პირველად დაილაპარაკა თეთრკანიანმა ოფიცერმა. უხეში და მკვეთრი აქცენტი ჰქონდა. შედოუს ეს ხმაც ეცნო, – ეგ წყეული ნაბიჭვრები.

– გმადლობთ, რომ ჩემ წასაყვანად მოხვედით, – უთხრა მათ შედოუმ.

– არაფერს, – უპასუხა მძღოლმა. შემხვედრი მანქანის ფარების შუქზე მისი სახე უკვე დაბერებული და დაპატარავებული გამოჩნდა. შედოუმ ბოლოს რომ ნახა, ბერიკაცს ლიმონივით ყვითელი ხელთათმანები და კუბოკრული პიჯაკი ეცვა, – მილუოკიში ვიყავით და იბისმა რომ დაგვირეკა, გიჟებივით გამოვქანდით.

– გეგონა, შენს თავს ციხეში გამოვამწყვდევინებდით და ელექტროსკამზე დავასმევინებდით, როცა მე ერთი სული მაქვს, უროთი თავს როდის გაგიჩეჩქვავ? – ბრაზიანად ჩაიბურტყუნა თეთრკანიანმა ოფიცერმა და ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო. მას აღმოსავლეთევროპული აქცენტი ჰქონდა.

– ნახეთ, ერთ საათში რა ამბავი ატყდეს, – თქვა მისტერ ნანსიმ, რომელიც ყოველ წამს უფრო და უფრო მეტად ემსგავსებოდა თავის თავს, – როცა მართლა მივლენ შენ წასაყვანად. 53-ე ავტომაგისტრალამდე მივალთ, მანქანას გავაჩერებთ, მაგ ბორკილებს მოგხსნით და ისევ შენს ტანსაცმელს ჩაგაცმევთ.

ჩერნობოგმა ბორკილების გასაღები გააქნ-გამოაქნია და გაიღიმა.

– ულვაში მომწონს, – უთხრა შედოუმ, – გიხდება.

– გმადლობ, – ულვაშზე გაყვითლებული თითი გადაისვა ჩერნობოგმა.

– უენზდეი მართლა მოკვდა? – იკითხა შედოუმ, – იქნებ მისი მორიგი ოინია? – უცებ გაიაზრა, რომ ხავსს ეჭიდებოდა, მაგრამ ნანსის გამომეტყველებამ, რაც საჭირო იყო, ყველაფერი უთხრა. იმედი საბოლოოდ გადაეწურა.

ამერიკაში ჩასვლა
ძვ. წ. 14 000

ციოდა და ბნელოდა, როცა ხილვა ეწვია. შორეულ ჩრდილოეთში დღის შუქი მხოლოდ შუადღის რუხი ბინდი იყო, რომელიც ერთი დაბნელებიდან მეორემდე დაეშვებოდა და მერე ისევ აიკრიფებოდა ხოლმე.

ჩრდილოეთის ტრამალების მომთაბარეების მაშინდელი საზომებით, მათზე დიდი ტომი არ ითქმოდა. თავიანთი ღმერთი ჰყავდათ – მამონტის თავის ქალა და მამონტის ტყავი,

რომლისგანაც უხეში მოსასხამი შეეკერათ. ღმერთს ნუნიუნინის უწოდებდნენ და ადამიანის სიმაღლის ხის სადგამზე ესვენა. როცა აიყრებოდნენ და საცხოვრებლად

სხვაგან მიდიოდნენ, სადგამს ორი კაცი გრძელი სახელურებით სწევდა და ასე მიჰქონდათ.

აცულა, ანუ „მელია“, ტომის საიდუმლოთა მფარველი ქურუმი ქალი იყო. იგი ყოველთვის წინ მიუძღოდა სადგამის მზიდავებს. უწმინდურების ჟამს ტომის ღმერთს დათვის ტყავები ჰქონდა გადაფარებული, რათა ღვთისმგმობელთა მზერა არ შეხებოდა.

ტუნდრაში დაეხეტებოდნენ თავიანთი კარვებიანად. საუკეთესო, კარიბუს ტყავისგან შეკერილი კარავი წმინდა იყო და შიგ ოთხნი ისხდნენ: ქურუმი ქალი აცულა, ტომის უხუცესი გუგუეი, მეომართა ბელადი იანუ და მზვერავი კალანუ. ისინი აცულამ შეკრიბა მას შემდეგ, რაც ხილვა ეწვია.

აცულამ კოცონში მღიერის ნაგლეჯები მიმოაბნია, შემდეგ დამჭკნარი ხელით ხმელი ფოთლები შეყარა. კოცონს რუხი კვამლი აუვიდა და შეგროვილებს თვალები აუწვა. კარავში მძაფრი, უცხო სუნი დატრიალდა. აცულამ ხის თაროდან ხის თასი აიღო და გუგუეის მიაწოდა. თასი მუქი ყვითელი სითხით ნახევრად სავსე იყო.

აცულამ შვიდწინწკლიანი პუნხები იპოვა (ამ შვიდწინწკლიან სოკოებს ჭეშმარიტად წმინდა ქალის გარდა სხვა ვერავინ იპოვიდა), უმთვარო ღამეს დაკრიფა და ირმის ხრტილისგან დაგრეხილ ბაწარზე ჩამოკიდა გასაშრობად.

წუხელ, ძილის წინ, გამხარი სოკოს სამი ქუდი შეჭამა. უცნაური და საშიში რამეები დაესიზმრა, კაშკაშა სხივები სწრაფად მიქროდა, ნათლით მოცული კლდოვანი მთები ცაში ლოლუებივით აზიდულიყვნენ. ოფლში მცურავს, შარდის დაქცევის სურვილით გაეღვიძა შუაღამისას. ხის ჯამზე დაიცუცქა და შარდით გაავსო. მერე ჯამი გარეთ, თოვლში გადგა და კვლავ დაიძინა.

დილით ხის ჯამიდან ყინულის ნატეხები ამოიღო, როგორც დედამ ასწავლა და ჯამში გამუქებული, ბლანტი სითხე ჩატოვა.

სწორედ ეს სითხე ჩამოატარა კარავში. ჯერ გუგუეის მიაწოდა თასი, შემდეგ – იანუსა და კალანუს. თითოეულმა თითო, დიდი ყლუპი შესვა. თასი აცულამ გამოცალა. ბოლო წვეთი ჩაყლაპა და ნაჟური თავიანთი ღმერთისთვის, ნუნიუნინისთვის დაღვარა მიწაზე.

კვამლიან კარავში ისხდნენ და იცდიდნენ, როდის დაელაპარაკებოდა მათ ღმერთი. გარეთ, სიბნელეში, ქარი გაჰკიოდა და უბერავდა.

მზვერავი კალანუ ქალი იყო, თუმცა კაცივით იცვამდა და დადიოდა: თოთხმეტი წლის ქალწული დალანიც კი შეირთო ცოლად. კალანუმ თვალები რამდენჯერმე დაახამხამა, ადგა და მამონტის ქალასთან მივიდა. მამონტის ტყავი ზედ გადაიფარა და ისე დადგა, რომ მისი თავი მამონტის ქალაში აღმოჩნდა.

– ბოროტება დაძრწის ამ მიწაზე, – თქვა ნუნიუნინიმ, – ისეთი ბოროტება, რომ, თუ აქ დარჩებით, დედათა და დედის დედათა თქვენთა მიწაზე, ყველანი დაიღუპებით. სამმა მსმენელმა უკმაყოფილოდ რაღაც ჩაიბურტყუნა.

– რომელი ბოროტება: დამმონებლები თუ დიდი მგლები? – ჰკითხა გუგუეიმ, რომელსაც თმა დაჰგრძელებოდა და გასთეთრებოდა, ხოლო სახე ეკლის ხის ქერქივით დანაოჭებოდა.

– არც დამმონებლები და არც დიდი მგლები, – უპასუხა ნუნიუნინიმ, ხნიერმა ქვის ტყავმა.

– მაშ, შიმშილი? შიმშილი მოდის? – ჰკითხა გუგუეიმ.

ნუნიუნინი გაჩუმდა. კალანუ მამონტის ქალიდან გამოვიდა და სხვებთან ერთად განაგრძო ლოდინი.

ამჯერად გუგუეიმ შემოიცვა მამონტის მოსასხამი და თავი მამონტის ქალაში შეყო.

– ეს ისეთი შიმშილი არაა, თქვენ რომ გგონიათ, – თქვა ნუნიუნინიმ გუგუეის პირით, – მაგრამ ნამდვილი შიმშილიც მოჰყვება.

– მაშ, რა არის? – ჰკითხა იანუმ, – მე არ მეშინია. შევებრძოლები. შუბები და ქვები გვაქვს. ასი ძლიერი მეომარიც რომ მოგვადგეს, მოვერევით. ჭაობში შევყრით და ჩვენი ქვებით თავებს გავუტეხთ.

– ამასთან ადამიანებს საერთო არ აქვთ, – თქვა ნუნიუნინიმ გუგუეის ბებრული ხმით, – ციდან მოვა და შუბები და ქვები ვერ გიშველით.

– თავი როგორ დავიცვათ? – ჰკითხა აცულამ, – ცაში ცეცხლი მინახავს. მეხის გავარდნაზე ათჯერ ძლიერი ხმაური გამიგონია. მიწასთან გასწორებული ტყეები და ადუღებული მდინარეები მინახავს.

ნუნიუნინი გაჩუმდა. გუგუეი მამონტის ქალიდან წელში მოხრილი გამოჩანჩალდა, ისეთი ბებერი იყო, ხელ-ფეხს ძლივს შლიდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. აცულამ უფრო მეტი ხმელი ფოთოლი შეყარა კოცონში და კვამლმა ყველას თვალები აუცრემლიანა.

შემდეგ იანუმ შეყო თავი მამონტის ქალაში, განიერ მხარბეჭზე კი მოსასხამი წამოიფარა.

– უნდა გაემგზავროთ, – მისი ხმით დაიგუგუნა ნუნიუნინიმ, – იმ მხარეს უნდა წახვიდეთ, საიდანაც მზე ამოდის. იქ ახალ მიწას იპოვით და უსაფრთხოდ იქნებით. გზა გრძელი იქნება: მთვარე ორჯერ გაივსება და დაილევა, მოკვდება და გაცოცხლდება; სანამ იქამდე მიხვალთ, დამმონებლები და მხეცები მრავლად შემოგხვდებიან, მაგრამ მე გიმეგზურებთ და დაგიფარავთ, თუ აისისკენ გაემართებით.

აცულამ მტვრიან იატაკზე დააფურთხა და თქვა: – არა, – იგრძნო, როგორ მოაშტერდა ღმერთი, – არა, – გაიმეორა აცულამ, – ცუდი ღმერთი ყოფილხარ, ამას რომ გვეუბნები. დავიხოცებით. დავიხოცებით და მერე ვინღა გატარებს ერთი მაღალი ადგილიდან მეორემდე, ვინ გაგიშლის კარავს და ვინ გაგიპოხავს ქონით შენს დიდ ეშვებს?

ღმერთმა პასუხი არ გასცა. აცულამ და იანუმ ადგილები გაცვალეს. ახლა აცულამ გამოიხედა მამონტის გაყვითლებული ძვლებიდან.

– აცულა ურწმუნოა, – თქვა ნუნიუნინიმ აცულას ხმით, – აცულა მანამ მოკვდება, სანამ სხვები ახალ მიწაზე დადგამთ ფეხს. მაგრამ სხვები იცოცხლებთ. დამიჯერეთ: აღმოსავლეთით უკაცრიელი მიწა ძევს. ეს მიწა იქნება თქვენი, თქვენი შვილებისა და თქვენი შვილების შვილების, მეშვიდე და შვიდგზის მეშვიდე თაობამდის. აცულას ურწმუნობა რომ არა, მას სამუდამოდ დაიმკვიდრებდით. დილით კარვები აშალეთ, აიბარგეთ და აისისკენ გაემართეთ.

გუგუეიმ, იანუმ და კალანუმ თაყვანი სცეს და ხოტბა შეასხეს ნუნიუნინის ძლიერებასა და სიბრძნეს.

მთვარე გაივსო და მიილია, ისევ გაივსო და ისევ მიილია. ტომი აღმოსავლეთით, აისისკენ გაჭირვებით მიიწევდა, სუსხიანი ქარი ყველას შიშველ ხელ-ფეხს უშეშებდა. მაგრამ ნუნიუნინიმ აღთქმა შეასრულა: მოგზაურობისას არავინ მომკვდარა, გარდა ერთი ქალისა, რომელიც მშობიარობას გადაჰყვა, მშობიარე ქალი კი მთვარეს ეკუთვნოდა და არა – ნუნიუნინის.

მიწის ხიდი გადაიარეს.

ინათა თუ არა, კალანუ გზის დასაზვერად წავიდა. დაბნელდა, მაგრამ კალანუ არ დაბრუნებულა, ხოლო ღამის ცა ციალმა გამოაცოცხლა. თეთრი, მწვანე, იისფერი და წითელი

სხივები ერთმანეთში იხლართებოდა, იკლაკნებოდა, კრთოდა და ფეთქავდა. აცულასა და მის თანატომელებს ჩრდილოეთის ციალი უკვე ენახათ, მაგრამ მისი მაინც ეშინოდათ. თანაც ეს ციალი უწინდელებზე დიდებული იყო.

როცა ცაში სხივები ერთმანეთს ერწყმოდა და ტალღასავით მოედინებოდა, კალანუ დაბრუნდა.

– ხანდახან მეჩვენება, – უთხრა მან აცულას, – რომ ხელებს გავშლი და პირდაპირ ცაში ჩავვარდები.

– იმიტომ, რომ შენ მზვერავი ხარ, – თქვა ქურუმმა აცულამ, – როცა მოკვდები, ცაში ჩავარდები და ვარსკვლავად გადაიქცევი, რათა ისევ გვიმეგზურო, როგორც სიცოცხლეში გვმეგზურობ.

– აღმოსავლეთში ყინულის კლდეებია, მაღალი კლდეები, – უთხრა კალანუმ, რომელსაც ყორნისფერი თმა, კაცივით, გრძელი ჰქონდა, – შეგვიძლია კლდეებზე ავცოცდეთ, მაგრამ მრავალი დღე დასჭირდება.

– შენ უსაფრთხო ბილიკებს იპოვი, – უთხრა აცულამ, – მე კლდის ძირას მოვკვდები და ვიქნები ზვარაკი, რომელიც ახალ მიწამდე მიგაღწევინებთ.

დასავლეთით, იმ მხარეს, საიდანაც მოდიოდნენ და სადაც მრავალი საათის წინ მზე ჩავიდა, საძაგლად ყვითელმა შუქმა იფეთქა, ელვასა და დღის სინათლეზე უფრო კაშკაშა შუქმა: მიწის ხიდზე მდგარმა თვალისმომჭრელი ბრწყინვალებით დაბრმავებულმა ხალხმა თვალებზე ხელები აიფარა და ფურთხება და ყვირილი მორთო. ბავშვები ატირდნენ.

– აი, აღსასრული, რომელზეც ნუნიუნინმა გაგვაფრთხილა, – თქვა უხუცესმა გუგუეიმ, – ჭეშმარიტად ბრძენი და ძლიერი ღმერთია იგი, რადგან იქიდან წამოგვიყვანა.

– ღმერთთა შორის საუკეთესოა ნუნიუნინი, – თქვა კალანუმ, – ჩვენს ახალ მიწაზე აღვამაღლებთ მას და ეშვებს თევზისა და ცხოველის ქონით გავუპოხავთ. ჩვენს შვილებს, შვილების შვილებსა და მეშვიდე თაობის შვილების შვილებს მოვუყვებით, რომ ნუნიუნინი ღმერთთა შორის უძლიერესია და მისი სახელი დავიწყებას არასდროს მიეცემა.

– ღმერთები დიადები არიან, – თქვა აცულამ დინჯად, თითქოს უდიდეს საიდუმლოს ამხელდა, – მაგრამ გული მათზე უფრო დიდია. რადგან ღმერთები ჩვენს გულებში ჩნდებიან და ჩვენს გულებშივე დაბრუნდებიან...

არავინ იცის, რამდენ ხანს გააგრძელებდა აცულა მკრეხელობას, მაგრამ სიტყვა უხეშად, მოურიდებლად გააწყვეტინეს.

დასავლეთით ისე ძლიერად დაიგრგვინა, რომ ხალხს ყურებიდან სისხლი წასკდა და კარგა ხანს აღარაფერი ესმოდა; დროებით დაყრუებულები და დაბრმავებულები, მაგრამ ცოცხლები, ნუნიუნინის მადლობას სწირავდნენ, რადგან დასავლეთში დარჩენილ სხვა ტომებზე მეტად გაუღიმათ ბედმა.

– კარგია, – თქვა აცულამ, მაგრამ თვითონვე ვერ გაიგონა თავისი ნათქვამი.

აცულა კლდის ძირას მოკვდა, როცა გაზაფხულის მზე ზენიტში იყო. მან ახალი სამყარო ვერ იხილა და მისმა ტომმა იმ მიწებზე ქურუმის გარეშე დადგა ფეხი.

კლდეებზე ავიდნენ და სამხრეთ-დასავლეთით მანამ იარეს, სანამ არ მიაგნეს ხეობას, სადაც უხვად იყო მტკნარი წყალი, მდინარეებში ვერცხლისფერი თევზები ვერ ეტეოდნენ და კაცის უნახავი, ისეთი თვინიერი ირმები დაიარებოდნენ, რომ მათ დახოცვამდე მონადირეები იფურთხებოდნენ და მათ სულებს ბოდიშს უხდიდნენ.

დალანიმ სამი ბიჭი შვა. ზოგი ამბობდა, კალანუმ ესეც შეძლო, უდიდესი ჯადოქრობის წყალობით, ახალგაზრდა ცოლთან კაცის საქმეც გააკეთაო. მაგრამ სხვები ამტკიცებდნენ, ბებერი გუგუეი არც ისეთი ბებერი აღმოჩნდა, ახალგაზრდა ცოლი ქმრის არყოფნაში რომ ვერ გაეხალისებინაო. მართლაც, გუგუეის სიკვდილის შემდეგ დალანის შვილები აღარ გაუჩენია.

გამყინვარების ხანა დადგა და გამყინვარების ხანამ განვლო, ხალხი ახალ მიწებზე მიმოიფანტა, ახალი ტომები შეიქმნა და ახალმა ტომებმა თავიანთთვის ახალი კერპები აირჩიეს: ყორნები, მელიები, გიგანტური ზარმაცები, დიდი კატები, ბიზონები. თითოეული ტაბუ-მხეცი ტომის რაობას გამოხატავდა და თითოეულ მხეცს აღმერთებდნენ.

ახალ მიწებზე მამონტები უფრო დიდები, ნელები და უგუნურები იყვნენ, ვიდრე ციმბირის ტრამალებზე, ხოლო შვიდწინწკლიანი პუნხი-სოკოები აქ არ ხარობდა, ამიტომ ნუნიუნინი ტომს აღარ ელაპარაკებოდა.

დალანისა და კალანუს შვილიშვილების ჟამს, ჩრდილოეთის ლაშქრობიდან შინ, სამხრეთში მიმავალმა უფრო დიდი და მდიდარი ტომის მოთარეშე მეომრებმა პირველ ხალხთა ხეობა იპოვეს: კაცების უმეტესობა დახოცეს, ხოლო მრავალი ქალი და ბავშვი დაატყვევეს.

ერთმა ბავშვმა, შეწყალების იმედით, ისინი მთის გამოქვაბულში მიიყვანა, სადაც მამონტის თავის ქალა, მამონტის ტყავისგან შეკერილი მოსასხამის ნაგლეჯები, ხის ჯამი და მისანი აცულას შემონახული თავი იპოვეს.

ზოგიერთმა მეომარმა წმინდა ნივთების თან წაღება მოინდომა, პირველ ხალხთა ღმერთებს

მოვიპარავთ და მათ ძალას შევიძენთო, მაგრამ სხვებმა იუარეს, მხოლოდ უბედურებას მოგვიტანს და ჩვენი ღმერთის რისხვას დავიტეხთო (რადგან თვითონ ყორნის ტომისანი იყვნენ, ხოლო ყორნებს ღმერთების შურთ).

ამიტომაც წმინდა ნივთები გამოქვაბულიდან ხრამში გადაყარეს, ხოლო პირველ ხალხთა ცოცხლად შეპყრობილი ქალები და ბავშვები შორეულ სამხრეთში წაიყვანეს. იმ მიწებზე ყორნისა და მელიების ტომები გაძლიერდნენ, ნუნიუნინი კი მალე საერთოდ მიივიწყეს.

მესამე ნაწილი. ქარიშხლის წამი

მეთოთხმეტე თავი

ხალხი წყვდიადში დადის და აღარ იცის, რა ქნას,
ერთი ფარანი მქონდა, მაგრამ ისიც კი ჩაქრა. აგერ,
ხელს შენკენ ვიწვდი, და იმედია, შენცა, მხოლოდ
ის მინდა, ვიჯდე, აქ, სიბნელეში, შენთან. გრეგ
ბრაუნი[231], „სიბნელეში შენთან“

დილის ხუთ საათზე მინეაპოლისის აეროპორტის ავტოსადგომზე სხვა მანქანაში გადასხდნენ. ბოლო, გადაუხურავ სართულზე ავიდნენ.

შედოუმ ბორკილები და ხუნდები იმ ქაღალდის პარკში ჩაყარა, რომელშიც მცირე ხნით მისი ნივთები ეწყო, თავი გადაუკეცა და ავტოსადგომის ურნაში ჩაუძახა. დაიწყეს ლოდინი. ათი წუთის შემდეგ აეროპორტის შენობიდან ჩასკვნილი ახალგაზრდა კაცი გამოვიდა და მათკენ გამოაბიჯა. ქაღალდის კოლოფით „ბურგერ კინგის“ შემწვარი კარტოფილი ეჭირა და ახრამუნებდა. შედოუმ ის მაშინვე იცნო. „კლდეზე მდგარი სახლიდან“ რომ მოდიოდნენ, მანქანაში იჯდა და ისეთი ბოხი ხმით ღიღინებდა, ავტომობილი ზანზარებდა. მაშინდელისგან განსხვავებით, კაცს ჭაღარაგარეული წვერი მოეშვა და უფრო ხნიერად გამოიყურებოდა.

კაცმა გაქონილი ხელები სვიტერზე შეიწმინდა და მარჯვენა შედოუს გაუწოდა.

– ყოველთა მამის სიკვდილის ამბავი გავიგე, – თქვა მან, – ამისთვის მწარედ ვაზღვევინებთ.

– უენზდეი მამათქვენი იყო? – ჰკითხა შედოუმ.

– ის ყველას მამა იყო, – უპასუხა კაცმა და ბოხი ხმა ჩაეხლიჩა, – გადაეცით, ყველას გადაეცით, რომ, როცა დაგჭირდებით, ჩემი ხალხი მოვა.

ჩერნობოგმა კბილებს შორის გაჩრილი თამბაქოს ნამცეცი ენის წვერით გამოიძრო და ჭყაპში ჩააფურთხა.

– და რამდენნი ხართ შენ და შენი ხალხი? ათი? ოცი? ჩასკვნილ ახალგაზრდას წვერი

აეშალა.

– მერედა, განა ათი ჩვენგანი ას მათგანზე ძლიერი არ არის? ბრძოლაში ერთ ჩვენგანს წინ ვინ დაუდგება? თანაც, უფრო მეტი ხალხი მყავს. გარეუბნებში ბლომად არიან, ზოგი კატსკილის მთებში ცხოვრობს, ზოგიც – ფლორიდის მდიდრულ ქალაქებში. ნაჯახები მუდამ ალესილი აქვთ. თუ ვიხმობ, ყველა მოვა.

– იხმე, ელვის, – უთხრა მას მისტერ ნანსიმ. უფრო ზუსტად, შედოუს ასე ჩაესმა მისი სახელი. ნანსის შერიფის თანაშემწის უნიფორმა უკვე გამოეცვალა და სქელი ყავისფერი ჟაკეტი, ველვეტის შარვალი და ყავისფერი მოკასინები ჩაეცვა, – იხმე. ბებერ ნაბიჭვარს ძალიან გაუხარდებოდა.

– უღალატეს. მოკლეს. უენზდეის დავცინე, მაგრამ შევცდი. ყველას საფრთხე გვემუქრება, – თქვა კაცმა, რომელსაც შეიძლება ელვისი ერქვა, – მაგრამ ჩვენი იმედი გქონდეთ, – და შედოუს ზურგზე მსუბუქად დაჰკრა ხელი. შედოუ კინაღამ მიწაზე გაიშხლართა. თითქოს ზარბაზნის ჭურვი მოხვდა „მსუბუქად“.

ჩერნობოგი აქეთ-იქით იყურებოდა.

– უკაცრავად, თუ ზედმეტ ცნობისმოყვარეობას ვიჩენ, მაგრამ ჩვენი ახალი მანქანა რომელია?

– აი, ის, – მიუთითა ჩასკვნილმა კაცმა.

– ეგ? – ჩაიფხუკუნა ჩერნობოგმა.

1970 წლის „ფოლკსვაგენის“ მიკროავტობუსი იყო. უკანა მინაზე ცისარტყელას სტიკერი დაეწებებინათ.

– მშვენიერი ფურგონია. თანაც, ვერავინ იფიქრებს, რომ მაგაში სხედხართ. არავინ გამოგეკიდებათ.

ჩერნობოგმა ფურგონს შემოუარა, შემდეგ ბებერი მწეველივით ხრინწიანი ხველა აუტყდა. ნახველი ამოაფურთხა და მკერდზე ხელი გადაისვა ტკივილის დასაცხრობად.

– კარგი, ისინი არ იეჭვებენ, მაგრამ პატრულს რომ დაბოლილი ჰიპები ვეგონოთ და გაგვაჩეროს? აქ ჭრელი ავტობუსით სასეირნოდ კი არ ჩამოვსულვართ, ხალხს უნდა შევერიოთ. წვერიანმა კაცმა ფურგონის კარი გამოაღო.

– გაგაჩერებენ, შემოგხედავენ, ნახავენ, რომ ჰიპები არ ხართ და თქვენს გზაზე გაგიშვებენ. მშვენიერი კამუფლაჟია. ასე უცებ სხვა ვერაფერი გამოვძებნე.

ჩერნობოგი აშკარად კამათის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ დაძაბულობა მისტერ ნანსიმ განმუხტა.

– ელვის, შენ დახმარების ხელი გამოგვიწოდე, რისთვისაც მადლობას გიხდით. ახლა ის მეორე მანქანა ჩიკაგოშია დასაბრუნებელი.

– ბლუმინგტონში[232] დავტოვებთ, – უთხრა წვერიანმა კაცმა, – იქ მგლები მიხედავენ. თქვენ ნუღარაფერზე იდარდებთ, – მერე შედოუსკენ მიტრიალდა, – კიდევ ერთხელ თანაგიგრძნობთ და ვიზიარებ თქვენს მწუხარებას. წარმატებას გისურვებთ. და თუ ღამისთევა თქვენ მოგიწევთ, ჩემს მოწიწებასა და აღფრთოვანებასაც გამოვხატავ, – ამ სიტყვებით თავისი ტორი ხელზე ისე ძლიერად მოუჭირა მეგობრობისა და პატივისცემის ნიშნად, რომ შედოუს ტკივილისგან ლამის სული გასძვრა, – როცა მის ცხედარს ნახავ, ასე გადაეცი, რომ ალვისი ძე ვინდალვისა[233] რწმენას არ უღალატებს.

„ფოლკსვაგენში“ პაჩულის, საკმევლისა და თამბაქოს სუნი იდგა. სალონის იატაკსა და კედლებზე გახუნებული ვარდისფერი ქსოვილი იყო გადაკრული.

– ეს ვინ იყო? – ჰკითხა თანამგზავრებს შედოუმ, როცა ბერკეტი ღრჭიალით ჩააგდო წინსვლაში და ქვემოთ დაეშვნენ.

– წეღან ხომ გითხრა: ალვისი, ძე ვინდალვისა. ჯუჯების მეფეა. ჯუჯათა შორის უძლიერესი, უმაღლესი და უდიდესი.

– კი, მაგრამ ჯუჯა რომ არ არის? – შენიშნა შედოუმ, – რამსიმაღლე იქნება, მეტრი და სამოცდაცამეტი, მეტრი და სამოცდათექვსმეტი?

– ამიტომაც არის გოლიათი ჯუჯა, – უთხრა ჩერნობოგმა უკნიდან, – ამერიკის უმაღლესი ჯუჯაა.

– რა ღამისთევაზე მელაპარაკებოდა? – დაინტერესდა შედოუ.

ბერიკაცებმა ენა ჩაიგდეს. შედოუმ მარჯვნივ მიიხედა. მისტერ ნანსი ფანჯრიდან იყურებოდა.

– მან ღამისთევა ახსენა. მეც გავიგონე და თქვენც.

– ვალდებული არა ხარ, ეგ ქნა, – უთხრა ჩერნობოგმა.

– რა ვქნა?

– ღამე გაათიო. ალვისი ბევრს ლაპარაკობს. ჯუჯებს ეგრე სჩვევიათ, ლაქლაქებენ და ლაქლაქებენ. და კიდევ მღერიან. სულ მღერიან, მღერიან, მღერიან. ამოიგდე გონებიდან. მაგაზე ფიქრით თავს ნუ შეიწუხებ.

სამხრეთით მიიწევდნენ, მაგრამ ავტომაგისტრალებს თავს არიდებდნენ („სავარაუდოდ, მტრის ხელშია, – თქვა მისტერ ნანსიმ, – ან, უფრო ზუსტად, ავტომაგისტრალი თავად არის მტრის ხელები“.). გზადაგზა თოვლი დადნა და მეორე დილით, როცა მიკროავტობუსით კენტუკიმდე მიაღწიეს, საერთოდ გაქრა. კენტუკიში ზამთარს უკვე გაზაფხულისთვის დაეთმო ადგილი. რაც უფრო წინ მიდიოდნენ, თითქოს მომავალში ინაცვლებდნენ. ყოველი ასი კილომეტრის გავლასთან ერთად ერთი დღე გადისო, „გამოთვალა“ შედოუმ გონებაში.

თავის ფორმულას თანამგზავრებსაც გაანდობდა, მაგრამ მისტერ ნანსის წინა სავარძელში ეძინა, ჩერნობოგი კი გაუთავებლად ხვრინავდა უკან.

დრო თითქოს მოქნილ კონსტრუქციად გადაიქცა, ილუზიად, რომელიც საჭესთან მჯდომს ეჩვენებოდა. უცებ აღმოაჩინა, რომ ცხოველებსა და ფრინველებს აკვირდებოდა: ხედავდა გზისპირას ან ავტობუსის სავალ ზოლზე გასრესილი ცხოველების ლეშზე მონადიმე ყვავებს; ცაში ჩიტები გუნდ-გუნდად დაფრინავდნენ და თითქოს ნაცნობ ფიგურებს ხაზავდნენ; სახლის ეზოებიდან და ღობის სარებს შორის კატები თვალს აყოლებდნენ.

ჩერნობოგმა ხმამაღლა ამოიხვრინა და გაეღვიძა.

– უცნაური რამ მესიზმრა, – თქვა მან, – ვითომ სინამდვილეში ბელებოგი ვარ. რომ ხალხს მუდამ ორნი ვეგონეთ, სინათლის ღმერთი და სიბნელის ღმერთი, მაგრამ

ახლა, როცა ორივე დავბერდით, აღმოვაჩინე, რომ მთელი ეს ხანი მხოლოდ მე ერთი ვარსებობდი, ჩემს თაყვანისმცემლებს ძღვენს უხვად ვაძლევდი და იმ ძღვენს თავადვე ვართმევდი.

ჩერნობოგმა „ლაკი სტრაიკის“ ღერს ფილტრი მოაგლიჯა, სიგარეტი პირში გაირჭო და მოუკიდა. შედოუმ ფანჯრის მინა ჩასწია.

– არ გეშინია, რომ ფილტვის კიბო დაგემართება? – ჰკითხა ჩერნობოგს.

– თავად ვარ კიბო, – უპასუხა ჩერნობოგმა, – ჩემი თავის არ მეშინია, – და ჩაიცინა. მისი ჩაცინება ხრიწინად გადაიქცა, ხრიწინი – ხველად.

– ჩვენნაირებს კიბო არ ემართებათ, – დაილაპარაკა ნანსიმ, – არც ათეროსკლეროზით, პარკინსონით ან სიფილისით ვავადდებით. ჩვენნაირები ძნელი დასახოცები არიან.

– უენზდეი მოკლეს, – შენიშნა შედოუმ.

ბენზინგასამართი სადგურისკენ გაუხვია ავზის გასავსებად და მერე გვერდით მდგარი რესტორნის წინ გააჩერა მანქანა. ადრიანად სასაუზმოდ შიგნით რომ შედიოდნენ, შესასვლელში ტაქსოფონი აწკრიალდა. არ უპასუხეს და ტელეფონმა რეკვა შეწყვიტა.

რესტორანში ხნიერი მიმტანი ჯენი კერტონის „ჩემი გულისთქმის“ რბილყდიან გამოცემას კითხულობდა. მათ დანახვაზე უკმაყოფილოდ გაიღიმა და შეკვეთა მიიღო. ტელეფონი ხელახლა აწკრიალდა. ქალმა ამოიხვნეშა, ტელეფონთან მივიდა და ყურმილი აიღო.

– ალო, – უპასუხა და მერე მაგიდებისკენ გამოიხედა, – კი. ახლახან შემოვიდნენ. მოითმინეთ, – ქალი მისტერ ნანსისთან მივიდა, – თქვენ გკითხულობენ.

– კარგი, – უთხრა მისტერ ნანსიმ, – მემ, გაითვალისწინეთ, ხრაშუნა, კარგად შებრაწული კარტოფილი მინდა, – და ტელეფონისკენ წავიდა, – გისმენთ, – აიღო ყურმილი, – თქვენი აზრით, იმდენად სულელი ვარ, რომ გენდოთ?.. მივაგნებ, ვიცი, სადაცაა... დიახ, გვინდა... მშვენივრად იცით, რომ გვინდა... ისიც ვიცი, რომ ერთი სული გაქვთ, მოიშოროთ, ეგეთებით მე ვერ მომატყუებთ. მისტერ ნანსიმ ყურმილი დაკიდა და მაგიდასთან დაბრუნდა.

– ვინ იყო? – ჰკითხა შედოუმ.

– ვინაობა არ გაუმხელია.

– რა უნდოდა?

– დროებით დაზავება შემოგვთავაზეს, სანამ გვამს გადმოგვცემენ.

– ცრუობენ, – თქვა ჩერნობოგმა, – ხაფანგში შეგვიტყუებენ და უენზდეივით, ჩვენც დაგვხოცავენ. მეც ასე ვიქცეოდი, – დაამატა მან პირქუში სიამაყით, – ვიღაცებს ყველაფერზე ვეთანხმებოდი, მაგრამ მაინც ჩემსას ვშვრებოდი.

– ნეიტრალურ ტერიტორიაზე შევხვდებით, – უთხრა მისტერ ნანსიმ, – ნამდვილად ნეიტრალურზე.

ჩერნობოგმა ჩაიხითხითა. ისეთი ხმა გაისმა, თითქოს რკინის ბურთულა დაგორავდა გამომშრალ თავის ქალაში.

– დიახ, მაგასაც ვამბობდი. შეხვედრას ნეიტრალურ ტერიტორიაზე დავთქვამდით ხოლმე,

ღამით კი უჩუმრად დავადგებოდით თავზე და ყველას მუსრს ვავლებდით. კარგი დრო იყო.

მისტერ ნანსიმ მხრები აიჩეჩა და შებრაწული კარტოფილი შეახრამუნა. სახე ნეტარებისგან გაუნათდა.

– მმ-მმ, კარგია, – თქვა მან.

– იმ ხალხს ვერ ვენდობით, – შენიშნა შედოუმ.

– იცი, რა, შენზე უფროსი ვარ, შენზე მეტი ჭკუა მაქვს და შენზე სიმპათიურადაც გამოვიყურები, – კეტჩუპის ბოთლის ძირს ხელი დასცხო მისტერ ნანსიმ და წვრილად დაჭრილ კარტოფილს საწებელი მოასხა, –ერთ დღეში იმდენ ნაშას დავკერავ, შენ რომ მთელი წელი ვერ ეღირსები. ანგელოზივით ვცეკვავ, კუთხეში მიმწყვდეული დათვივით ვიბრძვი, მელიასავით ეშმაკი ვარ, ბულბულივით ვგალობ...

– იქნებ პირდაპირ მთავარზე გადახვიდე? ნანსიმ ყავისფერი თვალები შედოუს

მიაპყრო.

– მათ გვამის მოცილება ისევე ძლიერ უნდათ, როგორც ჩვენ მისი წამოღება.

– ასეთი ნეიტრალური ადგილი არ არსებობს, – თქვა ჩერნობოგმა.

– არსებობს, – შეესიტყვა ნანსი, – ცენტრში. ჩერნობოგმა თავი გაიქნია.

– არა, მანდ არ შეგვხვდებიან. იქ ვერაფერს გვიზამენ. ეს ყველასთვის ცუდი ადგილია.

– სწორედ ამიტომ შემოგვთავაზეს გვამის ცენტრში გადმოცემა. ჩერნობოგმა ხანმოკლე

ფიქრის შემდეგ დაასკვნა: – შეიძლება.

– რომ დავიძრებით, საჭესთან სხვა დაჯდეს, – უთხრა მათ შედოუმ, – მეძინება.

რაიმეს ცენტრის დადგენა ყოველთვის რთულია, მაგრამ როცა საქმე ეხება ცოცხალ არსებებს, მაგალითად, ადამიანებს, ანდა კონტინენტებს, პრობლემა განსაკუთრებით მძიმდება: რა არის

ადამიანის ცენტრი? სად არის სიზმრის ცენტრი? ან თუ კონტინენტური ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრის პოვნას ვცდილობთ, სათვალავში უნდა მივიღოთ თუ არა ალასკა ან ჰავაი?

მეოცე საუკუნის დასაწყისში მუყაოსგან ამერიკის ორმოცდარვა მომიჯნავე შტატის დიდი მოდელი შექმნეს და ცენტრის საპოვნელად, ჩხირზე აწონასწორებდნენ, სანამ წონასწორობის წერტილს არ მიაგნეს.

როგორც გამოთვლის შედეგად გაირკვა, კონტინენტური ამერიკის შეერთებული შტატების შუაგული კანზასის შტატში, სმითის ოლქში, ქალაქ ლებანონიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ჯონი გრიბის ღორების ფერმაში მდებარეობდა. 1930-იან წლებში ლებანონის მოსახლეობამ ღორების ფერმის შუაგულში მონუმენტის აღმართვა მოინდომა, მაგრამ ჯონი გრიბმა იუარა, ფერმას მილიონობით ტურისტი მოაწყდება და ღორებს დამიფრთხობენო. თანაქალაქელები დაეთანხმნენ, მართალს ამბობსო და აშშ-ის გეოგრაფიული ცენტრის აღმნიშვნელი მონუმენტი ლებანონიდან სამი კილომეტრით ჩრდილოეთით დადგეს. მონუმენტის ირგვლივ პატარა პარკი გააშენეს, თავად მონუმენტზე კი თითბრის დაფა მიამაგრეს, რომელზეც აწერია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გეოგრაფიულ ცენტრში იმყოფებით. ქალაქიდან პარკამდე მისასვლელ გზაზე ასფალტი დააგეს და ლებანონში ტურისტების ნაკადის გაზრდის მოლოდინში, მონუმენტის გვერდით მოტელი ააშენეს, იქვე

მოძრავი სამლოცველოც დადგეს. სრულიად დარწმუნებულები იყვნენ, რომ ტურისტები და დამსვენებლები ამერიკის ყველა კუთხიდან ჩამოვიდოდნენ, ხალხს აუცილებლად ენდომებოდა ტრაბახი, ამერიკის შუაგულში ვიყავი და იქ ვილოცეო.

მაგრამ ლებანონში ტურისტები არ ჩასულან. საერთოდ არავინ დაინტერესებულა. პატარა პარკში დღემდე დგას მოძრავი სამლოცველო, რომელიც მეთევზეთა ქოხისხელა ძლივს იქნება და შიგ პანაშვიდის აღსრულება რომ მოინდომონ, ჭირისუფალიც კი ვერ დაეტევა, ხოლო მოტელის ფანჯრები მკვდრის ჩამქრალ თვალებს ჰგავს.

– ამგვარად, – დაასრულა მისტერ ნანსიმ, როცა მისურის შტატის ქალაქ ჰუმანსვილში[234] (მოსახლეობა – 1804) შევიდნენ, – ამერიკის შუაგული, ეს არის პატარა, მიუხედავი პარკი, ცარიელი ეკლესია, ქვების გროვა და მიტოვებული მოტელი.

– ღორების ფერმა, – შეუსწორა ჩერნობოგმა, – წეღან თქვი, ამერიკის შუაგული ღორების ფერმააო.

– აქ მთავარი ზუსტი ადგილმდებარეობა კი არ არის, – თქვა მისტერ ნანსიმ, – არამედ ის, თუ რას ფიქრობს ხალხი ამ ადგილზე. ჩვენ ხომ წარმოსახვით ცენტრზე ვსაუბრობთ. ამიტომაც არის ეს ადგილი მნიშვნელოვანი. ხალხი მხოლოდ წარმოსახვითი რამეებისთვის ებრძვის ერთმანეთს.

– ჩემნაირი ხალხი? – ჰკითხა შედოუმ, – თუ თქვენნაირი ხალხი?

ნანსიმ არ უპასუხა, ჩერნობოგის გამოცემული ხმა კი ჩაცინებასავითაც ჟღერდა და ჩაფრუტუნებასავითაც.

შედოუ მიკროავტობუსის უკანა სავარძელზე მეტ-ნაკლებად მოხერხებულად მოეწყო და დაძინება სცადა, მაგრამ მხოლოდ ცოტა ხანს ჩათვლიმა. გული ცუდს უგრძნობდა.

არც ციხეში და არც იმ დღეს, როცა მასთან ლორა მოვიდა და ძარცვის შესახებ უთხრა, ასეთი ცუდი წინათგრძნობა არ დაუფლებია. კეფაზე თმა ყალყზე ედგა, თავბრუ ეხვეოდა და რამდენჯერმე პანიკამაც შემოუტია.

მისტერ ნანსიმ ჰუმანსვილში სუპერმარკეტის წინ გააჩერა მიკროავტობუსი. მისტერ ნანსი შიგნით შევიდა და შედოუც შეჰყვა. ჩერნობოგი ავტოსადგომზე დარჩა, ხელფეხს გავშლი და სიგარეტს მოვწევო.

ქერათმიანი ახალგაზრდა, ჯერ კიდევ უწვერული ბიჭი, თაროებზე ბურღულეულის კოლოფებს აწყობდა.

– გამარჯობა, – მიესალმა მისტერ ნანსი.

– გამარჯობა, – მიესალმა ახალგაზრდა, – ეს სიმართლეა? მოკლეს?

– კი, – უპასუხა მისტერ ნანსიმ, – მოკლეს.

ახალგაზრდამ ხელი გაიქნია და თაროზე რამდენიმე კოლოფი წააქცია.

– ჰგონიათ, ტარაკნებივით გაგვსრესენ, – თქვა ბიჭმა, რომლის ცალი ლოყა და შუბლი მუწუკებს დაეწინწკლა. ვერცხლის სამაჯური ეკეთა, – მაგრამ ჩვენი გასრესა ეგრე იოლი არაა!

– არა, – დაეთანხმა მისტერ ნანსი, – ნამდვილად არა!

– მიხმეთ და მოვალ, სერ, – ლურჯი თვალების ბრიალით თქვა ბიჭმა.

– ვიცი, რომ მოხვალ, გვიდიონ[235], – უთხრა მისტერ ნანსიმ.

მისტერ ნანსიმ ორი დიდი ბოთლი „კოკა კოლა“, ტუალეტის ქაღალდის ექვსი რულონი, საეჭვო შეხედულების ერთი კოლოფი სიგარილო, ბანანების ასხმა და ერთი კოლოფი პიტნის საღეჭი რეზინი იყიდა.

– კარგი ბიჭია, მეშვიდე საუკუნეში უელსიდან ჩამოვიდა ამერიკაში, – უთხრა შედოუს.

მიკროავტობუსმა ჯერ დასავლეთით გაუხვია, შემდეგ – ჩრდილოეთით. გაზაფხული კვლავ ზამთრის უფერულ ჩიხად გადაიქცა. კანზასი ცარიელი ფანჯრების, დაკარგული გულებისა და მარტოხელა ღრუბლების ნაცრისფერი მხარე აღმოჩნდა. შედოუ კარგი რადიოსადგურების ძიებას შეუდგა, თან მისტერ ნანსისა და ჩერნობოგთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს. პირველს რადიოგადაცემებისა და საცეკვაო მუსიკის მოსმენა უყვარდა, მეორე კლასიკურ მუსიკას ანიჭებდა უპირატესობას; რაც უფრო პირქუში იქნებოდა, მით უკეთესი, მკვეთრად ევანგელისტურ რადიოსადგურებში რომ „ატრიალებენ“, აი, ისეთი. თავად შედოუ ძველ ჰიტებს უსმენდა ხოლმე.

ნაშუადღევის მიწურულს, ჩერნობოგის თხოვნით, ჩერივეილის[236] (კანზასის შტატი, მოსახლეობა – 2464) მისადგომებთან გაჩერდნენ. ჩერნობოგი მათ ქალაქგარეთ მდებარე მინდვრისკენ გაუძღვა. ხეების ქვეშ აქა-იქ ისევ თოვლი იდო, ბალახი ტალახით იყო დასვრილი.

– აქ დამელოდეთ, – თქვა ჩერნობოგმა.

მინდვრის შუაგულამდე მარტო მივიდა, გაჩერდა და თებერვლის მიწურულის ქარში კარგა ხანს იდგა. თავიდან თავი ჰქონდა ჩაქინდრული, შემდეგ ხელების ქნევა დაიწყო.

– გეგონება, ვიღაცას ელაპარაკება, – თქვა შედოუმ.

– მოჩვენებებს, – უთხრა მისტერ ნანსიმ, – ასი წლის წინ აქ სწირავდნენ მსხვერპლს, ზვარაკს ურროთი უტეხდნენ თავს და ჩერნობოგისთვის მიწაზე მის სისხლს ღვრიდნენ. თანდათან აქაური მოსახლეობა მიხვდა, ქალაქში გამვლელი ან სტუმრად მყოფი ამდენი უცნობი ადამიანი რატომ იკარგებოდა. გვამებს აქ მალავდნენ.

ჩერნობოგი მინდვრის შუაგულიდან დაბრუნდა. ულვაში ოდნავ გამუქებოდა და ჭაღარა თმაში უფრო მეტი შავი ღერი გამორეოდა. გაიღიმა და რკინის კბილი გამოუჩნდა.

– ახლა თავს უკეთ ვგრძნობ. ზოგი რამ დიდხანს ძლებს, სისხლი კი – ყველაზე დიდხანს.

მინდვრის განაპირას დაყენებულ „ფოლკსვაგენთან“ მივიდნენ. ჩერნობოგმა სიგარეტს მოუკიდა, მაგრამ ხველა აღარ ასტყდომია.

– ამას ურროთი აკეთებდნენ, – თქვა მან, – გრიმნირი სულ სახრჩობელასა და შუბზე ლაპარაკობს, მაგრამ ჩემთვის ურო შეუცვლელია... – ნიკოტინისგან გაყვითლებული თითი შედოუს შუბლის შუაგულში ჩაუკაკუნა.

– გთხოვ, მაგას ნუღარ იზამ, – თავაზიანად გააფრთხილა შედოუმ.

– გთხოვ, მაგას ნუღარ იზამ, – დამცინავად გაიმეორა ჩერნობოგმა, – ერთ დღესაც უროს ავწევ და უარესს გიზამ, მეგობარო, ხომ არ დაგავიწყდა?

– არა, – უპასუხა შედოუმ, – მაგრამ, თუ თითს თავში კიდევ ერთხელ ჩამკრავ, მაგ ხელს მოგამტრევ.

ჩერნობოგმა ჩაიფრუტუნა.

– აქაურები მადლიერები უნდა იყვნენ, – თქვა მან, – აქ ისეთი ძალა სუფევდა. ოცდაათი წლის შემდეგაც, რაც ქალაქელებმა ჩემი ხალხი გააქციეს და გაამევეს, ამ მიწამ, სწორედ ამ მიწამ, ყველა დროის უდიდესი კინოვარსკვლავი გვაჩუქა. მასზე უდიდესი ამქვეყნად მეორე არ გაჩენილა. – ჯუდი გარლანდი[237]? – ჰკითხა შედოუმ. ჩერნობოგმა უარის ნიშნად გააქნია თავი.

– ლუიზ ბრუქსს[238] გულისხმობს, – უპასუხა მისტერ ნანსიმ.

შედოუ აღარ ჩაეძია, ლუიზ ბრუქსი ვინ იყო. თემა შეცვალა: – მისმინეთ, უენზდეი რომ მათთან მოსალაპარაკებლად წავიდა, ხელშეუხებლობის პირობა ხომ მისცეს?

– დიახ.

– და ახლა უენზდეის ცხედრის წამოსაღებად ამავე პირობით მივდივართ?

– დიახ.

– მშვენივრად ვიცით, რომ ჩემი მოკვლა ან გზიდან ჩამოშორება უნდათ.

– შენი კი არა, ყველა ჩვენგანის მოკვლა უნდათ, – შეუსწორა მისტერ ნანსიმ.

– მოკლედ, ვერ ვხვდები, რატომ გგონიათ, რომ ამჯერად სიტყვას არ გატეხენ, თუკი უენზდეის უკვე უმუხთლეს?

– სწორედ ამიტომ ვხვდებით, აქ, ცენტრში, – თითოეული სიტყვა გარკვევით წარმოთქვა ჩერნობოგმა, თითქოს ვიღაც ყრუ, უცხოელ, იდიოტ ბავშვს უხსნიდა, – ეს ადგილი... – უცებ მოიღუშა, – რა ჰქვია იმ სიტყვას, „წმინდას“ საპირისპიროს?

– უწმინდური, – დაუფიქრებლად უპასუხა შედოუმ.

– არა, – უთხრა ჩერნობოგმა, – მე ისეთ ადგილს ვგულისხმობ, სხვა ყველა ადგილზე ნაკლებად წმინდა რომაა. სადაც უარყოფითი სიწმინდე სუფევს. სადაც ტაძრებს არავინ ააშენებს. სადაც ხალხი არ დადის, ან თუ იქ შემთხვევით შეეხეტება, რაც შეიძლება სწრაფად მიდის. ადგილი, სადაც ღმერთებს მხოლოდ ძალით დაადგმევინებ ფეხს.

– არ ვიცი, – დაიბნა შედოუ, – მგონი, ეგეთი ადგილის აღმნიშვნელი სიტყვა არ არსებობს.

– მთელი ამერიკა ასეთი ადგილებითაა სავსე, – თქვა ჩერნობოგმა, – ამიტომაც გვიჭირს აქ არსებობა. მაგრამ ცენტრი ყველაზე საშინელია. დანაღმულ მინდორს ჰგავს. აქ ყველანი იმდენად ფრთხილად დავაბიჯებთ, რომ ზავის დარღვევას ვერ გავბედავთ.

– ეს ხომ უკვე გითხარი, – დაამატა მისტერ ნანსიმ.

– ჰო, გასაგებია, – ჩაილაპარაკა შედოუმ.

– ნუ ღელავ, – ჩერნობოგი ცივად შეეხო შედოუს მკლავზე, – შენს თავს არავის მოვაკვლევინებ. ამ საქმეს ვერავის დავუთმობ.

შედოუმ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრს ლებანონის ჩრდილოდასავლეთით, დამრეც გორაკზე იმავე საღამოს, დაბნელებამდე მიაგნო. როცა პაწია მოძრავ სამლოცველოსა და ქვის მონუმენტს ჩაუარეს, შედოუმ პარკის განაპირას, 1950-იანი წლების სტილის ერთსართულიან მოტელთან გაჩერებული დიდი, შავი „ჰამვი“[239] დაინახა და გული შეეკუმშა. მანქანა სიცილის ოთახის სარკეში არეკლილ ჯიპს ჰგავდა, ჯავშანმანქანის შესაფერისად, დაბალი, მახინჯი და უგვანო იყო. მოტელში შუქი არ ენთო.

თვითონაც მოტელთან გააჩერა მიკროავტობუსი. ამ დროს შენობიდან მძღოლის ფორმიან-ქუდიანი კაცი გამოვიდა და „ფოლკსვაგენის“ წინა ფარების შუქზე დადგა. ის ქუდთან ხელის თავაზიანად მიდებით მიესალმა ახალმოსულებს, მერე „ჰამვიში“ ჩაჯდა და წავიდა.

– დიდი მანქანა და პატარა სირი, – ჩაიბურტყუნა მისტერ ნანსიმ.

– როგორ ფიქრობთ, აქ საწოლები აქვთ? – იკითხა შედოუმ, – რამდენი ხანია, საწოლში არ მძინებია. მოტელი ისე გამოიყურება, თითქოს დღე-დღეზე დაანგრევენ.

– მოტელი ტეხასელ მონადირეებს ეკუთვნით, – უპასუხა მისტერ ნანსიმ, – წელიწადში ერთხელ

მოდიან. მიწა გამისკდეს, თუ ვიცოდე, აქ რაზე ნადირობენ. თუმცა, შენობას დანგრევისგან იცავენ და არსებობას უნარჩუნებენ.

მიკროავტობუსიდან ჩავიდნენ. მოტელის წინ მათ ლამაზად თმადავარცხნილი, მაკიაჟით სახედამშვენებული ქალი უცდიდა. შედოუ მას პირველად ხედავდა, მაგრამ დილის სატელევიზიო გადაცემის წამყვან ქალებს მიამსგავსა, დილაობით, მისაღებ ოთახს საერთოდ რომ არ ჰგავს, ისეთი სტუდიიდან, ღიმილით რომ ესალმებიან მაყურებლებს.

– მიხარია თქვენი დანახვა, – თქვა მან, – თქვენ ალბათ ჩერნობოგი ბრძანდებით. თქვენზე ბევრი მსმენია. თქვენ ანანსი იქნებით, ყოველთვის რაღაც ეშმაკობა რომ აქვს ჩაფიქრებული. თქვენ კი უთუოდ შედოუ ბრძანდებით. რომ იცოდეთ, რამდენი გეძებეთ! – ქალმა ხელი ჩამოართვა და მაგრად მოუჭირა, – მე მედია ვარ. სასიამოვნოა, რომ შეგხვდით. ვიმედოვნებ, ამ საღამოს ყველა საჭირბოროტო საკითხზე შევთანხმდებით და საქმეს მოვაგვარებთ. მოტელის კარი გაიღო.

– ტოტო, რატომღაც ასე მგონია, – თქვა მსუქანმა ბიჭმა, რომელსაც შედოუ ბოლოს ლიმუზინში ელაპარაკა, – რომ კანზასში აღარ ვართ[240].

– კანზასში ვართ, – თქვა მისტერ ნანსიმ, – მგონი, დღეს მთელი კანზასი გამოვიარეთ. ჯანდაბა, ასეთი ბრტყელი მხარე მეორე არ შემხვედრია, ერთი ტრიალი მინდორია.

– ამ შენობაში არც შუქია, არც ელექტროენერგია და არც ცხელი წყალი, – თქვა მსუქანმა ბიჭმა, – თქვენ კი, არ გეწყინოთ, მაგრამ ცხელი წყლის გადავლება არ გაწყენდათ. ისე ყარხართ, თითქოს მაგ მიკროავტობუსიდან ერთი კვირა არ ჩამოსულხართ.

– ვფიქრობ, ასეთი დაწვრილმანება სულაც არ არის საჭირო, – აუღელვებლად შეაწყვეტინა ქალმა, – აქ ყველანი მეგობრები ვართ. შემობრძანდით. თქვენს ოთახებამდე მიგაცილებთ. პირველი ოთხი ოთახი ჩვენ დავიკავეთ. თქვენი გარდაცვლილი მეგობარი მეხუთეშია. დანარჩენი ოთახები თავისუფალია. თვითონ გაინაწილებთ. ვშიშობ, „შერატონი“ არ არის, მაგრამ რას ვიზამთ, ამას უნდა დავყაბულდეთ, – ღიმილით თქვა ქალმა და მოტელის კარი შეაღო.

ჰოლიდან ნესტის, ობის, მტვრისა და ლპობის სუნი გამოიჭრა.

თითქმის სრულიად ბნელ ჰოლში კაცი იჯდა.

– გშიათ? – იკითხა მან.

– ჭამაზე უარს არასდროს ვიტყვი, – უპასუხა მისტერ ნანსიმ.

– მძღოლი ჰამბურგერების მოსატანად წავიდა, მალე დაბრუნდება, –კაცმა თავი ასწია, – მართლაც რამხელა ყოფილხარ! – იმ სიბნელეში როგორღაც გაარჩია შედოუ, – მაშ, ეს შენ ხარ შედოუ? ის ნაბიჭვარი, რომელმაც ვუდი და სტოუნი დახოცა?

– არა, ისინი სხვამ დახოცა, – უპასუხა შედოუმ, – ვიცი, ვინც ხარ, – მართლაც იცოდა. ერთხელ ამ კაცის გონებაში ჩაიხედა, – ტაუნი ხარ. ვუდის ქვრივთან უკვე იწექი?

მისტერ ტაუნი სკამიდან ჩამოვარდა. ფილმში ეს სასაცილო სცენა იქნებოდა, რეალობაში კი მხოლოდ უხერხული სანახავი იყო. ტაუნი სწრაფად წამოდგა და შედოუს მიუახლოვდა. შედოუმ დახედა და უთხრა: – ისეთს ნურაფერს წამოიწყებ, რის ბოლომდე მიყვანასაც ვერ შეძლებ.

მისტერ ნანსი მკლავზე შეეხო.

– დავზავდით, ხომ გახსოვს? – თქვა მან, – ცენტრში ვიმყოფებით.

მისტერ ტაუნი მიტრიალდა, მაგიდაზე გადაიხარა და კედლიდან სამი გასაღები ჩამოხსნა.

– აგერ, – გასაღებები მისტერ ნანსის მიაწოდა, – დერეფნის ბოლოში დაბინავდებით, – და წავიდა, ჰოლში სიბნელეს შეერია. მოტელის კარის გაღებისა და მიჯახუნების ხმა გაისმა. მისტერ ნანსიმ ერთი გასაღები შედოუს მისცა, მეორე – ჩერნობოგს.

– მიკროავტობუსში ელექტროფანარი ხომ არ გვაქვს? – ჰკითხა შედოუმ.

– არა, – უპასუხა მისტერ ნანსიმ, – მაგრამ ეს მხოლოდ სიბნელეა. სიბნელის არ უნდა გეშინოდეს.

– სიბნელის არ მეშინია, – უთხრა შედოუმ, – სიბნელეში მყოფი ხალხის მეშინია.

– სიბნელე კარგია, – თქვა ჩერნობოგმა, რომელიც, ეტყობოდა, სიბნელეში კარგად ხედავდა, წინ წავიდა და გასაღები ფათურის გარეშე შეარჭო საკლიტურში, – მეათე ოთახში ვიქნები, – თქვა მან და შემდეგ დაამატა, – მედია. მგონი, ეს სახელი მსმენია. ეგ ის არ არის, საკუთარი შვილები რომ დახოცა?

– ეგ სხვა ქალია, – შეუსწორა მისტერ ნანსიმ, – მაგრამ დიდი განსხვავება არ არის.

მისტერ ნანსი მერვე ოთახში დაბინავდა, შედოუ – ბერიკაცების მოპირდაპირედ, მეცხრე

ოთახში. შიგნით შესვლისთანავე მტვრის, ნესტისა და მიუვლელობის სუნი ეცა. საწოლზე მხოლოდ ლეიბი ეგო. ფანჯრიდან საღამოს მკრთალი შუქი შემოდიოდა. შედოუ საწოლზე ჩამოჯდა, ფეხსაცმელი გაიხადა და ლეიბზე გაიშხლართა. ბოლო დღეების განმავლობაში მანქანით ბევრი იარა. შეიძლება, ჩაეძინა კიდეც.

მიდიოდა.

ცივი ქარი კრისტალური მტვრის მსგავსი პაწაწინა ფანტელების ბუქს აყენებდა და თან ტანსაცმელზე ექაჩებოდა.

ორივე მხარეს ფოთლებშემოძარცული ხეებით დაფარული მაღალი გორაკები აღმართულიყო. ზამთრის ნაშუადღევი იწურებოდა, ცას და თოვლს იისფრის მუქი ელფერი დაჰკრავდა. სადღაც წინ – ასეთ მკრთალ შუქზე მანძილის განსაზღვრა შეუძლებელი იყო – კოცონის ნარინჯისფერ-ყვითელი ალი ავარდა.

მის წინ, თოვლში, რუხმა მგელმა გამოაბიჯა.

შედოუ გაჩერდა. მგელიც გაჩერდა, მიტრიალდა და შეიცადა. ცალი თვალი მოყვითალო-მწვანედ უბრწყინავდა. შედოუმ მხრები აიჩეჩა და კოცონისკენ სვლა განაგრძო. მგელი ძუნძულით გაუძღვა.

კოცონიკორომის შუაგულში გიზგიზებდა. ასობით ხე ორ რიგად დაერგოთ. ხეებზე ბუნდოვანი ფიგურები კონწიალობდა. კორომის პირას შენობა მოჩანდა. ამოყირავებულ გემს ჰგავდა. ხისგან იყო აგებული და ხისავე არსებები და ორნამენტები ამშვენებდა: დრაკონები, გრიფონები, ტროლები და დათვები კოცონის მოციმციმე შუქზე ცეკვავდნენ.

კოცონი იმხელა იყო და ისე ბრიალებდა, შედოუ ძლივს მიუახლოვდა. მგელმა უშიშრად შემოუარა ცეცხლს.

შედოუ ისევ მგლის დანახვას ელოდა, მაგრამ კოცონის მეორე მხრიდან გრძელ კვერთხზე დაყრდნობილი კაცი გამოვიდა.

– უფსალაში ხარ, – უთხრა კაცმა ნაცნობი, ჩახლეჩილი ხმით, – ეს შვედეთია დაახლოებით ათასი წლის წინ.

– უენზდეი ხარ?

კაცმა, რომელიც შეიძლება უენზდეი იყო, ლაპარაკი განაგრძო, თითქოს შედოუ იქ საერთოდ არ იდგა.

– თავიდან ყოველ წელს, ხოლო მოგვიანებით, როცა ხალხი გაიხრწნა და დაუდევარი გახდა, ცხრა წელში ერთხელ, აქ მსხვერპლს სწირავდნენ. ცხრა მსხვერპლს. ყოველდღე, ცხრა დღის განმავლობაში, ტყეში ხეებზე ცხრა ცხოველს კიდებდნენ. ცხრიდან ერთერთი ყოველთვის ადამიანი იყო.

კაცი კოცონის შუქს მოსცილდა და ხეებისკენ გააბიჯა. შედოუ გაჰყვა. ხეებთან მიახლოებისას ტოტებზე მოკონწიალე სილუეტებმა ფორმა შეიძინა: ფეხები, თვალები, ენები და თავები გაარჩია. შედოუმ თავი გაიქნია. ხეზე კისრით ჩამოკიდებული ხარი საზარელი სანახავიც იყო და იმდენად სიურრეალისტურიც, რომ შეიძლებოდა გასცინებოდა კიდეც კაცს. ჩაუარა ჩამოკიდებულ ხარირემს, ნაგაზს, მურა დათვს, თეთრფაფრიან წაბლა ცხენს, რომელიც პონიზე ოდნავ მოზრდილი თუ იქნებოდა. ძაღლი ჯერაც ცოცხალი იყო, რამდენიმე წამში ერთხელ სპაზმურად ფეხს ატოკებდა და საწყლად ამოიწკმუტუნებდა ხოლმე.

შედოუს მეგზურმა ასწია გრძელი ჯოხი, რომელიც სინამდვილეში შუბი აღმოჩნდა, ძაღლს მუცელში აძგერა და დანასავით ჩამოუსვა. გაფატრული მუცლიდან თოვლზე დაცვენილ ნაწლავებს ოხშივარი აუვიდა.

– ამ სიკვდილს ოდინს ვუძღვნი, – საზეიმოდ წარმოთქვა კაცმა, – ეს მხოლოდ ჟესტია, – შედოუსკენ მოტრიალდა, – მაგრამ ჟესტები ბევრს ნიშნავს. ერთი ძაღლის სიკვდილი ყველა ძაღლის სიკვდილის სიმბოლოა. ცხრა კაცი შემომწირეს, მაგრამ ის ცხრა სიმბოლურად მთელ კაცობრიობას, მთელ ძლიერებას, მთელ სისხლს განასახიერებდა. საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა. ერთ დღესაც სისხლისღვრა შეწყდა. უსისხლო რწმენა დიდხანს არ გვყოფნის. სისხლი მუდამ უნდა მოედინებოდეს.

– ვნახე, როგორ მოკვდი, – უთხრა მას შედოუმ.

– ღმერთების საქმეში სიკვდილი კი არა, – თქვა კაცმა და შედოუ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ის უენზდეი იყო, ასეთი ხრინწიანი ხმით, სხვა ასე ცინიკურად არავინ ლაპარაკობდა, – აღდგომის შესაძლებლობაა მთავარი. და როცა სისხლის მდინარე მოედინება... – ხელით ანიშნა ხის ტოტებზე ჩამოკიდებულ ცხოველებსა და ადამიანებზე.

შედოუს ვერ გადაეწყვიტა, მკვდარი ცხოველები უფრო შემაძრწუნებელი იყო თუ ადამიანები: ადამიანებმა ის მაინც იცოდნენ, რა ბედი ელოდათ. მათ გვამებს ალკოჰოლის მძაფრი სუნი ასდიოდა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ ჩამოკიდებამდე ადამიანებს გაბრუების საშუალება მისცეს, აი, ცხოველები კი აწამეს, დაზაფრულები, ტოტებზე ცოცხლად ჩამოკიდეს. ადამიანებს ისეთი ახალგაზრდა სახეები ჰქონდათ! არც ერთი მათგანი ოც წელზე მეტის არ იქნებოდა.

– ვინ ვარ მე? – ჰკითხა შედოუმ კაცს.

– შენ დივერსია ხარ, – უპასუხა მან, – შესაძლებლობა, რომელიც უნდა გამომეყენებინა. შენ მთელ ამ წამოწყებას დამაჯერებლობა შესძინე, რასაც მარტო ვერაფრით შევძლებდი. თუმცა, ჩვენ ხომ ორივენი მზად ვართ საქმისთვის თავი გადავდოთ, არა?

– ვინ ხარ? – ჰკითხა შედოუმ.

– ყველაზე ძნელი გადარჩენაა, – თქვა კაცმა.

ღამის სიბნელეში მწვანე, ყვითელი, ლურჯი ნაპერწკლები ცვიოდა. უეცრად შედოუ შიშმა აიტანა. დაინახა, რომ მოგიზგიზე, მხურვალე კოცონში შეშა კი არა, ძვლები იწვოდა, ცეცხლიდან თვალებმობრიალე თავის ქალები მოსჩერებოდა და ახორხლილი ნეკნები გამოჩრილიყო.

– სამი დღე ხეზე, სამი დღე ქვესკნელში, სამი დღე სააქაოს გზაზე.

ცეცხლი ძლიერად აბრიალდა. კაშკაშმა შედოუს თვალი მოსჭრა და ჩაბნელებული ხეებისკენ გაიხედა.

გაქრა კოცონი და თოვლი. გაქრა ხეები და მათზე ჩამოკიდებული არსებები. გაქრა სისხლიანი შუბი.

კარზე დააკაკუნეს. ფანჯრიდან უკვე მთვარის შუქი შემოდიოდა. შედოუ შეკრთა და წამოჯდა.

– სადილი მზადაა, – მედიას ხმა გაისმა.

შედოუმ ფეხსაცმელი ჩაიცვა, კართან მივიდა და დერეფანში გავიდა. ვიღაცას სანთლები აენთო და ჰოლი მკრთალ, ყვითელ შუქს გაენათებინა. შიგნით „ჰამვის“ მძღოლი შემოვიდა მუყაოს ლანგრითა და ქაღალდის პარკით. კაცს გრძელი, შავი პალტო ეცვა და მძღოლის წინაფრიანი ქუდი ეხურა.

– ბოდიში დაგვიანებისთვის. ყველასთვის ორ-ორი ჰამბურგერი, თითო დიდი პაკეტი კარტოფილი, თითო დიდი ბოთლი „კოკა-კოლა“ და თითო ვაშლის ღვეზელი მოვიტანე. ჩემს წილს მანქანაში შევჭამ, – ჩახლეჩილი ხმით თქვა მან, საჭმელი მაგიდაზე დადო და გარეთ გავიდა. ოთახში ფასტ-ფუდის მადის აღმძვრელი სუნი დატრიალდა. შედოუმ საჭმელი, ხელსახოცები და კეტჩუპის ბოთლები ჩამოარიგა. ჩუმად ჭამდნენ მოციმციმე ცვილის სანთლების შუქზე.

შედოუმშეამჩნია, რომ ტაუნი უბღვერდა. მედიას ცალ ხელში ჰამბურგერი ეჭირა, მეორეში ხელსახოცი მოემარჯვებინა, რომ პირის კუთხეებზე მიკრობილი ნამცეცები ჩამოეწმინდა.

– ოჰ, მაგარია, ცივი ჰამბურგერები, – უკმაყოფილოდ წამოიძახა მსუქანმა ბიჭმა. მას ბნელ ოთახშიც მუქი სათვალე ეკეთა, რაც შედოუს უაზრობად ეჩვენებოდა.

– მაგისთვისაც მადლობელი უნდა იყო, – უთხრა ბიჭს ტაუნმა, – მძღოლი შორს წავიდა მათ მოსატანად, უახლოესი „მაკდონალდსი“ ნებრასკაშია.

ნელთბილი ჰამბურგერები შეჭამეს და კარტოფილი დააყოლეს. შემდეგ მსუქანმა ბიჭმა თავისი ვაშლის ღვეზელი ჩაკბიჩა და სატენი ნიკაპზე ჩამოეწუწა. სრულიად მოულოდნელად, სატენი ცხელი აღმოჩნდა.

– უჰ, დავიწვი! – ბიჭმა ნიკაპი ხელით მოიწმინდა და თითები გაილოკა, – არა, რა, კოლექტიურად უნდა ვუჩივლოთ ასეთების გამოცხობისთვის!

შედოუმ მსუქან ბიჭს კინაღამ მუშტი მოსდო სიფათში. მასზე ბოღმა მაშინ ჩაიდო გულში, როცა ლორას დაკრძალვიდან მომავალი შედოუ მსუქანამ ლიმუზინში თავის ახმახ მცველებს აცემინა.

– არ შეიძლება უენზდეის ცხედარი წავიღოთ და აქედან წავიდეთ? – იკითხა შედოუმ.

– შუაღამეს! – თითქმის ერთდროულად წარმოთქვეს მისტერ ნანსიმ და მსუქანმა ბიჭმა.

– ასეთი რამეები წესისა და რიგის მიხედვით უნდა გაკეთდეს, – დააზუსტა ჩერნობოგმა.

– ეგ გასაგებია, – თქვა შედოუმ, – მაგრამ წესებს არავინ მიხსნის. სულ გაიძახით, წესები უნდა დავიცვათო, მაგრამ, ხალხო, მე ისიც კი არ ვიცი, რა თამაშს თამაშობთ.

– ეს იმას ჰგავს, მაღაზიაში ფასდაკლების თარიღი გამოაცხადო, იმ დღეს ხალხი მოვიდეს და არანაირი ფასდაკლება არ დახვდეთ, – თქვა მედიამ, – წესებს ვერ დავარღვევთ.

– მე თუ მკითხავთ, სისულელეა მთელი ეს წესები. მაგრამ რახან ასე უხარიათ წესების დაცვა, მაშინ ჩემი სამმართველოც კმაყოფილია და საერთოდ, ყველა ბედნიერია, – „კოკა კოლა“ მოხვრიპა ტაუნმა, – შუაღამისას შევიკრიბებით. თქვენ ცხედარს წაიღებთ და წახვალთ, ჩვენ

გვრიტებივით საყვარლად დაგიქნევთ ხელებს და დაგემშვიდობებით. მერე ისევ დევნას დაგიწყებთ, როგორც ვირთხებს.

– ეი, ამაზე გამახსენდა, – შედოუსკენ მიტრიალდა მსუქანი ბიჭი, – რომ გითხარი, შენს ბოსს გადაეცი, მაგის ამბავი მორჩა, მომავალი ჩვენ გვეკუთვნის-მეთქი, რა ქენი?

– გადავეცი, – უპასუხა შედოუმ, – და იცი, რა მიპასუხა? მაგ ცინგლიანს ასე უთხარი, დღევანდელი მომავალი ხვალინდელი წარსულიაო, – უენზდეის მსგავსი არაფერი უთქვამს, მაგრამ ახლა შედოუს ადგილზე რომ ყოფილიყო, უთუოდ ასე მიახლიდა მსუქანბიჭს. ამ ხალხს კლიშეებითლაპარაკი უყვარდა. ბიჭის სათვალის მუქ მინებზე არეკლილი სანთლის მოციმციმე ალი აბრიალებულ თვალებს დაემსგავსა.

– ეს ადგილი ერთი დიდი სანაგვეა, – თქვა მსუქანმა ბიჭმა, – ელექტროენერგია აქ არაა და უსადენო კავშირი. თითქოს ქვის ხანაში დავბრუნდით, – ქილიდან ჩხირით „კოკა კოლას“ ბოლო წვეთი ამოწრუპა, ცარიელი ქილა მაგიდაზე დააგდო და თავის ოთახში წავიდა.

შედოუმ მსუქანი ბიჭის დატოვებული ნაგავი აიღო და ქაღალდის პარკში ჩაყარა.

– ამერიკის შუაგულის სანახავად მივდივარ, – განუცხადა სხვებს, ადგა და გარეთ გავიდა. მისტერ ნანსი გამოჰყვა. უხმოდ მიაბიჯებდნენ პატარა პარკში, სანამ ქვის მონუმენტს მიადგებოდნენ. ხან ერთი მხრიდან, ხან – მეორიდან, დროგამოშვებით, ორივეს ქარი უბერავდა.

– აბა, ახლა რა ვქნათ? – ჰკითხა შედოუმ.

– ახლა შენს ოთახში უნდა დაბრუნდე, – უთხრა ნანსიმ, – და კარი ჩაკეტო. აჯობებს, ცოტა კიდევ წაუძინო. შუაღამისას ცხედარს მოგვცემენ და აქედან დავახვევთ. ცენტრი ყველასთვის საშიში ადგილია.

– როგორც იტყვი. მისტერ ნანსიმ სიგარილო მოქაჩა.

– ეს არ უნდა მომხდარიყო, – თქვა მან, – არასდროს უნდა მომხდარიყო. ჩვენნაირები, ჩვენ... – სიგარილო ისე გაიქნია, თითქოს საჭირო სიტყვას ესროლა და მოახვედრა კიდეც, – განსხვავებულები ვართ. ხალხთან ურთიერთობის სიყვარულით დიდად არ გამოვირჩევით. მეც კი. თვით ბახუსიც[241]. მხოლოდ ხანდახან ვართ კომუნიკაბელურები. ძირითადად, ჩვენთვის

ან პატარ-პატარა ჯგუფებად ვცხოვრობთ. სხვებს ვერ ვეწყობით. გვიყვარს, ხალხი რომ გვეთაყვანება, გვაღმერთებს და მსხვერპლს გვწირავს. მაგალითად, მე ყველაზე ძლიერ ის მიყვარს, ჩემზე ამბებს რომ ჰყვებიან და მოხერხებულობასა და ჭკუას მიქებენ. ვიცი, ეს ცუდია, მაგრამ ასეთი ვარ. სიდიადე გვიყვარს, მაგრამ ისეთი უბედური დრო დაგვიდგა, დავპატარავდით. ახალი ღმერთები აღზევდებიან, ეცემიან და ისევ

აღზევდებიან ხოლმე. მაგრამ ამ ქვეყანაში დიდხანს ვერც ერთი ღმერთი ვერ გაიხარებს. ბრაჰმა ქმნის, ვიშნუ ინარჩუნებს, შივა ანადგურებს და ნიადაგს წმენდს, რომ ბრაჰმამ შენება თავიდან დაიწყოს[242].

– რის თქმას ცდილობ? – ჰკითხა შედოუმ, – მაშ, ომი დამთავრდა? აღარ ვიბრძოლებთ?

მისტერ ნანსიმ ჩაიფრუტუნა.

– გაგიჟდი? მათ უენზდეი მოკლეს. მოკლეს და ამით ტრაბახობდნენ. მთელ ქვეყანას გააგებინეს. ტელევიზიით გადასცეს, რომ, ვისაც შეეძლო, ყველას ენახა. არა, შედოუ, ომი ახლა დაიწყო.

მისტერ ნანსი მონუმენტის ძირას დაიხარა, სიგარილოს ნამწვი მიწაზე გასრისა და იქ შესაწირივით დატოვა.

– ადრესულ ხუმრობდი ხოლმე, – შენიშნა შედოუმ, – ახლა აღარ ხუმრობ.

– ასეთ დროს ხუმრობის ხასიათზე ყოფნა ძნელია. უენზდეი მკვდარია. შიგნით არ შემოხვალ? – ცოტა ხანში.

ნანსი მოტელისკენ წავიდა. შედოუ მონუმენტის ქვებს შეეხო. დიდი თითები გადაუსვა თითბრის დაფას. მერე მიტრიალდა და პატარა სამლოცველოს მიადგა. ზღურბლს გადააბიჯა და სიბნელეში შევიდა. უახლოეს მერხზე ჩამოჯდა, თვალები დახუჭა, თავი ჩახარა და ლორაზე, უენზდეისა და ცოცხლად ყოფნაზე დაფიქრდა.

გარედან ტკაცუნი და ფლატუნი მოესმა. შედოუმ თავი ასწია და უკან მიიხედა. ზღურბლზე ვიღაც იდგა, ვარსკვლავების ფონზე მუქი სილუეტი მოჩანდა. ლითონის საგანზე მთვარის შუქი აირეკლა.

– მესვრი? – ჰკითხა შედოუმ.

– ღმერთო... ნეტავ შემეძლოს, – უპასუხა ტაუნმა, – იარაღი მხოლოდ თავდაცვისთვის მაქვს. მაშ, ლოცულობდი? რაო, დაგარწმუნეს, რომ მართლა ღმერთები არიან? ისინი ღმერთები არ არიან.

– არ ვლოცულობდი, – იუარა შედოუმ, – ვფიქრობდი.

– ჩემი აზრით, ისინი მუტანტები არიან, – განაგრძო ტაუნმა, – ევოლუციის ექსპერიმენტების ნაყოფები. ცოტაოდენი ჰიპნოზის უნარი, ცოტა ფოკუს-მოკუსი და ეგაა, ხალხს ყველაფერს აჯერებენ. აღნიშვნადაც კი არ ღირს. ბოლოს და ბოლოს, ეგენიც ჩვეულებრივი ადამიანებივით იხოცებიან.

– ყოველთვის იხოცებოდნენ, – თქვა შედოუმ და წამოდგა. ტაუნმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. შედოუ პატარა სამლოცველოდან გავიდა. ტაუნი მასთან დისტანციას ინარჩუნებდა.

– ეი, თუ იცი, ლუიზ ბრუქსი ვინ არის? – ჰკითხა შედოუმ.

– შენი მეგობარია?

– არა, აქედან სამხრეთით მდებარე პატარა ქალაქში დაბადებული კინოვარსკვლავი იყო.

ტაუნი დაფიქრდა.

– სახელი და გვარი ხომ არ შეუცვლია? ლიზ ტეილორი ან შერონ სტოუნი ხომ არ დაირქვა? – ივარაუდა მან.

– შეიძლება, – შედოუ მოტელისკენ გაემართა. ტაუნიც გაჰყვა.

– ახლა ციხეში უნდა იჯდე, – უთხრა ტაუნმა, – და სიკვდილით დასჯას ელოდებოდე.

– შენი თანამშრომლები მე არ დამიხოცავს, – უთხრა შედოუმ, – მაგრამ ერთ რამეს გეტყვი, რაც ციხეში ერთმა პატიმარმა მითხრა. არასდროს დამავიწყდება.

– რა?

– მთელბიბლიაში იესო მხოლოდერთ კაცს დაჰპირდა სამოთხეში ადგილს. არც პეტრეს, არც პავლეს, არც სხვა რომელიმე მოწაფეს, არამედ ავაზაკს, რომელსაც დანაშაულისთვის სიკვდილით სჯიდნენ. ასე რომ, სიკვდილმისჯილებს ცუდად ნუ მოიხსენიებ. იქნებ ისეთი რამ იცოდნენ, რაც შენ არ იცი. მძღოლი „ჰამვისთან“ იდგა.

– ღამე მშვიდობისა, ბატონებო, – თქვა მან, როცა გვერდით ჩაუარეს.

– ღამე მშვიდობისა, – უთხრა ტაუნმა და მერე შედოუს მიმართა: – პირადად მე ეს ყველაფერი

ფეხებზე მკიდია. იმას ვაკეთებ, რასაც მისტერ უორლდი მიბრძანებს. ასე უფრო მარტივია.

შედოუმ დერეფანი გაიარა, მეცხრე ოთახის კარი შეაღო და შევიდა.

– უკაცრავად, მეგონა, ჩემი ოთახი იყო, – თქვა მან. – შენი ოთახია, – უთხრა მედიამ, –

გელოდებოდი.

შედოუმ მთვარის შუქზე მისი თმა და მკრთალი სახე გაარჩია. ქალი საწოლზე მოკრძალებულად ჩამომჯდარიყო.

– სხვა ოთახს ვიპოვი.

– დიდხანს არ დავრჩები, – შეაჩერა ქალმა, – ჩემი აზრით, სწორედ ახლაა ერთი წინადადების შემოსათავაზებლად სათანადო დრო.

– კარგი, გისმენთ.

– მოდუნდი, – სიცილნარევი ხმით უთხრა მედიამ, – სარგადაყლაპულივით ნუ დგახარ. მისმინე,

უენზდეი მოკვდა, არავისი არაფერი გმართებს. ჩვენ შემოგვიერთდი. გამარჯვებულის მხარეზე გადმოდი. შედოუმ არაფერი უპასუხა.

– ცნობილს გაგხდით, შედოუ. ისეთ ძალას მოგანიჭებთ, ხალხს რასაც გინდა დააჯერებ, ათქმევინებ, ჩაცმევ და მოანდომებ. არ გინდა, ახალ კერი გრანტად[243] იქცე? ჩვენ ეს შეგვიძლია. „ბითლზივით“ დიდ პოპულარობას მოიხვეჭ.

– მგონი, ლუსის ძუძუების ჩვენებას რომ მპირდებოდით, ის უფრო მომწონდა. თუ ის თქვენ არ ყოფილხართ?

– აჰ, – წამოიძახა მედიამ.

– ჩემს ოთახში მარტო დამტოვეთ. ღამე მშვიდობისა.

– თუმცა, რასაკვირველია, შეგვიძლია, პირიქითაც მოვიქცეთ, – მედია არც განძრეულა, თითქოს შედოუს არაფერი ეთქვას, – შეგვიძლია სიცოცხლე ჯოჯოხეთად გიქციოთ, შედოუ, მთელი

ქვეყნისსასაცილოდ გაგხადოთ ანურჩხულად დავამახსოვროთ შენი თავი. როგორ მოგეწონება, საუკუნოდ რომ ახსოვდე, ოღონდ როგორც ჰიტლერი ან მენსონი[244]?

– უკაცრავად, მემ, დაღლილი ვარ, – უპასუხა შედოუმ, – მადლიერი დაგრჩებით, თუ ახლავე გახვალთ.

– მე მთელი სამყარო შემოგთავაზე, – უთხრა ქალმა, – როცა თხრილში მომაკვდავი ეგდები, ეს გაიხსენე.

– შევეცდები, – უპასუხა შედოუმ.

მედია გავიდა, მაგრამ მისი სუნამოს სუნი დიდხანს არ გაფანტულა. შედოუ შიშველ ლეიბზე იწვა და ლორაზე ფიქრობდა, მაგრამ როგორიც უნდა წარმოედგინა ლორა, ფრიზბის თამაშისას, ლუდის ქაფის კოვზით ჭამისას თუ ტურისტული აგენტების ყრილობაზე ანაჰაიმში ნაყიდი გამომწვევი საცვლებით პოზირებისას აკისკისებული, ბოლოს ყველა სცენა მის გონებაში მაინც ამ ერთით იცვლებოდა: როგორ წოვდა ლორა რობის სირს, როცა მათ მანქანას სატვირთო დაეჯახა და გზიდანაც მოისროლა და სააქაოდანაც. შემდეგ ლორას სიტყვებიც ჩაესმა და როგორც მაშინ, ახლაც ეტკინა გული: „არ მომკვდარხარ, – გაიგონა ლორას ჩურჩული, – მაგრამ, მგონი, არც ცოცხალი ხარ“. კარზე დააკაკუნეს. შედოუ ადგა და კარი გააღო. მსუქანი ბიჭი იყო.

– იმ ჰამბურგერებმა კინაღამ გული ამირია, – თქვა მან, – წარმოგიდგენია, „მაკდონალდსამდე“ ოთხმოცი კილომეტრიაო. არ მეგონა, მსოფლიოში ისეთი ადგილი თუ არსებობდა, „მაკდონალდსამდე“ ოთხმოცი კილომეტრი რომ აშორებდეს.

– ეს ჩემი ოთახი რკინიგზის სადგურს ემსგავსება, – უთხრა შედოუმ, – რა გინდა, ინტერნეტის თავისუფლება უნდა შემომთავაზო შენს მხარეზე გადმოსვლის სანაცვლოდ?

– ჩათვალე, რომ უკვე გვამი ხარ, – მსუქანი ბიჭი აცახცახდა, – შე გოთიკური შრიფტის შავი ასოებით ნაწერო, ილუსტრირებულო მანუსკრიპტო. ძალიანაც რომ გინდოდეს, ჰიპერტექსტად[245] ვერ გადაიქცევი. მე სინაპტიკური ვარ, შენ კი... შენ – სინოპტიკური, – ბიჭს უცნაური სუნი აუვიდა. ციხეში შედოუს მოპირდაპირე

საკანში ერთი პატიმარი იჯდა, რომლისთვისაც შედოუს სახელი არასდროს უკითხავს. ერთ დღეს იმ ტიპმა ტანსაცმელი გაიძრო და ყველას გასაგონად დაიძახა, აქ ჩემსავით ჭეშმარიტად კარგი ხალხის სრულყოფილ სამყაროში წასაყვანად ვერცხლის კოსმოსური ხომალდით გამომგზავნესო. მას შემდეგ შედოუს ის ტიპი აღარ უნახავს. ახლა მსუქან ბიჭს ზუსტად ისეთი სუნი ასდიოდა, როგორიც იმ ტიპს.

– რისთვის მოხვედი?

– სასაუბროდ, – სლუკუნნარევი ხმით უპასუხა მსუქანმა ბიჭმა, – ჩემი ოთახი საშიშია. იქ მაკანკალებს. ოთხმოცი კილომეტრი „მაკდონალდსამდეო“, წარმოგიდგენია? შეიძლება შენთან დავრჩე?

– ის მეგობრები სად დაკარგე, ლიმუზინში რომ მცემეს? იმათ რატომ არ სთხოვ, ღამით შენთან დარჩნენ?

– ბავშვები აქ ვერ გაძლებენ. მკვდარ ზონაში ვართ.

– შუაღამემდე ჯერ კიდევ შორია, დილამდე – უფრო შორი, – უთხრა შედოუმ, – მგონი, აჯობებს, დაისვენო. მე ამას ვაპირებ.

მსუქანი ბიჭი წუთით გაჩუმდა, შემდეგ თავი დააქნია და ოთახიდან გავიდა.

შედოუმ კარი მიხურა და გასაღებით ჩაკეტა. ისევ ლეიბზე დაწვა.

მცირე ხნის შემდეგ ხმაური ატყდა. შედოუ რამდენიმე წუთს ფიქრობდა, ნეტავ რა ხდებაო, შემდეგ ადგა და დერეფანში გავიდა. ხმაური მსუქანი ბიჭის ოთახიდან გამოდიოდა, კედელს თითქოს მძიმე საგანს ურტყამდა. ან იქნებ თვითონ ბიჭი ეჯახებაო, ივარაუდა შედოუმ.

– მე ვარ! – სლუკუნებდა ის. ან იქნებ – მთხლე ვარ! – შედოუმ წესიერად ვერ გაარჩია.

– ჩუმად! – მოისმა ჩერნობოგის გუგუნი დერეფნის ბოლოდან.

გაბეზრებული შედოუ მოტელიდან გავიდა.

მძღოლი ისევ „ჰამვისთან“ იდგა: მუქი სილუეტი წინაფრიანი ქუდით.

– ვერ დაიძინეთ, სერ? – ჰკითხა შედოუს.

– ვერა.

– სიგარეტი ხომ არ გნებავთ, სერ?

– არა, გმადლობთ.

– შეიძლება, მე მოვწიო?

– მოსწიეთ.

მძღოლმა სანთებელა გააჩხაკუნა და ყვითელ შუქზე შედოუმ მისი სახე შეათვალიერა – სხვათა შორის, პირველად – მაშინვე იცნო იგი და გონება გაუნათდა.

შედოუ ამ ხმელ სახეს იცნობდა. ეჭვი არ ეპარებოდა, მძღოლის ქუდი მოკლედ შეჭრილ, ნაკვერჩხალივით ელვარე, მოწითალო-ყვითელ თმას მალავდა და თუ კაცს პირზე ღიმილი შეუთამაშდებოდა, მისი ტუჩები ნაიარევებით დაიქსელებოდა.

– მშვენივრად გამოიყურები, დიდო, – უთხრა მძღოლმა.

– ლოუ კი, შენ ხარ? – შედოუმ ეჭვით შეათვალიერა ძველი თანამესაკნე.

ციხის მეგობრობა კარგი რამაა, მისი წყალობით ცუდ ადგილებსა და ცუდ მდგომარეობას დააღწევ თავს, მაგრამ ციხის მეგობრობა ციხის ჭიშკართანვე მთავრდება და თუ შენს ცხოვრებაში ციხის მეგობარი ერთხელ ისევ გამოჩნდება, ეს შეიძლება კარგის მომასწავებელი არ იყოს.

– ღმერთო, ლოუ კი ლაისმითი, – ჩაილაპარაკა შედოუმ და იმწამსვე მიხვდა, რაც წარმოთქვა, – ლოკი ლაისმითი[246].

– ცოტანელა კი აზროვნებ, – შენიშნა ლოკიმ, – მაგრამ ბოლოს მაინც ყველაფერს ხვდები, – ტუჩები ალმაცერმა ღიმილმა დაუბრიცა, თვალებში კი ნაპერწკლები აუციმციმდა.

მიტოვებულ მოტელში, შედოუს ოთახში შევიდნენ და საწოლის საპირისპირო კიდეებზე ჩამოსხდნენ. მსუქანი ბიჭის ოთახიდან ხმაური აღარ გამოდიოდა.

– მომატყუე, – უთხრა შედოუმ ლოკის.

– ჰო, მაგაში ბევრი ვერ შემედრება, – დაეთანხმა ლოკი, – ისე, ბედმა გაგიღიმა, რომ ციხეში ერთად მოვხვდით. უჩემოდ პირველ წელს იქ ცოცხალი ვერ გადარჩებოდი.

– რომ მოგენდომებინა, ციხიდან ვერ გახვიდოდი?

– სასჯელის მოხდა უფრო მარტივია. მისმინე, ღმერთობაში კარგად უნდა გაერკვე. ჯადოქრობა არაფერ შუაშია. მთავარი კონცენტრირებაა. ისეთი ხარ, როგორიც ხალხს სწამხარ, საკუთარ არსს გადიდებულად და გაძლიერებულად წარმოაჩენ. ჭექაქუხილად, მორბენალი ცხენის ძალად ან სიბრძნედ გადაიქცევი. შენდამი აღვლენილ ლოცვას, შენდამი გამოვლენილ რწმენას ითვისებ

და ეს ერთგვარ თავდაჯერებულობას გძენს, გაძლიერებს, ადამიანზე უფრო მაგარს გხდის. შეიძლება ითქვას, ყალიბდები, – ლოკი შეყოვნდა, – ერთ დღესაც ყველა გივიწყებს, აღარავის სწამს შენი, მსხვერპლს აღარ გწირავენ და აღარავის ანაღვლებ. მერე უცებ აღმოაჩენ, რომ ბროდვეისა და ორმოცდამესამის კუთხეში სამკარტა მონტე[247] გაქვს გაშლილი.

– ჩემს საკანში რა გინდოდა?

– შემთხვევით მოვხვდი. მანდ ჩამსვეს. არ გჯერა? სიმართლეს გეუბნები.

– ახლა კი მძღოლად მუშაობ?

– სხვა რამეებსაც ვაკეთებ.

– მოწინააღმდეგეებს აქეთ-იქით ეგზავნები.

– გააჩნია, რომელ მხარეს დგახარ. შენ მოწინააღმდეგეებს უწოდებ, პირადად მე კი მგონია, რომ გამარჯვებულებს ვემსახურები.

– კი მაგრამ, შენ და უენზდეი ხომ... თქვენ ხომ ორივენი ერთი და იგივე...

– დიახ, ორივე სკანდინავიური პანთეონიდან ვართ. ამის თქმას ცდილობ?

– კი.

– მერე? შედოუ შეყოყმანდა.

– ოდესღაც ალბათ მეგობრები იყავით.

– არა, მეგობრები არასდროს ვყოფილვართ. სულაც არ მწყინს, რომ მოკვდა. სხვებს გვაფერხებდა. ახლა კი ყველას ფაქტებისთვის თვალის გასწორება მოგვიწევს: შევიცვლებით ან დავიხოცებით, განვვითარდებით ან დავიღუპებით. მე ევოლუციის მომხრე ვარ. უენზდეი მოკვდა. ომი დამთავრდა.

შედოუმ დაბნეულად შეხედა.

– ასეთი ბრიყვი არ ხარ, – თქვა მან, – ყოველთვის გამჭრიახი იყავი. უენზდეის სიკვდილი არაფერს შეცვლის. პირიქით, ისინიც კი, ვინც არც მწვადს წვავდა და არც შამფურს, ახლა სხვებთან ხმაშეწყობილად ჭიკჭიკებენ.

– წინადადების მეტაფორებით გავსება ცუდი ჩვევაა, შედოუ.

– არ მადარდებს, – თქვა შედოუმ, – სიმართლე ვთქვი. ღმერთო. მისმა სიკვდილმა ერთ წამში შეძლო ის, რასაც უენზდეი ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ცდილობდა: ყველა გააერთიანა, ისეთი რამ მისცა, რასაც ირწმუნებენ.

– შეიძლება, – მხრები აიჩეჩა ლოკიმ, – როგორც ვიცი, აქეთა ბანაკში ფიქრობდნენ, რომ მთავარი შფოთისთავის მოშორებით პრობლემას მოაგვარებდნენ. ჩემთვის სულერთია. მხოლოდ მძღოლი ვარ.

– ერთი იქნებ ეს მითხრა, ყველას რატომ ვაინტერესებ? – ჰკითხა შედოუმ, – ისე იქცევიან, თითქოს ძალიან მნიშვნელოვანი ვინმე ვარ. რაში ანაღვლებთ, მე რას ვიზამ და რას – არა?

– შენ კაპიტალდაბანდება ხარ, – უპასუხა ლოკიმ, – ჩვენთვის მნიშვნელოვანი იმიტომ ხარ, რომ უენზდეის მნიშვნელოვნად მიაჩნდი. მაგრამ რატომ... არა მგონია, ვინმემ ვიცოდეთ. მხოლოდ უენზდეიმ იცოდა, ის კი მკვდარია. ესეც ცხოვრების მორიგი პატარა საიდუმლო.

– ყელში ამომივიდა ამდენი საიდუმლო.

– მართლა? საიდუმლოებები სამყაროს უფრო აგემრიელებს, როგორც მარილი – მოშუშულ ხორცს.

– მაშ, მძღოლი ხარ. ყველა დაგყავს?

– ვისაც დავჭირდები, – უპასუხა ლოკიმ, – თავს ამით ვირჩენ.

მან მაჯის საათი სახესთან მიიტანა და ღილაკს თითი დააჭირა. ციფერბლატი ლურჯად აელვარდა, ელვარებამ სიბნელიდან მისი სახე გამოანათა და ერთდროულად საშინელი იერიც შესძინა და შეშინებულიც.

– თორმეტს ხუთი წუთი აკლია, დროა, – თქვა ლოკიმ, – დროა, სანთლები ავანთოთ, გარდაცვლილის მოსახსენიებლად რამდენიმე სიტყვა ვთქვათ, ფორმალობები დავიცვათ. მოდიხარ? შედოუმ ღრმად ჩაისუნთქა და უპასუხა: – მოვდივარ. ბნელი მოტელის დერეფანს გაუყვნენ.

– ამისთვის სანთლები ვიყიდე, მაგრამ მოტელის ოთახებსა და კარადაში მდგარ ყუთშიც ვიპოვე სანთლის ძველი ნაგლეჯები და ნამწვები. მგონი, რაც იყო, ყველა შევაგროვე. ასანთიც თან მაქვს. სანთებელათი სანთლის ანთება არ ვარგა, ძირი უხურდება ხოლმე. მეხუთე ოთახის კარი შეაღეს.

– შემოხვალ? – ჰკითხა ლოკიმ, შემდეგ ჯიბიდან ასანთის კოლოფი ამოიღო და ასანთს გაჰკრა. უეცარმა კაშკაშმა შედოუს თვალები მოსჭრა. ალი სანთლის პატრუქს მოედო. ლოკიმ მეორე სანთელსაც მოუკიდა და ასე რიგრიგობით ჩამოუყვა ფანჯრის რაფაზე, სასთუმლის ფიცარსა და ოთახის კუთხეში მდგარ პირსაბანზე დამაგრებულ სანთლებს. სანთლის შუქმა თანდათან გაანათა ოთახი.

საწოლი ოთახის შუაგულში გამოეწიათ და ისე დაედგათ, რომ ყველა კედლიდან თანაბარი მანძილით იყო დაშორებული. საწოლზე მოტელის ჩრჩილნაჭამი და დალაქავებული ძველი ზეწარი გადაეფარებინათ (ალბათ, ლოკიმ გამოქექა მოტელის კარადაში) და ზედ გაშეშებული უენზდეი დაესვენებინათ.

ისევ ის ღია ფერის კოსტიუმი ეცვა, რომელშიც მოკლეს. სახის მარჯვენა მხარე ხელშეუხებელი, დაუმახინჯებელი და სისხლით დაუსვრელი ჰქონდა, მარცხენა კი ნაფლეთებად გადაჰქცეოდა, მარცხენა მხარსა და პიჯაკის წინამოზე სისხლის შხეფები პუანტილისტურ[248] უწესრიგობასავით შეხმობოდა. ხელები გვერდებზე მიედებინებინათ. დასახიჩრებული სახის გამომეტყველებას სიმშვიდესთან საერთო არაფერი ჰქონდა, პირიქით, ზედ სულის შემძვრელი, ღრმა ტკივილი აღბეჭდილიყო, გამსჭვალული სიძულვილით, სიბრაზითა და სიშლეგით. გარკვეულ დონეზე, ეს გამომეტყველება კმაყოფილებასაც კი გამოხატავდა.

შედოუმ წარმოიდგინა, მისტერ იბისის მარჯვე ხელები როგორ დაუცხრობდა ამ ტკივილსა და სიძულვილს უენზდეის, მეგალზამის ცვილითა და გრიმით აღუდგენდა სახეს და იმ საუკუნო სიმშვიდესა და ღირსებას შესძენდა, სიკვდილმაც რომ არ აღირსა.

მეორე მხრივ, ცხედარი არ დამჭკნარიყო, უენზდეი ისევ იმხელა ჩანდა. თითქოს „ჯეკ დენიელსის“ მსუბუქი სუნიც ასდიოდა.

ტრამალებიდან ქარი უბერავდა, ზუსტად ამერიკის წარმოსახვით ცენტრში მდგარი ძველი მოტელის ირგვლივ ყმუილით დაძრწოდა. ფანჯრების რაფებზე სანთლების ალი ირხეოდა და კრთოდა.

დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა. ვიღაცამ კარზე დააკაკუნა და დაიძახა: – დაუჩქარეთ, დროა.

მოტელის სტუმრები ოთახში თავჩაქინდრულები შემოფრატუნდნენ. პირველი ტაუნი შემოვიდა, მას მედია, მისტერ ნანსი და ჩერნობოგი შემოჰყვნენ. ყველაზე ბოლოს მსუქანი ბიჭი შემოვიდა, სახეზე ახალი ლებები ემჩნეოდა და ტუჩებს აცმაცუნებდა, თითქოს თავისთვის რაღაცას ჩურჩულებდა, მაგრამ სიტყვები არ ისმოდა. შედოუს რატომღაც შეეცოდა იგი.

სიტყვის დაუძვრელად, ერთმანეთისგან ხელის გაწვდენაზე ცხედრის გარშემო დადგნენ. ოთახში ღრმად რელიგიური ატმოსფერო შეიქმნა.მსგავს ვითარებაში შედოუ პირველად აღმოჩნდა. სიჩუმეს მხოლოდ ქარის ქროლა და სანთლების ალის ჩუმი ტკაცუნი არღვევდა.

– ამაღამ ამ უღმერთო ადგილას შევიკრიბეთ, – თქვალოკიმ, – რათა ცხედარი გადავცეთ მათ, ვინც ამ კაცს სათანადო წესით დაკრძალავს. თუ ვინმეს რამის თქმა გინდათ, ახლა თქვით.

– მე ვერაფერს ვიტყვი, – თქვა ტაუნმა, – ამ კაცს წესიერად არ ვიცნობდი. საერთოდაც, ეს ყველაფერი მაღიზიანებს.

– ამ ქმედებებს რომ შედეგი ექნება, – თქვა ჩერნობოგმა, – არ იცით? შეიძლება, ყველაფერი ამით დაიწყოს. მსუქანი ბიჭი გამკივანი ხმით, გოგოსავით ახითხითდა.

– კარგი, კარგი, გასაგებია, – წამოიძახა მან და მონოტონურად ჩაარაკრაკა:

„ტრიალ-ტრიალში ფართოვდება წრე, ყურს
აღარ უგდებს ბაზი ბაზიერს, ნგრევაა
ირგვლივ, ირყევა ცენტრი...[249]“ – მსუქანი
ბიჭი უცებ გაჩუმდა და შუბლი შეკრა.

– ჯანდაბა, არადა, თავიდან-ბოლომდე ზეპირად ვიცოდი, – თქვა მან, საფეთქლები დაიზილა, დაიჭყანა და გაჩუმდა.

მერე ყველამ შედოუს შეხედა. ქარი უკვე გამწარებული გაჰკიოდა. შედოუ დაიბნა, არ იცოდა, რა ეთქვა.

– რაც ხდება, ძალიან სამწუხაროა. თქვენი გუნდის წევრების ნახევარი მისი მკვლელი ან

მკვლელობის თანამონაწილეა, ახლა კი ცხედარს გადმოგვცემთ. მშვენიერია. უენზდეი ბრაზიანი ბებერი ნაბიჭვარი იყო, მაგრამ მე მისი მოწოდებული თაფლუჭი დავლიე და კვლავაც მისთვის ვმუშაობ. სულ ესაა.

– სამყაროში, სადაც ყოველდღე იხოცებიან ადამიანები, – სიტყვა ჩამოართვა მედიამ, – ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ვინმეს მიერ იმქვეყნად წასვლით გამოწვეულ ტკივილს სადღაც ამქვეყნად ბავშვის მოვლინების სიხარული ანაცვლებს. ბავშვის პირველი ღნავილი... ჯადოსნური რამ არის, არა? შეიძლება დაუნდობლად ჟღერს, მაგრამ მწუხარება და სიხარული ისევე განუყრელია ერთმანეთისგან, როგორც რძე და ნამცხვარი. ვფიქრობ, წუთით ყველანი უნდა დავფიქრდეთ ამაზე.

შემდეგ მისტერ ნანსიმ ჩაახველა და თქვა: – მაშ, კარგი, მე ვიტყვი, რახან სხვა არავინ ამბობს. ჩვენ ვიმყოფებით შუაგულში იმ ადგილისა, იმ მიწისა, რომელსაც ღმერთებისთვის არ სცხელა; და აქ, შუაგულში, მით უფრო არ სცალია ჩვენთვის. ეს ნეიტრალური ტერიტორიაა, ზავის ადგილი, სადაც იძულებით ვიცავთ მშვიდობას. ამგვარად, მეგობრის ცხედარს გვითმობთ და ჩვენც მიგვაქვს. მისი მკვლელობისთვის ზღავთ. მკვლელობა მკვლელობის წილ, სისხლის სისხლის წილ.

– გეგონოთ, – თქვა ტაუნმა, – აჯობებს, ტყუილად დრო არ დახარჯოთ, შინ დაბრუნდეთ და ყველამ თავში ტყვია დაიხალოთ. სხვას ნუ გაასვრევინებთ ხელს.

– შეგეცი, – უთხრა მას ჩერნობოგმა, – შენც შეგეცი, დედაშენსაც შევეცი და შენი აქ მომთრევის დედასაც. შენ ბრძოლაში სიკვდილიც კი არ გიწერია. არც ერთი მეომარი არ იგემებს შენს სისხლს. არც ერთი სულიერი არ მოგიღებს ბოლოს. საცოდავად, ჩუმად მოკვდები. ტუჩებზე კოცნითა და გულში ტყუილით მოკვდები.

– მორჩი, ბერიკაცო, – შეუღრინა ტაუნმა.

– „სისხლის ზვირთები მოიწევს შორით“, – თქვა მსუქანმა ბიჭმა, – მგონი, ასე გრძელდება. ქარმა დაიყმუვლა.

– კარგი, – თქვა ლოკიმ, – ცხედარი თქვენია. მოვრჩეთ. წაიღეთ ეგ ბებერი ნაბიჭვარი.

მან თითის აქნევით ანიშნა და ტაუნი, მედია და მსუქანი ბიჭი ოთახიდან გავიდნენ..

– ბედნიერს ნურავის უწოდებო, არა, მეგობარო? – შედოუს გაუღიმა ლოკიმ და ისიც გავიდა.

– ახლა რა ვქნათ? – იკითხა შედოუმ.

– ახლა ცხედარს სუდარაში გავახვევთ და აქედან წავიღებთ, – უპასუხა ანანსიმ.

სუდარად ზეწარი გამოიყენეს და ცხედარი შიგ ისე გაახვიეს, რომ არ გამოჩენილიყო და წაღება შესძლებოდათ. მერე ერთმა ბერიკაცმა მხრებში ჩაავლო ხელები, მეორემ – ფეხებში, მაგრამ ისინი შედოუმ შეაჩერა.

– მაცალეთ, ერთი ვსინჯო, – თქვა მან, დაიჩოქა, თეთრ ზეწარში გახვეულ გვამს ორივე ხელი შემოავლო, ასწია და მხარზე მოიგდო. ნელ-ნელა წამოდგა და მეტ-ნაკლებად გაიმართა მხრებში, – კი, შევძლებ, – თქვა შედოუმ, – წავედით, მიკროავტობუსში დავასვენოთ.

ჩერნობოგმა შეკამათება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ცერა და საჩვენებელ თითებზე დაიფურთხა და სანთლების ჩაქრობა დაიწყო. შედოუს მათი ჩუმი შიშინი ესმოდა, როცა ჩაბნელებული ოთახიდან გადიოდნენ.

უენზდეი მძიმე იყო, მაგრამ თუ წაბორძიკების გარეშე ივლიდა, თავისუფლად მიიტანდა მიკროავტობუსამდე. სხვა არჩევანი არ ჰქონდა. დერეფანში ყოველი ნაბიჯის გადადგმისას უენზდეის სიტყვები ჩაესმოდა გონებაში და ყელში თაფლუჭის მომჟავო სიტკბოს გრძნობდა.

„ჩემთვის იმუშავებ. დამიცავ. დამეხმარები. სხვადასხვა ადგილას მატარებ. გამოძიებასაც აწარმოებ, ხანდახან... ზოგან წახვალ და ჩემთვის რაღაცებს გამოიკითხავ. დავალებებს შეასრულებ. თუ საჭირო იქნება, ოღონდ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, ვიღაც-ვიღაცებს ცხვირ-პირს დაუნგრევ. ნაკლებ სავარაუდოა, მაგრამ თუ მოვკვდები, ღამეს გამითევ“.

შეთანხმება შეთანხმებაა, ეს სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი.

მისტერ ნანსიმ ჯერ მოტელის კარი გაუღო და დაიჭირა, მერე მიკროავტობუსის უკანა კარის გასაღებად გაეშურა. დანარჩენი ოთხი უკვე „ჰამვისთან“ იდგა. ისე იყურებოდნენ, თითქოს ერთი სული ჰქონდათ, იქაურობას როდის მოშორდებოდნენ. ლოკის ისევ მძღოლის ქუდი ეხურა. სუსხიანი ქარიზეწარს აფრიალებდა და შედოუს უკან ექაჩებოდა.

რაც შეიძლებოდა ფრთხილად დაასვენა უენზდეი მიკროავტობუსში.

ვიღაცამ მხარზე ხელი დაჰკრა. მიტრიალდა. ხელგამოწვდილი ტაუნი დაინახა. რაღაც ეჭირა.

– აი, – თქვა მან, – მისტერ უორლდმა დამავალა, შენთვის მომეცა.

უენზდეის შუშის თვალი აღმოჩნდა. შუაში წვრილი ბზარი ეტყობოდა და ზედაპირიდან პაწია ნამცეცი ამომტყდარიყო.

– მასონთა დარბაზში ვიპოვეთ, როცა იქაურობას ვალაგებდით. თილისმად შეინახე. დამიჯერე, დაგჭირდება.

შედოუმ თვალი მუჭში მოიქცია. მკვახე, მახვილგონივრული და სხარტი პასუხის გაცემა უნდოდა, მაგრამ ვერ მოასწრო, ტაუნმა სწრაფად შეაქცია ზურგი, „ჰამვისთან“ დაბრუნდა და მანქანაში ჩაჯდა.

მოტელიდან ყველაზე ბოლოს ჩერნობოგი გამოვიდა. შენობის კარს რომ კეტავდა, „ჰამვი“ პარკიდან გავიდა და ასფალტის გზას გაუყვა. ჩერნობოგმა მოტელის გასაღები კართან დაგდებული ქვის ქვეშ დადო და თავი გააქნია.

– მისთვის გული უნდა ამომეგლიჯა და შემეჭამა, – არხეინად უთხრა შედოუს, – მარტო გამოლანძღვა არ კმარა, ვინმემ ზრდილობა უნდა ასწავლოს, – და მიკროავტობუსში ამოძვრა.

– წინ მომიჯექი, – შედოუს უთხრა მისტერ ნანსიმ, – ცოტა ხანს მე ვატარებ. გეზი

  აღმოსავლეთისკენ აიღეს.

მისურის შტატის ქალაქ პრინსტონში დაათენდათ თავზე. შედოუს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს.

– ხომ არ გინდა, სადმე ჩამოგსვათ? – ჰკითხა ნანსიმ, – შენს ადგილზე ყალბ პირადობის მოწმობას დავითრევდი და კანადასა ან მექსიკაში მოვხევდი.

– თქვენთან ვრჩები, მეგობრებო, – უთხრა მათ შედოუმ, – უენზდეის ეს ენდომებოდა.

– შენ მისთვის აღარ მუშაობ. ის მკვდარია. როცა მის გვამს საჭირო ადგილას მივიტანთ, გზა ხსნილი გაქვს, საითაც გინდა, იქით წადი.

– კი, წავალ, მაგრამ მერე რა ვქნა?

–

–

– ომის დასრულებამდე გზაზე ნურავის გადაუდგები. მოკლედ, გირჩევ, ქვეყნიდან წახვიდე, – უთხრა ნანსიმ, მოხვევის ციმციმა ჩართო და მარცხნივ შეუხვია.

– ცოტა ხნით დაიმალე, – დაამატა ჩერნობოგმა, – შემდეგ, როცა ეს ყველაფერი მორჩება, ჩემთან მოდი და ჩემი უროთი საქმეს ბოლომდე მივიყვან.

– ცხედარი სად მიგვაქვს? – იკითხა შედოუმ.

ვირჯინიაში. მანდ ერთი ხე დგას, – უპასუხა ნანსიმ.

სამყაროს ხე[250], – ცივად დააზუსტა ჩერნობოგმა, – ჩემს ძველ სამშობლოშიც იდგა ერთი ასეთი ხე, ოღონდ მიწის ზემოთ კი არა, მიწის ქვეშ.

– ხის ძირას დავასვენებთ, – განაგრძო ნანსიმ, – და იქ დავტოვებთ. შენ გაგიშვებთ, ჩვენ სამხრეთში წავალთ, სადაც ბრძოლაა გაჩაღებული, სისხლი იღვრება, ბევრი ჩვენგანი იღუპება. სამყარო ცოტათი იცვლება.

– არ გინდათ, ბრძოლაში დაგეხმაროთ? ღონიერი და დიდი ვარ, გამოგადგებით.

ნანსი შემოტრიალდა და გაიღიმა. ლამბერის ოლქის საპატიმროდან დახსნის შემდეგ შედოუმ მისტერ ნანსის სახეზე პირველად იხილა ღიმილი.

– ბრძოლის უდიდესი ნაწილი ისეთ ადგილას გაიმართება, სადაც შენ ვერ წამოხვალ.

– ხალხის გულსა და გონებაში, – თქვა ჩერნობოგმა, – როგორც დიდ საქანელაზე.

– ჰა?

– კარუსელზე.

– აჰ, გასაგებია, – თქვა შედოუმ, – კულისებში. როგორც ძვლებით სავსე უდაბნოში.

მისტერ ნანსიმ თავი ასწია.

– კულისებში, დიახ. ჩემს გაკვირვებას აგრძელებ, ყმაწვილო. ნამდვილი ბრძოლა კულისებში გაიმართება. სხვაგან ყველაფერი ჭექა-ქუხილად გაისმება და ელვად გამოჩნდება.

– ღამისთევაზე მიამბეთ, – მოითხოვა შედოუმ.

– ცხედართან ვინმე უნდა დარჩეს, ტრადიციაა. რომელიმე ჩვენგანი იზამს.

– უენზდეის უნდოდა, ეს მე გამეკეთებინა.

– არა, – უთხრა ჩერნობოგმა, – შეგიწირავს. ძალიან, ძალიან, ძალიან ცუდი აზრია.

– მართლა? გვამთან დარჩენა მომკლავს?

– ასე ხდება, როცა ყოველთა მამა კვდება, – აუხსნა ნანსიმ, – ჩემს შემთხვევაში, სხვანაირად იქნება. მე რომ მოვკვდები, მინდა, სადმე თბილ ადგილას დამმარხონ.

ჰოდა, როცა ლამაზი ქალი გადაივლის ჩემს საფლავზე, კოჭებში ხელს ვტაცებ, როგორც იმ ფილმშია.

– ეგეთი ფილმი არასდროს მინახავს, – უთხრა ჩერნობოგმა.

– როგორ არ გინახავს, სულ ბოლოს ხდება. იმ სასკოლო ფილმშია, მოსწავლეები სკოლის ბანკეტზე რომ მიდიან. ჩერნობოგმა თავი გააქნია.

– ფილმს „კერი“[251] ჰქვია, ჩერნობოგ. მოკლედ, რომელიმემ ღამის თევაზე უნდა მიამბოთ.

–

–

მე საჭესთან ვზივარ, შენ მოუყევი, – უთხრა ნანსიმჩერნობოგს. მე

„კერიზე“ არაფერი მსმენია, შენ მოუყევი.

– ღამისმთეველს ხეზე კიდებენ, როგორც უენზდეი ეკიდა ოდესღაც. ცხრა დღე-ღამე საჭმელ-სასმელის გარეშე უნდა ეკიდოს, სრულიად მარტო. და თუ მეათე დილას კვლავაც ცოცხალს ჩამოხსნიან – ხანდახან ასეც ხდება – უენზდეისთვის ღამე გათეული იქნება.

– იქნებ ალვისმა გამოგვიგზავნოს რომელიმე თანამოძმე, – თქვა ჩერნობოგმა, – ჯუჯები ამტანები არიან, შეიძლება გადარჩეს.

– მე ვიზამ, – თქვა შედოუმ.

– არა, – იუარა მისტერ ნანსიმ.

– კი, – გაჯიუტდა შედოუ. ორივე ბერიკაცი გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ ნანსიმ

ჰკითხა: – რატომ?

– იმიტომ, რომ ასეთ რამეს ცოცხალი ადამიანი თუ იზამს, – უპასუხა შედოუმ.

– გიჟი ხარ, – უთხრა ჩერნობოგმა.

– შეიძლება, მაგრამ უენზდეის ღამეს მაინც გავუთევ.

საწვავის ჩასასხმელად რომ გაჩერდნენ, ჩერნობოგმა გამოაცხადა, უკან ცუდად ვხდებიო და წინ დაჯდომა მოინდომა. შედოუმ უყოყმანოდ გაუცვალა ადგილი. თვითონ მიკროავტობუსის უკანა ნაწილში წამოწვა თვალის მოსატყუებლად.

გზა ჩუმად განაგრძეს. შედოუმ იგრძნო, რომ ძალიან დიდი და უცნაური რამ ქნა, მაგრამ ზუსტად ვერ ხვდებოდა, რა.

– ეი, ჩერნობოგ, – ხმა ამოიღო კარგა ხნის შემდეგ ნანსიმ, – მოტელში ტექნობიჭს თუ შეატყვე, რომ მოწყენილი იყო? ბავშვებს ემართებათ ხოლმე, ცეცხლს ეთამაშებიან, ცეცხლი კი ხელს სწვავს. არა უშავს, მხოლოდ ასე თუ ისწავლიან ჭკუას.

– ძალიანაც კარგი, – თქვა ჩერნობოგმა.

შედოუ უკანა სავარძელზე გაიშხლართა. თავი ორ ან ორზე მეტ ადამიანად წარმოედგინა.

გულის სიღრმეში მსუბუქ აღტაცებას გრძნობდა: მან საქმე გააკეთა, წინ წაიწია. სიცოცხლე რომ მობეზრებული ჰქონოდა, მისი საქციელი მნიშვნელოვნად ვერ ჩაითვლებოდა, მაგრამ შედოუს სიცოცხლე უნდოდა. იმედოვნებდა, რომ ამ განსაცდელს ცოცხალი გადაურჩებოდა, მაგრამ სიკვდილისთვისაც მზად იყო, რადგან ეს გაცოცხლების ბოლო შანსად მიაჩნდა. უცებ ყველაფერი სასაცილოდ მოეჩვენა, ყველაზე სასაცილო რამედ. ნეტავ ლორას ეს ხუმრობა თუ მოეწონებოდაო, გაიფიქრა.

იმავდროულად, მისი არსების სხვა მხარე – შეიძლება, ეს ის მაიკ აინსელი იყო, ლეიკსაიდის პოლიციის განყოფილებაში ღილაკზე თითის ერთი დაჭერით რომ გაუჩინარდა – ჯერაც ვითარებაში გარკვევას, მთლიანი სურათის დანახვას ცდილობდა.

დამალული ინდიელები, – თქვა ხმამაღლა. რა? – მოესმა

წინიდან ჩერნობოგის გამაღიზიანებელი ხრიწინი.

– ბავშვობაში გასაფერადებელ ნახატებს გვაძლევდნენ. „ამ ნახატზე დამალულ ინდიელებს თუ ხედავთ? აბა, თუ იპოვით ყველა ინდიელს?“ ერთი შეხედვით მხოლოდ ჩანჩქერს, კლდეებსა და ხეებს ამჩნევდი, მაგრამ მერე, თუ ნახატს ასწევდი და ცალ მხარეს დახრიდი, ჩრდილი ინდიელად გადაიქცეოდა... – შედოუმ დაამთქნარა.

– დაიძინე, – ურჩია ჩერნობოგმა.

– კი, მაგრამ მთლიანი სურათი? – თქვა შედოუმ. მერე დაიძინა და დამალული ინდიელები დაესიზმრა.

ხე ვირჯინიაში, ყველაფრისგან მოშორებით, ძველი ფერმის ბოლოში იდგა. ფერმამდე მისაღწევად ბლექსბერგის სამხრეთით მთელი საათი იარეს სოფლის გზებით, რომლებსაც ისეთი უცნაური სახელები ერქვა, როგორიცაა „გველის სუროს შტო“ ან „მამლის დეზი“. ორჯერ არასწორად გადაუხვიეს და უკან, გზაჯვარედინზე დაბრუნება მოუწიათ. მოთმინებადაკარგული ჩერნობოგი და მისტერ ნანსი წაკინკლავდნენ, მერე შედოუსაც აუტეხეს ყვირილი.

ერთ-ერთ გზაჯვარედინზე, ბორცვის ძირას მდგარ პატარა მაღაზიაში, მიმართულების საკითხავად გაჩერდნენ. მაღაზიიდან ბერიკაცი გამოვიდა ჯინსის კომბინეზონის ამარა, ფეხსაცმელიც კი არ ეცვა. ჩერნობოგმა ბერიკაცს დახლზე შემოდგმული ქილიდან მწნილში ჩადებული ღორის ჩლიქი ამოაღებინა, ფული გადაუხადა და ვერანდაზე გავიდა საჭმელად, სანამ მისტერ ნანსი და კომბინეზონიანი მოხუცი რიგრიგობით ხაზავდნენ რუკებს ხელსახოცებზე და ზედ საჭირო მოსახვევებსა თუ ადგილობრივ ორიენტირებს აღნიშნავდნენ.

საჭესთან ისევ მისტერ ნანსი დაჯდა და კვლავ გზას გაუდგნენ. ამჯერად ათ წუთში მივიდნენ დანიშნულების ადგილამდე. ფერმის ჭიშკარზე გაკრულ აბრაზე „იფანი“ ეწერა.

შედოუ მიკროავტობუსიდან ჩავიდა და ჭიშკარი გააღო. „ფოლკსვაგენი“ უსწორმასწორო მინდორზე შეჯაყჯაყდა. შედოუმ ჭიშკარი დაკეტა და მიკროავტობუსს ფეხით გაჰყვა, ცოტა მუხლს გავშლიო, მაგრამ როცა საკმაოდ ჩამორჩა, ძუნძულით გაედევნა. ხელ-ფეხის ამოძრავება სიამოვნებდა.

კანზასიდან წამოსვლის შემდეგ დროის აღქმა საერთოდ დაკარგა. ორი დღე იარეს? სამი? შედოუმ პასუხი არ იცოდა.

–

–

მიკროავტობუსში დასვენებული გვამი აშკარად არ იხრწნებოდა. კვლავაც გრძნობდა „ჯეკ დენიელსის“ მსუბუქ არომატს, რომელსაც თითქოს ამჟავებული თაფლის სუნი ერწყმოდა. თუმცა, ეს სულაც არ აწუხებდა. ხანდახან ჯიბიდან შუშის თვალს ამოიღებდა და დახედავდა: ტყვიის მოხვედრის ძალას თვალის გული დაებზარა, მაგრამ ირისის გვერდზე ჩამოტეხილი იმ ერთი ნამცეცის გარდა, ზედაპირი სრულიად დაუზიანებელი გადარჩენილიყო. შედოუ თვალს ხელში ათამაშებდა, მუჭში მალავდა, თითიდან თითზე აგორავებდა. ეს საზარელი სუვენირი რატომღაც უჩვეულოდ ამშვიდებდა: დარწმუნებული იყო, უენზდეი ბევრს იცინებდა, რომ გაეგო, მისი შუშის თვალი შედოუს ჯიბეში აღმოჩნდა.

ფერმის სახლისკარი ჩაკეტილი იყო, ფანჯრები – ჩაბნელებული. მინდვრები მოუვლელი ჩანდა, სარეველები მოსდებოდა. სახურავის უკანა მხარე ჩაქცეულიყო და ზედ პლასტმასის შავი ნაჭერი გადაეფარებინათ. ამასობაში პატარა ქედი გადაიარეს და შედოუმ ხე დაინახა.

მოვერცხლისფრო-რუხი ხე იყო, ფერმის სახლზე მაღალი, ასეთი ლამაზი ხე შედოუს ცხოვრებაში არ ენახა: მოჩვენებითს ჰგავდა, მაგრამ იმავდროულად ნამდვილზე უფრო ნამდვილი და თითქმის სრულებით სიმეტრიული იყო. მაშინვე ეცნო. თავიდან იფიქრა, ალბათ დამესიზმრაო, მაგრამ არა, მერე გაახსენდა, რომ ხე, უფრო ზუსტად კი მისი გამოსახულება, მრავალჯერ ენახა. უენზდეის ჰალსტუხის ვერცხლის ქინძისთავს ამ ხის ფორმა ჰქონდა.

„ფოლკსვაგენმა“ ჯანჯღარით გადაჭრა მინდორი და ხისგან ხუთი მეტრის მოშორებით გაჩერდა.

ხესთან სამი ქალი იდგა. შედოუს შორიდან ისინი დები ზორიები ეგონა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ შეცდა. ამ სამ ქალს არ იცნობდა. დაღლილები და გაბეზრებულები ჩანდნენ, თითქოს ხის ქვეშ დიდი ხანი ისხდნენ. თითოეულს თითო მისადგმელი კიბე ჰქონდა. ტანად ყველაზე დიდ ქალს ყავისფერი ტომარაც ეჭირა. მატრიოშკებივით ერთი მაღალი იყო (შედოუს სიმაღლის მაინც იქნებოდა, თუ უფრო მაღალი არა), მეორე – საშუალო სიმაღლის, მესამე კი – ისეთი კუზიანი და დაბალი, რომ შედოუმ თავიდან, შეცდომით, ბავშვად მიიჩნია. თუმცა, ერთმანეთს ისე ჰგავდნენ შუბლით, თვალებითა თუ ნიკაპით, უთუოდ დები უნდა ყოფილიყვნენ[252].

როცა მიკროავტობუსი ხესთან გაჩერდა, ტანდაბალმა ქალმა რევერანსი გააკეთა, მისი დები კი არ განძრეულან. ერთ ღერ სიგარეტს სამივე რიგრიგობით ეწეოდა. ბოლოს ერთ-ერთმა დამ ნამწვი მიწიდან ამოჩრილ ხის ფესვზე მიასრისა.

ჩერნობოგმა მიკროავტობუსის უკანა კარი გააღო, დიდმა ქალმა კი ჩერნობოგი მაშინვე უხეშად განზე გასწია, უენზდეის ცხედარი ფქვილის ტომარასავით მოიგდო მხარზე, ხისკენ წაიღო და მისგან სამიოდე მეტრის მოშორებით დაასვენა. მან და მისმა დებმა უენზდეის ზეწარი შემოაცალეს. ცხედარი დღის სინათლეზე უფრო ცუდად გამოიყურებოდა, ვიდრე მოტელში, სანთლების შუქზე და შედოუმ სწრაფად მოარიდა

თვალი. ქალებმა მკვდარს დაჭმუჭნილი ტანსაცმელი გაუსწორეს და ხელახლა გაახვიეს ზეწარში. შემდეგ ქალები შედოუსთან მივიდნენ.

– შენ ხარ ის? – ჰკითხა ყველაზე მაღალმა.

– ის, ვინც ყოველთა მამას დაიტირებს? – ჰკითხა საშუალო სიმაღლისამ.

– შენ მოინდომე მისთვის ღამის გათევა? – ჰკითხა ყველაზე დაბალმა.

შედოუმ თავი დაუქნია. შემდგომ ვერაფრით გაიხსენა, ქალების ხმა მართლა გაიგონა თუ არა. იქნებ შეკითხვები მხოლოდ მათ მზერასა და თვალებში ამოიკითხა?

სახლში ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შესული მისტერ ნანსი გარეთ გამობრუნდა და ხესთან მოვიდა. სიგარილოს ეწეოდა. ჩაფიქრებული ჩანდა.

– შედოუ, კიდევერთხელ გეუბნები, ამას ნუ იზამ, – თქვა მან, – უფრო შესაფერის ვინმეს ვიპოვით. ამისთვის მზად არ ხარ.

– ამას მე ვიზამ, გადაწყვეტილი ამბავია, – უპასუხა შედოუმ.

– არ ხარ ვალდებული, – უთხრა მისტერ ნანსიმ, – არც კი იცი, თავს რამხელა შარში ყოფ.

– სულერთია, – თავისას არ იშლიდა შედოუ.

– რომ მოკვდე? – ჰკითხა მისტერ ნანსიმ, – რომ ვერ გადარჩე?

– ვერ გადავრჩები და ეგ იქნება.

მისტერ ნანსიმ ბრაზიანად მოისროლა სიგარილო მინდორში.

– ერთხელ ტვინგამოლაყებული გიწოდე და ახლაც ტვინგამოლაყებულივით იქცევი. ვერ ხედავ, რომ უკან დასახევ გზას გიტოვებენ?

– ვწუხვარ, – მოკლედ უპასუხა შედოუმ. ნანსი მიკროავტობუსთან დაბრუნდა. მის ნაცვლად ჩერნობოგი მივიდა შედოუსთან. გაჯავრებული ჩანდა.

– ამას უნდა გაუძლო, – უთხრა ჩერნობოგმა, – საღ-სალამათი უნდა გადარჩე ჩემთვის, – შედოუს შუბლზე მსუბუქად წაჰკრა თითი, – ბრახ! – თქვა და ისიც მიკროავტობუსთან დაბრუნდა.

მაღალმა ქალმა, რომელსაც ურთა თუ ურდერი ერქვა[253] – შედოუმ თავისთვის და ქალისთვის სამწუხაროდ, სახელი სწორად ვერ გაიმეორა – ჟესტებით ანიშნა, ტანსაცმელი გაიხადეო.

– ყველაფერი?

მაღალმა ქალმა მხრები აიჩეჩა. შედოუმ ყველაფერი გაიხადა, მაისურისა და ტრუსის ამარა დარჩა. ქალებმა ხეს კიბეები მიაყუდეს. ერთ-ერთ კიბეზე, რომლის საფეხურებიც ყვავილებითა და ფოთლებით მოეხატათ, შედოუს მიუთითეს.

შედოუმ ცხრა საფეხური აიარა, შემდეგ, ქალების მოთხოვნით, ქვედა ტოტზე გადაძვრა.

საშუალო სიმაღლის ქალმა ტომარა ბალახზე ამოატრიალა. ძირს დაცვივდა ერთმანეთში ახლართული, სიძველისა და ჭუჭყისგან გახუნებული თოკები. ქალმა მათი განცალკევება, მკლავზე დახვევა და ხვეულების უენზდეის გვამის გვერდით დაწყობა დაიწყო.

შემდეგ სამივე და კიბეზე ავიდა და თოკების მარჯვედ და ლამაზად განასკვას შეუდგა.
ჯერ ხეს შემოახვიეს თოკი, შემდეგ – შედოუს. მოურიდებლად, თითქოს მედდები, ბებიაქალები ან გვამის გამპატიოსნებლები ყოფილიყვნენ, შედოუს მაისური და

ტრუსიც გახადეს და მართალია, თოკები ძლიერად არ მოუჭერიათ, შედოუ მაინც მაგრად გახლართეს. შედოუსდა გასაკვირად, თოკები და კვანძები მის სიმძიმეს მოხერხებულადუძლებდა. ქალებმა თოკები იღლიებში, ფეხებშუა, წელზე, კოჭებსა და მკერდზე შემოავლეს და ხეზე მიაბეს.

ბოლო თოკი მსუბუქად შემოახვიეს კისერზე. შედოუს თავიდან ცოტათი არ ესიამოვნა, მაგრამ ქალებმა მისი წონა ისე კარგად გაანაწილეს, არც ერთი თოკი ხორცში არ ჩარჭობია.

უფოთლო, დიდი ხის ტოტები მოღრუბლული ცის ფონზე შავად მოჩანდა, მისი გლუვი ქერქი მოვერცხლისფრო-რუხად ბზინავდა.

ქალებმა ხეს კიბეები მოაშორეს. წამით შედოუ პანიკამ შეიპყრო, რადგან უკანასკნელი საყრდენი გამოეცალა, მისი ფეხები მიწიდან მეტრ-ნახევრის სიმაღლეზე დაეკიდა და სხეულის მთელი სიმძიმე თოკებს დააწვა. მაგრამ ხმა არ ამოუღია.

სრულიად შიშველი იყო.

ქალებმა მოტელის ზეწრის სუდარაში გახვეული უენზდეის ცხედარი ხის ძირას დაასვენეს და წავიდნენ. შედოუ მარტო დატოვეს.

მეთხუთმეტე თავი

ადექით და ჩამომკიდეთ, მოვრჩები და გავთავდები, ადექით
და ჩამომკიდეთ, მოვრჩები და გავთავდები, არ მანაღვლებს,
ჩამომკიდეთ, არრა დამრჩა ამ მხარეში, მხოლოდ მზარავს,
მხოლოდ მზარავს წოლა ღრმა, შავ სამარეში. ძველი სიმღერა

ხეზე მიბმული შედოუ პირველ დღეს მხოლოდ უხერხულობას გრძნობდა, რომელიც თანდათან გადადიოდა ტკივილსა და შიშში. დროდადრო უჩვეულო განცდა ეუფლებოდა, მოწყენილობისა და უხალისობის ერთგვარი ნაზავი: ვითარებას ეგუებოდა, იცდიდა. ეკიდა.

ქარი არ ქროდა.

რამდენიმე საათის შემდეგ მის თვალწინ მეწამულმა და ოქროსფერმა ლაქებმა დაიწყეს გაფურჩქნა და ყვავილობა.

ხელ-ფეხი გაუსაძლისად ასტკივდა. თუ კიდურებს მოადუნებდა, ტანს დაფომფლოების საშუალებას მისცემდა და წინ გადაიხრებოდა, მაშინ მთელი სიმძიმე კისერზე გადადიოდა, თოკი უჭერდა და მხედველობა ებინდებოდა, მთელი სამყარო ნისლში დაცურავდა. ამიტომაც ხის ღეროს ეკვროდა. მკერდში გული გამალებით უცემდა, არითმიული ბრაგუნით ქაჩავდა სისხლს მთელ სხეულში...

მის თვალწინ ზურმუხტები, საფირონები და ლალები ჩნდებოდა და იმსხვრეოდა. ზედაპირულად სუნთქავდა. ხის ქერქი ზურგს უკაწრავდა. ნაშუადღევის სიგრილემ ააცახცახა და შიშველი კანი დაუხორკლა.

„ადვილია, – ვიღაცის ხმა ჩაესმა გონებაში, – სხვა გზა არ არსებობს: ან გაძლებ, ან მოკვდები“.

კარგი აზრიაო, დაასკვნა და გამუდმებით იმეორებდა გულში ნახევრად მანტრასავით, ნახევრად საბავშვო ლექსივით, სიტყვებს გულისცემას აყოლებდა.

ადვილია, სხვა გზა არ არსებობს: ან გაძლებ, ან მოკვდები.
ადვილია, სხვა გზა არ არსებობს: ან გაძლებ, ან მოკვდები.
ადვილია, სხვა გზა არ არსებობს: ან გაძლებ, ან მოკვდები.
ადვილია, სხვა გზა არ არსებობს: ან გაძლებ, ან მოკვდები.

დრო გავიდა. მღერა გრძელდებოდა. ესმოდა, სიტყვებს ვიღაც იმეორებდა და მხოლოდ მაშინ გაჩუმდა, როცა შედოუს პირი გაუშრა და ენა დაუმძიმდა. ფეხების დახმარებით, ტანი აზიდა და ხეს რაც შეიძლებოდა მოშორდა, რომ სხეულის წონა ისე გაენაწილებინა, ფილტვების ჰაერით გავსება კვლავ მოეხერხებინა.

სუნთქავდა, სანამ ძალა არ გამოელია, მერე ისევ მოეშვა, თოკებში გაიხლართა და ხეზე ჩამოეკიდა.

როცა კრაჭუნი ატყდა – ავი, დამცინავი რაკუნი – პირი მოკუმა, ეგონა, ამ ხმას თვითონ გამოსცემდა; მაგრამ ხმაური არ შემწყდარა. „სამყარო დამცინის“, გაიფიქრა შედოუმ.

თავი გვერდზე გადაუვარდა. ხის ღეროზე რაღაცამ ჩაირბინა და მის თავთან გაჩერდა. ყურში კბილების კაწკაწით ჩასძახა ერთი სიტყვა, რომელიც ძალიან ჰგავდა „რატატოსკს“[254]. შედოუმ სიტყვის გამეორება სცადა, მაგრამ ენა სასაზე მიეწება. თავი ნელა მიატრიალა და ციყვის წვეტიან ყურებსა და მოყავისფრო-რუხ სახეს შეეჩეხა.

ახლოდან დაკვირვებისას მიხვდა, რომ თურმე ციყვები მხოლოდ შორიდან ჩანან ლამაზები. ცხოველი ვირთხას ჰგავდა და საშიშად უფრო გამოიყურებოდა, ვიდრე პაწია, ფუმფულა არსებად, რომლის მოფერება მოგინდებოდა. ბასრი კბილები ჰქონდა. იმედია, საფრთხე ან საჭმელი არ ვეგონებიო, ინატრა შედოუმ. როგორც ახსოვდა, ციყვები ხორცს არ ჭამენ... მაგრამ შედოუმ ბოლო დროს აღმოაჩინა, რომ ბევრი რამ სულ სხვანაირად ეგონა, ვიდრე სინამდვილეშია...

ჩაეძინა.

მომდევნო რამდენიმე საათის განმავლობაში ტკივილმა რამდენჯერმე გამოაღვიძა. ტკივილმა გამოაფხიზლა კოშმარიდან, რომელშიც საფლავებიდან წამომდგარი მკვდარი, თვალებგადმოკარკლული ბავშვები საყვედურობდნენ, რატომ დაგვაღალატეო. ტკივილმა გამოაფხიზლა მეორე სიზმრიდან, რომელშიც ნისლიდან მისკენ სქელბეწვიანი მამონტი მოალაჯებდა, მაგრამ... წამით გაეღვიძა, მის სახეზე ობობა ლამობდა აცოცებას, თავი გააქნია და დააფრთხო თუ ძირს ჩააგდო მწერი... უეცრად მამონტი სპილოსთავიან კაცად გადაიქცა, ღიპი გადმოჰბეროდა და ცალი ეშვი მოსტეხოდა, შედოუსკენ ვეებერთელა თაგვზე ამხედრებული მოდიოდა[255]. სპილო-კაცმა აპრეხილი ხორთუმი შედოუსკენ გაიშვირა და უთხრა: – ჩემთვის რომ მანამ მოგეხმო, სანამ ამ გზას დაადგებოდი, მრავალ სირთულეს აიცილებდი თავიდან.

შემდეგ სპილო-კაცმა აიყვანა თაგვი, რომელიც შედოუსთვის აუხსნელი გზებით დაპატარავდა, ოღონდ ისე, რომ ზომა საერთოდ არ შეუცვლია, და ერთი თითებმორკალული ხელიდან სხვა ხელებში გადაახტუნა; პაწია ყავისფერი არსება ხელისგულიდან ხელისგულზე მიცუხცუხებდა და, როცა სპილოსთავიანმა კაცმა ოთხივე მუჭი გაშალა, შედოუს სულაც არ გაჰკვირვებია, რომ თაგვი არც ერთზე აღარ იჯდა. სპილო-კაცმა უცნაური, მსუბუქი მოძრაობით გააქნია ოთხივე მკლავი და შედოუს არაფრისმთქმელი გამომეტყველებით შეხედა.

– ხორთუმშია, – უთხრა მას შედოუმ, რომელმაც კუდის ნესტოში გაუჩინარების დანახვა მოასწრო.

სპილო-კაცმა ვეებერთელა თავი დაუქნია და უთხრა: – დიახ, ხორთუმშია. მრავალი რამ დაგავიწყდება, მრავალ რამეს გასცემ და დაკარგავ, მაგრამ ეს არ დაკარგო.

ამ დროს გაწვიმდა და შედოუს ისევ გაეღვიძა. აკანკალებული და გაწუწული, ღრმა ძილიდან წამში გამოერკვა. კიდევ უფრო მაგრად აკანკალდა, ისე მაგრად, რომ შედოუს შეეშინდა: ყოველი მომდევნო გაჟრჟოლება წინაზე ძლიერი იყო – მსგავსი რამ ვერც კი წარმოედგინა. თავს გაჩერებას აიძულებდა, მაგრამ ცახცახს მაინც ვერ წყვეტდა, კბილები უკაწკაწებდა და ხელ-ფეხი შეუკავებლად უტოკავდა. მთელი სხეული გაუსაძლისად ეწვოდა, თითქოს უხილავი დანა ჩხვლეტდა და სერავდა.

პირი გააღო დახეთქილი ტუჩებისა და გამშრალი ენის წვიმის წვეთებით დასასველებლად. წვიმას უკვე გაელუმპა თოკები, რომლებითაც შედოუ ხის ღეროზე იყო მიბმული. კაშკაშა გაელვებამ თვალი მოსჭრა და სამყარო გამოსახულებებისა და ნარჩენი გამოსახულებების მკვეთრ პანორამად გადააქცია. მერე დაიქუხა, ქუხილის ექო გრგვინვად გავრცელდა და წვიმა გაძლიერდა. წვიმასა და ღამეში ცახცახი შეუწყდა; ტკივილი და წვა გაუყუჩდა. შედოუს აღარ სციოდა, უფრო სწორად, ახლა მხოლოდ სიცივეს გრძნობდა, მაგრამ სიცივე მის ნაწილად იქცა, სიცივე შედოუს ეკუთვნოდა და შედოუ – სიცივეს.

ხეზე ეკიდა. ცას დაკლაკნილი ელვა სერავდა, ქუხილი კი ყველგან მსუფევ გუგუნად გადაიქცა, მხოლოდ დროდადრო გაისმოდა ჭექა და მეხის გავარდნა, თითქოს სადღაც შორს, სიბნელეში, ბომბები ფეთქდებოდა. შედოუს ქარი ექაჩებოდა, ხიდან მის მოწყვეტას ლამობდა, ატყავებდა, მის ძვალ-რბილში ატანდა; და ამ შუა ავდარში შედოუმ გულის სიღრმეში იგრძნო, რომ ნამდვილი ქარიშხალიც ამოვარდა და ვერავინ – ვერც ძველი და ახალი ღმერთები, ვერც სულები და ზებუნებრივი ძალები, ვერც ჩვეულებრივი კაცები და ქალები – ვერაფერს იზამდა. ყველას ერთადერთი გზა დარჩა: როგორმე ქარიშხლისთვის გაეძლო...

მაშინ შედოუ მოულოდნელმა სიხარულმა მოიცვა და ახარხარდა, შიშველ კანზე წვიმის წვეთები წურწურით სდიოდა, ელავდა და ისე ძლიერ ქუხდა, საკუთარი ხარხარი ძლივს ესმოდა. იცინოდა და უხაროდა.

თავი ცოცხლად იგრძნო. ცხოვრებაში პირველად იგრძნო თავი ასე ცოცხლად.

ახლა რომ მოვკვდე, აქ, ამ ხეზე მიბმული, სიცოცხლე სრულყოფილებისა და სიგიჟის ამ ერთი წამისთვისაც ღირდაო, გაიფიქრა მან.

– ეი! – დაუყვირა ქარიშხალს, – ეი! ეს მე ვარ! აქ ვარ!

შიშველ მხარსა და ხის ღეროს შორის ცოტაოდენი წყალი დააგროვა და თავი მიატრიალა წვიმის წყლის შესახვრეპად. წყალი დალია და ისევ ახარხარდა, იცინოდა გახარებული და ბედნიერი და არა როგორც გიჟი; იცინოდა, სანამ ძალა არ გამოელია და უღონოდ არ ჩამოეკიდა.

ხის ძირას წვიმამ ზეწარი ნაწილობრივ გაამჭვირვალა, გადასწია და შედოუმ უენზდეის უსიცოცხლო, ფერდაკარგული ხელი და მისი თავის მოხაზულობა გაარჩია. ტურინის სუდარა[256] და კაიროში ტურელის მაგიდაზე გაჭრილი გოგოს ცხედარი გაახსენდა და სიცივის მიუხედავად, თავი მყუდროდ და თბილად იგრძნო, ხის ქერქს ისე მიეყუდა, თითქოს ფაფუკი ლეიბი ყოფილიყოს და ისევ დაიძინა. ამჯერად კოშმარებს აღარ შეუწუხებია.

მეორე დილას ყველაფერი სტკიოდა. ტკივილი მხოლოდ იმ ადგილებით აღარ შემოიფარგლებოდა, სადაც თოკები უჭერდა ან ხის ქერქმა კანი გადაუყვლიფა. ტკივილმა მთელი სხეული მოიცვა.

გარდა ამისა, შიოდა, ცარიელი კუჭი ეწვოდა. თავი უსკდებოდა. ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ სუნთქვა შეწყვიტა და გული გაუჩერდა. მაშინ სულს შეიგუბებდა ხოლმე, სანამ

გულისცემა ყურებში ოკეანესავით არ აუშხუილდებოდა და ზედაპირზე ამოსული მყვინთავივით არ დააფჩენდა პირს ჰაერის ჩასასუნთქად.

ეჩვენებოდა, რომ ხე ქვესკნელიდან ზესკნელამდე, ჯოჯოხეთიდან სამოთხემდე სწვდებოდა და მთელი მარადისობა ეკიდა მასზე. ყავისფერმა ქორმა შემოუფრინა ხეს, შედოუს გვერდით ჩამოტეხილ ტოტზე დაეშვა, მერე ისევ ფრთები გაშალა და დასავლეთში გაფრინდა.

განთიადზე მისუსტებული ქარიშხალი დღის განმავლობაში ისევ გაძლიერდა. ნაცრისფერ, საავდრო ღრუბლებს ცა კიდითკიდემდე დაეფარა. ჟინჟღვლა დაიწყო. ხის ძირას დასვენებული, მოტელის დალაქავებულ ზეწარში გახვეული გვამი თითქოს პატარავდებოდა, წვიმაში დატოვებული საწუწნი კანფეტივით დნებოდა.

შედოუს ხან სცხელოდა, ხან სციოდა.

როცა ჭექა-ქუხილი განახლდა, წარმოიდგინა, რომ დოლების ბრაგუნი ისმოდა; ლიტავრები ბრაგუნობდა გარეთ თუ გული – მის მკერდში, მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ტკივილს სხვადასხვაფრად აღიქვამდა: ბარის ნეონის აბრასავით წითლად, წვიმიანი ღამის შუქნიშანივით მწვანედ და ცარიელი ვიდეოეკრანივით ლურჯად.

ციყვი ხის ღეროდან შედოუს მხარზე დახტა, კანში ღრმად ჩაასო ბასრი ბრჭყალები.

– რატატოსკ! – აკაპუნდა ციყვი და ცხვირის წვერით შედოუს ტუჩებს შეეხო, – რატატოსკ, – გაიმეორა და ისევ ხეზე ისკუპა.

შედოუს მთელ ტანზე ცეცხლი ეკიდა, კანს თითქოს ნემსებით უჩხვლეტდნენ. ტკივილის გაძლება აღარ შეეძლო.

მთელი თავისი ცხოვრება ძირს, სუდარად ქცეულ მოტელის ზეწარზე გადაეშალა, სცენები თვალწინ გაუცოცხლდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: დაინახა დედამისის დაბნეული მზერა, ამერიკის საელჩო ნორვეგიაში, ლორას თვალები თავიანთი ქორწილის დღეს. ჩაიცინა და გამხმარი ტუჩები გახსნა.

– რა გაცინებს, ცუგა? – ჰკითხა ლორამ.

– ჩვენი ჯვრისწერა გამახსენდა, – უპასუხა შედოუმ, – ორგანზე დამკვრელი მოისყიდე, რომ „საქორწილო მარშის“ მაგივრად „სკუბი-დუს“ საუნდტრეკი დაეკრა, როცა საკურთხევლისკენ წამოხვიდოდი. გახსოვს?

– რასაკვირველია, მახსოვს, ძვირფასო, და დავაკვრევინებდი კიდეც, საქმეში არამკითხეებს რომ არ ჩაეყოთ ცხვირი. – ძალიან მიყვარდი, – უთხრა შედოუმ.

ტუჩებზე ლორას თბილი, სველი და ცოცხალი (და არა ცივი ან მკვდარი) ტუჩების შეხება იგრძნო და მაშინ მიხვდა, რომ ეს მორიგი ჰალუცინაცია იყო.

– აქ არ ხარ, ხომ ასეა? – ჰკითხა მას შედოუმ.

– არა, – უპასუხა ლორამ, – მაგრამ უკანასკნელად მიხმობ და შენთან მოვდივარ.

სუნთქვა გაუჭირდა. ხორცში ჩარჭობილი თოკები თავისუფალი ნებისა და მარადისობის მსგავს აბსტრაქტულ ცნებად გადაიქცა.

დაიძინე, ცუგა, – უთხრა ლორამ და თუმცა შედოუს მოეჩვენა, რომ სიტყვები თავად წარმოთქვა, მაინც დაიძინა.

მზე ტყვიისფერ ცაში კალის მონეტასავით მოჩანდა. შედოუმ თანდათან გაიაზრა, რომ ეღვიძა და სციოდა. მაგრამ მისი ის ნაწილი, რომელიც ამას აცნობიერებდა, დანარჩენი სხეულისგან თითქოს სადღაც შორს იყო. ბუნდოვნად გრძნობდა, რომ პირი გამომშრალი ჰქონდა, ყელი ჩახრინწოდა და ეწვოდა. ზოგჯერ, დღისით, ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას ხედავდა; ხანდახან მისკენ მფრენ ავტოფურგონისხელა ფრინველებს მოჰკრავდა თვალს. თუმცა მასთან არც ერთს არ მოუღწევია, არც ერთი არ შეხებია.

– რატატოსკ, რატატოსკ, – კბილების კაწკაწში საყვედურის კილო გამოერია.

ციყვი ბასრი კლანჭებით მძიმედ დაეშვა მის მხარზე და სახეში მიაშტერდა. შედოუ დაეჭვდა, ხომ არ მელანდებაო. ცხოველს წინა თათებში სათამაშო ფინჯანივით კაკლის ნაჭუჭი ეჭირა. ცხოველმა ნაჭუჭი შედოუს ტუჩებზე მიადო. შედოუმ წყლის სისველე იგრძნო და უნებლიეთ მოსვა პაწაწინა თასიდან. დასკდარი ტუჩები და გამშრალი ენა დაინამა. დარჩენილი რამდენიმე წვეთიც დალია.

ციყვი ხის ღეროზე გადახტა და ქვემოთ, ფესვებისკენ ჩაირბინა. რამდენიმე წამის, წუთის თუ საათის შემდეგ (შედოუს დროის სათვალავი არეოდა, რადგან გონებაში ყოველგვარი საათი გაჰფუჭებოდა და კბილანები, ჭანჭიკები და ზამბარები მიწაზე, დამჭკნარ ბალახში ეყარა) ციყვი კაკლის ნაჭუჭიანად დაბრუნდა, ფრთხილად ააცოცდა მხარზე და შედოუმ მისი მოტანილი წყალი დალია.

ტალახნარევმა წყალმა გამომწვარი ყელი გაუგრილა, დაღლილობა და სიგიჟე შეუმსუბუქა.

მესამე კაკლის ნაჭუჭის გამოცლის შემდეგ აღარ სწყუროდა.

გაიბრძოლა, თოკები მოქაჩა, სხეული მოადუნა, ძირს ჩასვლა, გათავისუფლება, გაქცევა სცადა. ამოიკვნესა.

თოკები მსხვილი იყო და კარგად გაეკვანძათ, შედოუმ მათ ვერაფერი დააკლო და მალე ისევ გამოელია ძალ-ღონე.

ამ სიგიჟის ჟამს შედოუ ხედ გადაიქცა. ფესვები ღრმად გაიდგა ნიადაგში, წარსულში, მალულ წყაროებში. მიაგნო წყაროს, რომელიც ეკუთვნოდა ქალს, სახელად ურდის, რაც „წარსულს“ ნიშნავს. ქალი მიწისქვეშა მთისოდენა ბუმბერაზი იყო და დროის წყლებს იცავდა. სხვა ფესვები სხვა ადგილებს მისწვდა. ზოგიერთი ადგილი საიდუმლო იყო. მწყურვალი შედოუ ფესვებიდან ექაჩებოდა წყალს, ექაჩებოდა და თავის სხეულს ასაზრდოებდა.

ასი ხელი ჰქონდა, ას ხელს ასი ათასი თითი ესხა და ასი ათასი თითი ზეცას სწვდებოდა. ცის სიმძიმე მხრებზე აწვებოდა.

–

მდგომარეობა არ შემსუბუქებია, მაგრამ ტკივილი უკვე ხეზე მიბმულ ადამიანს აწუხებდა და არა ხეს, ჭკუაშერყეული შედოუ ახლა ხეზე მიბმულ ადამიანზე ბევრად მეტი იყო. შედოუ იყო ხე და შედოუ იყო ქარი, რომელიც ამ ხის შიშველ ტოტებს არხევდა; შედოუ იყო ნაცრისფერი ცა და სქელი ღრუბლები; შედოუ იყო ციყვი რატატოსკი, რომელიც უღრმესი ფესვებიდან უმაღლეს ტოტებამდე არბოდა; შედოუ იყო მრისხანეთვალა ქორი, რომელიც ხის კენწეროდან გადაჰყურებდა სამყაროს; შედოუ იყო მატლი, რომელიც ხეს გულს უხრავდა.

ცაში ვარსკვლავები კიაფობდა. შედოუ ასი ხელით კრეფდა მოკიაფე ვარსკვლავებს, მუჭიდან მუჭში გადაჰქონდა, მალავდა და აქრობდა...

ტკივილითა და სიგიჟით შეპყრობილს წამით გონება გაუნათდა: ზედაპირზე ამოყვინთა. იცოდა, რომ გონება მალე ისევ დაებინდებოდა. დილის მზე თვალებს უჭრელებდა. თვალები დახუჭა. სამწუხაროდ, მზის მოჩრდილვა არ შეეძლო. დასასრულამდე ცოტაღა რჩებოდა – ესეც იცოდა.

როცა თვალები ხელახლა გაახილა, შედოუმ შეამჩნია, რომ იქვე, ხის ტოტზე, ახალგაზრდა კაცი იჯდა.

მას მუქი ყავისფერი კანი, მაღალი შუბლი და ხუჭუჭა, შავი თმა ჰქონდა. ზუსტად შედოუს თავზემოთ ჩამომჯდარიყო. თუ კისერს წაიგრძელებდა, შედოუ მას მშვენივრად ხედავდა. კაცს მზერაზე ეტყობოდა, რომ შეშლილი იყო.

– შიშველი ხარ, – უთხრა შეშლილმა კაცმა გაბზარული ხმით, – მეც შიშველი ვარ.

– ვხედავ, – ამოიჩხავლა შედოუმ.

შეშლილმა კაცმა ჩამოხედა, შემდეგ თავი მიატრიალ-მოატრიალა, თითქოს დაჭიმული კისრის მოდუნებას ცდილობდა. კარგა ხნის შემდეგ ჰკითხა: – მიცნობ?

– არა, – უპასუხა შედოუმ.

– მე გიცნობ. კაიროში გაკვირდებოდი. შემდეგაც გაკვირდებოდი. ჩემს დას მოსწონხარ...

– შენ... – სახელის გასახსენებლად ტვინი მოიჩხრიკა შედოუმ. „გზაზე გასრესილი ნადირ-ფრინველის ლეშით იკვებება. ჰო“, – შენ ჰოროსი ხარ. შეშლილმა კაცმა თავი დაუქნია.

– ჰოროსი, – თქვა მან, – მე ვარ დილის შავარდენი და შუადღის ქორი. მე მზე ვარ, ისევე როგორც შენ. რას[257] ჭეშმარიტი სახელი ვიცი. დედაჩემმა მითხრა.

– კარგია, – თავაზიანად უთხრა შედოუმ. შეშლილი კაცი გაჩუმდა, მიწას დაჟინებით დააშტერდა და უცებ ხის ტოტიდან ჩახტა.

ქორი ქვასავით დაეშვა მიწისკენ და რამდენიმე წამში ფრთების მძიმე ქნევით ისევ ამოფრინდა, ბრჭყალები ბაჭიისთვის ჩაევლო. ამჯერად შედოუს გვერდით ჩამოსკუპდა ტოტზე.

– გშია?

– არა, – უპასუხა შედოუმ, – წესით, უნდა მშიოდეს, მაგრამ არ მშია.

მე მშია, – თქვა შეშლილმა კაცმა, ბაჭია გაგლიჯა, ტყავი შემოაფლითა და ხორცის თქვლეფა დაიწყო. ბოლოს ტყავი და გამოხრული ძვლები ძირს ჩაყარა. შედოუსთან უფრო ახლოს გადმოინაცვლა, ახლა მისგან ხელის გაწვდენაზე იჯდა. გადმოიხარა და შედოუ თავით ფეხებამდე მოურიდებლად, ყურადღებით შეათვალიერა. ნიკაპსა და მკერდზე დაწვეთებული ბაჭიის სისხლი ხელით ჩამოიწმინდა. შედოუმ იგრძნო, რომ რაღაც უნდა ეთქვა.

– რაო? – ჰკითხა შეშლილს.

– არაფერი, – უპასუხა მან, ტოტზე წამოდგა და ზემოდან გადააფსა მინდორზე. მუქი შარდის რკალისებური ნაკადი კარგა ხანს არ გამწყდარა. როცა მორჩა, ისევ ტოტზე ჩაცუცქდა.

– რას გიწოდებენ? – ჰკითხა ჰოროსმა.

– შედოუს, – უპასუხა შედოუმ. ჰოროსმა თავი დააქნია.

– ხარ კიდეც. მე სინათლე ვარ, – თქვა მან, – ყველაფერი, რაც არსებობს, ჩრდილს ჰფენს, – და დაამატა: – მალე იბრძოლებენ. დავინახე, როგორ გროვდებიან. მაღლა, ცაში დავფრინავდი და იმათ ვერ შემამჩნიეს, თუმც კი ზოგიერთს მახვილი თვალი აქვს.

შემდეგ შეშლილმა კაცმა ჰკითხა: – კვდები, არა?

მაგრამ შედოუს ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა. ყველაფერი ძალიან შორეული ჩანდა. ქორმა ფრთები გაშალა და დილის ნიავს ტრიალ-ტრიალით აჰყვა ცაში.

მთვარის შუქი.

შედოუმ ისე მწარედ დაახველა, მთელი სხეული აუთრთოლდა და მკერდი და ყელი ტკივილმა გაუმსჭვალა. სულშეხუთულმა ამოიხროტინა.

– ცუგა, – ქვემოდან ნაცნობი ძახილი მოესმა.

ძირს ჩაიხედა.

მთვარე ხის ტოტებს შორის ანათებდა და ირგვლივ ყველაფერი დღესავით ნათლად მოჩანდა. მთვარის შუქზე ქალი იდგა. მისი სახე მკრთალ ოვალს ჰგავდა.

– გამარჯობა, ცუგა, – მიესალმა ქალი.

შედოუს პასუხის გაცემა უნდოდა, მაგრამ ამის ნაცვლად ხველა აუტყდა. კარგა ხანს ვერ მოითქვა სული.

–

– იცი, ცუდად ახველებ, – შენიშნა ლორამ. – გამარჯობა, ლორა, – ამოიხრიწინა შედოუმ. ლორამ უსიცოცხლო თვალებით ამოხედა და გაუღიმა.

– როგორ მიპოვე? – ჰკითხა შედოუმ.

ლორა ცოტა ხანს ჩუმად იდგა მთვარის შუქზე. შემდეგ თქვა: – შენ ერთადერთი ხარ, ვინც სიცოცხლესთან მაკავშირებს. მხოლოდ შენ დამრჩი, მხოლოდ შენ არ ხარ უფერული, პირქუში და გულგრილი. თვალებახვეული რომ ჩამაგდონ ოკეანეში, მაინც მეცოდინება, სად გიპოვო. ასი კილომეტრის სიღრმეში რომ ჩამმარხონ მიწაში, მაინც მოგაგნებ.

შედოუმ ქვემოთ, მთვარის შუქზე მდგარ ქალს დახედა და თვალები ცრემლებით გაევსო.

– თოკებს გადავჭრი და ჩამოგხსნი, – უთხრა ლორამ, – ისე, მგონი, ბოლო დროს შენი გადარჩენის მეტს არაფერს ვაკეთებ, არა? შედოუმ ისევ დაახველა.

– არა, აქ დამტოვე, – უპასუხა ცოლს, – ეს უნდა გავაკეთო. ლორამ ამოხედა და თავი გააქნია.

– გაგიჟებულხარ, – თქვა მან, – მანდ მოკვდები, ან დასახიჩრდები, თუ უკვე არ დასახიჩრებულხარ.

– შეიძლება, – უთხრა შედოუმ, – მაგრამ სამაგიეროდ ცოცხალი ვარ.

– ჰო, – ფიქრიანად დაეთანხმა ლორა, – მგონი, ცოცხალი ხარ.

– გახსოვს, სასაფლაოზე რა მითხარი?

– ეგ თითქოს ძალიან დიდი ხნის წინ იყო, ცუგა, – უპასუხა ლორამ, – აქ თავს უკეთ ვგრძნობ. იმდენად აღარ მტკივა. ხვდები, რას ვგულისხმობ? ისეთი გამომშრალი ვარ.

ქარმა დაუბერა და ლორას სუნი – დამპალი ხორცის, ხრწნისა და ავადმყოფობის უსიამოვნო, გულისამრევი სიმყრალე – ზემოთ ამოიტანა.

– სამსახურიდან გამომიშვეს, – უთხრა ლორამ, – ღამის ცვლაში ვმუშაობდი, მაგრამ კლიენტებმა იჩივლეს. კი ვუთხარი, ავად ვარ-მეთქი, მაგრამ მიპასუხეს, არ გვაინტერესებსო. მწყურია.

– წყალი ქალებს ექნებათ, – უთხრა შედოუმ, – სახლში.

– ცუგა... – ლორას შეშინებული ხმა ჰქონდა.

– მიდი... მიდი და ჩემი სახელით სთხოვე, წყალი დაგალევინონ. შედოუს ქვემოდან თეთრი სახე მოაშტერდა.

– უნდა წავიდე, – თქვა ქალმა, შუბლი შეჭმუხნა, დაახველა და ბალახზე რაღაცის თეთრი გუნდა ამოახველა. ძირს დავარდნისას, ის რაღაც გაიშალა და კლაკნა-გრეხით გაცოცდა განზე. შედოუ ძლივსღა სუნთქავდა. მკერდი დაუმძიმდა, თავს უღონოდ აკანტურებდა.

– დარჩი, – თითქმის ჩურჩულით ამოილაპარაკა მან და დაეჭვდა, ლორას გავაგებინე თუ არაო, – გთხოვ, არ წახვიდე, – ისევ ხველა აუტყდა, – ამაღამ დარჩი.

ცოტა ხანს დავრჩები, – დაჰპირდა ლორა და როგორც დედამ ბავშვი, ისე დაამშვიდა, – სანამ მე აქ ვარ, ვერავინ ვერაფერს დაგიშავებს, ხომ იცი?

შედოუმ კიდევ ერთხელ დაახველა. თვალები დახუჭა – მხოლოდ ერთი წამითო, თვითონ ასე ეგონა, მაგრამ როცა ისევ გაახილა, მთვარე უკვე ჩასულიყო და ლორაც აღარსად ჩანდა.

თავი უსკდებოდა, ამასთან შედარებით, შაკიკი მონაგონი იყო, ამას ჩვეულებრივი ტკივილი აღარ ერქვა. ყველაფერი პაწაწინა პეპლებად დაიშალა, გარს ჭრელი მტვრის ნამცეცებივით შემოეხვია და ღამის სიბნელეში აორთქლდა.

დილის ქარი ხის ძირას დასვენებული ცხედრის თეთრ სუდარას ტყლაშუნით აფრიალებდა.

თავში გუგუნი ოდნავ დაუცხრა. ყველაფერი შენელდა. სუნთქვის გაგრძელების არანაირი მიზეზი აღარ დარჩა. მკერდში გულმა ძგერა შეწყვიტა.

ამჯერად უკუნ წყვდიადში ჩაეფლო, რომელშიც მხოლოდ ერთი ვარსკვლავი ციმციმებდა, და ამ წყვდიადით დასასრული დადგა.

მეთექვსმეტე თავი

ვხედავ, ეს თამაში ჩაწყობილია, მაგრამ ქალაქში სხვაგან არსად თამაშობენ.
ბილ ჯოუნსი „კანადელი“

ხე გაქრა. მთელი სამყარო გაქრა. დილის მოღრუბლული ცაც გაქრა. ცას ახლა შუაღამის ფერი ედო. ერთადერთი ვარსკვლავი ციმციმებდა ცივად. შედოუმ ნაბიჯი გადადგა წინ და კინაღამ წაიქცა.

ძირს დაიხედა. კლდეში საფეხურები იყო გამოკვეთილი, იმხელა საფეხურები, თითქოს უხსოვარ დროს გოლიათებს გამოეჭრათ კლდიდან ჩასასვლელად.

საფეხურიდან საფეხურზე ხტუნვით დაეშვა. მთელი ტანი სტკიოდა, მაგრამ ეს უძრაობით გამოწვეული ტკივილი იყო და არა ხეზე ჩამოკიდებული და წამებით დაღუპული ადამიანის ტკივილი.

სულაც არ გაჰკვირვებია, რომ ჯინსის შარვალი და თეთრი მაისური ეცვა. ფეხშიშველა იყო. დეჟა-ვუს განცდა დაეუფლა: სწორედ ასე ეცვა იმ ღამით ჩიკაგოში, ჩერნობოგის ბინაში, როცა ზორია პოლუნოჩნაიამ „ოდინის ურმის“ თანავარსკვლავედზე“ უამბო და ციდან მისთვის მთვარე ჩამოხსნა.

უეცრად მიხვდა, შემდეგ რაც მოხდებოდა: ზორია პოლუნოჩნაიას შეხვდებოდა.

ქალი კიბის ძირას ელოდა. მთვარე არ ანათებდა, მაგრამ ზორია პოლუნოჩნაიას მაინც მთვარის შარავანდი მოსავდა: თმა მთვარესავით მკრთალი უჩანდა. მაშინდელივით ახლაც ბამბის თხელი ღამის პერანგი ეცვა. შედოუს დანახვაზე გაიღიმა და მორცხვად თავი დახარა.

– გამარჯობა.

– გამარჯობა, – მიესალმა შედოუც.

– როგორ ხარ?

– არ ვიცი, – უპასუხა შედოუმ, – მგონი, ისევ ხეზე ვკიდივარ და მორიგ უცნაურ სიზმარს ვხედავ. რაც ციხიდან გამოვედი, სულ გიჟური რამეები მესიზმრება.

მთვარის შუქი ზორია პოლუნოჩნაიას სახეს ვერცხლისფრად ეფინებოდა, ოღონდ მუქ იისფერ ცაზე მთვარე არ ეკიდა და კიბის ძირას ის ერთადერთი ვარსკვლავიც თვალს მოჰფარებოდა. ქალი სევდიანად და უმწეოდ გამოიყურებოდა.

– შენს ყველა კითხვას პასუხი გაეცემა, თუ გნებავს, – უთხრა შედოუს, –მაგრამ როგორც კი პასუხებს შეიტყობ, მათ მეხსიერებიდან ვეღარ ამოშლი. ეს უნდა გაითვალისწინო.

– გასაგებია.

ზორია პოლუნოჩნაიას ზურგს უკან ბილიკი იტოტებოდა. შედოუ მიხვდა, რომ თავად უნდა გადაეწყვიტა, რომელ გზას გაჰყვებოდა. მაგრამ მანამდე ერთი რამ ჰქონდა გასაკეთებელი. ჯინსის შარვლის ჯიბეში ხელი ჩაიყო და შვებით ამოისუნთქა, როცა თითები მონეტას შეახო. ცერა დასაჩვენებელი თითებით ამოიღო 1922 წლის თავისუფლების ქანდაკების გამოსახულებიანი ვერცხლის დოლარი.

– ეს შენია, – უთხრა ზორია პოლუნოჩნაიას.

უეცრად შედოუს გაახსენდა, რომ მისი ტანსაცმელი ხის ძირას ეწყო. ქალებმა იმ ტილოს ტომარაში ჩააწყვეს, რომლიდანაც თოკები ამოიღეს, თავი მოუკრეს და ყველაზე მაღალმა დამ ტომარას ქვა დაადო, ქარს რომ არ წაეღო. ამგვარად, სინამდვილეში, ვერცხლის ერთდოლარიანი იმ ტომარაში ჩაგდებულ ჯინსის შარვალში იდო. მიუხედავად ამისა, ქვესკნელის შესასვლელთან მდგარი, ხელისგულზე მონეტის სიმძიმეს გრძნობდა. ზორია პოლუნოჩნაიამ წვრილი თითებით აიღო მონეტა შედოუს ხელისგულიდან.

– გმადლობ. ამან უკვე ორჯერ მოგაპოვებინა თავისუფლება, – თქვა მან, – ახლა კი ბნელ ადგილებშიც გაგინათებს გზას.

ზორია პოლუნოჩნაიამ მონეტა მუჭში ჩამალა, ხელი რაც შეიძლებოდა მაღლა ასწია და მუჭი გაშალა. შედოუ მიხვდა, რომ ეს მორიგი სიზმარი იყო, რადგან, ძირს დავარდნის ნაცვლად, მონეტა შედოუს თავზემოთ, ოცდაათი სანტიმეტრის სიმაღლეზე ჰაერში ატივტივდა. ოღონდ ის ვერცხლის მონეტა აღარ იყო, თავისუფლების ქანდაკების თავი და მისი ქიმებიანი გვირგვინი გაქრა და მათ ადგილას შედოუმ ზაფხულის ცაზე დაკიდებული მთვარის გაურკვეველი სახე დაინახა, სახე, რომელიც მხოლოდ მანამ ჩანს, სანამ მთვარეს ყურადღებით არ დააკვირდები და ის, რაც სახე გგონია, შუქჩრდილების უწესრიგო მონაცვლეობად არ გადაიქცევა.

შედოუ დაეჭვდა, ჩემ თავზემოთ, ოცდაათი სანტიმეტრის სიმაღლეზე მოტივტივე მონეტისოდენა მთვარეს ვუყურებ თუ მრავალი ათასი კილომეტრის სიმაღლეზე დაკიდებულ წყნარი ოკეანისოდენა მთვარესო. ისე, ამ ორ ცნებას შორის არანაირი განსხვავება არ იყო. ალბათ ყველაფერი პერსპექტივის საკითხია – რას საიდან და როგორ შეხედავ. შედოუმ განტოტვილი ბილიკისკენ გაიხედა.

– რომელი ბილიკი ავირჩიო? – ჰკითხა ზორია პოლუნოჩნაიას, – რომელია უსაფრთხო?

– თუ ერთს აირჩევ, მეორეს ვეღარ გაუყვები, – უპასუხა ქალმა, – მაგრამ არც ერთი არაა უსაფრთხო. რომელი გზა გირჩევნია – მწარე სიმართლეთა თუ საამო სიცრუეთა? შედოუ შეყოყმანდა.

– სიმართლეთა, – თქვა მან, – ამსიშორეზე სიცრუისთვის არ მოვსულვარ.

ზორია პოლუნოჩნაიამ ნაღვლიანად შემოხედა.

– ყველაფერს თავისი ფასი ადევს.

– მზად ვარ, გადავიხადო, – უთხრა შედოუმ.

– შენი სახელი, შენი ნამდვილი სახელი უნდა მომცე, – უთხრა ზორია პოლუნოჩნაიამ.

– როგორ?

– აი, ასე, – ქალმა კოხტა თითებიგამოიშვირა, შედოუს შუბლზე შეახო, კანქვეშ, თავში ღრმად შეუყო და მოაფათურა. შედოუმ თავსა და ზურგში ჩხვლეტა იგრძნო. როცა შედოუს თავიდან ხელი გამოიღო, ზორია პოლუნოჩნაიას საჩვენებელი თითის წვერზე, როგორც სანთელზე, ალი ენთო, ოღონდ მაგნიუმივით თეთრად მოკაშკაშე ალი.

– ეს ჩემი სახელია? – ჰკითხა შედოუმ. ქალმა ხელი მომუჭა და ალი ჩაქრა.

– იყო, – უპასუხა ზორია პოლუნოჩნაიმ, შემდეგ ხელით მარჯვენა ბილიკზე ანიშნა, – ჯერ იქით წადი.

უსახელო შედოუ მთვარის შუქზე მარჯვენა ბილიკს გაუყვა. ზორია პოლუნოჩნაიასთვის მადლობის გადასახდელად უკან რომ მიტრიალდა, წყვდიადის მეტი ვერაფერი დაინახა. იფიქრა, მიწის ქვეშ ვარო, მაგრამ ზევით რომ აიხედა, სიბნელეში მოციმციმე პაწია მთვარე დაინახა. კუთხეში შეუხვია.

ეს თუ საიქიოა, „კლდეზე მდგარ სახლს“ – ნახევრად დიორამას, ნახევრად კოშმარს – ძალიან ჰგვანებიაო, გაიფიქრა.

პატიმრის ლურჯი უნიფორმით შემოსილ თავის თავს შეჰყურებდა ციხის უფროსის კაბინეტში, როცა ციხის უფროსმა აუწყა, ლორა ავარიაში დაიღუპაო. თავისი გამომეტყველება დაინახა – იმ კაცივით გამოიყურებოდა, რომელსაც მთელმა მსოფლიომ ზურგი შეაქცია. ამ სიშიშვლისა და შიშის დანახვამ გული დასწყვიტა. ნაბიჯს აუჩქარა, ციხის უფროსის ნაცრისფერი ოთახიდან გავიდა და იგლ-პოინტის გარეუბანში მდებარე ვიდეომაგნიტოფონების შესაკეთებელ სახელოსნოში აღმოჩნდა. სამი წლის წინ. დიახ.

სახელოსნოში ლარი პაუერსსა და ბ. ჯ. უესტს სასტიკად სცემდა და მათთვის მუშტების ხათქუნში თითებს იყვლეფდა. ძალიან მალე სახელოსნოდან ოცდოლარიანებით სავსე ყავისფერი პარკით გავა. ამ ფულის მოპარვაში ვერასდროს დაადანაშაულებენ, რადგან ეს ისედაც შედოუს წილი იყო. იმ ორ ნაბიჭვარს ჭკუა ასწავლა იმისთვის, რომ მას და ლორას გადაგდება მოუნდომეს. შედოუ მხოლოდ მანქანის საჭესთან იჯდა, მაგრამ მან თავისი საქმე გააკეთა, ისე მოიქცა, როგორც ლორამ სთხოვა...

სასამართლოში ბანკის ძარცვა არავის უხსენებია, მიუხედავად იმისა, რომ ალბათ ყველას ძალიან ენდომებოდა. რახან დაბეზღება ვერავინ გაბედა, პროკურორმა მხოლოდ პაუერსისა და უესტის ფიზიკურ შეურაცხყოფაში დაადანაშაულა. მან დაზარალებული პირებისთვის საავადმყოფოში გადაყვანისას გადაღებული ფოტოები წარმოადგინა. შედოუს სასამართლო პროცესზე თავი წესიერად არ დაუცავს. თვითონ ასე ერჩია. ვერც პაუერსმა და ვერც უესტმა ვერ „გაიხსენეს“, ჩხუბი რის გამო ატყდა, მაგრამ ორივემ აღიარა, რომ მათ თავს შედოუ დაესხა. ფულზე სიტყვა არავის დაუძრავს. არც ლორას სახელი წამოსცდენია ვინმეს – შედოუს მეტი არც არაფერი უნდოდა.

ნეტავ საამო სიცრუეთა ბილიკზესვლა ხომ არ აჯობებდაო, დაეჭვდა შედოუ. იქაურობას მოსცილდა და ქვიანი ბილიკით მივიდა ოთახამდე, რომელიც საავადმყოფოს პალატას ჰგავდა. დიახ, ჩიკაგოს სახელმწიფო საავადმყოფოს პალატა იყო. შედოუს ცრემლი ყელში მოებჯინა. გაჩერდა. იქ შესვლა არ უნდოდა. წინ ნაბიჯის გადადგმის სურვილი აღარ ჰქონდა.

პალატაში ხელახლა კვდებოდა დედამისი, როგორც მაშინ, როცა შედოუ თექვსმეტი წლის იყო. დიახ, აი, აგერ საწოლთან ზის ზორბა, მოუქნელი, თექვსმეტი წლის ბიჭი, რომლის ღია ყავისფერი სახე მუწუკებს დაუფარავს. ბიჭს მომაკვდავი დედის ცქერის თავი არ აქვს, რბილყდიან სქელ წიგნს კითხულობს. ნეტავ რა წიგნიაო, დაინტერესდა შედოუ და უფრო ახლოს მივიდა უკეთ დასანახად. საწოლსა და სკამს შორის დადგა, ხან დედას უმზერდა, ხან დიდ ბიჭს, სკამზე მხრებში მოხრილი რომ იჯდა. ბიჭს თომას პიჩონის „გრავიტაციის ცისარტყელაში“ ჩაერგო ცხვირი და დედის სიკვდილს ბლიცისდროინდელ[258] ლონდონში გაურბოდა, მაგრამ წიგნის გამონაგონი სიგიჟე არც გაქცევის საშუალებას აძლევდა და არც ამშვიდებდა.

მორფინით გაყუჩებულ დედამისს თვალები დაეხუჭა: ის, რაც მას ნამგლისებრუჯრედოვანი ანემიის მორიგი კრიზისი, ტკივილის მორიგი გასაძლები შეტევა ეგონა, როგორც მეტისმეტად დაგვიანებით დაადგინეს, სინამდვილეში ლიმფომა აღმოჩნდა. ქალის კანს მოლიმონისფრო-რუხი ელფერი დაჰკრავდა. ჯერ ორმოც წლამდეც არ მიეღწია, მაგრამ ბევრად ხნიერად გამოიყურებოდა.

შედოუს საკუთარი თავის, თექვსმეტი წლის ბიჭის შენჯღრევა მოუნდა. როგორმე უნდა ეიძულებინა იგი დედას მოჰფერებოდა, რამე ეთქვა მისთვის; რამე მაინც ექნა, სანამ საბოლოოდ ხელიდან გამოეცლებოდა დედა. მაგრამ თავის თავს ვერ შეეხო და ბიჭმაც კითხვა განაგრძო. და, აი, ასე მოკვდა დედამისი, როცა შედოუ მის გვერდით იჯდა და სქელ წიგნს კითხულობდა.

მას შემდეგ შედოუმ თითქმის სულ შეწყვიტა კითხვა. გამოგონილ ამბებს აღარ ენდობოდა. რა ხეირია ყრია წიგნში, თუ ასეთი რამეებისგან ვერ დაგიცავს?

შედოუმ საავადმყოფოს პალატა უკან მოიტოვა და დაკლაკნილი დერეფნით მიწის წიაღში კიდევ უფრო ღრმად ჩაეშვა.

ისევ დედას ხედავს და თვალებს არ უჯერებს, ისეთი ახალგაზრდაა, ოცდახუთი წლისაც არ იქნება და ავადმყოფობის გამო სამსახურიდან ჯერ არ დაუთხოვიათ. თავიანთ ბინაში არიან, რომელიც საელჩომ დაიქირავა რომელიღაც ჩრდილოევროპულ ქვეყანაში. შედოუ აქეთ-იქით იყურება, იქნებ ისეთი რამ ნახოს, რაც ორიენტირებაში დაეხმარება. თვითონ ჯერ კიდევ პატარა ბიჭია დიდი ნაცრისფერი თვალებითა და სწორი შავი თმით. კამათობენ. შედოუს რომც არ ესმოდეს, ისედაც იცის, რას გაიძახიან, რადგან ყოველთვის ერთსა და იმავე რამეზე დავობდნენ ხოლმე.

– მამაჩემის შესახებ მომიყევი.

–

– მამაშენი მოკვდა. მასზე ნურაფერს მეკითხები.

– კი, მაგრამ ვინ იყო?

– დაივიწყე მამაშენი. მოკვდა, ცოცხალი აღარაა, დიდი არაფერი დაგიკარგავს.

მისი სურათის ნახვა მინდა.

– მისი სურათი არ მაქვს, – უპასუხებდა ხოლმე დედა და, განრისხებული, ხმას უდაბლებდა. შედოუმ იცოდა, თუ შეკითხვებით თავს ძალიან მოაბეზრებდა, დედა აყვირდებოდა და შეიძლებოდა, სილაც გაეწნა. შედოუმ ისიც იცოდა, რომ შეკითხვების დასმას ვერ შეწყვეტდა; ამიტომ მიტრიალდა და გვირაბში წინსვლა განაგრძო.

ბილიკი გაუთავებლად მიიკლაკნებოდა, წინ და უკან უხვევდა და ირკალებოდა – შედოუ ბილიკს გონებაში სულ გველებს, ერთმანეთში ახლართულ ნაწლავებსა და ხის ღრმად გადგმულ ფესვებს ადარებდა. მარცხნივ გუბურა დაინახა, რომელშიც საიდანღაც, გვირაბის ბოლოდან, წყალი წანწკარით ჩაედინებოდა, მაგრამ სარკისებურ ზედაპირს ძლივს არხევდა. შედოუ მუხლებზე დადგა, წყალი მუჭით ამოიღო, პირთან მიიტანა და ხარბად შესვა. მერე ისევ გზა განაგრძო, სანამ ბრჭყვიალა დისკო-ბურთის ქვეშ, საცეკვაო მოედანზე არ დადგა ფეხი: თითქოს სამყაროს ცენტრში აღმოჩნდა, ყველა ვარსკვლავი და პლანეტა მის ირგვლივ ტრიალებდა, თვითონ კი არაფერი ესმოდა, არც მუსიკა და არც ღამის კლუბში შეკრებილთა ხმამაღალი საუბრები, გაშეშებული იდგა და უყურებდა ქალს, რომელიც ძალიან ჰგავდა დედამისს, ოღონდ ასეთი ახალგაზრდა არასდროს ენახა, თითქმის მოზარდივით გამოიყურებოდა... დედამისი ცეკვავდა.

შედოუს ოდნავაც არ გაჰკვირვებია, როცა მასთან მოცეკვავე კაცი იცნო. ოცდაცამეტ წელიწადში ის დიდად არ შეცვლილა.

შედოუმ ერთი შეხედვით შეატყო დედამისს სიმთვრალე. ალბათ ბევრი არ დაულევია, მაგრამ რახან სმას მიუჩვეველია, შესაქეიფიანებლად ესეც ეყო. დაახლოებით ერთ კვირაში გემით ნორვეგიაში გაემგზავრება. წეღან „მარგარიტას“ სვამდნენ და დედამისს ტუჩებსა და ხელის ზურგზე მარილი მიჰკრობია.

უენზდეის არც კოსტიუმი აცვია და არც ჰალსტუხი უკეთია, მაგრამ პერანგის ჯიბეზე მიმაგრებული ვერცხლის ხის ფორმის ქინძისთავი ბრწყინავს და ელვარებს, როცა ზედ შუშის ბურთის შუქი ირეკლება. უენზდეი ცუდად არ ცეკვავს; ასაკში სხვაობის გათვალისწინებით, მათზე ურიგო წყვილი სულაც არ ითქმის. უენზდეის მოძრაობაში მგლური მოხდენილობა შეინიშნება.

ნელა ირწევიან. უენზდეი დედამისს ტორივით მსხვილ ხელს წელს ქვემოთ ადებს და თავისკენ მაგრად იზიდავს. მეორე ხელით ნიკაპს აწევინებს, თვითონ მისკენ იხრება და ერთმანეთს კოცნიან აქ, საცეკვაო მოედანზე, ბრჭყვიალა ბურთის შუქით შემოფარგლულ სამყაროს ცენტრში.

მალე მიდიან. დედამისი მიბარბაცებს, უენზდეის ეყრდნობა. შედოუ სახეს ხელებში მალავს და მათ არ მიჰყვება, არ შეუძლია ან არ სურს საკუთარ ჩასახვას შეესწროს.

მოელვარე ბურთი გაქრა, ახლა მხოლოდ თავზემოთ მოციმციმე პაწაწინა

მთვარე უნათებდა გზას. სვლა განაგრძო. ერთ მოსახვევში სულის მოსათქმელად

წუთით შეჩერდა. ზურგზე ვიღაცამ ნაზად მიადო ხელი. რბილმა თითებმა

კეფაზე თმა აუჩეჩა.

– გამარჯობა, ძვირფასო, – მხარზემოდან ქალის ხრინწიანი ხმა მოესმა.

– გამარჯობა, – მიტრიალდა შედოუ.

ყავისფერთმიან და ასეთივე კანიან ქალს შეეჩეხა, მუქი თაფლისფერი თვალის გუგები გრძელ, ვიწრო ჭრილებს მიუგავდა.

– გიცნობ? – ჰკითხა შედოუმ.

– ძალიან ახლოს, – უპასუხა ქალმა და გაიღიმა, – შენს საწოლზე მეძინა ხოლმე. ჩემი ხალხი თვალს გადევნებდა, – წინ მიტრიალდა და სამად გაყოფილ ბილიკზე მიუთითა, – პირველი ბილიკით წახვალ და დაბრძენდები, მეორით წახვალ და გამთელდები, მესამით წახვალ და მოკვდები.

– მგონი, უკვე ისედაც მკვდარი ვარ, – უთხრა შედოუმ, – ხეზე მოვკვდი. ქალი

გაიბუსხა.

– მკვდრებიც არიან და მკვდრებიც, – თქვა მან, – არიან კიდევ სხვანაირი მკვდრებიც. ყველაფერი შედარებითია, – ისევ გაიღიმა, – იცი, მკვდარ ნათესავებზე შემიძლია ბევრი ვიხუმრო.

– გმადლობ, სხვა დროს იყოს, – უთხრა შედოუმ.

– აბა, საით წახვალ?

– არ ვიცი, – გამოუტყდა შედოუ.

ქალმა თავი გვერდზე გადახარა, ზუსტად კატასავით. უცებ შედოუ მიხვდა, ვინ იყო ეს ქალი და საიდან იცნობდა. იგრძნო, რომ წამოწითლდა.

– თუ მენდობი, – უთხრა ბასტეტმა, – მე აგირჩევ მიმართულებას.

– გენდობი, – უყოყმანოდ უპასუხა შედოუმ.

– გინდა, იცოდე, ეს რის ფასად დაგიჯდება?

– სახელი უკვე დავკარგე, – უთხრა მას შედოუმ.

– სახელები მიდის და მოდის. მერე, ღირდა ამად?

– კი. მგონი. იოლი არ ყოფილა. საიდუმლოები გამიმხილეს. ჩემთვის საინტერესო, პირადი ფაქტები.

– ყველა საიდუმლო პირადია, – თქვა ქალმა, – ამიტომაც არის საეჭვო.

– ვერ ვხვდები, რას გულისხმობ.

– რასაკვირველია, ვერა, – უთხრა ქალმა, – გულს გამოგართმევ, მოგვიანებით დაგვჭირდება, – ბასტეტმა მკერდში ღრმად შეუყო ხელი და ბასრი ფრჩხილებით ლალისფერი, მფეთქავი რამ გამოჰგლიჯა; ის რაღაც მტრედის სისხლის ფერი იყო და

- კამკამა სინათლისგან შედგებოდა. რიტმულად ფართოვდებოდა და იკუმშებოდა. ქალმა ხელი მომუჭა და შედოუს გული გაქრა.
- შუა გზას გაუყევი, – უთხრამან. შედოუ

შეყოვნდა.

– ნამდვილი ხარ?

ქალმა თავი ისევ გვერდზე გადახარა, სერიოზული სახით შემოხედა და არაფერი უპასუხა.

– ვინ ხარ? – ჩაეძია შედოუ, – საერთოდ, ვინ ხართ თქვენ, ხალხო?

ქალმა დაამთქნარა და კოხტა, მუქი წითელი ენა გამოუჩნდა.

– წარმოიდგინე, რომ სიმბოლოები ვართ. ჩვენ ვართ სიზმარი, რომელსაც კაცობრიობა გამოქვაბულის კედელზე მოთამაშე ჩრდილების ასახსნელად ქმნის. ახლა კი წადი, გზა განაგრძე. შენი სხეული უკვე ცივდება. ბრიყვები მთაზე გროვდებიან. წამზომი ჩართულია.

შედოუმ თავი დაუქნია და დაიძრა.

ქვის ბილიკი გაილიპა. შედოუს ფეხი უსრიალებდა და თავის შესამაგრებლად ხელებით კლდის კედელს ეყრდნობოდა. ერთგან, მკერდის სიმაღლეზე გამოშვერილ წვეტიან ქვაზე, მუშტი გადაიტყავა. ახლა პატარა მთვარეც ჰაერში მიმოფანტულ ყინულის ნამცეცებში ტივტივებდა, გარს რკალი ერტყა, მთვარის ნიმბი, და მართალია, ლამაზი იყო, შედოუს ძალიან აფერხებდა, რადგან გაბნეულ შუქში ბილიკზე სიარული უჭირდა.

როგორც იქნა, ნელ-ნელა სვლით გზაგასაყარამდე მიაღწია.

ბილიკის პირველ განშტოებას შეავლო თვალი. ის ვრცელი დარბაზისა თუ დარბაზებისკენ მიიწევდა. იქაურობა ჩაბნელებულ მუზეუმს ჰგავდა. ეცნო, ამ ადგილას ერთხელ უკვე იყო ნამყოფი, მაგრამ ზუსტად გასახსენებლად რამდენიმე წამი დასჭირდა. ჩუმი ხმების ხანგრძლივი ექოები ესმოდა. ესმოდა, როგორ ედებოდა მტვერი საგნებს.

ეს ადგილი დიდი ხნის წინ დაესიზმრა მოტელში, როცა ღამით ლორა პირველად მივიდა მასთან; ეს იყო უსასრულო მემორიალი დავიწყებული ღმერთებისა, რომელთა არსებობაც კი აღარავის ახსოვდა. უკან გადადგა ნაბიჯი.

მეორე განაპირა ბილიკთან მივიდა და წინ გაიხედა. დერეფანი „დისნეის ქვეყნის“ გვირაბს ჰგავდა: შავი „პლექსიგლასისგან“ აგებულ კედლებში ნათურები იყო ჩასმული. ფერადი ნათურების ციმციმი და ელვარება წესრიგის ილუზიას უჩენდა მნახველს, როგორც კონსოლის ნათურები ფანტასტიკური ტელესერიალების კოსმოსურ ხომალდში.

–

იქიდან ხმაც გამოდიოდა: ხმადაბალი, ყრუ გუგუნი, რომელიც მიწას ძლივს შესამჩნევად აზანზარებდა.

შედოუმ მიმოიხედა. არც ეს გზა მოეწონა. მორჩა, გადაწყდა, როგორც კატა-ქალმა მირჩია, შუათანა ბილიკს გავუყვებიო, გაიფიქრა და სწორედ იქით წავიდა.

მის თავზემოთ მთვარე მკრთალდებოდა: კიდეები გაუვარდისფრდა და თითქოს უკვე ჩასასვლელად ემზადებოდა. ბილიკი განიერ გვირაბში შედიოდა.

შედოუს არავისთან აღარაფერი ჰქონდა შესათანხმებელი ან სავაჭრო და პირდაპირ ბნელ გვირაბში შეაბიჯა. შიგნით თბილოდა, ჰაერში სველი მტვრის სუნი ტრიალებდა, როგორც ქალაქის ქუჩაში ზაფხულის პირველ ნაწვიმარზე.

შედოუს არ ეშინოდა.

აღარ ეშინოდა. შიში შედოუსთან ერთად მოკვდა ხეზე. გაუქრა შიში, ზიზღი და ტკივილი. მას აღარაფერი დარჩა, გარდა რაობისა.

შორს რაღაცამ დაიდგაფუნა და დგაფუნი სივრცეში ექოდ გავრცელდა. შედოუმ თვალები მოჭუტა, მაგრამ ვერაფერი დაინახა. ძალიან ბნელოდა. მერე იმ მხარეს, საიდანაც დგაფუნი მოისმა, მკრთალი შუქი აკიაფდა და გარემოს სილუეტი გამოიკვეთა: შედოუ მღვიმეში იყო და მის წინ წყლის სარკისებური, მშვიდი ზედაპირი გადაჭიმულიყო.

დგაფუნის ხმა მოახლოვდა და შუქი უფრო ძლიერ აციმციმდა. შედოუ ნაპირზე იცდიდა. მალე თვალსაწიერის კიდეზე ბრტყელძირიანი ნავი გამოჩნდა. ნავის ამაღლებულ ცხვირზე დამაგრებული ერთი ლამპარი თეთრ შუქს აფრქვევდა, მეორე, მისი ანარეკლი, რამდენიმე სანტიმეტრით ქვემოთ, წყლის მინისებურ ზედაპირზე ირხეოდა. ნავს ტანმაღალი ფიგურა მოაცურებდა, ხოლო დგაფუნს, შედოუს რომ ესმოდა, მიწისქვეშა ტბაში ნიჩბის მოსმა იწვევდა.

– ეი, შენ, მანდ! – დაიძახა შედოუმ. უეცრად თავისი ძახილის ექო გარს შემოერტყა: თითქოს უამრავმა ადამიანმა ერთად დაუძახა და ყველას მისი ხმა ჰქონდა. მენავემ პასუხი არ გასცა.

ტანმაღალ, გამხდარ კაცს – თუ კაცი იყო – სადა, თეთრი მანტია შემოეცვა. მანტიიდან ამოჩრილი მისი მკრთალი თავი კი ისეთ არაადამიანურ შესახედაობას აძლევდა, შედოუმ იფიქრა, უთუოდ ნიღაბი უკეთიაო: მენავეს ფრინველის პატარა თავი ედგა გრძელ კისერზე და სახიდან წვეტიანი, წაგრძელებული ნისკარტი გამოშვეროდა. შედოუს ღრმად სწამდა, რომ მოჩვენების მსგავსი ეს ფრინველისებური არსება უკვე ენახა სადღაც. გაახსენდა კიდეც, მაგრამ იმწამსვე იმედგაცრუება დაეუფლა: გააცნობიერა, რომ მენავე „კლდეზე მდგარ სახლში“, სავაჭრო ავტომატის შუშის ყუთში, ლოთის სულის გასატაცებლად საფლავის ქვის უკნიდან გამომსხლტარ ბუნდოვან, ფრინველისებურ არსებას მიამგვანა.

ნიჩბიდან და ნავის ცხვირიდან ჩამოცვენილი წყლის წვეთების წკაპუნის ექო შორს ვრცელდებოდა, ნავი ტბის მშვიდ ზედაპირს მოაპობდა და უკან მოცახცახე ჭავლს ტოვებდა. ნავი გადაბმული ლერწმის კონებით იყო აგებული.

ნავი ნაპირს მოუახლოვდა. მენავე ნიჩაბს დაეყრდნო. თავი ნელა მოატრიალა შედოუსკენ.

– გამარჯობა, – თქვა მან გრძელი ნისკარტის გაუნძრევლად. ხმა კაცისა იყო და როგორც სხვა ყველაფერი საიქიოში, შედოუს ისიც ეცნო, –ნავში გადმოდი. ვშიშობ,

ფეხი დაგისველდება, მაგრამამას არაფერი ეშველება. ნავი ძალიან ძველია, ახლოს რომ მოვიდე, ძირი გასძვრება.

შედოუმ გაიხადა ფეხსაცმელი, რომელიც, თუ ეცვა, არც კი იცოდა და წყალში შევიდა. წყალი წვივებამდე მისწვდა და როგორც კი სისველის შეგრძნებას მიეჩვია, გასაოცრად თბილი მოეჩვენა. მენავემ ხელი გამოუწოდა და ნავში აძრომაში მიეხმარა. ლერწმის ნავი ოდნავ შექანდა და გადაწონილი მხრიდან შიგ ცოტა წყალი ჩაიღვარა, მაგრამ ნავი მალევე გასწორდა.

მენავემ ნიჩაბი მოუსვა და ნაპირს მოსცილდა. შედოუ ნავში იდგა და უყურებდა. შარვლის ტოტებიდან წურწურით სდიოდა წყალი.

– გიცნობ, – უთხრა ნავის ცხვირთან მდგარ არსებას.

– დიახ, – დაუდასტურა მენავემ.

ნავის ცხვირთან დამაგრებული ზეთის ლამპარი არათანაბრად ენთო და მისმა ბოლმა შედოუს ხველა დააწყებინა.

– ჩემთვის მუშაობდი. სამწუხაროდ, ლაილა გუდჩაილდი უშენოდ მივაბარეთ მიწას.

კაცი ოდნავ მღელვარედ, მაგრამ მკაფიოდ და გასაგებად ლაპარაკობდა.

ბოლმა შედოუს თვალები აუწვა. ცალი ხელით ცრემლებს რომ იწმენდდა, მოეჩვენა, თითქოს კვამლში ტანმაღალი კაცი დაინახა. მას კოსტიუმი ეცვა და ოქროსჩარჩოიანი სათვალე ეკეთა. კვამლი გაიფანტა და მენავე ისევ წყლისფრინველისთავიან და ადამიანისტანიან არსებად გადაიქცა.

– მისტერ იბის?

– მიხარია შენი ნახვა, შედოუ, – უთხრა არსებამ მისტერ იბისის ხმით, – თუ იცი, ფსიქოპომპი რას ნიშნავს?

შედოუს სიტყვა თითქოს ეცნო, მაგრამ მნიშვნელობა ვერ გაიხსენა და თავი უარის ნიშნად გააქნია.

– „გამცილებლის“ აღმნიშვნელი გაპრანჭული ტერმინია, – აუხსნა მისტერ იბისმა, – ჩვენ ყველას უამრავი დანიშნულება, არსებობის უამრავი საშუალება გვაქვს. მაგალითად, ჩემი აზრით, მე ვარ მეცნიერი, რომელიც მყუდროდ ცხოვრობს, მოთხრობებს წერს და ოცნებობს არსებულ ან არარსებულ წარსულზე. ყოველ შემთხვევაში, მე თავი ასეთად წარმომიდგენია. თუმცა, მე, შენს მრავალ ბოლოდროინდელ მეგობართა მსგავსად, აგრეთვე გამაჩნია სხვა უნარიც, სხვა დანიშნულებაც. მე ცოცხლებს მკვდართა სამყაროში მივაცილებ.

– მეგონა, ეს იყო მკვდართა სამყარო.

– სულაც არა. ამას შესავალს უფრო ვუწოდებდი.

ნავი მიწისქვეშა ტბის სარკისებურ ზედაპირზე მისრიალებდა. ნავის ცხვირთან მდგარი ფრინველისთავიანი არსება წინ იყურებოდა. შემდეგ მისტერ იბისმა ნისკარტის გაუნძრევლად თქვა: – ადამიანები ცოცხლებსა და მკვდრებზე ისე საუბრობთ, თითქოს სიკვდილი და სიცოცხლე ურთიერთგამომრიცხავი კატეგორიები იყოს. თითქოს არ შეიძლება მდინარე იმავდროულად გზაც იყოს, ხოლო სიმღერა – ფერი.

– მერედა, მართლაც ასე არაა? – გაიკვირვა შედოუმ. ექომ ჩურჩულით დაუბრუნა საკუთარი სიტყვები ტბის მეორე ბოლოდან.

– ერთი რამ დაიმახსოვრე, – ცივად უთხრა მისტერ იბისმა, – სიცოცხლე და სიკვდილი მონეტის ორი მხარეა, როგორც ოცდახუთცენტიანის რევერსი და ავერსი.

– და თუ ჩემს ოცდახუთცენტიანს ორივე მხარე ერთნაირი აქვს? – ვერ ექნება. ეგეთები

  მხოლოდ ბრიყვებსა და ღმერთებს ეკუთვნით.

უეცრად შედოუს ჟრუანტელმა დაუარა. მოეჩვენა, რომ მუქი, სარკისებური ტბის სიღრმიდან ბავშვები გამკიცხავად შემოჰყურებდნენ წყლით გაჟღენთილი, დარბილებული სახეებითა და დანისლული თვალებით. მიწისქვეშა მღვიმეში მცირე ნიავიც კი არ ქროდა, რომ ტბის შავი ზედაპირი შეერხია.

– ესე იგი მოვკვდი, – თქვა შედოუმ, რომელიც თანდათან ეგუებოდა ამ აზრს, – ან მალე მოვკვდები.

– ჩვენ მკვდართა დარბაზისკენ მივდივართ. იქამდე შენი მიყვანა პირადად მოვითხოვე.

– რატომ?

– ფსიქოპომპი ვარ. მომწონხარ. მშრომელი ბიჭი ხარ. რატომაც არა?

– იმიტომ... – შედოუმ აზრებს თავი მოუყარა, – იმიტომ, რომ თქვენი არასდროს მწამდა. იმიტომ, რომ ეგვიპტის მითოლოგიის ბევრი არაფერი გამეგება. იმიტომ, რომ ამას არ ველოდი. წმინდა პეტრესა და მარგალიტის ბჭეებს რა დაემართა? მისტერ იბისმა გრძელნისკარტიანი თეთრი თავი დინჯად გაიქნ-გამოიქნია.

– სულერთია, შენ ჩვენი გწამდა თუ არა, – უთხრა მისტერ იბისმა, – მთავარია, რომ ჩვენ გვწამდა შენი.

ნავი ფსკერს შეეხო. მისტერ იბისმა ნავიდან ტბაში გადააბიჯა და შედოუს უთხრა, გამომყევიო. თვითონ ნავის ცხვირზე მიბმულ თოკს დაავლო ხელი, ნამგალა მთვარის ფორმის ლამპარი კი შედოუს დააჭერინა. ნაპირზე გადავიდნენ და მისტერ იბისმა თოკის მეორე ბოლო ქვის იატაკში ჩასმულ რკინის რგოლზე გამოაბა. შემდეგ შედოუს ლამპარი გამოართვა, მაღლა ასწია და დაიძრა. მიდიოდნენ და ქვის იატაკსა და კლდის მაღალ კედლებს მათი ვეებერთელა ჩრდილები ეფინებოდა.

– გეშინია? – ჰკითხა მისტერ იბისმა შედოუს.

– სხვათა შორის, არა.

– მაშ, სცადე, გზადაგზა, ჭეშმარიტი კრძალვითა და სულიერი ძრწოლით გაიმსჭვალო. იმ ვითარებისთვის, რომელშიც მალე აღმოჩნდები, ეს სათანადო ემოციებია.

მაგრამ შედოუს არ ეშინოდა, მხოლოდ ცნობისმოყვარეობა აწუხებდა და ცოტა ღელავდა. შედოუს არ ეშინოდა არც სიბნელის და არც სიკვდილის. შედოუ არც მათკენ დაჟინებით მაცქერალი სასილოსე კოშკისხელა ძაღლისთავიანი არსების დანახვისას დამფრთხალა. არსებამ ავად დაიღრინა.

– შედოუ, დადგა შენი განკითხვის ჟამი, – თქვა მან. შედოუმ არსებას ახედა.

– მისტერ ტურელ?

ანუბისი[259] დაიხარა, შედოუს დიდი, შავი ხელები ჩაავლო, ასწია და თავის სახესთან ახლოს მიიყვანა.

ტურისთავიანმა არსებამ მბრწყინავი, ელვარე თვალებით აათვალიერ-ჩაათვალიერა ისევე გულგრილად, როგორც მისტერ ტურელი ათვალიერებდა მაგიდაზე დასვენებულ გოგონას ცხედარს. შედოუმ იგრძნო, რომ გულიდან და გონებიდან ყოველი ცოდვა, გრძნობა და სისუსტე ამოუღეს, შეაფასეს და აწონ-დაწონეს. თითქოს გაკვეთეს, დაკეპეს და გემო გაუსინჯეს.

ფაქტები, რომლებიც ღირსებას არ გვმატებს, ნაკლებად გვახსოვს. ასეთ რამეებს ვამართლებთ, ფერადი ტყუილებით ვნიღბავთ ან დავიწყების მტვრის სქელი ფენით ვფარავთ. ყველა ის საქციელი, რომლებითაც შედოუ არ ამაყობდა, ყველაფერი, რის გაკეთებასაც სხვანაირად ისურვებდა ან რასაც საერთოდ აღარ ჩაიდენდა, სინანულის, სირცხვილისა და წუხილის ქარბორბალად დაატყდა თავს. შუაზე გაჭრილი გვამივით შიშველი ესვენა მაგიდაზე, ხოლო ანუბისი, ტურისთავიანი ღმერთი, მისი გამკვეთიც იყო, ბრალმდებელიცა და ჯალათიც.

– გთხოვ, – შეემუდარა შედოუ, – გთხოვ, გაჩერდი!

მაგრამ შემოწმება არ შემწყდარა. ყოველი ტყუილი, რომელიც კი ოდესმე უთქვამს, ყოველი ნივთი, რომელიც კი ოდესმე მოუპარავს, ყოველი ტკივილი, რომელიც კი ოდესმე სხვისთვის მიუყენებია, ყოველი წვრილმანი დანაშაული და უმნიშვნელო მკვლელობა, რომლისგანაც ადამიანის ყოველდღიურობა შედგება, ეს ყველაფერი და კიდევ უფრო მეტი რამ, მკვდართა ტურისთავიანმა მსაჯულმა მისგან ამოიღო და სააშკარაოზე გამოიტანა.

ტკივილისგან გამწარებული შედოუ ღმერთის შავ ხელში აწრიალდა და აქვითინდა. თითქოს კვლავ ბავშვად გადაიქცა, ისეთივე უმწეოდ და უძლურად, როგორიც ყოველთვის იყო.

მოულოდნელად ყველაფერი დამთავრდა. შედოუმ ამოიოხრა და ასლუკუნდა, ცხვირიდან წვინტლი წამოუვიდა. თავს კვლავ უმწეოდ გრძნობდა, მაგრამ დიდმა ხელებმა ფრთხილად, შეიძლება ითქვას, ნაზად დასვეს ქვის იატაკზე.

– მისი გული ვის აქვს? – დაიღრინა ანუბისმა.

– მე, – გაისმა ქალის კრუტუნი. შედოუმ თავი ასწია. მისტერ იბისადყოფილი არსების გვერდით ბასტეტი იდგა და მარჯვენა ხელში შედოუს გული ეჭირა. გული მის სახეს ლალისფრად ანათებდა.

– მომეცი, – უთხრა თოტმა, იბისისთავიანმა ღმერთმა, ღმერთის ხელებით გამოართვა გული და წინ გასრიალდა.

ანუბისმა ვერცხლის სასწორი დაიდგა წინ.

– მაშ, აქ გაირკვევა, სად მოვხვდები? – გადაუჩურჩულა შედოუმ ბასტეტს, – სამოთხეში? ჯოჯოხეთში? განსაწმენდელში?

– თუ ბუმბული სასწორს გააწონასწორებს, – უპასუხა მან, – სადაც მოისურვებ, იქ წახვალ. – თუ არა?

ქალმა მხრები აიჩეჩა, თითქოს ამაზე საუბარი ეუხერხულებოდა. მაგრამ ბოლოს მაინც უპასუხა: – მაშინ შენს გულსა და სულს ამატს, სულთამჭამელს შევაჭმევთ...

– იქნებ... – დაიწყო შედოუმ, – იქნებ ბედნიერი ბოლო მეღირსოს?

– არათუ ბედნიერი, საერთოდ არანაირი დასასრული არ არსებობს, – უთხრა ბასტეტმა.

სასწორის ერთ თეფშზე ანუბისმა ფრთხილად, მოწიწებით დადო ბუმბული, ხოლო მეორე თეფშზე – შედოუს გული. სასწორის ქვეშ სიბნელეში რაღაც დაძვრებოდა. შედოუს კარგად დაკვირვებისა და იმ რაღაცის უკეთ დათვალიერების არანაირი სურვილი არ ჰქონდა.

ბუმბული მძიმე იყო, მაგრამ შედოუსაც მძიმე გული ჰქონდა და თეფშები შემაშფოთებლად გადაიხარა და აქანავდა.

საბედნიეროდ, სასწორი მაინც გაწონასწორდა და ჩრდილში მიმალული არსება უკმაყოფილოდ გაიძურწა იქიდან.

– ესეც ასე, – ნაღვლიანად შენიშნა ბასტეტმა, – გროვას მორიგი თავის ქალა შეემატება. სამწუხაროა. ვიმედოვნებდი, ამჟამინდელი უსიამოვნებების მოგვარებაში რამით წაგვადგებოდი. იცი, ეს რას ჰგავს: თითქოს შენელებულად უყურებ ავტოავარიას და მის აღსაკვეთად არაფრის გაკეთება არ შეგიძლია.

– შენ იქ არ იქნები? ბასტეტმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

– არ მიყვარს, ჩემ მაგივრად სხვები რომ წყვეტენ, ვის ვებრძოლო. სიკვდილის ვრცელ დარბაზში სიჩუმემ დაისადგურა.

– ახლა შემიძლია, ავირჩიო, სად წავალ? – იკითხა შედოუმ.

– აირჩიე, – უთხრა თოტმა, – ან შენ მაგივრად ჩვენ ავარჩევთ.

– არა, – იუარა შედოუმ, – მე თვითონ ავარჩევ.

– გისმენთ, – დაიღრიალა ანუბისმა.

– მინდა, დავისვენო, – თქვა შედოუმ, – აი, რა მინდა. არაფერი მინდა – არც სამოთხე, არც ჯოჯოხეთი, საერთოდ არაფერი. ოღონდაც ყველაფერი მორჩეს.

– დარწმუნებული ხარ? – ჰკითხა თოტმა.

– კი, – უპასუხა შედოუმ.

მისტერ ტურელმა შედოუსთვის ბოლო კარი გააღო და იმ კარს მიღმა არაფერი იყო. არც წყვდიადი, არც არარსებობა. მხოლოდ არაფერი. შედოუ არც დაფიქრებულა,

უჩვეულოდ გახარებულმა, უყოყმანოდ შეაბიჯა არარსში.

მეჩვიდმეტე თავი

ამ კონტინენტზე ყველაფერი მასშტაბურია. მდინარეები უზარმაზარია, კლიმატი – საშინლად ცხელი ან ცივი, ხედები – შთამბეჭდავი, ჭექა-ქუხილი – გამაყრუებელი. ამ ქვეყანაში უწესრიგობის გამეფება ყველგან ყველანაირ წესწყობილებას შეარყევს. აქ ჩვენი ყოველი შეცდომა, გადაცდომა, დანაკარგი, დამცირება ან მარცხი უდიდესი მასშტაბისა იქნება.
ლორდი კარლაილი ჯორჯ სელუინს**, 1778**

აშშ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონის უმნიშვნელოვანესი ადგილის რეკლამები მთელი ჯორჯიის, ტენესისა და თვით კენტუკის ასობით ბეღლის ძველ სახურავზეა გამოტანილი. ტყის დაკლაკნილ გზაზე მიმავალი მძღოლი უეცრად შეიძლება ნახევრად დანგრეულ ბეღელს გადაეყაროს, რომლის სახურავზე წითელი საღებავით აწერია:

ნახე „კლდის ქალაქი“ – მსოფლიოს მერვე საოცრება გვერდით მდგარი

დაფხავებული ბოსლის სახურავზე კი ამას წაიკითხავს:

დაინახე შვიდი შტატი „კლდის ქალაქიდან“ –
მსოფლიოს მერვე საოცრებიდან

მძღოლს ჰგონია, რომ „კლდის ქალაქი“ სადღაც იქვეა, შემდეგ მოსახვევში, სინამდვილეში კი ტენესის შტატის ქალაქ ჩატანუგადან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზედ ჯორჯიის შტატის საზღვარს გადაღმა აღმართულ მთა ლუკაუტზე[260] მდებარე „კლდის ქალაქამდე“ მთელი დღის სავალია.

ლუკაუტი დიდი ვერაფერი მთა არის, წარმოუდგენლად მაღალი და შთამბეჭდავი ბორცვი უფრო ეთქმის, შორიდან ყავისფერი მოჩანს, ახლოდან – ხეებით გამწვანებული. როცა აქ თეთრკანიანები მოვიდნენ, ამ ადგილას ჩეროკების ერთ-ერთი განშტოება, ჩიკამოგას ტომის ხალხი ცხოვრობდა; ისინი მთას ჩატოტოტონუგის უწოდებდნენ, რაც „წვეტიან მთად“ ითარგმნება.

1830-იან წლებში აშშ-ის მეჩვიდმეტე პრეზიდენტის, ენდრიუ ჯექსონის „ინდიელთა გადასახლების აქტის“ თანახმად, ჩოკტოს, ჩიკამოგას, ჩეროკისა და ჩიკასოს ტომებს მშობლიური მიწიდან აყრა აიძულეს. აშშ-ის არმია სათითაოდ დევნიდა და მიერეკებოდა მათ ათასობით კილომეტრის დაშორებით მდებარე ინდიელთა ახალი ტერიტორიისკენ, რომელსაც დღეს ოკლაჰომა ჰქვია. „ცრემლიან გზაზე“ – ასე მოიხსენიებენ ამ სასტიკ გენოციდს – ათასობით კაცი, ქალი და ბავშვი დაიღუპა. როგორც ამბობენ, გამარჯვებულს არ ასამართლებენ.

ლეგენდის მიხედვით, ის, ვინც მთა ლუკაუტს აკონტროლებდა, მთელ იმ მხარეს აკონტროლებდა. თანაც, ის მაღალი ბორცვი წმინდა ადგილად მიიჩნეოდა. ამერიკის ჩრდილოურ და სამხრეთულ შტატებს შორის გაჩაღებულ სამოქალაქო ომში იქ ბრძოლა გაიმართა. „ბრძოლა ღრუბლებს ზემოთ“ – ასე ჰქვია პირველ დღეს მომხდარ შეტაკებას, რომლის შემდეგაც ჩრდილოეთის არმიამ წარმოუდგენელი რამ შეძლო, ბრძანების გარეშე მიიტანა იერიში მისიონერულ ქედზე და დაიკავა კიდეც. გენერალ

გრანტის არმიამ ბრძოლაში გაიმარჯვა, ლუკაუტის მთა აიღო და ჩრდილოეთმა ომი მოიგო.

მთა ლუკაუტის ქვეშ ძველი გვირაბები და გამოქვაბულებია. მათი უმეტესობა ამოვსებული და ჩახერგილია, მაგრამ ერთმა ადგილობრივმა ბიზნესმენმა მიწისქვეშა ჩანჩქერი ამოთხარა და „ლალის ჩანჩქერი“ შეარქვა. ჩანჩქერამდე ლიფტით ჩაისვლება და ტურისტულ

ღირსშესანიშნაობად არის აღიარებული. ტურისტებში ყველაზე პოპულარული ადგილი კი თავად მთა ლუკაუტის თხემია, რომელზეც „კლდის ქალაქია“ გაშენებული.

„კლდის ქალაქი“ მთის ფერდობზე გაშენებული დეკორატიული ბაღით იწყება, საიდანაც დამთვალიერებლები კლდეებზე და კლდეებს შორის ქვეითთა ბილიკს მიუყვებიან, სიმინდის ტაროებს ისვრიან ირმების ბაკში, გადადიან დაკიდულ ხიდზე, იშვიათ მზიან დღეებში, როცა ჰაერი სრულიად კამკამაა, ოცდახუთი ცენტის ფასად ბინოკლებით გადაჰყურებენ შვიდი შტატის ხედს. აქედან, თითქოს ქვესკნელში ვარდებოდეს, ბილიკი ცერდება და ტურისტები, რომელთა რიცხვი ყოველ წელს მილიონს აღემატება, ნახევრად ბნელ მთისქვეშა მღვიმეებში ჩაჰყავს, სადაც საბავშვო ლექსებისა და ზღაპრების სიუჟეტების მიხედვით შექმნილ დიორამებს ათვალიერებენ. დამთვალიერებლები „კლდის ქალაქიდან“ გაკვირვებულები მიდიან, წესიერად აღარ ახსოვთ, აქ რისთვის მოვიდნენ, რა ნახეს, ან კარგად გაერთნენ თუ არა.

ლუკაუტის მთაზე ამერიკის შეერთებული შტატების ყველა კუთხიდან იკრიბებოდნენ, მაგრამ ისინი ტურისტები არ იყვნენ. მოდიოდნენ მანქანით, თვითმფრინავით, ავტობუსით, მატარებლითა თუ ფეხით. ზოგი თავისით მოფრინავდა, მოფრინავდა ღამღამობით, დაბლა, მაგრამ მაინც მოფრინავდა. ზოგი მიწის ქვეშ მხოლოდ მათთვის ცნობილ საიდუმლო გზებს

მოჰყვებოდა. ბევრი მათგანი ავტოსტოპით მგზავრობდა. ვისაც საკუთარი მანქანები ან ფურგონები ჰყავდა, გზაზე ფეხით მიმავალ ან გზისპირა სასადილოებში მომლოდინე უმანქანოებს აწყდებოდნენ და მათ წაყვანას სთავაზობდნენ.

მთა ლუკაუტის ძირას დაღლილები და მტვერში ამოგანგლულები იკრიბებოდნენ და, როცა ხეებით დაფარულ ფერდობებს შეავლებდნენ თვალს, „კლდის ქალაქის“ ბილიკებს, ბაღებსა და ნაკადულებს ხედავდნენ თუ წარმოიდგენდნენ, რომ ხედავდნენ.

პირველი ტალღა დილით მოვიდა, მეორე – შებინდებისას. რამდენიმე დღის განმავლობაში მომსვლელთა ნაკადი არ შემწყდარა.

დანჯღრეული ავტოფურგონი გაჩერდა და იქიდან მგზავრობით გადაღლილი რამდენიმე ვილა[261] და რუსალკა[262] ჩამოხტა; კოლჰოტები გარღვეოდათ, მაკიაჟი გასდღაბნოდათ და გამოუძინებლებს თვალები ჩასწითლებოდათ.

გორაკის ძირას მდგარი ხეების ქვეშ ხნიერმა ვამპირმა „მალბორო“ შესთავაზა ტანზე ნარინჯისფერბეწვმოდებულ მაიმუნისმაგვარ ზორბა არსებას. ამ უკანასკნელმა

კოლოფიდან ერთი ღერი სიგარეტი ამოიღო, ვამპირს მადლობა გადაუხადა და მასთან ერთად ჩუმად გააბოლა.

გზისპირას „ტოიოტა პრევია“ გაჩერდა და შვიდი ჩინელი კაცი და ქალი გადმოვიდა. ისინი სუფთად გამოიყურებოდნენ, ისეთ მუქ კოსტიუმებში გამოწყობილიყვნენ, ზოგიერთ ქვეყანაში მთავრობის დაბალჩინოსნებს რომ აცვიათ. საბარგულიდან გოლფის დიდი ჩანთები ამოიღეს და ჩანთებიდან პრიალავადიანი მოჩუქურთმებული ხმლების, ჭდეებიანი კეტებისა და სარკეების ამოლაგებას შეუდგნენ. ერთ-ერთს ხელში კლიპბორდი ეჭირა და ინვენტარიზებას ახდენდა. იარაღი დაარიგეს, აღრიცხეს და საბუთს ხელი მოაწერეს.

ოდესღაც ცნობილი კომიკოსი, რომელიც მთელი მსოფლიოს აზრით, 1920-იან წლებში გარდაიცვალა, დაჟანგული მანქანიდან გადმოვიდა და გაიხადა. მას თხის ფეხები და კუდი ჰქონდა.

გამოჩნდა ოთხი მოღიმარი, შავგვრემანი და თმაბზინვარე მექსიკელი. რიგრიგობით იყუდებდნენ ყავისფერქაღალდშემოხვეულ ლუდის ბოთლს, რომელშიც სპირტის, სისხლისა და კაკაოს ნაყენი ესხა.

მინდვრების გადაღმიდან მათთან ტანდაბალი და შავწვერა კაცი მივიდა, თავზე რუხი შლაპა ეხურა, ქუდიდან გამოჩრილი კულულები საფეთქლებზე სცემდა და მხრებზე მლოცველის შალი წამოესხა. კაცის ორჯერ უფრო მაღალი, თიხისფერკანიანი ამხანაგი რამდენიმე ნაბიჯით უკან მოდიოდა. მის შუბლზე მიწერილი სიტყვა „სიმართლეს“ ნიშნავდა.

მოდიოდნენ და მოდიოდნენ. ტაქსიდან რაკშასები, ინდოეთის სუბკონტინეტის დემონები გადმოვიდნენ. მათ ბორცვის ძირას შეკრებილთათვის ხმა არ გაუციათ, აქეთ-იქით იყურებოდნენ, სანამ მამა-ჯი არ დაინახეს. ქალს თვალები დაეხუჭა და ტუჩებს აცმაცუნებდა, ლოცვას ჩურჩულით წარმოთქვამდა. რაკშასები სხვას არავის იცნობდნენ, მაგრამ ძველი ბრძოლები გაახსენდათ და მამა-ჯისთან მისვლა ვერ გაბედეს. ქალმა პატარა თავის ქალებისგან ასხმულ ყელსაბამს გადაუსვა ხელი. უეცრად ყავისფერი კანი გაუშავდა, ობსიდიანივით თუ გიშერივით აუბზინვარდა: ტუჩები ღიმილით გახსნა და გრძელი, ბასრი თეთრი კბილები გამოაჩინა. ყველა თვალი გაახილა, რაკშასები იხმო და მათ საკუთარი შვილებივით თბილად მიესალმა.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში მძვინვარე ქარიშხლებმა კიდევ უფრო დაამძიმა და დამუხტა ატმოსფერო. ადგილობრივი მეტეოროლოგები ზოგიერთ მაღალი წნევის არეში ტორნადოების წარმოქმნასაც პროგნოზირებდნენ. დღისით თბილოდა, ღამით ციოდა.

მოდიოდნენ და ჯგუფდებოდნენ თავიანთი ეროვნების, რასის, ხასიათის ან სახეობის მიხედვით. ყველა შეშფოთებული და დაღლილი ჩანდა.

ზოგი საუბრობდა. ხანდახან ვიღაც გაიცინებდა, მაგრამ მალევე ჩუმდებოდა. ლუდის ქილები ჩამოარიგეს.

ზოგიერთი ადგილობრივი კაცი და ქალი მინდვრების გადაღმიდან მოვიდა; ისინი ტანს უცნაურად არხევდნენ: მათში ჩასახლებული ლოას[263] ხმით მეტყველებდნენ. მაღალი, შავკანიანი კაცი პაპა ლეგბას ხმით საუბრობდა, იმისი, ვინც კარებს აღებს. ბარონი სამედი, სიკვდილის მეუფე, ჩატანუგაელი მოზარდი გოთი გოგოს სხეულს დაჰპატრონებოდა. ალბათ გოგო იმიტომ შეარჩია, რომ მას თავზე კოხტად დაესკუპებინა შავი, აბრეშუმის ცილინდრი. გოგო ბარონის ბოხი ხმით ლაპარაკობდა, უშვებელ სიგარას ეწეოდა და სამ გედეს[264], სამ მკვდართა ლოას მეთაურობდა. გედეები შუახნის ძმების სხეულებში ჩასახლებულიყვნენ. სამივე თოფებით იყო შეიარაღებული და ისე ბილწად ხუმრობდნენ, თავიანთ ხუმრობებზე მხოლოდ თვითონ იცინოდნენ ხმამაღლა და შემაწუხებლად.

ჩიკამოგას ტომის ორი გაურკვეველი ასაკის ქალი დალაქავებული ჯინსის შარვლებითა და გაცრეცილი ტყავის ქურთუკებით მიმოდიოდა და ხალხსა და მათ საბრძოლო მზადებას აკვირდებოდა. ზოგჯერ ვინმესკენ თითს გაიშვერდნენ და იცინოდნენ; მოახლოებულ კონფლიქტში ჩართვას არ აპირებდნენ.

აღმოსავლეთით მთვარე ამოიწვერა, ავსებამდე ერთი დღეღა უკლდა. როცა ბორცვებს ამოსცდა, იმხელა ჩანდა, მოწითალო-ნარინჯისფერმა ბურთმა ლამის ნახევარი ცა დაფარა, მაგრამ რაც უფრო მაღლა ადიოდა, მით უფრო პატარავდებოდა და მკრთალდებოდა და ბოლოს ფარანივით დაეკიდა ცაში. მთა ლუკაუტის ძირას მრავლად შეგროვილიყვნენ და მთვარის შუქზე იცდიდნენ.

ლორას სწყუროდა.

ზოგჯერ ცოცხლები მის გონებაში სანთლებივით ციმციმებდნენ, ზოგჯერ ჩირაღდნებივით ბრდღვიალებდნენ. ზოგჯერ ეს მათთვის თავის არიდებას უადვილებდა, ზოგჯერ – მათ მოძებნას. შედოუ იმ ხეზე უჩვეულოდ, სხვებისგან განსხვავებულად ანათებდა.

იმ დღეს, ხელიხელჩაკიდებულები რომ მისეირნობდნენ, შედოუს უსაყვედურა, ცოცხალი არ ხარო. იმედოვნებდა, მასში უხეში ემოციის ნაპერწკალს დაინახავდა, რაც დაუდასტურებდა, რომ მისი ყოფილი ქმარი ნამდვილი, ცოცხალი ადამიანი იყო. მაგრამ ამაოდ.

გაახსენდა, იმ დღეს როგორ ინატრა, შედოუ მის ნათქვამს მიმხვდარიყო.

და, აი, ახლა, ხეზე მიბმული, მომაკვდავი შედოუ სრულიად ცოცხალი იყო. ლორა უყურებდა, როგორ იცლებოდა იგი სასიცოცხლო ძალისგან, მაგრამ ბოლომდე არ კარგავდა კონცენტრაციას და თავის ნამდვილობას. ლორას სთხოვა, ამაღამ ჩემთან დარჩიო. მან აპატია... ალბათ აპატია. ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. შედოუ შეიცვალა. ეს აშკარად ჩანდა.

შედოუმ უთხრა, ფერმის სახლში მიდი და წყალს დაგალევინებენო. სახლში შუქი არ ენთო. შიგნით ვერავის ყოფნა ვერ იგრძნო. მაგრამ შედოუმ დაარწმუნა, იქ შენზე იზრუნებენო. სახლის კარს მიაწვა და მიუხედავად დაჟანგული ანჯამების ჭრიალა

პროტესტისა, კარი გაიღო. ლორას მარცხენა ფილტვში რაღაც აცქმუტდა და ლორას ხველა აუტყდა.

ვიწრო ჰოლში აღმოჩნდა და თითქმის მაშინვე გზა დიდმა, მტვრიანმა როიალმა გადაუღობა. შიგნით ნესტის მძაფრი სუნი იდგა. ლორა როიალსა და კედელს შორის გაძვრა, კიდევ ერთი კარი შეაღო და დანჯღრეული ავეჯით სავსე, ნახევრად დანგრეულ მისაღებ ოთახში შევიდა. ბუხრის თავზე ნავთის ლამპა ენთო, ბუხარში ნახშირი იწვოდა, თუმცა გარეთ ლორას არც ამომავალი კვამლი შეუმჩნევია და არც კვამლის სუნი უგრძნია. ცეცხლი ცივ ოთახს ვერ ათბობდა, მაგრამ ლორა თავის თავს გამოუტყდა, შესაძლოა, სიცივე ოთახის ტემპერატურის ბრალი სულაც არ იყოსო.

სიკვდილი ლორას ძალიან აწუხებდა, მაგრამ ტკივილს მეტწილად რისამე ნაკლებობა იწვევდა: მწველი წყურვილი ყოველ უჯრედს უშრობდა და ვერც გაყინულ ძვლებს ითბობდა ვერაფრით. ზოგჯერ უნებლიეთ ფიქრებს მიეცემოდა, ნეტავ კოცონის ტკაცუნა, მხურვალე ალი ან მიწის რბილი, შავი საბანი თუ გამათბობს; ანდა ცივი ოკეანე წყურვილს თუ დამიცხრობსო...

უეცრად გააცნობიერა, რომ ოთახი ცარიელი არ იყო.

ძველისძველ დივანზე სამი ქალი იჯდა. რომელიღაც სამხატვრო გამოფენის უცხო ექსპონატებს ჰგავდნენ. დივანზე გადაკრული გაცვეთილი, ყავისფერი ხავერდი ოდესღაც, სულ ცოტა, ასი წლის წინათ, ბაცი ყვითელი იქნებოდა. ქალებს ნისლივით ნაცრისფერი ერთნაირი კაბები და სვიტერები ეცვათ. ღრმად ჩამსხდარი თვალები ჰქონდათ და პირისახე თოვლივით უქათქათებდათ. დივნის მარჯვენა კიდეზე მჯდარი ქალი ლამის გოლიათი იყო, მარცხენა კიდეზე მჯდარი – ჯუჯაზე ოდნავ დიდი, ხოლო შუაში მჯდარი, ლორას აზრით, მისი სიმაღლის იქნებოდა. ოთახში შემოსულ ლორას თვალს ადევნებდნენ, მაგრამ არაფერი უთქვამთ.

ლორას არ ეგონა, რომ მათ აქ ნახავდა.

მის ნესტოში რაღაც ახვანცალდა. ლორამ სახელოდან ცხვირსახოცი გამოიღო და ცხვირი გამოიფერთხა. შემდეგ ცხვირსახოცი დაჭმუჭნა და იმ რაღაციანად ბუხარში შეაგდო. ცხვირსახოცი გაშავდა, ცეცხლი მოეკიდა და ნარინჯისფერ ზონრად გადაიქცა. ლორა თვალმოუშორელად უყურებდა, როგორ შეიხრუკნენ სიცხისგან დამჭკნარი მატლები.

ისევ დივანზე მსხდარი ქალებისკენ მიტრიალდა. ისინი მთელი ამ ხნის განმავლობაში არ განძრეულან, ძარღვიც კი არ გასტოკებიათ. ლორას მიშტერებოდნენ.

– გამარჯობა. ეს თქვენი ფერმაა? – ჰკითხა ლორამ.

ყველაზე მაღალმა ქალმა თავი დაუქნია. მას ხელები ძლიერ გასწითლებოდა, სახეზე არაფრის მთქმელი გამომეტყველება ჰქონდა.

– შედოუმ... ხეზე რომ კაცი კიდია. ის ჩემი ქმარია. მან მითხრა, რომ წყალს დამალევინებდით.

ლორას ნაწლავებში რაღაც დიდი აწრიალდა, მაგრამ მაშინვე მიყუჩდა.

ყველაზე დაბალმა ქალმა თავი დაუქნია. დივნიდან ჩამობობღდა, ფეხებით იატაკს მისწვდა და ოთახიდან გაცუხცუხდა.

ლორამ კარის გაღებისა და დახურვის ხმა გაიგო. გარეთ ხმამაღალი ჭრაჭუნი ატყდა. ჭრაჭუნს თან თქაფუნის ხმა სდევდა.

პატარა ქალი მალე დაბრუნდა და დოქით წყალი შემოიტანა. დოქი ფრთხილად დადგა მაგიდაზე, რის ვაი-ვაგლახით ისევ დივანზე აძვრა და თავის დებს გვერდით მიუჯდა.

– გმადლობთ.

ლორა მაგიდასთან მივიდა და ჭიქას დაუწყო ძებნა, მაგრამ მსგავსს ვერაფერს მოჰკრა თვალი. დოქი აიღო. მოსალოდნელზე მძიმე აღმოჩნდა. შიგ სუფთა, კამკამა წყალი ესხა.

ლორამ დოქი ტუჩებთან მიიტანა და მოიყუდა.

ასეთი ცივი წყალი არასდროს დაელია. სითხემ ენა, კბილები და ყელი გაუყინა. მაგრამ სმა განაგრძო, დოქს ვერ მოსწყდა. გრძნობდა, როგორ მიიკვლევდა გზას წყალი კუჭში, ნაწლავებში, გულსა და ძარღვებში.

მასში თითქოს თხევადი ყინული მიედინებოდა.

დოქი შეუსვენებლად გამოცალა და მაგიდაზე დადგა.

ქალები აუღელვებლად აკვირდებოდნენ. სიკვდილის შემდეგ ლორამ მეტაფორებით აზროვნება შეწყვიტა: ყველაფერზე პირდაპირი მნიშვნელობით ლაპარაკობდა, მაგრამ ახლა, დივანზე მსხდარი ქალების ყურებისას, მსაჯულები და ლაბორატორიის ცხოველზე დამკვირვებელი მეცნიერები წარმოუდგა თვალწინ.

უეცრად აკანკალდა და მოიკრუნჩხა. ცალი ხელი მაგიდისკენ წაიღო, რომ მას დაჰყრდნობოდა, მაგრამ მაგიდა ირყეოდა და კინაღამ წაიქცა, ძლივს მოასწრო ძგიდისთვის ხელის ჩავლება. მერე გული აერია. ნაღველი, ფორმალინი, ჭიები და მატლები ამოარწყია. უნებლიეთ კუჭში გავიდა და შარდის ბუშტიც დაცალა. მისი სხეულიდან განავალი და შარდი შეუკავებლად გამოდიოდა. ალბათ აკივლდებოდა, მაგრამ მტვრიან იატაკს ისეთი სიძლიერითა და სისწრაფით დაასკდა, ცოცხალი და მსუნთქავი რომ ყოფილიყო, სული შეეხუთებოდა.

დრომ ქარბორბალასავით გადაუარა თავზე. ათასობით მოგონება ერთდროულად ამოუტივტივდა მეხსიერების სიღრმეებიდან: ფერმის სახლის იატაკზე ჩაფსმული და აქოთებული ეგდო; შობის წინა კვირას სავაჭრო ცენტრში დაიკარგა და მამას ვერსად მიაგნო; ახლა „ჩი-ჩი-ში“ იჯდა, შეკვეთილ მარწყვის დაიკირის ელოდა და ბრმა პაემანზე გაცნობილ

დიდ, სერიოზულ კაცბიჭას ათვალიერებდა, თან იმაზე ფიქრობდა, ნეტავ როგორი კოცნა იცისო; მერე დაბზრიალებულ, ამოყირავებულ მანქანაში აღმოჩნდა, რობი

რაღაცას უყვიროდა, სანამ საგზაო მაჩვენებელმა მანქანა არ შეაჩერა, მაგრამ თავად მანქანაში მყოფნი კი – ვერა...

დროის წყალი, რომელიც ურდის ჭაში ამოჩქეფს, სიცოცხლის წყალი არ არის. თუმცა, ის სამყაროს ხის ფესვებს ასაზრდოებს და მისნაირ წყალს სხვაგან ვერსად დალევთ.

როცა ლორამ ცარიელ სახლში გაიღვიძა, ცახცახებდა და დილის სიგრილეში პირიდან ორთქლი ამოსდიოდა. ხელის ზურგი გაკაწრული ჰქონდა და ზედ ახალი მოწითალო სისხლი შეხმობოდა.

ლორამ უკვე იცოდა, სად უნდა წასულიყო. მან ნორნის ჭიდან ამოღებული დროის წყალი დალია. გონებაში მთას ხედავდა. ხელის ზურგიდან სისხლი აილოკა და ნერწყვის თხელი ფენის დანახვით გაოცებული, სახლიდან გავიდა.

მარტის წვიმიანი დღე იყო და სეზონისთვის შეუსაბამოდ ციოდა. წინა დღეების წვიმამ და ქარმა სამხრეთულ შტატებში გადმოინაცვლა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მთა ლუკაუტზე გაშენებულ „კლდის ქალაქში“ ნამდვილი ტურისტები ცოტანი იყვნენ. საშობაო განათებები უკვე ჩამოეხსნათ. მალე ზაფხულის დამთვალიერებლების მოზღვავება დაიწყებოდა.

მიუხედავად უამინდობისა, იმ დილით საექსკურსიო ავტობუსმა მთის თხემზე ოცდახუთი ადამიანი აიყვანა. კარგად გარუჯული, მომხიბვლელად მოღიმარი კაცები და ქალები საინფორმაციო გადაცემის წამყვანებს ჰგავდნენ და თუ კარგად დააკვირდებოდით, უცნაურ რამეს შეამჩნევდით: თითქოს მკრთალად ციმციმებდნენ და მოძრაობისას ფოსფორისცენციურ ნაკვალევს ტოვებდნენ. „კლდის ქალაქის“ შესასვლელთან, ანიმატრონული გნომის, „როკის“, გვერდით შავი „ჰამვი“ იდგა.

ტელევიზიის ხალხი პირდაპირ „მოყანყალე კლდისკენ“ წავიდა. იქ შეიკრიბნენ და თავაზიანი, სასიამოვნო ხმით გააბეს საუბარი.

იმ დღეს „კლდის ქალაქში“ სხვა სტუმრებიც იყვნენ. „კლდის ქალაქის“ ბილიკს რომ გაჰყოლოდით, ჭრელ საზოგადოებას გადაეყრებოდით. ნახავდით ხალხს, რომელთაგან ზოგი კინოვარსკვლავს ჰგავდა, ზოგი – უცხოპლანეტელს, ზოგი კი – ადამიანს, ოღონდ მხოლოდ გარეგნობით და მეტი არაფრით. ისე, დანახვით კი დაინახავდით, მაგრამ, სავარაუდოდ, ყურადღებას არ მიაქცევდით.

ისინი „კლდის ქალაქში“ გრძელი ლიმუზინებით, პატარა სპორტული მანქანებითა და ძორძოხა ჯიპებით მოვიდნენ. ბევრ მათგანს მუქი სათვალე ეკეთა იმათსავით, ვინც მუქ სათვალეს შინ თუ

გარეთ არაფრის დიდებით არ იხსნის. ერთმანეთში ირეოდნენ გარუჯულები, კოსტიუმიანები და მუქსათვალიანები, მოღიმარები და დაბღვერილები, ყველანაირი ზომისა და ფორმისანი, ყველანაირი ასაკისა და სტილისანი.

მაგრამ გამოხედვა ყველას ერთნაირი ჰქონდა. „მიცნობ“ ან „უნდა მიცნობდე“ – სრულიად გარკვევით იკითხებოდა მათ მზერაში. თავიანთი საქციელით თითქოს მყისიერად გიახლოვდებოდნენ, მაგრამ იმავდროულად დისტანციას ინარჩუნებდნენ.

მზერითა თუ გარეგნობით გაგრძნობინებდნენ თავიანთ თავდაჯერებულობას, რომ სამყარო მათთვის არსებობდა და ამ სამყაროში მათ ყველა ეთაყვანებოდა.

მათ შორის მსუქანი ბიჭი დაფრატუნობდა იმასავით, ვისაც, ურთიერთობის უნარჩვევების უქონლობის მიუხედავად, წარმოუდგენელი წარმატებისთვის მიეღწია. შავი პალტო ქარში უფრიალებდა.

„დედილო ბატის ეზოში“ უალკოჰოლო სასმელების დახლთან მდგარმა უზარმაზარმა არსებამ ყურადღების მისაპყრობად ჩაახველა. სიმსივნით დამახინჯებული სახიდან და თითებიდან სკალპელები გამოსჩროდა.

– დიდი ბრძოლა გაიმართება, – თქვა მან.

– არანაირი ბრძოლა არ გაიმართება, – უპასუხა მსუქანმა ბიჭმა, – მხოლოდ პარადიგმის ცვლილება გველის, რაღაც-რაღაცები გადაადგილდება. „ბრძოლა“ და სხვა ეგეთი დედააფეთქებული მოდალობები ლაო-ძისთან მოიკითხე.

სახემახინჯი არსება პირდაღებული მიაჩერდა.

– მოუთმენლად ველი, – მხოლოდ ეს თქვა პასუხად.

– კარგი, ჰო, – თქვა მსუქანმა ბიჭმა და ჰკითხა: – მისტერ უორლდს ვეძებ, ხომ არ გინახავს?

არსებამ სკალპელით მოიქექა კეფა და გასივებული ქვედა ტუჩი ფიქრიანად გამობერა. მერე თავის ქნევით ანიშნა.

– იქ არის.

მსუქანმა ბიჭმა მადლობის გადაუხდელად გააბიჯა მითითებული მიმართულებით. სიმსივნიანმა არსებამ შეიცადა, სანამ ბიჭი თვალს მიეფარებოდა.

– ბრძოლა გაიმართება, – უთხრა შემდეგ პიქსელებად სახეგადღაბნილ ქალს. ქალმა

  თავი დაუქნია და მისკენ გადაიხარა.

– მერედა, რას ფიქრობთ ამაზე? – ჰკითხა ზრდილობიანად.

კაცმა თვალები დაახამხამა და თავისი მოსაზრების მოყოლას შეუდგა.

ტაუნის „ფორდ იქსპლორერი“ აღჭურვილი იყო „ჯი-პი-ეს-ით“[265], პატარა ვერცხლისფერი ყუთით, რომელიც ხელოვნურ თანამგზავრებს უსმენდა და მანქანას ადგილმდებარეობას ჩურჩულით კარნახობდა, მაგრამ ბლექსბერგის სამხრეთით სოფლის გზაზე შეცდომით მაინც გადაუხვია. ისეთ გზებზე აღმოჩნდა, „ჯი-პი-ეს-ის“ ეკრანზე გამოსახულ გადახლართულ ზოლებთან არანაირი საერთო რომ არ ჰქონდა. ბოლოს ერთ ორღობეში გააჩერა მანქანა, ფანჯრის მინა დასწია და დილას ნაგაზთან ერთად სასეირნოდ გამოსულ მსუქან, თეთრკანიან ქალს სთხოვა, „იფნის“ ფერმამდე გზა მიესწავლებინა.

ქალმა ხელით ანიშნა და რაღაც უთხრა. ტაუნმა მისი ნათქვამი ვერ გაიგო, მაგრამ მადლობა გადაუხადა, მინა ასწია და იქით წავიდა, საითაც მიუთითეს.

კიდევ ორმოცი წუთი მიდიოდა, ერთი სოფლის გზიდან მეორეზე გადადიოდა, ყოველ ჯერზე ეგონა, ფერმამდე ეს გზა მიმიყვანსო, მაგრამ ფერმა არსად ჩანდა. ტაუნმა ქვედა ტუჩის კვნეტა დაიწყო.

– მეტისმეტად ბებერი ვარ ამ სირობისთვის, – კინოვარსკვლავივით წარმოთქვა ცხოვრებისგან მობეზრებული ადამიანის ფრაზა.

80 კმ/სთ სიჩქარით მიდიოდა. ტაუნმა მთელი ცხოვრება მხოლოდ ინიციალებით ცნობილ ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში იმუშავა, ათიოდე წლის წინ კი სახელმწიფო სამსახურიდან კერძო სექტორში გადავიდა, მაგრამ ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ არაფერიც არ შეცვლილა. პრინციპში, მხოლოდ სულელებს ჰგონიათ, რომ ერთი სამსახური მეორისგან რამით განსხვავდება.

უკვე ხელის ჩაქნევას და უკან მიბრუნებას აპირებდა, როცა აიაღმართა და ჭიშკარს მიადგა. ჭიშკარზე გაკრულ აბრაზე ხელით მიეწერათ „იფანი“. ტაუნი „ფორდ იქსპლორერიდან“ გადმოვიდა და გახსნა გადანასკვული მავთული, რომლითაც ჭიშკარი იყო ჩაკეტილი. ისევ მანქანაში ჩაჯდა და ფერმაში შევიდა.

თითქოს ბაყაყს ვხარშავო, გაიფიქრა გულში. ჩასვი ბაყაყი წყლიან ქვაბში და დაადგი ქურაზე. სანამ ბაყაყი რამეს მიხვდება, უკვე მოხარშულია. ტაუნი მეტად უცნაურ სამყაროში მუშაობდა. არამყარ ნიადაგზე დააბიჯებდა. ქვაბში წყალი დუღდა.

როცა „სამმართველოში“ გადმოიყვანეს, თავიდან ყველაფერი მარტივად ეჩვენებოდა, მაგრამ ახლა სხვაგვარად ფიქრობდა.

არა, მისი სამუშაო რთული არ იყო... მაგრამ უჩვეულო რამეებს კი აკეთებდა. წუხელ, ღამის ორ საათზე, მისტერ უორლდის კაბინეტში იჯდა და მან დავალება მისცა.

– გასაგებია? – ჰკითხა მისტერ უორლდმა და შავ ტყავის ქარქაშში ჩაგებული დანა მისცა, – ტოტი ჩამომიჭერით. ნახევარი მეტრის სიგრძისაც მეყოფა.

– არის, – უპასუხა უფროსს, – შეიძლება ვიკითხო, ეს რა საჭიროა, სერ?

– არ შეიძლება, – ცივად უპასუხა მისტერ უორლდმა, – ხე იპოვეთ და დავალება შეასრულეთ. ჩატანუგაში შემხვდით. დროს ტყუილად ნუ დახარჯავთ.

– იმ ნაბიჭვარს რა ვუყო?

– შედოუს? თუ ნახავთ, ხელი არ ახლოთ. მოერიდეთ. საერთოდ ნუ მიაქცევთ ყურადღებას. სულაც არ მინდა, წამებულად გადააქციოთ. წამებული გეგმებს აგვირევს, – თქვა მისტერ უორლდმა და ნაიარევიან სახეზე ღიმილი გადაეფინა. მისტერ უორლდი ხალისიანი ვინმე იყო. მისტერ ტაუნი ამაში რამდენჯერმე დარწმუნდა. ბოლოს და ბოლოს, კანზასში მძღოლობით კარგად გაერთო.

– კი, მაგრამ...

– არანაირი წამებულები, ტაუნ. ტაუნმაც თავი დააქნია, ქარქაშიანი დანა აიღო, ბრაზი

  გულში ჩაიკლა და წამოვიდა.

შედოუს მიმართ ზიზღი მისტერ ტაუნის ნაწილად იქცა. ყოველ ღამე, ძილის წინ, შედოუს პირქუში სახე უდგებოდა თვალწინ, მისი ღიმილი, რომელსაც ღიმილი არ ეთქმოდა; როცა წარმოიდგენდა, როგორ ეფინებოდა შედოუს სახეზე ღიმილი, რომელსაც ღიმილისა არაფერი ეცხო, მისტერ ტაუნს მისთვის მუცელში მუშტის ჩარტყმა უნდებოდა. ჩაძინებისასაც კი სიმწრით კბილებს აღრჭიალებდა, საფეთქლები ებერებოდა და ყელი ეწვოდა.

„ფორდ იქსპლორერით“ მინდორი გადაიარა და მიტოვებულ სახლს ჩაუარა. ქედზე ავიდა და ხე დაინახა. მანქანა ოდნავ მოშორებით გააჩერა და ძრავა ჩააქრო. ხელსაწყოთა დაფაზე საათი 06:38-ს უჩვენებდა. გასაღები მანქანაში ჩატოვა და ხისკენ გააბიჯა.

ხე დიდი აღმოჩნდა. როგორც ჩანდა, ხეს მასშტაბებზე თავისებური წარმოდგენა ჰქონდა. ტაუნი ვერ იტყოდა, ხე თხუთმეტი მეტრის სიმაღლისა იყო თუ ორასის. ნაცრისფერი, გლუვი ქერქი აბრეშუმის ქსოვილივით უპრიალებდა.

მიწიდან ოდნავ მაღლა, ხის ღეროზე, შიშველი კაცი მიებათ გადახლართულგადაკვანძული თოკებით, ხის ძირას კი ზეწარში გახვეული რაღაც იდო. ტაუნი გვერდით ჩავლისას მიხვდა, ეს რაც იყო და ფეხის წაკვრით გადასწია ზეწარი. ქვემოდან უენზდეის ნახევრად გაგლეჯილი სახე მოაშტერდა. გაუკვირდა, რომ ზედ ბუზები და მატლები არ დაფუთფუთებდნენ. გვამს მწერები არ მიჰკარებოდნენ, ცუდი სუნიც კი არ ასდიოდა. ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც მოტელიდან წამოღებისას.

ტაუნმა ხის სქელ ღეროს შემოუარა, სახლის უსინათლო თვალებს დაემალა, შარვლის ელვაშესაკრავი ჩაიხსნა და ხეს მიაფსა. მერე სახლისკენ წავიდა, კედელზე მიყუდებული გასაშლელი კიბე წამოიღო, ხეს ფრთხილად მიადგა და ზედ ავიდა.

თოკების ქსელში გახლართული შედოუ უღონოდ ეკიდა. ნეტავ ცოცხალი თუაო, გაიფიქრა ტაუნმა. კაცს მკერდი არ აუდ-ჩაუდიოდა. თუ ჯერ არ მომკვდარა, მალე მოკვდებაო, დაასკვნა.

– გამარჯობა, ნაბიჭვარო, – ხმამაღლა უთხრა ტაუნმა. შედოუ არ განძრეულა.

ტაუნი კიბის ბოლო საფეხურზე შედგა და დანა ამოიღო. მისტერ უორლდმა რომ სთხოვა, ისეთი ტოტი იპოვა და ძირში დანა დასცხო. ერთი დარტყმით შუამდე ჩაჭრა და მეორე ხელით მოტეხა. დაახლოებით სამოცდაათი სანტიმეტრის სიგრძისა იქნებოდა. დანა ქარქაშში ჩააგო და ძირს ჩასვლა დაიწყო. როცა შედოუს გაუთანაბრდა, შეჩერდა.

– ღმერთო, როგორ მძულხარ.

სიამოვნებით ამოიღებდა პისტოლეტს და შუბლს გაუხვრეტდა, მაგრამ არ შეეძლო. სამაგიეროდ, ჯოხი მოუქნია ხეზე მიბმულ კაცს. ეს ინსტინქტური მოძრაობა იყო,

ტაუნში დაგროვილი ბრაზისა და ბოღმის გამოვლინება. წარმოიდგინა, რომ ხელში შუბი ეჭირა და შედოუს მუცელს უხვრეტდა.

– გეყო, წასვლის დროა, – წამოიძახა და გულში დაამატა: „საკუთარ თავთან ხმამაღლა ლაპარაკი სიგიჟის პირველი ნიშანია“. კიდევ რამდენიმე საფეხური ჩაიარა და კიბიდან პირდაპირ ძირს ჩახტა. ხის ტოტს დახედა და უცებ თავი ბიჭუნად იგრძნო, ჯოხი ხმალივით თუ შუბივით რომ უჭირავს ხელში.

„შემეძლო ნებისმიერი ხისთვის ჩამომეჭრა ტოტი, ვინ მიხვდებოდა, რომ ამ ხის არ არის? – გაიფიქრა, მაგრამ მაშინვე დაამატა: – მისტერ უორლდი მიხვდებოდა“.

კიბეს თავის ადგილას რომ დგამდა, თითქოს ვიღაცას მოჰკრა თვალი და ფანჯრიდან დამტვრეული ავეჯით სავსე, კედლებიდან ბათქაშაცვენილ, ჩაბნელებულ ოთახში შეიხედა. წამით, ძილ-ბურანში მყოფივით, მოეჩვენა, რომ ბნელ მისაღებ ოთახში დივანზე სამი ქალი იჯდა.

ერთი ქსოვდა, მეორე პირდაპირ ტაუნს უყურებდა, მესამეს ეძინა. მისკენ მაცქერალმა ქალმა ფართოდ გაუღიმა, სახე თითქოს სიგრძივ გაეყო და ღიმილი ყურიდან ყურამდე მისწვდა. შემდეგ თითი ყელზე მიიდო და გამოისვა.

აი, ეს მოეჩვენა ზუსტად ერთ წამში იმ ცარიელ ოთახში, სადაც, როცა ხელმეორედ, უფრო

კარგად დააკვირდა, დამპალი ავეჯის, დალაქავებული ფოტოსურათებისა და ჩამტვრეული იატაკის გარდა ვერაფერი დაინახა.

თვალები მოიფშვნიტა.

ტაუნი „ფორდ იქსპლორერთან“ დაბრუნდა, ჩაჯდა და ჯოხი მგზავრის თეთრ, ტყავის სავარძელზე დააგდო. მანქანის ჩამრთველში გასაღები გადაატრიალა. ხელსაწყოთა დაფაზე საათი 06:37-ს უჩვენებდა. ტაუნი მოიღუშა და მაჯის საათზე დაიხედა. მასზე 13:38 ციმციმებდა.

„მაგარია, – გაიფიქრა ტაუნმა, – იმ ხეზე ან რვა საათი გავატარე, ან მინუს ერთი წუთი“, – თუმცა გულის სიღრმეში დაასკვნა, ეტყობა, ორივე საათმა ერთდროულად დაიწყო არასწორი დროის ჩვენებაო.

ხეზე ჩამოკიდულ შედოუს სისხლი წამოუვიდა. გაჭრილი ფერდიდან

ნელა მოწვეთავდა ბადაგივით მუქი, სქელი სისხლი. შედოუ არ

განძრეულა. თუ ეძინა, არ გაჰღვიძებია. მთა ლუკაუტის თხემი

ღრუბლებში ჩაფლულიყო.

ისტერი მთის ძირას დანარჩენებისგან ოდნავ მოშორებით იჯდა და უყურებდა, აღმოსავლეთით, მთა-გორაკებზე როგორ თენდებოდა. მარცხენა მაჯის ირგვლივ დასვირინგებულ ლურჯ კესანეებს გონებაგაფანტულად ისრესდა მარჯვენა ცერით.

კიდევ ერთმა ღამემ ჩაიარა ისე, რომ არაფერი მომხდარა. ხალხი ჯერ კიდევ მოდიოდა თითო-თითოდ ან ორ-ორად. წუხელ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან რამდენიმე არსება მოვიდა, მათ შორის ორი ახალგაზრდა, ვაშლის ხესავით მაღალი ბიჭი და ერთი უჩვეულო რამ, რაც ისტერმა წესიერად ვერ დაინახა, თუმცა „ფოლკსვაგენ კეფერის“ ზომის ადამიანის მოჭრილ თავს მიამგვანა. ისინი მთის ძირას, ხეებს შორის გაუჩინარდნენ.

მთა ლუკაუტის ძირას შეკრებილებს არავინ აწუხებდა. გარე სამყაროში მათ არსებობას საერთოდ ვერავინ ამჩნევდა. „კლდის ქალაქში“ მყოფი, ზემოდან ბინოკლებით მაცქერალი ტურისტები ზედ მთის ძირას უწესრიგოდ დაბანაკებულთა ნაცვლად მხოლოდ ხეებს, ბუჩქებსა და კლდეებს ხედავდნენ.

დილის გრილმა ქარმა კოცონის კვამლი და დაბრაწული ბეკონის სუნი მოიტანა. ბანაკის მეორე

ბოლოში ვიღაცამ ჰარმონიკას დაკვრა დაიწყო, რაზეც ისტერს უნებლიეთ გაეღიმა და გააჟრჟოლა. ზურგჩანთიდან რბილყდიანი წიგნი ამოიღო და დაელოდა, როდის განათდებოდა ცა, რომ წაეკითხა.

ღრუბლების ქვეშ, ცაში, ორი წერტილი მოჩანდა: დიდი და პატარა. დილის ქარმა სახეში წვიმის წვეთები შემოაშხეფა.

ბანაკიდან ფეხშიშველა გოგო გამოვიდა, ხის უკან ჩაცუცქდა და კაბა აიკალთავა. როცა ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მორჩა, ისტერმა დაუძახა და გოგო მიუახლოვდა.

– დილა მშვიდობისა, ქალბატონო, – მიესალმა გოგო, – მალე ბრძოლა დაიწყება, – ვარდისფერი ენის წვერით ალისფერ ტუჩებს შეეხო. მხარზე შავი ყვავის ფრთა დაემაგრებინა ღვედით, ყელზე შებმულ ძეწკვზე კი – შავი ყვავის ფეხი. მკლავებზე ლურჯი ხაზები, ფიგურები და გადახლართული ორნამენტები ამოესვირინგებინა.

– რა იცი? გოგომ გაიღიმა.

– მე მახა ვარ, ერთ-ერთი მორიგანი[266]. მოახლოებული ომის სუნს ჰაერში ვგრძნობ. მე ომის ქალღმერთი ვარ და გეუბნები, დღეს სისხლი დაიღვრება.

– ეჰ, – უთხრა ისტერმა, – რას ვიზამთ!

ისტერი პატარა წერტილს უყურებდა, რომელიც უეცრად ციდან მოწყდა და მათკენ ქვასავით ჩამოვარდა.

– მტერს შევებრძოლებით და ყველას სათითაოდ გავჟლეტთ, – თქვა გოგომ, – მათ თავებს ალაფად დავიტოვებთ, ყვავები კი მათ თვალებსა და გვამებს დაჯიჯგნიან.

წერტილი ფრინველად გადაიქცა. ფრთები გაეშალა და დილის ქარზე

ამხედრებული მოფრინავდა ქვემოთ. ისტერმა თავი გვერდზე გადახარა.

– ომის ქალღმერთი განსაკუთრებულ საიდუმლო ცოდნას ფლობს? – ჰკითხა გოგოს, – წინასწარ ხვდება, ვინ გაიმარჯვებს და ვის ვისი მოჭრილი თავი შეხვდება?

– არა, – უპასუხა მან, – მხოლოდ ბრძოლის სუნი მცემს. მაგრამ ჩვენ გავიმარჯვებთ. ხომ ასეა? უნდა გავიმარჯვოთ. ვნახე, ყოველთა მამას რა უყვეს. ან ჩვენ, ან ისინი!

– ჰო, – დაეთანხმა ისტერი, – ალბათ ეგრე იქნება.

გოგომ კვლავ გაიღიმა და დილის ბინდში ბანაკში დაბრუნდა. ისტერმა მიწიდან დანის პირივით ამოშვერილ მწვანე ღივს ფრთხილად შეახო ხელი. მის შეხებაზე ღივი გაიზარდა, დაიგრიხა, აკვირტდა, შეიცვალა და ბოლოს, ისტერის ხელქვეშ ტიტის მწვანე კოკორი გაჩნდა. კოკორი მზის ამოსვლისას გაიშლებოდა. ისტერმა ქორს ახედა.

– რით დაგეხმარო? – ჰკითხა მას.

ქორმა ისტერს თავზემოთ შემოუფრინა, მერე დაბლა-დაბლა წამოვიდა და მის გვერდით, მიწაზე დაეშვა. ქალს მრისხანე თვალებით შეხედა.

– გამარჯობა, ლამაზო, – მიესალმა ისტერი, – სინამდვილეში როგორ გამოიყურები, ჰა?

ქორი ყოყმანით გასკუპდა მისკენ და უცებ ახალგაზრდა კაცად გარდაისახა. ჯერ ქალს შეხედა, შემდეგ ბალახს დახედა.

– შენ, – თქვა ბიჭმა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა: ხან ბალახს შეხედავდა, ხან – ცას, ხან – ბუჩქებს, მხოლოდ ისტერს არ უყურებდა.

– მე, – უთხრა ქალმა, – რა მე?

– შენ, – ბიჭი გაჩუმდა. როგორც ჩანდა, აზრების მოკრებას ცდილობდა. მის სახეზე უცნაური ემოციები ენაცვლებოდა ერთმანეთს.

„ძალიან დიდხანს იყო ფრინველი, – გაიფიქრა ისტერმა, – აღარ ახსოვს, ადამიანივით როგორ მოიქცეს“.

ისტერი მოთმინებით უცდიდა და ბიჭმაც, როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

– წამომყვები?

– შეიძლება წამოგყვე კიდეც. სად?

– ხეზე მიბმული კაცი. მას სჭირდები. წარმოსახული ჭრილობა ფერდში. სისხლი წამოვიდა და შეწყდა. მგონი, კაცი მოკვდა.

– ომი უნდა გაჩაღდეს. ახლა ვერ წამოვალ.

შიშველ კაცს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ფეხი მოიცვალა, თითქოს საკუთარ წონას არ ენდობოდა, თითქოს ჰაერში დასვენებას ან ტოტზე ქანაობას იყო მიჩვეული და არა მყარ, სწორ მიწაზე დგომას.

– თუ სამუდამოდ მოკვდება, ყველაფერი მორჩება, – თქვა შემდეგ.

– კი, მაგრამ ბრძოლა...

– თუ ის დაიღუპება, სულერთია, ვინ გაიმარჯვებს, – ბიჭს ნამდვილად არ აწყენდა საბანი, ერთი ფინჯანი თბილი ყავა და ისეთი ვინმე, ვინც მოფარებულში წაიყვანდა, რომ იქ ეცახცახა და ებურტყუნა, სანამ გონს არ მოეგებოდა.

– სად არის ეგ კაცი? ახლოსაა? ბიჭმა ტიტას დახედა და თავი გააქნია.

– აქედან ძალიან შორს.

– მაშინ ვერ გამოგყვები, – უთხრა ისტერმა, – მე აქ ვჭირდები. თანაც იქ ასე უცებ როგორ მივალ? მე შენსავით კი არ დავფრინავ.

– არა, – თქვა ჰოროსმა, – შენ არ დაფრინავ, – შემდეგ ზემოთ აიხედა და მიუთითა მეორე წერტილზე, რომელიც მოღრუბლული ციდან მოწყდა და თანდათან გადიდება დაიწყო, – ის დაფრინავს.

ტაუნმა კიდევ რამდენიმე საათი იხეტიალა უგზო-უკვლოდ და ამასობაში „ჯი-პი-ესიც“ ლამის შედოუსავით შესძულდა. თუმცა ამ სიძულვილს სიშმაგე აკლდა. ფერმის პოვნა და იფნის ხესთან მისვლა ხომ გაუჭირდა, მაგრამ უკან გზის გამოგნება უფრო რთული აღმოჩნდა. რომელ სოფლის გზაზეც უნდა გადაეხვია – ვირჯინიის ეს ვიწრო ორღობეები სათავეს უთუოდ ირმების ნაკვალევებითა და ძროხების ბილიკებით იღებდა – ბოლოს მაინც ისევ ფერმასა და ჭიშკარზე გაკრულ „იფნის“ აბრას ჩაუვლიდა ხოლმე.

რა სიგიჟეა! არადა, წესით, უკან მარტივად უნდა დაბრუნებულიყო. აქეთობას სადაც მარცხნივ მოუხვია, იქითობას მარჯვნივ უნდა მოეხვია და სადაც – მარჯვნივ, იქ – მარცხნივ.

ასეც მოიქცა, მაგრამ კვლავ ფერმასთან დაბრუნდა. საავდრო ღრუბლები გროვდებოდა და სწრაფად ბნელდებოდა, თითქოს კი არ გათენდა, ღამდებოდა. ტაუნს კი წინ გრძელი გზა ედო, ჩატანუგამდე შუადღემდე ვერაფრით მიაღწევდა.

მობილური ტელეფონი ერთსა და იმავეს უმეორებდა, რომ მომსახურების ზონიდან გასული იყო. დასაკეც რუკაზე მხოლოდ მთავარი გზები და შტატთაშორისი ავტომაგისტრალები იყო აღნიშნული, თითქოს სხვა არაფერი არსებობდა.

არც გამვლელი შეხვედრია სადმე, რომ მისთვის ეთხოვა დახმარება. სახლები გზებისგან მოშორებით იდგა და ყველა ჩაბნელებული ჩანდა. მანომეტრის ისარი „ცარიელის“ ნიშნულს უახლოვდებოდა. შორეული ქუხილის ექომ მასთან მოაღწია. საქარე მინაზე მძიმედ დაეცა წვიმის ერთი წვეთი. ჰოდა, როცა გზის პირას ეულად

მიმავალ ქალს მოჰკრა თვალი, უნებლიეთ გაეღიმა.

– მადლობა ღმერთს, – ხმამაღლა თქვა და მანქანა გააჩერა. ფანჯრის მინა დასწია, – უკაცრავად, მემ, გზა დამებნა და ხომ ვერ მეტყვით, 81-ე მაგისტრალამდე როგორ მივიდე?

ქალმა მანქანაში შემოიხედა და უთხრა: – ასე ზეპირად ვერ აგიხსნით, მაგრამ თუ წამიყოლებთ, გიჩვენებთ.

ქალს მკრთალი პირისახე ჰქონდა, გრძელი და შავი თმა დასველებოდა.

– დაბრძანდით, – დაუფიქრებლად შესთავაზა ტაუნმა, – ოღონდ ავზი უნდა გავავსოთ, თორემ საწვავი მითავდება.

– გმადლობთ, – კარი გამოაღო ქალმა, რომელსაც საოცრად ლურჯი თვალები ჰქონდა, – უი, აქ ჯოხი დევს, – წამოიძახა დაბნეულად.

– უკან გადადეთ. საით მიდიხართ? – ჰკითხა ტაუნმა, – ქალბატონო, თუ ბენზინგასამართ სადგურამდე მიმიყვანთ და აქედან ავტომაგისტრალამდე გამაღწევინებთ, გპირდებით, სახლის კართან ჩამოგსვამთ.

– გმადლობთ, მაგრამ მგონი, თქვენზე შორს მივდივარ. ავტომაგისტრალამდე რომ მიმიყვანოთ, კარგი იქნება. იქიდან რომელიმე სატვირთო მანქანას დავემგზავრები, – უთხრა ქალმა და ალმაცერად, მიზანდასახულად გაუღიმა. ამ ღიმილმა იმოქმედა.

– მემ, ნებისმიერი სატვირთოს მძღოლზე უფრო შორს წაგიყვანთ, – უთხრა ტაუნმა. ქალის სუნამოს მძაფრი, მაგნოლიის თუ იასამნის სუნი თავბრუს ახვევდა, მაგრამ ეს სულაც არ აწუხებდა.

– ჯორჯიაში მივდივარ, – უთხრა ქალმა, – იქამდე შორია.

– მე ჩატანუგაში მივდივარ. სადამდეც შევძლებ, იქამდე წაგიყვანთ.

– ჰმმ, – თქვა ქალმა, – რა გქვიათ?

– მაკი, – უპასუხა მისტერ ტაუნმა. ბარში ქალებთან გამოლაპარაკებისას ხანდახან სახელს ამ სახუმარო ფრაზას მიაყოლებდა ხოლმე: „მაგრამ უახლოესი მეგობრები „ბიგ მაკს“ მიწოდებენ.“ ამჯერად არ იჩქარა. ერთად ყოფნა კიდევ მრავალ საათს მოუწევდათ და ერთმანეთის უკეთ გაცნობასაც მოასწრებდნენ, – თქვენ რა გქვიათ?

– ლორა, – გაეცნო ქალი.

– ძალიან კარგი, ლორა, – უთხრა ტაუნმა, – დარწმუნებული ვარ, დავმეგობრდებით.

მსუქანმა ბიჭმა მისტერ უორლდი „ჭრელ ოთახში“ იპოვა – კედლებით შემოსაზღვრული, გადახურული ბილიკის მონაკვეთზე, სადაც ფანჯრის მინებზე მწვანე, წითელი და ყვითელი ფერის გამჭვირვალე პლასტმასის ფურცლები იყო გაკრული. მისტერ უორლდი ბოლთას სცემდა, ერთი ფანჯრიდან მეორესთან მიდიოდა და ხან ოქროსფრად შეფერადებულ ხედს გადაჰყურებდა, ხან – წითელს და ხან – მწვანეს. მოწითალო-ყვითელი თმა თითქმის გადაპარსული ჰქონდა და „ბერბერის“ მოდური საწვიმარი ეცვა.

მსუქანმა ბიჭმა ჩაახველა. მისტერ უორლდმა გამოხედა.

– უკაცრავად, მისტერ უორლდ, ერთ წუთს ხომ ვერ დამითმობთ?

– გისმენ. ყველაფერი ხომ გეგმის მიხედვით მიდის?

მსუქან ბიჭს პირი გაუშრა. ტუჩები გაილოკა.

– ყველაფერი მზად მაქვს, – თქვა მან, – ვერტმფრენებზე თანხმობა მჭირდება.

– ვერტმფრენები მოფრინდებიან, თუ საჭირო იქნება.

– კარგი, – თქვა მსუქანმა ბიჭმა, – ძალიან კარგი, – და გაჩუმდა. იდგა. არც არაფერს ამბობდა, არც მიდიოდა. შუბლი დალურჯებული ჰქონდა. ცოტა ხნის შემდეგ მისტერ უორლდმა ჰკითხა:

– კიდევ რამით ხომ არ შემიძლია დაგეხმარო? პაუზა. ბიჭმა ნერწყვი ჩაყლაპა და თავი დააქნია.

– დიახ, – თქვა მან.

– ცალკე ხომ არ გნებავს საუბარი? ბიჭმა ისევ თავი დაუქნია.

მისტერ უორლდი ბიჭს სამეთაურო პუნქტში შეუძღვა: ნესტიან გამოქვაბულში, სადაც ვისკის გამოსახდელ აპარატს შემოხვეული მთვრალი პიქსების[267] დიორამა იდგა. შესასვლელთან გაკრული წარწერა ტურისტებს აფრთხილებდა, რომ გამოქვაბულში რემონტი მიმდინარეობდა. მისტერ უორლდი და მსუქანი ბიჭი პლასტმასის სკამებზე დასხდნენ.

– რით დაგეხმარო? – ჰკითხა მისტერ უორლდმა.

– აჰ, დიახ, ორი რამ მაინტერესებს. პირველი: რას ველოდებით? და მეორე: მეორე უფრო რთული საკითხია. მისმინეთ, ჩვენ უფრო ძლიერები ვართ, ცეცხლსასროლი იარაღი და ტექნიკა გვაქვს, ისინი კი უბადრუკი ხმლებით, დანებით, ჩაქუჩებითა და ქვის ნაჯახებით დარბიან. კარგი, რა, ჭანჭიკებს ჯერაც ხელის ქანჩით უჭერენ, როცა ჩვენ შეგვიძლია „ჭკვიანი ბომბები“ ვესროლოთ.

– შეგვიძლია, მაგრამ არ ვესვრით, – შეახსენა მისტერ უორლდმა.

– ვიცი, უკვე მითხარით. ვიცი და გასაგებია. მაგრამ... მისმინეთ, მას შემდეგ, რაც ლოსანჯელესში ის ძუკნა მოვკალი... რაღაც... – მსუქანი ბიჭი გაჩუმდა და დაიჭყანა, თითქოს აზრის დასრულების სურვილი დაკარგა.

– გაწუხებს? – მიეშველა მისტერ უორლდი.

– დიახ. ზუსტად.

– კონკრეტულად რა გაწუხებს?

– თუ ვიბრძოლებთ, ჩვენ გავიმარჯვებთ.

– ეს გაწუხებს? მაგალითად, მე გამიხარდებოდა და ვიზეიმებდი.

– კი, მაგრამ ისინი ისედაც დაიხოცებიან. ტილაცინებისა და მოხეტიალე მტრედების[268] გზას ადგანან. ასე არ არის? ჰოდა, ვაცალოთ, თავისით ამოწყდნენ. რა საჭიროა სისხლისღვრა?

– აა, – მისტერ უორლდმა თავი დააქნია.

მიმიხვდაო, ესიამოვნა მსუქან ბიჭს და განაგრძო: – მისმინეთ, ასე მხოლოდ მე არ ვფიქრობ. „რადიო მოდერნის“ გუნდსაც ვკითხე და ისინიც დაზავებას ემხრობიან. არახელშესახებები მზად არიან ბაზრის უხილავ ხელს დაემორჩილონ. მოკლედ, საღ აზრს ვახმოვანებ.

– მართლაც. ერთი ეგაა, რომ შენ ყველაფერი არ იცი, – უთხრა მისტერ უორლდმა და ღიმილმა ნაიარევიანი ტუჩები დაუბრიცა.

ბიჭს თვალები გაუფართოვდა.

– მისტერ უორლდ, ტუჩებზე რა გჭირთ?

– სიმართლეს გეტყვი, – ამოიოხრა უორლდმა, – დიდი ხნის წინ ვიღაცამ ამომიკერა.

– ოჰო, – წამოიძახა ბიჭმა, – მაფია, ომერტა და რამე?

– დიახ. მაშ, გაინტერესებს რას ვუცდით? წუხელ რატომ არ შევუტიეთ? მსუქანმა ბიჭმა

  თავი დაუქნია. ოფლი ასხამდა, ოღონდ ცივი ოფლი.

– ჯერ იმიტომ არ ვუტევთ, რომ ჯოხს ველოდები.

– ჯოხს?

– დიახ, ჯოხს. თუ იცი, ის ჯოხი რად მინდა? ბიჭმა თავი გააქნია.

– არა. რად გინდათ?

– შემიძლია, გითხრა, – კუშტად უპასუხა მისტერ უორლდმა, – მაგრამ მაშინ შენი მოკვლა მომიწევს, – შემდეგ ბიჭს თვალი ჩაუკრა და ვითარება უმალვე განიმუხტა. მსუქანმა ბიჭმა გაიცინა, ხრიწინ-ხრიწინითა და ქშუტუნით.

– ჰი-ჰი, კარგი, – თქვა მან, – ჰი-ჰი. გასაგებია. არის. შეტყობინება მიღებულია. კრინტს

  არ ვძრავთ. მისტერ უორლდმა თავი გააქნია და მსუქან ბიჭს მხარზე ხელი დაადო.

– მართლა გაინტერესებს?

– დიახ.

– მაშ, კარგი, – თქვა მისტერ უორლდმა, – როგორც მეგობარს, გაგიმხელ: ჯოხს ავიღებ

  და როცა

ორი ლაშქარი ერთმანეთს ეკვეთება, ზემოთ ავისვრი. ჯოხი შუბად გადაიქცევა და როცა მებრძოლებს თავზე გადაევლება, დავიყვირებ: „ამ ბრძოლას ოდინს ვუძღვნი!“

– რა? რატომ? – გაუკვირდა მსუქან ბიჭს.

– ძალაუფლება და საკვები, – თქვა მისტერ უორლდმა და ნიკაპი მოიფხანა, – ამ ორისთვის. ბრძოლის შედეგს მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ქაოსი და ხოცვა-ჟლეტაა.

– ვერ ვხვდები.

– ახლავე გაჩვენებ. აი, რა მოხდება, – უთხრა მისტერ უორლდმა, – შეხედე! – მან საწვიმრის ჯიბიდან მონადირის ხისტარიანი დანა ამოიღო, ერთი სწრაფი, მოქნილი მოძრაობით მსუქან ბიჭს ღაბაბზე მიადო და დანის წვერს ზემოთ მიაწვა, – ამ სიკვდილს ოდინს ვუძღვნი, – თქვა მან, როცა ბიჭს დანა ტვინში ჩაერჭო.

ხელზე სითხე დაეწვეთა, ოღონდ ეს სისხლი არ იყო. ბიჭის თვალების ქვეშ რაღაც აშიშინდა და აელვარდა. ჰაერში დამწვარი კაბელის სუნი დატრიალდა, თითქოს სადღაც შტეფსელი გახურდა.

მსუქან ბიჭს ხელები დენდარტყმულივით აუცახცახდა და წაიქცა. დაბნეული, შესაბრალისი გამომეტყველება ჰქონდა.

– ერთი შეხედე, – ჰაერს მიმართა მისტერ უორლდმა, – ისე გამოიყურება, თითქოს მის თვალწინ წეღან ნულებისა და ერთიანების გროვა ჭრელი ჩიტების გუნდად გადაიქცა და გაფრინდა.

კლდეში გამოკვეთილ ცარიელ დერეფანში პასუხი არავისგან მიუღია.

მისტერ უორლდმა ბიჭი ისე იოლად მოიგდო მხარზე, თითქოს ძალიან მსუბუქი ყოფილიყოს, პიქსების დიორამა გააღო და გვამი ვისკის გამოსახდელი აპარატის უკან დააგდო. ზემოდან თავისი საწვიმარი გადააფარა. გადაწყვიტა, გვამი საღამოს მოეშორებინა თავიდან. ბრძოლის ველზე ამის გაკეთება არ გაუჭირდებოდა. ვერავინ ვერაფერს შეამჩნევდა. ან თუნდაც შეემჩნია, მაინც არ შეწუხდებოდა. ნაიარევიან ტუჩებზე კვლავ ვერაგული ღიმილი აუთამაშდა.

კარგა ხანს გამოქვაბულში სიჩუმე იდგა. შემდეგ სიბნელეში ვიღაცამ ჩაახველა და ბოხი ხმით, რომელიც მისტერ უორლდს არ ეკუთვნოდა, თქვა: – მშვენიერი დასაწყისია.

მეთვრამეტე თავი

ჯარისკაცებისთვის წინააღმდეგობის გაწევა მოინდომეს, მაგრამ მათ სროლა ატეხეს და ორივე დახოცეს. ამგვარად, სიმღერა მათი ციხეში ყოფნის შესახებ ტყუის, ეს მხოლოდ პოეზიაა. ყველაფერი ყოველთვის ისე როდი ხდება, როგორც ლექსებშია აღწერილი. პოეზია სულაც არ არის სიმართლე. სიმართლე ვერც ერთ ლექსში ვერ დაეტევა. მომღერლის კომენტარი „სემ ბასის[269] ბალადაზე“, „ამერიკული ფოლკლორის საგანძური“

სინამდვილეში მსგავსი არაფერი ხდება. თუ გნებავთ, წარმოიდგინეთ, რომ ეს მეტაფორაა. ბოლოს და ბოლოს, ყოველი რელიგია ხომ, შეიძლება ითქვას, მეტაფორაა: ღმერთი არის ოცნება, იმედი, ქალი, ირონისტი, მამა, ქალაქი, მრავალოთახიანი სახლი, მესაათე, რომელსაც თავისი ძვირფასი ქრონომეტრი უდაბნოში დარჩა, ვიღაც, ვისაც ძალიან უყვარხართ – ანდა, ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ, ზეციური არსება, რომელსაც მხოლოდ ის ადარდებს, როგორმე შენმა საყვარელმა საფეხბურთო გუნდმა, არმიამ, ფირმამ ან ქორწინებამ გაიმარჯვოს, წარმატებას მიაღწიოს და გაამართლოს.

რელიგია ადგილია, სადაც ვდგავართ, საიდანაც ვიყურებით და ვმოქმედებთ, სიმაღლე, რომლიდანაც მსოფლიოს დავცქერით.

ამგვარად, ეს ყველაფერი არ ხდება. შეუძლებელია ჩვენს დროში, ჩვენს ეპოქაში მსგავსი რამ მოხდეს. მონათხრობიდან არც ერთი სიტყვა არ არის სიმართლე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი მოხდა და მოხდა, აი, ასე:

მთა ლუკაუტის (რომელიც ძალიან მაღალი ბორცვი უფროა, ვიდრე მთა) ძირას, პატარა კოცონის ირგვლივ, ხალხი შეკრებილიყო. წვიმაში თავი ხეებისთვის შეეფარებინათ და კამათობდნენ.

კუპრივით შავმა და ბასრ, თეთრკბილებიანმა ქალბატონმა კალიმ თქვა: – დროა.

ყვითელხელთათმანიანმა, თმაშევერცხლილმა ანანსიმ თავი გააქნია. – ცოტა

კიდევ მოვიცადოთ, – თქვა მან, – სანამ შეგვიძლია, უნდა მოვიცადოთ. ხალხი

უკმაყოფილოდ აბუტბუტდა.

– ის მართალს ამბობს, – თქვა ჭაღარა ბერიკაცმა, ჩერნობოგმა, რომელსაც მხარზე პატარა ურო შემოედო, – მტერი მაღლობზეა გამაგრებული. ამინდიც ჩვენ წინააღმდეგაა. ახლა იერიშზე გადასვლა სიგიჟე იქნება.

არსებამ, რომელიც ცოტათი მგელს ჰგავდა და უფრო მეტად ადამიანს, მიწაზე დააფურთხა.

– მაშ, როდის შევუტიოთ, დედუშკა[270]? გამოდარებას ვუცადოთ, ისინიც ხომ ამას ელიან? გეუბნებით, ახლავე უნდა შევუტიოთ.

– ჩვენ შორის ღრუბლებია ჩამოწოლილი, – შენიშნა იშტენ[271] უნგრელმა, რომელსაც მოხდენილი, შავი ულვაში და მონაცრისფრო-შავი ქუდი ამშვენებდა და იმ კაცივით იღიმოდა, პენსიონერებისთვის კედლების შემოსაფიცრიალუმინის მასალის, ახალი სახურავებისა და კარ-ფანჯრების მიყიდვით რომ ირჩენს თავს, მაგრამ ჩეკის განაღდებისთანავე მიდის ქალაქიდან და სულ აღარ აინტერესებს, სამუშაო შესრულდა თუ არა.

აქამდე ჩუმად მდგარი, კოსტიუმში კოხტად გამოწყობილი კაცი ხელებგადაჭდობილი გამოვიდა კოცონის შუქზე და თავისი აზრი მკაფიოდ და სხარტად ჩამოაყალიბა. ხალხი თავის ქნევითა და თანხმობის ბუტბუტით შეხვდა მის გამოსვლას.

სამი მორიგანიდან ერთ-ერთმა დაილაპარაკა. მეომარი ქალები კოცონიდან ოდნავ მოშორებით, სიბნელეში, ისე ახლო-ახლო იდგნენ, ლურჯად მოსვირინგებული კიდურებისა და მოქანავე ყვავის ფრთების ხლართს ჰგავდნენ. ქალმა თქვა: – სულერთია, ახლა იერიშისთვის კარგი დროა თუ ცუდი. ეს ბრძოლის დროა. რა ხანია, უმოწყალოდ გვხოცავენ და მომავალშიც გააგრძელებენ, გინდ შევებრძოლოთ, გინდ – არა. შეიძლება გავიმარჯვოთ, ან დავმარცხდეთ. მაგრამ სჯობს, ერთად დავიხოცოთ, შეტევისას, ღმერთებივით, ვიდრე ცალ-ცალკე და დევნილები, სარდაფის კუთხეში მიმწყვდეული ვირთხებივით.

კვლავ ბუტბუტი გაისმა, ამჯერად ერთსულოვანი თანხმობისა. მორიგანმა ყველას სათქმელი თქვა. ბრძოლის დრო მოვიდა.

– პირველი თავი ჩემზეა, – თქვა ძალიან მაღალმა ჩინელმა კაცმა, რომელსაც კისერზე ბაწარზე ასხმული პაწაწინა თავის ქალები შეება. მან ხის გრძელ ტარზე დაგებული, ნამგალივით მოკაუჭებული მახვილი გადაიდო მხარზე და დინჯად, შეუპოვრად შეუყვა ფერდობს. არაფერიც არ გრძელდება სამუდამოდ.

შეიძლება მხოლოდ ათი წუთი დაყო იქ, არსად, არარსში, ან – ათი ათასი. სულერთია. მისთვის დროის ცნება გაუფასურდა.

თავისი ნამდვილი სახელი აღარ ახსოვდა. თავს დაცარიელებულად და

გასუფთავებულად გრძნობდა იმ ადგილას, რომელიც არანაირი ადგილი არ იყო.

ის უფორმო იყო, ცარიელი. ის აღარაფერი იყო. და იმ არაფერში უეცრად ხმა

გაისმა: – ჰო-ჰოკა, ძმობილო. უნდა ვისაუბროთ. და რაღაცამ, რომელიც ოდესღაც

შეიძლება შედოუ იყო, თქვა: – ვისკი ჯეკ, შენ ხარ?

– დიახ, – უპასუხა ვისკი ჯეკმა სიბნელეში, – მკვდარი ძნელად საპოვნი ყოფილხარ. არც ერთ იმ ადგილას არ დამხვდი, სადაც მეგონა, იქნებოდი. ბევრგან გეძებე, სანამ აქაურობის შემოწმებას მოვიფიქრებდი. მითხარი, ბოლოს და ბოლოს, მიაკვლიე შენს ტომს?

შედოუს ღამის კლუბში ბზრიალა შუშის ბურთის ქვეშ მოცეკვავე წყვილი გაახსენდა.

– მგონი, ჩემი ოჯახი ვიპოვე, მაგრამ არა, ჩემს ტომს ვერ მივაკვლიე.

– ბოდიში შეწუხებისთვის.

– ეგ ბოდიში ყალბია. შემეშვი. რაც მინდოდა, ის მივიღე. მოვკვდი.

– შენ წასაყვანად მოდიან, – უთხრა ვისკი ჯეკმა, – უნდა გაგაცოცხლონ.

– მაგრამ მე მოვკვდი, – გააპროტესტა შედოუმ, – ჩემი ამბავი მორჩა, დამთავრდა.

– სულაც არა, – შეუსწორა ვისკი ჯეკმა, – არასდროს არაფერი მთავრდება. ჩემთან წავიდეთ. ლუდს დალევ?

ლუდის ხსენებაზე, შედოუს მართლაც მოუნდა ლუდი.

– კი, – უპასუხა ვისკი ჯეკს.

– მეც წამომიყოლე. მანდ, კართან, ქულერი დგას, – უთხრა ვისკი ჯეკმა და მიუთითა. მის ქოხში იყვნენ.

შედოუმ ქოხის კარი გააღო ხელებით, რომლებიც, თუ ჰქონდა, წამის წინ არ ეგონა. კართან მართლაც იდგა პლასტმასის ქულერი და შიგ, მდინარიდან ამოჭრილ ყინულის ნატეხებში, „ბუდვაიზერის“ თორმეტი ქილა ეწყო. შედოუმ ორი ქილა ამოიღო, იქვე დაჯდა და ხეობას გადახედა.

ბორცვის თხემზე, დამდნარი თოვლითა და ყინულით გასივებულ ჩანჩქერთან ახლოს იმყოფებოდნენ. წყალი საფეხურებად ვარდებოდა ოცი თუ ოცდაათი მეტრის სიმაღლიდან. ქვემოთ, ჩანჩქერის ძირას, დაგუბებული წყლის ირგვლივ აღმართული ხეების ტოტებზე ჩამოკიდებულ ლოლუებზე, მზის სხივები ირეკლებოდა. წყლის ნაკადის ძირს დახეთქების ხმა ჰაერს არხევდა.

– სად ვართ? – იკითხა შედოუმ.

– სადაც ბოლოს ვიყავით, – უპასუხა ვისკი ჯეკმა, – ჩემთან. მაგ „ბუდვაიზერს“ მომცემ, თუ უნდა გაათბო? თბილი არაფრად აღარ ვარგა. შედოუ წამოდგა და ლუდის ქილა მიაწოდა.

– შენთან ბოლოს რომ ვიყავი, ჩანჩქერი არ შემიმჩნევია, – უთხრა შედოუმ.

ვისკი ჯეკმა ქილა გახსნა, მოიყუდა და ნახევარი ქილა ლუდი ერთ დიდ ყლუპად დალია. შემდეგღა მოიცალა სალაპარაკოდ.

– ჩემი დისწული, პოეტი ჰარი ბლუჯეი გახსოვს? თქვენი „უინებეიგო“ თავის „ბიუიკში“ რომ გაგიცვალათ?

– მახსოვს, მაგრამ პოეტი თუ იყო, არ ვიცოდი.

ვისკი ჯეკი თავმომწონედ გაიჭიმა და ამაყად თქვა: – საუკეთესო პოეტი მთელ ამერიკაში.

ქილა ბოლომდე დაცალა, დააბოყინა და ქულერიდან კიდევ ერთი ქილა ამოიღო. ამასობაში შედოუმაც გახსნა თავისი ქილა და ორივენი დილის მზის შუქზე, ღია მწვანე გვიმრებს შორის, ლოდზე ჩამოსხდნენ, ლუდს სვამდნენ და წყალვარდნილს უყურებდნენ. იქ, სადაც მზის სხივები ვერ სწვდებოდა, ჯერ ისევ თოვლი იდო, სხვაგან კი წყალში აზელილი მიწა ატალახებულიყო.

– ჰარი დიაბეტით იყო დაავადებული, – განაგრძო ვისკიჯეკმა, – სხვათა შორის, ბევრს ემართება. ჩამოხვედით ამერიკაში, ჩვენთვისვე წართმეულ შაქრის ლერწამს, კარტოფილსა და სიმინდს კარტოფილის ჩიფსებად და კარამელიან პოპკორნად ასაღებთ და ჩვენვე გვაავადებთ, – ბერიკაცმა ფიქრიანად მოწრუპა ლუდი, – ჰენრიმ თავისი ლექსებისთვის რამდენიმე ლიტერატურული ჯილდო დაიმსახურა. მინესოტაში მისი შემოქმედების წიგნად გამოცემა მოინდომეს. იმ ხალხთან დასალაპარაკებლად მინესოტაში მიდიოდა სპორტული მანქანით. თქვენი „უინებეიგო“ ყვითელ „მაზდა მიატაში“ გადაცვალა. ექიმების აზრით, საჭესთან ჯდომისას კომაში ჩავარდა, გზიდან გადავიდა და საგზაო მაჩვენებელს დაეჯახა. თქვენ, თეთრკანიანები, ყოველ ნაბიჯში საგზაო ნიშნებსა და მაჩვენებლებს არჭობთ, მიხედ-მოხედვა გეზარებათ, არც მთას შეხედავთ, არც – ცას, რომ გაიგოთ, სად იმყოფებით. მოკლედ, ჰარი ბლუჯეი სამუდამოდ წავიდა ამქვეყნიდან, ამიერიდან თავის მგელ ძმასთან იცხოვრებს. იქ აღარაფერი მაკავებდა, ჰოდა, მეც ავდექი და ჩრდილოეთში გადმოვსახლდი. აქ კარგი სათევზაო ადგილებია.

– ვწუხვარ შენი დისწულის გამო.

– მეც. მოკლედ, ახლა ჩრდილოეთში ვცხოვრობ. თეთრკანიანთა სნეულებებისგან, მათი გზებისა და საგზაო ნიშნებისგან, მათი ყვითელი „მიატებისა“ და კარამელიანი პოპკორნისგან შორს.

– თეთრკანიანების ლუდს რომ სვამ? ვისკი ჯეკმა ქილას დახედა.

– ადრე თუ გვიან თეთრკანიანები ხელს ჩაიქნევთ და, როცა შინ დაბრუნდებით, „ბუდვაიზერის“ ლუდსახარშები ჩვენ დაგვიტოვეთ, – თქვა მან.

– სად ვართ? – ისევ ჰკითხა შედოუმ, – ხეზე ვკიდივარ? მოვკვდი? აქ ვარ? მეგონა, ყველაფერი მორჩა. რა არის ნამდვილი?

– კი, – უპასუხა ვისკი ჯეკმა.

– კი? ეგ რა პასუხია?

– კარგი პასუხია. მართალი პასუხი. – შენც ღმერთი ხარ? – ჰკითხა შედოუმ. ვისკი ჯეკმა თავი გააქნია.

– მე მითოლოგიური გმირი ვარ, – უთხრა მან, – ჩვენც იმას ვაკეთებთ, რასაც ღმერთები, ერთი ეგაა, რომ უფრო მეტს ვაჩმახებთ და არავინ გვეთაყვანება. ჩვენზე ამბებს ჰყვებიან, ოღონდ იმ ამბებში ცუდადაც იმდენად ვართ წარმოჩენილები, რამდენადაც კარგად.

– გასაგებია, – თქვა შედოუმ და მეტ-ნაკლებად გაიგო კიდეც, ვისკი ჯეკი რასაც გულისხმობდა.

– ეს ქვეყანა ღმერთებისთვის ცუდი ადგილია, – თქვა ვისკი ჯეკმა, – ჩემი ხალხი ამას დიდი ხნის წინ მიხვდა. არსებობენ შემოქმედი სულები, რომლებმაც დედამიწა იპოვეს, შექმნეს თუ მოჯვეს, მაგრამ, აბა, დაუფიქრდი: ვინ ჩემი ფეხები სცემს თაყვანს კოიოტს[272]? კოიოტი მაჩვზღარბა ქალთან დაწვა და მას რომ სირში ეკლები შეერჭო, იმდენი ნემსი სანემსე ბალიშზე არ იქნება დაბნეული. დადიოდა, დაეხეტებოდა, ქვალოდებს ედავებოდა და ქვა-ლოდები მასთან კამათში ყოველთვის იმარჯვებდნენ.

დიახ, ჩემი ხალხი მიხვდა, რომ რაღაც არსებობს, შემოქმედი, დიადი სული თუ ვიღაც ეგეთი და მას მადლობას ვწირავდით, რადგან მადლობის გადახდა ყოველთვის კარგია, მაგრამ ეკლესიები არასდროს აგვიშენებია. არც გვინდოდა. მიწა იყო ჩვენი ეკლესია. მიწა იყო ჩვენი რელიგია. მიწა იმ ხალხზე უფრო ხნიერი და ბრძენი იყო, ვინც ზედ დაიარებოდა. მიწამ მოგვცა ორაგული, სიმინდი, ბიზონი, მოხეტიალე მტრედი. მიწამ მოგვცა ველური ბრინჯი და ყვითელი ფარგა. მიწამ მოგვცა ნესვი, გოგრა და ინდაური. ჩვენც ამ მიწის შვილები ვიყავით მაჩვზღარბას, სკუნსისა და ცისფერი ჩხიკვის მსგავსად.

ვისკი ჯეკმა მეორე ქილა გამოცალა და შედოუს ჩანჩქერის ძირას გაჭიმულ მდინარეზე მიუთითა.

– ამ მდინარეს თუ გაუყვები, ცოტა ხნის შემდეგ მიადგები ტბებს, სადაც ველური ბრინჯი ხარობს. როცა ველური ბრინჯი მწიფდება, ჩაისვამ მეგობარს კანოეში, ტბაში შეცურავ, ველური ბრინჯის თავთავებს შენკენ გადმოხრი და მარცვლებს პირდაპირ კანოეში ჩაცლი. ბრინჯს მოხარშავ, შეინახავ და დიდხანს იმყოფინებ. სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა საკვები მოიპოვება. სამხრეთში თუ წახვალ, იქ ფორთოხალსა და ლიმონს იპოვი, ანდა რბილ და წვნიან მწვანე ხილს, მსხალს რომ ჰგავს...

– ავოკადოს.

– დიახ, ავოკადოს, – გაიმეორა ვისკი ჯეკმა, – მათ ამ მხარეში ვერსად წააწყდები. აქ ველური ბრინჯი ხარობს. ეს ცხენირმების მიწაა. იმის თქმას ვცდილობ, რომ ამერიკა ასეთია. აქ ღმერთები ვერ გაიხარებენ. მათთვის ეს მიწა უნაყოფოა. აქ ღმერთები ველური ბრინჯის მხარეში მოყვანილ ავოკადოებს ჰგვანან.

– შეიძლება აქ ვერ ხარობენ, მაგრამ საომრად კი ემზადებიან, – გაახსენდა შედოუს.

მაშინ პირველად და უკანასკნელად იხილა მოცინარი ვისკი ჯეკი. ბერიკაცის უსიხარულო სიცილი ყეფასავით ჟღერდა.

– ეი, შედოუ, შენი ყველა მეგობარი კლდიდან რომ გადახტეს, შენც გადაჰყვები? – ჰკითხა ვისკი ჯეკმა.

– შეიძლება, – შედოუმ თავი კარგად იგრძნო. მისი აზრით, ეს მხოლოდ ლუდის დამსახურება არ იყო. აღარც ახსოვდა, ბოლოს ასე ლაღად, ასე ცოცხლად თავს როდის გრძნობდა.

– ეს არ იქნება ომი.

– მაშ, რა იქნება? ვისკი ჯეკმა თუნუქის ქილა ხელებით გასრისა და გააბრტყელა. –

შეხედე, – ჩანჩქერზე მიუთითა შედოუს. მაღლა ასულიმზის სხივები უკვე ჩანჩქერის

შხეფების ღრუბელს დანათოდა და ჰაერში ცისარტყელა გადარკალულიყო. მსგავსი

სილამაზე არასდროს მინახავსო, გაიფიქრა შედოუმ.

– ხოცვა-ჟლეტა, – აუღელვებლად თქვა ვისკი ჯეკმა.

აი, მაშინ კი შედოუმ დაინახა. ცხადად და გარკვევით დაინახა. თავი გააქნია და ახითხითდა, შემდეგ ისევ გააქნია თავი და ხითხითი ხარხარად გადაიქცა.

– კარგად ხარ?

– მშვენივრად, – უპასუხა შედოუმ, – ახლახან დამალული ინდიელები დავინახე. ყველა არა, მაგრამ მათი ნაწილი დავინახე.

– მაშ, ჰო-ჩანკებს დაინახავდი. მაგათ წესიერად დამალვა არასდროს შეეძლოთ, – ვისკი ჯეკმა მზეს ახედა, – უკან დაბრუნების დროა, – თქვა და წამოდგა.

– ეს ორის დაგეგმილი თაღლითობაა, – თქვა შედოუმ, – და არა – ომი, ხომ ასეა?

– არც ისეთი ბრიყვი ყოფილხარ, – მხარზე ხელი დაჰკრა ვისკი ჯეკმა.

ვისკი ჯეკის ქოხისკენ გააბიჯეს. ბერიკაცმა კარი გააღო. შედოუ შეყოყმანდა.

– ნეტავ აქ დარჩენა შემეძლოს, – თქვა მან, – კარგი ადგილი ჩანს.

– ბევრი კარგი ადგილი არსებობს, – უთხრა ვისკი ჯეკმა, – საქმეც ესაა. მისმინე, როცა ღმერთებს ივიწყებენ, ისინი იხოცებიან. დავიწყებულ ადამიანებსაც იგივე მოსდით. მაგრამ მიწა რჩება. კარგიც და ცუდიც. მიწა არსად მიდის. და არც მე მივდივარ სადმე.

შედოუმ კარი გამოიხურა. რაღაც ძლიერად ექაჩებოდა. კვლავ მარტო აღმოჩნდა წყვდიადში, მაგრამ წყვდიადი თანდათან აკაშკაშდა და ბოლოს მცხუნვარე მზედ გადაიქცა.

შემდეგ ძლიერმა ტკივილმა მოიცვა.

მინდორზე ქალი მიაბიჯებდა და სადაც ფეხს დგამდა, გაზაფხულის ყვავილები იშლებოდა. ამ ადგილას და ამ დროში ის თავს ისტერს უწოდებდა.

ჩაუარა ადგილს, სადაც დიდი ხნის წინ ფერმის სახლი იდგა. რამდენიმე კედელი ჯერ კიდევ ამოჩრილიყო ჭიანი კბილებივით სარეველებიდან და მინდვრის ბალახიდან. ცა საავდრო, შავ ღრუბლებს დაეფარა. ცრიდა. ციოდა.

სახლის ნანგრევებიდან ოდნავ მოშორებით, მაღალი, ზამთარში ფოთლებშემოძარცული, მოვერცხლისფრო-რუხი ხე იდგა, ხოლო ხის ძირას, ბალახში, გახუნებული ქსოვილის ნაგლეჯები ეყარა. ქალი ნაგლეჯებთან გაჩერდა, კიდევ რაღაც შეამჩნია, დაიხარა და აიღო. ადამიანის თავის ქალის გამოხრული, მოყვითალოთეთრი ნატეხი აღმოჩნდა. ხელში შეატრიალ-შემოატრიალა და ისევ ბალახზე დააგდო. მერე ხეზე ჩამოკიდებულ კაცს ახედა.

– შიშვლები ისეთი საინტერესოები აღარ არიან, – ეშმაკურად გაიცინა ქალმა, – ნახევარი სიამოვნება ტანსაცმლის გახდაშია, როგორც შეფუთული საჩუქრის გახსნაში. ქალის გვერდით მდგარმა ქორისთავიანმა კაცმა პენისზე დაიხედა, თითქოს მაშინ პირველად გააცნობიერა, რომ თვითონაც შიშველი იყო.

– სამაგიეროდ, შემიძლია მზეს თვალის დაუხამხამებლად ვუყურო, – თქვა მან.

– ყოჩაღ შენ! – შეაქო ისტერმა, – ახლა კი, მოდი, ამის ხიდან ჩამოხსნაში დამეხმარე.

სველი თოკები, რომლებითაც შედოუ ხეზე იყო მიბმული, დიდი ხნის წინ დამპალიყო და ძალდაუტანებელი მოქაჩვითაც გაწყვიტეს. ხეზე ჩამოკიდებული შედოუ ქვემოთ ჩამოცურდა, მაგრამ დაიჭირეს და მიუხედავად მისი სიდიდისა, იოლად დაასვენეს გაუფერულებულ მინდორზე.

შედოუ არ სუნთქავდა, ცივი იყო. ფერდზე სისხლი შავად შეხმობოდა და ზედ ნაიარევი ემჩნეოდა, თითქოს შუბი ეძგერებინოთ.

– ახლა რა ვქნათ?

– ახლა უნდა გავათბოთ, – თქვა ქალმა, – იცი, რაც უნდა ქნა.

– ვიცი. არ შემიძლია.

– თუ დახმარებას არ აპირებ, აქ არც უნდა მოგეყვანე.

– ძალიან დიდი ხანია, ეს არ მიქნია.

– სხვებსაც ძალიან დიდი ხანია, არ გვიქნია.

– თანაც, ცოტას ვაფრენ.

– ვიცი.

ქალმა თეთრი ხელი ჰოროსისკენ გაიშვირა და შავ თმაზე შეეხო. ჰოროსმა თვალი გაუსწორა, შემდეგ ბუღადენილივით ალივლივდა.

ქალს მიშტერებული ქორის თვალები ნარინჯისფრად აელვარდა, თითქოს მათ ქვეშ დიდი ხნის წინ ჩამქრალი ცეცხლი ანთებულიყოს.

ქორი ცაში აიჭრა, კამარა შეკრა და შავი ღრუბლების ქვეშ წრე შემოარტყა იმ ადგილს, სადაც, წესით, მზე უნდა ყოფილიყო. თანდათან იმ სიმაღლეზე აიჭრა, რომ ჯერ ლაქად გადაიქცა, შემდეგ – წერტილად და ბოლოს, შეუიარაღებელი თვალისთვის, საერთოდ გაქრა. შემდეგ ღრუბლები შეთხელდა და დაქუცმაცდა, მათ შორის ლურჯი ცის ნაგლეჯები გაჩნდა, საიდანაც მზემ გამოანათა. ღრუბლებს შორის გამომსხლტარი და მინდორზე დაცემული მზის ერთი კაშკაშა სხივი ულამაზესი იყო, მაგრამ სანახაობა მხოლოდ მცირე ხანს გაგრძელდა, რადგან ძალიან მალე მთელი ცა მოიწმინდა და მინდორს მზემ ისე მცხუნვარედ დააჭირა, თითქოს უეცრად ზაფხული დამდგარიყოს. მზემ დილის ნამი ააორთქლა და ნისლად აქცია, ნისლი კი მიმოფანტა და გააქრო.

მინდორზე დასვენებული გვამი ოქროსფერ, თბილ შუქში გაეხვია. ქალმა მარჯვენა ხელი ნაზად დაადო მკერდზე, გულს ზემოთ. მოეჩვენა, რომ შეტოკება იგრძნო. ეს გულისცემა არ იყო, მაგრამ მაინც...

მკერდიდან ხელის აუღებლად, ისტერი დაიხარა და შედოუს ფილტვებში სული ჩაჰბერა, მსუბუქად ამოისუნთქა და ჩაისუნთქა. შემდეგ ისტერის სუნთქვა კოცნაში გადაიზარდა. მის სათუთ კოცნას გაზაფხულის წვიმისა და მინდვრის ყვავილების გემო ჰქონდა.

შედოუს ჭრილობიდან კვლავ გამოჟონა ალისფერმა სისხლმა და მზის შუქზე თხევადი ლალის ქვებივით აბრჭყვიალდა. შემდეგ სისხლდენა შეწყდა. ისტერმა შედოუს ლოყასა და შუბლზე აკოცა.

– ადგომის დროა, – უთხრა მას, – უკვე იწყება. ვიჩქაროთ, თორემ ყველაფერს გამოტოვებ.

შედოუს ქუთუთოები აუთრთოლდა და მუქი რუხი, თითქმის ბინდისფერი თვალები გაახილა. ქალს შეხედა.

ისტერმა გაუღიმა და მისი მკერდიდან ხელი აიღო.

– უკან მიხმე, – ნელა უთხრა შედოუმ, თითქოს ლაპარაკს გადაჩვეული იყო და სიტყვებს იხსენებდა. მის ხმაში დაბნეულობა იგრძნობოდა.

– ჰო.

– მოვკვდი. განმიკითხეს. ყველაფერი მორჩა. შენ კი გაბედე და გამომიხმე.

– ვწუხვარ.

– ჰო.

შედოუ ფრთხილად წამოჯდა. შეკრთა და გვერდზე მიიდო ხელი. გაკვირვება დაეწერა სახეზე. ტანზე სისხლი ეცხო, მაგრამ ნაიარევი გამქრალიყო.

ისტერს ხელი გაუწოდა, ქალმა მკლავი შემოხვია და წამოდგომაში მიეშველა. შედოუმ მინდორს ისე მოავლო თვალი, თითქოს სახელს არქმევდა ყველაფერს, რასაც ხედავდა:
ყვავილებს გრძელ ბალახში, ფერმის სახლის ნანგრევებს, მწვანე კვირტებით დახუნძლული, მაღალი, ვერცხლისფერი ხის ტოტებს.

– გახსოვს? – ჰკითხა ისტერმა, – გახსოვს, რა შეიტყვე?

– კი. მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე მოგონება სიზმარივით გაიცრიცება. ჩემი სახელი და გული დავკარგე, შენ კი უკან დამაბრუნე.

– ვწუხვარ, – ხელმეორედ მოუბოდიშა ისტერმა, – მალე ძველი და ახალი ღმერთები ერთმანეთს შეებრძოლებიან.

– გინდა, რომ თქვენი მხარე დავიჭირო? ტყუილად დაგიკარგავს დრო.

– ვალდებული ვიყავი, დამებრუნებინე, – უთხრა ისტერმა, – ეს ჩემი საქმეა. ამაში ბადალი არ მყავს. ახლა რას იზამ, შენი გადასაწყვეტია. მე ჩემი გასაკეთებელი გავაკეთე.

უეცრად ისტერს გაახსენდა, რომ შედოუ შიშველი იყო, წამოწითლდა
და დარცხვენილმა მზერა მოარიდა. მთაზე, წვიმასა და ნისლში,
აჩრდილები ადიოდნენ კლდის ბილიკებით. მწვანექურთუკიან, წითურ
კაცებთან ერთად თეთრი მელიებიმიუყვებოდნენ აღმართს.
რკინისთითება დაქტილი[273] და ხარისთავიანი მინოტავრი
მხარდამხარ მიაბიჯებდნენ. ღორი, მაიმუნი და ბასრკბილა ღული
ცეცხლოვანი მშვილდით შეიარაღებული ლურჯკანიანი კაცის, ბეწვში
ყვავილებჩაწნული დათვისა და თვალების ხმლით შეიარაღებული
ოქროსჯაჭვისპერანგიანი კაცის თანხლებით მიცოცავდნენ ფერდობზე.

ლამაზი ანტინოე[274], ადრიანეს საყვარელი, წინ მიუძღოდა სტეროიდების წყალობით დაკუნთული და იდეალურად ტანგამოკვეთილი „ტყავის დედოფლების“[275] რაზმს.

მუქკანიანი კაცი, რომელსაც შუბლზე, კიკლოპის მსგავსად, თვალის ნაცვლად დაუმუშავებელი ზურმუხტის ქვა უბრწყინავდა, გაჯგიმული მიაბიჯებდა ფერდობზე. მას უკან მიჰყვებოდა რამდენიმე ჯმუხი, შავგვრემანი კაცი აცტეკური ბარელიეფებივით ბრტყელი, აუღელვებელი სახეებით: მათ ჯუნგლების ჩაყლაპული საიდუმლოებები იცოდნენ.

ბორცვის წვერზე ჩასაფრებულმა სნაიპერმა გულმოდგინედ ამოიღო მიზანში თეთრი მელია და გაისროლა. გაისმა ბათქი და ნესტიან ჰაერში დენთის სუნი დატრიალდა. ძირს დავარდა მუცელგამოგლეჯილი და სახეგასისხლიანებული ახალგაზრდა იაპონელი ქალი და ნელ-ნელა გაფერმკრთალდა.

ხალხი მაინც განაგრძობდა ბორცვზე ასვლას, ზოგი ორი ფეხით, ზოგი – ოთხით, ზოგი კი საერთოდ უფეხოდ.

ტენესის მთაგორიან მხარეში მანქანით მგზავრობა საოცრად სასიამოვნო იყო, როცა ქარიშხალი სუსტდებოდა, და საშინლად ნერვების მომშლელი, როცა თავსხმა მოდიოდა. ტაუნი და ლორა გაუთავებლად ლაქლაქებდნენ. ტაუნს უხაროდა, რომ ამ ქალს შეხვდა. თითქოს ძველ მეგობარს ესაუბრებოდა, ძველ მეგობარს, რომელსაც მანამდე არ იცნობდა. ისაუბრეს ისტორიაზე, კინოსა და მუსიკაზე. გაირკვა, რომ ტაუნის ნაცნობთაგან ლორა იყო ერთადერთი ადამიანი, დიახ, ერთადერთი, ვისაც 1960-იან წლებში გადაღებული ერთი უცხოური ფილმი, „სარაგოსაში ნაპოვნი მანუსკრიპტი“ ენახა (მისტერ ტაუნი არწმუნებდა, ეგ ფილმი ესპანურიაო, ლორა კი დაჟინებით უმტკიცებდა, პოლონურიო), მისტერ ტაუნს აღარც კი სჯეროდა, რომ ეს ფილმი მართლა გადაიღეს, ეგონა, დაესიზმრა ან მოეჩვენა, რომ ნახა.

როცა ლორამ ნახე კლდის ქალაქის რეკლამიან პირველ ბეღელზე მიუთითა, ტაუნმა ჩაიცინა და აღიარა, სწორედ მანდ მივდივარო. მაგარია, უთხრა ლორამ, ყოველთვის მინდოდა ასეთი ადგილების დათვალიერება, მაგრამ დრო ვერასდროს გამოვნახე და ბევრჯერ ვინანეო. თურმე ახლა სწორედ სამოგზაუროდ და თავგადასავლების საძიებლად გამოსულიყო შინიდან.

ლორა ქმარს გაყრილი ტურისტული აგენტი იყო. ტაუნს გამოუტყდა, ჩვენი განშორება ჩემი ბრალია და არა მგონია, ოდესმე შევრიგდეთო.

– არ მჯერა. ლორამ ამოიოხრა.

– სიმართლეა, მაკ. მე ის ქალი აღარ ვარ, ვისზეც მან
  იქორწინა.

რას ვიზამთ, ადამიანები იცვლებიანო, უთხრატაუნმა და მერევერც კი მიხვდა, თვითონაც ისე გადაუშალა გული, უამბო თავის ძმაკაცებზე, ვუდსა და სტოუნზე, სამი მუშკეტერივით განუყრელნი ვიყავით, მაგრამ ვუდი და სტოუნი დახოცესო. სახელმწიფო სამსახურში ასეთი რამეების ნახვა ხშირად უწევს ადამიანს, მაგრამ ტაუნს მაინც უმძიმდა.

მაშინ ლორამ ხელი მოჰკიდა – ქალს ისეთი ცივი ხელი ჰქონდა, ტაუნმა გამათბობელი ჩართო – და მაგრად მოუჭირა.

შუადღისას, როცა ნოქსვილში კოკისპირულად წვიმდა, უგემური იაპონური საჭმლით ისადილეს, მაგრამ ტაუნი არც კი გაბრაზებულა, საჭმელი დაგვიანებით რომ მოუტანეს, მისოს წვნიანი რომ ცივი იყო, სუში კი – თბილი.

ბედნიერი იყო, თავგადასავლების საძებნელად გამოსული ლორა მას რომ გადაეყარა და ახლა გვერდით ეჯდა.

– რაღა დაგიმალო და, ერთ ადგილას ჯდომა უკვე ყელში მქონდა ამოსული, –
  გამოუტყდა ლორა, – თითქოს ცოცხლად ვლპებოდი. ჰოდა, მეც უმანქანოდ და

უფულოდ დავადექი გზას. უცნობების გულმოწყალებისა და კეთილშობილების იმედად ვარ. სხვათა შორის, ხალხი ძალიან კარგად მექცევა.

– არ გეშინია? – ჰკითხა ტაუნმა, – გზა რომ დაგებნას, ვინმე ბანდიტს გადაეყარო ან მოგშივდეს?

ლორამ თავი გააქნია. შემდეგ უხერხულად გაიღიმა და უთხრა: – აგერ, შენ შეგხვდი, ხომ ასეა?

ტაუნს ენა დაება და ვერაფერი უპასუხა.

ნასადილევს მანქანამდე თავზე იაპონურგაზეთგადაფარებულებმა მიირბინეს, წვიმაში სკოლის მოსწავლეებივით იცინოდნენ.

– სადამდე წაგიყვანო? – ჰკითხა ტაუნმა ლორას, როცა მანქანაში ჩასხდნენ.

– სადაც მიდიხარ, იქამდე გამოგყვები, მაკ, – მორცხვად უპასუხა ლორამ.

კიდევ კარგი, „ბიგ მაკის“ ხუმრობა არ გამოვიყენეო, უხაროდა ტაუნს. ეს ერთღამიანი ურთიერთობისთვის ბარში „შებმული“ ქალი არ არისო, ღრმად სწამდა გულში. ორმოცდაათი წელი კი დასჭირდა, მაგრამ, აი, როგორც იქნა, იპოვა ის ერთადერთი, მგზნებარე, ჯადოსნური, გრძელთმიანი ქალი. ამას სიყვარული ერქვა.

– იცი, რა, – უთხრა ლორას, როცა ჩატანუგას უახლოვდებოდნენ, – მოდი, ღამის გასათევად სადმე მოტელს ვიპოვი. ფულს მე გადავიხდი. ერთ რაღაცას სადღაც მივიტან და მერე... მერე შეგვიძლია, დასაწყისისთვის, აბაზანა ერთად მივიღოთ. გათბები.

– მშვენიერი აზრია, – მოეწონა ლორას, – რა გაქვს ჩასაბარებელი?

– ეგ ჯოხი, – ჩაიცინა ტაუნმა, – უკანა სავარძელზე რომ დევს.

– კარგი, – არ ჩაეძია ლორა, – თუ არ გინდა, ნუმეტყვი, მისტერიდუმალო.

ტაუნმა უთხრა, აჯობებს, „კლდის ქალაქის“ ავტოსადგომზე დამიცადო, სანამ მე ჯოხს პატრონს მივუტანო. თქეშში აიარა მთა ლუკაუტის ფერდობი, 50 კმ/სთ სიჩქარისთვის ერთხელაც არ გადაუჭარბებია, ფარები ანთებული ჰქონდა. ავტოსადგომის უკანა რიგში გააჩერა მანქანა და ძრავა ჩააქრო.

– ეი, მაკ, სანამ გადახვალ, ერთს არ ჩამეხუტები? – ღიმილით ჰკითხა ლორამ.

– რა თქმა უნდა, – უთხრა მისტერ ტაუნმა და მკლავები შემოხვია, ქალი კი მჭიდროდ მიეკრა. წვიმას „ფორდ იქსპლორერის“ სახურავზე წკაპაწკუპი გასდიოდა. ტაუნმა ლორას თმის სუნი შეიყნოსა. სუნამოს გარდა, თითქოს ოდნავ უსიამოვნო სუნიც იგრძნო. მგზავრობის ბრალიაო, დაასკვნა თავისთვის, ყოველთვის ასე ხდება. ის თბილი აბაზანა მართლაც არ აწყენდა არც ერთს. ლორამ თავი თავზე მიადო და ყელზე ხელი ნაზად ჩამოუსვა.

– მაკ... ვგრძნობ, ძალიან გინდა, იცოდე, რა დაემართათ იმ შენს მეგობრებს, ვუდსა და სტოუნს, ხომ ასეა? – ჰკითხა ტაუნს.

– რასაკვირველია, – ტაუნმა ტუჩები ლორას ტუჩებისკენ წაიღო მისთვის პირველად საკოცნელად, – ძალიან მინდა.

ჰოდა, ლორამაც უჩვენა.

შედოუ მინდორზე დადიოდა, ხეს გარს უვლიდა და უფრო და უფრო შორდებოდა. ზოგჯერ ჩერდებოდა, ყვავილს, ფოთოლსა და ბალახის ღერს მოწყვეტდა, ანდა კენჭსა და მოტეხილ ტოტს აიღებდა და ისე გულდასმით აკვირდებოდა, თითქოს პირველად ხედავდა, თითქოს მთლიანად ტოტის ტოტობასა ან ფოთლის ფოთლობაზე ფიქრში ეფლობოდა.

მის შემხედვარე ისტერს, იმ ახალშობილის მზერა გაახსენდა, ყურადღების მოკრებას რომ სწავლობს.

შედოუსთან გამოლაპარაკებას ვერ ბედავდა, იმ მომენტში ეს მკრეხელობა იქნებოდა, მაგრამ, დაღლილობის მიუხედავად, გაკვირვებული ადევნებდა თვალს.

შედოუმ ხისგან ხუთიოდე მეტრის მოშორებით, გრძელ ბალახსა და ხმელ ხვიარებში ჩაკარგული ტილოს ტომარა იპოვა, აიღო და თავი მოხსნა. იქიდან თავისი ტანსაცმელი ამოიღო. ძველი კი იყო, მაგრამ ჩაიცმეოდა. ფეხსაცმელი ხელში შეატრიალშემოატრიალა. პერანგი და შალის სვიტერი თითებით მოსინჯა, ისე დააშტერდა, თითქოს მილიონი წლის სიშორიდან აკვირდებოდა მათ.

კარგა ხნის თვალიერების შემდეგ პერანგი, შარვალი, სვიტერი და ფეხსაცმელი სათითაოდ ჩაიცვა.

მერე ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და ცალი ხელი შეწუხებული სახით სწრაფადვე ამოიღო ჯიბიდან. ხელისგულზე მონაცრისფრო-თეთრი მარმარილოს ნატეხი ედო.

– მონეტები აღარ მაქვს, – ბოლო რამდენიმე საათის განმავლობაში პირველად ამოიღო ხმა.

– მონეტები აღარ გაქვს? – გაიკვირვა ისტერმა. შედოუმ თავი გააქნია.

– მონეტებით ვერთობოდი, – თქვა მან, – ხელები უქმად არ მეწყო ჯიბეში, – და ფეხსაცმლის თასმების შესაკრავად დაიხარა.

ჩაცმული შედოუ ნორმალურ ადამიანს დაემსგავსა. თანაც, უფრო დასერიოზულდა. ნეტავ რამსიშორიდან მოვიდა ან დაბრუნება რად დაუჯდაო, გაიფიქრა ისტერმა. შედოუ პირველი ადამიანი არ იყო, რომელიც ისტერმა სააქაოს დააბრუნა და მშვენივრად იცოდა, რომ ეს მილიონწლიანი გამომეტყველება მისი სახიდან მალე წაიშლებოდა, ხოლო ხიდან გამოყოლილ მოგონებებსა და სიზმრებს ხელშესახები საგნების სამყარო მისი გონებიდან თანდათან გამოდევნიდა. ეს ყოველთვის ასე ხდებოდა.

მინდვრის კიდისკენ წავიდნენ. ფრინველი, რომელმაც ისტერი აქ მოიყვანა, კორომში იცდიდა.

– ორივეს ვერ წაგვიყვანს, – უთხრა ისტერმა შედოუს, – შინ ჩემით დავბრუნდები.

შედოუმ თავი დაუქნია. ეტყობოდა, რაღაცის გახსენებას ცდილობდა. უცებ პირი გააღო და სიხარულისა და სალმის გამომხატველად დაიყივლა.

ქუხილის ჩიტმა საზარელი ნისკარტი გააღო და ყივილითვე უპასუხა.

ფრინველი კონდორს ჰგავდა, შავი ბუმბული მოიისფროდ უბზინავდა, ხოლო კისერზე თეთრი ღინღლი საყელოსავით შემოვლებოდა. მისი შავი და გრძელი ნისკარტი კორტნისა და გლეჯისთვის იყო შექმნილი. ძირს მჯდარი და ფრთებშეკეცილი, შავი დათვისხელა იყო და მისი თავი შედოუს თავს სწვდებოდა.

– მე მოვიყვანე, – ამაყად თქვა ჰოროსმა, – ქუხილის ჩიტები მთაში ცხოვრობენ.

შედოუმ თავი დაუქნია.

– ერთხელ ქუხილის ჩიტები დამესიზმრა, – თქვა მან, – ეგეთი უჩვეულო სიზმარი არასდროს მინახავს. ქუხილის ჩიტმა ნისკარტი გააღო და უჩვეულოდ ნაზი ხმა გამოსცა: – კროურუ?

– შენც მოგესმა ჩემი სიზმარი? – ჰკითხა შედოუმ, ფრინველს ხელი ნაზად გადაუსვა. ქუხილის ჩიტმა მოსიყვარულე პონივით გაუხახუნა თავი.

– აქ მასზე ამხედრებული მოფრინდი? – ისტერს მიუბრუნდა შედოუ.

– დიახ, – უპასუხა ქალმა, – თუ ნებას დაგრთავს, ახლა შენ შეაჯდები და უკან წაგიყვანს.

– როგორ შევაჯდე?

– იოლია, – უთხრა ისტერმა, – მთავარია, თავი შეიმაგრო. ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს ელვაზე ამხედრებული მიქრი.

– იქ შენც დაბრუნდები?

ისტერმა თავი გააქნია.

– მე მოვრჩი, ძვირფასო, – თქვა მან, – წადი და შენი გასაკეთებელი გააკეთე. დავიღალე. შენმა გამოხმობამ... დამასუსტა. უნდა დავისვენო და ძალ-ღონე აღვიდგინო, სანამ ჩემი სახელობის დღესასწაული დაიწყება. მაპატიე. წარმატებას გისურვებ. შედოუმ თავი დაუქნია.

– ვისკი ჯეკი ვნახე. სიკვდილის შემდეგ. მომძებნა და ჩემთან მოვიდა. ლუდი დავლიეთ.

– ჰო, – თქვა ქალმა, – უეჭველად დალევდით.

– ოდესმე გნახავ ისევ? – ჰკითხა შედოუმ.

– მეეჭვება, – უპასუხა ქალმა.

შედოუ მოუქნელად აბობღდა ქუხილის ჩიტის ზურგზე. ქორზე შემოსკუპებული თაგვივით იგრძნო თავი. ტკაცუნი გაისმა. ქუხილის ჩიტმა ფრთები გაშალა და ქნევა დაიწყო.

ადგილიდან მოწყდნენ და მიწა ქვემოთ დარჩა. შედოუ ფრინველს მაგრად ჩაეჭიდა. გული გადარეულივით უძგერდა.

მართლაც, თითქოს ელვაზე ამხედრებული მიქროდა.

ლორამ მანქანის უკანა სავარძლიდან ჯოხი აიღო. მისტერ ტაუნი „ფორდ იქსპლორერის“ წინა სავარძელზე დატოვა, თვითონ მანქანიდან გადავიდა და წვიმაში „კლდის ქალაქის“ შესასვლელისკენ გაემართა. სალარო დაკეტილი დახვდა. სუვენირების მაღაზიის კარი ღია აღმოჩნდა და შიგნით შევიდა, შაქარყინულების დახლს და „ნახე კლდის ქალაქის“ წარწერიან ჩიტების საბუდარ ყუთებს ჩაუარა და „მსოფლიოს მერვე საოცრებაში“ ასე აღმოჩნდა.

წვიმაში კაცები და ქალები შემოხვდნენ, მაგრამ არავის გაუჩერებია ან უკითხავს რამე. უმეტესი მათგანი არაბუნებრივად გამოიყურებოდა, ზოგი – ნახევრად გამჭვირვალედ.
კიდულ ხიდზე გადავიდა, ირმების ბაკიც უკან მოიტოვა და „მსუქნის ღრიჭოში“ შეძვრა. აქ ბილიკი კლდის ორ კედელს შორის გადიოდა.

ბილიკის ბოლო ჯაჭვით გადაეღობათ და ზედ აბრა ეკიდა გამაფრთხილებელი წარწერით, ატრაქციონის ეს ნაწილი დროებით დახურულიაო. ლორამ ჯაჭვს გადააბიჯა და გამოქვაბულში შევიდა, სადაც მთვრალი პიქსების დიორამის წინ, პლასტმასის სკამზე, კაცი იჯდა და პატარა ელექტროლამპის შუქზე „ვაშინგტონ პოსტს“ კითხულობდა. კაცს მოკლედ შეჭრილი მოწითალო-ყვითელი თმა ჰქონდა და მოდური საწვიმარი ეცვა. ქალის დანახვაზე გაზეთი დაკეცა, სკამის ქვეშ დადო, ადგა და თავი დაუკრა.

– როგორც ჩანს, მისტერ ტაუნი მკვდარია, – თქვა მან, – სალამი, შუბოსანო.

– გამარჯობა. ვწუხვარ მაკის გამო, – უთხრა ლორამ, – მეგობრობდით?

– სულაც არა. იმდენიც ვერ მოახერხა, რომ სამსახურის შესანარჩუნებლად სიცოცხლეს გაფრთხილებოდა. მაგრამ, ვხედავ, მისი ჯოხი მოიტანეთ, – კაცმა მომაკვდავ კოცონში მბჟუტავი ნაკვერჩხლებივით წითელი თვალებით აათვალიერ-ჩაათვალიერა, – ვშიშობ, უპირატესობა თქვენს მხარეზეა. აქ, ბორცვის წვერზე, მე მისტერ უორლდს მიწოდებენ.

– მე შედოუს ცოლი ვარ.

– რასაკვირველია. მშვენიერი ლორა, – თქვა კაცმა, – როგორ ვერ გიცანით. როცა ერთ საკანს ვიყოფდით, საწოლის თავზე თქვენი ფოტო ჰქონდა გაკრული. თუ

თავხედობაში არ ჩამომართმევთ, გეტყვით, რომ მოსალოდნელზე უფრო ლამაზად გამოიყურებით. განა ახლა ლპობისა და მტვრად ქცევის გზაზე არ უნდა იდგეთ?

– ვიდექი, – მარტივად უპასუხა ლორამ, – თითქმის ბოლომდეც ვიყავი მისული, მაგრამ რაღაც შეიცვალა, ზუსტად არ ვიცი, რა. სამაგიეროდ, ვიცი, თავი უკეთ როდის ვიგრძენი: როცა ფერმაში იმ ქალებმა თავიანთი ჭის წყალი დამალევინეს. კაცმა ცალი წარბი ასწია.

– ურდის ჭის? წარმოუდგენელია.

– კარგად დამაკვირდით.

ლორას სახეზე ფერი არ ედო და უპეები ჩაშავებოდა, მაგრამ სხვა მხრივ, გარეგნულად ჯანმრთელს ჰგავდა: თუ მართლა მოსიარულე გვამი იყო, აშკარად ახლად გარდაცვლილისა.

– ეს დიდხანს არ გაგრძელდება, – უთხრა მისტერ უორლდმა, – ნორნებმა მხოლოდ ცოტაოდენი წარსული გაგასინჯვინეს. მალე ისევ აწმყოში დაბრუნდებით, ეგ ლამაზი, ლურჯი თვალები გადმოგიცვივდებათ და მაგ ლამაზ ლოყებზე ჩამოგეკიდებათ, ოღონდ მაშინ, რასაკვირველია, ლოყები ახლანდელივით ლამაზი აღარ გექნებათ. სხვათა შორის, ეგ ჯოხი ჩემია. თუ შეიძლება, მომეცით.

მისტერ უორლდმა „ლაკი სტრაიკის“ კოლოფიდან ერთი ღერი სიგარეტი ამოიღო და სანთებელათი მოუკიდა.

– ერთი ღერი შეიძლება? – სთხოვა ლორამ.

– რა თქმა უნდა. მე სიგარეტს მოგცემთ, თქვენ ჯოხი მომეცით.

– არა, – იუარა ლორამ, – ამ ჯოხის სანაცვლოდ ერთ ღერ სიგარეტზე უფრო მეტს ვითხოვ. კაცმა არაფერი უთხრა.

– პასუხებს ვითხოვ. რაღაც-რაღაცები უნდა ამიხსნათ.

კაცმა მეორე ღერ სიგარეტს მოუკიდა და ლორას მიაწოდა. ქალმა გამოართვა და ბოლი ჩაისუნთქა. შემდეგ გაიღიმა.

– მგონი, ამის გემოს მართლა ვგრძნობ, – თქვა მან, – მმ... ნიკოტინი.

– ჰო, – თქვა მისტერ უორლდმა, – იმ ქალებთან სახლში რატომ შეხვედით?

– შედოუმ მითხრა, შედიო, – უპასუხა ლორამ, – მირჩია, სთხოვე და წყალს დაგალევინებენო.

– ნეტავ თუ იცოდა, წყალი როგორ იმოქმედებდა. ალბათ არა. და მაინც, კარგია, რომ ხეზე მკვდარი კიდია. ახლა უკვე ზუსტად ვიცი, სად არის: სათამაშო დაფის მიღმა.

– ჩემი ქმარი გაყიდეთ, – უთხრა ქალმა, – ყველამ მოატყუეთ. ის ძალიან გულკეთილია, იცით?

– დიახ, ვიცი, – უპასუხა მისტერ უორლდმა.

– ჩემი ქმარი რისთვის გჭირდებოდათ?

– გამეორებითობა და გართობა, – თქვა მისტერ უორლდმა, – როცა ეს აურზაური დამთავრდება, ფითრის ყლორტს წვერს წავუთლი, იფნის ხესთან მივალ და თვალში ჩავთხრი. ამას ის იდიოტები, გარეთ რომ იბრძვიან, ვერასდროს მოტვინავენ. ახალი და ძველი კი არა, მთავარი გამეორებითობაა. ახლა კი ჩემი ჯოხი მომეცით, გეთაყვა.

– რად გინდათ?

– ამ უბადრუკი ალიაქოთის მოსაგონრად შევინახავ, – უპასუხა მისტერ უორლდმა, – ნუ ღელავთ, ფითრის ყლორტი არაა, – ჩაიცინა მან, – ეგ ჯოხი შუბის სიმბოლოა, ამ საცოდავ სამყაროში კი სიმბოლო ბევრს ნიშნავს.

გარეთ ხმაური მატულობდა.

– თქვენ ვის მხარეზე ხართ? – ჰკითხა ლორამ.

– აქ მხარეებს მნიშვნელობა არ აქვს, – აუხსნა კაცმა, – მაგრამ რახან მკითხეთ, გიპასუხებთ: გამარჯვებულთა მხარეზე ვარ. ყოველთვის. ამაში ბადალი არ მყავს.

ლორამ თავი დააქნია, მაგრამ ჯოხისთვის ხელი არ გაუშვია.

– ვხედავ, – თქვა მან და გამოქვაბულის შესასვლელისკენ მიტრიალდა. შორს, ქვემოთ, კლდეებში რაღაც ელვარებდა და პულსირებდა. ის არსება გამხდარ, ვარდისფერსახიან წვეროსანს შემოეხვია. კაცი, შუქნიშნებთან რომ მათხოვრები ხურდის სანაცვლოდ საქარე მინას წმენდენ, ისეთი რეზინის ჯაგრისის მსგავს საგანს ურტყამდა. მერე კივილი გაისმა და ორივე გაუჩინარდა.

– კარგი, – უთხრა ლორამ მისტერ უორლდს, – მოგცემთ ჯოხს.

– ყოჩაღ, – მამაკაცური ხმით გამამხნევებლად უთხრა მისტერ უორლდმა, მაგრამ იმავდროულად თითქოს ენა მოუჩლიქა. ლორას გააჟრჟოლა.

გამოქვაბულის შესასვლელთან იდგა, სანამ ყურზე კაცის სუნთქვა არ შეეხო.

იცდიდა, როდის მოვიდოდა იგი საკმარისად ახლოს. აჩქარება არ ივარგებდა. ფრენა

უბრალოდ ამაღელვებელი კი არა, დამმუხტველი აღმოჩნდა.

გავარდნილი მეხივით მიქროდნენ ქარიშხალში, ელვასავით კრთოდნენ ღრუბლებს შორის; დამაყრუებლად მიქუხდნენ ცაში, გრგვინავდნენ და ჭექდნენ. ეს იყო ხმაურიანი, გასაოცარი მოგზაურობა. შედოუს ლამის აფრენისთანავე გადაავიწყდა შიში. როცა ქუხილის ჩიტზე შემჯდარი მიფრინავ, არაფრისგეშინია. შიში იფანტება, რჩება მხოლოდ ქარიშხლის შეუჩერებელი და ყოვლისმომცველი ძალა და ფრენით გამოწვეული სიხარული.

შედოუ თითებით მაგრად ეჭიდებოდა ქუხილის ჩიტის ბუმბულს და გრძნობდა, როგორ უჩხვლეტდა სტატიკური ელექტრობა კანს. მის ხელებზე პაწაწინა გველებივით ლურჯი ნაპერწკლები დაცოცავდა. სახეზე აწვიმდა.

– რა მაგარია, – დაიყვირა ქარიშხლის ღრიალის გადასაფარად.

თითქოს შედოუს ნათქვამი გაიგონაო, ქუხილის ჩიტი კიდევ უფრო მაღლა აიჭრა. ფრთის ყოველი დაქნევისას მეხი ვარდებოდა. ფრინველმა კამარა შეკრა და შავ ღრუბლებში ჩაეშვა.

– სიზმარში შენზე ვნადირობდი, – ქარმა სიტყვები პირიდან მოსწყვიტა შედოუს, – სიზმარში შენი ბუმბული უნდა მიმეტანა შინ.

„დიახ, – შედოუს გონებაში, როგორც რადიომიმღებში, ისე აშიშინდა სიტყვები, – ჩვენი ბუმბულის წასაღებად მოდიოდნენ, თავიანთი ვაჟკაცობის დასამტკიცებლად; ჩვენი თავებიდან ქვების ამოსაჭრელად მოდიოდნენ, თავიანთი მკვდრებისთვის ჩვენი სიცოცხლის მისაცემად“.

უეცრად ხილვა ეწვია: დაინახა ქუხილის ჩიტი (უთუოდ დედალი უნდა ყოფილიყო, რადგან ბუმბული ყავისფერი ჰქონდა და არა – შავი), ახლად მოკლული ეგდო მთის ფერდობზე. მის გვერდით ქალი ჩაცუცქულიყო და კაჟის ნატეხით უპობდა თავს. ქალი ძვლის სველ ნამსხვრევებსა და ტვინში აფათურებდა ხელს, სანამ გლუვი, პრიალა, ძოწისფერი ქვა არ იპოვა, რომლის სიღრმეში ნაირფრად მოციმციმე ალი კრთოდა.
„არწივის ქვები“ – გაახსენდა შედოუს. ქალი ამ ქვას შინ წაიღებდა და სამი ღამის წინ გარდაცვლილ, ახალშობილ ვაჟს ცივ მკერდზე დაადებდა. ბავშვი მზის ამოსვლას ცოცხალი და მოცინარი შეეგებებოდა, ხოლო ქვა განაცრისფრდებოდა და გამქრქალდებოდა და, იმ ჩიტივით, რომლიდანაც წინა დღეს ამოიღეს, მოკვდებოდა.

– გასაგებია, – უთხრა შედოუმ ქუხილის ჩიტს.

ჩიტმა თავი უკან გადასწია და დაიყივლა. მისი ხმა ჭექად გაისმა.

მათ ქვეშ, როგორც უჩვეულო სიზმარში, სამყარო თავბრუდამხვევი სისწრაფით მიქროდა.

ლორა ჯოხს მაგრად უჭერდა ხელს და ელოდა მოახლოებას კაცისა, რომელსაც მისტერ უორლდის სახელით იცნობდა. მისკენ ზურგით იდგა, გამოქვაბულის შესასვლელიდან უყურებდა, როგორ აწვიმდა ქვემოთ მუქმწვანე გორაკებს.

„ამ საცოდავ სამყაროში, – გაიფიქრა ლორამ, – სიმბოლო ბევრს ნიშნავს“.

კაცმა ფრთხილად დაადო ხელი მარჯვენა მხარზე.

„ძალიან კარგი, – გაიფიქრა ლორამ, – არ უნდა, დამაფრთხოს. ეშინია, რომ მის ჯოხს გადავაგდებ, კლდიდან მოვისვრი და დაკარგავს“.

ლორა ოდნავ უკან გადაიხარა და ზურგით კაცის მკერდს მიეყრდნო. მისტერ უორლდმა მარცხენა მკლავი ისე ნაზად შემოხვია, როგორც საყვარელ ქალს ეხვევა კაცი. ლორამ ჯოხი ორივე ხელით ჩაბღუჯა, ჩაისუნთქა და გაემზადა.

– თუ შეიძლება, ჩემი ჯოხი მომეცი, – ჩასჩურჩულა ყურში მისტერ უორლდმა.

– დიახ, ეს შენი ჯოხია, – უთხრა ლორამ და შემდეგ, ყოველი შემთხვევისთვის, წარმოთქვა, – ამ სიკვდილს შედოუს ვუძღვნი, – ამ სიტყვებით ჯოხი მკერდში, ზედ მკერდის ძვლის ქვეშ ჩაიცა. იგრძნო, როგორ დაიკლაკნა ჯოხი მის ხელებში და შუბად გადაიქცა.

სიკვდილის შემდეგ მასში შეგრძნებებსა და ტკივილს შორის ზღვარი წაიშალა. იგრძნო, როგორ ჩაერჭო შუბი მკერდში და ზურგიდან გამოვარდა. შუბს მცირე დაბრკოლება უფრო მაგრად მიწოლით გადაალახვინა და მისტერ უორლდს გაუყარა. გრილ კანზე მისი თბილი ამონასუნთქი შეეხო, როცა შუბზე წამოგებულმა მისტერ უორლდმა გაოცებისა და ტკივილისგან წამოიყვირა.

ლორა მის მიერ წარმოთქმული სიტყვების მნიშვნელობას ვერ მიხვდა, კაცი უცხო ენაზე ლაპარაკობდა. შუბი თავისი მკერდის გავლით, მისტერ უორლდს უფრო ღრმად შესთხარა მკერდში. მისი თბილი სისხლი ზურგზე შეეშხეფა.

– შე ძუკნავ, – ინგლისურად, ბუყბუყნარევი ხმით უთხრა მისტერ უორლდმა, – შე ნაბოზარო ძუკნავ, – ალბათ, შუბმა ფილტვი გაუხვრიტა. მისტერ უორლდი ამოძრავდა თუ განძრევა მოინდომა და ლორაც მასთან ერთად შეირხა: ერთ შუბზე ორი თევზივით იყვნენ წამოცმულები. კაცის ხელში დანა შეამჩნია. მისტერ უორლდმა გაშმაგებით ჩაარტყა დანა მკერდში, ძუძუში, ყველგან, სადაც ხელი მოუხვდა, რადგან თვითონ ვერ ხედავდა, სად დაემიზნებინა. ლორას არ ანაღვლებდა. გვამისთვის ხომ ჭრილობა არაფერს ნიშნავს.

მისტერ უორლდს მაჯაში მუშტი ჩაარტყა და დანა გამოქვაბულის იატაკზე წკარუნით დავარდა. ლორამ ფეხი წაარტყა და განზე მოისროლა.

შემდეგ კაცი ატირდა და აყვირდა. ლორას ხელები ზურგზე მიადო და მისი თავიდან მოშორება სცადა. ლორას მისი მდუღარე ცრემლები კეფაზე ეწვეთებოდა. მისმა სისხლმა ზურგი გაულუმპა, ფეხებზე წურწურით ჩასდიოდა.

– ალბათ რა სამარცხვინოა, – სამარისეული ხმით, ერთგვარი ირონიით დაიჩურჩულა ქალმა.

მის უკან მისტერ უორლდი წაბორძიკდა და ლორაც წაბორძიკდა, მერე მისი სისხლის გუბეში – სისხლი მხოლოდ კაცმა დაღვარა – ფეხი გაუსრიალდა და ორივე ერთად წაიქცა.

ქუხილის ჩიტი „კლდის ქალაქის“ ავტოსადგომზე დაეშვა. კოკისპირულად წვიმდა. შედოუ რამდენიმე ნაბიჯის იქით წესიერად ვერაფერს არჩევდა. ქუხილის ჩიტის ბუმბულს ხელები გაუშვა და სველ ასფალტზე მოუქნელად დახტა. ქუხილის ჩიტმა შემოხედა, შემდეგ გაიელვა და ფრინველიგაქრა.

შედოუ წელში გაიმართა.

ავტოსადგომის სამი მეოთხედი ცარიელი იყო. შედოუ შესასვლელისკენ წავიდა. გზად კედელთან მდგარ ყავისფერ „ფორდ იქსპლორერს“ ჩაუარა. რატომღაც ეს მანქანა

ძალიან ეცნო. გაჩერდა და ყურადღებით დააკვირდა. მძღოლი შიგ იჯდა და საჭეზე თავი ისე ჩამოედო, თითქოს ეძინა. შედოუ მანქანასთან მივიდა და წინა კარი გამოაღო.

მისტერ ტაუნი ბოლოს ამერიკის შუაგულში მდგარი მოტელის კართან ნახა. სახეზე გაკვირვება ეხატა. მისთვის კისერი მარჯვედ მოეგრიხათ – პროფესიონალის ნამოქმედარს ჰგავდა. შედოუმ სახეზე ხელი მიადო. ჯერაც თბილი იყო.

მანქანის სალონში ძლივს შესაგრძნობი, მსუბუქი სუნი ტრიალებდა, როგორც სუნამოს სუნი, ოთახიდან გასული ადამიანი რომ ტოვებს, მაგრამ შედოუ ამ სურნელს ყოველთვის და ყველგან იცნობდა. „იქსპლორერის“ კარი მიაჯახუნა და ავტოსადგომი გადაკვეთა.

უცებ გვერდში მწვავე ჩხვლეტა იგრძნო, მაგრამ ეს ტკივილი ალბათ მხოლოდ მის გონებაში არსებობდა, რადგან წამში თუ წამის მეასედში დაუცხრა და გაუარა.

სუვენირების მაღაზიაში არავინ იყო, არც ბილეთებს ყიდდა ვინმე. შენობა გაიარა და „კლდის ქალაქის“ ბაღში გავიდა.

დაიქუხა. ქუხილმა ხის ტოტები შეარხია და ვეებერთელა კლდეებს ექოდ შემოურბინა.
წვიმა მძვინვარედ ასხამდა ციდან. ჯერ არც კი მოსაღამოებულიყო, მაგრამ უკვე ღამესავით ბნელოდა.

ღრუბლები ელვამ დასერა. ნეტავ ეს ქუხილის ჩიტი ხომ არ არის, თავის მაღალ ქარაფებში რომ ბრუნდება, თუ მხოლოდ ატმოსფერული განმუხტვა იყოო, გაიფიქრა შედოუმ. ან იქნებ ეს ორი მოსაზრება, გარკვეულ დონეზე, ერთმანეთს სულაც არ ეწინააღმდეგებოდა?

რასაკვირველია, არა. საქმეც ხომ ეს იყო.

სადღაც ვიღაცამ დაიყვირა. შედოუს მხოლოდ ერთი სიტყვა ეცნო, თუ მოეჩვენა, რომ ეცნო: „...ოდინს!“

ნაბიჯს აუჩქარა. „შვიდი შტატის დროშის ეზო“ სირბილით გადაკვეთა. წვიმისგან გალიპულ ფილაქნებზე თავს ძლივს იმაგრებდა. ერთგან ფეხი გაუსრიალდა და დაეცა. მთას სქელი ღრუბლები შემოხვეოდა და იმ ბინდსა და წვიმაში შედოუ ვერანაირ შვიდ შტატს ვერ ხედავდა. ჩამიჩუმი არ იყო. არსად კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

შედოუმ დაიყვირა. მოეჩვენა, რომ საიდანღაც ვიღაცამ უპასუხა და იქით წავიდა.

ვერავინ და ვერაფერი იპოვა, მხოლოდ ჯაჭვით გადაეღობათ ერთ-

ერთი გამოქვაბულის შესასვლელი დამთვალიერებლებისთვის.

შედოუმ ჯაჭვს გადააბიჯა.

მიმოიხედა და სიბნელესჩააშტერდა. კანი

დაეხორკლა.

უკნიდან, სიბნელიდან, ჩუმი ხმა მოესმა: – ყოჩაღ, ერთხელაც არ გაგიცრუებია ჩემთვის იმედი.

შედოუმ მიუტრიალებლად უპასუხა: – უცნაურია, მე კიდევ ჩემი თავისგან იმედგაცრუებების მეტი არაფერი მახსოვს.

– რას ამბობ? – ჩაიცინა ხმამ, – რაც უნდა გაგეკეთებინა, იმაზე მეტი გააკეთე. ყველას ყურადღება მიიქციე და იმ ხელს, რომელშიც მონეტას მალავდნენ, არავინ უყურებდა.

როგორღაც ხომ უნდა დაგვებნია ისინი? თანაც, შვილის მსხვერპლად შეწირვა საკმარისად ძლიერი... არა, საკმარისზე მეტად ძლიერი რამაა, მთელი ამ წამოწყებისთვის ბიძგის მისაცემად. სიმართლეს გეტყვი, შენით ძალიან ვამაყობ.

– მთელი თამაში ჩაწყობილი იყო, – თქვა შედოუმ, – ეს ამდენი სიცრუე ხოცვა-ჟლეტის წამოსაწყებად გჭირდებოდათ.

– ზუსტად, – უთხრა უენზდეის ხმამ სიბნელიდან, – ეს თამაში ჩაწყობილი იყო, მაგრამ ქალაქში სხვაგან არსად თამაშობდნენ.

– ლორას ვეძებ, – უთხრა შედოუმ, – და ლოკისაც. სად არიან?

პასუხად მხოლოდ სიჩუმე მიიღო. სახეში წვიმა შეეშხეფა. ძალიან ახლოს დაიჭექა.

შედოუ გამოქვაბულის სიღრმეში შევიდა.

ლოკი ლაისმითი მიწაზე იჯდა და ზურგით ლითონის გალიას ეყრდნობოდა. გალიაში მთვრალი პიქსები ვისკის გამოსახდელ აპარატთან ფუსფუსებდნენ. ლოკისთვის საბანი დაეფარებინათ. მხოლოდ სახე და თეთრი, გრძელი ხელები მოუჩანდა. მის გვერდით სკამზე ელექტროლამპა იდგა. ბატარეები უკვე იცლებოდა და ელექტროლამპა სუსტად, ყვითლად ანათებდა.

ლოკის სახეზე ფერი არ ედო, ცუდად გამოიყურებოდა.

აი, თვალები კი, თვალები ძველებურად უელვარებდა და გამოქვაბულში შესულ შედოუს მრისხანედ დაუბრიალა.

შედოუ ლოკისგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით დადგა.

– დაიგვიანე, – ჩახლეჩილი, ბუყბუყა ხმით უთხრა ლოკიმ, – შუბი უკვე ვისროლე. ბრძოლა ვაკურთხე. ომი დაიწყო.

– კაი ერთი, – უთხრა შედოუმ.

– კაი ერთი კი არა, მართლა დაიგვიანე, – უთხრა ლოკიმ, – სულერთია, ახლა რას იზამ.

– გასაგებია, – თქვა შედოუმ და დაფიქრდა, – მაშ, ბრძოლის დასაწყებად რაღაც შუბი უნდა ისროლო ჰაერში? როგორც იქ, უფსალაში? ამ ბრძოლით იკვებები, ხომ ასეა?

პასუხად მხოლოდ დუმილი მიიღო, ლოკის ხრინწიანი სუნთქვა ესმოდა.

– ყველაფერს მივხვდი, – უთხრა შედოუმ, – მგონი. ზუსტად არ ვიცი, როდის. შეიძლება, როცა ხეზე ვეკიდე. შეიძლება მანამდე. უენზდეიმ შობაზე რომ რაღაცები მიამბო, იმან მიმახვედრა. ლოკი უყურებდა, მაგრამ არაფერს ამბობდა.

– ეს ორის მიერ დაგეგმილი თაღლითობაა, – განაგრძო შედოუმ, – როგორც „ეპისკოპოსი“, „ბრილიანტის ყელსაბამი“ და „პოლიციელი“. როგორც მევიოლინე, ვიოლინოს ყიდვის მსურველი და საბრალო ტიპი, რომელიც ამ ვიოლინოს ფულს იხდის. ორი თაღლითი ვითომ ერთმანეთს უპირისპირდება, მაგრამ სინამდვილეში ერთ თამაშს თამაშობს.

– რა სისულელეა, – დაიჩურჩულა ლოკიმ.

– რატომ? მომეწონა, მოტელში რაც ქენი. გონივრულად მოიქეცი. უნდა დარწმუნებულიყავი, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა. გნახე. იმასაც კი მივხვდი, ვინ იყავი. მაგრამ ის კი ვეღარ გავიაზრე, რომ მთლად მათი მისტერ უორლდი იყავი. ან შეიძლება, სადღაც გულის სიღრმეში მივხვდი კიდეც. ყოველ შემთხვევაში, შენი ხმა მეცნო.

შედოუმ ხმას აუმაღლა.

– შეგიძლია გამოხვიდე, – გამოქვაბულს მოავლო თვალი, – ნუ იმალები, დამენახვე.

გამოქვაბულში ქარმა დაუბერა და წვიმის წვეთები შეაშხეფა შიგნით მყოფთ. შედოუს გააჟრჟოლა.

– კმარა ჩემი გასულელება, – თქვა მან, – გამოდი, დამენახე. გამოქვაბულის კუთხეში, სიბნელეში სილუეტი გამოიკვეთა და შეირხა.

– მეტისმეტად ბევრი იცი, ჩემო ბიჭო, – ნაცნობი ხმით დაიბუბუნა უენზდეიმ.

– გამოდის, მათ არ მოუკლავხარ.

– მომკლეს, – უთხრა უენზდეიმ სიბნელიდან, – რომ არ მოვეკალი, გეგმა არ იმუშავებდა, – ჩუმად არა, მაგრამ თითქოს უღონოდ ლაპარაკობდა – როგორც ძველ რადიომიმღებში ისმის ხმა, სანამ რომელიმე რადიოსადგურზე წესიერად გადართავენ, – მართლაც რომ არ მოვმკვდარიყავი, ამათ აქ ვერ შევკრებდით, – თქვა უენზდეიმ, – კალი, მორიგანები, ლოები, წყეული ალბანელები – ყველანი ჩემმა სიკვდილმა გააერთიანა. მე სამსხვერპლო კრავი ვიყავი.

– არა, – უპასუხა შედოუმ, – შენ იუდას თხა[276] იყავი. სიბნელეში აჩრდილისებური სილუეტი შეირხა.

– სულაც არა. ეგ იმას ნიშნავს, რომ ძველი ღმერთები ახლებზე გავცვალე. ჩვენ ეგ არ გვიქნია.

–

– სულაც არა, – დაიჩურჩულა ლოკიმ.

– ვხედავ, – თქვა შედოუმ, – თქვენ ერთ-ერთს კი არა, ორივე მხარეს უღალატეთ.

  დიახ, – აშკარა კმაყოფილებით აღნიშნა უენზდეიმ.

– ხოცვა-ჟლეტა გჭირდებოდათ, სისხლის შესაწირი. მსხვერპლად შეწირული ღმერთები.

ქარი გაძლიერდა. გამოქვაბულის შესასვლელში მისი ყმუილი კივილად გადაიქცა, თითქოს რომელიღაც უშველებელი არსება ტკივილისგან იტანჯებოდა.

– რატომაც არა? თორმეტი საუკუნეა, ამ დაწყევლილ მიწაზე ვარ გამომწყვდეული. სისხლი გამითხელდა. მშია.

– თქვენ ორნი კი სიკვდილით საზრდოობთ, – შენიშნა შედოუმ.

კუთხეში მდგარი უენზდეი თითქოს ახლა უფრო ცხადად დაინახა. როცა სხვა მხარეს იყურებოდა, პერიფერიული მხედველობით, სიბნელისგან მოქსოვილი ფიგურა უფრო რეალური ეჩვენებოდა.

– მე ჩემთვის მოძღვნილი სიკვდილით ვსაზრდოობ, – თქვა უენზდეიმ.

– მაგალითად, ჩემი სიკვდილით ხეზე, – თქვა შედოუმ.

– ეგ, – ხაზგასმით თქვა უენზდეიმ, – განსაკუთრებული რამ იყო.

– შენც სიკვდილით იკვებები? – ლოკისკენ მიტრიალდა შედოუ. ლოკიმ უმწეოდ

  გააქნია თავი.

– რასაკვირველია, არა, – ჩაილაპარაკა შედოუმ, – შენ ქაოსით საზრდოობ. ლოკიმ

  პასუხად სუსტად გაიღიმა და თვალებში ყვითელი ალი აუციმციმდა.

– უშენოდ ამას ვერ მოვახერხებდით, – თქვა უენზდეიმ, – იმდენ ქალთან ვწოლილვარ, მაგრამ...

– ძე გჭირდებოდა, – გააწყვეტინა შედოუმ.

უენზდეის აჩრდილისებურმა ხმამ დაიგუგუნა: – შენ მჭირდებოდი, ჩემო ბიჭო. დიახ. საკუთარი ძე მჭირდებოდა. შევიტყვე, რომ ჩაისახე, მაგრამ დედაშენი ქვეყნიდან წავიდა. შენ მოსაძებნად დიდი ხანი დამჭირდა. როცა გიპოვეთ, ციხეში იჯექი. უნდა გაგვერკვია, რა გამუშავებდა, რომელი ღილაკები გამოძრავებდა, ვინ იყავი და რას წარმოადგენდი. ამ დროს ლოკიმ ისე თავმომწონედ ჩაიღიმა, შედოუმ კინაღამ წიხლი უთავაზა.

– ჩვენდა სამწუხაროდ, თურმე ცოლი გყავდა. მაგრამ ეს პრობლემა იოლად გადავჭერით.

–

– ეგ ქალი შენ სიკეთეს არ მოგიტანდა, – დაიჩურჩულა ლოკიმ, – მის გარეშე უკეთ გრძნობდი თავს.

– ნეტავ სხვა გზა გვქონოდა, – ჩაილაპარაკა უენზდეიმ და შედოუ მიხვდა, რასაც გულისხმობდა.

და ნეტავ მაგ ქალს კეთილი ენებებინა და არ გაცოცხლებულიყო, – ამოიხვნეშა ლოკიმ, – ვუდი და სტოუნი კარგი ბიჭები იყვნენ. როგორც კი მატარებელი დაკოტის საზღვარს გადაკვეთდა, გაქცევის საშუალებას მოგცემდნენ...

– ლორა სად არის? – იკითხა შედოუმ.

ლოკიმ გამოქვაბულის ბოლოსკენ გაიშვირა თეთრი ხელი.

– იქით წავიდა, – უთხრა შედოუს, მოულოდნელად წინ გადაქანდა და ქვის იატაკზე პირქვე დაემხო.

შედოუმ მაშინღა დაინახა, რომ მისი საბანი სისხლის გუბეს, ლოკის გახვრეტილ ზურგსა და სისხლით გაჟღენთილ საწვიმარს მალავდა.

– რა დაგემართა? – ჰკითხა შედოუმ. ლოკიმ არ უპასუხა. შედოუ მიხვდა, რომ ის

ამიერიდან ვეღარაფერს იტყოდა.

– ეს შენმა ცოლმა დამართა, ჩემო ბიჭო, – მოესმა უენზდეის შორიდან მომავალი ხმა. მისი სილუეტი მკრთალდებოდა, თითქოს ისევ ცარიელ სივრცესთან აპირებდა შერწყმას, – მაგრამ ბრძოლა დააბრუნებს. ბრძოლა მეც სამუდამოდ დამაბრუნებს. მე აჩრდილი ვარ, ის კი – გვამი, მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ. თამაში ჩაწყობილი იყო.

– თამაშის ჩამწყობების ჯობნა ყველაზე იოლია, – გაახსენდა შედოუს. პასუხი არ

გაუციათ. სიბნელეში არავინ შერხეულა.

– მშვიდობით, – თქვა შედოუმ და დაამატა, – მამა.

იმ დროისთვის გამოქვაბულში აღარავის კვალი აღარ ჩანდა. საერთოდ არავის.

შედოუ „შვიდი შტატის დროშის ეზოში“ დაბრუნდა, მაგრამ იქ არავინ უნახავს და არაფერი გაუგია, გარდა ძლიერ ქარში აფრიალებული დროშების ტყლაშუნისა. „ათასტონიან მოყანყალე კლდესთან“ ხმლიანი მეომრები არ იდგნენ, არც „მოქანავე ხიდს“ იცავდა ვინმე. შედოუ სრულიად მარტო დარჩა.

არსად არაფერი ჩანდა. უკაცრიელ, მიტოვებულ ბრძოლის ველზე

იდგა. მაგრამ არა... აქაურობა სულაც არ იყო უკაცრიელი. თავად

შედოუ იდგა სხვაგან.

ეს „კლდის ქალაქი“ იყო. აქაურობა ათასობით წლის განმავლობაში

–

მსხვერპლშეწირვისა და თაყვანისცემის ადგილად მიიჩნეოდა. დღეს კი მილიონობით ძველი მლოცველი აქაურ ბაღებში მოსეირნე და დაკიდულ ხიდზე მოქანავე მილიონობით ტურისტმა შეცვალა. მათ აღფრთოვანებას ზუსტად ისეთივე შედეგი ჰქონდა, როგორიც წყლის ძალით მოტრიალე სალოცავ დოლურებს. მთა ლუკაუტის წვერზე რეალობა თხელი და გამჭვირვალე იყო. შედოუ მიხვდა, ბრძოლა სადაც იმართებოდა.

დაიძრა. გაიხსენა, როგორ გრძნობდა თავს კარუსელზე. სცადა, ისევ იმ შეგრძნებით ევლო, ოღონდ დროის ამ ახალ მონაკვეთში...

გაიხსენა „უინებეიგოს“ აყირავება და ყველაფერთან სწორი კუთხით დადგომა, სცადა, იგივე განეცადა...

და, აი, ასე იოლად და კარგად, ყველაფერი გამოუვიდა.

თითქოს მემბრანა გაარღვია, თითქოს წყლის სიღრმიდან ზედაპირზე ამოყვინთა.

მთის წვერზე გაყვანილ ტურისტულ ბილიკზე ერთი ნაბიჯი გადადგა და...

რეალურ ადგილას გადაინაცვლა. კულისებში აღმოჩნდა.

კვლავ მთის წვერზე იდგა. გარემო უცვლელი დარჩა. მაგრამ თავად მთის წვერი გარდაიქმნა. ეს მთის წვერი ადგილთა კვინტესენცია იყო, ყოველივეს შუაგული. ამასთან შედარებით, ლუკაუტის მთა, საიდანაც წეღან წამოვიდა, უკანა პლანზე დახატულ მთას ან ტელეეკრანზე ნანახ პაპიემაშესგან გაკეთებულ მოდელს ჰგავდა – მხოლოდ გამოსახულებას ნამდვილი მთისა.

ეს კი ნამდვილი მთა იყო.

კლდის კედლებს ბუნებრივი ამფითეატრი წარმოექმნათ. მას გარს უვლიდა და გადაკვეთდა ქვის ბილიკები, რომლებიც კლდოვან კედლებზე გადავლისას, ბუნებრივ ხიდებს ემსგავსებოდნენ და როგორც ეშერის[277] ნახატში, ისე იხლართებოდნენ ერთმანეთში.

და ცა...

ცა ბნელი იყო. ცას და მის ქვეშ გადაშლილ სამყაროს მზის შუქზე უფრო კაშკაშა, ცის ერთი კიდიდან მეორემდე ნაპრალივით გაკლაკნილი, მომწვანო-თეთრი ზოლი ანათებდა.

ეს ელვაარ, მიხვდა შედოუ. სამუდამოდ გაყინული წამიერი გაელვება. ელვა დამაბრმავებლად და უმოწყალოდ ბრდღვიალებდა: მისი შუქი სახეებიდან ყოველგვარ ფერს ჩამორეცხავდა და თვალებს ცარიელ ღრმულებს ამსგავსებდა. ეს ქარიშხლის წამი იყო.

პარადიგმები იცვლებოდა. შედოუ ამას გრძნობდა. ძველ სამყაროს, ამოუწურავი რესურსებისა და უსასრულო მომავლის უზარმაზარ სამყაროს სხვა რაღაც უპირისპირდებოდა – ენერგიის, მოსაზრებების, უფსკრულების აბლაბუდა.

„ხალხს სწამს, – გაიფიქრა შედოუმ, – რწმენა ხალხის თვისებაა. ხალხს სწამს, მაგრამ რისაც სწამს, იმაზე პასუხს არ აგებს; ხალხს რაღაცების წარმოსახვა სჩვევია, მაგრამ წარმოსახულის აღარ სჯერა. ხალხი სიბნელეს მოჩვენებებით, ღმერთებით, ელექტრონებითა და ამბებით ავსებს. ხალხი წარმოიდგენს და ხალხს სწამს: და რაც ხდება, სწორედ ამ რწმენის, კლდესავით მტკიცე რწმენის წყალობით ხდება“.

მთის წვერი არენა იყო; ეს თვალნათლივ ჩანდა. არენის ორივე მხარეს მეომრები იდგნენ.

ძალიან დიდები იყვნენ. იმ ადგილას ყველაფერი დიდი იყო.

იქ იდგნენ ძველი ღმერთები: ღმერთები ძველი სოკოებივით ყავისფერი, ქათმის ხორცივით ვარდისფერი ან შემოდგომის ფოთლებივით ყვითელი კანით. ზოგი მათგანი შეშლილი იყო, ზოგი – დაწყობილი. შედოუმ იცნო ძველი ღმერთები. ისინი უკვე ენახა, ან მათნაირებს უკვე შეხვედროდა. გვერდიგვერდ ჩამწკრივებულიყვნენ იფრიტები, პისკები, ბუმბერაზები და ჯუჯები. დაინახა ქალი, რომელსაც როდაილენდში პატარა, ჩაბნელებულ საძინებელში შეხვდა, მის თავზე თმის მაგივრად მწვანე გველები იგრიხებოდნენ. დაინახა მამა-ჯი, რომელსაც კარუსელზე შეხვდა. მას ხელებზე სისხლი ეცხო, სახეზე კი ღიმილი დასთამაშებდა. შედოუმ ყველა იცნო.

შედოუმ ახლებიც იცნო.

დაინახა კაცი, რომელიც რკინიგზის ბარონი უნდა ყოფილიყო, ძველებური კოსტიუმი ეცვა და ჟილეტის ჯიბიდან საათის ძეწკვი ამოსჩროდა. შუბლშეჭმუხნილი იდგა და გამომეტყველებაზე ეტყობოდა, მძიმე დღეები ედგა.

დაინახა თვითმფრინავების დიდი, ჭაღარა ღმერთები – ცაში ფრენის ადამიანური ოცნებების მემკვიდრეები.

იქვე იდგნენ ავტომობილების ღმერთები, ძლევამოსილი, სერიოზული იერის მქონე კაცები, რომლებსაც შავ ხელთათმანებზე სისხლი ეცხოთ და ქრომირებული კბილები ჰქონდათ: აცტეკების დროიდან მოყოლებული, არავის შესწირვოდა უფრო მეტი ადამიანი ზვარაკად, ვიდრე მათ. ისინიც კი შეწუხებულები ჩანდნენ. სამყაროები მუდმივად იცვლება.

ზოგს სახე ფოსფორის გადღაბნილ ლაქას მიუგავდა და მკრთალად ანათებდა.

შედოუს ყველა შეეცოდა.

ახალი ღმერთები მედიდურად გამოიყურებოდნენ, მაგრამ შედოუმ მათ მზერაში შიშიც ამოიკითხა.

მათ ეშინოდათ, რომ თუ ცვალებად სამყაროს ფეხს არ აუწყობდნენ, თუ თავისებურად არ გადააკეთებდნენ, გარდაქმნიდნენ და გადაასხვაფერებდნენ, მათი დროც ამოიწურებოდა.

თითოეული მხარე მეორეს მედგრად შესცქეროდა. თითოეულ მხარეს მეტოქე დემონებად, ურჩხულებად და წყეულებად ესახებოდა.

შედოუმ დაინახა, რომ პირველი შეტაკება უკვე მომხდარიყო. ქვებზე უკვე სისხლი ესხა.

ახლა მეომრები ნამდვილი ბრძოლისთვის, ნამდვილი ომისთვის ემზადებოდნენ. ან ახლა, ან არასდროს, გაიფიქრა შედოუმ, დაუყოვნებლივ რამეს თუ არ მოვიმოქმედებ, სამუდამოდ დამაგვიანდებაო.

„ამერიკაში ყველაფერი სამუდამოდ გრძელდება, – უკარნახა ხმამ გონებაში, – 1950იანებმა თითქოს ათას წელს გასტანა. დრო ყველაფრისთვის გეყოფა“. შედოუმ ფეხათრევითა და ბორძიკ-ბორძიკით შეაბიჯა არენის შუაგულში.

იგრძნო, როგორ გამოაყოლეს თვალები, თვალები და სხვა უფრო საზარელი რამეებიც. გააჟრჟოლა.

„ყოჩაღ, მშვენივრად გიჭირავს თავი!“ – შეაქო ბიზონის ხმამ.

„დიახაც, – გაიფიქრა შედოუმ, – მე ხომ ამ დილით გავცოცხლდი. მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, წესით, არაფერი აღარ უნდა გამიჭირდეს“.

– იცით, – მეგობრული კილოთი თქვა სივრცეს მიშტერებულმა შედოუმ, – ეს ომი არ არის. არც არასდროს ყოფილა. თუ ვინმეს გგონიათ, რომ ეს ომია, თავს იტყუებთ.

ორივე მხრიდან უკმაყოფილების გამომხატველი ბურტყუნი მოესმა. შთაბეჭდილება ვერავისზე მოახდინა.

– ჩვენ გადარჩენისთვის ვიბრძვით, – დაიზმუვლა მინოტავრმა არენის ერთი მხრიდან.

– ჩვენ არსებობისთვის ვიბრძვით, – დაიყვირა მოელვარე კვამლის სვეტმა არენის მეორე მხრიდან.

– ეს ქვეყანა ღმერთებისთვის ცუდი ადგილია, – თქვა შედოუმ. მთლად ისეთი შესავალი არ იყო, როგორიც „მეგობრებო, რომაელებო და ჩემო თანამემამულეებო“[278], მაგრამ არა უშავდა, – ალბათ ამას, ასე თუ ისე, უკვე ყველა ხვდებით. ძველი ღმერთები აღარავის ახსოვს, ახალ ღმერთებს ისევე სწრაფად ივიწყებენ, როგორც ადიდებენ; განზე მოისვრიან ხოლმე, როცა სხვა სათაყვანებელი ობიექტი გამოუჩნდებათ. მრავალ თქვენგანს ზურგი შეაქციეს, ან მალე შეაქცევენ; ძნელია არსებობა, როცა ადამიანთა ახირებებზე ხარ დამოკიდებული.

უკმაყოფილო ბურტყუნი დაცხრა. შედოუმ ისეთი რამ თქვა, რასაც ღმერთები ეთანხმებოდნენ. მათი ყურადღება მიიქცია, ახლა ყველაფრის ახსნა უნდა მოესწრო.

– შორეული ქვეყნიდან აქ ერთი ღმერთი მოვიდა. როცა მისი მორწმუნეების რაოდენობა შემცირდა, იმ ღმერთის ძალა და გავლენა შესუსტდა. მას სიკვდილი და მსხვერპლშეწირვები ასაზრდოებდა, განსაკუთრებით კი, ომები. ძველ სამშობლოში ომში დაცემული ყველა მეომრის სიცოცხლეს მას უძღვნიდნენ.

ის ღმერთი დაბერდა. თავის რჩენა თაღლითობით დაიწყო. დამხმარედ თავისივე პანთეონის ღმერთი გამოუჩნდა, ქაოსისა და ვერაგობის ღმერთი. ერთად აბრიყვებდნენ გულუბრყვილოებს და პირწმინდად ძარცვავდნენ.

ერთხელაც – ორმოცდაათი ან იქნებ ასი წლის წინ – მათ გეგმა დასახეს. გადაწყვიტეს, მასაზრდოებელი ძალის მარაგი შეექმნათ, მარაგი, რომელიც მათ უწინდელზე მეტად გააძლიერებდა. მკვდარი ღმერთებით მოფენილ ბრძოლის ველზე უფრო ძლიერმოქმედი განა რა შეიძლება იყოს? მათ წამოწყებულ თამაშს „ერთმანეთს წავაჩხუბოთ“ ერქვა.

გასაგებია?

ამ ბრძოლაში ვერც მოიგებთ და ვერც დამარცხდებით. გამარჯვება ან მარცხი იმ ღმერთისა და მისი დამხმარისთვის უმნიშვნელოა. მისთვის მთავარია, ბევრი თქვენგანი დაიხოცოს. თითოეული თქვენგანის სიკვდილით იკვებება. თითოეული თქვენგანის ბრძოლის ველზე დაცემა გააძლიერებს. ხვდებით?

არენა ზათქმა დააყრუა, თითქოს უშველებელ რამეს ცეცხლი წაჰკიდებოდეს. შედოუ იქით მიტრიალდა, საიდანაც ხმაური გაიგონა. მუქწითელკანიანმა, გულგაღეღილმა, ცილინდრიანმა და პირში სიგარაგარჭობილმა ვეებერთელა კაცმა სამარისეული ხმით დაიგუგუნა: – გასაგებია, მაგრამ ოდინი მოკვდა, – თქვა ბარონმა სამედიმ, – სამშვიდობო მოლაპარაკებისას მოკლეს ამ ნაბიჭვრებმა. ოდინი მოკვდა. სიკვდილს ვცნობ. ჩემთან თავს ვერავინ მოიმკვდარუნებს.

– რასაკვირველია, – დაეთანხმა შედოუ, – ოდინი მართლა მოკვდა. თავი გაწირა, სხეული დათმო იმისთვის, რომ ეს ომი ამტყდარიყო. ბრძოლის დასრულების შემდეგ იმაზე უფრო ძლიერი გახდებოდა, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

– შენ ვინღა ხარ? – წამოიძახა ვიღაცამ. – მე... მე ვარ... ვიყავი... მე მისი შვილი ვარ.

ერთ-ერთმა ახალმა ღმერთმა (რომელიც, შედოუს აზრით, ნარკოტიკი უნდა ყოფილიყო, ისე იღიმებოდა, ბრწყინავდა და თრთოდა) თქვა: – კი, მაგრამ მისტერ უორლდი ამბობდა...

– არანაირი მისტერ უორლდი არ არსებობს. არც არასდროს არსებობდა. ერთი თქვენნაირი ნაბიჭვარი იყო და თავის მიერვე წარმოქმნილი ქაოსით გაძღომა უნდოდა. შედოუმ ღმერთების თვალებში წყენა დაინახა, მიხვდა, რომ დაუჯერეს. თავი გააქნია.

– იცით, – თქვა მან, – ღმერთობას მირჩევნია ადამიანი ვიყო. საარსებოდ სულ არ გვჭირდება, ვინმეს ჩვენი სწამდეს. უამისოდაც ვძლებთ.

მთის წვერზე სიჩუმე ჩამოვარდა.

შემდეგ ცაში გაყინული ელვის კლაკნილი გალღვა და მეხივით დაატყდა მთის წვერს. არენა სრულებით დაბნელდა.

წყვდიადში იქ შეკრებილთაგან მრავალი აელვარდა.

ნეტავ ხომ არ შემეკამათებიან, შემომიტევენ და ჩემს მოკვლას ეცდებიანო, გაიფიქრა შედოუმ. მოთმინებით ელოდა მათ პასუხს.

მაგრამ მალე შეამჩნია, რომ მოელვარე ლაქები ერთიმეორის მიყოლებით ქრებოდა. ღმერთები არენას ტოვებდნენ, თავიდან თითო-თითოდ მიდიოდნენ, შემდეგ – ოცოცად, ბოლოს – ას-ასად.

შედოუსკენ როტვაილერისხელა, შვიდფეხა ობობა გამოცუხცუხდა; თვალები მკრთალად უღვიოდა.

შედოუ დაიზაფრა, მაგრამ ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია.

მოახლეებულმა ობობამ მისტერ ნანსის ხმით უთხრა: – ყოჩაღ, ვამაყობ შენით, მშვენივრად გამოხვედი, ყმაწვილო.

– გმადლობ, – უთხრა შედოუმ.

– დროა, უკან დაგაბრუნო. დიდხანს აქ დარჩენა გაგაგიჟებს, – ამ სიტყვებით ობობამ ყავისფერბუსუსებიანი ფეხი შედოუს მხარზე დაადო...

...და „შვიდი შტატის დროშის ეზოში“ მისტერ ნანსიმ ჩაახველა. მარჯვენა ხელი შედოუს მხარზე ედო. წვიმა შემწყდარიყო. მისტერ ნანსიმ მარცხენა ხელი გვერდზე მიიდო, თითქოს ძლიერ სტკიოდა. შედოუმ ჰკითხა, ცუდად ხომ არ ხარო.

– მე კაჟივით მაგარი ვარ, – უპასუხა მისტერ ნანსიმ, – უფრო მაგარი, – მაგრამ სულაც არ ეღიმებოდა, ტკივილისგან გატანჯული ბერიკაცივით ლაპარაკობდა.

მათ გარშემო ათობით ღმერთი იდგა ან იჯდა ხის სკამებსა და მიწაზე.

ზოგიერთი ძლიერ დაშავებულს ჰგავდა. შედოუს ციდან ზუზუნი მოესმა.

ხმაური სამხრეთიდან ახლოვდებოდა.

– ვერტმფრენები? – შეშფოთებულმა შეხედა მისტერ ნანსის. მისტერ ნანსიმ თავი

დაუქნია.

– მათზე ნუღარ ღელავ. აქაურობას მოასუფთავებენ და წავლენ. ეს კარგად ეხერხებათ.

– გასაგებია.

შედოუს ერთი რამ უნდა მოესწრო, სანამ ყველაფერს მოასუფთავებდნენ. ჭაღარა კაცს, რომელიც პენსიაზე გასული საინფორმაციო გამოშვების წამყვანივით გამოიყურებოდა, ელექტროფანარი გამოართვა და საძებნელად წავიდა.

ლორა ერთ-ერთ გამოქვაბულში, მაღაროში მომუშავე „ფიფქიას“ ჯუჯების დიორამის გვერდით იპოვა. მის ქვეშ იატაკი სისხლით იყო დასვრილი. მხართეძოზე იწვა. ალბათ ლოკიმ მიაგდო აქ, როცა შუბი თავისი და ლორას სხეულებიდან გამოაძრო.

ლორას ცალი ხელი მკერდზე მიედო. საშინლად უმწეოდ გამოიყურებოდა. მკვდარს ჰგავდა, მაგრამ შედოუ ამას უკვე მისჩვეოდა.

მის გვერდით ჩაცუცქდა, ლოყაზე მიეფერა და სახელით მიმართა. ლორამ თვალები გაახილა და თავი ნელა შემოატრიალა მისკენ.

– გამარჯობა, ცუგა, – ჩუმად მიესალმა შედოუს.

– გამარჯობა, ლორა. აქ რა მოხდა?

– ისეთი არაფერი, – უპასუხა მან, – გაიმარჯვეს?

– არ ვიცი. მგონი, ასეთი რამეები შედარებითია. ბრძოლას აპირებდნენ, მაგრამ მე შევაჩერე.

– ჩემი ჭკვიანი ცუგა, – ჩაილაპარაკა ლორამ, – მისტერ უორლდი თვალში ჯოხის ჩათხრით გემუქრებოდა. საერთოდ არ მომეწონა ეგ კაცი.

– ის მკვდარია. შენ მოკალი, ძვირფასო. ლორამ თავი დააქნია.

– ძალიან კარგი.

ქალმა თვალები დახუჭა. შედოუმ მისი ცივი ხელი თავისაში მოიქცია. ცოტა ხნის შემდეგ ლორამ თვალები ისევ გაახილა.

– გაარკვიე, როგორ უნდა გამაცოცხლო? – ჰკითხა შედოუს.

– მგონი, კი, – უპასუხა მან, – ყოველ შემთხვევაში, ერთი ხერხი შევიტყვე.

– ძალიან კარგი, – თქვა ლორამ და ცივი ხელი ხელზე მოუჭირა. შემდეგ ჰკითხა: – და პირიქით როგორ ქნა, ეს თუ შეიტყვე?

– პირიქით?

– დიახ, – დაიჩურჩულა ლორამ, – მგონი, დავიმსახურე.

– ამის გაკეთება არ მინდა.

ლორამ არაფერი უთხრა. მხოლოდ იცდიდა.

– კარგი, – თქვა შედოუმ ბოლოს, ხელი გაუშვა და კისერზე შეახო.

– ჩემი ყოჩაღი ქმარი, – თქვა ამაყად ლორამ.

– მიყვარხარ, ლამაზო, – უთხრა შედოუმ. – მიყვარხარ, ცუგა, – დაიჩურჩულა ლორამ.

შედოუმ ლორას კისერზე შებმული ოქროს მონეტა ჩაბღუჯა და მოქაჩა. ძეწკვი იოლად გაწყდა. შედოუმ მონეტა საჩვენებელ თითსა და ცერს შორის მოაქცია და სული შეუბერა. შემდეგ ხელი გაშალა.

მონეტა გაქრა. ლორა თვალებს აღარ ახამხამებდა,

მზერა გაეყინა.

შედოუ დაიხარა და ცივ ლოყაზე ნაზად აკოცა. ლორამ არ უპასუხა. შედოუ ამას არც ელოდა. ადგა, გამოქვაბულიდან გავიდა და სიბნელეს მიაშტერდა.

წვიმას გადაეღო და ქარი ჩამდგარიყო. ჰაერი კვლავ გასუფთავებულიყო და გაწმენდილიყო.

ხვალ ძალიან ლამაზი დღე გათენდებაო, გაიფიქრა. ამაში ეჭვი არ ეპარებოდა შედოუს.

მეოთხე ნაწილი. ეპილოგი: რას არ ამბობენ მკვდრები?

483

444

მეცხრამეტე თავი

ამბის აღწერის საუკეთესო გზა მისი მოყოლაა. მიხვდით? თუ ადამიანს უნდა, საკუთარ თავს ან მთელ სამყაროს ამბავი აღუწეროს, მაშინ უნდა მოჰყვეს. ეს წონასწორობის დაცვასა და წაოცნებებას გულისხმობს. რაც უფრო ზუსტია რუკა, მით უფრო ჰგავს ტერიტორიას. ყველაზე ზუსტი რუკა, ალბათ თავად ტერიტორიაა და ამგვარი რუკა, მიუხედავად მისი სრული სიზუსტისა, სრულიად უსარგებლოა. ამბავი რუკაა, რომელიც ტერიტორიაა. ეს ყოველთვის გახსოვდეთ. მისტერ იბისის ჩანაწერებიდან

„ფოლკსვაგენის“ მიკროავტობუსში ორნი ისხდნენ და 75-ე შტატთაშორისი ავტომაგისტრალით ფლორიდაში მიდიოდნენ. დილიდან მოყოლებული, საჭისთვის ხელი არ გაუშვიათ, უფრო სწორად, შედოუს არ გაუშვია, ხოლო მისტერ ნანსი მგზავრის სავარძელში იჯდა და ხანდახან გატანჯული ადამიანის გამომეტყველებით სთავაზობდა, შეგენაცვლებიო. შედოუ უარს ეუბნებოდა.

– ბედნიერი ხარ? – ჰკითხა უეცრად მისტერ ნანსიმ, რომელიც გზაში შედოუს თვალს არ

აცილებდა. რამდენჯერაც შედოუმ მარჯვნივ გაიხედა, მისკენ მოჩერებულ მისტერ ნანსის მოყავისფრო-თიხისფერ თვალებს გადააწყდა.

– არა, – უპასუხა შედოუმ, – მაგრამ ჯერ ხომ არ მოვმკვდარვარ.

– ჰა?

– „ნურავის უწოდებ ბედნიერს, სანამ არ მოკვდება“. ჰეროდოტე.

მისტერ ნანსიმ ცალი წარბი ასწია და თქვა: – მე არ მოვმკვდარვარ და ის, რომ არ მოვმკვდარვარ, ძალიანაც მახარებს.

– ჰეროდოტეს ნათქვამი იმას კი არ ნიშნავს, რომ მკვდრები ბედნიერები არიან, – განუმარტა შედოუმ, – არამედ იმას, რომ, სანამ ცოცხალია, ადამიანის ცხოვრებას ვერ განსჯი.

– პირადად მე არც სიკვდილის შემდეგ განვსჯი, – თქვა მისტერ ნანსიმ, – რაც შეეხება ბედნიერებას, არსებობს მრავალნაირი ბედნიერება, ისევე როგორც მრავალნაირი მკვდარი. ჩემდა თავად, თუკი შემიძლია, უარს არასდროს არაფერზე ვამბობ. შედოუმ თემა შეცვალა.

– ის ვერტმფრენები, გვამებისა და დაშავებულების წასაყვანად რომ მოფრინდნენ...

– მერე?

– ვინ გამოგზავნა? საიდან მოფრინდნენ?

– მაგაზე შენ ნუ დარდობ. ვალკირიებივით[279] და კაკაჩებივით არიან. მოფრინავენ იმიტომ, რომ უნდა მოფრინდნენ.

– გასაგებია.

– მკვდრებსა და დაჭრილებს მიხედავენ. ჩემი აზრით, ბებერი ტურელი მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში ძალიან დაკავებული იქნება. ერთ რამეს გკითხავ, შედოუ-ბიჭო.

– გისმენ.

– მომხდარმა რამე თუ გასწავლა? შედოუმ მხრები აიჩეჩა.

– არ ვიცი. ხეზე რაც შევიტყვე, უკვე თითქმის ყველაფერი გადამავიწყდა, – თქვა მან, – მგონი, ვიღაცებს შევხვდი, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ. თითქოს ისეთი სიზმარი ვნახე, სამუდამოდ რომ გარდაგქმნის. გახსოვს, რომ რაღაც გესიზმრა, ეს მართლა შეგემთხვა, მაგრამ გონებაში დეტალების აღდგენა გიჭირს.

– ჰო, – თქვა მისტერ ნანსიმ და უხალისოდ ჩაიბურტყუნა, – არც ისეთი ჩლუნგი ყოფილხარ.

– ალბათ მართლაც არ ვარ, – დაეთანხმა შედოუ, – თუმცა კარგი კი იქნებოდა, ბევრი რამ შემენარჩუნებინა იქიდან, რაც ციხიდან გამოსვლის შემდეგ ვისწავლე და შევიტყვე. ბევრი რამ მომეცა, მაგრამ ისევ დავკარგე.

– იქნებ იმაზე მეტი შეინარჩუნე, ვიდრე გგონია, – უთხრა მისტერ ნანსიმ.

– არა, – იუარა შედოუმ.

ფლორიდის საზღვარი გადაკვეთეს თუ არა, შედოუმ პირველი პალმა დაინახა. ნეტავ აქ განგებ, იმის საჩვენებლად ხომ არ დარგეს, რომ უკვე ფლორიდაში ხარო, გაიფიქრა შედოუმ.

მისტერ ნანსიმ ხვრინვა ამოუშვა და შედოუმ მისკენ მიიხედა. ბერიკაცი კვლავ ფერმიხდილი ჩანდა და ხრინწიანად სუნთქავდა. ვაითუ, ბრძოლისას გულმკერდი ან ფილტვი დაიშავაო, მერამდენედ შეწუხდა შედოუ. ნანსიმ სამედიცინო გამოკვლევაზე უარი განუცხადა.

ფლორიდა იმაზე დიდი აღმოჩნდა, ვიდრე შედოუს წარმოედგინა და როცა ფორტპირსის გარეუბანში პატარა, დარაბებიანი, ერთსართულიანი ხის სახლის წინ გაჩერდა, უკვე ბნელოდა. ბოლო ათი კილომეტრის მანძილზე მიმართულებას მისტერ ნანსი კარნახობდა. მოხუცმა ღამის გასათევად შინ შეიპატიჟა.

– მოტელში ვიშოვი ოთახს, – უთხრა შედოუმ, – პრობლემა არაა.

– კი იშოვი, მაგრამ მე მაგრად მაწყენინებ. არ გაგიწყრები, მაგრამ ძალიან, ძალიან მეწყინება, – უთხრა მისტერ ნანსიმ, – მოკლედ, გიჯობს, ჩემთან დარჩე. ლოგინს დივანზე გაგიშლი.

მისტერ ნანსიმ დარაბები გახსნა და ფანჯრები ფართოდ გამოაღო. სახლში შმორისა და ნესტის სუნი იდგა, მაგრამ მსუბუქი სურნელებაც იგრძნობოდა, თითქოს შინ დიდი ხნის წინ გამხმარი ნამცხვრების აჩრდილები ბინადრობდნენ.

შედოუ უხალისოდ დასთანხმდა მისტერ ნანსის მიპატიჟებას. კიდევ უფრო უხალისოდ გაჰყვა ქუჩის ბოლოს მდებარე ბარში ნაგვიანევი კათხის გადასაკრავად, სანამ სახლი განიავდებოდა.

– ჩერნობოგი ნახე? – ჰკითხა მისტერ ნანსიმ, როცა ფლორიდულ თბილ ღამეში მისეირნობდნენ. ჰაერში პალმის ხოჭოები დაზუზუნებდნენ, მიწაზე ჭრიჭინა მწერები ფუთფუთებდნენ. მისტერ ნანსიმ სიგარილოს მოუკიდა, ბოლი ჩაისუნთქა და დაახველა, მაგრამ მოწევა მაინც არ შეწყვიტა.

– გამოქვაბულიდან რომ გამოვედი, იქ აღარ დამხვდა.

– შინ წავიდოდა. ალბათ იქ გელოდება.

– ჰო.

გზის ბოლომდე ჩუმად მივიდნენ. ბარი დიდი ვერაფერი იყო, სამაგიეროდ, ღია დახვდათ.

– პირველ კათხას მე ვიკისრებ, – უთხრა მისტერ ნანსიმ.

– თითო კათხის დალევას ვაპირებდით, – შეახსენა შედოუმ.

– რა იყო, ძუნწი ხარ? – წამოიძახა მისტერ ნანსიმ.

თავიდან ლუდი მისტერ ნანსიმ იკისრა, შემდეგ – შედოუმ. მერე მისტერ ნანსიმ ბარმენს კარაოკეს აპარატი ჩაართვევინა და შედოუმ გაკვირვებულმა და ცოტათი დარცხვენილმა უყურა, მთელი მონდომებით, ხმამაღლა როგორ იმღერა ბერიკაცმა „What's New Pussycat?"[280] და მერე ღიღინ-ღიღინით შეასრულა „The Way You Look Tonight"-ის[281] სულის შემძვრელი, მელოდიური ვერსია. მისტერ ნანსის ჩინებული ხმა და სმენა აღმოაჩნდა და ბარში მყოფმა რამდენიმე ადამიანმა ტაშიც კი დაუკრა.

როცა მისტერ ნანსი დახლთან მჯდარ შედოუსთან დაბრუნდა, თვალები უბწყინავდა და სახეზეც ფერი დაჰბრუნებოდა.

– შენი ჯერია, – უთხრა შედოუს.

– გამორიცხულია.

მაგრამ მისტერ ნანსიმ კიდევ თითო-თითო კათხა ლუდი შეუკვეთა და შედოუს დალაქავებულ ქაღალდის ფურცელზე ჩამოწერილი სიმღერების სია მიაჩეჩა ასარჩევად.

– ისეთი შეარჩიე, რომლის ტექსტიც იცი.

– სულაც არ არის სასაცილო, – უთხრა შედოუმ, მაგრამ სასმელი უკვე მოჰკიდებოდა და შეწინააღმდეგება დაეზარა. მისტერ ნანსიმ „Don't Let Me Be Misunderstood"[282] ჩართო და შედოუ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ძალით შეაგდო ბარის ბოლოში სახელდახელოდ აგებულ სცენაზე.

შედოუმ მიკროფონი ისე ჩაბღუჯა, თითქოს ეშინოდა, არ გამექცესო და ფონოგრამის ჩართვისთანავე, პირველი სიტყვა ამოიხავლა: „Baby...“ სცენისკენ არაფერი გამოფრენილა, მისთვის არაფერი უსვრიათ. ესიამოვნა.

„Can you understand me now?“ – შედოუს უხეში, მაგრამ მელოდიური ხმა სიმღერას კარგად მოუხდა, – „Sometimes I feel a little mad. Don’t you know that no one alive can always be an angel...“

კვლავაც მღეროდა, როცა მოხუცი და ახალგაზრდა, ფლორიდულ სიცოცხლით სავსე ღამეში შინისაკენ ბედნიერები მიბარბაცებდნენ.

„I‘m just a soul whose intentions are good“, – უმღეროდა კიბორჩხალებსა და ობობებს, პალმის ხოჭოებსა და ხვლიკებს, – „Oh, lord, please don’t let me be misunderstood.“[283]

მისტერ ნანსიმ დივანზე დააწვინა. დივანი შედოუზე ბევრად პატარა აღმოჩნდა და შედოუმ გადაწყვიტა, იატაკზე დავიძინებო, მაგრამ სანამ იატაკზე დაწოლას მოასწრებდა, პატარა დივანზე ნახევრად წამოწოლილსა და ნახევრად ჩამომჯდარს ჩაეძინა.

თავიდან მხოლოდ სასიამოვნო წყვდიადში გაეხვია, არაფერი ესიზმრებოდა. შემდეგ წყვდიადში ცეცხლი აინთო და იქით გააბიჯა.

– საქმეს თავი კარგად გაართვი, – უთხრა ბიზონისთავიანმა კაცმა ტუჩების აუმოძრავებლად.

– არც კი ვიცი, რა ვქენი, – უთხრა შედოუმ.

– მშვიდობა დაამყარე, – აუხსნა ბიზონისთავიანმა კაცმა, – ჩვენი სიტყვები შენად აქციე. ისინი ვერასდროს ხვდებოდნენ ერთ რამეს: მათი აქ ყოფნა – და მათი თაყვანისმცემელი ხალხის აქ ყოფნა – იმიტომ დავუშვით, რომ ეს ხელს გვაძლევს. თუმცა, შეგვიძლია აზრი შევიცვალოთ. ალბათ ასეც ვიზამთ.

– შენ ღმერთი ხარ? – ჰკითხა შედოუმ.

ბიზონისთავიანმა კაცმა თავი გააქნია. შედოუს მოეჩვენა, ჩემმა შეკითხვამ გაამხიარულაო.

– მე მიწა ვარ, – უპასუხა მან.

ამით ის სიზმარი დასრულდა, ყოველ შემთხვევაში, შედოუს მეტი აღარაფერი დამახსოვრებია. შიშხინი მოესმა. თავი სტკიოდა და საფეთქლები ყრუდ უძგერდა.

მისტერ ნანსი მაგიდაზე საუზმეს შლიდა: თეფშზე ბლინები დაეხვავებინა, ტაფაზე ბეკონის ნაჭრები ერბოკვერცხთან ერთად შეეწვა და ყავაც მოედუღებინა. სრულიად ჯანმრთელად გამოიყურებოდა.

– თავი მტკივა, – უთხრა შედოუმ.

– აი, ისაუზმებ და ნახავ, თავი ახალ ადამიანად თუ არ იგრძნო.

– მირჩევნია, თავმა იგრძნოს შვება, მე კი ისევ იმ ადამიანად დავრჩე, – თქვა შედოუმ.

– ჭამე, – ურჩია მისტერ ნანსიმ. შედოუმ შეჭამა.

– როგორ ხარ?

– თავი ისევ მტკივა, ოღონდ ახლა კუჭიც სავსე მაქვს და მგონი, გული ამერევა.

– გამომყევი.

იმ დივნის გვერდით, რომელზეც შედოუმ ღამე გაათია, უცხო შავი ხისგან გამოთლილი ყუთი იდგა და ზედ აფრიკული ხალიჩა იყო გადაფარებული. ყუთი მეკობრის მომცრო სკივრს ჰგავდა. მისტერ ნანსიმ ბოქლომი გახსნა და სკივრს თავსახური ახადა. შიგ რამდენიმე კოლოფი ეწყო. ნანსიმ ერთ-ერთი კოლოფიდან რაღაც ამოქექა.

– ეს უძველესი აფრიკული მცენარეული წამალია, – თქვა მან, – ტირიფის დანაყილი ქერქისა და ეგეთი რამეებისგან არის დამზადებული.

– ასპირინივით?

– ჰო, ასპირინივით, – უთხრა მისტერ ნანსიმ, სკივრიდან გენერიკული ასპირინით სავსე დიდი შუშა ამოიღო, საცობი მოხსნა, რამდენიმე თეთრი აბი ხელზე დაიყარა და შედოუს მიაწოდა, – გამომართვი.

– ლამაზი სკივრია, – შენიშნა შედოუმ, მერე მომწარო აბები ენაზე დაიდო, წყალი მოსვა და გადაყლაპა.

– ჩემმა შვილმა გამომიგზავნა, – უთხრა მისტერ ნანსიმ, – კარგი ბიჭია, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვხედავ.

– უენზდეი მენატრება, – თქვა შედოუმ, – მიუხედავად ყველაფრისა, რაც მან ჩაიდინა. სულ მგონია, რომ უნდა გამოჩნდეს, მაგრამ არა და არ მოდის.

შედოუ მეკობრის სკივრს მისჩერებოდა და ცდილობდა, გაეხსენებინა, რას აგონებდა.

„მრავალ რამეს დაკარგავ, მაგრამ ეს არ დაკარგო“. ეს ვინ უთხრა?

– გენატრება? მას შემდეგ, რაც განსაცდელში ჩაგაგდო? მას შემდეგ, რაც ყველანი განსაცდელში ჩაგვყარა?

– ჰო, – უპასუხა შედოუმ, – მაინც მენატრება. როგორ ფიქრობ, დაბრუნდება?

– ვფიქრობ, როცა კი სადმე ორი ადამიანი ოცდოლარიანი ვიოლინოს მესამისთვის ათი ათას დოლარად შეტყუებას დააპირებს, მისი სული ახლომახლო იტრიალებს.

– კი, მაგრამ...

– სამზარეულო მისალაგებელია, – სახე გაუმკაცრდა მისტერ ნანსის, – ის ტაფები თავისით კი არ დაირეცხება.

მისტერ ნანსიმ ტაფები და თეფშები დარეცხა, შედოუმ გაამშრალა და კარადაში შეაწყო. ამასობაში თავის ტკივილმა გაუარა. მისაღებ ოთახში დაბრუნდნენ.

შედოუ ისევ სკივრს მიაჩერდა.

– ჩერნობოგის სანახავად რომ არ წავიდე, რა მოხდება? – ჰკითხა მისტერ ნანსის.

– თვითონ გნახავს, – მშრალად უპასუხა მან, – ალბათ მოგძებნის. ან ვინმეს მიაყვანინებს შენს თავს. ასე თუ ისე, მისი ნახვა მოგიწევს. შედოუმ თავი დააქნია და უცებ თავსატეხის დეტალები დალაგდა.

– ეი, – მიუბრუნდა მისტერ ნანსის, – თუ იცი, სპილოსთავიანი ღმერთი არსებობს?

– განეშას გულისხმობ? ინდუისტური ღმერთია. ადამიანს დაბრკოლებების გადალახვაში ეხმარება და მგზავრობას უადვილებს. გარდა ამისა, ჩინებული მზარეულია.

– ...ხორთუმშია, – ჩაილაპარაკა შედოუმ, – ვიცოდი, რომ სკივრი რაღაც მნიშვნელოვანს მაგონებდა, მაგრამ არ ვიცოდი, რას. ვიფიქრე, იქნებ ხის ღერო იგულისხმება-მეთქი, მაგრამ განეშამ აშკარად სულ სხვა რამეზე მიმანიშნა, დიახ.[284] მისტერ ნანსი მოიღუშა.

– დამაბნიე.

– საბარგულშია, – თქვა შედოუმ. რატომღაც სრულიად დარწმუნებული იყო. წამოდგა.

– უნდა წავიდე, მაპატიე, – მოუბოდიშა მისტერ ნანსის.

– ასეთი საჩქარო რა არის? – ცალი წარბი აპრიხა ბერიკაცმა.

– ყინული დნება, – უპასუხა შედოუმ.

მეოცე თავი

გაზაფხულია
და
თხისფეხება
ბუშტების
გამყიდველი
ჩუმი სტვენა-
სტვენით
მიდის.
ე. ე. კამინგსი [285]

დილის ცხრის ნახევარზე შედოუ ნაქირავები ავტომანქანით ნელა გამოვიდა ტყიდან, 70 კმ/სთ სიჩქარის გადაუჭარბებლად ჩაიარა დაღმართი და სამი კვირის შემდეგ, რომ ეგონა, იქაურობას ვეღარასდროს ვნახავო, ლეიკსაიდში დაბრუნდა.

სიცოცხლესავით ხანგრძლივ ამ სამ კვირაში ქალაქი თითქმის არ შეცვლილიყო. მანქანა ტბისკენ მიმავალი გზის პირას გააჩერა და გადმოვიდა.

გაყინულ ტბაზე აღარც მეთევზეთა ქოხები იდგა, აღარც ჯიპები და აღარც ყინულჭრილთან იჯდა ვინმე ანკესით ხელში, გვერდით მიდგმული ლუდის ქილით. ტბა დამაბრმავებლად მოლაპლაპე თეთრი თოვლის ფენით აღარ იყო დაფარული, სუფთა, გამჭვირვალე ყინული კი მუქ წყალს ვეღარ მალავდა. მოღრუბლული ცის ქვეშ მოტიტვლებული და ცარიელი ტბა გადაჭიმულიყო.

თითქმის ცარიელი.

ყინულზე, ლამის ხიდის ქვეშ, ერთი მანქანა ჯერ კიდევ იდგა და ქალაქში გამვლელსა თუ ქალაქთან ჩამვლელს აუცილებლად თვალში მოხვდებოდა. მუქი მწვანე მანქანა იყო, ისეთი, ხალხი ავტოსადგომზე რომ აჩერებს და ტოვებს, რადგან აღარაფრად უღირს. ძრავაამოცლილი ჯაბახანა სანაძლეოს განასახიერებდა, იდგა და იცდიდა, როდის დალპებოდა და გალღვებოდა ყინული საკმარისად, რომ ჩამტყდარიყო და თავად ჩანთქმულიყო ტბაში.

ტბისკენ მიმავალი ვიწრო გზა ჯაჭვით გადაეღობათ. გამაფრთხილებელი ნიშანი ფეხით, მანქანით ან თოვლმავლით ტბაზე შესვლას კრძალავდა. თხელი ყინული – ეწერა აბრაზე, – სახიფათოა!

შედოუ, გაფრთხილების მიუხედავად, დამრეც ნაპირზე დაეშვა. დამდნარ თოვლს მიწა აეტალახებინა, ვერც დამზრალ, გამხმარ ბალახზე მოიკიდებდი ფეხს. გაჭირვებით ჩააღწია ტბამდე, ხის მოკლე ნავმისადგომზე ფრთხილად გაიარა და ყინულზე გადააბიჯა.

თოვლისა და ყინულის გადნობისგან წარმოქმნილი წყლის ფენა მოყინული ტბის ზედაპირზე იმაზე ღრმა აღმოჩნდა, ვიდრე ზემოდან ჩანდა. წყლით დაფარულ ყინულზე სიარული კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა. შედოუ ნელა მიიკვლევდა გზას, რომ არ წაქცეულიყო. სუსხიანი წყალი ბათინკების თასმებამდე მისწვდა და შიგ ჩაუვიდა. სადაც კი შეეხო, კანი აუწვა. როცა გაყინულ ტბაზე მიაბიჯებდა, თავი უჩვეულოდ განყენებულად იგრძნო, თითქოს კინოთეატრის ეკრანზე უყურებდა საკუთარ თავს, თითქოს რომელიღაც დეტექტივის მთავარი გმირი იყო. გარდაუვალობის განცდა დაეუფლა: ყველაფერი, რაც მოსახდენია, მოხდება და მე ვერაფერს შევცვლიო.

მიდიოდა ჯაბახანისკენ და უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ყინული ძალიან დარბილებული იყო, ხოლო ყინულის ქვეშ წყალი – ყინულივით ცივი. ყინულზე სრულიად მარტო მყოფს საკუთარ უმწეობაზე ფიქრი არ შორდებოდა. რამდენჯერმე ფეხი გაუცურდა და წაიქცა.

ჩაუარა ყინულზე დაყრილ ცარიელ ლუდის ქილებსა და ბოთლებს და ყინულში სათევზაოდ ამოჭრილ მრგვალ ხვრელებს, რომლებსაც ხელახლა გაყინვა ვეღარ მოესწრო და ახლა თითოეულ ხვრელში მუქი წყალი ლივლივებდა.

ჯაბახანა იმაზე შორს აღმოჩნდა, ვიდრე გზიდან მოეჩვენა. ტბის სამხრეთი ნაპირიდან ჯოხის გატეხის მსგავსი, ხმამაღალი ტკაცუნი მოესმა, რასაც ყრუ ჟღარუნი მოჰყვა, თითქოს ტბისხელა ბას-გიტარის სიმი ირხეოდა. ყინული ჭრიალებდა და ოხრავდა დაჟანგულანჯამებიანი კარივით, გაღება რომ არ სურს. შედოუ შემლებისდაგვარად მტკიცედ აგრძელებდა სვლას.

„თავს რატომ იკლავ, უკან დაბრუნდი!“ – უკარნახა შინაგანმა ხმამ

– არა, – ხმამაღლა შეესიტყვა შედოუ, – უნდა გავარკვიო, – და შეუპოვრად განაგრძო გზა.

ჯაბახანისგან კიდევ რამდენიმე მეტრი აშორებდა, როცა დარწმუნდა, რომ სწორად გამოიცნო. მანქანის ირგვლივ სიმყრალე ტრიალებდა, მაშინვე ცუდი სუნი ეცა და ყელი ჩაუწვა. მანქანას შემოუარა, შიგნით შეიხედა. გადასაკრავებდაგლეჯილი, ჭუჭყიანი სავარძლები შეამჩნია. მანქანა აშკარად ცარიელი იყო. კარის გაღება მოინდომა, მაგრამ ჩაკეტილი აღმოჩნდა. საბარგულთან მივიდა, ისიც ჩაკეტილი დახვდა.

ნეტავ ძალაყინი წამომეღოო, ინატრა.

ხელთათმანჩამოცმული ხელი მუშტად შეკრა, სამამდე დაითვალა და

მძღოლის მხარეს ფანჯრის მინას მუშტი ძლიერად დაარტყა. მუშტი ეტკინა,

მინა არ ჩაიმსხვრა.

იფიქრა, დავეტაკებიო – თუ კარგად გამოირბენდა (ფეხი არ გაუცურდებოდა და არ წაიქცეოდა), უეჭველად ჩაამტვრევდა, მაგრამ ჯაბახანის შეჯანჯღარებას უფრთხოდა, ვაითუ, ყინულმა სიმძიმეს ვეღარ გაუძლოს და ჩატყდესო.

მანქანას შეხედა. ოდესღაც ამოსაწევ-ჩასაწევ, მაგრამ ახლა ამოწეულ მდგომარეობაში გაშეშებულ რადიოს ანტენასთან მივიდა, მსუბუქად გააქნ-გამოაქნია და ძირში იოლად გადატეხა. ძლიერი თითებით არც ანტენის ცალი ბოლოს მოკაუჭება გასჭირვებია.

შემდეგ ლითონის ანტენის მოკაუჭებული ბოლო წინა ფანჯრის მინასა და რეზინს შორის ღრმად ჩააცურა და მისწი-მოსწია, ატრიალა, სანამ კარის ჩამკეტ მექანიზმს არ გამოსდო. მოქაჩა.

კაუჭი ჩამკეტ მექანიზმს მოსწყდა.

შედოუმ ამოიხვნეშა და ხელმეორედ, უფრო ფრთხილად სცადა კაუჭის გამოდება. წარმოიდგინა, როგორ დაიბზარა და გამოეცალა ფეხიდან ყინული სიმძიმის ერთი ფეხიდან მეორეზე გადატანისას. ნელა... ფრთხილად...

არის! ანტენა ამოსწია და წინა კარის ჩამკეტი ამოხტა. შედოუმ ხელთათმანიანი ხელი კარის სახელურს ჩაავლო, ღილაკს დააწვა და მოსწია. კარი არ გაიღო.

„გაიჭედა, – გაიფიქა შედოუმ, – მიიყინა. სულ ესაა“.

კარს დაეჯაჯგურა, ყინულზე მოსრიალდა და უცებ ჯაბახანის კარი ფართოდ გაიღო.

ყინულის ნაფხვენები აქეთ-იქით გაცვივდა. სალონი უფრო ძლიერად ყარდა. ხრწნის

გულისამრევმა სუნმა თავბრუ დაახვია. ხელსაწყოთა დაფის ქვეშ შეყო ხელი და

საბარგულის გამღები ბერკეტი მაგრად მოქაჩა.

უკნიდან ყრუ ჩხაკუნი მოისმა და საბარგული გაიღო.

შედოუმ ჭყაპუნით შემოუარა მანქანას. თავის შესამაგრებლად მანქანის გვერდს ეჭიდებოდა.

„საბარგულშია“, – გაიფიქრა მან.

საბარგული მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრით ახსნილიყო. შედოუმ ბოლომდე ასწია.

იქიდან სიმყრალე ამოიჭრა, მაგრამ უფრო ცუდი სუნი ამოვიდოდა, საბარგულის ფსკერი სამი სანტიმეტრის სისქის ნახევრად გამლღვალი ყინულით რომ არ ყოფილიყო ამოვსებული. საბარგულში გრძელ, ნაცრისფერთმიანი გოგოს ცხედარი იდო. გაჭუჭყიანებული, ალისფერი კომბინეზონი ეცვა. პირი ღია რომ ჰქონოდა, კბილის ბრეკეტებს დაინახავდა – შედოუს ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. სიცივეს მისი გვამი გახრწნისგან დაეცვა, თითქოს საყინულეში იდო.

თვალები ღიად დარჩენოდა. ტირილში ამოხდომოდა სული. ლოყებზე შეყინული ცრემლები ჯერ არ გამდნარიყო. ხელებზე მწვანე ხელთათმანები ეცვა.

– მთელი ეს დრო აქ იყავი, – ელისონ მაკგავერნის გვამს უთხრა შედოუმ, – ყველა, ვინც ხიდზე გადადიოდა, გხედავდა. ყველა, ვინც ქალაქში მიდიოდა, გხედავდა. ყინულჭრილში მოთევზავეები ყოველდღე აქ დადიოდნენ, მაგრამ არავინ

არაფერი იცოდა, – და უცებ მიხვდა, რაოდენ სულელურად ჟღერდა ეს სიტყვები.

ვიღაცამ იცოდა.

ვიღაცამ საბარგულში ჩაამწყვდია.

გოგონას ცხედრის ამოსაღებად გადაიხარა. მან იპოვა და საბარგულში ვერ ჩატოვებდა. ამ დროს მანქანას მისი წონა დააწვა და შეიძლება სწორედ ეს აღმოჩნდა ბოლო წვეთი. წინა ბორბლების მხარეს ყინული ჩატყდა და მანქანის წინა ნაწილი ტბის მუქ წყალში ჩავარდა. გამოღებული კარიდან სალონში წყალი ჩაიღვარა. წყალი შედოუს კოჭებამდე მისწვდა, მაგრამ თვითონ ჯერ ისევ მყარ ყინულზე ედგა ფეხი. მიმოიხედა, თავს რით ვუშველოო, მაგრამ დაიგვიანა; ამასობაში ყინული დაქანდა და შედოუ მანქანას და ცხედრიან საბარგულს მიეჯახა. მერე მანქანის უკანა ნაწილიც ჩაიძირა და შედოუც ჩაიყოლა ცივ ტბაში. ოცდასამი მარტის დილის ათის ათი წუთი იყო.

თვალები დახუჭა და ღრმად ჩაისუნთქა, სანამ ჩაიძირებოდა, მაგრამ ტბის ცივი წყალი ქვასავით დაეტაკა და სული შეუხუთა.

მანქანა ყინულივით ცივი ტბის მრუმე სიღრმეში მიათრევდა.

ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და ხელთათმანებით დამძიმებული, ქურთუკში გახვეული და გამომწყვდეული სრულ წყვდიადსა და სიცივეში აღმოჩნდა.

იძირებოდა. მანქანა თან მიათრევდა, მას ვერაფრით შორდებოდა. შემდეგ ყრუ ბრაგუნი გაისმა, რომელიც ყურებით კი არა, მთელი სხეულით გაიგონა. მარცხენა ფეხი გადაუბრუნდა და ტბის ფსკერზე დაცემული მანქანის ქვეშ მოჰყვა. პანიკამ შეიპყრო. თვალები გაახილა.

რასაკვირველია, ტბის ფსკერზე ბნელოდა, მისმა გონებამ იცოდა, რომ იქ ბნელოდა და, წესით, ვერაფერი უნდა დაენახა; მაგრამ ხედავდა, მაინც ყველაფერს ხედავდა. ხედავდა გაფითრებულ ელისონ მაკგავერნს, რომელიც მანქანის ღია საბარგულიდან მოშტერებოდა. ხედავდა სხვა მანქანებსაც, წინათ ჩაძირულ ჯაბახანებს, ნახევრად ტბის ლამში ჩაფლული მათი დამპალი კორპუსების სილუეტებს.

„ნეტავ ავტომობილების გაჩენამდე რას აყენებდნენ ყინულზე?“ – გაიფიქრა შედოუმ.

ყოველი მანქანის საბარგულში მკვდარი ბავშვის ცხედარი იდო, ეს ზუსტად იცოდა. ტბის ფსკერზე ათეულობით ჯაბახანა ეყარა. თითოეული მათგანი ყველას თვალწინ ზამთრის განმავლობაში ყინულზე იდგა და გაზაფხულზე ცივ ტბაში ჩაიძირა.

აი, სად განისვენებდნენ ლემი ჰაუტალა, ჯესი ლოვატი, სენდი ოლსენი, ჯო მინი, სარა ლინდქუისტი და სხვები. იქ, სადაც სიცივე და მდუმარება სუფევდა...

ფეხის გათავისუფლება მოინდომა, მაგრამ მაგრად გასჭედოდა. ფილტვები გაებერა. ყურები ტკივილისგან ლამის გასკდომოდა. ნელა ამოისუნთქა და მის სახესთან ჰაერის ბუშტუკები ატივტივდა.

„მალე თუ არ ჩავისუნთქავ, – გაიფიქრა სასოწარკვეთილმა, – დავიხრჩობი“.

დაიხარა, ჯაბახანის ბამპერს ორივე ხელი ჩაავლო და მთელი ძალ-ღონით მიაწვა. ძვრა ვერ უყო.

„ეს მხოლოდ მანქანის კორპუსია, – გაიმხნევა თავი, – ძრავა ამოაცალეს, მანქანის ყველაზე მძიმე ნაწილი ეგაა. შეძლებ. უფრო მაგრად მიაწექი“.

მიაწვა.

მტკივნეულად ნელა, სანტიმეტრ-სანტიმეტრობით გააჩოჩა მანქანა ლამში, ფეხი გაითავისუფლა და მაშინვე ცივი წყლიდან ამოყვინთვა მოინდომა. ვერც კი გაინძრა.

„ქურთუკი, – უკარნახა თავის თავს, – ალბათ, ქურთუკი გამოედო რამეს“.

ხელები ქურთუკის სახელოებიდან გამოიღო და გაშეშებული თითებით წაეპოტინა ელვაშესაკრავის ენას. რამდენიმე წამს ეჯახირა და რომ ვერ გახსნა, ქურთუკი ორივე

მხარეს ძლიერად გაქაჩა და ელვაშესაკრავი ძალით გაწყვიტა. სასწრაფოდ დაუსხლტა ქურთუკის ხვევნას და ზემოთ აიჭრა, მანქანას მოშორდა.

ჩქარობდა, მაგრამ სად იყო ზემოთ და სად – ქვემოთ, ვეღარ აღიქვამდა. იხრჩობოდა. გული და თავი ისე აუტანლად სტკიოდა, ეშინოდა, ჩასუნთქვა, ცივი წყლის ჩაყლაპვა მომიწევს და მოვკვდებიო. უეცრად რაღაც მაგარს დაეჯახა.

ყინული. ტბის გაყინულ ზედაპირს დაეჯახა. მუშტები დაუშინა, მაგრამ მკლავებიდან ძალა გამოსცლოდა; აღარც მოსაჭიდი ჰქონდა რამე და აღარც – დასაყრდნობი. მთელი სამყარო ტბისქვეშა სიბნელეში გაიფანტა და დაიშალა, აღარაფერი დარჩა, გარდა სიცივისა.

„რა სისულელეა, – გაიფიქრა მან და ბავშვობაში ნანახი ერთი ძველი ფილმი გაახსენდა ტონი კერტისის[286] მონაწილეობით, – პირაღმა უნდა ამოვტრიალდე, ყინულს მივაწვე და სახით მივეკრა, ჰაერი ვიპოვო. ისევ ვისუნთქებ, იქ სადღაც ჰაერია“.

მაგრამ მხოლოდ ტივტივებდა და იყინებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე

მისი სიცოცხლე იყო დამოკიდებული, ხელ-ფეხს ვეღარ ანძრევდა. შემდეგ

სიცივეს მიეჩვია, თითქოს დათბა.

„ვკვდები“, – გაიფიქრა შედოუმ.

აი, მაშინ კი გაბრაზდა, მრისხანებამ მოიცვა და ტკივილმა და ბოღმამ სამუდამოდ გაშეშების მოსურნე მის კუნთებს კვლავ მოქმედებისკენ უბიძგა.

ცალი ხელი ზემოთ აიშვირა და ყინულს მიაწვა. უეცრად იგრძნო, რომ ხელი ყინულის კიდეს გაჰკრა და წყლიდან ზემოთ აყო. ყინულზე მოჭიდება ვერ მოასწრო, მაგრამ მისი ხელი ვიღაცამ დაიჭირა და ასწია.

შედოუმ თავი ყინულს წაარტყა, შემდეგ წყლიდან ამოყო. ვიღაცას ყინულის ჭრილიდან ამოჰყავდა. რამდენიმე წამის განმავლობაში მხოლოდ სუნთქავდა, ნესტოებიდან და პირიდან ტბის ცივ წყალს ასხამდა და თვალებს ახამხამებდა. კაშკაშა დღის შუქმა დააბრმავა. ბუნდოვანი სილუეტების გარდა ვერაფერს არჩევდა. ვიღაც ექაჩებოდა, წყლიდან მის ამოთრევას

ცდილობდა, ამხნევებდა, მიდი, მეგობარო, არ გაჩერდე, თორემ გაიყინებიო. შედოუც ახველებდა, იგრიხებოდა და ფართხალებდა მამალი სელაპივით, ნაპირზე აძრომას რომ ცდილობს.

ერთიც ჩაისუნთქა ღრმად და აჭრიალებულ ყინულზე გაიშხლართა. იცოდა, რომ ყინული მალე ჩატყდებოდა და ზედ წოლა საშიში იყო, მაგრამ ადგომის თავი არ ჰქონდა. ქოშინებდა. ძლივს აზროვნებდა.

– დამტოვე, – სცადა თქმა, – არაფერი მომივა, – მაგრამ მხოლოდ

გაურკვევლად ამოილუღლუღა. მერე ამქვეყნად თითქოს ყველაფერი

გაჩერდა.

„მხოლოდ სულის მოთქმა მჭირდება, ცოტას დავისვენებ და ავდგები, აბა, სულ აქ ხომ არ ვიწვები?“

შეანჯღრიეს, სახეში წყალი შეესხა. თავი წამოაწევინეს. იგრძნო, რომ ყინულზე გაათრიეს, სრიალა ზედაპირზე პირაღმა მისრიალებდა. გაპროტესტება მოინდომა, ცოტა მომასვენეთ, თვალი მომახუჭვინეთ, შემეშვით, ხალხი არ ხართო?! მაგრამ ხმა ვერ ამოიღო.

ვერაფრით დაიჯერა, რომ ჩაეძინა. არადა, ვრცელ ტრამალზე აღმოჩნდა ბიზონის თავმხრიან კაცთან, ვეებერთელა კონდორისთავიან ქალთან და ამ ორს შორის მდგარ ვისკი ჯეკთან ერთად. ვისკი ჯეკი სევდიანად უყურებდა და დანანებით აქნევდა თავს.

შემდეგ შედოუს ზურგი შეაქცია და წავიდა. ბიზონისთავიანი კაციც მას გაჰყვა. ქუხილის ჩიტქალაც მიტრიალდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე ფეხი მიწას დაჰკრა, ცაში აიჭრა და გაფრინდა.

შედოუს დანაკლისის განცდა დაეუფლა. უნდოდა, მათთვის დაეძახა, დაბრუნება ეთხოვა, ჩემი იმედი გქონდეთ, ხელს ნუ ჩაიქნევთო, მაგრამ ამასობაში ყველაფერმა ფორმა დაკარგა და ერთმანეთში აირია. ისინი გაქრნენ და ტრამალიც გაიცრიცა. ყველაფერი სიცარიელედ გადაიქცა.

მისი სხეულის ყოველი უჯრედი და ყოველი ნერვი თითქოს დნებოდა, თითქოს ხმამაღლა იუწყებოდა თავისი არსებობის შესახებ – შედოუ გაუსაძლისმა, მწველმა ტკივილმა გამოაფხიზლა.

ვიღაცას ცალი ხელი მისთვის თმაში ჩაევლო, მეორე ხელი კი ნიკაპქვეშ ამოედო. თვალები გაახილა. ეგონა, საავადმყოფოს პალატაში იქნებოდა.

ფეხშიშველა და წელზევით შიშველი იყო, ჯინსის შარვალი ეცვა. ჰაერში ორთქლი იდგა. მის პირდაპირ კედელზე წვერსაპარსი სარკე ეკიდა, ხოლო სარკის ქვეშ, პატარა პირსაბანზე, კბილის პასტით დალაქავებულ შუშის ჭიქაში ლურჯი კბილის ჯაგრისი იდო.

ინფორმაციის დამუშავებას დიდ დროს ანდომებდა. მონაცემებს

სათითაოდ ახარისხებდა. ხელისა და ფეხის თითები ეწვოდა. ტკივილისგან

აკვნესდა.

– მშვიდად, მაიკ, მშვიდად, – გაიგონა ნაცნობი ხმა.

– რა? – იკითხა, თუ სცადა, რომ ეკითხა, – რა ხდება? – საკუთარი ხმა უცხოდ და დაძაბულად ჩაესმა ყურში.

აბაზანაში იწვა. წყალი ცხელი იყო. უფრო სწორად, შედოუს აზრით, წყალი ცხელი უნდა ყოფილიყო. ყელამდე სწვდებოდა.

– გათოშილი ადამიანის ცეცხლთან დასმა ყველაზე დიდი სისულელეა, თუ დამიჯერებ.

არანაკლები სისულელეა მისი საბანში გახვევა, მით უფრო, თუ ტანსაცმლიანად სველია. საბანი სიცივეს შიგნით აკავებს. განსაკუთრებით დიდი სისულელე კი, ჩემი პირადი შეხედულებით, სისხლის ამოსხმა, გათბობა და ისევ ჩასხმაა. დღევანდელი ექიმები ამას ანიჭებენ უპირატესობას. რთული, ძვირად ღირებული და სულელური პროცესია. ხმა შედოუს თავზემოდან და უკნიდან ისმოდა.

– ყველაზე ჭკვიანურია, გათოშილ ადამიანს იმით უშველო, რითაც მეზღვაურები შველოდნენ ასობით წლის განმავლობაში წყალში ჩავარდნილს. ასეთი ადამიანი ცხელ წყალში უნდა ჩასვა. მდუღარეში კი არა, მხოლოდ ცხელში. მოკლედ, რომ იცოდე, ფაქტობრივად მკვდარი იყავი, იქ, ყინულზე რომ გიპოვე. ახლა როგორ ხარ, ჰუდინი?

– მტკივა, – უპასუხა შედოუმ, – ყველაფერი მტკივა. სიკვდილს გადამარჩინე.

– მგონი, მართლაც გადაგარჩინე. შეგიძლია თავი თვითონ შეიმაგრო?

– ვცდი.

– ახლა ხელს გაგიშვებ და, თუ წყალში ჩაიძირები, ისევ ამოგიყვან.

თავზე შემოჭდობილი ხელები შემოეცალა.

შედოუ აბაზანაში ჩაცურდა, მაგრამ მოასწრო და ხელებით კიდეებზე დაეყრდნო, თავი გაჭირვებით ამოსწია და უკან გადახარა. სააბაზანო პატარა იყო, ლითონის აბაზანა – დალაქავებული და ემალგადაცლილი. წინ ბერიკაცი ჩამოუდგა შეწუხებული სახით.

– უკეთ ხარ? – ჰკითხა ჰინცელმანმა, – შენ მანდ იწექი და მოეშვი, მე მანამდე მისაღებ ოთახს გავათბობ. მითხარი, ამოსვლა რომ მოგინდება და ხალათს შემოგაცმევ, მაგ ჯინსის შარვალს კი დანარჩენ სამოსთან ერთად საშრობში შევაგდებ. კარგი, მაიკ?

– მე მაიკი არ მქვია.

– როგორც მეტყვი, – ბერიკაცს გობლინივით დაბრეცილ სახეზე უხერხულობა აღებეჭდა.

შედოუ დროის გასვლას ვერც კი გრძნობდა: წყალში იწვა, სანამ წვა არ დაუცხრა და ხელ-ფეხის თითები თავისუფლად არ აამოძრავა. მერე ჰინცელმანმა წამოაყენა და აბაზანა დაცალა. შედოუ აბაზანის კიდეზე ჩამოჯდა და ჰინცელმანის დახმარებით ჯინსის შარვალი გაიძრო.

იოლად გაეხვია ზომით მისთვის მეტისმეტად პატარა, ხაოიან ხალათში და ბერიკაცის მხარზე დაყრდნობილმა სააბაზანოდან მისაღებ ოთახში გადაინაცვლა. დასუსტებული და არაქათგამოცლილი კი იყო, მაგრამ ცოცხალი. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. კედლებიდან გაოცებული სახეებით იმზირებოდნენ ლაქწასმულ, დიდ თევზებთან ადგილისთვის მებრძოლი ირმის თავები.

ჰინცელმანმა შედოუს ჯინსის შარვალი წაიღო. გვერდითა ოთახში მორახრახე საშრობი დროებით გაჩუმდა და მერე ისევ არახრახდა. ბერიკაცი ორთქლადენილი ჭიქით დაბრუნდა.

– ეს ყავაა, – თქვა მან, – რაც თავისთავად სტიმულატორია, მაგრამ მე ცოტა შნაპსიც ჩავამატე. ძველად ყოველთვის ასე ვიქცეოდით. ექიმი ამას არ გირჩევდა.

შედოუმ ჭიქა ორივე ხელით გამოართვა. ჭიქას გარედან კოღო ეხატა და ქვეშ მოწოდება ეწერა: გაიღე სისხლი – ესტუმრე ვისკონსინს!

– გმადლობ.

– აბა, მეგობრები რისთვისაა საჭირო, – თქვა ჰინცელმანმა, – ერთ დღესაც შენ მიხსნი სიკვდილისგან. ჯერჯერობით კი, არაფრის. შედოუმ ყავა მოსვა.

– მეგონა, მოვკვდი.

– ბედმა გაგიღიმა. ხიდზე ვიდექი. გულმა მიგრძნო, რომ დღეს იქნებოდა ის დიდი დღე – სიბერეში ასეთ რამეებს ალღოთი ხვდება ხოლმე ადამიანი – ჰოდა, ჯიბის საათით ხელში ზემოდან დავყურებდი ტბას, როცა შენ დაგინახე. დაგიძახე, დარწმუნებული ვარ, ვერ გაგაგონე. დავინახე, მანქანა რომ ჩაიძირა და შენც ჩაგიყოლა. ვაითუ, ცოცხალს ვეღარ მივუსწრო-მეთქი და მაშინვე გამოვიქეცი. კაი შიში კი ვჭამე.

წყალქვეშ სულ ორი-სამი წუთი თუ იქნებოდი. მერე იმ ადგილას, სადაც მანქანა ჩავარდა, წყლიდან შენი ხელი ამოვიდა – ასე მეგონა, მოჩვენება დავინახე... – ჰინცელმანი წამით გაჩუმდა, – ორივეს მაგრად გაგვიღიმა ბედმა, რომ ყინულმა ჩვენს სიმძიმეს გაუძლო, როცა ნაპირისკენ მიგათრევდი. შედოუმ თავი დააქნია.

– კარგად მოიქეცი, – უთხრა ჰინცელმანს და ბერიკაცს გობლინივით დაბრეცილი სახე გაუცისკროვნდა.

შედოუს სადღაც, სახლში, კარის დახურვის ხმა მოესმა. ყავა მოსვა.

ახლა, წესიერად აზროვნების უნარი რომ დაუბრუნდა, საკუთარ თავს კითხვების დასმა დაუწყო.

გაუკვირდა, სიმაღლით მასზე, სულ ცოტა, ორჯერ დაბალმა და წონით სამჯერ მსუბუქმა ბერიკაცმა როგორ მოახერხა და უგონოდ მყოფი ჯერ ყინულზე ათრია, მერე – დამრეც ნაპირზე და მანქანაშიც შესვა. ან სახლში როგორ შეიყვანა და აბაზანაში როგორ ჩააწვინა?

ჰინცელმანი ბუხართან მივიდა, მაშით შეშის წვრილი ღერი ფრთხილად აიღო და ცეცხლს შეუკეთა.

– არ გაინტერესებს, ყინულზე რას ვაკეთებდი? ჰინცელმანმა მხრები აიჩეჩა.

– ჩემი საქმე არ არის.

– ერთ რამეს ვერ ვხვდები... – შედოუ შეყოვნდა, ჯერ აზრი დააწყო და მერე დაასრულა სათქმელი, – ვერ ვხვდები, სიკვდილს რატომ გადამარჩინე.

– რა გითხრა, – უთხრა ჰინცელმანმა, – მე ასე აღმზარდეს, რომთუ გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანს დაინახავ...

– არა, – შეაწყვეტინა შედოუმ, – მაგას არ ვგულისხმობ. შენ ის ბავშვები დახოცე. ყოველ ზამთარს კლავდი. მე ეს შევიტყვე. აშკარად დაინახავდი, მანქანის საბარგული რომ გავაღე. ტბიდან რატომ ამომათრიე?

ჰინცელმანმა თავი გვერდზე გადახარა, ცხვირი ფიქრიანად მოიფხანა და მთელი ტანით გადაქან-გადმოქანდა.

– კარგი შეკითხვაა, – თქვა ბოლოს, – ალბათ იმიტომ, რომ ვიღაცის მოვალე ვარ, მე კი ვალის გადახდა მჩვევია.

– უენზდეისგან ხარ დავალებული?

– დიახ, სწორედ მაგ ბატონისგან.

– ლეიკსაიდში განგებ დამმალა, ხომ ასეა? იცოდა, აქ ვერავინ მომაგნებდა.

ჰინცელმანმა არ უპასუხა. კედლიდან მძიმე, შავი გელა ჩამოხსნა და ცეცხლი მოჩხრიკა. ბუხარში ნაპერწკლები აცვივდა და ცეცხლს სქელი კვამლი აუვიდა.

– აქ ჩემი სახლია, – თქვა უკმეხად, – ეს კარგი ქალაქია.

შედოუ ყავის სმას მორჩა და ჭიქა იატაკზე დადგა. ამ მსუბუქმა მოძრაობამაც კი ძლიერ დაღალა.

– რამდენი ხანია, აქ ცხოვრობ?

– კარგა ხანია.

– ეს ტბა შენ დააგუბე? ჰინცელმანი შეკითხვამ გააოცა, თითქოს არ ელოდა.

– დიახ, – დაუდასტურა შედოუს, – მე დავაგუბე. ლეიკსაიდში რომ მოვედი, აქაურები უკვე ტბას უწოდებდნენ, მაგრამ ერთი პატარა ღელე და წისქვილის საგუბარი იყო, – ჰინცელმანი შეყოვნდა, – მივხვდი, რომ ეს ქვეყანა ჩემნაირებისთვის ნამდვილი ჯოჯოხეთია. ყველას სათითაოდ გვყლაპავს. არ მინდოდა, მეც ჩავეყლაპე. ამიტომაც აქაურ მცხოვრებლებს შევუთანხმდი. მე მათ ტბა მივეცი, ქალაქი ავუყვავე...

– სანაცვლოდ კი ყოველ ზამთარს თითო ბავშვი უნდა მოეცათ შენთვის.

– კარგი ბავშვები იყვნენ, – ჰინცელმანმა ნელა, დანანებით გააქნია თავი, – ყველა კარგი ბავშვი იყო. იმათ ვარჩევდი, ვინც მე მომწონდა. თუ ჩარლი ნელიგანს არ ჩავთვლით. აი, ეგ კი ავი მოდგმისა იყო. მგონი, 1924 წელი იყო თუ 1925. ჰო. მოკლედ, აი, ამაზე შევთანხმდით.

– ქალაქის მცხოვრებლებმა – ჩედ მალიგანმა, მეიბლმა, მარგარიტმა – იციან? ჰინცელმანმა არ უპასუხა. გელა ცეცხლიდან გამოსწია. რკინისკეტის წვერი წითლად ელვარებდა. წესით, გელა მთლიანად გახურებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჰინცელმანს აუღელვებლად ეჭირა ხელში. ხელახლა მოჩხრიკა ცეცხლი და გელას წვერი ისევ შიგ ჩატოვა.

– მათ იციან, რომ კარგ ადგილას ცხოვრობენ, – თქვა შემდეგ, – მაშინ, როცა ამ ოლქში...

ჯანდაბა, ამ ოლქში კი არა, მთელ ამ შტატში ყოველი სოფელი და ქალაქი სულს ღაფავს. მათ ეს იციან.

– ლეიკსაიდის სიკარგე შენი დამსახურებაა?

– მე ამ ქალაქზე ვზრუნავ, – თქვა ჰინცელმანმა, – აქ ისეთი არაფერი ხდება, რაც მე არ მინდა, რომ მოხდეს. ხვდები? აქ ისეთი ვერავინ მოვა, ვინც მე არ მომწონს. ამიტომაც გამოგგზავნა მამაშენმა ლეიკსაიდში. იქ, გარე სამყაროში, ბევრის ყურადღებას იქცევდი, რაც მას აწუხებდა. სულ ეს არის.

– შენ კი უღალატე.

– მსგავსი არაფერი ჩამიდენია. უენზდეი თაღლითი იყო, მაგრამ მე ვალს ყოველთვის ვიხდი.

– შენი არ მჯერა, – უთხრა შედოუმ. ჰინცელმანს ეწყინა.

– მე მიცემულ სიტყვას ყოველთვის ვასრულებ.

– არა, არ ასრულებ. აქ ლორა მოვიდა. მითხრა, რაღაც მიხმობდაო. ან სემ ბლექ ქროუ და ოდრი ბერტონი რომ ერთსა და იმავე ღამეს ჩამოვიდნენ ლეიკსაიდში, მხოლოდ დამთხვევაა? დამთხვევების აღარ მჯერა.

სემ ბლექ ქროუმაც და ოდრი ბერტონმაც იცოდნენ, სინამდვილეში სხვა ვინმე რომ ვიყავი და ხალხი დამეძებდა. ვაითუ, ერთს ხელი მოეცაროსო და ალბათ მეორე ამისთვის დაგჭირდა. და თუ ორივეს მოეცარებოდა ხელი, მაშინ ვიღას იხმობდი ლეიკსაიდში, ჰინცელმან? ჩემი ციხის უფროსს ყინულჭრილში სათევზაოდ? ლორას დედას?

ჩემი ქალაქიდან გაგდება გინდოდა, ოღონდ უენზდეი ვერ უნდა მიმხვდარიყო, რომ ამ საქმეში შენი ხელი ერია. ცეცხლის შუქზე ჰინცელმანი გარგოლიას უფრო ჰგავდა, ვიდრე ჭინკას.

– ეს კარგი ქალაქია, – თქვა მან. ეშმაკური ღიმილის გარეშე გვამივით გაფითრებული და სახეჩამომხმარი ჩანდა, – შენ ყურადღებას მიიპყრობდი, რაც ქალაქისთვის ცუდი იქნებოდა.

– ყინულზე უნდა დაგეტოვებინე, – უთხრა შედოუმ, – ტბიდან არ უნდა ამოგეყვანე. მე ჯაბახანის საბარგული გავაღე. ჯერჯერობით ელისონი ისევ საბარგულშია ჩაყინული, მაგრამ ყინული გადნება და მისი გვამი ამოტივტივდება. აი, მაშინ კი ტბის ფსკერს გამოიკვლევენ და იქ შენს ბავშვების მარაგს იპოვიან. მგონი, ზოგიერთი ცხედარი საკმაოდ კარგად არის შემონახული.

ჰინცელმანი დაიხარა და გელა აიღო. ცეცხლის მოჩხრეკა აღარმოუმიზეზებია, ხმალივით თუ კეტივით მოიღერა და მისი გავარვარებული წვეტი გააქნია. გელას ბოლი ასდიოდა. შედოუს გაახსენდა, რომ ნახევრად შიშველი, დაღლილი და კიდურებგაშეშებული იყო და თავის დაცვა გაუჭირდებოდა.

– ჩემი მოკვლა გინდა? – ჰკითხა შედოუმ, – მიდი, მომკალი, ვიცი, განწირული ვარ. ვიცი, რომ ეს ქალაქი შენ გეკუთვნის, შენი პატარა სამყაროა, მაგრამ ტყუილად ნუ დაიიმედებ თავს, რომ ჩემ მოსაძებნად არავინ მოვა. მორჩა, ჰინცელმან, ასე თუ ისე, ყველაფერი დამთავრდება.

ჰინცელმანი წამოიჭრა და გელას ხელჯოხივით დაეყრდნო. გელას გახურებულმა წვეტმა, სადაც შეეხო, ხალიჩა ამოწვა და აახრჩოლა. ჰინცელმანმა შედოუს შეხედა და ცისფერ თვალებში ცრემლები აუკიაფდა.

– მე ეს ქალაქი მიყვარს, – თქვა მან, – მიყვარს ახირებულ ბერიკაცად ყოფნა, ჩემი ამბების მოყოლა, „ტესით“ სიარული და ყინულში თევზაობა. ხომ გახსოვს, ერთხელ გითხარი, მთავარი თევზის ჭერა კი არა, დამშვიდებული გონებაა, რომლითაც შინ დაბრუნდები-მეთქი.

გელას წვერი შედოუსკენ გაიშვირა. შედოუმ მისი სიმხურვალე ნახევარი მეტრის სიშორიდანაც იგრძნო.

– შემიძლია მოგკლა, – თქვა მან, – მომხდარი გამოვასწორო. ეს ადრეც გამიკეთებია. პირველი არ ხარ, ვინც ყველაფერი გაარკვია. ჩედ მალიგანის მამაც მიხვდა, მაგრამ თავიდან მოვიშორე. შენც მოგიშორებ.

– შეიძლება მე მომიშორო, მაგრამ რამდენ ხანს შეინახავ საიდუმლოს, ჰინცელმან? – ჰკითხა შედოუმ, – კიდევ ერთ წელს? ათ წელს? უკვე კომპიუტერები არსებობს, სულელები კი აღარ არიან. ფაქტებს ერთმანეთთან დააკავშირებენ. ყოველ წელს რომ ბავშვი დაიკარგება, ეჭვს აიღებენ და აქამდე მოვლენ. ჩემ მოსაძებნად მოვლენ. ერთი ეს მითხარი, რამდენი წლის ხარ?

შედოუმ თითები დივნის ბალიშს ჩაავლო და მის თავზე გადასაფარებლად მოემზადა: პირველ დარტყმას ბალიშით მოიგერიებდა. ჰინცელმანს არაფრის მთქმელი გამომეტყველება ჰქონდა.

– ჯერ კიდევ შვარცვალდში[287] რომაელების მოსვლამდე მწირავდნენ ბავშვებს, – თქვა მან, – ღმერთად უფრო ადრე ვიქეცი, ვიდრე კობოლდი[288] გავხდებოდი.

– იქნებ უკვე სხვაგან წასვლის დრო მოვიდა, – უთხრა შედოუმ, რომელიც იმას ფიქრობდა, ნეტავ კობოლდი რა არისო.

ჰინცელმანმა დაჟინებით შეხედა. შემდეგ გელას წვერი ისევ ღადარში შეყო.

– შეიძლება მოვიდა კიდეც, – თქვა მან, – მაგრამ წასვლა ეგრე იოლი არ არის. საიდან დაასკვენი, რომ გინდაც მინდოდეს, ამ ქალაქიდან წასვლას შევძლებ? მე ამ ქალაქის ნაწილი ვარ. აქედან წასვლას მაიძულებ? მზად ხარ, მომკლა და აქედან წავიდე?

შედოუმ თავი ჩახარა. გელას წვეტით ამომწვარ ხალიჩაზე ჯერაც ბრწყინავდა ნაპერწკლები. ჰინცელმანმა მის მზერას გააყოლა თვალი, ნაპერწკლები შეამჩნია და ზედ ფეხი დაადგა ჩასაქრობად. შედოუს ასობით ბავშვის სახედაუდგა თვალწინ, სახეების გარშემო მათი თმა ნელა, წყალმცენარეებივით ირხეოდა, ისინი უსიცოცხლო,

დანისლული თვალებით გამკიცხავად მოსჩერებოდნენ. ხვდებოდა, მათ იმედს უცრუებდა, მაგრამ არ იცოდა, სხვა რა ექნა. – ვერ მოგკლავ, – უთხრა ჰინცელმანს, – შენ სიკვდილისგან მიხსენი.

თავი სრულ ნაგვად იგრძნო; დიახ, სულაც აღარ ეჩვენებოდა გმირად ან დეტექტივად – მორიგი გამყიდველი ნაბიჭვარი იყო, რომელიც სიბნელეს თითს მკაცრად დაუქნევს, მერე კი, ვითომ არაფერი, მიტრიალდება და წავა.

– გინდა, საიდუმლო გაგიმხილო? – ჰკითხა ჰინცელმანმა.

– კი, – უპასუხა გულდამძიმებულმა შედოუმ. მთელი ეს საიდუმლოებები უკვე ყელში ჰქონდა ამოსული.

– მიყურე.

ჰინცელმანის ადგილას ახლა ბიჭი იდგა, ხუთ წელზე მეტის არ იქნებოდა. გრძელი, მუქი ყავისფერი თმა ჰქონდა. სრულიად შიშველი იყო, კისერზე შებმული გაცვეთილი ღვედის ამარა. მისთვის მკერდსა და მხარში ორი ხმალი გაეყარათ. მხარში ჩაცემული მახვილის წვერი გულმკერდიდან გამოჩრილიყო. ჭრილობებიდან სისხლი მოთქრიალებდა და იატაკზე გუბდებოდა. ხმლები წარმოუდგენლად ძველი ჩანდა. პატარა ბიჭმა ტკივილით სავსე თვალები მიაპყრო შედოუს.

„რასაკვირველია“, – გაიფიქრა შედოუმ. არაფრის დამატება საჭირო აღარ იყო, ისედაც ყველაფერს მიხვდა. მორიგი, სხვებზე არაფრით ნაკლები მეთოდი ტომის ღმერთის შესაქმნელად!

რომელიმე ახალშობილს წყვდიადში გამოკეტავ და გაზრდი ისე, რომ არავის ნახვის ან შეხების უფლებას არ მისცემ; სამაგიეროდ, კარგად აჭმევ და ასმევ, სოფლის სხვა ბავშვებზე უკეთ გამოკვებავ და ხუთი ზამთრის შემდეგ, როცა ყველაზე გრძელი ღამე დადგება, შეშინებულ ბავშვს ქოხიდან გამოიყვან, კოცონების წრეში შეაგდებ და რკინისა და ბრინჯაოს ხმლებით განგმირავ. მერე პატარა ცხედარს ნახშირის ალზე შებოლავ და როცა კარგად გააშრობ, ქურქში გაახვევ და უღრან შვარცვალდში ბანაკიდან ბანაკში ატარებ, მას ცხოველებსა და ბავშვებს შესწირავ, ტომისთვის იღბლის მომტან კერპად გარდაქმნი. ხოლო, როცა დროთა განმავლობაში, კერპი გაიხრწნება და დაიშლება, მის მყიფე ძვლებს კიდობანში ჩაყრი და ახლა კიდობნის თაყვანისცემას დაიწყებ; ერთხელაც ძვლები დაიფანტება და იგი ყველას დაავიწყდება; ტომები, რომლებიც ბავშვი-ღმერთის ძვლების კიდობანს ეთაყვანებოდნენ, გადაშენდებიან; სოფლის მწყალობელ ბავშვ-ღმერთს კი შემდგომი თაობები ძლივსღა გაიხსენებენ, მათთვის მოჩვენებად თუ ფუძის მფარველად გადაიქცევა და კობოლდს შეარქმევენ.

ნეტავ ჩრდილოეთ ვისკონსინის რომელმა ახალმოშენემ (ალბათ ტყისმჭრელმა ან კარტოგრაფმა) ჩამოიყოლა გონებით ჰინცელმანი ას ორმოცდაათი წლის წინ ატლანტის ოკეანის გადაღმიდან?

შემდეგ გასისხლიანებული ბავშვი და სისხლის გუბე გაქრა და მის ადგილას ისევ გობლინივით ცბიერად მოღიმარი, თმაგათეთრებული ბერიკაცი გაჩნდა. ჰინცელმანს გათოშილი შედოუს

თბილი წყლით სავსე აბაზანაში ჩაწვენისას დასველებული სვიტერის სახელოები ჯერაც არ გაშრობოდა.

– ჰინცელმან! – დაიძახა ვიღაცამ დერეფნიდან. ჰინცელმანი მიტრიალდა. შედოუც

  მიტრიალდა.

– იმის სათქმელად მოვედი, – გაისმა ჩედ მალიგანის დაძაბული ხმა, – რომ ჯაბახანა ტბაში ჩაიძირა. ტბასთან რომ ჩავიარე, ყინულზე აღარ იდგა და შემოგიარე, იქნებ ჯერ არ იცოდეს-მეთქი. ხელში პისტოლეტი ეჭირა, ოღონდ ლულა იატაკისკენ იყო დაშვერილი.

– გამარჯობა, ჩედ, – მიესალმა შედოუ.

– გაუმარჯოს, მეგობარო, – მიესალმა ჩედ მალიგანი, – შენზე მომწერეს, პატიმრობაში გულის შეტევით გარდაიცვალაო.

– რა საინტერესოა! – ჩაილაპარაკა შედოუმ, – თურმე სად აღარ ვკვდები.

– ლეიკსაიდში დაბრუნდა, ჩედ, – უთხრა პოლიციის უფროსს ჰინცელმანმა, – დამემუქრა.

– არა, – არ დაეთანხმა მალიგანი, – არ დაგმუქრებია. ათი წუთია აქ ვარ, ჰინცელმან. ყველაფერი გავიგონე, რაც თქვი: მამაჩემზე, ტბაზე... – მალიგანი ოთახში შემოვიდა, მაგრამ პისტოლეტი არ აუწევია, – ღმერთო, ჰინცელმან, ამ ქალაქში ისე ვერ გაივლი, ეგ ტბა რომ არ შეგეჩხიროს თვალში. ეგ ტბა ყველაფრის შუაგულია. ჯანდაბა, როგორ მოვიქცე?

– ეს უნდა داااპატიმრო, მოკვლით დამემუქრა, – უპასუხა ჰინცელმანმა დამფრთხალი ბერიკაცივით, – ჩედ, მიხარია, რომ გამოჩნდი.

– არა, არ გიხარია, – მოუჭრა ჩედ მალიგანმა.

ჰინცელმანმა ამოიოხრა, ბედს შეგუებულივით დაიხარა და ბუხრიდან ისევ წვერგავარვარებული გელა გამოიღო.

– ახლავე დადე ეგ, ჰინცელმან. ნელა დადე, ხელები ასწიე და კედლისკენ მიტრიალდი.

მოხუცს სახეზე ისეთი წრფელი შიში აღებეჭდა, შედოუს შეეცოდებოდა კიდეც, იმავე წამს

ელისონ მაკგავერნის ლოყებზე შეყინული ცრემლები რომ არ გახსენებოდა. ჰინცელმანმა არც ფეხი მოიცვალა, არც გელა დადო და არც კედლისკენ მიტრიალდა. შედოუმ გადაწყვიტა, ბერიკაცს სწვდომოდა და გელა ხელიდან გამოეგლიჯა, მაგრამ უცებ ჰინცელმანმა გავარვარებული გელა ჩედ მალიგანს ესროლა.

ჰინცელმანმა გელა მოუქნელად, თითქოს მხოლოდ ფორმალურად ისროლა და მაშინვე კარისკენ გაიქცა.

გელა ჩედის მარცხენა მკლავზე ასხლტა.

დახშულ სივრცეში, ბერიკაცის მისაღებ ოთახში, პისტოლეტის

გასროლა დამაყრუებლად გაისმა. ერთი გასროლით ყველაფერი

დასრულდა.

– აჯობებს, ჩაიცვა, – ყრუდ, ცივად უთხრა მალიგანმა შედოუს.

შედოუმ თავი დაუქნია. გვერდითა ოთახში შევიდა, საშრობი გამოაღო და თავისი ტანსაცმელი

გამოიღო. ჯინსის შარვალი ჯერ კიდევ სველი იყო, მაგრამ მაინც ჩაიცვა. მისაღებ ოთახში ჩაცმული დაბრუნდა, მხოლოდ ბათინკები ვერ იპოვა ვერსად, მისი ქურთუკი კი, სადღაც ტბის ფსკერზე, ლამში ჩაფლული იყინებოდა. მალიგანს ბუხრიდან მუგუზლები გამოეთრია.

– ვაი იმ პოლიციელს, ადამიანს რომ მოკლავს და კვალის დასაფარად, სახლს ცეცხლს წაუკიდებს, – თქვა მან და შედოუ შეათვალიერა, – ფეხსაცმელი დაგჭირდება.

– არ ვიცი, სად დააწყო, – თქვა შედოუმ.

– ჯანდაბა, – წამოიძახა მალიგანმა. შემდეგ დაამატა: – მაპატიე, ჰინცელმან, – ბერიკაცს საყელოსა და ქამრის ბალთაში ჩაავლო ხელები, ასწია და თავით შეაგდო ბუხარში. თეთრ თმას მაშინვე ცეცხლი მოეკიდა და ატკიცინდა. ოთახში დანახშირებული ხორცის სუნი დატრიალდა.

– ეს მკვლელობა კი არა, თავდაცვა იყო, – დააზუსტა შედოუმ.

– ვიცი, რაც იყო, – მოკლედ უპასუხა მალიგანმა და თან მუგუზლებს ყრიდა ოთახში. ერთი მუგუზალი დივანთან დააგდო, მერე „ლეიკსაიდ ნიუსის“ ძველი ნომერი აიღო, ფურცლები ამოხია, დაჭმუჭნა და ზედ დააყარა. გაზეთის ფურცლები გაყავისფრდა და წამში აალდა.

– გარეთ! – უთხრა ჩედ მალიგანმა შედოუს.

გზადაგზა მალიგანი ფანჯრებს აღებდა და სახლიდან გასვლისას კარის საკეტი გამოსწია, რომ მიხურვისას კარი ჩაკეტილიყო.

შედოუ ფეხშიშველა მიჰყვა პოლიციის მანქანამდე. მალიგანმა წინა კარი გაუღო, შედოუ მგზავრის სავარძელში ჩაჯდა და ფეხები ნოხზე გაიწმინდა. შემდეგ თითქმის გამშრალი წინდები ჩაიცვა.

– „ჰენინგის სამეურნეო და საშინაო საქონელში“ შევიაროთ და შენთვის ფეხსაცმელი ვიყიდოთ, – უთხრა ჩედ მალიგანმა.

– იქ ბევრი რამ მოისმინე? – ჰკითხა შედოუმ.

– საკმაოდ, – უპასუხა მალიგანმა, – მეტისმეტად ბევრი რამ.

„ჰენინგის სამეურნეო და საშინაო საქონლამდე“ ხმის ამოუღებლად მივიდნენ. მანქანიდან გადასვლამდე პოლიციის უფროსმა ჰკითხა: – რა ზომის ფეხი გაქვს? შედოუმ უთხრა.

მალიგანი მაღაზიაში შევიდა. იქიდან სქელი შალის წინდებითა და ფერმერის ტყავის ჩექმებით დაბრუნდა.

– შენი ზომის სხვა არაფერი ჰქონდათ, – უთხრა შედოუს, – რეზინის ჩექმები არ წამოგიღე, ვიფიქრე, არ გენდომებოდა.

შედოუმ წინდები და ჩექმები ჩაიცვა. კარგად მოერგო. მალიგანს მადლობა გადაუხადა.

– მანქანა გყავს? – ჰკითხა მან. – ხიდთან, გზის პირას გავაჩერე.

მალიგანმა მანქანა დაძრა და „ჰენინგის სამეურნეო და საშინაო საქონლის“ ავტოსადგომიდან გავიდა.

– ოდრისთან როგორ მიგდის საქმეები? – დაინტერესდა შედოუ.

– შენი წაყვანიდან მეორე დღესვე წავიდა, მითხრა, მეგობრულად მიყვარხარ, არაფერი გამოგვივაო და იგლ-პოინტში დაბრუნდა. გული გამიტეხა.

– გასაგებია, – თქვა შედოუმ, – მოსალოდნელი იყო. ჰინცელმანს ის ქალაქში აღარ სჭირდებოდა.

ჰინცელმანის სახლს ჩაუარეს. საკვამურიდან კვამლის სქელი, თეთრი სვეტი ამოდიოდა.

– ოდრი ქალაქში იმიტომ ჩამოვიდა, რომ ჰინცელმანს ასე სურდა. ოდრი ქალაქიდან ჩემ გასაძევებლად სჭირდებოდა. მე ყურადღებას ვიქცევდი, რაც ჰინცელმანს აწუხებდა.

– მეგონა, ოდრის მოვწონდი. შედოუს ნაქირავები მანქანის გვერდით გაჩერდნენ.

– ახლა რაღას იზამ? – ჰკითხა ჩედ მალიგანს შედოუმ.

– არ ვიცი, – უპასუხა მან. მალიგანს ჰინცელმანის სახლიდან წამოსვლის შემდეგ პირველად დაეტყო გამოცოცხლება, მაგრამ თითქოს უფრო აღელდა კიდეც, – მგონი, დიდი არჩევანი არ მაქვს. ან... – ორი თითი პისტოლეტის ლულასავით შეიყო პირში და ისევ გამოიღო, – ტყვიას

დავიხლი თავში, ან კიდევ რამდენიმე დღეს მოვიცდი, რომ ყინული უფრო მეტად გალღვეს, მერე ფეხებზე ბეტონის ბლოკს გამოვიბამ და ხიდიდან გადავხტები. ანდა აბებს გადავყლაპავ. ღმერთო. აჯობებს, სადმე ტყეში წავიდე და აბები იქ გადავყლაპო. ჩემს ბიჭებს არ გავრევ ამ შარში, გამოძიებას ოლქი მიხედავს. ჰო, ეგრე აჯობებს, – ამოიხვნეშა მალიგანმა და თავი გააქნია.

– ჰინცელმანი შენ არ მოგიკლავს, ჩედ. ის აქედან ძალიან შორს, დიდი ხნის წინ მოკვდა.

გმადლობ, მაგას რომ მეუბნები, მაიკ, მაგრამ ჰინცელმანი მე მოვკალი. ხელის აუკანკალებლად ვესროლე ადამიანს და კვალი დავფარე. ყველაზე ცუდი ისაა, ვინმემ რომ მკითხოს, რატომ მოკალიო, ძაღლიშვილი ვიყო, წესიერად თუ ავუხსნა. შედოუ მალიგანს მკლავზე შეეხო.

– ეს ქალაქი ჰინცელმანს ეკუთვნოდა, – უთხრა მას, – მგონი, შენ არჩევანი არც გქონია. ჩემი აზრით, მან თვითონ მოგიყვანა იმ სახლში. უნდოდა მოგესმინა, რაც მოისმინე. მახე დაგიგო. მგონი, სხვანაირად ამ ქალაქიდან ვერ წავიდოდა.

მალიგანს შესაბრალისი გამომეტყველება არ შესცვლია. პოლიციის უფროსს შედოუს ნათქვამი

წესიერად არც გაუგია. მან ჰინცელმანი მოკლა და საკრემაციო კოცონიც დაუნთო, ახლა კი ჰინცელმანის უკანასკნელ სურვილს მორჩილად ასრულებდა თუ დანაშაულის გრძნობა სხვანაირად მოქცევის საშუალებას არ აძლევდა, თავის მოკვლას აპირებდა.

შედოუმ თვალები დახუჭა. გაახსენდა, ერთხელ უენზდეიმ რომ უთხრა, იფიქრე და მოთოვსო და ახლაც მაშინდელივით, გონების იმავე სიღრმეებში ჩაეშვა, საიდანაც ერთის ფიქრები მეორისას უკავშირდებოდა. უხალისოდ გაიღიმა.

– ჩედ, დაივიწყე, რაც მოხდა.

პოლიციის უფროსის გონება ღრუბელს დაებურა, შედოუმ ლამის ცხადად დაინახა შავი, დამთრგუნველი ღრუბელი. ყურადღება მოიკრიბა და წარმოიდგინა, როგორ იფანტება ღრუბელი ნისლივით დილის მზის შუქზე.

– ჩედ, – ღრუბელში შეღწევას შეეცადა, – მალე ეს ქალაქი შეიცვლება. ლეიკსაიდი აღარ იქნება ერთადერთი კარგი ქალაქი ღარიბ მხარეში. მალე ლეიკსაიდიც ქვეყნის ამ ნაწილის სხვა ქალაქებს დაემსგავსება. უამრავი პრობლემა გაჩნდება. ხალხი უსამსახუროდ დარჩება. ხალხი თავს დაკარგავს. უამრავი მათგანი იზარალებს. უამრავი ცუდი რამ მოხდება. ხალხს

გამოცდილი პოლიციის უფროსი დასჭირდება. ქალაქს სჭირდები, – და ბოლოს დაამატა, – მარგარიტს სჭირდები.

ჩედ მალიგანის გონებაში ჩამოწოლილი საავდრო ღრუბელი შეირხა. შედოუმ ცვლილება იგრძნო. უფრო მეტად მიაწვა. წარმოისახა მარგარიტ ოლსენის ყავისფერი, მარჯვე ხელები, მისი მუქი თვალები და ძალიან, ძალიან გრძელი, შავი თმა. წარმოიდგინა, როგორ გადახრიდა ქალი თავს გვერდზე და მოკრძალებულად ჩაიღიმებდა, როცა რაიმე მხიარულს მოისმენდა.

– მარგარიტი გელოდება, – თქვა შედოუმ და ეს თავადაც დაიჯერა.

– მარჯი მელოდება?

ამ დროს, ისე რომ თვითონაც არ იცოდა, ეს როგორ მოახერხა ან ოდესმე ისევ მოახერხებდა თუ არა, შედოუმ ჩედ მალიგანის გონებაში შეაღწია და იმ ნაშუადღევის

–
მოვლენების მოგონებები ისევე იოლად და გულგრილად ამოგლიჯა მეხსიერებიდან, როგორც ყორანი ამოჰკორტნის ხოლმე გზაზე მანქანის მიერ გასრესილ ლეშს თვალს. ჩედ მალიგანმა შუბლი გახსნა და ნამძინარევივით დაახამხამა თვალები.

– მარჯისთან წადი, – უთხრა შედოუმ, – გამიხარდა, რომ გნახე, ჩედ. თავს გაუფრთხილდი.

– კარგი, – დაამთქნარა ჩედ მალიგანმა.

რადიოშეტყობინება გადმოსცეს და ჩედი რაციას დასწვდა. შედოუ მანქანიდან გადავიდა. ნაქირავებ მანქანასთან მივიდა. ქალაქის შუაგულში ჩაღრმავებულ ნაცრისფერ ტბას გადახედა. დაფიქრდა მკვდარ ბავშვებზე, რომლებიც ტბის ფსკერზე იცდიდნენ. მალე ელისონის ცხედარი ამოტივტივდებოდა...

როცა ჰინცელმანის სახლთან ჩაიარა, კვამლის სვეტი ხანძრად გადაქცეულიყო. სირენა გაჰკიოდა.

სამხრეთით, 51-ე ავტომაგისტრალისკენ აიღო გეზი. ბოლო შეხვედრაზე უნდა მისულიყო. მაგრამ მანამდე მედისონში შევლა გადაწყვიტა, ერთ ვინმესთან გამოსამშვიდობებლად.

სამანთა ბლექ ქროუს ყველაზე მეტად ღამღამობით „კოფი ჰაუსის“ დახურვა უყვარდა. ამ დროს მშვიდდებოდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სამყაროში წესრიგს აღადგენდა. „ინდიგო

გერლსის“ კომპაქტ-დისკს ჩართავდა და ნელა, თავის გემოზე იწყებდა იქაურობის დალაგებას. ჯერ ესპრესოს აპარატს წმენდდა, მერე ბოლოჯერ შემოივლიდა კაფეს და ამოწმებდა, რომელიმე მაგიდაზე ფინჯანი ან თეფში ხომ არ იყო დარჩენილი; ბოლოს უწესრიგოდ მიმოფანტულ გაზეთებს შეაგროვებდა და შესასვლელთან დასტად დააწყობდა, რომ დილით გადასამუშავებლად წაეღოთ.

სამანთას უყვარდა „კოფი ჰაუსი“. ექვსი თვის განმავლობაში ყოველდღე დადიოდა იქ, როგორც კლიენტი, სანამ კაფეს მენეჯერს დაითანხმებდა და სამსახურში აიყვანდნენ. ძველი წიგნებით მოვაჭრე მაღაზიების ქუჩაზე მდებარე კაფე სავარძლებით, დივნებითა და დაბალი მაგიდებით სავსე ოთახების გრძელი, მიხვეულ-მოხვეული წყებისგან შედგებოდა.

ჩიზქეიქის ნარჩენებს თავზე დააფარა და სამერმისოდ დიდ მაცივარში შეინახა. შემდეგ ტილოთი ნამცეცები გადაწმინდა. მარტო ყოფნა სიამოვნებდა.

მუშაობისას „ინდიგო გერლსის“ სიმღერებს თვითონაც აჰყვებოდა ხოლმე. ხანდახან წაუცეკვებდა კიდეც, ერთ-ორ ნაბიჯს გადადგამდა, მერე ირონიულად ჩაიცინებდა და ჩერდებოდა.

ფანჯარაზე კაკუნმა საქმეს მოსწყვიტა და რეალობაში დააბრუნა. კართან მივიდა, გამოაღო და შემოუშვა დაახლოებით თავისი ასაკის ქალი, რომელსაც მოიისფროვარდისფრად შეღებილი თმა ცხენის კუდივით შეეკრა. მას ნატალი ერქვა.

– გამარჯობა, – მიესალმა ნატალი, ფეხისწვერებზე შედგა და სემს ლოყასა და ტუჩის კუთხეს შორის მოხერხებულად აკოცა. ასეთი კოცნა ბევრ რამეზე მეტყველებს, – მორჩი?

თითქმის.

– კინოში წავიდეთ?

– წავიდეთ. სიამოვნებით. ხუთი წუთის საქმე კიდევ დამრჩა, შენ მანამდე რამე წაიკითხე.

ნატალი კართან ახლოს ჩამოჯდა, წასაღებად გამზადებული ჟურნალ-გაზეთების დასტიდან თავისთვის საინტერესო გამოარჩია და სანამ სემი სალაროდან ფულს ამოიღებდა და სეიფში შეინახავდა, კითხვით ირთობდა თავს.

უკვე ერთი კვირა იყო, ერთად იწვნენ. ნეტავ ეს ხომ არ არის სიყვარული, რომელსაც მთელი

ცხოვრება ველოდიო, ფიქრობდა სემი. თავის თავს უმეორებდა, ნატალის დანახვისას გამოწვეული სიხარული მხოლოდ ტვინში მიმდინარე ქიმიური რეაქციებისა და ფერომონების დამსახურებაა და შეიძლება მართლაც ასე იყო; მაგრამ მაინც, ერთი რამ ზუსტად იცოდა, ნატალის დანახვაზე ყოველთვის იღიმოდა და მასთან თავს მშვიდად და მყუდროდ გრძნობდა.

– ამ გაზეთშიც შევხვდი „იცვლება თუ არა ამერიკა?“ ტიპის სტატიას, – უთხრა მას ნატალიმ.

– მერედა, რაო, იცვლებაო?

– არ ამბობენ. აქ წერია, რომ შეიძლება იცვლება, მაგრამ არ იციან, როგორ ან რატომ. მაგრამ ისიც წერია, შეიძლება სულაც არაფერი ხდებაო.

– ან ისე იქნება, ან – ასე, – ფართოდ გაიღიმა სემმა. – ჰო, – ნატალიმ შუბლი შეჭმუხნა

და კითხვა განაგრძო. სემმა ტილო გარეცხა და დაკეცა.

– ჩემი აზრით, საქმე ისაა, რომ მიუხედავად მთავრობისა და ათასი უბედურებისა, ყველამ

უეცრად უკეთ იგრძნო თავი. არ ვიცი, შეიძლება ეს ნაადრევი გაზაფხულის დამსახურებაა. როგორც იქნა, გრძელი ზამთარი დასრულდა და ძალიან მიხარია.

– მეც, – თქვა ნატალიმ და ხანმოკლე პაუზის შემდეგ დაამატა: – სტატიაში წერია, რომ ძალიან ბევრმა ადამიანმა განაცხადა, უცნაური სიზმრები ვნახეთო. მე უცნაური არაფერი დამსიზმრებია. ყოველ შემთხვევაში, ჩვეულებრივ რაც მესიზმრება ხოლმე, იმაზე უცნაური არ მინახავს.

სემმა ბოლოჯერ მიმოიხედა, რამე ხომ არ გამომრჩაო. არა. ყველაფერი მილაგებულმოლაგებული იყო. წინსაფარი მოიხსნა და სამზარეულოში საკიდზე ჩამოკიდა. იქიდან რომ გამოვიდა, ნათურების გამორთვა დაიწყო.

–

– ამ ბოლო დროს მე მესიზმრება უცნაური რამეები, – თქვა მან, – იმდენად უცნაური, რომ დღიურის წერაც კი დავიწყე. სიზმრები ძილში იმდენად მნიშვნელოვნად მეჩვენება, გაღვიძებისთანავე რვეულში ვიწერ ხოლმე. მაგრამ მოგვიანებით ხელახლა რომ გადავიკითხავ, მათში მნიშვნელოვანს ვერაფერს ვპოულობ. სემმა პალტო შემოიცვა და ყველასათვის მოსარგები ზომის ხელთათმანები ჩაიცვა.

– სიზმრების ახსნის რაღაც გამეგება, – უთხრა ნატალიმ, რომელსაც ცოტ-ცოტა ყველაფერი გაეგებოდა, თავდაცვის იდუმალი საბრძოლო ხელოვნებით დაწყებული და ფენ-შუითა და ჯაზ-ბალეტით დამთავრებული, – მომიყევი და მე აგიხსნი მათ მნიშვნელობას.

– კარგი, – სემმა ბოლო ნათურაც გამორთო, კარი გამოაღო, ჯერ ნატალი გაატარა, მერე თვითონაც გავიდა გარეთ და „კოფი ჰაუსის“ კარი ჩაკეტა, – ზოგჯერ ციდან ჩამოვარდნილი ხალხი მესიზმრება, ზოგჯერ მიწის ქვეშ ვარ და ბიზონისთავიან ქალს ველაპარაკები. ზოგჯერ ის ტიპი მესიზმრება, ერთხელ ბარში რომ ვაკოცე. ნატალიმ ჩაიფხუკუნა.

– ვხედავ, ჩემთვის რაღაცის თქმა გამოგრჩენია.

– ისეთი არაფერია, ეს „დაახვიე“ კოცნა იყო.

– ბიჭს დაახვევინე კოცნით?

– არა, ამ კოცნით სხვებს ვეუბნებოდი, დაახვიეთ-მეთქი. იქ რომ ყოფილიყავი, მიხვდებოდი. ნატალი ტროტუარზე გაბაკუნდა. სემი უხმაუროდ მიჰყვებოდა გვერდით.

– მე რომ მანქანით დავდივარ, იმ ბიჭისაა, – თქვა სემმა.

– ის იისფერი რაღაც, შენი დისგან რომ წამოიყვანე?

– ჰო.

– იმ ტიპს რა დაემართა? მანქანა რატომ აღარ სჭირდება?

– არ ვიცი. შეიძლება ციხეშია, ან მოკვდა.

– მოკვდა?

– მგონი, – სემი შეყოყმანდა, – რამდენიმე კვირის წინ, დარწმუნებული ვიყავი, რომ მოკვდა. მეექვსე გრძნობა მკარნახობდა თუ რაღაც. მოკლედ, ვგრძნობდი, რომ მოკვდა.

მაგრამ მერე ეჭვი შემეპარა. არ ვიცი. ეტყობა, მეექვსე გრძნობა არც ისე განვითარებული მაქვს.

– ეს მანქანა როდემდე უნდა გყავდეს?

– სანამ ვინმე არ მოაკითხავს. ჩემი აზრით, იმას ასე ენდომებოდა.

ნატალიმ სემს შეხედა. შემდეგ კიდევ ერთხელ შეხედა და ჰკითხა: – ეგ ყვავილები საიდან მოიტანე?

– რა?

ხელში რომ გიჭირავს, ეგ ყვავილები საიდან მოიტანე, სემ? „კოფი ჰაუსიდან“ რომ გამოვედით, მაშინაც გეჭირა? უცნაურია, რატომ ვერ შევამჩნიე.

სემმა დაიხედა და გაიღიმა.

– რა საყვარელი ხარ. როცა მომეცი, მადლობის გადახდა დამავიწყდა, არა? – თქვა მან, – ძალიან ლამაზი ყვავილებია. დიდი მადლობა. მაგრამ წითელი უფრო შესაფერისი არ იქნებოდა?

სემს ბრჭყვიალა ქაღალდში გახვეული ვარდების თაიგული ეჭირა. ექვსი ცალი ვარდი იყო და ექვსივე თეთრი.

– ეს ყვავილები მე არ მომიცია შენთვის, – გაიბუსხა ნატალი. კინოთეატრში ისე

მივიდნენ, სიტყვა არც ერთს აღარ დაუძრავს.

იმ ღამით შინ მისულმა სემმა ყვავილები იმპროვიზებულ ლარნაკში ჩააწყო. მოგვიანებით, ყვავილები მოაბრინჯავა და დიდხანს თავისთვის ინახავდა ამბავს იმაზე, თუ როგორ აღმოჩნდა ისინი მის ხელში. ერთხელაც, სიმთვრალეში, კეროლაინს, რომელმაც ნატალის შემდეგ შემოაბიჯა მის ცხოვრებაში, ყვავილიმოჩვენებების შესახებ უამბო და მთვრალი კეროლაინიც დაეთანხმა, მართლაც უცნაური და საშიში ამბავიაო, მაგრამ გულის სიღრმეში ერთი სიტყვაც არ დაიჯერა და ამგვარად, ყველაფერი მშვენივრად დასრულდა.

შედოუმ მანქანა კაპიტოლიუმის შენობასთან გააჩერა და მუხლის გასაშლელად მოედანს ფეხით შემოუარა. სამოსი ტანზე კი შეაშრა, მაგრამ მათში უხერხულად გრძნობდა თავს, ახალი ჩექმები ჯერ კიდევ უჭერდა. ტაქსოფონი იპოვა და საინფორმაციო ცენტრში დარეკა. ტელეფონის ნომერი უკარნახეს.

შინ რომ დაურეკა, უპასუხეს, აქ არ არის, ჯერ არ მოსულა, ალბათ ისევ „კოფი ჰაუსშიაო“.

„კოფი ჰაუსისკენ“ მიმავალმა გზად ყვავილების თაიგული იყიდა.

„კოფი ჰაუსს“ მიაგნო. ქუჩის გადაღმა, ძველი წიგნების მაღაზიის კართან გაჩერდა და ლოდინი დაიწყო.

კაფე რვა საათზე დაიკეტა. ცხრის ათ წუთზე სემ ბლექ ქროუ „კოფი ჰაუსიდან“ მასზე დაბალი ქალის თანხლებით გამოვიდა. ქალის ცხენის კუდივით შეკრულ თმას უჩვეულო, მოწითალო ელფერი დაჰკრავდა. ერთმანეთისთვის ხელები მაგრად ჩაეჭიდათ, თითქოს მსუბუქად ჩაჭიდებით მთელ სამყაროს თავიანთ სიყვარულს ვერ დაუმტკიცებდნენ. საუბრობდნენ. უფრო სწორად, თითქმის სულ სემი ლაპარაკობდა, მისი მეგობარი კი ძირითადად უსმენდა. ნეტავ რას ამბობსო, გაიფიქრა შედოუმ. სემი ლაპარაკისას იღიმოდა.

–
ქალებმა ქუჩა გადმოკვეთეს და იმ ადგილს ჩაუარეს, სადაც შედოუ იცდიდა. ცხენისკუდა გოგომ მისგან სულ ერთ ნაბიჯში ჩაიარა. შედოუს რომ მოენდომებინა, ისე შეეხებოდა, ვერც კი შეამჩნევდნენ. ქუჩის ბოლომდე თვალი გააყოლა მათ. მკერდში ჩხვლეტა იგრძნო, გული დასწყდა. კარგად მაკოცა, მაგრამ სემს ჩემთვის ისე არასდროს შემოუხედავს, როგორც ცხენისკუდა გოგოს უყურებს და არც არასდროს შემომხედავსო, დაასკვნა შედოუმ.

– ჯანდაბას. სამაგიეროდ, პერუმდე და ელ-პასომდე ერთად ვიმგზავრეთ, – ჩაილაპარაკა მან, – ეს მოგონებები სამუდამოდ ჩვენთან დარჩება, – შემდეგ სემს გაეკიდა, დაეწია, ყვავილები ხელში ჩაუდო და უკან გამოიქცა, რომ გოგოს თაიგულის დაბრუნება არ მოენდომებინა.

თავის მანქანასთან დაბრუნდა და 90-ე ავტომაგისტრალით ჩიკაგოსკენ აიღო გეზი. დასაშვებ სიჩქარეზე ოდნავ ნელა მიჰყავდა მანქანა. ერთადერთი რამ დარჩა გასაკეთებლი. არ ეჩქარებოდა.

ღამე „მოტელ 6-ში“ გაათია. დილით რომ ადგა, მის ტანსაცმელს ისევ ტბის ფსკერის სუნი ასდიოდა, მაგრამ მაინც ჩაიცვა, დიდხანს მაინც აღარ დამჭირდებაო.

ოთახის საფასური გადაიხადა და წავიდა. ძველებურ მრავალბინიან სახლს იოლად მიაგნო. იმაზე უფრო პატარა აღმოჩნდა, ვიდრე ახსოვდა.

საფეხურები დინჯად აიარა, არც სწრაფად, თითქოს სიკვდილისკენ მიისწრაფოდა, და არც

ნელა, თითქოს სიკვდილისა ეშინოდა. ვიღაცას კიბე და კიბის ბაქნები გაესუფთავებინა. ნაგვის ტომრები გადაეყარათ. ირგვლივ დამპალი ბოსტნეულის სუნის მაგივრად, ქლორის მძაფრი სუნი იდგა.

ბოლო სართულზე წითლად შეღებილი კარი ღია დახვდა: შიგნიდან მონარჩენი საჭმლის სუნი გამოდიოდა. შედოუ შეყოყმანდა და ზარის დასარეკ ღილაკს დააჭირა თითი.

– მოვდივარ! – გაიგონა ქალის ხმა, სამზარეულოდან ჯუჯასავით დაბალი და დამაბრმავებლად ქერა ზორია უტრენნაია გამოვიდა წინსაფარზე ხელების წმენდით. სხვანაირად გამოიყურებაო, შეამჩნია შედოუმ. ბედნიერს ჰგავდა. ლოყებზე წითელი პუდრი ესვა და ბებრული თვალები უბრწყინავდა.

შედოუს დანახვაზე გაკვირვებულმა წამოიძახა: – შედოუ? დაგვიბრუნდი? – და ხელებგაშლილი გამოეშურა მისკენ. შედოუ დაიხარა და ქალს შემოეხვია. ზორია უტრენნაიამ ლოყაზე აკოცა.

– როგორ გამიხარდა შენი დანახვა! – უთხრა მან, – ახლა კი აქედან წადი!

მაგრამ შედოუმ ბინაში შეაბიჯა. ყველა ოთახის კარი (რასაკვირველია, ზორია პოლუნოჩნაიას

საძინებლის კარის გარდა) ფართოდ გაეღოთ. სადაც გაიარა, ფანჯრებიც ყველგან გამოღებული დაინახა. დერეფანში დროდადრო ნაზი ნიავი უბერავდა.

– საგაზაფხულო დასუფთავება დაგიწყიათ, – უთხრა ზორია უტრენნაიას.

სტუმარს ველოდებით, – მიუგო ქალმა, – უნდა წახვიდე. თუმცა, ყავის დალევას მოასწრებ. გინდა?

– ჩერნობოგის სანახავად მოვედი, – უთხრა შედოუმ, – დროა. ზორია უტრენნაიამ

თავი გააქნია.

– არა, არა, მისი ნახვა საჭირო არაა, – წამოიძახა მან, – რამ გაფიქრებინა?!

– იცით, – უთხრა შედოუმ, –ღმერთებთან ურთიერთობისას ერთი რამ გავითავისე: მიცემული სიტყვა ყოველთვის უნდა შეასრულო. ღმერთებს ყველანაირი აღთქმის დარღვევა სჩვევიათ, მაგრამ ჩვენ – არა. აქედან წასვლა რომც მინდოდეს, ფეხები თავისით დამაბრუნებენ უკან.

მოხუცმა ქალმა ქვედა ტუჩი გამობერა.

– ეგეც მართალია, – თქვა მან, – მაშინ დღეს წადი და ხვალ დაბრუნდი. ჩერნობოგი აქ აღარ დაგხვდება.

– ვინ არის? – მოისმა ქალის ხმა დერეფნის ბოლოდან, – ზორია უტრენნაია, ვის ელაპარაკები? მოდიხარ? ამ ლეიბს მარტო ვერ ამოვატრიალებ. შედოუ დერეფნის ბოლოში მდებარე ოთახთან მივიდა და შიგნით შეიხედა.

– დილა მშვიდობისა, ზორია ვეჩერნაია. დაგეხმაროთ?

ოთახში მყოფმა ქალმა გაკვირვებისგან წამოიკივლა და წამოწეული ლეიბი დააგდო.

ოთახი მტვრით იყო სავსე, ყველაფრის ზედაპირზე იდო, ხისა თუ შუშისაზე. მტვრის ნამცეცები ღია ფანჯრიდან შემომავალი მზის სხივების შუქზე ფარფატებდა და ცეკვავდა და მხოლოდ ნიავის იშვიათი დაქროლებისას და ფარდის ზანტად აფრიალებისას აღელდებოდა ხოლმე.

შედოუმ ოთახი იცნო, ეს ბელობოგის საძინებელი იყო. იმ ღამით აქ უენზდეის გაუშალეს ლოგინი.

ზორია ვეჩერნაიამ გაუბედავად შემოხედა.

– ლეიბია ამოსატრიალებელი, – უპასუხა.

– პრობლემა არაა, – თქვა შედოუმ, ლეიბი აიტაცა და იოლად ამოატრიალა. ძველებური ხის საწოლიდან, ზედ ლამის ერთი ადამიანის წონის თივთიკის ლეიბის დადებისას, მტვერი აიყარა და ბუღი დადგა.

–

– აქ რატომ მოხვედი? – ჰკითხა ზორია ვეჩერნაიამ არამეგობრული კილოთი.

– იმიტომ მოვედი, რომ დეკემბერში ერთი ახალგაზრდა ღმერთს შაშს ეთამაშა და დამარცხდა, – უპასუხა შედოუმ.

მოხუც ქალს ჭაღარა თმა კეფაზე დაეხვია. ტუჩები გამობერა.

– ხვალ მოდი, – უთხრა შედოუს.

– არ შემიძლია, – მოკლედ მიუგო მან.

– კარგი, შენი საქმისა შენ იცი. შედი და დაჯექი, ზორია უტრენნაია ყავას მოგიტანს. ჩერნობოგი მალე დაბრუნდება.

შედოუ სასტუმრო ოთახში შევიდა. იქაურობა ისეთივე დახვდა, როგორიც ახსოვდა, მხოლოდ ფანჯრები იყო ღია. ნაცრისფერ კატას სავარძლის სახელურზე ეძინა. შედოუს შესვლისას ცალი თვალი გაახილა, მაგრამ შედოუმ არ დააინტერესა და ისევ დაიძინა.

ამ ოთახში ეთამაშა შედოუ ჩერნობოგს შაშს; აქ დადო ფსონად თავისი სიცოცხლე, რათა ბერიკაცი უენზდეის ბოლო, მარცხისთვის განწირულ თაღლითობაში მონაწილეობაზე დაეყოლიებინა. ღია ფანჯრიდან სუფთა ჰაერი შემოვიდა და დახუთული ოთახი გაანიავა.

ზორია უტრენნაიამ ხის წითელი ლანგრით მომინანქრებული ფინჯანი და ლამბაქი შემოიტანა. ფინჯანში შავ ყავას ორთქლი ასდიოდა, ხოლო ლამბაქი შოკოლადის ნატეხებმოყრილი პატარ-პატარა ნამცხვრებით იყო სავსე.

– ზორია პოლუნოჩნაია კიდევ ერთხელ ვნახე, – უთხრა მას შედოუმ, – ქვესკნელში გამომეცხადა და მთვარე მომცა გზის გასანათებლად. სანაცვლოდ რაღაც გამომართვა, მაგრამ აღარ მახსოვს, რა.

– მას მოსწონხარ, – უთხრა ზორია უტრენნაიამ, – თითქმის სულ სძინავს. ყველას გვიფარავს. ძალიან მამაცია.

– ჩერნობოგი სად არის?

– საგაზაფხულო დასუფთავება არ უყვარს. გაზეთს ყიდულობს და პარკში ზის ხოლმე. სიგარეტს ეწევა. შეიძლება დღეს არც დაბრუნდეს. ნუ დაელოდები. არ გინდა, წახვიდე? ხვალ დაბრუნდი.

– დაველოდები, – მტკიცედ თქვა შედოუმ.

შედოუ მოჯადოებული არ იყო, არა, საკუთარი ნებით იცდიდა. მას უნდოდა, მოსახდენი მომხდარიყო, თუნდაც შედეგი მისთვის დამღუპველი ყოფილიყო. ამის შემდეგ აღარც ვალდებულებები შეაწუხებდა და აღარც – მოჩვენებები ან საიდუმლოებები.

ყავა მოსვა. ზუსტად ისეთივე შავი და ტკბილი იყო, როგორიც პირველი სტუმრობისას.

დერეფნიდან მამაკაცის ბოხი ხმა მოესმა და წამოჯდა. გაუხარდა, რომ ხელი არ ასცახცახებია. კარი გაიღო.

– შედოუ!

– გამარჯობა, – წამოუდგომლად მიესალმა შედოუ.

ჩერნობოგი სასტუმრო ოთახში შემოვიდა. იღლიაში ამოჩრილი „ჩიკაგო სან-ტაიმსის“ დაკეცილი ნომერი ყავის მაგიდაზე დადო. შედოუს დახედა და ყოყმანით გაუწოდა ხელი. შედოუმ ჩამოართვა.

– მოვედი, – უთხრა შედოუმ, – შეთანხმებისამებრ. შენ შენი სიტყვა შეასრულე, მე ჩემსას ვასრულებ.

ჩერნობოგმა თავი დაუქნია და შუბლი შეჭმუხნა. სახეზე მზის სხივები დაეცა და ჭაღარა თმა და ულვაში ლამის გაუოქროსფერა.

– ახლა... – ჩერნობოგი მოიღუშა, – კარგი, მაგრამ... – აღარ დაასრულა, – აჯობებს, წახვიდე. ახლა ამის დრო არ არის.

– მე არ მეჩქარება, – თქვა შედოუმ, – დავიცდი. მზად ვარ. ჩერნობოგმა ამოიხვნეშა.

– ძალიან სულელი ბიჭი ხარ. იცი?

– მგონი, კი.

– სულელი ბიჭი ხარ, მაგრამ იმ მთის წვერზე კარგად მოიქეცი.

– ისე მოვიქეცი, როგორც უნდა მოვქცეულიყავი.

– ალბათ.

ჩერნობოგი ხის ძველებურ ჭურჭლის კარადასთან მივიდა, დაიხარა, მის ქვემოდან დიპლომატი გამოათრია და გახსნა. ჩაქუჩი ამოიღო და ხელში შეათამაშა. ჩაქუჩი დაპატარავებულ ყასბის უროს ჰგავდა. ხის ტარი დალაქავებული ჰქონდა. ჩერნობოგი წამოდგა.

– ვერც კი ხვდები, შენგან რამდენად დავალებული ვარ. შენი წყალობით ბევრი რამ იცვლება. გაზაფხულდა. ნამდვილად გაზაფხულდა.

– ვიცი, რაც გავაკეთე, – თქვა შედოუმ, – სხვა გზა არც მქონდა.

ჩერნობოგმა თავი დაუქნია. შედოუმ მის სახეზე უცხო, აქამდე უნახავი გამომეტყველება შეამჩნია.

– ჩემი ძმის შესახებ თუ მითქვამს შენთვის რამე?

– ბელობოგზე? – შედოუ ფერფლდაყრილი ხალიჩის შუაში მუხლებზე დადგა, – მითხარი, დიდი ხანია არ მინახავსო.

– ჰო, – ბერიკაცმა ჩაქუჩი ასწია, – ზამთარი დიდხანს გრძელდებოდა, ჩემო ბიჭო, ძალიან დიდხანს, მაგრამ, აი, უკვე სრულდება, – ჩერნობოგმა თავი გააქნია, თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობდა, – თვალები დახუჭე. შედოუმ თვალები დახუჭა, თავი ასწია და დაიცადა.

ჩაქუჩის თავი ცივი იყო, ყინულივით ცივი, და შუბლზე ამბორივით ნაზად შეეხო.

– ბრახ! ესეც ასე, – თქვა ჩერნობოგმა, – მორჩა.

სახეზე შედოუსთვის უცხო, კეთილი, ზაფხულის შუადღესავით თბილი ღიმილი აღბეჭდოდა. ბერიკაცი დიპლომატთან მივიდა, ჩაქუჩი ისევ შიგ ჩადო და დიპლომატი ჭურჭლის კარადის ქვეშ შეაცურა.

– ჩერნობოგ? – გაიკვირვა შედოუმ. შემდეგ დაეჭვებით ჰკითხა: – ჩერნობოგი ხარ?

– კი, დღეს ჩერნობოგი ვარ, – უთხრა ბერიკაცმა, – ხვალ უკვე ბელობოგი ვიქნები, მაგრამ დღეს ჯერ ისევ ჩერნობოგს ელაპარაკები.

– მაშ, რატომ არ მომკალი? ხომ შეგეძლო?

ბერიკაცმა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, კოლოფიდან – უფილტრო სიგარეტის ღერი. ბუხრის თავიდან ასანთი აიღო და სიგარეტს მოუკიდა. ფიქრებში ჩაეფლო.

– იმიტომ არ მოგკალი, – თქვა მან კარგა ხნის შემდეგ, – რომ სისხლის გარდა, მადლიერებაც არსებობს. თანაც, ზამთარი ძალიან, ძალიან გრძელი იყო. შედოუ ადგა და მუხლებიდან მტვერი ჩამოიფერთხა.

– გმადლობ, – უთხრა ჩერნობოგს.

– არაფერს, – მიუგო ბერიკაცმა, – თუ კიდევ მოგინდება შაშის თამაში, იცი, სად მიპოვო. შემდეგში თეთრებით მე ვითამაშებ.

– გმადლობ, იქნებ შემოგიარო კიდეც, – უთხრა შედოუმ, – მაგრამ უახლოეს მომავალში ვერ დაგპირდები, – მოხუცს მოციმციმე თვალებში შეხედა და გაიფიქრა, ნეტავ ყოველთვის ღიღილოსფერი თვალები ჰქონდა თუ არაო. მერე სიტყვის უთქმელად, ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

წასვლამდე შედოუმ ზორია უტრენნაიას ლოყაზე აკოცა, ზორია ვეჩერნაიას კი ხელზე ეამბორა. კიბე საფეხურების გამოტოვებით, სწრაფად ჩაიარა.

პოსტსკრიპტუმი

ისლანდიის დედაქალაქი რეიკიავიკი უცნაურია მათთვისაც კი, ვისაც ბევრი უცნაური ქალაქი უნახავს. აქ ნიადაგი ვულკანურია – არსებობისთვის საჭირო სითბოს მიწის ქვემოდან იღებს.

აქაც შეხვდებით ტურისტებს, მაგრამ თქვენ რომ გგონიათ, იმაზე ცოტას, თვით ივლისის დასაწყისშიც.

ბოლო კვირების განმავლობაში მზე თითქმის არ ჩადიოდა: მხოლოდ ნაშუაღამევს მკრთალდებოდა ოდნავ და თითქოს ბინდდებოდა, გამთენიის ოთხი საათიდან კი ისევ დღე დგებოდა.

იმ დილით რეიკიავიკში ერთი ზორბა ტურისტი დადიოდა და უსმენდა ლაპარაკს ხალხისა, რომელთა ენაც ათასი წლის განმავლობაში მხოლოდ ოდნავ შეიცვალა. ისლანდიის მკვიდრნი უძველეს საგებსაც ისევე იოლად კითხულობდნენ, როგორც გაზეთს. შედოუს ამ კუნძულზე გამეფებული უწყვეტობის განცდა აფრთხობდა და იმავდროულად ძლიერ ამშვიდებდა. თავს გამოფიტულად გრძნობდა: მუდმივ დღის

შუქზე წესიერად ვერ იძინებდა და წუხელ სასტუმროს ოთახში გრძელი, დაუღამებელი ღამე გზამკვლევისა და „ცივი სახლის“ კითხვაში

გაათია. ჩარლზ დიკენსის ეს რომანი რომელიღაც აეროპორტში იყიდა რამდენიმე კვირის წინ, მაგრამ ბოლოს დროს იმდენს მოგზაურობდა, რომელში – აღარ ახსოვდა. ხანდახან ფანჯრიდან იყურებოდა და დრო ამით გაჰყავდა.

ბოლოს და ბოლოს, მზემაც და საათმაც დაადასტურეს, რომ გათენდა.

მრავალ საკონდიტრო მაღაზიათაგან ერთ-ერთში შოკოლადი იყიდა და ტროტუარს გაუყვა. ისლანდიის ვულკანურ აგებულებას ხან რა ახსენებდა, ხან – რა. მაგალითად, მოუხვევდა ქუჩის კუთხეში და უცებ ჰაერი გოგირდის სუნით გაიჟღინთებოდა. მაგრამ ჰაერის ჩასუნთქვისას ჰადესის სამეფო კი არა, ლაყე კვერცხები მოაგონდებოდა ხოლმე.

მრავალ ლამაზ ქალს ჩაუარა, ფერმკრთალებსა და ტანადებს – ასეთი ქალები უენზდეის მოეწონებოდა. ნეტავ უენზდეი რით მოხიბლა დედამისმა, რომელიც ლამაზი კი იყო, მაგრამ ამ ქალებს ნამდვილად ვერ შეედრებოდა?

შედოუ ლამაზ ქალებს უღიმოდა, ეს თავაზიან მამაკაცად წარმოაჩენდა; უღიმოდა სხვა ქალებსაც, რადგან კარგ განწყობაზე იყო.

თვითონაც ვერ მიხვდა, ზუსტად როდის, მაგრამ რეიკიავიკში სეირნობისას უეცრად იგრძნო, რომ ვიღაც უთვალთვალებდა. ხანდახან უკან მიტრიალდებოდა, იქნებ თვალი მოვკრაო, ანდა ვიტრინებზე ეძებდა მდევრის ანარეკლს, მაგრამ საეჭვოს ვერავის ხედავდა.

პატარა რესტორანში შევიდა. შებოლილი ცულნისკარტას ხორცი, მიწამაყვალა, არქტიკული გოჭალა და მოხარშული კარტოფილი შეჭამა და „კოკა-კოლა“ დალია. აქაური „კოკა-კოლა“ ამერიკულზე უფრო ეტკბილა და მოეწონა.

მიმტანმა ანგარიში მოუტანა. საჭმელი აქაც ძვირი აღმოჩნდა. სადაც იმოგზაურა, ამ მხრივ ყველგან ერთნაირი მდგომარეობა დახვდა. როცა ანგარიში მაგიდაზე დაუდო, მიმტანმა ჰკითხა: – ამერიკელი ბრძანდებით?

– დიახ.

– მაშინ ოთხ ივლისს გილოცავთ, – თვითკმაყოფილი სახით უთხრა მიმტანმა.

შედოუს არც ახსოვდა, რომ ოთხი ივლისი იყო, ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღე. დამოუკიდებლობაზე ფიქრი მოსწონდა. საჭმლის საფასური და

მიმტანის გასამრჯელო მაგიდაზე დატოვა და გარეთ გავიდა. ატლანტის ოკეანიდან გრილმა ბრიზმა დაუბერა და ქურთუკი შეიკრა.

ბალახოვან ფერდობზე წამოჯდა, გარშემორტყმულ ქალაქს თვალი მოავლო და გაიფიქრა, რომ ერთ დღესაც შინ დაბრუნება მოუწევდა. მაგრამ ჯერ უნდა ეპოვა

სახლი, სადაც დაბრუნდებოდა. ნეტავ რა არის სახლი – ის, რადაც ერთი ადგილი გადაიქცევა ხოლმე დიდი ხნის შემდეგ თუ ის, რისკენაც დიდხანს და მოთმინებით მიდიხარ, რასაც ნატრობ და საბოლოოდ პოულობ?

შედოუმ წიგნი ამოიღო.

მისკენ მოხუცმა კაცმა გამოაბიჯა. მას მუქი ნაცრისფერი, აშკარად ბევრი მოგზაურობისგან ბოლოებგაცვეთილი ლაბადა ეცვა და ფართოფარფლიანი ლურჯი ქუდი ეხურა. ქუდის ლენტში დაუდევრად, მაგრამ მოხდენილად გაერჭო თოლიის ფრთა. შედოუმ მოხუც ჰიპისა თუ ველური დასავლეთის უკვე დაბერებულ მსროლელს მიამგვანა. ბერიკაცი საოცრად მაღალი იყო.

შედოუს გვერდით ჩაცუცქდა ფერდობზე და ზრდილობიანად დაუქნია თავი. ცალ თვალზე სახვევი მეკობრესავით ჰქონდა აკრული და ნიკაპზე გრძელი წვერი მოსდებოდა. ეტყობა, სიგარეტი უნდა მთხოვოსო, გაიფიქრა შედოუმ.

– Hvernig gengur? Manst юъ eftir mйr? – ჰკითხა ბერიკაცმა.

– უკაცრავად, ისლანდიური არ ვიცი, – უთხრა შედოუმ და გაჭირვებით წარმოთქვა ღამით სასაუბრო ლექსიკონში ამოკითხული და დაზუთხული ფრაზა: – Йg tala bara ensku. („მხოლოდ ინგლისურად ვლაპარაკობ“.) ამერიკელი ვარ. ბერიკაცმა ნელა დააქნია თავი.

– დიდი ხნის წინ ჩემი ხალხი აქედან ამერიკაში გაემგზავრა. წავიდნენ და ისევ ისლანდიაში დაბრუნდნენ. ასე თქვეს, ხალხისთვის კარგი ადგილია, მაგრამ ღმერთებისთვის – ცუდიო. თავიანთი ღმერთების გარეშე კი... თავი მარტოსულად იგრძნეს.

მოხუცი ინგლისურად უნაკლოდ ლაპარაკობდა, მაგრამ წინადადებებს უჩვეულო კილოთი და პაუზებით წარმოთქვამდა. შედოუ უფრო ყურადღებით დააკვირდა. კაცი იმაზე ბევრად ბებერი უნდა ყოფილიყო, ვიდრე შედოუს წარმოედგინა. მისი სახის კანი პაწია ნაოჭებს დაეფარა, როგორც გრანიტის ზედაპირი მასზე გაჩენილ პაწია ბზარებს.

– მე შენ გიცნობ, ბიჭო, – უთხრა ბერიკაცმა.

– მართლა?

– მე და შენ ერთი და იგივე გზა გავიარეთ. მეც ვეკიდე ხეზე ცხრა დღე, საკუთარ თავს მსხვერპლად შევეწირე. მე ასების[289] მეუფე და სახრჩობელების ღმერთი ვარ.

– მაშ, შენ ოდინი ყოფილხარ, – შენიშნა შედოუმ.

ბერიკაცმა ფიქრიანად დააქნია თავი, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, ეს სახელი მოსწონდა თუ არა.

– ბევრ რამეს მიწოდებენ, მაგრამ, დიახ, მე ოდინი ვარ, ძე ბორისა.

– საკუთარი თვალით ვნახე, როგორ მოკვდი, – უთხრა შედოუმ, – ღამე გაგითიე. ძალაუფლების მოსაპოვებლად იმდენი რამის განადგურება მოინდომე. შენი თავისთვის ბევრი რამის გაწირვას აპირებდი. ეს ყველაფერი შენ ჩაიდინე.

– ეგ მე არ ჩამიდენია.

– უენზდეიმ ჩაიდინა. ის ოდინი იყო, ანუ შენ.

– დიახ, ის ოდინი იყო, მაგრამ მე უენზდეი არ ვარ, – ბერიკაცმა ცხვირი მოიფხანა. თოლიის ფრთა შეირხა, – ამერიკაში დაბრუნდები? – ჰკითხა სახრჩობელების ღმერთმა შედოუს.

– იქ არაფერი დამრჩენია, – უპასუხა შედოუმ, მაგრამ ამის თქმისთანავე მიხვდა, რომ იცრუა.

– იქ საქმეები გელოდება, – უთხრა ბერიკაცმა, – მაგრამ არა უშავს, არსად გაიქცევა, რომ ჩახვალ, შინ დაგხვდება.

მათ წინ თეთრმა პეპელამ ჩაიფრინა ფრთების ფარფატით. შედოუს არაფერი უთქვამს. უკვე კარგად იცნობდა ღმერთებს და მათ ხრიკებს. გადაწყვიტა, აეროპორტში ბილეთი გადაეცვალა და სადმე უცხო ადგილას წასულიყო, არც ერთგან დიდხანს არ გაჩერებულიყო.

– აი, – თქვა შედოუმ, – შენთვის რაღაც მაქვს, – ხელი ჯიბეში ჩაიყო და საჭირო ნივთი იპოვა, – ხელი გამომიშვირე.

ოდინმა ფრთხილად და სერიოზულად შემოხედა. მერე მხრები აიჩეჩა და მარჯვენა ხელი შედოუსკენ გაიშვირა. შედოუ დაიხარა და ხელი ამოატრიალებინა. თვითონაც ამოატრიალა ხელები, უჩვენა, რომ მუჭში არაფერს მალავდა, მერე კი ხელის სწრაფი მოძრაობით ბერიკაცს ხელისგულზე შუშის თვალი დაუდო.

– ეს როგორ გააკეთე?

– ჯადოსნობის დახმარებით, – გაუღიმებლად უპასუხა შედოუმ.

ბერიკაცმა გაიცინა და ტაში დაუკრა. შუშის თვალი ცერითა და საჩვენებელი თითით დაიჭირა და კარგად დააკვირდა. შემდეგ თავი დააქნია, თითქოს მიხვდა, ეს რაც იყო და შუშის თვალი წელზე შებმულ ტყავის ქისაში ჩაიგდო.

– Takk kжrlega („ამას გავუფრთხილდები“.).

– მიხარია, – უთხრა შედოუმ, ადგა, ჯინსის შარვლიდან ბალახი ჩამოიფერთხა, წიგნი დაკეცა და ზურგჩანთის გვერდითა ჯიბეში ჩადო.

– კიდევ, – უთხრა ასგარდის მეუფემ ბოხი, მბრძანებლური ხმითა და თავის ქედმაღლური მოძრაობით, – გაიმეორე. კიდევ გააკეთე.

– ხალხო, თქვენი დაკმაყოფილება შეუძლებელია, – თქვა შედოუმ, – კარგი, ეს ფოკუსი ერთი, აწ უკვე მკვდარი ტიპისგან ვისწავლე.

შედოუმ ხელი ასწია და ჰაერიდან ოქროს მონეტა ჩამოხსნა. ჩვეულებრივი ოქროს მონეტა იყო – ვერც მკვდარს აღადგენდა და ვერც სნეულს განკურნავდა, მაგრამ ოქროსი კი ნამდვილად იყო.

– ესეც ასე, – დაანახვა ბერიკაცს მონეტა, – მორჩა კინო.

მერე მონეტას ცერი გაჰკრა და ჰაერში ააგდო. მზის შუქზე მობრჭყვიალე ოქროს მონეტა ბზრიალ-ბზრიალით აიჭრა და კამარის შეკვრის ნაცვლად, აელვარებული და აციმციმებული, თითქოს შუა ზაფხულის ცაში დაეკიდა. შედოუს არ დაუცდია იმის სანახავად, ჩამოვარდა თუ არა მონეტა. მიტრიალდა და უკანმოუხედავად წავიდა.

დანართი

ერთი სული მქონდა, როდის შევახვედრებდი შედოუსა და იესოს: ბოლოს და ბოლოს, ამერიკაზე დაწერილ წიგნში იესო როგორ არ მეხსენებინა, ის ხომ ამ ქვეყნის ქსოვილის ნაწილია?

ჰოდა, მეთხუთმეტე თავში მათი შეხვედრის სცენა აღვწერე. სამწუხაროდ, არ მომეწონა. მომეჩვენა, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მხოლოდ გაკვრით ვახსენე.

ამიტომაც ეს სცენა ტექსტიდან ამოვიღე.

თუმცა წიგნის განახლებულ გამოცემაში კინაღამ ხელახლა ჩავამატე. კინაღამ კი არა, მართლა ჩავამატე, ოღონდ ბოლო წამს მეთხუთმეტე თავიდან ამოვიღე და, აი, აქ მივუჩინე ადგილი. შეგიძლიათ წაიკითხოთ. ერთი ეგაა, რომ „ამერიკელი ღმერთების“ განუყოფელ ნაწილად არ მიმაჩნია.

მოდით, ამ მონაკვეთს აპოკრიფული ვუწოდოთ.

ერთ დღესაც შედოუ ამერიკაში დაბრუნდება.

მას იქ ძალიან საინტერესო საუბრების გამართვა მოუწევს...

მის გვერდით, ცხადში თუ სიზმარში, ხალხი დადიოდა. ზოგი ეცნობოდა, ზოგი სრულიად უცნობი იყო.

– მერედა, ვინ არის უცნობი, თუ არა გაუცნობელი მეგობარი? – რიტორიკულად ჰკითხა ვიღაცამ და სასმელი მიაწოდა.

ჭიქა გამოართვა და უცნობთან ერთად ალიზისკედლებიან დერეფანს გაუყვა. ესპანური სტილის შენობაში იმყოფებოდნენ. დერეფნიდან ღია ეზოში გადაინაცვლეს, ეზოდან – ისევ დერეფანში. მზე მაგრად აჭერდა შადრევნებსა და ყვავილების ბაღს.

– შეიძლება უცნობი მტერი იყოს, – უპასუხა შედოუმ. – ცუდზე რატომ ფიქრობ,

შედოუ, ცუდზე რატომ ფიქრობ? შედოუმ სასმელი მოსვა. მომლაშო წითელი ღვინო

იყო.

– ბოლო თვეებია, სულ ცუდი რამეები ხდება, – თქვა შედოუმ, – ბოლო წლებია, სულ ცუდი რამეები ხდება.

უცნობი გამხდარი, შავგვრემანი და საშუალო სიმაღლის კაცი იყო. შედოუ თბილი, თანამგრძნობი ღიმილით შეათვალიერა.

– ღამისთევა როგორ მიდის, შედოუ?

– ხე? – შედოუს გაახსენდა, რომ ვერცხლისფერ ხეზე ეკიდა. ნეტავ კიდევ რა დამავიწყდაო, გაიფიქრა, – მტკივნეულია.

– ხანდახან ადამიანი ტანჯვით განიწმინდება, – უთხრა კაცმა, რომელსაც ყოველდღიური, მაგრამ ძვირად ღირებული სამოსი ეცვა, – ტკივილმა შეიძლება გაგასპეტაკოს.

– ანდა გადაგრიოს, – დაამატა შედოუმ.

კაცი შედოუს დიდ ოთახში შეუძღვა. იქაურობა კაბინეტს ჰგავდა, მაგრამ სამუშაო მაგიდა არ იდგა.

– ოდესმე თუ დაფიქრებულხარ, რას ნიშნავს ღმერთობა? – ჰკითხა კაცმა. მას წვერი ჰქონდა და ბეისბოლისტის კეპი ეხურა, – ღმერთობა იმას ნიშნავს, რომ ჩვეულებრივი მოკვდავისგან მემად[290] იქცევი: იმად, რაც სამუდამოდ აღიბეჭდება ხალხის გონებაში, საბავშვო სიმღერის მელოდიის მსგავსად. ღმერთობა იმას ნიშნავს, რომ ყველა თავისებურად გარდაგქმნის თავის თავში. შენი რაობისგან თითქმის აღარაფერი რჩება. ამის მაგივრად, ხალხი თავად გძენს მისთვის საჭირო ათასნაირ ასპექტს. თანაც, ყველა სხვადასხვა რამეს მოითხოვს შენგან. არაფერია მყარი, უცვლელი.

შედოუ ფანჯარასთან კომფორტულ ტყავის სავარძელში ჩაჯდა. კაცი ვეებერთელა დივანზე ჩამოჯდა.

– კარგად მოწყობილხარ, – შენიშნა შედოუმ.

– გმადლობ. ახლა კი გულწრფელად მიპასუხე, ღვინო როგორ მოგწონს? შედოუ

შეყოყმანდა.

– ვშიშობ, ცოტათი აძმარებულია.

– ვწუხვარ. ღვინოს სულ ეგ პრობლემა აქვს. „ისე რა“ ღვინოს თავისუფლად დავაყენებ, მაგრამ კარგი ან, მით უფრო, ჩინებული ღვინის დაყენება ძნელია... რაღა არ უნდა გაითვალისწინო: ამინდი, ნიადაგის მჟავიანობა, ნალექიანობა, ისიც კი, ვენახს ბორცვის რომელ მხარეს დარგავ... საათობით შემიძლია ვილაპარაკო ღვინოზე...

– არა, ცუდი არ არის, – თქვა შედოუმ და ერთ ყლუპად დალია ჭიქაში დარჩენილი ღვინო. ცარიელი კუჭი აეწვა და მსუბუქი თავბრუსხვევა იგრძნო.

– აქეთ კიდევ მთელი ეს ამბავი ახალ ღმერთებსა და ძველ ღმერთებზე, – განაგრძო მისმა მეგობარმა, – პირადად მე ახლების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. გამოუშვით. თოფების ღმერთები. ბომბების ღმერთები. უმეცრებისა და შეუწყნარებლობის ღმერთები, თვითკმაყოფილების, იდიოტიზმისა და ცოდვის ღმერთები. ამ ყველაფერს მე მომაწერენ ხოლმე. ჰოდა, ახლები ბარემ მძიმე ტვირთს შემიმსუბუქებენ, – თქვა და სევდიანად ამოიხვნეშა.

– კი, მაგრამ შენ ხომ წარმატებული ხარ, – შენიშნა შედოუმ, – აქაურობას შეხედე, – და ხელის მოძრაობით ანიშნა კედლებზე ჩამოკიდებულ ნახატებზე, მუხის პარკეტსა და ქვემოთ, ეზოში მჩქეფარე შადრევანზე. მისმა მეგობარმა თავი დააქნია.

– როგორც გითხარი, ყველაფერს თავისი ფასი აქვს, – თქვა მან, – ყველასთვის ყველაფერი უნდა იყო. ადრე თუ გვიან, ისე იწელები, თითქმის გამჭვირვალე ხდები, ვითომ ხარ და თან აღარც ხარ. ეს ცუდია.

კაცმა დაკოჟრილი ხელი გამოუწოდა და შედოუს ხელზე მაგრად მოუჭირა. თითებზე საჭრეთლისგან გაჩენილი ნაიარევები ემჩნეოდა.

– ვიცი, ვიცი, ბედს არ უნდა ვემდუროდე. თავს ბედნიერად უნდა მივიჩნევდე, რომ შენთან ასე შესახვედრად და სასაუბროდ დრო გამომიჩნდა, – თქვა მან, – მართლაც მიხარია. ვიცნობდეთ ერთმანეთს.

– არა, მე მხოლოდ შენი უცნობი მეგობარი ვიქნები, – უთხრა შედოუმ.

– ხუმარა ყოფილხარ, – მიუგო წვეროსანმა.

– რატატოსკ, რატატოსკ, – ციყვის კბილების რაკუნი ჩაესმა ყურში შედოუს. პირში ჯერ კიდევ დაძმარებული ღვინის გემოს გრძნობდა. ბნელოდა.